შოთა ვეშაპიძე
ეკა ლეკაშვილი
ამბროსი გრიშიკაშვილი
ნანა ასლამაზიშვილი

მსოფლიო ეკონომიკა

თბილისი
2008

UDC (უაკ) 338(100)+339.9
მ-908
ვ-436

მსოფლიო ეკონომიკის წინამდებარე წიგნი დისციპლინის ძირითად თემებს მოიცავს. მისი საკმაოდ წონადი ნაწილი წიგნის შემდგენლების სამეცნიერო-კვლევითი შრომის შედეგს წარმოადგენს, მნიშვნელოვანი ნაწილი კი თარგმნილი და შედგენილია ქართველი და უცხოელი ავტორების შრომებზე დაყრდნობით. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ისეთი თვალსაჩინო ავტორები, როგორებიც არიან ალექსანდრე მოვსესიანი, სერგეი ოგნიუცეევი, ალექსანდრე ბულატოვი, რუსლან ხასბულატოვი, ალექსანდრე პოგორლეცკი, პიტერ დიქენი, გრემ ტომპსონი, პოლ ჰერსტი და სხვები.

მთავარი რედაქტორი: პროფ. ნ. თუშნაცა

რედაქტორები: პროფ. ა. ლონდარიძე
პროფ. ბ. კიპაროიძე
პროფ. ნ. პაპანაშვილი

დაუშვებელია წიგნიდან მასალის ასლის გადაღება ნებისმიერი ფორმით, ავტორ-გამომცემლებიდან წერილობითი თანხმობის გარეშე.

© შოთა ვეშაპიძე, ეკა ლეკაშვილი, ამბროსი გრიშიკაშვილი, ნანა ასლამაზიშვილი. მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო. 2008 წ.

ISBN 978-9941-0-0584-8

წინასიტყვაობა

„ხალხებს შორის კარგი ურთიერთობების გარეშე, საქართველოს ხსნის გზა არ არსებობს".

ილია ჭავჭავაძე.

ჩვენი წიგნის წინათქმისათვის ეპიგრაფად წამძღვარებულ ბრძენი ილიას სიტყვებს მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის, ყველგან, ყველანაირ გარემო პირობებში და ყველა დროს ერთნაირი ცხოველმყოფელობა გააჩნია. ილია ჭავჭავაძე გამოდიოდა იმ ობიექტური წინაპირობებიდან, რომ საქართველო თავისი გეოგრაფიული მღებარეობით და გეოპოლიტიკური მდგომარეობით წარმოადგენს „ოთხი რეგიონის ქვეყანას": უპირველეს ყოვლისა, „კავკასიურ ქვეყანას", შავი ზღვის რეგიონის, ახლო აღმოსავლეთის, კასპიის ზღვის რეგიონის ქვეყანას.

საქართველო ევრო-ატლანტიკურ ღირებულებებზე ორიენტირებული ქვეყანაა, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა ვისწრაფოდეთ მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან კარგი ურთიერთობების დამყარებისკენ. საქართველოს პრეზიდენტმა მეექვსე მოწვევის პარლამენტის პირველ სხდომაზე 2004 წლის 22 აპრილს აღნიშნა: „ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის არის ურთიერთობები რუსეთთან. მთავარი, რასაც მივაღწიეთ, არის ის, რომ დაბალანსების პოლიტიკა საგარეო პოლიტიკაში უნდა ამოიძირკვოს. არ უნდა დავსვათ კითხვა ასე – ან ამერიკა, ან – რუსეთი; ან ევროპა, ან – ამერიკა. ჩვენ გვინდა ყველაფერი, რაც კარგია ჩვენთვის. ჩვენ გვინდა ამერიკაც, რუსეთიც, ევროპაც და ახლო აღმოსავლეთიც, თუ ეს საქართველოს ინტერესებს წაადგება". მხოლოდ ასეთი გზა მოგვცემს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი, მასშტაბური განვითარების, ადგილობრივ გარემოებების, მისი თავისებურებების „ადგილობრივი წვრილმანების" ყოველმხრივი დაცვის და გათვალისწინების შესაძლებლობას.

თანამედროვე სისტემური რეფორმების პერიოდში საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, დაწყებული მთავრობის წევრებიდან სტუდენტებით დამთავრებული, ცოდნა ფრიად სასარგებლო და აუცილებელია. ამიტომ, საქართველოს დანარჩენ მსოფლიოსთან ინტეგრირების უკეთ გასააზრებლად რაც მეტი წიგნი გამოიცემა, თარგმნილი, შედგენილი თუ ორიგინალური, მოსალოდნელი შეცდომებისაგან თავის დაღწევის მეტი შესაძლებლობა გვექნება. სწორედ ეს არის წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელოს მიზანიც.

დამხმარე სახელმძღვანელოს საკმაოდ წონადი ნაწილი წიგნის შემდგენლების მიერ არის დაწერილი, უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი კი თარგმნილი და შედგენილია ჩვენი ქვეყნის და თვალსაჩინო უცხოელი ავტორების შრომებზე დაყრდნობით. „მსოფლიო ეკონომიკის" დისციპლინის შესწავლა ნებისმიერ კურსებზე შეიძლება, რადგან მისი შესწავლის განსაკუთრებული წინაპირობა არ არსებობს. წიგნის ბოლოში დართული მსოფლიო ეკონომიკის მოკლე ლექსიკონი ეკონომიკური ტერმინების და თეორიების მარტივ და საყოველთაო ახსნას გვაწვდის და მასალის გაგებას ააღვილებს.

FOREWORD

Georgia is a country,orientad on European values. That mens we should seek for good relations with other countries. As Georgian President noted on the first session of the sixth convocation Parliament: "...most important point for us is relation with Russia. There is no question: USA, Russia or Europe. We prefer all of them: USA, Russia, Near East and so on, if they are suiting our interests." Only such kind of way will give us possibilities for successful social and economic development.

Nowadays, when systematic reforms are under way in Georgia, professionalism is most important point for adequate understanding of international integrations, globalization and of the role of Georgia in the world economy. So, this is the main goal of this book.

Main part of the manual is written by the authors and editors of this book and other one is translated or compiled on the basis of outstanding foreign authors (such as P. Dicken, G. Tompson, P. Herst, A. Movsesian, S. Ognevcev, R.Khazbulatov, A.Pogorletski and etc) researches Also, there is short economic dictionary explaining main economic terms and theories.

The "World Economy" can be studied at the University faculties.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

თემა 1. მსოფლიო ეკონომიკის საგანი, მეთოდი და როლი 9

მსოფლიო ეკონომიკის საგანი და მეთოდი. მსოფლიო ეკონომიკის ადგილი და როლი ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაში. მსოფლიო ეკონომიკის შესასწავლად გამოყენებული სტატისტიკური მაჩვენებლები.

თემა 2. მსოფლიო მეურნეობის ჩამოყალიბება 44

მსოფლიო მეურნეობის არსი და მისი სუბიექტები. მსოფლიო მეურნეობის განვითარების პერიოდები. ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების განვითარების მიზეზები. საერთაშორისო ვაჭრობისა და წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობის თეორიები. მსოფლიო ეკონომიკის თეორიები.

თემა 3. მსოფლიო მეურნეობის განვითარება და მეგაეკონომიკის წარმოშობა 101

გლობალიზაცია და მეგაეკონომიკის წარმოშობა. იდეოლოგიური გლობალიზაცია. ინსტიტუციონალური გლობალიზაცია. მოხმარების და გასაღების, საქონლის და მომსახურების ბაზრების გლობალიზაცია. ფინანსური გლობალიზაცია. დაგროვებისა და ინვესტიციების გლობალიზაცია, კაპიტალის ბაზრები. სამუშაო ძალის გლობალიზაცია. მეცნიერების და ინოვაციების გლობალიზაცია. ეკოლოგიური გლობალიზაცია. კელავწარმოებითი პროცესების გლობალიზაცია.

თემა 4. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენციები 120

სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია. საგარეო ეკონომიკური კავშირების ლიბერალიზაცია. ინტეგრაციული პროცესები და მათი ძირითადი ფორმები. კაპიტალისა და წარმოების ტრანსნაციონალიზაცია. სამეურნეო ცხოვრების წესების უნიფიკაციის ტენდენციის წარმოშობა. მსოფლიო ეკონომიკაში

მსოფლიო მეურნეობრივი კავშირების სახელმწიფოთაშორისი რეგულირების შექმნის ტენდენცია. მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაცია. სახელმწიფოს როლი მსოფლიო ეკონომიკაში. ეკონომიკური განვითარების ეროვნული მოდელები: ლიბერალური, სოციალურად ორიენტირებული და სოციალურ-დემოკრატიული მოდელები. ეროვნული ეკონომიკის გახსნილობის მნიშვნელობა და საზომი.

თემა 5. ქვეყნების კლასიფიკაცია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიხედვით და რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია 151

ქვეყნების ტიპოლოგიები. განვითარებული ქვეყნები მსოფლიო ეკონომიკაში. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები. განვითარებადი ქვეყნები. ინტეგრაციული დაჯგუფებები მსოფლიო ეკონომიკაში. ეკონომიკური ინტეგრაცია ევროპაში. ეკონომიკური ინტეგრაცია ამერიკაში. ეკონომიკური ინტეგრაცია აზიაში. ეკონომიკური ინტეგრაცია აფრიკაში.

თემა 6. მსოფლიო მეურნეობის რესურსული ბაზა 197

მსოფლიო მეურნეობის ცივილიზაციური რესურსები. მსოფლიო მეურნეობის ინსტიტუციონალური რესურსები. ბუნებრივი სანედლეულო რესურსები და მათი მეგაბაზრები. კაპიტალის მსოფლიო რესურსები და მათი მეგაბაზრები. მსოფლიო მეურნეობის სასაქონლო რესურსები და სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზრები. მსოფლიო მეურნეობის ადამიანური რესურსები.

თემა 7. გლობალური პრობლემები 273

ეკონომიკური განვითარების უთანაბრობა და გლობალური პრობლემები. მსოფლიო ეკონომიკის ეკოლოგიური, დემოგრაფიული და სასურსათო პრობლემები. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი გლობალური პრობლემების გადაჭრაში.

თემა 8. ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა 336

ამერიკული ეკონომიკური მოდელის ბუნებრივი, ცივილიზაციური და ინსტიტუციური რესურსები. აშშ-ს ეკონომიკური პოლიტიკის ევოლუცია. აშშ-ს ეკო-

ნომიკის სტრუქტურა და მდგომარეობა. აშშ-ს ტრანსეროვნული პოლიტიკა. ამერიკული სახელმწიფო და ბიზნესი. ამერიკის ეკონომიკის განვითარების ტენდენციები.

თემა 9. ევროკავშირის ეკონომიკა 376

ევროკავშირი: ბუნებრივი, ცივილიზაციური და ინსტიტუციური რესურსები. ევროპული ერთობის გენეზისი. ევროკავშირის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა. ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკური მოდელების თავისებურებანი. ევროკავშირის ტრანსევროპული კაპიტალი. ევროკავშირის განვითარების ტენდენციები. ევროპის ქვეყნების თანამედროვე ეკონომიკური რეფორმები.

თემა 10. იაპონია და აზიური ვარმოების ფესი 452

იაპონიის ბუნებრივი და ცივილიზაციური რესურსები. იაპონიის ეკონომიკური მოდელის გენეზისი და სტრუქტურა. იაპონიის ეკონომიკური მოდელის თავისებურებანი. იაპონიის ტრანსეროვნული კაპიტალი. იაპონიის ეკონომიკის განვითარების პრობლემები და ტენდენციები.

თემა 11. ემიგრანტთა ქვეყნების ეკონომიკა 494

ავსტრალიის ეკონომიკა. ისრაელის ეკონომიკა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეკონომიკა.

თემა 12. ჩინეთის ეკონომიკა 504

ჩინეთის ბუნებრივი, დემოგრაფიული, ინსტიტუციური და ცივილიზაციური რესურსები. ჩინეთის ეკონომიკური რეფორმა. ჩინეთის ეკონომიკური მოდელი. ჩინეთის ეკონომიკის პერსპექტივები, ტენდენციები და პრობლემები.

თემა 13. განვითარებადი ქვეყნების განვითარება 559

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები. ინდოეთის სუბკონტინენტი. ლათინოამერიკული ქვეყნების ეკონომიკა. ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკა. აფრიკის ქვეყნების ეკონომიკა.

თემა 14. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) წევრი ქვეყნების ეკონომიკა 598

დსთ-ს ეკონომიკური განვითარების ზოგადი დახასიათება. კონცეფტუალური მიდგომები ეკონომიკის

რეფორმირების მიმართ. მსოფლიო სამეურნეო პროცესებში დსთ-ს ქვეყნების ინტეგრაციის ძირითადი მიმართულებები. საქართველო და გარე სამყარო. აზერბაიჯანი და გარე სამყარო. შუა აზია დიდი სახელმწიფოების საჯილდაო ქვა. უკრაინა – უდიდესი ქვეყანა იმპორტით ცხოვრობს.

თემა 15. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი გლობალური პრობლემების გადაჭრაში 649

საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემების სტრუქტურა. საერთაშორისო ორგანიზაციები. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) სისტემის ორგანიზაციები და საერთო კომპეტენციის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები. საერთაშორისო ორგანიზაციები მსოფლიო ვაჭრობის სისტემაში.

თემა 16. მსოფლიო „ეკონომიკური კომპარატივისტიკა" (მრავალმხრივი ნარკვევების ნაზავი. 687

აზიური ექსპანსია. ხუთი მითი ევროპის შესახებ. ჰუნები ჭიშკართან – ამერიკული იმპერიის დასასრული.

თემა 17. საქართველო და „დანარჩენი სამყარო": ექსპორტზე ორიენტაციის პრიორიტეტები 723

ქვეყნის ეკონომიკის ექსპორტზე ორიენტაციის აუცილებლობა და მისი უპირატესობები. „ვაჭრობა არ არის საბოლოო შედეგი, როგორც ასეთი, იგი გულისხმობს ზრდას და განვითარებას". ეგ-ინდექსის მიზნები და გაანგარიშების მეთოდოლოგიური პრინციპები. საქართველო და მსოფლიო ეგ-ინდექსის ობიექტიებში. საიმედო, ზუსტი და ხელმისაწვდომი: ანუ სტატისტიკა ინფორმაციულ საუკუნეში. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

დანართი №1. მსოფლიო ეკონომიკის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი 752

დანართი №2. ნობელის პრემიის ლაურეატი მეცნიერ-ეკონომისტები 786

ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები 791

თემა 1

მსოფლიო ეკონომიკის საგანი, მეთოდი და როლი

მსოფლიო ეკონომიკის საგანი და მეთოდი. მსოფლიო ეკონომიკის ადგილი და როლი ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაში

ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა მეცნიერების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ამისათვის კი, როგორც *წმინდა ილია მართალი* გვმოძღვრავს, ჭეშმარიტი მკლევარი, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა. ეს რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვის ცხოვრებას და ვერც აზრს გაუგებს[1]. ამიტომ ჩვენც უნდა ვიკითხოთ: რა დრო არის ახლა, ისტორიის რომელ პერიოდში გვიწევს ცხოვრება? როგორია მეგაეკონომიკური ორიენტაციის[2] მთავარი პრიორიტეტები, მსოფლიო ეკონომიკური აზროვნების განმსაზღვრელი ღირებულებები?

---

1 ილია ჭავჭავაძე სიტყვა-სიტყვით შემდეგს წერს: „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებული კაცებისა". ამიტომაც „ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა, ეს რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვნის, ვერც აზრს, თუნდაც მთელს ჯვაროსნობის ომებს, რომელსაც მთელმა ევროპამ კისაღამ თავი არ შეაკლა". აქვე ავტორი სამართლიანად უმატებს: „ეს ხომ ანბანია ისტორიის ფილოსოფიისა".

2 „ორიენტაცია" წარმოშობილია ფრანგული orientation-ისაგან, რომელიც, თავის მხრივ, ლათინური orics (orientis)-გან მომდინარეობს, რაც აღმოსაელეთს ნიშნავს. თანამედროვე გაგებით, ორიენტაცია არის გარემომცველ ვითარებაში გარკვევის უნარი, რაიმეში ინფორმირებულობა.

„ძველი ქრონოგრაფები (მემატიანეები) ისტორიას ყოფდნენ რამდენიმე პერიოდად — ადამიანის ასაკის შესაბამისად:

პირველი პერიოდი: ადამიდან ნოემდე — ეს არის ყრმობა კაცობრიობისა.

მეორე პერიოდი: ნოედან აბრაამამდე — ბავშვობა კაცობრიობისა.

მესამე პერიოდი: აბრაამიდან მოსემდე — სიჭაბუკე კაცობრიობისა.

მეოთხე პერიოდი: მოსედან ქრისტემდე — სივაჟკაცის ანუ მოწიფულობის ხანა კაცობრიობისა.

მეხუთე პერიოდი: ქრისტეს შობიდან მოყოლებული — სიბერე კაცობრიობის"[1].

სხვანაირი კაცობრიობის ისტორიის პერიოდიზაციაც შეიძლება:

I. პრეისტორიული ხანა, რომელიც რამდენიმე პერიოდადაა დაყოფილი. თითოეული მათგანი მრავალ მილიონ წელს ითვლის.

II. ძველი მსოფლიო — მოიცავს 10 000-წლიან ისტორიას, რომელიც მიწათმოქმედების გაჩენით იწყება და რომის იმპერიის დაცემით მთავრდება.

III. შუა საუკუნეები, რომელიც დაახლოებით [illegible]-დან 1500 წლამდე პ[illegible] მოიცავს.

IV. მსოფლიო ისტორიის უკანასკნელი 500 წელი — 1500-2000 წლები.

როგორც პოლიტოლოგები მიიჩნევენ, 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში დატრიალებულმა ტრაგედიამ მსოფლიოს აუწყა კაცობრიობის ისტორიაში ახლი, უპრეცედენტო პოსტ-

---

1 არქიმანდრიტი რაფაელი, ქრისტესშობა. იხ.: არქიმანდრიტ რაფაელის ქადაგებები, სტატიები და საუბრები. თარგმნა მაია ნიკოლაძემ. გაზ. „ჯორჯიან თაიმსი", №052 (264), 8. 01. — 15. 01, 2004, გვ. 15.

მოდერნის ეპოქის დაწყება, რაც მოითხოვს სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის საუკუნეობით არსებული ურთიერთობის ძირეულ გადასინჯვას. კაცობრიობა თვისებრივად ახალ რეალიებს უნდა შეეგუოს. დღის წესრიგში დადგა სახელმწიფოებს და ხალხებს შორის ადრე არსებული ტრადიციული დამოკიდებულებისა და ურთიერთობის ძირეული გადასინჯვის აუცილებლობა. თითქოს პარადოქსულია, მაგრამ რაც უფრო ძლიერია ეკონომიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით სახელმწიფო, მით უფრო დიდ საფრთხეს უქმნის მას საერთაშორისო ტერორიზმი, რომლის თავდასხმის ობიექტი შეიძლება გახდეს ატომური ელექტროსადგურები, ქიმიური ქარხნები, გასაიდუმლოებული ლაბორატორიები და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები.

სწორედ ამ გლობალური, საერთო საფრთხის და მსოფლიო მასშტაბის საერთაშორისო თანამშრომლობის თვალთახედვით უნდა გადაისინჯოს ყველა პრობლემა, რომელიც ხელს უშლის სახელმწიფოთა თანამშრომლობასა და ხალხების კეთილდღეობას, განვითარების სტაბილურობას. ეს მსოფლიოში შექმნილი ახალი რეალობების ერთადერთი გონივრული ალტერნატივაა. გეოპოლიტიკურ კუთხით, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა დაეფუძნება მეტოქეობას არა ერ-სახელმწიფოებს, არამედ ერიმპერიებს შორის. სწორედ ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნ[illegible]ნ, ჩვენს ცხოვრებისა, რომელსაც ზეთანამედროვე პერიოდი ეძახიან. ეს ხანა მსოფლიო ისტორია შორეულ მომავალში უფრო ზუსტად განსაზღვრავს და შეაფასებს.

როდესაც XVIII საუკუნის შემდგომ ისტორიას დამოუკიდებლად, აბსტრაქციის მეთოდის საფუძველზე მთელი წინა ისტორიისაგან გამოცალკევებულად ეხებიან, ზოგჯერ მკვლევარები მთელს XIX საუკუნეს გარკვეული გაგებით ნაციონალიზმის საუკუნეს უწოდებენ.

ამ პერიოდში ეროვნული ეკონომიები არსებობდნენ განცალკევებულად — მყარი, მასშტაბური კავშირების გარეშე.

სუსტი იყო მათი კონტაქტების საერთაშორისო ფორმა. XX საუკუნე ცნობილია როგორც ინტერნაციონალიზმის საუკუნე, ე.ი. ეს პერიოდი იყო ეროვნულ მეურნეობათა დაკავშირებისა და გაერთიანების საუკუნე, როდესაც ხდებოდა ეროვნული მეურნეობების ურთიერთდაახლოება და მათი ურთიერთზეგავლენის გაძლიერება.

XXI საუკუნეს უწოდებენ გლობალიზაციის საუკუნეს. XX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან ინტერნაციონალიზაციამ ზოგადპლანეტარული მასშტაბი შეიძინა. მთელი მსოფლიო სულ უფრო ელტვის ერთიან სტანდარტებს, პრინციპებსა და ღირებულებებს (ფასეულობებს). მსოფლიო შეუდგა ზოგადპლანეტარული ინსტიტუციონალიზაციის ფორმირების საკითხის გადაწყვეტას.

მაშასადამე, ამჟამად ჩვენ ვცხოვრობთ ზოგადპლანეტური განვითარების, ანუ გლობალიზაციის ეპოქაში და ამიტომ დიდი მნიშვნელობა შეიძინა ისეთმა ეკონომიკურმა დისციპლინებმა, როგორებიცაა: „საერთაშორისო ეკონომიკა“, „საერთაშორისო ბიზნესი“, „საერთაშორისო ვაჭრობა“, „მსოფლიო ეკონომიკა“ და სხვ.

ვინაიდან ჩვენი განსჯის საგანია მსოფლიო ეკონომიკა, ისმება კითხვა: რა ადგილი უკავია მას ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაში?

როგორც ეკონომიკური თეორიიდან ვიცით, ეკონომიკური პროცესების მრავალგზის შემოწმებულ და დადასტურებულ განზოგადებებს ეკონომიკური კანონები ეწოდება (საზღვარგარეთ მათ უწოდებენ ეკონომიკის პრინციპებს). ეკონომიკური მეცნიერებანი სწორედ ამ ეკონომიკურ კანონებს შეისწავლიან სხვადასხვა სამეურნეო დონეზე. ისინი თავიანთი კვლევის (ანალიზის) მიხედვით შეიძლება დაიყოს:

*I. მიკროეკონომიკა — ანალიზის საფუძვლად აღებულია უმცირესი სამეურნეო ერთეული, ცალკეული ფირმა, გაერთიანება.

II. მეზოეკონომიკა — სწავლობს ეროვნული ეკონომიკის ან ეროვნული მეურნეობის დარგების, განსაზღვრული ქვესისტემების (აგროსამრეწველო კომპლექსი, რეგიონული ეკონომიკა...) კანონებსა და ქცევას.

III. მაკროეკონომიკა — სწავლობს ქვეყნის ეკონომიკას მთლიანად. მაკროეკონომიკური ობიექტებია: საზოგადოების შემოსავალი და სიმდიდრე, ეკონომიკური ზრდის ტემპები და ფაქტორები. მაკროანალიზი იმისთვისაა გამიზნული, რომ გადაწყვიტოს შემდეგი სახალხომეურნეობრივი პრობლემები: ბრძოლა ინფლაციასთან, უმუშევრობასთან, საქმიანი აქტიურობის სტიმულირება და სხვ.

IV. მეგაეკონომიკა — შეისწავლის მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის კანონებსა და ქცევას.

V. ჰიპერეკონომიკა — რომელსაც უახლეს ეკონომიკურ თეორიასაც უწოდებენ, შეისწავლის ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების კონცეფციებს ეკონომიკაში (სინერგეტიკული ეკონომიკა, ფიზიკური ეკონომიკა...).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ცხადია, თუ რა ადგილი უჭირავს მსოფლიო ეკონომიკას ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაში. იგი განეკუთვნება მეგაეკონომიკურ დისციპლინათა სფეროს და შეისწავლის მთლიანობაში აღებულ მსოფლიო ეკონომიკის კანონებს. მეგაეკონომიკურ დისციპლინებს მიეკუთვნება აგრეთვე „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ (სეუ), „საერთაშორისო ბიზნესი“, „საერთაშორისო ვაჭრობა“....

ზოგჯერ ცდილობენ, რომ ერთმანეთისაგან განასხვავონ ტერმინები: „საერთაშორისო ეკონომიკა“, „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“, „მსოფლიო ეკონომიკა“, „მსოფლიო მეურნეობა“ ავტორთა ერთი ნაწილის აზრით კი, პირველი ორი და მეორე ორიც, ერთმანეთის სინონიმებია, რაც უფრო მისაღებად უნდა მივიჩნიოთ.

მსოფლიო ეკონომიკას და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს, როგორც მეცნიერებებს, შესწავლის ობი-

ექტი აქვთ ერთი — მსოფლიო ეკონომიკა, ანუ მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობანი.[1] მათ შორის არის განსხვავებანი, რაც გამომდინარეობს, პირველ რიგში, საერთო ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში ეროვნული გამოცალკევებული სუბიექტების (სახელმწიფოს, ერების) შენარჩუნებით და ეკონომიკურ ურთიერთობათა არსებითი განსხვავებით, ერთი მხრივ, ქვეყნებს შორის და, მეორე მხრივ, ეროვნულ მეურნეობათა შიგნით. „მსოფლიო ეკონომიკას“ ზოგჯერ ასეთი კონტექსტითაც მოიხსენიებენ: „საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკა“, „მსოფლიო ეკონომიკა: შესავალი სეუ-ში“, „მსოფლიო ეკონომიკა: საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკა“

ალბათ მართებული არ იქნებოდა, თუ გავავლებდით გამყოფ ხაზებს ისეთ დამოუკიდებელ სასწავლო დისციპლინებს შორის, როგორებიცაა „სეუ“ და „მსოფლიო ეკონომიკა“, რომ არ აღვნიშნოთ რა მჭიდრო ურთიერთკავშირია მათ შორის. მაგალითად, მსოფლიო სამეურნეო კავშირურთიერთობას სრულფასოვნად ვერ გავაანალიზებთ, თუ არ გავითვალისწინეთ რა გავლენას ახდენს იგი ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაზე, ისევე როგორც შეუძლებელია უგულებელვყოთ ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ზემოქმედება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

---

1 მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებს პროფ. რ. ხასბულატოვი შემდეგნაირად ახასიათებს: „მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობები ისეთი ურთიერთობებია, რომლებიც ახასიათებენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ურთიერთმოქმედების მჭიდრო კავშირს, წესსა და ხასიათს ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში, საგაჭრო, საფინანსო, საწარმოო-ტექნიკური, კოოპერაციული კავშირებისა და ურთიერთკავშირის გადახლართვას“. (იხ.: Хасбулатов Р.И., Мировая экономика: в 2-х т. / т. I., М.: ЗАО "Издательство "Экономика", 2001, с. 35.) ამ განმარტებაში სიტყვა „გადახლართვის“ იგივეობრივად ანუ სინონიმად შეიძლება ვიხმაროთ სიტყვა „გადაჭდობა“. მათში იგულისხმება მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის მჭიდროდ ერთმანეთზე გადახვევა, ერთმანეთში შერევა, ურთიერთშესრდა.

მსოფლიო ეკონომიკას შეიძლება მიეცეს როგორც ფართო, ისე ვიწრო განსაზღვრება. *ფართო განსაზღვრებით, მსოფლიო ეკონომიკა არის მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკების ერთობლიობა. ვიწრო განსაზღვრებით, მსოფლიო ეკონომიკა ეროვნულ ეკონომიკათა მხოლოდ იმ ნაწილების ერთობლიობაა, რომლებიც გარე სამყაროსთან ურთიერთმოქმედებენ.*

მსოფლიო ეკონომიკის საგნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მისაღები განმარტება შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: *მსოფლიო ეკონომიკა არის ეროვნულ მეურნეობათა ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემით, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობებით (ალექსანდრე პოგორლეცკი).*

ეროვნულ მეურნეობებს შორის უნივერსალურ კავშირს განაპირობებენ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებსაც მიეკუთვნება საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა, კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა, შრომითი რესურსების მიგრაცია, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები და ზოგიერთი სხვა ფორმა. მსოფლიო მეურნეობას განსაზღვრავს გლობალური მასშტაბით წარმოებული პროდუქტის რეგულარული ცირკულაცია.

მსოფლიო ეკონომიკის საფუძველია წარმოებითი, ანუ საკუთრებითი, ანუ ეკონომიკური ურთიერთობანი, მატერიალური და არამატერიალური დოვლათის წარმოება (ეროვნული მასშტაბით და გლობალური მასშტაბით) და მათი განაწილება, გაცვლა და მოხმარება.

მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სრული განმარტება მოგვცა ფრანგმა ეკონომისტმა *მიშელ ბომ*, რომელმაც მსოფლიო ეკონომიკის ცნებაში შეიტანა შემდეგი შემადგენლები:

1. ადამიანის საწარმოო საქმიანობის ერთობლიობა, რომელიც შეიძლება გამოიხატოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით ნატურალური და ღირებულებითი ფორმით დროის გარკვეულ პერიოდში (ჩვეულებრივ, წლის მან-

ძილზე). მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტის ერთობლივი მსოფლიო მოცულობა (აშშ დოლარებში) წელიწადში ავტომობილების წარმოების ერთობლივი მსოფლიო მოცულობა (მილიონი ცალი);

2. მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკათა ერთობლიობა, რომელთაგან თითოეულს თავისი გარკვეული ადგილი უკავია მსოფლიო სისტემაში;
3. ეროვნულ მეურნეობებს შორის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, ეკონომიკური კავშირების ერთობლიობა;
4. ტრანსეროვნული კომპანიების და ტრანსეროვნული ბანკების გლობალური საქმიანობა;
5. ქვეყნების ინტეგრაციული დაჯგუფებები, ქვეყნების გაერთიანებანი და საერთაშორისო ორგანიზაციები;
6. მსოფლიო სისტემა, რომელიც შეიქმნა და ჩამოყალიბდა წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარების შედეგად;
7 მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა, რომელიც ყველაფერს განსაზღვრავს, ქმნის და სტრუქტურულად წარმართავს;
8. მთელი კაცობრიობის ეკონომიკური საქმიანობის შედეგი, რომელიც უნდა განვიხილოთ გარემოს მდგომარეობისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით.

მთავარი წარმოდგენა მსოფლიო ეკონომიკის შესახებ, რომელიც შეიძლება მივიღოთ ამ ყოვლისმომცველი განსაზღვრებიდან, არის მისი, როგორც ეკონომიკური სისტემის წარმოდგენა, რომელიც XIX საუკუნის დამლევისათვის შეიქმნა და დღემდე განაგრძობს სრულყოფას.

რაც შეეხება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს, მათ შეისწავლის მეცნიერება, რომელსაც საერთაშორისო ეკონომიკის თეორია ეწოდება. ცნობილი ამერიკელი მეცნიერის დომინიკ სალვატორეს განმარტებით, „საერთაშორისო ეკონომიკის თეორია შეისწავლის ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას. იგი ანალიზს უკე-

თებს საქონლის, მომსახურებისა და გადასახდელების ნაკადებს, მოცემულ ქვეყანასა და დანარჩენ სამყაროს შორის; აგრეთვე იმ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ამ ნაკადების რეგულირებისათვის და მის ზემოქმედებას ქვეყნის კეთილდღეობაზე. ეს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ქვეყნებს შორის იმყოფება პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და სამხედრო ურთიერთობების ზეგავლენის ქვეშ და, თავის მხრივ, ზემოქმედებს მათზე"

„მსოფლიო ეკონომიკის" და „სეუ"-ს მეცნიერებათა საერთო და განმასხვავებელი ნიშნების შესახებ უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნას, შევეხებით (ჩამოვთვლით) ამ მეცნიერებების შესასწავლ საკითხთა წრეებს.

მაგალითად, მსოფლიო ეკონომიკის, როგორც მეცნიერების შესწავლის სფეროს სანიმუშო თემატიკას განეკუთვნება: *მსოფლიო მეურნეობის სტრუქტურა, კანონზომიერებანი, ტენდენციები და პრობლემები. შრომის საერთაშორისო დანაწილება. მსოფლიო ეკონომიკის გლობალური პრობლემები. მსოფლიო ეკონომიკის რესურსები: მსოფლიო მეურნეობის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი; მსოფლიო მეურნეობის ადამიანური რესურსები; მსოფლიო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა. ქვეყნები და რეგიონები მსოფლიო ეკონომიკაში: აშშ-ის ეკონომიკა; ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკა; იაპონიის ეკონომიკა; ჩინეთის ეკონომიკა; ახალი ინდუსტრიული ქვყნების ეკონომიკა; განვითარებადი ქვეყნები მსოფლიო ეკონომიკაში; საერთაშორისო კორპორაციები მსოფლიო ეკონომიკაში; საქართველო მსოფლიო ეკონომიკაში.*

მსგავსად, „სეუ"-ს შესწავლის სფეროს განეკუთვნება *მსოფლიო მეურნეობა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი; მსოფლიო ბაზარი; მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურა, ფასწარმოქმნა საერთაშორისო ვაჭრობაში; საერთაშორისო ვაჭრობა და საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა საგარეო-სავაჭრო კონტრაქტები; საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი რეგულირება; მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა; კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა; უცხოური*

ინვესტიციები საქართველოში და მათი რეგულირება; სამუშაო ძალის საერთაშორისო ბაზარი; საერთაშორისო სავალუტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობანი.

ვერ ვიტყვით, რომ ამ ჩამონათვალს „მსოფლიო ეკონომიკისა“ და „სეუ“-ს მეცნიერებათა შესასწავლი სფეროების მსგავსება-გამიჯვნის თაობაზე ყოველმხრივ სრულყოფილი ხასიათი ჰქონდეს, მაგრამ ამის შესახებ ისინი საკმაოდ მიახლოებულ წარმოდგენას მაინც იძლევიან.

საკითხს „მსოფლიო ეკონომიკის“ საგნისა და სხვა მომიჯნავე დისციპლინების შესახებ საინტერესოდ იხილავს მსოფლიო დონის ცნობილი პროფესორი რუსლან ხასბულატოვი, რუსულ ენაზე 2001 წელს დასტამბულ „მსოფლიო ეკონომიკის“ დიდებული ორტომეულის პირველ ტომში. ავტორის აზრით, მსოფლიო ეკონომიკა ეროვნულ ეკონომიკათა სისტემების ერთობლიობაა, რომლებიც ქმნიან ერთიან, დინამიურ, მთლიან სისტემას; მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილები (ქვესისტემები) რთულ და წინააღმდეგობრივ კავშირებში იმყოფებიან ერთმანეთს შორის და მთლიანად სისტემასთან, მაგრამ ყველა ისინი ურთიერთქმედებენ და გაერთიანებულნი არიან წარმოების ფაქტორთა საერთაშორისო მოძრაობით. მსოფლიო ეკონომიკის კურსის საგანი აღნიშნული ცნებით განისაზღვრება და მოიცავს კავშირებისა და ურთიერთკავშირების კომპლექსს, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ეკონომიკას; მეურნე სუბიექტების ურთიერთმოქმედების კანონზომიერებებს საერთაშორისო გაცვლის პროცესში (სახელმწიფოების, ტეკ-ების და ა. შ.); საქონელზე, მომსახურებაზე, სამუშაო ძალასა და კაპიტალზე (ე. ი. წარმოების ფაქტორებზე) მოთხოვნისა და მიწოდების ფორმირების თავისებურებებს მსოფლიო ბაზარზე; ბაზრის სუბიექტთა ქმედებებს.

შემდეგ პროფესორი რუსლან ხასბულატოვი კვლავ უბრუნდება მსოფლიო ეკონომიკის საგნის განსაზღვრებას. მისი აზრით, აღნიშნული დისციპლინის შესწავლის საგანი შეიძლება განისაზღვროს ასე: *მსოფლიო ეკონომიკის შესწავ-*

ლის საგანია მსოფლიომეურნეობრივი პროცესების ასახვა, მათი კავშირებისა და ურთიერთკავშირების შესწავლა, რომლებიც განაპირობებენ ამა თუ იმ ეკონომიკურ (და სხვა სახის) მოვლენებს, ტენდენციებს, კანონზომიერებებს და თვით ამ პროცესების დინამიკას. ავტორის აზრით, რა თქმა უნდა, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ საგნები: „მსოფლიო ეკონომიკა", „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები", „საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკა", „საერთაშორისო ეკონომიკა", „საგარეო-ეკონომიკური კავშირები"

„საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების" (სეუ) საგანი ახლოსაა „მსოფლიო ეკონომიკის" საგანთან, რამდენადაც ბაზირებულია ურთიერთობებზე, კავშირებსა და ურთიერთკავშირებზე, რომლებიც წარმოიშობიან მსოფლიო ეკონომიკის, მისი ფუნქციონირების სისტემაში. მაგრამ, თუ აღნიშნული ავტორი მსოფლიო ეკონომიკას განიხილავს ეროვნული ეკონომიკური სისტემების რთულ ერთობლიობად, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ცნებას იგი სხვანაირად უდგება. სეუ შეისწავლის ფორმებს, კავშირებსა და ურთიერთკავშირებს, რომლებიც წარმოიშობიან მსოფლიო ეკონომიკის, როგორც მთლიანად მისი, ასევე მისი ცალკეული რგოლების ფუნქციონირების გამო. ეს კავშირები და ურთიერთკავშირები, ისევე როგორც მათი გამოვლენის ცალკეული ფორმები, შრომის საერთაშორისო დანაწილების დაჩქარების პროცესში (რაც განსაკუთრებულ დინამიზმს ანიჭებს ინტენსიფიკაციას და ინტერნაციონალიზაციას) განაპირობებენ მსოფლიო ეკონომიკის, როგორც ერთიანი გლობალური სისტემის მოძრაობის დაჩქარებას.

პირობითად (რა თქმა უნდა, არცთუ მთლიანად სრულყოფილად) შეიძლება გამოვყოთ საკითხთა (პრობლემების) შემდეგი საკვანძო მიმართულებები, რომლებიც სეუ-ს საგნის ფარგლებში უნდა შეისწავლებოდეს:

- საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ნაკადები და მათი რეგულირება, მათ შორის იმ სფეროს მეშვეობით, რომელიც ეკონომიკურ დიპლომატიად იწოდება;

- მსოფლიოს სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციების საგარეო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო საქმიანობა;
- საბაჟო წესების, როგორც მსოფლიოს ქვეყნების მთელი საგარეო-ეკონომიკური კომპლექსის მნიშვნელოვანი შემადგენლის დამუშავება, გამოყენება და რეგულირება;
- კავშირები და ურთიერთკავშირები, აგრეთვე ახალი საერთაშორისო ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობიან მსოფლიო ეკონომიკაში (ეროვნულ ეკონომიკებში) ტექების საქმიანობის უწყვეტი გაფართოების პროცესში;
- წამყვანი საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო, სავაჭრო, სხვა მარეგულირებელი ზეეროვნული დაწესებულებების და ორგანიზაციების საქმიანობა, მათი საქმიანობის „ტექნოლოგია“ და მექანიზმები, ის კონკრეტული ზეგავლენა, რომელსაც თავიანთი საქმიანობის შედეგად ახდენენ მსოფლიო ეკონომიკასა და ქვეყნებზე.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ განსაზღვრება: საგანი *„საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ არის სხვადასხვა ქვეყნების სამეურნეო, სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო-მმართველობითი, კომერციული, სავალუტო-საფინანსო და საკრედიტო-ფულადი კავშირებისა და ურთიერთობების სისტემა, რომელიც დაფუძნებულია შრომის საერთაშორისო დანაწილებაზე, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა საერთაშორისო ვაჭრობის, საქმიანი მომსახურების, სამუშაო ძალის, ფინანსური კაპიტალის და ა.შ. სფეროში (პროფ. რ. ხასბულატოვი).*

გავაგრძელოთ ამ ცნობილი მეცნიერის მოსაზრებათა გაცნობა. მისი აზრით, *საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკის საგანი* შეისწავლის ცალკეულ სახელმწიფოთა ეროვნულ ეკონომიკებს, როგორც მთლიან ეკონომიკურ სისტემებს. ეს არის ყველაზე არსებითი ნიშანი, რომელიც ამ საგანს მსოფლიო ეკონომიკის საგნისაგან განასხვავებს და ქვეყნებს შეისწავლის *ერთიანობასა და ერთობლიობაში, როგორც მსოფ-*

ლიო ეკონომიკურ სისტემას. თუ საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკის საგნის ლოგიკას მკაცრად და თანმიმდევრობით მივყვებით, მაშინ მისგან გამოირიცხება გლობალური პრობლემების, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების, საერთაშორისო ინტეგრაციული, ტრანსნაციონალიზაციის პროცესების და ა.შ. შესწავლა.

საერთაშორისო ეკონომიკის საბანი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო წარმოების შესწავლას, რომელიც თანამედროვე ტეკ-ების მიერ ყალიბდება და რომელსაც ეროვნული ეკონომიკის სფეროდან „გამოცალკევებისვის" ტენდენცია ახასიათებს. ეს ცოდნის ის სფეროა, რომელიც ახლა განიხილება როგორც „საერთაშორისო ეკონომიკა", თუმცა ამ ცნებას არსებული განმარტებით გაუმართლებლად ფართო აზრი ენიჭება (ე.ი. საერთაშორისო „ეკონომიკა"). საერთაშორისო ეკონომიკა, როგორც ცნება და არსი, ასახავს ტრანსეროვნული მეურნე აგენტების ეკონომიკათა გაერთიანებულ ერთობლიობას და, შესაბამისად, წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის მხოლოდ ნაწილს, თუმცა მნიშვნელოვანს, ყველაზე უფრო დინამიურად მზარდს. საერთაშორისო ეკონომიკის, მსოფლიო ეკონომიკის სწორედ ამ ნაწილის დინამიზმი (და მსოფლიო ფინანსები) ანიჭებს გლობალურ ნიშნებს (და თვისებებს) მთელს თანამედროვე მსოფლიო მეურნეობას (ანუ მსოფლიო ეკონომიკას).

საბარეო-ეკონომიკური კავშირები, როგორც შესწავლის საბანი. ამ ცნებას სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გაუმართლებლად ფართოდ იყენებენ, როგორც ტერმინ „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების" სინონიმს, რაც არასწორად მიგვაჩნია და რაც შემდგომ მეთოდოლოგიურ გაუგებრობას იწვევს. თვით ცნებას „საგარეო-ეკონომიკური კავშირები" (ან „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა") ამ კავშირების სუბიექტიდან (სახელმწიფო, მისი ოფიციალური ორგანოები, მაგალითად, სამინისტროები ან უწყებები), ფირმიდან (ბანკიდან), კერძო პირიდან წარმოებულის

ხასიათი აქვს. ასეთ განსაზღვრულობას შეესაბამება მეორე განსაზღვრულობაც, სახელდობრ, ცნებები — „სახელმწიფოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა“, „საწარმოს (ფირმის, ორგანიზაციის) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა“.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი განსაზღვრება: *„სახელმწიფოს საგარეო-ეკონომიკური კავშირები — ეს არის ამ სახელმწიფოს და მისი სამეურნეო ორგანიზაციების (და კერძო პირების) საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმებისა და სახეების სისტემა მის საზღვრებს გარეთ“.* ამგვარად, ეს არის მოცემული სახელმწიფოს კავშირების და ურთიერთობების კომპლექსი ყველა სხვა სახელმწიფოსთან და საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებთან. შესაბამისად, საუბარი ეხება, სახელდობრ, მოცემული სახელმწიფოს (ფირმის) განსაზღვრული კავშირებისა და ურთიერთობების შესწავლას და არა საერთოდ საგარეო კავშირების, რაზედაც ხშირად პრეტენზიას აცხადებენ მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორები. მათ ავიწყდებათ თავიანთი საგნის წინასწარგანსაზღვრულობა და, ნებით თუ უნებლიედ, ცდილობენ შეცვალონ ის „მსოფლიო ეკონომიკისა“ და „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების“ საგნებით.

ამგვარად, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა, როგორც შესწავლის საგანი, *ჯერ ერთი,* კონკრეტული ოპერაციების, *მეორე,* სამეურნეო ორგანიზაციების (ფირმების, სხვა ორგანიზაციების), *მესამე,* კერძო პირთა საქმიანობის სფეროა. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესში რეალიზდება საგარეო-ეკონომიკური კავშირები, ისინი ივსება კონკრეტული შინაარსით, ვითარდებიან ან, პირიქით, კვდებიან. შესაბამისად, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა ჩამორჩება ეკონომიკის განვითარების დონეს, არ ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკური პოტენციალის რეალიზებას, ვერ იყენებს მთლიანად შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობებს და მსოფლიო ბაზრის შესაძლებლობებს.

ასეთია ამ სასწავლო დისციპლინის არსებითი განსხვავება „მსოფლიო ეკონომიკის“ და „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების“ საგნებისაგან, რამდენადაც ის, *ჯერ ერთი,*

შეისწავლის კონკრეტული ქვეყნის ან კონკრეტული ფირმის (ორგანიზაციის) საგარეო-ეკონომიკურ კავშირებს, *მეორეც*, ეს კავშირები შეისწავლება მოცემული სტრუქტურების (კონკრეტული სახელმწიფოს, კონკრეტული ფირმის ან სხვა ორგანიზაციის) მთელს არსებულ იერარქიულ დონეზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც პროფესორი ალექსანდრე მოვსესიანი და პროფესორი სერგეი ოგნივცევი მიიჩნევენ[1], უმრავლეს შემთხვევაში მკვლევართა მიერ მსოფლიო ეკონომიკა არ განიხილება როგორც ახალი, რთული სისტემა, რომლის თვისებები და კანონზომიერებანი არ შეიძლება განვაცალკევოთ მისი შემადგენელი ნაწილების თვისებებისა და კანონზომიერებებისაგან. სხვათა შორის, სწორედ სისტემის შეუთავსებლობა ყველაზე უბრალო ერთობლიობასთან შეადგენს რთული სისტემების თეორიის ძირითად პოსტულატს. რთული სისტემების ტიპურ მაგალითებს წარმოადგენს: ადამიანის ორგანიზმი, რომლის ფუნქციონირების გაგება შეუძლებელია მისი შემადგენელი უჯრედების კანონზომიერებათა შესწავლის შემდეგაც; პოპულაცია, რომლის ქცევა განსხვავდება მასში შემავალი ინდივიდების ქცევისაგან, და ბოლოს, ადამიანური საზოგადოება, რომელსაც განვითარების თავისი კანონზომიერებები გააჩნია და რომელთა დაყვანა შეუძლებელია იმ კანონებამდე, რომლებიც მართავენ თითოეული პიროვნების ქცევას.

გავაგრძელოთ აღნიშნული ავტორების აზრის გადმოცემა უფრო ვრცლად. მათი აზრით: შემოგვჭონდა რა შედარებით ახალი ტერმინი „მეგაეკონომიკა“, გვსურდა ხაზი გაგვესვა მსოფლიო ეკონომიკის შესწავლისას შემოთავაზებული მიდგომის სპეციფიკურობისთვის, როგორც ახლისათვის, სავსებით თავისებურისათვის, მთლიანი რთული სისტემისათვის, რომელიც არ შეიძლება პრინციპულად განვიხილოთ მხოლოდ როგორც ურთიერთმოქმედ ეროვნულ ეკონომიკა-

---

1 იხ. მათი წიგნი: მსოფლიო ეკონომიკა. ტ. I. რუსულიდან თარგმნა შ. ეშაპიძემ. თბ., 2003.

თა ერთობლიობა. აქ ერთგვარად თავდება ურთიერთდაკავშირებულ ეკონომიკურ მეცნიერებათა ცნებების რიგი: მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, მეგაეკონომიკა. პრეფიქსი „მეგა“ ბერძნულად ნიშნავს დიდს, უზარმაზარს და, ჩვენი აზრით, ცუდად არ აღნიშნავს ეკონომიკის დონის ცნებას, „მაკროს“ რომ მოსდევს. ამავდროულად „მეგაეკონომიკის“ სტილისტური გაგება ახალი რანგის ერთიანობას და დაუნაწევრებლობას კარგად უსვამს ხაზს, განსხვავებით აზრობრივად ბევრად მსგავსი კატეგორიისგან „გლობალური ეკონომიკისგან“

მეგაეკონომიკა გამოცალკევდა (ან უკეთესია ვთქვათ, იწყებს გამოცალკევებას), როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, სავსებით ახალი ეკონომიკური მოვლენების წარმოშობასთან ერთად, რომელიც დამოუკიდებელია და არ არი დამოკიდებული ეროვნულ სახელმწიფოებზე, რომლებიც გამოვიდნენ ტრანსეროვნული კაპიტალის იურისდიქციიდან და ერთიანი მსოფლიო ფინანსური ბაზრიდან; დაფუძნებულნი არიან პრინციპულად ახალ ქსელურ კომპიუტერულ ტექნილოგიებზე, რომელიც არა მარტო უზრუნველყოფს ეკონომიკურ ურთიერთკავშირთა ხარისხობრივად სხვა დონეს, არამედ განაპირობებს კიდეც წარმოების და თავად საზოგადოების ახალი ინფორმაციული საშუალების გამოვლენას.

ეს ახალი ობიექტები და პროცესები მოითხოვენ შესწავლას და შემდგომი რეგულირებას მთელი მსოფლიო თანამეგობრობის ინტერესებიდან გამომდინარე. მეგაეკონომიკა მოწოდებულია პერსპექტივაში შეიმუშაოს ეკონომიკის რეგულირების მეთოდები და ინსტიტუტები ზეეროვნულ მეგადონეზე, იმის მსგავსად, როგორც კეინსისა და რუზველტის ახალი კურსის დროს მაკროეკონომიკამ შეიმუშავა ეროვნულ ეკონომიკათა რეგულირების ახალი მექანიზმი.

ვფიქრობთ, რომ მსოფლიო ეკონომიკის განვითარების გაგება, რომელიც თანდათანობით გადაიზრდება მეგაეკონომიკაში), შესაძლებელია ეკონომიკური ევოლუციის ფორმალური (ნორმატიულ-საკანონმდებლო) და არაფორმალური (ჩვე-

ვები, ტრადიციები) ინსტიტუტების შესწავლის საფუძველზე, ე.ი. ეკონომიკური საქმიანობის და ბაზრის სუბიექტთა ქცევის წესებით. ევოლუციურ პროცესში ცენტრალური როლი მიეკუთვნება სწრაფვას ხელისუფლებისკენ, ანუ ყოველი ადამიანისათვის დამახასიათებელ სურვილს, რომ გააფართოოს თავის გავლენა გარემომცველ სამყაროზე, ამ სიტყვის ყველაზე მრავალფეროვანი გაგებით. რადგან ხელისუფლებისაკენ სწრაფვის ნება-სურვილი ტრადიციულად განეკუთვნება ირაციონალურ გაგებას, ამიტომ ჩვენს მიდგომასაც ევოლუციისადმი ირაციონალურ-ევოლუციურს ვუწოდებთ. ამგვარად, მისი ირაციონალურობა მდგომარეობს სწორედ ხელისუფლებისკენ ლტოლვის, როგორც ეკონომიკურ ევოლუციაში ძირითადი მამოძრავებელის როლის ნების წამოწევაში და ამით, თქვენ წარმოიდგინეთ, თავდება იგი. როგორც წერს ცნობილი, დაუმსახურებლად გაკიცხული სხვათა ცოდვებისათვის, ფრიდრიხ ნიცშე: „ყველგან, სადაც იბრძვიან, იბრძვიან ძალაუფლებისათვის“. სწორედ ბრძოლა ეკონომიკური ძალაუფლებისათვის, ბაზრებისათვის, გავლენისათვის, განსაზღვრავს ეკონომიკური ბრძოლის საერთო სურათს, რომელიც განაპირობებს ეკონომიკურ ევოლუციას.

ცნობილი მეცნიერის, სტანისლავსკის ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, ზეამოცანაა, — აღნიშნავენ პროფ. ა. მოვსესიანი და პროფ. ს. ოგნივცევი, — ვასწავლოთ მკითხველს ეფექტიანად გამოიყენოს ევოლუციურ-ინსტიტუციონალური ინსტიტუტები მსოფლიო მასშტაბის სრული ეკონომიკური მოვლენების შემდგომი დამოუკიდებელი ანალიზისათვის. ამჟამად ეს ამოცანა იძენს სავსებით პრაქტიკულ და, ასე ვთქვათ, სასიცოცხლოდ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არა მარტო ბიზნესმენებისათვის, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო გარიგებებს, არამედ ყველასთვის, ვინც კი ოდნავ მაინც ჩაუფიქრდება საკუთარ კეთილდღეობას.

განსხვავებულია პ. დიქენის მიერ მსოფლიო ეკონომიკის საკითხთა კვლევის შემოთავაზებული ლოგიკური სქემა, რომელიც მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებს განიხილავს წიგნში „გლობალური ცვლილებები”.

პ. დიქენის წიგნი „გლობალური ცვლილებები" ოთხი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში ასახულია წარმოების, ვაჭრობის და ინვესტიციების გლობალურ რუკაზე მომხდარი ცვლილებები. მონაცემების უმეტესი ნაწილი მოპოვებული და დამუშავებულია ეროვნული მასშტაბის დონეზე, რომ არ შემცირდეს სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური ინსტიტუტის მნიშვნელობა. ფაქტია, რომ ეკონომიკურ აქტივობას ძირითადად ადგილი აქვს ლოკალური მასშტაბით. თუმცა სხვა მასშტაბების არსებობა, სადაც ეკონომიკური საქმიანობა მიმდინარეობს, არ ნიშნავს, რომ ისინი არ არსებობენ. ისინი არამარტო არსებობენ, არამედ ანალიზის უფრო მნიშვნელოვან მასშტაბს მოითხოვენ.

მეორე ნაწილი წიგნის ამოსავალი რგოლია. მასში ტრანსფორმაციის პროცესებია განხილული. ანალიზი აგებულია სამ ელემენტზე — სახელმწიფოს, ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და ტექნოლოგიებზე. სახელმწიფო წარმოდგენილია როგორც საერთაშორისო ეკონომიკის „ტრადიციული" მოთამაშე. ახსნილია ტნკ-ს როგორც ურთიერთკავშირების ქსელის თავისებურებები, ასევე, ტნკ-ს და სახელმწიფოს ურთიერთობის ბუნება და დინამიკა.

მესამე ნაწილში დეტალურად გამოკვლეულია გლობალიზაციის პროცესის მიმდინარეობა და შედეგები სპეციალურ სექტორებში: დაწყებული წარმოების ინტერნაციონალიზაციის ფორმიდან, დამთავრებული — წარმოების გლობალური სისტემით და სპეციფიკური გავლენით, რომელსაც გლობალური ცვლილებების შედეგად აქვს ადგილი ამა თუ იმ სექტორზე სხვა სექტორის მხრიდან. აქვე მოცემულია ე.წ. „ქეისები" საფეიქრო და ტანსაცმლის, ავტომობილების, ელექტროსაქონლის და მომსახურების სექტორებზე. გლობალური ცვლილებები აღნიშნულ სექტორებში უფრო თვალსაჩინოა და ხორციელდება (ადგილი აქვს) როგორც ძველ, ასევე ახალ ინდუსტრიულ ერ-სახელმწიფოებში.

მეოთხე ნაწილი გლობალური ცვლილებებიდან გამომდინარე ძლიერი მხარეების და საფრთხეების ანალიზს ეთმობა, რომლების წინაშეც ეროვნული, რეგიონული და ლოკალური

ეკონომიკები დგანან, წარმოდგენილია გლობალური ცვლილებების შედეგად ეკონომიკურ საქმიანობაში არსებული პრობლემები, რომელთა პრიორიტეტიც ინდუსტრიული, ახალი ინდუსტრიული და ნაკლებად ინდუსტრიული ქვეყნებისთვის განსხვავებულია. წიგნში წინა პლანზე გამოტანილია დასაქმების საკითხი, კითხვა — „სად ვიმუშაოთ?", რომელიც ყველაზე ხშირად დაისმის. აქვე წარმოდგენილია გლობალური ეკონომიკის მართვის ძირითადი მიმართულებები.

ასე რომ, მეგაეკონომიკის შესწავლა საჭიროა არა მხოლოდ იმიტომ, რომ მივიღოთ პრესტიჟული დიპლომი, არამედ იმისათვის, რათა პრაქტიკულად წარმატებას მივაღწიოთ ცხოვრებაში.

მსოფლიო ეკონომიკის მეთოდი: დიალექტიკა, რომორც საყოველთაო მეცნიერება განვითარების შესახებ. მსოფლიო ეკონომიკის ურთულეს საკითხებში გარკვევისათვის საჭიროა ვიცოდეთ განვითარების ზოგადი თეორიის საფუძვლები, რომელსაც მისმა შემქმნელმა. XIX საუკუნის უდიდესმა მეცნიერმა და ფილოსოფოსმა ჰეგელმა უწოდა დიალექტიკა. ამ მეცნიერებამ ყველა რთული სისტემის განვითარების შესახებ ბევრად გაუსწრო სხვა საერთო კვლევებს. ჰეგელმა გამოყო დიალექტიკის სამი მთავარი კანონი.

დიალექტიკის ფამყვანი კანონი — „დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი" — განვითარებას ხსნის ორი საპირისპირო, მაგრამ ურთიერთშემავსებელი ძალის ბრძოლის არსებობით: სითბო და სიცივე, სიბნელე და სინათლე, სიკეთე და ბოროტება, პროლეტარი და კაპიტალისტი — ყოველი ბუნებრივი და ისტორიული პროცესისათვის შეიძლება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისის პოვნა, რომელთა ბრძოლით აიხსნება მისი განვითარება. ამაშია დიალექტური მიდგომის არსი. დაპირისპირებულობანი იმავდროულად ერთიანია ამ პროცესში, ე. ი. ერთის მოწყვეტა მეორისაგან შეუძლებელია. დიალექტიკა აღწერს არა იმდენად რეალურად მიმდინარე პროცესებს, რამდენადაც კაცობრიობის ცხოვრების კანონზომიერებებს და ამ პროცესების შემეცნების შესაძლებლობებს.

გამარტივებულად თუ ვიტყვით, აღნიშნული კანონი შემდეგ თანმიმდევრულ აზროვნებას მოითხოვს. ჯერ განსახილველ პროცესში უნდა გამოვყოთ ორი ურთიერთდაპირისპირებულობა, უკიდურესობა და აღვწეროთ პროცესი, როგორც თანდათანობითი სიჭარბე, დომინირება ხან ერთი უკიდურესობის, ხან მეორესი.

ადამიანისათვის დამახასიათებელია ნებისმიერი დინამიკური პროცესის განლაგება უკიდურეს, ურთიერთსაწინააღმდეგო შემადგენლებად. თითოეული მათგანის გამოკვლევა, ხოლო შემდეგ პროცესის ნებისმიერი მსვლელობის წარმოდგენა, როგორც შეთავსება, ანუ ჰეგელის მიხედვით, ბრძოლა.

დიალექტიკის მეორე კანონი — „რაოდენობრიობის გადასვლა თვისებრიობაში“ — ბევრად მარტივია გასაგებად საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროებში. უფრო რთულია მათში გარკვევა საზოგადოებათმცოდნეობაში. ეს კანონი უბრალოდ გვეუბნება, რომ ყოველი თვისებრიობა, დაფიქსირებული ჩვენი გრძნობათა ორგანოების მიერ, რომელმაც ასახვა ჰპოვა ენაში, განმტკიცებულ სტატიკურ ცნებებში, იცვლება განსაზღვრული რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით. მაგალითად, წყალი უარყოფითი ტემპერატურის დროს ხდება მყარი, ხოლო ტემპერატურის აწევისას გადადის აირის მდგომარეობაში. სინათლეს 500 ანგსტრემის სიგრძის ტალღით აღვიქვამთ როგორც მწვანეს, ხოლო ტალღის სიგრძის გაზრდისას იგი თანდათანობით გადადის წითელში და ა.შ. ასე რომ, ყოველ პროცესში შეიძლება და საჭიროა ვიპოვნოთ ზოგადი რაოდენობრივი პარამეტრები, პასუხისმგებელნი ხარისხობრივ ცვლილებებზე.

დიალექტიკის მესამე კანონი, რომელიც ლამაზად და გაუგებრად წოდებულია „უარყოფის უარყოფად“, ლაპარაკობს განვითარების ყველა პროცესის განსაზღვრულ განმეორებაზე. ეს, ვფიქრობთ, კაცობრიობის მიერ მიღწეული ყველაზე ღრმა განზოგადებაა სისტემების განვითარების პროცესების შესწავლისას. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, კანონი „უარყოფის უარყოფა“ განვითარების ყველა დინამიკური პროცესის ტალღისებური ქანქარის მსგავსი ხასიათის დეკლამირებას ახდენს.

დღეს მეცნიერები ყველაზე მისაღებად მეთოდოლოგიურ პლურალიზმს მიიჩნევენ. ამიტომ არ შეიძლება ერთი ხელის აღებით რომელიმე მეთოდისათვის უპირატესობის მინიჭება. უნდა გამოვიყენოთ ყველა ის მეთოდი, რომელიც მოპოვებული მასალების ანალიზს ხელს შეუწყობს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შედარებითი ანალიზის მეთოდი, მეცნიერული აბსტრაქციის მეთოდი, გრაფიკული გამოსახვის მეთოდი, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდი და სხვ. როგორც იტყვიან, მეხსიერება თარიღებითა და ფაქტებით უნდა გააჯერო და მაშინ შეძლებ შენი წინა ისტორიის შეფასებას, უფრო ზუსტად კი — გადაფასებას. ახლახანს გამოცემულ დიდებულ წიგნში — „ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“ (თბილისი, 2003), ცნობილი ქართველი პროფესორი გიორგი ნადარეიშვილი აღნიშნავს: „ისტორიულ-სამართლებრივი ხასიათის მასალას თუ თეორიის ნისლით დავაბნელებთ, სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ. როგორც ი. გოეთე იტყოდა, უფერულია აქ თეორია, მაგრამ ცხოვრების ოქროს ხე კი მარად მწვანეა. თეორია ფაქტებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს“

მსოფლიო ეკონომიკის საგნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსოფლიომეურნეობრივი მოვლენებისა და პროცესებისადმი სისტემურ მიდგომას. ამ მეთოდის თანამედროვე ენითა და მიდგომებით გაგებას ეძღვნება აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის სტატია — „სისტემური მიდგომა, სისტემური აზროვნება და მართვის საკითხები“[1]. სისტემური კვლევის მეთოდების გასაგებად მოგვყავს ვრცელი ამონაწერი ზემოთ აღნიშნული ნაშრომიდან:

„სისტემური მიდგომა არის სამყაროს და მისი ობიექტების მოვლენებისა და პროცესების შესწავლა სისტემური

---

1 იხ. ჟურნ. „კომენტარი“, №1, ზამთარი, 2003-2004, 01. 12. 03 — 29. 02. 04. (მკითხველს ვაცნობებთ, რომ ეს არის კვარტალური საერთაშორისო მრავალენოვანი სამეცნიერო-ეკონომიკური ჟურნალი. გამოდის ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ჟურნალის მთავარი რედაქტორია ცნობილი ქართველი ეკონომისტი-თეორეტიკოსი, ბატონი მერაბ გეელესიანი).

კვლევის მეთოდებით, მათი მთლიანობისა ან მათში მიმდინარე იმ პროცესების საერთო თუ სპეციფიურ კანონზომიერებათა ინტეგრირებულობის კუთხით, რომლებიც მათ წარმოგვიდგენს როგორც სისტემას. სისტემურ მიდგომას, ჩვეულებრივ, ვიყენებთ შედარებით რთული და ეფექტიანი სისტემების ანალიზის, შეცნობისა და სინთეზისათვის.

სხვადასხვა პრობლემის მიმართ სისტემური, მთლიანობითი მიდგომა ეფუძნება ფაქტორთა არსების, როლის, მნიშვნელობისა და ურთიერთდამოკიდებულების გააზრებას მათს ერთიანობაში, ანუ კომპლექსში. ეს შესაძლებლობას გვაძლევს კომპლექსურად და ყოველმხრივ შევისწავლოთ პრობლემა, გამოვყოთ პრიორიტეტები და მოვახდინოთ სისტემის ძირითადი პარამეტრების ოპტიმიზაცია. მაგალითად, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სისტემოლოგია ვითარდება ისეთი მეცნიერებების შესაყარზე, როგორებიცაა პოლიტოლოგია, სამხედრო მეცნიერება, სოციოლოგია, ინფორმატიკა, ეკოლოგია, ეკონომიკა.

დღეს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე სისტემური კრიზისების ხანაში, სისტემური მიდგომის მნიშვნელობა იზრდება, ვინაიდან ამ კრიზისებს შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ მათთან ბრძოლის სისტემური მეთოდები. ეს მიდგომა არის საშუალება იმისა, რომ ამოვიცნოთ სისტემურ წინააღმდეგობათა ხასიათი, გამოვავლინოთ ურთიერთკავშირების სირთულე და შევიმუშავოთ პრობლემების გადაწყვეტის სტრატეგია.

ქვეყნის ეროვნული ინტერესების მიმართ სისტემური მიდგომა ქვეყნის აღორძინებისა და მისი ეკონომიკური და სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარი პირობაა. ამ მიდგომის გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გლობალური პრობლემების შესწავლისას. ამ პრობლემებს (ეკოლოგიურს, სოციალურს, ეკონომიკურს, სამხედროს, ტექნოგენურს, უმუშაობისას) და მათს სისტემურ გააზრებას ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს. ისინი იმდენად კომპლექსური ხასიათისაა, რომ მათი გადაწყვეტის მცდელობა დადებით შედეგს არ მოგვცემს, თუ ერთდროუ-

ლად არ მოვახდინეთ ზემოქმედება ამ სისტემის მრავალ პარამეტრზე.

სისტემური აზროვნების მიზანია სწორად და მთლიანობაში (სისტემურად) აღიქვას გარემო, მთლიანობაში გაიაზროს დაკვირვებით მოპოვებული ინფორმაცია, შეიმეცნოს მატერიალური და არამატერიალური სამყაროს *კანონები და კანონზომიერებები*, ისწავლოს ადამიანის საქმიანობაში — უწინარესად, რთული სისტემების შექმნასა და მართვაში — ამ კანონთა და კანონზომიერებათა გამოყენება.

ბევრ ძლიერ სპეციალისტს, ჩვენთანაც და სხვაგანაც, ჩამოუყალიბდა განსაკუთრებული სისტემური აზროვნება, — ჩვევა იაზროვნოს ისე, რომ მთლიან სურათად ხედავდეს ობიექტს თუ პროცესს. სისტემურ აზროვნებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადამიანის ინტუიცია და ფარული (მიღმური) ცოდნა.

თუ ახალ ობიექტს ვიკვლევთ და ამისათვის არ გვყოფნის არსებული მოდელები, მაშინ სისტემური აზროვნება, მთლიანობით მიდგომა, ინტუიცია და ფარული (მიღმური) ცოდნა გვეხმარება შევიმუშაოთ ახალი, უფრო ეფექტიანი მოდელები. მეცნიერებას არ გააჩნია საზომი, რომლითაც სისტემური აზროვნების დონეს გაზომავდა, მაგრამ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სისტემურმა აზროვნებამ უკვე მიაღწია განვითარების იმ საფეხურს, როდესაც ადამიანი მის ხელთ არსებული კოგნიტური მოდელების გამოყენებით ახერხებს ჩასწვდეს რთული ტექნიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქიკური თუ სხვა პრობლემების არსს (თვისებრიობას).

სისტემური აზროვნება, რომელშიც ინტუიცია და ფარული (მიღმური) ცოდნის ფაქტორები მძლავრობს, იყენებს როგორც *ინდუქციურ*, ისე *დედუქციურ* მეთოდებს. შედარებით ჩვეული დედუქციური აზროვნება გულისხმობს იმას, რომ ჯერ განისაზღვრება კომპლექსური სისტემური პრობლემები, შემდეგ კი იძებნება ამ პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტა. ხოლო ინდუქციური სისტემური ანალიზის დროს პირიქით, თავდაპირველად ეძებენ ახალ იდეას ან პრინციპულად ახალ კომპლექსურ გადაწყვეტას, შემდეგ კი ცდილობენ ეს გადაწყვეტა მოარგონ შესაბამის პრობლემას.

სისტემური აზროვნების პარადოქსებია *მთლიანობის და იერარქიულობის პარადოქსები.* მთლიანობის პარადოქსთან გვაქვს საქმე, როდესაც სისტემის აღწერა შესაძლებელია მისი დანაწევრებით ისეთ „მთლიანობებად“ — ისეთ ნაწილებად, რომელი ნაწილებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებენ სისტემის მთლიანობით თვისებებს. ანუ ეს ის შემთხვევაა, როდესაც მთლიანობის თვისებებს, რომლებსაც სისტემა ატარებს, გარკვეულ ზღვრამდე მისი დანაწილებისას ინარჩუნებენ გამოყოფილი ნაწილებიც. მეორე მხრივ, ნებისმიერი მთლიანობითი სისტემა უფრო მაღალი რანგის სისტემის — ზესისტემის ელემენტია, ანუ მისი ქვესისტემა და მისი აღწერა შესაძლებელია ამ კუთხით (როგორც ქვესისტემისა). იერარქიულობის პარადოქსი ამაში მდგომარეობს.

რაც უფრო რთულია სისტემა და რაც უფრო სუსტად არის იგი ფორმალიზებული, ნათელია, რომ მით უფრო ეფექტიანი იქნება სისტემური აზროვნების ეფექტიანობა. სისტემურმა აზროვნებამ ყველაზე უფრო მეტად ასახვა პოვა პროგრამირების თანამედროვე მეთოდებში, ინფორმატიკასა და ტელეკომუნიკაციაში, ფსიქოლოგიაში, ბიოლოგიაში, ფილოსოფიაში“.

ვიხილავთ რა მსოფლიო ეკონომიკის მეთოდს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საგანიც, ისევე როგორც ყველა სხვა მეცნიერება, ემყარება *ლოგიკას,* რომელიც წარმოგვიდგება სხვა მეცნიერებათა საფუძვლად. ამიტომ მსოფლიო ეკონომიკის შესწავლის პროცესშიც აუცილებელია გამოვიყენოთ ლოგიკის ძირითადი კანონები და დასკვნები. როგორც ცნობილი ქართველი ფილოსოფოსები, პროფ. დევი ბეჭვაია და პროფ. ეთერ ღვინერია, თავიანთ ნაშრომში — „თანამედროვე პედაგოგიური თეორიების ფილოსოფიური საფუძვლები“ — აღნიშნავენ, არსებობს მოთხოვნები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ ყოველგვარ მსჯელობას, მარტივად რომ ვთქვათ, რომელთა მიხედვითაც უნდა აზროვნებდეს ნორმალური ადამიანი. ასეთ კანონებს აზროვნების ძირითად კანონებს უწოდებენ. მათი დაცვა აუცილებელი, თუმ-

ცაღა, არასაკმარისი პირობაა ბჭობის მართებულობისა თუ სისწორისათვის. განსჯის სისწორეს, მათ გარდა, საკუთარი კანონებიც აქვს.

იგივეობის კანონი. იგი მსჯელობისას აზროვნების, ბჭობის გარკვეულობის მოთხოვნაა. განსჯის პროცესში ყოველი ცნება, ყოველი სიტყვა უნდა ვიხმაროთ ერთი და იმავე მნიშვნელობით. საგნების აღნიშვნის გარეშე სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა, თუნდაც იგი შესაბამისი საგნის შეცვლით იყოს განპირობებული, დაუშვებელია. მოკლედ რომ ვთქვათ, ცნების შინაარსის იგივეობა, გარკვეულობა, მისი ერთი აზრით ხმარება მსჯელობის პროცესში — აი, როგორ გამოიხატება იგივეობის კანონის აზრი.

წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. იგი თანმიმდევრული აზროვნების, ბჭობის, თავისთავადობის, თავის თავთან თანხმობის მოთხოვნაა. ჩვენს აზრებს შორის, მსჯელობაში შემავალ წინადადებებს შორის არ უნდა იყოს წინააღმდეგობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ რომელიმე საგნის თაობაზე რაიმეს ვამტკიცებთ, იგივე იმავე საგნის შესახებ არ უნდა უარვყოთ (იმავე დროს, იმავე აზრით), ე. ი. აზრთა კავშირი არ შეიძლება იყოს სწორი, აზრთა მსჯელობა არ შეიძლება იყოს თანამიმდევრული, თუ ის წინააღმდეგობას შეიცავს.

გამორიცხული მესამის კანონი. ეს კანონი, განსჯის, ბჭობის თავის თავთან თანხმობის მოთხოვნაა. გამორიცხული მესამის კანონის თანახმად, დაუშვებელია ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო წინადადებიდან უარვყოთ ერთიც და მეორეც, რადგან ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო წინადადებიდან ერთი აუცილებლად ჭეშმარიტია. მაგალითად, ეს ვარდი ან წითელია, ან არ არის წითელი, მესამე შემთხვევა გამორიცხულია.

საკმაო საფუძვლის კანონი. როგორც მკვლევარები ამტკიცებენ, არისტოტელემ ეს კანონი იცოდა, მაგრამ რატომღაც არ ჩათვალა საჭიროდ მისი კანონად გამოცხადება. ამ კანონის მიხედვით, არც ერთი წინადადება არ შეიძლება იყოს

ჭეშმარიტი, თუ არ არსებობს საკმაო საფუძველი იმისა, რატომ არის ამ წინადადებაში აღწერილი სწორედ ასეთი ვითარება და არა სხვაგვარი. ხშირად ეს კანონი გაგებულია როგორც მოთხოვნა — ჭეშმარიტად არ მივიჩნიოთ წინადადება მისი დასაბუთების გარეშე. საკმაო საფუძვლის კანონი დაუფიქრებელი და ზერელე ბჭობის წინააღმდეგ არის მიმართული. განათლების ფილოსოფიის წარმომადგენლები ლოგიკის კონსტრუქციებსა და კანონებს ეყრდნობიან.

სინამდვილის შემეცნების პროცესში იყენებენ აგრეთვე დედუქციურ და ინდუქციურ დასკვნებს.

ტრადიციული ლოგიკის მიერ მიღებულია დედუქციური დასკვნის ის განსაზღვრება, რომელიც არისტოტელედან მომდინარეობს. დედუქციურია დასკვნა, რომელიც ზოგადიდან კერძოსაკენ (ან მეტად ზოგადიდან ნაკლებად ზოგადისაკენ) გადადის. ისეთ დასკვნას, რომლის წანამძღვრების ჭეშმარიტება აუცილებლობით განაპირობებს დანასკვის ჭეშმარიტებას, დედუქციური დასკვნა ეწოდება.

დედუქციური დასკვნებისათვის დამახასიათებელია შემდეგი თავისებურებები:

1 თუ დედუქციური დასკვნის წანამძღვრები ჭეშმარიტია, მაშინ მისი დანასკვიც აუცილებლად ჭეშმარიტია.
2. თუ დედუქციური დასკვნის წანამძღვრებიდან ერთ-ერთი მაინც მცდარია, მაშინ დანასკვი შეიძლება მცდარიც იყოს და შეიძლება ჭეშმარიტიც.
3. თუ დედუქციური დასკვნის დანასკვი მცდარია, მაშინ მისი წინადადებებიდან ერთი მაინც (შესაძლოა ყველა) მცდარია. ასე რომ არ იყოს, მაშინ ხომ პირველი თავისებურების ძალით დანასკვიც ჭეშმარიტი იქნებოდა.
4. თუ დედუქციური დასკვნის დანასკვი მცდარია, მაშინ მისი წანამძღვრებიდან ყველა ჭეშმარიტია, ზოგიერთია ჭეშმარიტი, ან არც ერთი არ არის ჭეშმარიტი.

რაც შეეხება ინდუქციურ დასკვნას, მისი რამდენიმე ფორმა ჯრსებობს (სრული, არასრული). განასხვავებენ არას-

რული ინდუქციის ორ სახეს — პოპულარულს და მეცნიერულს. მეცნიერული ინდუქცია არის რამდენიმე საგნისა თუ მოვლენისაგან გაკეთებული დასკვნა საგანთა ან მოვლენათა მთლიანი კლასის ცოდნაზე; ერთეულიდან, კერძოდან გამომდინარე ზოგადზე მიღებულ დასკვნას, რომლის წანამძღვრებიდან დანასკვი ლოგიკურად არ გამომდინარეობს, მაგრამ რომლის წანამძღვრებიც გარკვეული ხარისხით ადასტურებენ დანასკვს, ეწოდება ინდუქციური დასკვნა. ლოგიკოსთა აზრით, ინდუქციასა და დედუქციას შორის დაპირისპირება არსებობს, მაგრამ მას (დაპირისპირებას) აქვს გამონაკლისიც. ლოგიკის, როგორც ბჭობა სისწორის, გამართულობის პირობებისა და კანონების შემსწავლელი მეცნიერების მიზნები და ამოცანები სხვადასხვაგვარია. იმისდა მიხედვით, თუ როგორ ჩამოყალიბდება და დაკონკრეტდება იგი, განისაზღვრება კვლევის მეთოდები. ამის გამო ლოგიკა იყოფა ორ ნაწილად: დედუქციურ და ინდუქციურ ლოგიკად.

როგორც უკვე აღინიშნა, „მსოფლიო ეკონომიკის“ საგნის მიზანია სტუდენტებს გააცნოს მსოფლიოს, მისი წამყვანი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დამახასიათებელი ნიშნები, გააანალიზოს ეროვნულ მეურნეობათა მაკროეკონომიკური მოდელები და განვითარების თავისებურებანი, გაავლოს პარალელები საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკებს შორის.

კურსის თემატიკისადმი ინტერესი იმითაც არის გამოწვეული, რომ სამამულო ეკონომიკაში მრავალი პრობლემის გადაჭრის, საქართველოში კრიზისის დაძლევისათვის მეტად სასარგებლო იქნება შევიტყოთ, თუ როგორია ანალოგიურ სიძნელეთა გადაწყვეტის საზღვარგარეთული გამოცდილება. ჩვენ სულაც არ მიგვაჩნია, რომ შეიძლება რომელიმე ცალკე აღებული საზღვარგარეთის ქვეყნის განვითარების მზა მოდელის ყოველგვარი კორექტივის გარეშე საქართველოს სინამდვილეში დანერგვა. სრულიადაც არა. ბევრჯერ დავრწმუნებულვართ, რომ ამერიკული, ინგლისური

ან იაპონური გამოცდილება წმინდა სახით ვერ იარსებებს არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში.

მსოფლიოში ბევრი მაგალითია, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ქვეყნის ძალადურ ვესტერნიზაციას (გავიხსენოთ თუნდაც ირანი), მაგრამ არც ის ფაქტი უნდა დავივიწყოთ, რომ ევროპული კულტურა მუდამ მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საქართველოზე. ჩვენს ქვეყანაში მუდამ კარგად ესმოდათ, რომ „ხალხებს შორის კარგი ურთიერთობის გარეშე საქართველოს ხსნის გზა არ არსებობს" (ილია ჭავჭავაძე). ამ სიტყვებს ასეთივე ცხოველმყოფელობა გააჩნია მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის. ავიღოთ თუნდაც ისეთი დიდი ქვეყანა, როგორც რუსეთია, რომელთანაც საქართველოს ბევრი რამ საერთო აქვს: პეტრე I, რომელიც გააოცა ჰოლანდიისა და პრუსიის მეურნეობის მართვის კარგად ორგანიზებულმა სისტემებმა, ცდილობდა ევროპული სული შემოეტანა რუსეთში, პავლე I-მა კი, რომელიც აიდეალებდა პრუსიის ადმინისტრაციულ სისტემას, სცადა რაღაც ამის მსგავსი რუსეთის იმპერიაშიც დაენერგა. ნაპოლეონის ომების ეპოქაში რუსული არმიის საზღვარგარეთულმა ლაშქრობებმა არსებითი გავლენა მოახდინეს მოწინავე რუს მემამულეთა აზროვნებაზე, განუვითარეს თავისუფალი აზროვნების სულისკვეთება და ევროპულ ყაიდაზე საზოგადოების გარდაქმნის სურვილი. ალექსანდრე II-ის მეფობის პერიოდში რუსეთის საგადასახადო სისტემის რეფორმირებისათვის სპეციალური კომისიაც კი შექმნეს, რომელსაც უნდა შეესწავლა საზღვარგარეთული გამოცდილება დაბეგვრის სფეროში. კომისიამ თავისი ნაშრომების ოცდასამი ტომი გამოსცა.

საუკუნეების მანძილზე თავისი მძიმე ხვედრი, ჩამორჩენილობა, საქართველოს არ აძლევდა შესაძლებლობას, შებრუნებულიყო ევროპისაკენ. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მთელი წინანდელი სისტემის ნგრევის შემდეგ ახალი საქართველო, რუსეთთან ერთად, დაუპირისპირდა კიდეც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს. ორი სისტემის შეიარაღებული

დაპირისპირების პერიოდი გრძელდებოდა თითქმის 1980-იანი წლების დამლევამდე, როცა უკვე საბოლოოდ დადგინდა, რომ სიცოცხლისუნარიანი ვერ არის ბოლშევიკური ტიპის განვითარების სოციალისტური გზა. საბჭოთა კავშირმა თავისი მოჩვენებითი კეთილდღეობა ააშენა მოქალაქეთა სისხლსა და ძვლებზე, მაგრამ სისტემა წელში გაწყვიტა უმძიმესმა სამხედრო ხარჯებმა, ეკონომიკის სამოქალაქო სექტორის დაუფინანსებლობამ, ტოტალური დაგეგმვის მცდარმა სტრატეგიამ, შრომის სტიმულების უქონლობამ, კერძო მეწარმეობის აკრძალვამ. ინფორმაციებმა რკინის ფარდა გარღვევაში და ოდესღაც მძლავრი საბჭოთა იმპერიის დანგრევაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს.

1980-იანი წლების დამლევისათვის, სისტემის გარდაქმნის დაწყების ეპოქაში, ყველანი მოიცვა ეიფორიამ სსრ კავშირში როგორც „შვედური სოციალიზმის“, ისე გერმანიისა და საფრანგეთის ტიპის ეკონომიკის სოციალურ-ორიენტირებული მოდელის აშენების შესახებ. იმასაც კი ამბობდნენ, რომ იაპონელებსაც კი კოლექტივიზმის რუსული ნიშნები ჰქონდათ. ცოტა მოგვიანებით, 90-იანი წლების დამდეგს, რეფორმატორებისათვის იდეალად იქცნენ რ. რეიგანი და მ. ტეტჩერი, რომლებმაც წარმატებით გადაჭრეს ნეოკონსერვატორული საშუალებებით თავიანთი ქვეყნების ეკონომიკური პრობლემები. გადაწყდა გამოეყენებინათ „შოკური თერაპია“, რომელმაც გაამართლა ლ. ბალცეროვიჩის რეფორმების მეოხებით პოლონეთში. განახლების გზაზე დამდგარი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისადმი კეთილად განწყობილი საზღვარგარეთი იდეოლოგიურად უჭერდა მხარს გამოუცდელ რეფორმატორებს, მაგრამ რეფორმათა განხორციელების დროს თავი იჩინა ტრადიციულმა კონსერვატიულობამ, კანონების უპატივცემულობამ, ბოლშევიზმის წლებში შერყეულმა მოსახლეობის სამეწარმეო აქტიურობამ, ზერელე ეკონომიკურმა გადაწყვეტილებებმა, რამაც გარდაქმნები ჩიხში მოაქცია.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი, ჩვენს წინაშე უნდა იდგეს ისეთი ძირითადი სტრატეგიული მიზანი, რომ

XXI საუკუნეში საქართველომ მტკიცედ დაიმკვიდროს თავისი ადგილი მსოფლიოში. ამიტომ ჩვენი ამოცანა ის უნდა გახდეს, რომ შევისწავლოთ საზღვარგარეთის გამოცდილება სხვათა წარმატება-წარუმატებლობის გარკვევისა და საკუთარ შეცდომათა თავიდან აცილების მიზნით. ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე წიგნი მკითხველებს ჩააფიქრებს მსოფლიოს ეკონომიკაში წამყვანი და განვითარებადი ქვეყნების წარმატება-წარუმატებლობის მიზეზების შესახებ, დაეხმარება მომავალ ეკონომისტებს, განსაზღვრონ ძირითადი მიმართულებანი მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებაში და გაუღვიძებს სურვილს შეიმუშაონ სამამულო ეკონომიკის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გზები.

XXI საუკუნის დასაწყისში „მსოფლიო ეკონომიკა“ ხდება არა მხოლოდ ეკონომიკური მეცნიერების დარგი და მნიშვნელოვანი სასწავლო დისციპლინა, არამედ პრაქტიკული ცოდნის კომპლექსიც, რომელიც აუცილებელია ყველასათვის, ვისაც სურს მიაღწიოს წარმატებას სწრაფად გლობალიზირებად სამყაროში. ეს ეხება ყველას — სტუდენტებს, ასპირანტებს, მასწავლებლებსა და ჩინოვნიკებს, ბიზნესმენებსა და ბანკირებს, მეცნიერებსა და ტრეიდერებს. ამ საგნის შესწავლა საშუალებას მოგვცემს შევიცნოთ ახალი კონცეფციები და საკმაოდ რთული ეკონომიკური კონსტრუქციები, რომლებიც საფუძვლად უდევს მსოფლიო ეკონომიკას. ფუნდამენტურ ეკონომიკურ თეორიასთან ერთად იგი საშუალებას მოგვცემს, რათა გავიაზროთ სრულიად ახალი მოვლენები და იდეები, რომელთა შესწავლის გარეშე თანამედროვე გლობალური მსოფლიომეურნეობრივი სისტემის სრული წარმოდგენა შეუძლებელია.

მსოფლიო ეკონომიკის შესასწავლად გამოყენებული სტატისტიკური მაჩვენებლები. მსოფლიო ეკონომიკაში, სამეურნეო კავშირურთიერთობათა სისტემაში ქვეყნის როლისა და ადგილის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ, უწინარეს ყოვლისა, მისი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. საერთაშორისო შეჯერებისათვის (შედარებისათვის) ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებია ქვეყნის მთლიანი

შიდა პროდუქტის ან მთლიანი ეროვნული პროდუქტის ერთობლივი მოცულობა[1], ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მთლიანი ეროვნული პროდუქტის) მაჩვენებელი, ხელფასის საშუალო ოდენობა, საგარეო-სავაჭრო ოპერაციათა მოცულობა (საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტი), კაპიტალის მოძრაობის მაჩვენებლები (უცხოურ ინვესტიციათა ოდენობა ქვეყანაში და საკუთარი კაპიტალის ექსპორტის შეჯამებული მაჩვენებელი), ქვეყნის საგარეო ვალის ოდენობა. მოცემული მაჩვენებლების მიხედვით მონაცემთა მოხერხებული შედარებისთვის საერთაშორისო შედარება წარმოებს ღირებულებითი გამოხატულებით ამერიკული დოლარით, ქვეყნის ეროვნულ ვალუტაში, დოლარის კურსზე გადაანგარიშებით (კურსს იღებენ ან საბაზროს, ანდა მოცემული ვალუტის მსყიდვე-

---

1 მთლიანი შიდა პროდუქტი ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის განზოგადებული მაჩვენებელია. წარმოების სტადიაზე ის წარმოადგენს ეკონომიკის დარგების დამატებული ღირებულების ჯამს, ხოლო მოხმარების სტადიაზე – საქონლისა და მომსახურების ღირებულებას, რომელიც განეკუთვნება საბოლოო მოხმარებას, დაგროვებასა და ექსპორტს. მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) გამოანგარიშება ხდება მიმდინარე საბაზრო ფასებით (ესე იგი, ნომინალური მშპ). მშპ-ის დინამიკის შესასწავლად იყენებენ მუდმივ ფასებს. მშპ-ის გამოანგარიშების ფორმულა ასეთია: Y = C + I + G + (X-M), სადაც Y – მშპ-ია, C – ეკონომიკის კერძო სექტორის მოხმარება, I – ინვესტიციათა მოცულობა, G – სახელმწიფო სექტორის მოხმარება, (X-M) – წმინდა ექსპორტი, ანუ ექსპორტ-იმპორტის სალდო. მთლიანი ეროვნული პროდუქტი განსხვავდება მთლიანი შიდა პროდუქტისაგან ინსტიტუციური ერთეულების მიერ მიღებული პირველადი შემოსავლების ჯამით. იგი განისაზღვრება როგორც მთლიანი შიდა პროდუქტისა და საზღვარგარეთიდან მიღებული წმინდა შემოსავლების (არარეზიდენტებისაგან მიღებული პირველად შემოსავლებსა და არარეზიდენტებისათვის გადახდილ პირველად შემოსავლებს შორის სხვაობა) ჯამი.

ლობითი უნარის პარიტეტის საფუძველზე)[1]. შეიძლება აგრეთვე მაჩვენებელთა შედარება შეფარდებითი გამოხატულებით — პროცენტებით დროის წინა ან საბაზო პერიოდისათვის, რაც დაახასიათებს ეროვნული ეკონომიკის ზრდის ტემპს.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტი. მსყიდველობითი უნარის პარიტეტი არის თანაფარდობა ეროვნულ ვალუტებს შორის მათი მყიდველობითი უნარის მიხედვით, ე. ი. თითოეულ ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების გარკვეულ შენარჩევზე ფასების გათვალისწინებით. არადა, რაკი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ფასები სხვადასხვაა, მყიდველობითი უნარის პარიტეტი პრაქტიკულად არ ემთხვევა ეროვნულ ვალუტათა გაცვლით კურსს (ოფიციალურსა თუ საბაზროს). ამიტომ მყიდველობითი უნარის პარიტეტს ანალიტიკური მიზნით იყენებენ და არა სამეურნეო ანგარიშსწორებაში.

ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დადგენის დროს იღებენ ამ ვალუტაზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობას, საგარეო-სავაჭრო ოპერაციათა შედეგად, ე. ი. გასაყიდი საქონლისა და მომსახურების ბაზაზე რომ წარმოიქმნება. მაგრამ მსოფლიოს მეტწილ ქვეყნებში ისინი თავიანთი მთლიანი შიდა პროდუქტის ნაკლებ ნაწილს წარმოადგენენ. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის განსაზღვრის დროს იღებენ საქონლისა და მომსახურების რაც შეიძლება ფართო წრეს, რათა მასში მოხვდეს როგორც საქონელი და მომსახურება, რომლითაც ვაჭრობენ და ასევე რომლითაც არ ვაჭრობენ. მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

---

1 ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის პარიტეტი (მუპ) — ამ ფულადი ერთეულის შეფარდებითი ღირებულებაა, რომელიც გამოიხატება მუპ-ს შესაბამისი საქონლისა და მომსახურების გარკვეული შენარჩევის (ნაკრების) ღირებულებით, ასახავს გაცვლის პროპორციებს შესადარებელი ქვეყნების ფულად ერთეულებსა და მათ მიერ მომსახურებულ საქონლისა და მომსახურების მასებს შორის. ამ მაჩვენებლის გამოყენება განსაკუთრებით მოხერხებულია იმ შემთხვევებში, როცა განხილული ქვეყნის ვალუტა არ არის თაყისუფლად კონვერტირებადი. მსყიდველობითი უნარის პარიტეტი წმინდა მონეტარული მოვლენაა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სხვა ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების შესღუდული შენარჩევის (ნაკრების) ფასების თანხაა მოცემული ქვეყნის ვალუტით იმ სხვა საქონლისა და მომსახურების ფასების მიხედვით შეფარდების გაუთვალისწინებლად, რომლებიც მუპ-ს კალათში არ შედიან, ასევე შესადარებელი პროდუქტების ხარისხის გაუთვალისწინებლად.)

საერთაშორისო შედარების პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანია განისაზღვროს სხვადასხვა ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მათი ეროვნული ვალუტების მყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით, იღებენ 600-800 ძირითად სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებას, 200-300 ძირითად საინვესტიციო საქონელსა და 10-20 ტიპურ სამშენებლო ობიექტს; შემდეგ განსაზღვრავენ, თუ რა ღირს ეს შენარჩევი (ნაკრები) გამოსაკვლევი ქვეყნის ეროვნული ვალუტითა და ამერიკული დოლარით. მყიდველობითი უნარის პარიტეტის დადგენის საფუძველზე განსაზღვრავენ ამა თუ იმ ეროვნული ვალუტის მყიდველობით უნარს. მაგალითად, 1996 წელს რუსული რუბლის საშუალო წლიური გაცვლის კურსი ამერიკული დოლარის მიმართ შეადგენდა 5124 რუბლს, ხოლო მყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით — 2208 რუბლს. ამის შედეგად 1996 წელს რუსეთის მთლიანმა შიდა პროდუქტმა ერთ სულ მოსახლეზე შეადგინა 3 ათასი დოლარი რუბლის ოფიციალური გაცვლის კურსის მიხედვით, მაგრამ 6,9 ათასი დოლარი რუბლის მყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით. გარდამავალი ეკონომიკის სახელმწიფოებისა და განვითარებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია, რომ მათი ეროვნული ვალუტის მყიდველობითი უნარის პარიტეტი აღემატება მათ გაცვლით კურსს, განვითარებული ქვეყნებისათვის, პირიქით, მყიდველობითი უნარის პარიტეტი უფრო ხშირად გაცვლით კურსზე დაბალია (და მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ფასებს იღებენ როგორც ამოსავალს, დოლარი მთლიანად შეესაბამება მის გაცვლით კურსს).

დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ შედარებით მაჩვენებლებს, *როგორიცაა ინფლაციისა და უმუშევრობის ზრდის დონე და ტემპი, პროცენტის განაკვეთის, საგადასახადო ტვირთის დონე, გადასახადების განაკვეთები, ეროვნული ვალუტის კურსის მოძრაობის დინამიკა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ვალუტათა მიმართ, შრომის ნაყოფიერების დონე, ქერძო და სახელმწიფო სექტორის სხვადასხვა შემოსავალ-გასავლის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის (მთლიანი ეროვნული პროდუქტის) მიმართ (მაგალითად, სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოებისათვის ერთობლივი ხარჯების ან ეროვნული თავდაცვის ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში, სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსულობანი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ და სხვ.).*

ღირებულებითი და შეფარდებითი მაჩვენებლების გარდა შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე ნატურალური მაჩვენებლები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ ვიმსჯელოთ ეროვნული ეკონომიკის პოტენციალის შესახებ (მაგალითად, მარცვლეულის მოსავალი ტონობით, ნავთობის მოპოვება ბარელებით, ავტომობილებისა და ტელევიზორების წარმოება ცალობით და ა. შ.). სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები, როგორიცაა წიგნიერების, სიცოცხლის ხანგრძლივობის დონე, მიღებული პენსიებისა და დახმარებების ოდენობა საერთაშორისო შედარების დროს ასევე მხედველობაში უნდა იყოს მიღებული.

მთლიანი შიდა პროდუქტის და *მთლიანი ეროვნული პროდუქტის* მნიშვნელობა ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით ქვეყნის განვითარების დონის მაჩვენეელია და მხოლოდ ეკონომიკურ კეთილდღეობას ასახავს. 1990 წლიდან გაეროს განვითარების პროგრამამ გამოაქვეყნა ახალი მიახლოებითი მაჩვენებელი — *საზოგადოების განვითარების ინდექსი*. მისი გაანგარიშება ორ სხვა მაჩვენებელსაც ეყრდნობა, ზრდასრული მოსახლეობის წიგნიერებას და სიცოცხლის ხანგრძლივობას. ეს ინდექსი უფრო ზუსტად (თუმცა არც თუ მთლად იდეალურად) გვიჩვენებს ადამიანთა განვითარების დონეს. 1991 წლიდან განათლების დონე ორი მაჩვენებლის დახმარებით გამოიხატება: სწავლების საშუალო ხანგრძლივობით და ზრდასრული მოსახლეობის წიგნიერებით. საზოგადოების განვითარების ინდექსის მნიშვნელობა 0-დან 100-მდეა. ქვეყნები, რომელთა ინდექსი 80-ზე მეტია, ითვლება მაღალგანვითარებულად (ადამიანური განვითარების თვალსაზრისით), 50-დან 79-მდე — საშუალო განვითარებულად, ხოლო 50-ზე ნაკლები მაჩვენებლით ითვლება სუსტად განვითარებულად.

მდიდარი და მრავლისმომცველი სტატისტიკური მასალები იბეჭდება საერთაშორისო ორგანიზაციების ისეთ რეგულარულ პუბლიკაციებში, როგორიცაა: „მსოფლიო ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები" (მსოფლიო ბანკი), „საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა" (მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია), „მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პერსპექ-

ტივები" (საერთაშორისო სავალუტო ფონდი), „UNCTAD-ის სტატისტიკური დამხმარე წიგნი" და სხვ.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუძლია ქვეყნის მთავრობას ცალკეულ ადამიანებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა შეზღუდვა. „Meritage Foundation"-ში გამოქვეყნებული ეკონომიკური მაჩვენებლები მოიცავს სავაჭრო პოლიტიკას, დაბეგვრას, სავალუტო პოლიტიკას, საბანკო სისტემას, უცხოური ინვესტირების წესებს, ქონებრივ უფლებებს, მთავრობის მიერ მოხმარებული ეკონომიკური წარმოების მოცულობას, ეკონომიკის რეგულირების პოლიტიკას, შავი ბაზრის სიდიდეს და ხელფასსა და ფასებზე კონტროლს. ყოველი კატეგორიის მიხედვით ქვეყანას შეიძლება მიენიჭოს 1-დან 5 ქულამდე. 1 აღნიშნავს უმაღლესს, ხოლო 5 — უმცირეს თავისუფლებას.

ძირითადი ლიტერატურა

- მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, ტ. I, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ, თბილისი, 2003. — გვ. 7-60.
- მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო, პროფ. გრ. თოდუას და პროფ. შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი, 2001. — გვ. 3-50.
- მსოფლიო ეკონომიკა (ლექციების კურსი), შემდგენელი პროფ. შ. ვეშაპიძე, თბილისი, 2004. — გვ. 4-28.
- ძნელაძე დ. მსოფლიო ეკონომიკა, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1997. — გვ. 3-9.
- ლეკაშვილი ე. ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირის პრობლემა საერთაშორისო სისტემაში. ჟ. „სოციალური ეკონომიკა", თბილისი, 2001. №1.
- პოლ ჰერსტი, გრემ ტომპსონი. გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. გამომც. „დიოგენე", I ქართ. გამოც., თბილისი, 2005.
- Peter Dicken. Global Shift, Transforming the World Economy, Third Edition, P.C.P Ltd, 1999.

თემა 2

მსოფლიო მეურნეობის ჩამოყალიბება

მსოფლიო მეურნეობის არსი და მისი სუბიექტები. მსოფლიო მეურნეობის განვითარების პერიოდები. ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების განვითარების მიზეზები. საერთაშორისო ვაჭრობისა და წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობის თეორიები. მსოფლიო ეკონომიკის თეორიები

მსოფლიო მეურნეობის არსი. მსოფლიო ეკონომიკა როგორც რთული სისტემა. სხვადასხვა ეროვნულ ეკონომიკათა მთელი ერთობლიობა განმტკიცებულია საქონლის, მომსახურებისა და წარმოების ფაქტორების, ანუ ეკონომიკური რესურსების მოძრაობით. ამ საფუძველზე მყარდება *საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი (საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობანი, მსოფლიო სამეურნეო კავშირები)*, ე. ი. სახელმწიფო ურთიერთობა რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს (სხვადასხვა ქვეყნების იურიდიულ და ფიზიკურ პირებს) შორის. შეიძლება მათი კლასიფიკაცია ფორმების მიხედვით. ამ ფორმებს მიეკუთვნება:

1. საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო (მსოფლიო) ვაჭრობა;
2. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა;
3. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია;
4. ცოდნის საერთაშორისო ვაჭრობა (ტექნოლოგიის საერთაშორისო გადაცემა);
5. საერთაშორისო სავალუტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობანი;
6. ქვეყნებს შორის საწარმოო სპეციალიზაცია;
7 საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების საქმიანობა, სამეურნეო თანამშრომლობა გლობალური პრობლემების გადაჭრაში.

მსოფლიო მეურნეობის სუბიექტები. მსოფლიო მეურნეობის სისტემა, თუ მას გავამარტივებთ, შეიძლება წარმოვიდგინოთ მექანიზმის სახით, რომლებშიც მონაწილეობენ შემდეგი სუბიექტები:

1. ეროვნული ეკონომიკები;
2. ტრანსეროვნული კორპორაციები;
3. ქვეყნების ინტეგრაციული გაერთიანებები;
4. საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები.

ქვესისტემების გარდა მსოფლიო ეკონომიკას აქვს ზედნაშენის გარკვეული ელემენტები. მას მიეკუთვნება საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ორგანიზაციათა გარკვეული ერთობლიობა. საერთაშორისო სამართალი განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკური სისტემის წესს. იგი წარმოგვიდგება როგორც იურიდიულ ნორმათა ერთობლიობა, რომელსაც სხვადასხვა სახელმწიფოები ერთად ქმნიან იმისათვის, რომ მოაწესრიგონ ურთიერთობები სხვადასხვა დარგებსა და სფეროებში. საერთაშორისო სამართლის თავისებურება ის არის, რომ საერთაშორისო სამართლის აქტებს ეძლევა უპირატესობა ამა თუ იმ სამართლებრივ სფეროში რეგულირების იურიდიული ნორმების წინაშე, რომელშიც ამ ქვეყანას დადებული აქვს შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმება. კერძოდ, ვენის 1969 წლის კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ ამტკიცებს, რომ „მხარემ არ შეიძლება დაიმოწმოს თავისი საშინაო სამართლის დებულებანი საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებათა შეუსრულებლობის გასამართლებლად“.

მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ზედნაშენს მიეკუთვნება აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია აგრეთვე საქმიანობის სხვადასხვა დარგებში სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის კოორდინაცია. წამყვან როლს ასრულებენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა გაერო და მისი სხვადასხვა

ორგანოები: *საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ასევე ეუთო (ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) და ა.შ.*

მსოფლიო ეკონომიკის ფორმირების ეტაპები. მსოფლიო მეურნეობის ჩამოყალიბება და განვითარება *ხუთ მთავარ ეტაპს მოიცავს.*

მსოფლიო მეურნეობის წარმოშობის ეტაპი *არის* პირველი ეტაპი (XVI-XIX სს.). ეს ეტაპი ხასიათდება საერთაშორისო ვაჭრობის, უპირატესად სანედლეულო საქონლით სწრაფი განვითარებით. ამ ეტაპზე მსოფლიო მეურნეობა შეიცნობა როგორც ქვეყნების საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების ერთობლიობა.

მსოფლიო მეურნეობის განვითარების მეორე ეტაპი (1870-1913) ხასიათდება, უპირველეს ყოვლისა, შიდა პროდუქციის ექსპორტის გადიდებით, მათ შორის მოსახლეობის ერთ სულზე, თუმცა იგი იზრდება შედარებით ნელი ტემპებით, ვიდრე წინა 50 წლის განმავლობაში. ქვეყნების შესუსტებული სავაჭრო ინტეგრაცია კომპენსირებული იყო ინტერნაციონალიზაციის სხვა ტენდენციათა სიმრავლით. ამ პერიოდში უპრეცედენტო (შეუდარებელ) მოცულობას მიაღწია შრომის ბაზრების საერთაშორისო ინტერნაციონალიზაციამ. 1870 წლიდან 1915 წლამდე 36 მილიონმა ადამიანმა დატოვა ევროპა. ამასთან, მათგან 2/3-მა აშშ-ს მიაშურა. აზიაში ჩინელი და ინდოელი ემიგრანტების რიცხვმა ამავე რეგიონის სხვა ქვეყნებში ევროპელი ემიგრანტების რიცხვს გადააჭარბა. მაღალ დონეს მიაღწია ასევე შიდაევროპულმა მიგრაციამაც (ავსტრიიდან, უნგრეთიდან, იტალიიდან — საფრანგეთში, გერმანიასა და შვეიცარიაში).

ამასთან ერთად გაიზარდა კაპიტალის საერთაშორისო ნაკადიც. საზღვარგარეთული გრძელვადიანი ინვესტიციების მთლიანმა მოცულობამ 1914 წელს 44 მილიარდ დოლარს მიაღწია. ყველაზე აქტიურ მონაწილეობას ამ პროცესში დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია ღებულობდნენ.

1870-1913 წლების პერიოდი იყო აგრეთვე საერთაშორისო წარმოების ზრდის პერიოდი პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების საშუალებით. 1914 წელს მისმა მოცულობამ 14 მილიარდ დოლარს მიაღწია, რამაც მსოფლიო ინვესტიციების 1/3 შეადგინა. მთავარი ექსპორტიორები იყვნენ: დიდი ბრიტანეთი — 45%, აშშ — 20%. მთავარ იმპორტიორებად გვევლინებოდნენ აშშ და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნები, ჩინეთი და ევროპის ნაკლებად განვითარებული ქვეყნები. 1914 წლისათვის პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების ძირითადი ნაკადი კონცენტრირებულ იქნა განვითარებულ ქვეყნებში. ამ პერიოდში (1870-1913) კაპიტალისტური წარმოების ბაზაზე ფორმირებადი მსოფლიო მეურნეობა წარმოადგენდა *როგორც მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებს შორის, ასევე ამ ქვეყნებსა და მათ კოლონიებს შორისაც — საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობას.*

მსოფლიო მეურნეობის განვითარების მესამე ეტაპი შემოიფარგლება პირველი მსოფლიო ომის დასაწყისითა და მეორე მსოფლიო ომის დასასრულს შორის პერიოდით (1914-1945), ხოლო შინაარსის თვალსაზრისით ეს პერიოდი ხასიათდება წინა ორმოცი წლის განმავლობაში მიღწეული მსოფლიომეურნეობრივი კავშირების რღვევით. მიუხედავად მრავალი ქვეყნის დაჩქარებული ეკონომიკური განვითარებისა, 1920 წლის შემდგომ საერთაშორისო ფინანსური სისტემა გამოირჩეოდა მკვეთრი არამდგრადობით, გრძელვადიანი ინვესტიციების გადინებით იმ ინდუსტრიული ქვეყნებიდან, რომლებმაც თავიანთი განვითარება შეანელეს. მსოფლიო ვაჭრობამ ვერაფრით ვერ შეძლო მიეღწია 1913 წლის ომისწინა დონისათვის.

ინტერნაციონალიზაციის პროცესის განვითარების მეოთხე ეტაპი მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომ დაიწყო და გრძელდებოდა 80-იანი წლების დამლევამდე. იგი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც საერთაშორისო ეკო-

ნომიკური ურთიერთობების *გარდაქმნის, ან ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის ძიების ეტაპი,* რომლის განმავლობაშიც ადრე დარღვეული შიდა ეკონომიკური კავშირები მსოფლიო ეკონომიკაში თანდათან კვლავ აღდგენას ექვემდებარებოდა. ძლიერდებოდა საზღვარგარეთ საქონლის, მომსახურებისა და წარმოების ფაქტორების გადინება.

ამ პერიოდში მსოფლიო მეურნეობის ორბიტაზე ჩნდებიან განვითარებადი ქვეყნები. იქმნება საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემები მსოფლიომეურნეობრივი ურთიერთობების დარეგულირებისათვის, აქტიურდება საერთაშორისო კორპორაციების მოღვაწეობაც.

მსოფლიო მეურნეობა ამ პერიოდში წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობას და იმ ეროვნულ მეურნეობებს, რომლებიც ჩართულნი არიან შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, მონაწილეობენ საერთაშორისო გაცვლაში და დამოკიდებულნი არიან მასზე. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში დომინირებენ მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის ქვეყნები.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო მსოფლიო მეურნეობის განვითარების მეხუთე ეტაპის ათვლა, რომელმაც *ერთი მთლიანი წარმონაქმნის ხასიათი შეიძინა.* მთავარ ფაქტორებად ამგვარი განვითარებისა გვევლინება სსრკ-ისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს (ეუს) რღვევა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე, მსოფლიოში ინტეგრაციული პროცესების შემდგომი განვითარება, ასევე საერთაშორისო კორპორაციების, როგორც მსოფლიო ეკონომიკის სუბიექტების მზარდი როლი. საერთაშორისო კორპორაციებმა თავიანთი გლობალური სტრატეგიის ჩარჩოებში წარმოების ფაქტორების გლობალური გამოყენებით შექმნეს საერთაშორისო წარმოება, რომელიც ორიენტირებულია მსოფლიოს ნებისმიერი მოქალაქის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე.

მსოფლიო მეურნეობა XXI საუკუნის მიჯნაზე თავისი მასშტაბებით გლობალურია და მთლიანად ეფუძნება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, შრომის მსოფლიო დანაწილების ობიექტურ კანონზომიერებას, წარმოების ინტერნაციონალიზაციას და თავის თავში *მოიცავს სამ ძირითად ელემენტს: ეროვნული ეკონომიკების ერთობლიობას, მათ დამაკავშირებელ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს და საერთაშორისო კორპორაციების მიერ შექმნილ საერთაშორისო ეკონომიკას.*

ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების განვითარების მიზეზები. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების წარმოქმნისა და განვითარების ძირითადი მიზეზი ის არის, რომ მათ განსხვავებული, მეტ-ნაკლები რაოდენობის და თვისებების წარმოების ფაქტორები გააჩნიათ. ეს კი იმითაა გამოწვეული, რომ მათ ეს რესურსები სწორედ ასეთი განსხვავებული სახით აქვთ ბოძებული, რასაც ერთი მხრივ მოსდევს შრომის საერთაშორისო დანაწილება, ხოლო მეორე მხრივ — ამ ფაქტორების ქვეყნებს შორის გადაადგილება. სწორედ ეს არის ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების დამყარების და მათი განვითარების უმთავრესი მიზეზი.

შრომის საერთაშორისო დანაწილება იმ საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე ცალკეული ქვეყნების სპეციალიზაციაა, რომლებსაც ისინი ერთმანეთს უცვლიან. სამრეწველო გადატრიალებამდე (XVIII ს დამლევი — XIX ს I ნახევარი) შრომის საერთაშორისო დანაწილება ეფუძნებოდა იმას, თუ როგორი იყო ბუნებრივი რესურსები: კლიმატი, ნიადაგები, წყალი, ტყის რესურსები და ა. შ. შემდეგ ძლიერდება სპეციალიზაცია, რომელიც ეფუძვნება ქვეყნების მიხედვით წარმოების ცალკეული ფაქტორებს (კაპიტალი, შრომა, სამეწარმეო უნარი, ცოდნა) შორის არსებულ განსხვავებას. სწორედ ეს განსაზღვრავს უმეტესწილად დღეს მსოფლიო ბაზრისათვის — რა სახის საქონლის და მომსახურების წარმოებაზეა სპეციალიზებული ქვეყანა.

იმის გამო, რომ ქვეყნებს განსხვავებული წარმოების ფაქტორები აქვთ, სამეურნეო სუბიექტები სპეციალდებიან პროდუქციის შეზღუდული რაოდენობის წარმოებაზე. ამასთან, ისინი აღწევენ შრომის დიდ ნაყოფიერებას მის დამზადებაში, მაგრამ ამავე დროს იძულებულნი არიან გაცვალონ ეს პროდუქტი თავიანთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

წარმოების ფაქტორების მოძრაობა. ქვეყნებისათვის მიზანშეწონილია არა მარტო გამოიყენონ ერთი ფაქტორის სიუხვე და მეორე ფაქტორის სიმწირე ამა თუ იმ საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის მოსაგვარებლად, არამედ გაიტანონ უხვად არსებული წარმოების ფაქტორები, ხოლო შემოიტანონ, დეფიციტური ფაქტორები. კაპიტალით ღარიბი ქვეყნები მას აქტიურად იზიდავენ საზღვარგარეთიდან, ერთი ქვეყნისათვის ჭარბი სამუშაო ძალა ცდილობს დასაქმდეს სხვა ქვეყანაში. განვითარებული მეცნიერების ქვეყნებს გააქვთ შრომის ტექნოლოგია იქ, სადაც ასეთი საკუთარი ტექნოლოგია არა აქვთ. წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობა დამოკიდებულია არა მარტო სხვადასხვა ქვეყნებში ამ ფაქტორების მოთხოვნასა და მიწოდებაზე, არამედ მათ მობილურობაზე, ამ ფაქტორების მოძრაობის გზაზე არსებულ სხვადასხვა ბარიერებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული პოსტულატების საფუძველზე ყალიბდება საერთაშორისო ვაჭრობისა და წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობის თეორიები. ვიდრე კონკრეტულად მათ შევეხებით, განვიხილოთ ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური თეორია[1].

ვინაიდან ეკონომიკა მოიცავს ადამიანის საქმიანობის მნიშვნელოვან მხარეებს, ეკონომიკურ პრობლემებზე თეორიული მსჯელობანი უყვარდათ ჯერ კიდევ ძველებს, რომელთაც თანამედროვე ადამიანისგან საერთოდ განასხვა-

1 ეს თეორიები მთლიანად გადმოგვაქვს ა. მოესესიანის და ს. ოგნიეცეევის ზემოთ დასახელებული წიგნიდან.

ვებდა ბევრად დიდი სურვილი შეეცნოთ გარემომცველი სამყაროს რეალობა. უკვე დიდმა ბერძნებმა *პლატონმა* და *არისტოტელემ* ჩაუყარეს საფუძველი ეკონომიკას, როგორც მეცნიერებას. პლატონის ცნობილ „სახელმწიფოში“ შემოტანილი იყო ისეთი დღემდე განსჯის საგნად ქცეული ზომები ბაზრის რეგულირებისა, როგორიცაა „ფასის მერყეობის საზღვრები“, ხოლო არისტოტელემ განჭვრიტა რა შემდგომ ათასწლეულთა პაექრობანი, თვლიდა, რომ გაცვლა ათანაბრებს მოთხოვნილებებს და არა დანახარჯებს. ეს პოსტულატი გახდა საფუძველი მარჟინალისტური რევოლუციისა ეკონომიკურ მეცნიერებაში მხოლოდ XIX ს-ის ბოლოს. რა თქმა უნდა, ძველ მოაზროვნეთა გენიალურ აღმოჩენებთან ერთად მათი ეკონომიკური შეხედულებანი შეიცავდა მრავალ ისეთ დებულებას, რომელთაც დღეს შეუძლია მხოლოდ ღიმილი გამოიწვიოს. რაც არ უნდა იყოს, გავიდა 23 საუკუნეზე მეტი.

შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ყოველ დიდ მოაზროვნეს, დაწყებული თომა აქვინელიდან კალვინამდე, გააჩნდა თავისი შეხედულებები ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით, ვინაიდან მათ გარეშე ფილოსოფიური და რელიგიური სისტემები ცხოვრებისგან მოწყვეტილი აღმოჩნდებოდა.

თუმცაღა პირველი წმინდა ეკონომიკური თეორიები და ეკონომიკური სკოლები გაჩნდა მხოლოდ XVII ს-ის ბოლოს. მაშინ (XVII — XVIII საუკუნეების ბოლო) ეკონომიკურ თეორიაში თანმიმდევრულად ბატონობდა ეკონომიკის ორი ძირითადი თეორიული მიმართულება: მერკანტილიზმი (იტალ. mercante — ვაჭარი) და ფიზიოკრატია (ბერძნ. physis — ბუნება + kratos — ძალაუფლება).

მერკანტილისტები. მათ შორის გამოირჩევიან პირველი პროფესიონალი ეკონომისტი, ფიზიკის დოქტორი და ანატომიის პროფესორი უ. პეტი (1623—1687) და გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი ჯ. ლოკი (1632—1704), რომლებიც ეროვნული სიმდიდრის შექმნაში პირველ ადგილს ანი-

ჭებდნენ ვაჭრობას. ისინი თვლიდნენ, რომ სახელმწიფო მით უფრო მდიდარია, რაც უფრო მეტია სხვაობა გატანილ და შემოტანილ საქონლის ღირებულებას შორის და იბრძოდნენ ექსპორტის წამახალისებელი ზომებისათვის და იმპორტის შეზღუდვისათვის პროტექციონისტული ზომების გამოყენების გზით. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ისინი გამოდიოდნენ მიმდინარე საგარეო სავაჭრო ოპერაციების დადებითი სალდოს ზრდის მხარდამჭერებად, რაც, ბუნებრივია, ქვეყნის კეთილდღეობისა მნიშვნელოვანი, მაგრამ არაერთადერთი ფაქტორია.

მათი შემცვლელი ფიზიოკრატები (XVIII ს. II ნახევარი) თვლიდნენ, რომ სიმდიდრის საფუძველს შეადგენს სოფლის მეურნეობა, ხოლო ეკონომიკის და ვაჭრობის სხვა დარგები მხოლოდ გადაანაწილებს დამატებულ ღირებულებას, მოპოვებულს სასოფლო-სამეურნეო შრომით და მიღებულს მიწიდან და ბუნებრივი კვლავწარმოებრივი პროცესებისგან. მათ შორის ყველაზე დიდი როლი შეასრულეს: ვაჭარმა და ფინანსისტმა ირლანდიიდან *რ. კანტილიონმა* (1680—1734), რომელმაც პირველმა ჩამოაყალიბა და გამოიკვლია ბაზრისა და საბირჟო თამაშის — „იყიდო იაფად, გაყიდო ძვირად“ ძირითადი პრინციპები; *დე გურნემ* (1712—1759), რომელმაც გაახმაურა ეკონომიკური ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპი —“ laissez faire, laissez passer“ — „დაე, ყველაფერი წავიდეს ისე, როგორც მიდის“, ე. ი. სახელმწიფოს ჩარევის გარეშე; და ავტორმა პირველი დარგთაშორისი ბალანსისა *ფ. კენემ* (1694—1774), რომლის მოდელის შესახებაც ქვემოთ ვილაპარაკებთ.

გამოჩენილი ფილოსოფოსი და ეკონომისტი დ. იუმი (1711—1776), რომელიც ერთგვარად აერთიანებს ეკონომიკის განვითარების ფიზიოკრატიულ და კლასიკურ პერიოდს, შეიძლება ჩაითვალოს ფულის რაოდენობრივი თეორიის ფუძემდებლად და თანამედროვე მონეტარიზმის წინამორბედად. მან შექმნა ფულის მიმოქცევის შესანიშნავი მოდელი, რომელიც დღემდე ფინანსური თეორიის საფუძველია.

კლასიკური ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებელი, ფილოსოფიის და ლოგიკის პროფესორი, გლაზგოს უნივერსიტეტის რექტორი ა. სმიტი (1720—1790) აგვირგვინებდა თავისი სინთეზური შრომებით XVIII ს-ის ეკონომიკას და განსაზღვრა მისი განვითარება XIX საუკუნეში. მან ბევრი რამ აიღო ფიზიოკრატებისგან, მაგრამ, მათგან განსხვავებით, თვლიდა, რომ სიმდიდრის წყაროს წარმოადგენს ნებისმიერი შრომა და არა მარტო სამიწათმოქმედო. სმიტი — ღირებულების შრომითი თეორიის ფუძემდებელია, რომლის თანახმადაც საქონლის ღირებულება განისაზღვრება ძირითადად მის შექმნაზე გაწეული შრომით. მის მთავარ ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ პირველად იქნა სისტემატიზებული სახით გადმოცემული საბაზრო ეკონომიკის თეორიული საფუძვლები. ბაზრის ყოველი მონაწილე, სმიტის მიხედვით, მოქმედებს მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ისწრაფვის რა გაამრავლოს თავისი შემოსავალი, მაგრამ „იგი უხილავი ხელით მიემართება მიზნისაკენ, რომელიც სავსებით არ შედიოდა მის განზრახვებში... მისდევს რა საკუთარ ინტერესებს, ის ხშირად უფრო ქმედითი სახით ემსახურება საზოგადოების ინტერესებს, ვიდრე მაშინ, როცა შეგნებულად სურდა ამის გაკეთება“ [1] „უხილავი ხელი“ — ესაა საბაზრო თვითრეგულირების ობიექტური კანონი. აქედან სმიტი მიდის დასკვნამდე, რომ ყველაზე კარგია არ ჩაერიო ბაზრის მოქმედებაში და „დატოვო ყველაფერი ისე, როგორც მიდის“ — „laissez faire“ სმიტის მიერ გაცხადებული პრინციპი ბაზრის „უხილავი ხელისა“, რომელიც საფუძვლად უდევს მისი თვითრეგულირების შესაძლებლობებს, წარმოადგენს, თანამედროვე გაგებით, უკუკავშირის კიბერნეტიკულ პრინციპს. ამ თვალსაზრისით მან დაასწრო კ. ბერნარისა და ნ. ვინერის კიბერნეტიკულ თეორიებს.

---

1 Смит А. Исследование о природе и причинах богатства народов. - М.: Наука, 1992. - с. 393.

მისმა დიდმა მიმდევარმა *დ. რიკარდომ* (1772—1823) 25 წლის ასაკში მოახერხა ეშოვა ბირჟაზე რამდენიმე მილიონი და თეორიულ ეკონომიკას შეუდგა მაშინ, როცა მიღებული ჰქონდა რიგიანი პრაქტიკული გამოცდილება. მისი ძირითადი შრომა „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“ მიძღვნილია იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ როგორ მოქმედებს წარმოების ზრდაზე მიღებული შემოსავლის განაწილება რენტის, მოგების და ხელფასის სახით. რიკარდომ გაავრცელა „უხილავი ხელის“ პრინციპი საერთაშორისო ვაჭრობაზე და შექმნა შედარებითი უპირატესობების თეორია. მისმა შრომებმა საფუძველი ჩაუყარა შემდგომ მოდელურ მიდგომას ეკონომიკური თეორიის აგებაში. ეკონომიკური მეცნიერების ისტორიკოსთა აზრით, „მკაცრი და თანმიმდევრული თეორეტიკოსის სახით, რომელსაც შეეძლო მიეღო არაჩვეულებრივი შედეგები მისთვის შეთავაზებული შედარებით უბრალო მოდელების ანალიზიდან, რიკარდოს (ალბათ კეინსის გარდა) დღემდე არ ჰყავს ტოლი ეკონომისტებს შორის“ [1]

თვით ყველაზე მოკლე ექსკურსი ეკონომიკურ თეორიაში იქნება არასრული, თუკი არ ვახსენებთ მასში *კ. მარქსის* (1818—1883) მნიშვნელოვან წვლილს. მისი ყველა უფროსი და საშუალო თაობის მეცნიერისათვის კარგად ცნობილი გაფართოებული კვლავწარმოების განტოლებები, არსებითად, ხსნიან ეკონომიკური ზრდის დინამიკურ მოდელთა კლასს. მარქსმა დაწვრილებით გამოიკვლია კაპიტალის წარმოშობის და განვითარების ბუნება. მან გახსნა ზედმეტი ღირებულების ბუნება და გამოიკვლია მისი როლი კაპიტალის დაგროვების პროცესში. მის მიერ დაწვრილებითაა შესწავლილი მოგების ნორმის გათანაბრების კანონზომიერებანი წარმოების სხვადასხვა დარგებში და მასთან დაკავშირებული კაპიტალის გადადინებან. თუმცა მისი მოძღვრება, ვფიქრობთ, იყო ძალზე პოლიტიზირებული და შედე-

1 Костюк В. Н. История экономических учений. М.: Центр. 1997. - с. 50.

გად, გამოყენებული, როგორც ბრძოლის ინსტრუმენტი ხელისუფლებისათვის. მარქსის თეორიული დებულებანი ბევრს დღეს საკამათოდ წარმოუდგება (გვსურს გვენახა მაგალითი ეკონომიკური თეორიისა, რომელიც არ შეიძლება საკამათო გამხდარიყო საუკუნენახევრის შემდეგ. ასეთები არაა.) მართლაც, ინოვაციის და კაპიტალის მნიშვნელობათა გაუთვალისწინებლობას, აგრეთვე შრომის წვლილის გადაჭარბებას დამატებულ ღირებულებაში, როგორც ვხედავთ ადგილი აქვს (თუმცა თანამედროვე პოზიციებიდან არანაკლები პრეტენზია შეიძლება გაგვიჩნდეს წარსულის ყველა დიდი ეკონომისტის მიმართ). მარქსის თეორიის უზარმაზარი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა და გავლენა ახლა შეიძლება უარყონ მხოლოდ აღვირახსნილმა ანტიკომუნისტებმა პოლიტიკური ბრძოლის ცეცხლში.

თითქმის მარქსიზმთან ერთდროულად წარმოიშვა ნეოკლასიკური ეკონომიკა. თუკი კლასიკური თეორია და მარქსიზმი დაკავებული იყო ეკონომიკის ქცევის შესწავლით ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდით, მაშინ ნეოკლასიკა თავის აქცენტს აკეთებს ცალკეული ფირმის ქცევაზე მცირე დროით ინტერვალებში ან სტატიკურ მდგომარეობაში. ამგვარად, ნეოკლასიკური თეორიის საგანს წარმოადგენდა მიკროეკონომიკა. ცენტრალურ ცნებად ამ თეორიაში ხდება სარგებლიანობა (იხ. ზემოთ). ნეოკლასიკაზე გადასვლას ზოგჯერ უწოდებენ მარჟინალისტურ რევოლუციას. ამ თეორიაში ყველა ძირითადი ეკონომიკური კატეგორია, ეფექტები განისაზღვრება მარჟინალური (მარჟა — ნამატი) ან პროდუქტით და დანახარჯების ზღვრული სარგებლიანობის მნიშვნელობით, რომლებიც მათემატიკური თვალსაზრისით წარმოადგენს შესაბამის კერძო წარმოებულებს (სარგებლიანობის და ა.შ.). ნეოკლასიკურ (მარჟინალურ) მიდგომაში მთავარი პრაგმატული ამოცანაა შეზღუდული საშუალებების ოპტიმალური გამოყენება მწარმოებლის მოგებისა და მომხმარებლის სარგებლიანობის მაქსიმიზაციისათვის. ეს ამოცანა დასაშვებს ხდის უბრალო მათემატიკურ ინტერპრეტა-

ციას. ამიტომ ნეოკლასიკური თეორიის ფუძემდებლები — კ. მენგერი, ს. ჯევონსი და ლ. ვალრასი — გახდნენ ამავდროულად მათემატიკური ეკონომიკის და მოდელირების მამამთავრებიც. მარჟინალისტურმა მიდგომამ მათ საშუალება მისცა აღეწერათ საბაზრო ფასის ფორმირება და გამოეყენებინათ იმ დროისათვის ფართოდ განვითარებული მათემატიკური ანალიზი.

ფრანგმა ეკონომისტმა *ლ. ვალრასმა* თავის ძირითად ნაშრომში „წმინდა პოლიტეკონომიის ელემენტები" (1874) შემოგვთავაზა საერთო წონასწორობის მოდელი, რომელსაც დღეს ბაზრის მოდელირებაში ცენტრალური ადგილი უკავია. ამ მოდელში წარმოება და მოხმარება დაკავშირებულია ერთმანეთთან საქონლისა და მომსახურების ბაზრების მეშვეობით. მოცემულ სისტემაში წონასწორობა არის მდგომარეობა, რომლის დროსაც მოთხოვნა და მიწოდება საქონელსა და მომსახურებაზე ტოლია. ამასთან დგინდება წონასწორობის ფასთა რაღაც სისტემა. შევნიშნავთ, რომ საკითხი წონასწორობის ფასთა სისტემის არსებობის შესახებ, მათემატიკური თვალსაზრისით ეკვივალენტურია არაწრფივი განტოლებების სისტემაში გადაწყვეტის პირობების გარკვევისა, კერძოდ, „მოთხოვნა, დამოკიდებული ფასზე, ტოლია მოწოდებისა ყოველი საქონლის მიხედვით, რომელიც აგრეთვე დამოკიდებულია ფასზე", საკმაოდ რთულია მათემატიკურად და იგი გადაწყვეტილ იქნა კერძო შემთხვევის დროს *ერროუს* და *დებრეს* მიერ მხოლოდ 1933 წელს. ვალრასის მოდელს გააჩნია მრავალი ნაკლი. იგი სტატიკურია, მასში არაა ფულის ბაზარი, საერთო წონასწორობა წარმოადგენს იშვიათად მისაღწევ აბსტრაქციას და ა.შ. თუმცა მისი დიდი მეთოდოლოგიური გავლენა არა მარტო ეკონომიკურ მოდელირებაზე, არამედ პრაქტიკულად ყველა ძირითად, თანამედროვე ეკონომიკური სკოლის განვითარებაზე უეჭველია. ვალრასის თეორია განავრცო მისმა მამკვიდრემ პოლიტეკონომიის კათედრაზე ლოზანის უნივერსიტეტში, იტალიელმა ვ. პარეტომ. ერთ-ერთი მისი ახალშემოღებული ძირითადი წესი აღმოჩნდა მრავალკრი-

ტერიუმიანი ამოცანის განხილვა და ამჟამად ფართოდ გამოყენებული ოპტიმალური მდგომარეობანი, რომლის დროსაც შეუძლებელია გააუმჯობესო ვინმეს მდგომარეობა გაცვლის მონაწილეთაგან ისე, რომ არ გააუარესო მათგან თუნდაც ერთის მდგომარეობა.[1]

ა. მარშალმა (1842—1924) შეაჯამა XIX ს-ის ძირითადი მიღწევები და თავის სამტომიან ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“ (1890) მარჟინალისტური რევოლუციის მიღწევების სინთეზირება მოახდინა კლასიკურ ეკონომიკურ თეორიასთან. მარშალმა ძირითადად მიიღო ვალრასის წონასწორობის მოდელი, ხოლო მიწოდების და მოთხოვნის ტოლობის გრაფიკულ გამოსახულებას ეწოდა „მარშალის ჯვარი“ მისი ნაშრომების შემდგომ მოხდა ეკონომიკური თეორიის გაყოფა მიკრო- და მაკრო-ეკონომიკად.

ეკონომიკის განვითარებამ გვიჩვენა იმ მიდგომის უკმარისობა, რომელიც დაფუძნებულია მხოლოდ მიწოდებისა და მოთხოვნის ტოლობაზე. ეს მიდგომა სტატიკურია და იგი, ბუნებრივია, არ ითვალისწინებს დანაზოგებისა და ინვესტიციების შესაძლებელ დროებით განხეთქილებას. ეკონომისტები თანდათან მივიდნენ ფულის ბაზრის გათვალისწინების აუცილებლობასთან, სადაც აგრეთვე მოქმედებს მოთხოვნა და მიწოდება და სადაც განსაკუთრებულ როლს საბანკო პროცენტი ასრულებს. და სხვა ნაკლოვანებები, რომლებიც არსებობდნენ ეკონომიკურ თეორიებში, ვერ ხსნიდნენ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს XX ს-ის 20-იან წლებში, ვერ პოულობდნენ გამოსავალს პრობლემიდან. ამისთვის საჭირო გახდა ახალი თეორია და ახალი მოდელები, შემოთავაზებული XX ს-ის ერთ-ერთი უდიდესი ეკონომისტის, *ჯ. კეინსის* (1883—1946) მიერ, რომელიც თავის დროზე ისმენდა მარშალის ლექციებს.

თავის ძირითად ნაშრომში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936) კეინსმა შემოგვთავაზა

---

1 „ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო“ — წერდა შოთა რუსთაველი.

ეკონომიკური თეორიის კარდინალურად ახალი კონცეფცია და ენა. მისმა ეკონომიკურმა თეორიამ საშუალება მოგვცა დასაქმება, ბანკის პროცენტი, დანაზოგი და მშპ-ს დონე დაგვეკავშირებინა ერთიან, საკმაოდ მტკიცე მოდელად. მან შემოიღო მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების ცნება და თეორიულად ჩამოაყალიბა „შემოსავლის გამრავლების“ მულტიპლიკაციური ეფექტი. მისი არსი შემდგომშია: როცა რაიმე მიზეზით იწყება კრიზისი, წარმოება ეცემა. მუშები ღებულობენ ცოტა ფულს და ამცირებენ მოხმარებას. მოხმარების სიმცირეს მივყავართ წარმოების ახალ შემცირებასთან და ა.შ. კრიზისი მძაფრდება.

კეინსმა შემოგვთავაზა ახალი, რევოლუციური მეთოდი კრიზისიდან გამოსასვლელად, რომელიც დაფუძნებულია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაზე. კერძოდ, კეინსის თეორიის თანახმად, სახელმწიფომ კრიზისის მომენტში უნდა გააფართოვოს საკუთარი მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე. შუაგულ კრიზისში მან უნდა დაიწყოს ფართომასშტაბიანი სამუშაოები, ვთქვათ, გზების მშენებლობა, მაშინ კრიზისის სპირალი დაიწყებს გაშლას უკუ მიმართულებით: საზოგადოებრივ სამუშაოზე მიღებული მუშები დაიწყებენ ხელფასის მიღებას ⇒ ისინი შეძლებენ თავიანთი მოხმარების, და შესაბამისად, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის გაზრდას ⇒ მოთხოვნას გამოეხმაურებიან მეწარმენი და გაზრდიან პროდუქციის გამოშვებას ⇒ ამისათვის ისინი დაიქირავებენ ახალ მუშებს, რომელთა შემოსავლები კვლავ წავა მოხმარებაზე ⇒ მოთხოვნის გაფართოება მიგვიყვანს წარმოების ზრდამდე ⇒ დაიწყება ეკონომიკური აღმავლობა. აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოს თავდაპირველ დანახარჯებს მივყავართ მასთან შედარებით მრავალგზის მულტიპლიკაციურად დიდ ეკონომიკურ ზრდასთან მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს ეფექტი ბრწყინვალედ იქნა აპრობირებული პრაქტიკაში. რუზველტის ახალი კურსის რეალიზაციისას მნიშვნელოვნად იქნა გაფართოებული სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობა საზოგადოებრივი სამუშაოების ჩატარებაზე (გზათა მშენებლობა და ა.შ.). ამან,

სხვა სახელმწიფო რეგულირების ზომებთან ერთად, სწრაფად გამოაცოცხლა ქვეყნის ეკონომიკა და გამოიყვანა იგი „დიდი დეპრესიიდან“ კეინსი არ ითვლებოდა კაბინეტის მეცნიერად. ის იყო ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) და მსოფლიო ბანკის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. სხვათა შორის, კეინსმა თავად შეძლო მოეგო ბირჟაზე 2 მლნ. დოლარი.

კეინსის შემდეგ მთელი ეკონომიკური მეცნიერება გადავიდა ერთნაირ ენაზე, სადაც ყველა ძირითადი კატეგორია გახდა საყოველთაოდ აღიარებული. ეს ენა გახდა საერთო ყველა ეკონომისტისათვის, მათ შორის, თანამედროვე ეკონომიკური სკოლებისთვის, რომელთაც საწინააღმდეგო შეხედულებები ჰქონდათ. მაგალითად, სწორედ ამ თვალსაზრისით განაცხადა ცნობილმა მონეტარისტმა მ. ფრიდმანმა: „ახლა ჩვენ ყველა კეინსიანელები ვართ“ კეინსის მიერ შემოთავაზებულმა მიდგომამ მოიპოვა საყოველთაო აღიარება, რამაც საშუალება მისცა კეინსიანელ ფ. მოდილიანის ეთქვა, რომ „არ არსებობს სერიოზული ანალიტიკური განსხვავებანი წამყვან მონეტარისტებსა და წამყვან არამონეტარისტებს შორის“ კეინსმა მათემატიკური მიკროდონის სფერო, რითაც ძირითადად ოპერირებდა მარჟინალისტური თეორია, გააფართოვა მაკროდონემდე.

თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში აქტიურად მოქმედებს და მეტოქეობს რამდენიმე სამეცნიერო მიმართულება (სქემა 2.1). ესენია:

- *კეინსიანელები,* რომელთა განმასხვავებელი ნიშანია აქცენტირებული ყურადღება ბაზრის სახელმწიფო რეგულირების პრობლემებზე;
- *ნეოკლასიკოსები,* რომლებიც ძირითადად ემხრობიან საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაციის პრინციპს;
- *მონეტარისტები* თვლიან, რომ ეკონომიკის ძირითად მარეგულირებელ ფაქტორს წარმოადგენს ფულადი აგრეგატები;

- *ინსტიტუციონალისტები*, რომლებიც ეკონომიკური სისტემის ანალიზს ახდენენ მისი ძირითადი ინსტიტუტების პრიზმით, ე.ი. ეკონომიკური და სოციალური ქცევის ფორმალური (ნორმატიულად და საკანონმდებლოდ გაფორმებული) და არაფორმალური (ტრადიციები, საქმიანი ურთიერთობების ჩვევები და ა.შ.) წესებით.


ასეთი დაყოფა თუმცა საყოველთაოდ მიღებულია, მაგრამ მაინც ძალზე პირობითია. რიგი სკოლების მეთოდოლოგიური მიდგომები ურთიერთდაფარვადია. არის არაერთი ცნობილი მეცნიერი, რომელთა შრომას გააჩნია სინთეზური ხასიათი და არ შეიძლება მივაკუთვნოთ რომელიმე ზემოთ ნახსენებ სამეცნიერო მიმართულებას. რაც შეეხება მათემატიკურ აპარატსა და მოდელებს, ყველა სკოლის წარმომადგენელი იყენებს პრაქტიკულად იდენტურ მათემატიკური ანალიზის ტექნიკას. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანამედროვე დასავლეთის ეკონომიკაში ძნელია იპოვო მეცნიერი, რომელმაც მიაღწია კარგ შედეგებს მათემატიკური მოდელების გამოყენების გარეშე. ამან საშუალება მისცა ნობელის პრემიის ლაურეატს, დებრეს, 1983 წ. ეთქვა შემდეგი: „ეკონომიკური თეორია თითქმის ყველა თავის მიღწევას ომისშემდგომ პერიოდში უნდა უმადლოდეს მატემატიკური ანალიზის გამოყენებას". სხვათა შორის, სწორედ ამის წყალობით, თანამედროვე ეკონომისტებისა უმრავლესობას მინიჭებული აქვთ ნობელის პრემია ეკონომიკაში, რომელიც 1969 წელს დაწესდა.

ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების განვითარების თეორიებს განვიხილავთ პროფ. ა. ბულატოვის სახელმძღვანელოზე დაყრდნობით[1].

საერთაშორისო ვაჭრობის მერკანტილისტური თეორია. საერთაშორისო ვაჭრობის თეორიათაგან პირველი შეიქმნა მერკანტილისტური თეორია, რომელიც შემუშავებული იყო

---

1 იხ. წიგნი: მსოფლიო ეკონომიკა. გ. თოდუას და შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბ., 2001.



სქემა 2.1. ეკონომიკური მეცნიერების ხე.

და ხორციელდებოდა XVI-XVIII საუკუნეებში. *ამ თეორიის მომხრენი არ ითვალისწინებდნენ იმ სარგებელს, რომელსაც შრომის საერთაშორისო დანაწილების დროს ქვეყნები უცხოური საქონლისა და მომსახურების იმპორტისაგან იღებენ, ეკონომიკურად გამართლებულად მიაჩნდათ მხოლოდ ექსპორტი.* ამიტომ მერკანტილისტები თვლიდნენ, რომ ქვეყანამ უნდა შეზღუდოს იმპორტი (ნედლეულის იმპორტის გარდა), ეცადონ ყველაფერი თვითონ აწარმოონ, აგრეთვე, ყოველნაირად წაახალისონ მზა ნაწარმის ექსპორტი, გაზარდონ ვალუტის (ოქროს) შემოტანა. ქვეყანაში დადებითი სავაჭრო ბალანსის შედეგად ოქროს ნაკადი გაზრდიდა კაპიტალის დაგროვების შესაძლებლობებს და ამით ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, დასაქმებასა და აყვავებას.

ამ თეორიის მთავარი ნაკლია ის, რომ საქონელგაცვლა გარიგების ზოგიერთ მონაწილესათვის (ამ შემთხვევაში ექსპორტიორი ქვეყანასათვის) ეკონომიკურად სარგებლიანია, თუმცაიმავდროულად ეკონომიკური ზარალი მოაქვს სხვებისათვის (იმპორტიორი ქვეყნებისათვის). მერკანტილიზმის მთავარ ღირსებად მიიჩნევენ ექსპორტის მხარდაჭერის პოლიტიკას, რომელიც შეხამებული იყო აქტიურ პროტექციონიზმთან და სამამულო მონოპოლისტთა მხარდაჭერასთან. რუსეთში ყველაზე დიდი მერკანტილისტი, ალბათ, *პეტრე პირველი* იყო, რომელიც ყოველნაირად უწყობდა ხელს რუსეთის მრეწველობას და საქონლის ექსპორტს, მათ შორის მაღალი შემოსატანი ბაჟების, სამამულო მონოპოლისტებისათვის პრივილეგიათა მინიჭების მეშვეობით.

აბსოლუტურ უპირატესობათა თეორია. სრულიად სხვა წანამძღვრებიდან (მერკანტილისტურ თეორიასთან შედარებით) მომდინარეობდა აბსოლუტურ უპირატესობათა თეორია. მისი შემქმნელი ადამ სმითი თავისი განთქმული წიგნის „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1776) პირველ თავს იწყებს სიტყვებით, რომ „უდიდესი პროგრესი შრომის მწარმოებლური ძალის განვითარებაში და მეტი წილი დახელოვნების, ხელმარჯვეობის

და საზრიანობისა, რომლითაც შრომა წარიმართება ან სრულდება, როგორც ეტყობა, შრომის დანაწილების შედეგი იყო". შემდეგ გამოაქვს დასკვნა: „თუ რომელიმე უცხო ქვეყანას შეუძლია მოგვამარაგოს გარკვეული სახეობის საქონლით უფრო იაფად, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია იგი დავამზადოთ, გაცილებით უკეთესია შევიძინოთ ეს მისგან იმ დარგში გამოყენებული ჩვენი საკუთარი სამრეწველო შრომის პროდუქტის გარკვეული ნაწილის საფასურად, რომელშიც ერთგვარი უპირატესობა გვაქვს".

აბსოლუტურ უპირატესობათა თეორია მოწმობს, რომ ქვეყნისათვის უმჯობესია შემოიტანოს ის საქონელი, რომლის წარმოებაც უფრო მეტი უჯდება, ვიდრე საზღვარგარეთის ქვეყნებს და გაიტანოს ის საქონელი, რასაც საზღვარგარეთთან შედარებით ნაკლებ ხარჯებს ახმარს, ე. ი. აბსოლუტური უპირატესობა აქვთ. მერკანტილისტებისაგან განსხვავებით, *ა. სმითი ქვეყნის შიგნით და მსოფლიო ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის მომხრე იყო და იზიარებდა ფიზიოკრატთა ფრანგული ეკონომიკური სკოლის მიერ წამოყენებულ სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩაურევლობის პრინციპს — „Laisser - faire"-ს.*

აბსოლუტურ უპირატესობათა თეორიის ყველაზე ძლიერ მხარედ ის უნდა მივიჩნიოთ, რომ იგი ცხადყოფს უპირატესობებს საერთაშორისო ვაჭრობის ყველა მონაწილისათვის, ხოლო სუსტ მხარედ ის, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში ადგილს არ უტოვებს იმ ქვეყნებს, რომლებშიც ყველა საქონელი წარმოებულია სხვა სახელმწიფოთა მიმართ აბსოლუტური უპირატესობების გარეშე.

შეფარდებით უპირატესობათა თეორია. აბსოლუტურ უპირატესობათა თეორიის აღნიშნულმა ნაკლმა სტიმული მისცა შეფარდებით უპირატესობათა თეორიის წარმოქმნას. ყოფილმა ლონდონელმა დილერმა *დევიდ რიკარდომ* თავის წიგნში „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის პრინციპები" (1817 წ.) ამ თეორიას მიუძღვნა თავი, რომელშიც *დაამტკიცა, რომ ხელსაყრელია საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობდეს ყველა ქვეყანა.* პორტუგალიასა და ინგლისში

ღვინისა და მაუდის წარმოებასთან დაკავშირებული თავისი განთქმული პირობითი მაგალითით მათემატიკური სიზუსტით დაამტკიცა, რომ თუმცა პორტუგალიაში ამ ორი საქონლის წარმოება უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ინგლისში (ე. ი. პორტუგალიას აქვს აბსოლუტური უპირატესობანი ორივე საქონლის მიხედვით), მაგრამ მაინც მისთვის უფრო ხელსაყრელია დასპეციალდეს ღვინის წარმოებასა და ექსპორტზე, რადგან მაუდის წარმოებასთან შედარებით ნაკლები ხარჯებით აწარმოებს. თავის მხრივ, ინგლისისათვის მიზანშეწონილია დასპეციალდეს მაუდის წარმოებასა და ექსპორტზე, რადგან მისი წარმოების ხარჯები ღვინის წარმოებასთან შედარებით ნაკლებია და უფრო ხელსაყრელია ღვინო პორტუგალიიდან შეიტანოს ინგლისური მაუდის სანაცვლოდ.

დავუშვათ, რომ 25 მეტრი სიგრძის მაუდის ნაჭერი იცვლება 50 ლიტრი ტევადობის ღვინის კასრზე და რომ წარმოების ხარჯები იზომება მხოლოდ შრომის დანახარჯებით. მაუდის ნაჭრის წარმოებაზე პორტუგალიაში იხარჯება 90 მუშაკის წლიური შრომა, ინგლისში — 100 მუშაკისა, კასრი ღვინის წარმოებაზე კი შესაბამისად 80 და 120 მუშაკის წლიური შრომა.

თუ პორტუგალია უარს იტყვის მაუდის წარმოებაზე და მას ინგლისიდან შეიტანს, თითოეულ ნაჭერზე დაზოგავს თავის 10 მუშაკის წლიურ შრომას. თავის მხრივ, თუ ინგლისი უარს იტყვის ღვინის წარმოებაზე, ისიც თითოეულ კასრზე დაზოგავს თავისი 20 მუშაკის წლიურ შრომას.

ამ მაგალითით ნაგულისხმევია, რომ შრომის ანაზღაურება ორივე ქვეყანაში ერთნაირია. მაგრამ იგი თუნდაც სხვადასხვა იყოს, მას, როგორც რიკარდოს მიმდევრები ამტკიცებდნენ, პრინციპული ცვლილებანი არ შეაქვს შედარებით უპირატესობათა თეორიაში. ჩვენს შემთხვევაში, თუ შრომის ანაზღაურების დონე პორტუგალიაში, ვთქვათ, ორჯერ დაბალია, ვიდრე ინგლისში, პორტუგალია გაცვლის შედეგად კვლავინდებურად მოგებას იღებს, მაგრამ უკვე არა ორჯერ, არამედ ოთხჯერ ნაკლებს, ვიდრე ინგლისი, მას კი, პირიქით, ორჯერ კი არა, არამედ ოთხჯერ მეტი მოგება ექნება. ამის გამოანგა-

რიშება ძნელი არ იქნება, თუ მეღვინეთა და მქსოველთა წლიურ ხელფასს პორტუგალიაში პირობითად განვსაზღვრავთ 1000 გირვანქა სტერლინგად, ხოლო მათ ხელფასს ინგლისში — 2000 გირვანქა სტერლინგად.

შეფარდებით უპირატესობათა თეორიის თანახმად, მიზანშეწონილია, ქვეყანამ განახორციელოს იმ საქონლისა და მომსახურების ექსპორტი, რომელთა წარმოებასა და მიწოდებაში *შეფარდებით* უფრო მაღალ წარმოებლურობას ფლობს. მეორე მხრივ, უფრო მიზანშეწონილია საქონლის (მომსახურების) იმპორტი *იმ ქვეყნებიდან*, რომლებიც ამ საქონელთა წარმოებაში *შეფარდებით* უფრო მაღალ მწარმოებლურობას გააჩნიათ. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, შეფარდებით უპირატესობათა თეორიის მიხედვით ქვეყანამ უნდა გაიტანოს ის საქონელი (მომსახურება), რომლის *ალტერნატიული დანახარჯი* სხვა ქვეყანასთან შედარებით ნაკლები აქვს. ამრიგად, შეფარდებით უპირატესობათა თეორიის საფუძველზე ქვეყანამ უნდა შეიტანოს ის საქონელი, რომლის წარმოების ხარჯები ქვეყანაში უფრო მაღალია, ვიდრე ექსპორტირებული საქონლისა. შემდგომ ეკონომისტებმა დაამტკიცეს, რომ ეს თეორია ვრცელდება არა ორ ქვეყანასა და ორ საქონელზე, არამედ ნებისმიერი რაოდენობის სახელმწიფოსა და საქონელზე.

შეფარდებით უპირატესობათა თეორიის მთავარი ღირსება იმის დამაჯერებელი დადასტურებაა, რომ საერთაშორისო ვაჭრობა ხელსაყრელია მისი ყველა მონაწილისათვის, თუმცა ზოგს მან შეიძლება ნაკლები სარგებლობა მოუტანოს (ჩვენი მაგალითით — პორტუგალია), ზოგს — მეტი (ინგლისი). ეს არის სწორედ რიკარდოელთა თეორიის უდიდესი დამსახურება, რომელიც ადასტურებს, რომ საგარეო ვაჭრობაშიც მტკიცდება სმითის იდეა იმის შესახებ, თუ რაოდენ ხელსაყრელია შრომის დანაწილება ყველა მისი მონაწილისათვის. რიკარდოს თეორიის ძირითად ნაკლად შეიძლება ის მივიჩნიოთ, *რომ იგი არ ხსნის, თუ რამ გამოიწვია, განაპირობა შედარებითი უპირატესობანი.*

წარმოების ფაქტორების თანაფარდობის თეორია. ზემოთ დასმულ კითხვას საკმაოდ საფუძვლიანად უპასუხებს წარმო-

ების ფაქტორების თანაფარდობის თეორია, რომელიც შეიმუშავეს შვედმა ეკონომისტებმა *ელი ჰეკშერმა* და *ბერტილ ოლინმა* და დაწვრილებით არის გაშუქებული ამ უკანასკნელის წიგნში „სარეგიონთაშორისო და საერთაშორისო ვაჭრობა“ (1933 წ.). იყენებს რა წარმოების ფაქტორების (ეკონომიკური რესურსების) კონცეფციას, რომელიც შექმნა ფრანგმა მეწარმემ და ეკონომისტმა ჟ.-ბ. სეიმ, ჰეკშერ-ოლინის თეორია ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ *ქვეყნებში სხვადასხვანაირია ეს ფაქტორები* (უფრო ზუსტად, *შრომა* და *კაპიტალი*, რადგან ჰეკშერმა და ოლინმა ყურადღება მიაპყრეს მხოლოდ ორ ფაქტორს). ქვეყანაში თუ ჭარბადაა ერთი ფაქტორები, ისინი უფრო იაფია მწირი ფაქტორების მქონე ქვეყანასთან შედარებით. ნებისმიერი პროდუქციის წარმოება მოითხოვს ფაქტორების კომბინაციას და საქონელი, რომლის წარმოებაში მეტია შედარებით იაფი, ჭარბი ფაქტორები, *შედარებით იაფი იქნება* ქვეყნის შიგნითაც და საგარეო ბაზარზეც და *ამით შედარებითი უპირატესობანიც ექნება*. ჰეკშერ-ოლინის თეორიის თანახმად, ქვეყანას გააქვს ის საქონელი, რომლის გამოშვება ეფუძნება მისთვის ჭარბ წარმოების ფაქტორებს, ხოლო შემოაქვს ისეთი საქონელი, რომლის გამოსაშვებად წარმოების უარესი ფაქტორები აქვს.

ლეონტიევის პარადოქსი. ჰეკშერ-ოლინის თეორიას იზიარებს თანამედროვე ეკონომისტთა უმრავლესობა. მაგრამ იგი ყოველთვის როდი იძლევა უშუალო პასუხს კითხვაზე, რატომ არის, რომ ესა თუ ის საქონელი ჭარბობს ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტში. წარმოშობით რუსმა ამერიკელმა ეკონომისტმა ვ. ლეონტიევმა, როცა გამოიკვლია *ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობა 1947, 1951 და 1967 წლებში*, აღნიშნა, რომ შედარებით იაფი კაპიტალისა და ძვირი მუშახელის მქონე ეს ქვეყანა საერთაშორისო ვაჭრობაში ჰეკშერ-ოლინის თეორიის შესაბამისად როდი მონაწილეობს: *უფრო კაპიტალტევადი გამოდგა არა ექსპორტი, არამედ იმპორტი*. ეგრეთწოდებულ ლეონტიევის პარადოქსს სხვადასხვანაირად ხსნიდნენ: მაღალკვალიფიციური ამერიკის მუშახელი თავისი მომზადებისათვის კაპიტა-

ლის დიდ დანახარჯებს მოითხოვს (ე. ი. სულ უფრო მეტი ამერიკული კაპიტალი ბანდდება ადამიანურ რესურსებში, ვიდრე საწარმოო სიმძლავრეებში); ამერიკული საექსპორტო საქონლის წარმოებაზე დიდი მოცულობით იხარჯება იმპორტირებული მინერალური ნედლეული, რომლის მოპოვებასაც დასჭირდა უზარმაზარი ფინანსური სახსრები (ისევ ამერიკის შეერთებული შტატებიდან). მაგრამ მთლიანად *ლეონტიევის პარადოქსი იმის გაფრთხილებაა, რომ სწორხაზოვნად არ გამოიყენონ ჰექშერ-ოლინის თეორია*, რომელიც, როგორც შემდგომმა მისმა ტესტირებამ ცხადყო, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ამართლებს, მაგრამ არა ყოველთვის.

მაგალითისათვის აღვნიშნავთ, რომ რუსეთს მიაკუთვნებენ უფრო ჰექშერ-ოლინის თეორიისათვის ტიპურ შემთხვევას: ბუნებრივი რესურსების სიუხვე, ნედლეულის გადამმუშავებელი (მეტალურგია, ქიმია) დიდი საწარმოო სიმძლავრეების (ე.ი. რეალური კაპიტალის) და მთელი რიგი მოწინავე ტექნოლოგიების (უპირატესად შეიარაღებისა და სამხედრო დანიშნულების საქონლის წარმოებაში) არსებობა განსაზღვრავს კიდეც ნედლეულის, უბრალო მეტალურგიული და ქიმიური პროდუქციის, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის დიდ ექსპორტს. ამავე დროს, ჰექშერ-ოლინის თეორია პასუხს ვერ სცემს კითხვას, რატომ არის, რომ უზარმაზარი სასოფლო-სამეურნეო რესურსების მქონე თანამედროვე რუსეთიდან .ძალიან ცოტა სოფლის მეურნეობის პროდუქცია გადის და, პირიქით, დიდძალი ეს პროდუქცია შეაქვს; რატომ ხდება, რომ ქვეყანას, რომელსაც მნიშვნელოვნად იაფი და კვალიფიციური მუშახელი ჰყავს, ნაკლები გააქვს, მაგრამ უფრო ბევრი შემოაქვს სამოქალაქო მანქანათსაშენებელი პროდუქცია. როგორც ჩანს, ამა თუ იმ საქონლით *საერთაშორისო ვაჭრობის მიზეზები არ კმარა მხოლოდ იმით ავხსნათ, რომ ქვეყანას წარმოების სხვადასხვანაირი ან მეტ-ნაკლები ფაქტორები აქვს. მნიშვნელოვანია ისიც, თუ რამდენად ეფექტიანად არის გამოყენებული ეს ფაქტორები ამა თუ იმ ქვეყანაში.*

კონკურენტულ უპირატესობათა თეორია. წარმოების ფაქტორების ეფექტიანი გამოყენების საკითხს ეძღვნება სწორედ ამერიკელი პროფესორის მაიკლ პორტერის კონკურენტულ უპირატესობათა თეორია. თავის წიგნში „საერთაშორისო კონკურენცია“ (1990 წ.) 10 ქვეყნის 100-ზე მეტი დარგისა და ქვედარგის ანალიზის საფუძველზე გამოაქვს დასკვნა, რომ ეროვნული ფირმების ამ დარგებსა და ქვედარგებში მოქმედი *საერთაშორისო კონკურენტული უპირატესობანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მაკროგარემოში ხორციელდება მათი საქმიანობა საკუთარ ქვეყანაში.* მაკროგარემო განისაზღვრება არა მარტო წარმოების ფაქტორებით, არამედ საშინაო ბაზარზე მოთხოვნის ხასიათით (მას შეუძლია ფირმას დახმარება გაუწიოს საგარეო ბაზარზე გასვლის წინ სიმწიფის მიღწევაში), მონათესავე და მომიჯნავე დარგების განვითარებით, ქვეყანაში მენეჯმენტისა და კონკურენციის დონით, აგრეთვე მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკითა და შემთხვევითი მოვლენებითაც (ომით, მოულოდნელი გამოგონებებითა და ა.შ.). ამ ექვსი მთავარი პარამეტრის შეხამება (განსაკუთრებით პირველი ოთხისა, რომლებსაც პორტერი დეტერმინანტებს უწოდებს) განსაზღვრავს ფირმების, ქვედარგებისა და ქვეყნების კონკურენტულ უპირატესობებს მსოფლიო ბაზარზე.

საერთაშორისო ვაჭრობის სხვა თეორიები. არსებობს საერთაშორისო ვაჭრობის თეორიები, რომლებიც შედარებით უპირატესობებს კი არ უკავშირდებიან, არამედ *ავსებენ მას.* მაგალითად, ამერიკელი ეკონომისტის *პოლ კრუგმანის მასშტაბის ეფექტის თეორია* (საერთაშორისო ვაჭრობის თეორია მონოპოლისტური კონკურენციის საფუძველზე) განმარტავს, თუ რატომ ვაჭრობენ ერთმანეთთან ქვეყნები, რომლებსაც წარმოების ერთნაირი ფაქტორები აქვთ. მონოპოლისტური კონკურენციის ფარგლებში ჩვეულებრივ მიმდინარე წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე, მცირდება ყოველი ერთეული პროდუქციის წარმოების ხარჯები. ამის გამო ასეთი ქვეყნებისათვის ხელსაყრელი ხდება დას-

პეციალდნენ და გაუცვალონ კიდეც ერთმანეთს ტექნოლოგიურად ერთგვაროვანი, მაგრამ დიფერენცირებული პროდუქცია (ეგრეთ წოდებული შიდადარგობრივი ვაჭრობა).

კრუგმანის თეორიას უახლოვდება უნგრული წარმოშობის ინგლისელი ეკონომისტის *ბელა ბალასის შიდადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის თეორია*. მან ყურადღება მიაპყრო არა მარტო სხვადასხვა ქვეყნების მომხმარებელთა მასშტაბის ეფექტს, არამედ განსხვავებებსაც მათ გემოვნებაში, მათი სასაზღვრო რეგიონების გეოგრაფიულ სიახლოვეს, იმასაც, რომ ერთმანეთს არ ემთხვევა სასოფლო-სამეურნეო სეზონები.

ეგრეთ წოდებული *საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული მოდელის შემმუშავებლებს, ინგლისელ ეკონომისტებს ექუორტსა და მარშალს, აგრეთვე, ავსტრიული წარმოშობის ამერიკელ ეკონომისტს ჰაბერლერს სმითის, რიკარდოს, ჰექშერ-ოლინის თეორიები* მიაჩნდათ უფრო საერთო სურათის კერძო შემთხვევებად, რომლისთვისაც ამა თუ იმ საქონელზე ან საქონლის ჯგუფზე ერთი ქვეყნის სრული სპეციალიზაცია დამახასიათებელი არ არის.

ასეთია მთავარი თეორიები, რომლებიც განმარტავენ ქვეყნებს შორის საქონლისა და მომსახურების ვაჭრობის მიზეზებს. ახლა მოკლედ მიმოვიხილოთ თეორიები, რომლებიც ხსნიან ქვეყნებს შორის საწარმოო ფაქტორების მოძრაობას.

ჰექშერ-ოლინის თეორიის გამოყენება წარმოების ფაქტორების მოძრაობის ახსნისათვის. ჰექშერ-ოლინის თეორიაში ორივე ფაქტორი — შრომა და კაპიტალი მობილურია და შეიძლება გადაადგილდეს ქვეყნებს შორის. ამით ისინი ავსებენ, ზოგჯერ კი ცვლიან კიდეც საერთაშორისო ვაჭრობას, როგორც ეს ხდება, მაგალითად, კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობასთან დაკავშირებით, რომლის ბაზაზე საზღვარგარეთ აწარმოებენ იმ საქონელს, რომელიც სხვაგვარად იქ ექსპორტირებული შეიძლება ყოფილიყო.

ამერიკელი ეკონომისტის პოლ სამუელსონის მიერ ჰექშერ-ოლინის თეორიიდან გამოტანილი მეორე დასკვნა ის

არის, რომ ქვეყნებს შორის წარმოების ფაქტორების გადაადგილებას ფასების გათანაბრება, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, სხვადასხვა ქვეყნებში ამ ფაქტორებზე *ფასების თანაფარდობის გათანაბრება მოსდევს. ამგვარ დასკვნას ხშირად ჰეკშერ-ოლინ-სამუელსონის თეორემას უწოდებენ.*

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ტრადიციული თეორიები. მრავალი თეორია და მოდელი არსებობს, რომლებიც ცალკეული ფაქტორების, უწინარეს ყოვლისა, კაპიტალის გადაადგილებას ხსნიან. მაგალითად, საკითხს, თუ რატომ შეაქვთ და გააქვთ კაპიტალი, ეძღვნება ბევრი თეორია, უწინარეს ყოვლისა, ტრადიციული. მასში ჩვეულებრივად იგულისხმება კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ნეოკლასიკური და ნეოკეინსიანური, ზოგჯერ კი მარქსისტული თეორიაც.

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ნეოკლასიკურ თეორიას საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური თეორიის ერთერთმა კლასიკოსმა, ინგლისელმა ეკონომისტმა *ჯონ სტიუარტ მილმა.* თავის სახელმძღვანელოში „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები“ (პირველი გამოცემა გამოვიდა 1848 წ.) მან *გვიჩვენა, რომ კაპიტალი ქვეყნებს შორის მოძრაობს მოგების ნორმაში განსხვავების გამო,* რომელსაც კაპიტალით ყველაზე მდიდარ ქვეყნებში აქვს შემცირების ტენდენცია, რასაც რიკარდოც ამტკიცებდა. ამასთან, მილი ხაზს უსვამდა, რომ ქვეყნებს შორის მოგების ნორმებში მერყეობა არსებითი უნდა იყოს, რათა ის რისკიც დაფაროს, რომელიც უცხოელ ინვესტორს აქვს სხვა ქვეყანაში. იგი წერდა, რომ „ქვეყნებში, რომლებიც დღემდე ბარბაროსულად ითვლება, ანდა ისეთ ქვეყნებში, როგორიც რუსეთი და თურქეთია, სადაც ცივილიზაციის პროცესი ეს-ეს არის დაიწყო, კაპიტალი მიგრირებს მხოლოდ ძალიან მაღალი ზემოგების მიღების პერსპექტივით“.

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ნეოკლასიკური თეორიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ჰეკშერმა და ოლინმა წარმოების ფაქტორების თანაფარდობის თავიანთი თეორიის ფარგლებში. მაგალითად, ოლინი ეხებოდა

დამატებით მომენტებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაზე: *საბაჟო ბარიერებს* (ხელს უშლიან საქონლის შეტანას და ამით საზღვარგარეთელ მიმწოდებლებს უბიძგებენ შეიტანონ კაპიტალი ადგილზე საქონლის წარმოების ორგანიზაციისათვის), *ფირმების მისწრაფებას ნედლეულის გარანტირებული წყაროებისა და კაპიტალდაბანდებათა გეოგრაფიული დივერსიფიკაციისაკენ, პოლიტიკურ უთანხმოებებსა და ქვეყნებს შორის სიახლოვეს* (მაგალითად ოლინი ასახელებდა პირველი მსოფლიო ომის წინ რუსეთში ფრანგული კაპიტალის დიდ მოზღვავებას). მან ეკონომისტთაგან პირველმა აღნიშნა, რომ კაპიტალის გატანის მიზანი იყო თავიდან აეცილებინათ დიდი დაბეგვრა და, ამასთან, მკვეთრად შეემცირებინათ სამშობლოში ინვესტიციების უსაფრთხოება. და ბოლოს, *ოლინმა საზღვარი გაავლო გრძელვადიანი კაპიტალისა და მოკლევადიანი კაპიტალის ექსპორტს შორის* (ამ უკანასკნელს, მისი აზრით, ჩვეულებრივ სპეკულაციური ხასიათი აქვს), რომელთა შორისაა საექსპორტო კრედიტების გატანა.

ნეოკლასიკური თეორიის შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, რომ იგი ნაკლებად გამოსადეგია პირდაპირი ინვესტიციების შესასწავლად, რადგან მისი ერთ-ერთი მთავარი წანამძღვარი — სრულყოფილი კონკურენციის არსებობა — მის მომხრეებს არ აძლევს შესაძლებლობას გააანალიზონ ის საფირმო უპირატესობანი (როგორც ეკონომიკურ თეორიაშია განმარტებული — მონოპოლისტური), რომლებსაც ჩვეულებრივ ეფუძნება კიდეც პირდაპირი ინვესტიციები.

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ნეოკეინსიანური თეორია განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს კავშირისადმი კაპიტალის მოძრაობასა და ქვეყნის საგადასახდელო მოძრაობის მდგომარეობას შორის. თავად კეინსი ოლინთან პოლემიკის დროს აღნიშნავდა, რომ ქვეყნიდან კაპიტალი მაშინ გაჰქონდათ, როცა საქონლისა და მომსახურების ექსპორტი აღემატება მათ იმპორტს (რათა საქონლის მყიდველ ქვეყნებს მიეცეთ მათი შემოტანის დაფინანსების საშუალება), ამ წესის დარღვევის შემთხვევაში კი საჭირო იყო სახელ-

მწიფოს ჩარევა. ნეოკეინსიანური თეორიის კალაპოტშია *კაპიტალის გატანის მოდელებიც, ლიკვიდურობის უპირატესობას ეფუძნება*, რომელიც გულისხმობს, რომ ინვესტორი ავლენს მიდრეკილებას თავისი რესურსების ერთი ნაწილი შემოინახოს მაღალლიკვიდური (ამიტომ დაბალშემოსავლიანი) ფორმით, მეორე ნაწილი კი დაბალლიკვიდური (მაგრამ მომგებიანი) ფორმით. მაგალითად, ამერიკელმა ეკონომისტმა *ჯეიმს ტობინმა წამოაყენა პორტფელური ლიკვიდურობის კონცეფცია*, რომლის თანახმად, ინვესტორის ქცევას განსაზღვრავს სურვილი მოახდინოს თავისი ფასიანი ქაღალდების პორტფელის დივერსიფიკაცია (მათ შორის უცხოური ფასიანი ქაღალდების ხარჯზე), ამასთან, აწონდაწონოს შემოსავლიანობა, ლიკვიდურობა და რისკი.

კიდევ ერთმა ამერიკელმა ეკონომისტმა ჩარლზ კინდლებერგერმა, ავითარებდა რა მოცემულ კონცეფციას, გამოიტანა დასკვნა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში კაპიტალის ბაზარს ახასიათებს ლიკვიდურობის სხვადასხვა უპირატესობა და ამიტომ შესაძლებელია ქვეყნებს შორის საპორტფელო ინვესტიციების აქტიური გაცვლა.

კაპიტალის საერთაშორისო გატანის მეორე თეორიის ფუძემდებელი *კარლ მარქსი* კაპიტალის გატანას იმით ასაბუთებდა, რომ იგი ჭარბად იყო კაპიტალის ექსპორტიორ ქვეყნებში. კაპიტალის სიჭარბედ (ეკონომიკის კლასიკოსების მსგავსად) მას მიაჩნდა ისეთი კაპიტალი, რომლის გამოყენება ქვეყანაში გამოიწვევდა მოგების ნორმების შემცირებას. ჭარბი კაპიტალი სამი ფორმით მოქმედებს: სასაქონლო, საწარმოო (ჭარბი საწარმოო სიმძლავრეები და სამუშაო ძალა) და ფულადი. საქონლის ექსპორტისა და კაპიტალის ექსპორტის მეშვეობით ეს სიჭარბე (რეალური ან პოტენციური) საზღვარგარეთ გადის. ამგვარი შესაძლებლობა ჩნდება მას შემდეგაც, რაც ქვეყნების უმრავლესობა მსოფლიო კაპიტალის ორბიტაში მოექცევა და მათში შეიქმნება წინასწარი პირობები (უწინარეს ყოვლისა, საწარმოო ინფრასტრუქტურა, თუმცა ხშირად თვით უცხოური კაპიტალი ქმნის კიდეც ამ ინფრასტრუქტურას).

პირდაპირ ინვესტიციათა მოდელები. ზემოთ აღნიშნული თეორიები ძირითად ყურადღებას უთმობენ კაპიტალის გატანას სესხის ფორმით, ნაწილობრივ — პორტფელის ინვესტიციების ფორმით, მაგრამ ნაკლებად ეხება კაპიტალის მოძრაობას. პირდაპირი ინვესტიციების ფორმით. XX საუკუნის მეორე ნახევარში პირდაპირი ინვესტიციებს სწრაფმა ზრდამ სტიმული მისცა პირდაპირი ინვესტიციების რამდენიმე მოდელის შექმნას.

მონოპოლისტურ უპირატესობათა მოდელი შეიმუშავა ამერიკელმა ეკონომისტმა *სტივენ ჰაიმერმა*, შემდეგ კი განავითარეს ჩ. კინდლებერგერმა და სხვა ეკონომისტებმა. მისი საფუძველია იდეა, რომ უცხოელი ინვესტორი ადგილობრივთან შედარებით უფრო არახელსაყრელ სიტუაციაშია: მან ცუდად იცის ქვეყნის ბაზარი და იქ „თამაშის წესები“, არა აქვს ვრცელი კავშირურთიერთობა, მას მოსდის დამატებითი სატრანსპორტო ხარჯები და მეტად აწუხებს რისკიც. ამიტომ მას სჭირდება დამატებითი, ეგრეთ წოდებული მონოპოლისტური (ესე იგი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი) უპირატესობანი ადგილობრივ კონკურენტთან შედარებით, რომელთა მეოხებით უფრო დიდ მოგებას მიიღებდა. ეს არის პრემია საინვესტიციო რისკისათვის (რაზეც მილი და ოლინი წერდნენ), რომელსაც იღებენ მონოპოლისტური კონკურენციის დროს წარმოქმნილი უპირატესობების მეოხებით.

უცხოელი ინვესტორებისათვის მონოპოლისტური უპირატესობანი შესაძლებელია: ადგილობრივ სასაქონლო ბაზრებზე არასრულყოფილი კონკურენციის გზით (თუ მას აქვს ორიგინალური პროდუქტი); ეკონომიკური რუსერსების ბაზრებზე არასრულყოფილი კონკურენციით (როცა უცხოურ ფირმას აქვს სრულყოფილი ტექნოლოგია, დიდი სამეწარმეო გამოცდილება, ადვილად მიუწვდება ხელი კრედიტზე); უპირატესობებით მასშტაბებში (რის ხარჯზეც შეიძლება მოგების მეტი მასის მიღება); უცხოური ინვესტიციების ხელსაყრელი სახელმწიფო რეგულირების გზით (განსაკუთრებული შეღავათები უცხოურ კაპიტალს) და სხვ.

პროდუქტის საარსებო ციკლის (პროდუქტის სიცოცხლის ციკლის) მოდელი შეიმუშავა ამერიკელმა *რაიმონდ ვერნონმა*. ამ მოდელის შესაბამისად, ახალი პროდუქტი გადის სიცოცხლის ციკლის ოთხ სტადიას (ზოგჯერ ხუთსაც ითვლიან): I. დამკვიდრება ბაზარზე; II. გაყიდვის ზრდა; III. სიმწიფე (IV. ბაზრის გაჯერება); IV (V) გაყიდვის დაქვეითება.

პროდუქციის სიცოცხლის საერთაშორისო ციკლი ფირმისათვის, რომელმაც პირველად მოაგვარა მისი წარმოება, რამდენადმე სხვანაირია: I. ახალი პროდუქტის მონოპოლური წარმოება და ექსპორტი; II. უცხოელი კონკურენტების მხრიდან ანალოგიური პროდუქტის წარმოება და დანერგვა ბაზრებზე (უწინარესად თავიანთი ქვეყნების ბაზრებზე); III. კონკურენტთა გასვლა მესამე ქვეყნების ბაზრებზე და შესაბამისად, პიონერი ქვეყნიდან პროდუქტის ექსპორტის შემცირება; IV. კონკურენტთა გასვლა პიონერი ქვეყნის ბაზარზე (როგორც შესაძლო სტადია).

ტექნოლოგიური თვალსაზრისით მოწინავე ფირმას შეუძლია დაიწყოს სხვა პროდუქტის დანერგვა ახალ მწარმოებელთა კონკურენციის წარმოქმნის მომენტისათვის, შესაძლოა მიყიდოს კიდეც მათ თავისი ძველი პროდუქტის წარმოების პატენტი. მაგრამ არსებობს სხვა გამოსავალიც, თუ ექსპორტს ძლიერი საფრთხე შეექმნება — თავად მოაგვაროს წარმოება საზღვარგარეთ და გაახანგრძლივოს პროდუქტის საარსებო ციკლი. ამასთან, რომ ზრდისა და სიმწიფის სტადიებზე წარმოების ხარჯები ჩვეულებრივ მცირდება, რასაც მოსდევს როგორც პროდუქტის ფასების შემცირება და ექსპორტის გაფართოება, ისე საზღვარგარეთ წარმოების მოგვარების შესაძლებლობათა გადიდება. საქონლის ექსპორტთან შედარებით საზღვარგარეთ წარმოება ხშირად უფრო ხელსაყრელია იმის გამო, რომ უფრო დაბალია ცვლადი ხარჯები, საბაჟო ბარიერების გვერდის ავლის, უცხოელ მონოპოლიებთან ბრძოლაში პოზიციების გაძლიერების შესაძლებლობანი და ა.შ.

ინტერნალიზაციის მოდელი ემყარება ინგლის-ამერიკელი ეკონომისტის რონალდ კოუზის იდეას იმის შესახებ, რომ

დიდი კორპორაციის შიგნით მოქმედებს განსაკუთრებული შინაგანი (ინგლ. internal) ბაზარი, რომელსაც არეგულირებენ კორპორაციებისა და მისი ფილიალების (ქვეგანაყოფების) ხელმძღვანელები. ინტერნალიზაციის მოდელის შემქმნელებს, ინგლისელებს პიტერ ბაკლის, მარკ კესონს, ალენ რაგმენს, ჯონ დანინგსა და სხვებს მიაჩნიათ, რომ ფორმალურად საერთაშორისო ოპერაციათა მნიშვნელოვანი ნაწილი ფაქტობრივად წარმოადგენენ ტრანსეროვნულ კორპორაციებად წოდებული დიდი სამეურნეო კომპლექსების შიდასაფირმო ოპერაციებს.

ჯონ დანინგის ეკლექტიკურმა მოდელმა პირდაპირ ინვესტიციათა სხვა მოდელებიდან ის შეისისხლხორცა, რომ გაუძლო ცხოვრების გამოცდას (განსაკუთრებით მონოპოლისტურ უპირატესობათა მოდელიდან), რის გამოც მას ხშირად „ეკლექტიკურ პარადიგმას“ უწოდებენ. ამ მოდელის მიხედვით, ფირმა საქონლისა და მომსახურების წარმოებას საზღვარგარეთ იმიტომ იწყებს (ე.ი. აბანდებს პირდაპირ ინვესტიციებს), რომ ერთდროულად ერთმანეთს ემთხვევა სამი წანამძღვარი: 1. ფირმას აქვს უპირატესობანი საზღვარგარეთის ამ ქვეყანაში (მესაკუთრის სპეციფიკური უპირატესობანი); 2. ფირმისათვის ხელსაყრელია გამოიყენოს ეს უპირატესობანი თვითონვე ადგილზე, და არა განახორციელოს ისინი საქონლის ექსპორტით ან სხვა ფირმებისთვის ტექნოლოგიის ექსპორტით (ინტერნაციონალიზაციის უპირატესობანი); 3. ფირმა ზოგიერთ საწარმოო რესურსს საზღვარგარეთ უფრო ეფექტიანად იყენებს, ვიდრე თავის ქვეყანაში (განთავსების ადგილის უპირატესობანი). პირდაპირ ინვესტიციათა ეკლექტიკური დიდი პოპულარობით სარგებლობს.

კაპიტალის გაქცევის თეორია. ეს თეორია სუსტად არის დამუშავებული, თუმცა ბოლო ათწლეულის მანძილზე კაპიტალის გაქცევამ დიდი მასშტაბი შეიძინა. ტერმინს „კაპიტალის გაქცევა“ სხვადასხვაგვარად განმარტავენ, რაც გავლენას ახდენს ამ მოვლენის მასშტაბების შეფასებაზე. მაგა-

ლითად, ზოგიერთი ეკონომისტი კაპიტალის გაქცევას აიგივებს კაპიტალის არალეგალურ ანდა მოკლევადიანი კაპიტალის გატანასთან. მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა (კინდლებერგერის კვალობაზე) ვარაუდობს, რომ კაპიტალის გაქცევა ქვეყნიდან კაპიტალის ისეთი მოძრაობაა, რომელიც ეწინააღმდეგება მის ინტერესებს და ხდება იმის გამოც, რომ კაპიტალის ბევრი თანამემამულე მფლობელისათვის არახელსაყრელი საინვესტიციო კლიმატია ქვეყანაში, აგრეთვე ხშირად ეს კაპიტალი უკანონო წარმოშობისაა.

სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის თეორიული ახსნა. რაც შეეხება სამუშაო ძალის საერთაშორისო გადაადგილებას, ამ პრობლემის თეორიული დამუშავება ცოტა ხნის წინათ დაიწყო. მკვლევარებს გამოაქვთ დასკვნა, რომ სამუშაო ძალის მიგრაციის მთავარი ეკონომიკური მიზეზია განსხვავებანი სხვადასხვა ქვეყნებში შრომის ანაზღაურების პირობებში და მიგრაცია დადებით ზემოქმედებას ახდენს მიგრანტთა მიმღებ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპზე. იმის გასარკვევად, თუ რა ზეგავლენას ახდენს მიგრაცია ემიგრაციის ქვეყანაზე, ნეოკლასიკური თეორიის მომხრენი ვარაუდობენ, რომ ეს მას ზიანს არ აყენებს, რადგან გავიდა ჭარბი სამუშაო ძალა და ამან შეიძლება სარგებელიც მოიტანოს, თუ წასული მუშაკები ფულს უგზავნიან თავიანთ ნათესავებს. *ნეოკეინსიანელები* უკვე აცხადებენ, რომ ემიგრაციამ შეიძლება ავნოს ქვეყანას, თუ მაღალკვალიფიციური მუშაკები მიდიან.

ტექნოლოგიის გადაცემის თეორია. ტექნოლოგიამ და მისმა გადაადგილებამ ქვეყნებს შორის (ტექნოლოგიის საერთაშორისო გადაცემა) გამოაცოცხლა მთელი რიგი თეორიული მოდელები. მაგალითად, ამერიკელი ეკონომისტის *მაიკლ პოზნერის* ტექნოლოგიური გარღვევის მოდელის თანახმად, ახალი ტექნოლოგიის შექმნა ქვეყანას ანიჭებს დროებით მონოპოლიას ამ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული საქონლის წარმოებასა და ექსპორტში. ამის შედეგად ქვეყანა იღებს შედარებით უპირატესობას ისეთი საწარმოო ფაქტორის მიხედვით, როგორიცაა ტექნოლოგია (ცოდ-

ნა). ეს იდეა გამოყენებულია სხვა მოდელებშიც — *ვერნონის* მიერ შემუშავებულ პროდუქტის საარსებო ციკლის მოდელშიც.

თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მატულობს ეკონომიკური მოძღვრებანი, რომლებიც მთლიანად მსოფლიო მეურნეობას ეძღვნება. უფრო მეტი კი ისეთი თეორიები არსებობს, რომლებშიც მსოფლიო ეკონომიკურ მოვლენებს და პროცესებს საკმაო ადგილი ან დებულებანი ეთმობა, ე.ი. მას მიესადაგებიან. არსებობენ განვითარების სტადიების სოციოლოგიური და ეკონომიკური თეორიები, ერთიანი ცივილიზაციისა და ცივილიზაციათა შეხლის, სოციოკულტურული და სხვა მრავალი თეორია. ამ ლექციის შედგენისას პირველწყაროს სახით გამოვიყენეთ და მასალები თითქმის მთლიანად ავიღეთ *პროფ. ა. ბულატოვის, პროფ. რ. ვოლკოვის, პროფ. ა. პოგორელსკის, პროფ. ა. მოვსესიანის, პროფ. ს. ოგნივცევის შრომებიდან.*

ეკონომიკური ზრდის სტადიების თეორია. ამერიკელმა ეკონომისტმა, სოციოლოგმა და ისტორიკოსმა *უოლტ როსტოუმ* 1960 წელს ჩამოაყალიბა ეკონომიკური ზრდის სტადიების თეორია წიგნში „ეკონომიკური ზრდის სტადიები: ნეოკომუნისტური მანიფესტი". მასში აღწერილია ზრდის ხუთი ძირითადი სტადია: 1. ტრადიციული საზოგადოება; 2. აღმავლობის წანამძღვრების შექმნის პერიოდი; 3. აღმავლობა (ძვრა, აღმაფრენა); 4. სიმწიფისაკენ წინსვლა; 5. მაღალი მასობრივი მოხმარების საუკუნე. სტადიის გამოყოფის კრიტერიუმია უპირატესად ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები: ტექნიკის განვითარების დონე, მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, დაგროვების წილი ეროვნულ შემოსავალში, მოხმარების სტრუქტურა და ა.შ. უ. როსტოუს ეროვნულ ეკონომიკათა განვითარების ეტაპების უფრო სრულყოფილი დახასიათება მოცემულია ცხრილი №2.1.

ტრადიციულ მეურნეობაში (პერიოდი ფეოდალიზმის ბოლომდე), როსტოუს აზრით, შრომისუნარიანი მოსახლეო-

ცხრილი № 2.1. უოლტ როსტოუს ეროვნულ ეკონომიკათა განვითარების ეტაპების დახასიათება

№	განვითარების სტადია	სტადიის დახასიათება	ქვეყნები, რომლებიც მოცემულ სტადიაზე იმყოფებიან
1.	ტრადიციული საზოგადოება	შრომის პროდუქტიულობა და განვითარება შეზღუდულია მეცნიერების და ტექნოლოგიების ჩამორჩენილობით, საზოგადოების ინსტიტუციონალური სტრუქტურები იერარქიულია, ბატონობს კონსერვატიზმი	აღმოსავლეთ და ცენტრალური აზიის, აფრიკის განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა, ქვეძლიდ, ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნები
2.	ცვლილებებზე გარდამავალ ფაზაში მყოფი საზოგადოება	ჩნდება საზოგადოების წინსვლის იმპულსი: ახალი პოლიტიკური იდეები, იდეოლოგია, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარება, საზოგადოება შეგრძნობს ცვლილებათა აუცილებლობას. მიუხედავად ამისა, კვლავ ფრიქციებს არსებობას ინერტულობა, საზოგადოების არამობილურობა, გამოიყენება მართვის არაეფექტიანი მეთოდები	ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნები, სირაკის ყოფილი რესპუბლიკები (ბალტიის ქვეყნების გარდა), ჩინეთი, ინდოეთი
3.	ცვლილებათა სტადია	პროგრესის, ტექნოლოგიების მძლავრი შეტევით, ფინანსური ზედაპირული ზრდის დაბრკოლებანი ისპობა, საზოგადოების მამოძრავებელი ძალა ხდება დანაზოგებისა და ინვესტიციების მაღალი დონე ჩნდებიან ეკონომიკის ახალი პროგრესული სექტორები	ფილიპინები, ინდონეზია, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ბალტიის ქვეყნები
4.	მომწიფებული სტადიისაკენ წინ წაწევა	ამ სტადიისათვის დამახასიათებელია მეტად ხანგრძლივი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მიმდინარეობს ეკონომიკური პროგრესი მოწინავე ტექნოლოგიების საფუძველზე ერთვება მეურნეობის სულ უფრო მეტ სექტორებში, იზრდება ეკონომიკის ახალი დარგები, ცხოვრების დონე მაღლდება, რაზედაც ორიენტირებული ხდება წარმოება, ერთვება მეურნეობრივ კავშირებში	მალიზია, ტაილანდი, მექსიკა, ბრაზილია, არგენტინა, ჩილე, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გარდამავალი ეკონომიკის მქონე წამყვანი ქვეყნები (პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ხორვატია)
5.	მასობრივი მოხმარების ეპოქა	ხანგრძლივი მოხმარების საქონლისა და მომსახურების ეფექტიანი წარმოება ეკონომიკის წამყვან დარგებში, წარმოებული ღირებულების ხასიათის შეცვლა (ძირითის პროდუქტში ხელფასის წილის ზრდა), მეცნიერებისა და ტექნიკის მუდმივი განვითარება, სოციალურად ორიენტირებული „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ გაჩენა	განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები

ბის 75 პროცენტზე მეტი დასაქმებულია სურსათის წარმოებით, ეროვნული შემოსავალი გამოყენებულია უმთავრესად უნაყოფოდ, პოლიტიკური ძალაუფლება ეკუთვნით მიწის მესაკუთრეებს ან ცენტრალურ მთავრობას. *მეორე სტადია* გარდამავალია აღმავლობისაკენ: ხდება არსებითი ცვლილებანი სამ არასამრეწველო სფეროში — სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტში და საგარეო ვაჭრობაში. *მესამე სტადია* — აღმავლობა — მოიცავს დროის შედარებით მცირე შუალედს — ორი-სამიდან რამდენიმე ათეულ წლამდე (სამრეწველო რევოლუცია). ამ პერიოდში იზრდება კაპიტალდაბანდებათა ტემპი და შესამჩნევად მატულობს პროდუქციის გამოშვება ერთ სულ მოსახლეზე, იწყება ახალი ტექნიკის სწრაფი დანერგვა. განვითარება თავდაპირველად მოიცავს მრეწველობის (ლიდერი რგოლი) დარგების პატარა ჯგუფს და მხოლოდ მოგვიანებით ვრცელდება ეკონომიკაზე მთლიანად. ზრდა ავტომატური, თავის თავზე დამოკიდებული რომ გახდეს, საჭიროა, ჯერ ერთი, მკვეთრად გაიზარდოს ინვესტიციების წილი ეროვნულ შემოსავალში (ხუთიდან მინიმუმ ათ პროცენტამდე); მეორე, მრეწველობის ერთი ან რამდენიმე დარგის სწრაფი განვითარება და, მესამე, ეკონომიკის მოდერნიზაციის მომხრეთა გამარჯვება ტრადიციული საზოგადოების დამცველებზე. ყოველივე ამან უნდა უზრუნველყოს მთელ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე ზრდის თავდაპირველი იმპულსის გავრცელება.

სიმწიფისაკენ წინსვლის პერიოდს (ინდუსტრიულ საზოგადოებას) უ. როსტოუ ახასიათებს როგორც ტექნიკური პროგრესის ხანგრძლივ ეტაპს: ვითარდება ურბანიზაციის პროცესი, მაღლდება კვალიფიციური შრომის წილი, მრეწველობის გარდა მესაკუთრეებიდან გადადის კვალიფიციურ მმართველთა — მენეჯერთა ხელში. *მეხუთე სტადიაში* (მაღალი მასობრივი მოხმარების) ხდება ძვრა მოთხოვნიდან მიწოდებისაკენ, წარმოებიდან საქონლისა და მომსახურების მასობრივი მოხმარებისაკენ. თავის უფრო გვიანდელ ნაშრომში „პოლიტიკა და ზრდის სტადიები“ (1971 წ.) უ.

როსტოუ ამატებს *მეექვსე სტადიას* — ცხოვრების ხარისხის ძიებას, როცა წინა პლანზე დგება ადამიანის სულიერი განვითარება.

სტადიების ხანგრძლივობა მეტად სხვადასხვაგვარია. ყველაზე ხანგრძლივი იყო პირველი სტადია და მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყანა ახლაც ამ სტადიაშია. მეორე სტადიამ დასავლეთ ევროპა მოიცვა XVII საუკუნის დამლევსა და XVIII საუკუნის დამდეგს. მესამე სტადია ინგლისში გაგრძელდა ორი ათწლეული 1783 წლის შემდეგ საფეიქრო მრეწველობის ზრდის შედეგად; საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში — რამდენიმე ათწლეული 1860 წლის წინ; გერმანიაში — XIX საუკუნის მესამე მეოთხედი რკინიგზების მშენებლობის გავლენით. რუსეთსა და კანადაში ამ სტადიას ახალი მომპოვებელი დარგებისა და სოფლის მეურნეობის ზრდის ბაზაზე ეკავა პერიოდი 1914 წლის წინ; ინდოეთსა და ჩინეთში — 1950 წლის შემდეგ. როსტოუს კლასიფიკაციის თანახმად, მეოთხე სტადიის მიჯნა იყო: ინგლისისათვის — 1850 წელი, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის — 1900, გერმანიისა და საფრანგეთისათვის — 1910, იაპონიისათვის — 1940, სსრ კავშირისა და კანადისათვის — 1950 წელი. და ბოლოს, მეხუთე სტადია როსტოუმ განიხილა სამოცდაათიან წლებში როგორც მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების კუთვნილება. ამ სტადიის საფუძველს შეადგენდა საავტომობილო მრეწველობა, საგარეუბნო მშენებლობა, გზების მშენებლობა და განსაკუთრებით მომსახურების სფერო. ამ სტადიაზე გადასვლას თან სდევს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშახელის შემცირება, მესაკუთრეებისაგან მენეჯერებისათვის ძალაუფლების გადაცემა, ღირებულებათა შეცვლა და ა.შ.

როსტოუს თეორია შესაძლებლობას გვაძლევს გავიაზროთ ეკონომიკური განვითარების მიმდინარეობა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში და მისი პერსპექტივები. ამავე დროს მასში აბსოლუტიზებულია განვითარების ერთი პერიოდი — სამრეწველო რევოლუციის მომზადება და გან-

ხორციელება და ჯეროვნად არ არის შეფასებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოსტინდუსტრიული პერიოდი, რომელშიც იმყოფებიან ან რომელშიც შედის ბევრი ქვეყანა.

ერთიანი ინდუსტრიული და ახალი ინდუსტრიული საზოგადოების თეორიები. *ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების თეორიის წარმოქმნა* დაკავშირებულია, უწინარეს ყოვლისა, ფრანგი სოციოლოგის *რაიმონ არონის* სახელთან, რომელიც ამტკიცებდა, რომ სხვადასხვა ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის დროს მათთვის იქმნება ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოება, ხოლო საბჭოთა და დასავლური სისტემები მხოლოდ მისი მრავალსახეობაა. ტექნიკური პროგრესი, ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების თეორიის მეორე ავტორის, ფრანგი ელიულის აზრით, ცვლის არა მარტო ეკონომიკური კანონების გამოყენებას, არამედ თავად კანონების არსსაც: *უქმდება საკუთრების წამყვანი როლი, ეკონომიკური ძალაუფლება გადადის მსხვილ კორპორაციათა ხელში, სახელმწიფოს მეშვეობით ისპობა სიმდიდრისა და სიღატაკის პოლუსები.*

იდეა იმის შესახებ, რომ კაპიტალისტი მესაკუთრენი კარგავენ ძალაუფლებას კვლავწარმოების პროცესში, რომელმაც განვითარება ჰპოვა თეორიაში — „მმართველთა რევოლუციების“ შესახებ, პრიორიტეტულია ახალი ინდუსტრიული საზოგადოების თეორეტიკოსებისთვისაც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ *ინდუსტრიული ცივილიზაციის პრობლემათა გადაჭრა გადავიდა მმართველი — მენეჯერების ხელში.* ამასთან, როგორც *არონი* და ახალი ინდუსტრიული საზოგადოების თეორიის სხვა მომხრენი ამტკიცებენ, თანამედროვე კორპორაციათა სტრუქტურას არა აქვს მონოპოლისტური ხასიათი, რადგან ორიენტირებულია არა მარტო მოგების მიღებაზე, არამედ მთელი რიგი საარსებოდ მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციების შესრულებაზეც. ამის დადასტურებაა ის, რომ მზარდი კორპორაციული შემოსავალი გამოყენებულია მომხმარებელთა მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილების, ქალაქების რეკონსტრუქციის, გარემოს დაც-

ვის, მეცნიერული გამოკვლევების განვითარებისა და სხვა ამგვარი მიზნებისათვის.

ახალი ინდუსტრიული საზოგადოების თეორია აღწერა ამერიკელმა ეკონომისტმა *ჯონ გელბრეიტმა* თავის მთელ რიგ ნაშრომებში, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, წიგნში „ახალი ინდუსტრიული საზოგადოება“ (1967 წ.). ჯერ კიდევ 1957 წელს ნაშრომში „სიუხვის საზოგადოება“ გელბრეიტი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ რთული და სულ უფრო დახვეწილი ტექნიკის გამოყენებას მოსდევს კაპიტალიზმის შინაგანი გადაგვარება, ბაზრის სამომხმარებლო საქონლით გაჯერება, იქმნება კარგად ორგანიზებული მომსახურების სისტემა და, როგორც შედეგი, ქრება წინანდელი სოციალური კონტრასტები. თანამედროვე კაპიტალიზმის მთელი ეკონომიკური სისტემა მას წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ორი სხვადასხვაგვარი სექტორის — „გეგმიანი სისტემისა“ და „საბაზრო სისტემის“ ერთობლიობა. პირველს განეკუთვნება მსხვილ კორპორაციათა სამყარო, რომლებიც განაგებენ არა მარტო ფასებს, ხარჯებს, ტექნოლოგიებს, არამედ საზოგადოებასა და სახელმწიფოსაც; მეორეს — წვრილი ფირმები, გაქრობის პირას მისული ხელოსნობა, მომსახურების სფერო და ა.შ., რომლებიც მოკლებული არიან ძალაუფლებას, თუმცა წარუვალ ეკონომიკურ, კულტურულ, სულიერ და სოციალურ ღირებულებათა ცენტრს წარმოადგენენ. „გეგმიანი სისტემა“ დაგმობილია იმის გამო, რომ ესწრაფვის უსაზღვრო ექსპანსიას და უგულებელყოფს საზოგადოებრივ ინტერესებს როგორც მერყეობისა და წინააღმდეგობების გამწვავების წყაროს.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიები. პირველ რიგში, ამასთან სამართლიანად, უნდა დავასახელოთ *ამერიკელი სოციოლოგის დანიელ ბელის* პოსტინდუსტრიული საზოგადოების კონცეფცია, რომელშიც დასმულია საკითხი ინდუსტრიალიზაციის დამთავრების შემდეგ ეკონომიკურ თავისებურებათა შესახებ.

ბელის აზრით, პოსტინდუსტრიული საზოგადოება ხასიათდება ხუთი ნიშნით: 1. ეკონომიკა საქონლის წარმოები-

დან გადადის მომსახურების წარმოებაზე; 2. დასაქმებულ მუშაკთა შორის ჭარბობენ პროფესიონალი სპეციალისტები და ტექნიკოსები; 3. წამყვან როლს ასრულებს თეორიული ცოდნა; 4. ტექნიკურ-ეკონომიკური გარემო ორიენტირებულია ტექნოლოგიისადმი კონტროლზე; 5. უზრუნველყოფილია ახალი „ინტელექტუალური ტექნოლოგიის“ მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი. „ინდუსტრიალიზმის“ კრიზისიდან გამოსვლის გზად ბელს მიაჩნია როგორც „პოსტინდუსტრიული ტენდენციების“ განვითარება, ისე რელიგიასთან კულტურის დაშორების დაძლევა.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების შესახებ იდეის მეორე ვარიანტია სუპერინდუსტრიალიზმის თეორია, რომელიც ამერიკელმა სოციოლოგმა და ფუტუროლოგმა *ალვინ ტოფლერმა* ჩამოაყალიბა წიგნში „მესამე ტალღა“ (1980 წ.). ავტორი ცდილობს ცვლილებათა ყველა რთული და სხვადასხვაგვარი პროცესი, რომლებსაც თანამედროვე საზოგადოება განიცდის, *იმით ახსნას, რომ დაიმსხვრა ინდუსტრიალიზმი და წარმოიშვა „ახალი ცივილიზაცია“*. ამგვარ გადასვლას იგი ხსნის ისტორიული განვითარების პროცესში აგორებული „ცვლილებათა ტალღების“ თანამიმდევრული შეცვლის თეორიით. დაახლოებით ათი ათასი წლის წინათ დაიწყო „ცივილიზაციის აგრარული ტალღა“, შემდეგ XVII საუკუნის დამლევიდან ევროპაში მოხდა სამრეწველო რევოლუცია, რომელსაც მოჰყვა „პლანეტურ ცვლილებათა“ მეორე დიდი ტალღა და ინდუსტრიული ცივილიზაციის დამკვიდრება, ხოლო XX საუკუნის სამოციანი წლების დამდეგიდან დაიწყო „მესამე ტალღის“ მოახლოება.

სოციალური ფსიქოლოგიისა და ცხოვრების წესის სფეროში *„მესამე ტალღის“ საზოგადოება ნიშნავს* „წარმოებასა და მოხმარებაზე ორიენტირებული ინდუსტრიული ინდივიდისაგან“ „სულიერ ღირებულებებსა და შემოქმედებაზე ორიენტირებულ ახალ პიროვნებაზე“ გადასვლას. ფულის კულტის, ბატონობისა და დაქვემდებარების ნაცვლად — ურთიერთგაგებისა და ურთიერთდახმარების დამოკიდებუ-

ლებას; უზარმაზარ ორგანიზაციათა ფარგლებში შრომის მკაცრი დისციპლინის ნაცვლად — ნებაყოფლობითს შრომას მცირე ორგანიზაციებში და შინ, მცოცავი გრაფიკით; ბუნების გაჩანაგების, აუნაზღაურებელი რესურსების განიავების ნაცვლად — ორიენტაციას ბუნებასთან თანაარსებობაზე, ენერგიის განახლებად წყაროებზე; თავად ზრდის თვითმიზნის ნაცვლად — შეზღუდულ შეწონასწორებულ ზრდას.

ერთიანი ცივილიზაციისა და ცივილიზაციათა შეჯახების თეორიები.„ცივი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამთავრდა მსოფლიოს სამ ბლოკად: კომუნისტურ (სოციალისტურ), მისდამი დაპირისპირებულ დასავლეთის (ანტიკომუნისტურ) და მიუმხრობელ (ნეიტრალურ) ქვეყნებად პოლიტიკური დაყოფა. მსოფლიოს ამგვარი პოლიტიკური დანაწილება ბევრად განსაზღვრავდა სოციალურ-ეკონომიკურ დაყოფას სოციალისტური ეკონომიკის (ეგრეთწოდებული კომუნისტური ქვეყნები), განვითარებული საბაზრო ეკონომიკის (ეგრეთწოდებული კაპიტალისტური ქვეყნები) და საბაზრო ეკონომიკის მქონე განვითარებად (ეგრეთწოდებულ მესამე სამყაროს) ქვეყნებად. ახლა იგი იყოფა განვითარებულ, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებად. მაგრამ განვითარებადი ქვეყნების ნაწილი (ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ქვეჯგუფიდან) გადადის განვითარებული ქვეყნების ჯგუფში, ხოლო გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოები დროთა განმავლობაში ნაწილი გადავა განვითარებული ქვეყნების ჯგუფში, ნაწილი — განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში.

როგორი იქნება მსოფლიოს ქვეყნების ტიპოლოგია მომავალში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის ცდა ერთიანი ცივილიზაციისა და ცივილიზაციათა შეჯახების თეორიებშია.

ერთიანი ცივილიზაციის თეორია. ერთიანი ცივილიზაციის სოციოკულტურულ თეორიას საფუძვლად უდევს ლიბერალური იდეა მსოფლიოს ყველა ქვეყნის თანდათანობითი

მოძრაობისა ერთიანი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური წყობილების — ლიბერალური დემოკრატიისაკენ. ამ თეორიის თანამედროვე მომხრეთა აზრით, ამგვარი წყობილება უკვე მიღწეულია დასავლეთში, ხოლო როცა მას მიაღწევენ მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნები მათი ლიბერალიზაციის კვალობაზე, მსოფლიო გადაიქცევა ერთიან საზოგადოებად და ამიტომაც თითქოსდა დადგება „ისტორიის აღსასრული“, როგორც ამას აცხადებს ამ თეორიის ერთერთი ყველაზე ცნობილი ავტორი, იაპონური წარმოშობის ამერიკელი *ფრენსის ფუკუიამა*.

ერთიანი ცივილიზაციის თეორია ყურადღებას მიაპყრობს უძლიერეს ძალებს, რომლებიც მსოფლიოს ქვეყნებს აერთიანებს ერთიან საზოგადოებად, აძლიერებს მათ ურთიერთდამოკიდებულებას, აუქმებს საზღვრებს მათ შორის. ესენი არიან ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის ძალები, რომლებიც მის გლობალიზაციად გარდაიქმნებიან და თავს იჩენენ, უწინარეს ყოვლისა, მისი ტრანსნაციონალიზაციისა და ინტეგრაციის მეშვეობით. ამგვარი მოდერნიზაციის შედეგად თანამედროვე ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული საზოგადოების ნიშნები, დასავლეთში პირველად რომ გამოჩნდა, მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნებისთვისაც დამახასიათებელი ხდება.

იმავდროულად ერთიანი ცივილიზაციის თეორია გულისხმობს, რომ მოდერნიზაცია ვესტერნიზაციის (ესე იგი, სხვა ქვეყნების მიერ დასავლური კულტურის გადაღების) იდენტურია. მაგრამ გასულ საუკუნეებში რუსეთისა და იაპონიის და აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების გამოცდილება XX საუკუნეში მოწმობს, მოდერნიზაცია შეიძლება წარიმართოს ვესტერნიზაციის გარეშე და ქვეყნებს ამ დროს შეუძლიათ შეინარჩუნონ თავიანთი კუთვნილება სხვა, არა დასავლური ცივილიზაციისადმი. უწინარესად ეს ეხება კულტურას, მაგრამ ეკონომიკამაც შეიძლება შეინარჩუნოს თავისთავადობა, როგორც, ვთქვათ, იაპონიაში. თუმცა ერთიანი ცივილიზაციის თეორია აღიარებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია პოლიტიკურ და ეკონომიკურ

ცხოვრებაში რელიგია და ნაციონალიზმი, რომლებიც წარმოშობენ კიდეც სოციოკულტურულ განსხვავებებს ქვეყნებს შორის, მაგრამ გულისხმობს, რომ ლიბერალიზმის განმტკიცების კვალობაზე ისინი ხელის შემშლელნი ვერ იქნებიან.

ცივილიზაციათა შეხლის თეორია[1]. ამერიკელი პროფესორი *სემუელ ჰანტინგტონი* აღნიშნავს, რომ „ცივი ომის“ შემდეგ პოლიტიკური და კულტურული სამყარო სულ უფრო მრავალპოლარული ხდება და შეიცავს რვა მთავარ ცივილიზაციას: დასავლურს, ისლამურს, ინდუისტურს, ჩინურს, იაპონურს, მართლმადიდებლურს, აფრიკულსა და ლათინოამერიკულს. ბოლო დროს, ამ თეორიის თანახმად, მსოფლიოსა და მსოფლიო ეკონომიკაში მცირდება დასავლეთის როლი, იზრდება აზიურ ცივილიზაციათა მნიშვნელობა; კავშირურთიერთობა ძლიერდება, უწინარეს ყოვლისა, სხვადასხვა ცივილიზაციათა შიგნით, ელტვის ამ ცივილიზაციათა საკვანძო, მთავარ ქვეყნებს. ამის შედეგად მომავალი მსოფლიო, ჰანტინგტონის აზრით, ეს ერთიანი ცივილიზაცია კი არა, სხვადასხვა ცივილიზაციათა შენარჩევია, რომელთა შორის თუმცა ბევრია საერთო, მაგრამ განსხვავებანიც საკმაოდაა, რომლებიც არ ქრება.

როგორც სოციოკულტურულს, ცივილიზაციათა შეხლის (შეჯახების) თეორიას საქმე აქვს, უწინარეს ყოვლისა, კულტურულ და პოლიტიკურ ასპექტებთან. და მაინც, აქედან გამომდინარეობს საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური დასკვნები. მაგალითად, მსოფლიო ეკონომიკაში თანდათანობით მცირდება დასავლეთის ქვეყნების დომინირება — XX საუკუნის შუა ხანებში დასავლეთ ევროპაზე, ჩრდილოეთ ამერიკაზე, ავსტრალიასა და ოკეანეთზე მოდიოდა მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით ორი მესამედი, XX საუკუნის დამლევს კი — ერთ მეორედზე ნაკლები. ამავე დროს სწრაფად იზრდება აზიის ქვეყნების ხვედრითი წილი მსოფლიო ეკონომიკაში — ერთი მერვედიდან ‹თ მესამედამდე.

---

1. ამ თეორიას შემდეგ კიდევ დაეუბრუნდებით იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინოდ და გასაგებად გაეაშუქოთ.

მთავარი დასკვნა, რომელიც მოსდევს ცივილიზაციათა შეჯახების თეორიას, მრავალპოლარული მსოფლიოს, ამასთან, არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური გაძლიერებაცაა. მსოფლიო ეკონომიკაში დასავლეთის როლის აღნიშნული შემცირება და ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წილის შემცირება მიმდინარეობს იმის პარალელურად, რომ სწრაფად იზრდება ჩინეთისა და აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სხვა ქვეყნების როლი ლათინური ამერიკისა და შესაძლო სამხრეთ აზიის როლის დაწყებულ გაძლიერებასთან ერთად. როგორც ჩანს, ეკონომიკური ძლიერება მსოფლიოში უფრო თანაბრად განაწილდება, ვიდრე ახლა.

გარდა ამისა, თითოეული ცივილიზაციის შიგნით გამოირჩევიან ძირითადი ქვეყნები (ისლამური ცივილიზაციის გარდა, სადაც არ არის აშკარად გამოკვეთილი ერთი — სამი საკვანძო ქვეყანა). ჰანტინგტონის თეორიიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ძირითადი ქვეყნები უმეთაურებენ, ან თუ უკვე დიდი ხანია მეთაურობენ, ცივილიზაციებს (იაპონიისა და ჩინეთის შემთხვევაში მთელი ცივილიზაცია შედგება ერთი ქვეყნისაგან), გახდებიან მათი წამყვანი არა მარტო პოლიტიკური და კულტურული, არამედ ეკონომიკური სახელმწიფოებიც.

მეორე დასკვნა — ქვეყნებს შორის და ინტეგრაციული გაერთიანებების შიგნით ეკონომიკური კავშირურთიერთობის სიმტკიცე, სიმყარე ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, ეკუთვნიან თუ არა ერთ ან სხვადასხვა ცივილიზაციებს, ხოლო თუ სხვადასხვას, რამდენად შეთავსებადია ეს ცივილიზაციები (ჰანტინგტონის მიხედვით, მაგალითად, მართლმადიდებლური ცივილიზაცია უფრო მეგობრულად ეკიდება დასავლურს, ინდუისტურსა და ჩინურს, ვიდრე ისლამურსა თუ იაპონურს). წარმატებული ინტეგრაცია ევროკავშირის შიგნით ბევრად ეფუძნება ერთი ცივილიზაციისადმი თითქმის ყველა მისი მონაწილის კუთვნილებას (თუმცა ორი მონაწილე, საბერძნეთი და კვიპროსი (ბერძნული ნაწილი) მართლმადიდებლურ ცივილიზაციას განეკუთვნებიან, მაგრამ ისინი

დიდი სახელმწიფოები არ არიან და ცივილიზაცია, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, მაღალშეთავსებადია დასავლურთან), ხოლო ინტეგრაცია „NAFTA“-ს (ჩრდილოამერიკული შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ) ფარგლებში და მთელ ამერიკაზე მისი თანდათანობით გაფართოების გეგმები ეფუძნება ისევ ორი ქრისტიანული ცივილიზაციის — დასავლურისა და ლათინურ-ამერიკულის შეთავსებადობას. სწრაფად მიმდინარეობს რა აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ბევრი ქვეყნის ხელახალი ორიენტაცია ჩინეთზე, როგორც მთავარ ეკონომიკურ პარტნიორზე, მას სტიმულს აძლევს არა მარტო ჩინეთის ეკონომიკური ძლიერება, რომელიც სულ უფრო იკრებს ძალებს, არამედ ისიც, რომ ზოგიერთ ამ ქვეყანას ბევრი საერთო აქვს მის სოციოკულტურულ წარსულთან (ვიეტნამი, კორეა); ზოგიერთ მათგანში კი ეკონომიკური ცხოვრების უდიდესი ნაწილი ჩინური ეთნიკური უმცირესობის ხელშია (ინდონეზია, მალაიზია, ტაილანდი, ფილიპინები), ზოგიერთი კი თითქმის მარტო ჩინელებით არის დასახლებული (სინგაპური, ტაივანი, მაკაო). ამ თვალსაზრისით ჩინეთს მეტი შანსი აქვს იყოს წამყვანი სახელმწიფო ამ რეგიონში, ვიდრე იაპონიას, რომელიც თუმცა ჩინურთან მაღალშეთავსებად ცივილიზაციას წარმოადგენს, მაგრამ არა აქვს ისეთი სოციოკულტურული ურთიერთობანი რეგიონში, როგორც ჩინეთს.

და ბოლოს, როგორც ქართველი გეოპოლიტიკოსი მკვლევარი ვ. მაისაია მიიჩნევს, საბოლოო დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ შემდეგი: ამერიკელმა გეოპოლიტიკოსმა თავის „ცივილიზაციათა შეჯახების“ თეორიით ცივილიზაციათა ბრძოლების ახალი პარადიგმა[1] ჩამოაყალიბა. მისი თეორიის მიხედვით XXI საუკუნეში გეოპოლიტიკური სფეროების შეჯერება განხორციელდება შემდეგი ცივილიზაციების ფარგლებში:

---

1 პარადიგმა – მეცნიერული სამყაროს მიერ მიღებული (აღიარებული) შეხედულებების და მიდგომების სისტემა, რომელიც გამოყენებულია კარკასის სახით კონკრეტული მოდელების ასაგებად (მაგ., მოთხოვნა – მიწოდება).

- დასავლური ცივილიზაცია (ევროპა, ამერიკული და ჰისპანური ანუ ლათინოამერიკული);
- ისლამური ცივილიზაცია;
- სლავურ-მართლმადიდებლური ცივილიზაცია;
- იაპონური ცივილიზაცია;
- ჩინური ცივილიზაცია;
- ინდური ცივილიზაცია;
- აფრიკული ცივილიზაცია.

ამიტომაც გეოპოლიტიკური კუთხით, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა დაეფუძნება ქიშპობას და მეტოქეობას არა ერ-სახელმწიფოებს შორის, არამედ ერ-იმპერიებს შორის და პოსტ-მოდერნის ხანის დაწყების ეპოპეაც შეიძლება უკვე ჩავთვალოთ შემდგარ ფაქტად.

იმპერიათა დაცემის თეორია. თავის წიგნში „დიდ სახელმწიფოთა აღზევება და დაცემა“ ამერიკელი პოლ კენედი წარსულის დიდ სახელმწიფოთა დაცემას ხსნის მათი ეკონომიკური გადამეტძაბვით; იმპერიებში მათი შენახვისათვის იხარჯება უზარმაზარი სახსრები (განსაკუთრებით სამხედრო ხარჯებისათვის), რომლებიც საბოლოო ანგარიშში ეკონომიკიდან ამოიღება, რაც იმპერიის ეკონომიკურ დაცემას იწვევს.

მსოფლიო ეკონომიკის თეორიების კლასიფიკაცია. მსოფლიო ეკონომიკის თეორიებს განასხვავებენ:

- მამოძრავებელი ძალებით, რომლებიც მათი ავტორთა აზრით, ძევს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების საფუძველში;
- თვისობრივი მახასიათებლებით, რომლებიც განსაზღვრავენ სტაბილურობას, ზრდის პერიოდიზაციას.

ცალკე კლასად შეიძლება გამოვყოთ ნაწილობრივი ტექნოლოგიურ-ფაქტორული თეორიები. მათი ავტორები გამოყოფენ რომელიმე ერთ, ჩვეულებრივ ტექნოლოგიური ან ბუნებრივი განვითარების ელემენტს, რომლის მიღებასაც

სთავაზობენ მსოფლიო ეკონომიკური განვითარების უნივერსალურ მამოძრავებლად, რა თქმა უნდა, სახარბიელოა ყველაფრის ახსნა მთლიანი (ერთიანი) და ძალიან უბრალო პოზიციიდან, თუმცა, როგორც ჩანს, საერთოდ რთული სისტემების განვითარება, კერძოდ კი ეკონომიკაში, ექვემდებარება ბევრად უფრო რთულ კანონზომიერებებს, რომელიც ფაქტორების განვითარების მთელ კომპლექსს აერთიანებს, მიუხედავად ამისა, ყოველმა ნაწილობრივ ტექნოლოგიურ-ფაქტორულმა თეორიებმა განსაზღვრული სიკეთე მოიტანეს განვითარების საერთო სურათის შესაქმნელად. რელიეფურად გამოყოფენ რა განვითარების რაღაც წამყვან ელემენტს, ისინი ხაზს უსვამენ ფაქტორების სისტემაში მის მნიშვნელობას და საფუძველს იძლევიან მის ჩასართველად ეკონომიკური განვითარების უფრო ზოგად თეორიებში.

ერთ-ერთი ტექნოლოგიური თეორია შემოთავაზებულ იქნა ლ. მორგანის შრომაში „ძველი საზოგადოება“ მასში კაცობრიობის ევოლუციის აღწერილი შვიდი სტადიიდან თითოეული უკავშირდებოდა განსაზღვრულ ტექნოლოგიურ ინოვაციას — ცეცხლის დაუფლებას, მშვილდისრის გამოგონებას და ა.შ. ამ თეორიის გავლენა შემდგომ თეორიებზე საკმაოდ საგრძნობია.

წმინდა ტექნოლოგიური მიდგომის გაგრძელება გახდა ენერგეტიკული თეორია, რომელიც კაცობრიობის ეკონომიკური განვითარება დაუკავშირა ენერგიის ახალი ფორმების ათვისებას: ცეცხლის, ორთქლის, ელექტრობის, თერმობირთვულ ენერგიას. ახლა აღნიშნული თეორია მოდიფიკაციას განიცდის, შემოაქვთ რა განსახილველად ენერგიის წყაროთა შეზღუდულობა (შემოსაზღვრულობა) და მათი გამოყენების ეკოლოგიური შეზღუდვები.

სხვადასხვა მოდიფიკაციაში არსებობს ბუნებრივი ფაქტორების თეორია, რომელიც ეკონომიკური სისტემების გენეზისს და ევოლუციას ხსნის არსებული ბუნებრივ-კლიმატური რესურსებით. ამ თეორიებში ერის ტექნოლოგიური და კულტურული განვითარება აიხსნება მისი გეოგრაფიუ-

ლი მდებარეობით, კლიმატური თავისებურებებით და სანაპიროს რელიეფითაც კი. მაგალითად, ინგლისის და მისი კოლონიების ტექნოლოგიური წარმატებები და ეკონომიკური ძლიერება აიხსნება მისი სანაპიროების საოცრად რთული სურათით, რომლის სიგრძე, სხვათა შორის, დიდია, ვიდრე აშშ-ის სანაპიროებისა, რომელიც თავისი ფართობით 30-ჯერ აღემატება დიდ ბრიტანეთს. ზუსტად ასევე, ამ თეორიის ავტორთა აზრით, იტალიის დახვეწილ კულტურას, დასაბამს აძლევს, იტალიის ნატიფი მთიანი და სანაპირო პეიზაჟები. დაბლობზე მაცხოვრებლებს, ეს თეორიები საკმაოდ შეზღუდულად მიაჩნიათ.

მალთუსიდან დაწყებული ყველა მეცნიერი ცდილობდა ეკონომიკური განვითარების ახსნას *დემოგრაფიული ფაქტორებით*. რუსი მეცნიერი მ. კლუჩევსკი ამტკიცებდა, რომ ქვეყნის მოსახლეობა — ეს საერთოდ ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელია. მართლაც, იმავე „პატარა" ინგლისმა შეძლო დაეპყრო ნახევარი მსოფლიო ძალიან მოკლე ხანში, თავისი არაჩვეულებრივად მძლავრი დემოგრაფიული ნახტომის დროს, XVI-XVII საუკუნეებში (ერთი საუკუნის წინ ხომ მხოლოდ პარიზის მოსახლეობა იყო ბევრად მეტი, ვიდრე მთელი ინგლისის და მხოლოდ ჟანა დ'არკის და საფრანგეთის ასწლიან ომში გამარჯვების წყალობით შეინარჩუნეს ინგლისელებმა თავისი, ამჟამად მსოფლიო ენად ქცეული ენა. სხვაგვარად გაერთიანებული ევროპა წარმოიქმნებოდა ექვსი საუკუნით ადრე და ფრანგთა იმჟამინდელი უზარმაზარი ოდენობა გახდიდა მათ ენას საყოველთაოს). მაგრამ გაუგებარია რა არის აქ მიზეზი, ხოლო რა შედეგი — დემოგრაფიულმა ნახტომმა მისცა იმპულსი გადასახლებებს ახალ სამყაროში, თუ ტექნოლოგიურმა და ეკონომიკურმა განვითარებამ გამოიწვია ეს დემოგრაფიული აფეთქება? თუმცა ნათელია, რომ დემოგრაფიული ფაქტორი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია.

დემოგრაფიულ თეორიებს მჭიდროდ ემიჯნებიან თეორიები, რომლებიც განვითარებას ხსნიან *აგრარული ტექნოლოგიების* სრულყოფითა და სასურსათო რესურსების შესაბამისი ზრდით. ამითვე, ნაწილობრივ სამართლიანად, ხსნი-

ან დემოგრაფიულ ცვლილებებს. მართლაც, სწორედ ნეოლითის ხანაში მიწათმოქმედებაზე გადასვლამ მისცა ბიძგი კაცობრიობის ისტორიაში პირველ დემოგრაფიულ აფეთქებას, ხოლო XX ს-ში „მწვანე რევოლუციამ" ხელი შეუწყო ჩვენს დროში მოსახლეობის სწრაფ ზრდას. თუმცა, ბუნებრივია, მოსახლეობის ზრდა უპირველესად განპირობებული იყო ცხოვრების დონის საერთო ზრდით და მედიცინაში მიღწეული წარმატებებით.

მთელ რიგ თეორიებს სხვადასხვა ვარიანტში წინა პლანზე გამოაქვთ *საკომუნიკაციო-საინფორმაციო ფაქტორები.* ლ. მეჩნიკოვმა განვითარების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად შემოგვთავაზა საწყალოსნო მიმოსვლის გზები. მისი აზრით, კაცობრიობის ისტორია საზღვაო კავშირების ამა თუ იმ ფორმის გამოყენებისდა მიხედვით იყოფა: სამდინარო პერიოდი, რომელიც შეესაბამება ტრადიციული კლასიფიკაციით ძველ მსოფლიოს; საზღვაო პერიოდი (შუასაუკუნეების) და ოკეანური პერიოდი (ახალი და უახლესი დრო). აი ასე, — ორიგინალურად და უბრალოდ.

თანდათან ტრანსპორტის ფაქტორიდან პირველობა გადავიდა *კავშირგაბმულობის ტექნოლოგიებზე,* იქმნება სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ევოლუციის ასეთი ჯაჭვი: გზები, რკინიგზის ტრანსპორტი, ფოსტა, თვითმფრინავი, ტელეგრაფი, ტელეტაიპი, ტელეფაქსი, ელექტრონული ქსელი. ეჭვს არ იწვევს, რომ იგი ვითარდებოდა ეკონომიკურ ევოლუციასთან ერთად, მაგრამ განაპირობებდა კი მას?

XX ს-ის ბოლოს გაბატონდა ინფორმაციული ფაქტორის თეორია. ბევრი მეცნიერი, მაგალითად, კანადელი სოციოლოგი ხ. მაკ-ლიუენი, საზოგადოების განვითარებას ხსნის საინფორმაციო ტექნოლოგიების სრულყოფით ჩვეულებრივი ადამიანის საკომუნიკაციო ენის გაჩენიდან საბეჭდ დაზგამდე და შემდეგ კომპიუტერამდე, ინტერნეტამდე. საინფორმაციო ტექნოლოგიები მართლაც ახდენს უზარმაზარ (თუმცა არა ერთადერთ და სავსებით არა ყველაფრის ამხსნელ) გავლენას თანამედროვე მეგაეკონომიკაზე.

ახლა მოდურია ფინანსური თეორიები, რომლებიც აფუძნებენ კაცობრიობის საყოველთაო განვითარებას ფინანსურ ტექნოლოგიებზე პირველი გადამცვლელებიდან თანამედროვე კომპიუტერულ ბანკინგამდე. მაგალითად, ამერიკელი მკვლევარი ჩ. ადამსი ისტორიის ყველა დიდ მოვლენას — რომის იმპერიის დაშლას, ესპანეთის დაცემას, აშშ-ში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, საფრანგეთის დიდ რევოლუციას — ხსნის ადამიანთა უკმაყოფილებით, რომელიც გამოწვეული იყო არსებული საგადასახადო სისტემით და საგადასახადო ინოვაციების აუცილებლობით.

კ. ბიუხერმა შემოგვთავაზა, ე.წ., მარკეტინგული თეორია. მის საფუძვლად განხილულია გზა მწარმოებლიდან მომხმარებლამდე. აქედან გამოიყოფა სტადიები: ჩაკეტილი საშინაო მეურნეობის, რომელიც თავისთვის აწარმოებს ყოველივე აუცილებელს; საქალაქო მეურნეობის, სადაც მწარმოებელი მუშაობს შეკვეთაზე და სახალხო მეურნეობის, მუშაობა უცნობი ბაზრისათვის.

ტექნოლოგიურ-ფაქტორულ თეორიებს იდეოლოგიურად ემხრობა აგრეთვე ჩვენთვის მნიშვნელოვანი მ. ვებერის ნაწილობრივი კონცეფცია, რომელიც უკავშირებდა პროგრესის რწმენის სისტემას, კერძოდ, კაპიტალიზმის აღმავლობას ხსნიდა პროტესტანტიზმის გავრცელება-განვითარებით.

განვითარების კომპლექსური თეორიები იკვლევს მეტ-ნაკლებად ფაქტორთა სრულ სისტემას და განსაზღვრავს განვითარების საფეხურებს მათ შეთავსებებში მომხდარი ცვლილებების მიხედვით.

ჩვენთვის ნაცნობი მარქსისტული თეორიის თანახმად, კაცობრიობა თანდათანობით გადის გზას ერთი ეკონომიკური ფორმაციიდან (ეკონომიკური ურთიერთობების მდგრადი სისტემა) მეორისაკენ: პირველყოფილი საზოგადოება, მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი და, ბუნებრივია, გარდაუვლად კომუნიზმი. მამოძრავებელ ძალებად მარქსიზმი თვლიდა კლასთა ბრძოლას, რომლებადაც იყოფოდა მოსახლეობა მათი დამოკიდებულებით წარმოების სა-

შუალებებისადმი. ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასები წარმოადგენენ უკიდურეს პოზიციებს. ისინი თავიანთი ბრძოლით განსაზღვრავენ განვითარებას. ისტორიული პროცესი აიხსნებოდა შემდეგნაირად: ტექნოლოგიურ სრულყოფილებათა გავლენით იზრდება მწარმოებლური ძალები (რაოდენობრივი ფაქტორი); თანდათანობით მათ უჭირთ, და ვეღარ ეტევიან არსებული ეკონომიკური ურთიერთობების ჩარჩოებში; კლასი, რომელიც დაინტერესებულია ეკონომიკური ძალების შემდგომში განვითარებით და ეკონომიკურ ურთიერთობათა შეცვლით, თანდათან ან ერთბაშად, რევოლუციურად იპყრობდა ძალაუფლებას; ხდებოდა გადასვლა ახალ ფორმაციაზე (რაოდენობის გადაზრდა თვისებაში) და ასე შემდეგ სპირალისებურად, ოღონდ უცვლელად ზევით („უარყოფის უარყოფა“). კ. მარქსი მთელი ცხოვრება სულით ჰეგელიანელი იყო, თუმცა კი თავისი ახალგაზრდობის გმირის მოძღვრება მან ძალიან გადააკეთა.

მოდიფიკაციის თეორია, ისევე როგორც მარქსიზმი, გამოდის კაცობრიობის ისტორიაში არსებული ყველა საზოგადოების ბიპოლარული სტრუქტურიდან. თუმცა ამ პოლუსებში არის არა კლასები, არამედ კონსერვატიული ჯგუფები და მოდერნიზებულად განწყობილი ინდივიდები, რომლებიც მართავენ განვითარებას. ამ ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარის ბრძოლაში არსებობს ეკონომიკური განვითარებისათვის მუდმივი სტიმულები. აქ პირველ რიგში წამოიწევა ცვლილებათა ადამიანური მექანიზმები ეკონომიკასა და საზოგადოებაში. მრავალი ქვეყნისათვის დამახასიათებელია ორპარტიული ბრძოლის პრაქტიკა, როცა ერთი პარტია რეფორმატორულია, მეორე კი — კონსერვატიული. დღესდღეობით მოდერნიზაციის კონცეფცია ეფუძნება ინსტიტუციონალურ ეკონომიკურ თეორიას, ყურადღების კონცენტრირება ხდება ფასეულობათა სისტემაზე, რომელზეც იღებს ორიენტაციას ადამიანის ეკონომიკური საქმიანობა.

საინტერესო და მრავალმხრივ პარადოქსული თეორია წამოსწია გამოჩენილმა მეცნიერმა, XX ს-ის ორი დიდი

პოეტის შვილმა, *ლ. გუმილიოვმა*, რომელმაც სამყაროს მემკვიდრეობითი პოეტური აღქმა გადაიტანა მეცნიერების სფეროში. მის განვითარების თეორიას საფუძვლად უდევს *ეთნოსის* ძალიან განზოგადებული და მოდერნიზებული ცნება: ლ. გუმილიოვი იძლევა ამ ძველი ცნების მეტად ორიგინალურ ახსნას: ეთნოსი — ესაა ადამიანთა დიდი ჯგუფი, რომლის ყოველი წევრი იოლად ახდენს თავის იდენტიფიცირებას მასთან და უშეცდომოდ გამოყოფს თავისიანებს სხვებისგან. ნათელია, რომ ესოდენ ზოგადი განსაზღვრება შეიძლება ეკუთვნოდეს არა მარტო ეროვნულად ერთგვაროვან, არამედ საერთოდ ნებისმიერ თვითიდენტიფიცირებულ ჯგუფებს, ეთნოსი ცხოვრობს თავისი ცხოვრებით, გადის რა ფაზებს, რომელიც დამახასიათებელია ადამიანის ორგანიზმისათვის: დაბადება, ზრდა, დაბერება, სიკვდილი (ეს იდეა ნასესხებია საბოლოო ჯამში ჰეგელისაგან). ყოველ ეთნოსში მამოძრავებელი ძალაა პანსიონარიები — პიროვნებები, რომელთაც გააჩნიათ ძალაუფლებისა და საქმიანობის დიდი წყურვილი, ჩადებული გენეტიკურად და გადაცემული მემკვიდრეობით. ეთნოსში მათ უპირისპირდებიან ჯგუფები, რომლებიც ილტვიან უფრო მშვიდი ცხოვრებისაკენ. პანსიონარობის დონე განსაზღვრავს ეთნოსის განვითარების სტადიას, რომლის ასაკს გუმილიოვი საშუალოდ განსაზღვრავს 1000 წლით. მომაკვდავი ეთნოსის ბაზაზე შეიძლება წარმოიშვას ახალი. ეთნოსები ქმნიან სუპერეთნოსებს, რომელთა ურთიერთქმედება ბადებს ისტორიულ პროცესს. ვღებულობთ საკმაოდ მწყობრ სურათს. განსაკუთრებით დამაჯერებლად არ გამოიყურება ეთნოსის პანსიონარობით პირველადი დამუხტვა. ავტორმა ვერ მონახა იმაზე უკეთესი, რომ პანსიონარობა მიეწერა რაღაც კოსმოსური გამოსხივების გავლენისათვის, რომელმაც შექმნა მასობრივი გენეტიკური მუტაციები პანსიონარობის მიმართულებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ სარტყელში, რომელიც მოექცა გამოსხივების ქვეშ. მოცემული ელემენტი არსებითად აფუჭებს ამ ორიგინალურ და მომხიბლავ თეორიას.

ფრიად საინტერესოდ წარმოგვიდგება *ვ. ოიკენის კონცეფცია „სამეურნეო წესების შესახებ“*. იგი თვლიდა, რომ არსებობს ორი ტიპის წმინდა, „იდეალური“ ეკონომიკური სისტემა — ცენტრალიზებულად მართვადი და საბაზრო. თითოეული ამ იდეალურ ტიპს ახასიათებს ექვსი ძირითადი პარამეტრი: „მოთხოვნილებები, ბუნება, შრომა ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის, ტექნიკური ცოდნა, მზა და მომწიფებული დოვლათის მარაგები, მეურნეობის სოციალური და სამართლებრივი ორგანიზაცია“. ამ პარამეტრების განსაზღვრული შეთავსებების დაფიქსირებისას შეიძლება მივიღოთ წმინდა ფორმები, რომელთა რიცხვი მცირეა, მაგრამ ყველა რეალურად არსებული სამეურნეო წესრიგი მიიღება, როგორც ამ წმინდა ფორმების შეთავსება და მათი რიცხვი უკვე უზარმაზარია. ამგვარად, კვლავ რეალიზდება იდეა ეკონომიკური სისტემების სფეროში მათემატიკურ კოორდინატთა სისტემის ერთგვარი მსგავსებისა ბაზისთან, შესაბამის იდეალურ ფორმებთან.

ცივილიზაციის თეორია, რომელიც გულისხმობს მონათესავე ხალხების ერთობლიობას, გაერთიანებულს საერთო კულტურით, ისტორიული ბედით, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობებით, აკავშირებს განვითარების პროცესებს ცივილიზაციების მოდიფიკაციებთან ისტორიული პროცესის მსვლელობაში და ლიდერი ცივილიზაციების ცვლასთან.

ეს თეორია იყო წამოწეული ნ. დანილევსკის (1869), განვითარებული ო. შპენგლერის (1918) და დეტალურად შემუშავებული ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის ა. ტოინბის (1934-1961) მიერ, რომელმაც დაწვრილებით აღწერა სამი თაობის 21 ცივილიზაცია. სულ არსებობდა დაახლოებით 30 ცივილიზაცია, რომელთა დიდი ნაწილი დაიღუპა, რადგან ცივილიზაციები, ისევე როგორც გუმილიოვისეული ეთნოსები, იბადებიან, ცოცხლობენ და კვდებიან. პირველი ლოკალური ცივილიზაციები წარმოიშვა, როგორც ცნობილია, III-II საუკუნეებში ჩვენს ერამდე

ხმელთაშუაზღვისპირეთში, შუამდინარეთში, ინდოეთსა და ჩინეთში. შემდეგ ისინი გავრცელდა პრაქტიკულად მთელ დასახლებულ მსოფლიოში. ჩვენი წელთაღრიცხვის მიხედვით, XX ს-ის შუახანებში დარჩა მესამე თაობის ხუთი დიდი ცოცხალი ცივილიზაცია: დასავლური, მართლმადიდებლურ-ქრისტიანული (სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა და რუსეთი), ისლამური, ინდუისტური და შორეულ აღმოსავლური.

ცივილიზაციური თეორიის გამგრძელებელი ს. ჰანტინგტონი გამოყოფს (1998) უკვე 8 თანამედროვე ცივილიზაციას: დასავლურს, ლათინოამერიკულს, ისლამურს, ჩინურს, ინდუისტურს, მართლმადიდებლურს, ბუდისტურს და იაპონურს. ამ ცივილიზაციების ხვედრითი წილები მსოფლიო მთლიან პროდუქტში (მშპ) სწრაფადცვალებადია (იხ. ცხრილი №2.2).

ცხრილის მონაცემები თვალნათლივ მოწმობს მართლმადიდებლურ ცივილიზაციაში ახლახან მომხდარ ეკონომიკურ დაცემაზე, რომლის წილი მსოფლიო მშპ-ში 20 წლის განმავლობაში 3-ჯერ შემცირდა.

ცხრილი №2.2.

ცივილიზაციათა ხვედრითი წილი მშპ-ში

ცივილიზაცია	1950	1970	1980	2000
დასავლური	64,1	53,4	48,6	50,5
მართლმადიდებლური	16,0	17,4	16,4	5,4
ჩინური	3,3	4,8	6,4	11,9
ისლამური	2,9	4,6	6,3	10,5
ინდუისტური	3,9	3,0	2,7	3,6
იაპონური	3,1	7,8	8,5	7,8
ლათინოამერიკული	5,6	6,2	7,7	8,3
აფრიკული	0,2	1,7	2,0	2,1

თანამედროვე საზოგადოებას ცხოვრება, უწყვეტი ეკონომიკური განვითარება და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი წარმოგვიდგება აბსოლუტურად განუყოფლად. მაგრამ ასე ყოველთვის არ იყო. იყო ხანგრძლივი, განუსაზღვრელად დიდი უძრაობის ეპოქები, ვიდრე განვითარების პერიოდები, მაგრამ ამავე დროს უეჭველად შესამჩნევი უკუსვლა, უკან დახევა კაცობრიობის მიერ უკვე დაპყრობილი პოზიციებიდან. დაღუპული აყვავებული ცივილიზაციების ადგილს ისტორიაში არაერთხელ იკავებდა ბარბაროსობა. ჩნდება აზრი, იქნებ სწორედ ასეთი უკანდახევები და არა უწყვეტი შემტევი მოძრაობა წარმოადგენს საერთო კანონზომიერებას? ასეთ თვალსაზრისს იზიარებენ ისტორიული წრებრუნვის თეორიის მიმდევრები, რომელთა ფუძემდებლად შეიძლება ჩაითვალოს იტალიელი დ. ვიკო, რომელმაც წამოსწია *ციკლების მიხედვით* — ისტორიულ წრეებში ყველა ხალხების განვითარების კონცეფცია. ე. მეიერიც ასევე იზიარებდა შეხედულებას კაცობრიობის ისტორიაზე, როგორც ჩაკეტილი ციკლების სისტემაზე (მაგალითად, ძველი მსოფლიო, შუასაუკუნეები). ამასთან, თითოეულ მათგანში არის როგორც ფეოდალური, ასევე კაპიტალისტური ეკონომიკის, ერთდროულად თავისუფალი, დაქირავებული და იძულებითი შრომის ელემენტები.

ზემოთ გაანალიზებული თეორიების სისტემატიზება შეიძლება შემდეგი სახით (ცხრილი №2.3.).

ზემოთ აღწერილია კაცობრიობის არსენალში არსებული თეორიების უმრავლესობა, რომლებიც ხსნის მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას. შევეცადოთ ავიღოთ ყოველივე საუკეთესო ადრე შემუშავებული თეორიებიდან და მოვახდინოთ რაღაც ახლის სინთეზირება ადრე ანონსირებული ირაციონალურ-ევოლუციური მიდგომიდან გამომდინარე.

ცხრილი №2.3.

მსოფლიო ეკონომიკის თეორიები

თეორიის დასახელება	განვითარების ფაქტორები და მამოძრავებელი ძალები
1. ნაწილობრივი ტექნოლოგიურ-ფაქტორული თეორიები	
1.1. ტექნოლოგიური ინოვაციების თეორია	ახალი ტექნოლოგია — ცეცხლის, ისრის ათვისება და ა.შ.
1.2. ენერგეტიკული თეორია	ენერგიის ახალი ფორმების ათვისება — სითბური, ელექტრული, ბირთვული
1.3. ბუნებრივი ფაქტორების თეორია	ბუნებრივი ფაქტორები და გეოგრაფიული მდებარეობა, ლანდშაფტი
1.4. დემოგრაფიული თეორია	მოსახლეობის რაოდენობის და სტრუქტურის ცვლილება
1.5. აგრარული თეორია	ახალი აგრარული ტექნოლოგიების ათვისება და კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა
1.6. საწყალოსნო მიმოსვლის გზების თეორია	წყლის ტრანსპორტის ძირითადი სახეობა — სამდინარო, საზღვაო, ოკეანის
1.7. კავშირის ტექნოლოგიების თეორია	კავშირგაბმულობის წამყვანი ტექნოლოგიები — ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, ელექტრონული ქსელი.
1.8. საინფორმაციო ტექნოლოგიების თეორია	საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება (ენა, საბეჭდი დაზგა, ინტერნეტი)

ძირითადი ლიტერატურა

- მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, ტ. I, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ, თბილისი, 2003. — გვ. 60-89, 90-119, 287-469.
- მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო, პროფ. გრ. თოდუას და პროფ. შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი, 2001. — გვ. 50-132, 195-374.
- მსოფლიო ეკონომიკა (ლექციების კურსი), შემდგენელი პროფ. შ. ვეშაპიძე, თბილისი, 2004. — გვ. 29-33, 73-91.
- ძნელაძე დ. მსოფლიო ეკონომიკა, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1997. — გვ. 9-21.
- ლეკაშვილი ე. საერთაშორისო ვაჭრობის ზოგიერთი თეორიის შესახებ. ეკონომიკის აქტუალური საკითხები, შრომების კრებული, თსუ გამომცემლობა, II გამოშვება. 1997.
- პოლ ჰერსტი, გრემ ტომპსონი. გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. გამომც. „დიოგენე", I ქართ. გამოც., თბილისი, 2005.
- Гурова И.П. Мировая экономика и международные экономические отношения: тесты, упражнения, проблемные ситуации. Уч. пособ., М.: Дело, 2003. — გვ. 14-32, (წიგნს დართული აქვს ვებ-რესურსების ვრცელი ანოტირებული სია).
- Peter Dicken. Global Shift, Transforming the World Economy, Third Edition, P.C.P Ltd, 1999.

თემა 3

მსოფლიო მეურნეობის განვითარება და მეგაეკონომიკის წარმოშობა

გლობალიზაცია და მეგაეკონომიკის წარმოშობა. იდეოლოგიური გლობალიზაცია. ინსტიტუციონალური გლობალიზაცია. მოხმარების და გასაღების, საქონლის და მომსახურების ბაზრების გლობალიზაცია. ფინანსური გლობალიზაცია. დაგროვებისა და ინვესტიციების გლობალიზაცია, ჯაჭიტალის ბაზრები. სამუშაო ძალის გლობალიზაცია. მეცნიერების და ინოვაციების გლობალიზაცია. ეკოლოგიური გლობალიზაცია. ყვლავწარმოებითი პროცესების გლობალიზაცია

ტელევიზიის, მობილური კავშირგაბმულობის, კომპიუტერისა და ინტერნეტის განვითარებამ მანძილი და დრო მკვეთრად შეამცირა. ეკონომიკა თანდათან კარგავს მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და იქმნება ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებიც, ძირითადად, საკუთარი მიზნები ამოძრავებთ და არა სახელმწიფო ინტერესები. მიმდინარეობს კულტურათა ასიმილაციის პროცესიც. ეს ყველაფერი მრავალსახოვანი გლობალიზაციის გამოვლინებაა.

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი

გლობალიზაცია ჩვენი ეპოქის უდავოდ საკვანძო ტერმინია, მაგრამ მისი ნათელი და ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება დღემდე არაა ჩამოყალიბებული. ზოგიერთ განსაზღვრებებში ხაზგასმულია ინსტიტუციონალურ-ცივილიზაციური ასპექტები და გლობალიზაციას უწოდებენ *ისტორიულ მასშტაბში სხვადასხვა ცივილიზაციის თანდათანობით მზარდ ურთიერთმოქმედების და ურთიერთშეღწევის პროცესს, რომლებიც ჩამოყალიბდა მეტ-ნაკლებად მდგრად ტერიტორიულ საზღვრებში, განსაზღვრული ეთნოსების ბაზაზე.*

სხვა განსაზღვრებებში აქცენტი კეთდება არა პროცესზე, არამედ საერთო პრობლემებზე, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დგას. ასეთ შემთხვევაში *გლობალიზაცია ნიშნავს საერთო, შინაარსის მიხედვით მსგავსი პრობლემების წარმოშობას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებისათვის (მაგალითად, ეკოლოგიური, სასურსათო, დემოგრაფიული, მიგრაციული, ჯანდაცვის და ა.შ.), სახელმწიფოთა მუდმივად ორმხრივ (საზიარო) სოციალურ-ეკონომიკურ დამოკიდებულებას და საერთო ინტერესთა ვრცელი ზონების წარმოქმნას.*

ყველა ეს მიდგომა გლობალიზაციის განსაზღვრულ მხარეს ასახავს და ამ გაგებით ჭეშმარიტია და სასარგებლო. *პროცესის გლობალურობის კრიტერიალურ თვისებას წარმოადგენს მისი გავლენა ჩვენ პლანეტის მთელ მოსახლეობაზე და მასში მიმდინარე ყველა პროცესზე.* ამავე კრიტერიუმით გამოიყოფა *გლობალური პრობლემები, როგორც პრობლემები, რომლებიც მთელი კაცობრიობის წინაშე დგას და ეხება დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ადამიანს.* მათ, მაგალითად, მიეკუთვნება: ომისა და მშვიდობის პრობლემები, ლოკალური სამხედრო კონფლიქტები, ადამიანთა უზრუნველყოფა სურსათითა და ენერგეტიკული რესურსებით, პლანეტის დაცვა ეპიდემიური დაავადებებისაგან, ჩრდილოეთის მდიდარი ქვეყანების ღარიბ სამხრეთთან დაპირისპირების პრობლემები, მსოფლიო ფინანსური, სასაქონლო და ბაზრის რეგულირების სხვა მრავალი პრობლემა.

გლობალიზაციის პროცესის ძირითადი თვისება — პლანეტარული ერთიანობაა. როგორც უკვე გავარკვიეთ, ერთიანი რთული სისტემის არსებობის. კრიტერიალურ თვისებას წარმოადგენს მისი თავდაცვის ანუ ჰომეოსტაზისის შესაძლებლობა. იმისათვის, რომ სისტემამ გაძლოს და დიდხანს იცოცხლოს გარემომცველ სამყაროში, უნდა გააჩნდეს წინააღმდეგობის მექანიზმები გარე ზემოქმედებათა მიმართ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველი გარე ზემოქმედება, რომელიც შეეცდება მისი, როგორც ერთიანი სისტემის, ფუნქციონირების დარღვევას, უნდა იწვევდეს მასში წინააღ-

მდეგობის გამწვევ ძალებს, რომლებიც მას დააბრუნებს თავდაპირველ მდგომარეობაში. ცხადია, რომ თუკი ასე არ ხდება, მაშინ სისტემა ინგრევა. რა თქმა უნდა, ყოველთვის არსებობს გარე ზემოქმედების ისეთი დონე, რომელიც დამცავ მექანიზმებთან შედარებით ძლიერია და ამდენად შეუძლია მისი განადგურება. ამიტომ უნდა ვისაუბროთ სისტემის კომპენსატორული საპასუხო რეაქციის შესაძლებლობაზე გარემოს შედარებით მცირე ზემოქმედების დროს. მაგალითად, ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობების მცირე რაოდენობა თითქმის ყოველთვისაა ადამიანის ორგანიზმში და მუდმივად არსებობს მათ ზემოქმედებაზე კომპენსაციის მექანიზმი. თუკი არასასურველ პირობებთან დაკავშირებით მათი რაოდენობა იწყებს მკვეთრ ზრდას, მაშინ ჩნდება ავადმყოფობა და ორგანიზმი რთავს დამატებით კომპენსატორულ მექანიზმებს — ჩვეულებრივ იზრდება ტემპერატურა და ჩნდება ანტისხეულები, რომლებიც მიკრობებს ებრძვის. მაგრამ მაშინ, როცა ორგანიზმის დასნებოვნების გარკვეულ დონეზე კომპენსატორული შესაძლებლობანი არ კმარა, დგება სიკვდილი. დაახლოებით ამგვარი მდგომარეობაა ყველა სხვა რთულ სისტემაშიც. რა თქმა უნდა, არსებობს კატასტროფული გლობალური ზემოქმედებანი, რომელთათვისაც საკმარისი არაა კომპენსატორული ზემოქმედება. ასეთ ზემოქმედებათა მაგალითებად შეიძლება გამოგვადგეს წარღვნა, რომელიც ალბათ მოხდა წინაისტორიულ პერიოდში, და აგრეთვე მსხვილი მეტეორიტის ჰიპოთეზური ვარდნა იურული პერიოდის ბოლოს, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი კლიმატური ცვლილებები და დინოზავრების განადგურება. ისეთი კატასტროფული ზემოქმედება, რომელიც ბირთვულ ზამთრამდე და კაცობრიობის დაღუპვამდე მიგვიყვანდა, შეიძლება გამოეწვია მესამე მსოფლიო ომს. თუმცა ჩვენ გვაინტერესებს ძირითადად მსოფლიო ეკონომიკაში ის მოვლენები, რომელთათვისაც უკვე არსებობს ან თანდათანობით იქმნება განსაზღვრული კომპენსატორული რეაქციები.

ამასთან დაკავშირებით პროფესორი ა. მოვსესიანი და ს. ოგნივცევის განმარტებით: *„გლობალიზაცია პლანეტარული მასშტაბით მიმდინარე ურთიერთდაკავშირებული პროცესების კომპლექსია, რომელთაგან თითოეულში არსებობს თვითრეგულაციის მექანიზმები.”*

ამ განსაზღვრებაში საკვანძო სიტყვებია „ურთიერთდაკავშირებულობა“ და „თვითრეგულაცია“ განვმარტოთ ისინი. *პირველ რიგში*, სხვადასხვაგვარი პროცესი, რომელიც ხდება ბუნებაში, ეკონომიკასა და საზოგადოებაში, დღეს მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ პროცესში მიმდინარე ცვლილებები გარდაუვლად აისახება სხვა პროცესებზე, გლობალური პროცესები მიმდინარეობს არა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, არამედ ქმნიან ერთიან კომპლექსს, რომელიც გამსჭვალულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით პროცესებს შორის. *მეორე*, ჩვენ განვიხილავთ იმ გლობალურ პროცესებს, რომლებიც თვითრეგულირების გარკვეულ უნარს ფლობენ. ამგვარად, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ თვითრეგულირებად პროცესებზე ისე, რომ არ ვეხებით არამართვად კატასტროფულ გლობალურ პროცესებს. თვითრეგულირებაა, როცა დედამიწის რაიმე წერტილში მიმდინარე აურზაური, ამა თუ იმ ზომით აუცილებლად აისახება პლანეტარული მასშტაბით მთელი პროცესის მსვლელობაზე. მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ გლობალურ მსოფლიოში *ყველა პროცესი გარდამავალია.* აქ უკვე ადგილი არა აქვს ყოფილ სტატიკას. თუმცა გადასვლები ძირითადად მიმდინარეობს წონასწორობის ერთი სიტუაციიდან მეორეზე. ამიტომ დროის ყოველ ინტერვალზე და ყოველ პროცესში მიიღწევა განსაზღვრული წონასწორობა. პროცესის მიმართ წარმოშობილი გარე ხასიათის აურზაური ან შიდა არეულობა ცდილობს პროცესის გამოყვანას წონასწორობის მიღწეული მდგომარეობიდან. მაგრამ ერთიანი სისტემა, რომელსაც დღეს მთელი გლობალური მსოფლიო წარმოადგენს, მიიღებს რა სიგნალს ამ შფოთის ან ცვლილების შესახებ, გამოიმუშავებს

კომპენსატორულ რეაქციას, რომელიც მას ახშობს და პროცესს აბრუნებს წონასწორობის სიტუაციაში.

როგორც უკვე ითქვა, საკმაოდ მძლავრ ზემოქმედებას შეუძლია პროცესი და სისტემა აიძულოს დატოვოს ძველი მდგომარეობა, რათა გადავიდეს წონასწორობის ახალ სიტუაციაში ან გამოიწვიოს სისტემის დაღუპვაც კი. ასეთ შემთხვევაში კომპენსატორული ძალები საკმარისი არაა და პროცესი, როგორც წესი, მორიგ ფაზაში გადადის, რომელიც დაკავშირებულია წონასწორობის სხვა სიტუაციებთან.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წონასწორობის ახალი სიტუაციის პოვნა ვერ ხერხდება. მაშინ რაღაცა მიზეზების გამო წარმოშობილი აღშფოთება (აჯანყება) მზარდი ტემპით ძლიერდება და პროცესი მიმდინარეობს „დაშლილად“ ასეთ შემთხვევებში ერთიანი რთული სისტემის არსებობა წყდება: კიბერნეტიკული მოწყობილობა იმსხვრევა, ცოცხალი ორგანიზმი კვდება, ცივილიზაცია იღუპება.

ეკონომიკური სისტემის შერყევის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს ჰიპერინფლაციის განვითარება. ყველაფერი შეიძლება დაიწყოს რომელიმე ბუნებრივი მონოპოლიის მიერ ნედლეულზე ფასების მცირეოდენი აწევით (დანახარჯთა ინფლაცია). ეს გამოიწვევს მრავალი საქონლის ფასების ზრდას, რომლებიც ამ ნედლეულს იყენებენ. თუკი სახელმწიფო არ ღებულობს მარეგულირებელ ზომებს, რომელიც დანახარჯთა ინფლაციას შეაკავებდა, არამედ მიდის მოსახლეობის ცხოვრების დონის გათანაბრების გზით და ატარებს ფულად ემისიას, რაც საშუალებას იძლევა გაიზარდოს ხელფასი, მაშინ წარმოიშობა დამატებითი მოთხოვნა და ფასები სამომხმარებლო საქონელზე იზრდება (მოთხოვნის ინფლაცია). ახლა უკვე სანედლეულო დარგები მიიჩნევენ თავს დაჩაგრულად და კვლავ გაზრდიან თავიანთ ფასებს. ამგვარად, დანახარჯთა ინფლაცია და მოთხოვნის ინფლაცია იწყებენ გაძლიერებას და ერთმანეთის აჩქარებას. წარმოიშობა ინფლაცია, რომელიც სწრაფად გადაიზრდება არა-

კონტროლირებად ჰიპერინფლაციაში, ფული სრულებით უფასურდება და ეკონომიკა ინგრევა. ასე არაერთხელ ყოფილა მსოფლიო ეკონომიკაში და რეფორმების წლებში ჩვენი ქვეყანაც ხშირად იმყოფებოდა ჰიპერინფლაციის ზღვარზე. ბუნებრივია, ასეთი არამდგრადი პროცესები ჩნდება არა მხოლოდ ეკონომიკაში, არამედ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ სფეროებშიც. მნიშვნელოვანია მალევე აღმოვაჩინოთ ნეგატიურ ტენდენციათა ზრდის „დესტრუქციული“ ციკლები და დროულად დავახვედროთ ახალი კომპენსატორული მექანიზმები საკანონმდებლო, ეკონომიკური ან ადმინისტრაციული რეგულატორების ფორმით. რეიჩის და ომეისს თვალსაზრისით,„გლობალიზაცია ახალი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული წესრიგია, სადაც ეროვნულ სახელმწიფოებს წამყვანი როლი აღFრ აკისრიათ“, თუმცა ჰერსტის და ტომპსონის აზრით „ჩვენ არგვაქვს სრულად გლობალიზებული მსოფლიო და საერთაშორისო ეკონომიკა, რომლის მიხედვითაც ეროვნული პოლიტიკა იცვლება“.

მიუხედავად განსხვავებული თვალსაზრისისა, თანამედროვე მსოფლიო შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ურთიერთზეგავლენის მქონე და ნაწილობრივ თვითრეგულირებადი პროცესების ხლართი (გორგალი). ამგვარად, *გლობალურმა პროცესებმა თანდათანობით, ევოლუციურად შექმნა უკუკავშირის საერთოპლანეტარული კონტურები.* სწორედ ეს გვაძლევს ახალი ეკონომიკური არსის წარმოშობის კონსტანტირების საშუალებას, რომელსაც მეგაეკონომიკას ვუწოდებთ.

მეგაეკონომიკა *ერთიანი გლობალური ეკონომიკური სისტემაა, რომელიც უკუკავშირის მექანიზმების საფუძველზე თვითრეგულირდება.*

მოქმედ პირთა — მეგაეკონომიკის მონაწილეთა შორის ძირითად როლს თამაშობენ ეროვნული სახელმწიფოები; ტრანსეროვნული კაპიტალი, კერძოდ, ტრანსეროვნული კორპორაციები (ტეკ) და ტრანსეროვნული ბანკები (ტებ); აგრეთვე, მსხვილი ქალაქები და მეგაპოლისები; ქვეყანათა ბლო-

კები; საერთაშორისო ორგანიზაციები; ოფშორები და ცალკეული ბიზნესმენები — ტრანსნაციონალები. ყოველ სუბიექტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს უკუკავშირის რამდენიმე კონტურში და მათ შესაბამის რამდენიმე გლობალურ პროცესში.

მეგაეკონომიკის, როგორც ახალი პლანეტარული ერთიანობის, ჩასახვა და ჩამოყალიბება დაიწყო გასული საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს შემდეგი *სამი ძირითადი გრანდიოზული ეკონომიკურ-ტექნოლოგიური მოვლენის ზემოქმედებით.*

პირველი, დაიწყო და აქტიურად მიდის *მოწინავე ქვეყნების გადასვლა* საინფორმაციო საზოგადოებასა და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ წყობაზე.

მეორე, რელიეფურად გამოიკვეთა დამოუკიდებელი და ეროვნულ სახელმწიფოებზე დაუქვემდებარებელი, მათი იურისდიქციიდან გამოსული *ტრანსეროვნული კაპიტალი.*

მესამე, წარმოიშვა გლობალიზაციის პრინციპულად *ახალი ტექნოლოგიები,* უპირველეს ყოვლისა, საინფორმაციო, კომპიუტერული და ქსელური ტექნოლოგიები.

ყოველ გლობალურ პროცესს თავისი მოთამაშეები ჰყავს, რომლებიც პლანეტარული მასშტაბით სიგნალთა გადაცემისათვის განსაზღვრულ გლობალურ ტექნოლოგიებს იყენებენ, ასევე, გააჩნიათ რეგულირების საკუთარი მექანიზმებიც.

1. იდეოლოგიური გლობალიზაცია. რაც არ უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, გლობალიზაციის პროცესები იდეოლოგიის სფეროდან დაიწყო. ვინაიდან გლობალიზაცია პროცესია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მიმდინარეობს კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკაში და შინაგანად მისთვისაა დამახასიათებელი, მსოფლიოს გლობალურ აღქმას პირველად ლიბერალურმა თეორიამ უბიძგა, რომელმაც სახელმწიფოებრივზე მეტად ცალკეულ პირთა ღირებულებების პრიმატის უპირატესობა აღიარა. ლიბერალურმა ღირებულებებმა — თავისუფლებამ, თანასწორობამ, საკუთრებამ — ჯერ კიდევ XVIII ს-ში გამოავლინეს საკუთარი საყოველთაობა, რითაც გლობალიზაციის საფუძველად იქცნენ.

დღეს საგანმანათლებლო სისტემების, მასობრივი ინფორმაციული საშუალებების და გლობალური საინფორმაციო სისტემების მეშვეობით ეს გლობალიზაციის იდეოლოგია წარმატებით ინერგება საზოგადოებრივ შემეცნებაში. იდეოლოგია გლობალიზაციის მძლავრი, მაგრამ არაერთადერთი მამოძრავებელი ძალა გახდა.

გლობალური იდეოლოგიური სისტემა უკვე იძენს აზრის და საზოგადოებრივი შემეცნების მართვის ერთიან კონტურს. იდეოლოგიური ცენტრები, რომლებიც უკვე საკმაოდ თანაბრადაა განაწილებული მთელ მსოფლიოში, მგრძნობიარედ რეაგირებენ მცირეოდენ აურზაურსა და გადახრაზე „გენერალური“ იდეოლოგიური ხაზიდან. ამგვარი გადახრები ჭრება (იხშობა) მასობრივი ინფორმაციული საშუალებებისა (მის) და ახალი ქსელური ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით. აღვნიშნავთ, რომ იდეოლოგიის გლობალიზაციის პროცესი არ წარმოადგენს ვიღაცის კონკრეტულ გეგმას. ინტერნეტის მსგავსად, იგი წარმოიშვა და ვითარდება სხვადასხვა ადამიანისა და ჯგუფის მოქმედებების საფუძველზე, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან კაცობრიობისათვის სასურველ მომავალზე ერთიანი წარმოდგენებით.

2. ინსტიტუციონალური გლობალიზაცია. გლობალიზაციის განსახორციელებლად აუცილებელია მთელ მსოფლიოში იცავდნენ საბაზრო თამაშის და საზოგადოებრივი ქცევის ერთიან წესებს, რომელთაც ინსტიტუტებს უწოდებენ. ამიტომ ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესების პარალელურად, ხან დაგვიანებით, ხან გასწრებით მიმდინარეობს ფორმალური (კანონები, ნორმატივები) და არაფორმალური (ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ქცევის დაუწერელი წესები) ინსტიტუტების გლობალიზაცია.

სამართლებრივ სფეროში ეს პროცესი ვლინდება ეროვნულთან შედარებით საერთაშორისო სამართლის ნორმათა პრიმატის აღიარებაში, მრავალი საკანონმდებლო ნორმების და პრინციპების სტანდარტიზაციაში, ეროვნულ-სამართლებ-

რივ სისტემათა დაახლოებაში, ინგლისურენოვანი ქვეყნების ზოგადი სამართლის პრინციპების და კონტინენტური ევროპული სამართლის თანდათანობით ურთიერთშეღწევაში.

ინსტიტუტთა გლობალიზაციაში დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო ორგანიზაციები, პირველ რიგში, გაერო და მისი ორგანიზაციები, ეკონომიკური და ფინანსური დაწესებულებები, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვ. ამ ორგანიზაციების მოღვაწეობას ეძღვნება ცალკე თავი.

პრაქტიკულად მასობრივი ინფორმაციის საყოველთაო ელექტრონული საშუალებების მძლავრი ზემოქმედებით ყველგან, და განსაკუთრებით მეგაპოლისებში, ასევე მსხვილ ქალაქებში ვითარდება საქმიანი და ყოფითი ქცევის ერთგვაროვანი სტანდარტები. ტელევიზიამ და კინომ შეცვალა ოჯახის ფასეულობების წარმოშობა. საშუალო ამერიკელი მოზარდი ტელევიზიას უყურებს კვირაში 21 სთ-ის განმავლობაში, 5 წუთს ატარებს კვირაში მამასთან, ხოლო 20 წუთს — დედასთან. მოზრდილი ამერიკელი ტელეეკრანთან კვირაში 18 სთ-ს ატარებს, და, ბუნებრივია, მის-ების დიდი ზეგავლენის ქვეშაა[1]. ანალოგიური სურათი სხვა ქვეყნებშიც შეინიშნება. ბევრი, სხვადასხვა ქვეყნის ქალაქელი მაცხოვრებელი, რომელიც უყურებს ერთსა და იმავე ტელეგადაცემებს, ასევე ინტელექტუალებიც, რომლებიც დაკავშირებული არიან ინტერნეტთან, სულ უფრო მეტად ახდენენ საკუთარი თავის, როგორც ერთიანი გლობალური ცივილიზაციის წარმომადგენლის, თვითიდენტიფიცირებას.

მნიშვნელოვანია ის, რომ ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები უკვე წარმოადგენენ ერთიან მართვად გლობალურ კონტურს. ადამიანის უფლებების დარღვევა, სასამართლო შეცდომები, დანაშაულობანი, თვალსაჩინო ადამიანთა უგვანო საქციელი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში

---

1 იხ.: Hamlin S. Time Flies, but Where Does It Go. // New York Times. 1995 September 6.

უმალ ხდება საყოველაო კუთვნილებად მის მეშვეობით. ისინი ერთდროულად განიხილება, დადებითად ფასდება და იკიცხება ნიუ-იორკის, პარიზის, მოსკოვის და სინგაპურის ქუჩებში. ასე გამომუშავდება მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ყალიბდება მის-ების მიერ და ვრცელდება მთელ მსოფლიოში. აქ ქმედითად მუშაობს უკუკავშირის ძირითადი კიბერნეტიკული პრინციპი — სიგნალის მიღება და სისტემის სწრაფი რეაქცია ცვლილებაზე.

3. მოხმარების და გასაღების, საქონლის და მომსახურების ბაზრების გლობალიზაცია. არაფორმალურ ინსტიტუტთა (წესჩვეულებების, ყოფითი ქცევის წესების) გლობალიზაციამ მსოფლიოს მოსახლეობა სასურველი ცხოვრების შესახებ წარმოდგენების განსაზღვრულ სტანდარტიზაციამდე მიიყვანა. ჰოლივუდის კინოფილმებში, რომლებიც ახალი მსოფლიო მასობრივი კულტურის საფუძველი გახდა, თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ ცხოვრებისა და ქცევის სტანდარტებს. იქვეა წარმოდგენილი მოხმარების იდეალები, რომლისკენაც ისწრაფვის დღეს მთელი „ცივილიზებული" სამყარო. საშუალო ამერიკელი თავისი ცხოვრების მანძილზე მოიხმარს 700 ტ მინერალურ ნედლეულს, 4000 ბარელ ნავთობს, 25 ტ მცენარეულ და 28 ტ ცხოველურ საკვებს. ამავე დროს იგი აწარმოებს 1 ათას ტ ატმოსფერულ, 1 ათას ტ მყარ და 10 ათას ტ თხევად ნარჩენებს.[1] ნათელია, რომ მსოფლიო მასშტაბით ასეთ მოხმარებაზე გადასვლა შეუძლებელია რესურსული და ეკოლოგიური შეზღუდვების გამო, მაგრამ მისი პროპაგანდა მაინც დაჟინებით გრძელდება და დღეს დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობის სწრაფვათა ვექტორს გეზს აძლევს.

დღესდღეობით მთელი მსოფლიო მოიხმარს სტანდარტულ, მსოფლიო სასურსათო გიგანტების მიერ გავრცელებულ საკვებს, ზოგჯერ თავს ინებივრებს სპეციფიკური ეროვ-

1 იხ. Hall C. et al. The Environmental Consequences of Having a Baby in United States // Population and Environment. 1994. July.

ნული ან უცხოური კერძებით, რომლებიც ძირითადად, ასევე სტანდარტული — ჩინური ან იტალიური სამზარეულოდანაა. მთელი მსოფლიო მისდევს მოდის სტანდარტებს, რომლებიც გამომუშავებულია უმსხვილეს ცენტრებში. ამასთან, იგი იძულებით, მაგრამ განუწყვეტლივ ადევნებს თვალს ტელე- და სხვა რეკლამებს, რომლებიც უკვე ეკონომიკის წამყვან დარგად იქცა. ერთი და იგივე სარეკლამო რგოლები მთელ მსოფლიოს უჩვენებს ამა თუ იმ საქონელს, რითაც დაბეჯითებით აწინაურებენ ეროვნულ ბაზრებზე უმსხვილეს კორპორაციათა ნაწარმს. სარეკლამო საქმიანობაში უკვე აქტიურად ჩაერთნენ ინტერნეტკომპანიები, რომლებიც მალე თვალსაჩინო ადგილს დაიკავებენ სარეკლამო ბიზნესში.

იმისათვის, რომ წარმატება გქონდეს ბაზარზე, ნებისმიერი საქონელი უნდა იყოს „დატრიალებული“ სარეკლამო კომპანიის მიერ. ამასთან, რეკლამაზე დანახარჯები სულ უფრო დიდ წილს შეადგენს საქონლის საბოლოო ფასში. სამაგიეროდ ყოველი სიახლე წამიერად ვრცელდება მთელ მსოფლიოში და კოლოსალური შემოსავლები მოაქვს მისი შემქმნელებისათვის.

გლობალური მოხმარება მჭიდროდ ესადაგება გლობალურ გასაღებას. მარკეტინგული და გასაღების ტექნოლოგიები ერთნაირია მთელ მსოფლიოში. პლანეტის ყოველ წერტილში მყიდველი ეჯახება ერთგვაროვან სერვისს და მარკეტინგულ მიდგომას. მარკეტინგს ყველა სწავლობდა ერთი სახელმძღვანელოთი, ხოლო ავსტრიული დისტრიბუტორული ქსელის ტიპის მარკეტინგული ინოვაციები, რომელიც ცნობილია ჰერბალაიფის გავრცელებით, სწრაფად ხდება მიბაძვის საგანი და ამდენად საყოველთაო კუთვნილება.

საქონელზე ხარისხობრივი ცვლილებები, მყიდველთა ახალი უპირატესობანი, ისევე როგორც გასაღების ახალი ტექნოლოგიები, მყისვე ვრცელდება მთელ პლანეტაზე. მოხმარების გლობალიზაციის და სტანდარტიზაციის ბაზაზე ახალ ხარისხს იძენს საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ბაზრები.

იდეოლოგიის, ინსტიტუტების და მოხმარების გლობალიზაცია შესანიშნავ პირობებს ქმნის ძირითადი სასაქონლო ბაზრების გლობალიზაციისათვის. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა უკვე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) მონაწილეს წარმოადგენს, ე. ი. დათანხმდნენ თავისი ბაზრების ლიბერალიზაციას, სავაჭრო შეზღუდვათა შემცირებას ან მოხსნას და ვაჭრობის საერთო წესები აღიარეს.

დღესდღეობით საერთაშორისო ვაჭრობა უკვე უზარმაზარ მასშტაბებს მოიცავს. ახლა მისი მოცულობა 12 ტრლნ აშშ დოლარია, ხოლო საერთაშორისო მომსახურების მოცულობა — 1,5 ტრლნ აშშ დოლარი. შეინიშნება საერთაშორისო ვაჭრობის დინამიზმი, მისი მოცულობა 90-იან წლებში 5-ჯერ სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მსოფლიო წარმოება. ეს ყველაზე თვალსაჩინოდ ადასტურებს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ზრდას. მსოფლიო ვაჭრობის დიდი ნაწილი მოდის მსხვილ რეგიონულ სავაჭრო ბლოკებს შორის გაცვლაზე, ძირითადად „ტრიადის“ ჩარჩოებში — აშშ, ეკ და იაპონია.

განსაკუთრებით უნდა ხაზი გაესვას მომსახურებით ვაჭრობის წინმსწრებ ზრდას, და შესაბამისად, *საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურაში მომსახურების სექტორის წილის მატებას*. სსფ-ის მონაცემებით, მომსახურების მსოფლიო ექსპორტი (ტრანსპორტის, ტურიზმის, სამთავრობო და სხვა მომსახურებათა ჩათვლით) 1988-1998 წლების განმავლობაში გაიზარდა 653,2-დან 1400 მლრდ აშშ დოლარამდე. 1998 წელს მომსახურებათა ღირებულებამ მსოფლიო ექსპორტის დაახლოებით 30% შეადგინა.

სასაქონლო ბაზრების გლობალიზაციას აქტიურად უერთდება ინტერნეტის შესაძლებლობები. „ელექტრონულ ბაზარში“ მონაწილეობას წარმოების ხელმძღვანელები განიხილავენ კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის, ასევე, მაღალი რენტაბელობის მიღწევის გადამწყვეტ ფაქტორად. ამჟამად მსოფლიოს 60%—ზე მეტ საწარმოს გააჩნია თავისი

ვებ-გვერდები (სერვერები) ინტერნეტში, რომლის მეშვეობითაც აქტიურად სთავაზობს თავის პროდუქციას, პოულობს ხელსაყრელ მიმწოდებლებს, პარტნიორებსა და ინვესტორებს. ახლა ეს უკვე აუცილებელი პირობა ხდება წარმოების წარმატებისათვის, ვინაიდან გლობალური „ელექტრონული ბაზარი" ვითარდება ფეთქებადი სახით, ყოველწლიურად ორმაგდება მისი მოცულობა.

1999 წელს გლობალური „ელექტრონული ბაზრის" მოცულობა შეფასდა 10 მლრდ აშშ დოლარად, მაგრამ 2003 წლისათვის იგი, სპეციალისტების თვალსაზრისით, გაიზრდება მრავალჯერ და დაახლოებით 350-1300 მლრდ დოლარს შეადგენს.

საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის კონტურში უკუკავშირის არსებობა უზრუნველყოფილია საბაზრო ტექნოლოგიებით, რომლებიც ახლა შევსებულია თანამედროვე სატრანსპორტო, საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიებით. ყოველ მნიშვნელოვან საქონელსა და მომსახურებაზე ბირჟისა და ელექტრონული სავაჭრო სისტემების მეშვეობით ყალიბდება მსოფლიო წონასწორული ფასები, რომლებიც მგრძნობიარედ რეაგირებენ გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე მცირეოდენ ცვლილებებზე.

4. ფინანსური გლობალიზაცია. ფინანსების გლობალიზაცია — ეს საყოველთაო გლობალიზაციის ერთ-ერთი მკაფიო ელემენტია. პლანეტარული ელექტრონული ქსელების საშუალებით ფინანსური ნაკადების მეყსეულად გადაადგილების შესაძლებლობამ კარდინალურად შეცვალა საერთაშორისო სამეურნეო საქმიანობის პირობები.

დღესდღეობით ყოველდღიური ბანკთაშორისი ოპერაციები დაახლოებით 1,5 ტრლნ აშშ დოლარს შეადგენს. 1987 წელს შეადგენდა 600 მლრდ. აშშ დოლარს, 800 მლრდ. აშშ დოლარს — 1989 წელს და 1 ტრლნ. აშშ დოლარს — 1993 წელს.[1]

---

1 Henwood D. Wall Street. How it works and whom N. Y. 1998, P. 10.

ფინანსური ბაზრების შესაძლებლობები კიდევ უფრო გაფართოვდა 70-80-იან წლებში ახალი ფინანსური ინსტრუმენტების და ოპერაციების წარმოშობით; ესაა ე. წ. წარმოებული ფასიანი ქაღალდები (დერივატივები), პირველ რიგში კი ფიუჩერსები და ოპციონები. მთლიანობაში ყველა ღია პოზიციის მოცულობა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით 1986 წლიდან 1993 წლამდე გაიზარდა (ნომინალით) 618,8 მლრდ. აშშ დოლარიდან 7,8 ტრლნ. აშშ დოლარამდე, ე.ი. 12,7-ჯერ (ნამატის ყოველწლიური ტემპი საშუალოდ შეადგენდა 43,7%-ს[1]).

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა სესხების, კრედიტების, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის, სავალუტო ოპერაციების და ა.შ. სახით 50-ჯერ აჭარბებს საერთაშორისო ტვირთბრუნვას. ამჟამად საერთაშორისო ვაჭრობაში ჩადებულ თითო დოლარზე მოდის წმინდა ფინანსურ ბრუნვაში ჩართული 8-9 დოლარი.

დერივატივების ბაზრებთან ერთად თანამედროვე ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო ელექტრონული სავალუტო ბაზრები (Forex), რომელთა ყოველდღიური გარიგებების მოცულობამ 2001 წელს 2 ტრლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა.

ფინანსური ბაზრები თავისთავად წარმოადგენენ ყველაზე მაღალტექნოლოგიურ მართვად კონტურს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში, სადაც ორგანულად უერთდება ერთმანეთს საბაზრო და ქსელური კომპიუტერულ-საინფორმაციო ტექნოლოგიები. ჩვენი პლანეტის ბაზრის ნებისმიერ ბოლოში უმცირეს ცვლილებაზე გამოძახილი მყისიერია, ხოლო წონასწორობის ახალი სიტუაციის ძიება ხორციელდება ბაზრის ასი ათასობით მონაწილეთა ძალისხმევით, უშუალო ინტერაქტიური ურთიერთობის on line რეჟიმში.

---

1 Буренин А. Н. Рынки производных финансовых инструментов. М.: Инфра, М. 1996. с. 15.

5. დაბრკოლებისა და ინვესტიციების გლობალიზაცია, კაპიტალის ბაზრები. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო მოთხოვნის და მიწოდების კონტური, არამედ დაგროვება — ინვესტირება. გლობალიზებული ეკონომიკისათვის აუცილებელია როგორც დაგროვების, ასევე, ინვესტირების რეგულირებადი კონტური. დაგროვებათა ტრადიციულ წყაროებს წარმოადგენს შინამეურნეობების დანაზოგები, საწარმოთა დაგროვების ფონდები და სახელმწიფო რეზერვები. საბანკო სისტემა, სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო და საინვესტიციო ფონდები ამ საშუალებების მობილიზებას და ინვესტირებას ახდენს სხვადასხვა მიმართულებით.

დაგროვების გლობალიზაცია შეივსო გლობალური ინვესტირებით. კომპიუტერული ქსელი Global Costadien საშუალებას იძლევა განხორციელდეს ინვესტიციები მთელ მსოფლიოში უშუალოდ საკუთარი პერსონალური კომპიუტერიდან. ამგვარად წარმოიქმნა ინვესტიციების ერთიანი მსოფლიო ბაზარი, რომელიც მგრძნობიარედ რეაგირებს ახალ ეკონომიკურ სიტუაციას და ცვლილებებზე.

6. სამუშაო ძალის გლობალიზაცია. ლიბერალური იდეოლოგიის ინსტიტუტების და მოხმარების გლობალიზაციითგავლენით, ბოლო წლებში სწრაფად ვითარდება შრომის ბაზრის გლობალიზაცია. აზიასა და აფრიკაში ადამიანები უყურებენ პროვინციული ტელევიზიით ფილმებს ამერიკულ-ევროპულ ბედნიერ ცხოვრებაზე; მექსიკიდან აშშ-ში და აღმოსავლეთ ევროპიდან დასავლეთში ფეხითაც კი შეიძლება გადასვლა. ტრანსპორტის ღირებულება კი მკვეთრად დაბალია და თვითმფრინავზე ბილეთის ყიდვა ღარიბსაც შეუძლია. გადაკვეთ საზღვარს და მესამე სამყაროდან პირველში აღმოჩნდები, სადაც შემოსავლები 10-20-ჯერ მაღალია. ყოველივე ეს მძლავრ წანამძღვრებს ქმნის სამუშაო ძალის მოძრაობისათვის. დღეს ამერიკელთა 10%-ს იმიგრანტები შეადგენენ, თუ არ ჩავთვლით იქ არალეგალურად მცხოვრებ 3-4 მლნ უცხოელს.

საუკუნის დამდეგის მიგრანტისაგან განსხვავებით, თანამედროვე მიგრანტი საჭიროებს მნიშვნელოვან დანახარჯებს კვალიფიკაციის შეცვლასთან დაკავშირებით. დღევანდელი იმიგრანტები გამოირჩევიან განათლების დონით: უხეშად რომ ვთქვათ, ან ისინი ზედმიწევნით განათლებულნი არიან, აქვთ საუნივერსიტეტო ცოდნა, ან ძლივს ახერხებენ თვლას. საშუალო პრაქტიკულად არ არსებობს. იაფი მუშახელი „მესამე სამყაროს" ქვეყნებში და იმიგრანტები უმძლავრეს კონკურენციას უწევენ არაკვალიფიციურ მუშებს პირველი სამყაროს ქვეყნებში. ეს იწვევს მათი შემოსავლების შედარებით დაწევას და სოციალური დაძაბულობის ზრდას.

განვითარებული ქვეყნები ჯერჯერობით კეთილგანწყობილნი არიან ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან „ტვინების გადაქაჩვის" მიმართ. თუმცა, მიწოდების თანდათანობითმა ზრდამ შეიძლება ვიგვიყვანოს ფასების დაცემამდე და კვალიფიციური სამუშაო ძალის შემცირებამდე. ამასთანავე, ინტერნეტის განვითარებასთან ერთად გაჩნდა ღარიბი ქვეყნების კვალიფიციური სამუშაო ძალის გამოყენების შესაძლებლობა სამეცნიერო კვლევებსა და საპროექტო სამუშაოებში კომპიუტერული ქსელის გამოყენებით, ქვეყნიდან გაუმგზავრებლად.

ტრანსპორტის სიიაფისა და ასევე, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამო სამუშაო ძალამ შეიძინა მაღალი მობილურობა. ჩამოყალიბდა გლობალური შრომის ბაზრის კონტური. ამასთან, თანამედროვე პირობებში საჭიროა ცალცალკე განვიხილოთ კვალიფიციური და არაკვალიფიციური შრომის ბაზრები.

7. მეცნიერების და ინოვაციების გლობალიზაცია. მეცნიერება, როგორც შემოქმედებითი მოღვაწეობის სფერო, ყოველთვის გლობალური იყო. ლეგენდები გენიალურ მარტოსულ მეცნიერებზე მხოლოდ ლამაზი მითია. მეცნიერი საჭიროებს სამეცნიერო გარემოს და სხვა მეცნიერებთან ურთიერთობის გარეშე ეფექტიანად მუშაობა არ შეუძლია. ცოდნა შეიძლება დაიბადოს მხოლოდ ინფორმაციიდან და ცოდ-

ნიდან. ამიტომ მეცნიერს აუცილებლად სჭირდება საინფორმაციო გარემო და სამეცნიერო საზოგადოება, რომელსაც უნარი ექნება მიმართულება მისცეს, განიხილოს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეაფასოს მისი მიღწევები. საბოლოო ჯამში სამეცნიერო წრეში სახელის და გავლენის მოპოვებით მეცნიერი ზოგჯერ თავისი ქვეცნობიერის დონეზე ახერხებს მისი მძიმე და ჩვეულებრივ არცთუ მაღალანაზღაურებადი შრომის მოტივაციას.

თუმცა მხოლოდ XX ს-ის მეორე ნახევარში გახდა მეცნიერება წარმოების ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების დარგი. ამჟამად სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინოვაციები წარმოების ზრდის საფუძველი და კომპანიის კონკურენტუნარიანობის ძირითადი ელემენტი გახდა. სახელმწიფო და კორპორაციები იბრძვიან საუკეთესო სამეცნიერო ძალების მისაზიდად. წამყვანი სახელმწიფოები საკმაოდ გულუხვად ახდენენ არა მარტო ტექნოლოგიური კვლევების ასიგნებას, არამედ ფუნდამენტური მეცნიერებისაც და, უბრალოდ, მეცნიერთა ურთიერთობასაც კი კონფერენციების, სიმპოზიუმების და ა.შ. სახით. ცნობილია, რომ ქვეყნის ეკონომიკის ზრდა მით უფრო წარმატებულია, მშპ-ს რაც მეტი წილი იხარჯება მეცნიერებაზე.

ამჟამად მეცნიერების ძირითად დარგებში ჩამოყალიბდა მძლავრი ცენტრები სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, უნივერსიტეტების, სამეცნიერო ფონდების და ტექების კვლევითი ცენტრების ბაზაზე. მსოფლიოში მეცნიერთა გადაადგილება გახდა თავისუფალი. სხვაობა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების შემოსავალში ისე მუშაობს, როგორც ტუმბო, ოღონდ ამჯერად „ტვინთა გადასაქაჩად“. ინტერნეტი ქმნის პირობებს იდეებისა და ინოვაციების გაცვლის გასაძლიერებლად, ასევე, უცხოელ მეცნიერთა შესაძლებლობების გამოყენების მათი ფიზიკური გადაადგილების გარეშე. ეს გარემოება უკვე უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად შეცვლის მეცნიერების გლობალიზაციის ხასიათს.

დღეს მეცნიერება და ინოვაცია ქმნის ერთიან გლობალურ კომპლექსს, რომელშიც ახალი იდეები და აღმოჩენები, მიუხედავად შეზღუდვებისა და აკრძალვებისა, საკმაოდ სწრაფად ხდება მსოფლიო მეცნიერების კუთვნილება და საყოველთაო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გაძლიერების ფაქტორი.

8. ეკოლოგიური გლობალიზაცია. ბუნებრივ გარემოს გააჩნია წონასწორობის შენარჩუნების საკმაოდ განსხვავებული მექანიზმები. თუმცა ბოლო წლების მძლავრი ანთროპოგენური ზემოქმედება იმდენად დიდია თავისი მასშტაბებით, რომ ბუნებრივი საკომპენსაციო მექანიზმები არასაკმარისი აღმოჩნდება. კაცობრიობამ ან უნდა შეამციროს თავისი ნეგატიური ზემოქმედება ბუნებაზე, ან გააძლიეროს ბუნებრივი საკომპენსაციო მექანიზმები ხელოვნურთა ხარჯზე. ამ სფეროში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე განსაკუთრებით მწვავე გლობალური პრობლემა, რომელთა გადაწყვეტა კაცობრიობისათვის აუცილებელია, რათა იგი გადარჩეს. ამის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ მთელი მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევით. მათ შორისაა — დედამიწის კლიმატის გლობალური ცვლილებები, ოზონის ფენის გათხელება და ოზონის ხვრელები, სურსათის გლობალური უკმარისობა, ტყეების გაჩეხვა და კაცობრიობის ჟანგბადით შიმშილი, სახიფათო დემოგრაფიული ზრდა, მსოფლიო ომის საფრთხე, ლოკალური ბირთვული კონფლიქტები, რომელსაც კატასტროფული ეკოლოგიური შედეგები მოაქვს მთელი მსოფლიოსათვის. კაცობრიობა ვერ მოახერხებს ხანგრძლივი და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას, თუკი ვერ შეძლებს უკუკავშირის საიმედო კონტურების შექმნას, რომლებიც გააკონტროლებენ პლანეტარული მასშტაბით ეკოლოგიური და სოციალური პროცესების განვითარებას, ასევე, საკომპენსაციო ზემოქმედების ეკონომიკური მექანიზმების შექმნას, რომლებიც ნეგატიური ტენდენციების განვითარებას წინ აღუდგებიან.

9. კვლავწარმოების პროცესების გლობალიზაცია. კვლავწარმოებითი პროცესების გლობალიზაციის ძირითად ფაქტორს ტრანსეროვნული კორპორაციები წარმოადგენენ, რომლებიც კვავწარმოების პროცესის ნაწილებს და სტადიებს განათავსებენ სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. ისინი აგრეთვე წარმოქმნიან კვლავწარმოებათა კონტურს, რომელსაც თვითრეგულირების თვისებები გააჩნია. თუკი დედამიწის სფეროს რომელიღაც წერტილში იქმნება ხელსაყრელი პირობები კვლავწარმოებითი პროცესის (გადასახადების, ხარისხის, სამუშაო ძალის ფასის და ა.შ. მიხედვით) რაიმე ნაწილისათვის, მაშინ ტრანსეროვნული კაპიტალი სასწრაფოდ იყენებს ამ უპირატესობებს და გადააქვს იქ კვლავწარმოებითი პროცესის შესაბამისი ელემენტები. ტეკ-ების კონტური მჭიდროდ ურთიერთმოქმედებს სხვა ზემოაღნიშნულ კონტურებთან.

🕮 *ძირითადი ლიტერატურა*

- მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, ტ. I, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ, თბილისი, 2003. — გვ. 90-119.
- მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო, პროფ. გრ. თოდუას და პროფ. შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი, 2001. — გვ. 50-65.
- ძნელაძე დ. მსოფლიო ეკონომიკა, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1997. — გვ. 9-21.
- პოლ ჰერსტი, გრემ ტომპსონი. გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. გამომც. „დიოგენე", I ქართ. გამოც., თბილისი, 2005.
- Peter Dicken. Global Shift, Transforming the World Economy, Third Edition, P.C.P Ltd, 1999.

თემა 4

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენციები

სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია. საგარეო ეკონომიკური კავშირების ლიბერალიზაცია. ინტეგრაციული პროცესები და მათი ძირითადი ფორმები. კაპიტალისა და წარმოების ტრანსნაციონალიზაცია. სამეურნეო ცხოვრების წესების უნიფიკაციის ტენდენციის წარმოშობა. მსოფლიო ეკონომიკაში მსოფლიო მეურნეობრივი კავშირების სახელმწიფოთაშორისი რეგულირების შექმნის ტენდენცია. მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაცია. სახელმწიფოს როლი მსოფლიო ეკონომიკაში. ეკონომიკური განვითარების ეროვნული მოდელები: ლიბერალური, სოციალურად ორიენტირებული და სოციალ-დემოკრატიული მოდელები. ეროვნული ეკონომიკის გახსნილობის მნიშვნელობა და საზომი.

უპირველეს ყოვლისა, თემის შესწავლის მიზნით განვმარტოთ ტერმინები: „ეკონომიკური კანონი“, „მართვის კანონზომიერება“ და „ტენდენცია“ მათი შინაარსი ასეთია:

ეკონომიკური კანონი — შინაგანი, არსებითი, მყარი, მუდმივად განმეორებადი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში. მართვის კანონზომიერება — ობიექტური, აუცილებელი, მყარი და არსებითი ურთიერთობანი ან ურთიერთკავშირი, რომელიც განსაზღვრავს მართვის სისტემათა განვითარებასა და ფუნქციონირებას. ტენდენცია — ეს ტერმინი რამდენიმე აზრით იხმარება. ჩვენს შემთხვევაში იგი რისამე განვითარების მიმართულებას, მიდრეკილებას, მისწრაფებას ნიშნავს.

ახლა ჩვენთვის უფრო გასაგები იქნება თუ ვიტყვით, რომ XX ს-ის ბოლოს და XXI ს-ის დასაწყისში გამოიკვეთა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების რიგი უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებანი და ტენდენციები. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

I. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პროცესი ანუ ტენდენცია. მასში იგულისხმება ეროვნული ეკონომიკების დაახლოება და ურთიერთშეღწევა (ურთიერთგადაჯაჭვა) მათი კვლავწარმოების ყველა სტადიაზე. მსოფლიო მეურნეობის განვითარების პირველ ეტაპზე მსოფლიომეურნეობრივი კავშირების ობიექტი იყო უპირველესად სასაქონლო პროდუქტის ნამატი, ანუ პროდუქციის რაოდენობა, რომელიც აჭარბებდა ეროვნული ბაზრის საშინაო მოთხოვნას, აგრეთვე ისეთი საქონელი, რომელიც ქვეყანას არ გააჩნდა ან არ იწარმოებოდა; ამჟამად ეკონომიკური კავშირების ორბიტაში ჩართული აღმოჩნდა არამარტო ეროვნული წარმოების შედეგები, არამედ მათი ფაქტორებიც — კაპიტალი, ტექნოლოგიები, სამუშაო ძალა და, აგრეთვე, თვით წარმოების პროცესიც.

II. სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პროცესი მიმდინარეობს საგარეო ეკონომიკური კავშირების ლიბერალიზაციის თანხლებით მსოფლიო ეკონომიკის ფარგლებში, ე.ი. საგარეო ეკონომიკური კავშირების ლიბერალიზაცია არის მსოფლიო მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ტენდენცია. იგი ნიშნავს ეროვნული ეკონომიკის გახსნილობის (ღიაობის) ხარისხის ამაღლებას გარე სამყაროს მიმართ როგორც ეროვნული თვალსაზრისით, ასევე მსოფლიომეურნეობრივი კავშირების საზღვარგარეთული მონაწილეებისათვის. მცირდება ბაჟები საქონლის საერთაშორისო მოძრაობის გზაზე, იქმნება ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო (კლიმატი) უცხოური ინვესტიციების მიზიდვისათვის, რბილდება ანუ ნაკლებად მკაცრი ხდება სახელმწიფო მიგრაციული პოლიტიკა.

III. დაწყებული XX ს-ის 50-იანი წლებიდან მსოფლიო მეურნეობაში ნათლად გამოიკვეთა მისი განვითარების ისეთი ტენდენცია, როგორიცაა რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია. ეს არის ქვეყნების სამეურნეო-პოლიტიკური გაერთიანების პროცესი, სიღრმისეული მყარი კავშირების,

შრომის საერთაშორისო დანაწილების, მათი კვლავწარმოებითი სტრუქტურების ურთიერთზემოქმედების საფუძველზე, სხვადასხვა დონეებზე და სხვადასხვა ფორმებით. დღეისათვის ამ პროცესებმა მოიცვა დედამიწის ყველა კონტინენტი. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ინტეგრაციული გაერთიანებანი არის: ევროკავშირი, რომელიც აერთიანებს ევროპის 27 ქვეყანას; თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო ამერიკული ასოციაცია, რომელშიც შედიან კანადა, აშშ, მექსიკა; სამხრეთ კონუსის ქვეყნების საერთაშორისო ბაზარი, რომელიც აერთიანებს არგენტინას, ბრაზილიას, პარაგვაის, ურუგვაის; სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრაციული პროცესების გავლენა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე მსოფლიო ეკონომიკაში წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. ერთი მხრივ ინტეგრაციული პროცესები საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს აღრმავებენ ინტეგრაციული გაერთიანებების შიგნით, მეორე ხბრივ კი — აფერხებენ გაერთიანების წევრი ქვეყნების კავშირებს მესამე ქვეყნებთან, ე.ი. შეიძლება ვთქვათ, რომ ადგილი აქვს მსოფლიო მეურნეობის რეგიონალიზაციას.

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია რეგიონული ხასიათისაა, იგი აერთიანებს უპირატესად მეზობელ, ტერიტორიულად ახლო მდებარე სახელმწიფოებს. მათი ინტეგრაციული ერთობის თანდათანობით ჩამოყალიბების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სახელმწიფოთა ეთნიკურ-რელიგიური და სოციალურ-კულტურული მენტალიტეტის შესატყვისობას (სიახლოვეს), რომლებიც მსგავს ურთიერთობას ამყარებენ. ყველაზე შედეგიანია იმ სახელმწიფოთაშორისი გაერთიანებისა და კავშირების საქმიანობა, რომელთა მონაწილენი განეკუთვნებიან ცივილიზაციათა ერთსა და იმავე, ანდა შეპირისპირებულ ტიპებს.

ყველა რეგიონულ ეკონომიკურ გაერთიანებაში ერთნაირი ინტეგრაციული პროცესები როდი მიმდინარეობს. რო-

გორც მიღებულია, ინტეგრაციულ გაერთიანებებს განასხვავებენ მათში მიმდინარე პროცესების სიღრმით. თუ განვიხილავთ მარტივიდან რთულისაკენ ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმებს, მივიღებთ შემდეგ თანმიმდევრობას:

1 თავისუფალი ვაჭრობის ზონა (თვზ);
2. საბაჟო კავშირი;
3. საერთო ბაზარი;
4. ეკონომიკური და სავალუტო კავშირი (სრული ეკონომიკური კავშირი);

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

1. ეკონომიკური ინტეგრაციის ყველაზე უბრალო ფორმაა თავისუფალი ვაჭრობის ზონა, რომლის ფარგლებში შენარჩუნებულია საბაჟო და რაოდენობრივი შეზღუდვებისაგან თავისუფალი საქონლის საერთაშორისო ვაჭრობის რეჟიმი. ამასთან ზონის მონაწილე თითოეულ ქვეყანას აქვს თავისი საკუთარი საგარეო-სავაჭრო ტარიფი ქვეყნების მიმართ, რომლებიც ამ ზონაში არ შედიან. შეუძლებელია ინტეგრაციის წევრმა ქვეყნებმა ცალმხრივი წესით გაზარდონ ბაჟები ან შემოიღონ სავაჭრო ბარიერები.

2. საბაჟო კავშირი თავისუფალი ვაჭრობის ზონის ფუნქციონირებასთან ერთად ვარაუდობს დააწესოს ერთიანი საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა მესამე ქვეყნების მიმართ. თავისუფალი სავაჭრო ზონებისაგან განსხვავებით, საბაჟო კავშირს უფრო საიმედოდ იცავენ შინაგანი საქონლისმწარმოებლები, რამეთუ თავიანთ საზღვრებს კეტავენ საბაჟო ბარიერებით, მაშინ როცა თავისუფალი ვაჭრობის ზონაზე მესამე ქვეყნებს შეუძლიათ „იერიში მიიტანონ ზურგიდან“ და ეფექტიანად გამოიყენონ განსხვავებანი საგარეო საბაჟო ტარიფების დონეზე. მაგრამ ორივე შემთხვევაში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა ეხება მხოლოდ გაცვლის სფეროს და უზრუნველყოფს მონაწილე ქვეყნების ურთიერთვაჭრობისა და ფინანსური ანგარიშსწორების განვითარებას.

3. საერთო ბაზარი ფუნქციონირებს საბაჟო კავშირის საფუძველზე, მაგრამ არსებითად შევსებულია შეთანხმებული დარგობრივი პოლიტიკით. საერთო ბაზრის ფარგლებში საქმიანობის რეგულირებისათვის იქმნება სპეციალური ზეეროვნული ინსტიტუტები, რომლებმაც კოორდინაცია უნდა გაუწიონ წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკურ პოლიტიკას. საერთო ბაზარი უზრუნველყოფს არა მარტო საქონლის თავისუფალ მოძრაობას, არამედ მომსახურების, კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფალ მოძრაობასაც. იგი გულისხმობს კონტროლისა და მართვის ზეეროვნული ორგანოების უფრო სრულყოფილ საქმიანობას ეკონომიკური პოლიტიკის მთელი სპექტრის ჰარმონიზაციის მიმართულებით. ერთიანი საშინაო ბაზრის მშენებლობის დამთავრება ნიშნავს ინტეგრაციის უმაღლეს ფორმაზე — ეკონომიკურ და სავალუტო კავშირზე გადასვლას.

4. ეკონომიკური და სავალუტო კავშირი (სრული ეკონომიკური კავშირი) ერთიანი პროცესის ურთიერთშემვსები და განუყოფელი ნაწილებია. მისი მშენებლობა პარალელურ ღონისძიებათა ერთობლიობას წარმოადგენს, რომელთა მთავარი მიზანია ერთიანი ეკონომიკური, სავალუტო-საფინანსო, სამართლებრივი და საინფორმაციო სივრცის შექმნა. *ერთი მხრივ*, ეკონომიკური და სავალუტო კავშირი გულისხმობს წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკის მჭიდრო კოორდინაციას ზეეროვნული ორგანოების რეკომენდაციებისა და კონტროლის საფუძველზე; *მეორე მხრივ*, მონაწილე ქვეყნების ვალუტების მყარად ფიქსირებული კურსის დაწესებას, ერთიან სავალუტო პოლიტიკაზე გადასვლას და ცენტრალური ბანკების დამოუკიდებელი სისტემის შექმნას ერთიანი ცენტრალური ბანკის მეთაურობით, რომელსაც ექნება უნიფიცირებული ფულის ერთეულის ემისიის განსაკუთრებული უფლება.

ინტეგრაციული მშენებლობის განვითარების შედეგად შესაძლებელია ეკონომიკური და სავალუტო კავშირის საფუძველზე პოლიტიკური კავშირის შექმნა, რომლის შედეგია

მონაწილე ქვეყნების გადასვლა საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკაზე, ერთიანი მოქალაქეობის შემოღება. ხორცს ისხამს თანამშრომლობა მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა დარგში, არსებითად ფართოვდება საქმიანობა კულტურის, განათლებისა და ყველა მოქალაქის უფლებებისა და ინტერესების დარგში.

IV. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენციაა აგრეთვე კაპიტალისა და წარმოების ტრანსნაციონალიზაცია. იგი ნიშნავს ცალკეული ეროვნული კომპანიების და აგრეთვე იმ კომპანიების მიერ, რომლებიც აერთიანებენ რამდენიმე ქვეყნის სამეურნეო ერთეულთა წარმომადგენლებს თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ტრანსეროვნული წარმოების მოწყობას. ტრანსნაციონალიზაციის პროცესი XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო და მისმა შემდგომმა განვითარებამ გამოიწვია *ზეეროვნული საერთაშორისო წარმოების შექმნა*. მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრანსეროვნული კორპორაციები ისეთი კორპორაციები, რომელთა კაპიტალი ეკუთვნის ერთი ქვეყნის მეწარმეებს, ხოლო მათი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკური თანამშრომლობა.

ტრანსნაციონალიზაცია ორ და მეტ ქვეყანაში კაპიტალის მოძრაობის გამომხატველი თანამედროვე ტენდენციაა.

ტეკ-ები (ტრანსეროვნული კორპორაციები) წარმოადგენენ სამეურნეო გაერთიანებებს, რომლებიც შედგებიან დედაკომპანიისა და შვილობილი საზღვარგარეთული კომპანიებისგან. სათაო კომპანია აკონტროლებს გაერთიანებაში შემავალ საწარმოებს მათ კაპიტალში წილობრივი მონაწილეობის გზით. ტნკ არის კაპიტალის საერთაშორისო გაერთიანება, როდესაც სათაო კომპანია, რომელსაც თავისი განყოფილებები აქვს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ახდენს მათი საქმიანობის კოორდინირებას და ინტეგრირებას.

ტეკ-ების ძირითადი თავისებურებებია:

- ქვეყანას, რომელშიც მდებარეობს სათაო ოფისი ბაზირების (განთავსების) ქვეყანა ეწოდება;

- ტეკ-ები მოიცავენ ქვეგანყოფილებებს, რომლებიც ორ და მეტ ქვეყანაში არიან განთავსებულნი მათი იურიდიული ფორმის და საქმიანობის სფეროს მიუხედავად;
- ტეკ-ის სათაო ოფისი გადაწყვეტილების მიღების სისტემის ფარგლებში ოპერირებს, რაც მას საშუალებას აძლევს გაატაროს ერთიანი, შეთანხმებული პოლიტიკა და საერთო სტრატეგია;
- ცალკეული განყოფილებები დაკავშირებულნი არიან კორპორაციასთან საკუთრების მეშვეობით ან სხვა გზით, ისე რომ ერთ-ერთ მათგანს შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მეორეზე.

ტეკ-ების წარმოშობა განპირობებულია ძირითადი მიზეზებით: წარმოების და კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია; მკაცრ ეროვნულ და საერთაშორისო კონკურენციასთან წინააღმდეგობის სურვილი; საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში დამატებითი უპირატესობების მოპოვება.

ტეკ-ების ძირითადი ფორმებია:

- ინტერნაციონალური ტეკ-ები, რომლებიც წარმოგვიდრებიან უცხოური აქტივების მქონე ეროვნული კომპანიების სახით;
- გლობალური ტეკ-ები, რომლებიც იქმნება სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებადი სამეურნეო საქმიანობის ინტეგრაციის საფუძველზე.

V. სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ, ეკონომიკათა ურთიერთშეღწევამ და ურთიერთგადაჯაჭვამ, მჭიდროდ ერთმანეთზე გადაჭდომამ განაპირობა სამეურნეო ცხოვრების წესების უნიფიკაციის ტენდენციის წარმოშობა და მსოფლიო ეკონომიკაში მსოფლიომეურნეობრივი კავშირების სახელმწიფოთაშორისი რეგულირების შექმნის ტენდენცია. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი მოიცავს საერთაშორისო სავალუტო, საანგარიშსწორებო, საკრედიტო, სავაჭრო ურთიერთობების რეგულირებას. მთავარ როლს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ფორმი-

რებაში ასრულებენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა: საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF); მსოფლიო ბანკი (WB); ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO).

VI. მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაცია. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია რთული, მრავალასპექტიანი პრობლემაა, რომლის გამოც იმართება მრავალი სამეცნიერო დისკუსია და სადღეისოდ საკმაოდ არ არის გამოკვეთილი, რათა უბრალოდ და ერთმნიშვნელოვნად იყოს განმარტებული.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „გლობალიზაცია" უკვე 2 ათეულ წელზე მეტია, რაც გამოიყენება, დღემდე ამ ტერმინის ერთიანი განმარტება არ არსებობს.

როგორც წინა თავში განვმარტეთ, *მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია* არის ეროვნულ მეურნეობათა ურთიერთშეღწევისა და ურთიერთდამოკიდებულების აღიარება, რომელთა მთავარი შედეგია ეროვნული სახელმწიფო სუვერენიტეტების შერყევა, ნგრევა ახალი ზეეროვნული სტრუქტურების — გლობალური ეკონომიკური განათლების, ტრანსეროვნული მმართველობით-ფინანსური სტრუქტურების, რელიგიურ-კულტურულ გაერთიანებათა ზემოქმედების შედეგად, რომლებიც არა მარტო ერთმანეთს შორის ურთიერთქმედებენ, არამედ თვით სახელმწიფოებთანაც.

ახალი სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის განსაზღვრა ნამდვილად არ არის მარტივი. გლობალიზაციის პროცესი ყოვლისმომცველ ხასიათს ატარებს და მისი სხვადასხვა მიმართულებანი და ასპექტები პრაქტიკულად ყველა თანამედროვე საზოგადოებრივ-სამეცნიერო დისციპლინათა შესწავლის ობიექტია, რომელთაგან თითოეულს თავისი საგანი, მეთოდოლოგია და ცნებითი აპარატი აქვს.

ტერმინი „გლობალიზაცია" პირველად გამოჩნდა აშშ-ში ტ. ლევიტის სტატიაში, რომელიც 1983 წ. „ჰარვარდ ბიზნეს რევიუ"-ში გამოქვეყნდა. ავტორი ამ ცნებით აღნიშნავდა ცალკეულ პროდუქტების ბაზრების შერწყმის ფენომენს,

რომლებსაც მსხვილი ტრანსეროვნული კორპორაციები (ტეკ) აწარმოებდნენ. ახალ ტერმინს (ცნებას) უფრო ფართო მნიშვნელობა მიენიჭა ბიზნესის ჰარვარდის სკოლაში და ამ პერიოდში გლობალიზაციის იდეოლოგიის მთავარი პოპულარიზატორი გახდა ამ სკოლის კონსულტანტი — იაპონელი კ. ომე, რომელმაც 1990 წელს გამოაქვეყნა წიგნი „მსოფლიო საზღვრების გარეშე“

თვლიდა რა, რომ მსოფლიო ეკონომიკა ამიერიდან სამი გეოეკონომიკური ცენტრის „ტრიადის“ (ევროკავშირი, აშშ, იაპონია) ურთიერთდამოკიდებულებით განისაზღვრება, ავტორი ამტკიცებდა, რომ ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიკური ნაციონალიზმი უაზრო ხდება, ძირითადი „მოთამაშეების“ რანგში ეკონომიკურ სცენაზე გამოდიან ტეკ-ები.

კ. ომეს მოსაზრებებს ყველა წამყვანი ეკონომისტი იზიარებს, და მიუხედავად ამისა, კ. ომეს პოზიცია გლობალიზაციის თემაზე პრაქტიკულად ყველა დისკუსიის ამოსავალი პუნქტი გახდა.


ტ. ლევიტის და კ. ომეს მიერ განსაზღვრულ ორივე მომენტს აერთიანებს მ. უოტერსის მიერ ჩამოყალიბებული გლობალიზაციის განსაზღვრება: „გლობალიზაცია არის პროცესი, რომლის მსვლელობაში იხსნება სოციალური და კულტურული სისტემების გეოგრაფიული საზღვრები და მოსახლეობა სულ უფრო და უფრო აცნობიერებს ამ საზღვრების ქრობას“ [1]

მიუხედავად გლობალიზაციის ფენომენის განმარტებისა და გაგების წინააღმდეგობებისა, თანამედროვე მეცნიერებაში გამოიყოფა მისი ხუთი ძირითადი მიმართულება, რომელიც კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილ სქემაზე[2]:

---

1. იხ.: Удовик С.А. Глобализация. Семиотические подходы. М., 2002, с. 1.

2. იხ.: Гатина Г.Ф., Мерзликин В.А., Щукина Н.Н. Мировая экономика: Учебник. - М.: ИНФРА-М - Пермь: Пермс. гос. техн. ун-т, 2001, с. 7-8.



ნახ. 4.1. გლობალიზაციის ძირითადი მიმართულებები.

ქართველი პოლიტოლოგი, ბ-ნი გელა ჩარკვიანი გლობალიზაციის „სამუშაო ფორმულას" გვთავაზობს. იგი წერს: „ტერმინი გლობალიზაცია იმდენად უზუსტოა, რომ მისი სრულად განსაზღვრა შეუძლებელია. ამ საუბრის ფარგლებში შეგვიძლია შემდეგი სამუშაო ფორმულით დავკმაყოფილდეთ: *გლობალიზაცია არის მიმდინარე პროცესი, რომელსაც, როგორც მიიჩნევენ, პლანეტა მიჰყავს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ჰომოგენიზაციისაკენ ქვეყნებს შორის მზარდი ურთიერთქმედების საშუალებით, რომელსაც მინიმალურად აფერხებს მანძილები და სახელმწიფო საზღვრები*".[1] ავტორი მიიჩნევს, რომ მანძილებისა და საზღვრების ბარიერების დაძლევის თვალსაზრისით განსაკუთრებით ქმედითია ორი ფაქტორი — *ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ლიბერალიზმის ფილოსოფია.*

1 გელა ჩარკვიანი. პატარა ქვეყნები და გლობალიზაცია. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", გვ. 3. 16 იანვარი, 2003.

ტერმინი „გლობალიზაცია“, ლათინური სიტყვიდან — „გლობუსიდან“ წარმოდგება. ეტიმოლოგიური მნიშვნელობით იგი დედამიწას, მის მთლიანობას აღნიშნავს.

გლობალიზაციის ცნება, უწინარეს ყოვლისა, ასახავს მსოფლიო რეგიონებისა და ზონების, ქვეყნების, ხალხების და თვით ცალკეული ადამიანების ურთიერთკავშირს, ურთიერთდამოკიდებულებას და ურთიერთზეგავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. გლობალიზაცია იმ ფაქტის კონსტატაციაა, რომ *ნებისმიერი ქვეყნის მდგომარეობა დღეს მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება იმით, რაც მის ფარგლებს გარეთ, საერთაშორისო მასშტაბით ხდება. ერთიანობის პულსაცია ჩვენი პლანეტის ყოველ ნაწილში იგრძნობა“.*[1] გლობალიზაციის მთავარი მახასიათებლების კლასიფიკაციას პროფ. ბ. ლუტიძე ასე წარმოგვიდგენს:

გლობალიზაციის მახასიათებლებია:

- საყოველთაო ურთიერთკავშირი;
- საყოველთაო ურთიერთგანპირობებულობა და დამოკიდებულება;
- ურთიერთზეგავლენა;
- ღირებულებათა გასაყოველთაოება და უნიფიკაცია;
- მსოფლიოს გადაქცევა ერთიან მთლიანად.

გლობალიზაციის ცნებით აისახება მრავალი მოვლენა და ერთდროულად მიმდინარე პროცესები. მისი მრავალი განზომილებიდან გამოვყოფთ ორს:

1. მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის ზოგადპლანეტარულ მასშტაბს, როგორც ეროვნულ ეკონომიკათა მზარდი ურთიერთმოქმედების ლოგიკურ შედეგს, როცა ამ ურთიერთმოქმედებამ შეიძინა ტრანსნაციონალიზაციის, ე.ი. მათი ურთიერთშეღწევისა და გადაჭდობის სახე.

---

1. ბიძინა ლუტიძე. გლობალიზაცია: არსი, პრობლემები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ. 3-4.

2. ეკონომიკური ცხოვრების უნივერსალიზაციასა და ჰომოგენიზაციას, რომელიც ცოდნის, ადამიანთა, საქონლის, კულტურულ ფასეულობათა და სხვათა გაცვლის ზეგავლენით სულ უფრო ელტვის ერთიან სტრუქტურებს, პრინციპებსა და ღირებულებებს.

ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკა XX ს-ის ბოლო მეოთხედიდან მოყოლებული, ვითარდება გლობალური ანუ ზოგადმსოფლიო პრობლემათა მზარდი გავლენით. ამ პრობლემათა წარმოქმნა მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციის ცხადი გამოვლინებაა, რომელიც მიმდინარეობს კონფლიქტური, პრობლემური, წინააღმდეგობრივი ფორმით. და მაინც, გლობალიზაცია, როგორც ტერმინი მიუთითებს *მსოფლიო საზოგადოების* შექმნისაკენ მიმართულ მოძრაობაზე.

მსოფლიოში მოგზაურობის გაიოლებამ და გაიაფებამ დედამიწის მასშტაბებზე წარსულში არსებული წარმოდგენები თითქმის მთლიანად შეცვალა. გაადვილებულმა გადაადგილების უნარმა დედამიწის ზომაზე მეტად „დაპატარავების“ ეფექტი იქონია. ხალხი უფრო მობილური, ხოლო უცხო კულტურები და ქვეყნები კი ნაკლებად უცხონი გახდნენ. კომუნიკაციების გაიოლების ფაქტორმა მსოფლიო კულტურათა განვრცობა გამოიწვია. ამ პროცესებზე სამი უმთავრესი ზეგავლენა იქონია შემდეგმა მოვლენებმა:

1 კომპიუტერულმა განვითარებამ, რომელმაც 1990-იან წლებში ჩვეულებრივ ხალხს გლობალური ქსელის ზრდის საშუალებით ინფორმაციისა და შეტყობინებების საერთაშორისო დონეზე გაცვლის საშუალება მისცა;
2. მეორე ფაქტორი სატელიტური ტელევიზიის განვითარებაში მდგომარეობს;
3. მესამე ადგილზე ე. წ. „პოპ-კულტურის“ ინტერნაციონალიზაციის ფაქტია, რაც მსოფლიოს ახალგაზრდობას, მათ შორის არსებულ მსგავსებებზე აჩვენებს.

გლობალიზაციის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი მაინც ეკონომიკის გლობალიზაციაა. გენერალური შეთან-

ხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ — GATT-ი (რომელიც 1995 წლიდან გარდაიქმნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციად, WTO) ერთიანი მსოფლიო ეკონომიკის შექმნისაკენ გადადგმული ნაბიჯია. ფინანსური კაპიტალი ძლიერ მობილური გახდა და მრავალეროვნულ კორპორაციებს სახელმწიფოდან სახელმწიფოში გადაადგილება აღარ უძნელდებათ. ხშირად ეს ამა თუ იმ სახით მუშახელის ინტერესების ხარჯზე ხდება. ამ მოვლენის ლოგიკურ დამაბალანსებელ ძალას საერთაშორისო პროფესიული კავშირები წარმოადგენენ. გლობალური პოლიტორგანიზება კი საკუთარი განვითარების ტემპით ამ მოვლენებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

მსოფლიო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენციები შეიძლება შემდეგი სახით წარმოვაჩინოთ:

- განვლილ ასწლეულში მსოფლიო ეკონომიკა მთლიანად უფრო მაღალი ტემპებით ვითარდებოდა, ვიდრე ადამიანური ცივილიზაციის არსებობის ყველა წინა ასწლეულში ერთად აღებული. ამერიკელ მეცნიერს ა. მედისონს მოჰყავს ასეთი საინტერესო მონაცემები: თუ მაჩვენებლებს თანამედროვე ფასებში ავიღებთ, აღმოჩნდება, რომ მთლიანად ჩვ. წ. პირველი ათასწლეულში მსოფლიო მშპ ზრდამ მხოლოდ 17 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, მეორე ათასწლეულში კი 45 ტრილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით პირველ ათასწლეულში მშპ პრაქტიკულად არ შეცვლილა და წელიწადში დაახლოებით 450 აშშ დოლარს შეადგენდა. მეორე ათასწლეულის ბოლოს მსოფლიოს საშუალო სულადობრივმა მშპ-მა 7500 აშშ დოლარს მიაღწია (ე.ი. თითქმის 17-ჯერ გაიზარდა), ამასთან ამ ზრდის 95% მიღწეულია XX საუკუნეში. ასეთია თანამედროვე დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის განსაცვიფრებელი შედეგები;
- შეიცვალა მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურის გეოგრაფია. მოხდა რეგიონების ხვედრითი წილის შეცვლა. მიმდი-

ნარეობს აზიური წილის მძლავრი ზრდა მსოფლიო მშპ-ში, ევროპის და ამერიკის წილის შემცირების და აფრიკის, ავსტრალიის, ოკეანეთის წილების სტაბილურობის შენარჩუნებით;

- შეიმჩნევა ქვეყნების უთანაბრო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში;
- მიმდინარეობს ტრანსნაციონალიზაციის პროცესი, რომელიც გამოიხატება უზარმაზარი კორპორაციების გარდაქმნაში მსოფლიო მეურნეობის სტრუქტურის შემქმნელ ელემენტებად;
- რაც ყველაზე მთავარია, მიმდინარეობს ინტეგრაციული რეგიონული ეკონომიკური ბლოკების შექმნა, რომლებიც მსოფლიო მეურნეობის მნიშვნელოვანი სუბიექტები გახდნენ;
- გლობალიზაციის დაწყებული პროცესი ახასიათებს მსოფლიო მეურნეობის თვისობრივად ახალ მდგომარეობას;

გამოიყენებენ მსოფლიო მეურნეობის განვითარების შემდეგ კრიტერიუმებს:

- წარმოების ეფექტიანობა, რომელიც მ. პორტერის მიხედვით, გამოიხატება პროდუქტიულობით, ღირებულებითი უკუგებით შრომის და კაპიტალის ერთეულზე;
- ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია, რომელიც გამოიხატება საზოგადოების მატერიალური დოვლათისა და მომსახურების გადანაწილებით მოსახლეობის იმ ფენების სასარგებლოდ, რომლებსაც ამა თუ იმ მიზეზების გამო არ შეუძლიათ დასაქმება ეკონომიკაში;
- დანახარჯები განათლებაზე, რადგან შრომა სულ უფრო რთული ხდება და სამუშაო ძალის (ინტელექტუალური შრომის) უფრო მაღალ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ მომზადებას მოითხოვს;
- ეროვნული შემოსავლიდან ანარიცხების გაზრდა ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის განვითარებისათვის (საზოგადოების სამეურნეო ცხოვრების ჰუმანიზაცია);
- ეკონომიკის ეკოლოგიზაცია.

მიუხედავად აღნიშნულისა, მთავარი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს მთლიანად მსოფლიო მეურნეობის და მისი ცალკეული რეგიონების და ქვეყნების განვითარებას, არის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ).

გერმანელმა მკვლევარმა, ფრიდრიხ რატცელმა, განავითარა სახელმწიფოებრიობის იდეა, აღნიშნა, რომ სახელმწიფო არის ცხოვრების გავრცელების ერთ-ერთი ფორმა დედამიწის ზურგზე. სამი მთავარი ცხოვრებისეული ელემენტის — მიწის, ნიადაგის და ხალხის სიმბიოთიკური ურთიერთკავშირის შედეგად სახელმწიფო ღებულობს თავის ორგანიზაციულ ფორმას, თავის ორგანიკულ შინაარს (ამიტომაც მის თეორიას მეორენაირად უწოდებენ „ორგანიკულსაც"). რატცელის მოსაზრებით: *„სახელმწიფო არის ცოცხალი ორგანიზმი, სადაც დედამიწის ზედაპირის საკმაოდ ცნობილი ნაწილი მასში თამაშობს ისეთ მნიშვნელოვან როლს, რომ სახელმწიფოს ყველა თვისება განისაზღვრება მასში მცხოვრები ხალხის თავისებურებებით და მისი ტერიტორიებით. ასეთ ტერიტორიულ ან ნამდვილ, ბუნებრივ თავისებურებებს წარმოადგენენ სიდიდე, მდებარეობა, ზედაპირის ფორმები, მცენარეულობა და მორწყვობა, დამოკიდებულება დედამიწის ზედაპირის სხვა ნაწილებთან. მაგრამ, როდესაც ვსაუბრობთ „ჩვენს მიწაზე", ვაკავშირებთ ჩვენს წარმოდგენაში აღნიშნულ თავისებურებებს, ასევე იმას, რაც შეიქმნა ამ მიწისაგან ადამიანის მიერ საკუთარი შრომის ფასად. აქ წარმოჩინდება უკვე კარგად ცნობილი მიწის სულიერი კავშირი ჩვენთან, მის სხვა მაცხოვრებლებთან და მთელ ჩვენს ისტორიასთან".* შემდგომში რატცელმა თავის თეორიას უწოდა „ბიოგეოგრაფიული კონცეფცია"[1].

ცნებებს „სახელმწიფო" და „ქვეყანა" უმეტესწილად ისე იყენებენ, როგორც სინონიმებს. ამის მიუხედავად, მათ შორის

---

1. ე. მაისაია. გეოპოლიტიკის სადავეები: თეორიიდან პრაქტიკამდე. წერილი მეორე. იხ. გაზ. „ჯორჯიან თაიმსი", №056 (268), 05.02–12.02. 2004. გვ. 12.

რაღაც განსხვავება მაინც არსებობს. *ქვეყნად იწოდება ისტორიულად განსაზღვრული, გამოცალკევებული ტერიტორია, რომელსაც ჩვეულებრივ გარკვეული სახელმწიფო სუვერენიტეტი გააჩნია. სახელმწიფოს კი უწოდებენ ხელისუფლების აპარატს, რომელიც საზოგადოების საქმეებს მართავს.* პრაქტიკაში ქვეყნები სახელმწიფოებს ყოველთვის როდი ემთხვევა. მაგალითად, შოტლანდია ან „ბასკების ქვეყანა“ უეჭველად ქვეყნებია, მაგრამ არა სახელმწიფოები.

სახელმწიფოს ასეთი მისაღები განსაზღვრებაც არსებობს: „სახელმწიფოს ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ ადამიანთა საზოგადოებას, განთავსებულს „ქვეყნად“ წოდებულ სივრცეში. სახელმწიფო არის ორგანიზაცია, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ესწრაფვის ადამიანების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას როგორც გარე (ეროვნული უსაფრთხოება), ასევე შიდა საშიშროებისაგან (დამნაშავეობასთან ბრძოლა). მისი ფუნქციაა ასევე მოქალაქეთა ცხოვრებაში სამართლიანობის პრინციპის დაცვა“ (ლეშეკ ბალცეროვიჩი).

ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარება, მათ შორის ეკონომიკურისაც, უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან. სახელმწიფო და ეკონომიკა მუდმივად ურთიერთმოქმედებენ. მიუხედავად ამისა, როგორც მსოფლიოში ვერ ნახავთ ორ ერთნაირ სახელმწიფოს, ისე არ არსებობს ასეთი ურთიერთმოქმედების ხასიათისა და შედეგების ერთნაირი მაგალითები. ისტორიაში ყოფილა, ერთი მხრივ, ეკონომიკის თითქმის სრული გასახელმწიფოებრიობის მაგალითები, მეორე მხრივ, არის ქვეყნები, სადაც სახელმწიფოს ჩარევა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მინიმალურია. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ბოლო ასწლეულის საერთო ტენდენციაა იყო სახელმწიფოს როლის ზრდა ეკონომიკაში.

ერი-სახელმწიფო კვლავ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას მსოფლიო ეკონომიკაში, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს როლი და ფუნქცია არ შეიცვალა; პირიქით, სახელმწიფო პოზიციები შესუსტდა პოლიცენტრულ პოლიტ-

ეკონომიკურ სისტემაში და რომ ეროვნული საზღვრები უფრო გამჭვირვალე და გამტარუნარიანია, ვიდრე წარსულში. ამის მიუხედავად, ერი-სახელმწიფო განაგრძობს მნიშვნელოვან ჩარევას გლობალური ეკონომიკური რუქის განაწილებასა და გადანაწილებაში. საყურადღებოა სახელმწიფოს როლის სამი მთავარი ასპექტი:

1. სახელმწიფოს აკისრია პოლიტიკური კულტურის, სოციალური და ეკონომიკური პროცესების, ინსტიტუტების და ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი როლი. ყველა სახელმწიფო მართავს საზღვარს სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულებით, რითაც გავლენას ახდენს ეკონომიკური საქმიანობის დონესა და შინაარსზე საკუთარი საზღვრების შიგნით და გადაკვეთაზე. პოლიტიკის მრავალფეროვნება გამომდინარეობს პოლიტიკური წყობის სირთულიდან. მრავალი ტიპის სახელმწიფოთა შორის ძირითადი ორი ჯგუფია: საბაზრო / მარეგულირებული სახელმწიფოები და გეგმიური / განვითარებადი სახელმწიფოები.

2. სახელმწიფო პოლიტიკა ძირითადად სამ სფეროში (ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მრეწველობა) ტარდება. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ეროვნული სავაჭრო პოლიტიკა GATT/WTO-ს ხანგრძლივვადიანი საერთაშორისო მარეგულირებელი შეთანხმებების ფარგლებში მოქმედებს, რომლის ობიექტივი მრავალმხრივ, არადისკრიმინაციულ სავაჭრო რეჟიმს ემყარება.

ასეთი საერთაშორისო ჩარჩოები არ არსებობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამართავად. სახელმწიფო პოლიტიკა ამ სფეროში სახელმწიფოს „მთავარ" პოზიციას შეესაბამება, რომელიც ცალკეული ქვეყნის იდეოლოგიური სპექტრის მრავალფეროვნებიდან გამომდინარეობს.

3. ხაზგასასმელია რეგიონული ინტეგრაციის საკითხი, რადგან უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების რიცხვი. ბევრი მათგანი საწყის ეტაპზეა და თავისუფალი ვაჭრობის მარტივი შეთანხმებები აქვთ. მხოლოდ ევროკავშირი წავიდა წინ ეკონომიკური ინტეგრა-

ციის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ რეგიონული ბლოკების ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხი მიღწევადია ისევ ეროვნული სახელმწიფოების ლეგიტიმაციით.

გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბება და გლობალური კერძო მეწარმეობის აქტიური განვითაერბა სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებს ახალ შინაარს სძენს. თანამედროვე ეკონომიკაში სახელმწიფო ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას: იგი მონაწილეობს ბიზნესში და არეგულირებს ეკონომიკურ შესაძლებლობებს სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთისას. „რეგულირებადი" ბაზრების არსებობა მიგვანიშნებს პოლიტიკური რეგულირების სუბიექტების არსებობაზე. თითოეული სახელმწიფო ეროვნული კეთილდღეობის მიზნით მოქმედებს. ამიტომაც სახელმწიფო პოლიტიკა, ანუ პოლიტიკური ორიენტაცია თითოეული ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ფაქტორების ნარევია. ტრანსეროვნული კორპორაციების და სახელმწიფოების ქვეცა იდეოლოგიურ სპექტრს უკავშირდება. მართალია, ტრანსეროვნული კორპორაციები ცდილობენ სახელმწიფოების რეგულირების რეჟიმის უპირატესობათა გამოყენებას, მაგრამ ხშირად რთული სიტუაცია იქმნება, როდესაც სახელმწიფოები და ფირმები თამაშის სხვადასხვა წესს მიმართავენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალი გეოეკონომიკა ძირითადად რესტრუქტურიზებულია არა მარტო ფირმების და სახელმწიფოების მოქმედებით, არამედ ამ ორი ინსტიტუტის რთული დინამიკური კავშირებით.

გლობალურ ეკონომიკაში სახელმწიფოსა და კერძომეწარმეობას შორის არსებით ცვლილებებთან დაკავშირებით, საწარმოო კავშირებისა და წარმოების პროცესის რეგულირება ორ დონეზე მიმდინარეობს: 1. კომპანიის ადმინისტრაციის და 2. სახელმწიფოს მიერ.

XX საუკუნის დასასრულს გლობალური ეკონომიკის პირობების გათვალისწინებით საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში სახელმწიფოს როლის შესახებ ორი დიამეტრულად განსხვავებული თვალსაზრისი წარმოიშვა. პირ-

ველი მიმართულების წარმომადგენელთა (ჯ. ჯერეტი, მ. კორზენევიჩი) აზრით, სახელმწიფო გლობალური ეკონომიკური კონკურენციის პირობებში კარგავს თავის ფუნქციებს, რადგან ტრანსეროვნული კორპორაციების მოქმედების რეგულირებაში პრიმატი კომპანიის ადმინისტრაციას ენიჭება. მეორე თვალსაზრისის მიხედვით, სახელმწიფო ახორციელებს მნიშვნელოვან ზეწოლას გლობალური ეკონომიკის ფუნქციონირებაზე, რადგანაც წარმოების ყველა ფრაგმენტი რეგულირდება იმ პოლიტიკური სტრუქტურების მიერ, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ეროვნულ მთავრობასთან, ზესახელმწიფოებრივ სტრუქტურებთან ან რეგიონულ კავშირებთან. ყოველი ეროვნული მთავრობა ერევა ბაზრის ფუნქციონირებაში.

ამრიგად, საერთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია ორი მიმართულებით უნდა განვითარდეს: პირველი, შიდა მაკროეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნების მიზნით, რომელიც მოიცავს „საზოგადოებრივი საქონლის" წარმოების უზრუნველყოფას, ეკონომიკის ანტიციკლურ რეგულირებას, ანტიმონოპოლიურ ღონისძიებებს და სოციალური პროგრამების განხორციელებას და მეორე, საგარეო ეკონომიკური წონაწორობის დაცვის მიზნით სახელმწიფომ უნდა გაატაროს ეროვნული ინტერესების ამსახველი საგარეო სავაჭრო პოლიტიკა: განახორციელოს კაპიტალის და სამუშაო ძალის საერთაშორისო ნაკადების კონტროლი, სავალუტო კურსის ცვლილებაზე ზემოქმედება, საგადასახადო ბალანსის მართვა და ა.შ.

სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ საქმიანობაში ბიუჯეტის მეშვეობით. მთავარი საფინანსო ინსტიტუტი, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ერევა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, არის ბიუჯეტი. ის არის სახელმწიფოს ძირითადი საფინანსო გეგმა; მას ადგენენ ბალანსის სახით და შედგება ორი მთავარი ნაწილისაგან: შემოსავლებისა და ხარჯებისაგან.

შემოსავლების ნაწილში მოცემულია ის მუხლები, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფომ უნდა მიიღოს შემოსავლები,

ე.ი. ნაჩვენებია, საიდან მოიპოვოს სახსრები. ეს შემოსავლები მთლიანად გროვდება ხაზინაში, ანუ სახელმწიფოს ანგარიშზე. შემდეგ ამ შემოსავლებს სახელმწიფო მიმართავს ანუ ხარჯავს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, რაც აისახება ბიუჯეტის გასავლის მუხლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტი კონცენტრირებულად ასახავს ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბსაც და ზომასაც.

სახელმწიფოს საბიუჯეტო სისტემაში ფინანსური სახსრების თავად მობილიზაციის პროცესი, შემდეგ კი მათი ხარჯვა უდიდეს ზეგავლენას ახდენენ საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების მთელ მიმდინარეობაზე, ამიტომაც საბიუჯეტო სისტემას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში. გადასახადები და ხარჯები გამოყენებულია როგორც სამეურნეო საქმიანობაზე ზემოქმედების ბერკეტები. ამ შემთხვევაში ლაპარაკია საბიუჯეტო სისტემის მიერ ეკონომიკური რეგულირების ფუნქციის შესრულებაზე.

ბიუჯეტს ფართოდ იყენებენ ანტიციკლური, ანტიინფლაციური პოლიტიკის განხორციელებისათვის, ეკონომიკური ზრდის ტემპების სტიმულირების ან შეკავებისათვის (შენელებისათვის). განვითარებული ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ თუ სახელმწიფოს ხარჯებს (ბიუჯეტის მთლიან მოცულობას), მთლიანი შიდა პროდუქტის 1/4-1/3-მდე დონეზე შევინარჩუნებთ, წარმოიქმნება მასტაბილიზებელი ფაქტორი, რომელიც განვითარებულ საბაზრო ეკონომიკას იცავს მეტისმეტი ეკონომიკური დაქვეითებისაგან, მეტად საშიში, დაბალი კერძო საინვესტიციო აქტიურობისაგან. გარდა ამისა, საბიუჯეტო სისტემა არის საზოგადოებაში დაბეგვრის, სოციალური გადასახდელებისა და დახმარებების სისტემის მეშვეობით შექმნილი შემოსავლის ხელახალი განაწილების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი.

ხორცს ასხამს რა საბიუჯეტო სისტემისათვის დამახასიათებელ ფუნქციებს, სახელმწიფო იმავდროულად რისკავს,

რომ შეიძლება გადაამეტოს ბიუჯეტის მეშვეობით მშპ-ის გადანაწილების რაციონალურ საზღვრებს, ამიტომ გადასახადების საერთო დონე, მათი სტრუქტურა, აგრეთვე ხარჯების მოცულობა და სტრუქტურა არ უნდა ანელებდნენ საზოგადოებაში სტიმულებს ყაირათიანობისადმი, მეწარმეობისა და შრომითი საქმიანობისადმი (მიჩნეულია, რომ ქვეყნის ეკონომიკა ვეღარ ვითარდება, თუ ბიუჯეტი მთლიანი შიდა პროდუქტის 2/3-ს გადააჭარბებს). შვედეთის განვითარების გამოცდილება მოწმობს, რომ ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილებული მშპ წილის „გაბერვას“ მოჰყვა ეკონომიკური აქტიურობის სტიმულების ჩახშობა, დეპრესიული ეკონომიკა, რამაც ქვეყნის მთავრობა აიძულა განეხორციელებინა ეკონომიკის მეტი ლიბერალიზაციისათვის გამიზნული რეფორმები, ე. ი. ხელი აეღო ეკონომიკურ ცხოვრებაში „ზედმეტად“ ჩარევაზე.

ეკონომიკური განვითარების ეროვნული მოდელები. სახელმწიფოსა და ეკონომიკის ურთიერთობის ნიშნით მსოფლიოს სურათს ვერ გავიგებთ ასეთი ურთიერთობის ეროვნული მაგალითების გარკვეული ტიპოლოგიზაციის გარეშე. ეკონომიკურ ლიტერატურაში ასეთი ტიპოლოგიზაცია დაკავშირებულია დამკვიდრებული ტერმინის „ეკონომიკის მოდელის“ გამოყენებასთან. *ქვეყნის ეკონომიკური მოდელი არის ეროვნული მეურნეობის მთლიანობის შემქმნელი ელემენტების ერთობლიობა და მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ ელემენტების მჭიდრო კავშირსა და ურთიერთმოქმედებას.*

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს მონაწილეობის საზღვრები და დონე (სახელმწიფო საკუთრების მასშტაბი, მშპ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის ან ხარჯვით ნაწილში მისი წილი, სახელმწიფოს მიერ სოციალური სფეროს დაფინანსება, მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება და ეკონომიკური გარემოს რეგულირება) ეროვნული მოდელების ტიპოლოგიზაციის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმებია.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში გამოყოფენ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების მოდელების სამ ჯგუფს:

1 ლიბერალური;
2. სოციალურად ორიენტირებული;
3. სოციალურ-დემოკრატიული.

ლიბერალურ ანუ კერძო კორპორაციულ მოდელებს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1 კერძო საკუთრება აბსოლუტურად ჭარბობს (80-90%-ია).
2. ბაზრის სუბიექტები კანონმდებლობით მაქსიმალური თავისუფლებით არიან უზრუნველყოფილნი.
3. სახელმწიფო რეგულირების სფეროები ძირითადად შეზღუდულია მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებით. შედარებით მცირეა სახელმწიფო ბიუჯეტის წილი მშპ-ში.

ყველაზე წმინდა სახით ეს მოდელი წარმოდგენილია აშშ-ში. ამ ქვეყნის ეკონომიკური სისტემა ლიბერალური მოდელის ეტალონად ითვლება.

სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური მოდელი გამოირჩევა შემდეგი პარამეტრებით:

1 „შერეული ეკონომიკა“, რომელშიც საკმაოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფო საკუთრების წილი.
2. მაკროეკონომიკური რეგულირება მოიცავს ეკონომიკური პოლიტიკის თითქმის ყველა სფეროს.
3. სახელმწიფო ორგანოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კონკურენციულ ურთიერთობას ეკონომიკაში, რომელიც უზრუნველყოფილია სტრუქტურული პოლიტიკის საშუალებებითა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობით.
4. დიდია სახელმწიფო ბიუჯეტის წილი მშპ-ში.
5. მოსახლეობის მხარდაჭერის განვითარებული სისტემა, მასში სახელმწიფოს წამყვანი როლით.
6. საწარმოო დემოკრატიულ ინსტიტუტების ფუნქციონირება.

ყველაზე სრულად ამ თვისებების ერთობლიობა წარმოდგენილია გერმანიის, ანუ სოციალური საბაზრო მეურნეობის ნეოლიბერალურ მოდელში.

სოციალურ-დემოკრატიული მოდელი სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკურ მოდელს უახლოვდება, მისი თავისებურება კი საბაზრო ეკონომიკის ზღვრული სოციალიზაციაა. მას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი, რომლის სტრუქტურაში ჭარბობს სოციალური დანიშნულების ობიექტები.
2. სახელმწიფოს ბიუჯეტის წილი მშპ-ში 50%-ს აღემატება.
3. შრომითი ურთიერთობების რეგულირება ხდება არა საწარმოებისა და დარგების დონეზე, არამედ ეროვნულ დონეზე.
4. სახელმწიფო სოციალური პოლიტიკა მიმართულია სახსრების, უმუშევრობის დონის მინიმალიზაციამდე და მოსახლეობის დიფერენციაციის შემცირებამდე შემოსავლების დონის მიხედვით.
5. საწარმოო დემოკრატიის განვითარებული სისტემა.

ასეთი მოდელი დამახასიათებელია ჩრდ. ევროპის სახელმწიფოებისათვის, უწინარეს ყოვლისა, — სკანდინავიის ქვეყნებისათვის (შვედეთი, ნორვეგია, ფინეთი). ფართოდ არის ცნობილი ე.წ. „შვედური სოციალიზმის მოდელი“

საქართველოს ეკონომიკური მოდელი ჯერჯერობით ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის. რომელი მოდელი გამოადგება ჩვენს ქვეყანას, ზუსტად ძნელი სათქმელია. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ საქართველოს ასლის სახით რაიმე მოდელის გადმოღება არ გამოადგება, გარკვეული, უმთავრესი მომენტების (დედააზრის) გადმოღება კი, ადგილობრივი თავისებურებების უეჭველი გათვალისწინებით, სხვადასხვა მოდელებიდან მისაღები და სასარგებლო იქნება. მხოლოდ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს საკუთარი ეროვნული ეკონომიკური მოდელი.

ეროვნული ეკონომიკის გახსნილობა. ეკონომიკური უსაფრთხოება. საერთაშორისო კონკურენცია ტექნიკური პროგრესის მძლავრი ფაქტორია, რადგან მოითხოვს პროდუქციის მუდმივ განახლებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმოების ხარჯების შემცირების ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიების ბაზაზე. ასეთი კონკურენციის არსებობის საჭირო პირობა მსოფლიო მეურნეობაში შემავალი ყველა ქვეყნის *ეკონომიკათა გახსნილობაა.*

ღია, გახსნილ ეკონომიკაში იგულისხმება ეკონომიკა, რომლის განვითარების მიმართულებებს განსაზღვრავენ მსოფლიო მეურნეობაში მოქმედი ტენდენციები. ამასთან, საგარეო-სავაჭრო ბრუნვა ისეთ დონეს აღწევს, როცა იგი სტიმულს აძლევს მოცემულ ქვეყანაში საერთო ეკონომიკურ განვითარებას.

ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, თანამედროვე პირობებში საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მასტიმულირებელი გავლენა რომელიმე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს მაშინ, როცა მისი საგარეო-სავაჭრო ბრუნვა აღწევს ≈25%-ს მშპ-ს მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის გახსნილობის თვალსაზრისით ეროვნული ეკონომიკის არსებობს ორი უკიდურესი ტიპი: ავტარკია (მთლიანად ჩაკეტილი მეურნეობა) და ღია ეროვნული ეკონომიკა (მთლიანად გახსნილი მეურნეობა).

ავტარკიული ეკონომიკა მოქმედებს თვითუზრუნველყოფის პრინციპის მიხედვით, როდესაც ყველაფერს, რაც კი ქვეყანას სჭირდება, თვითონვე ქმნის.

ღია ეროვნული ეკონომიკა იმყოფება გარე სამყაროსთან ურთიერთმოქმედების მდგომარეობაში. ეს არის ეკონომიკა, რომელიც სხვებთან ვაჭრობს, ახორციელებს სხვადასხვა გადასახდელების გადახდას, შეაქვს და გააქვს კაპიტალი...

ეკონომიკის გახსნილობის კრიტერიუმები ახასიათებენ გარე სამყაროს გავლენას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაზე, მისი ძირითადი მაჩვენებლების დინამიკაზე, კერ-

ძოდ, წარმოების მოცულობასა და ზრდის ტემპებზე, საშინაო სასაქონლო ბაზრების მდგომარეობაზე, მოსახლეობის დასაქმებაზე. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

1. მშპ/მეპ-ი, ან ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე;
2. ეროვნული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა;
3. ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის ძირითადი სახეების წარმოება;
4. მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი;
5. ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები.

ეროვნული ეკონომიკის და მსოფლიო საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპს მაჩვენებელთა ამ ჩამონათვალში ცვლილება შეაქვს.

ეკონომიკური განვითარების დონის ანალიზისას წამყვანი მაჩვენებელია მშპ/მეპ-ი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. იგი საერთაშორისო კლასიფიკატორის როლში გამოდის, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ქვეყნების დაჯგუფება.

მეორე, გავრცელებული მაჩვენებელია ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა, რომლის ანალიზიც ქვეყნის დარგობრივი სტრუქტურის მიხედვით ხორციელდება. გაანგარიშება მატერიალური და არამატერიალური წარმოების დარგებს შორის შესაბამისობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული დარგის სტრუქტურის გამოკვლევას, იმ დარგებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო ტექნიკურ პროგრესს.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებელია ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის საბაზისო პროდუქციის ძირითადი სახეობების წარმოების მაჩვენებელი. მასზე დაყრდნობით შესაძლებელია ვიმსჯელოთ ქვეყნის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობებზე პროდუქციის ძირითადი სახეების მიხედვით.

ასეთი მაჩვენებლებია: ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის, ფოლადის და ნაგლინის, ავტომანქანების, ქიმიური ბოჭკოს, ქაღალდის, სურსათის და ა.შ. წარმოება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაციონალურ ნორმებთან შედარებით შესაძლებელია ვიმსჯელოთ სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების, კვების რაციონის ხარისხზე.

ცხოვრების დონის მაჩვენებელია 1 სულ მოსახლეზე არასასურსათო საქონლი, ქსოვილის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის წარმოება და სხვა; 100 ადამიანზე ან ოჯახზე ხანგრძლივი მოხმარების საგნების წარმოება და მისი წილი საბოლოო მოხმარებაში. ხანგრძლივი მოხმარების საგნების და მომსახურების მაღალი ხვედრითი წონა მოსახლეობის მაღალი ცხოვრების დონის და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

ცხოვრების დონის შეფასება ხდება შრომითი რესურსების მდგომაეობის და მომსახურების სფეროს განვითარების დონის მიხედვით. პირველ ჯგუფში შედის ისეთი მასჩენებლები, როგორიცაა: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მოსახლეობის განათლების დონე, შრომითი რესურსების კვალიფიკაციის დონე, განათლებაზე გაწეული ხარჯების წილი მშპ-ში; ხოლო მეორე ჯგუფში — ექიმთა რაოდენობა 10000 მოსახლეზე, მოსახლეობის საცხოვრებით უზრუნველყოფა, საავადმყოფოში საწოლების რაოდენობა 1000 მაცხოვრებელზე და ა.შ.

მსოფლიო პრაქტიკაში ცხოვრების ხარისხის განსაზღვრისათვის შემუშავებულია კომპლექსური მაჩვენებელი — ადამიანური განვითარების ინდექსი — რომელიც სამ მაჩვენებელს მოიცავს: 1. მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, 2. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და 3. განათლების დონე.

ეკონომიკური განვითარების ხარისხის და ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლად გამოიყენება შრომის მწარმოებლურობის, მშპ-ს ერთეულის კაპიტალტევადობის, ძირითადი ფონდების ერთეულზე ფონდუკუგების, მშპ-ს, ან პროდუქციის კონკრეტული სახეობის ერთეული მასალატევადობა.

მაჩვენებელთა ამ ჯგუფის ანალიზის მთავარი პირობაა ის, რომ აუცილებელია მათი განხილვა არა ცალ-ცალკე, არამედ ურთიერთკავშირში. ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითადი მაჩვენებლების დეტალიზაცია ხდება კერძო მაჩვენებლებში, რომლებიც გვიჩვენებენ ცალკეული ფაქტორების გავლენას ძირითადზე. მაგალითად, შრომის მწარმოებლურობის ზრდა რა ფაქტორით არის ამაღლებული — ტექნიკასა და ტექნოლოგიაში, სამუშაო ძალის ხარისხში, მოთხოვნაში, სახელმწიფო რეგულირებაში და ა.შ. მომხდარი ცვლილებების გამო.

მიუხედავად მრავალი ცდისა, ჩამოეყალიბებინათ ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების ეფექტიანობის აგრეგირების მაჩვენებელი, მეტად ბევრი წინააღმდეგობა არსებობს კვალიფიციური და არაკვალიფიციური შრომის დანახარჯების ღირებულებითი და ნატურალური სიდიდეების გაერთიანებისას. ზოგადი მიდგომით გაიანგარიშება საანგარიშო წლისთვის მშპ/მეპ-ის ან ეროვნული შემოსავლი შესაბამისობა იმავე საანგარიშო პერიოდის წარმოების ფაქტორთა ერთობლივ დანახარჯებთან.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მაღალი დონე მიუთითებს საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარების ხარისხზე, თავის მხრივ, ქვეყნის მონაწილეობა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ნაწილობრივ ასახავს მისი ეკონომიკური განვითარების დონეს. სწორედ ამიტომ, შემუშავებულია მაჩვენებლები, როგორიცაა ექსპორტ-იმპორტის კვოტა, ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურა, მსოფლიო ერთობლივ პროდუქტში მსოფლიო ვაჭრობაში ქვეყნის ხვედრითი წონა, კაპიტალის გატანის მაჩვენებელი და ა.შ.

შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ჩაბმის დონეს ახასიათებენ: *საექსპორტო კვოტა, საიმპორტო კვოტა* და მათ საფუძველზე გაანგარიშებული *ეროვნული ეკონომიკის გახსნილობის ინდექსი, ანუ საგარეო სავაჭრო კვოტა* (წილი).

ამ მაჩვენებელს *საგარეო სავაჭრო კვოტასაც* უწოდებენ.

- საექსპორტო კვოტა = $\frac{\text{ექსპორტის მოცულობა წელიწადში}}{\text{წლიური მშპ}} \cdot 100\%.$

- საიმპორტო კვოტა = $\frac{\text{იმპორტის მოცულობა წელიწადში}}{\text{წლიური მშპ}} \cdot 100\%.$

- ეროვნული ეკონომიკის გახსნილობის ინდექსი =

$$= \frac{\text{ექსპორტის წლიური მოცულობა} + \text{იმპორტის წლიური მოცულობა}}{\text{წლიური მშპ}} \cdot 100\%.$$

ექსპორტირებული საქონელი სახეობების ხვედრითი წონის ან დამუშავების პიხედვით გვაძლევს ექსპორტის სტრუქტურის შესწავლის საფუძველს. მასში მკაფიოდ ვლინდება ქვეყნის დარგობრივი სპეციალიზაცია.

ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარების მაჩვენებლები სრულად არ ასახავენ ქვეყნის მონაწილეობას მსოფლიო ეკონომიკასა და შრომის საერთაშორის დანაწილებაში. საჭიროა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერეთობების მეორე ნაწილის — საერთაშორისო ფინანსების განხილვაც. ამისათვის გამოიყენება კაპტალის გადატანის მაჩვენებლები, კერძოდ, 1. უცხოური ინვესტიციების წილი მოცემული ქვეყნის აქტივებში — მაღალი ეკონომიკური განვითარების ქვეყანას დიდი შესაძლებლობა აქვს კაპიტალის გასატანად. საქართველო, ამ მხრივ, კაპიტალის იმპორტიორი ქვეყანაა. უცხოური ინვესტიციები საქართველოს ძირითად კაპიტალში მნიშვნელოვანწილად მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და ვაჭრობის დარგზე მოდის. უცხოური ინვესტიციების ძირითადი ინვესტორი ქვეყნების რიცხვშია: აშშ, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, თურქეთი, აზერბაიჯანი, შვეიცარია და ა.შ.

ამასთან, მაღალი ეკონომიკური განვითარების ქვეყანას კაპიტალის გატანის დიდი შესაძლებლობები აქვს, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს ეკონომიკაზე.

ქვეყნის ჩართვას ინტეგრაციულ პროცესებში ნათლად ასახავს მოცემული ქვეყნის უცხოეთში გატანილი პირდაპირი ინვესტიციების რაოდენობა, მის ტერიტორიაზე არსებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობასთან. ეს მაჩვენებელი კავშირშია ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების ეფექტიანობასთან.

ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონეს გვიჩვენებს ქვეყნის საგარეო ვალი და მისი შესაბამისობა მთლიან შიდა პროდუქტთან.

ეკონომიკის გახსნილობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რომელთაგან უმთავრესი არის შემდეგი:

- მშპ-ს წლიური მოცულობის სიდიდე;
- საშინაო ბაზრის ტევადობა;
- ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაცია;
- საწარმოო კოოპერაციის განვითარება;
- ეროვნული ეკონომიკის უზრუნველყოფა ბუნებრივი და მიწის რესურსებით;
- სახელმწიფო პოლიტიკა.

როდესაც ეროვნული ეკონომიკა ხდება გახსნილი გარე სამყაროსადმი, დგება საკითხი გარე სამყაროსადმი მისი დამოკიდებულების შესახებ, რაც განაპირობებს მის მოწყვლადობას (დაზიანებას, დაჩაგვრას, დაზარალებას). ეროვნული ეკონომიკა შედის რა კავშირში გარე სამყაროსთან, საფრთხის ქვეშ აყენებს სამუშაო ძალის დასაქმებას, ეროვნული ვალუტის მდგომარეობას და ა.შ. ე.ი. წარმოიშობა საფრთხეები.

ეკონომიკური უსაფრთხოება მეურნეობის ისეთი მდგომარეობის მიღწევას გულისხმობს, რომლის დროსაც ხდება მყარი ეკონომიკური ზრდის, საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, მართვის მაღალი დონისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. იგი არის ეროვნული უსაფრთხოების ნაწილი და მისი მატერიალური საფუძველი. ისტორიულად ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა ჩნდება სახელმწიფოს ფორმირებასთან, საზოგადოების ეკონომიკური ინტერესების განვითარებასთან

ერთად. ეკონომიკური უსაფრთხოების ობიექტად შეიძლება წარმოგვიდგეს როგორც მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკური სისტემა, ასევე მისი შემცველი ელემენტები: ბუნებრივი სიმდიდრე, საწარმოო და არასაწარმოო ფონდები, უძრავი ქონება, ფინანსური რესურსები, ადამიანური რესურსები, სამეურნეო სტრუქტურები, ოჯახი, პიროვნება და სხვა.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა თითოეული ქვეყნის ამოცანაა, მაგრამ მის განხორციელებას აფერხებს მთელი რიგი მოვლენები და პროცესები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ ქვეყნის მეურნეობაზე. ისინი ზღუდავენ პიროვნებების, საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებს. ზოგადად ამ ეკონომიკური საფრთხეების კლასიფიცირება შეიძლება, შიდა და გარე საფრთხეების ჯგუფებად. ხშირ შემთხვევაში ქვეყნის შიგნით არსებულ საფრთხეს საგარეო პრობლემები განაპირობებენ და, როგორც წესი, შეუძლებელია ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევა საერთაშორისოსაგან გამიჯვნით, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. ასე რომ, გარკვეულწილად საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოება შეიძლება წარმოდგენილ იქნას, როგორც ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი გარანტი.

ეროვნული ეკონომიკის კარგახსნილობისა და მისი ეკონომიკური უსაფრთხოების ურთიერთკავშირი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი თანმიმდევრობით: გახსნილობა → დამოკიდებულება → მოწყვლადობა → ეკონომიკური უსაფრთხოება.

ეკონომიკური უსაფრთხოება დაკავშირებულია საგარეო ეკონომიკური ფაქტორების გავლენასთან ისეთ მაჩვენებლებზე, როგორებიცაა:

1. ეროვნული ეკონომიკის დინამიკა;
2. მშპ-ს ზრდის ტემპები;
3. ცალკეული დარგების მდგომარეობა;
4. დასაქმების დონე;
5. ეროვნული ვალუტის მდგომარეობა;
6. სავალუტო-საფინანსო რეზერვების სიდიდე.

რა თქმა უნდა, ღია ეკონომიკას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. მის ნაკლოვანებებს შორის შეიძლება დავასახელოთ შემდეგი:

- ქვეყნის დამოკიდებულების ზრდა ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებზე;
- დამოკიდებულების ზრდა საგარეო ფინანსურ წყაროებზე;
- ეროვნული ეკონომიკის საწარმოთა მდგომარეობის გაუარესებას საერთაშორისო კონკურენციის პირობებში;
- დასაქმების შემცირება და უმუშევრობის ზრდა და ა.შ.

ძირითადი ლიტერატურა

- ასლამაზიშვილი ნ. საგარეო ვაჭრობა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003.
- მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, ტ. I, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ, თბილისი, 2003. — გვ. 144-186.
- მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო, პროფ. გრ. თოდუას და პროფ. შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი, 2001. — გვ. 133-194.
- მსოფლიო ეკონომიკა (ლექციების კურსი), შემდგენელი პროფ. შ. ვეშაპიძე, თბილისი, 2004. — 92-147 გვ.
- ძნელაძე ღ. მსოფლიო ეკონომიკა, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1997. — გვ. 22-56.
- Гурова И.П. Мировая экономика и международные экономические отношения: тесты, упражнения, проблемные ситуации. Уч. пособ., М.: «Дело», 2003. — გვ. 121-128, (წიგნს დართული აქვს ვებრესურსების ვრცელი ანოტირებული სია).
- ლეკაშვილი ე. მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნული ეკონომიკის ჩართვის მაჩვენებელთა სისტემა; ეკონომიკის აქტუალური საკითხები, შრომების კრებული, XIV გამოშ., 2001. — გვ. 75-92.
- ლეკაშვილი ე. სახელმწიფო საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში, საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი (საერთაშორისო უნივერსიტეტთაშორისი სამეცნიერო შრომების კრებული) I ტ., №1-2, 2002. — გვ. 15-22.
- პოლ პერსტი, გრემ ტომპსონი. გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. გამომც. „დიოგენე", I ქართ. გამოც., თბილისი, 2005.
- Peter Dicken. Global Shift, Transforming the World Economy, Third Edition, P.C.P Ltd, 1999.

თემა 5

ქვეყნების კლასიფიკაცია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიხედვით და რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია

ქვეყნების ტიპოლოგიები. განვითარებული ქვეყნები მსოფლიო ეკონომიკაში. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები. განვითარებადი ქვეყნები. ინტეგრაციული დაჯგუფებები მსოფლიო ეკონომიკაში. ეკონომიკური ინტეგრაცია ევროპაში. ეკონომიკური ინტეგრაცია ამერიკაში. ეკონომიკური ინტეგრაცია აზიაში. ეკონომიკური ინტეგრაცია აფრიკაში.

გეოგრაფიული მეცნიერება ერთმანეთისაგან განასხვავებს ტერმინებს *გეოგრაფიული სივრცე* და *ტერიტორია*, თუმცა ხშირად ისინი ერთნაირი შინაარსითაც გამოიყენება. „ტერიტორიის“ ცნება „სივრცის“ ცნებისაგან განსხვავდება თავისი კონკრეტულობით, დედამიწის ზედაპირზე გარკვეულ კოორდინატებთან მიბმულობით.

ტერიტორია — ხმელეთის ზედაპირის ნაწილია მისთვის დამახასიათებელი როგორც ბუნებრივი, აგრეთვე ადამიანის საქმიანობის შედეგად შექმნილი თვისობრივი რესურსებით. საზოგადოების ცხოვრებაში სივრცობრივი (ტერიტორიული) ფაქტორების როლის არც დაკნინება შეიძლება და არც მისი გადაჭარბებითი შეფასება.

სახელმწიფო საზღვრები მიჯნავენ სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებს, რაც მათი მთავარი დანიშნულებაა. ხმელეთის მთელი დასახლებული ნაწილი (ე. ი. ყველა კონტინენტის, ანტარქტიდის გარდა) და მისი მიმდებარე ვრცელი საზღვაო სივრცეები, დაყოფილია პოლიტიკური საზღვრებით. ფაქტობრივად პოლიტიკური ხასიათი, გარდა სახელმწიფოებრივისა, აქვს არასახელმწიფოებრივ საზღვრებსაც:

საერთაშორისო შეთანხმებებით, სახელშეკრულებო, დროებითი, სადემარკაციო.

გამოყოფენ სახელმწიფო ტერიტორიას, აბრეთვე საერთაშორისო და შერეული რეჟიმის ტერიტორიებს. სახელმწიფოებრივი ისეთი ტერიტორიაა, რომელიც განსაზღვრული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება. სახელმწიფო ტერიტორიის შემადგენლობაში შედის: ხმელეთი საზღვრების ფარგლებში, წყლები (შიდა და ტერიტორიული) და ხმელეთის და წყლების ზედა საჰაერო სივრცე. ზღვისპირა სახელმწიფოთა დიდ ნაწილს (ისინი დაახლოებით 100-ია) აქვთ ნაპირიდან 3-დან 12 საზღვაო მილამდე[1] სიფართის ტერიტორიული წყლები. საერთაშორისო რეჟიმის *ტერიტორიებს* მიეკუთვნება სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მიმდებარე დედამიწის სივრცის ტერიტორიები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად ყველა სახელმწიფოთა საერთო სარგებლობაში იმყოფებიან. ესენია: ღია ზღვა, საჰაერო სივრცე მის ზემოთ და ღრმაწყლიანი ზღვის ფსკერი კონტინენტური შელფის ფარგლებს გარეთ.

ზოგიერთი თავისებურება გააჩნია ღია ზღვის *არქტიკული რაიონების საერთაშორისო-სამართლებრივ რეჟიმს* (ჩრდილოეთი ყინულოვანი ოკეანე). კანადამ, რუსეთმა და სხვა ქვეყნებმა იგი „პოლარულ სექტორებად" დაინაწილეს. „პოლარული სექტორის" ფარგლებში ყველა მიწა და კუნძული, ყინულოვანი სანაპირო მინდვრები აღნიშნული ქვეყნების სახელმწიფო ტერიტორიების შემადგენლობაში შედის. „პოლარული სექტორი" — ის სივრცეა, რომლის ფუძე არის სახელმწიფოს ჩრდილოეთი საზღვარი, წვერო — ჩრდილოეთ პოლუსი, გვერდით საზღვრები კი — მერიდიანები.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე განსაკუთრებული *საერთაშორისო-სამართლებრივი რეჟიმი,* რომელიც *ანტარქტიდაში* 1959 წ. ხელშეკრულებით დაწესდა. კონტინენტი მთლია-

1 1 მილი / 1 mil =1609,3 მ-ს; 1 საზღვაო მილი / 1 marine mil =1853,2 მ-ს.

ნად დემილიტარიზებულია და გახსნილია ყველა ქვეყნის სამეცნიერო კვლევებისათვის.

კოსმოსური სივრცე ხმელეთის ტერიტორიების ფარგლებს გარეთ იმყოფება და მისი სამართლებრივი რეჟიმი განისაზღვრება *საერთაშორისო კოსმოსური* სამართლის პრინციპებითა და ნორმებით.

შერეული რეჟიმის ტერიტორიებს მიეკუთვნება *კონტინენტალური შელფი და ეკონომიკური ზონა.*

მსოფლიო ოკეანის შედარებით მცირეწყლიანი რაიონების კუთვნილების, რეჟიმისა და სანაპირო მიმდებარე საზღვრების განსაზღვრის საკითხი XX ს მეორე ნახევარში კონტინენტალური შელფის ბუნებრივი სიმდიდრეების (ნავთობი, გაზი და სხვა სასარგებლო წიაღისეული) დაზვერვისა და დამუშავების შესაძლებლობებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სამართლებრივ პრობლემად გადაიქცა. ზოგიერთი გაანგარიშები, კონტინენტალური შელფი მსოფლიო ოკეანის ზედაპირის თითქმის 1/2-ს შეადგენს.

საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენციის შესაბამისად *კონტინენტალურ შელფში* იგულისხმება ზღვის ფსკერი და წყალქვეშა რაიონების წიაღი, რომელიც გადაჭიმულია სახელმწიფოს ტერიტორიული წყლების ფარგლებს იქით მისი სახმელეთო ტერიტორის მთელ ბუნებრივ გაგრძელებაზე კონტინენტის საგარეო საზღვრის წყალქვეშა კიდემდე ან საწყისი ხაზიდან 200 საზღვაო მილის მანძილზე, რომლიდანაც იზომება ტერიტორიული წყლების სიგანე, როცა კონტინენტის წყალქვეშა სანაპიროს საგარეო საზღვარი ასეთ მანძილზე არაა გავრცობილი.

კონტინენტალური შელფის საგარეო საზღვარი არ შეიძლება იმყოფებოდეს 100 საზღვაო მილის იქით 200 მეტრიანი იზობათიდან (თანაბარ სიღრმეთა ხაზიდან) და არ შეიძლება გადიოდეს 350 საზღვაო მილზე იქით ამოსავალი ხაზიდან, რომლიდანაც ტერიტორიული წყლების სიგანე იზომება.

საზღვაო ეკონომიკური ზონა — არის მსოფლიო ოკეანის აკვატორიის[1] რაიონები ტერიტორიულ წყლებს იქით 200 საზღვაო მილის სიგანეზე, რომლებშიც საზღვაო სახელმწიფო ახორციელებს მინერალური რესურსების დაზვერვისა და დამუშავების სუვერენულ უფლებას, სამეცნიერო კვლევების ჩატარებას, თევზის ჭერას, (რესურსებზე ეროვნული იურისდიქციის ზონები), სხვა ქვეყნები კი სარგებლობენ თავისუფალი ნაოსნობის უფლებით და დასაშვები ჭერის ნაჭარბზეც ხელი მიუწვდებათ (საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენციის მიხედვით). თევზჭერის ზონები და შელფები ხშირად სახელმწიფოს სახმელეთო ტერიტორიის ფართობს აჭარბებს და მისი რესურსული პოტენციალის არსებითი გაზრდა შეუძლიათ.

განსაკუთრებული ტერიტორიული რეჟიმები — საერთაშორისო-სამართლებრივი რეჟიმებია, რომლებიც განსაზღვრავენ რაიმე შეზღუდული ტერიტორიის ან სივრცის სამართლებრივ სტატუსს და სარგებლობის წესს. ისინი შესაძლებელია დაწესდეს რამდენიმე ან მსოფლიოს ყველა ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით. ასე მაგალითად, ცნობილია საერთაშორისო მდინარეებზე, სრუტეებსა და არხებზე ნაოსნობის რეჟიმები, რომლებიც საერთაშორისო ნაოსნობისათვის გამოიყენება; თევზჭერის და საზღვაო რეწვის სხვა სახეობათა რეჟიმები; ზღვის ფსკერის მინერალური რესურსების ექსპლოატაციის რეჟიმები (კონტინენტალური შელფის ექსპლოატაცია და ა.შ.); სასაზღვრო მდინარეებზე წყლით სარგებლობისა და სამეურნეო საქმიანობის სხვა სახეების რეჟიმები და ა.შ. ტერიტორიული რეჟიმის განსაკუთრებული სახეა ტერიტორიის საერთაშორისო-სამართლებრივი არენდა, „თავისუფალი ეკონომიკური ზონების რეჟიმი“, პრივილეგირებული საბაჟო თვალსაზრისით და ა.შ. (უცხოურ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების სარგებლობის რეჟიმები განსაკუთრებული ტერიტორიული რეჟიმების კატეგორიას არ მიეკუთვნება).

---

1. აკვატორია — პორტის საზღვრებში მოქცეული წყლის სივრცე.

ამჟამად მსოფლიოში 230-მდე ქვეყანა და ტერიტორიაა, რომელთაგან 190-ზე მეტი სუვერენული სახელმწიფოა.[1] მსოფლიოს სახელმწიფოებს შორის არიან ქვეყნები ძალიან დიდი ტერიტორიებითა და მოსახლეობის რიცხოვნობით (ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, აშშ და სხვ.) და პატარებიც, როგორც, მაგალითად, ევროპის „მიკროსახელმწიფოები“: მონაკო, ანდორა, ვატიკანი, ლიხტენშტეინი, სან-მარინო.

არიან ერთეროვნული ქვეყნები (იაპონია, შვედეთი და სხვ.) და მრავალეროვნული სახელმწიფოები (ინდოეთი, რუსეთი, ნიგერია, აშშ და სხვ.). არიან სახელმწიფოები ბუნებრივი რესურსებით მდიდარნი, ამ რესურსებით ღარიბები ან ამ რესურსების არმქონებიც. არიან ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ზღვაზე გასასვლელი და ვრცელი საზღვაო საზღვრები (რუსეთი, კანადა, ჩინეთი, აშშ და სხვ.) და ისეთებიც, რომლებსაც ასეთი საზღვრები არ გააჩნიათ, ე.ი. შიდაკონტინენტალური ქვეყნები (როგორც, მაგალითად, ჩადი, მალი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, პარაგვაი, ნეპალი, ბუტანი). ამასთან, ძალზე ხშირად ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობა მისი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების დონეზე აისახება. ზოგიერთი სახელმწიფო მთელ კონტინენტს იკავებს (ავსტრალია), ზოგი კი — პატარა კუნძულსა თუ კუნძულთა ჯგუფზე არიან განლაგებულნი (ნაურუ, მალტა, კაბო-ვერდე და სხვ.).

მსოფლიოს ყოველ ქვეყანას თავისი განუმეორებელი თავისებურებანი გააჩნია, თუმცა სახელმწიფოების რაღაც მსგავსი ნიშნების გამოვლენის გზით მაინც შესაძლებელია ქვეყნების გარკვეული ტიპების გამოყოფა.

ქვეყნის ტიპს აყალიბებს განვითარების პირობებისა და თავისებურებების ერთობლიობა, რომლებიც რაღაც არსე-

---

1. სახელმწიფო არის ხელისუფლების აპარატი, რომელიც საზოგადოების საქმეებს მართავს. ხელისუფლების სამ შტოს გამოყოფენ: საკანონმდებლოს, აღმასრულებელს და სასამართლოს.

ბითი, ზოგჯერ გადამწყვეტი (ტიპოლოგიური) ნიშნებით, ერთი მხრივ, მას ენათესავებიან, მეორე მხრივ კი, ყველა დანარჩენებისაგან გამოაცალკევებენ. ქვეყნების ტიპების არსებობა, მათი ისტორიული ევოლუცია იმის შედეგია, რომ ქვეყნების განვითარება სხვადასხვა ტემპებით, სხვადასხვა გარემოებებში, სხვადასხვა პირობებში და სხვადასხვა გზებით მიმდინარეობს.

შეუძლებელია ქვეყნების ტიპების გამოყოფა მხოლოდ ერთი ან რამდენიმე, ყველა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმის საფუძველზე. ტიპოლოგიის შექმნის პირველ ეტაპზე ნამდვილად უზარმაზარი სტატისტიკური სამუშაოს შესრულება უწევთ, მაგრამ შემდეგ კიდევ აუცილებელია მსგავსი ნიშნების პოვნა, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნებს განცალკევებულ ჯგუფებად გამოყოფენ.

არსებობს სხვადასხვა ტიპოლოგიები. ისინი ითვალისწინებენ მაჩვენებელთა დიდ რიცხვს, რომლებიც ახასიათებენ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეს, აგრეთვე ისტორიულ და პოლიტიკურ ასპექტებს, მაგალითად, დემოკრატიის განვითარების დონეს და ა. შ.

ყოველ ტიპოლოგიას მეცნიერული ღირებულების გარდა პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ასე მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში (გაერო) მსოფლიოს ქვეყნების შემდგომი განვითარების სტრატეგიის შემუშავების, ფინანსური ან ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენისათვის განსაზღვრავენ ყველაზე ნაკლებ განვითარებულ სახელმწიფოთა ჯგუფს. ქვეყანათა ასეთ ჯგუფს სამი მთავარი კრიტერიუმის საფუძველზე გამოყოფენ: ძალიან დაბალი შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე; გადამამუშავებელი მრეწველობის წილი მეურნეობის სტრუქტურაში 10%-ზე ნაკლებია; ზრდასრულ მოსახლეობაში უწიგნურთა (წერა-კითხვის არმცოდნეთა) წილი 80%-ზე მეტია. 1990-იანი წლების დასაწყისში ამ ჯგუფს მიაკუთვნეს 40 ქვეყანა, მაგალითად, ავღანეთი, ჰაიტი, გვინეა, ბანგლადეში, ლაოსი, ნეპალი, ბუტანი, მალი, მოზამბიკი, სომალი, ბურუნდი, ჩადი, ეთიოპია და სხვ.

ქვეყნების შესაბამისი ჯგუფების მიხედვით განაწილების კრიტერიუმები საკმაოდ მრავალმხრივია. ჯერ ერთი, შეიძლება გამოვიყენოთ რეგიონული მიდგომა, რომელსაც საფუძვლად დაედება მსოფლიოს დანაწილება ისტორიულ-კულტურულ რეგიონებად. ყველაზე მარტივი გეოგრაფიული სქემა იქნება ქვეყნების დაჯგუფება კონტინენტების მიხედვით. შეიძლება აგრეთვე გამოიყოს ქვეყნების კონტინენტური კლასიფიკაციის ქვეჯგუფებიც — კულტურულ-ისტორიული რეგიონები. კულტურულ-ისტორიული რეგიონები ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად მთლიანი ტერიტორიებია. ასეთი მიდგომის თანახმად, მაგალითად, ევროპა იყოფა დასავლეთ ევროპად — კაპიტალიზმის სამშობლოდ და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპად, რომელიც შეიცავს სლავურ სახელმწიფოებსა და ბალტიის ქვეყნებს. აზიაში, შესაბამისად, შეიძლება გამოიყოს ახლო აღმოსავლეთი, შუა აღმოსავლეთი (ახლო აღმოსავლეთი, ირანი და ავღანეთი), შუა აზია, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია. აფრიკა ტრადიციულად იყოფა ჩრდილოეთ, ცენტრალურ და საჰარის სამხრეთის აფრიკად, ამერიკა — ინგლისურენოვან ჩრდილოეთ ამერიკად და ესპანურ-პორტუგალიურენოვან ლათინურ ამერიკად. ქვეყნების კულტურულ-ისტორიული კლასიფიკაცია მსოფლიოს ყველაზე ბუნებრივი დანაწილებაა, წარმოადგენს უნივერსალურ მიდგომას რეგიონის შესწავლისადმი მისი ბუნებრივ-კლიმატური პირობების, ისტორიისა და კულტურის თვალსაზრისით.

ქვეყნების კლასიფიკაციაში მეორე მიდგომა, რომელსაც ხშირად იყენებენ, არის ტიპოლოგიური დიფერენციაცია, ე.ი. ქვეყნების სპეციალური ტიპის გამოყოფა. ტიპოლოგიური დიფერენციაციის კრიტერიუმები სხვადასხვაა. ისინი შეიძლება იყოს:

- სახელმწიფოს გეოგრაფიული მდებარეობა;
- ამ სახელმწიფოს წარმოშობის დრო;

- მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა;
- მოსახლეობის რიცხვი;
- სახელმწიფო ენა და განვითარების კულტურული თავისებურებანი.

მარქსისტულ ტიპოლოგიურ დიფერენციაციას საფუძვლად ედო საზოგადოებაში წარმოებითი ურთიერთობის ხასიათი. ამ პრინციპით ქვეყნები კლასიფიცირებული იყო სოციალისტურ და კაპიტალისტურ, აგრეთვე, მესამე სამყაროს ქვეყნებად, რომლებიც, შესაბამისად, კაპიტალისტური ან სოციალისტური ორიენტაციის იყვნენ.

და მაინც, მსოფლიოს ყველაზე რაციონალური ტიპოლოგიური დიფერენციაცია იქნებოდა ქვეყნების დანაწილება შესაბამისი ჯგუფების მიხედვით, მათი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების საფუძველზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთოდიკით, ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელთა შორის უნდა გამოიყოს:

- მთლიანი შიდა პროდუქტი / მთლიანი ეროვნული პროდუქტი,

  აგრეთვე მთლიანი შიდა პროდუქტი / მთლიანი ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე;
- გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციისა და მომსახურების სფეროს წილი მთლიან შიდა პროდუქტში / მთლიან ეროვნულ პროდუქტში;
- მოსახლეობის განათლების დონე და სიცოცხლის ხანგრძლივობა.

მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნების კლასიფიკაციის შესახებ ყველაზე უფრო სრულ წარმოდგენას მივიღებთ უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიკაციის საფუძველზე. ყოველი საერთაშორისო ორგანიზაცია ქვეყნების კლასიფიკაციას ახდენს თავისი კრიტერიუმების მიხედვით საკუთარი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე. სა-

ერთაშორისო პრაქტიკაში ქვეყნების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს კლასიფიკაცია, რომელიც გულისხმობს ქვეყნების მსოფლიო მეურნეობის სისტემაში ჯგუფების და ქვეჯგუფების გამოყოფას მათი ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით. ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლების გათვალისწინებით გაერო ქვეყნებს ყოფს: განვითარებულ, განვითარებად და ყველაზე ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებად.

უმნიშვნელოვანესი არის ინფორმაცია ამა თუ იმ ქვეყნის შემოსავლების შესახებ. შემოსავლების დონე საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა, ადგილობრივი საწარმოების სამრეწველო პროცესების ტექნოლოგიური განვითარების დონე და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მდგომარეობა. შემოსავლების სტატისტიკური მონაცემების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს მსოფლიო ბანკი. იგი ქვეყნებს უოფს კატეგორიებად 2006 წელს წარმოებული მთლიანი ეროვნული შემოსავლის (მეშ) მიხედვით. ეს კატეგორიებია: დაბალშემოსავლიანი ქვეყნები, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მოდის საშუალოდ 905 ან ნაკლები აშშ დოლარი წელიწადში; საშუალოზე დაბალშემოსავლიანი ქვეყნები, შესაბამისად 906-დან 3595 აშშ დოლარამდე წელიწადში; საშუალოზე მაღალშემოსავლიანი ქვეყნები — 3596-დან 11115 აშშ დოლარი წელიწადში და მაღალშემოსავლიანი ქვეყნები — 11116 და მეტი აშშ დოლარი.

მაღალშემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფში შედის 60 ქვეყანა. მათ შორის 25 ქვეყანა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრია.

საშუალოზე მაღალშემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფში 41 ქვეყანა შედის, მათ შორის — 4 ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყანა: ლატვია, ლიტვა, რუსეთი და ყაზახეთი.

საშუალოზე დაბალშემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფი 55 ქვეყანას აერთიანებს. აქვე შედის ყოფილი საბჭოთა კავშირის

7 ქვეყანა, მათ შორის საქართველოც (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, თურქმენეთი, უკრაინა).

დაბოლოს, დაბალი შემოსავლების ქვეყნების ჯგუფი, სადაც 53 ქვეყანა შედის, მათ შორის 3 — შუა აზიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები: ყირგიზეთი, უზბეკეთი და ტაჯიკეთი.

გარდა შემოსავლების მიხედვით კლასიფიკაციისა, მსოფლიო ბანკი ქვეყნებს ყოფს რეგიონების მიხედვითაც. ეს რეგიონებია: აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანე, ევროპა და ცენტრალური აზია, ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის ქვეყნები, ჩრდილოეთი ამერიკა, შუა აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი აფრიკა, სამხრეთი აზია და საჰარის სამხრეთი აფრიკა.

მაღალი შემოსავლის ქვეყნების კატეგორია სამი ჯგუფისგან შედგება. პირველ ჯგუფს ქმნიან ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნები (OECD). OECD — არის ჯგუფი, რომელიც ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მქონე 30 დემოკრატიული ქვეყნისგან შედგება. OECD-ის ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება: დასავლეთ ევროპის 23 ქვეყანა (ევროკავშირის ქვეყნები, ისლანდია, ნორვეგია, შვეიცარია და თურქეთი), წყნარი ოკეანის აუზის 4 ქვეყანა (ავსტრალია, იაპონია, ახალი ზელანდია, სამხრეთ კორეა), აგრეთვე კანადა, მექსიკა და აშშ. OECD-ის 30 წევრიდან 25 წევრი მიეკუთვნება მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების რიცხვს. (OECD-ის დანარჩენი წევრები — უნგრეთი, მექსიკა, პოლონეთი, სლოვაკეთის რესპუბლიკა და თურქეთი — მიეკუთვნებიან საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების ჯგუფს). მაღალი შემოსავლების ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნებიან ნავთობით მდიდარი ქუვეითი და არაბთა გაერთიანებული საემიროები. მესამე ჯგუფს შეადგენენ განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნები (ჰონგ-კონგი, ისრაელი, სინგაპური და ტაივანი). საშუალოზე დაბალი შემოსავლის ქვეყნებში შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 906 დოლარიდან 3595 დოლარამდე მერყეობს. ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან ყოფილი საბჭოთა

კავშირის ქვეყნების უმეტესობა. დაბალი შემოსავლების ქვეყნებში, რომლებშიც ძირითადად განვითარებადი ქვეყნები არიან, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი არაუმეტეს 905 დოლარს შეადგენს. ამ კატეგორიაში შედიან ქვეყნები (მაგ., ინდოეთი), რომელთა ეკონომიკა მნიშვნელოვან ზრდას განიცდის უცხოური ქვეყნების დახმარების, გონივრული შიდა ეკონომიკური პოლიტიკის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და/ან ძვირფასი ბუნებრივი რესურსების გამო. 1971 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ეს ქვეყნები ცნო „არასაკმარისად განვითარებულად". ამ ქვეყნებს ეკონომიკური წინსვლის ზრდის ტემპების დიდი პოტენციალი გააჩნიათ. სხვა ქვეყნებისთვის, რომლებიც გაერომ მიიჩნია „ძალზე მცირედ განვითარებულად", დამახასიათებელია განათლების დაბალი დონე, მოსახლეობის ერთ სულზე დაბალი შემოსავალი და ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპები. ეს ქვეყნები ნაკლებად მიმზიდველია მათ ტერიტორიაზე საერთაშორისო საქმიანი ოპერაციების განსახორციელებლად, რადგანაც ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელია მსყიდველობითი მოთხოვნის არასაკმარისი დონე და იმ საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე, რომელიც აუცილებელია საქონლის და მომსახურების წარმოების და განაწილების პროცესების ორგანიზებისათვის. ამ ქვეყნების ტიპიური წარმომადგენელია სომალი — აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყანა, რომელიც გვალვების, სამოქალაქო ომების და შიმშილის გამო არის განადგურებული.[1]

შევნიშნავთ, რომ განვითარებადი ქვეყნები თავიანთი რაოდენობითაც და მათში მცხოვრები მოსახლეობის რიცხვითაც მსოფლიო ეკონომიკაში უმრავლესობას შეადგენენ.

ეკონომიკური ანალიზის მიზნით საბაზრო ეკონომიკის განვითარების საფუძველზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭო ქვეყნებს ყოფს:

---

1 Гриффин Р., Пастей М. Международный бизнес. 4-е изд. М., С-Пб.: Питер. 2006. - с. 77.

- განვითარებულ ქვეყნებად (საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებად);
- გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებად;
- განვითარებად ქვეყნებად.

ეკონომიკური ანალიზის მიზნით ქვეყნების დაჯგუფების კრიტერიუმებიც მრავალფეროვანია. პირველ რიგში, მხედველობაში მიიღება ეკონომიკური განვითარების მოდელი. *განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებად* ითვლება ისეთი სახელმწიფოები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია საბაზრო ურთიერთობანი ეკონომიკაში, უფლებათა და სამოქალაქო თავისუფლებათა მაღალი დონე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. განვითარებული ეკონომიკის მქონე ყველა ქვეყანა მიეკუთვნება განვითარების კაპიტალისტურ მოდელს, თუმცა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ხასიათი აქ სერიოზულად განსხვავდება, ვარირებს ნეოლიბერალურიდან სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკამდე. *მეორე*, საჭიროა ისეთი თვისებრივი ეკონომიკური მაჩვენებლებიც, როგორიცაა ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი, სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სოციალური დაცვის დონე (პენსიები, დახმარება უმუშევრობის გამო, სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა), სიცოცხლის ხანგრძლივობა, განათლებისა და სამედიცინო მომსახურების ხარისხი, კულტურის განვითარების დონე. *მესამე*, განვითარებულმა ქვეყნებმა გაიარეს განვითარების აგრარული და ინდუსტრიული სტადია, სადაც უპირატესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნაში სოფლის მეურნეობას და მრეწველობას. ახლა ქვეყნები პოსტინდუსტრიალიზმის სტადიაში იმყოფებიან, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეროვნულ მეურნეობაში არამატერიალური წარმოების სფეროს წამყვანი როლი, სადაც იქმნება მშპ-ს 60 პროცენტიდან 80 პროცენტამდე. და ბოლოს, ეკონომიკური ზრდის თეორიის თვალსაზრისით ამჟამად განვითარებული ქვეყნებისათვის დადგა მასობრივი მოხმარების ეპოქა, რომლისთვისაც დამახასიათებელია საქონლისა და მომ-

სახურების ეფექტიანი წარმოება, მაღალი სამომხმარებლო მოთხოვნა, მუდმივი პროგრესი მეცნიერებასა და ტექნიკაში, სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის გაძლიერება.

განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯგუფს, უწინარეს ყოვლისა, მიეკუთვნებიან ე. წ. დიდი შვიდეულის წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნები — ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და კანადა. ეს სახელმწიფოები დომინირებენ მსოფლიო მეურნეობაში, უწინარეს ყოვლისა, თავიანთი მძლავრი ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და სამხედრო პოტენციალის, მოსახლეობის დიდი რიცხვის, ერთობლივი და ხვედრითი მთლიანი შიდა პროდუქტის მაღალი დონის მეოხებით.

შემდეგ განვითარებული ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება დიდი შვიდეულის ქვეყნებთან შედარებით ერთგვარად პატარა, მაგრამ ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თვალსაზრისით მაღალგანვითარებული დასავლეთ ევროპის ქვეყნები, ავსტრალია და ახალი ზელანდია. თუმცა შეიძლება აღინიშნოს, რომ მათგან ზოგიერთი ფართობითა და ბუნებრივი რესურსებით (მაგალითად, ავსტრალია) აღემატება დიდი შვიდეულის წარმომადგენლებს ერთად აღებულს (იაპონიას, იტალიას, გერმანიას, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს), ზოგიერთი კი, მაგალითად ესპანეთი, მოსახლეობითაც მეტია, ვიდრე კანადა. და მაინც, უდავოა დიდი შვიდეულის პოლიტიკური უპირატესობა, მისი წამყვანი როლი საერთაშორისო ორგანიზაციებში.

და ბოლოს, 1995 წელს ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებად აღიარეს ისეთი ქვეყნები, როგორიცაა სამხრეთი კორეა, ჰონგ-კონგი, სინგაპური, ტაივანი (სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ე. წ. „დრაკონი“ ქვეყნები) და ისრაელი. მათი შეყვანა განვითარებული ქვეყნების ჯგუფში ომის შემდგომი პერიოდის მანძილზე ეკონომიკურ განვითარებაში უსწრაფესმა პროგრესმა განაპირობა. მართლაც, ეს არის ნამდვილად უნიკალური მაგალითი მსოფლიო ისტორიაში, როცა

ქვეყნებმა, რომლებიც ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში განუვითარებლები იყვნენ, ხელთ იგდეს მსოფლიო ეკონომიკური პირველობა მთელი რიგი პოზიციების მიხედვით და გადაიქცნენ მნიშვნელოვან მსოფლიო სამრეწველო, სამეცნიერო-ტექნიკურ და ფინანსურ ცენტრებად. მთლიანი შიდა პროდუქტის დონე ერთ სულ მოსახლეზე, ცხოვრების ხარისხი „დრაკონ“ ქვეყნებსა და ისრაელში მიუახლოვდა წამყვანი განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს და მთელი რიგი მაჩვენებლებით (ჰონგ-კონგი, სინგაპური) აღემატებიან კიდეც დიდი შვიდეულის სახელმწიფოთა უმრავლესობას. და მაინც, განსახილველ ქვეჯგუფში არის დასავლური გაგებით თავისუფალი ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემები, აქ მოქმედებს კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების საკუთარი ფილოსოფია.

ბარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები[1]. ამჟამად იმყოფებიან აქ ოდესღაც მოქმედი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის მართვის სისტემიდან ისეთ ეკონომიკაზე გადასვლის გზაზე, რომელშიც მთავარია ორგანიზაციისა და მართვის საბაზრო პრინციპები. ამ ქვეყნების ჯგუფს სულ ახლახანს მიეკუთვნებოდნენ აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოები და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები. აქ არიან ქვეყნები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს ეკონომიკურ განვითარებაში: პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ხორვატია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი. ზოგიერთ მათგანში ცხოვრების დონე თითქმის მჭიდროდ მიუახლოვდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების

1 თავად ტერმინი „გარდამავალი ეკონომიკა“ საესებით ზუსტად ვერ ასახავს მათ სტატუსს, რადგან ფაქტობრივად თითოეული ქვეყანა გარკვეულწილად მუდმივად იცვლება, თავისი განვითარების ერთი სტადიიდან მეორეზე გადადის, ჩვეულებრივ უფრო მაღალზე. მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საყოველთაოდ მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით ახასიათებს განვითარების ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მოდელიდან საბაზრო მოდელზე გადასვლას.

სტანდარტებს, ეკონომიკური ზრდის ტემპი კი კვლავ სტაბილურად მაღალია და აღემატება კიდეც დასავლეთევროპულს. უკვე განხორციელდა ძირითადი სტრუქტურული გარდაქმნები ეკონომიკაში. 2004 წლის 1 მაისიდან ევროკავშირის შემადგენლობაში ავსტრიის, ბელგიის, დანიის, ფინეთის, საფრანგეთის, საბერძნეთის, ესპანეთის, ნიდერლანდების, ირლანდიის, ლუქსემბურგის, გერმანიის, პორტუგალიის, შვედეთის, დიდი ბრიტანეთის და იტალიის გვერდით გაწევრიანდნენ ახალი სახელმწიფოები: კვიპროსი, ჩეხეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და უნგრეთი, 2007 წლის 1 იანვრიდან კი ბულგარეთი და რუმინეთი.

სხვა სახელმწიფოები, მაგალითად, უკრაინა, საქართველო, ალბანეთი, მაკედონია კვლავ ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის სტადიაში არიან და მათ მოუწევთ გადაჭრან გარდამავალი პერიოდის საკმაოდ რთული პრობლემები. არის ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც ერთ წერტილზე გაიყინნენ და უკვე ვეღარც კი მოძრაობენ საბაზრო ორიენტაციის მხარეს. მათ, უწინარეს ყოვლისა, განეკუთვნება რუსეთი და ბელარუსი, რომლებშიც შეწყდა საბაზრო რეფორმები და წარმოიქმნა საფრთხე, რომ ისინი ძველ ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემას დაუბრუნდებიან. ამ ჯგუფს განეკუთვნებიან ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც სერიოზულად დაზარალდნენ მათი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გამო საომარი მოქმედებისა და მრავალი ეთნიკური კონფლიქტის შედეგად. ასეთი სახელმწიფოები, უბრალოდ, რეფორმებისათვის ვერ იცლიან, მათ წინაშე ომით გაჩანაგებული ეკონომიკის აღდგენის პრობლემა დგას. ეს ქვეყნებია სერბეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა და ტაჯიკეთი.

განვითარებადი ქვეყნები წარმოადგენენ მსოფლიო ეკონომიკური სისტემის პერიფერიას. აქ შედის აფრიკის 58 ქვეყანა (ჩრდილოეთი აფრიკის — 7 და საჰარის სამხრეთის 51 ქვეყანა), ამერიკის — 49 (ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის — 35 და სამხრეთ ამერიკის 14 ქვეყანა),

აზიის — 49 (დასავლეთი აზიის[1] — 15, ცენტრალური აზიის — 8, სამხრეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის 26 ქვეყანა), ოკეანეთის — 28.

განვითარებადი ქვეყნების მთელი ქვეჯგუფი მეტად არაერთგვაროვანია და, ალბათ, სწორი იქნებოდა მათთვის გვეწოდებინა „მესამე სამყაროს" ქვეყნები. განვითარებადს მიეკუთვნება, კერძოდ, ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც ცხოვრების დონისა და ხარისხის ბევრი მაჩვენებლით ფორას მისცემენ ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანას, მაგალითად, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ქუვეითი ან ბაჰამის კუნძულები. ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, მთავრობის სოციალური ხარჯების მოცულობა ამ ქვეყნებში შეესაბამება ანდა აღემატება კიდეც დიდი შვიდეულის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. განვითარებად სახელმწიფოთა ჯგუფში არიან კერკეტა (მყარი) საშუალო ქვეყნებიც, რომლებსაც ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის ურიგო დონე როდი აქვთ; *არის აგრეთვე მეტად ჩამორჩენილი ეროვნული მეურნეობის მქონე საკმაოდ ბევრი ქვეყანა, რომელთა მოსახლეობის უმრავლესობა სიღატაკის ზღვარზე დაბლა ცხოვრობს, რაც ნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი მეთოდიკით ყოველ მცხოვრებზე დღეში თითო დოლარი იხარჯება.*

ჯგუფის სახელწოდება — განვითარებადი ქვეყნები — უფრო ასახავს მათი ეროვნული მეურნეობის მოდელს, რომელშიც უკიდურესად მცირეა საბაზრო მექანიზმებისა და კერძო მეწარმეობის როლი, მათი განვითარებისათვის უპირატესი მნიშვნელობა აქვს ისეთ სხვა ფორმებს, როგორიცაა ნატურალური ან ნახევრადნატურალური მეურნეობა, აგრარული და ინდუსტრიული სექტორების სიჭარბე ეკონომი-

1 დასავლეთ აზიის სახელმწიფოებს მიეკუთვნება: ბახრეინი, ირანი, ერაყი, იორდანია, იემენი, კატარი, კვიპროსი, ქუვეითი, ლიბანი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ომანი, საუდის არაბეთი, სირია, თურქეთი, პალესტინის ტერიტორია.

კის დარგობრივ სტრუქტურაში, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მაღალი, ხოლო სოციალური დაცვის დაბალი დონე. *აღნიშნულ თავისებურებათა საერთო ხასიათის გამო განვითარებად სახელმწიფოებს სავსებით კანონზომიერად შეიძლება მივაკუთვნოთ გარდამავალ ეკონომიკათა უმრავლესობაც*, რომლებშიც ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად შემცირდა იმის გამო, რომ ეფექტიანად ვერ წარმართავენ ეკონომიკურ გარდაქმნებს.

რადგან ამდენი სირთულეა კლასიფიკაციებში და ესოდენ მრავალფეროვანია განვითარებადი ქვეყნები, მათი კლასიფიკაცია გამორიცხვის მეთოდით უფრო ადვილი იქნებოდა. შესაბამისად, განვითარებად სახელმწიფოდ შეიძლება ჩაითვალოს ის სახელმწიფოები, რომლებიც ვერ შევიდნენ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯგუფში და არ არიან ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნები ან ყოფილი საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკები.

კონკრეტული ეკონომიკური ანალიზის მიზნით განვითარებადი ქვეყნები ასეთნაირად ნაწილდება:

- ნავთობის ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნები: ბრუნეი, ქუვეითი, ლიბია, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ომანი, საუდის არაბეთი;
- ნავთობის მოვაჭრე ქვეყნები: ყველა სხვა განვითარებადი ქვეყანა;
- ენერგორესურსების ექსპორტიორი ქვეყნები: ალჟირი, ანგოლა, ბახრეინი, ვენესუელა, ვიეტნამი, გაბონი, ეგვიპტე, ინდონეზია, ერაყი, ირანი, კამერუნი, კატარი, კოლუმბია, კონგო, ქუვეითი, ლიბია, მექსიკა, ნიგერია, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ომანი, საუდის არაბეთი, სირია, ტრინიდადი და ტობაგო, ეკვადორი;
- ენერგორესურსების იმპორტიორი ქვეყნები: ყველა სხვა განვითარებადი ქვეყანა;

- ყველაზე ნაკლებ განვითარებული ქვეყნები: ავღანეთი, ანგოლა, ბანგლადეში, ბურკინა-ფასო, ბურუნდი, ბუტონი, ვანუატუ, ჰაიტი, გამბია, გვინეა, გვინეა-ბისაუ, ჯიბუტი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (ყოფილი ზაირი), ზამბია, იემენი, კაბო-ვერდე, კამბოჯა, კირიბატი, კომორის კუნძულები, ლაოსი, ლესოტო, ლიბერია, მავრიტანია, მადაგასკარი, რუანდა, დასავლეთი სამოა, სან-ტომე და პრინსიპი, სოლომონის კუნძულები, სომალი, სუდანი, სიერა-ლეონე, ტოგო, ტუვალუ, უგანდა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჩადი, ეკვატორული გვინეა, ერითრეა, ეთიოპია.

ახლა შევეცადოთ ეს ყველაფერი შევაჯამოთ. უკვე განხილულ მაჩვენებელთა გათვალისწინებით, აგრეთვე მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნების როლის საფუძველზე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ქვეყნების შემდეგი ელემენტარული ტიპოლოგია, რომელშიც სახელმწიფოთა ათი ჯგუფია:

1. დიდი შვიდეული — წამყვანი განვითარებული ქვეყნები, რომლებსაც მაღალი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები აქვთ (ისინი ლიდერობენ ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობით, შრომის ნაყოფიერების დონით, მოწინავე პოზიციებზე დგანან მსოფლიო სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში). დიდი შვიდეულის წილად მოდის მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარზე მეტი, აქ განვითარდა მატერიალური და არამატერიალური წარმოების დარგების ფართო სპექტრი.

2. სხვა განვითარებული ქვეყნები, რომლებსაც განეკუთვნება დასავლეთ ევროპის, „დრაკონი“ ქვეყნები (სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, სინგაპური, ტაივანი), ისრაელი, ავსტრალია და ახალი ზელანდია. ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ეროვნული ეკონომიკის უფრო ვიწრო სპეციალიზაცია, ინტეგრაციული პროცესების ძლიერი ხასიათი.

3. ახალი ინდუსტრიული ქვეყნები, რომლებშიც შედიან სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის „ვეფხვი“ ქვეყნები (მალაი-

ზია, ტაილანდი, ინდონეზია და ფილიპინები) და ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანა (მექსიკა, ბრაზილია, არგენტინა, ჩილე). ოდესღაც ეს ქვეყნები სუსტად განვითარებული ქვეყნები იყვნენ, სადაც ჭარბობდა სოფლის მეურნეობა და მრეწველობის მომპოვებელი დარგები, მაგრამ სადღეისოდ მათი პოზიციები მსოფლიო მეურნეობაში მნიშვნელოვნად განმტკიცდა და ეროვნული მეურნეობის ერთობლივი პოტენციალით მათ სამართლიანად უკავიათ მესამე ხაზი ამ კლასიფიკაციაში. ახალი ინდუსტრიული ქვეყნების განვითარებაში აღმავლობა დაიწყო 1970 წლის დამლევიდან. მათი გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგია მიზნად ისახავს კაპიტალიზმის დასავლური მოდელის აშენებას. ახალი ინდუსტრიული ქვეყნები დიდწილად ინტეგრირებული არიან საერთაშორისო ვაჭრობაში და სადღეისოდ მათთვის დამახასიათებელია ეროვნული მეურნეობის დარგების სწრაფი განვითარება, რომელთა პროდუქცია საექსპორტოდ არის გათვალისწინებული. დიდი წარმატებების მიუხედავად, ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს ჯერ კიდევ არ გადაულახავთ მიჯნა, რომელიც მისცემთ შესაძლებლობას ჩაირიცხონ განვითარებული ქვეყნების რიცხვში, თუმცა სულ ცოტა ხნის წინათ ეს ჯგუფი დატოვა ხუთმა ქვეყანამ — ისრაელმა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის „დრაკონმა“ ქვეყნებმა.

4. ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები, რომლებიც გარდამავალ ეკონომიკათა ჯგუფს წარმოადგენდნენ. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონს განვითარების მოდელის მსგავსების, სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების სიახლოვის, განხორციელებული რეფორმების რადიკალიზმის გამო მიაკუთვნებენ რამდენადმე განცალკევებით მოქმედ ბალტიის ქვეყნებს (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი). ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ეკონომიკური განვითარების დონე სულაც არ არის ერთგვაროვანი. აქ არიან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიდერი ქვეყნებიც, რომლებიც განვითარებულ სახელმწიფოთა ჯგუფს

უმიზნებენ, და აშკარად ჩამორჩენილი ქვეყნებიც, რომლებიც სიღარიბისა და ეკონომიკის ჩამორჩენილობის დონით უახლოვდებიან ყველაზე ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებს.

5. რუსეთი და სსრ კავშირის ყოფილი რესპუბლიკები (ბალტიისპირეთის გარდა) გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებია, თუმცა ისინი თანდათანობით განვითარებად სახელმწიფოთა დონემდე ეშვებიან. თუ გარკვეული მოსაზრებით ყოფილი საბჭოთა კავშირის სლავური რესპუბლიკები (რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი) ჯერ კიდევ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ეკონომიკის სტრუქტურათა და მისი განვითარების ხასიათით ესწრაფვიან განვითარებული ქვეყნების ჯგუფსაც და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე პროგრესულ ქვეყნებს, ახლო საზღვარგარეთის სამხრეთი სახელმწიფოები უფრო კლასიკური განვითარებადი ქვეყნებია, ვიდრე გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოები. ამ დაჯგუფების სახელმწიფოები ამჟამად სარგებლობენ ყოფილი საბჭოთა იმპერიის ინფრასტრუქტურის ნარჩენებით და ცდილობენ მოძებნონ თავიანთი განსაკუთრებული გზა მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებაში.

6. ჩინეთი განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ, რადგან ამ ქვეყანას უნიკალური ადგილი უკავია მსოფლიო ეკონომიკაში, აშენებს საბაზრო და გეგმიან-რეგულირებადი ეკონომიკის მოდელ-სიმბიოზს, რომელიც წარმოადგენს სოციალისტურ ბაზარს თავისუფალი მეწარმეობის ელემენტებით, მაგრამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. თავისთავად ჩინეთიც არაერთგვაროვანია. აქ არის ზღვისპირა რეგიონები, რომლებიც განვითარების დონით უახლოვდებიან მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს; არის ტერიტორიებიც ქვეყნის დასავლეთსა და ცენტრში, რომლებიც განვითარების ხასიათით მეტად ჩამორჩენილია. ამიტომაც გასაშუალოებული მაჩვენებლები ჩინეთისათვის იმის თქმის საშუალებას გვაძლევენ, რომ იგი განვითარებადი

ქვეყანაა. და მაინც, ჩინეთისათვის დამახასიათებელია ეკონომიკური ზრდის უაღრესად სწრაფი ტემპი, რის მეოხებითაც მოსახლეობის კეთილდღეობის ჯერჯერობით დაბალი დონე წლიდანწლამდე სულ უფრო მაღლდება. ჩანეთი-მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ბირთვია, ცენტრალური ძალა გახდა, მის მნიშვნელობას სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ და ითვალისწინებენ მსოფლიოს ისეთი წამყვანი ქვეყნები, როგორებიცაა აშშ, დასავლეთ ევროპის ქვეყნები და იაპონია. დედამიწის ყოველი მეხუთე მცხოვრები ჩინელია.

7. ინდოეთი და პაკისტანი ასევე მიეკუთვნებიან განსაკუთრებულ ჯგუფს თავიანთი უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალის მეოხებით, რომელიც ჯერჯერობით არ ამოქმედებულა სრული სიმძლავრით. ამ ქვეყნებში ცხოვრობს მნიშვნელოვანი მოსახლეობა (პლანეტის მცხოვრებთა მეექვსედზე მეტი), მათ აქვთ დიდი ტერიტორია, მდიდარი სხვადასხვა რესურსები, გამოირჩევიან კარგი მეცნიერული პოტენციალით, ბირთვული სახელმწიფოებია. იმის გამო, რომ ჯეროვნად ვერ იყენებენ ურიცხვი რესურსების მეტ ნაწილს, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, წარმოებისა და მოხმარების, მოსახლეობის შემოსავლის დონე ინდოეთსა და პაკისტანში კვლავ მეტად დაბალია და მთლიანად ეს ქვეყნები ლამის სიღარიბის მსოფლიო ზღვარზე დაბლა დგანან, თუმცა ეს მათ ხელს არ უშლის ერთმანეთს ბირთვული ხელკეტით ემუქრებოდნენ.

8. ჯგუფი, რომელსაც ქმნიან შედარებით მდიდარი განვითარებადი ქვეყნები: ენერგორესურსების ექსპორტიორი ქვეყნებიდან ზოგიერთს, სადაც შედარებით მცირერიცხოვანი მოსახლეობაა, შესაძლებლობა აქვს თავის მოქალაქეებს გაუნაწილოს ექსპორტის შემოსავალი (არაბთა გაერთიანებული საამიროები, კატარი, ომანი, საუდის არაბეთი), კუნძულის სახელმწიფოები — ტურისტული და ფინანსური ცენტრები, საგადასახადო ნავთსაყუდლები განვითარებული ინფრასტრუქტურითურთ, გამოირჩევიან პოლიტიკური სტა-

ბილუროობით და ლიბერალური ეკონომიკით (ბაჰამის, ბერმუდის, კაიმანის კუნძულები, იამაიკა, კვიპროსი, მალტა, ნაურუ, გვადელუპა და სხვ.). ჯგუფის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის დონის მაღალი მაჩვენებელი და სოციალური დაცვის მაღალი დონე, რაც პრაქტიკულად ცალკეულ სახელმწიფოებს მჭიდროდ აახლოვებს განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებთან.


9. „კლასიკური" განვითარებადი სახელმწიფოები, რომლებსაც ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე აქვთ, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი წელიწადში 1000 ამერიკულ დოლარზე ნაკლები მოდის და აგრარულ-ინდუსტრიული ტიპის ეკონომიკა აქვთ. უ. როსტოუს მოდელის მიხედვით, საზოგადოებრივი წყობილება აქ მეტად ტრადიციული და კონსერვატიულია; მრეწველობაში განვითარდა მხოლოდ მომპოვებელი დარგების კომპლექსი, სოფლის მეურნეობაში კი ჭარბობს შრომის პრიმიტიული, ინდუსტრიამდელი ფორმები. ამ ჯგუფის ქვეყნების უმრავლესობას შეადგენენ საჰარის სამხრეთით აფრიკის რეგიონის სახელმწიფოები, აზიისა და ლათინური ამერიკის ჩამორჩენილი ქვეყნები. ზოგიერთ მათგანში დღემდე არსებობს გვარ-ტომობრივი ურთიერთობანი.

10. ყველაზე ნაკლებ განვითარებული ქვეყნები ასრულებენ კლასიფიკაციას, რადგან სწორედ ისინი მიჩანჩალებენ პროგრესის კუდში. ამ ქვეყნებიდან ბევრს არა აქვს ზღვაზე გასასვლელი, რაც ლამის გადამწყვეტი ფაქტორი გახდა და რამაც გავლენა მოახდინა ჩამორჩენასა და განუვითარებლობაზე. მეტად დაბალი შეფასება უნდა მიეცეს ამ ქვეყნების ეკონომიკურ პოტენციალსაც, სადაც ზოგჯერ მრეწველობა არანაირად არ არის წარმოდგენილი, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარების დონეზე საერთოდ ლაპარაკიც კი არ ღირს. მაგრამ ქვეყნები, რომლებმაც ყველაზე ნაკლებად განვითარებულის სტატუსი მიიღეს, სარგებლობენ მსოფლიო გაერთიანებების განსაკუთრებული ყუ-

რადღებით, რის მეოხებითაც ხელი მიუწვდებათ კრედიტებსა და სესხებზე, აგრეთვე მათ დროდადრო შეუძლიათ იქონიონ უფრო განვითარებულ სახელმწიფოთა ჰუმანური დახმარების იმედი.

ინტეგრაციული დაჯგუფებები მსოფლიო ეკონომიკაში

დღესდღეობით მსოფლიო ეკონომიკაში უკვე რამდენიმე ათეული რეგიონალური ინტეგრაციული გაერთიანებაა. 5.1. სურათზე გამოსახულია ძირითადი ინტეგრაციული გაერთიანებები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებშია განლაგებული. გაერთიანებათა უმეტესობის სახელწოდებები სურათზე აბრევიატურებითაა წარმოდგენილი. შემდგომში ისინი ტექსტში იქნება გაშიფრული.



სურ. 5.1. სახელმწიფოთაშორისი ინტეგრაციულ გაერთიანებათა სისტემა

ევროპის ინტეგრაციული გაერთიანებები:

1.1. ევროპის კავშირი ეკ (EU) ყველაზე განვითარებულ ინტეგრაციულ წარმონაქმნს წარმოადგენს მსოფლიოში და თავისთავად ინტეგრაციის უმაღლესი ფორმაა. EU-მა თანმიმდევრულად გაიარა ინტეგრაციის ყველა ფორმა და ამჟამად პოლიტიკური გაერთიანების ძალიან მაღალ სტადიაზე იმყოფება. EU-ის განვითარების მოკლე მატიანე ასეთია: 1952 წ. — ნახშირის და ფოლადის ევროპული გაერთიანების წარმოქმნა გფრ-ის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ნიდერლანდების და ლუქსემბურგის მონაწილეობით. შევნიშნავთ, რომ ქვეყნების ინტეგრაცია დაიწყო ბიზნესის ინტეგრაციით. ეკონომიკურმა აუცილებლობამ და ეკონომიკურმა ინტერესებმა ადრინდელ მტრებს (ომი მხოლოდ 7 წლის დამთავრებული იყო) გაერთიანებისაკენ უბიძგა. 1957 წ. — რომის ხელშეკრულების თანახმად, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (OEC), ფაქტობრივად, თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა. 1968 წ. — საბაჟო კავშირის ფაქტობრივი წარმოქმნა. ამ წლების განმავლობაში OEC „გაიზარდა“ მრავალი დამხმარე ორგანიზაციით, ისეთებით, როგორიცაა OEC-ის აგრარული ფონდი (OEAF), რომელიც მოწოდებულია კოორდინირება გაუწიოს თანამეგობრობის ქვეყნების აგრარულ პოლიტიკას. 1979 წ. — ევროპის სავალუტო სისტემის შექმნა ერთიანი საანგარიშო ერთეულის — ეკიუს — ბაზაზე. 1985 წ. — მთლიანად ინტეგრირებული საერთო ბაზრის შექმნის დასრულება. საერთოდ კი, OEC-ს თავიდანვე უწოდებდნენ საერთო ბაზარს, მაგრამ საბოლოოდ იგი გაფორმდა ერთიანი ევროპული აქტის ხელმოწერის შემდეგ (1985 წ.). 1991 წ. — ევროპული კავშირის შექმნის შესახებ მაასტრიხტის ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელიც EU-ის ერთიან მოქალაქეობას (ეროვნული მოქალაქეობის პარალელურად), სავალუტო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირთა ფორმირებას ითვალისწინებს. 1999 წ. — ერთიან ვალუტაზე — ევროზე — გადასვლის დაწყება.

დღესდღეობით უკვე შექმნილია EU-ის ზესახელმწიფოებრივ ორგანიზაციათა სისტემა, რომელიც მოიცავს ევროპის საბჭოს, ევროპის პარლამენტს, ევროპული კავშირის საბჭოს, ევროპულ კომისიასა და ევროპულ სასამართლოს.

დღესდღეობით EU თავისთავად წარმოადგენს უმძლავრეს ეკონომიკურ ბლოკს, რომელსაც უნარი აქვს რეალური კონკურენცია გაუწიოს აშშ-სა და იაპონიას. მის წევრებს წარმოადგენს 27 სახელმწიფო. EU-ის შესახებ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით მისთვის ცალკე განკუთვნილ თავში.

1.2. EFTA — თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია შეიქმნა 1960 წელს სტოკჰოლმის კონვენციის საფუძველზე. EFTA-ში შევიდა 11 ქვეყანა, რომელთაგან 7 გამოვიდა და EU-ში შევიდა. ამჟამად EFTA-ს წევრებს ოთხი ქვეყანა წარმოადგენს. ესენია: შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტეინი. EFTA-ს მიზნებია:

- ეკონომიკის, ფინანსური სტაბილურობის, რესურსების რაციონალური გამოყენების მდგრადი ზრდისათვის ხელშეწყობა;
- მსოფლიო ვაჭრობის გაფართოებისათვის ხელშეწყობა და სავაჭრო ბარიერების აღკვეთა;
- წევრ-ქვეყნებს შორის ვაჭრობის, კეთილსინდისიერი კონკურენციის განვითარება;
- მოსახლეობის სრული დასაქმების უზრუნველყოფისათვის ხელშეწყობა, ცხოვრების დონის ამაღლება წევრ-ქვეყნებში.

EFTA-ს წევრ-ქვეყნებს შორის ვაჭრობაში ყველა ბაჟია გაუქმებული, მაგრამ საგარეო საბაჟო ტარიფები შენარჩუნებულია. EFTA-ს თავის სტრუქტურაში გააჩნია საბჭო, მუდმივი კომიტეტები, სამდივნო. ფაქტობრივად EFTA თავისუფალი ვაჭრობის ზონას წარმოადგენს.

1.3. EEA — ევროპის ეკონომიკური სივრცე შეიქმნა 1992 წელს EU-ს 12 ქვეყნის და EFTA-ს 7 ქვეყნის მიერ ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის მიზნით საქონლის, მომსა-

ხურების, კაპიტალისა და ადამიანების თავისუფალი გადაადგილებისათვის. ესაა EU და EFTA-ის მოქმედებათა ჯაჭვის კოორდინაციის ორგანო. EEA-ს სტრუქტურაში ორი ზოგადი ორგანოა: EEA-ს საბჭო — უმაღლესი პოლიტიკური ორგანო და EEA-ს გაერთიანებული კომიტეტი, რომელიც მიმდინარე საქმიანობაზე აგებს პასუხს. EEA დღეს ფუნქციონირებს, როგორც საერთო ბაზარი ეკონომიკური კავშირის თავდაპირველი ელემენტებით (პოლიტიკის შეთანხმება ეკონომიკის, ეკოლოგიის, მეცნიერების და განათლების სფეროში).

1.4. CIS — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, რომელიც 1991 წელს შეიქმნა ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკების მიერ, ბალტიისპირეთის გარდა. თავდაპირველად CIS აღიქმებოდა, როგორც სსრკ-ის ერთგვარი, ახალი, თავისუფალი კონკურენციული ფორმა. 1993 წელს წევრ-სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიკური კავშირის შექმნაზე, რომელიც ითვალისწინებს:

- საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და სამუშაო ძალის თავისუფალ მოძრაობას;
- შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ფულად-საკრედიტო ურთიერთობები, ბიუჯეტები, ფასები და დაბეგვრა, სავალუტო საკითხები და ბაჟები;
- თავისუფალი მეწარმეობისა და ინვესტიციების წახალისება, საწარმოო კოოპერაციის მხარდაჭერა და პირდაპირი კავშირების შექმნა საწარმოებსა და დარგებს შორის;
- სამეურნეო კანონმდებლობის შეთანხმება.

ამგვარად, ფიქსირდებოდა საერთო ბაზრის ორგანიზაცია და მიზნად ისახებოდა ინტეგრაციის უფრო მაღალ საფეხურზე — სავალუტო და ეკონომიკურ კავშირებზე გადასვლა.

თუმცა CIS-ში ცენტრიდანული ტენდენციები ჭარბობდა და საერთო ბაზარი არ შედგა. მაშინ ერთგვარი უკან დახევა

მოხდა და 1994 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნაზე. 1995 წელს შეიქმნა რუსეთის, ბელარუსის და ყაზახეთის საბაჟო კავშირი, რომელსაც მოგვიანებით შეუერთდა ყირგიზეთი და ტაჯიკეთი. ამ კავშირის ჩარჩოებში შეიქმნა საგადასახდელო კავშირი მულტისავალუტო საფუძველზე, რომელიც ორგანიზატორთა იდეების თანახმად, თანდათანობით უნდა გადაზრდილიყო სავალუტო კავშირში (CIS-ის საგადასახდელო კავშირი მთლიანობაში ასევე შეიქმნა, მაგრამ ვერ ამუშავდა).

უკრაინამ, აზერბაიჯანმა, საქართველომ და ზოგმა სხვა ქვეყანამ ინტეგრაციის მიმართ, თავშეკავებული პოზიცია დაიჭირეს. ისინი მონაწილეობენ CIS-ის თათბირებში, მაგრამ ფაქტობრივად ბლოკავენ ყველა გადამწყვეტ ზომას CIS-ს ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურების განვითარებისათვის. ვინაიდან CIS შექმნილია, როგორც კლუბი, სადაც გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია სრული კონსენსუსი, ხოლო CIS-ის ორგანოებში წარმომადგენლობა, EU-სგან განსხვავებით, განისაზღვრება პრინციპით: ერთი ქვეყანა — ერთი ხმა, გადაწყვეტილებათა ბლოკირების განხორციელება იოლია და ამიტომ წინსვლა არ იგრძნობა.

ობიექტურად CIS-ის ჩარჩოებში ინტეგრაციის დამუხრუჭება განპირობებულია ცალკეულ სახელმწიფოთა არა მარტო ტექნიკურ-ეკონომიკურ მახასიათებელთა ღრმა სხვადასხვაობით, არამედ მათ ეკონომიკურ პრიორიტეტთა სხვაობითაც.

CIS-ს ისტორია ესაა თანდათანობითი დეზინტეგრაცია. ვაჭრობა ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით 1998 წლის კრიზისის შემდგომ, თანდათანობით მცირდება. ქვეყნები სულ უფრო ახალ პარტნიორებს ეძებენ თანამეგობრობის გარეთ და თავიანთი საგარეოეკონომიკური პოლიტიკის ორიენტირებას მათზე ახდენენ.

1996 წელს გაცხადდა სხვადასხვა სიჩქარიანი ინტეგრაციის პოლიტიკა. იგი მდგომარეობს იმაში, რომ CIS მიხედვით საერთო შეთანხმებათა ნაცვლად საჭიროა ქვეყნებთან კერძო

შეთანხმებების სისტემაზე ორიენტირება, რომლებიც უფრო გადამწყვეტი ინტეგრაციისათვის არიან მზად. 1996 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას გაღრმავებულ ინტეგრაციაზე რუსეთს, ბელარუსს, ყაზახეთსა და ყირგიზეთს შორის. პერსპექტივაში აქ იგეგმება „ინტეგრაციულ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ შექმნა.

ყველაზე სწრაფი, თუმცა უფრო დეკლარაციული წინსვლა ინტეგრაციის გზაზე შეინიშნება რუსეთსა და ბელარუსს შორის, რომლებმაც უკვე ხელი მოაწერეს საკავშირო ხელშეკრულებას და მიდიან კონფედერაციული სახელმწიფოს ორგანიზაციის შექმნისკენ.

შემდგომში განხილულ იქნება CIS-ის ეკონომიკური პრობლემები და პერსპექტივები იმ თავებში, რომლებიც რუსეთის ეკონომიკასა და მის მსოფლიო ეკონომიკაში შესვლის პერსპექტივებს ეძღვნება.

1.5. BSEC — შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა 11 წევრს აერთიანებს. ესენია: აზერბაიჯანი, ალბანეთი, სომხეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, საქართველო, მოლდოვა, რუსეთის ფედერაცია, რუმინეთი, თურქეთი, უკრაინა. ოფიციალურად შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა დაარსებულია 1998 წლის დამდეგს. ფაქტობრივად BSEC ფუნქციონირებს 1992 წლიდან. მისი სამდივნო სტამბოლშია.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩოებში თანამშრომლობა ხორციელდება ბანკების და ფინანსების სფეროში, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების საკითხებში; ინვესტიციების დაცვაში; სტატისტიკური მონაცემების და ეკონომიკური ინფორმაციის გადაცემაში. 1995 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ვაჭრობის და განვითარების შავი ზღვის ბანკის შექმნის შესახებ. დაფუძნებულია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საბჭო, რომელიც შედგება სამეწარმეო გაერთიანებათა და წევრი-ქვეყნების სავაჭრო პალატათა წარმომადგენლებისგან.

ამერიკის ქვეყნებში რეგიონალური ეკონომიკური ორგანიზაციები ეკონომიკური ინტეგრაციის სამი ფორმის რეალიზებას ახდენენ:

(1). თავისუფალი ვაჭრობის ზონა:

- თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოამერიკული ზონა (NAFTA). გათვალისწინებულია ბაჟის გაუქმება ურთიერთვაჭრობაში 15 წლის განმავლობაში.

(2). საერთო ბაზარი:

- სამხრეთის საერთო ბაზარი (MERCOSUR);
- ცენტრალურამერიკული საერთო ბაზარი (CACM).

გათვალისწინებულია: არასატარიფო შეზღუდვების და ბაჟის გაუქმება; კაპიტალების და სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობა; ერთიანი საგარეო ტარიფის შემოღება; ეკონომიკის დარგების მიხედვით პოლიტიკის კოორდინირება; სავალუტო-ფინანსური პოლიტიკის კოორდინირება.

(3). ეკონომიკური კავშირი და საერთო ბაზარი:

- კარიბის თანამეგობრობა და კარიბის საერთო ბაზარი (CARICOM);
- ანდის ჯგუფი;
- აღმოსავლეთ კარიბის სახელმწიფოთა ორგანიზაცია (OECS).

2.1. OAS — ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია შეიქმნა 1984 წელს, როგორც ამერიკის რესპუბლიკათა საერთაშორისო კავშირის მემკვიდრე, რომელიც 1980 წელს დაარსდა. OAS-ის წევრებს წარმოადგენენ: ანტიგუა და ბარბუდა, არგენტინა, ბაჰამის კუნძულები, ბარბადოსი, ბელიზი, ბოლივია, ბრაზილია, ვენესუელა, ჰაიტი, გაიანა, გვატემალა, ჰონდურასი, გრენადა, დომინიკა, დომინიკის რესპუბლიკა, კანადა, კოლუმბია, კოსტა-რიკა, კუბა, მექსიკა, ნიკარაგუა, პარაგვაი, პერუ, სალვადორი, სენტ-ვინსენტი და გრენადინი, სენტ-კიტსი და ნევისი, სენტ-ლუსია, აშშ, სურინამი, ტრინიდატი და ტობაგო, ურუგვაი, ჩილე, ეკვადო-

რი, იამაიკა. შეხვედრებისას 1994 წელს, რომელშიც მონაწილეობდა 34 სახელმწიფოს მეთაური და ამერიკის კონტინენტის ქვეყნების მთავრობები (კუბის გარდა), მიღებულ იქნა „დეკლარაცია პარტნიორობის პრინციპებზე დემოკრატიის, თავისუფალი ვაჭრობის და ამერიკაში მდგრადი განვითარებისა და აყვავების მიზნით"; გადაწყდა ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა, რომელშიც ყველა ბარიერი ვაჭრობისა და ინვესტიციების გზაზე მუდმივად იქნება აღკვეთილი.

2.2. CARICOM — კარიბის თანამეგობრობა და კარიბის საერთო ბაზარი შეიქმნა 1973 წელს თავისუფალი ვაჭრობის კარიბის ასოციაციის მემკვიდრის სახით, რომელიც დაარსდა 1968 წელს. თანამეგობრობის წევრებს წარმოადგენს კარიბის აუზის 14 ქვეყანა და 3 ასოცირებული წევრი. რეგიონალური წევრებია — ანტიგუა და ბარბუდა, ბაჰამის კუნძულები, ბარბადოსი, ბელიზი, დომინიკა, გრენადა, გაიანა, მოსერატი, სენტ-კიტსი და ნევისი, სენტ-ლუსია, სენტ-ვინსენტი და გრენადინი, სურინამი, ტრინიდატი და ტობაგო, იამაიკა, ასოცირებული წევრები — ვირჯინიის ბრიტანული კუნძულები და ტერკსის და კაიკოსის კუნძულები. CARICOM-ის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური ინტეგრაციის წევრ-სახელმწიფოთა დახმარება საერთო ბაზრის შექმნის გზით, რომელიც ითვალისწინებს ერთიან საგარეო ტარიფს, საქონლის წარმოშობის წესების გამოყენებას, ფისკალურ ღონისძიებათა შეთანხმებული გეგმის რეალიზაციას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია წევრი-ქვეყნების საგარეო პოლიტიკის კოორდინაცია და თანამშრომლობა ტექნიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში.

2.3. NAFTA — თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოამერიკული ზონა. ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (NAFTA) 1994 წლის 1 იანვარს შეიქმნა აშშ-ს, კანადასა და მექსიკას შორის შეთანხმების საფუძველზე, როცა შეცვალა მის წინამორბედ კანდასა და აშშ-ს შორის

1992 წელს გაფორმებული შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (FTA). NAFTA აშშ-ის ტრანსეროვნული კორპორაციების მოთხოვნის საფუძველზე ჩამოყალიბდა, რადგანაც მათი მხრიდან კანდასთან და მექსიკასთან ეკონომიკური კავშირების განხორციელება სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებას საჭიროებდა. შეთანხმება მიზნად ისახავს ერთირეთშორის ვაჭრობა±ში სატარიფო და არასატარიფო ბარიერების შემცირებას, მომსახურებით ვაჭრობას, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას და ა.შ. NAFTA-ს შექმნიდან 15 წლის მანძილზე აშშ-ს, კანადას და მექსიკას შორის უნდა გაუქმდეს სავაჭრო და საინვესტიციო ბარიერების ძირითადი ნაწილი. სავაჭრო ბარიერები აშშ-სა და კანადას შორის უკვე გაუქმებულია, ახლა მექსიკასთან მათი ვაჭრობის ლიბერალიზაციის საკითხებია დღის წესრიგში. NAFTA-ს ჩამოყალიბება დააჩქარა XX საუკუნის ბოლო ათწლეულში მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკურმა და გეოეკონომიკურმა ცვლილებებმა. დასავლეთ ევროპაში წარმატებულად განხორციელებული ევროპული ინტეგრაცია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკური ძლიერების ზრდა, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერება მოითხოვდა ამერიკის კონტინენტზე რეგიონული ინტეგრაციული პროცესების გააქტიურებას.

NAFTA-ს შეთანხმება შემდეგ ძირითად დებულებებს მოიცავს:

- აშშ-ში, კანადასა და მექსიკას შორის ურთიერთვაჭრობაში ბარიერების მოხსნა;
- ამერიკული და კანადური კომპანიებისთვის მექსიკაში კაპიტალდაბანდებებზე აკრძალვის მოხსნა;
- გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაწყვეტად სამმხრივი ჯგუფის შექმნა.

2005 წლის მონაცემებით, აღნიშნული რეგიონული დაჯგუფების ტერიტორიაზე 433 მლნ ადამიანი ცხოვრობს და მძლავრ ეკონომიკურ პოტენციალს მოიცავს. ამ ქვეყნებში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულება მიმ-

დინარე ფასებში 2005 წლისთვის 38,1 ტრლ. აშშ დოლარს შეადგენდა, რაც მსოფლიო მშპ-ს 32,2%-ია. ხოლო მსოფლიო ვაჭრობაში მათი ხვედრითი წილი კი 16%-ს აღემატება. ამასთან, აშშ-ის მშპ 19-ჯერ მეტია კანადის და მექსიკის იმავე მაჩვენებელზე.

NAFTA-ს ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით: ცენტრალურ ინსტიტუტად გვევლინება თავისუფალი ვაჭრობის კომისია, რომელშიც წევრი ქვეყნების წარმომადგენლები ერთიანდებიან საგარეო ვაჭრობის მინისტრების დონეზე. კომისია NAFTA-ს შეთანხმების შესრულებას და მის შემდგომ დამუშავებას ადევნებს თვალყურს; იგი კოორდინაციას უწევს 30-ზე მეტი კომიტეტისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობას, მუშაობს შეთანხმებების განსაზღვრის დროს წარმოშობილი დავების გადაწყვეტაზე.

NAFTA-ს მეორე მნიშვნელოვანი მმართველი ორგანოა მაკოორდინირებელი სამდივნო, რომელიც NAFTA-ს საქმიანობის ოფიციალურ არქივებზე მუშაობს. სამდივნოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა არასამთავრობო ორგანიზაციებისგან და პირებისგან საჩივრების მიღება.

აღსანიშნავია, რომ NAFTA-ს წევრი ქვეყნების თანამშრომლობა მხოლოდ ბაზრების ლიბერალიზაციას და ტარიფების შემცირებას არ მოიცავს. მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს შრომისა და გარემოს დაცვის საკითხებში. გარემოს დაცვის კომისია 1994 წელს შეიქმნა შესაბამისი ჩრდილოამერიკული შეთანხმების მიხედვით. იგი მუშაობს ჩრდილოეთ ამერიკაში გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის საკითხებზე. გარემოს დაცვის კომისია სამ სტრუქტურას მოიცავს: საბჭოს, საერთო საზოგადოებრივ-საკონსულტაციო კომიტეტს და სამდივნოს. საბჭო კომისიის ხელმძღვანელი ორგანოა და შედგება წევრი ქვეყნების მინისტრებისაგან; საბჭო პასუხისმგებელია კომისიის სამუშაო პროგრამის დამტკიცებაზე, იგი დახმარებას უწევს სამდივნოს ამ სამუშაო პროგრამის განხორციელებაში. საერთო საზოგადოებრივ-საკონსულტაციო კომიტეტში 15 წევრია (თითოეუ-

ლი ქვეყნიდან ხუთ-ხუთი წარმომადგენელი). ის საბჭოს ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და ოპერატიციულ დახმარებას უწევს და პასუხისმგებელია ყოველწლიური სამუშაო პროგრამის განხორციელებაზე.

NAFTA-ს წევრი ქვეყნებისთვის მისი შექმნიდან ათი წლის შემდეგ მეტად მნიშვნელოვანია რეგიონული ინტეგრაციის შედეგად სოფლიოს მეურნეობის სფეროში მიღწეული შედეგები. ამჟამადაც მიმდინარეობს მუშაობა რეგიონული ბაზრის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადაადგილებისთვის საზღვრების გახსნასა და ფერმერული საქმიანობის ხელშეწყობაზე, სასოფლო-სამეურნეო ბაზრის ლიბერალიზაციით, დაბალი ფასებითა და სურსათის ფართო არჩევანით სარგებლობენ სამივე ქვეყნის მომხმარებლები, თუმცა ხშირია მექსიკელი ფერმერების წინააღმდეგობები, რადგან ისინი განიცდიან ამერიკელი და კანადელი ფერმერების მხრიდან მწვავე კონკურენციას.

სავაჭრო ბარიერების შემცირების კვალდაკვალ გაიზარდა საერთაშორისო ინვესტიციები ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე. NAFTA-მ უზრუნველყო სტაბილური და სანდო გარემოს შექმნა კვების მრეწველობაში გრძელვადიანი ინვესტიციების განსახორციელებლად. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მექსიკაში ძირითადად საკონდიტრო დარგში, დაკონსერვებული და გაყინული ხორცის წარმოებაში კონცენტრირდა, ხოლო კანადაში — მარცვლეულის წარმოებაში. მექსიკური კომპანიები მარცვლეულის წარმოება-გადამუშავებაზე მომუშავე ამერიკულ ფერმებში აბანდებენ კაპიტალს, რაც მათთვის მომგებიანი გახდა.

მიუხედავად წარმატებებისა, შეთანხმება ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის შესახებ სისრულეში არ არის მოყვანილი და დაბრკოლებები ვაჭრობის სხვადასხვა ასპექტებზე ზემოქმედებას ახდენს. NAFTA-ს წევრი ქვეყნებისათვის მეტად მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სანიტარული და ფიტოსანიტარული ბარიერების არსებობა, რომელმაც თავი იჩინა 1999 წელს, როცა შემოიღო მექსიკამ სანიტარუ-

ლი და ფიტოსანიტარული ზომები აშშ-ს ექსპორტის წინააღმდეგ. ვაჭრობის შეზღუდვის მიზნით მან გამოიყენა ანტიდემპინგური ზომები, შეამცირა იმპორტის მოცულობა. ამგვარმა პრობლემებმა იჩინა თავი აშშ-სა და კანადას შორის ხეტყის, რძის პროდუქტებით, მარცვლეულით ვაჭრობაში სუბსიდიებთან დაკავშირებით.

თანამშრომლობა მოიცავს ენერგეტიკის სფეროს, რომელიც ითვალისწინებს მექსიკის ნავთობისა და გაზის მარაგების ძიებაში მხოლოდ აშშ-ის, კანადისა და მექსიკის კომპანიების მონაწილეობას. მექსიკა აშშ-დან ახორციელებს ენერგიის მცირე იმპორტს და ნავთობის საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობის ექსპორტს. კანადასაც გააჩვს დაუმუშავებელი ნავთობის მარაგი აშშ-ში. მექსიკიდან და კანადიდან აშშ-ში ნავთობის იმპორტი მკაცრად რეგულირდება აშშ-ის ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად.

NAFTA-ს ენერგოუზრუნველყოფის ვარიანტი ემყარება თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის უფლებებს და ვალდებულებებს. რეგიონული დაჯგუფების ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა იმ მიმართულებით, რომ შეიქმნას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) მოთხოვნებთან შესაბამისი სამართლებრივი ბაზა და გამართული ექსპორტ-იმპორტის სისტემა, რომლებიც უზრუნველყოფენ ენერგეტიკული რესურსებით ვაჭრობას.

NAFTA-ს ძირითადი მისია მდგომარეობს იმაში, რომ შექმნას აშშ-ს, კანადასა და მექსიკას შორის ვაჭრობისთვის აუცილებელი გრძელვადიანი ფუნდამენტი. ორგანიზაცია მოწოდებულია განახორციელოს სამთავრობო შესყიდვების ლიბერალიზაცია და აღმოფხვრას დისკრიმინაციული ზომები მწარმოებლებისთვის. შესყიდვების სისტემის სამართლებრივი მხარე შესაბამისობაშია ვმო-ს ვალდებულებებთან.

NAFTA-ს ფარგლებში შეუძლუდავი მონაწილეობა განისაზღვრება კანადისა და აშშ-ის კომპანიებისთვის მექსიკის სადაზღვევო და საბანკო კომპანიებში; ამის შედეგად მექსიკის სადაზღვევო ბაზრის 1/3-ზე მეტს აშშ-ის და კანადის სა-

ფინანსო კაპიტალი დაიკავებს. 1994 წლიდან მექსიკაში აიკრძალა უცხოელთა მონაწილეობა რადიაქტიული ნივთიერებების მოპოვებაში, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითაებაში, რაც აფერხებს აღნიშნული დარგების განვითარებაში კონკურენციული გარემოს ფორმირებას.

NAFTA-ს შექმნის ინიციატორები და ტნკ-ები იმედოვნებდნენ, რომ რეგიონული დაჯგუფების ფარგლებში შეიქმნებოდა ასობით ათასი მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილი, გაიზრდებოდა ცხოვრების სტანდარტები კანადასა და მექსიკაში, მექსიკა შეძლებდა ეკონომიკური რეფორმების პერიოდის შეკუმშვას და დროულად დადგებოდა მაღალგანვითარებული ქვეყნების გვერდით. თუმცა იყვნენ და არიან NAFTA-ს ოპონენტები: სამუშაო პერსონალი, მომხმარებლები და რელიგიური ჯგუფები, რომლებიც მოელიან ხელფასების დონის დაცემას, აშშ-ში ასიათასობით მაღალანაზღაურებადი სამუშაოს გაქრობას, დემონკრატიული პროცესების განვითარების შეფერხებას, ეკოლოგიური კატასტროფების რიცხვის ზრდას და საკვები პროდუქტების ხარისხის დაცემას. ასეთი პესიმისტური შეხედულებები გამომდინარეობდა იმ უპრეცედენტო გადაწყვეტილებიდან, რომლის საფუძველზეც სამი სხვადასხვა განვითარების დონის ქვეყნის გაერთიანება განხორციელდა. ამასთან, თავდაპირველად შეთანხმება მხოლოდ ტარიფებისა და კვოტების მოხსნას ისახავდა მიზნად, თუმცა მოგვიანებით მან მოიცვა ინვესტიციები (რაც არ არის ასახული შეთანხმების სახელწოდებაში). ასევე NAFTA მოითხოვდა გასაყიდი ხორცის ინსპექტირების მოთხოვნების, საპატენტო ნორმების შემცირებას და ა.შ.

NAFTA-ს შექმნიდან ათი წლის შემდეგ მრავალი დადებითი შედეგი დაფიქსირდა: მექსიკასა და კანადაში გამოცოცხლდა საინვესტიციო საქმიანობა, რასაც მოჰყვა შრომის ანაზღაურების ზრდა; მექსიკის გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოები აშშ-დან მიღებული მასალების გადამუშავებასა და აწყობას ახორციელებენ; აშშ-დან და კანადიდან მექსიკაში

მაღალტექნოლოგიური პროდუქციის იმპორტზე გაუქმებულია 20%-იანი საბაჟო გადასახადი (ანალოგიური ბაჟი შენარჩუნებულია სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაში); შეინიშნება პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; იხსნება გზა ტეკ-ებისთვის ახალი ლათინოამერიკული ბაზრების ათვისებისაკენ.

ამრიგად, მიღწეული დადებითი შედეგები და იგივე ინტერესები, რამაც უზრუნველყო NAFTA-ს შექმნა, განაპირობებენ მისი საზღვრების გაფართოებას სამხრეთის მიმართულებით, რომელიც ლათინური ამერიკის და კანადის ზრდის 31-ზე მეტ ქვეყანას მოიცავს. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ NAFTA-ს ფუნქციონირება არაფორმალურია და იგი მოქმედებს როგორც რეალური და წარმატებული საერთაშორის ინტეგრაციული სტრუქტურა.

2.4. AISA ანდის ჯგუფი (ან ანდის პაქტი) 1969 წელს შეიქმნა კართაგენის ხელშეკრულების საფუძველზე. მასში შევიდა ხუთი ქვეყანა: ბოლივია, ვენესუელა, კოლუმბია, პერუ და ეკვადორი. ანდის ჯგუფი თავისთავად წარმოადგენს ანდის ინტეგრაციის სისტემის ერთ ნაწილს. ამ სისტემის მეორე ნაწილია პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც სახელმწიფოებისგანაა შექმნილი (ანდის პრეზიდენტთა საბჭო, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო). ანდის ჯგუფის მიზნებია — მონაწილე ქვეყნების განვითარებისათვის დახმარება მათი ინტეგრაციისა და სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის საშუალებით, ეკონომიკური ზრდის დაჩქარება დ დასაქმების უზრუნველყოფა, ლათინოამერიკული საერთო ბაზრის შექმნა.

2.5. MERCOSUR — სამხრეთის საერთო ბაზარი შეიქმნა 1991 წლის 26 მარტს ასუნსიონის ხელშეკრულების თანახმად. მასში გაერთიანდნენ არგენტინა, ბრაზილია, პარაგვაი და ურუნგვაი. 1996 წელს ასოციაციის შეთანხმებას ხელი მოაწერეს ჩილემ და ბოლივიამ და ჩამოყალიბდა თავისუფალი ვაჭრობის ზონა მოცემულ ქვეყნებთან. „4 + 1" ფორმულის

ბაზარზე. 1998 წლიდან ჩილე და ბოლივია განიხილებოდნენ „პოლიტიკური MERCOSUR-ის" სრულფასოვან წევრებად.

MERCOSUR-ის სივრცეში თავმოყრილია კონტინენტის მოსახლეობის 45% (200 მლნ. ადამიანი); მთლიანი შიდა პროდუქტის შეადგენს 1 ტრლ. აშშ დოლარს (კონტინენტის მშპ-ს 50%-ს); რეგიონულ დაჯგუფებაზე მოდის კონტინენტის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 40% და საგარეო ვაჭრობის 50%. MERCOSUR-ის ძირითადი მიზანია სავაჭრო ბარიერების თანდათანობითი მოხსნა. დაჯგუფების ფარგლებში ლიკვიდირებულია საბაჟო გადასახადები და სხვა შეზღუდვები საქონლის მრავალ სახეობაზე, რის შედეგად უკანასკნელ ათწლეულში საერთო ბაზრის ქვეყნებს შორის საქონელბრუნვის მოცულობა 3,5 მლრდ აშშ დოლარიდან 16,8 მლრდ. აშშ დოლარამდე გაიზარდა.[1]

MERCOSUR-ის შექმნა თავდაპირველად მთელ მსოფლიოში უარყოფითად იქნა აღქმული, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე იგი ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო ბლოკია მსოფლიოში. MERCOSUR-ში ლიდერის როლში ბრაზილია გვევლინება, რადგან იგი ბლოკის ეკონომიკურად და პოლიტიკურად უძლიერესი ქვეყანაა. ინტეგრაციული პროცესის რეგულირებისათვის MERCOSUR-ის ფარგლებში შეიქმნა ზენაციონალური მართვის ორგანოები:

- სერთო ბაზრის საბჭო;
- საერთო ბაზრის ჯგუფი;
- საკონსულტაციო საზოგადოებრივი ფორუმი;
- ადმინისტრაციული სამდივნო;
- არბიტრაჟული სასამართლო.

საერთო ბაზრის საბჭოს შემადგენლობაში წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა და ეკონომიკის მინისტრები არიან. საბჭოს ძირითადი მიზანია ინტეგრაციის ფარგლებში სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება.

---

1 გამოყენებული სტატისტიკური მონაცემები ამოღებულია http://www.mercosur-info.com საინფორმაციო ვებ-გვერდიდან.

საერთო ბაზრის ჯგუფი აღმასრულებელი ორგანოა და მისი ფუნქციაა მიღებული გადაწყვეტილებების თანამიმდევრული განხორციელება. მას ექვემდებარება ათი ტექნიკური კომისია, რომლებიც არეგულირებენ საგარეო ვაჭრობას, საბაჟო ურთიერთობებს, ტექნიკურ ნორმებს, სავალუტო-საფინანსო და მაკროეკონომიკურ პოლიტიკას, სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტს, სამრეწველო ტექნოლოგიებს, სოფლის მეურნეობას და ენერგეტიკას. MERCOSUR-ის წევრ-ქვეყნებს შორის სავაჭრო დავების გადასაწყვეტად შექმნილია სპეციალური ტრიბუნალი.

ერთიანი, საპარლამენტო კომისია MERCOSUR-ის წევრი-ქვეყნების პარლამენტთაშორისი ორგანოა, რომელიც მუშაობს კანონმდებლობების ჰარმონიზაციის საკითხებზე. საზოგადოებრივ საკონსულტაციო ფორუმზე მიღებულ გადაწყვეტილებებს არაფორმალური ხასიათი აქვს, თუმცა მნიშვნელოვანი ზეწოლის ბერკეტის სახითაც გვევლინება. ადმინისტრაციული სამდივნო კი ბლოკის ფარგლებში მიმდინარე საკითხების შესრულებით არს დაკავებული. არბიტრაჟული სასამართლო შეიქმნა 2004 წელს სადავო საკითხების გადაწყვეტის მიზნით.

MERCOSUR-ის ფუნქციონირების შედეგები მოწმობს ინტეგრაციული დაჯგუფებს გარკვეულ წარმატებას, თუმცა ინტეგრაციული პროცესების განვითარება წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს.

მნიშვნელოვანია ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის სამხრეთით გაფართოების საკითხები ერთიანი ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის მიზნით. წარმატების მიღწევის შემთხვევაში ერთიანი ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ზონა მოიცავს ტერიტორიას ალიასკიდან ცეცხლოვან მიწამდე. ამ ორგანიზაციის სივრცეში აღმოჩნდება 800 მლნ ადამიანი, ხოლო მასში შემავალი ქვეყნების ჯამური მშპ 13 ტრლნ აშშ დოლარზე მეტი იქნება. ამ კავშირის წარმატებას მოჰყვება სავაჭრო ბუმი. აშშ-სა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს შორის არსებული დისპრო-

პორციები მეტყველებს იმაზე, რომ მათი ურთიერთობები ხშირ შემთხვევაში დაუბალანსებელი და კონფლიქტური იქნება.

ერთიან ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ზონის ჩამოყალიბება რთული პროცესია, რადგან აუცილებელია მიღწეულ იქნეს თანხმობა თანამშრომლობისა და ურთიერთობების ყველა ასპექტში. მხოლოდ შემდგომ გაფორმდება ხელშეკრულება, რომელიც საფუძველს ჩაუყრის ერთიანი ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ზონის — როგორც კომერციული ინტეგრაციის შექმნას. ეს პროცესი არ უნდა აღვიქვათ როგორც MERCOSUR-ის წინააღმდეგ მიმართული პროცესი. MERCOSUR-ის წევრები გამოდიან ეთიანი სურვილით გააფართოონ ბაზარი და ინვესტიციების სფერო. როგორც არგენტინის პრეზიდენტმა ედუარდო დუალდომ განაცხადა 2002 წლის ათენის შეხვედრაზე: „ჩვენ (MERCOSUR-ის წევრ-ქვეყნებს) გვსურს ინტეგრაცია MERCOSUR-ში, ერთიან ამერიკულ თავისუფალი ვაჭრობის ზონაში და ევროკავშირში". აღსანიშნავია, რომ აშშ და ევროკავშირი განსხვავებული პოზიციით უდგებიან მთელ რიგ საკითხებს და თითოეული მათგანი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს განიხილავს საკუთარი პოზიციის გამყარების თვალსაზრისით.

სამხრეთ ამერიკული ექსპერტები MERCOSUR-ის წარმატებულ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. თუმცა წევრი-ქვეყნების მომავალი განვითარების გზაზე დასაძლევია სირთულეები და წინააღმდეგობები, რადგანაც მნიშვნელოვანი განსხვავებაა ეკონომიკურ პოტენციალში, შესარჩევია საბაზრო მექანიზმთა სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ოპტიმალური შერწყმის ვარიანტი, რომელიც ლათინური ამერიკის რეგიონის სპეციციკის შესაბამისი იქნება. მიუხედავად ამისა, ლათინური ამერიკის ახალი ინდესტრიული ქვეყნების მაგალითი მოწმობს სირთულეთა დაძლევადობას, რაც თანამედროვე ტენდენციების გაძლიერების საფუძველი გახდა ლათინური ამერიკის რეგიონში.

აზიის ინტეგრაციული გაერთიანებები:

აზიურ-წყნაროკეანური რეგიონის სწრაფი ეკონომიკური განვითარება ხელს უწყობდა რეგიონალურ თანამშრომლობა (APEC, ASEAN) სუბრეგიონალური ინსტიტუტების ჩარჩოებში, ისეთების, როგორიცაა სამხრეთ-წყნაროკეანური ფორუმი (SPF) და კომისია წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილის ქვეყნებისათვის (CSPRS). აზიაში ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითად ფორმას ეკონომიკური თანამშრომლობა წარმოადგენს. პრაქტიკულად ყველა ხუთი მოქმედი რეგიონალური ეკონომიკური ორგანიზაცია ნაწილობრივ ან სრულად შემდეგ მიზნებს ისახავს: ეკონომიკური პოლიტიკის შეთანხმება; ეკონომიკური და სოციალური განვითარების პოლიტიკის და სტრატეგიის კოორდინაცია; ეკონომიკის დარგებში თანამშრომლობა; შიდარეგიონალური ვაჭრობის განვითარებისათვის დახმარება; სამრეწველო თანამშრომლობის, კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის, ტექნოლოგიების გადაცემის, დახმარების შეთავაზებისათვის ხელშეწყობა. მომავალში თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა ნავარაუდევია ASEAN-ის, CAᲔ-ისა და SPF-ის ჩარჩოებში. ჩვენ შევჩერდებით ამ ორგანიზაციებიდან ყველაზე უფრო გავლენიანებზე.

3.1. APEC — აზიურ-წყნაროკეანური ეკონომიკური თანამშრომლობა შეიქმნა 1989 წელს მონაწილე ქვეყანათა ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მხარდაჭერის მიზნით აზიურ-წყნაროკეანური რეგიონის (APR) ქვეყნების მზარდი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების დადებითი ზეგავლენის გასაძლიერებლად, მათ შორის მომსახურების, კაპიტალის და ტექნოლოგიების; ღია, მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის განმტკიცების; APR-ში ვაჭრობის და ინვესტიციების ლიბერალიზაციის ხარისხის მატების, კერძო სექტორის გაძლიერებისა და სტიმულირების; თავისუფალი ბაზრის პრინციპების გამოყენებისა და რეგიონალური თანამშრომლობის უპირატესობათა ზრდის სფეროში. APEC-ის

წევრებს 18 სახელმწიფო წარმოადგენს. ესენია: ავსტრალია, ბრუნეი, ჰონგ კონგი, კანადა, ჩინეთი, კირიბატი, მალაიზია, მარშალის კუნძულები, მექსიკა, ახალი ზელანდია, პაპუა—ახალი გვინეა, კორეის რესპუბლიკა, სინგაპური, აშშ, ტაილანდი, ტაივანი, ფილიპინები, ჩილე. 1997 წელს APEC-ში წევრად იქნა მიღებული რუსეთის ფედერაცია. APEC-ს 19 ქვეყნის წილი მსოფლიო მშპ-ში 2005 წლის მონაცემებით 45%-ს შეადგენს, მსოფლიო ვაჭრობაში — 37% (2006 წლის მონაცემებით), ოქრო-სავალუტო რეზერვებში — 80%-ს. APEC თავისთავად რეგიონის მთავრობათაშორის ფორუმს წარმოადგენს, რომელსაც ფორმალურად კონსულტაციური სტატუსი გააჩნია. მის ჩარჩოებში მუშავდება ვაჭრობის, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის წარმოების წესები, ტარდება დარგობრივი მინისტრების და თანამშრომლობის ექსპერტთა შეხვედრები სხვადასხვა სფეროში. ყველა გადაწყვეტილება კონსენსუსის საფუძველზე მიიღება.

3.2. ASEAN — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია შეიქმნა 1967 წელს ბანგკოკის დეკლარაციის ხელმოწერის საფუძველზე, რომელიც 1976 წელს შეივსო ხელშეკრულებით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მეგობრობასა და თანამშრომლობაზე, აგრეთვე ASEAN-ის დეკლარაციით, რომელიც მიზნად ისახავდა რეგიონში ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის და ინტეგრაციის გაღრმავებას. ASEAN-ის წევრია ცხრა ქვეყანა: ბრუნეი, ვიეტნამი, ინდონეზია, კამბოჯა, ლაოსი, მალაიზია, ფილიპინები, სინგაპური, ტაილანდი. ASEAN-ის მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებებია:

- თანამშრომლობის განვითარებისათვის დახმარება ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სოციალურ, კულტურულ სფეროებში;
- 2003 წლისათვის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა; ერთიანი შეღავათიანი საბაჟო ტარიფის შემოღება და ძირითად მექანიზმში თავისუფალი ვაჭრობის ზონის წარმოქმნა.

ეს ორგანიზაცია უკვე ახლოს მივიდა თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნასთან.

3.3. CAEU — არაბული ეკონომიკური ერთიანობის საბჭო 1964 წელს შეიქმნა არაბეთის სახელმწიფოთა ლიგის წევრ-სახელმწიფოებისაგან. მის შემადგენლობაში შედის 12 ქვეყანა: ეგვიპტე, ერაყი, იორდანია, იემენი, ქუვეითი, ლიბია, მავრიტანია, არაბთა გაერთიანებული საემიროები, პალესტინა, სირია, სომალი, სუდანი. საერთო ბაზრის წევრები CAEU-ს წევრებიდან შვიდი ქვეყანაა: ეგვიპტე, ერაყი, იორდანია, იემენი, ლიბია, მავრიტანია და სირია. CAEU-ს მიზნებია:

- საერთო ბაზრის შექმნა — საქონლის, კაპიტალის, პროდუქციის, ადამიანების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა, ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება.
- ტრანსპორტის, ტრანზიტის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, საზღვაო პორტების, სამოქალაქო აეროპორტების, მიწისზედა მიმოსვლის გზების თავისუფლების უზრუნველყოფა.
- საკუთრების ფლობის უფლების უზრუნველყოფა.

3.4. ECO — ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია შეიქმნა 1985 წელს. ECO-ს წევრებად გვევლინება 10 სახელმწიფო: აზერბაიჯანი, ავღანეთი, ირანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, პაკისტანი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, თურქეთი და უზბეკეთი. კომიტეტების ჩარჩოებში თანამშრომლობა ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობა და კულტურა, ბრძოლა ნარკომანიასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან. ურთიერთვაჭრობის განვითარებისათვის დახმარების მიზნით წევრი-ქვეყნების მიერ ხელი მოეწერა ოქმს პრეფერენციული ტარიფების შესახებ. 1993 წელს შეიქმნა ოთხი სპეციალიზებული დაწესებულება: ECO-ს ვაჭრობის და განვითარების ბანკი (თურქეთი); ECO-ს სადაზღვევო კომპანია (პაკისტანი); ECO-ს სანაოსნო კომპანია (ირანი); ECO-ს ავიაკომპანია (ირანი).

აფრიკის ინტეგრაციული გაერთიანებები:

რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაცია აფრიკის ქვეყნებში ხორციელდება ოთხი ეკონომიკური კავშირის ჩარჩოებში, რომელთაგან თითოეული წევრი-ქვეყნების სუბრეგიონალურ ტერიტორიულ გაერთიანებას წარმოადგენს.

UDEAC — ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოები;

ECOWAS — დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოები;

SADC — სამხრეთ აფრიკის სახელმწიფოები;

COMESA — აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის სახელმწიფოები.

ყველა ეს ორგანიზაცია თავისი არსით ეკონომიკურ დაჯგუფებებს წარმოადგენს, რომელთაც საერთო ბაზარი — საქონლის, კაპიტალის, სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობა გამოაცხადეს. ორი დასავლეთ აფრიკული ორგანიზაცია (ECOWAS) და დასავლეთ აფრიკული ეკონომიკური და სავალუტო კავშირი (WAEMU) აგრეთვე ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ითვალისწინებს, კერძოდ, ინვესტიციებს. WAEMU, გარდა ეკონომიკურისა, თავისთავად სავალუტო კავშირსაც წარმოადგენს.

4.1. OAU — აფრიკული ერთიანობის ორგანიზაცია 1963 წელს შეიქმნა. მის შემადგენლობაში 53 ქვეყანა შედის. წმინდა პოლიტიკური მიზნების გარდა, OAU-ს განზრახული აქვს კოორდინაცია და თანამშრომლობა ეკონომიკის სფეროში, მათ შორის ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის, სასურსათო უზრუნველყოფის სფეროებში. 1991 წელს OAU-ს წევრ-ქვეყნებმა ხელი მოაწერეს აფრიკული ეკონომიკური თანამშრომლობის შექმნის ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს, რომ თანამეგობრობის წარმოქმნა გაგრძელდება 34 წელი და სხვადასხვა ხანგრძლიობის ექვს ეტაპად წარიმართება. აფრიკული ეკონომიკური თანამეგობრობა OAU-ს შემადგენელი ნაწილი გახდება.

4.2. CACEU (UDEAC) — ცენტრალური აფრიკის საბაჟო და ეკონომიკური კავშირი 1966 წელს შეიქმნა და ეკვატორული საბაჟო კავშირის მემკვიდრე გახდა. მის შემადგენლობაში შედის ექვსი სახელმწიფო: გაბონი, კამერუნი, კონგო, ცენტრალურაფრიკული რესპუბლიკა, ჩადი, ეკვატორული გვინეა. კავშირის მიზნებში შედის ცენტრალური აფრიკის ქვეყნების საერთო ბაზრის ეტაპობრივი შექმნა და განვითარება, ასევე რეალურად მოქმედი საერთო ბაზრის განმტკიცება.

1994 წელს მიიღეს გადაწყვეტილება ცენტრალური აფრიკის ეკონომიკური და სავალუტო თანამშრომლობის შექმნის შესახებ, რომლის მიზანიც იქნებოდა წევრ-სახელმწიფოთა კონსოლიდაციის მიღწევა სავალუტო და ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში შემდეგი ღონისძიებების რეალიზაციის გზით: საერთო ვალუტის განმტკიცება, შესაბამისი მაკროეკონომიკური პოლიტიკის და სამართლებრივი რეჟიმის გატარება, რომელიც ხელს შეუწყობდა ინვესტიციებს და ეკონომიკურ ზრდას, პრაქტიკაში საერთო ბაზრის შექმნას, საერთო ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, რომელიც თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროს ეხება. CACEU-მა შექმნა ფორუმი ცენტრალურ აფრიკაში ინვესტიციებისათვის, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ტარდება.

4.3. ECOWAS — დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამეგობრობა შეიქმნა 1975 წელს დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკურ თანამეგობრობის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, რომელიც ძალაში შევიდა 1976 წელს. ECOWAS-ის შემადგენლობაში 16 სახელმწიფო შედის. ესენია: ბენინი, ბურკინა ფასო, კოტ-დივუარი, მწვანე კონცხის კუნძულები, გამბია, განა, გვინეა, გვინეა-ბისაუ, ლიბერია, მალი, მავრიტანია, ნიგერი, ნიგერია, სენეგალი, სიერა-ლეონე, ტოგო. ECOWAS-ის მოღვაწეობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საერთო ბაზრის, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნა, სავალუტო თანამშრომ-

ლობის და რეგიონალური ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროგრამის განხორციელება.

4.4. SADC — განვითარების სამხრეთაფრიკული თანამშრომლობა 1992 წელს შეიქმნა სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურთა მიერ დეკლარაციის ხელმოწერით და თანამეგობრობის შექმნის შესახებ ხელშეკრულებით. SADC-ის შემადგენლობაშია 11 წევრი-ქვეყანა: ანგოლა, ბოსტვანა, ზამბია, ზიმბაბვე, ლესოტო, მალავი, მოზამბიკი, ნამიბია, სვაზილენდი, ტანზანია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. SADC-ის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს კაპიტალის, სამუშაო ძალის, საქონლისა და მომსახურების გზაზე წინააღმდეგობათა თანმიმდევრული ლიკვიდაცია.

4.5. COMESA — აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის საერთო ბაზარი შეიქმნა 1994 წელს, როგორც აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის სახელმწიფოთა პრეფერენციალური ვაჭრობის ზონის მემკვიდრე, აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის ქვეყნების საერთო ბაზრის შექმნის ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია COMESA-ს გარდაქმნა ეკონომიკურ თანამეგობრობად, თუკი საერთო ბაზრის შექმნის მიზნები მიღებული იქნება. COMESA-ს შემადგენლობაშია 20 წევრი-ქვეყანა: ანგოლა, ბურუნდი, ზაირი, ზამბია, ზიმბაბვე, კენია, კომორის კუნძულები, ლესოტო, მავრიკია, მადაგასკარი, მალავი, მოზამბიკი, ნამიბია, რუანდა, სვაზილენდი, სუდანი, ტანზანია, უგანდა, ერითრეა, ეთიოპია.

4.6. WAEMU — დასავლეთაფრიკული ეკონომიკური და სავალუტო კავშირი შეიქმნა 1994 წელს დასავლეთაფრიკული სავალუტო კავშირის მემკვიდრის სახით, რომელიც 1973 წლიდან არსებობდა. მის შემადგენლობაში შედის შვიდი ქვეყანა: ბენინი, ბურკინა-ფასო, კოტ-დივუარი, მალი, ნიგერი, სენეგალი, ტოგო. WAEMU-ს მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებებს და მიზნებს წარმოადგენს:

- კონტროლის მრავალმხრივი სისტემის შემოღების მეშვეობით წევრ-ქვეყანათა ეკონომიკური ინტეგრაცია ეკო-

ნომიკური განვითარებისა და ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის გზით.

- საერთო ბაზრის შექმნა საერთო საბაჟო ტარიფების შემოღების საფუძველზე, ასევე ერთობლივი სავაჭრო პოლიტიკის გატარება, საქონლის, მომსახურების და ადამიანების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა, საცხოვრებელი ადგილის შერჩევის თავისუფლების შემოღება.

ძირითადი ლიტერატურა

- მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. ტ. II, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ, თბილისი, 2004. — გვ. 7-34.
- მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო, პროფ. გრ. თოდუას და პროფ. შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი, 2001. — გვ. 80-92, 489-505.
- მსოფლიო ეკონომიკა (ლექციების კურსი), შემდგენელი პროფ. შ. ვეშაპიძე, თბილისი, 2004. — გვ. 57-72.
- ლეკაშვილი ე. ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია: თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივა, ივ. ჯავახიშვილის თსუ, ამერიკის შესწავლის ცენტრი, ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, VII საერთო კონფერენცია. თბილისი, 2005. — გვ. 449-454.
- ლეკაშვილი ე. MERCOSUR-ის განვითარების პერსპექტივა, საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი შრომების კრებული, თბილისი, 2005. — გვ. 51-57.
- პოლ ჰერსტი, გრემ ტომპსონი. გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. გამომც. „დიოგენე", I ქართ. გამოც., თბილისი, 2005.
- Peter Dicken. Global Shift, Transforming the World Economy, Third Edition, P.C.P Ltd, 1999.
- Погорелецкий А. И. Экономика зарубежных стран. Учебник, СПб, изд-во Михайлова В. А., М., 2000.
- Родионова И. А. Политическая карта мира. Учебно-справочное пособие по географии. 3-е издание. Московский Лицей, 2001.

თემა 6

მსოფლიო მეურნეობის რესურსული ბაზა

მსოფლიო მეურნეობის ცივილიზაციური რესურსები. მსოფლიო მეურნეობის ინსტიტუციონალური რესურსები. ბუნებრივი სანედლეულო რესურსები და მათი მეგაბაზრები. კაპიტალის მსოფლიო რესურსები და მათი მეგაბაზრები. მსოფლიო მეურნეობის სასაქონლო რესურსები და სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზრები. მსოფლიო მეურნეობის ადამიანური რესურსები

ტრადიციულად ეკონომიკის რესურსებს მიეკუთვნება ბუნებრივი, სანედლეულო, ფინანსური და სხვა ფულად შეფასებას ადვილად დაქვემდებარებული რესურსები. თუმცა რესურსი ამ სიტყვის ზოგადი გაგებით – ესაა ეკონომიკური განვითარების საფუძველი. ეკონომიკის წარმატება დაკავშირებულია არა მარტო ბუნებრივ, სანედლეულო და საწარმოო რესურსებთან, არამედ ისე ძნელად საზომ ფაქტორებთან, როგორიცაა *ხალხთა ტრადიციები, რელიგიური აღმსარებლობა და კულტურული ღირებულებანი, წეს-ჩვეულებები, სამართლებრივი კულტურა და ეკონომიკური საქმიანობის წარმოების სამართლებრივი პირობები*. ყველაფერ ამას ინსტიტუციონალური ეკონომიკური თეორია უწოდებს არაფორმალურ და ფორმალურ ინსტიტუტებს და მიიჩნევს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორებად და რესურსებად როგორც ცალკეული ქვეყნისათვის, ასევე მთლიანად მსოფლიო ეკონომიკისათვის.

მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ კანონი თანდათანობით წარმოიშობა წეს-ჩვეულებებისაგან. რომის სამართალი წარმოიშვა ძველი მსოფლიოს წეს-ჩვეულებებისაგან და ჩვენს ეპოქაში გარდაიქმნა კონტინენტალურად. საერთო ზოგადი სამართალი კი მუდმივად იკვებება ცალკეული ენის წეს-ჩვეულებებით, გრძელდება კანონების დაბადება საქმი-

ანი ბრუნვის წეს-ჩვეულებებისაგან, რომლებიც იცვლება ბაზრის განვითარებასთან ერთად.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ რიგმა ლათინურამერიკულმა და აფრიკულმა ქვეყნებმა გულდასმით გადაიწერეს თავისივე სამშობლოში შესანიშნავად მოქმედი აშშ-ის კანონები, მაგრამ ახალ ინსტიტუციონალურ გარემოში ისინი აღმოჩნდნენ არაეფექტიანი. საქმე ისაა, რომ აშშ-ის კანონები არ იქნა მხადაჭერილი არაფორმალური ინსტიტუტების მიერ ლათინური ამერიკის და აფრიკის ხალხთა წეს-ჩვეულებებით. არ შეიქმნა ერთიანი ინსტიტუციონალური ორგანიზმი და მოსალოდნელი ეკონომიკური განვითარებაც არ მოხდა.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ პირველი მნიშვნელოვანი დასკვნა. *კანონები და წეს-ჩვეულებები ეკონომიკაზე მათი ზემოქმედების თვალსაზრისით შეადგენენ ერთ მთლიანს, რომელშიც კანონები ზემოქმედებენ ჩვეულებათა ფორმირებაზე, ხოლო ჩვეულებები თანდათანობით აყალიბებენ კანონებს.*

ინსტიტუციონალურ ეკონომიკაში ამ ორ შემადგენელს აერთიანებენ ერთიან კატეგორიად – ინსტიტუტებად, ყოფენ რა მათ ფორმალურ (კანონები) და არაფორმალურ (წეს-ჩვეულებები) ნაწილებად.

ინსტიტუციონალური თეორიის ძირითად პოსტულატს წარმოადგენს ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების განმსაზღვრელი გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე.

იმისათვის, რომ ამუშავდეს მანქანა, სახელწოდებით „პროგრესი“, ე.ი. ერთობლივად განვითარდეს მეცნიერება და ეკონომიკა, უნდა დაკმაყოფილდეს სამი პირობა.

პირველი პირობა – *საზოგადოებაში უნდა იყოს ადამიანთა საკმარისი რაოდენობა, რომლებიც დაკავებულნი იქნებიან ინფორმაციის დამუშავებით, ახალი ცოდნის მოპოვებით და მისი მიყვანით გამოგონებამდე და ტექნოლოგიურ ინოვაციებამდე.*

აუცილებლად უნდა შესრულდეს მეორე პირობაც — *ეკონომიკა უნდა იყოს იმგვარად ორგანიზებული, რომ ადამია-*

ნებს, რომელთაც ბუნებით ბოძებული აქვთ მეცნიერის ან გამომგონებლის ტალანტი, შეეძლოთ შრომა მეცნიერებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების შემუშავების დარგში.

ამისათვის აუცილებელია არსებობდნენ ეკონომიკური ინსტიტუტები, რომლებიც ისე გადაანაწილებენ საზოგადოებრივ სიმდიდრეს, რომ უზრუნველყოფენ ადამიანებს მეცნიერების დარგში მუშაობის შესაძლებლობით.

ისტორიაში ჩვენ არაერთხელ შევხვედრივართ ისეთ სიტუაციებს, როცა ტექნოლოგიური ინოვაციები სწორად ტარდებოდა, ჰქონდათ სავსებით საკმარისი ინსტიტუციონალური უზრუნველყოფა, მაგრამ ეკონომიკური განვითარება პრაქტიკულად არ იყო. როგორც აღმოჩნდა, *აუცილებელია კიდევ ერთი,* მესამე პირობის *შესრულება.*

საზოგადოებას უნდა გააჩნდეს ღირებულებათა სისტემა, ის მიზანდასახულობანი, რომლებიც სტიმულს მისცემენ ეკონომიკის განვითარებას.

სწორედ გაბატონებული ცივილიზაციური იდეოლოგია განხილული როგორც ღირებულებების, ქცევის ნორმების და სამყაროს აღქმის საშუალებების სისტემა, განასხვავებს ერთ ცივილიზაციას მეორისაგან. ჩვენთვის უკვე ძნელია იმის დაჯერება, მაგრამ ისტორიულ მასშტაბში სულ ახლახან შექმნილი თანამედროვე ევროპული ცივილიზაცია სავსებით უნიკალურია.

ძალაუფლებისაკენ სწრაფვა - ეს არის განვითარების ზამბარა - რასაც განსხვავებული გამოხატულება აქვს სხვადასხვაგვარ ცივილიზაციურ გარემოში. ცივილიზაცია, რომელიც განსაზღვრავს დომინირებულ ფასეულობათა სისტემას ადამიანისათვის, გეზს აძლევს გაბატონებულ ფორმებს ხელისუფლებისაკენ სწრაფვის რეალიზაციაში. იგი ვლინდება არა მარტო უბრალო შესაძლებლობაში, უბრძანო ან უხეშად თავს მოახვიო საკუთარი ნება-სურვილი საზოგადოებას, არამედ საკუთარ გავლენაში, სტატუსსა და ავტორიტეტში, რომელიც ვლინდება სულ სხვადასხვა, ზოგჯერ ერთი შეხედვით ძალაუფლების ყოფით გაგებასთან სუსტად

დაკავშირებულ ჰიპოსტაზში. ცივილიზაციური იდეოლოგიის ძირითადი ფუნქციაა განსაზღვროს და დანერგოს მასობრივ შეგნებაში წარმოდგენები ხელისუფლების იმ ფორმაზე, რომელიც მიღებულ ფასეულობათა სისტემას შეესაბამება. როცა საზოგადოების უმრავლესობა ღებულობს ცივილიზაციურ ფასეულობებს თავისი ქცევის საფუძვლად, წარმოდგენა ხელისუფლების სასურველ ფორმებზე ხდება საყოველთაოდ მიღებული. აქ ერთვება ბრძოლა ხელისუფლების არჩევითი ფორმებისათვის და იწყება ევოლუციური პროცესი. ამგვარად, ცივილიზაცია გეზს აძლევს ევოლუციის მიმართულებას და, რათქმა უნდა, სრულებთ არაა სავალდებულო ამ მიმართულებამ უზრუნველყოს ეკონომიკური განვითარება. ცივილიზაციის მიზნები შეიძლება იყოს, და ძირითადად ისტორიაში იყო კიდევაც, სრულიად სხვაგვარი.

ცივილიზაციები, როგორც ცნობილია, მუდმივად იბრძვიან ერთმანეთს შორის მსოფლიო ძალაუფლებისთვის. ეს ბრძოლა წარმოადგენს ცივილიზაციური ევოლუციის საფუძველს. ცივილიზაციის ნაწილი კვდება, ისინი იცვლება, ხოლო მკვდართა ადგილზე ჩნდება ახალი. ეს ევოლუცია გვაგონებს სახეობათა ევოლუციას, რომელთაგან თითოეული იბრძვის თავისი ეკოლოგიური ადგილის გასაფართოებლად, სასიცოცხლო სივრცის გასაზრდელად. როგორც სახეობათა ბრძოლის დროს, ცივილიზაციური ევოლუციაც მიდის გარე სამყაროსთან შეგუების გზით, ასევე გავრცელების საკუთარი არეალის გაფართოებისკენ. ცხოველთა ყოველი სახეობა ან კლასი ბრძოლაში იმედებს ამყარებს თავის იარაღზე — წვეტიან ეშვებზე, მძლავრ რქებზე, სწრაფ სირბილზე და ა. შ. ზოგიერთი სახეობა, ვეშაპთა მსგავსად, თავის ადგილს პოულობს წყლის სტიქიაში, სხვები, როგორც თხუნელები, მიწის ქვეშ იმალებიან, მესამენი ჰაერს იპყრობენ. ამრიგად, ევოლუციის მსვლელობისას ჩნდება ურთიერთშემავსებელი სახეობების გაერთიანება. ცივილიზაციურ ბრძოლაში ყოველი ცივილიზაცია ცდილობს გააფართოვოს თავისი გავლენა (ძალაუფლება) მსოფლიოში, მოძრაობს რა იმ მიმართულე-

ბით, რომელიც მის მიერ ამორჩეული ძალაუფლების ფორმის ფასეულობათა სისტემას შეესაბამება. სხვაობა ძალაუფლების ფორმებში, რომლისკენაც ისწრაფვიან ინდივიდები სხვადასხვა ცივილიზაციაში, საშუალებას აძლევს თითოეულ ცივილიზაციას ევოლუციის მსვლელობაში დაიკავოს თავისი ადგილი მსოფლიოში. საგარეო პირობების არსებითი ცვლილებით შეიძლება ძალთა თანაფარდობა რადიკალურად შეიცვალოს და სათავეში მდგომმა ცივილიზაციამ ადგილი დაუთმოს სხვას. ამ დროს იგი თავად იღუპება, ვინაიდან, ისევე როგორც ცხოველთა სამყაროში, აღმოჩნდება ყველაზე მეტად შეგუებული ძველებთან და ყველაზე ნაკლებ — არსებობის ახალ პირობებთან, ისე, როგორც 150 მილიონი წლის წინ მსოფლიოში გაბატონებული დინოზავრები; ძველი ეგვიპტის, შუმერების, აცტეკების, ინკების და მრავალი სხვ. დიდი ცივილიზაციები არარსებობაში გადავიდნენ.

XVI ს-დან დაიწყო დომინირება ევროპულ-ამერიკულმა ცივილიზაციამ, ორიენტირებულმა ეკონომიკურ ძალაუფლებაზე და ეკონომიკურ განვითარებაზე. ახლა გვგონია, რომ მისი დამარცხება შეუძლებელია, ხოლო მის მიერ აღიარებულ ფასეულობებს გააჩნია საყოველთაო ხასიათი. თუმცა ცივილიზაციათა ბრძოლას ჩვენ თვალყურს ვადევნებთ თითქოს შიგნიდან, საკუთარი კონკრეტული ცივილიზაციის ჩარჩოებში მყოფი. და ამის გათვალისწინება აუცილებელია. ყბადაღებულ დინოზავრებსაც ეჩვენებოდათ, რომ მათი ძალაუფლება მსოფლიოზე მუდმივი და ურყევია. და მაინც, უახლეს მომავალში ამა თუ იმ ცივილიზაციის კონკურენტული უპირატესობანი, როგორც ჩანს, დაკავშირებული იქნება ეკონომიკური განვითარების სტაბილურობის უზრუნველყოფის უნართან. ეკონომიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლა კიდევ დიდხანს იქნება გაბატონებული ძალაუფლების სხვა ფორმებზე, რომლებიც ჯერჯერობით ჩრდილში რჩება.

არის მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც განგვაწყობს სხვადასხვა მოქმედი ცივილიზაციების კულტურული და იდე-

ოლოგიური საფუძვლების შესწავლისთვის. ახლა მსოფლიო ეკონომიკა ნებისმიერი რიგითი მოქალაქისთვის აღარაა წმინდა გონებაჭვრეტითი მეცნიერება. ადამიანები მუდმივ კონტრაქტში არიან სხვადასხვა ქვეყნის და ცივილიზაციის წარმომადგენლებთან. მეგაეკონომიკურ გარემოში ისინი ახლოვდებიან, წარმართავენ საერთო ბიზნესს, ერთობლივ გამოკვლევებს, მოგზაურობენ სხვადასხვა ქვეყნებში, დაბოლოს, ურთიერთობა აქვთ ინტერნეტით. ყოველივე ამისათვის სასარგებლოა, და აუცილებელიც კი, იცნობდე შენს პარტნიორს. ხოლო იმისათვის, რომ უკეთ გაიგო და ქცევის რეაქციის პროგნოზირება მოახდინო, უნდა იცოდე მისი ფასეულობათა სისტემა და მსოფლმხედველობის საფუძვლები, რომლებიც ეროვნულ კულტურაში, ცივილიზაციურ იდეოლოგიასა და რელიგიაში დევს. თანამედროვე ეკონომიკურ ცხოვრებაში ეს ცოდნა შეიძლება გამოვიყენოთ საქმიანი მოლაპარაკებების წარმართვის დროს, მარკეტინგული კვლევების პირველ ეტაპებზე, საქონლის წინ წასაწევად საზღვარგარეთულ ბაზრებზე და სხვა მრავალი ამოცანის გადაწყვეტას. მსოფლიო ეკონომიკა ხდება პრაქტიკული მეცნიერებაც. ჩვენ მუდმივად მივმართავთ მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობებს ბიზნესში.

ჩვენი მიზანი არ არის სხვადასხვა რელიგიების განხილვა, დოგმატებს, მაგრამ მნიშვნელოვანია გამოვყოთ რელიგიების ის იდეოლოგიური ელემენტები, რომლებიც ყველაზე მაღალი ხარისხით მოქმედებენ ეკონომიკურ განვითარებაზე, ახდენენ რა მის სტიმულირებას ან შენელებას.

არსებული ცივილიზაციების უმეტესობისათვის რელიგიური სისტემები ცივილიზაციური იდეოლოგიის ძირითად ელემენტს წარმოადგენენ.

მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოს — აშშ-ის თანამედროვე ცივილიზაციურ იდეოლოგიაზე (გარდა რელიგიისა) ძლიერ ზეგავლენას ახდენს სპეციფიკური ამერიკული ფილოსოფიური მიმდინარეობები. პრაქტიკული ამერიკელები აღმოჩნდნენ აბსოლუტურად გულგრილნი რთული ევროპუ-

ლი ფილოსოფიური სისტემების მიმართ. წმინდა ამერიკულ ფილოსოფიად იქცა *უ. ჯეიმსის პრაგმატიზმი*. მან დახატა მრავალსახოვანი მსოფლიოს სურათი, რომელშიც ადამიანებს შეუძლიათ შეიმეცნონ მხოლოდ ნაწილობრივი და შეზღუდული ჭეშმარიტებები, რომელთაც მათთვის პრაქტიკული სარგებელი მოაქვთ. ამასთან, ამ სამყაროში არავის შეუძლია მოიპოვოს მონოპოლია ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტებაზე.

ამერიკული ეროვნული ხასიათი იმყოფება ორი დიამეტრალურად ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისის — ღრმად დამუშავებული, სისტემატური და ყოვლისმომცველი *კალვინის* იდეოლოგიის და პოზიტივიზმის ანტიიდეოლოგიის გავლენის ქვეშ.

შესაძლებელია ამიტომაც ამერიკელთა იდეები, როგორც შენიშნა XIX ს-ის 30-იან წლებში *ტოკვილმა*, ან ყველა საოცრად ვიწრო და მკაფიოა, ან საკმაოდ ზოგადი და ბუნდოვანი. ექსპერიმენტირებასა და იდეოლოგიზირებას შორის არსებული შეუსაბამობა ქმნის საფუძველს ამერიკის ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკის ანალიზის მოცემული ვარიანტისათვის.

როცა ვსაუბრობთ არარელიგიურ იდეოლოგიებზე, რომელთაც გავლენა მოახდინეს მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებაზე, არ შეიძლება არ ვახსენოთ მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელიც დღესაც ჩინეთის და რიგი სხვა ქვეყნების ოფიციალურ იდეოლოგიას წარმოადგენს.

ძირითად ეთიკურ დებულებებში მარქსიზმი მშვენივრად ესადაგება თითქმის ყველა მსოფლიო რელიგიას, და თავადაც არის რელიგია, ყოველ შემთხვევაში არანაკლები ხარისხით, ვიდრე, ვთქვათ კონფუციანელობა. მარქსიზმის დებულებანი სულ უფრო მეტად ხდება გაქვავებულ, ნახევრად რელიგიურ ფორმულებად და არა სახელმძღვანელოდ პრაქტიკული საქმეების გადაწყვეტისათვის. ამასთანავე მარქსიზმის ორიენტაციამ XX საუკუნის დამდეგს მსოფლიო გავლენასა და მსოფლიო რევოლუციაზე მოახდინა უეჭველი ზეგავლენა

საერთოპლანეტარული აზროვნების და იდეოლოგიური გლობალიზაციის ჩამოყალიბებაში. პარადოქსულია, მაგრამ სწორედ მსოფლიო კომუნიზმის ტალღისათვის წინააღმდეგობამ იდეოლოგიურ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში გამოიწვია შესაბამისი მძლავრი ტრანსეროვნული მიმდინარეობანი დასავლეთის ქვეყნებში. შემტევმა მსოფლიო კომუნიზმმა ამერიკას არ მისცა საშუალება ოკეანის იქით ჩვეული იზოლაციონიზმში ყოფნილიყო. აშშ იძულებული იყო მიეღო კომუნიზმის გამოწვევა და პრეზიდენტმა რ. რეიგანმა მოუწოდა საპასუხოდ მსოფლიოს „ბაზარზე ორიენტირებული... დემოკრატიული რევოლუციისაკენ“ [1]

მსოფლიო ეკონომიკა სულ უფრო მეტად ხდება პრაქტიკული მეცნიერება და სხვადასხვა ხალხების ეთიკის ცოდნა საშუალებას იძლევა უკეთ წარვმართოთ საკუთარი ბიზნესი. მაგალითად, როდესაც იცი ჩვეულები, არ უნდა გაბრაზდე ფრანგის ან ესპანელის ნახევარსაათიან დაგვიანებაზე მოლაპარაკებების დროს, მშვიდად შეხვდე ინგლისელის მეტისმეტ თავდაჭერილობას და ამერიკელის გადაჭარბებულ ძმაბიჭობას. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არაა მთავარი. პარტნიორის ან კონკურენტის რელიგიური აღმსარებლობის ან იდეოლოგიის ცოდნა ზოგჯერ ყველა ეკონომიკურ-სადაზვერვო მონაცემებზე უკეთ გვაძლევს საშუალებას ვიწინასწარმეტყველოთ მისი ქცევა სხვადასხვა სიტუაციაში.

მთლიანობაში ეთიკის როლი ეკონომიკაში ბოლომდე არაა გარკვეული, მაგრამ ალბათ სათანადოდ ვერაა შეფასებული. ეთიკური ნორმები უპირველეს ყოვლისა ქმნის საიმედო ინსტიტუციონალურ ბაზას ეკონომიკური მოღვაწეობისათვის.

რელიგიური ეთიკის ნორმების მქონე პიროვნება მნიშვნელოვნად ნაკლები ალბათობით დაარღვევს შეთანხმებას. ოპორტუნისტული ქცევის რისკი (უბრალოდ გამყიდველობა) მისი მხრიდან ბევრად ნაკლებია და, შესაბამისად, ნაკლები ფულია საჭირო გარიგების დაზღვევის საშუალებებზე

1 Reagen R. Press conference - 1983. 19 October.

დასახარჯად და კონტროლისათვის. ტრანსაქციური დანახარჯები მცირდება. მაშასადამე, ეთიკა და იდეოლოგია ეკონომიურია და ეკონომიკურად ეფექტიანიც.

მეგაეკონომიკის როგორც ერთიანი პლანეტარული მთლიანის ჩამოყალიბება საჭიროებს და სტიმულს აძლევს ერთიანი, საყოველთაო ცივილიზაციური იდეოლოგიის შექმნას. იგი შეიქმნება ძირითადი ცივილიზაციური რელიგიების რაციონალური შეთანხმების ბაზაზე.

მსოფლიოს გლობალიზაცია და მეგაეკონომიკის ჩამოყალიბება შეუპოვრად უბიძგებს კაცობრიობას იდეოლოგიის კონვერგენციისაკენ და ერთიანი მსოფლიო ეთიკის შექმნისაკენ. ეკონომიკური პროცესის გლობალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია უკვე კაცობრიობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცივილიზაციური იდენტურობის ფორმირების პროდუცირებას ახდენენ.

ორი-სამი თაობის სიცოცხლის მანძილზე კაცობრიობის საქმიანობამ და მასზე დაფუძნებულმა სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა იმდენად რადიკალურად შეცვალა მსოფლიო, რომ იდეოლოგიის და ფილოსოფიის საგნობრივმა სფერომ დიდი ხანია გადაინაცვლა ობიექტური სინამდვილის ასახვიდან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის წარმატებულ მოქმედებაზე, შედეგობრიობის მაქსიმიზაციისაკენ. სწორედ წარმატების მექანიზმების უზრუნველყოფის ერთგვაროვნებამ, აგრეთვე გლობალიზაციამ და მსოფლიო ეკონომიკის ინტენაციონალიზაციამ განაპირობა ცივილიზაციური იდენტურობის ჩამოყალიბების მოთხოვნილება.

კაცობრიობა უფრო მეტად აღიქვამს თავის თავს ერთიან ორგანიზმად. ევროპის მოწინავე ქვეყნები, ამერიკა და აზია სულ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს, თანდათან ქმნიან ერთიან კულტურას, ბიზნესის საერთო წესებს, ქცევის სტერეოტიპებს და განათლების სტანდარტებს. ამ ქვეყნების ხალხები ინარჩუნებენ რა საკუთარი კულტურის ტრადიციებს, უფრო მეტ იდენტიფიცირებას ახდენენ რაღაც ახალი ცივილიზაციური ერთიანობის დონეზე დამკვიდრებული და

შემუშავებული „თამაშის წესებით“, რომელიც საშუალებას იძლევა თავისუფლად და თვითდაჯერებულად იმოქმედონ პლანეტის ნებისმიერ მსხვილ ქალაქში.

კონკურენტული უპირატესობა ექნება იმ ქვეყანას, რომელიც შეძლებს იპოვოს სხვა ქვეყნებიდან გადმოღებული და საკუთარი იდეოლოგიური სისტემის ჩარჩოებში ადაპტირებული, მსხვილი, ინსტიტუციონალური მოდელების სწრაფი და ეკონომიკურად ეფექტიანი შეთავსება, აგრეთვე დანერგოს ისინი ეკონომიკური ცხოვრების პრაქტიკაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით და მასობრივი ინფორმაციის უახლესი საშუალებებით, ინტერნეტის ჩათვლით. დანერგვის მიზნებისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ყველა დონის განათლების სისტემა, კულტურის დაწესებულებები, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები და ხელოვნების ცალკეული სახეები.

ჩვენ ვცხოვრობთ ეკონომიკისა და სამართლის მძაფრი იდეოლოგიური ურთიერთშეღწევის პერიოდში. ერთი მხრივ, ბევრი მეცნიერი ცდილობს გააფართოვოს საბაზრო ეკონომიკური კონცეფციების სფერო და მიდგომები, ყველა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების ჩართვით, რომლებიც აგრესიულად იპყრობენ პოლიტოლოგიის, ეთიკის, სოციოლოგიის და სამართლის ტრადიციული გავლენის სფეროებს. ამ სამეცნიერო მიმდინარეობას, რომელსაც ეწოდა „ეკონომიკური იმპერიალიზმი“, საფუძვლად უდევს პოსტულატი განაწილების საბაზრო პრინციპების შესახებ, არა მარტო ჩვეულებრივი, შეზღუდული ეკონომიკური რესურსებისა, არამედ განვითარების ისეთი ახალი რესურსებისა, როგორიცაა სამართალი, გავლენა, ძალაუფლება. უხეშად რომ ვთქვათ, ეს პოსტულატი გამოიხატება შემდეგნაირად: ყველაფერი იყიდება და აქვს განსაზღვრული საბაზრო ფასი. მათ შორის სხვადასხვა უფლებები, ინტელექტუალური შრომის ნაყოფი, არჩევნებზე ხმები, ლობისტური ჯგუფები პარლამენტში და ა.შ. ამგვარად, საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს საზოგადოებრივი არჩევანის, საზოგადოების დე-

მოკრატიული ორგანიზაციის, კანონშემოქმედების ხმის, მიცემის, ლობირების და ა.შ. პრობლემების კვლევა.[1]

მეორე მხრივ, სამართლებრივი კულტურა და სამართლებივი კონცეფციები უდავოდ ახდენენ მძლავრ ზეგავლენას ეკონომიკური თეორიის განვითარებაზე. ინსტიტუციონალური ეკონომიკური თეორია მიიჩნევს, რომ საბაზრო ქცევის წესები, გამოხატული კანონებში, ნორმატივებში და ჩვეებში, ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენენ.

ირაციონალური ევოლუციონეზმის პოზიციიდან, ეკონომიკური და იურიდიული მიდგომების ასეთი დაახლოება სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებთან აიხსნება სხვადასხვა დროს კონვერტაციის მრავალგვარი მექანიზმების, ეკონომიკური ძალაუფლების სულ უფრო მეტი განვითარებით. სახელმწიფო ძალაუფლება, როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო, სულ უფრო ადვილად კონვერტირდება თავის ფულად გამოსახულებებში და ამ გაგებით გამოდის, როგორც ჩვეულებრივი საბაზრო საქონელი. იგივე შეიძლება ითქვას ინფორმაციული და ძალაუფლების სხვა ფორმებზეც. ხელისუფლების კონვერტაცია თვალსაჩინო ხდება საბაზრო პროცესით, რომელსაც ფასი გააჩნია, რომელიც განისაზღვრება მოთხოვნითა და მიწოდებით.

სამართალი წარმოიშვა და განვითარდა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, რომელიც გარდაუვალია, ეკონომიკური ურთიერთობების ნებელობითი ხასიათიდან გამომდინარე. ძალაუფლება, ხომ მ. ვებერის კლასიკური განსაზღვრის თანახმად, „არის შესაძლებლობა გაატარო საკუთარო ნებასურვილი წინააღმდეგობის მიუხედავადაც"[2]. ძალაუფლება ანიჭებს მყარ უპირატესობას მხარეთაგან ერთს. მისთვის

---

1 იხ.: Бюкенс Дж., Тамгол Г. Расчет согласия. Логические основания конституционной демократии. М.: ТАУРУС АЛЬФА. 1997.

2 Weber M. Economy and Society. N. Y. -1968. Vol. I - c. 81.


მუდამ დამახასიათებელია ასიმეტრიული ხასიათი, ძალაუფლების ერთი მხარის დომინირება. სურვილი დაამკვიდროს რაღაც მიზეზთა გამო მიღწეული უპირატესობა ძალაუფლების სამართლებრივ ფორმებში ფიქსირებული სახით, აბსოლუტურად ბუნებრივი და საყოველთაოა. *წეს-ჩვეულება, შემდეგ კი კანონები ეკონომიკური და სამართლებრივი ევოლუციის პროცესში ყოველთვის აფიქსირებდნენ ძალთა განსაზღვრულ თანაფარდობას ამ ბრძოლაში და იცვლებოდნენ ამ თანაფარდობის ცვლილებისას.*

როგორც კონტინენტალური სამართალი, ასევე საერთო სამართალი მიეკუთვნება კერძო სამართლის სფეროს, რომელიც ძირითადად ახორციელებს საზოგადოებრივი ცხოვრების და ბაზრის მონაწილეებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობების რეგლამენტირებას. არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი სფერო, რომელსაც საჯარო სამართალს უწოდებენ. განსხვავება ამ სამართლებრივ სისტემებს შორის შენიშნა ჯერ კიდევ ძველმა რომაელმა იურისტმა ულპიანმა: „საჯარო სამართალი განეკუთვნება რომის სახელმწიფოს მდგომარეობას, ხოლო კერძო — ცალკეული პირების სარგებელს".

ამგვარად, სახელმწიფოს და ბაზრის მუდმივი ბრძოლის პროცესში საჯარო სამართალი ძირითადად მიეკუთვნება სახელმწიფოს ინტერესთა სფეროს, ხოლო კერძო სამართალი ბაზრის მონაწილეთა საქმიანობას უწევს რეგლამენტირებას.

კერძო და საჯარო სამართლის სტრუქტურა მოტანილია 6.1 ნახაზზე.

სამართლის ცალკეული დარგების საგნები ძირითადად ნათელია დასახელებებიდან, თუმცა ზოგიერთი სახელწოდება საჭიროებს განმარტებას. ასე მაგალითად, კონსტიტუციურ სამართალს მიეკუთვნება სახელმწიფოს ფორმის, სტრუქტურის და ორგანიზაციის საკითხები, მისი უმაღლესი ორგანოების და აღმასრულებელი ხელისუფლების, ძალაუფლების [illegible] ოფის სისტემის უფლებამოსილებანი ხელისუფლების [illegible] ებს, ასევე ცენტრსა და რეგიონებს შორის. ადმი-



ნახ. 6.1. სამართლის სტრუქტურა

ნისტრაციული სამართალი დაკავებულია მართვის ორგანოების ურთიერთქმედების პრობლემებით, ხოლო ფინანსური სამართალი — საბიუჯეტო პროცესით, გადასახადებით, სესხებით და ფულის მიმოქცევით. ზოგიერთ ქვეყანაში ზემოთჩამოთვლილ სამართლის საჯარო დარგებს უმატებენ ეკონომიკურ საჯარო სამართალს, რომლის სფეროსაც მიაკუთვნებენ სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკის სფეროში მესაკუთრის საქმიანობას.

მოცემულ შემთხვევაში ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს სამართლის დარგები, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ეკონომიკასთან და განსაკუთრებით საერთაშორისო ეკონომიკასთან. ეროვნული ეკონომიკისათვის მთავარ როლს თამაშობს სამოქალაქო სამართალი. ამასთან დაკავშირებით, სამოქალაქო კოდექსს ხშირად ქვეყნის ეკონომიკურ კონსტიტუციას უწოდებენ.

საერთაშორისო კერძო სამართალში განიხილება საიმპორტო და საექსპორტო კონტრაქტების დაზღვევის შესახებ ურთიერთობები, საკონტრაქტო და სატრანსპორტო სამართლის პრობლემები, ინტელექტუალური საკუთრების საკითხები. საერთაშორისო საჯარო სამართალი მოიცავს დიპლომატიურ და საკონსულო სამართალს, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალს, საერთაშორისო უსაფრთხოების სამართალს და საერთაშორისო ეკოლოგიურ სამართალს. საერთაშორისო და ეროვნულ კერძო და საჯარო სამართალთა დარგების განვითარების ძირითად ტენდენციებსს თანდათან მივყავართ ერთიანი, საერთოპლანეტარული სამართლებრივი სისტემის შექმნამდე.

ბაზრისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს კერძო, უფრო ზუსტად კი სამოქალაქო სამართალი. იურისპრუდენცია — მარტივი მეცნიერება როდია. სამართალში ჩაუხედავთათვის იგი სრულიად განსაკუთრებულ სფეროდ აღიქმება, სადაც გარკვევა შეუძლიათ მხოლოდ მაღალი კლასის სპეციალისტებს. სამართლებრივი ნორმები და აქტები, განსაკუთრებით საერთო სამართალში, ერთი შეხედვით წარ-

მოგვიდგება ამოუცნობ წერილებად, რომლებიც თუ ზეცის მცხოვრებლების მიერ არაა დაწერილი, მაშინ აუცილებლად მათი კარნახით მაინცაა. ესოდენ რთულ და დახვეწილ ფორმებს სამართლებრივი ნორმები ხანგრძლივი ევოლუციის, ეკონომიკური და სხვა სარეგლამენტო ურთიერთობების სულ ახალ-ახალი ნიუანსების გათვალისწინების მცდელობის შედეგად იძენს. დიდი სამართლებრივი დოკუმენტი ან კოდექსი ჩვეულებრივ იხუნძლება მრავალრიცხოვანი განმარტებებითა და კომენტარებით, რომლებიც მისი არსის გახსნაში გვეხმარება, მაგრამ ხშირად სწორედ საწინააღმდეგო შედეგთან მივყავართ, მხოლოდ ხანგრძლივი შესწავლის შემდეგ იხსნება სამართლებრივი აგებულების შინაგანი ლოგიკა და სილამაზე.

სინამდვილეში თავს თუ ავარიდებთ ნიუანსებს, რომლებიც სწორედაც რომ კლასიკური იურისტის ნოუ-ჰაუს შეადგენს, სამოქალაქო ანუ ეკონომიკური სამართლის ლოგიკა არც თუ რთულია. ჩავფიქრდეთ, *რა გვჭირდება იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ბაზარზე საქონლის გაცვლის ურთიერთობანი.* პირველ რიგში, აუცილებელია ვუპასუხოთ კითხვას: ვის აქვს ბაზარზე მუშაობის უფლება? მეორე, საჭიროა დავაფიქსიროთ საქონლის თავდაპირველი განაწილება, ე.ი. მივუთითოთ, რა უფლებები გააჩნია ბაზრის თითოეულ მონაწილეს კონკრეტულ საქონელზე. მესამე, გაგვაჩნდეს გაცვლის შესაძლებელი წესები, ე.ი. საქონლის გადასვლისა ბაზრის ერთი მონაწილიდან მეორესთან. სწორედ ამ სამი პრობლემის თანდათანობით გადაჭრაში მდგომარეობს სამოქალაქო სამართლის ლოგიკა.

მაშ ასე, *პირველი:* ბაზრის მონაწილეებად ჩვეულებრივ ითვლებიან ფიზიკური პირები, ანუ ჩვეულებრივი ადამიანები და იურიდიული პირები — ორგანიზაციები. იურიდიული პირის განმსაზღვრელ ნიშანს წარმოადგენს ცალკე ქონებისა და საბუღალტრო ბალანსის არსებობა. ყველა იურიდიული პირი იყოფა ისეთებად, ვინც ისწრაფვის მოგების მიღებისაკენ — საწარმოები, და ვინც მოგების მიღებით არ არი-

ან დაინტერესებულნი — არაკომერციული ორგანიზაციები (დაწესებულებები, ფონდები და ა.შ.). უკანასკნელთ აგრეთვე შეუძლიათ მოგების მიღება, უბრალოდ, იგი მათი საქმიანობის მიზანს არ წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ იურიდიული პირი სამართლის ცალკე სუბიექტს წარმოადგენს და მის ჩამომყალიბებელ ფიზიკურ პირთაგან დამოუკიდებლად მოქმედებს. ამ თვალსაზრისით საწარმო უნდა განვიხილოთ ცალკე, თვით მისი ერთადერთი მეპატრონისგანაც კი. ეკისრება თუ არა პატრონს ან პატრონებს მათ მიერ შექმნილ საწარმოთა ვალებზე პასუხისმგებლობა? როგორც ირკვევა, ყოველთვის არა. არსებობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოები — კორპორაციები. მათ მართავენ მეპატრონეები, რომლებიც პირადი ქონებით არ ატარებენ პასუხისმგებლობას საწარმოს ვალებზე. ამგვარია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, აგრეთვე ღია და დახურული აქციონერული საზოგადოებები. როცა გაგაჩნიათ პაი (წილი) ან კორპორაციის აქციები, რისკავთ მხოლოდ მათ. თუკი კომპანია გაკოტრდება, მაშინ კორპორაციის გარეთ არსებული თქვენი ქონება რჩება უსაფრთხოებაში. რისკი, ბუნებრივია, თქვენთვის მცირეა, მაგრამ ამით, თქვენი უფლებებით ზედმეტად არ უნდა გათამამდეთ. კორპორაციის პაის ან აქციის არსებობის შემთხვევაში, თქვენ სრულებითაც არ წარმოადგენთ მისი ქონების თუნდაც ნაწილის მფლობელს. თქვენ ფლობთ მხოლოდ აქციებს, რომელთა გაყიდვა ბაზარზე შეგიძლიათ, თუკი ვინმეს მისი ყიდვა მოუნდება. აქცია უფლებას გაძლევთ კომპანიის მართვაში მიიღოთ განსაზღვრული მონაწილეობა. ეს არის და ეს. თვით კომპანიის ლიკვიდაციის ან გაკოტრებისას, ჩვეულებრივ არ უნდა გათვალოთ ქონების რაიმე წილი, რომლის ძირითადი ნაწილი (თუ მთლიანად არა) მიდის ვალების დაფარვაზე, რამაც მიიყვანა გაკოტრებამდე.

ამხანაგობებში მფლობელები კისრულობენ სრულ პასუხისმგებლობას საწარმოს ვალებზე. საერთო სამართალი საერთოდ არ ითვალისწინებს პარტნიორობას (ამხანაგობები)

იურიდიული პირის სახით. საერთო სამართლის ქვეყნებში სასამართლო არ აკეთებს განსხვავებას ამხანაგობებსა და თავად ამხანაგებს შორის. ამხანაგები ან პარტნიორები ერთობლივად აწარმოებენ ბიზნესს და იყოფენ მოგებას შეტანილი პაის პროპორციულად. ისინი რისკავენ მთელი თავისი ქონებით და სახელმწიფო ჩვეულებრივ ცდილობს როგორღაც მოახდინოს ამ რისკების კომპენსირება, ანიჭებს რა მათ სხვადასხვა უპირატესობას და პრეფერენციებს. სხვათა შორის, ამხანაგობათა შენატანები დასავლეთის ეკონომიკაში ძალიან დიდია. ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივ ცნობიერებაში მუდმივად და დაჟინებით ნერგავენ მითს იმის შესახებ, რომ საგადასახადო შემოსავლების ძირითადი მასა აშშ-ში, მაგალითად, მოდის ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადებიდან. ამით სახელმწიფოს სურს თავზემოუხვევლად, მსუბუქად შეარცხვინოს თავისი მოქალაქეები სახელმწიფო შემოსავლებში, მათი პირადი შენატანიდან მცირე წვლილისათვის ასეთი გამოძახილით: თქვენ ისე ცოტას იძლევით, მაშ რაღა გსურთ? სინამდვილეში კი აქ ერთი პიკანტური მომენტი იმალება. ამერიკელი პარტნიორებისაგან (ამხანაგობებისგან) არ იღებენ გადასახადს მოგებაზე. მათ გააჩნიათ ე.წ. საგადასახადო გამჭვირვალობა, ე.ი. საწარმოს მთელი მოგება ავტომატურად ნაწილდება პარტნიორებს შორის მათი შენატანების შესაბამისად, და უკვე ამ ფიზიკურ პირთა შემოსავალზე ირიცხება საშემოსავლო გადასახადი. ამიტომაც იგი ესოდენ დიდია! ჩვენს ქვეყანაში კი სახელმწიფო იღებს გადასახადს ნებისმიერი საწარმოს მოგებიდან და კიდევ სურს არცთუ მცირე მიიღოს საწარმოს მესაკუთრეებისგან, რომელმაც ერთხელ უკვე გადაიხადა გადასახადი. ამიტომ გასაკვირი არა, რომ ისინი მთელი შესაძლო საშუალებებით ეწინააღმდეგებიან ამას.

მეორე: ბაზარზე უფლებათა დანაწილება ხდება ძირითადად საკუთრების საფუძველზე, რომელიც თავისთავად წარმოადგენს ყველაზე სრულ ძალაუფლებას საგანზე. რომ ვიცავჩროთ, თავდაპირველად საჭიროა მტკიცედ ვიცოდეთ, ვის

რა ეკუთვნის, ამიტომ საკუთრება — ბაზრის საყოველთაოდ მიღებული საფუძველია. ნაპოლეონისეულ კოდექსში ნათქვამია: „საკუთრება — საგნის ყველაზე აბსოლუტური სახით გამოყენების და განკარგვის უფლებაა, მისი კანონსაწინააღმდეგო გამოყენების გარდა". აშშ-ის კონსტიტუციაში *სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება* განსაზღვრულია, როგორც პიროვნების ძირითადი, თანაბარმნიშვნელოვანი უფლებები. საერთოდ, დასავლეთის სასამართლოში საკუთრებას ყოველთვის ენიჭებოდა განსაკუთრებული, აბსოლუტური ხასიათი. მხოლოდ ბოლო დროს საკუთრების დიდებულმა ცნებამ დაიწყო თანდათანობით გაფერმკრთალება, შემცირება და გაქრობა მრავალი პირობითა და განმარტებით. ახლა საყოველთაოდ მიღებულია შეხედულება საკუთრებაზე, როგორც რაღაც „უფლებათა კონაზე". თანამედროვე „უნივერსალური მეტათეორიის" სათავეებთან დგანან ცნობილი ინსტიტუციონალისტები — 1991 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი რ. კოუზი და ლოს-ანჟელესის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ალჩიანი. *სრული „უფლებათა კონა", მათი ინგლისელი მიმდევრის ა. ონორეს განსაზღვრებით, შედგება შემდეგი 11 ელემენტისაგან*:

1. ფლობის უფლება, გაგებული როგორც ნივთზე განსაკუთრებული ფიზიკური კონტროლი, ან, როგორც წესი, მისი განსაკუთრებული გამოყენების უფლება;
2. ნივთის გამოყენების უფლება, როცა იგი არ მოიცავს ორ შემდგომ უფლებამოსილებას;
3. მართვის უფლება, ე.ი. უფლება გადაწყვიტოს — როგორ და ვის შეუძლია ნივთის გამოყენება;
4. უფლება შემოსავალზე, ანუ იმ დოვლათზე, რომელსაც იძლევა წინა ორი უფლებამოსილების რეალიზაცია;
5. გასხვისების, მოხმარების, საკუთარი შეხედულებისამებრ ხარჯვის, ნივთის შეცვლის ან მისი განადგურების უფლება;
6. გარანტია ექსპროპრიაციისაგან ან უსაფრთხოების უფლება;

7 ნივთის გადაცემის უფლება;
8. უვადობა;
9 სხვათა საზიანოდ ნივთის გამოყენების აკრძალვა;
10. ნივთის ჩამორთმევის შესაძლებლობა ვალის დასაფარად;
11. ნარჩენი ხასიათი, ე.ი. წესების არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს დარღვეული უფლებამოსილების აღდგენას.

საკუთრების კონკრეტულმა უფლებამ შეიძლება მოიცვას მხოლოდ რამდენიმე აღნიშნული დოკუმენტი, შესაბამისად, ერთსა და იმავე ქონებაზე შეიძლება არსებობდეს საკუთრების რამდენიმე უფლება.[1]

დაბოლოს, *მესამე:* საქონლის გადასვლის წესები *ერთი მონაწილიდან მეორეზე განისაზღვრება ხელშეკრულებით ან საკონტრაქტო სამართლით.* მთელი გზა, რომელსაც საქონელი გაივლის მწარმოებლიდან მომხმარებლისაკენ, ხორციელდება ხელშეკრულების ფორმით. თანაბარუფლებიანი და ნებაყოფლობითი ხელშეკრულება — ბაზრის ცხოვრების ძირითადი პირობაა. ხელშეკრულება, როგორც ადამიანის, ორგანიზაციის ან სახელმწიფოს ნების გამოხატულება საკუთარ თავზე აღებული ვალდებულებების შესრულებისათვის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებაა. ჯერ კიდევ ციცერონი ამბობდა, სამართლის საფუძველი არის სიტყვის და შეთანხმების ერთგულება. საკუთარი ვალდებულების დამრღვევი კარგავს ძირითად საბაზრო მონაპოვარს — ნდობას. ამას ზოგჯერ ივიწყებენ არა მარტო ბაზრის უბრალო მონაწილენი, არამედ თვით სახელმწიფოც, რომელიც სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით აგრეთვე წარმოადგენს მის რიგით მონაწილეს.

ამრიგად, ბაზრის მონაწილეთა, საკუთრების უფლებების და ხელშეკრულების პირობების განსაზღვრა კერძო სამართლის საფუძველს წარმოადგენს.

საერთაშორისო და ეროვნული, კერძო და საჯარო სამართალთა განვითარებს ძირითად ტენდენციებს თანდათანობით

1 Zaphirien G. A. European Business Law. L.. 1970 - P. 11-15.

მივყავართ ერთიანი (გლობალური) სამართლებრივი სისტემის შექმნამდე, რომლის საფუძველზეც იმართება გლობალური ეკონომიკური ურთიერთობები.

ყველაფერი, რითაც სარგებლობს კაცობრიობა, საბოლოო ჯამში წარმოიშობა მზის ენერგიიდან და მიწის ბუნებრივი რესურსებიდან.

მზის ენერგია *კაცობრიობის მნიშვნელოვანი რესურსია.* თუკი დედამიწას არ ექნებოდა ატმოსფერო, მზის სხივები მის ზედაპირს პერპენდიკულარულად დაეცემოდა, მაშინ ყოველ წუთს დედამიწის ზედაპირის 1 სმ^2-ზე მოუწევდა 2 კალორია. ეს ენერგია სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ავწიოთ ეს წიგნი. მზის ენერგია საოცარი ფორმით გარდაიქმნება მცენარეებში ორგანულ ნივთიერებებად, რითაც იკვებებიან ადამიანები და ცხოველები. იგი დაგროვდა ნავთობში და ნახშირში, რომლის გარეშეც ვერ იფუნქციონირებს თანამედროვე ეკონომიკა.

მზის ენერგიის შემდეგ მეორე მნიშვნელოვან ბუნებრივ რესურსს ჰაერი *წარმოადგენს.* ევოლუციის შედეგად წარმოშობილი ატმოსფერო შედგება 21% ჟანგბადისგან და 78% აზოტისგან, ასევე მრავალი სხვა გაზისაგან, რომლებიც შედარებით მცირე მოცულობებითაა, მაგრამ ხშირად თამაშობენ მნიშვნელოვან როლს ცხოვრებაში. მაგალითად, ატმოსფეროში მიზერული, დაახლოებით 0,16%-ის წყლის ორთქლის შემცველობა, ბუნებაში წყლის მიმოქცევას უზრუნველყოფს, რაც ესოდენ აუცილებელია ყოველი ცოცხალი არსებისთვის.

წყალი *მესამე მნიშვნელოვან ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს,* რომელსაც პლანეტის ზედაპირის 71% უკავია. დედამიწის მთელი წყლის 97% არის მსოფლიო ოკეანეში. მისი მოცულობა — 1,338 მლრდ. კმ^3-ია. ჰმელეთის წყლები, წარმოდგენილი მდინარეებით, ტბებით და მიწისქვეშა წყაროებით, შეადგენენ 1%-ზე ცოტათი მეტს, ხოლო ყინულებში დატყვევებულია დარჩენილი წყლის 2%. ამგვა-

რად, წყლის დიდი ნაწილი — მარილიანია, ხოლო მტკნარი წყალი შედარებით მცირეა და ბევრ რეგიონში მის ნაკლებობას განიცდიან. წყალი არის უნივერსალური გამხსნელი, აუცილებელი ყველა ორგანიზმის სიცოცხლისათვის. იგი ფლობს ერთ უნიკალურ მნიშვნელოვან თვისებას. როგორც ცნობილია, თითქმის ყველა ნივთიერების სიმკვრივე იზრდება ტემპერატურის კლებით. ასევე მოსდის წყალსაც, მაგრამ მხოლოდ კრიტიკულ 4^0C-ის ტემპერატურამდე. ტემპერატურის შემდგომი კლებისას წყლის სიმკვრივე კვლავ მცირდება. ამიტომ 4^0C-მდე გაციებული წყალი ეშვება ძირს და ხდება შერევა. წყალს რომ ეს თვისება არ გააჩნდეს, წყალსატევების უმეტესობა ჩრდილოეთის განედებზე ფსკერამდე გაიყინებოდა. ხოლო გამყინვარების პერიოდში იგი საფრთხის ქვეშ დააყენებდა სიცოცხლეს დედამიწაზე.

წყალი დედამიწაზე იმავე როლს ასრულებს, რასაც სისხლი ადამიანის ორგანიზმში. ბუნებაში წყლის წრებრუნვა უზრუნველყოფს ნივთიერებათა ცვლას ოკეანეს, ატმოსფეროს, ნიადაგსა და ცოცხალ ორგანიზმებს შორის. ტყუილად კი არ უწოდა ლეონარდო და ვინჩიმ წყალს „ბუნების მეეტლე“.

ნიადაგი *მნიშვნელოვან ბუნებრის რესურს წარმოადგენს, რადგან უზრუნველყოფს კაცობრიობის საკვებს.* იგი თავისთავად არის მეოთხე, შუალედური, ბუნების ცოცხალ და მინერალურ სამეფოებს შორის. ნაყოფიერი ნიადაგის ფენა შეიცავს დიდი რაოდენობით ცოცხალ მიკროორგანიზმებს, რომლებიც მცენარეთა და ცხოველთა მუდმივად ხრწნადი ნაშთებია გადაქცეული მცენარეთა კვებისათვის ვარგის ფორმებად. ნიადაგის ნაყოფიერება განისაზღვრება მასში არსებული ჰუმუსით — საკვები ნივთიერებების თავისებური „ბანკით“: აზოტით, ფოსფორით, გოგირდით და სხვ. ჰუმუსს აქვს შავი ფერი, რომლითაც იფერება ყველაზე ნაყოფიერი ნიადაგები — შავმიწა ნიადაგები.

ნიადაგი — შეუსებადი რესურსია. შეიძლება მისი კულტივირება, გაუმჯობესება და, ფაქტიურად, ახალი ნიადაგის

შექმნა არანაყოფიერ მიწებზე. ასეთი ნიადაგების რადიკალური გაუმჯობესების მაგალითს წარმოადგენენ დასავლეთევროპული ნიადაგები.

ბუნებრივი რესურსების განხილვისას იშვიათად ახსენებენ ისეთ მნიშვნელოვან რესურსს, *როგორიცაა* მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური მრავალფეროვნება. ახლა პლანეტაზე დაახლოებით მცენარეთა 500 ათასი და 1,9 მლნ. ცხოველთა სახეობა არის, რომელთაგან 1,5 მლნ. მიეკუთვნება ყველაზე მრავალრიცხოვანი მწერების კლასს (ძუძუმწოვართა კლასს მიეკუთვნება მხოლოდ 4300 სახეობა). სახეობრივი მრავალფეროვნება — ეს მნიშვნელოვანი გენეტიკური რესურსია, აგრეთვე, მდგრადობის შეუცვლელი ფაქტორი.

უხეშად რომ ვთქვათ, ეკონომიკის განვითარების *ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს ადამიანი*, როგორც სახეობა. განვითარების რესურსებს შეიცავენ ცივილიზაციის, ეთიკური სისტემების, ინსტიტუტების და ორგანიზაციების სხვადასხვა სახეები. თუმცა თავად ადამიანი — რა თქმა უნდა, ეკონომიკური რესურსია, სხვა დანარჩენი რესურსების მსგავსად, რომელიც გადაადგილდება საბაზრო ძალების გავლენით. მოსახლეობის რაოდენობა სწრაფად იზრდება. მან უკვე მიაღწია 6 მილიარდს, ხოლო 20 წლის შემდეგ შეიძლება გახდეს 10 მილიარდი. ვინაიდან ადამიანი წარმოადგენს არა მარტო რესურსს, არამედ სხვა რესურსების მომხმარებელსაც, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა სხვა რესურსებთან მიმართებაში მრავალი გლობალური პრობლემის ღერძს წარმოადგენს.

ბუნებრივ რესურსებს მიეკუთვნება არა მარტო ჰაერი, წყალი და ნიადაგი, არამედ *მინერალური რესურსებიც*, რომელთაც ხშირად უწოდებენ *სასარგებლო წიაღისეულს*. ეს უკანასკნელი იყოფა რამდენიმე დიდ ჯგუფად. პირველს და მნიშვნელოვანს მიაკუთვნებენ ე. წ. *პირველად* ენერგიაშემცველებს: ნავთობს, გაზს, (ქვა) ნახშირს, ურანს. *მეორე* ჯგუფს შეადგენენ ლითონის მადნები. *მესამეს* შეიძლე-

ბა მივაკუთვნოთ ქიმიური მრეწველობის ნედლეული, ხოლო *მეოთხეს* — წიაღისეული მასალები, რომლებიც გამოიყენება მშენებლობასა და კომუნალურ მეურნეობაში (ქვიშა, ღორღი და ა.შ.).

ადამიანი გარდაქმნის ბუნებრივ რესურსებს თავისთვის აუცილებელ პროდუქტებად და ანაწილებს მათ საბაზრო მექანიზმების საფუძველზე. თავისი ისტორიის განმავლობაში იგი მუდმივად რთავს თავის საქმიანობაში სულ ახალ-ახალ წიაღისეულს. თუკი ჩვენი ერის დამდეგამდე კაცობრიობა გამოიყენებდა დაახლოებით 20 ქიმიურ ელემენტს, XVIII ს-ში კი 30, ახლა იგი 150-ზე მეტია. წარმოებაში პრაქტიკულად ჩართულია ყველა ელემენტი, რაც არსებობს დედამიწის ქერქში.

ბუნებრივი რესურსები წარმოადგენენ ყოველი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის საფუძველს. მიუხედავად ამისა, ქვეყნები, რომლებიც ფლობენ უზარმაზარ ბუნებრივ რესურსებს, ცხოვრობენ ცუდად, ხოლო ზოგიერთი სხვა ქვეყანა, რომელიც თითქმის სავსებით მოკლებულია ბუნებრივ რესურსებს, მაგალითად, იაპონია ან იტალია, კეთილდღეობაშია. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთ *მიზეზს წარმოადგენს წიაღისეულის შედარებით დაბალი საბაზრო ღირებულება.* ამასთან, არსებობს განვითარებული ქვეყნების, ასევე მთელი მსოფლიოს *მშპ-ში პირველადი გადამუშავების წილის შემცირების მდგრადი ტენდენცია.*

ამგვარად, წარმოიშობა პარადოქსი: *ერთი მხრივ, კაცობრიობის მთელი სიმდიდრე, როგორც ჩანს, ყალიბდება ბუნებრივი რესურსების და წიაღისეულის საფუძველზე, ხოლო მეორე მხრივ — ამ წიაღისეულის საბაზრო ფასები ძალზე უმნიშვნელოა და ღირებულების თვალსაზრისით არ შეესაბამება იმ როლს, რომელსაც ისინი ასრულებენ მსოფლიო მშპ-ის ჩამოყალიბებაში.*

წიაღისეულის ესოდენ დაბალი ხვედრითი წილი მომგებიანია განვითარებული ქვეყნებისათვის, რადგან ისინი წარმოადგენენ მათ ძირითად იმპორტიორებს, ხოლო არახელ-

საყრელია განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებიც ძირითადად მათ ექსპორტირებას ეწევიან. ენერგიამატარებლების და ნედლეულის ბაზრებზე მიმდინარეობს გაუთავებელი და სასტიკი ბრძოლა მწარმოებლებს, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ძირითადად განვითარებადი ქვეყნების სახით, და მომხმარებლებს — განვითარებულ ქვეყნებს შორის. განსაკუთრებით ცხარე შეტაკებები მიდის ნავთობის ბაზრებზე, სადაც ექსპორტიორები გაერთიანდნენ ქვეყანა-ექსპორტიორთა კარტელში - ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციაში (OPEC), რომელიც მიზნად ისახავს ექსპორტიორებისათვის ხელსაყრელი ფასების მხარდაჭერას.

თუმცა, როგორც ანგარიშებიდან ჩანს, განვითარებულ ქვეყნებს ძალუძთ ნედლეულზე და ენერგომატარებლებზე ფასების შენარჩუნება ძალიან დაბალ დონეზე, რაც მათთვის ფრიად ხელსაყრელია. ამის მისაღწევად ისინი იყენებენ შეთანხმებული ღონისძიებების კომპლექსს არსებული მარაგების ინტერვენციული გაყიდვის, შეთანხმებული შესყიდვების, ნავთობის და ლითონის ფიუჩერსების და ოპციონების ბაზრებზე გონიერი გავლენის, განვითარებად ქვეყნებზე პირდაპირი ზეწოლის თვალსაზრისით. ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა ქვეყანა-ექსპორტიორისათვის ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების წარდგენის შეთანხმება მის ქცევასთან ნედლეულისა და ენერგია მატარებლების ბაზრებზე.

რატომღაა ენერგეტიკული რესურსების და ნედლეულის ბაზრების გარშემო ამდენი ხმაური, თუკი მათი ხვედრითი წილი შედარებით მცირეა? აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ეს რესურსები და მათი შესაბამისი ბაზრები, ასე ვთქვათ, კვლავწარმოების პირამიდის საფუძველთან არიან. მრეწველობის ყველა სხვა დარგი ემყარება ამ რესურსებს. ისინი იყენებენ და ამუშავებენ მათ, მრავალჯერ ზრდიან რა ნედლეულის საწყის ღირებულებას. გადამმუშავებელი მრეწველობა შეადგენს მეორე, კვლავწარმოების პირამიდის უფრო მძლავრ

და ფართო ფენას. დაბოლოს, ამ პირამიდის წვერზე განლაგებულია მომსახურების და ფინანსური ბაზრები.

ეკონომიკური მსოფლიომოწყობის პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ კვლავწარმოების პირამიდა ფართოვდება ქვემოდან ზემოთ. იგი, ასე ვთქვათ, დგას თავის მწვერვალზე, რომლის სიახლოვესაც განლაგებულია ენერგორესურსების და ნედლეულის ბაზრები, შემდეგ მოდის გადამამუშავებელი მრეწველობის უფრო ფართო ფენა, დაბოლოს, მასზე მრავალჯერ ჭარბი ფინანსური ბაზრები მომსახურების ბაზრებთან ერთად.

თუკი შევადარებთ თანამედროვე წიაღისეულის მოპოვებას მათ საერთო შემცველობას დედამიწის ქერქში, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ჩვენ მიწის წიაღისეული სიმდიდრეების კარი მხოლოდ შევაღეთ, თითქმის ყველა წიაღისეულის მოპოვების მოცულობა (ალბათ, ნავთობის გარდა) ათასჯერ და მილიონჯერ ნაკლებია მიწის ქერქში არსებულ მარაგებზე. თუმცა ყველა საბადოს დამუშავება ეფექტიანად არ შეიძლება თანამედროვე ტექნოლოგიის დონეზეც კი. ასეთი საბადოების მარაგებს სამრეწველოს უწოდებენ. სამრეწველო მარაგების მიმართება ყოველწლიურ მოპოვებასთან ტოლია იმ წლების რიცხვისა, რამდენზეც ეს საკმარისი მარაგები უნდა იყოს.

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა, რა თქმა უნდა, ნავთობის მიხედვით, რომელიც საკმარისი იქნება მხოლოდ 45-50 წელი, შედარებით უკეთაა საქმე გაზთან — იგი უნდა გვეყოს 55 წელზე მეტხანს. შემდეგ მოდის სპილენძი — 60 წელი და ნიკელი — 75. შეშფოთება სხვა წიაღისეულის მარაგებზე, ვფიქრობთ, ნაადრევია. რკინის საბადოები გვეყოფა 200 წელი, ნახშირის კი — 600.

რა თქმა უნდა, ეს შეფასებები მიახლოებითია. ყოველწლიურად იცვლება მოპოვება და, ბუნებრივია, მძლავრ ცვლილებებს ექვემდებარება სამრეწველო მარაგების შეფასებაც. აქ საქმე მარტო წიაღისეულის გეოლოგიურ დაზვერვაში როდი მდგომარეობს, რომელიც მუდამ გვაძლევს აღმოჩენი-

ლი წიაღისეულის ნამატს, არამედ მოპოვების ტექნოლოგიის ცვლილებაში, ასევე, ნედლეულის გამდიდრებასა და გადამუშავებაში. ტექნოლოგიის სრულყოფა საშუალებას იძლევა გადავიყვანოთ სამრეწველოს თანრიგში ის მარაგები, რომელთა გადამუშავება ადრე ძალიან ძვირი და ეკონომიკურად არაეფექტიანი იყო.

რას წარმოადგენს თავისთავად მსოფლიო ენერგეტიკა ათასწლეულების მიჯნაზე? მსოფლიოში ენერგორესურსების მოხმარება მუდმივად იზრდება.

90-იან წლებში ჩამოყალიბდა მსოფლიო სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის (სებ) სტრუქტურა, რომელშიც წამყვან როლს უწინდებურად თამაშობს ნახშირი (33%) და ნავთობი (39%), თუმცა მათი წილი თანდათან კლებულობს (ცხრ. 5.1).

ნავთობის წილის მკვეთრი შემცირება მოხდა 70-იანი წლების ცნობილი ენერგეტიკული კრიზისის შემდეგ. მან პირველად მკვეთრად დააყენა კაცობრიობის წინაშე ენერ-

ცხრილი 6.1.

ენერგომატარებლების
მსოფლიო მოხმარება/წარმოების სტრუქტურა

ენერგომატარებლები	1990	1995	2000	2015*
ნავთობი	39,4/41,8	39,4/40,4	38,0/39,8	35,0/36,1
გაზი	23,7/22,9	23,6/23,1	23,4/23,4	28,1/27,7
ნახშირი	32,0/30,6	31,7/31,2	31,3/31,3	31,2/30,6
ატომური ელ. სადგურები	2,3/2,2	2,3/2,3	2,2/2,3	2,0/2,0
ჰიდრო ელ. სადგურები და სხვა ალტერნატიული წყაროები	2,6/2,5	3,0/2,5	3,3/3,2	3,7/3,6

*წყარო: OPEC — * პროგნოზი*

გორესურსების და მათი საზღვრების ზრდის შეზღუდულობის პრობლემები. ამჟამად საკმაოდ სწრაფად იზრდება ბუნებრივი გაზის (დაახლ. 29% თბოელექტროსადგურები — თეს) მოხმარება, რომელსაც გააჩნია სხვა ენერგოშემცვლელობის წინაშე კონკურენტული უპირატესობანი, აგრეთვე იზრდება ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) და ატომური ელექტროსადგურის (აეს) როლი (დაახლ. 5%). მართალია უკანასკნელნი იყვნენ მნიშვნელოვნად კომპრომეტირებულნი ჩერნობილის კატასტროფით.

სულ მსოფლიოში მოიხმარება დაახლოებით 12 მილიარდი ტონა პირობითი სათბობი, რომელშიც ითვლება ქვანახშირიც. ენერგორესურსების დაახლოებით 40% მიდის ელექტროენერგიის გამომუშავებაზე. მსოფლიოს ელექტროსადგურებს, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა ენერგოწყაროების საფუძველზე, გააჩნიათ საერთო სიმძლავრე 2500 ათასი მვტ და გამოიმუშავებენ დაახლოებით 12 ტრლნ კვტ. სთ/წელში.

ელექტროენერგიის 60%-ზე მეტი გამომუშავდება მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში. რუსეთში, საფრანგეთსა და იტალიაში ელექტროენერგეტიკული სიმძლავრეების ძირითადი ნაწილი ეკუთვნის სახელმწიფოს, აშშ-ში, იაპონიასა და დიდ ბრიტანეთში — კერძო კომპანიებს, ხოლო გერმანიაში, კაპიტალის მიხედვით ძირითად როლს თამაშობენ სახელმწიფო — კერძო კომპანიები.

უმრავლეს განვითარებულ ქვეყანაში შექმნილია ერთიანი ენერგოსისტემები, თუმცა აშშ-ში, კანადაში, ჩინეთსა და ბრაზილიაში ისინი არ არსებობენ.

სულ მსოფლიოში წარმოებული ელექტროენერგიის 63% გამომუშავდება თბოელექტროსადგურებში (თეს), 20% — ჰიდროელექტროსადგურებში (ჰეს) და ატომურელექტროსადგურებში (აეს) 17%. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ჰიდროელექტროსადგურების წილი მნიშვნელოვნად დიდია, მაგალითად შვედეთსა და ეგვიპტეში — 60%, შვეიცარიასა და ახალ ზელანდიაში — 90%, ხოლო ნორვეგიაში — პრაქტიკუ-

ლად 100%. თბოელექტროსადგურებთან შედარებით, ჰიდროელექტროსადგურებს გააჩნიათ მნიშვნელოვნად ხანგრძლივი ექსპლუატაციის ვადები, დაბალი მწარმოებლური დანახარჯები, ენერგიის აკუმულაციის შესაძლებლობა, აგრეთვე, ისინი ეკოლოგიურად სუფთაა. პლანეტაზე ჰიდროენერგეტიკის რესურსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ელექტროენერგიის წარმოების თანამედროვე დონე პერსპექტივაში შეიძლება იქნეს მიღწეული მხოლოდ ჰესების გამოყენებით ძირითადად ლათინური ამერიკის და აფრიკის ქვეყნების არსებული რესურსების ხარჯზე, რომელიც დღეს გამოყენებულია 10 და 5%-ის შესაბამისად.

აეს-ების სიმძლავრე ბოლო ოცი წლის განმავლობაში გაიზარდა 20-ჯერ. ატომური ენერგეტიკის ძირითად უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ ერთი კგ ბირთვული სათბობი (ურანი) შეიცავს იმდენ ენერგიას, რამდენსაც 250 ტონა ნახშირი. მოწინავე ქვეყნები, მიუხედავად „მწვანეთა" გამუდმებული პროტესტისა, ატომური ენერგეტიკის გამოყენებას აფართოებენ, რომლის წილი წარმოებულ ელექტროენერგიაში აჭარბებს 20%-ს. აქ დამაჯერებლად ლიდერობს საფრანგეთი (მთელი ელექტროენერგიის 73%). მას მოსდევს ბელგია (60%), შვეიცია და სამხრეთ კორეა (43% თითოეულზე). რუსეთში აეს-ების წილი შეადგენს სულ 11,8%-ს.

ელექტროენერგიის წარმოებით მსოფლიოში პირველ ადგილზე არის აშშ. რუსეთი ჩამორჩება მხოლოდ აშშ-ს. მისი ელექტროსადგურების ჯამური სიმძლავრე 205 ათასი მეგავატია.

ნავთობი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ საფუძველს წამოადგენს. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ სულ რაღაც 100 წლის წინ მსოფლიო თითქმის სავსებით იოლად გადიოდა უნავთობოდ. ძველი ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური სიმძლავრე ემყარებოდა ნახშირს, რომლითაც სავსე იყო კონტინენტის დასავლეთი ნაწილის წიაღი, ხოლო დიდი ბრიტანეთი კი, პირდაპირი და გადატანითი მნიშ-

ვნელობითაც, დგას ნახშირზე, ტყუილად კი არ უწოდებენ მას „ნახშირის კუნძულს“

მეორე მსოფლიო ომის წინ ნავთობის მოპოვების 9/10 მოდიოდა დასავლეთ ნახევარსფეროზე, ძირითადად აშშ-სა და ვენესუელაზე. ამბობენ, რომ იმ წლებში კუვეიტელი შეიხები ჩავიდნენ აშშ-ში თხოვნით, რომ დახმარებოდნენ მათ არტეზიული ჭაბურღილების გათხრაში აქლემების დასაწყულებლად. მათი სიტყვებით, სადაც კი იწყებდნენ თხრას ღმერთის მიერ მივიწყებულ უდაბნოში, ყველგან მიწიდან იფრქვეოდა საზიზღარი შავი ლაფი. ამერიკელები დათანხმდნენ, დაეხმარნენ კიდეც შეიხებს, და ახლა კუვეიტში წყალიც და სხვა ყველაფერიც წესრიგშია. ამასთან, პირველი მსოფლიო ომისშემდგომი 20 წელი განვითარებული ქვეყნები ახლოაღმოსავლეთის ნავთობს თითქმის უფასოდ ტუმბავდნენ.

პრაქტიკულად თითქმის მთელი ახლოაღმოსავლეთის ნავთობის მაკონტროლებელი საერთაშორისო ნავთობის კარტელი, რომელიც შედგებოდა განვითარებული ქვეყნების შვიდი ტეკ-ისაგან, ისწრაფოდა ნავთობის მოპოვების შემცირებისაკენ და სხვა ენერგოშემცველების გამოდევნის ხარჯზე ბაზრების დაპყრობისაკენ. II მსოფლიო ომის შემდგომი 15 წლის მანძილზე ნავთობის ფასი დაეცა თითქმის 20% და 1960 წ. ჩამოვიდა 1,8 დოლ./ბარელზე. ამის წყალობით 60-იან წლებში ნავთობის ბაზრის გაფართოება მოხდა 2-ჯერ, ხოლო გაყიდვამ 2 მილიარდ ტონას მიაღწია. 70-იან წლებამდე ნავთობზე ფასი იყო მნიშვნელოვნად დაბალი, ვიდრე სხვა ენერგიაშემცველებზე, რამაც ნავთობის სხვა უპირატესობების გამო (დიდი ეფექტიანობით მასის და მოცულობის ერთეულზე, დენადობით, წვის სისწრაფით, ტრანსპორტირების სიიოლით და ა.შ.) ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების სათბობ-ენერგეტიკული ბალანსიდან გამოედევნა სხვა სახის სათბობი. 50-70-იან წლებში იაფი ნავთობის მიწოდებამ საშუალება მისცა ნავთობის მწარმოებელ ქვეყნებს 3-ჯერ გაეზარდათ ენერგიის წარმოება, რითაც მოწინავე

ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის სწრაფი სტიმულირება ხდებოდა.

ქვეყნებმა, სადაც ნავთობის ლომის წილი მოიპოვებოდა და გაჰქონდათ განვითარებულ ქვეყნებში, 1973 წელს მოახდინეს ნავთობის მოპოვების ნაციონალიზაცია და ტეკ-ებმა საერთაშორისო კარტელის საწინააღმდეგოდ შექმნეს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების კარტელი. OPEC-ის მოქმედებამ, რომელიც მიმართული იყო ნავთობზე ფასის აწევისკენ, მიგვიყვანა შოკურ სიტუაციამდე, რომელსაც ეწოდა მსოფლიო ენერგეტიკული კრიზისი. საქმე ის იყო, რომ იმ დროისათვის განვითარებულ ქვეყნებს გაუჩნდათ იაფი ნავთობის მიღების ძლიერი სურვილი და განიცდიდნენ ძლიერ დამოკიდებულებას ენერგორესურსების საგარეო მიწოდებაზე. აშშ ნავთობზე თავისი მოთხოვნილების ნახევარზე მეტს ფარავდა იმპორტის ხარჯზე.

ქვეყანა-ექსპორტიორთა შეთანხმებული მოქმედებების შედეგად ნავთობზე ფასი საკმაოდ სწრაფად გაიზარდა, დაახლოებით 14-ჯერ (40 დოლ./ბარელზე). ნავთობზე ფასების აწევას განვითარებულმა ქვეყნებმა ნავთობის მოხმარების მკვეთრი შემცირებით, ასევე ენერგიადამზოგავ ტექნოლოგიებზე და სხვა ენერგიაშემცველებზე გადასვლით უპასუხეს. ენერგეტიკული კრიზისის შემდეგ განვითარებულ ქვეყნებში გაძლიერდა ინფლაცია, რაც აქ ნავთობის გაძვირების ნიველირებას ახდენდა.

XX ს-ის მთელ ბოლო მეოთხედში მიმდინარეობდა ცხარე ბრძოლები ნავთობის ფასებისათვის. OPEC ცდილობდა მოპოვების და მიწოდების გაკონტროლებას, ხოლო განვითარებული ქვეყნები ფასებზე გავლენას ახდენენ მოთხოვნით, საკუთარი მარაგებით და თავისი საგარეო და ფულადი პოლიტიკით.

ორიენტირებისათვის საჭიროა გვახსოვდეს, რომ *ნავთობის საერთო ყოველწლიური მოპოვება მსოფლიოში შეადგენს დაახლოებით 3,4 მლრდ ტონას და 1,5 მლრდ ტ. ნავთობის ნედლეული მიდის მსოფლიო ბაზარზე. OPEC-ის ქვეყ-*

ნებში ახლა მოიპოვებენ დაახლოებით 1,5 მლრდ. ტონას. ექსპორტის და მოპოვების მოცულობის ცვლილება OPEC-ს ძირითად რესურსს შეადგენს მსოფლიო ნავთობის ბაზრის რეგულირებაში.

რეგულირების მრავალწლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ყველა ქვეყნისათვის მისაღები ფასის მხარდაჭერა ფრიად რთული ამოცანაა. ნავთობზე ფასი ძალიან მგრძნობიარეა ან, როგორც ეკონომისტები ამბობენ, ელასტიკურია მოთხოვნის და მიწოდების მცირე ცვლილებებთან მიმართებაში.

ნავთობის მეგაბაზარი, ისევე როგორც თანამედროვე მეგაბაზრების უმრავლესობა, მაღალი ხარისხით რეაგირებს ახალ ამბებსა და ბაზრის მომავალი განვითარების პროგნოზებზე, ვიდრე მოცემულ მომენტში რეალურად არსებული მოთხოვნის და მიწოდების თანაფარდობაზე.

საკმარისია გავრცელდეს შეტყობინება იმაზე, რომ OPEC-ის ქვეყნებს სურთ საკითხის განხილვა მოპოვების კვოტების გადიდებაზე ან, რომ აშშ აპირებს გაყიდოს ნავთობის თავისი რეზერვების ნაწილი, ფიუჩერსების ფასი და მათთან ერთად სპოტ-ბაზრის ფასები სწრაფად დაიწყებს ხტომას ახალი ამბებით მითითებული მიმართულებით. ბაზრის ათასობით მოდელის ურთიერთმოქმედების შედეგად, რომელიც გამოყენებულია მისი სხვადასხვა მონაწილის მიერ, ხდება ფასების მოძრაობა. ასეთია ფასწარმოქმნის თანამედროვე მექანიზმი მეგაბაზრებზე.

დაბალი ფასების ხანგრძლივი პერიოდის (1998-1999 წწ.) და OPEC-ს ქვეყნების მიერ ნავთობის მოპოვების შემცირების შემდეგ, 2000 წელს ნავთობზე ფასმა აიწია 30 დოლარამდე/ბარელზე. 2006 წელს ეს ფასი გახდა 70 დოლარზე მეტი. ახლა უკვე ქვეყანა-იმპორტიორები საუბრობენ დაუშვებლად მაღალ ფასებზე და ყველა შესაძლებელი საშუალებით ცდილობენ მოპოვების ლიმიტების გაზრდას და ფასების შემცირებას. ისე ჩანს, თითქოს ეს ქვეყანა-ექსპორტიორთა გამარჯვებაა. თუმცა ფასის დინამიკის ანალიზის დროს,

ჩვეულებრივ, არ ხდება დოლარის ინფლაციის გათვალისწინება. ხოლო *თუკი ფასებს გავზომავთ 1973 წ. შესადარ ფასებში, მაშინ აღმოჩნდება, რომ ნავთობის ფასი დარჩა დაახლოებით 2 დოლ. /ბარელის დონეზე.*

განვითარებული ქვეყნების სახელმწიფოები, რომლებიც ნავთობის იმპორტს ეწევიან, ღებულობენ მისგან უფრო მეტ შემოსავალს, ვიდრე ქვეყანა-ექსპორტიორები, მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის მოპოვება იქ ჩვეულებრივ სახელმწიფოს საკუთრებაშია.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში არის კიდევ ერთი სამწუხარო პარადოქსი ნავთობმომპოვებელი ქვეყნებისათვის.

როგორც ცხრილიდან 6.2 ჩანს, უპირველეს ყოვლისა, განლაგებულია განვითარებულ ქვეყნებში ნავთობის გადამუშავების ძირითადი სიმძლავრეები.

ცხრილი 6.2

ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის განთავსება

რეგიონები	ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების რაოდენობა	სიმძლავრე (წელიწადის ბოლოს) მლნ ტ.	ქარხნის საშუალო სიმძლავრე, მლნ ტ.
ჩრდილოეთ ამერიკა	198	936	4,8
დასავლეთ ევროპა	113	708	6,3
აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი	138	740	5,4
აღმოსავლეთ ევროპა და დსთ	95	637	6,8
ლათინური ამერიკა	74	295	4,0
ახლო და შუა აღმოსავლეთი	42	266	6,3
აფრიკა	45	1413	3,43
სულ მთელ მსოფლიოში	705	3723	5,3

ნავთობის გადამუშავებას განვითარებული ქვეყნებისათვის მოაქვს მნიშვნელოვანი შემოსავალი. გარდა ამისა, განვითარებული ქვეყნების სახელმწიფოები იღებენ მნიშვნელოვან შემოსავლებს ნავთობპროდუქტების აქციზებიდან. მხოლოდ აქციზები ხშირად აჭარბებენ ქვეყანა-ექსპორტიორთა შემოსავლებს.

ნავთობზე ფასი წარმოადგენს მნიშვნელოვან მაჩვენებელს, რომელიც გავლენას ახდენს ყველა სანედლეულო საქონელზე. *თუკი თვალს გავადევნებთ ფასების მრავალწლიან დინამიკას გაზზე, ლითონების საბადოებზე, თავად ლითონებზე, მარცვლეულსა და თვით ოქროზეც კი, მაშინ აღმოჩნდება, რომ ირიბი ფასების ქცევა, მათი აღმასვლა და ვარდნა ძირითადად ემთხვევა ნავთობის ფასების დინამიკას. როგორც აღმოჩნდა, ეს ფასები არსებითად დაკავშირებულია ერთმანეთთან ან, სტატისტიკის ენაზე რომ ვთქვათ, კორელაციურ კავშირშია.*

ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში ფასების დინამიკა ბევრად იქნება დამოკიდებული ნავთობის მარაგებსა და მის ამოწურვაზე. *ნავთობის უტყუარი მარაგი შეფასებულია 140 მლრდ ტონად, ამასთან, ამ მარაგის თითქმის 80% არის OPEC-ს ქვეყნების წიაღში.* ნავთობის ყველაზე მეტი მარაგი თავმოყრილია საუდის არაბეთში (90 მლრდ. ტ.). მას მოსდევს ირანი და კუვეიტი (12 მლრდ. ტ თითოეულს) და ა. შ. რუსეთის წილად მოდის დაახლოებით მსოფლიო მარაგის 5%, რაც საკმაოდ მოკრძალებულია ესოდენ ვრცელი ტერიტორიისათვის. იმ დროს, როცა სსრკ-ის წილად 1990 წელს მოდიოდა ნავთობის მსოფლიო მოპოვების 20% (581 მლნ. ტ, აქედან რუსეთის ფედერაციის წილად — 510 მლნ. ტ).

ნავთობის მსოფლიო დღიური მოპოვება 2002 წლის 77 მილიონ ბარელიდან დღესდღეობით 82 მილიონამდე გაიზარდა. აშშ-ის ნავთობის ბროკერები აცხადებენ, რომ ნავთობის ბაზარი „შფოთის კედელთანაა მიმწყვდეული". გლობალური მოთხოვნა, გეოპოლიტიკური არეულობები და ბუნებრივი სტიქიური მოვლენები ამ მდგომარეობას ამძაფ-

რებს. 2005 წელთან შედარებით 2006 წელს გადაუმუშავებელი ნავთობის ფასი 30%-ით არის მომატებული, ბენზინზე მოთხოვნაც ზრდას განაგრძობს.

ექსპერტთა აზრით, ნავთობის მოპოვება 2015 წელს 89-მდე გაიზრდება და 2010 წელს 100 მილიონ ბარელს მიაღწევს (იხ. ცხრილი 6.3.).

ანალოგიურად გაიზრდება მოხმარებაც (იხ. ცხრილი 6.4.).

ყველა ამ მონაცემიდან ნათელია: მარაგები იწურება ჩრდილოეთ ევროპაში, ამერიკასა და რუსეთის დიდ ნაწილში,

ცხრილი 6.3.

ნავთობის მოპოვება
(მლნ. ბარელი დღეში)

ქვეყნები და რეგიონები	2002	2005	2010*	2015*	2020*	2025*
აშშ და კანადა	10,9	11,1	10,9	10,9	10,8	10,7
მექსიკა	3,6	3,8	3,9	4,0	4,0	3,8
დასავლეთ ევროპა	6,6	6,5	5,8	5,0	4,3	3,7
წყნარი ოკეანის რეგიონი	0,8	0,7	0,8	1,0	1,0	1,0
ლათინური ამერიკა	3,9	4,2	5,1	5,6	6,0	6,2
აზია	2,3	2,5	2,5	2,4	2,2	2,0
ჩინეთი	3,4	3,4	3,6	3,8	3,8	3,6
რუსეთი	7,6	9,3	10,4	10,9	11,1	11,1
ყოფილი სსრკ-ს ქვეყნები რუსეთის გარეშე	1,7	2,0	2,9	3,7	4,1	4,5
OPEC-ის ქვეყნები	29,2	29,7	34,1	40,6	48,9	58,3
მთლიანად მსოფლიო	77,0	81,0	88,7	97,1	105,8	114,6

*წყარო: OPEC — * პროგნოზი*

ცხრილი 6.4.

ნავთობის მოხმარება
(მლნ. ბარელი დღეში)

ქვეყნები და რეგიონები	2002	2005	2010*	2015*	2020*	2025*
ჩრდილოეთ ამერიკა	24,2	25,0	26,1	27,2	28,3	29,4
დასავლეთ ევროპა	15,1	15,4	15,9	16,3	16,6	16,8
წყნარი ოკეანის რეგიონი	8,5	8,8	9,2	9,4	9,5	9,6
ლათინური ამერიკა	3,2	3,3	3,8	4,4	5,1	5,7
ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა	1,7	1,9	2,1	2,5	2,8	3,2
სამხრეთ აზია	2,6	3,1	4,1	5,5	7,1	9,1
სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია	3,2	3,4	4,1	5,0	5,7	6,5
ჩინეთი	5,0	6,0	7,6	9,4	11,4	13,5
OPEC-ის ქვეყნები	6,2	6,5	7,3	8,1	9,0	9,9
ყოფილი სსრკ-ს ქვეყნები	3,8	4,1	4,4	4,7	5,0	5,2
დანარჩენი	3,1	3,5	4,1	4,6	5,3	5,7
მთლიანად მსოფლიო	77	81	88,7	97,1	105,8	114,6

*წყარო: OPEC — * პროგნოზი*

ხოლო მზარდი ოდენობით რჩება ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკის ზოგიერთ რეგიონში (იხ. ცხრილი 6.5.).

ნავთობის მოცულობითი თვალსაზრისით შემდგომი მნიშვნელოვანი რეგიონებია: შუა აზია, თურქმენეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და მათ შორის საქართველო, რომლებიც წარმოადგენენ მნიშვნელოვან სატრანსპორტო დერეფნებს დასავლეთის ენერგო უსაფრთხოებისთვის.

ცხრილი 6.5.

ნავთობის უმსხვილესი მარაგები

(მლრდ. ბარელი)

ქვეყნები	გადაუმუშავებელი ნავთობი	პროცენტულად მთლიან მოცულობასთან
საუდის არაბეთი	263	22,1 %
ირანი	133	11,2 %
ერაყი	115	9,7 %
ქუვეითი	99	8,3 %
არაბ. გაერთ. საემიროები	97	8,2 %
რუსეთი	77	6,5 %
ვენესუელა	77	6,5 %
ყაზახეთი	40	3,3 %
ლიბია	39	3,3 %
ნიგერია	35	3,0 %
აშშ	29	2,5 %
ჩინეთი	17	1,4 %
კანადა	17	1,4 %
ყატარი	15	1,3 %
მექსიკა	15	1,2 %
ალჟირი	12	1,0 %
ბრაზილია	11	0,9 %
ნორვეგია	10	0,8 %
ანგოლა	9	0,7 %
აზერბაიჯანი	7	0,6 %
ინდოეთი	6	0,5 %
ინდონეზია	5	0,4 %
მალაიზია	4	0,4 %
ავსტრალია	4	0,3 %
ეგვიპტე	4	0,3 %
ვიეტნამი	3	0,3 %
უზბეკეთი	1	0,1 %
თურქმენეთი	1	0,1 %
დანარჩენი	45,8	3,9 %
მთლიანად მსოფლიო	1188,60	100,0%
ოპეკის ქვეყნები	889,6	74,8 %
რუსეთი და დსთ-ს ქვეყნები	124,9	10,5 %

წყარო: BP

ახლა განვიხილოთ შემდგომი მნიშვნელოვან და ძალიან პერსპექტიულ ენერგოშემცველი — ბაზი. ბოლო 200 წლის მანძილზე ენერგიამატარებლებში გაბატონებული ადგილი თანმიმდევრობით ეკავა ხე-ტყეს, ნახშირს, ნავთობს და ბუნებრივ გაზს. ეკონომიკურ ევოლუციაში „გრძელი ტალღების" ანალიზის საფუძველზე მეცნიერთა გაკეთებული პროგნოზები ამტკიცებენ, რომ გაზის ეპოქა მხოლოდ იწყება და მისი წილი მაქსიმუმს პლანეტის ენერგობალანსში დაახლოებით 2030 წელს მიაღწევს.

ბუნებრივი გაზის მსოფლიო მოპოვება დაახლოებით 2,3 ტრლნ მ³-ს შეადგენს. რუსეთი უზრუნველყოფს საერთო — მსოფლიო მოცულობის ≈ 25%-ს, ხოლო აშშ — 23%-ს. მათ მოსდევს კანადა (6,7%), ნიდერლანდები (3,6%), დიდი ბრიტანეთი (3%), ინდონეზია (2,8%) და ალჟირი (2,5%). ყველა ეს სახელმწიფოები წარმოადეგნენ გაზის უმსხვილეს ექსპორტიორებს, რომლის დიდი ნაწილის ტრანსპორტირება ხდება გაზსადენებით (75%), ხოლო დაახლოებით 25% — თხევადი სახით.

ექსპორტზე მოდის მოპოვებული გაზის დაახლოებით 15%, ამასთან ექსპორტის 30%-ს ახორციელებს რუსეთი.

მსოფლიოში დაახლოებით 1 მლნ. კმ გაზგამტარი მაგისტრალია. უმსხვილესი სახელმწიფოთაშორისო გაზსადენებია კანადის პროვინცია ალბერტას და აშშ-ს შორის, ჰოლანდიის საბადო გრონინგენიდან გერმანიის, შვეიცარიის გავლით იტალიაში, ალჟირი-ტუნისი—იტალია, მთელი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, გერმანია, იტალია, შვეიცარია და ფინეთი რუსეთის გაზით მარაგდება გაზსადენების მეშვეობით. *რუსეთი წარმოადგენს ყველაზე მსხვილ სახელმწიფოს, რომელიც გაზის მარაგის თითქმის 40%-ს ფლობს.* ახლო და საშუალო აღმოსავლეთის ქვეყნების წილი შეადგენს აგრეთვე დაახლოებით 40%-ს, ჩრდილოეთ ამერიკის — 5%-ს და დასავლეთ ევროპის — 4%-ს. (იხ. ცხრილები 6.6, 6.7, 8.8.).

ცხრილი 6.6.

ბუნებრივი აირის მოპოვება რეგიონების მიხედვით
(2006 წლის 1 იანვრისათვის)

ქვეყნები და რეგიონები	მოპოვება მლრდ. მ^3	პროცენტული წილი
ჩრდილოეთ ამერიკა	756,0	26,9 %
რუსეთი	632,7	22,5 %
მათ შორის „გაზპრომი"	545,1	19,4 %
აზია — წყნარი ოკეანის რეგიონი	491,0	17,5 %
ევროპა	362,8	12,9 %
ახლო აღმოსავლეთი	278,6	9,9 %
აფრიკა	155,0	5,5 %
სამხრეთ ამერიკა	131,0	4,7 %
სულ	2807,1	100 %

ცხრილი 6.7.

ბუნებრივი აირის მოხმარება
(მლნ ტონა პირობითი საწვავი ნავთობზე გაანგარიშებით)

ქვეყნები და რეგიონები	2000	2010*	2020*	2025*
ჩრდილოეთ ამერიკა	652,8	709,9	835,2	908,7
დასავლეთ ევროპა	384,5	444,9	502,0	531,2
წყნარი ოკეანის რეგიონი	106,1	136,3	167,7	182,1
OPEC-ის ქვეყნები	234,1	385,0	609,5	766,1
ყოფილი სსრკ-ს ქვეყნები	28,1	47,9	72,0	86,3
ჩინეთი	471,0	663,1	873,7	900,9
დანარჩენი	224,0	413,0	748,0	987,7
მთლიანად მსოფლიო	2100,60	2800,10	3808,10	4453,00

*წყარო: OPEC — * პროგნოზი*

ცხრილი 6.8.

ბუნებრივი აირის მარაგები ქვეყნების მიხედვით
(2006 წლის 1 იანვრისათვის)

ქვეყნები	მარაგი მლრდ. მ^3	პროცენტული წილი
სულ	173092	100,0
რუსეთი	47578	27,5
ირანი	27499	15,9
ყატარი	25800	14,9
საუდის არაბეთი	6825	3,9
არაბ. გაერთ. ემირატები	6060	3,5
აშშ	5466	3,1
ნიგერია	5239	3,0
ალჟირი	4560	2,6
ვენესუელა	4276	2,5
ერაყი	3172	1,8
ინდონეზია	2775	1,6
ნორვეგია	2379	1,4
მალაიზია	2124	1,2
თურქმენეთი	2011	1,2
უზბეკეთი	1869	1,1
ყაზახეთი	1841	1,1
ჰოლანდია	1756	1,0
ეგვიპტე	1671	1,0
კანადა	1614	0,9
კუვეიტი	1586	0,9
დანარჩენი მსოფლიო	17049	9,8

წყარო: "World wide Look at Reserves and Production", Oil & GasJournal, Vol.103. No.47 (December 19,2005), pp.24-25

თხევადი გაზის უმსხვილესი მიმწოდებლები არის ინდონეზია, ალჟირი, მალაიზია და ბრუნეი, ხოლო იაპონია იყენებს თხევადი გაზის 66%-ს.

ენერგეტიკის წარსული და, როგორც ჩანს, არცთუ ისე შორეული მომავალი დაკავშირებულია ნახშირთან, რომლის მარაგი დედამიწაზე უზარმაზარია. მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ის აჭარბებს 20 ტრლნ. ტონას. ეს 10-ჯერ მეტია, ვიდრე ნავთობის და გაზის პოტენციური მარაგი ყველაზე ოპტიმისტურ შეფასებებშიც კი. პლანეტაზე თითქმის 3 ათასი ნახშირის აუზია. ლიდერობა ეკუთვნის ციმბირში ტუნგუსის აუზს (2 ტრლნ ტ), მას მოსდევს ლენის (1,5 ტრლნ ტ.). აღმოჩენილი ნახშირის მარაგები შეადგენს 1,6 ტრლნ. ტ-ს.

ნახშირი წარმოიქმნა ძველ მცენარეთა ხრწნის შედეგად. ამ მცენარეების ორგანული ნივთიერებების თანდათანობითი გარდაქმნა იძლევა საწვავი წიაღისეულის უწყვეტ სპექტრს: ტორფს, მურა ნახშირს, ქვანახშირს, ანტრაციტს, გრაფიტს. წიაღისეული ნახშირის 2/3, რომელიც მსოფლიოში მოიპოვება, მოდის ქვანახშირზე, ხოლო 1/3 — მურა ნახშირზე.

ნახშირის მოპოვება თანდათანობით მცირდება და ახლა მცირედით აჭარბებს 4 მლრდ. ტონას. ნახშირის მოპოვებაში დამაჯერებლად ლიდერობს ჩინეთი (28%). მას მოსდევს აშშ (22%), შემდგომ დიდი ჩამორჩენით — რუსეთი, გერმანია და ინდოეთი, რომლებიც მოიპოვებენ დაახლოებით 5-6%-ს. ექსპორტზე მოდის მოპოვებული ნახშირის დაახლოებით 9%, რომელიც ექსპორტირდება ავსტრალიიდან, აშშ-დან, სარ-იდან და სხვა ქვეყნებიდან.

ნახშირი განსხვავდება ნავთობისაგან წყალბადის ნაკლები შემცველობით (ნავთობში დაახლ. 14%, ხოლო ნახშირში — 5%). უკვე ფართოდ გამოიყენება ნახშირიდან ხელოვნური ნავთობის მიღების ტექნოლოგია მისი წყალბადით გაჯერების გზით (ჰიდროგენიზაცია). ამგვარი ტექნოლოგიის წყალობით სარ-ში იწარმოება უკვე 10 მლნ ტ. ნავთობი. ამას-

თან 1კგ ნავთობის მისაღებად საჭიროა 3 კგ. ნახშირი. ნახშირის უზარმაზარი მარაგის გათვალისწინებით, შემდგომ პერსპექტივაში, შესაძლოა ველოდოთ ენერგეტიკაში ამ გამოცდილ სათბობთან დაბრუნებას და მისი მოპოვების არხების გაზრდას.

მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა და დროებითი წარუმატებლობისა, მომავალში გაიზრდება ატომური ენერგეტიკის წილი. ურანის მარაგები ძალზე დიდია. შეიარაღების დევნის შემცირებასთან დაკავშირებით შეიძლება გამოთავისუფლდეს უკვე გამდიდრებული სათბობის უზარმაზარი მარაგი. თუმცა ატომური ენერგიის თვითღირებულება, ნარჩენების უტილიზაციის და ნამუშევარი ენერგეტიკული ბლოკების დემონტაჟის დანახარჯების გათვალისწინებით, ჯერ კიდევ დიდია. გარდა ამისა, ჩერნობილის აეს-ის კატასტროფის შემდეგ საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი ატომური ელსადგურების უსაფრთხოების მიმართ. ამიტომ საჭიროა ატომური სათბობის ახალი ეკონომიკური და უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენების შემუშავება.

ლითონები იყო და რჩება ძირითად მასალად წარმოების უმრავლეს სფეროში. მათი როლი კაცობრიობის ისტორიაში იმდენად დიდია, რომ მთელი ეპოქები იყო წოდებული ლითონების სახელების მიხედვით, რაც ცივილიზაციის განვითარების ეტაპებს განსაზღვრავდა — „ბრინჯაოს“, „რკინის“, აგრეთვე ლეგენდარული და აუხდენელი „ოქროს“ საუკუნე.

XX ს-ის დასაწყისში შავი მეტალურგიის განვითარება სამრეწველო აყვავების ცალსახა ინდიკატორი იყო; ლითონის მსოფლიო გამოდნობის 80%-მა კონცენტრირებულია რამდენიმე ქვეყანაში — აშშ-ში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და ბელგია-ლუქსემბურგში.

ამ ასწლეულის განმავლობაში მრეწველობის მოცემული დარგის გეოგრაფია მნიშვნელოვნად შეიცვალა. უმრავლეს განვითარებულ და მრავალ განვითარებად ქვეყანაში შავი ლითონის წარმოება ბევრჯერ გაიზარდა. მსოფლიო თუჯის (დაახლ. 560 მლნ. ტ.) და ფოლადის (დაახლ. 800 მლნ. ტ.)

გამოდნობამ მაქსიმუმს მიაღწია 1989 წ-ს, რომლის შემდეგაც იგი შემცირდა თითქმის 10%-ით.

ძირითადი ამოსავალი ნედლეულით, რისგანაც მიიღება შავი ლითონი — რკინის მადანით - ყველაზე მეტად მდიდარია ბრაზილია, ავსტრალია, კანადა და დსთ-ის ქვეყნები (მათ შორის რუსეთი). მსხვილ მარაგებს ფლობენ, აგრეთვე, ინდოეთი, აშშ, შვეცია, საფრანგეთი, ვენესუელა, სარ. რკინის მადნების მსოფლიო მარაგები შეფასებულია დაახლოებით 400 მლრდ. ტონად.

80-იანი წლების ბოლოდან რკინის მადნების მოპოვება მიმდინარეობს 1 მლრდ ტ/წელიწ. დონეზე (90-იან წლებში: დსთ ქვეყნებში — 250 მლნ ტ., ბრაზილიაში — 145, ჩინეთში — 105, ავსტრალიაში — 96, აშშ-ში — 58, ინდოეთში — 52). მსოფლიოში რკინის მადნის უმსხვილეს ექსპორტიორებს წარმოადგენენ ბრაზილია (125 მლნ ტ), ავსტრალია (100 მლნ ტ-ზე მეტი), კანადა (30-45 მლნ ტ) და დსთ-ის ქვეყნები. ძირითადი იმპორტიორები რკინის მადანის ნედლეულისა არიან — იაპონია (150 მლნ ტ-მდე წელიწადში), გერმანია და აშშ.

რკინის მადნის თითქმის მთელ მეგაბაზარს (90-95%) რამდენიმე ტრანსეროვნული კორპორაცია აკონტროლებს.

სულ მსოფლიოში იწარმოება დაახლოებით 750 მლნ. ტ. ფოლადი. გამოდნობის სწრაფი ზრდა შეჩერდა. ეკონომიკის ლითონტევადობა მუდმივად მცირდება და ფოლადს ავიწროებს სხვა ახალი მასალა.

შავი ლითონების წარმოების ჭარბი წილი, ისევე როგორც ადრე, თავმოყრილია განვითარებულ ქვეყნებში. ბოლო დრომდე პირველი ადგილები შავი ლითონების წარმოებაში ეკავა სსრკ-ს და აშშ-ს. თუმცა ახლა ლიდერობენ ჩინეთი და იაპონია, დაახლოებით 110 მლნ ტ-ის წარმოებით თითოეულზე. მესამე ადგილზეა აშშ (79 მლნ. ტ.). რუსეთი რჩება მეოთხე ადგილზე მსოფლიოში. დასავლეთ ევროპაში ყველაზე მსხვილი მწარმოებლები არიან გერმანია, იტალია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი.

ბოლო წლებში შავი მეტალურგია განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით ვითარდება ჩინეთში, ბრაზილიასა და სამხრეთ კორეაში. ფოლადის გამოდნობა ჩინეთში ბოლო 50 წლის მანძილზე გაიზარდა 40-ჯერ მეტად და გამოვიდა მსოფლიოში პირველ ადგილზე. ბრაზილიამ გაუსწრო დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს. სამხრეთ კორეა გაუთანაბრდა გერმანიას ფოლადის გამოდნობით.

არსებითად შეიცვალა წარმოების გეოგრაფია: იაპონიის და სამხრეთ კორეის სანაპიროებზე, რომელთაც პრაქტიკულად არ გააჩნიათ საკუთარი სანედლეულო რესურსები, განლაგებულია შავი მეტალურგიის მთელი სიმძლავრის 80%. მკაფიოდ გამოხატულია პირველადი წარმოების გადატანა დასავლეთ ევროპის ზღვისპირა ცენტრებისა და აშშ-სკენ. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და იაპონიაში ძირითადად უარყოფილია ცნობილი მარტენები და მთელი ფოლადის 75%-ზე მეტი გამოდნობილია ჟანგბად-კონვერტორული მეთოდით.

შავი მეტალურგიის საბოლოო პროდუქტის წარმოება, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებულია შიდა ბაზრების სპეციფიკაზე. მაგალითად, აშშ-ში ტრადიციულად დიდია თხელფურცლიანი გლინვის წილი, რომელსაც იყენებენ საავტომობილო მრეწველობაში და საყოფაცხოვრებო აპარატურის წარმოებაში (მაცივრების, კონდიციონერების და ა.შ.), ხოლო იაპონიაში — საშუალო და მსხვილფურცლიანი გლინვა, რასაც იყენებენ გემთმშენებლობაში.

მსოფლიოში უმსხვილესი ექსპორტიორები გახდნენ (ძირითადად გლინვის და მილების სახით) იაპონია, გერმანია, ბენილუქსის ქვეყნები, იტალია, დიდი ბრიტანეთი და სამხრეთ კორეა.

რუსეთის შავ მეტალურგიაში დღეს ფუნქციონირებს დაახლოებით 200 კომპანია. დარგის ტექნოლოგიური ჯაჭვი მოიცავს სამთომომპოვებელ მრეწველობას, საკუთრივ მეტალურგიას, რომელიც ახორციელებს ძირითადად მეტალურგიულ გადანაწილებას: თუჯი — ფოლადი — გლინვა (რელსები, ფურცელი და ა.შ.) და მილის მწარმოებელ ქარხნებს.

თანამდევ წარმოებებს წარმოადგენენ მრეწველობის ქიმიური, ფეროშენადნობის, ლითონის ნაწარმისა და ცეცხლგამძლე დარგები.

რუსეთი უზრუნველყოფილია შავი მეტალურგიისათვის აუცილებელი ნედლეულით (გარდა მარგანეცის მადნებისა, რომელიც არის უკრაინაში, ყაზახეთსა და საქართველოში). ნაძიები შავი მეტალურგიის მარაგები შეფასებულია მიახლოებით 2 ტრლნ დოლარად. ამასთან, მდიდარი მადნები ძირითადად შეიცავს 60%-მდე რკინას და ისინი გამდიდრებას არ საჭიროებენ, თუმცა კვლავ გრძელდება დამუშავება და არის რკინის ღარიბი საბადოები 20-30%-იანი შემცველობით.

XX ს-ის მეორე ნახევარში განვითარება დაიწყო ფერადმა მეტალურგიამ, რომელმაც ნაწილობრივ შეზღუდა შავი მეტალურგია. ტექნოლოგიური პროცესის სტადიების მიხედვით ფერადი მეტალურგია აერთიანებს მოპოვებას და ნედლეულის გამდიდრებას, აგრეთვე ფერადი ლითონების და შენადნობების გამოდნობას. მძიმე ლითონების მადნები გამოირჩევა მადნებში ლითონის დაბალი შემცველობით (1 ტ სპილენძის მისაღებად საჭიროა დაახლოებით 100 ტ. მადანი; 1 ტ. კალის მისაღებად საჭიროა - 300 ტ-ზე მეტი მადანი). 70-იანი წლებიდან ზრდა დაიწყო მეორადი ნედლეულის მნიშვნელობამ (გადადნობის შედეგად იწარმოება 1/5 კალა, 1/4 ალუმინი და თუთია, 2/5-მდე სპილენძი, 1/2 ტყვია). აგრეთვე ძლიერდება მომხმარებელზე ორიენტაცია.

დღეს ფერადი მეტალურგია აწარმოებს 70-მდე სხვადასხვა სახის ლითონს, თუმცა წარმოებული ლითონის მასის 96% მოდის ალუმინზე, სპილენძზე, თუთიასა და ტყვიაზე. ყველა 70 ლითონის სრულ ნაკრებს აწარმოებს მხოლოდ რუსეთი, აშშ, იაპონია და გფრ.

მსოფლიოში გამომუშავდება 20-22 მლნ. ტ ალუმინი ჩამოყალიბებული კონიუნქტურის მიხედვით. ალუმინის გამოყენების ძირითადი სფეროებია ტრანსპორტი (27%), მშენებლობა (27%), ტარის დამზადება (19%), საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოება (10%).

ალუმინის წარმოების პირველი სტადია — ბოქსიტების მოპოვება — ორიენტირებულია ავსტრალიის, გვინეის და იამაიკის მდიდარ საბადოებზე. ავსტრალია ყველა ბოქსიტის თითქმის ნახევარს იძლევა (45 მლნ ტ), ერთ მესამედს მოიპოვებს გვინეა (17 მლნ. ტ.), იამაიკა (11 ტ.) და ბრაზილია (10ტ.). ბოქსიტები იმ ქარხნებში გარდაიქმნება ალუმინის ოქსიდად, რომლებიც იყენებენ მინერალურ სათბობს. ოქსიდის თითქმის ნახევარი, რომელსაც დასავლეთ ევროპაში იყენებენ, იწარმოება ორ ქარხანა-გიგანტში ირლანდიასა (ჩრდილოეთ ევროპის ალუმინის ქარხნებისათვის) და სარდინიაში (სამხრეთ ევროპისათვის). შემდგომი სტადია — ელექტროლიზი — საჭიროებს ენერგიის უზარმაზარ დანახარჯებს, ამიტომ ალუმინის ქარხნები განლაგებულია იაფი ენერგიის მქონე ტერიტორიებზე. ალუმინის წამყვანი მწარმოებლები მსოფლიოში არიან რუსეთი, აშშ, იაპონია, კანადა და გერმანია.

ალუმინის ყველაზე დაბალი თვითღირებულება შეინიშნება კანადაში (1120 დოლ. /ტ.), ავსტრალიაში (1154) და საფრანგეთში (1232).

სულ მსოფლიოში დაახლოებით 10 მლნ ტ *სპილენძის* გამოდნობა ხდება. სპილენძის მსხვილი მარაგები თავმოყრილია ჩილეში, ზიმბაბვეში, ზამბიაში, ზაირში, პერუში (განვითარებული ქვეყნებიდან აშშ-ში, დსთ-ში და კანადაში). შავი სპილენძის გამოდნობა წარმოებს აშშ-ში, ჩილეში, იაპონიაში, ზამბიაში, ზაირსა და კანადაში. რაფინირებული სპილენძის მწარმოებლები არიან რუსეთი, აშშ, იაპონია, ჩილე, კანადა, ბელგია.

ისევე როგორც ნედლეულის უმრავლეს დარგში, სპილენძის კონცენტრატები მოიპოვება ძირითადად განვითარებად ქვეყნებში. რუსეთი და აფრიკა ამარაგებენ ევროპის სპილენძსადნობ წარმოებას. ჩილე და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნები ორიენტირებულნი არიან აშშ-ზე, ხოლო სპილენძის კონცენტრატით მდიდარი ახალი გვინეა და წყნარი ოკიანის აუზის ქვეყნები — იაპონიაზე.

სპილენძმომპოვებელ ტეკ-ებს გააჩნია დიდი ფინანსური ბრუნვა, ვიდრე სპილენძით ყველაზე მდიდარ ქვეყნებს, მაგალითად, ჩილეს. სპილენძის საბადოების ნაციონალიზაციის მცდელობა ზაირსა (1960 წ.) და ჩილეში (1973 წ.), რომელთაც ერთობლივად ჰქონდათ სპილენძის მარაგის დახლოებით 50%, დამთავრდა ამის მსურველი მთავრობების და მათ ლიდერების — პატრის ლულუმბას და სალვადორ ალიენდეს — დაღუპვით.

განხეთქილება ლითონის მომპოვებელ და მწარმოებელ ქვეყნებს შორის კარგად შეინიშნება *ტყვიის* გამოდნობის მაგალითზეც. ტყვიის მადნის მოპოვება ხდება რუსეთში, ავსტრალიაში, აშშ-ში, კანადაში, პერუში, მექსიკაში. ლითონის ყველაზე მსხვილ მწარმოებლებს შორის არ არის არცერთი განვითარებადი ქვეყანა — დომინირებენ აშშ, რუსეთი და დასავლეთ ევროპის ქვეყნები.

ფასებმა ტყვიაზე 1985 წლამდე აიწია, როცა მათ მიაღწიეს 1000 დოლ/ტ-ზე. თუმცა ბოლო წლებში ეკოლოგიური შეზღუდვების და მოთხოვნების გავლენის შედეგად ტყვიის მოხმარება მცირდება და ფასი მასზე ეცემა. ტყვიის მრავალი საბადო არარენტაბელური ხდება და იხურება.

ეკოლოგიურმა მოთხოვნებმა უკუზეგავლენა მოახდინეს *თუთიის* ბაზარზე. აღმოჩნდა, რომ იგი პრაქტიკულად არატოქსიკურია და მოთხოვნა მასზე ბოლო 10 წლის მანძილზე სწრაფად იზრდება. ამასთან დაკავშირებით, ფასი გაიზარდა 700-დან 1400 დოლარამდე/ტონაზე. თუმცა ირლანდიაში ახლახან გახსნილ და აქტიურად დამუშავებად თუთიის უზარმაზარ საბადოებს შეუძლიათ არსებითი გავლენა მოახდინონ ბაზარზე.

თუკი ზემოთ დასახელებული ფერადი ლითონების წარმოება გამოითვლება მილიონ ტონებში, *ნიკელის, კალის, მაგნიუმის — 100-დან 500 ათას ტონამდე,* კიდევ უფრო მცირე რაოდენობით გამომუშავდება იშვიათი ლითონები — 10 ათასი ტონიდან (ვოლფრამი) ათეულობით ტონამდე (გერმანიუმი).

ფერადი ლითონების მადნების მეგაბაზრებს გააჩნიათ მკაფიოდ გამოხატული ოლიგოპოლიური სტრუქტურა, როცა სამი-ხუთი ტექ მეგაბაზრის სამ-მეოთხედს და მეტს აკონტროლებს.

სპილენძის, კალის და ბოქსიტების მეგაბაზრებზე პირველ ხუთ ტექ-ს ყველაზე დიდი წილი (80%-ზე მეტი) აქვს.

რუსეთს ფერადი ლითონების უმდიდრესი მადნების მარაგები გააჩნია. იგი ფლობს მნიშვნელოვან საწარმოო სიმძლავრეებს, რომელიც ერგო მემკვიდრეობით მას სსრკ-დან, რომელიც მრავალი ფერადი ლითონის მოპოვებით 80-იანი წლების ბოლოს მსოფლიოში ლიდერთა რიცხვში იყო. (ტყვიის მოპოვებით — პირველ ადგილზე, უსწრებდა რა კანადას, აშშ-სა და ავსტრალიას; ოქროს მოპოვებით — მეორე ადგილზე სარ-ის შემდეგ; თუთიის მოპოვებით — მეორეზე კანადის შემდეგ; ვერცხლის მოპოვებით — მესამე ადგილზე ჩილეს და აშშ-ის შემდეგ; ბოქსიტების მოპოვებით — მეხუთე ადგილზე).

ფერადი ლითონების მადნის მარაგი რუსეთში შეფასებულია 1,8 ტრლნ დოლარად. დარგის პოტენციალი ძალზე დიდია და ბოლო წლებში მასში დაიწყო მოსალოდნელი აღმავლობა.

ლითონების სფეროს მდგომარეობის ანალიზი მთავრდება *ოქროს* ბაზრის მოკლე მიმოხილვით. ეს ლითონი თამაშობს განსაკუთრებულ როლს კაცობრიობის ეკონომიკური განვითარების ისტორიაში. საუკუნეების განმავლობაში ოქროს მარაგით იზომებოდა ხალხთა და სახელმწიფოების სიმდიდრე. დღეს საქმის ვითარება თანდათან, მაგრამ კარდინალურად იცვლება და ოქრო ხდება ჩვეულებრივი საქონელი, რომლის ფასი განისაზღვრება მოთხოვნით, ძირითადად საიუველირო მრეწველობაში.

სახელმწიფოთა ოქროს მარაგები ჯამში შეადგენს დაახლოებით 31 ათას ტონას, ამასთან, ყოველწლიურად მოიპოვებენ 1-1,5 ათას ტონას. ბოლო დროს რიგი ქვეყნების ცენტრალური ბანკები თავისი ოქროს აქტივების მასიურ

ჩამოყრას შეუდგნენ. კერძო გაყიდვები (ერთი მესამედიდან ორ მესამედამდე) განახორციელეს ნიდერლანდებმა, ბელგიამ, ავსტრიამ, კანადამ, ავსტრალიამ, 1997 წ. არგენტინამ მთელი თავისი ოქრო — 125 ტ — გაყიდა.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბოლო 500 წელი ოქროს მსყიდველობითი უნარი სხვა საქონელთან მიმართებაში თითქმის უცვლელ რჩებოდა და ყოველთვის კორექტირდებოდა აღმავლობისა და ვარდნების შემდეგ.

ოქროს ფასი ტროის უნციაზე (31,1 გრ) არსებული სასაქონლო ფასის დონეზე — 380 აშშ დოლარია.

მუდმივად იზრდება მოთხოვნა ოქროზე საიუველირო მრეწველობის მხრიდან. ბოლო 10 წლის მანძილზე მისი წილი გაიზარდა 55-დან 85%-მდე. შეიძლება იმის პროგნოზირება, რომ მძაფრი საიუველირო მოთხოვნის ზრდა გაგრძელდება.

მთელი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მოპოვებული ოქროს 90%-ზე მეტი არის მარაგებში და ნებისმიერ მომენტში შეიძლება აღმოჩნდეს ბაზარზე. ესაა 120 ათასი ტონა, 31 ათასი ტონა ოფიციალური სახელმწიფო მარაგის ჩათვლით.

აზიურმა კრიზისმა გვიჩვენა, რომ ოქროს მარაგი არ იძლევა ქვეყნის მდგრადი ფინანსური მდგომარეობის გარანტიას.. როცა დამთავრდა სავალუტო რეზერვები, ქვეყნის ცენტრალურმა ბანკებმა, რომლებიც მოხვდნენ სავალუტო კრიზისში, დაიწყეს ოქროს გაყიდვა და ბაზარზე ფასი უცებ დაეცა მინიმალურ დონემდე, ბოლო 20 წლის მანძილზე — 12-დან 9 დოლარამდე/გ. თუკი დადასტურდება ცნობა იმაზე, რომ შვეიცარიის ცენტრალური ბანკი აპირებს დაახლოებით 1400 ტ. ოქროს გაყიდვას, მაშინ ქვეყნების ოქროს მარაგი კიდევ უფრო გაუფასურდება, ამიტომ მომავალში ოქროს მოპოვება ორიენტირებული იქნება ძირითადად სამრეწველო მოთხოვნაზე, რომლის მდგრადი ზრდა შეიძლება დაბეჯითებით ვიწინასწარმეტყველოთ.

ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელი საქონლის რიგში პირველი ადგილი უდავოდ კვების პროდუქტებს უკავია. ამასთან ერთად ამ პროდუქტების წარმოება შეზღუდუ-

ლია უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივი პირობებით. დაახლოებით 4,7 მლრდ. ჰა პლანეტის მიწის ფონდისა ანუ მისი ერთი მესამედი უკავია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ე. ი. მიწებს, რომლებიც კაცობრიობის მიერ გამოიყენება კვების პროდუქტების საწარმოებლად. დანარჩენი ტერიტორია ესაა — მთები, უდაბნოები, ყინულოვანი ადგილები, ტბები, ტყეები და ა. შ.

დღესდღეობით მსოფლიოში სახნავზე მოდის ხმელეთის მთელი ფართობის 11% (1350 მლნ. ჰა), ხოლო 24% (3335 მლნ. ჰა) გამოიყენება მეცხოველეობაში, როგორც საძოვარი. მიუხედავად იმისა, რომ საძოვრები ხშირად იხვნება მარცვლოვანი და სხვა კულტურების მოყვანის მიზნით, მათი დანაკარგის კომპენსირებას ახდენენ ტყის გაკაფვის ხარჯზე.

მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ, მარტო ბოლო 50 წლის მანძილზე, გამოიწვია მსოფლიო მოთხოვნის გაზრდა სურსათზე 4-ჯერ. ეს ქმნის ჭარბ „დაწოლას“ განვითარებადი მსოფლიოს მჭიდროდდასახლებული რაიონების მიწებზე.


ამასთან, მსოფლიოში სახნავი მიწების დაახლოებით ნახევარი გამოიყენება „გამოფიტვის მიზნით“ გონიერი დატვირთვის გადაჭარბებით. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე განადგურებულია 2 მლრდ. ჰა ნაყოფიერი მიწებისა, რაც რამდენჯერმე მეტია, ვიდრე სახნავი მიწების ამჟამინდელი ფართობი. ასე რომ, შიმშილობის საფრთხე, რომელზეც ფიქრს უკვე გადაეჩვივნენ განვითარებულ ქვეყნებში, მთლიანად მსოფლიოსათვის საკმაოდ აქტუალურია.

90-იან წლებში მსოფლიომ გადააჭარბა სიმბოლურ ზღვარს — ქალაქის მოსახლეობის 50%-ს. ახლა სოფლებში ადამიანთა 47% ცხოვრობს. მსოფლიო ბოლოს და ბოლოს აღარაა აგრარული, იგი ქალაქურ-ინდუსტრიულად გადაიქცა, იმავდროულად უკვე დიდი ხანია განვითარებულ ქვეყნებში საუბრობენ პოსტინდუსტრიულ განვითარებაზე, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებულია არა მრეწველობაში, არამედ მომსახურების სფეროში

დღეს უშუალოდ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია დაახლოებით 1,1 მლრდ ადამიანი, ამასთან მარტო 20 მლნ. კაცი მოდის განვითარებულ ქვეყნებზე. ბევრ განვითარებად ქვეყანაში სოფლის მეურნეობა კვლავ რჩება მოსახლეობის დიდი ნაწილის საქმიანობის სფეროდ.

კვების ძირითადი პროდუქტების მეგაბაზრების მოცულობები მჭიდროდაა დაკავშირებული მოხმარების სტრუქტურასთან. 90-იანი წლების ბოლოს მსოფლიოში ჩამოყალიბდა კვების პროდუქტების მოხმარების სტრუტურა, რომელიც მოტანილია 6.2. სურათზე.

რა თქმა უნდა, მოხმარების ერთიანი სტრუქტურა გვაგონებს „საავადმყოფოს მიხედვით საშუალო ტემპერატურას". თუკი განვითარებად ქვეყნებში მემცენარეობის პროდუქციის წილი, პირველ რიგში კი, მარცვლეულის ძალიან მაღალია, განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ბევრად დიდი, ვიდრე საშუალო, ხორცის, რძის და მეცხოველ-



1 მარცვლეული
2 ხილ-ბოსტნეული
3 მეცხოველეობის პროდუქცია
4 ძირხვენები
5 შაქარი
6 ცხიმ-კარაქი

სურ. 6.2. მოხმარების მსოფლიო სტრუქტურა (%-ში).

ლეობის სხვა პროდუქციის ხვედრითი წონა. თუმცა მოხმარების სტრუქტურა მაინც იძლევა, წარმოდგენას სასოფლო-სამეურნეო დარგების და პროდუქტების ბაზრების შედარებითი მნიშვნელობის შესახებ.

დიაგრამიდან ჩანს, რომ სოფლის მეურნეობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მარცვლეულს და მარცვლეულის მებაბაზრეებს. ამჟამად მსოფლიოში იწარმოება დაახლოებით 2 მლრდ ტ მარცვლეული. სიმინდსა და ხორბალზე მოდის მისი წარმოების ორი მესამედი. აზიის ქვეყნებში ძალიან გავრცელებულია ბრინჯი. ხორბლეულის ძირითადი მწარმოებლები არიან ჩინეთი (390 მლნ ტ), აშშ (320) და ინდოეთი (215). დასავლეთ ევროპის ქვეყნები აწარმოებენ 150 მლნ ტ მარცვლეულს. ჯერ კიდევ სულ ახლახან (1994 წ.).

მსოფლიო ბაზარზე ყოველწლიურად იყიდება 200 მლნ ტ მარცვლეული, მათ შორის ხორბალი — 100 მლნ ტ, სიმინდი — 60 მლნ ტ და ბრინჯი — 15 მლნ ტ. აშშ-ის წილად მოდის ხორბლის და სიმინდის ექსპორტის დაახლოებით ნახევარი. სხვა ექსპორტიორთა შორის გამოიყოფა კანადა, საფრანგეთი, ავსტრალია და არგენტინა. მსოფლიო იმპორტის დაახლოებით 50% განვითარებად ქვეყნებზე მოდის. განვითარებულ ქვეყნებს შორის ბევრი მარცვლეულის (30 მლნ ტ-ს) იმპორტირებას ახდენს იაპონია.

მარცვლეულის ბაზრის ფასები სწრაფად იცვლება. ბოლო ორი წელია ისინი ჩერდება საკმაოდ დაბალ დონეზე (დაახლოებით 120-150 დოლ. /ტ ხორბალი). აშშ-ში მაღალი მოსავალი ახდენს ბაზრის „გადახურებას“ და აიძულებს განვითარებული ქვეყნების მთავრობებს აწარმოონ დამატებითი გადახდა ნათესების შემცირებაზე.

მემცენარეობის პროდუქციის სიდიდით მეორე ბაზარს წარმოადგენს შაქრის ბაზარი. შაქარი შაქრის ლერწმისაგან იწარმოება, (70%), ასევე შაქრის ჭარხლისგან (30%). სულ მსოფლიოში გამომუშავდება 126 მლნ ტ. ნედლეული

და ცოტა ნაკლები რაფინირებული შაქარი. განვითარებად ქვეყნებში შაქრის 95% მზადდება ლერწმისაგან. შაქრის წარმოებაში მკაფიოდ განსხვავდება ორი სტადია: შაქრის ნედლეულის წარმოება და შაქრის რაფინირება, მაგალითად, ნედლეული იწარმოება ბრაზილიაში, ხოლო თეთრი შაქრის ნედლეული რუსეთში. შაქრის ნედლეულის ძირითადი მწარმოებლები არიან: ინდოეთი, ბრაზილია, ჩინეთი და ტაილანდი. შაქრის უმსხვილესი ექსპორტიორები არიან — ბრაზილია, ტაილანდი, ავსტრალია, საფრანგეთი და კუბა.

ამ ბაზარზე განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება სასურსათო ბაზრების სახელმწიფო რეგულირების ნიშნები. შაქრის მსოფლიო ბაზრის ფასი 2000 წელს მერყეობდა დაახლოებით 200 დოლ/ტ-ზე. ახლა მსოფლიოში შეინიშნება შაქრის წარმოების მნიშვნელოვანი გადამეტება და მისი ფასები ნარჩუნდება დაბალ დონეზე. ამასთან, მსოფლიო ბაზრის ფასები სწრაფად იცვლება მეგაბაზრებისათვის ჩვეული ჯაჭვის მიხედვით: ახალი ამბები — ფიუჩერსების და ოპციონების ბაზარი — შაქრის და ნედლეულის ბაზარი. ეს ბაზრები, ნაციონალურისაგან განსხვავებით, არავის მიერ არ კონტროლდება და მათზე ფასები არასტაბილურია. იმავდროულად განვითარებული ქვეყნების ეროვნულ ბაზრებზე ახორციელებენ ქმედით ზომებს ამ ბაზრების სახელმწიფო რეგულირების თვალსაზრისით. მაგალითად, ეკ-ის ქვეყნებში პროდუქტების უმეტესობისათვის, შაქრის ჩათვლით, შემდეგი მექანიზმი მოქმედებს: მარეგულირებელი ორგანო ადგენს მიზნობრივ ფასს იმ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს გაფართოებული კვლავწარმოების შესაძლებლობას საქონლის საკუთარი მწარმოებლებისათვის. ჩვეულებრივ ეს ფასები მნიშვნელოვნად მაღალია მსოფლიო ბაზრის ფასებზე. მაგალითად, შაქრისათვის მიზნობრივი ფასი — 750-800 დოლ/ტ-ზე, ე. ი. თითქმის 4-ჯერ მეტია მსოფლიოს ფასზე, პროდუქციის შემოტანისას ექსპორტიორი იხდის სპეციალურ არასაბაჟო ფონდში პროდუქტის ყოველ ტო-

ნაზე საკომპენსაციო გადასახდელს, რომელიც დაახლოებით მიზნობრივი ფასისა და მსოფლიო ბაზრის ფასის სხვაობის ტოლია. ხოლო როდესაც ევროპული ფირმები იმავე საქონლის ექსპორტირებას ახდენენ, ისინი ღებულობენ ფონდიდან კომპენსაციას იმავე ზომებში. ამგვარად, საკუთარი მწარმოებლები დაცული არიან და მათი ექსპორტის სტიმულირება ხდება.

მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე ზეთოვანი მარცვლეულის ბაზარი. მსოფლიოში მათი საერთო წარმოება 220 მლნ ტონაა. ამ სექტორში დამაჯერებლად ლიდერობს სოია (50%), მას მოსდევს ბამბის (16%) მზესუმზირის (9%) და არაქისის (9%) თესლი. სოიოს და არაქისის ძირითადი მწარმოებელია — აშშ, მზესუმზირის ზეთის — საფრანგეთი, ზეთისხილის — იტალია და საბერძნეთი.

განვითარებულ ქვეყნებში მაღალინტეგრირებულ დარგს წარმოადგენს მეხილეობა. ამ სფეროში ხილის მოსავლის დიდი ნაწილი მოჰყავთ გადამამუშავებელ და სავაჭრო ფირმებთან ხანგრძლივვადიანი კონტრაქტების საფუძველზე. აშშის წამყვანი მეხილეობის და მებოსტნეობის ფირმებს, ისეთებს, როგორიცაა: „დელ მონტე“, „კემპბელ სოული“, „ლიბი“ და სხვ. აქვთ საკუთარი ბაღები და პლანტაციები პროდუქციის და თესლეულის საწარმოებლად.

მეკარტოფილეობის მეურნეობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას კონტრაქტაცია წარმოადგენს რომლის საფუძველზე, მაგალითად, კარტოფილის მოსავლის 50% მოჰყავთ აშშ-ში, კარტოფილის 25% — მსხვილი აგროსამრეწველო გაერთიანებების ჩარჩოებში, რომლებიც თავისთავად წარმოადგენენ აგროსამრეწველო-სავაჭრო ფინანსურ კომპანიებს, ისეთებს, როგორიცაა „ჰეინცი“ და „სიმპლოტი“.

ხორცის მსოფლიო წარმოება დღეს დაახლოებით 220 მლნ ტ-ს შეადგენს, რომელთაგან 38% არის ღორის, 29 — ფრინველის, 26 — ძროხის და 5% — ცხვრის. მთელი მსოფლიო წარმოების 50%-ზე მეტი მოდის სამ ქვეყანაზე: ჩინეთზე

(32%), აშშ-სა (16%) და ბრაზილიაზე (6%). ძალიან სწრაფად ვითარდება ჩინეთში ხორცის წარმოება. 90-იან წლებში იგი გაიზარდა 2,6-ჯერ. აშშ უზრუნველყოფს ძროხის ხორცის წარმოების დაახლოებით 30%—ს, იმ დროს, როცა აქვს მსოფლიო საქონლის სულადობის მხოლოდ 13%, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ამერიკაში ნახირის 80% მოდის სახორცე ჯიშებზე. ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წარმოებით აშშ ორჯერ უსწრებს დასავლეთ ევროპას. ყველა განვითარებულ ქვეყანაში ხორცის პროდუქტიულობა საშუალოდ 1,5—ჯერ მეტია, ვიდრე განვითარებადებში.

დღესდღეობით მნიშვნელოვნად გაფართოვდა ხორცკომბინატების მონაწილეობა საქონლის კვებაში. ბოლო 5 წლის განმავლობაში აშშ-ში საქონლის ყველა გაყიდვის დაახლოებით 20% ჩატარდა ვერტიკალური ინტეგრაციის ჩარჩოებში გადამამუშავებელი საწარმოების ერთიანი საკუთრების საფუძველზე. ხანგრძლივვადიანი კონტრაქტაციის და ვერტიკალური ინტეგრაციის ჩარჩოებში ღორების დაახლოებით 94%-ის რეალიზაცია ხდება. აშშ-ში ბროილერების საერთო მოცულობის 80% იწარმოება 20 ლიდერი ბროილერის კომპანიის მიერ, ხოლო კომპანია „ტაისონ ფუდსი" აკონტროლებს ბროილერების ხორცის მსოფლიო წარმოების დაახლოებით 20%—ს.

90-იანი წლების ბოლოს მსოფლიო ბაზარზე იყო დაახლოებით 5 მლნ ტ ძროხის, 2,5 მლნ ტ. ღორის და 6 მლნ ტ. ფრინველის ხორცი. ჩრდილოეთ ამერიკა და დასავლეთ ევროპა უზრუნველყოფენ ხორცის და ხორც-პროდუქტების ექსპორტის 75%-ს. ხორცის მსხვილი ექსპორტიორები არიან აგრეთვე არგენტინა, ავტრალია და ახალი ზელანდია. სულ სამი ქვეყანა — აშშ, ბრაზილია და ჩინეთი — უზრუნველყოფენ ფრინველის ხორცის ექსპორტის 75%-ს. მიწის რესურსებით ღარიბი იაპონია ხორცის წარმოებით დაეწია დასავლეთ ევროპის ქვეყნებს; აი, რუსეთმა კი მკვეთრად შეამცირა წარმოება და გახდა ხორცპროდუქტების ძირითადი იმპორტიორი.

მსოფლიოში იწარმოება დაახლოებით 560 მლნ ტ. *რძე.* აქ ლიდერობს დასავლეთი ევროპა, სადაც კონცენტრირებულია მეწველი ძროხების სულადობის დაახლოებით 25% და იწარმოება მთელი რძის 30%-ზე მეტი. რუსეთი, აშშ და ინდოეთი იძლევა რძის 32%-ს. აღსანიშნავია, რომ რუსეთი ჯერჯერობით უსწრებს აშშ-ს ერთ სულ მოსახლეზე რძის წარმოებით. კარაქის წარმოებით ახლახან მოწინავე პოზიციაზე გამოვიდა ინდოეთი, სადაც მსოფლიოში ყველაზე მეტია ძროხების სულადობა — წმინდა ცხოველების, რომელთა ხორცი ინდური რელიგიური წეს-ჩვეულებების თანახმად, საკვებად არ გამოიყენება. ამჟამად ინდოეთი აწარმოებს 1,3 მლნ ტ-ზე მეტ კარაქს და ორჯერ მეტად უსწრებს კარაქის წარმოებით მეორე ქვეყანას — აშშ-ს (0,54 მლნ. ტ.). ყველისა და კარაქის ძირითად ექსპორტიორებს წარმოადგენენ — ნიდერლანდები, დანია და ახალი ზელანდია.

ბოლო წლებში მნიშვნელოვანი აღიარება ჰპოვა მაკრო-ტექნოლოგიის თეორიამ. მის შესაბამისად მსოფლიო ეკონომიკა რამდენიმე ათეული მაკროტექნოლოგიისგან შედგება. ყოველი მაკროტექნოლოგია უზრუნველყოფს სამრეწველო საქონლის რომელიღაც მნიშვნელოვანი ჯგუფის კვლავწარმოების მთელ ციკლს. მაკროტექნოლოგიებად დაყოფა რაღაცაში ემთხვევა და რაღაცით განსხვავდება ჩვეულებრივი დარგობრივი დაყოფისაგან. თეორიის ავტორთა აზრით, მაკროტექნოლოგიების გამოყენებით, უფრო იოლად შეიძლება ამა თუ იმ ქვეყნის კონკურენტული უპირატესობების გაანალიზება. *იმისათვის, რომ მსოფლიო ეკონომიკაში მდგრადი მდგომარეობა ჰქონდეს, მსხვილი ქვეყანა უნდა იყოს ლიდერთა რიცხვში სულ მცირე ორ-სამ მაკროტექნოლოგიაში.*

პოსტინდუსტრიული განვითარების ქვეყნებში ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტად მომსახურების სფერო გვევლინება.

ახლა აშშ-ის მომსახურების სფეროში იქმნება მშპ-ის დაახლოებით 75% და დასავლეთ ევროპის ქვეყნების და იაპო-

ნიის მშპ-ის 60-65%. სწორედ მომსახურების სფეროში და არა მრეწველობაში იქმნება ახლა განვითარებული ქვეყნების ძირითადი პროდუქტი. ამ პატარა ნაბიჯმა მიიღო მყვირალა სახელწოდება „მომსახურების რევოლუცია“.

მომსახურების სექტორის სტრუქტურა ან კიდევ, როგორც მას უწოდებენ, ეკონომიკის მესამეული სექტორი საკმაოდ არაერთგვაროვანია. ამ სექტორს მკაფიო საზღვარი არ გააჩნია. მაგალითად, კომპიუტერულ ფირმას შეუძლია კომპიუტერების წარმოება, აგრეთვე მათი გაყიდვა საცალოდ და სერვისული მომსახურების განახორციელება. როგორც ჩანს, პრაქტიკულად ნებისმიერი ფირმის საქმიანობაში არის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ფორმალურად შეიძლება მივაკუთვნოთ მომსახურებას. მარკეტინგი, სამეცნიერო და საკონსტრუქტორო სამუშაოები წარმოებული ფირმის ჩარჩოებში და სხვა მრავალი ტიპური ფუნქცია იქნეს მიკუთვნებული მომსახურების სფეროსათვის, თუმცა სტატისტიკა, მესამეული სექტორის მიკუთვნებს მხოლოდ კონკრეტულ ხუთ დარგს:

1. ვაჭრობა;
2. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა;
3. საკომუნალო-საკრედიტო სფერო;
4. სახელმწიფო მართვა;
5. სხვა მომსახურებანი (ჯანდაცვა, განათლება, მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა, მოსახლეობის ყოფითი და კომუნალური მომსახურება).

თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ შევნიშნოთ მიღებული კლასიფიკაციის არასრულყოფილება და პირობითობა. სხვა მომსახურებაშია ერთად თავმოყრილი მილიონობით დოლარების მიმღები ადვოკატის და ზეინკალ-სანტექნიკოსის საქმიანობა. საერთოდ გრაფი „სხვა“ მოიცავს ნებისმიერ დანაზარჯებს და ა.შ. -- სტატისტიკის ყველაზე დიდი უბედურებაა. მასში შეტანილი ინფორმაციის წილი ხშირად იმდენად დიდია, რომ მთლიანობაში სამარილიანი ანალიზი შეუძლებელი ხდება.

არსებული სტატისტიკური კლასიფიკაცია საშუალებას არ იძლევა ბოლომდე გავიგოთ პოსტინდუსტრიულ ეკონომიკაზე გადასვლის რთული და მრავალასპექტიანი პროცესები. სტატისტიკა გვეუბნება, რომ ერთი მხრივ, მომსახურების სფეროში მომუშავე ადამიანთა რიცხვი და მომსახურების წილი განვითარებული ქვეყნების მშპ-ში სწრაფად იზრდება, მაგრამ, მეორე მხრივ ადამიანთა შემოსავლები, რომლებიც დასაქმებული არიან მესამეულ სექტორში, საშუალოდ შესამჩნევად დაბალია ინდუსტრიულ სექტორში. ბუნდოვანია, რა უბიძგებს ადამიანებს საშუალო დაბალანაზღაურებადი სამუშაოსკენ მოსახურების სფეროში.

აქ მთავარი სიტყვაა „საშუალოდ“, რომელიც სიტყვასთან „სხვა“ ერთად ჩვეულებრივ ბურუსში მოსავს სიტუაციას და ანალიზს აძნელებს. სინამდვილეში *პოსტინდუსტრიალიზაციის რთულ, ევოლუციურ პროცესში ერთმანეთში გადახლართულია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ არსებითად სხვადასხვა პროცესი.*

პირველი, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში წარმოების ინტენსიფიკაციასთან მივყავართ, რაც განაპირობებს ამ სფეროებიდან ჭარბი მუშახელის გამოდევნას. ეს სამუშაოდაკარგული ადამიანები ჩვეულებრივ სამუშაოდ მიდიან ვაჭრობაში, სოციალური მომსახურების სფეროში, ტურიზმში დაბალხელფასიან თანამდებობებზე. ისინი დასაქმებული არიან სწრაფი სერვისით. ამგვარად მიმდინარეობს ეკონომიკის სერვისიზაციის პროცესი. იგი თავისთავად წარმოადგენს პოსტინდუსტრიალიზაციის პროცესის ექსტენსიურ შემადგენელ ნაწილს. სერვისიზაცია ძალიან წააგავს ინდუსტრიალიზაციის დასაწყის ეტაპებს, როცა სოფლის მეურნეობიდან გაძევებული ხალხი სამრეწველო მუშები ხდებოდნენ.

მეორე, სერვისიზაციასთან ერთდროულად მიდის უკვე ჩვენთვის კარგად ნაცნობი საზოგადოების ინფორმატიზაციის პროცესი. ობიექტური კანონზომიერების განვითარების

ორგანიზაციამ და მართვამ მოითხოვა საინფორმაციო საქმიანობაში დიდი ოდენობის კვალიფიციური ადამიანი. სწორედ ამ პროცესს გამოვყოფდით, როგორც განმსაზღვრელს, საინფორმაციო საზოგადოების ფორმირებისას.

დაბოლოს, მესამე, ძალას იკრებს ინტელექტუალიზაციის პროცესი. იგი მდგომარეობს ადამიანთა ჯგუფების რიცხობრივ ზრდაში, რომლებიც დასაქმებული არიან შემოქმედებითი, ინტელექტუალური შრომით. ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ არა მარტო მეცნიერები, ტრადიციულად შემოქმედებითი პროფესიის ადამიანები (მწერლები, ჟურნალისტები, მხატვრები, მსახიობები და ა. შ.), არამედ მენეჯერები, კერძო მეწარმენი, ფინანსური კონსულტანტები, ექიმები, იურისტები და ა. შ. ამ ჯგუფის რაოდენობაზე უფრო სწრაფად იზრდება მისი მნიშვნელობა ეკონომიკასა და საზოგადოებაში. ჯერჯერობით ინტელექტუალიზაციას იშვიათად გამოყოფენ ინფორმატიზაციის ზოგადი პროცესისაგან, მაგრამ ანალიზისათვის და, განსაკუთრებით, პოსტინდუსტრიული განვითარების პროგნოზისათვის ეს აბსოლუტურად აუცილებელია. ინტელექტუალიზაციის პროცესები ქვემოთ იქნება განხილული, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ინტელექტუალური რესურსების გაშუქებისას.

მაშ ასე, სერვისიზაცია პოსინდუსტრიალიზაციის პროცესს ანიჭებს მასობრიობას, მაგრამ, ამასთანავე, მომსახურების სფეროს მუშაკთა საშუალო შემოსავლებს ამცირებს, ხოლო ინფორმატიზაცია და ინტელექტუალიზაცია პოსინდუსტრიული ეკონომიკის განვითარების ძირითად ვექტორს აძლიერებს და უზრუნველყოფს მესამე სექტორის წარმმართველ მდგომარეობას თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში.

მივუბრუნდებით რა საყოველთაოდ მიღებულ კლასიფიკაციას, დავძენთ, რომ თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში საფინანსო-საკრედიტო მომსახურება პირველ ადგილზე დგას მშპ-ის წილის მიხედვით (გამონაკლისს წარმოადგენს იაპონია,

სადაც პირველ ადგილზეა — ვაჭრობა, რომელსაც სხვა განვითარებულ ქვეყნებში მეორე პოზიცია უკავია). ეს დარგი მთელი მესამე სექტორის დაახლოებით 40%-ს შეადგენს.

ეკონომიკაში ყოველთვის ითვლებოდა, რომ საწარმოო შესაძლებლობანი დამოკიდებულია მიწის რესურსებზე, კაპიტალზე და შრომაზე. ამასთან, ჰეკშერ-ოლინის ცნობილი კანონის მიხედვით, *ქვეყნის ექსპორტში ჭარბი იქნება საქონელი, რომელთა წარმოება ძირითადად ეფუძნება იმ რესურსს, რომელიც მოცემულ ქვეყანაში არის შედარებით ჭარბი.* ამ კანონის შესაბამისად, აშშ-ს უნდა მოეხდინა ძირითადად კაპიტალტევადი საქონლის ექსპორტი. თუმცა ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის, ვ. ლეონტიევის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ *გამოყენებულ რესურსებს შორის აშშ-ის საექსპორტო საქონელში ძალიან დიდია შრომის წილი.* ეს პარადოქსი, რომელიც ეკონომიკაში ცნობილია როგორც *ლეონტიევის პარადოქსი*, თვალნათლივ გვიჩვენებს შრომითი რესურსების არაერთგვაროვნებას. აშშ თავისი ექსპორტისათვის იყენებს არა უბრალოდ შრომით რესურსებს, არამედ ქვეყანაში არსებულ ძვირადღირებული კვალიფიციური შრომის უზარმაზარ რესურსს. სწორედ ისაა შედარებით ჭარბი და იგი უბიძგებს იმ საქონლის ექსპორტისაკენ, სადაც მისი წილი თვითღირებულებაში საკმაოდ დიდია. მას საფუძვლად უდევს არა მარტო და არა იმდენად ადამიანის სურვილი მიიღოს შემოსავალი და დაიკმაყოფილოს თავისი ყოფითი მოთხოვნილებები, რამდენადაც თვითგამოხატვის და შემოქმედებითი უნარის მოთხოვნილება.

ამგვარად, ეკონომისტები მივიდნენ შრომითი რესურსების — კვალიფიციურად და არაკვალიფიციურად — დაყოფის აუცილებლობამდე. კვალიფიციური შრომის უფრო გულდასმით განხილვა საშუალებას იძლევა მასში გამოვყოთ ინტელექტუალური შრომა.

რაც უფრო მდიდარია ქვეყანა, მით უფრო დიდ ნაწილს ხარჯავს თავისი მთლიანი შიდა პროდუქტიდან მეცნიერებაზე.

თანამედროვე ეკონომიკამ ისწავლა მიღებული დოვლათი გადააქციოს თავისუფალ დროდ და გადასცეს ეს დრო მეცნიერების განკარგულებაში, რომლებიც ზემოთ აღწერილი ძალაუფლების სურვილით შეპყრობილნი, გამოიმუშავებენ თანამედროვე ცივილიზაციის ძირითად პროდუქტს — ცოდნას, რომელიც ეკონომიკური განვითარების ძირითად რესურსს შეადგენს.

ამგვარად, განვითარებულ ქვეყნებში მეგაეკონომიკის ეკონომიკური მექანიზმი სამეცნიერო ელიტის კონცენტრაციას ახდენს და იმავდროულად ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს მიმართავს მისი ეფექტიანი მუშაობისკენ.

პოსინდუსტრიულ საზოგადოებაში ძირითადი რესურსების მნიშვნელობა კარდინალურად შეიცვალა. ინდუსტრიული განვითარების ეტაპზე ძირითადი როლის შემსრულებელი კაპიტალი გადავიდა მეორე რიგში. ძირითადი რესურსები გახდა ცოდნა და მისი მატარებლები — ცოდნის დამცველები და მწარმოებლები. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან არა მარტო ტრადიციული მეცნიერები, არამედ ინჟინრები, კონსტრუქტორები, მენეჯერები, მეწარმენი — ყველა, ვისაც უნარი აქვს გამოიმუშაოს ახალი ცოდნა, როგორც ტრადიციული აღმოჩენების და გამოგონებების, ასევე ტექნოლოგიური, ფინანსური და ნოუ-ჰაუს მართვის ფორმით. ეს ადამიანები თანამედროვე ეკონომიკაში იძენენ უზარმაზარ დამოუკიდებელ ფასეულობას, მათში თავმოყრილია უმეტესი კომპანიების ძირითადი ქონება, რომლებიც ინფორმაციის, ფინანსების, ინოვაციების, მრავალგვარი კონსალტინგის სფეროებში მუშაობენ. წამყვანი მენეჯერის, მეცნიერის, პროგრამისტის ან დამპროექტებლის კომპანიიდან წასვლა ხშირად მატერიალური აქტივების დიდი ნაწილის დანაკარგზე მძიმეა. ის თავის ცოდნასთან ერთად მიდის და თანაც, მათთან ერთად კონკურენტ-ფირმაში აპირებს მუშაობას. ყოველივე ეს ადამიანებს — ცოდნის მატარებლებს — გარდაქმნის საზოგადოების მნიშვნელოვან ინტელექტუალურ რესურსად, ანიჭებს მათ აქამდე არნახულ დამოუკიდებლობას და ფასს.

თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ზამბარას წარმოადგენს კონკურენცია ინტელექტუალური რესურსებისათვის და მასთან დაკავშირებული ინოვაციური შესაძლებლობებისათვის. ამასთან, საუბარი ეხება არა მარტო ტექნოლოგიებს, არამედ ორგანიზაციულ და მართვის ინოვაციებს, რომელთა მატარებლები მენეჯერები არიან. ეს ბრძოლა მიმდინარეობს ცალკეულ პირებს, კომპანიებს, ქვეყნებს და ეკონომიკურ სისტემებს შორის.

მასშტაბური ტექნოლოგიური ინოვაციების წარმოებას, როგორიცაა ატომური ბომბის ან კოსმოსური გამოკვლევების შექმნა, ძირითადად მსხვილი სახელმწიფო პროგრამების საფუძველზე, ე. ი. ფაქტობრივად დეტალურად შემუშავებული გეგმის საფუძველზე ახორციელებენ. თუმცა მასობრივი, წვრილი ინოვაციების წამოებისას, რომელიც მიმართული იქნება ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, კონკურენტულ ბრძოლაში დამაჯერებლად პასუხობს საბაზრო სისტემა. ასეთი ინოვაციები, ფ. ჰაიეკის გამოთქმით, ხშირად ორგანიზაციულად დაუკავშირებელი ადამიანების „გაფანტულ“ ცოდნასა და ძალისხმევაზეა დაფუძნებული. ისეთი ინოვაციების წარმოების უნარი, რომლებიც დაფუძნებულია ასეთ „გაფანტულ“ ცოდნაზე, აგრეთვე, მათი სწრაფი გადაქცევა საქონლად — თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკის საბაზრო ორგანიზაციის ძირითადი კონკურენტული უპირატესობაა.

დასავლეთის და, განსაკუთრებით, პროტესტანტული, არსით ლიბერალური, ანგლო-ამერიკული ცივილიზაციების ცივილიზაციურმა რესურსებმა საშუალება მისცა საზოგადოების ინოვაციური პოტენციალის მობილიზებას და მის წარმართვას ტექნოლოგიური პროგრესის პრაგმატულ კალაპოტში.

ინოვაციები ყოველთვის რისკთანაა დაკავშირებული, ზუსტად ხომ არაა ცნობილი, მოიტანს თუ არა სიახლე მოსალოდნელ შედეგს. მეცნიერი და გამომგონებელი თავისი დროითა და დახარჯული ძალისხმევით რისკავს, ხოლო მეწარმე ინოვა-

ციურ პროექტში დაბანდებული ფულით. ასეთ რისკზე წასვლა დამოუკიდებლად შეუძლია მხოლოდ ისეთ ხალხს, რომელნიც შეჩვეულნი არიან გადაწყვეტილება მიიღონ თავისუფლად და მთელი პასუხისმგებლობით.

ინოვაციათა წარმატებულობაში არსებითი როლი ითამაშა განვითარებულ ქვეყნებში შექმნილმა ინოვაციური ბიზნესის სამართლებრივმა გარემომ. დასავლეთში, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე სხვა ქვეყნებში, შექმნეს ინტელექტუალური საკუთრების საიმედო სამართლებრივი დაცვა პატენტების და გამოგონებების ფორმით.

განვითარებულ ქვეყნებში შესანიშნავადაა განვითარებული *ტექნოლოგიებით ვაჭრობა*, რომელიც დაფუძნებული იყო პატენტების და ლიცენზიების ინსტიტუტებზე. ამასთან ლიცენზირება ხდება არა მარტო ჩვენთვის ჩვეული სამეცნიერო გამოგონებებისა, არამედ წარმოების, მარკეტინგის ორგანიზაციებში ინოვაციებისაც, ანუ ყველაფერი ის, რაც ინტელექტუალურ კაპიტალს შეიძლება შეადგენდეს, და რომელიც, მომავალში მოგებას მოიტანს. მაგალითად, შეიძლება კომპანიის სავაჭრო მარკის ან თვით დევიზის დაპატენტებაც კი.

წამყვანი კომპანიების სავაჭრო მარკები თავისთავად წარმოადგენენ საკმაოდ შთამბეჭდავ, არამატერიალურ, ინტელექტუალურ აქტივებს. სავაჭრო მარკის ღირებულებით, „ინტერბრენდ"-ის სააგენტოს რეიტინგით, პირველ ადგილს უწინდებურად ინარჩუნებს „კოკა-კოლა" 2007 წლისათვის ბრენდის ღირებულებით 65,3 მლრდ. დოლარის ოდენობით. მიუხედავად უსიამოვნებებისა და სასამართლო გარჩევებისა, კომპანია „მაიკროსოფტ"-მა შეინარჩუნა მეორე ადგილი - 58,7 მლრდ დოლარით. შემდგომ ბრენდის რეიტინგით მოდის „აი-ბი-ემ" (57,1 მლრდ. დოლ.), „გე" (51,6), „ნოკია" (33,7), „ტოიოტა" (32.1), „ინტელ" (31,0), „დისნეი" (29,2), „მაკდონალდს" (29,4) და „ეით ენდ ტი" (25,5).[1] აღნიშნულ პირველ ათეულში 7 კომპანია ამერიკულია.

1. Эксперт. - 2000. - # 28.

პატენტების და სავაჭრო მარკების ამერიკული უწყების მონაცემებით, იგი ყოველწლიურად 150000-ზე მეტ პატენტს გასცემს კომპანიებსა და ფიზიკურ პირებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. 2008 წლის თებერვლისათვის მის მიერ გაცემული იყო 7950000 პატენტი. აღსანიშნავია, რომ პირველი პატენტი გაცემულ იქნა 1790 წელს. დღესდღეობით პატენტების რეგისტრაციას ახდენენ ბევრად უმნიშვნელო შემთხვევებში, ამასთან ისეთ სფეროებში, სადაც ადრე ამის პრაქტიკა არ ყოფილა. დიდი რაოდენობის პატენტი გაიცემა ბიზნეს-მეთოდების, პროგრამული უზრუნველყოფის და ინტერნეტ-გადაწყვეტილებისათვის. მოდური გახდა კარგად ნაცნობი სიტყვებისათვის სიტყვა „ინტერნეტის“ დამატება და ახალი ტერმინის პატენტირება, როგორც გამოგონებისა. ბიზნესმენები ცდილობენ ინტელექტუალური „ველის“ ნაწილის „გაშეშებას“, ყოველი შემთხვევისათვის ყველაფერ იმის დაპატენტებით, რაც შესაძლებელია. ინტელექტუალური საკუთრებისათვის მიმდინარეობს სასტიკი ბრძოლა, რომელიც მრავალმილიონიან სასამართლო გარჩევებში გადადის.

საპატენტო და სალიცენზიო სამართალი წარმოადგენს თანამედროვე იურისპრუდენციის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და დახვეწილ დარგს. ხშირად მათზე დაყრდნობით მსხვილი ტექ-ები თავის კონტროლს უქვემდებარებენ ფორმალურად დამოუკიდებელ, მაგრამ მათთან დაკავშირებულ კომპანიებს. ისინი გადასცემენ მათ თავის სახელს, ნოუ-ჰაუს ან გაფორმებულ ინოვაციას ფრენნჩაიზინგის ხელშეკრულების მიხედვით, რომლის მიღების შემთხვევაშიც საწარმო თავისთავზე იღებს განსაზღვრულ, უპირატესად ფინანსურ ვალდებულებებს. ამგვარად, ხორციელდება პრაქტიკულად საწარმოთა მთელ სისტემაზე სრული კონტროლი მთელ მსოფლიოში, მათში საკუთრების წილის არქონის პირობებში.

ინტელექტუალური საკუთრების საიმედო დაცვა ინოვაციურ ბიზნესში მნიშვნელოვანი კერძო კაპიტალის მოზიდ-

ვის საშუალებას იძლევა მიუხედავად ამ სფეროს საქმიანობისათვის დამახასიათებელი დიდი რისკისა. აქ შესანიშნავი ინსტიტუციონალური აღმოჩენები გააკეთა აშშ-მ, რომელმაც მსოფლიოს ვენჩურული ბიზნესი მისცა. ვენჩურულ ინვესტიციებს ჩვეულებრივ უწოდებენ სარისკო კაპიტალს, რომელიც მიმართულია სწრაფადმზარდი ფირმების განვითარებისათვის. ვენჩურული კაპიტალი არ საჭიროებს საკრედიტო ისტორიის, ფიქსირებული პროცენტის, დაბრუნების ან დაგირავების გარანტიის არსებობას. მისთვის პრინციპულია კომერციულად პერსპექტიული სამეწარმეო ჩანაფიქრის არსებობა. ინვესტიციის ეს ფორმა ჩაისახა 50-იანი წლების ბოლოს აშშ-ის „სილიკონის დაბლობში". ვენჩურული კაპიტალიდან გაიზარდა შემდეგი კორპორაციები: „მაიკროსოფტი", „სანი", „ქსეროქსი", „ინტელი", „ეფლ კომპიუტერი" და სხვ. თავისი ხარისხით ვენჩურული კაპიტალი — ეს ხანგრძლივვადიანი კაპიტალია. ჩვეულებრივ პროექტებზე გათვლა მიდის 5-7 წლის ვადით, მაგრამ, თანამედროვე კომპიუტერულ სფეროში შესაძლებელია მოკლევადიანი, 1-2 წლის პროექტების რეალიზაციაც. პროექტების ვენჩურული ინვესტირება ტექნოლოგიური კომპანიებისათვის ადვილი და იაფია, ვიდრე სესხებით გასვლა უცხოურ საფონდო ბაზრებზე, ვიდრე ფასიანი ქაღალდებისა და იპოთეკური კრედიტის მიღება. მსოფლიოში ვენჩურული ინვესტიციების ბაზარი წელიწადში შეფასებულია 75-100 მლრდ დოლარად.

თავისი რისკიანობის გამო ვენჩურული ბიზნესი საჭიროებს განსაზღვრულ სახელმწიფო ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას და კონცენტრირდება ე. წ. *სამეცნიერო პარკებში.* ვენჩურულმა ბიზნესმა შემთხვევით როდი მიიღო თავისი სახელწოდება. მას განასხვავებს მდგომარეობის არამდგრადობა და არასაიმედოობა. ვენჩურული ორგანიზაციების „სიკვდილიანობა" ძალიან მაღალია. ამერიკელი მკვლევარების მიხედვით, აშშ-ში 60-იან წლებში დაფუძნებული 250 ვენჩურული ფირმიდან „გაძლო" მხოლოდ 1/3--მა, 32%

იქნა შთანთქმული მსხვილი კორპორაციების მიერ, 37% გაკოტრდა. მათგან მხოლოდ ერთეულები გადაიქცა მაღალი ტექნოლოგიების მსხვილ პროდუცენტებად. თუმცა „ცოცხლად" დარჩენილ ფირმათა უკუგება იმდენად დიდია მოგების თვალსაზრისით, რომ ასეთ პრაქტიკას მიზანშეწონილად მიიჩნევენ. როგორც ამერიკელი ეკონომისტები აღნიშნავენ, *ვენჩურული კაპიტალი აშშ-ის წარმოებაში ყველა სიახლის ნახევარს იძლევა.* ისინი აღნიშნავენ, რომ ეს ორგანიზაციები ბევრ შემთხვევაში ისე კარგადაა პერსონალით, მოწყობილობებითა და ფინანსებით უზრუნველყოფილი, რომ წარმატებით ახორციელებენ კონკურენციას აშშ-ის მეტნაკლებად მსხვილ კორპორაციებთან.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარება ხელს უწყობს ტერიტორიული სამეცნიერო საწარმოთა აგლომერაციების და კომპლექსების გაჩენას, რომლებიც „სამეცნიერო პარკების" ფორმას იძენს.

ამჟამად აშშ-ში გამოიყოფა *სამი ტიპის „სამეცნიერო პარკი":*

ა) „სამეცნიერო პარკები" ამ სიტყვის ვიწრო გაგებით;

ბ) „კვლევითი პარკები" იმით განსხვავდება პირველისაგან, რომ მათ ჩარჩოებში სიახლეები მუშავდება მხოლოდ ტექნიკური პროტოტიპის სტადიამდე;

გ) „ინკუბატორები", რომლის ჩარჩოებში უნივერსიტეტები „თავშესაფარს აძლევენ" ახლად წარმოშობილ კომპანიებს, მიწაზე, ნაგებობაზე, ლაბორატორიულ მოწყობილობასა და მომსახურებაზე შედარებით ზომიერი გადასახადის პირობით.

აშშ-ის „სამეცნიერო პარკებიდან" უძველესმა და უმსხვილესმა — სტენფორდის სამეცნიერო პარკმა — 2001 წელს აღნიშნა თავისი 50 წლისთავი. იგი მდებარეობს კალიფორნიაში, სტენფორდის უნივერსიტეტის კუთვნილ მიწებზე, რომელიც საარენდო 51-წლიანი ვადით გაცემულია

„მაღალტექნოლოგიურ კომპანიებისათვის“, ეს კომპანიები ურთიერთმოქმედებენ უნივერსიტეტთან, რომელშიც მრავალი ინჟინერ-მკვლევარი ასწავლის.

სიდიდის მიხედვით სტენფორდის შემდეგ უდიდესი „სამეცნიერო პარკი“ არის — „პარკი-სამკუთხედი“ ჩრდილოეთ კაროლინაში (სამი უმსხვილესი და რიგი შედარებით მცირე უნივერსიტეტები და კოლეჯები, დაახლოებით 40 კვლევითი ცენტრი — კერძო, საუნივერსიტეტო, ფედერალური და „მაღალტექნოლოგიურ“ კომპანიათა საწარმონი; დაახლოებით 30 საბანკო და კომერციული დაწესებულება; 20 ათასი დასაქმებული); ფილადელფიის უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრი პენსილვანიის შტატში (აგრეთვე ფუნქციონრებს 60-იანი წლების შუა ხანებიდან; რვა შენობაში, ფართით 95 ათასი $მ^2$-სა განთავსებულია 65 საწარმო და ორგანიზაცია, მუშაობს 4,5 ათასი ადამიანი.

რეგიონული *აგლომერაციის* ან „სამეცნიერო პარკის“ მაგალითს ამ სიტყვის ფართო გაგებით, წარმოადგენს ცნობილი „სილიკონის დაბლობი“ (სან-ფრანცისკოს რაიონი, კალიფორნიის შტატი). ეს ზონა 3-მილიონიანი ქალაქის კვლევითი ლაბორატორიებისა და მრეწველობის საკვანძო დარგების საწარმოთა ჩათვლით უნიკალურია კონცენტრაციის თვალსაზრისით. დღესდღეობით იქ იწარმოება ამერიკული ელექტროპროდუქციის ნახევარი და განლაგებულია 4054 ელექტრონულ, ინფორმატიკის და ტელეკავშირის სფეროში მოქმედი კალიფორნიული კომპანიების 40% ან ამ დარგების ამერიკულ კომპანიათა საერთო რიცხვის 16%.

„სამეცნიერო პარკების“ იაპონური მოდელი, ამერიკულისგან განსხვავებით, ითვალისწინებს სრულიად ახალი ქალაქების მშენებლობას. ესენია ე. წ. ტექნოპოლისები, რომლებიც თავს უყრიან სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს და მეცნიერებატევად სამრეწველო წარმოებას. სპეციალისტების აზრით, „ტექნოპოლისების“ შექმნის პროექტი — ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

სტრატეგიული მიმართულებაა იაპონური მთავრობის ექვსმიზნიანი პროგრამისა იაპონიის მიერ ტექნოლოგიური ლიდერის პოზიციების დასაპყრობად.

ხანგრძლივვადიანი მიზანია — იაპონიის გადაქცევა „იმიტატორიდან" და „რაციონალიზატორიდან" ტექნოლოგიათა შემოქმედად.

რიგი „ტექნოპოლისების" „ბირთვს" (ხიროსიმის, უბეს, კეგოსიმის) წარმოადგენს სამეცნიერო ქალაქების მშენებლობა. ისინი უნდა გახდეს 1981 წელს ტოკიოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 35 მილზე ამოქმედებული „ტვინთა ქალაქ" ცუკუბის მსგავსი. მასში ცხოვრობს 11500 ადამიანი, რომლებიც მუშაობენ 50 სახელმწიფო კვლევით ინსტიტუტსა და ორ უნივერსიტეტში. ცუკუბაში არის იაპონიის 98 წამყვანი სახელმწიფო კვლევითი ლაბორატორიიდან 30, რომელიც ამ ქალაქს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უმსხვილეს სამეცნიერო ცენტრად აქცევს.

ამჟამად მეცნიერების აქტიური ტრანსნაციონალიზაცია მიმდინარეობს. იაპონური კორპორაციები სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს ხსნიან პლანეტის სხვადასხვა წერტილში. ამასთან, ახალი ცენტრების წარმოშობის სისწრაფე ძალზე დიდია — დაახლოებით ერთი ცენტრი კვირაში.

არც ბუნებრივი, არც სასაქონლო რესურსები არ მოვიდოდა მოძრაობაში ფინანსური საშუალებების გარეშე.

ფინანსები ფულის და ფულის სუროგატების მიმოქცევის სფეროა, რომელიც მოიცავს სხვადასხვაგვარ ფინანსურ ინსტრუმენტებს (აქციებს, თამასუქებს, ობლიგაციებს, ფიუჩერსებს და ა.შ.), რომლებიც რაღაცა ზომით წარმოადგენენ ფულის შემცვლელებს ან შეიძლება მეტ-ნაკლებად იოლად გაიცვალონ მასზე. ამ გაცვლის სიჩქარისა და სიმარტივის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტები შეიძლება იყოს მეტნაკლებად ლიკვიდური. თეორიული განსაზღვრების თანახმად, კაპიტალი *არის ყველაფერი ის, რასაც შეუძლია შემოსავლის მოტანა.* კაპიტალი შეიძლება იყოს რეალური (მიწა, შენობა, მოწყობილობა და ა. შ.) და ფულადი. თანამედრო-

ვე ეკონომიკურ ცხოვრებაში რეალური კაპიტალი აუცილებლად ღებულობს ფულად შეფასებას და წარმოდგენილია რაიმე ფინანსური ინსტრუმენტის ფორმით (უმეტესად წილის ან აქციის სახით), რომელიც შეიძლება გაყიდონ და იყიდონ ფინანსურ ბაზრებზე. რეალური კაპიტალის წარმოდგენა ფინანსური ინსტრუმენტების ფორმით უზრუნველყოფს მისი გადაადგილების შესაძლებლობას ერთი მესაკუთრიდან მეორისაკენ, რაც ეკონომიკის ეფექტიანობის მნიშვნელოვან წანამძღვარს წარმოადგენს.

ამგვარად, ზოგადად კაპიტალი, როგორც რეალური, ასევე ფულადი იძენს ერთიან, უნივერსალურ, ფინანსურ ფორმას. იქიდან გამომდინარე, რომ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითად მიზანს წარმოადგენს შემოსავლის მიღება, ხოლო კაპიტალი ყველაფერია, რაც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ შემოსავალი და იგი მთლიანად წარმოდგენილია ფინანსური ფორმით, საჭიროა აღინიშნოს, რომ ფინანსები თავისთავად წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად რესურსს.

მსოფლიოს ფინანსური რესურსები ყველა ადამიანის, საწარმოების, ორგანიზაციების და სახელმწიფოთა ფინანსებია. მათ მდგომარეობას საწარმოთა ბალანსები, სახელმწიფოების და რეგიონების ბიუჯეტები, ეროვნული ანგარიშები და სხვა სტატისტიკური და საბუღალტრო დოკუმენტები ადასტურებენ.

ფინანსური რესურსები წარმოდგენილია ეროვნული ვალუტების, აგრეთვე, მრავალგვარი ფასიანი ქაღალდების: აქციების, ობლიგაციების, თამასუქების და სხვ. სახით. ფინანსური რესურსების გადანაწილება ხდება ფინანსურ ბაზრებზე.

ფინანსური ბაზრების და მთელი თანამედროვე მეგაეკონომიკის მდგომარეობას საფუძვლად უდევს ბაზრის მონაწილეთა ნდობა ერთმანეთის მიმართ, რომელიც უზრუნველყოფილია სხვადასხვა ქვეყნის და ხალხის ინსტიტუციონალური და ცივილიზაციური რესურსებით.

თუკი ავიღებთ საფინანსო სისტემის მონაწილეთა ფინანსურ ბალანსს დროის განსაზღვრულ მომენტში, მაშინ მივიღებთ მსოფლიო ფინანსური რესურსების, ასე ვთქვათ, წამიერ ფოტოსურათს. ამ რესურსების მოძრაობა ხორციელდება ფინანსური ბაზრებისა და საქონლისა და მომსახურების ბაზრების საშუალებით.

განვიხილოთ ფინანსური სისტემის ძირითად მონაწილეთა ქცევა.

სახელმწიფოებს აქვთ ფინანსური რესურსები ძირითადად ოქრო-ვალუტის მარაგების სახით. ამ მარაგებში ოქროს წილი მუდმივად კლებულობს და ახლა შეადგენს დაახლოებით 18%-ს. ყველა სახელმწიფოს საერთო რეზერვები ოფიციალური ოქროს მარაგების ფორმით, რომლებიც ინახება სახელმწიფო საცავებში, ფასდება 30 ათას ტ. ან 300 მლრდ. დოლარად. მათგან დიდი ნაწილი ეკუთვნის განვითარებულ ქვეყნებს: აშშ-ს (8 ათასი ტ.), გერმანიას, საფრანგეთსა და შვეიცარიას (დაახლოებით 3-3,5 ათასი ტ.). რუსეთის ოქროს მარაგი შეადგენს დაახლოებით 300 ტ-ს. შევნიშნავთ, რომ ომისშემდგომ წლებში სსრკ-ს ჰქონდა 2000 ტ-ზე მეტი ოქრო. ოქროს მარაგთა შემცირება საყოველთაო ტენდენციაა. ასე მაგალითად, ბოლო 40 წლის განმავლობაში აშშ-მა თავისი მარაგი შეამცირა ორჯერ. ოქროს ბაზარს მუდამ აფორიაქებს ხმები შვეიცარიის და სხვა ქვეყნების ოქროს მარაგთა მასობრივი გაყიდვების შესახებ. როგორც ამ ბოლო დროს გახდა ცნობილი, სსფ აპირებს გაყიდოს მის საკუთრებაში არსებული 300 ტონა ოქრო.

ქვეყნების სავალუტო რეზერვების ძირითადი ნაწილი ნომინირებულია დოლარებსა და სხვა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტებში. სავალუტო რეზერვები ძირითადად მოთავსებულია პირველი კლასის საზღვარგარეთულ ბანკებში და ჩადებულია საიმედო აქტივებში. მსოფლიოს საერთო ოქროსავალუტო რეზერვები შეიძლება შეფასდეს 1,8 ტრლნ დოლარად. აქ რეკორდსმენს წარმოადგენს ჩინეთი (220 მლრდ. დოლ.), მას მოსდევს იაპონია კრიზისის შედეგად რამდენჯერ-

მე შემცირებული თავისი რეზერვებით (დაახლოებით 200 მლრდ. დოლ.), შემდგომ დიდი ჩამორჩენით გერმანია (80 მლრდ. დოლ.) და აშშ (70 მლრდ. დოლ.). 2008 წლის 1 აპრილისათვის ოქრო-ვალუტის რეზერვები 14 მლრდ. დოლარს მიუახლოვდა.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში საემისიო ფუნქცია გადაცემულია მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკებისათვის. ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ ეროვნული ვალუტის კურსი შედარებით სტაბილურად და ისწრაფვიან მისი სწრაფი ცვლილებების შესარბილებლად. ემისია ან, როგორც მას ხშირად გაზეთებში უწოდებენ, „ფულის ბეჭდვა“ სინამდვილეში წარმოადგენს მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვან ბერკეტს. სახელმწიფო ფინანსური ორგანოებისათვის ძალიან მიმზიდველია ფულის ემისიის განხორციელება და, მაგალითად, ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა ან რაიმე პრობლემების გადაწყვეტა. თუმცა ამ ბერკეტზე მეტისმეტმა დაწოლამ შეიძლება მიგვიყვანოს არასასურველ და კატასტროფულ შედეგებამდე, მაგალითად, ინფლაციამდე. ამიტომ განვითარებულ ქვეყნებში ცენტრალური ბანკები კანონმდებლობით გამოყოფილია სახელმწიფოს ფინანსური ორგანოებისაგან.

ბოლო წლებში მკაფიოდ ვლინდება *ცენტრალური ბანკების განთავისუფლების ტენდენცია ზედამხედველობის ფუნქციისაგან და მათი გადართვა თითქმის მთლიანად მონეტარულ საკითხებზე.* ასეთი გზა აირჩიეს დიდმა ბრიტანეთმა, იაპონიამ, კორეამ, ამ ბოლო დროს, საქართველომ, და ზოგიერთმა სხვა ქვეყანამ.

განვითარებულ ქვეყნებში ფულადი მასა (აგრეგატი M2) ჩვეულებრივ მშპ-ის 70-80%-ს შეადგენს. გამონაკლისს წარმოადგენს აშშ, რომლისთვისაც იგი ტოლია დაახლოებით 120%-ისა. მაგრამ ეს გასაგებია, რადგან დოლარი მრავალ ქვეყანაში გამოიყენება, როგორც გადახდის და დაგროვების საშუალება.

ცენტრალურ ბანკებს გააჩნია მაკრორეგულირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი — რეფინანსირების განაკვეთი, რომელიც თავისთავად პროცენტს წარმოადგენს,

რომლის მიხედვითაც ისინი აძლევენ სესხებს კომერციულ ბანკებს. ამ განაკვეთის გადიდებით ცენტრალური ბანკი ფულს უფრო აძვირებს და ქვეყანაში იზიდავს ფინანსურ რესურსებს, იმავდროულად არბილებს ჭარბ საინვესტიციო აქტიურობას და ამშვიდებს „გადახურებულ“ ეკონომიკას. უძრაობის პერიოდში ჩვეულებრივ რეკომენდირებულია რეფინანსირების განაკვეთის დაკლება.

სახელმწიფოებს თავის განკარგულებაში აქვთ ბიუჯეტი, რომლებიც ყალიბდება გადასახადების და სხვა შენატანების ხარჯზე. სახელმწიფოს ფინანსური რესურსების შევსების და მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ვალი. ის იყოფა შიდა ვალად, რომელსაც სახელმწიფო იღებს თავის მოქალაქეებისაგან, და საგარეოდ, რაც თავისთავად წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების, ასევე, სხვა სახელმწიფოების და უცხოური ბანკების სესხებს.

სახელმწიფოთა საერთო საგარეო ვალი შეფასებულია 2,2 ტრლნ. დოლარად. პრაქტიკულად ესაა განვითარებადი ქვეყნების ვალები საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი (დაახლოებით 15%), ასევე, განვითარებული ქვეყნებისა და კერძო ფინანსური დაწესებულებებისადმი. შედარებით უსაფრთხოდ ითვლება საგარეო ვალი, რომელიც მშპ-ის 680%-ზე ნაკლებს შეადგენს. დიდი ვალები აქვს ბრაზილიას (240,8 მლრდ. დოლარი), სინგაპურს (362 მლრდ. დოლარი), ჩინეთს (373,6 მლრდ. დოლ.) და ინდონეზიას (141,2 მლრდ. დოლ.). ვალის სიმძიმე ფასდება, აგრეთვე, მისი თანხის შეფარდებით ქვეყნის ექსპორტთან. კრიტიკულად ითვლება 200%-იანი დონე. მსხვილი ქვეყნებიდან იგი გადალახეს მექსიკამ, ბრაზილიამ, არგენტინამ, ინდოეთმა და ინდონეზიამ. რუსეთი იმყოფება უშუალოდ კრიტიკულ ზღვართან.

მაკროეკონომიკური რეგულირების სხვადასხვა მეთოდის ანალიზისას აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ *ინფლაციას*, ე. ი. ფასების დონის ზრდას. 80-იან წლებში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში ინფლაცია აჭარბებდა

10-15%-ს. ამასთან, ეროვნულ ვალუტას სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში შეიძლება რამდენჯერმე შეუმცირდეს თავისი ყიდვითი უნარი. იმისათვის, რომ გათვალოთ, რამდენი ხნის განმავლობაში გაორმაგდება ფასები, სასარგებლოა გვახსოვდეს ცნობილი „72-ის წესი". *თუკი ინფლაცია შეადგენს P%-ს, მაშინ ფასების გაორმაგება მოხდება 72/p წელიწადში.* მაგალითად, 10%-იანი ინფლაციისას ეს გაორმაგება მოხდება 72/10 - 7,2 წელიწადში. 90-იან წლებში ამერიკა და სხვა განვითარებული ქვეყნები თითქოსდა გაუმკლავდნენ ინფლაციას — გამოიყენეს მკაცრი მონეტარული კონტროლის პოლიტიკა ფულად მასაზე და უზარმაზარი ფინანსური რესურსები გადაიტანეს სწრაფმზარდ საფონდო ბირჟებზე. მაგრამ დიდხანს შენარჩუნდება თუ არა ეკონომიკის დაბალინფლაციური ზრდა, ამის თქმა ძნელია. მთელი 2000 წელი სავსე იყო სხვადასხვაგვარი აპოკალიფსური წინასწარმეტყველებებით. ამასთან, შავბნელი პროგნოზები ეკუთვნოდა ძალიან ავტორიტეტულ ფინანსურ ანალიტიკოსებს, ისეთებს, როგორიცაა აშშ-ის სარეზერვო სისტემის გენერალური დირექტორი (ამჟამად უკვე ყოფილი) ა. გრიინსპენი.

მოსახლეობა ფინანსური რესურსების ძირითად განმკარგულებელს წარმოადგენს. საბოლოო ჯამში, ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი ხდება ადამიანთაგან ვიღაცის შემოსავალი: მეწარმის, მოსამსახურის ან თანამშრომლის. ამ შემოსავლიდან მოსახლეობა იხდის გადასახადებს და მოსაკრებელს, რომელიც შეადგენს სახელმწიფოს საქმიანობის ძირითად შემოსავალს. დარჩენილ ფულს უწოდებენ მოსახლეობის ხელთ არსებულ შემოსავალს. მიდრეკილებების, ტრადიციების და კერძო უპირატესობების შესაბამისად ეს შემოსავალი იყოფა დანაზოგებსა და მოხმარებას შორის. განსაზღვრული ქვეყნის მოსახლეობისათვის დანაზოგის შეფარდებას ხელთ არსებული შემოსავლისადმი უწოდებენ მოსახლეობის მიდრეკილებას დაზოგვისაკენ. ეს ეკონომიკური სისტემის ძალზე

მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება მოცემულ ქვეყანაში ჩამოყალიბებულ დაზოგვის ტრადიციებს, ცივილიზაციურ თავისებურებებს და მოცემული ქვეყნის რესურსებს.

მოსახლეობას შეუძლია შეინახოს თავისი დანაზოგი ნაღდი ეროვნული ან უცხოურ ვალუტის სახით და საბანკო სადეპოზიტო ანგარიშებზე. სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის დანაზოგი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. განვითარებული ქვეყნებისათვის იგი საშუალოდ შეადგენს მშპ-ის 8-10%. იმავდროულად აშშ-ში დანაზოგთა ტემპების ზრდა სწრაფად მცირდება. თუკი 90-იანი წლების დასაწყისში ამერიკელებმა დაზოგეს მშპ-ის დაახლოებით 7% წელიწადში, 2000 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა პრაქტიკულად ნულამდე. აქციების ბაზრის საოცრად სწრაფი ზრდა იზიდავს ამერიკელებს მთელი თავისი თავისუფალი საშუალებების განსათავსებლად. მათ არა მარტო შეწყვიტეს დაზოგვა ტრადიციული გაგებით, არამედ კრედიტებსაც კი იღებენ თავიანთი უძრავი ქონების დაგირავებით, აქციებში დაბანდებების გასაზრდელად. ამერიკელთა 45% .უკვე გახდა აქციების მფლობელი, და ამან მათ ბოლო ხუთი წლის მანძილზე მოუტანა დაახლოებით 5 ტრლნ. დოლარი.

იაპონელებს კი, პირიქით, ტრადიციულად გააჩნიათ დიდი მიდრეკილება დაზოგვისადმი და სახელმწიფო ზომებს ღებულობს მოხმარების მიდრეკილების გასაზრდელად. 1998 წლის გაზაფხულზე იაპონიის მთავრობამ გამოაქვეყნა საბანკო სისტემის (Big BangKplan) სანაციის გეგმის ერთ-ერთი ელემენტი, რომელიც ითვალისწინებდა დანაზოგთა ნაკადების ხელახალ ორიენტაციას საფონდო ბაზარზე. გეგმის თანახმად, 1998 წ. დეკემბრიდან როგორც იაპონიის, ასევე საზღვარგარეთულმა სატრასტო ფონდებმა მიიღეს იმ საშუალებების ინვესტირების შესაძლებლობა, რომელიც მოზიდული იყო იაპონიაში საზღვარგარეთული ბაზრებიდან. თუკი გავითვალისწინებთ, რომ დღეს იაპონელთა უმეტესობა (ფინანსური სისტემისადმი უნდობლობის გამო) ინახავს თავის ფულს

სახელმწიფო საპენსიო ანგარიშებზე, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ 0,25%-ს, მსოფლიოში ცნობილი საზღვარგარეთული ფონდების მომსახურებაზე იქნება მოთხოვნა, უკიდურეს შემთხვევაში ახალი თაობის მხრიდან. იაპონიაში თავმოყრილია მსოფლიო დანაზოგთა 40% (დაახლოებით 9 ტრლნ. დოლ.)[1].

თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს ტენდენციად იქცა იმ ადამიანთა რიცხვის ზრდა, რომლებიც დამოუკიდებლად ახდენენ შედარებით მცირე თანხების ინვესტირებას კორპორაციების აქციებში. საკმარისია გქონდეთ ჩვეულებრივი პერსონალური კომპიუტერი და ჩაერთოთ ინტერნეტში, რომ თავად შეგეძლებათ მიიღოთ აქტიური მონაწილეობა საბირჟო თამაშის ელექტრონული ვაჭრობის რეჟიმში. ამით სულ უფრო ხშირად სარგებლობს მოწინავე ქვეყნების, განსაკუთრებით, აშშ-ს მოსახლეობა. კერძო ინვესტორებს არ გააჩნიათ პროფესიონალური ცოდნა საფინანსო ბაზრების შესახებ და ინფორმაციას იძენენ მის-ებიდან და მსხვილი კონსალტინგური ფირმების შეტყობინებებიდან. ისინი ძირითადად იოლად ექცევიან ძალიან ენერგიული ან პანიკური განწყობილებების გავლენის ქვეშ, რაც აქციების ბაზარს კიდევ უფრო არამდგრადს ხდის.

ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, რომ მოსახლეობის და საწარმოთა დანაზოგები გამოიყენებოდეს ძირითადად საინვესტიციო მიზნებისათვის. იდეალურ ეკონომიკაში დანაზოგები ქვეყნის ეკონომიკის ინვესტიციების ტოლია, მაგრამ რეალურად ასე როდია. დანაზოგთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება გადავიდეს უცხოურ ვალუტაში და გავიდეს ქვეყნიდან. მაგალითად, 90-იანი წლებში რუსეთიდან გატანილი იყო 100 მლრდ. დოლარზე მეტი. მეტ-ნაკლები ხარისხით ეს პრობლემა დგას უმეტესი ქვეყნების ეკონომიკების წინაშე. მეგაეკონომიკის წარმოშობასთან ერთად ქვეყნიდან კაპიტალის გაქცევა გლო-

1. Банковское дело. – 1999. – № 5.

ბალურ ფინანსურ ბაზრებზე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, რომელიც მომგებიანია მსოფლიო ეკონომიკისათვის მთლიანობაში, თუმცა ზიანს აყენებს განსაზღვრულ ქვეყნებს. თანამედროვე პირობებში კაპიტალის გაქცევასთან ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ ერთი გზით — მიეცეს მას მოცემულ ქვეყანაში უფრო კომფორტული პირობები გადასახადების და უსაფრთხოების თვალსაზრისით. მაშინ გაქცევა შეწყდება და კაპიტალი წავა იმ ქვეყანაში, რომელიც მას შეუქმნის უკეთეს პირობებს. მაგრამ ამისათვის საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ნდობა ქვეყნის მთავრობისა და მის მიერ გატარებული პოლიტიკისადმი.

ვალუტის კურსები ყალიბდება სახელმწიფოთა სავალუტო პოლიტიკის და სავალუტო ბაზრის გავლენით. სავალუტო ბაზარი ფინანსური ბაზარზე გრუნვის წილის მიხედვით ყველაზე დიდია. განვითარებული ქვეყნების სავალუტო კურსებისათვის დამახასიათებელია „თავისუფალი ცურვის“ რეჟიმი, ე. ი. ბაზრებზე კურსის შედარებით თავისუფალი ფორმირება. მნიშვნელოვან მსოფლიო ტენდენციას წარმოადგენს ეროვნული ვალუტების დაჯგუფება სამი წამყვანი ვალუტის — დოლარის, ევროსა და იენის გარშემო და მკაცრი კონკურენცია ამ ვალუტების მიერ ქვეყნების სავალუტო რეზერვებში ადგილისათვის.

თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს ფენომენს წარმოადგენს ევროვალუტების ბაზარი, რომელიც ჩამოყალიბდა თავისი წარმოშობის ქვეყნებიდან კაპიტალის გაქცევის შედეგად. ევროვალუტის ბაზარი თავისუფალი სავალუტო საშუალებების ყველაზე მსხვილი და იაფი წყაროა. იგი ფართოვდება ტებ-ების საკრედიტო ემისიის საშუალებით.

საფონდო ბაზრები იყოფა აქციების და ობლიგაციების ბაზრებად, დაახლოებით 45—55%-ის თანაფარდობით. როგორც ერთი, ისე მეორე ბაზრის ტევადობის ნახევარი მოდის აშშ-ზე. ფინანსურ ბაზართაგან აქციების ბაზრის როლი მუდმივად იზრდება. ამერიკული აქციების სწრაფი ზრდა XX ს-ის ბოლოდან იზიდავს მთელი მსოფლიოს ფი-

ნანსურ რესურსებს, აჩერებს აშშ-ში ინფლაციას, უზრუნველყოფს ამერიკის ეკონომიკის უპრეცენდენტო ზრდას, მაგრამ იმავდროულად ანიჭებს არამდგრადობას მსოფლიოს საფინანსო სისტემას და ქმნის წანამძღვრებს მსოფლიო ფინანსური კრიზისისათვის.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს ფიუჩერსული, ოპციონის, სვოპების და სხვა დერივატული ბაზრების სწრაფი განვითარება. ისინი არა მარტო ყალიბდებიან სპოტ-ბაზრების გავლენით, არამედ ბოლო დროს თვითონ დაიწყეს მათზე ზეგავლენის მოხდენა. აწმყოზე მომავლის გავლენა ფინანსური ბაზრების ახალ მნიშვნელოვან ტენდენციად იქცა.

🕮 ძირითადი ლიტერატურა

- მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, ტ. I, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ, თბილისი, 2003. — გვ. 287-469.
- მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო, პროფ. გრ. თოდუას და პროფ. შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი, 2001. — გვ. 195-374.
- პოლ ჰერსტი, გრემ ტომპსონი. გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. გამომც. „დიოგენე", I ქართ. გამოც., თბილისი, 2005.
- Peter Dicken. Global Shift, Transforming the World Economy, Third Edition, P.C.P Ltd, 1999.

თემა 7

გლობალური პრობლემები

ეკონომიკური განვითარების უთანაბრობა და გლობალური პრობლემები. მსოფლიო ეკონომიკის ეკოლოგიური, დემოგრაფიული და სასურსათო პრობლემები. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი გლობალური პრობლემების გადაჭრაში.

გლობალურ პრობლემათა უმრავლესობის წარმოშობის მექანიზმი დაახლოებით ამგვარია: მსოფლიოში ჩამოყალიბებული წონასწორობის უთანაბრო განვითარების შედეგად ცალკეულ ქვეყნებში, კლასებში ან ჯგუფებში წინააღმდეგობა ჩნდება. მისი არსი ისაა, რომ მსოფლიო თანამეგობრობის განსაზღვრული ნაწილი (ქვეყნების ჯგუფი, ერი, კლასი და ა. შ.) იწყებს ფიქრს იმაზე, რომ ძალაუფლების გადანაწილება მის რეალურ პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ ან კიდევ რაიმე ძალას აღარ შეესაბამება და მისთვის შესაძლებელი ყველა ზომების გამოყენებით უფრო „სამართლიანი“ ძალაუფლების გადანაწილებისათვის ილტვის. თუკი წინააღმდეგობა იმგვარია, რომ მისი გადაწყვეტა მხოლოდ მთელი მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევითაა შესაძლებელი, მაშინ საქმე გლობალურ პრობლემასთან გვაქვს.

შესაბამისად, გლობალურ პრობლემათა საკლასიფიკაციო ნიშნის სახით შეიძლება ავარჩიოთ მათ საფუძვლად დადებულ წინააღმდეგობათა ხასიათი. უმეტესწილად ბრძოლა ძალაუფლებისათვის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში არსებობს და სწორედ აქედან ჩნდება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ხასიათის გლობალური პრობლემები.


მაგრამ ძალაუფლებისათვის ბრძოლისას ერთმანეთს შორის კონფლიქტში შედიან არა მხოლოდ სხვადასხვაგვარად ორგანიზებულ ადამიანთა ჯგუფები. ძალაუფლებისაკენ

სწრაფვის დროს ადამიანები ხშირად ბუნებასთან წინააღმდეგობაში მოდიან, ფიტავენ რა ბუნებრივ რესურსებს და ეკოსისტემებს განვითარების სახიფათო რეჟიმებში აყენებენ. კაცობრიობის ტექნოლოგიური სიმძლავრის თანამედროვე დონეზე ამგვარი კონფლიქტები ხშირად ზოგადსაკაცობრიო გლობალურ ხასიათს იძენს და მათი გადაწყვეტა მთელი კაცობრიობის ძალისხმევას საჭიროებს. ასე წამოიჭრება ხოლმე გლობალური ეკოლოგიური პრობლემები.

მაშ ასე, ზედა დონეზე შეიძლება გამოვყოთ პრობლემათა ოთხი ჯგუფი: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური. ბუნებრივია, გლობალური პრობლემები ძლიერაა ურთიერთდაკავშირებული და ხშირად მათი დამოუკიდებელი გადაჭრა შეუძლებელია ან არაეფექტიანია. გლობალური პრობლემები საჭიროებს საერთოსისტემურ გადაწყვეტას. პრობლემათა ყველა ჯგუფის მჭიდრო გადახლართვის მკაფიო მაგალითს დემოგრაფია წარმოადგენს. გლობალურ დემოგრაფიულ პრობლემებს, რომელთაც ხშირად ცალკეულ ჯგუფებში გამოყოფენ, საფუძვლად უდევს წინააღმდეგობა, რაც ცალკეული ქვეყნის ან ხალხთა სხვადასხვა ჯგუფის მოსახლეობის ზრდის უთანაბრო ტემპების გამო ჩნდება. მაგალითად, ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობის უფრო სწრაფმა ზრდამ შეიძლება მიიღოს სამხედრო ბრძოლის ფორმა სასიცოცხლო სივრცისათვის, ხოლო მრავალი ქვეყნის მოსახლეობის დაბერება მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს წარმოშობს.

ბრძოლა ძალაუფლებისათვის, წინააღმდეგობანი და კრიზისები კაცობრიობის განვითარების მთელ ისტორიას თან ახლავს, თუმცა, იმისათვის, რომ მათ ნიადაგზე გლობალური პრობლემები წარმოშობილიყო, საჭირო იყო, *პირველ რიგში*, მათი გაზრდა პლანეტარულ მასშტაბებამდე და *მეორე*, მათი გაცნობიერება მსოფლიო თანამეგობრობის მიერ როგორც პრობლემებისა, რომლებიც გადაწყვეტას საჭიროებს და რომელთა გადაჭრა არსებული საშუალებებით შესაძლებელია.

სურათზე 7.1. წარმოდგენილია ძირითადი გლობალური პრობლემები.



სურ. 7.1. გლობალურ პრობლემათა სტრუქტურა

რა თქმა უნდა, შესაძლებელია პრობლემების სხვა კლასიფიკაცია, თუმცა აქ წარმოდგენილი მეთოდი მისაღები და ყოვლისმომცველია.

გლობალიზაცია წამყვანი, გაბატონებული, თუმცა მსოფლიო განვითარების არამონოპოლიურად განმსაზღვრელი ტენდენციაა. მსოფლიო ისეა მოწყობილი, რომ ყოველ ტენდენციას მისი საწინააღმდეგო უპირისპირდება და მათი უწყვეტი ბრძოლა მსოფლიო განვითარებას განსაზღვრავს. თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციას ლოკალიზაციის ტენდენცია უპირისპირდება, რომელიც მდგომარეობს ქვეყნების და რეგიონების სწრაფვაში დეცენტრალიზაციისაკენ, მცირე მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა და ტერიტორიათა შექმნაში. ეს ტენდენცია კარგად აისახება, აგრეთვე, ეკონომიკური ძალაუფლების თეორიის პოზიციიდან. მართლაც, ხელისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობენ არა მარტო ტრანსეროვნული გიგანტები და მძლავრი ეროვნული სახელმწიფოები. ძალაუფლებისაკენ სწრაფვა გააჩნია მცირე ერთა ელიტებს, ხალხებს და ტერიტორიებს, რომელთაც მათი რეალიზება არ შეუძლიათ ერთიანი გლობალური მსოფლიოს ჩარჩოებში. ამიტომ ძალაუფლების სისტემაში თავისი ეკოლოგიური ნიშის საძიებლად ისინი ზემდგომი სახელმწიფო ორგანოებიდან ძალაუფლების უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნისკენ ისწრაფვიან. ისინი ეყრდნობიან ეროვნულ და სეპარატისტულ განწყობებს, რომელიც დამახასიათებელია სხვადასხვა ქვეყნების პროვინციათა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. ამ განწყობილების წაქეზებითა და შედარებით, ან სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევით ლოკალური ელიტები ძალაუფლების გაზრდის მიზანს აღწევენ.

გლობალური პრობლემები — ესაა ძალაუფლებისათვის ბრძოლის საფუძველზე წარმოშობილი წინააღმდეგობანი, რომელთა გადაწყვეტით მსოფლიო თანამეგობრობაა დაინტერესებული.

გლობალური პრობლემები წინააღმდეგობის ტიპის მიხედვით შეიძლება დავყოთ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ პრობლემებად.

XIX ს-ის ბოლოს მსოფლიომ თავისი თავი შეიგრძნო როგორც ერთი მთლიანი, ხოლო მსოფლიო თანამეგობრობამ წარმოშობილი გლობალური პრობლემების გაცნობიერება დაიწყო. სამყარო თანდათან ნამდვილად გლობალური ხდებოდა. 1850 წლიდან 1914 წლამდე დედამიწის მოსახლეობა გაიზარდა სულ 1,5–ჯერ, ხოლო მსოფლიო ვაჭრობის ბრუნვა — 10-ჯერ. საგარეო ვაჭრობის წილი განვითარებული ქვეყნების მშპ-ში გაორმაგდა.[1]

სასაქონლო ექსპორტთან ერთად კაპიტალის ექსპორტმაც მძაფრად იწყო განვითარება. 1900-1913 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გაორმაგდა. საერთაშორისო მიგრაციამ უზარმაზარი მასშტაბები შეიძინა. 1914 წლისათვის კანადის მოსახლეობის 22%, არგენტინის 30% და ახალი ზელანდიის მცხოვრებთა 26%-ზე მეტი ახალი თაობის იმიგრანტები იყვნენ. აშშ-ში დაბადებული მუშები ქვეყნის მთელი პროლეტარიატის ნახევარსაც არ შეადგენდნენ.[2]

სატრანსპორტო სისტემამ ფაქტობრივად მთელი მსოფლიო მოიცვა. პლანეტარული სატრანსპორტო ერთიანობა შთამბეჭდავად იქნა ნაჩვენები ჟიულ ვერნის ცნობილ რომანში „80 დღე დედამიწის გარშემო“ 1900 წლისათვის პრაქტიკულად დედამიწის ყველა რეგიონი ტელეგრაფის საშუალებით იქნა დაკავშირებული. დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 89% კონვერტირებადი ვალუტის მქონე ქვეყნებში ცხოვრობდა. ამგვარად, განსაზღვრულ ტექნოლოგიურ დონეზე გლობალური სატრანსპორტო, საინფორმაციო და ფინანსური ტექნოლოგიები მაშინ უკვე არსებობდა.

---

1. იხ.: Синцеров Л. Длинные волны глобальной интеграции // Мировая экономика и международные отношения. - 2000. - N5.
2. იხ.: Долльфюс О. Система мир // Мировая экономика и международные отношения. 1995. N6.

„ლონდონის მცხოვრებს შეეძლო ტელეფონით შეეკვეთა... სხვადასხვაგვარი საქონელი მთელი მსოფლიოდან... შეეძლო გაერისკა თავისი მდგომარეობით (ქონებით), თუ ფულს დედამიწის ნებისმიერ წერტილში ბუნებრივ რესურსებსა და საწარმოებში დააბანდებდა. მისთვის უზრუნველყოფილი იყო იაფი, კომფორტული და დაუბრკოლებელი მგზავრობა ნებისმიერ ქვეყანასა და ბუნებრივ ზონაში... მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, იგი საქმის ამგვარ ვითარებას ბუნებრივად, უცვლელად და მუდმივად მიიჩნევდა. საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია აბსოლუტური იყო," — სინანულით წერდა დიდი კეინსი[1] უკვე XX ს-ის 20-იან წლებში, როდესაც გლობალური მსოფლიო პირველი მსოფლიო ომის დარტყმისა და პოლიტიკური რევოლუციის შედეგად დაეცა.

რატომ განიცადა გლობალიზაციამ, რომელიც დაახლოებით საუკუნის წინ დაიწყო, ესოდენ დამანგრეველი მარცხი? ომისა და 1914–1922 წლების რევოლუციების შემდეგ ხომ გლობალური მსოფლიო გაქრა. ქვეყნები ერთმანეთს მკაცრი სავიზო რეჟიმებითა და საბაჟო ბარიერებით გაემიჯნა. საგარეო ვაჭრობისა და კაპიტალის გატანის წილი განვითარებული ქვეყნების მშპ-ში მკვეთრად შემცირდა. მათი შემცირების ტენდენცია იმდენად ხანგრძლივი და საყოველთაო ჩანდა, რომ ჩამოყალიბდა ეკონომიკური კანონის ფორმით — „საერთაშორისო ვაჭრობის კლებადი მნიშვნელობა",[2] რომელსაც XX ს-ის შუახანებიდან სტუდენტები ყველა უნივერსიტეტში სწავლობდნენ.

პირველ ეტაპზე გლობალიზაცია დიდი ბრიტანეთის ეგიდით მიმდინარეობდა, რომელიც მაშინ მსოფლიოს უდიდესი იმპერია იყო 400 მილიონიანი მოსახლეობით. მის უზარმაზარ კოლონიებსა და დომინიონებზე მზე არასოდეს ჩადიოდა. ამ-

1. Keynes J. The Economic Consequences of the Peace. N. Y., 1920.

2. Широков Г. Парадоксы эволюции капитализма (Запад и Восток). М.: Институт востоковедения РАП, 1998.

გვარი გლობალიზაცია მაინცდამაინც არც აწყობდა სხვა ქვეყნებს და, პირველ რიგში, გერმანიას, რომელმაც იმ დროისათვის უზარმაზარი ეკონომიკური და სამხედრო ძალა შეიძინა და რომელიც მსოფლიო ბატონობისაკენ ისწრაფვოდა.

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მართალია კაპიტალი შედარებით თავისუფლად გადაადგილდებოდა მსოფლიოში, მაგრამ ის მაინც ნაციონალური რჩებოდა. მისი გადაადგილება მნიშვნელოვანწილად მსოფლიო, არსით კი ეროვნული, კოლონიური იმპერიის ჩარჩოებით შემოიფარგლებოდა. დიდი ტრანსეროვნული კაპიტალი ამჟამინდელის ოდნავ მსგავსიც კი არ იყო. მთავარი ის იყო, რომ კაპიტალი თავს ეროვნულად შეიგრძნობდა და თავის ბრძოლას ძალაუფლებისათვის ეროვნული სახელმწიფოების სიმძლავრეს უკავშირებდა.

მეორე მხრივ, პროლეტარული მოძრაობის იდეოლოგებმა გლობალური ტენდენციები აშკარად შენიშნეს და გამოიყენეს. მათ წამოსწიეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და კლასობრივი ბრძოლის იდეა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის. ამგვარად, ისინი მუშათა კლასის ეგიდით მიმდინარე გლობალიზაციაზე ოცნებობდნენ.

გამოდიოდა, რომ გლობალური სამყაროს აშენება ყველას სურდა, მაგრამ სხვადასხვა პლატფორმაზე დაყრდნობით. დიდი ბრიტანეთი, ბუნებრივია, ცდილობდა შეენარჩუნებინა და გაეფართოვებინა უკვე არსებული გლობალური ბრიტანული იმპერია. ეს კი მსოფლიო ჰეგემონიაზე მეოცნებე გერმანიის გეგმებში არ შედიოდა, ასევე იაპონიისაც, რომელიც აზიაში ძალაუფლებისაკენ ილტვოდა. დაუკმაყოფილებელი რჩებოდა არცთუ შორეულ წარსულში მარცხებისგან გამორკვეული საფრანგეთი და რუსეთი. მძაფრ ქვეყანათაშორის წინააღმდეგობებს არანაკლებ სახიფათო კლასობრივი კონფლიქტები ემატებოდა. ფორმირებული და ძალზე აგრესიული კომპარტიებისგან მართული პროლეტარიატიც, აგრეთვე მსოფლიო, თუმცა თავის ვარიანტში უკვე კლასობრივი მსოფლიო ბატონობისაკენ მიისწრაფვოდა. ყველასათვის სავსებით შესაგრძნობი მსოფლიო პროლეტარული რე-

ვოლუცია, ბუნებრივია, საპასუხო რეაქციის სახით საშუალო კლასისათვის დამახასიათებელი ჯანმრთელი და მტკივნეული ნაციონალიზმის გამოვლენის ზრდას იწვევდა.

60-იან წლებამდე გლობალიზაციის ახალ ტალღაზე არაფერი მეტყველებდა. 1963 წელს მსოფლიო ეკონომიკაში საერთაშორისო ვაჭრობის ხვედრითი წონა მესამედით ნაკლები იყო, ვიდრე 1913 წელს.

მას შემდეგ გლობალლიზაციის ნაბიჯები იზრდება. 70-იანი წლები მეგაეკონომიკის, როგორც ერთიანი ეკონომიკური ორგანიზმის, ჩამოყალიბებით ხასიათდება. თანამედროვე გლობალიზაცია ბევრით თავისი ისტორიული წინამორბედისაგან განსხვავდება და ეს გვაიმედებს, რომ დღესდღეობით წარმოშობილი გლობალური პრობლემები შეიძლება მშვიდობიანი გზით წარმატებულად გადაწყდეს.

XX ს-ის მეორე ნახევარში *კაცობრიობამ შეძლო მსოფლიო კონფლიქტების სამხედრო გზით გადაჭრის ჩვევა გადაელახა*. მსოფლიო ბირთვული ომის ზღურბლზე არაერთხელ მდგარა, მაგრამ თვითგადარჩენის გრძნობა ძალაუფლების წყურვილსა და სწრაფ გამარჯვებაზე ყოველთვის იმარჯვებდა. მეცნიერებმა შთამბეჭდავი და უდავო გამოთვლები ჩაატარეს, რომლებიც გვიჩვენებს, რომ თვით ერთი, პირველი სარაკეტო-ბირთვული ზალპიც კი ურთიერთმებრძოლი რომელიმე მხარის მხრივ სრულიად საკმარისი იქნებოდა საყოველთაო „ბირთვული ზამთრის“ წარმოშობისათვის. მნიშვნელობა არა აქვს, სად დაეცემოდა გასროლილი რაკეტები, ისინი მტვრისა და ჭვარტლის ისეთ ღრუბელს წარმოშობს დამწვარი ქალაქებისა და სხვა ობიექტებისაგან, რომ მზე რამდენიმე წლით დაიფარება, ტემპერატურა მთელ დედამიწაზე მინუსამდე დაეცემა და კაცობრიობა პრაქტიკულად გაქრება. *ყველაზე დამანგრეველი იარაღის აღმოჩენამ კაცობრიობა მსოფლიო ომებისაგან გაათავისუფლა.*

თუმცა იქვე წარმოიშვა სხვაგვარი საფრთხე. ბირთვული იარაღის წარმოების ტექნოლოგიამ მთელ მსოფლიოში აქეთიქით გადინება იწყო. მიუხედავად ბირთვული იარაღის გაუვ-

რცელებლობის შესახებ ხელშეკრულებისა, ქვეყნების სულ უფრო დიდი რიცხვი შეუდგა მის შემუშავებას და (ან) დამზადებას. ამასთან, ქვეყნათა უმრავლესობა მიზნად ისახავს მიიღოს მშვიდობიან პრაქტიკაში კარგად ნაქები თავდაცვის იარაღი საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თუმცა ასეთი იარაღი ლოკალური კონფლიქტების ისეთ რაიონებში, როგორიცაა, მაგალითად, ინდოეთი და პაკისტანი ან ისრაელი და არაბული ქვეყნები, ძალზე სახიფათო შედეგებს მოიტანდა.

ბანიარალება, დემილიტარიზაცია და კონვერსია მსოფლიოში ჯერჯერობით ძალიან ნელა მიმდინარეობს. მისი მსვლელობა გაძნელებულია იმით, რომ კონვერსიის დასაწყისი ეტაპები და განსაზღვრული სახით იარაღის განადგურება ძალზე ძვირია. სსრკ-ის დაშლის შემდეგ დსთ-ის ქვეყნებს კონვერსიისათვის საკმარისი საშუალებები არ აღმოაჩნდა, ბევრმა მეცნიერმა და ინჟინერმა სამშობლო დატოვა, ხოლო ცოდნა უნიკალურ და ხშირად განსაკუთრებით სახიფათო სამხედრო ტექნოლოგიებზე თან წაიღო.

მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების შესაძლებლობა *ლოკალური კონფლიქტების და ომების პრობლემას* გლობალურს ხდის. 90-იან წლებში მსოფლიოში მუდმივად მიმდინარეობდა დაახლოებით 50 ერთმანეთის შემცვლელი ლოკალური ომი. გლობალიზაციის ტენდენციასთან ერთად და მის საპირისპიროდ არსებობს სეპარატისტულ-ნაციონალისტურ განწყობილებათა ზრდის ტენდენცია. ობიექტურად ისინი განპირობებულია ჩამოყალიბებული ძალაუფლების სისტემაში მცირე, მაგრამ საკუთარი ერთიანობისა და თვითმყოფადობის შეგრძნების მქონე ეროვნული ჯგუფებისა და ხალხების რეალური ან მოჩვენებითი დაყოფით.

XX ს-ის ბოლოს საყოველთაოდ ცნობილია შემდეგი ლოკალური კონფლიქტები: ვიეტნამი, კამბოჯა, ნიკარაგუა, პალესტინა, ერაყი, ავღანეთი, კოსოვო, აფხაზეთი, დნესტრისპირეთი, ჩეჩნეთი და სხვ. მრავალი. სხვადასხვა ისტორიული ეპოქის სამხედრო კონფლიქტების თავისებურებანი მნიშვნელოვანწილად თავდაცვითი და შეტევითი შეიარაღების შე-

საძლებლობათა თანაფარდობით განისაზღვრება. დღესდღეობით მსხვილ სახელმწიფოებს, რომელთაც ავიაციის, სარაკეტო ტექნიკის და ბირთვული იარაღის მძლავრი არსენალი გააჩნია, თითქოსდა პატარა სახელმწიფოებსა და ხალხებზე აბსოლუტური უპირატესობა აქვთ. თუმცა ბირთვული იარაღის გამოყენება ლოკალურ კონფლიქტებში, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ეს კოლოსალურ, გაუმართლებელ მსხვერპლამდე და უზარმაზარი ტერიტორიების რადიოაქტიური დაბინძურების საფრთხემდე მიგვიყვანდა. ავიაციის და რაკეტების გამოყენების შესაძლებლობები, აგრეთვე, შეზღუდულია, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფოები ომს სეპარატისტებთან საკუთარ ტერიტორიებზე აწარმოებენ. აი, ინდივიდუალური თანამედროვე იარაღი კი იმდენად სრულყოფილი გახდა, რომ მეამბოხეთა დამარცხება ჩვეულებრივი სახმელეთო არმიის იარაღით ძალზე ძნელია. ხელის ავიაციისსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო ჰურვები სავსებით აწონასწორებს არტილერიის, ტანკების და მეამბოხეთა სხვა სახის შეიარაღების დანაკლისს. ამიტომ რეგულარული არმიები ხშირად ვერ უმკლავდებიან მეამბოხეებსა და სეპარატისტებს. მით უმეტეს, რომ ჩვეულებრივ, არსებობენ ეროვნულ მოძრაობათა ან მოცემულ სახელმწიფოს მოწინააღმდეგენი, რომლებიც სეპარატისტებს იარაღით სიამოვნებით ამარაგებენ. ამით აიხსნება აშშ-ის დამარცხება ვიეტნამში, სსრკ-ის — ავღანეთში, ქურთების, ბასკების პალესტინელებისა და სხვა სეპარატისტების შედარებითი წარმატებები, ასევე სიძნელეები ჩეჩნეთში.

თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს ე.წ. ურჩი ქვეყნები, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ სურთ დაემორჩილნენ საყოველთაოდ მიღებულ გაეროს დეკლარირებულ საერთაშორისო წესებს. მათ ჩვეულებრივ მიაკუთვნებენ ერაყს, ლიბიას, ნაწილობრივ ირანს, სულ ბოლო დროებამდე ჩრდილოეთ კორეას და სხვა ქვეყნებს. ამ ქვეყნების ხელმძღვანელები, რომლებიც, უმეტესწილად, ხელისუფლებაში არაკონსტიტუციური გზით მივიდნენ,

მსოფლიო საზოგადოებრიობის ნდობას არ იმსახურებენ, რადგან ეს უკანასკნელი აგრესიას და ამ ქვეყნების მხრიდან მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებას უფრთხის.

დღესდღეობით გლობალურად იქცა და ძალზე გამძაფრდა ტერორიზმის პრობლემა. მას შეიძლება მიმართონ ურჩმა ქვეყნებმა, ცალკეულ პირთა ჯგუფებმა, მაგალითად, პარტიებმა და სექტებმა, აგრეთვე ინდივიდუალურმა ტერორისტებმა. ამასთან, ტერორის თანამედროვე ტექნოლოგიები ცალკეულ პირებს საშუალებას აძლევს კოლოსალური ზიანი მიაყენონ საზოგადოებას და მრავალი ადამიანის დაღუპვა გამოიწვიონ. ტერორის საფრთხე ზენაციონალური ანტიტერორისტული ძალების შექმნას საჭიროებს.

პოლიტიკურ გლობალურ პრობლემებს მიაკუთვნებენ მშვიდობის — განიარაღების — დემილიტარიზაციისა და კონვერსიის, ლოკალური კონფლიქტების და ომების, აგრეთვე საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემებს.

XX ს-ის დამდეგის გლობალიზაციისგან განსხვავდებით, XXI ს-ის დამდეგს ძირითადი გლობალური პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის საკმარისი ძალები უკვე არსებობს.

ახალი ინდივიდუალური შეიარაღების გაჩენამ ძალზე გაართულა სახელმწიფოთა ბრძოლა მეამბოხეებთან და ტერორისტებთან. ურჩ ქვეყნებსა და ტერორისტულ ჯგუფებს წინააღმდეგობას უნდა უწევდნენ ზესახელმწიფოებრივი ანტიტერორისტული ორგანიზაციები.

როგორც არაერთხელ გაესვა ხაზი, თანამედროვეობის ძირითად ეკონომიკურ გლობალურ პრობლემას *ტრანსეროვნული კაპიტალისა და ეროვნული სახელმწიფოების დაპირისპირება* წარმოადგენს. ეს პრობლემა წინა თავებში გულდასმით იყო განხილული. თუმცა უნდა გვახსოვდეს იგი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური გლობალური პრობლემა.


თანამედროვეობის დამახასიათებელი ნიშანი გახდა ხელისუფლებისათვის ბრძოლის სიმძიმის ცენტრის გადატანა ეკონომიკურ სფეროში. *პრობლემები, რომლებიც საუკუნე-*

ობით იარაღის ძალით წყდებოდა, ბოლოს და ბოლოს ფინანსებისა და ინფორმაციის საფუძველზე წყდება. ეკონომიკურმა ომებმა ბევრად შეცვალა ჩვეულებრივი საბრძოლო ომები. დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ გერმანია ჩეხოსლოვაკიაში იმიტომ შეიჭრა, რომ გაეფართოვებინა საკუთარი კორპორაციების ეკონომიკური ძალაუფლება და თავის სამსახურში ჩაეყენებინა შესანიშნავი ჩეხური მრეწველობა. ახლა კი, სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში ჩეხეთის ყველაზე მიმზიდველი საწარმოები, ისევე როგორც მრავალი სხვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა, გერმანული ტეკ-ის საკუთრებაში აბსოლუტურად უსისხლოდ გადავიდა. საკითხი ძალაუფლების შესახებ, საუკუნეობით რომ წყდებოდა პოლიტიკური და სამხედრო მეთოდით, სულ უფრო მეტად დგება ეკონომიკურ სიბრტყეში. ძალა, რომელიც მსოფლიოში ბატონობდა ნაპოლეონის მიერ განდიდებული „დიდი ბატალიონების“ მეშვეობით, დღეს ფინანსების, ბანკებისა და ტეკ-ების სიმძლავრით ვლინდება. აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოები, რომლებიც მთელი ისტორიის განმავლობაში ტერიტორიების და რესურსების დაპყრობის მიზნით უსასრულო ომებს აწარმოებდნენ, ძალისა და ძალაუფლების მოსაპოვებლად, უკვე აღარაა ელიტარულ ჯგუფთა და ერთა ერთადერთი წყარო. იმავე მიზნებს შეიძლება ბევრად უფრო წარმატებით მიაღწიო ტეკ-ების მიერ განხორციელებული ეკონომიკური ექსპანსიის გზით. ამიტომ, ალბათ, საჭიროა მხოლოდ მივესალმოთ იმას, რომ ბაზრებისათვის ბრძოლა სამხედრო-პოლიტიკურიდან მკაცრ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უსისხლო ეკონომიკურ სფეროში გადავიდა.

უმნიშვნელოვანეს გლობალურ ეკონომიკურ პრობლემად იქცა *განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენილობის ზრდის პრობლემა*. პარადოქსულია, რომ დღეს გაბატონებული ეკონომიკური თეორიების შესაბამისად, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ჯგუფებს შორის განსხვავება უნდა მცირდებოდეს. მართლაც, ისე ჩანს, თითქოს განვითარებადი ქვეყნებისათვის იოლია ახალი ტექნიკისა და სამრეწვე-

ლო ტექნოლოგიების გამოყენება, ვიდრე სამრეწველო თვალსაზრისით განვითარებული ქვეყნებისათვის ასეთი ტექნიკის შექმნა და ტექნოლოგიების შემუშავება. იდეის მიხედვით, კაპიტალი, პროფესიული უნარ-ჩვევები და ცოდნა უნდა გადაედინებოდეს მდიდარი ქვეყნებიდან, სადაც ეს რესურსები ჭარბია, ღარიბ ქვეყნებში, სადაც ისინი არ კმარა და სადაც ისინი კიდევ უფრო პროდუქტიული იქნებოდა.

თუმცა რეალური განვითარება არ ცდილობს ჯიუტად ჩაჯდეს იმ ჩარჩოებში, რომლებიც ტრადიციული ეკონომიკური თეორიებითაა გათვალისწინებული. თუკი პირობითად დავყოფთ ყველა ქვეყანას სამ ნაწილად ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის საშუალო დონის მიხედვით, მაშინ ზედა, ყველაზე მდიდარი ნაწილი გვიჩვენებს ბოლო ათწლეულების განმავლობაში ამ მაჩვენებლის მდგრად ზრდას (სურ. 7.2.). 1970



წყარო: მსოფლიო განვითარების მაჩვენებლები 1999 წლისათვის. მსოფლიო ბანკი. — მოსკოვი: მთელი მსოფლიო, 2000.

სურ. 7.2. მდიდარი და ღარიბი ქვეყნების შემოსავალთა შორის სხვაობის ზრდა.


წლიდან მოსახლეობის ერთ სულზე ამ ჯგუფების ქვეყნებისთვის მშპ 11-დან 20 ათას დოლარამდე, ხოლო ქვედა ორ მესამედში ქვეყნების შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე უმდიდრესი ქვეყნების ზედა მესამედის მოსახლეობის შემოსავლებთან მიმართებაში სტაბილურად მცირდება.

საშუალო მესამედში ერთ სულ მოსახლეზე მშპ ზედა მესამედის ქვეყნების შემოსავლის 12,5-დან 11,4%-მდე დაეცა, ხოლო ქვეყნების უღარიბესი მესამედისათვის ამ სტატისტიკამ შეადგინა შესაბამისად — 3,1 და 1,9%. კაცმა რომ თქვას, მდიდარი ქვეყნები უფრო სწრაფი ტემპებით ვითარდებოდნენ, ვიდრე ღარიბი ჯერ კიდევ XIX ს-ის შუა ხანებიდან — სამრეწველო რევოლუციის დროიდან. მსოფლიო ბანკის შეფასებები გვიჩვენებს, რომ 1870-1985 წლების პერიოდისათვის შემოსავლებს შორის თანაფარდობა ერთ სულ მოსახლეზე უმდიდრეს და უღარიბეს ქვეყნებში 6-ჯერ გაიზარდა. ასე რომ, განსხვავება ცხოვრების დონეებში მუდმივად და საკმაოდ სწრაფად იზრდება. მაშ რა ხდება და რას ვერ ითვალისწინებს ტრადიციული თეორიები?

მიზეზი რამდენიმეა. პირველი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩამოყალიბებული და განვითარებული ქვეყნების მიერ მხარდაჭერილი არსებითი დისპარიტეტი ფასთა შორის განვითარებული ქვეყნების მაღალტექნოლოგიურ პროდუქციასა და უმეტესი განვითარებადი ქვეყნების დაბალტექნოლოგიური პროდუქციასა ან ნედლეულზე. მაგალითად, ნავთობი პრაქტიკულად არ გაძვირებულა ენერგეტიკული კრიზისის დროიდან, თუ არ გავითვალისწინებთ ინფლაციურ ეფექტებს. ტექნოლოგიები, „ნოუ ჰაუ" და მაღალტექნოლოგიური საქონელი კი, რომელსაც განვითარებული ქვეყნები ყიდიან, რამდენჯერმე გაძვირდა. განვითარებული ქვეყნების მშპ-ის უკვე 70%-ზე მეტი ძვირადღირებული მომსახურებისგან შედგება, როლის სტრუქტურაში ფინანსური ოპერაციები და საინფორმაციო მომსახურება დომინირებს.

განვითარებადი ქვეყნების ექსპორტის ტიპიური სტრუქტურა ინდოეთის მაგალითზე წარმოდგენილია სურათზე 7.3.[1]

მეორე, ინფორმაციას გააჩნია უნიკალური თვისება — მოახდინოს ახალი ინფორმაციის პროდუცირება. ისევე როგორც ცნობილ ანდაზაშია: „ქონებავ, სად მიხვალ? სადაც ბევრიაო“, ინფორმაციაც იზიდავს ახალ ინფორმაციას. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ფული და ფინანსები ასევე საინფორმაციო რესურსის თავისებური ფორმაა. ამიტომ განვითარებული ქვეყნები, რომლებიც თავს უყრიან უზარმაზარ საინფორმაციო და ინტელექტუალურ კაპიტალს, წარმატებით ამრავლებენ მას, რითაც საკმაოდ ჩამოიტოვებენ განვითარებად ქვეყნებს. გარდა ამისა, ამ სფეროში წარმატებით მუშაობს „ინტელექტუალური ტუმბო“, რომელიც ყვე-



სურ. 7.3. ინდოეთის ექსპორტის სტრუქტურა

1. იხ.: Доклад о мировом развитии 1999/2000 года. Всемирный банк. - М.: Весь мир, 2000.

ლაზე ნიჭიერ ადამიანებს განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულში იზიდავს, სადაც ცხოვრებისა და მუშაობისათვის ბევრად უკეთესი პირობებია.

მესამე, ტრადიციულ ეკონომიკურ თეორიებში სუსტადაა გათვალისწინებული ცივილიზაციური და ინსტიტუციური რესურსების გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე. უმეტესი განვითარებადი ქვეყანა ჯერჯერობით არ ფლობს აუცილებელ ცივილიზაციურ რესურსებსა და არაფორმალურ ინსტიტუტებს (ჩვეულებებს, საქმიანი ურთიერთობის ტრადიციებს), რომელთაც შეეძლებათ მოიზიდონ ქვეყანაში ინვესტიციები და წარმატებით განავითარონ ინოვაციური კომპლექსი.

იმ განვითარებად ქვეყნებში, სადაც აუცილებელი ცივილიზაციური და ინსტიტუციური რესურსები არსებობს, უცხოური ინვესტიციები შეუწყვეტლივ მიდის. ყველა პირდაპირი უცხოური ინვესტიციის (პუი) ლომის წილს ღებულობს შედარებით ცოტა ქვეყანა, რომელთა შორისაა ჩინეთი, ბრაზილია, ინდონეზია, მალაიზია, მექსიკა და ტაილანდი. სხვათა შორის, შეგახსენებთ, რომ ყველა განვითარებად ქვეყანაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაახლოებით 30%, მოდის 70% კი განვითარებულ ქვეყნებში მიდის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცხოვრება განვითარებად ქვეყნებში არ უმჯობესდება. ბოლო 40 წლის განმავლობაში იქ ერთ სულ მოსახლეზე მშპ საშუალოდ წელიწადში 2,3%-ით იზრდება. 72-ე წესის თანახმად, ეს მაჩვენებელი გაორმაგდება 72 2,3 = 31 წელში. თუმცა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის ნავთობით მდიდარ ქვეყნებში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში მოხერხდა განვითარებული ქვეყნების ცხოვრების დონესთან შეფარდებით განსხვავების რეალურად და მნიშვნელოვნად შემცირება. აღვნიშნავთ, რომ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში არ მისდევდნენ ლიბერალური ეკონომიკის ბევრ პრინციპს, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე მშპ 2000 წლისათვის მრავალჯერ აჭარბებდა ნახევარი საუკუნის წინათ არსებულ მაჩვენებელს.

„ჩრდილოეთ—სამხრეთის“ პრობლემა — ესაა გზათა ძიება სულ უფრო გაღრმავებული უფსკრულის დასაძლევად მდიდარი „ოქროს მილიარდის“ ჩრდილოეთის ქვეყნებსა და უღარიბეს სამხრეთ ქვეყნებს შორის. დედამიწის როგორც ერთი, ისე მეორე ნაწილი მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს ფლობს. ამასთან, უმდიდრეს 20%-ზე მსოფლიოს მშპ-ის დაახლოებით 83% და მსოფლიო ვაჭრობის 82% მოდის, ხოლო უღარიბეს ქვეყანების 20%-ზე — 1,4 და 1,0% შესაბამისად.

ეკონომიკური უთანასწორობა განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის ძლიერდება პირველთა ვალების ზრდით მეორეთა მიმართ. საერთაშორისო ვალის პრობლემა განსაკუთრებით მძაფრი ბოლო წლებში გახდა. დღეს განვითარებადი ქვეყნების საერთო დავალიანება დაახლოებით 2 ტრლნ დოლარს შეადგენს. ბოლო 15 წლის განმავლობაში იგი 2-ჯერ გაიზარდა. ძირითად კრედიტორებს განვითარებული ქვეყნების მთავრობები, ტრანსეროვნული ბანკები და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები წარმოადგენენ.

ამ ვალების საშუალო პროცენტი 6-8%-ის ფარგლებში მერყეობს. ეს იმას ნიშნავს, რომ განვითარებადი ქვეყნები ყოველწლიურად უნდა იხდიდნენ არანაკლებ 120 მლრდ დოლარს მხოლოდ პროცენტებისათვის, ძირითადი ვალის შეუმცირებლად. ვინაიდან ეს ხშირად შეუძლებელია, ქვეყანა-მევალე იძულებული ხდება აიღოს ახალი კრედიტები იმისათვის, რომ გადაიხადოს პროცენტები. მაგალითად, რუსეთმა 90-იან წლებში ვალის დასაფარავად დაახლოებით 80 მლრდ დოლარი გადაიხადა, მაგრამ ამასთან ვალის თანხა მხოლოდ გაიზარდა.

მიიჩნევა, რომ თუ ქვეყანა ვალის მომსახურებაზე, ე. ი. ძირითადად პროცენტების გადახდაზე, წელიწადში მშპ-ის არანაკლებ 20%-ს ხარჯავს, მაშინ მისი მდგომარეობა არც ისე ცუდია. მაგრამ ბევრი ქვეყნებისათვის, მაგალითად, აფრიკისათვის ვალის მომსახურება ძვირი ჯდება.

განვითარებადი ქვეყნები, ბუნებრივია, ცდილობენ საერთაშორისო სესხების ჩამოყალიბებულ სისტემას გადახედონ და შეზღუდონ გადასახდელთა ზომები ვალების მიხედვით, უკავშირებენ რა მათ კონკრეტული ქვეყნის შესაძლებლობებს. გარე დავალიანების პრობლემათა დარეგულირების პროგრამა 80-იანი წლების ბოლოს 77 განვითარებადი ქვეყნის ჯგუფმა წამოსწია. ისინი ითხოვდნენ პროცენტების შემცირებას სახელმწიფო სესხებზე, დავალიანების ჩამოწერას ქვეყნებისათვის, რომლებიც კრიტიკულ მდგომარეობაშია.

შეაფასა რა განვითარებადი ქვეყნების შეთანხმებული დეფოლტების სერიათა საფრთხე, განვითარებული ქვეყნები ნაწილობრივ დათმობაზე წავიდნენ და ბრეიდის გეგმა შესთავაზეს; ამ გეგმას აშშ-ის ფინანსთა მინისტრის სახელი ეწოდა. გეგმა ითვალისწინებდა საპროცენტო განაკვეთების შემცირებას, ვალის შეკვეცას, ტრანსეროვნული ბანკების (ტებ) სასესხო ვალდებულებათა გაცვლას უფრო მცირე, თუმცა განვითარებული ქვეყნების მიერ გარანტირებულ ობლიგაციებზე.

მთლიანობაში, საერთაშორისო ვალის პრობლემა გლობალურ პრობლემადაა აღიარებული და მის გადასაჭრელად მევალეთების, კრედიტორების და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევაა მიმართული. ყველაფერი დადის იქამდე, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია ვითარების გულდასმით შესწავლა და ხანგრძლივი მოლაპარაკებები.

დღეს საერთაშორისო ორგანიზაციები და განვითარებული ქვეყნები სიღარიბესთან საბრძოლველად ფართო კამპანიას ატარებენ, ეხმარებიან განვითარებად ქვეყნებს სასესხო ტვირთის შემცირებაში. განვითარებადი ქვეყნების ვალების ნაწილი ჩამოიწერება, ხოლო დანარჩენი ვალის რესტრუქტურიზაცია ხანგრძლივი ვადით ხდება.

აი, რას გირჩევდით დასამახსოვრებლად:

ძირითად გლობალურ ეკონომიკურ პრობლემებს წარმოადგენს დაპირისპირება ტრადიციულ კაპიტალსა და ეროვნულ სახელმწიფოებს, სახელმწიფოთაშორის ბლოკებს შო-

რის, განსხვავების ზრდა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ცხოვრების დონეებს შორის, მძაფრი უთანასწორობის პრობლემა მდიდარ ჩრდილოეთსა და ღარიბ სამხრეთს შორის, აგრეთვე განვითარებადი ქვეყნების მზარდი ვალის პრობლემა.

განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენილობა განპირობებულია: ფასთა დისპარიტეტით განვითარებული ქვეყნების მიერ გასაყიდ ძვირ ტექნოლოგიებს, მაღალტექნოლოგიურ პროდუქციასა და განვითარებადი ქვეყნების იაფ სანედლეულო და დაბალტექნოლოგიურ პროდუქციას შორის; პრაქტიკულად ყველა საინფორმაციო და ფინანსური რესურსის კონცენტრაციით განვითარებულ ქვეყნებში; მრავალ განვითარებად ქვეყანაში თანამედროვე განვითარებისათვის აუცილებელი ცივილიზაციური და ინსტიტუციური რესურსების უქონლობით.

შემოსავლებში უთანასწორობა ობიექტურად მრავალი ფაქტორით ჩნდება. უპირველეს ყოვლისა, ადამიანები, როგორც ჩანს, ძალიან განსხვავდებიან ბუნებრივი ტალანტის, შრომისუნარიანობის, მუყაითობის და ა.შ. მიხედვით. თავად ბუნება დებს ადამიანებში სოციალური უთანაბრობის საფუძვლებს. მაგალითად, სოციოლოგთა აზრით, ადამიანთა მხოლოდ 15%-ს გააჩნია კერძო მეწარმეობის უნარი და მზადაა თავისთავზე აიღოს მასთან დაკავშირებული რისკი. მოსახლეობის კიდევ უფრო ნაკლებ პროცენტს ძალუძს სისტემური პროგრამირება.

თანამედროვე გამოკვლევებმა დაბეჯითებით უარყო ამდენი ბოროტების მომტანი მითები ეროვნულ და რასობრივ უპირატესობაზე. თუმცა რეალური ეროვნული სხვაობანი როგორც ცივილიზაციური, ასევე წმინდა ფიზიკური ხასიათისა უდავოდ არსებობს. ამისათვის საკმარისია შევხედოთ აშშ-ს პროფესიონალ კალათბურთელთა ეროვნულ შემადგენლობას. ეროვნულობას და მასთან დაკავშირებულ კულტურულოგიურ სხვა თავისებურებებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია შემოსავალთა დონეზე.

გარდა ამისა, ადამიანებს დაბადებისას უკვე გააჩნია სრულიად განსხვავებული ქონებრივი და სოციალური მდგომარეობა. შემდეგ ეს ვლინდება სხვადასხვაგვარ აღზრდაში, განათლებასა და კვალიფიკაციაში, რომლებიც უკვე არსებულ ქონებრივ უთანასწორობას აძლიერებს.

ამგვარად, ხალხი ეკონომიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლას იწყებს იმთავითვე უთანასწორო და შემდგომში კიდევ უფრო გაღრმავებულ პირობებში. ადამიანთა შრომას ანაზღაურებენ სხვადასხვაგვარად, რადგან მათი ტალანტი სხვადასხვანაირია, იმიტომ რომ მათ გააკეთეს უთანაბრო ინვესტიციები თავის კვალიფიკაციებში, იმიტომ, რომ ისინი ერთნაირად არ არიან დაინტერესებული თავისი დრო და ყურადღება დაუთმონ სამუშაოს, ვინაიდან მათ არათანაბარი შესაძლებლობები (თეთრები შავების წინააღმდეგ, ადამიანები კავშირებით კავშირების არმქონე ადამიანთა წინააღმდეგ) აქვთ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ მათ ერთნაირად როდი უმართლებთ.

ქონებრივი უთანასწორობა დროთა განმავლობაში არა მარტო სწორდება, არამედ მუდმივად იზრდება. მაგალითად, დღეს 475 მილიარდერის ქონება მსოფლიოს მოსახლეობის 50%-ზე მეტის, დაახლოებით 3 მლრდ ადამიანის ერთობლივი შემოსავლის ტოლია, და ეს სიმდიდრის დაგროვება დაჩქარებული ინტენსივობით გრძელდება. მარტო აშშ-ში მილიარდერთა რიცხვი 1982 წელს 13 კაციდან 2007 წლისათვის 380-მდე გაიზარდა, მას შემდეგ კი კიდევ უფრო მეტად.

გაეროს 1999 წლის მსოფლიო განვითარების შესახებ მოხსენების თანახმად, მსოფლიოში სამი ყველაზე მდიდარი ადამიანი ფლობდა საშუალებებს, რომელიც 48 უღარიბესი განვითარებადი ქვეყნის ერთობლივ მშპ-ს აჭარბებდა, პლანეტის 15 უმდიდრესი ადამიანი ფლობდა იმაზე მეტ ქონებას, ვიდრე მთელი აფრიკული ქვეყნების მშპ, რომლებიც განლაგებულია საჰარიდან სამხრეთით, ხოლო 32 უმდიდრეს ადამიანს ჰქონდა იმაზე მეტი საშუალებები, ვიდრე სახრეთ აზიის მშპ-ს შეადგენდა. დედამიწის 84 უმდიდრესი

ადამიანის ქონება აჭარბებდა ჩინეთის მშპ-ს მისი 1,3 მილიარდიანი მოსახლეობით.

იმავდროულად 4,4 მლრდ ადამიანიდან, რომლებიც განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობენ, თითქმის სამი მეხუთედი მოკლებულია ელემენტარულ სანიტარულ პირობებს, ერთ მესამედს არ გააჩნია უსაფრთხო სასმელი წყალი, ხოლო ერთი მეოთხედი ცხოვრობს მიუღებელ საცხოვრებელ ბინებში, ამასთან, ერთი მეხუთედი ნახევრად შიმშილობს და ადამიანთა ამდენივე ოდენობას არ გააჩნია საშუალება ისარგებლოს ჯანდაცვის მისაღები სისტემით.

1960 წლიდან 2000 წლამდე ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალში განსხვავება მსოფლიოს მოსახლეობის უმდიდრეს ერთ მეხუთედსა და მისი ნაწილის უღარიბეს მეხუთედს შორის გაიზარდა 2-ჯერ მეტად, პროპორციულად ეს მატება ასე გამოიხატა: 30 1-დან 85 1-მდე.

2000 წელს მსოფლიო მოსახლეობის უმდიდრესმა ერთმა მეხუთედმა მსოფლიო შემოსავლის 86% მიიღო, ხოლო უღარიბესმა მეხუთედმა ნაწილმა მხოლოდ — 1,3%. 1,3 მლნ ადამიანზე მეტი იძულებულია იარსებოს დღეში 1 აშშ დოლარზე ნაკლები თანხით. გაეროს მონაცემების თანახმად 147 განვითარებადი ქვეყნიდან ბოლო 30 წლის განმავლობაში 100-მა „სერიოზული ეკონომიკური ვარდნა“ განიცადა.

1997 წლიდან 1999 წლამდე ოთხასი უმდიდრესი ამერიკელის ქონებრივი მდგომარეობა Forbes 400 საშუალოდ გაიზარდა 940 მლნ დოლარით თითოეულ ადამიანზე. თუმცა 12 წლის განმავლობაში — 1983 წლიდან 1995 წლამდე — ქვედა 40%-ის ოჯახების საერთო ქონება შემცირდა 80%-ით. Forbes 400-ის ერთობლივმა საერთო ქონებამ 1999 წლის სექტემბერში 1 ტრლნ დოლარი შეადგინა, 738 მლრდ დოლართან შედარებით ერთი წლით ადრე. ამ ზრდის მხოლოდ ერთი მეხუთედი — დაახლოებით 48 მლრდ დოლარი — საკმარისი იქნებოდა ყველა ამერიკელის ფეხზე დასაყენებლად, რომლებიც ოფიციალურად აღიარებულნი არიან ღარიბებად (მოსახლეობის

დაახლოებით 15% და მთელი ბავშვების 25%) და იმყოფებიან სიღარიბის ზღვარსზევით.

სახელმწიფო რომ არა, საშუალო კლასი საერთოდ არ იქნებოდა. წმინდა არარეგულირებადი ბაზარი მიგვიყვანდა საზოგადოების უკიდურეს, სოციალურად საშიშ პოლარიზაციამდე. მაგრამ საზოგადოებრივი სისტემები სახიფათო ცვლილებების წინააღმდეგ დაცვის მექანიზმებს გამოიმუშავებენ ზუსტად ისევე, როგორც ცოცხალი ორგანიზმები — დაცვის მექანიზმებს დაავადებათა წინააღმდეგ.

სოციალურ აფეთქებათა და რევოლუციათა საფრთხემ, რომელმაც XX ს-ში მსოფლიო შეძრა, კაპიტალისტური საბაზრო სისტემის მხრიდან საპასუხო დაცვითი რეაქციები გამოიწვია, რომელიც სახელმწიფოს დაეხმარა. მდიდრები მიხვდნენ, რომ თავად მათი არსებობა ხანგრძლივი პერსპექტივით დამოკიდებულია რევოლუციურ სიტუაციათა აღკვეთაზე და მათ ისინი აღმოფხვრეს. ბისმარკმა, გერმანელმა კონსერვატორმა და არისტოკრატმა, XIX ს-ის 80-იან წლებში სიბერის სახელმწიფო პენსიები და სამედიცინო დაზღვევა გამოიგონა. უინსტონ ჩერჩილმა, ინგლისელი პერცოგის შვილმა, 1911 წლიდან უმუშევრობისგან პირველი ფართომასშტაბიანი სოციალური დაზღვევის სისტემა დააარსა. პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა, პატრიციული ოჯახის შთამომავალმა, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო (Social Welfare State) შექმნა, რომელმაც კაპიტალიზმი იმ კატასტროფის შემდეგ გადაარჩინა, ამერიკაში რომ განვითარდა.

მიუხედავად ამისა, საბაზრო სისტემისათვის დამახასიათებელი ფენების სოციალურად დაყოფის გაძლიერება გრძელდება. *დღეს რეალური ანაზღაურების დონე აშშ-ში თითქმის 7%-ით დაბალია, ვიდრე 1973 წელს.*

ამავე დროს ომის შემდგომ, 50-60-იან წლებში, შედარებით სტაბილიზებულ დასავლეთის ეკონომიკებში ფასებისა და ხელფასების კონტროლის გაუქმებისას ისეთი დიდი სხვაობა გასამრჯელოებში, როგორც 20-იან წლებში იყო, არ შეიმჩნეოდა. ეკონომისტები, რომლებიც სწავლობდნენ ხელ-

ფასების დინამიკას იმ დროს, დიდი გაჭირვებით ცდილობდნენ აეხსნათ, თუ რატომ რჩებოდა ხელფასების განაწილება უცვლელი ეკონომიკურ ცხოვრებაში ესოდენ შესამჩნევი ცვლილებებისას.

მაგრამ 1968 წელს უთანაბრობამ ზრდა დაიწყო. ორი შემდგომი ათწლეულის განმავლობაში უთანაბრობის ეს ტენდენცია იმდენად გავრცელდა და გაძლიერდა, რომ 90-იანი წლების დამდეგისათვის სხვაობამ შემოსავლებში — როგორც ჯგუფებს შორის, ისე თითოეული ჯგუფის შიგნით — სწრაფი ზრდა დაიწყო. ეს ხდებოდა ყველა სამრეწველო, საგანმანათლებლო, დემოგრაფიულ (ასაკი, სქესი, რასა) და გეოგრაფიულ ჯგუფებში. მამაკაცთა ჯგუფში, რომელსაც ეს პროცესი უფრო მეტად შეეხო, ორი ათწლეულის განმავლობაში უთანაბრობა ხელფასებში გაორმაგდა.

80-იანი წლების განმავლობაში მამაკაცების მთელი ხელფასის ნამატი ერგო სამუშაო ძალის ზედა 20%-ს, ხოლო ამ ნამატის 64% მოვიდა ზედა 1%-ის წილად. თუ ხელფასთა ნაცვლად შემოსავლებს განვიხილავთ, მაშინ აღსანიშნავია, რომ ზედა 1%-მა მიიღო კიდევ მეტი — მთელი გაზრდილი შემოსავლების[1] 90%. ამერიკულ კომპანიებში 500 ყველაზე მაღალანაზღაურებადი მმართველის საშუალო ხელფასი, ჟურნალ „ფორჩუნის“ მონაცემებით, 35-დან 157-მდე გაიზარდა. 1984 წლიდან 1992 წლამდე აღნიშნული კატეგორიის მმართველი პერსონალის ხელფასი გასამმაგდა საფრანგეთში, იტალიასა და ინგლისში, ხოლო გაორმაგდა — გერმანიაში. წარმოიშვა საზოგადოება, სადაც „ყველაფერი გამარჯვებულს ერგება“.

ხელფასის ვარდნის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად განვითარებადი ქვეყნების დაბალანაზღაურებადი მუშების მხრიდან კონკურენციას მიიჩნევენ. ეს ძირითადად ტექ-ების მექანიზმების მეშვეობით ხდება. გარდა ამისა, სულ უფრო დიდ

1. იხ.: Доклад о мировом развитии 1999/2000 года. Всемирный банк. М.: Весь мир, 2000. - с. 5.

როლს თამაშობს იმიგრანტთა კონკურენცია განვითარებადი ქვეყნებიდან. მაგალითად, 11 მლნ ლეგალურმა და არალეგალურმა იმიგრანტმა, რომლებიც ბოლო 10 წელიწადში აშშ-ში ჩავიდნენ, მნიშვნელოვანი კონკურენცია გაუწიეს ადგილობრივ მომუშავეებს. ადრე ეს ეხებოდა მხოლოდ დაბალკვალიფიციურ სამუშაოებს. მაგრამ ახლა ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან მეცნიერთა იმიგრაციისა და ინტერნეტის განვითარებასთან ერთად ანალოგიური პროცესები მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებზეც ვრცელდება. ამჟამად უკვე შესაძლებელია დაიქირავო დასავლეთის მეცნიერის ტოლფასი კვალიფიკაციის მჭრნე ინდოელი პროგრამისტი ან რუსი მეცნიერი, რომელიც ამა თუ იმ დასავლური კომპანიისათვის სამუშაოს ბევრად ნაკლები თანხით შეასრულებს, ისე რომ ქვეყნიდან გასვლაც არ დასჭირდება; ინტერნეტით მიიღებს სამუშაოს და ამავე გზით ჩააბარებს შესრულებულს. ეს გარდაუვლად გააძლიერებს საერთაშორისო კონკურენციას ინტელექტუალური შრომის სფეროში და განვითარებული ქვეყნების მაღალკვალიფიციურ მუშაკების ხელფასის დაცემამდე მიგვიყვანს.

ხელფასის შედარებით შემცირების მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი 90-იან წლებში პროფკავშირებზე მეწარმეთა მიერ მოპოვებული გამარჯვებაა. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა რ. რეიგანმა პროფკავშირში გაერთიანებული საჰაერო ტრანსპორტის ყველა ამერიკელი დისპეჩერი გაათავისუფლა, პროფკავშირებზე მეწარმეთა მძლავრი შეტევა დაიწყო. ამის შედეგად აშშ-ის მთელ სამუშაო ძალაში პროფკავშირის წევრთა რიცხვი 15%-მდე შემცირდა. დღეს ამერიკულმა პროფკავშირებმა პრაქტიკულად დაკარგა კონტროლის უნარი ხელფასზე და მოლაპარაკებებს შრომის პირობების შესახებ აღარ აწარმოებს.

ევროკავშირში პროფკავშირების წევრობის მნიშვნელობა ახლა ისევე სწრაფად მცირდება, როგორც ოკეანის მიღმა. თუკი ევროპულ კომპანიებს კომპრომისის მოძებნა თავის ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერ პროფკავშირებთან უჭირთ, მათ

უბრალოდ წარმოება გადააქვთ საზღვარგარეთ. ასე, მოიქცა მაგალითად, „ბმვ“ და „მერსედესი“, რომლებმაც თავისი ქარხნების აშენება აშშ-ში დაიწყეს. ამასთან, მათ ორჯერ შეამცირეს თავისი დანახარჯები სამუშაო ძალაზე.

საფრანგეთში ხელფასის მინიმუმი სამუშაო კვირის 39 საათის განმავლობაში თვეში 1215 აშშ დოლარის შესაბამისია, დამატებით კიდევ 40%, რომელიც სოციალურ ხარჯებზე მიდის. სოციალურმა კანონმდებლობამ, რომელმაც შექმნა ამგვარი ხელფასები სხვა სოციალურ ზომებთან ერთად, ევროპაში ფრიად შეკუმშული ხელფასის განაწილების ეკონომიკური სისტემები გამოიმუშავა. ამის შედეგად, მთელი რიგი წარმოებები და მომსახურებები დაბალი ხელფასებით, რომლებიც აშშ-ში არსებობს და ფართოვდება, ევროპაში აღარ არის.

როდესაც აზიელები შრომითი ასაკის ადამიანებისათვის სოციალური უზრუნველყოფის ევროპულ სისტემაზე წერენ, ისინი უნდობლობას უცხადებენ მას. უბრალოდ მათ ამის დაჯერება არ შეუძლიათ. ხუთკვირიანი შვებულება! საშობაო თვიური დანამატი! ხელფასის 80% დახმარების სახით უმუშევრობაზე! მათი უნდობლობა ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ამ სისტემას არ შეუძლია არსებობა. ფირმებს შეუძლიათ გადაადგილება შორეულ აღმოსავლეთში, თანაც ისე, რომ ყველა ამ ევროპულ საშეღავათო გადასახადს თავს არიდებენ.

შრომის ბაზარზე მუდმივ ზეწოლას ახდენს უმუშევრობა. უმუშევრობის განსაზღვრული დონე ეკონომიკისათვის სასარგებლოა, რადგან მასტიმულირებელ გავლენას ახდენს მომუშავეებზე. დასაქმების დონე მჭიდროდაა დაკავშირებული ინფლაციის დონესთან. მაღალი ინფლაციის დროს ეკონომიკა „ხურდება“, ივსება ფულით და დასაქმების დონე მატულობს. ჩვეულებრივ, ორი უკიდურესობიდან — ინფლაციის ზრდა ან უმუშევრობა — საჭიროა ავირჩიოთ ერთ-ერთი. თანამედროვე მსოფლიომ ამოირჩია დაბალი ინფლაცია და იმისათვის, რომ გაუმკლავდეს უმუშევრობას, სავსე-

ბით შეგნებულად შეამცირა მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპები — 5%-დან 70-იან წლებში დაახლოებით 2%-მდე 90-იან წლებში. ამასთან უმუშევრობის დონე, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდი რჩება.

განვითარებული ქვეყნების კიდევ ერთი პრობლემაა სიღატაკე. თვით ყველაზე განვითარებული ეკონომიკური სისტემები ისეთ ადამიანთა ტიპს ქმნის, რომელთაც მარქსი ლუმპენ-პროლეტარიატს უწოდებდა — ესენი არიან ადამიანები, რომელთაც იმდენად დაბალი პოტენციური მწარმოებლურობა აქვთ, რომ კერძო ეკონომიკა უარს აცხადებს მათი შრომა აანაზღაუროს. ჩვენს ეპოქაში მათ უსახლკაროებს ვეძახით; შეფასებების მიხედვით, აშშ-ში ეს დენადი მასა დაახლოებით 600 ათას ადამიანს შეადგენს.

შეერთებულ შტატებში უბინაობა 70-იანი წლების ბოლოს დაიწყო. თავდაპირველად სხვა სამრეწველო ქვეყნებში „უბინაობას“ სპეციფიკურ მოვლენად მიიჩნევდნენ, რომელიც დაკავშირებული იყო ამერიკის სოციალური დაზღვევის სისტემის ნაკლოვანებებთან, მაგრამ ახლა უბინაობა გავრცელდა ყველა განვითარებულ ქვეყანაში. ფრანგების შეფასებით, საფრანგეთში 600 ათასიდან 800 ათასამდე უბინაოა.[1] მდიდარი სამრეწველო მსოფლიოს თითქმის ყოველ დიდ ქალაქში შეიძლება დავინახოთ ადამიანები, რომელთაც ქუჩებში სძინავთ — თვით ტოკიოს საიმპერატორო სასტუმროს წინ მდებარე პარკში, სადაც ტურისტები დარბიან იმპერატორის სასახლის გარშემო.

დაავადებათა გავრცელების პრობლემები და მათთან ბრძოლა ასევე გლობალური გახდა. სავსებით ნათელია, რომ გლობალურ სამყაროში ნებისმიერი ეპიდემია შეიძლება თავისუფლად გადაიზარდოს საერთოპლანეტურში. მთელ მსოფლიოში სწრაფი და თავისუფალი გადაადგილება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების დამატებით საფრთხეს ქმნის. მაგრამ მარტო ინფექციები როდი გახდა გლობალური. მე-

1. Homeless in France/International Herald Tibune. D. 20, 1999.

გაეკონომიკამ სასიცოცხლო პირობების და მრავალ დაავადებათა მიზეზის მსგავსება დაბადა მთელ მსოფლიოში. პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში არსებობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების მსგავსი სტრესული მიზეზები, საერთო კანცეროგენები, მსგავსი წანამძღვრები ფსიქიკურ დაავადებათა და ნარკომანიის გასავრცელებლად. ამიტომ როგორც ინფექციურ, ასევე არაინფექციურ დაავადებებს თანამედროვე მსოფლიოში აუცილებელია ვებრძოლოთ გლობალურად. გლობალურ საფრთხეებს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ადეკვატური პასუხები.

შეფარდებითი ზიანის შესაფასებლად, რომელიც სხვადასხვა დაავადებას მოაქვს, გამოიყენება ამჟამად მიღებული „დალი“-ს მეთოდიკა. მის საფუძველზე გამოითვლება ცხოვრების წლების ის რაოდენობა, რომელსაც ადამიანი კარგავს უდროო სიკვდილის ან შრომისუნარიანობის დაკარგვის გამო. „დალის“ მეთოდიკით შემდეგი სურათი მიიღება: ტრავმებზე მოდის „დალის“ შემთხვევათა 16%, ფსიქიკურ დაავადებებზე — 10%, გულ-სისხლძარღვთა, კიბოსა და სხვა არაინფექციურ დაავადებებზე — 10%, ვიჩ/შიდსსა და ტუბერკულოზზე — 7%. „დალის“ სერიოზული შემადგენლებია — ბავშვთა სნეულებები, რესპირატორული დაავადებები და ციება.[1]

ყველაზე საშიშ საფრთხეს წარმოადგენს *შიდსი*, რომლის წინააღმდეგაც ჯერჯერობით არ არსებობს ეფექტიანი წამლები. მის გავრცელებას პლანეტაზე განსაკუთრებით სახიფათო ხასიათი აქვს. მხოლოდ ამ ერთი დაავადების გამო იმ აფრიკული ქვეყნების მშპ, სადაც შიდსი ყველაზე მეტადაა გავრცელებული, უახლეს ათწლეულებში შეიძლება 10-15%-ით შემცირდეს.

მუდმივად ჩნდება *ტუბერკულოზის* და *შავი ჭირის* გამომწვევთა ახალი შტამები, რომლებიც სამკურნალო პრეპა-

1. იხ.: Доклад о мировом развитии 1999/2000 года. Всемирный банк. - М.: Весь мир, 2000.

რატებს წარმატებით უწევენ წინააღმდეგობას. ამავე დროს ბოლო წლებში ტუბერკულოზისგან ყოველწლიურად 2,7 მლრდ ადამიანზე მეტი კვდება. სიღარიბისა და ქალაქის სიახლოვეს ჭარბი მოსახლეობის გამო მსგავსი დაავადებები შეიძლება ძალიან სწრაფად ვრცელდება.

დაავადებათა პრობლემების გადაწყვეტისას დიდ იმედებს ჩვეულებრივ ახალ წამლებზე ამყარებენ. ადამიანის გენომეს გაშიფვრა იმედს გვაძლევს წარმატებით გადაიჭრას კიბოსა და შიდსის პრობლემა უახლოეს პერსპექტივაში. და მაინც, მსოფლიო თანამეგობრობის ძირითადი ძალისხმევა უნდა იყოს. მიმართული დაავადებების მიზეზთა აღმოფხვრისა და პროფილაქტიკური ზომების გატარებისაკენ.

ნარკომანია არა მარტო თავად წარმოადგენს საშიშ, ხშირად სასიკვდილო დაავადებას, არამედ იგი მრავალი სხვა ინფექციური დაავადების გავრცელების მიზეზიცაა, განსაკუთრებით კი შიდსისა. ნარკოტიკების პრობლემა გლობალურია. ნარკოტიკების გავრცელებით კარგად ორგანიზებული ნარკომაფიაა დაკავებული, რომლის ფინანსური სიმძლავრე მსხვილი სახელმწიფოების მშპ-ის ტოლია. ყველაზე საშიში შიდავენური ნარკოტიკების მოხმარება 126 ქვეყანაშია რეგისტრირებული. მხოლოდ 50 ქვეყანაში, ძირითადად მუსლიმანურ ქვეყნებში, მათ შორის აფრიკაში, ნარკოტიკებს არ იყენებენ შიდავენურად. „ვიჩ"-ინფექციების გავრცელება ნარკომანებს შორის 98 ქვეყანაშია რეგისტრირებული. ნარკოტიკების მოხმარება, ისევე როგორც „ვიჩ"-ინფექციების გავრცელება, განსაკუთრებით ბოლო ხუთ წელიწადში გაიზარდა. „ვიჩ"-ინფექციებით დასნებოვანების რისკის ძირითად ჯგუფს ყველგან ნარკომანები შეადგენენ, განსაკუთრებით შპრიცების ერთობლივი მოხმარების გავრცელებული პრაქტიკის წყალობით.


ნარკომანიამ განსაკუთრებით სახიფათო ზომებს მიაღწია რუსეთში. ბოლო ხუთ წელიწადში ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა ქვეყანაში დაახლოებით 3,5-ჯერ გაიზარდა ნარკომანთა უმეტესობის ასაკობრივი კატეგორიის

(13-25 წელი) გათვალისწინებით, *ფაქტობრივად საფრთხის ქვეშ ქვეყნის მთელი ახალი თაობა აღმოჩნდება.* რუსეთის საზოგადოების განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში 6,5-ჯერ გაიზარდა ნარკოტიკის მომხმარებელ ქალთა რაოდენობა. ჯანმრთელობის სამინისტროს მონაცემებით, 1999 წლის დამდეგისათვის ნარკოტიკული საშუალებების ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერებების არასამედიცინო მოხმარებისათვის სამედიცინო აღრიცხვაზე მთლიანობაში დაახლოებით 219 ათასი ადამიანი დაფიქსირდა, რომელთაგან დაახლოებით 39 ათასი არასრულწლოვანი და 25 ათასზე მეტი ქალია. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ნარკომანიის ზრდა მოსწავლეთა შორის, უპირველეს ყოვლისა, მსხვილ ქალაქებში, აგრეთვე სტუდენტურ გარემოში. ამ ნარკომანების რაოდენობა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში 6—8-ჯერ გაიზარდა. ბოლო მონაცემებით, სანკტ-პეტერბურგში ყოველი მეხუთე მოსწავლე უკვე გაეცნო ნარკოტიკებს, ხოლო მრავალი სკოლის უფროს კლასებში მოსწავლეთა მესამედი ნარკოტიკებს რეგულარულად მოიხმარს.

ნარკოტიკი საქონლის იდეალს წარმოადგენს, რომელიც თავად ქმნის მოთხოვნას. მას არ სჭირდება რეკლამა — ადამიანი, რომელიც მას ერთხელ გასინჯავს, უკვე ნარკომანი ხდება. ამიტომ თავისუფალი ბაზრის პირობებში ბრძოლა ნარკომანიასთან განსაკუთრებით ძნელია და კაცობრიობის მთელი ძალების გაერთიანებას საჭიროებს.

მეგაპოლისები — ქალაქები 5 მლნ კაცზე მეტი მოსახლეობით — თანამედროვე ეკონომიკის მნიშვნელოვანი ფენომენი გახდა. ცხოვრება იქ პლანეტის სხვადასხვა ბოლოში დაახლოებით ერთნაირად მიმდინარეობს და ეს ერთიანობა ხელს უწყობს მეგაპოლისების ახალი გლობალური ცივილიზაციების შექმნას.

ურბანიზაცია მთელ მსოფლიოში სწრაფად მიმდინარეობს. მეგაპოლისების ძირითადი ნაწილი თანდათანობით გადაადგილდება განვითარებად ქვეყნებში (სურ. 7.4.).



სურ. 7.4. მეგაპოლისების განაწილება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის.

რატომ ხდება ეკონომიკური მოღვაწეობის კონცენტრირება მეგაპოლისებში, სადაც ფასი მიწაზე 100-ჯერ და უფრო მეტად ძვირია, ვიდრე პატარა ქალაქებსა და დაბებში, რომლებიც მათგან 50-60 კმ-ზეა, ხოლო ცხოვრების ღირებულება ორჯერ ძვირია? საქმე ისაა, რომ მეგაპოლისებში მოღვაწეობას და ცხოვრებას რიგი მნიშვნელოვანი უპირატესობანი გააჩნია. სტატისტიკურად დამტკიცებულია, რომ ქალაქის მოსახლეობის გაორმაგებისას მასში დაფუძნებული კომპანიების მწარმოებლურობა და შემოსავალი 15%-ით იზრდება. მეგაპოლისებში ხელფასები ორჯერ მეტია, ვიდრე პატარა ქალაქებში და ოთხჯერ მაღალია, ვიდრე სოფლად.

აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორი ძირითადი ეფექტი: ლოკალიზაციის და ურბანიზაციის. ლოკალიზაციის ეფექტი

მდგომარეობს იმაში, რომ მეგაპოლისში ერთი დარგის მრავალი საწარმოს განთავსებისას ისინი ღებულობენ იმდენივე სარგებელს, რომელიც მათ ექნებოდათ ერთ საწარმოდ გაერთიანების შემთხვევაში. ესე იგი ლოკალიზაციის ეფექტი ახლოსაა წარმოების კონცენტრაციის ეფექტთან. გარდა ამისა, მეგაპოლისის კომპანიები დამატებით გამორჩენას იღებენ ეკონომიკური საქმიანობის მრავალრიცხოვან სუბიექტებთან სიახლოვისა და გასაღების უზარმაზარი ბაზრების გამო. ამ დამატებითი სარგებლის მიღებას ურბანიზაციის ეფექტს უწოდებენ. ბრაზილიის მასალებზე ჩატარებული გამოკვლევების თანახმად, მარტო ურბანიზაციის ეფექტი წარმოების მოცულობას თითქმის 15%-ით ზრდის.

მაგრამ ყველაფრისათვის საჭიროა გადახდა და მეგაპოლისები დიდ გამორჩენასთან ერთად დიდ პრობლემებსაც აწყდებიან. მათ შორისაა საცხოვრებელი ბინების, ქალაქის ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის, დაავადებათა და ეკოლოგიის პრობლემები.

განსაკუთრებით მძაფრად დგას ეს პრობლემები განვითარებადი ქვეყნების მეგაპოლისებისათვის. მაგალითად, დელიში ბრონქიალური ასთმით ბავშვთა დაავადებების სიხშირე 5-დან 16-წლამდე 12%-ს შეადგენს და ამის მიზეზს მეგაპოლისში ჰაერის დაბინძურება წარმოადგენს. ბანგ-კოკში დაახლოებით 70 ათასს ბავშვს ემუქრება გონებრივი განვითარების კოეფიციენტის დაქვეითება 4 პუნქტით ატმოსფეროში ტყვიის შემცველობის სიჭარბის გამო. ტრანსპორტის საცობების შედეგად კი ზარალი იქ შეფასებულია წელიწადში 1 მლრდ დოლარად.

ეს პრობლემები ყველა მეგაპოლისისათვის მსგავსია და ერთიან გადაწყვეტილებათა შემუშავებას საჭიროებს.

მაშ, რა დაგვანახა გლობალურ სოციალურ პრობლემათა ანალიზმა?

უთანაბრობა მსოფლიოში უდავოდ იზრდება. საზოგადოების პოლარიზაცია მატულობს. სიმდიდრის თავმოყრა ადამიანთა შედარებით მცირე ჯგუფებში ხდება.

თუმცა ეკონომიკის და საზოგადოების სწორედ ამგვარი ორგანიზაცია საშუალებას იძლევა მოვახდინოთ რესურსების კონცენტრაცია ყველაზე პერსპექტიული და ხელსაყრელი მიმართულებებით. მთელი მისი ხილული უსამართლობის მიუხედავად, ეკონომიკური ძალაუფლებებისათვის ბაზრის მიერ სტიმულირებულ ბრძოლას კაცობრიობა მიჰყავს საერთო პროგრესისაკენ. კაცობრიობის საერთო ეკონომიკური სიმძლავრე, აგრეთვე, მსოფლიოში მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი მთლიანობაში იზრდება სწორედ სასტიკი და უკომპრომისო ბრძოლის წყალობით ძალაუფლებისათვის, რომელიც საბაზრო სისტემითაა გამოწვეული.

ბაზრისათვის სოციალური პრობლემები უბრალოდ არ არსებობს, მაგრამ იმისათვის, რომ გადავარჩინოთ თავად საბაზრო სისტემა რევოლუციური კატაკლიზმებისაგან, სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა თავის თავზე უნდა აიღონ საზოგადოების ყველა სოციალური და განსაკუთრებით, გლობალური სოციალური პრობლემის გადაწყვეტა.

დღეს ტერმინი „ეკოლოგია“ სხვადასხვა შინაარსით გამოიყენება. მაგალითად, ზოგჯერ საუბრობენ ცუდი ეკოლოგიის შესახებ, რაც ნაკლებადაა გააზრებული, ისევე როგორც, ვთქვათ, ცუდი ფიზიკა ან ალგებრა. ეს ტერმინი 1866 წელს ბიოლოგიის ჩარჩოებში წამოიშვა და მისი ავტორი ე. ჰეკელი იყო. თავდაპირველად ეკოლოგია განიხილებოდა როგორც ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთქმედებას გარემოს მდგომარეობისდა მიხედვით სწავლობდა.

გერმანული სიტყვის „ეკოლოგიის“ ზუსტი თარგმანი ნიშნავს „საკუთარი სახლის შესწავლას“ („ეკო“ — ბერძნულად სახლია), ე.ი. ბიოსფეროსი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და რომლის ნაწილსაც წარმოვადგენთ. ფართო გაგებით, ეკოლოგია ცდილობს სამყაროს იმ კანონების შეცნობას, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს, ანუ ბიოსფეროსი, იმი-

სათვის, რომ გამოიმუშაოს ადამიანისა და კაცობრიობის სიცოცხლისათვის, მის გადასარჩენად უსაფრთხო წესები. (ხშირად ეკოლოგიად მიიჩნევენ არა მარტო მეცნიერებას, არამედ მის ჩარჩოებში საკვლევ პრობლემებსაც).

ეკოლოგია და ეკონომიკა ძალზე ახლოსაა ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული, ტყუილად კი არაა ისინი წარმოშობილი ერთი ფუძისეული სატყვიდან. ეკოლოგიის მიერ გამომუშავებული ცხოვრების წესები ან ინსტიტუტები ხომ ეფექტიანი მხოლოდ მაშინაა, როდესაც ეკონომიკური მექანიზმების სიცხადეს და ქმედითობას იძენს. მეორე მხრივ, ნებისმიერი მსხვილი ეკონომიკური გადაწყვეტილება თავისთავად უცილობლად იწვევს ეკოლოგიურ შედეგებს, რომლებიც გულდასმით უნდა იქნეს გაანალიზებული მისი მიღების წინ.

არანაკლებ ახლოსაა ეკოლოგიური და სოციალური პრობლემები. გარემოს დაბინძურების, სამკვიდრებელი გარემოს მდგრადობის გაუარესება უდავოდ იწვევს ცხოვრების ხარისხის გაუარესებას და საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და ფენების ინტერესებს პირდაპირ ეხება. თუმცა ბოლო დროს „დაბინძურების“ სრულიად ახალი ფორმები გაჩნდა. დაიწყო ადამიანის სულიერი სამყაროს რადიკალური „დაბინძურება“. ცივილიზაციურმა ფასეულობებმა, ზოგადმა წარმოდგენებმა სიკეთესა და ბოროტებაზე, რომელმაც თანამედროვე ხალხებს აქამდე გააძლებინა, მასობრივი კულტურის ზეგავლენით ხრწნა იწყო. სულიერი სამყარო ხდება უხეში, პრიმიტიული. მიაღწია რა მან განვითარების მაქსიმუმს XIX ს-ის ბოლოს, ახლა თანდათან იწყო გაქრობა. პოპ-მუსიკა, ბულვარული ლიტერატურა, პორნოგრაფია, ვირტუალური და ჩვეულებრივი ნარკომანია, მშვენიერების გრძნობის დაკარგვა, რელიგიური და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაქრობა — ყოველივე ეს კარსმომდგარი ცივილიზაციური კრიზისის ნიშნებია. ამ მოვლენების მიმართ დაპირისპირებამ და შესწავლამ ეკოლოგიის კულტურის ან *ცივილიზაციის ეკო-*

ლოგიის სახელწოდება მიიღო. დღეს ფართოდ და საკმაოდ დასაბუთებულად წარმოიშვა ცნება *„ადამიანის ეკოლოგია“*, რომელიც კულტურის ეკოლოგიას, სამრეწველო ეკოლოგიას, დიდი ქალაქებისა და სხვა პრობლემათა ეკოლოგიას მოიცავს.

კლიმატის გლობალური დათბობა. XX საუკუნე ბოლო ექვსი საუკუნის განმავლობაში ყველაზე თბილი აღმოჩნდა, ხოლო ყველაზე თბილი ოთხწლეული, დაწყებული 1860 წლიდან, აღნიშნულია ბოლო ორ ათწლეულში. 1998 წელს ტემპერატურამ საშუალო მნიშვნელობას გადააჭარბა, რომელიც აღნუშნულია მეტეოროლოგიური კვლევების 118 წლის განმავლობაში. თანამგზავრული მონაცემები აღასტურებს ტემპერატურის ანალოგიურ აწევას ატმოსფეროს ზედა ფენებში. უფრო მეტიც, 80-იანი წლებიდან დაწყებული წყნარი ტემპერატურა ჩრდილოეთით 45° C-დან ზამთრის პერიოდში აიწია 0,5° C-ით. ამის შედეგად, ზღვის ყინული დიდი ოკეანეების სანაოსნო ხაზებზე ძალზე იშვიათად გვხვდება, ხოლო 1999 წელს, 1912 წელს „ტიტანიკის“ კატასტროფის შემდეგ პირველად, საერთაშორისო ყინულოვანმა პატრულმა ვერ აღმოაჩინა ვერც ერთი აისბერგი 48 გრადუსიდან სამხრეთით. ატმოსფეროში ნახშირბადის ორჟანგის კონცენტრაცია 1760 წელს მილიონზე (ppm) 280 ნაწილით გაიზარდა, 1990 წელს კი 360-მდე და, როგორც ვარაუდობენ, 2100 წლისათვის შეიძლება 600 ppm-ს მიაღწიოს. ამის შედეგად, საშუალო ტემპერატურა ალბათ 2^0C-ით აიწევს. ატმოსფეროში ნახშირბადის ორჟანგის რაოდენობის ზრდის წყარო დღესდღეობით ზუსტად ისეთი, როგორც ქლორფტორნახშირბადების შემცველის ზრდა, რომელიც ოზონის ფენის ფიტავს — მარტოოდენ ანთროპოგენული მოღვაწეობის შედეგია.

დათბობის მკვეთრად გამოხატულმა ტენდენციამ უახლოეს მომავალში შეიძლება მივვიყვანოს ეკოსისტემათა მღვომარეობისათვის. სერიოზულ შედეგებამდე, ასევე აისახოს სამეურნეო წარმოებაზე, მსოფლიო ოკეანის დონეზე, სანაპი-

რო ზოლის მთელი სიგრძის მდგომარეობაზე და ირავალ სხვაში. უფრო სერიოზულადაა საქმე ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორებიცაა: რამდენად ძლიერი მერყეობა ექნება ამინდს „გამთბარ“ სამყაროში; კლიმატის ცვლილება რა ხასიათით იმოქმედებს სოფლის მეურნეობასა და ცხოვრების პირობებზე დედამიწის სხვადასხვა რეგიონში; როგორ ჩქარა მოხდება ეს ცვლილება და რანაირად გადავასახლოთ მოსახლეობა იმ ადგილებიდან, რომლებიც წყლით დაიცვარება მსოფლიო ოკეანეებში წყლის დონის აწევის გამო, ასე როგორც, მაგალითად, ბანგლადეშში? ყველა ეს უცნობი სიდიდე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების გაზომვას ეკონომიკისათვის ძალზე რთულს ხდის. მიუხედავად ამისა, ეს ზემოქმედება იქნება უზარმაზარი და, უპირველეს ყოვლისა, განვითარებად ქვეყნებზე აისახება.

ფართო საზოგადოებრივ შემეცნებაში განმტკიცდა ადამიანური საქმიანობის და კლიმატის ურთიერთქმედების უბრალო სქემა — ორგანული სათბობის დაწვის შედეგად წარმოქმნილი ნახშირორჟანგის გაზი ატმოსფეროში გროვდება და გამოსხივების ნაწილს აკავებს, რაც ტემპერატურის გაზრდას იწვევს (ეგრეთ წოდებული კვალსათბურის ეფექტი).

სინამდვილეში ყველაფერი არც ისე მარტივადაა. უპირველეს ყოვლისა, არამარტო CO_2-ს გააჩნია კვალსათბურის ეფექტის თვისება. ატმოსფეროში ძირითადი კვალსათბურის გაზი წყლის ორთქლია. მისი წვლილი კვალსათბურის ეფექტში დაახლოებით 70%-ია. კვალსათბურის გაზებს მიეკუთვნება მეთანი, აზოტის ქვეჟანგი, ფრეონი, ოზონი და სხვა გაზები, რომელთა არსებობა ატმოსფეროში ასევე შეიძლება იყოს განპირობებული ანთროპოგენური მიზეზებით.

გარდა ამისა, კლიმატის ცვლილებების მიზეზების ანალიზის დროს უნდა გავითვალისწინოთ უკვე ნახსენები ბუნებრივი პროცესები, რომლებიც ადამიანურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული არაა.

მნიშვნელოვანი აღმოჩნდება შემდეგი ფაქტორები:

1) ატმოსფეროს კვალსათბურის გაზების კონცენტრაცია;

2) ტროპოსფერული აეროზოლების კონცენტრაცია;

3) მზის მუდმივი ანუ სითბური ნაკადი, რომელიც მოდის მზიდან ტროპოსფეროს გარე საზღვარზე;

4) ვულკანური აქტიურობა, რომელიც სტრატოსფეროს გოგირდმჟავას აეროზოლებით გაჯერების ხარისხს განსაზღვრავს. ტროპოსფეროს აეროზოლისგან განსხვავებით, რომლის სიცოცხლის ხანგრძლივობა დაახლოებით 6 დღეა, სტრატოსფეროს აეროზოლი ხანგრძლივად სიცოცხლისუნარიანია — მისი სიცოცლის ხანგრძლივობა 5-7 წელს აღწევს;

5) ატმოსფერო—ოკეანის (ელ-ნინიოს მოვლენა) სისტემაში აპერიოდული რხევები, რომლებიც მეორდება დროის არარეგულარული შუალედებით, წყნარი ოკეანის გიგანტურ აკვატორიაში (სამხრეთ განედის 0-12; დასავლეთის გრძედის 180-80^0 და ზღვის წყლის ტემპერატურით (12^{0}C-მდე) მნიშვნელოვანი რჩება;

6) დედამიწის ორბიტის პარამეტრები (ექსცენტრისიტეტი, პრეცესია, დედამიწის ბრუნვის ღერძის დახრის კუთხე).

პირველი ორი ფაქტორის ცვლილება ბოლო ორასი წლის განმავლობაში ძირითადად გამოწვეულია ანთროპოგენური მოღვაწეობით და, პირველ რიგში, ორგანული სათბობის წვით. იმავდროულად ყველა დანარჩენ ფაქტორს გააჩნია მარტოოდენ ბუნებრივი წარმოშობა.

გლობალური კლიმატური ცვლილებები უდავოდ ყველა ქვეყანას შეეხება, თუმცა ერთნაირად როდი. მაგალითად, რუსეთისათვის კლიმატური ცვლილებები შეიძლება ხელსაყრელი აღმოჩნდეს. ზამთარი გახდება თბილი, გვალვა შემცირდება გაზაფხულის ბოლოსა და ზაფხულის დამდეგს. კლიმატი ნაკლებ კოტინენტური გახდება, რაც ხელსაყრელი იქნება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მრავალი დარგებისათვის.

ახლა ყველასთვის ცხადია, რომ კატასტროფულად სწრაფი კლიმატური ცვლილებების აღსაკვეთად აუცილებელია

ერთობლივი მოქმედება კვალსათბურის გაზების გამონაბოლქვის შეზღუდვის მეშვეობით.

ოზონის გლობალური პრობლემა. ოზონი გაზია, რომელიც ჟანგბადის სამი ატომისაგან შედგება. ატმოსფერულ ჰაერში მისი კონცენტრაცია ძალიან იცვლება სიმაღლისდა მიხედვით. თუმცაღა თვით 20-30 კმ-ის ფენაში ზღვის დონიდან, სადაც ოზონის კონცენტრაცია მაქსიმალურია, ჰაერის 1 მლნ მოცულობაზე ოზონის მხოლოდ რამდენიმე მოლეკულა მოდის.

ოზონი უთანაბროდაა განაწილებული დედამიწის კლიმატურ ზონებში: საშუალოდ წელიწადში ოზონის ყველაზე მეტი საერთო შემცველობა ატმოსფეროს სვეტში მოდის ჩრდილოეთ პოლარულ და სამხრეთ სუბპოლარულ ზონაზე, ხოლო ეკვატორულ ოლქში იგი ყველაზე მცირეა. 80-იან წლებამდე (ანუ „ოზონი ხვრელების“ გაჩენამდე) ოზონის მნიშვნელობა 300-450 დობსონის ერთეულს შეადგენდა (1 ერ. დ. = 2,7 10^{16} მოლ/სმ^2) ჩრდილოეთ პოლარულ ზოლში, 280-400 ერთ. სამხრეთ სუბპოლარულ ოლქსა და ჩრდილოეთის ზომიერ განედებში; 260-280 ერ. დ. ეკვატორულ ზონაში.

თუკი ატმოსფეროს შემადგენელი ოზონის ყველა მოლეკულას თანაბრად გავანაწილებთ დედამიწის ზედაპირის ზევით, მაშინ მიღებული გარსის სისქე მხოლოდ 3 მმ იქნება საშუალოწლიური, საშუალოგლობალური პირობებისათვის (ანუ დედამიწის ზედაპირთან 15 ^{0}C-ის ტემპერატურისა და ვერხლისწყლის სვეტის 760 მმ-იანი წნევის შემთხვევაში). მაგალითად, იმ ფენის სისქე, რომელიც იმავე პირობებში დედამიწის ატმოსფეროს ყველა გაზი ქმნის, დაახლოებით 8 კმ-ს შეადგენს.

ოზონს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დედამიწაზე სიცოცხლის შესანარჩუნებლად და მისი კლიმატის ჩამოსაყალიბებლად. ოზონის ფენა სავსებით შთანქავს მზის მოკლეტალღიან ულტრაიისფერ სხივებს — ტალღის სიგრძით 200-280 ნმ (1 ნმ = 10^{-9} მ) და ულტრაიისფერი გამოსხივე-

ბის დაახლოებით 90%-ს — ტალღის სიგრძით 280-320 ნმ (ე. წ. მზის გამოსხივების UIბ-ის სარტყელი). დაკვირვებებმა და გამოთვლებმა გვიჩვენა, რომ თუკი ატმოსფეროში ოზონის შემცველობა შემცირდება არა უმეტეს 10-20%-ისა, მაშინ ასეთი შემცირება ყოველ პროცენტზე მოვა დაახლოებით ნაკადის 2%-იანი ზრდა UIბ-ის სარტყელში.

ზომიერი დოზებით გამოსხივება ადამიანის ორგანიზმის მუშაობას ტონუსს უწევს, მაგრამ მისი აწევისას შეიმჩნევა კანის უჯრედების დაზიანება (მათი ნუკლეინური მჟავის), რის შედეგადაც ჩნდება კანის ღია უბნების დაავადებები. დადგენილია კანის კიბოს დაავადებისა და მზის ულტრაიისფერი გამოსხივების ხარისხს შორის დამოკიდებულება.

ულტრაიისფერი რადიაციის გაძლიერების მეორე შედეგს წარმოადგენს თვალის ბროლის კატარაქტის დაავადებათა ზრდა.

1996 წელს მეცნიერები — შ. როულანდი კალიფორნიის უნივერსიტეტიდან (აშშ), მისი თანამემამულე მასაჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან კემბრიჯში მ. მოლინა და პ. კრუტცენი გერმანიაში მაქს პლანკის სახელობის ინსტიტუტიდან დაჯილდოვდნენ ნობელის პრემიით კვლევათა ციკლისათვის, რომელიც ეძღვნებოდა ოზონის წარმოქმნასა და გაფანტვას დედამიწის ატმოსფეროში. ამ მეცნიერებმა გვიჩვენეს, რომ მზის სხივების ზემოქმედებით ჰალოიდირებული ნახშირწყალბადები იშვება ატომური ქლორის და ბრომის გამოყოფით, რომელიც ოზონის ფენას ანგრევს. ასეთ ოზონდამანგრეველ ნივთიერებათა (ოდნ-თა) რიცხვს მიეკუთვნება, პირველ რიგში, ქლორფტორნახშირბადები (ქფნ).

ქფნ-ს უპირატესად მაცივრებისა და კონდიციონერებისათვის იყენებენ.

დედამიწის ატმოსფეროში ოზონის კონცენტრაციის კვლევისას მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს 80-იანი წლების დამდეგს სტრატოსფერული ოზონის საერთო შემადგენლო-

ბის შემცირებას. აღმოჩნდა, რომ ყოველ გაზაფხულზე 1986-1991 წლების განმავლობაში ოზონი ანტარქტიდის თავზე საშუალოდ 30-40%-ით დაბალი იყო, ვიდრე 1967-1971 წლების პერიოდში, ხოლო 1993 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა 60%-ზე მეტად. 1987 წელსა და 1994 წელს დაფიქსირდა ოზონის შემცველობის რეკორდულად მცირე რაოდენობა: ნორმაზე თითქმის 4-ჯერ მცირე.

1997 წლის მარტის ბოლოდან მაისის შუამდე აღინიშნა ანომალიურად მცირე — ჩვეულებრივზე 30%-ით ნაკლები — ოზონის შემცირება არქტიკის თავზე და აღმოსავლეთ ციმბირის მნიშვნელოვან ნაწილზე. ამ „ოზონის ხვრელის“ დიამეტრმა დაახლოებით 3000 კმ შეადგინა.

დედამიწის ოზონის ფენის დასაცავად პირველი ნაბიჯი 1987 წლის ოქტომბერში მონრეალში გადაიდგა, სადაც 36 ქვეყანამ ხელი მოაწერა ოქმს იმ ნივთიერებებზე, რომლებიც ოზონის ფენას ანგრევს. რუსეთი მონრეალის ოქმს 1988 წელს შეუერთდა. ეს საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს ხუთ ყველაზე გამოსაყენებელ ქფნ-ის 1986 წლის დონეზე გაყინვას. 1993 წლისათვის მათი წარმოება შემცირდა 20%-ით, ხოლო 1998 წლისათვის — 30%-ით. 1995 წლის ივნისში მონრეალის ოქმს ხელი მოაწერა დაახლოებით 150-მა ქვეყანამ, ხოლო მონრეალის საიუბილეო შეხვედრაზე — 1997 წლის სექტემბერში — ასეთი ქვეყანა უკვე 163 იყო. ატმოსფეროს ზედა ფენებში ოზონის ფენის შემცირებასთან დაკავშირებით შეშფოთებამ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო 80-იანი წლების დამდეგსა და მის შუა ხანებში. ფართოდ ამუშავდნენ სცენარებს, რომელიც კანის კიბოს დაავადებათა და კატარაქტის დაავადების შემთხვევების მკვეთრად ზრდას წინასწარმეტყველებდა. შემდეგ, 1987 წელს, ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, ოზონის ფენის ნგრევის შესანელებლად ქლორისა და ბრომის საფუძველზე ოზონდამანგრეველ ნივთიერებათა წარმოების შემცირების ხარჯზე მონრეალში ხელი მოაწერეს ოქმს. ამ ოქმისა და შემდგომი შეთანხმებების წყალობით, 12

წლის შემდეგ ოზონის ფენის დაშლის პრობლემა ძირითადად ჩვენ აღარ გვაწუხებს. ქფნ-ის გლობალური წარმოება მკვეთრად შემცირდა, ხოლო ამ ქიმიურ ნივთიერებათა შემცველობა ატმოსფეროში არა მარტო სტაბილური გახდა, არამედ შემცირებაც კი იწყო. *ოზონდამანგრეველ ნივთიერებათა კონცენტრაციამ ატმოსფეროში კლება იწყო.* ოზონთან დაკავშირებული ყველა პრობლემა გადაწყდა. მთლიანობაში შეიძლება საუბარი გლობალური თანამშრომლობის წარმატებაზე ოზონის ფენის დანგრევის შემცირებასთან დაკავშირებით.

საკვანძო ფაქტორები, რომლებიც მონრეალში მოლაპარაკებების მონაწილეებს საშუალებას აძლევდა შეემუშავებინათ ქმედითი საერთაშორისო შეთანხმება, დადის შემდეგზე:

- აზრთა ერთიანობა იმასთან დაკავშირებით, რომ ოზონის ფენის დანგრევის საფრთხე ქფნ-ისა და სხვა ნივთიერებითა ზემოქმედებით, რომლებიც ქლორსა და ბრომს შეიცავს, დაკავშირებულია დიდ დანახარჯებთან, აგრეთვე ტექნიკური და ინსტიტუციური პოტენციალის არსებობასთან, რომელიც საშუალებას იძლევა ამ ნივთიერებებისათვის მოინახოს დანახარჯების და ეკოლოგიური თვალსაზრისით უსაფრთხო შემცვლელი;
- ყველა მხარის ჩართვა, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც გადასახდელების გამოყენების ხარჯზე, ისე სანქციებისა და ხელშეკრულების მიზნების რეალიზაციის პირობების მოქნილი დაფიქსირებით.

ოზონის პრობლემის გადაწყვეტაში საერთაშორისო თანამეგობრობის უეჭველი წარმატებები საშუალებას გვაძლევს ოპტიმისტურად შევხედოთ სხვა გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობას.

იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ ჩვენ ვკარგავთ ბიოლოგიურ სახეობათა მრავალფეროვნებას, სულ უფრო და უფრო მეტია. გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის მონაცემთა თანახმად, XX საუკუნის ბოლოს, დედამიწაზე ით-

ვლება 22 მლნ სახეობა. მათგან დაახლოებით 1,5 მლნ მეცნიერების მიერაა აღწერილი. დაახლოებით 7 მლნ, ე.ი. 4-ჯერ მეტი, შეიძლება დედამიწის პირისგან აღიგავოს უახლოეს ოცდაათ წელიწადში. უმაღლეს ცხოველთა შორის 3/4 სახეობის ფრინველი პოპულაციის რაოდენობას კარგავს და, ზოგიერთი დამკვირვებლის მტკიცებით, ძუძუმწოვართა რაოდენობის 1/4 გაჭრობის საფრთხის წინაშეა. ყოველწლიურად ქრება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშები და მხოლოდ ზოგიერთი მათგანია წარმოდგენილი გენეტიკური მასალის მსოფლიო კოლექციებში. ველური ჯიშების საქმე კიდევ უფრო უარესადაა. ბრინჯის 38 კოლექციიდან, რომელთა პოვნა მცენარეთა გენეტიკური რესურსების საერთაშორისო საბჭოს გენეტიკური მასალების ცნობარში შეიძლება, ველურ სახეობას მხოლოდ 22 მოიცავს და მათ შორის მხოლოდ ხუთი კოლექცია ფლობს ხანგრძლივი შენახვისათვის საჭირო სიძლიერეს.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაკარგვის ძირითადი მიზეზია: თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგია, გაველურება, საცხოვრებელი გარემოს დარღვევა; ყველა ამ ფაქტორს უშუალო კავშირი აქვს ეკონომიკურ განვითარებასთან. მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან სწორედ განვითარებადი ქვეყნებია ყველაზე მდიდარი ბიოლოგიური მრავალფეროვნების თვალსაზრისით, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მრავალი მათგანი ტროპიკებშია. ამ ქვეყნებზე ხორციელდება მძლავრი ზემოქმედება ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის მიზნით. დედამიწის პირველქმნილი ტყეების მხოლოდ 20% არის მსხვილ, შედარებით ბუნებრივ ეკოსისტემათა ტერიტორიაზე ანდა სასაზღვრო ტყეების კატეგორიაში შედის. 76-მა ქვეყანამ სავსებით დაკარგა თავისი სასაზღვრო ტყეები, ხოლო შენარჩუნებული სასაზღვრო ტყეების 70% მხოლოდ სამ ქვეყანაშია — ბრაზილიაში, კანადასა და რუსეთში. მცენარეთა დანარჩენი სახეობების 90% აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაშია. მიუხედავად ამ სახიფათო ტენდენციებისა, საერთა-

შორისო შეთანხმება ბიოლოგიური მრავალფეროვნებების შენარჩუნების შესახებ მხოლოდ ახლა ყალიბდება. და მაინც, კონვენცია ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე და გლობალური ეკოლოგიური ფონდი თავისთავად პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების საქმეში.

მეორე მნიშვნელოვან პრობლემას ატმოსფეროს, წყლის, ნიადაგის და ა. შ. სხვადასხვაგვარი დაბინძურება წარმოადგენს.

ეკოლოგთა ცნობილი ფრაზა: „არც ერთ ცოცხალ სახეობას არ შეუძლია არსებობა საკუთარი ნარჩენებისგან შექმნილ გარემოში“, რეალურ და სახიფათო შინაარს იძენს. სხვადახვა წარმოშობის ნარჩენების რაოდენობა ელვის სისწრაფით იზრდება, განსაკუთრებით ქალაქებში. ნაგვისდამწველი ქარხნები არ ჰრის პრობლემას, ვინაიდან დედამიწის ზედაპირიდან დაბინძურება გადადის ატმოსფეროში. მდინარეები ჩასადენ თხრილებად იქცევა ხოლმე, სასმელი წყალი პლანეტის მრავალ რეგიონში არ კმარა და სხვ. როგორც ჩანს, ამ პრობლემებს კარდინალური ტექნიკური გადაწყვეტა არ გააჩნია: ახალი ტექნოლოგიები, რამდენადაც აუცილებელი არ უნდა იყოს, მხოლოდ ამსუბუქებს ავადმყოფობას, გადასწევს რა ლეტალურ დასასრულს.

გარემოს დაბინძურება ადამიანური ცხოველქმედების ნარჩენებით (განსაკუთრებით ქიმიურითა და რადიაციულით) უკვე დღეს საკმაოდ მნიშვნელოვნად მოქმედებს მთელ პლანეტარულ ვითარებაზე. უპირველეს ყოვლისა, იგი შესამჩნევ გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში და კატასტროფულად ამცირებს იმ ადგილებს, რომლებიც ცხოვრებისა და დასვენებისათვის სასურველია. დედამიწის ეკოლოგიურად ხელსაყრელი რაიონები იძენს განსაკუთრებულ ფასეულობას და მნიშვნელოვანი რესურსი ხდება იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მათ ფლობენ.

განვითარებული ქვეყნები ისწრაფვიან გათავისუფლდნენ დამაბინძურებელი ნივთიერებებისაგან, ამიტომ ნარჩენებს ღარიბ ქვეყნებში მარხავენ, რითაც მათ თავისებურ სანაგვეებად აქცევენ. პლანეტის გადაქცევა ერთიან ეკონომიკურ სისტემად, რომელიც მხოლოდ საერთო საბაზრო პრინციპებით ანუ მყისიერი მოგებებით იმართება, მსგავს პროცედურას იოლად განსახორციელებელსა და ხელსაყრელს (განვითარებული ქვეყნებისათვის) ხდის. მაშასადამე, ჩვენ მიერ ადრე აღწერილი ტუმბო არა მარტო კაპიტალს, რესურსებს, „ტვინებს“ ქაჩავს სუსტად განვითარებული ქვეყნებიდან, არამედ გადატუმბავს ამ ქვეყნებში ყოველივე საზიანოს ადამიანისათვის, რაც განვითარებულ ქვეყნებში იწარმოება.

მაგრამ არსებობს მომავალი „ბოროტების ყვავილების“ კიდევ უფრო საშიში სიმპტომები. განვითარებულ ქვეყნებში ისწრაფვიან გადავიდნენ ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებზე. მაგრამ შავი მეტალურგიის, ქიმიური წარმოებების, სასარგებლო წიაღისეულის და სხვა ეკოლოგიურად სახიფათო წარმოებებისაგან თავის დაღწევას არც ახლა, არც უახლეს მომავალში კაცობრიობა ვერ შეძლებს — მათ გარეშე განვითარებული ქვეყნები და ყველა სხვა დანარჩენი უბრალოდ ვერ იარსებებს! მაშასადამე, მდიდარი ქვეყნები შეეცდებიან (და უკვე ისწრაფვიან კიდეც) გადაიტანონ ეს წარმოებები სუსტად განვითარებულ ქვეყნებში. ღარიბი ქვეყნები სამუშაო ადგილებსა და ფულს საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის შემოკლების ხარჯზე მიიღებენ.

დღესდღეობით სხვადასხვა ქვეყნის მიერ ატმოსფეროს და ოკეანის დაბინძურებაში შეტანილი წვლილი ძალზე განსხვავდება. მაგალითად, ნახშირბადის გამონაბოლქვი წიაღისეული სათბობის დაწვით ერთ სულ მოსახლეზე მერყეობს 5,3 ტ-დან აშშ-ში, 2,4 ტ-მდე იაპონიაში და 0,3 ტ-მდე — ინდოეთში. შესაბამისად, განვითარებული ქვეყნები პრაქტიკულად თავისთვის ისაკუთრებენ საერთო პლანეტარული

რესურსების დიდი ნაწილის გამოყენებისა და სარგებლობის უფლებებს.

გარემოს დაბინძურების პრობლემა სამრეწველო წარმოების შემდგომ განვითარებასა და მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებლობასთან ერთად ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ახალი პლანეტარული წესრიგის ჩამოყალიბების სტიმულირებას ახდენს.

მდგრადი განვითარების გლობალური რეგულირება და კონცეფცია. ტერმინი „მდგრადი განვითარება“, თავდაპირველად არც ისე მარჯვე თარგმანი ინგლისური Sustainable Development-ის, ახლა იმდენად საყოველთაო გახდა, რომ უკვე ისწავლეს მისი გამოყენება, როგორც რომელიღაც მდგრადი სიტყვაწარმოება, რომელიც ერთობლივი განვითარების პროცესს აღნიშნავს — ბუნების და კაცობრიობის „კოევოლუციას“

„XXI ს-ის დღის წესრიგი“ გახდა შემობრუნების დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოაწერა რიო დე ჟანეიროში შეკრებილმა ყველა ლიდერმა. იგი ამტკიცებს, რომ „ბუნების დაცვის პოლიტიკა, რომელიც უპირატესად მიმართულია რესურსების შესანახად და დასაცავად, იმათი არსებობის საშუალებების უზრუნველყოფის გარეშე, ვინც დამოკიდებულია მოცემულ რესურსებზე, საეჭვოა იყოს წარმატებული“.

„XXI ს-ის დღის წესრიგში“ ჩართული მიზნები ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს: დაჭაობებული მიწებისა და უდაბნოების დაცვას, ჰაერისა და წყლის დაბინძურების დონის შემცირებას, ენერგიის წყაროების გამოყენების სრულყოფას და ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენებას, ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებების და რადიაციული ნარჩენების უფრო ეფექტიან უტილიზაციას (განადგურება, გაუვნებელყოფა), აგრეთვე ბრძოლას დაავადებების და შიმშილის წინააღმდეგ. მოიცავს რა ბუნების დაცვის და სოციალურ ამოცანათა ყველაზე ფართო დიაპაზონს, „XXI ს-ის დღის წესრიგი“ ასახავს პრობლემათა მთელ სპექტრს, რომელთანაც შეხება აქვს კაცობრიო-

ბას. თუმცა ამ მიზნების უსაზღვრო ამბიციურობამ მიგვიყვანა მისი ეფექტიანობის შემცირებასთან, რადგან იგი მთავრობების და საერთაშორისო სააგენტოების შეზღუდულ შესაძლებლობებს აჭარბებდა.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გაერთიანება, რომელიც მოცემულ მსოფლიო შეხვედრის ჩარჩოებში წარმოიშვა, *გახდა გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების კომისია*; ეს კომისია შეიქმნა „XXI ს-ის დღის წესრიგის“ დებულებათა შესასრულებლად ეროვნულ დონეზე, ასევე მოქმედებათა კოორდინაციის ჩასატარებლად გაეროს სხვადასხვა პროგრამებს შორის გარემოს დაცვისა და განვითარებისათვის.

„XXI ს-ის დღის წესრიგის“ შესაბამისად, ყოველმა ეროვნულმა მთავრობამ უნდა გამოიმუშაოს მდგრადი ეროვნული განვითარების სტრატეგია. ამჟამად 130-ზე მეტ ქვეყანაში შექმნილია ეროვნული კომისიები, რომელთაგან ბევრმა გააერთიანა მრეწველობის, არასამთავრობო ორგანიზაციების და სამთავრობო ოფიციალური ორგანოების წარმომადგენლები. 1992 წელს დაახლოებით 51 ქვეყნის 1500 ქალაქმა შეიმუშავა თავისი საკუთარი „XXI ს-ის დღის წესრიგი“.

კონფერენციის სამდივნომ, კანადელი მრეწველის, მორის სტრონგის მეთაურობით, მოამზადა ანგარიში, რომელშიც გაკეთდა დასკვნა იმის შესახებ, რომ მხოლოდ განვითარებადმა ქვეყნებმა დამატებით უნდა მოახდინონ წელიწადში 600 მლრდ აშშ დოლარის ინვესტირება 90-იანი წლების განმავლობაში „XXI ს-ის დღის წესრიგის“ ამოცანების შესასრულებლად. ამასთან, მათგან 125 მლრდ დოლარი უნდა იყოს დახმარების სახით მრეწველობით განვითარებული ქვეყნების მხრიდან, ანუ ესაა თანხა, რომელიც ორჯერ მეტად აჭარბებს მთელ საზღვარგარეთულ დახმარებას, რაც განვითარებადმა ქვეყნებმა 90-იანი წლების დამდეგს მიიღეს.

მსოფლიო ბანკმა, რომელიც ყოველწლიურად განვითარებადი ქვეყნებისათვის დაახლოებით 20 მლრდ დოლარს

გამოყოფს, დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიოში გარემოს დაცვის პრობლემის გადასაჭრელად. რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებული შეხვედრის შემდეგ მსოფლიო ბანკმა დიდი ყურადღება მიაპყრო ბუნების დაცვის საკითხებს და რიგი მაღალშემოსავლიანი პროექტების მხარდაჭერა შეწყვიტა, რომლებიც, კრიტიკოსთა აზრით, გამფლანგველი ან დესტრუქციული იყო. საუბარია, მაგალითად, არუნის კაშხალზე ნეპალში. ჯეიმს ვულფენსონმა, რომელიც 1995 წელს 50-წლიანი ისტორიის მქონე ბანკის (იგულისხმება მსოფლიო ბანკი) პრეზიდენტი გახდა, საქვეყნოდ აღიარა მდგრადი განვითარების აუცილებლობა.

პროგრესის შესწავლის დროს, რომელიც გლობალურ პრობლემათა გადაწყვეტის განმავლობაში იქნა მიღებული უმაღლეს დონეზე მსოფლიო შეხვედრის შემდეგ, ცხადი ხდება, რომ სხვადასხვა ქვეყანა ვითარდებოდა სხვადასხვანაირად. *ბუნების დაცვის გლობალური ტენდენციები მხოლოდ რვა ქვეყანაში* (ოთხ განვითარებულსა და ოთხ განვითარებადში) *დომინირებს*, რომლებიც აერთიანებენ დედამიწის მთელი მოსახლეობის 56%-ს, მსოფლიო ეკონომიკური წარმოების 59%-ს, ნახშირბადის გამონაბოლქვის 58%-სა და მსოფლიო სატყეო მეურნეობის 53%-ს. *რვა ეკოლოგიური სახელმწიფო* მოიცავს ქვეყანას ყველაზე დიდი მოსახლეობით — ჩინეთს, ქვეყანას ყველაზე მძლავრი ეკონომიკითა და ნახშირბადის ყველაზე დიდი გამონაბოლქვით — აშშ-ს, აგრეთვე ბიოლოგიურ სახეობათა ყველაზე დიდი მრავალფეროვნებით გამორჩეულ ქვეყანას — ბრაზილიას. ეს ქვეყნები გერმანიასთან, იაპონიასთან, ინდოეთთან, ინდონეზიასთან და რუსეთთან ერთად შედიან თანამეგობრობაში, რომელიც წოდებულია „E—8“-ად — რვა ქვეყნისა, რომელიც ძირითადად ეკოლოგიურ ტენდენციებს ასახავს.

უფრო დიდი ხარისხით, ვიდრე „დიდი შვიდეული“ (ან იგივე რვიანი რუსეთთან ერთად), „E—8“-ს შეუძლია დახმარება მთელი მსოფლიოს მომავლის განსაზღვრაში.

გლობალური ეკოლოგიური პრობლემების შესახებ მოკლედ შეიძლება ითქვას:

1. ეკოლოგია — ეს არის მეცნიერება, რომელიც დედამიწაზე კაცობრიობისა და ბუნების სიცოცხლისა და გადარჩენისათვის უსაფრთხო წესების შემუშავების პრობლემებითაა დაკავებული.

2. განსაკუთრებით მძაფრ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს წარმოადგენს კლიმატის დათბობა, ოზონის ფენის ნგრევა, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირება და გარემოს დაბინძურება.

3. ოზონის პრობლემების გადასაწყვეტად კოორდინირებულმა ძალისხმევამ პრაქტიკულად მოგვიყვანა მის გადაჭრამდე და გვიჩვენა გზა სხვა გლობალური პრობლემების გადასაწყვეტად.

4. მდგრადი განვითარება — კაცობრიობის და ბუნების კოევოლუციური, ერთობლივი განვითარების უზრუნველყოფა — გახდა საყოველთაოდ აღიარებული მიზანი, რომლის მისაღწევადაც მიმართულია მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევა.

გლობალური დემოგრაფიული პრობლემა შეიძლება გავყოთ სამ შემადგენელ პრობლემად: ზრდა, მიგრაცია და მოსახლეობის დაბერება.

მოსახლეობის ზრდა. ჩვენს ერამდე ჯერ კიდევ 2000 წლის წინ სულ დედამიწაზე დაახლოებით 80 მლნ ადამიანი ცხოვრობდა. სიკვდილიანობა თითქმის შობადობის ტოლფასი იყო და მოსახლეობის ნამატი კი საკმაოდ მცირე. ქრისტეს ეპოქაში მსოფლიოს მოსახლეობა 130 მლნ კაცს არ აჭარბებდა. ჩვენი ერის 1000 წელს დედამიწის მოსახლეობა 350 მლნ-ს ძლივს შეადგენდა. 1700 წელს მან 600 მლნ-ს მიაღწია. ჯერ კიდევ 1850 წელს 2,5 მლრდ ვიყავით, ხოლო 2005 წლისათვის კაცობრიობამ 6 მლრდ-ს გადააჭარბა. ასეთ ზრდას ექსპონენციალურს უწოდებენ.

დღეს მსოფლიოში ყოველ წამს 21 ადამიანი ეზადება და 18 კვდება. დედამიწის მოსახლეობა ყოველწლიურად 250 ათასი ადამიანით იზრდება, რაც გვაძლევს მის ყოველწლიურ ნამატს, დაახლოებით 90 მლნ კაცით ანუ 1,6%-ით წელიწადში.

ადამიანთა პოპულაციის მაქსიმალური ზრდა წელიწადში დაახლოებით 40%-ს შეადგენს და დღეს ზრდის ზოგიერთი მაჩვენებელი ახლა ამ ზღვართან.

მოსახლეობის სწრაფი ზრდის პრობლემა ძლიერ ღრმავდება მისი უთანაბრო განაწილებით მთელ პლანეტაზე. პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით 70% თავმოყრილია ხმელეთის ტერიტორიის 7%-ზე, ხოლო ხმელეთის 15% საერთოდ დაუსახლებელი ოლქებია. აღმოსავლეთ ნახევარსფეროში თავმოყრილია უფრო მეტი მოსახლეობა, ვიდრე დასავლეთში (დაახლოებით 80%), ხოლო ჩრდილოეთ ნახევარსფეროში უფრო მეტია სამხრეთთან შედარებით, რომელშიც მოსახლეობის მხოლოდ 10% ცხოვრობს.

ადამიანთა ძირითადი მასა ცხოვრობს ზომიერი, სუბტროპიკული და სუბეკვატორული კლიმატური სარტყლების ფარგლებში, როგორც ყველაზე მოსახერხებელ ტერიტორიაზე ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობისათვის. ამასთანავე მსოფლიოს მოსახლეობის 50%-ზე მეტი განსახლებულია ზღვის დონიდან 200 მ სიმაღლეზე, ე. ი. დაბლობ ადგილებზე და დაახლოებით 30% კი — ზღვის ნაპირიდან არა უმეტეს 50 კმ-ის მანძილზე.

დედამიწაზე მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე ამჟამად 1 კვ. კმ-ზე დაახლოებით 35 ადამიანს შეადგენს. მაგრამ ეს მხოლოდ საშუალო მაჩვენებელია. ჩვენი პლანეტის ხმელეთის ნახევარზე (1/2-ზე) მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 1 ადამიანზე ნაკლებია.

დღესდღეობით მოსახლეობის მთელი ნამატი მოდის განვითარებად, ღარიბ ქვეყნებზე და ეს კიდევ უფრო აღრმავებს დაგროვილ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. სიკვდილიანობა იქ მნიშვნელოვნად დაეცა, ხოლო ეფექტიანი კონტროლის დაწესება შობადობაზე ვერ მოხერხდა. მაგალითად, ინდოეთში 1941 წელს შობადობის და სიკვდილიანობის დონეები დაახლოებით ტოლი იყო და ათას მცხოვრებზე 45-ს შეადგენდა. 1991 წელს სიკვდილიანობა ყოველ ათასზე დაეცა 9,9-მდე, ხოლო შობადობა — 29-მდე ასევე

ათას მცხოვრებზე. ამის შედეგად ბოლო ოთხი ათეული წლის განმავლობაში მოსახლეობის ზრდის ტემპი რჩებოდა დაახლოებით მუდმივი წელიწადში 2%-ის დონეზე და ეს ხდება ქვეყანაში, სადაც XXI ს-ის დამდეგს ალბათ მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა იქნება.

მოსახლეობის ზრდის შეზღუდვის მიზნით რიგ ქვეყნებში ქმედით ღონისძიებებს მიმართავენ. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მთელ მსოფლიოში მოსახლეობის ზრდა მაინც შემცირდა მკვეთრი აღმასვლის შემდეგ 2,1%-ით წელიწადში 60-იანი წლების დამდეგისათვის, ხოლო 1,6%-მდე 2000 წლისათვის. განვითარებად ქვეყნებს შორის, რომლებიც E-8 ჯგუფში შედიან, შეიძლება აღვნიშნოთ ინდოეთი, სადაც შობადობის საშუალო დონე, XX ს-ის 60-იან წლებთან შედარებით, 41%-ით შემცირდა. ინდონეზიაში იგი 46%-ით შემცირდა, ბრაზილიაში — 55%-ით, ხოლო ჩინეთში — 68%-ით. ბრაზილიაში გათხოვილი ქალების 66% კონტრაცეპტივებს იყენებენ, ხოლო ჩინეთში მათი რიცხვი 83%-ს შეადგენს.

მასშტაბებისა და ეფექტიანობის მიხედვით ჩინეთში შობადობის შემცირების უპრეცენდენტო პოლიტიკამ (ოჯახში ერთი ბავშვი) მიგვიყვანა იმედისმომცემ წარმატებასთან. იქ აღნიშნული იყო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი ცვლილება დემოგრაფიულ ვითარებაში: შობადობის დონე 60-იან წლებში დაეცა ქალზე 6 მშობიარობიდან 1,9-მდე 1995 წელს, ე.ი. გახდა იმაზე ნაკლები, ვიდრე შესაბამისი მაჩვენებელი (2,0) აშშ-ში. მიუხედავად ამისა, დღემდე დემოგრაფიული ვითარება ხელს უწყობს მოსახლეობის რეკორდულ ზრდას და ამ ზრდის შემცირება კვლავ რჩება ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად.

მოსახლეობის მიგრაცია. XX საუკუნის ბოლოს მოსახლეობის მოძრაობის ძირითადი მიმართულება გახდა გადაადგილება განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულებში. მისი მიზეზები ნათელია. უპირველეს ყოვლისა, ესაა მნიშვნელოვანი სხვაობა ცხოვრების დონეებს შორის. მექ-

სიკელ გლეხს, რომელიც კალიფორნიის საზღვარზე ცხოვრობს, გააჩნია 20-ჯერ ნაკლები შემოსავალი, ვიდრე ამ შტატში მცხოვრებს. რამ შეიძლება შეაჩეროს იგი საზღვრის გადალახვისაგან? მხოლოდ ციხემ. მაგრამ აშშ-ში ციხე უფრო კომფორტულია, ვიდრე ცხოვრება მექსიკურ სოფელში. მექსიკელებისა და ლათინოამერიკელების ნაკადები მიემართება აშშ-ში. იქ ისინი, რა თქმა უნდა, უუფლებონი არიან, რადგან საზღვარს უკანონოდ კვეთენ, მაგრამ გამოიმუშავებენ მაინც უფრო მეტს, ვიდრე სამშობლოში. მათ იყენებენ ყველაზე მძიმე და დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე; მათ „სველ ზურგებს“ უწოდებენ, ვინაიდან ბევრი მათგანი ცურვით გადავიდა რიო გრანდეს საზღვარზე, ხოლო შემდეგ კი ოფლად იღვრებიან სამუშაოზე. ამავე დროს ძირეულ ამერიკელებზე მუშაობს მწვანე ზურგები — დოლარები, რომლებსაც მთელ მსოფლიოში სწორედ ამიტომ ეძახიან „ბაქსებს“ (ზურგები).

ანალოგიურ სიტუაციას ადგილი აქვს განვითარებულ ევროპულ ქვეყნებსა და აფრიკულ ქვეყნებს შორის. მიგრაციული ნაკადები ძლიერდება განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობაზე მძლავრი სიანფორმაციო ზემოქმედების გამო. ახლა ყველაზე შორეულ, მიყრუებული აფრიკის ჯუნგლების სოფლებშიც უყურებენ ჰოლივუდის ფილმებს და ოცნებობენ უზრუნველყოფილ ცხოვრებაზე განვითარებულ ქვეყნებში.

ბოლო წლებში მნიშვნელოვანი წვლილი მიგრაციულ ნაკადებში შეიტანეს ლტოლვილებმა ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან. აქედან მიდიან ძირითადად კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც მნიშვნელოვან კონკურენციას უწევენ ინჟინრებს, ექიმებსა და კვალიფიციურ მუშებს დასავლეთის ქვეყნებში. დღეს მიგრაცია მკაფიოდ იყოფა ორ სხვადასხვა ნაკადად. პირველ ნაკადში ამერიკელი ბაკალავრის დონის კვალიფიკაციას 1,42-ჯერ ხშირად შეიძლება შევხვდეთ, ვიდრე ძირეულ ამერიკელებში. სამაგიეროდ, მეორეში — სამუშაო განათლების მქონე ადამია-

ნის შეხვედრის ალბათობა 2,12-ჯერ დაბალია, ვიდრე საშუალოდ აშშ-ში.

დღესდღეობით ყოველწლიურად 2-დან 3 მლნ ადამიანამდე მიდის ემიგრაციაში, ამასთან უმრავლესობა მათგანი მიეშურება ამ ოთხი ქვეყნიდან ერთ-ერთში: აშშ, გერმანია, კანადა ან ავსტრალია. XXI ს-ის დამდეგს 130 მლნ კაცზე მეტი ცხოვრობს საკუთარი სამშობლოს ფარგლებს გარეთ და ეს ციფრი წელიწადში დაახლოებით 2%-ით გაიზრდება. შედარებით ტერმინებში ლტოლვილები მსოფლიო მოსახლეობის მცირე ნაწილს შეადგენენ, სულ მხოლოდ 2,3%-ს მაგრამ ამასთან ერთად ისინი თავმოყრილია ჩამოთვლილ რეგიონებში — ჩრდილოეთ ამერიკა, დასავლეთ ევროპა, ოკეანეთი და ახლო აღმოსავლეთი. 1965 წლიდან 1990 წლამდე ემიგრანტების რაოდენობა ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში წელიწადში 2,5%-ით გაიზარდა, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებდა მკვიდრი მოსახლეობის ზრდას. თუკი ამ ჯგუფში ჩავთვლით ოკეანეთს, მაშინ ამ რეგიონებში მცხოვრები 13 ადამიანიდან ერთი დაბადებულია ამ ქვეყნების ფარგლებს გარეთ. იმ დროს, როცა მიმღები ქვეყნებისათვის (აგრეთვე მრავალი „გამგზავნისთვისაც“) მიგრაციისგან უპირატესობა ნათელია, მიგრაციის შედეგად გამოწვეულმა ეთნიკურმა დაძაბულობამ და სიძნელეებმა შრომის ბაზრებზე ზოგიერთი ქვეყნის ქალაქებში იმიგრაციული პოლიტიკის გამკაცრებამდე მიგვიყვანა.

კონფლიქტებმა და ბუნებრივმა კატაკლიზმებმა მნიშვნელოვანწილად გაზარდა ლტოლვილთა რიცხვი. 1975 წლისათვის ეროვნული საზღვრები 2,5 მლნ-მა ლტოლვილმა გადალახა. 1995 წლისათვის ეს ციფრი 23 მლნ კაცამდე გაიზარდა. ამას შეიძლება დავუმატოთ 20 მლნ-ზე მეტი გადაადგილებული პირი, რომლებიც საკუთარი ქვეყნების ფარგლებში მოძრაობს (მიგრირებს).[1]

1. U. S. Committee for Refugees, 1996.

მიგრაცია ეროვნული საზღვრების გავლით პლუს „ტვინების გადენა“ განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულებში იქნება ერთ-ერთი ძირითადი ძალა, რომელიც XXI საუკუნის „ლანდშაფტს“ ჩამოაყალიბებს. ამისათვის არსებობს, სულ მცირე, სამი მიზეზი. პირველი — მიგრაცია მკვეთრად ცვლის როგორც მრეწველურად განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების დემოგრაფიულ დახასიათებებს. მეორე — მაღალკვალიფიციური მუშაკების მოძრაობა განვითარებადი ქვეყნებიდან მოქმედებს როგორც დაბალი დონის შემოსავლების მქონე ქვეყნებზე, ასევე მიმღებ ქვეყნებზეც. მესამე — საერთაშორისო დიასპორები უზარმაზარ საქმიან პოტენციალს ფლობენ.

დიასპორები ინფორმაციის გადაცემის, კაპიტალის ბაზრის შესახებ მონაცემების, პროფესიულ ჩვევების არაოფიციალური არხების სახით გამოდიან. მათ შეუძლიათ შეავსონ ოფიციალური არხები, რომლებიც საბაზრო ინსტიტუტებს ეყრდნობიან მიგრანტებს შესაძლებლობას აძლევს განახორციელონ ტრანზაქციები ნდობის ატმოსფეროში. ამგვარად, ისინი ბაზრის სხვა ნაკლოვანებების და საინფორმაციო ასიმეტრიის კომპენსირებას ახდენენ. თანამედროვე დიასპორები, მათი ხმელთაშუაზღვის წინამორბედების მსგავსად, საქმიან ტრანზაქციებს აჩქარებს მონიტორინგის პრობლემათა გადაწყვეტის, არაკეთილსინდისიერი ქცევის შესაძლებლობათა შემცირების, კონტაქტების საფუძველზე რეპუტაციის შექმნისა და ეთნიკური ნდობის მოპოვების ხარჯზე. მიგრაციის გამო დიასპორები განაგრძობენ გაფართოებას, აერთიანებენ რა ამით კონტინენტებს. მთავრობებმა რომც სცადონ ამ პროცესის შენელება, ეს ტენდენცია თანამედროვე კავშირგაბმულობის საშუალებების, ტექნოლოგიების და ადამიანური ურთიერთობების წყალობით მაინც შენარჩუნდება.

მოსახლეობის დაბერება. მალე ყველაზე მძაფრ დემოგრაფიულ პრობლემად განვითარებული ქვეყნებისათვის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა გახდება. „ოქროს მილიარდი“ შესამჩნევად ბერდება.

1900 წელს ამერიკელი მოსახლეობის 4% 65 წელზე მეტის იყო. ახლა 65 წელზე მეტი ასაკის ადამიანები მოსახლეობის 13%-ს შეადგენენ. 2013 წლის შემდეგ მხცოვანთა რიცხვი ამერიკაში ძალიან სწრაფად გაიზრდება, ვინაიდან ე. წ. „ბეიბი-ბუმის“ თაობა, რომელიც 1947 წელს დაიწყო, 65 წელს მიაღწევს და დაიწყებს პენსიაზე გასვლას. თუკი ამჟამად ყოველ გადახდილ პენსიაზე 4,4 მომუშავე მოდის, 2030 წელს მხოლოდ 1,7 მომუშავე იქნება, რომელთაგან შეიძლება გადასახდების ამოღება პენსიის გადასახდელად.

მრავალ მდიდარ და ღარიბ ქვეყანაში 65 წელს ზევით ასაკის მოსახლეობის პროცენტი 2025 წლისათვის გაორმაგდება. 2025 წლისათვის იაპონიაში, როგორც ვარაუდობენ, ხანდაზმულები მოსახლეობის 26% იქნებიან. შეერთებულ შტატებში ძნელია განვსაზღვროთ, მოსახლეობის რა წილი ექნებათ მცხოვნებს, ვინაიდან იგი ძლიერაა დამოკიდებული სავარაუდო იმიგრაციის რაოდენობაში — ახალგაზრდა იმიგრანტებზე, მაგრამ ხანდაზმულნი მოსახლეობის არანაკლებ 20% მაინც იქნება.

საშუალოდ, 65 წელს ზევით ადამიანები იღებენ სახელმწიფოდან თავისი შემოსავლის 40%-ზე ცოტა მეტს (უფრო ზუსტად — 41%-ს) და მხცოვანთა 40%-ზე ცოტა ნაკლები (უფრო ზუსტად კი 38%) იღებენ სახელმწიფოდან თავისი შემოსავლის არანაკლებ 80%-ს. (ამასთან, 62% იღებს არა ნაკლებ 50%-ს.) შედარებისთვის შევნიშნავთ, რომ მხოლოდ 35%-ს გააჩნია შემოსავლები კერძო პენსიების სახით.

ამ უზარმაზარი რესურსების გადანაწილებამ მხცოვანი ადამიანები გადააქცია ამომრჩევლებად, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ერთი კითხვით: გაზრდის თუ შეამცირებს მთავრობა მათ პენსიებსა და სამედიცინო შეღავათებს? დემოკრატიულ ქვეყნებში ერთი კითხვით დაინტერესებული ამგვარი ამომრჩევლები ახდენენ არაპროპორციულ გავლენას პოლიტიკურ პროცესზე, ვინაიდან მათი ხმები არ იშლება ინტერესთა სხვადახვაობის გამო სხვა საკითხებში.

იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ მხცოვან ადამიანთა მოთხოვნები, სახელმწიფო ბიუჯეტებში კვეცავენ ყველა დანარჩენ მუხლს. თუკი ხანდაზმულთა საკითხს გვერდზე გადავდებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ შეერთებულ შტატებში შიდა სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები ბოლო 20 წელიწადში მშპ-ის 10-დან 7%-მდე დაეცა. ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციაში (ეთგო), რომელიც თავისთავად განვითარებული ქვეყნების ასოციაციას წარმოადგენს, საერთო სოციალური დანახარჯები 65 წელზე მეტი ხნის ადამიანებისათვის ერთ ადამიანზე გათვლით 5-ჯერ აჭარბებს ადამიანთა დანახარჯებს 15-დან 64-წლამდე. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ დანახარჯები მხცოვანთათვის ფიტავს სახელმწიფო საბიუჯეტო ინვესტიციებს ინფრასტუქტურაში, განათლებასა და სამეცნიერო კვლევა-ძიებებში, რომელიც ბოლო ოცი წლის განმავლობაში ფედერალური ბიუჯეტში[1] 24-დან 15%-მდე დაეცა.

აშშ-ში ღრმად მოხუცებულნი ბევრად მდიდარნი გახდნენ, ვიდრე ახალგაზრდები. 65-დან 70-წლამდე ასაკის ადამიანებს 222000 დოლარის სუფთა აქტივები გააჩნიათ 30-დან 44-წლამდე ასაკის ადამიანების 66000 დოლარის საპირისპიროდ.

თუმცა მხცოვანთათვის არ შეიძლება ყველა ეკონომიკური რესურსის (არსებობს სხვა საგნებიც, რომლებიც უბრალოდ აუცილებელია დავაფინანსოთ, მაგალითად, პოლიცია და სახანძრო დაცვა) მიცემა, გაუგებარია, რა სახით შეიძლება დემოკრატიულ საზოგადოებაში დახმარების ზრდის შეჩერება მხცოვანთათვის.

როგორც ჩანს, პენსიაზე გასვლის ასაკი პერსპექტივაში უნდა აიწიოს. როდესაც ბისმარკმა 1891 წელს გერმანიის საპენსიო სისტემაში განსაზღვრა საპენსიო ასაკი 65 წლით, გერმანელის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 45 წელ-

1. Office of Management and Budget, Budget of the United States Government, Fiscal Year 1996, Historical Tables (Washington, D. C.: US Government Printing Office, 1995). P. 122.

ზე ნაკლები იყო. ჩვენს დროში ეს დაახლოებით ტოლი იქნებოდა იმისა, რომ სახელმწიფო პენსია ინიშნებოდეს 95 წლის ასაკში.

ისტორია მოწმობს, რომ სინგაპურში ლი კუანო წავიდა სწორი გზით თვითუზრუნველყოფის საკუთარი ფონდის შექმნით (სოციალური უზრუნველყოფის თვითდაფინანსებადი შეღავათები), მაშინ როცა ბისმარკმა გერმანიაში აარჩია სოციალური უზრუნველყოფის არასწორი გზა, რომელიც დაფუძნებული იყო საშუალებათა გადაცემაზე ერთი თაობიდან მეორეზე. სინგაპურში ყოველ ადამიანი ვალდებულია შეიტანოს თავის ხელფასის 20% პირად შემნახველ ანგარიშზე, სადაც მას ემატება ამგვარივე 20%-იანი მეწარმის შენატანი. ამ ანგარიშებზე ინვესტიციები იმართება ნახევრად ინდივიდის და ნახევრად მთავრობის მიერ და შეიძლება იქნეს გამოყენებული მხოლოდ ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, საცხოვრებელსა და მოხუცებულობის უზრუნველყოფაზე. ამგვარად, მოხუცი ადამიანები ცხოვრობენ იმით, რაც მათ აიძულეს შეენახათ და ამავე დროს ნებაყოფილობითი დანაზოგებით, — რომლებიც საკუთარი ნებით დააგროვეს.

დემოგრაფიულ პრობლემებში შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი შემადგენელი ნაწილი: ზრდა, მიგრაცია და მოსახლეობის დაბერება.

ჩვენ ვცხოვრობთ დემოგრაფიული აფეთქების ეპოქაში, რომელიც განპირობებულია სიკვდილიანობის მკვეთრი შემცირებითა და განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის სწრაფი ზრდით. ამასთან წარმოშობილი პრობლემები ღრმავდება დედამიწის ტერიტორიაზე მოსახლეობის უთანაბრო განაწილებით, რომელიც საჭიროებს შობადობის რეგულირებას განვითარებად ქვეყნებში, ჩინეთში წარმატებით განხორციელებულის მსგავსად.

მოსახლეობის მიგრაციის პროცესში წარმოიშვა ორი ახალი ტენდენცია: კვალიფიციური სამუშაო ძალის მიგრაცია („ტვინების გადენა“ განვითარებადი ქვეყნებიდან) და ეროვნული დიასპორების გავლენის გაფართოება.

დემოკრატიის პირობებში მნიშვნელოვან და ძნელადგადასაწყვეტ პრობლემად რჩება მოსახლეობის დაბერება განვითარებულ ქვეყნებში. მხცოვანი მოსახლეობის რაოდენობის დიდი ნაწილი მათ მიერ არჩეული მთავრობებისგან ითხოვს პენსიების გადიდებას და სოციალურ შეღავათებს, ხოლო შედარებით მცირერიცხოვანი შრომისუნარიანი მოსახლეობა უკვე უძლური ხდება ეს უზრუნველყოს.

მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა. პირველად დედამიწის მზარდი მოსახლეობისათვის სურსათის შესაძლო უკმარისობის პრობლემა დააყენა ანგლიკანელმა მღვდელმა — რობერტ მალთუსმა. მან შენიშნა, რომ მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესიით, მაშინ, როცა სურსათის წარმოება იგივე პროპორციით არ იზრდება. აქედან გამომდინარეობს უნუგეშო დასკვნა იმის შესახებ, რომ არც თუ შორეულ მომავალში სურსათის წარმოება ჩამორჩება წარმოების ზრდას და თუ არ მოხერხდება მოსახლეობის ზრდის შეზღუდვა, შიმშილის პერსპექტივა უცილობელი გახდება.

მალთუსის იდეებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებრივ აზრზე. ამ საკვანძო საკითხის ირგვლივ შესრულდა რომის კლუბის ცნობილი შრომები, რომლებმაც XX საუკუნეში კაცობრიობის ზრდის საზღვრები გვიჩვენა.

უშუალო პრობლემას წარმოადგენს არა საკვები, არამედ წყალი. თუკი იქნება წყალი, მაშინ შესაძლებელი გახდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაზრდა იმ მიწებზე, სადაც ახლა ისინი ვერ მოჰყავთ. ზუსტად ასევე კვების პროდუქტების წარმოება უწყლოდ ეცემა. დღესდღეობით 80 ღარიბი ქვეყანა მსოფლიო მოსახლეობის 40%-ით უკვე იტანჯება წყლის უკმარისობით, რომელიც სოფლის მეურნეობას ზარალით ემუქრება. მაგრამ საქმე მარტო თავად წყალში იმდენად არაა, რამდენადაც სასარგებლო-სამომხმარებლო წყალში. საკმარისი ფულის შემთხვევაში შესაძლებელია ოკეანის წყლის გამტკნარება და სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაზრდა იქ, სადაც მათ ადრე ვერ ზრდიდნენ, როგორც ამას აკეთებენ საუდის არაბეთში. მაგ-

რამ გამტკნარება და ინფრასტრუქტურა საჭირო წყლის მისაწოდებლად მოხმარების ადგილას (მიღება და სატუმბო სადგურები) ძალიან ძვირი ჯდება. თუკი შევასრულებთ შესაბამის გამოთვლებს, მაშინ აღმოჩნდება, რომ ამგვარად მიღებული მტკნარი წყლის მიწოდება არაბეთის უდაბნოს შიგნით მინდვრებზე, სადაც სასოფლო-სამეურნეო კულტურებს ზრდიან, საჭიროებს უფრო მეტ ენერგიას, ვიდრე ამ მიდვრებზე გაზრდილი კვების პროდუქტები შეიცავს. მსგავს ინვესტიციებზე ფიქრი შეუძლია მხოლოდ ძალიან მდიდარ ქვეყნებს, ისეთებს, როგორიცაა სპარსეთის ყურის ქვეყნები. ჰონკონგ'ში გასამტკნარებელი მოწყობილობები უკვე გადაიტანეს კონსერვაციაზე, ვინაიდან ისინი საკმაოდ ძვირი იყო სასმელი წყლის მისაღებადაც კი.

ადამიანი კვების პროდუქტების ძირითად ნაწილს აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ოკეანეები, ზღვები და მდინარეები იძლევა თევზსა და სხვა ზღვის პროდუქტებს, მცირე, მაგრამ ბევრი ქვეყნისათვის სურსათის მნიშვნელოვან ნაწილს ტყე იძლევა. ძირითადი პრობლემები დაკავშირებულია ამ სამი ძირითადი წყაროს რაოდენობრივ შემცირებასთან, ხარისხობრივ გაუარესებასთან და გამოფიტვასთან.

სასოფლო-სამეურნეო მიწების პრობლემა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს პლანეტის მიწის ფონდის მხოლოდ 1/3 წარმოადგენს (4783 მლნ. ჰა), რომელსაც კაცობრიობა კვების პროდუქტების საწარმოებლად იყენებს. დანარჩენი ტერიტორია ესაა — მთები, უდაბნოები, მყინვარები, ტბები, ტყეების და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები თავისთავად წარმოადგენს სახნავს, მრავალწლიან ნარგავებს (ბაღებს), ბუნებრივ მინდვრებსა და საძოვრებს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სახნავის და საძოვრების თანაფარდობა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში სხვადასხვანაირია.

დღესდღეობით მსოფლიოში სახნავზე ხმელეთის მთელი ფართობის დაახლოებით 11% მოდის (1350 მლნ ჰა), ხოლო 24% კი გამოიყენება მესაქონლეობისათვის (საძოვრები).

და თუმცა საძოვრები ხშირად იხვნება მარცვლეულის და სხვა კულტურების წარმოების მიზნით, მათი დანაკარგის კომპენსირებას ახდენენ ტყეების გამოხშირვით.

მარტო ბოლო 50 წლის განმავლობაში მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ მიგვიყვანა სურსათზე მსოფლიო მოთხოვნის 4-ჯერ გაზრდამდე. ეს ქმნის ჭარბ „დაწოლას“ განვითარებადი ქვეყნების მრავალი მჭიდროდ დასახლებული რაიონების ნიადაგზე.

მსოფლიოში სახნავი მიწების თითქმის ნახევარი გონიერი დატვირთვების გადაჭარბებით გამოიყენება და შესაბამისად, იფიტება კიდეც. ცივილიზაციის განვითარების ისტორიის მანძილზე განადგურებულია 2 მლრდ. ჰა. სასოფლო-სამეურნეო სავარგული. ეს რამდენჯერმე მეტია, ვიდრე თანამედროვე სახნავი მიწების ფართობი.

დედამიწის ნიადაგის საფარველი ეს უძვირფასესი ბუნებრივი რესურსია. ნიადაგის დაცვის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მისი ნაყოფიერების შენარჩუნება. პლანეტის მთელი ნაიდაგის დაახლოებით 3/4-ს გააჩნია შემცირებული პროდუქციულობა სითბოს და ტენის უზრუნველყოფის უკმარისობის გამო. ნაიდაგების დაახლოებით ნახევარი გვალვიან და ნახევრად გვალვიან ზონებში იმყოფება. ოდითგანვე მიწათმოქმედთა უბედურებად მიწის ეროზია ითვლებოდა, დანგრეული ნიადაგი კი ძალიან ნელა აღდგება, ბუნებრივ პირობებში ამაზე არა ერთი ასწლეული მიდის. გამოთვლილია, რომ, ყოველწლიურად ეროზიის შედეგად, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ვარდება 6-7 მლნ ჰა მიწა, ხოლო დაჭაობების, დამლაშების, დატუტიანების ხარჯზე კიდევ — 1,5 მლნ. ჰა.

მსოფლიოს ანთროპოგენურ უდაბნოთა საერთო ფართობი 9 მლნ. კვ. კმ-ზე მეტს შეადგენს, ე.ი. აშშ-ის ფართობის ტოლია. და კიდევ, ხმელეთის 19% იმყოფება გაუდაბნოების ზღვარზე (გაუდაბნოების სიჩქარე — 6 მლნ. ჰა წელიწადში).

ოკეანეების და ზღვების პრობლემა. საზღვაო თევზჭერა ძველებურად აწვდის მთელი ზღვის პროდუქტის 80%-ს. საერთო თევზჭერა დაახლოებით 700 მლნ ტ-ს შეადგენს.

თევზსაჭერი გემების რიცხვი 1970 წლიდან 1990 წლამდე ორჯერ გაიზარდა და დღეს დაახლოებით 1,3 მლნ-ს მიაღწია. ეს რაოდენობა აშკარად ჭარბია. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებს ამგვარი გემები დაახლოებით 40%-ით მეტი გააჩნია, ვიდრე აუცილებელია მდგრადი თევზჭერის შესანარჩუნებლად. თევზსაჭერი გემების სიჭარბე კონკურენციას იწვევს და ხელს უწყობს არალეგალური თევზჭერის ზრდას.

ოკეანეთა თევზების რესურსის შესანარჩუნებლად ბოლო ათწლეულებში საკმაოდ ეფექტიან ზომებს მიმართავენ. ვინაიდან ყველა თევზის რესურსის 90-95% თავმოყრილია სანაპირო ზოლიდან 200 მილზე, 70-იანი წლების ბოლოს უპატრონო ზღვის სივრცეები გაიყო ქვეყნებს შორის მართოდენ ეკონომიკურ ინტერესების ზონებად, სწორედ ამ 200-მილიანი ნიშნით. ამან მნიშვნელოვნად შეამცირა ზღვების მტაცებლური გამოყენება, თუმცა კონტრაბანდული თევზჭერა, რა თქმა უნდა, მაინც დარჩა. გაეროს შეთანხმებამ ტრანსსასაზღვრო თევზის მარაგზე 1995 წელს მკაფიოდ განსაზღვრა თევზის რესურსების გამოყენების წესები და ქვეყნების უფლებები დამრღვევთა მიმართ.

მომავალში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს აკვაკულტურა, რომლის წილად უკვე წარმოების 2% მოდის. აკვაკულტურა ესაა — თევზების, მოლუსკების და სხვა ზღვის პროდუქტების წარმოება ისეთი ტექნოლოგიებით, რომლებიც სასოფლო-სამეურნეოს გვაგონებს. ამგვარად, XXI ს-ის დამდეგს შეინიშნება გადასვლა თევზჭერიდან თევზის წარმოებაზე, ნადირობიდან მეცხოველეობაზე გადასვლის მსგავსად, რაც 10 ათასობით წლის წინ მოხდა. უკვე ახლა აკვატექნოლოგიის დახმარებით იწარმოება 28 მლნ ტ თევზი, ხოლო 2010 წლისათვის ეს მაჩვენებელი 39 მლნ. ტ გახდება.

ტყეების პრობლემა. ჩვენს პლანეტაზე ტყეებით დაკავებულია დაახლოებით 4 მლრდ. ჰა მიწა (დაახლოებით ხმელეთის 30%). ყოველწლიურად ტენიან-ტროპიკული ტყეების ფართობი 11-12 მლნ. ჰა-თი მცირდება. ტყეები გამოიკაფება სახნავებისა და საძოვრებისათვის, ამასთანავე ყველაზე

ფასეული ხე-ტყის ჯიშები განვითარებულ ქვეყნებში საექსპორტოდ იგზავნება. ხე-ტყე რჩება, აგრეთვე, ძირითად ენერგომატარებლადაც — განვითარებადი ქვეყნების მთელი მოსახლეობის 70% ხე-ტყეს იყენებს, როგორც სათბობს საჭმლის მომზადებისას და საცხოვრებელი ბინის გასათბობად. ნეპალში, ჰაიტიზე და უგანდაში ენერგეტიკული მოთხოვნილებების 9/10 სწორად ხე-ტყე სათბობის ხარჯზე კმაყოფილდება. მარტო ბოლო 200 წლის განმავლობაში მსოფლიოში ტყეების ფართობი 2-ჯერ შემცირდა.

სასურსათო პრობლემა დაკავშირებულია მოსახლეობის შედარებით უფრო სწრაფ ზრდასთან სასურსათო რესურსების მიმართ.

სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოფიტვა, გაუდაბნოება, ნიადაგების დეგრადაცია, ტყეების არასწორი გამოხშირვა და ოკეანეებისა და ზღვების რესურსების მტაცებლური ხარჯვა აღრმავებს სასურსათო პრობლემას. მის გადასაწყვეტად კაცობრიობამ უნდა შეიმუშავოს ღონისძიებათა კომპლექსი პლანეტის სასურსათო რესურსების განვითარებისათვის.

მოსახლეობის ზრდა – ეკოლოგიური კრიზისის მიზეზი?! მრავალ ექსპერტს მიაჩნია, რომ დღეს კაცობრიობას გაცილებით უნდა აწუხებდეს არა ფინანსური თუ იპოთეკური კრიზისი, არა სეპარატიზმი თუ ადამიანთა უფლებები, არამედ ჩვენი სამყაროს ნომერ პირველი პრობლემა... კრიზისი ეკოლოგიური. მის მიზეზად ზოგიერთი ექსპერტი მოსახლეობის რაოდენობის ზრდას ასახელებს. როგორც ჩანს, ეს არც მთლად ასე არაა და ამ სერიოზული პრობლემის მიზეზები სრულიად სხვაგანაა საძიებელი.

ისე მართლაც ხშირად გაიგონებთ, ხალხი ძალიან სწრაფად მრავლდებაო. მსგავსი საყვედურები არ ახალია. განსაკუთრებით ტრადიციულად მოსახლეობით ისედაც დახუნძლულ ქვეყნებში, როგორებსაც ჩინეთი თუ ინდოეთი წარმოადგენენ. ამ პრობლემის ჯერ კიდევ მალთუსს ეშინოდა,

ოღონდ მას ბრიტანელი სულიერი მოძღვარი მშრომელთა კლასს აბრალებდა.

დღეს მოსახლეობის რაოდენობა ისეთი სისწრაფით იზრდება, რომ მალთუსს არც კი დაესიზმრებოდა. კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი დაწესებულებების პროგნოზებით ირკვევა, რომ თუ მსოფლიოს მოსახლეობა ამჟამად არსებული ტემპებით გააგრძელებს გამრავლებას, მაშინ უნდა ველოდეთ, რომ 2300 წლისათვის მისი რაოდენობა 134 მილიარდს გადააჭარბებს, ანუ დღევანდელთა შედარებით 20-ჯერ და მეტ-ჯერ გაიზრდება. რაც შეეხება უფრო ახლო პერსპექტივას, ამავე ორგანიზაციის პროგნოზებით, ეს მაჩვენებელი გაცილებით ოპტიმისტურია და 2200 წლისათვის 10 მილიარდის დონეზე იქნება.

თუმცა, როგორც ჩანს, თანამედროვე ეკოლოგიურ კრიზისთან მოსახლეობის ზრდას მაინც და მაინც მჭიდრო კავშირი არ უნდა ჰქონდეს და აი, რატომ:

მრავალი ეკონომისტი ვარაუდობს, რომ თუ დღევანდელ„ წყალქვეშა რიფებს“ მსოფლიო მეურნეობა ასე თუ ისე უვნებლად გაივლის, ამ საუკუნეში მისი განვითარების საშუალო ტემპები სამი-ოთხი პროცენტის დონეზე იქნება. ეს კი ნიშნავს, რომ 25-30 წელიწადში მთლიანი შიდა პროდუქციის თითქმის გაორმაგდება. ამასთან, იმავე 2200 წლისათვის, მსოფლიო მოხმარება 1600 პროცენტით გაიზრდება. ამ ციფრზე გავიდა ცნობილი პროფესორი„ Iმპერიალ ჩოლლეგე“-დან როდერიკ სმიტი, რომელიც ამავე დროს იმაზეც მიუთითებს, რომ XXI საუკუნეში ადამიანის მიერ მოხმარების დონე გაიზრდება თითქმის 20-ჯერ და მეტად მას შემდეგ, რაც იგი ხიდან ჩამოვიდა (ამას წინათ ერთ-ერთი ამერიკელი ნობელიანტი აცხადებდა, ახლა ამერიკელს უფრო მეტი რადიო აქვს, ვიდრე ყური, უფრო მეტი ტელევიზორი, ვიდრე თვალი და ა. შ. ხომ არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს მშპ-ს ზრდაო).

ყოველივე აქედან გამომდინარე, გამორიცხული არაა, რომ მიმდინარე საუკუნეში ეკონომიკური ზრდა გახდეს გაცილე-

ბით მეტი პრობლემა, ვიდრე მოსახლეობის მატება. მთავრობები, ბანკები თუ ფირმები მას შემდეგ, რაც ამოქმედდებიან, ხომ აღარასოდეს წყვეტენ თავიანთ საქმიანობას. თუ განვითარების დღევანდელი ტემპები დარჩა, შესაბამისი გათვლებით, 2115 წლამდე მოხმარება გაიზრდება 3200 პროცენტით, ხოლო 2138 წლამდე - 6400 პროცენტით. ვინაიდან ნედლეულის რესურსები ამოწურულია, მოხმარების ტემპების ასე გაზრდა, პრაქტიკულად, გამორიცხულია, მაგრამ ამავე გაანგარიშებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწორედ სამეურნეო განვითარება და არა მოსახლეობის ზრდა, შეიძლება იქცეს კაცობრიობის გაცილებით მეტ საშიშროებად.

საყურადღებოა ისიც, რომ ექსპერტები, რომლებიც ხაზს უსვამენ მოსახლეობის ზრდით გარემოზე მიყენებულ საშიშროებას, არც იმას უშვებენ მხედველობიდან, რომ ეს ზრდა გაცილებით მეტ საფრთხეს შეიცავს მდიდარ ქვეყნებში, სადაც მოხმარების მაჩვენებელი შეუდარებლად მაღალია, ვიდრე ღარიბებში. კერძოდ, ზემოთ ნახსენები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი დაწესებულებების სათანადო გაანგარიშებებით ირკვევა, რომ თუ მაგალითად, ბანგლადეშის მოსახლეობა გადასახლდებოდა შეერთებულ შტატებში, გარემოს დაბინძურების პროცესი გაიზრდებოდა შეუდარებლად მაღალი ტემპებით, ვიდრე მაშინ, ისინი რომ ადგილზე დარჩენილიყვნენ. ამგვარი გაანგარიშება მთლად მართებული არ უნდა იყოს, ვინაიდან ემიგრანტები, დასაწყისში მაინც, როგორი ღარიბიც იყვნენ, ახალ საზოგადოებაშიც ისეთივე ღარიბ ხალხად რჩებიან. თუმცა ამის გამო ეს თეზისი თავის მნიშვნელობას არ კარგავს. მდიდარ ქვეყნებში მოსახლეობის ზრდა, რაც უპირატესად იმიგრანტების ხარჯზე ხდება, გარემოსათვის გაცილებით საზიანოა, ვიდრე მოსახლეობის ზრდა ღარიბ ქვეყნებში.

იქნებ მოსახლეობის ზრდა იმ მხრივაა სახიფათო, რომ მისი ზრდის ტემპები უსწრებს წინ სურსათის წარმოების მოცულობების ტემპებს?

რა თქმა უნდა, მოსახლეობის რაოდენობა და მისი ზრდა მჭიდრო კავშირშია სურსათის მოცულობებთან, მაგრამ როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, არც ეს უნდა იყოს დიდად მწვავე პრობლემა. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით, მაგალითად, ხორცის წარმოების მოცულობები 2050 წლამდე გაორმაგდება და გაცილებით გაასწრებს მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ტემპებს. მსოფლიო ბაზრებისათვის ხორცის მიწოდების ტემპები 1980 წლის შემდეგ გასამმაგდა: მეცხოველეობის ფერმები ამჟამად მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 70 პროცენტს იკავებენ და „შთანთქავენ" მარცვლეულის მსოფლიო მოსავლის 2/3-ს. მდიდარ ქვეყნებში ერთ სულზე მოიხმარება სამჯერ უფრო მეტ ხორცი და ოთხჯერ უფრო მეტ რძე, ვიდრე ღარიბ ქვეყნებში.

როგორც ჩანს, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა არც სურსათის დეფიციტის მთავარ გამომწვევ ფაქტორად შეიძლება განიხილებოდეს.

🕮 *ძირითადი ლიტერატურა*

- მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, ტ. I, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ, თბილისი, 2003. — გვ. 470-567.
- მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო, პროფ. გრ. თოდუას და პროფ. შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი, 2001. — გვ. 429-459; 460-488; 501-530.
- Гурова И.П. Мировая экономика и международные экономические отношения: тесты, упражнения, проблемные ситуации. Уч. пособ., М.: Дело, 2003. — გვ. 129-145, (წიგნს დართული აქვს ვებ-რესურსების ვრცელი ანოტირებული სია).
- პოლ ჰერსტი, გრემ ტომპსონი. გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. გამომც. „დიოგენე", I ქართ. გამოც., თბილისი, 2005.
- Peter Dicken. Global Shift, Transforming the World Economy, Third Edition, P.C.P Ltd, 1999.

თემა 8.

ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა

ამერიკული ეკონომიკური მოდელის ბუნებრივი, ცივილიზაციური და ინსტიტუციონალური რესურსები. აშშ-ს ეკონომიკური პოლიტიკის ევოლუცია. აშშ-ს ეკონომიკის სტრუქტურა და მდგომარეობა. აშშ-ს ტრანსეროვნული პოლიტიკა. ამერიკული სახელმწიფო და ბიზნესი. ამერიკის ეკონომიკის განვითარების ტენდენციები.

ჩვენთვის კარგად ცნობილმა პროფესორებმა ალექსანდრე მოვსესიანმა და სერგეი ოგნივცევმა ზედმიწევნით ნათლად და გასაგებად, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ კლასიკურად ჩამოაყალიბეს ამერიკული ეკონომიკური მოდელის ბუნებრივი, ცივილიზაციური და ინსტიტუციონალური ორიენტირები, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ევოლუცია, მისი სტრუქტურა და მდგომარეობა, ტრანსეროვნული კორპორაციების როლი, სახელმწიფო და ბიზნესი, ტენდენციები და პრობლემები. მართალია მათი წიგნის გამოცემიდან დაახლოებით 5 წელიწადი გავიდა, მისი დედააზრი ისევ ყოველმხრივ მისაღებად ესადაგება აღნიშნული ქვეყნის დღევანდელობას. ასეთი წიგნების რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე 2003 წელს ვ.ბ. სუპიანის რედაქციით გამოცემული სახელმძღვანელო. წიგნის გამოცემა სანკტ-პეტერბურგის დაარსების 300 წლისთავს ეძღვნება. მას ანალოგი არ გააჩნია.

აშშ ზოგადი მახასიათებლები:

- ტერიტორია 9372610 კვ. კმ.
- სახნავი მიწების ფართობი, %-ულად საერთო ფართობისადმი 19.
- მოსახლეობა 297.0 მილიონი ადამიანი.
- მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდა (2000-2005 წწ.) 0.97%.
- საზოგადოების განვითარების ინდექსი 94.4
- სიცოცხლის ხანგრძლივობა: მამაკაცები 75.2 წ., ქალები 80.6 წ.

- ზრდასრული მოსახლეობის წიგნიერება 99.0%.
- ქალაქის მოსახლეობა 80.8%.
- ყოველ 1000 ადამიანზე შობადობის საერთო კოეფიციენტი 14.5; სიკვდილიანობის საერთო კოეფიციენტი 8.4.

აშშ-ს ეკონომიკის მახასიათებლები:

- მშპ, მლრდ. აშშ დოლარი 11712.
- რეალური მშპ-ს საშუალო წლიური ზრდა (1994-2004 წწ.) 3.3%
- მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, აშშ დოლარი 39430.
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 1.84.
- მშპ-ს სტრუქტურა, %-ობით საერთო მოცულობისადმი:
  - სოფლის მეურნეობა 1.2
  - მრეწველობა 20.3; მ.შ. გადამამუშავებელი 12.1
  - მომსახურების სფერო 78.3.
- მშპ-ს შემადგენლები, %-ობით საერთო მოცულობისადმი:
  - პირადი მოხმარება 70.1
  - საზოგადოებრივი მოხმარება 18.6
  - ინვესტიციები 16.4
  - ექსპორტი 10.0
  - იმპორტი -15.2.
- დასაქმების სტრუქტურა, %-ობით საერთო რაოდენობიდან:
  - სოფლის მეურნეობა 2
  - მრეწველობა 22
  - მომსახურების სფერო 76
  - უმუშევრობა, 2004 წ. 5.5.
  - უმუშევრობის საშუალო წლიური ნორმა, 1995-2004 წწ. 5.1.
- ენერგეტიკა (მლნ.ტ. ნავთობის ერთეულებში):
  - ენერგიის საერთო გამომუშავება 1631.4
  - ენერგიის საერთო მოხმარება 2280.8
  - მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე, კგ.ნ.ე. 7843
  - ენერგიის წმინდა იმპორტი, %, საერთო მოხმარებისადმი 28.
- ინფლაცია და ფინანსები:

- სამომხმარებლო ფასების ინფლაცია (2005 წ.) 3.4%
- საშუალო წლიური ინფლაცია (2000-2005 წწ.) 2.5%
- სახაზინო თამასუქების განაკვეთები (2005 წ.) 3.17%.

- ვაჭრობა (Fob):

ექსპორტის ძირითადი მუხლები, მლრდ.დოლ.(Fob)

- კაპიტალური საქონელი (ავტომობილების გარდა) 331.1
- სამრეწველო ნედლეული და მასალები 203.6
- სამომხმარებლო საქონელი (ავტომობილების გარდა) 102.8
- ავტომობილები და თანმხლები საქონელი 88.2
- კვების პროდუქტები და სასმელები 56.3
- ჯამი, მ.შ. სხვა დანარჩენი 819.

იმპორტის ძირითადი მუხლები, მლრდ.დოლ. (Fob)

- კაპიტალური საქონელი (ავტომობილების გარდა) 412.24
- სამრეწველო ნედლეული და მასალები 373.2
- სამომხმარებლო საქონელი (ავტომობილების გარდა) 343.8
- ავტომობილეი და თანმხლები საქონელი 228.4
- კვების პროდუქტები და სასმელები 62.2
- ჯამი, მ.შ. სხვა დანარჩენი 1470.

- ექსპორტის ძირითადი მიმართულებები, %-ობით საერთო მოცულობისადმი:
  - კანადა 23.5
  - მექსიკა 13.7
  - იაპონია 6.7
  - გაერთიანებული სამეფო 4.6
  - ჩინეთი 4.3
  - ევროკავშირის ქვეყნები 21.4.
- იმპორტის ძირითადი წყაროები:
  - კანადა 17.4
  - ჩინეთი 13.3
  - მექსიკა 10.6
  - იაპონია 8.8
  - გერმანია 5.2
  - ევროკავშირის ქვეყნები 19.1.

- საგადასახდელო ბალანსი, რეზერვები და დახმარება, მლრდ.დოლ.:
  - რეალური (საქონლის და მომსახურების) ექსპორტის მუხლები *(Fob)* 811.0
  - რეალური (საქონლის და მომსახურების) იმპორტის მუხლები *(Fob)* -1473.0
  - სავაჭრო ბალანსი -661.9
  - შემოდინება, ფინანსური მუხლები 720.0
  - გადინება, ფინანსური მუხლები -645.2
  - წმინდა ტრანსფერები -80
  - მიმდინარე გადასახდელების ბალანსი -668.1
    როგორც % მშპ-სადმი -5.7
  - კაპიტალის მოძრაობის ბალანსი 580.0
  - საერთო ბალანსი -2.8
  - რეზერვების ცვლილება 6.4
  - რეზერვების მოცულობა (დეკ. ბოლო) 190.5
  - იმპორტის დაფარვა რეზერვით 1.0
  - ოქროს მარაგი, მლნ. უნცია 261.6
  - დახმარებათა მოცულობა 19.71
    როგორც % მშპ-სადმი 0.17
- ჯანდაცვა და განათლება:
  - დანახარჯები ჯანდაცვაზე, % მშპ-სადმი 15.2
  - ექიმების რიცხვი 1000 კაცზე 2.5
  - საავადმყოფოს საწოლების რიცხვი 1000 კაცზე 3.6
  - მოსახლეობა, რომელიც უზრუნველყოფილია სასმელი წყლით, % 100
  - დანახარჯები განათლებაზე, %-ობით მშპ-სადმი 5.6
  - მოსწავლეთა შევსება, %:
    დაწყებითი სკოლა 98
    საშუალო სკოლა 106
    უმაღლესი სასწავლებლები 83
- საზოგადოება:
  - შინამეურნეობათა რიცხვი 110.2 მლნ.
  - ადამიანთა საშუალო რიცხვი შინა მეურნეობებში 2.6
  - ქორწინებათა რიცხვი 1000 კაცზე 8.2
  - განქორწინებათა რიცხვი 1000 კაცზე 4.8
  - ცხოვრების ღირებულება (2005 წ. დეკემბერი) (ნიუ-იორკი = 100) 100

- ფერადი ტელევიზორების რიცხვი 100 შინამეურნეობაზე 99.6
- სატელეფონო ხაზების რიცხვი 100 კაცზე 60.6
- მობილური კავშირის აბონენტთა რიცხვი 100 კაცზე 62.1
- კომპიუტერების რიცხვი ყოველ 100 კაცზე 76.2
- ინტერნეტის ქსელში ჩართულთა რიცხვი ყოველ 1000 კაცზე 830.8.

ყოველმხრივ უნიკალური და ძლევამოსილი სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატების მკვლევარნი, ქვეყნის ცივილიზაციის ღირებულებით საფუძვლად მიიჩნევენ *პროტესტანტიზმს*, საკვანძო ტერმინად *თავისუფლებას*, საქმით კი ამერიკელებს *პრაგმატიკოსებად* თვლიან. ამერიკა არის ქვეყანა უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობებით. მოსახლეობის 72% თეთრკანიანია, ხოლო 12% — აფროამერიკელი.

კლიმატური პირობები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას, იგი მთელ მსოფლიოში ყველაზე ეფექტიანია. აშშ ფლობს 100 სახეობაზე მეტ სასარგებლო წიაღისეულს. ყველაზე დიდ წილს ბუნებრივი რესურსებიდან მომპოვებელი მრეწველობის პროდუქციის მოცულობაში ღირებულებით გამოხატულებაში შეადგენს ენერგორესურსები (90%). ქვეყანა კარგადაა უზრუნველყოფილი ენერგოშემცველებით — ნავთობით, ნახშირით, ბუნებრივი აირით, ურანით, ჰიდრორესურსებით — რომელთა იმპორტირებას, მართალია, ახდენს, მაგრამ ამასთანავე საკუთარი საბადოების ნაწილს აკონსერვებს. ლითონის მოპოვების დაახლოებით 75% მოდის რკინის მადანსა და სპილენძზე. ამასთან ერთად მინერალურ ნედლეულზე ეკონომიკის მოთხოვნილებათა დაახლოებით 50% დაკმაყოფილებულია იმპორტის ხარჯზე. კერძოდ, აშშ არ ფლობს ისეთი სტრატეგიული ლითონების მარაგს, როგორიცაა ქრომი, მანგანუმი, ვოლფრამი და კობალტი.

ამერიკელი ერი სავსებით უნიკალურია. მილიონობით მამაცმა ადამიანმა თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან გადალახა ოკეანე, სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი თავის ძველ სამშობლოსთან და გახდა ახალი მსოფლიოს ნაწილი.

ამერიკამ შეძლო შეექმნა იმდენად უნიკალური და ბუნებრივი იდეოლოგია, რომ სურვილის შემთხვევაში იოლად აღიქმება ყველა ერის და კულტურის წარმომადგენლისათვის.

ეროვნული ერთიანობის პროპაგანდა ეფუძნება ძალიან მკაცრ კანონმდებლობას, რომელიც დევნის რასობრივი და ეროვნული უთანასწორობის ნებისმიერ გამოვლენას. აშშ — ეს პირველი შემდგარი, მრავალეროვნული ხელქმნილი ცივილიზაციაა სხვა მიწაზე გასახლებული ძლიერი და თავისუფალი ხალხისა, რომლებმაც გაწყვიტეს კავშირი თავის მშობლიურ ქვეყნებთან (ძველ სამყაროსთან) და დაიწყეს ახალი ცხოვრება.

ზოგიერთი ამერიკული შტატი იქმნებოდა უპირატესად ცალკეული პროტესტანტული კონფესიის წარმომადგენლების მიერ. *პროტესტანტობამ* განამტკიცა განსაკუთრებული დამოკიდებულება საქმიანობისადმი, როგორც „სისტემაში ახარისხებული სიწმინდისადმი".[1]

თავისუფლება — ამერიკული ცივილიზაციის საკვანძო სიტყვაა. ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, ამერიკელთა 72%-მა კითხვაზე: რა არის მათთვის მნიშვნელოვანი — თავისუფლება თუ თანასწორობა? — უპასუხა: „თავისუფლება". შესადარებლად იგივე კითხვაზე პასუხი იაპონელთა 43%-მა გასცა.[2] *ლიბერალიზმი* (liberty — თავისუფლება) გახდა აშშ-ის გაბატონებული ფილოსოფია და თანდათანობით აღიქმება მთელი დანარჩენი მსოფლიოს მიერ. იგი გახდა ტრანსნაციონალიზაციის ფილოსოფიის და თანამედროვე მეგაეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

ამერიკელები — პრაგმატიკოსები არიან. მათ შეუძლიათ პასუხი გასცენ კითხვას: „როგორ მოვიქცეთ სამყაროში, რომ მივაღწიოთ მაქსიმალურ ეკონომიკურ კეთილდღეობას?", მაგრამ პასუხი კითხვაზე — „რა საჭიროა თავად

---

1. Вебер М. Протестантская этика и дух капитализма. Избранные произведения. — М.: Прогресс. — с. 143.
2. იხ.: Василенко И; Политическая глобалистика. — М.: Логос. 2000.

კეთილდღეობა, საით მივყევართ მას საბოლოო ჯამში?“ — არ ძალუძთ. და არც არის საჭირო ამ კითხვის დასმა, რათა არ „გავიხლართოთ“ მსჯელობებში, უკეთესია წარმატებულად ვიმოქმედოთ ბიზნესში.

ამერიკისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია *პროტესტანტული მესიანობის* შეგრძნება. გეოპოლიტიკური აზროვნება, რომელიც განსაკუთრებულად აქვს განვითარებული აშშ-ის პოლიტიკურ ელიტას, არაწინააღმდეგობრივად ითავსებს თავისთავში ფუნდამენტურ პროტესტანტიზმს, „აშშ-ის, როგორც ახალი ისრაელის იდეას, რომელიც მოწოდებულია მწყემსოს ხალხები ისტორიის ბოლოში“ და ლიბერალიზმის და თავისუფალი ვაჭრობის იდეას, როგორც საზოგადოებრივი მოწყობის მაქსიმალურ რაციონალიზაციას, დაფუძნებულს „გონიერი ეგოიზმის“ პრიორიტეტზე. ამერიკული გეოპოლიტიკის პროტესტანტული მესიანობა ამგვარად ესადაგება უნივერსალურ საბაზრო მოდელს და ღირებულებათა ლიბერალურ სისტემას.

პროტესტანტულმა ინდივიდუალიზმმა, ეკონომიკურმა ლიბერალიზმმა და ცხოვრების პრაგმატულმა აღქმამ თავისი ხორცშესხმა ჰპოვა ამერიკის პოლიტიკურ სისტემაში. აშშ-ში შესაძლებელი გახდა ხელისუფლების დაყოფის, „შეკავებისა და საპირწონოს“ პრინციპის რეალიზება, რომელიც გამოაცხადა მონტესკიემ. პრეზიდენტი თავისი ადმინისტრაციით, კონგრესი და უმაღლესი სასამართლო თავისთავად წარმოადგენს სამ სრულიად დამოუკიდებელი ძალაუფლების შტოს, რომელთა უფლებამოსილებანი განაწილებულია იმგვარად, რომ ძალაუფლების მონოპოლიზაცია შეუძლებელია და ხელისუფლების ერთი შტო შეკავებული და გაწონასწორებულია სხვა ხელისუფლების მიერ. პრეზიდენტი მეთაურობს აღმასრულებელ ხელისუფლებას, კონგრესი — საკანონმდებლოს, შეუძლია კანონების გაუქმება, რომლებიც წარმოადგინა პრეზიდენტმა, თავის მხრივ, პრეზიდენტს ძალუძს ვეტო დაადოს კანონებს, რომლებიც მიიღო კონგრესმა. სასამართლო ხელისუფლების მატარებელი — აშშ-ის უმაღლესი

სასამართლო — ინიშნება პრეზიდენტის და მტკიცდება კონგრესის მიერ. იგი უფლებამოსილია საბოლოოდ გააუქმოს კონგრესის კანონები და აღმასრულებელი ხელისუფლების აქტები, თუკი ისინი არ შეესაბამება კონსტიტუციას.

აშშ-ის პოლიტიკური სისტემის საფუძვლები ჩადებულია მის კონსტიტუციაში, რომელიც მიღებულია 1787 წელს კონსტიტუციური კონვენტის მიერ ფილადელფიაში. მას შემდეგ ამ ისტორიული კონვენტის წევრებს უწოდებენ „მამადამფუძნებლებს“ ორი წლის შემდეგ, 1789 წელს, კონსტიტუცია იქნა შევსებული ათი შესწორებით, რომელმაც შეადგინა ბილი (კანონპროექტი) უფლებების შესახებ. მათში გაცხადებული იყო მოქალაქეთა პოლიტიკური, პირადი და პროცესუალური უფლებები. აშშ-ის ეკონომიკური აყვავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს მისი პოლიტიკური ინსტიტუტების ხელშეუხებლობა. კონსტიტუციის და უფლებების შესახებ ბილის მიღების შემდეგ მოცემული იყო 5 ათასზე მეტი შესწორების პროექტი, მაგრამ მათგან მხოლოდ 15 იქნა მიღებული და ეს — ორასი წლის მანძილზე! აშშ — ფედერალური სახელმწიფოა, რომლის შტატების მთავრობათა და ცენტრის კომპეტენცია მკაცრადაა გამიჯნული. შტატები მოკლებული არიან საგარეოპოლიტიკურ უფლებამოსილებებს, არა აქვთ გამოყოფის და მართვის ფორმის შეცვლის უფლება.

ცივილიზაციური ღირებულებების ამერიკული სისტემა და მძლავრი, მდგრადი ფორმალური ინსტიტუტები იდეალური გარემო აღმოჩნდა ეკონომიკური განვითარებისათვის, რომელიც დაფუძნებული იყო ცოდნასა და ინოვაციებზე. თავისუფალი ადამიანი საკუთარ თავს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ცენტრში აღიქვამს და მისი საკუთრება და უფლებები საიმედოდაა დაცული. მას ყველაზე კარგად შეესაბამება ეკონომიკური ზრდის ინოვაციური ტიპის მოთხოვნები. ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები საშუალებას აძლევს წინდახედულ, ნიჭიერ და,

რა თქმა უნდა, იღბლიან ადამიანებს მიაღწიონ სიმდიდრის, სახელის და კეთილდღეობის მწვერვალებს.

1776 წ. შუქი იხილა აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციამ და ა. სმიტის წიგნმა „ხალხთა სიმდიდრის“ შესახებ, რომელმაც მსოფლიოს წარუდგინა ლიბერალური ეკონომიკის დეკლარაცია. იმავე პერიოდში წარმოიშვა ორი ძირითადი მიმდინარეობა ამერიკის ეკონომიკურ პოლიტიკაში. ორივე მიმდინარეობას მეთაურობდნენ ცნობილი ადამიანები, დამფუძნებელი-მამები — *ჰამილტონი* და *ჯეფერსონი*. მტკიცებულებას იმაზე, რომ ეკონომიკას ძალუძს თვითრეგულირება, ჰამილტონმა უწოდა „ბოდვითი პარადოქსი“. იგი გამოდიოდა აშშ-ის სამრეწველო მომავლის და ბაზრის სახელმწიფო რეგულირების დამცველად. ფინანსთა მინისტრად ყოფნის დროს კი აქტიურად იყენებდა ფულად ემისიას, სატარიფო პოლიტიკას და სხვა სახელმწიფო რეგულირების მეთოდებს. ჯეფერსონი მომავალ ამერიკას ხედავდა, როგორც სამოთხეს წვრილი მეურნეობისათვის, სასოფლო არკადიისათვის. „ვაშინგტონიდან მითითებებს რომ დავლოდებოდით — როდის დაგვეთესა, ან აგვეღო მოსავალი, ჩვენ ალბათ დავრჩებოდით პურის გარეშე,“ — ამბობდა იგი, თუმცა რა „ხალხთა სიმდიდრეს“ ჩვენი დროის საუკეთესო წიგნად პოლიტეკონომიაში. იგი გამოდიოდა თავისუფალი არარეგულირებადი ბაზრისათვის, თუმცა თავისი პრეზიდენტობის პერიოდში ცოტა დროს როდი უთმობდა ვაჭრობის პრაქტიკულ რეგულირებას. მაშ ასე, ამერიკული ეკონომიკის პირველივე ნაბიჯებიდან ჩამოყალიბდა ორი ძირითადი — სახელმწიფო რეგულირების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ბანაკი. ამგვარი დაყოფა კვლავ გახდა კაცობრიობის ორი მნიშვნელოვანი ინტიტუტის — სახელმწიფოსი და ბაზრის ბრძოლის გამოვლინება. ჰამილტონის პოზიციას შემდგომში ემხრობოდნენ ძირითადად დემოკრატიული პარტიის მომხრეები, ხოლო ჯეფერსონისას — რესპუბლიკელების. აშშ-ში ეს ბრძოლა არ იყო შეურიგებელი. იყვნენ რა პრაგმატიკოსები, ამერიკელი რესპუბლიკელ-ლიბერალები იყე-

ნებდნენ სახელმწიფო რეგულირების მეთოდებს, ხოლო დემოკრატები, თავის მხრივ, ხშირად ემხრობოდნენ და ატარებდნენ სავსებით ლიბერალურ პოლიტიკას. ამერიკელები უკვე დიდი ხანია ამბობენ, რომ „სხვაობა რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის ათცენტიან მონეტადაც კი არ ღირს“. ინფლაციასთან ერთად ეს სხვაობა სულ უფრო მცირდებოდა.

მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ამერიკაში დადგა *აყვავების ეპოქა*. ეკონომიკა სწრაფად ვითარდებოდა, უფრო სწრაფად იზრდებოდა საფონდო ბაზარი. ძირითადად, სიტუაცია დღევანდელის ძალიან მსგავსი იყო. მაშინ პროსპერიტის (აყვავების) ეპოქა დასრულდა სასტიკი კრიზისით, რომელშიც აშშ-მა დაკარგა მშპ-ის 1/3-ზე მეტი. *30-იანი წლების კრიზისის შემდეგ დადგა დეპრესია*, საიდანაც გამოსავალი იქნა ნაპოვნი აშშ-ის პრეზიდენტის, ფ. რუზველტის მიერ. მისი „ახალი კურსი“ ითვალისწინებდა, რუზველტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სახელმწიფოს სამთავრობო ჩარევის აუცილებლობას ეკონომიკურ ცხოვრებაში...“ (მიუხედავად ამისა, რუზველტი თვლიდა თავს ლიბერალად, ხოლო თავისუფალი ბაზრის მიმდევრებს კონსერვატორებს ეძახდა). რეგულირების კეინსიანური მეთოდები, გამოყენებული რუზველტის მიერ, სრული წარმატებით დასრულდა.

მეორე მსოფლიო ომიდან აშშ გამოვიდა ისეთი ძლიერი, როგორც არასოდეს. მის წილად მოდიოდა მსოფლიო მშპ-ს დაახლოებით 50%. მას რჩებოდა მხოლოდ ერთი მეტოქე, ყოფილი მოკავშირე, სახელმწიფო-გამარჯვებული — სსრკ, რომელიც საკმაოდ სწრაფად ძლიერდებოდა. *მსოფლიომ შეიძინა სასტიკი ბიპოლარული სტრუქტურა* მოწინააღმდეგე მხარეთა ძალთა მიახლოებული თანაფარდობით.

ომში გამარჯვება და სამხედრო ხარჯების გარდაუვალი მკვეთრი შემცირება ომით ნაკვებ აშშ-ს სამხედრო ეკონომიკას ემუქრებოდა ახალი კრიზისი. მან შეძლო ამისგან თავის დაღწევა, შექმნა რა *მარშალის შესანიშნავი გეგმა*,

რომელმაც ერთბაშად გადაწყვიტა ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები. ეს იყო ფართომასშტაბიანი დახმარების გეგმა ამერიკის ახალი მოკავშირეებისათვის განსაზღვრული პოლიტიკური ვალდებულებების სანაცვლოდ. ასეთი სახით ამერიკის ეკონომიკური სიმძლავრე უნდა მიმართულიყო ევროპული ქვეყნების დანგრეული სამხედრო ეკონომიკების აღსადგენად და იმავდროულად იკვრებოდა მონოლითური სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომელსაც შეეძლო აშშ-ის ეგიდით წინააღმდეგობა გაეწია სოციალისტური ქვეყნების ბლოკისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირი წარმართავდა.

აშშ-ის ომისშემდგომი პერიოდის ეკონომიკური პოლიტიკა მთლიანობაში მისდევდა კეინსიანურ პრინციპებს და რეკომენდაციებს. გ. ტრუმენის და დ. ეიზენჰაუერის (1946-1962 წწ.) პრეზიდენტობის პერიოდში თანდათანობით მოხდა უდეფიციტო ბიუჯეტის იდეისგან დაცილება და ტარდებოდა ზომიერი საბიუჯეტო მაკროპოლიტიკა, რომელიც ცდილობდა აღეკვეთა ახალი კრიზისები.

პრეზიდენტების ჯ. კენედის, ლ. ჯონსონის, რ. ნიქსონის, ჯ. ფორდის და ჯ. კარტერის (1962-1980 წწ.) ეპოქა ხასიათდება ერთობლივი მოთხოვნის აქტიური სახელმწიფო რეგულირებით სახელმწიფო ბიუჯეტის გამოყენების საფუძველზე. ამ პერიოდის ბოლოს გამოირკვა, რომ კეინსიანურმა მეთოდებმა დაკარგა თავისი მასტაბილიზირებელი ეფექტი, რაც, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ახალი მეგაეკონომიკური ურთიერთკავშირების ფაქტორთა ჩასახვასთან. დგებოდა ახალი ეკონომიკური ეპოქა. მისი ლოზუნგი გახდა რ. რეიგანის სიტყვები: „მთავრობა არ გადაწყვეტს ჩვენ პრობლემებს; მთავრობა — თავად პრობლემაა“ და როგორც კი „იგი თავს დაგვანებებს, ეს პრობლემები მოგვარდება თავისთავად“.

რესპუბლიკელი პრეზიდენტების — რ. რეიგანის და ჯ. ბუშის (1981-1992 წწ.) — ნეოკონსერვატორული კურსი ეფუძნებოდა ნობელის პრემიის ლაურეატთა — *მ. ფრიდმა-*

ნის და *რ. მანდელას* — მონეტარულ შეხედულებებს. ისინი მოითხოვდნენ სახელმწიფო ხარჯების, გადასახადების და *ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის შემცირებას*. ახალი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებაში აქტიური წვლილი შეიტანა ახალგაზრდა ჟურნალისტ-ეკონომისტმა ა. ლაფერმა, რომელმაც თვალსაჩინოდ დაგვანახა გადასახადების აკრების და საგადასახადო განაკვეთების ურთიერთკავშირი (ლაფერის მრუდი). ამ თეორიული შეხედულებების ბაზაზე შეიქმნა „რეიგანომიკა", რომელიც მდგომარეობს: 1) მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში, რომელიც ხელს უწყობს ინფლაციის კლებას. იმავდროულად საპროცენტო განაკვეთის ზრდა იზიდავდა აშშ-ში უცხოურ კაპიტალს; 2) 1986 წლის საგადასახადო რეფორმაში, რომელმაც მიგვიყვანა საშემოსავლო გადასახადების ზღვრული განაკვეთის შემცირებამდე 55-დან 33%-მდე, ხოლო კორპორაციის მოგებაზე გადასახადის 46-დან 34%-მდე. ეს მეწარმეობის სტიმულირებას ახდენდა და, როგორც ლაფერი ვარაუდობდა, ზრდიდა ბიუჯეტის შემოსავლებს; 3) სოციალური პოლიტიკის გადახედვაში სახელმწიფო სოციალური პროგრამების შემცირების თვალსაზრისით; 4) სახელმწიფო ხარჯების მკვეთრი ზრდით სამეცნიერო კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, რომელმაც მშპ-ს 3%-ს მიაღწია.

„რეიგანომიკამ" მოახდინა ინფლაციის შემცირების სტიმულირება 3-ჯერ, უმუშევრობის შემცირება 6%-მდე და ეკონომიკური ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპები. გარდა ამისა, რეიგანული „ბოროტების იმპერია" დაეცა და აშშ გახდა კაცობრიობის ერთპიროვნული ლიდერი. თუმცა, საბიუჯეტო დეფიციტი მუდმივად იზრდებოდა და 1990-1992 წწ. კრიზისმა გვიჩვენა, რომ ბაზარმა საკმაოდ ძლიერ შეავიწროვა სახელმწიფო და ეკონომიკური პოლიტიკა საჭიროებს არსებით ცვლილებებს.

1992 წ. გამარჯვებულმა ბ. კლინტონმა ამერიკელებს შესთავაზა და ბრწყინვალედაც განახორციელა თავისი ეკონო-

მიკური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს უფრო აქტიურ როლს. მას საფუძვლად უდევს ბრძოლა საბიუჯეტო დეფიციტთან. კლინტონის ადმინისტრაციამ ჩათვალა, რომ საგადასახადო განაკვეთები დაეშვა ოპტიმუმის ქვემოთ და ასწია ისინი. საშემოსავლო გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი გაიზარდა 36,9%-მდე. იმავდროულად მტკიცედ იქნა შემცირებული სახელმწიფო ხარჯები. შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა. სახელმწიფო ბიუჯეტის რეკორდული დეფიციტი, რომელიც ერგო კლინტონს ბუშისაგან (290,4 მლრდ. დოლ. 1992 წ.), ლიკვიდირებული იქნა, და 1999 წ. მიაღწიეს ბიუჯეტის პროფიციტს 79 მლრდ. დოლარის ოდენობით.

„კლინტონომიკამ" ააღორძინა სახელმწიფო სოციალური პროგრამები და გაზარდა ინვესტიციები საზოგადოებრივ სექტორში, ასევე სოციალურ ინფრასტრუქტურაში.

ინფლაცია შემცირდა 2-3%-მდე წელიწადში, უმუშევრობა — 4,5%-მდე, ხოლო ეკონომიკურმა ზრდამ 90-იანი წლების ბოლოს შეადგინა 4%. შეიქმნა 12 მლნ ახალი სამუშაო ადგილი, ხოლო საფონდო ბაზარი 1993 წ. გაიზარდა 3-ჯერ და მეტად. 90-იან წლებში აშშ-მა განაგრძო მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის კურსი და აშშ-ში უკვე ყველა წარმოებული მატერიალური ფასეულობების 1/3-ზე მეტი რეალიზაციას პოულობს საგარეო ბაზარზე.

უნდა ვაღიაროთ, რომ კლინტონმა მოახდინა რეიგან-ბუშის კურსის კორექტირება და „კლინტონის ოქროს ეკონომიკა", როგორც მას უწოდებენ პრეზიდენტის მიმდევრები, გაიზარდა მაინც „რეიგანომიკისგან" როგორც ჩანს, ამერიკამ შეძლო ტექნოლოგიური განვითარების თანამედროვე დონისათვის სახელმწიფოს და ბაზრის ოპტიმალური შეთავსება.

აშშ-ს აქვს *ყველაზე დიდი მშპ მთელ მსოფლიოში*, რომელიც აჭარბებს 12 ტრლნ დოლარს. ერთ სულ მოსახლეზე მოდის 41 ათას დოლარზე მეტი. ამ მაჩვენებლის მიხედვით აშშ აგრეთვე მიეკუთვნება მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებს.

აშშ გახდა პირველი ქვეყანა, რომელიც მტკიცედ დაადგა პოსტინდუსტრიული განვითარების გზას. სოფლის მეურნეობაში იქმნება მშპ მხოლოდ 1,4%, მრეწველობაში — 20,3%-ზე ნაკლები, ხოლო მომსახურების სფერო უკვე შეადგენს ამერიკული ეკონომიკის 78%-ზე მეტს.

სოფლის მეურნეობა აშშ-ის აგროსამრეწველო კომპლექსის გიგანტური აისბერგის წვერში იმყოფება, რომელიც აწარმოებს პროდუქციას 1 ტრლნ დოლარის ოდენობით. ამერიკელი ფერმერი მისი მომსახურე და უზრუნველმყოფელი სისტემის ცენტრში იმყოფება. მელიორაციით, ქიმიური მომსახურებით, ტექნიკის რემონტით, გასაღებით დაკავშირებულია სპეციალიზირებულ ორგანიზაციებთან. საყოველთაოდ გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, აშშ-ში წვამგებიანი ფერმების პროცენტი დიდია (დაახლოებით 800 ათასი ფერმა 1900 ათასიდან). სახელმწიფომ პირდაპირი მხარდაჭერა აღმოუჩინა ფერმერებს ფულადი ფორმით. აშშ-ის სოფლის მეურნეობის საფუძველს შეადგენს 70 ათასი მსხვილი ფერმა, რომელიც იძლევა მთელი სასაქონლო პროდუქციის 67%-ს. 1,5 მლნ. მცირე ფერმის რეალიზაციის მოცულობა შეადგენს მხოლოდ 15%-ს.

კვების მრეწველობა იძლევა (დაახლოებით) აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციის 60%-ს და იკავებს მესამე ადგილს ამერიკის მრეწველობის დარგებს შორის.

ცუდი მდგომარეობა არაა მრეწველობის ტრადიციულ დარგებში. აშშ-ის საავტომობილო მრეწველობის განვითარების სტიმული გახდა ახალი მოდელების რაოდენობის ზრდა, რომლებიც შეიმუშავეს მანქანათმშენებლებმა.

აშშ-ში მზარდმა ეკონომიკურმა აღმავლობამ ხელი შეუწყო მაღალი შიდა მოთხოვნის შენარჩუნებას მეტალურგიული მრეწველობის პროდუქციაზე, თუმცა ამ დარგში შემოსავლების ზრდის ტემპები 2000 წლისათვის რამდენადმე შემცირდა და შეადგინა 3,2%. იმპორტის წილი პროდუქციის მოხმარების საერთო მოცულობაში აშშ-ის

მეტალურგიულ მრეწველობაში შემცირდა 2000 წლისათვის 21%-მდე სავაჭრო ბარიერების შემოღების წყალობით, რომელთაც შეაჩერეს იაფი უცხოური ფოლადის შემოტანა ქვეყანაში.

ნავთობზე მაღალი ფასები ძალიან სასიკეთო აღმოჩნდა აშშ-ის ენერგეტიკული მრეწველობის ზრდისათვის. ნავთობის კომპანიების შემოსავლები გაიზარდა თითქმის 20%-ით.

აშშ-ში მძლავრად ვითარდება ახალი მაღალტექნოლოგიური მრეწველობის დარგები. იმავდროულად ავიაკოსმოსური მრეწველობა განიცდის გარკვეულ სირთულეებს. 1999 წელს სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდათ აშშ-ის უმსხვილეს ავიაკოსმოსურ კომპანიებს — „Lockheed Martin"-ს და „Raytheon"-ს. თუმცა ამ დარგში ძირითადი მაჩვენებლები მთლიანობაში არ იყო ცუდი და თვითმფრინავების გაყიდვათა მოცულობა გაიზარდა 5%-ით — 155 მლრდ. დოლარამდე, ხოლო წმინდა მოგება — 10,8 მლრდ. დოლარამდე.

კომპიუტერული მრეწველობა წარმოადგენს აშშ-ის ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფადგანვითარებად დარგს. 2000 წ. კომპიუტერების წარმოების მოცულობამ მიაღწია 266 მლრდ. დოლარს.

პროგრამული უზრუნველყოფის წარმოების მოცულობა 2000 წ. გაიზარდა 329,6 მლრდ დოლარით. ამ პროდუქციის გაყიდვის ზრდის ტემპები 2000 წ. დაჩქარდა 20%-ით.

ტელესაკომუნიკაციო დარგში მძაფრდება ბრძოლა კომპანიებს შორის, რომლებიც ახორციელებენ ადგილობრივ და საერთაშორისო სატელეფონო კავშირს. შედეგად ადგილობრივი სატელეფონო საუბრების ღირებულება შემცირდება დაახლოებით 20%-ით. ამერიკის სატელეკომუნიკაციო სექტორის მომსახურების ზრდის ტემპები 2000 წ. შეადგენს 9%-ს. შემოთავაზებული მომსახურების მოცულობამ მიაღწია 250 მლრდ დოლარს. ფართოვდება მომსახურების სპექტრი. მობილური ტელეფონები სულ უფრო ხშირად გამოიყენება ინფორმაციის გადასაცემად ინტერნეტიდან, რაც სატელეკომუნიკაციო კომპანიების მოგების შემცირების კომ-

პენსირებას ახდენს საერთაშორისო საუბრების ღირებულების შემცირების შედეგად.

ბოლო წლებში სწრაფად ვითარდება ფარმაცევტული მრეწველობა და სამედიცინო ფირმები. ჯანდაცვა მთლიანობაში გახდა ეკონომიკის უმსხვილესი დარგი მშპ-თი, რომლის წარმოებული პროდუქცია აჭარბებს 1 ტრლნ. დოლარს.

მომსახურების სფერო *აშშ-ს პოსტინდუსტრიულ ეკონომიკაში პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ.*

სატრანსპორტო სექტორის შემოსავლებმა 2000 წელს მიაღწიეს 464 მლრდ. დოლარს. ამ დარგის განვითარებაში დადებით როლს თამაშობს აზიის ქვეყნებში ეკონომიკური აღმავლობა, რომელიც ხელს უწყობს მსოფლიო ვაჭრობის ზრდას და შესაბამისად, საზღვაო გადაზიდვების მოცულობის ზრდის სტიმულირებას.

ბანათლება გახდა აშშ-ის ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. სახელმწიფო ხარჯავს მასზე უზარმაზარ თანხებს.

ტურიზმი — მომსახურების სფეროს მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში ეკონომიკის მდგომარეობის გაუმჯობესების წყალობით, აშშ-ის ტურისტული ბიზნესის შემოსავლები მეტად სწრაფად იზრდება.

დასასრულს, რიგით ბოლო, მაგრამ არა მნიშვნელობით, ფინანსური მომსახურების სფერო. აშშ-ის საბანკო სექტორში მდგომარეობა საკმაოდ ხელსაყრელია. აშშ-ის ფინანსური კომპანიები, რომლებიც დასაქმებული არიან ფასიანი ქაღალდების ოპერაციებით, საუკეთესო პირობებში არიან.

სადაზღვევო სექტორი, როგორც ექსპერტები თვლიან, საჭიროებს რადიკალურ გარდაქმნას. ისინი თვლიან, რომ ამერიკის სადაზღვევო კომპანიები უფრო აქტიურად უნდა იყენებდნენ ინტერნეტის შესაძლებლობებს.

ბისმარკის ცნობილი გამოთქმის პერეფრაზს თუ მოვახდენთ, შეიძლება ითქვას, რომ დღეს *TNC-ები დგას მსოფლიო ეკონომიკის სათავეში, ხოლო ამერიკული TNC ბატონობენ ტრანსეროვნული კორპორაციების სამყაროში.* სწო-

რედ ისინი განსაზღვრავენ დღეს მსოფლიო ტრანსნაციონალიზაციის პროცესების მსვლელობასა და ძირითად ტენდენციებს.

აშშ რჩება ლიდერად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სფეროში. მათ წილად მოდის მთელი საზღვარგარეთული კაპიტალის ღირებულების მეოთხედი და ყველა მოზიდული FDI-ების 25-27%. ამერიკის FDI-თა საბალანსო ღირებულებამ უკვე გადააჭარბა 1,5 ტრლნ. დოლარს, ხოლო აშშ-დან კაპიტალის გატანამ FDI-ების ფორმით შეადგინა ბოლო წლებში 50 მლრდ დოლარი. არადა სულ რამდენიმე ხნის წინ, 1960 წ., ამერიკის პირდაპირი დაბანდებების ღირებულება შეადგენდა მხოლოდ 12 მლრდ. დოლარს.

პირდაპირმა ინვესტიციებმა შექმნეს ე.წ. აშშ-ის მეორე ეკონომიკა, რომელიც ეფუძნება ამერიკის TNC-ის საზღვარგარეთული ფილიალების და ქალიშვილ ფირმების საწარმოო სიმძლავრეებს. აშშ-ის მეორე ეკონომიკა თავისი სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალით აჭარბებს გაერთიანებული ევროპის და იაპონიის ანალოგიურ სტრუქტურებს. TNC-ის საზღვარგარეთული საწარმოების და ფირმების გაყიდვათა საერთო მოცულობა შეესაბამება აშშ-ის მშპ-ს მესამედს.

2004 წლის მონაცემთა ანალიზი საშუალებას გვაძლევს იმის კონსტატაცია მოვახდინოთ, რომ *ამერიკული კორპორაციები თამაშობენ წამყვან როლს მსოფლიოში.* ასე მაგალითად, პირველ ადგილზე საზღვარგარეთული აქტივების მოცულობით 100 წამყვანი TNC-ის სიაში არის ამერიკული კორპორაცია „General Electric". განსახილველი სიის პირველ ათეულში წარმოდგენილია 8 ამერიკული კორპორაცია, ე.ი. მსოფლიოს ათი უმსხვილესი TNC-დან 8%-ს აქვს თავისი შტაბ-ბინა აშშ-ში.

ამერიკული კორპორაციებისათვის დამახასიათებელია *საზღვარგარეთული გაყიდვების წილის შემორჩენა საერთო გაყიდვების წილთან მიმართებაში.* ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ აშშ-ის შიდა ბაზარი ყველაზე ტევადია მსოფლი-

ოში. ამიტომ, მაგალითად, აშშ-ის საავტომობილო კორპორაციები ყიდიან პროდუქციის 70%-ზე მეტს შიდა ბაზარზე. ბევრი ამერიკული TNC-ის ეკონომიკური სიმძლავრე საშუალო ზომის სახელმწიფოების შესადარისია. მაგალითად, ამერიკული კორპორაციის „General Motors"-ის გაყიდვათა მოცულობა აჭარბებს ისეთი ქვეყნების მშპ-ებს, როგორიცაა შვეიცარია, ავსტრია და შვედეთი ერთად აღებული. ყოველმა დღემდე მოქმედმა, საყოველთაოდ ცნობილმა ამერიკულმა TNC-მა განვლო შერწყმის და შთანთქმის გრძელი ჯაჭვი, მანამდე, სანამ შეიქმნა მისი თანამედროვე სტრუქტურა. TNC-ებისათვის *შერწყმები* და *შთანთქმები* წარმოადგენს მათ ბუნებრივ გამოვლინებას ეკონომიკური ძალაუფლების გაზრდისათვის. თუ ამ პროცესებს არ ვარეგულირებთ და არ შევზღუდავთ, მაშინ გარდაუვალია ბაზრის მონოპოლიზაცია, რასაც არსებითი ზარალი მოაქვს საბაზრო ეკონომიკისათვის. აშშ, იყო რა ყველაზე დინამიკურად განვითარებული ქვეყანა, პირველი მიხვდა ამ საშიშროებას და უპასუხა მსხვილი კორპორაციების გამოწვევას მძლავრი *ამკრძალავი და არა რეგულირებადი*, როგორც სხვა ქვეყნებში, ანტიმონოპოლური კანონმდებლობით. ასე რომ, TNC-ის ევოლუცია მიმდინარეობდა სამართლებრივი ნორმების განვითარების პარალელურად და მათი გავლენით, რომლებიც კორპორაციის შესაძლებელი ორგანიზაციული სტრუქტურების და რესტრუქტურიზაციის მექანიზმების რეგლამენტირებას ახდენდა. კერძოდ, *ბანკებს* აკრძალული ჰქონდათ სამრეწველო საწარმოების ფლობა და ისინი იძულებულნი იყვნენ შეექმნათ ფიქტიური, *ჰოლდინგური* კომპანიები, რომლებიც ფორმალურად გააკონტროლებდნენ ბანკს — ჯგუფის და მის მიერ ჰოლდინგური კომპანიიის საშუალებით შეძენილი სამრეწველო საწარმოების რეალურ მესაკუთრეს. ვინაიდან ჰოლდინგები კორპორაციათა ჯგუფების ორგანიზაციის საკვანძო ფორმებს წარმოადგენს, აშშ-ის სამართალში მკაფიოდაა განსაზღვრული ჰოლდინგების ორგანიზაციის შესაძლებლო-

ბები და შემოღებულია შეზღუდვები, რომლებიც მოქმედებს მათ განვითარებაზე. ასე, მაგალითად, აკრძალულია 20-იან წლებში გავრცელებული ე.წ. „საკუთრების პირამიდები“, როცა დედა-კომპანია ობლიგაციების გამოშვებით მიღებული საშუალებებით ყიდულობდა სხვა კომპანიებს, კვლავ უშვებდა ახლა უკვე მათ ობლიგაციებს და აგრძელებდა ახალი საწარმოების შესყიდვებს.

ამერიკული TNC-ის შიდა სტრუქტურა გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით. ძირითადი TNC-ბი ჩამოყალიბდნენ ლიდერი ბანკის მხრიდან კონტროლის საფუძველზე ფიქტიური ჰოლდინგის მექანიზმის მეშვეობით ჰოლდინგური სტრუქტურის შექმნის გზით სათავო კომპანიასთან, აგრეთვე აქციების ჯვარედინი ფლობით. ამერიკული TNC ფარავს შესაძლებელი ორგანიზაციული სტრუქტურების თითქმის მთელ სპექტრს. უმეტესი მსხვილი ამერიკული TNC თავისთავად წარმოადგენს ჰოლდინგის ტიპის საწარმოთა ჯგუფს. აშშ-ში არსებული *TNC-ჰოლდინგები შეიძლება პირობითად დავყოთ ორ ჯგუფად*: პირველში („Chase“, „Morgan“) შედიან სტრუქტურები ბანკების დომინირებით, ამასთან, კონტროლი საწარმოებზე ხორციელდება ბანკების მხრიდან; მეორე ჯგუფში დომინირებს სამრეწველო საწარმოები („General Motors“), მაგრამ ფინანსური სტრუქტურები მათში ძალზე ძლიერია.

TNC-ების ურთიერთქმედება თავის საზღვარგარეთულ ფილიალებთან ძალიან მრავალგვარია. ასე მაგალითად, მანქანათმშენებელმა კორპორაციებმა მოახდინეს „გლობალური კონვეიერების“ ორგანიზება, რომელიც მსოფლიო ბაზარზე გზავნიდა უნიფიცირებულ პროდუქციას. მნიშვნელოვანი გავრცელება ჰპოვეს „ჩაკეტილი ციკლის“ სქემებმა, რომლის დროსაც TNC-ის ამერიკულ საწარმოებში შექმნილი დეტალებისა და კვანძებისგან იმავე TNC-ის საზღვარგარეთულ ქარხნებში ხდება ნაკეთობის აწყობა, შემდგომში კი შეტანა აშშ-ში. ამგვარ ამწყობ საამქროებსა და სხვა შიდაკორპორაციულ მიწოდებებზე მოდის აშშ-ის 10%-ზე მეტი საქონელბრუნვა. სქემა „აშშ — განვითარებადი ქვეყნები — აშშ“

საშუალებას აძლევს TNC-ს გამოიყენოს იაფი სამუშაო ძალა და მიმღები ქვეყნების ადგილობრივი საგადასახადო სისტემის უპირატესობანი.

თავისი სპეციფიკა გააჩნია მენეჯმენტის სისტემასაც, რომლებსაც იყენებს ამერიკული TNC. თანამედროვე TNC-ის განსაკუთრებულობა არის საზღვარგარეთ კომპანიის ფილიალების დამოუკიდებლობის ზრდა. მაგალითად, IBM-ის კომპანიის ხელმძღვანელობასთან თანხმდება მხოლოდ ფილიალის საქმიანობის ზოგიერთი პარამეტრი, ხოლო FDI-ების მართვა ხორციელდება მისი ქალიშვილკომპანიის მიერ (IBM World Trade.)

აშშ-ის მსხვილი კორპორაციების მენეჯმენტის ძირითადი პრინციპია — „მცირე შესანიშნავია"[1]. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა მივცეთ მაქსიმალური დამოუკიდებლობა კორპორაციის მინიმალურად შესაძლებელ ქვეგანყოფილებას. ასეთი პრინციპი საშუალებას იძლევა, როგორც არასდროს, ისე კარგად გამოიყენონ ამერიკის ცივილიზაციური რესურსები და მათ საფუძველზე ჩამოყალიბებული — დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და მათზე პასუხისმგები ამერიკელის მენტალიტეტი.

მსხვილ კორპორაციებში ემხრობიან *„100-ის პრინციპს"*, რომლის თანახმადაც მართვის უმაღლესი დონე არ უნდა აჭარბებდეს 100 ადამიანს. და ეს ათი ათასობით დასაქმებულთა და მილიარდობით მოგებების პირობებში. კორპორაციები აქტიურად ისწრაფვიან შექმნან მაქსიმალურად ბრტყელი, ჰორიზონტალური მმართველობითი სტრუქტურა, ინფორმაციის დამუშავებისას ყველა საშუალედო რგოლზე პრინციპულად უარის თქმით. ასე მაგალითად, ავტოსაწყობ ქარხნებში „ჯენერალ მოტორსის" წარმოების ავტომატიზაციის პარალელურად გაუქმდა ყველა მმართველობითი თანამდებობები ხაზზე კონტროლსა და ქარხნის მენეჯერს შორის.

---

1 გამოთქმა ეკუთვნის ცნობილ ავსტრიელ ეკონომისტს იოსეფ შუმპეტერს. (შ.ვ.)

ამერიკული TNC-ის ურთიერთქმედება ერთმანეთს შორის აგრეთვე განსხვავდება განსაზღვრული თავისებურებით. თანამედროვე პირობებში დამახასიათებელი ხდება ტენდენცია, როცა გადახლართვას — „გავლენის ზონები“, „პერიფერიები“, კონტროლირებადი TNC-ის „ბირთვი“, ცვლის თვით ამ ჰოლდინგთა „ბირთვების“ გადახლართვას, რასაც ახლავს ერთობლივი გავლენის და კონტროლის ზონების არსებითი გაფართოება.

რაც არ უნდა მძლავრი იყოს ცალკეული TNC, ისინი შედიან კიდევ უფრო ძლიერ დაჯგუფებებში, რომელთაც ძირითადად აქვთ არაფორმალური ხასიათი. აშშ-ში უკვე დიდი ხანია ჩამოყალიბდა *ორი ძირითადი ზეჯგუფი: დასავლეთის და აღმოსავლეთის.* ყოველი TNC ასე თუ ისე პოულობს თავის პოზიციას ამ ზეჯგუფებში და მის ჩარჩოებში აგებს თავის ურთიერთობებს სხვა TNC-თან.

აშშ-ში შეიქმნა სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთმოქმედების ეფექტიანი მოდელი, რომელიც აგებულია ლიბერალიზმის პრინციპზე.

ლიბერალური სახელმწიფო — მოსამართლეა ეკონომიკურ თამაშში და არა მოთამაშე. იგი იძლევა თამაშის წესებს და თვალყურს ადევნებს მათ შესრულებას, მაგრამ თავად თამაშში არ მონაწილეობს. სხვაგვარად ძალზე დიდი ხდება სახელმწიფო მოსამსახურის თამაშის რისკი ერთერთი მხარიდან განსაზღვრული გასამრჯელოს ფასად, რომელსაც მთელ მსოფლიოში კორუფციას უწოდებენ. ანტიკორუფციული მიმართულება — სახელმწიფოს ლიბერალური კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი კოზირია.

იაპონიასა და დასავლეთ ევროპასთან შედარებით აშშ-ის სახელმწიფო საკუთრება გამოიყურება მოკრძალებულად. თუმცა ფედერალურ საკუთრებაში იმყოფება აშშ-ის ტერიტორიის 25%, ხოლო სახელმწიფო სექტორის წილი მშპ-ის წარმოებაში შეადგენს 13%-ს.[1] მასში მუშაობს 20 მლნ.

1. Рогов С. Государство и рынок по-американски// Независимая газета. — 14.02. 2000.

ამერიკელი. ევროპისგან განსხვავებით, იქ *თითქმის არ გხვდება მსხვილი სახელმწიფო კორპორაციები.* ამერიკული სახელმწიფო წარმატებით აღწევს თავის მიზნებს, უმეტესწილად, ბაზრის რეგულირების ზომების საფუძველზე.

ლიბერალური სახელმწიფოს რეგულირების *ძირითადი ზომები შეიძლება დავყოთ ოთხ ჯგუფად:*

- საგადასახადო რეგულირება;
- რეგულირება სახელმწიფო ბაზრების მეშვეობით;
- შიდა ბაზრების რეგულირება და ყოველ ბაზარში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება;
- საგარეოეკონომიკური რეგულირება.

1. საბაჟოსასახადო პოლიტიკით შეიძლება ერთბაშად გავარჩიოთ ლიბერალურ-კონსერვატული და სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო. ლიბერალები და კონსერვატორები ჩვეულებრივ ცდილობენ შეამციროონ გადასახადები და გამოათავისუფლონ ბიზნესის საშუალებები განვითარებისათვის. ამასთან კონსერვატორები დაჟინებით მოითხოვენ გადასახადების შემცირებას, ვიდრე ლიბერალები. სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკებში არის იმის მცდელობა მიაღწიონ სოციალური თანასწორების განსაზღვრულ დონეს და სამართლიანობას ბიუჯეტის საშუალებით შემოსავლების დიდი ნაწილის გადანაწილების ხარჯზე, რისთვისაც აუცილებელია გადასახადების გაზრდა. თუკი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი აჭარბებს ქვეყნის მშპ-ის 45%-ს, მაშინ სახელმწიფო ატარებს სოციალურად ორიენტირებულ საგადასახადო პოლიტიკას. წინააღმდეგ შემთხვევაში კი — ლიბერალურ-კონსერვატულს. აშშ-ში დემოკრატიული პარტია ითვლება ლიბერალურად და ტრადიციულად ატარებს უფრო მემარცხნე, ე.ი. სოციალურად ორინტირებულ პოლიტიკას, ვიდრე მემარჯვენეები და რესპუბლიკელები.

ომისშემდგომ პერიოდში არსებობდა ძირითადი გადასახადების განაკვეთების შემცირების მდგრადი ტენდენცია, მაგალითად, საშემოსავლო გადასახადის მაღალი განაკვეთი

ამერიკელთა უმდიდრეს ფენებზე 1954-1962 წლებში შეადგენდა 91%-ს, 1962-1981 წლებში — 70%-ს, ხოლო 1981 წლიდან — 50%-ს. დღეს იგი ტოლია 39,6%-ისა მინიმალური განაკვეთის 15%-ის პირობებში.[1] ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკული ეკონომიკა თანდათან ლიბერალური ხდება.

ამერიკული გადასახადების სრული კლასიფიკაცია მოიცავს რვა პოზიციას: 1) ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადები; 2) გადასახადები კორპორაციათა მოგებიდან; 3) საგადასახადო ანარიცხები სოციალური უზრუნველყოფის ფონდებში; 4) გადასახადები მემკვიდრეობასა და ჩუქებაზე; 5) სააქციზო მოსაკრებელი; 6) საბაჟო გადასახადი; 7) სამომხმარებლო საქონლის საცალო გაყიდვებიდან გადასახადები; 8) უძრავ და მოძრავ საკუთრებაზე გადასახადები.

გადასახადები იკრიბება სამ დონეზე — ფედერალურზე, შტატების და ადგილობრივზე. პირველი ხუთი სახის გადასახადი ამოიღება სხვადასხვა პროპორციებით ყველა დონეზე, ხოლო ბოლო ორი კატეგორიის გადასახადი ამოიღება შტატების და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საგადასახადო სამსახურების მიერ.

დღესდღეობით აშშ-ში ფედერალური გადასახადები ასრულებს სამ ძირითად ფუნქციას: ა) წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების ჩამოყალიბების მთავარ წყაროს ხარჯების მუხლების დასაფინანსებლად; ბ) წარმოადგენს სახელმწიფო ეკონომიკური რეგულირების მძლავრ და მოქნილ საშუალებას და გამოიყენება ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის; გ) წარმოადგენს ეფექტიან ინსტრუმენტს ეროვნული შემოსავლის გადანაწილებისას მიღებული შემოსავლების მოცულობების და ამერიკის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის სიმდიდრის უთანაბრობის შემცირების მიზნით.

საგადასახადო შენატანების სტრუქტურაში დომინირებს ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადები.

---

1. Гардаш С. Федеральная налоговая система США: современные особенности // США & Канада. N8. 2000.

აშშ-ის საშემოსავლო გადასახადის მაღალი ხვედრითი წილის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს არაკორპორაციული ბიზნესის საგადასახადო გამჭვირვალობა. თუკი ამერიკელები ქმნიან არაკორპორაციულ, არასააქციო საწარმოს, მაგალითად, პარტნიორობას, მაშინ ამ საწარმოს მოგებაზე გადასახადი არ ამოიღება. საწარმოს მთელი მოგება მიდის მის დამფუძნებლებთან და იგი დაბეგვრას ექვემდებარება უკვე როგორც კერძო პირთა მოგება. სწორედ ამას უწოდებენ საგადასახადო გამჭვირვალობას. ვინაიდან მცირე და საშუალო ბიზნესის ხვედრითი წილი, წარმოდგენილი ძირითადად არაკორპორაციული საწარმოების მიერ, ძალიან დიდია. მთელი მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი, შექმნილი ამერიკული ეკონომიკით, მოდის უშუალოდ კერძო პირებზე. იგი განაპირობებს საშემოსავლო გადასახადის მაღალ ხვედრით წილს.

აშშ-ში გადასახადის მაქსიმალური განაკვეთით სარგებლობენ დაწყებული 139225 დოლარიდან. ცოლ-ქმარი ჩვეულებრივ აბარებს ერთობლივ დეკლარაციას, და მაშინ გადასახადი 39,6%-ით ამოიღება მხოლოდ 278450 დოლარიდან. ამასთან, ერთი შეხედვით, საკმაოდ მაღალი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები მსუბუქდება მრავალრიცხოვანი გამოქვითებითა და შეღავათებით. ყოველ ორ წელიწადში ამერიკელს გამოაქვს გადასახადიდან ოჯახის დანახარჯები საცხოვრებელზე: ოჯახებს — 500 ათას დოლარამდე, ხოლო მარტოხელებს — 250 ათას დოლ. საცხოვრებლად ითვლება არა მარტო სახლი ან ბინა, არამედ იახტაც კი. სტუდენტების მშობლებს უფლება აქვთ გამოქვითონ თავისი შემოსავლიდან 1500 დოლარი, რომელიც დაიხარჯა სწავლებაზე. გარდა ამისა, შეიძლება შევამციროთ შემოსავალი შეძენილი წამლების და სამედიცინო მომსახურების თანხით.

მთლიანობაში, მრავალნაირი გამოქვითვების და შეღავათების ხარჯზე, ამერიკელი, რომელიც გამოიმუშავებს 15 ათას დოლარამდე, ამცირებს თავის დასაბეგრ შემოსავალს თითქმის 90%-ით. ადამიანები 15-დან 30 ათასამდე დოლა-

რის შემოსავლით გადასახადს იხდიან მხოლოდ შემოსავლის ნახევრიდან, ხოლო შემოსავალი 30-დან 50 ათასამდე მცირდება მეოთხედით.

ამერიკისთვის დამახასიათებელია მისცეს ყველა მოქალაქეს თანაბარი შესაძლებლობები. ამერიკული გადასახადები ქონებაზე, მემკვიდრეობასა და ჩუქებაზე მიმართულია ყველა მოქალაქის სასტარტო შესაძლებლობის გასათანაბრებლად. ფედერალური გადასახადის განაკვეთი ქონებაზე, რომელიც 3 მლნ დოლარზე მეტია, შეადგენს 55%-ს, ხოლო 10 მლნ დოლარზე — 60%-ს. თუკი ამერიკელს სურს უანდერძოს ქონება არა შვილებს, არამედ შვილიშვილებს, მაშინ მოქმედებაში შედის გადასახადი „თაობის გასატარებლად". ამასთან ერთად მემკვიდრეობაზე გადასახადი აღწევს 75%-ს. ბევრი მდიდარი ამერიკელი უპირატესობას ანიჭებს ფულის მიცემას საქველმოქმედო ფონდებში. მაგალითად, ყველაზე მდიდარმა ადამიანმა 1993 წ. უორენ ბაფეტმა, რომელიც ფლობდა 8 მლრდ დოლარის ქონებას, მიიღო გადაწყვეტილება დაეტოვებინა მთელი ფული კერძო საქველმოქმედო ფონდებისათვის, იმოწმებდა რა იმას, რომ არ სურდა მთავრობისათვის მიეცა 4,4 მლრდ დოლარი.

ამგვარად, აშშ-ში დაბეგვრა ასრულებს მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციებს და ამცირებს ქონებრივ უთანასწორობას.

სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულია სოციალური პროგრამების რეალიზაციაზე. დღეს 80 მლნ-ზე მეტი ამერიკელი მოქალაქე ანუ ქვეყნის მოსახლეობის მესამედი იღებს დახმარებას სახელმწიფო დაზღვევის და შემწეობის პროგრამის მიხედვით, რომელთა მოცულობა აჭარბებს 1 ტრლნ დოლ.

2. აშშ-ის სახელმწიფო ბაზარი, სადაც შეისყიდება საქონელი და მომსახურება სახელმწიფო საჭიროებისათვის, უზარმაზარია. დღეს იგი შეფასებულია 2 ტრლნ. დოლარად. აშშ-ში შესანიშნავად ისწავლეს ამ უმძლავრესი ინ-

სტრუმენტის გამოყენება ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. ამერიკის სახელმწიფოს თავის კორპორაციებთან ურთიერთობებს ახორციელებს უდევს საკმაოდ სრულყოფილი ფედერალური საკონტრაქტო სისტემის (ფსს) საფუძველზე, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ამერიკის მთავრობის სამეწარმეო საქმიანობა. ფსს თავისთავად წარმოადგენს სახელმწიფო შეკვეთების და შესყიდვების მართვის ორგანიზაციას ეკონომიკის ყველა სფეროში. იგი აყალიბებს უზარმაზარ, თავისებურ სახელმწიფო ბაზარს.

ყოველწლიურად დაახლოებით 100 ფედერალური სამინისტრო, უწყება და სააგენტო ფსს-ის მეშვეობით მიმართავს ფედერალური ხაზინის ყველა დანახარჯის 30%-ზე მეტს. 22 ათასზე მეტი სახელმწიფო დამკვეთი დებს კონტრაქტს 300 ათას საკუთრების ყველა ფორმის კომპანიასთან.[1] ამასთან გენერალურ მოიჯარეებს ჩვეულებრივ წარმოადგენენ მსხვილი TNC. ყოველწლიურად ფორმდება დაახლოებით 18 მლნ კონტრაქტი 750-800 მლრდ. დოლარის თანხაზე, რაც აშშ-ის მშპ-ის 10-11%-ს შეადგენს. ყველა კონტრაქტი ითვლება დადებულად სახელმწიფოს მხრიდან, იმისგან დამოუკიდებლად, თუ კონკრეტულად რომელმა უწყებამ გააფორმა იგი. ექსპერტების შეფასებით, ამერიკის ეკონომიკის არც ერთი სფერო ისე მკაცრად არაა რეგლამენტირებული, როგორც სახელმწიფო მეწარმეობა. მის რეგულირებას ახდენს 4 ათასზე მეტი კანონი და კანონქვემდებარე აქტი. ხაზინის შეკვეთების მართვის რეგლამენტირება ხდება 8-ტომეული „ფედერალური რეგულირების კოდექსით“. ამერიკის საკონტრაქტო სამართალი ფაქტიურად ანიშნებს სახელმწიფო მეწარმეს რიგ უპირატესობებს. მაგალითად, სახელმწიფოს შეუძლია ცალმხრივი წესით შეწყვიტოს ფედერალური ხელშეკრულების მოქმედება. კერძო სექტორის შიგნით ასეთი ზომები აკრძალულია.

1. Государство и рынок: американская модель. М.: Анкил, 1999.

იმავდროულად სახელმწიფო კონტრაქტები ითვალისწინებს პრეფერენციის რთულ სისტემას, რომელიც შეუძლია მიიღოს კორპორაციამ კონტრაქტის სათანადოდ შესრულებისას. ეს პრეფერენციები აგრძელებენ არსებობას, მიუხედავად მძაფრი კრიტიკისა ასეთი მიდგომის წინააღმდეგობების გამო WTO-ს მოთხოვნებთან. არსებობს „წამახალისებელი“ და „მრავალჯერ წამახალისებელი ტიპის“ კონტრაქტები, რომლებიც გამოიყენება წარმოებებში, რომელთაც აქვთ არსებითი მნიშვნელობა ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისათვის. ასეთი კონტრაქტებისათვის დამახასიათებელია ფასწარმოქმნის რთული მექანიზმი, რომლებიც მოიცავს მკაცრ გეგმიურ პარამეტრებს და „წახალისების და საჭონლის მატრიცას“, რომელიც ითვალისწინებს სარისკო დამუშავებების სხვადასხვა შესაძლებელ ვარიანტებს. სახელმწიფოს დამკვეთებს აქვთ შესაძლებლობა იმისა, რომ დაშვებულ იქნენ სახელმწიფო ინტელექტუალური საკუთრების (ლიცენზიების, პატენტების) და საინფორმაციო ბანკების მონაცემებთან, რაც მსოფლიოს ყველა საინფორმაციო რესურსის 75%-ია. ისინი უფლებას იღებენ სახელმწიფო ქონების შეღავათიანი ან უფასო იჯარისათვის, ფასიანი ნედლეულის და ვალუტის შესასყიდად მტკიცე, დაბალი ფასებით, სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით და ა.შ.

უმრავლესი ამერიკული TNC წარმოადგენს ფსს-ის გენერალურ მოიჯარეს და ბევრ საკითხში სწორედ ეს აძლევს საშუალებას დინამიკურად განვითარდეს.

სახელმწიფო დანახარჯების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სამეცნიერო კვლევების დაფინანსება. აშშ-ში ყოველწლიური ასიგნებანი სამეცნიერო კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე დღეს-დღეობით აჭარბებს მსგავს ხარჯებს დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში და იაპონიაში, ერთად აღებულს, და ამაშია ამერიკის ეკონომიკის შემდგომი წარმატების საწინდარი.

3. აშშ-ის შიდა ბაზრების რეგულირებისას ძირითადი ყურადღება ექცევა კონკურენტული გარემოს შექმნასა და მის მონოპოლიზაციასთან ბრძოლას. ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას გააჩნია ძველი ტრადიციები და გამოიყენება ძალზე მკაცრად. აშშ-ის ეკონომიკის ისტორიაში არაერთხელ მომხდარა *კომპანია-მონოპოლისტების* დანაწევრება, რაც არსებითად ცვლიდა შესაბამისი ბაზრის სტრუქტურასა და ხასიათს. ასეთი დანაწევრების კლასიკურ მაგალითად გამოდგა როკფელერის კორპორაციის „სტანდარტ ოილის" 33 დამოუკიდებელ კომპანიად დაშლა, ასევე ტელესაკომუნიკაციო გიგანტისა „AT&T", რომელმაც, სხვათა შორის, შეძლო შეენარჩუნებინა ლიდერის მდგომარეობა ბაზარზე. შესაძლებელია, უახლეს მომავალში მსგავსი ბედი ელის ოპერაციული სისტემების სფეროში მონოპოლისტ „Microsoft"-ს. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ აშშ-ში ანტიმონოპოლისტური კანონმდებლობა გამოიყენება ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით და ჩვეულებრივ მისი მოქმედების ქვეშ არ ხვდება მეცნიერებატევადი და ექსპორტზე ორიენტირებული დარგები.

4. აშშ-ის საბარეო ეკონომიკურ რეგულირებაში, დაწყებული 80-იანი წლებიდან, თანმიმდევრულად ემხრობიან ლიბერალურ პრინციპებს. აშშ არის მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ინიციატორი, რომელიც ხორციელდება WTO-ს ეგიდით. რა თქმა უნდა, WTO-ს ლიბერალური საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები და პრინციპები უპირველეს ყოფლისა, ხელსაყრელია განვითარებული ქვეყნებისათვის. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას და ლიბერალიზაციას ხშირად წარმოიდგენენ, როგორც ამერიკის ჰეგემონიური ამბიციების განხორციელების და ამერიკული TNC-ის პრაგმატული ინტერესების მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, ამაში გარკვეული ჭეშმარიტებაა. აშშ-ის საბარეოეკონომიკური პოლიტიკა ყოველთვის პრაგმატულია. აშშ-ს ყოველთვის გულახდილად და თანმიმდევრულად ემხრობიან ის

უცხოური მთავრობები, რომლებიც თავისი ქვეყნის შიდა ბაზრებს ხსნიან ამერიკული საქონლისათვის, სწევენ რა ამით მეორე პლანზე სხვა პრობლემებს, მათ შორის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების შელახვასაც კი. თუმცა ამერიკული ლიბერალიზმი წარმოგვიდგება უფრო ღრმა, ვიდრე სუფთა პრაგმატიზმი და იგი ასახავს ამ უცნაური ქვეყნის ფუნდამენტურ ცივილიზაციურ ღირებულებებს. ამას ადასტურებს 80-იან წლებში მიღებული პრობლემები, რომელსაც ღირსეულად დააღწია თავი.

ჩვენ უკვე დიდი ხანია, რაც შევეგუეთ ამერიკული TNC-ის უეჭველ ლიდერობას, მაგრამ ჯერ კიდევ 80-იანი წლების შუა პერიოდში ეს ფრიად საეჭვო იყო. ამერიკელებს უძლიერესი კონკურენცია გაუწიეს იაპონელებმა. 1973 წელსა და 1986 წელს შორის აშშ-ის წილი მსოფლიო საქონლის და მომსახურების წარმოებაში დაქვეითდა 23,1%-დან 21,4%-მდე, ევროკავშირის წილი — 25,7%-დან 22,9%-მდე, ხოლო იაპონიის გაიზარდა 7,2%-დან 7,7%-მდე. შესაბამისად უარესდებოდა ამერიკულ კომპანიათა პოზიციები. თუკი 1971 წ. ხუთასი უმსხვილესი ტრანსეროვნული კორპორაციიდან 280 იყო ამერიკული, 1991 წ. ამგვარი დარჩა მხოლოდ 157. ამ დროისათვის იაპონია ფაქტიურად დაეწია აშშ-ს, ფლობდა რა 345 უმსხვილეს კომპანიას 1000-დან (აშშ-ის 353-ის წინააღმდეგ). 80-იანი წლების ბოლოს იგი ფლობდა 24 უმსხვილეს ბანკს, იმ დროს, როცა ევროკავშირის ქვეყნები 17-ს, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკა — სულ 5-ს. ამერიკელი ბიზნესმენები ისხდნენ იაპონურ ტელევიზორებთან და იაპონური მაგნიტოფონების მუსიკის ქვეშ სევდიანად ფიქრობდნენ თავის მომავალზე, ეგონათ, რომ სამუდამოდ კარგავდნენ ეკონომიკურ ჰეგემონიას. იაპონური კორპორაციები ერთიმეორის მიყოლებით ხსნიდნენ აშშ-ში თავის ფილიალებს და შთანთქავდნენ ამერიკულ ფირმებს.

ამ რთულ პერიოდში ამერიკამ არ მიმართა პროტექციონიზმს, არამედ ეკონომიკის უფრო ფართოდ გახსნის რისკზე წავიდა. ახლა ავტომობილების იმპორტის წილი შეადგენს

ყოველწლიური გაყიდვის მოცულობის 30%-ს, დაზგების და მოწყობილობების მიხედვით ამ მაჩვენებელმა მიაღწია 50%-ს, ხოლო ფეხსაცმლის და საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის მიხედვით კი 80%-ს გადააჭარბა. *პრაგმატული ამერიკელის მთავრობა არ ცდილობდა ჩაეკეტა საზღვრები საქონლისა და კაპიტალისათვის საიმპორტო ბაჟებით და კვოტებით.* იგი თანმიმდევრულად მიიწევდა ლიდეროზისაკენ მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში, მიმართავდა რა ერის რესურსებს ინოვაციურ კომპლექსში. და ამას თავისი ნაყოფი მოჰქონდა — ამერიკული კორპორაციების კონკურენტუნარიანობა კვლავ იზრდებოდა და აშშ-ის გაბატონებული როლი კვლავ აღდგა. 90-იან წლებში ქვეყნის ეკონომიკური ზრდა 1/3-ით უზრუნველყოფილი იყო ექსპორტის ხარჯზე.

ექსპორტის მხარდაჭერის პროგრამები იკავებს მნიშვნელოვან ადგილს აშშ-ის საგარეოეკონომიკურ სტრატეგიაში. 2000 წლისათვის ექსპორტის სტიმულირებისათვის გამოიყო 108 მლნ. დოლარი, რამაც გამოიწვია მისი ზრდა დაახლოებით 2 მლრდ. დოლარის ოდენობით. კერძოდ, ამ პროგრამის ჩარჩოებში გაწეული აქვთ დახმარება 350 ათას პატარა კომპანია-ექსპორტიორს.[1]

სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ძალისხმევა მიმართულია თავისი კორპორაციების უცხოური ინვესტირებისათვის დასახმარებლად. აშშ-ის ლიდერის როლის გასამტკიცებლად, ტრანსნაციონალიზაციისა და კერძო კორპორაციათა ინვესტირების მხარდასაჭერად განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში, ასევე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მოქმედებს სახელმწიფო ორგანიზაცია OPIC (Overseas Private Investment Corporation). ეს ორგანიზაცია ახორციელებს TNC-სათვის კრედიტების წარდგენითა და გარანტირებით, მათი FDI-ების დაზღვევით რისკების ფართო წრისაგან, სხვადასხვა მომსახურების უზრუნველყოფას, რომელიც დაკავშირებულია საზღვარგარეთულ ინვესტირებასთან.

---

1. БИКИ. — 2000. — №2.

იმავდროულად აშშ ძალიან მკაცრად იცავს თავის შიდა ბაზრებს არასასურველი კონკურენტებისაგან. ამას შეეჯახნენ რუსეთის მეტალურგები და ქიმიკოსები, რომელთა საექსპორტო პროდუქცია მოხვდა ამერიკის ანტიდემპინგური კანონმდებლობის მოქმედების ქვეშ.

კვოტების უქონლობა და საბაჟო ტარიფების დაწევა არ ნიშნავს, რომ აშშ უარს ამბობს არასატარიფო მეთოდების გამოყენებაზე შიდა ბაზრის დასაცავად. ამისათვის ფართოდ გამოიყენება სხვადასხვაგვარი *ტექნიკური ბარიერები* (უსაფრთხოების სტანდარტები, ლიმიტები გარემოს დაბინძურებაზე, გადაზიდვების წესები და ა.შ.). კერძოდ, 1920 წ. კანონი კომერციულ გადაზიდვებზე („ჯონსის კანონი") ითვალისწინებს ყველა საკაბოტაჟო გადაზიდვები აშშ-ის პორტებს შორის აწარმოოს მხოლოდ ამერიკულმა გემებმა ეკიპაჟებით, რომლებიც აშშ-ის მოქალაქეებისგან იქნება ჩამოყალიბებული. კანონის გაუქმება გამოიწვევდა მომსახურების იმპორტის გაზრდას 2,4 მლრდ. დოლარით წელიწადში.

ამერიკის ეკონომიკაში ვლინდება შემდეგი ახალი ტენდენციები:

1. ბოლო წლებში აშშ-ში წარმოიშვა მსოფლიოში პირველი პოსტინდუსტრიული ეკონომიკა. მისთვის დამახასიათებელია ეკონომიკის სანედლეულო სექტორის მცირე ზომები და მუდმივად კლებადი გადამამუშავებელი სექტორი. დეინდუსტრიალიზაცია, გამოხატული დამმუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილის შემცირებაში, თანამედროვე პირობებში ხდება არა ეკონომიკური კრიზისის დაწყების ნიშანი, როგორც ადრე, არამედ ახალი პოსტინდუსტრიული ეკონომიკური წყობის დამახასიათებელი ნიშანი. დომინირებს ეკონომიკის მესამეული სექტორი — მომსახურება. აშშ-ში ის უკვე იძლევა მშპ-ის 75%-ს.

2. ახალი ამერიკული ეკონომიკა, რომელშიც შედიან მეცნიერებატევადი პროდუქციის გამოშვებაზე ორიენტირებული კორპორაციები, ვითარდება ბევრად უფრო სწრაფად,

ვიდრე ძველი, ტრადიციული. ახალი ეკონომიკის ცენტრში იმყოფებიან გლობალური საინფორმაციო კორპორაციები.

3. იზრდება ამერიკული ეკონომიკის სერვისიზაცია, ანუ დასაქმებულთა წილი მომსახურების სფეროში იზრდება სწრაფად, ვიდრე ამ სფეროს ხვედრითი წილი მშპ-ში. სერვისიზაციას მივყევართ ტრადიციული სამრეწველო ცენტრების დეპოპულაციამდე და ქალაქების ზრდამდე, სადაც ვითარდება პოსტინდუსტრიული დარგები. მაგალითად, სენტ ლუისმა და დეტროიტმა ომისშემდგომ წლებში დაკარგა ქალაქის მოსახლეობის 20-დან 40%-მდე, მაშინ როცა იმავე პერიოდში ატლანტასა და დენვერში მოსახლეობა გაიზარდა 2-ჯერ, ხოლო ჰიუსტონში — 4-ჯერ. ამერიკის ინფორმაციის კონცენტრაციის ცენტრებში — ბოსტონის, სან ფრანცისკოს, ლოს-ანჟელესის და ნიუ იორკის რაიონებში — მომსახურების სფეროში დასაქმებულთა ოდენობამ სამუშაო ძალის საერთო რაოდენობის 90%-ს გადააჭარბა.

4. ამერიკულ ეკონომიკაში არსებითად შეიცვალა ტრადიციული თანაფარდობა დანაზოგსა და ინვესტიციებს შორის. 1998 წ. სექტემბრიდან აშშ-ში დაგროვების ნორმა გახდა უარყოფითი, ე.ი. დღეს მოსახლეობა მიმართავს მიმდინარე მოხმარებაზე უფრო მეტ საშუალებებს, ვიდრე ზოგავს. სხვა განვითარებულ ქვეყნებში ამგვარი ტენდენცია არ შეინიშნება.

5. აშშ-ში წარმოიშვა და წამყვანი ადგილი დაიკავა ახალი ტიპის კრეაციულმა კორპორაციებმა, რომლებშიც მუშაკთა დიდი ნაწილი დაკავებულია ინტელექტუალური საქმიანობით. მასში პერსონალს გააჩნია გადაწყვეტილების მიღების ბევრად მეტი თავისუფლება, ვიდრე ჩვეულებრივ იერარქიულ კორპორაციაში. კრეაციული კორპორაციების წარმატებები გამოვლინდა 90-იანი წლების დამდეგიდან.

ამერიკის ეკონომიკაში არსებობს რიგი ტენდენციები, რომლებიც იწვევს ცნობილ შეშფოთებას:

1. ამერიკისათვის ტრადიციულია იმიგრაციის პრობლემა. შობადობის თანამედროვე დონეს აშშ-ში შეუძლია უზრუნ-

ველყოს მხოლოდ ამჟამად არსებული მოსახლეობის „შევსება“. ბოლო წლებში მოსახლეობის რაოდენობის ზრდა ძირითადად მიმდინარეობდა გადასახლებულთა ხარჯზე, აგრეთვე აფროამერიკელების, განსაკუთრებით კი ლათინოამერიკელების მაღალი შობადობით. აშშ-ის ამჟამინდელი მოსახლეობა, რომელიც შეადგენს 300 მლნ. ადამიანს, 2100 წლისათვის გახდება 571 მლნ.-მდე. ჭარბმოსახლეობის პრობლემა ქვეყანას არ ემუქრება მისი ვრცელი ტერიტორიების წყალობით. მთლიანობაში, ქვეყნის მოსახლეობა იქნება უფრო ასაკოვანი, ვიდრე ახლაა. მნიშვნელოვნად გაიზრდება ლათინოამერიკული მოსახლეობის წილი და ცოტათი — აფროამერიკელების.

2. შეშფოთებას იწვევს აშშ-ის ფრბ[1] ემისიური პოლიტიკა. დღესდღეობით მსოფლიოში ბრუნვაშია დაახლოებით 460 მლრდ. ნაღდი დოლარი, მაშინ როცა თვით შტატებში — დაახლოებით 150 მლრდ. დოლარია. 1999 წ. აშშ-ის ოქროსავალუტო რეზერვებს ჰქონდა შემდეგი სტრუქტურა: სესხების სპეციალური უფლებები — 10,6 მლრდ. დოლ., სარეზერვო პოზიცია IMF-ში — 24,11 მლრდ დოლ., უცხოური ვალუტა — 36,0 მლრდ. დოლ., სულ ოქროს გარეშე — 70,71 მლრდ. დოლ. 1998 წლის ბოლოსათვის აშშ-ის ოქროს მარაგმა შეადგინა 261,61 მლნ. ტროიანული უნცია ან დაახლოებით 78,483 მლრდ. დოლ. (ერთ ტროიანულ უნციაზე — 300 დოლარის ფასით), სულ — დაახლოებით 150 მლრდ. დოლ. აღნიშნული ტენდენციები XXI საუკუნეშიც გრძელდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ აშშ-ის რეზერვები არ იქნება საკმარისი ნაღდი დოლარების თავმოყრის შემთხვევაში ოქროზე ან სხვა უცხოურ ვალუტაზე გადასაცვლელად, ასევე აშშ-ის საფონდო ბაზრიდან კაპიტალის მასიური გადატანის შემთხვევაში არადოლარიან აქტივებში.

3. ბევრი ავტორი სვამს საკითხს აშშ-ის საფონდო ბაზრის გადახურებაზე. დოუ ჯონსის ინდექსი გაიზარდა 1989

1 ფრბ — ფედ.რეზერვების ბანკი აშშ-ს ცენტრალური ბანკი.

წლიდან 1999 წლამდე დაახლოებით 2700-დან 11000-მდე, ე.ი. 4-ზე მეტად, მაშინ, როდესაც აშშ-ის მშპ (ე.ი. ძირითადი მახასიათებელი ეკონომიკის რეალური მდგომარეობისა) გაიზარდა 5439-დან (1989 წ.) 8509 მლრდ დოლარამდე (1998 წ.), ე.ი. 1,56-ჯერ. სხვაობა ნათელია. ამასთან აქციათა ღირებულება იზრდება ბევრად სწრაფად, ვიდრე დივიდენდები. ეს ტენდენცია მომდევნო წლებშიც გაგრძელდა.

იბადება კითხვა: მაშ რატომ ყიდულობენ ინვესტორები აქციებს, რატომ იზრდება მათი ღირებულება, მოტანილი შემოსავალი აქციაზე (აქციაში დაბანდების შემოსავლიანობა) ხომ ეცემა? აქ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წარმოიშვა პირამიდა — მოთხოვნა აქციაზე (შესაბამისად კი მათი ღირებულების ზრდაც) უზრუნველყოფილია მათი შემდგომი ზრდის მოლოდინით. მოცემული ვითარება შენარჩუნდება მანამ, სანამ იარსებებს ფულის მუდმივი მოდინება ამერიკის საფონდო ბაზარზე. აქციების ზრდის შეჩერების შემთხვევაში ინვესტორები მათ შეაფასებენ მოტანილი შემოსავლის თვალსაზრისით, რასაც შეუძლია გამოიწვიოს აქციების კურსის კატასტროფული ვარდნა.

დღეს ამერიკის ეკონომიკაში სიტუაცია ძალიან მოგვაგონებს „დიდი დეპრესიის“ წინა პერიოდს და „ბუშტი“ აშშ-ის საფონდო ბაზრის ამჟამინდელი გადახურებული კონიუნქტურის ან გასკდება, ან ჩაიფუშება ნელ-ნელა. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი გელბრეითი, ადარებს რა დღევანდელ სიტუაციას ეკონომიკური აყვავების პერიოდს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1921-1929 წლებში — თითქმის დამანგრეველი ეკონომიკური კრიზისის დადგომამდე, აღნიშნავს, რომ „ახლა აგრეთვე იზრდება ინდივიდუალური ინვესტორების რიცხვი, რომლებიც ყოველდღიურ საფუძველზე ყიდიან და ყიდულობენ აქციებს ინტერნეტის საშუალებით. ბაზარს მოაწყდა ცალკეულ ადამიანთა ფინანსური საშუალებების ისეთი ოდენობა, რომ მათი მართვა უკვე აღარ შეუძლით პროფესიონალ დილერებს“. როდესაც ეს საინვესტიციო „ბუშტი“ გასკდება, თვლის ეკონომისტი, „აშშ-

ში დადგება მძიმე დღეები. მომხმარებლები უარს იტყვიან თავიანთ ჩვევებზე უანგარიშოდ ხარჯონ ფული... და ეს უარი იქნება მით უფრო დიდი, რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ახლანდელი ბუმი"

4. აშშ უკვე მრავალი წელია ვითარდება სავაჭრო და საბადასახდელო ბალანსების უზარმაზარი დეფიციტის პირობებში.

XXI საუკუნის დასაწყისში აშშ-ის ეკონომიკაში გამოიხატა შემდეგი ტენდენციები:

— დოლარის ურყევი ვარდნა;
— სავაჭრო დეფიციტის არნახული ზრდა;
— ეკონომიკის ტემპების ვარდნა;
— სამომხმარებლო ინდექსისა და ინფლაციის მატება;
— ბიუჯეტის დეფიციტის მაღალი დონე;
— კორპორატიული მოგებების ზრდა და, იმავდროულად, კერძო, პირადი დაგროვების კატასტროფული შემცირება;
— ფასიანი ქაღალდების ბაზარზე უცხოელების აქტიურობის ზრდა. ობლიგაციების შესყიდვის მატება უცხოელთა მხრიდან და აშშ კორპორატიული აქციების შეძენის ზრდა.

ამის დადასტურებაა ისიც, რომ ქვეყანა უკიდურესად დაძაბულ ნაბიჯებს დგამს. ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკთაშორის კრედიტის პროცენტის ზრდა ისტორიულ მაქსიმუმს 6,5%-ს მიუახლოვდა. და რაც აშფოთებს მსოფლიო ბიზნესს ეს არის ინფლაციის ბუმი და წარმოების ზრდის შეჩერება.

დოლარის კურსი ურყევად ეცემა და წამყვანი ტრეიდერების აზრით, ეს ტენდენცია გაგრძელდება მთელი წელი. ფედერალური სარეზერვო სისტემის (ფსს) მხრიდან გადაიდგა ნაბიჯები საპროცენტო განაკვეთების შესამცირებლად. მიუხედავად ამისა, ბანკთაშორის კრედიტებზე გაიზარდა პროცენტი, რათა შეაჩეროს ეკონომიკის ზრდა და მოთოკოს ინფლაცია. 1995 წლიდან თუ გავაანალიზებთ ფსს-ის მიერ საპროცენტო განაკვეთების დაწესებულ დონეს — ის მერყეობს

1-დან 6,5%-მდე, ანუ ზედა ისტორიული ზღვარი 6,5%-ია. (ცხრილი 8.1.)

ცხრილი 8.1.

ფსს-ის ბანკთაშორისი კრედიტის პროცენტის დინამიკა

1995/96	1997/98	2000/01	2002/03	2004	2005	2006/2 კვ.
6,0-5,25	5,25	6,5-1,75	1,75-1	1-2,25	2,5-4,25	4,5-5,25

წყარო: საქართველოს ეკონომიკა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, №6(103), 2006 წ.

ამას შემდეგი გარემოებები განაპირობებენ:

1. საბიუჯეტო დეფიციტის ზრდა 2007 წლის ბიუჯეტში და სამხედრო ხარჯების არნახული დონე;
2. სავაჭრო ბალანსის დეფიციტის ზრდა;
3. კერძო პირების დაგროვების მაჩვენებლების შემცირება;
4. ეკონომიკის ზრდის ტემპების შენელება;
5. ინფლაციის მატება, მათ შორის core ინფლაციის მაჩვენებლისაც;
6. დასაქმების მაჩვენებლის დაცემა;
7. საგარეო და შიდა ვალის მატება.

2007 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებდა დეფიციტს 354 მლრდ. დოლარის ოდენობით, 2006 წელს ეს მაჩვენებელი 423 მლრდ. დოლარს შეადგენდა, მათ შორის იყო 50 მლრდ. დოლარი — დამატებითი მოთხოვნილი თანხები ერაყისა და ავღანეთის ოპერაციებისათვის. 2007 წლის ბიუჯეტის ძირითადი მიმართულება არის სამხედრო პირდაპირი ხარჯების 6,9%-ით ზრდა, ანუ 439,3 მლრდ. დოლარამდე, მთავრობის ხარჯებისა — 2,35 მლრდ. დოლარით, 2771 მლრდ. დოლარამდე. მცირდება პირდაპირი

ხარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე, ასევე სოფლის მეურნეობის დახმარებები. შემოსავლები კი ძირითადად პირდაპირი გადასახადებია (ცხრილი 8.2.). დაგეგმილია საშემოსავლო გადასახადის ზრდა და კორპორატიულის შემცირება. ბუშის ადმინისტრაციამ კურსი საგადასახადო ტვირთის შემცირებისაკენ აიღო, რათა ბიზნესსა და ინვესტორებს მეტი სტიმული მისცეს და ამით მოაგვაროს დასაქმების პრობლემა 2006-2007 წლებში. სამთავრობო სტრუქტურების საბიუჯეტო გათვლები მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ეკონომიკის 3,2%-იანი ზრდის მაჩვენებელს ეყრდნობოდა და, მათი აზრით, 2012 წელს აშშ-ის ბიუჯეტი პროფიციტული იქნება.

დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე დიდბიუჯეტიან ქვეყანას არნახული რეკორდული დეფიციტი აქვს და 2006 წელი რთული და მძიმე იყო. როგორც ვარაუდობენ, ქვეყანა ვერ შეძლებს, დოლარს დაუბრუნოს ადრინდელი მყარი პოზიცია და მოთოკოს ინფლაცია. ამის მიზეზი ისიც არის, რომ სავაჭრო ბალანსის დეფიციტი სტრუქტურულ ხასიათს იღებს იმის გამო, რომ სიმრეწველო წარმოება მასიურად გადადის აშშ—ევროპიდან აზია—წყნარი ოკეანის არეალში. ეს არის ჩინეთი, ინდონეზია და ვიეტნამი. ამ ქვეყნებში მეორე შემაშფოთებელი ფაქტი მათი ვალუტების სახელმწიფო ხელოვნური რეგულირებაა, მაგალითად, ჩინური იუენის, რაც იაფს ხდის მათ იმპორტს აშშ-ში და ქმნის სერიოზულ უარყოფით სავაჭრო ბალანსს (ცხრილი 8.3.). მეორეს მხრივ, იმის გამო, რომ საპროცენტო განაკვეთები იზრდება, უცხოელებისათვის, კაპიტალის ექსპორტის მხრივ, აშშ ყველაზე მიმზიდველი ქვეყანა ხდება, რის გამოც იზრდება ამ ქვეყანაში კაპიტალის შეტანა და მისი ობლიგაციების შეძენის მაჩვენებლები. 2006 წლის პირველ კვარტალში აშშ-ის სავაჭრო ბალანსის დეფიციტი 868 მლრდ. დოლარამდე გაიზარდა, ხოლო მაისსა და აპრილში კი 68 და 72 მლრდ. დოლარით. მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში დეფიციტი გაიზარდა 6,7%-მდე, მეორეს მხრივ გაიზარდა უცხოეთის ცენტ-

ცხრილი 8.2.

აშშ-ის ბიუჯეტის ძირითადი მუხლები *(პროგნოზი)*

(მლრდ. დოლარი)

	2006	2007	2008	2009	2010	2011
ხარჯვითი ნაწილი	2709	2771	2814	2922	3061	3240
ეროვნული თავდაცვა	536	527	494	494	507	523
შრომითი რესურსები	1707	1788	1856	1935	2051	2209
— განათლება	110	88	87	86	86	86
— ჯანდაცვა	269	281	294	309	326	347
— მოხუცებულთა ჯანმრთელობის დაზღვევა	343	392	404	426	452	494
— საპენსიო უზრუნველყოფა	555	586	616	649	712	784
მატერიალური რესურსები	168	148	137	137	134	128
წმინდა პროცენტები	220	247	272	291	307	322
საშემოსავლო ნაწილი	2286	2416	2590	2714	2878	3035
— გადასახადი პირად შემოსავლებზე	998	1096	1209	1268	1370	1467
— გადასახადი კორპორაციულ შემოსავლებზე	277	261	269	277	282	292
— სოციალური და საპენსიო დაზღვევა	841	884	932	981	1037	1097
საბიუჯეტო დეფიციტი	−423	−354	−223	−208	−183	−205

წყარო: აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველო.

ცხრილი 8.3.

აშშ-ის საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი

(მლრდ. დოლარი)

	I კვ. 2006	2005	2004	2003	2002	2001
წმინდა ფინანსური ინვესტიციები	947	795	583	557	499	399
— ექსპორტი	1395	1301	1174	1046	1006	1033
— იმპორტი	2189	2028	1798	1547	1430	1400
— წმინდა შემოსავალი აშშ-ში	870	788	653	508	460	372
აქტივების წმინდა შესყიდვები აშშ-ში	1492	1154	1307	843	768	658
მათ შორის						
— აშშ-ის სახელმწიფო ობლიგაციები	185	297	359	289	139	11
— კერძო ინვესტიციები	19	213	86	104	78	-23
— ოფიციალური ინვესტიციები	167	84	273	185	61	34
აშშ-ის კორპორატიული ობლიგაციები	398	351	254	230	151	195
ამერიკული კომპანიების აქციები	227	89	62	35	54	122
საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი	-869	-782	-652	-505	-458	-370

წყარო: აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველო.

რალური ბანკების ინვესტიციები აშშ-ის ეკონომიკაში. ბოლო 30 წელი არნახულად შემცირდა შიდა კერძო დაგროვება და სამაგიეროდ გაიზარდა 890 მლრდ.-მდე გაუნაწილებელი კორპორატიული მოგება. ეს ნიშნავს, რომ ფასები იზრდება, ცხოვრება ძვირი ჯდება და, დოლარის კურსის ვარდნის გამო, დაგროვება დოლარებში არ ხდება. ძვირდება კრედიტები, მათ შორის სამომხმარებლო, და ეცემა მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა. ასეთ ვითარებაში პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უმცროსი) მიიჩნევს, რომ მთავარი ამოცანა იქნება ქვეყანამ შეინარჩუნოს დაბალი გადასახადები.

🕮 *ძირითადი ლიტერატურა*

- მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, ტ. II, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ, თბილისი, 2004. — გვ. 35-78.
- მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო, პროფ. გრ. თოდუას და პროფ. შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი, 2001. — გვ. 525-538.
- გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2004. — გვ. 76-105.
- პოლ ჰერსტი, გრემ ტომპსონი. გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. გამომც. „დიოგენე", I ქართ. გამოც., თბილისი, 2005.
- Peter Dicken. Global Shift, Transforming the World Economy, Third Edition, P.C.P Ltd, 1999.
- Экономика США: Учебник для вузов/ Под ред. В.Б. Супяна. — СПб.: Питер, 2003. 651 с.: ил. (Серия "Учебник для вузов")

თემა 9

ევროკავშირის ეკონომიკა

ევროკავშირი: ბუნებრივი, ცივილიზაციური და ინსტიტუციური რესურსები. ევროპული ერთობის გენეზისი. ევროკავშირის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა. ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკური მოდელების თავისებურებანი. ევროკავშირის ტრანსევროპული კაპიტალი. ევროკავშირის განვითარების ტენდენციები. ევროპის ქვეყნების თანამედროვე ეკონომიკური რეფორმები.

„სამყოფი არ არის კაცმა დაისწავლოს პარიზის ყავახანაში მოარული ფრაზები და იმითი თავი მოიტანოს. ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფიარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს. უამისოდ, კაცი ერთ ნაბიჯსაც რიგიანად და სამკვიდროდ ვერ წასდგამს“.

ილია ჭავჭავაძე.

ისტორიულად ევროპის ქვეყნებს დასავლეთ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებად ყოფენ. დასავლეთ ევროპელებმა თავისი განსაცვიფრებელი ენერგიით, ნებისყოფით და მრავალსაუკუნოვანი მიზანმიმართული საქმიანობით შეძლეს მსოფლიოს ცენტრში დაეყენებინათ თავისი პატარა ნახევარკუნძული. სწორედ აქ შეიქმნა *ევროპელი ადამიანის საოცარი ფენომენი*, მარად მაძიებელი, დაუკმაყოფილებელი, შემოქმედებითი, შემეცნების წყურვილით შეპყრობილი და ძალაუფლებისკენ მსწრაფი.

როგორც ჩანს, ასეთი ხასიათის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შესრულა ბუნებრივმა პირობებმა. როგორც გონებამახვილურად შენიშნა ლევ გუმილოვმა, რომ საზღვარი დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას შორის თით-

ქმის ზუსტად ემთხვევა იანვრის ნულოვან იზოთერმს, ე.ი. თუკი იანვარში საშუალო ტემპერატურა ნულს ზემოთაა, მაშინ ჩვენ ვართ დასავლეთ ევროპაში, თუ ქვემოთ — აღმოსავლეთში. ყველა დასავლეთევროპულ ქვეყანაში კლიმატური პირობები სოფლის მეურნეობისათვის და საერთოდ საცხოვრებლად ბევრად უკეთესია, ვიდრე მათ აღმოსავლეთ მეზობლებთან.

დასავლეთ ევროპის მთელი ტერიტორია პრაქტიკულად ზღვების სიახლოვეს იმყოფება. იგი დასერილია წყალუხვი სანაოსნო მდინარეებით. სანაპირო თითქმის ყველგან აჭრელებულია მრავალი დიდი და მცირე ზღვის უბეებით, რომლებშიც იოლად შეიძლება თავის შეფარება შტორმების და უამინდობის დროს. ევროპის მთლიანი ქედები და ჩრდილოეთიდან თბილი დინება ქმნის ასეთ შედარებით პატარა ტერიტორიაზე ბუნებრივ-კლიმატური ზონების არაჩვეულებრივ შეხამებას. ევროპა ძველთაგანვე ქმნიდა შესანიშნავ პირობებს ხელსაყრელი საქონელბრუნვისათვის. *თვით ბუნება ახალისებდა ვაჭრობას, ხოლო ვაჭრობაში მოთხოვნილებანი წარმოების განვითარების სტიმულირებას იწვევდა.*

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ პეიზაჟის მრავალფეროვნება აღვიძებს ადამიანის წარმოსახვასა და შემოქმედებით აქტიურობას. ასეა ეს თუ არა, უცნობია, მაგრამ ევროპული პეიზაჟები უდავოდ საოცრად მრავალფეროვანია, ხოლო დასავლეთ ევროპის სუბკონტინენტის ხალხები მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ავლენენ შესაშურ აქტიურობას. ბოლო ხუთი-ექვსი საუკუნის განმავლობაში ევროპელები უდავოდ მოწინავენი არიან მეცნიერებასა და ტექნოლოგიურ ინოვაციებში.

ბუნებამ დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამრეწველო განვითარებაზეც იზრუნა, როცა ევროპის ცენტრში მოათავსა *მდიდარი და იოლადმისაწვდომი ნახშირის საბადოები* (რურის აუზი, ელზასი, ლოტარინგია) *და რკინის მადნები*. ამან შექმნა შესანიშნავი სასტარტო პირობები სამრეწველო წარმოების განსავითარებლად გერმანიასა და საფრანგეთში.

არც დიდი ბრიტანეთია დაჩაგრული, რომელსაც ტყუილად როდი უწოდებენ ნახშირის კუნძულს.

მაგრამ ევროპის მთავარი სიმდიდრეა — შეუდარებელი ცივილიზაციური რესურსები. ევროკავშირში შემავალი 27 ქვეყნიდან, სულ მცირე ? თავისი განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე თამაშობდა წამყვან როლს კაცობრიობის განვითარებაში და რეალური პრეტენზია ჰქონდა დიდი სახელმწიფოს წოდებაზე. ევროპული ცივილიზაციის ფუძემდებელი გახდა საბერძნეთი, რომელმაც ალექსანდრე მაკედონელის დროს შექმნა პირველი ევროპული მსოფლიო იმპერია. შემდეგ ნახევარი მსოფლიო გაერთიანდა რომის იმპერიაში, ხოლო 10 საუკუნის შემდეგ იმავე იტალიამ აჩუქა ევროპასა და მსოფლიო კულტურას აღორძინება, კვლავ გახდა რა საერთოევროპული ლიდერი, ახლა უკვე სულიერ სფეროში. უკვე ახალ ეპოქაში პატარა ნიდერლანდებმა და პორტუგალიამ მსოფლიო მასშტაბის კოლონიალური იმპერიები შექმნეს, ხოლო ესპანეთი დიდი ხანი იყო ევროპის უძლიერესი სახელმწიფო, რომელმაც ააშენა მსოფლიო იმპერია, „რომლის თავზე მზე არასოდეს ჩადიოდა“ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გიგანტურ სახელმწიფოს მართავდა პატარა ავსტრია. თვით ევროპული საქმეებისგან შორს, ჩრდილოეთით მყოფი შვედეთი XVI-XVIIს-ებში შეეცადა გაჭრილიყო ევროპული ლიდერობისაკენ. მთელი ახალი და უახლესი დროის განმავლობაში მსოფლიო ლიდერობის და ბატონობისათვისაც კი მონაცვლეობით წარმატებით სასტიკად იბრძოდნენ დიდი ბრიტანეთი, გერმანია და საფრანგეთი. ასე რომ, უმეტესი ქვეყნები კავშირში შევიდნენ დიდი ხალხების უზარმაზარი ისტორიული გამოცდილებით.

დასავლეთ ევროპის მოსახლეობას, რომელიც, მართალია, შედგება მრავალი თავისუფალი ხალხებისაგან, მაინც გააჩნია განსაზღვრული ეთნიკური და ენობრივი ერთობა. EU-ის ხალხთა დიდი ნაწილი საუბრობს რომაულ (საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია, ბელგია) ან ანგლო-გერმანულ ჯგუფის ენაზე.

ევროპული ცივილიზაციის ისტორიული საფუძველი იყო ძველი საბერძნეთი და რომი. ევროპელებმა ბერძნებისგან აიღეს საოცარი სწრაფვა ინდივიდუალური თავისუფლებისაკენ, ხოლო რომისგან — მიდრეკილება წესრიგისა და მკაცრი სახელმწიფოებრიობისკენ. ამ მყარ საფუძველს ჩვენი ერის დამდეგს სავსებით ბუნებრივად დაეყრდნო *ქრისტიანობა მისი კათოლიკური ტრადიციით.* კათოლიკობა — რელიგია, რომელიც წარმატებით უხამებს პიროვნების განსაზღვრულ ინდივიდუალურ თავისუფლებას მისი სახელმწიფოს ინტერესებისადმი დამორჩილების აუცილებლობას.

თვით კათოლიკური ეკლესია აგებულია სახელმწიფოს მსგავსად — სახელისუფლებო უფლებამოსილებათა მკაფიო, იერარქიული დაყოფით და რომის პაპის მონარქიული, თვითმპყრობელური ხელისუფლებით. იგი ყოველთვის მიმართული იყო სულებზე ძალაუფლებისათვის საბრძოლველად და საერთოდ, ჩვეულებრივი საერო ძალაუფლებისათვისაც. თავისი გავლენის გავრცელება მთელ მსოფლიოში მრავალი საუკუნის მანძილზე იყო მისი ძირითადი მიზანი, ხოლო კათოლიკე თავად რელიგიის მიერ იყო აღზრდილი უკომპრომისო ბრძოლის სულისკვეთებით. სასტიკმა რელიგიურმა ორგანიზაციამ, საბრძოლველად განწყობამ და ექსპანსიამ საშუალება მისცა კათოლიკურ სახელმწიფოებს დაეპყროთ უზარმაზარი ტერიტორიები და შეექმნათ მსოფლიო იმპერიები. XV ს-ის ბოლოსათვის კათოლიკური ეკლესიის სასტიკი რელიგიური დისციპლინა შევიდა წინააღმდეგობაში ევროპული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მოთხოვნებთან ინდივიდუალური თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით. წარმოიშვა პროტესტანტობა. რეფორმაციის და კონტრრეფორმაციის შემდეგ, XVI-XVII საუკუნეებში, კათოლიკური რელიგია გარდაიქმნა. მან შეძლო მრავალი მოძველებული დოგმის უარყოფა და მრავალი რამ აიღო საძულველი პროტესტანტული ტრადიციიდან. კათოლიკობამ შეინარჩუნა თავისი ერთგულება სახელმწიფოსადმი, როგორც ძირითადი, მისი აზრით, საზოგადოებრივი ინსტიტუ-

ტისადმი, მაგრამ გააკეთა არსებითი ძვრები ბაზრის მხარეს, როცა უკმაყოფილებით, მაგრამ მაინც აღიარა კერძო საკუთრების აუცილებლობა და კერძო მეწარმეობის სარგებლიანობა.

ევროპულმა პროტესტანტობამაც აგრეთვე ცოტა როდი გადმოიღო კათოლიციზმიდან. მაგალითად, გერმანელი პროტესტანტი ბევრად უფრო *ერთგულია სახელმწიფოებრიობის იდეის*, ვიდრე მისი ოკეანისიქითა ერთმორწმუნე. საერთოდ კონტინენტალური ევროპელები, დამოუკიდებლად აღმსარებლობისა, ბევრად დიდი სახელმწიფოებრიობის მოსურნენი არიან და ნაკლებად ლიბერალები, ვიდრე ინგლისელები და ამერიკელები. სისხლიანმა ისტორიამ მათ ასწავლა სახელმწიფოს დაფასება, როგორც მათი ინტერესების და თავად სიცოცხლის საიმედო დამცველისა. იმავდროულად კუნძულოვანი დიდი ბრიტანეთი, რომლის მიწაზეც ვილჰელმ დამპყრობის შემდეგ (XI. ს.) ფეხი არ დაუდგამს უცხოელ დამპყრობს და აგრეთვე უფრო საიმედოდ ოკეანეებით დაცული ამერიკა ბევრად ნაკლები ხარისხით გრძნობენ მუდმივი სახელმწიფოებრივი პატრონაჟის აუცილებლობას. მათ შეეძლოთ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოთ ცალკეული პიროვნების ინტერესებისა და თავისუფლებებისათვის, ვიდრე ომებისაგან მუდმივად დატანჯულ კონტინენტალურ ევროპას.

ამერიკელთა დიდმა უმრავლესობამ თავისუფლებასა და თანასწორობას შორის არჩევანისას არჩია თავისუფლება. კონტინენტალურ ევროპელთა უმეტესობა კი ალბათ თანასწორობას აირჩევდა. ამიტომ ევროპის უმეტეს ქვეყნებში განმტკიცდა ეკონომიკის სოციალურად ორიენტირებული მოდელი სახელმწიფოს აქტიური და მნიშვნელოვანი როლით სამეურნეო ცხოვრებაში.

ევროპულ კავშირს გააჩნია მდიდარი და მრავალგვარი ცივილიზაციური და ინსტიტუციონალური რესურსი. ხოლო, როგორც ვიცით, მრავალგვარობა — აუცილებელი პირობაა სისტემის მდგრადი განვითარებისათვის. EU-ის ხალ-

ხებს გააჩნიათ ძველი კულტურა, თვითმყოფადი ხასიათები და დროით გაბრწყინებული ტრადიციები, რომელიც საშუალებას აძლევდათ გაემარჯვათ ძნელ ცივილიზაციურ ბრძოლაში. EU-ის ქვეყნებს თავის განკარგულებაში აქვთ მთელი სპექტრი აპრობირებული და სავსებით ეფექტიანი სამართლებრივი სისტემებისა, დაწყებული ინგლისის ზოგადი სამართლიდან კონტინენტალურამდე, კლასიკურ რომის სამართლებრივ სისტემამდე. EU-ის სახელმწიფოებმა გამოიმუშავეს ძალაუფლების მრავალგვარი სისტემები, რომელთა შორისაა ფრანგული საპრეზიდენტო და გერმანული საპარლამენტო რესპუბლიკა, ინგლისის საკონსტიტუციო მონარქია ძალაუფლების მთელი სისრულით პარლამენტის ხელში.

ევროპული ინტეგრაციის ისტორია მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან იღებს სათავეს.

ევროკავშირის ჩამოყალიბება და ევოლუცია. 1946 წლის სექტემბერი: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი ევროპული ოჯახის განახლების ინიციატივით გამოდის. მან შესთავაზა ისეთი სტრუქტურა, რომელიც მშვიდობის უსაფრთხოებისა და თავისუფლების გარანტია იქნებოდა. „ჩვენ უნდა ავაშენოთ ევროპის შეერთებული შტატების მსგავსი რამ". 1947-48 წწ.: ბელგია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები აყალიბებენ საერთო საბაჟო ტარიფების მქონე საბაჟო და ეკონომიკურ კავშირს.

1949 წლის მაისი: სტრასბურგის ხელშეკრულების საფუძველზე იქმნება ევროპის საბჭო — 41 სახელმწიფოსაგან შექმნილი ორგანიზაცია, რომლის ძირითადი მიზანიც დემოკრატიის, ადამიანთა უფლებებისა და კანონმორჩილების გაძლიერებაა.

1950 წელს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა რობერტ შუმანმა ევროპის პოლიტიკური მოწყობის ახალი ფორმა წარმოადგინა, რომლის არქიტექტორი ჟან მონე იყო. 9 მაისი ევროპის დღე და შუმანის დეკლარაციის მიღების დღეა.

1951 წლის აპრილი: პარიზის ხელშეკრულება, რომელსაც „ექვსეულმა" — დასავლეთ გერმანიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, ნიდერლანდებმა, ბელგიამ და ლუქსემბურგმა მოაწერეს ხელი. შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება — საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რობერტ შუმანის ჩანაფიქრის ნაყოფი. დაფუძნდა ოთხი ძირითადი ინსტიტუტი: უმაღლესი ხელისუფლება (შემდგომში ევროკომისია); მინისტრთა საბჭო; ევროსასამართლო და საერთო ასამბლეა (შემდგომში ევროპარლამენტი).

1957 წლის მარტი: ექვსეული ხელს აწერს რომის ხელშეკრულებას. დაარსდა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა (ასევე ცნობილია საერთო ბაზრის სახელწოდებით) და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება (ევროატომი).

1960 წ.: დიდი ბრიტანეთი, ირლანდია და დანია აკეთებენ განაცხადს საერთო ბაზარში გაწევრიანებაზე. 1962 წ.: შეთანხმება სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე. საფრანგეთისა და გერმანიის შეთანხმებით, გერმანული სამრეწველო საქონელი დაიშვება ფრანგულ ბაზარზე, ხოლო გერმანული არხების სუბსიდირებას უწევენ ფრანგ ფერმერებს ბრიუსელის გავლით.

1963 წლის იანვარი: საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი ვეტოს ადებს დიდი ბრიტანეთის გაწევრიანებას. მიზეზად სახელდება ის გარემოება, რომ დიდი ბრიტანეთი აშშ-ს ინტერესების გამტარებელი იქნება. ოთხი წლის შემდეგ დე გოლი მეორედ ადებს ვეტოს ბრიტანეთის აპლიკაციას.

1965 წლის აპრილი: დაიდო ხელშეკრულება, რომლის შედეგად შეერთდა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების, ევროპის ეკონომიკური კავშირის და ევროატომის აღმასრულებელი ორგანოები, რის შედეგადაც შეიქმნა ერთიანი მინისტრთა საბჭო და ევროკომისია.

1968 წლის ივლისი: დასრულდა საბაჟო კავშირის ფორმირება — ყველა საბაჟო გადასახადი და კვოტა მოხსნილია. ვაჭრობის მოცულობა ექვსეულს შორის 1958 წ. დაფიქსირე-

ბული 7 მლრდ. დოლარიდან 1972 წ. 60 მლრდ-მდე გაიზარდა. 1969 წლის ივლისი: პრეზიდენტი ჟორჟ პომპიდუ აცხადებს, რომ საფრანგეთი აღარ იქნება ბრიტანეთის გაწევრიანების წინააღმდეგი. ბრიტანეთი, ირლანდია და დანია უერთდებიან საერთო ბაზარს 1973 წლის იანვარში.

მონეტარული სტაბილურობა. 1970 წ.: ვერნერი სთავაზობს ეკონომიკური და მონეტარული კავშირის შექმნის ათწლიან სამსაფეხურიან გეგმას. 1972 წ.: სავალუტო გაცვლითი კურსების ჰარმონიზების პირველი მცდელობა. „მცურავი" სისტემით დაკავშირებულმა ვალუტებმა უნდა შეზღუდონ ერთმანეთის მიმართ გაცვლითი კურსების რყევა 1%-მდე. ბრიტანულ გირვანქას, იტალიურ ლირას და ფრანგულ ფრანკს მალე აძევებენ ამ სისტემიდან. 1978 წ.: მხოლოდ გერმანული მარკა, ჰოლანდიური გულდენი და დანიური კრონა რჩებიან „მცურავ" სისტემაში. საფრანგეთის პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დესტენი და გერმანიის კანცლერი ჰელმუტ შმიდტი გამოდიან ევროპული მონეტარული სისტემის შექმნის იდეით. ევროპულ მონეტარულ სისტემას საფუძველი ჩაეყარა 1979 წელს — მისი სავალუტო გაცვლითი კურსების მექანიზმი, მონაწილე ვალუტებს მხოლოდ დადგენილ საზღვრებში რყევის უფლებას აძლევდა, შემოღებული იქნა ევროპის სავალუტო ერთეული (ეკიუ).

1979 წ.: პირველი პირდაპირი არჩევნები ევროპარლამენტში — ევროპარლამენტი უარყოფს ევროკომისიის ბიუჯეტს. 1981 წ.: საბერძნეთი ოფიციალურად ხდება ევროპული თანამეგობრობის წევრი, ხოლო პორტუგალია და ესპანეთი უერთდება 1986 წ. ევროპული თანამეგობრობის წევრთა რიცხვი 12-მდე იზრდება.

1984 წ.: თევზჭერის საერთო პოლიტიკაზე შეთანხმებაა მიღწეული. 1984 წ.: მზარდ საბიუჯეტო დანახარჯებზე ხუთწლიანი დავის შემდეგ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი ბიუჯეტის შემცირებას ითხოვს თავისი ცნობილი ფრაზით: „დამიბრუნეთ ჩემი ფული უკან". 1992

წლის სექტემბერი: შავი ოთხშაბათი — „რკინის ლედის" ბრიტანეთს გირვანქა სტერლინგი „სავალუტო გაცვლითი კურსების მექანიზმიდან" გამოჰყავს.

ევროს შემოღება. კომისიის პრეზიდენტი ჟაკ დელორი ამზადებს ევროპის მონეტარული კავშირის პროექტს. შემდგომში მაასტრიხტის ხელშეკრულებაში ასახული ეს გეგმა ერთიანი ვალუტის — ევროს შექმნით მთავრდება.

მაასტრიხტის ხელშეკრულება. ევროპის კავშირის შესახებ სადავო ხელშეკრულება მაასტრიხტის სამიტზე იქნა გატანილი. შეიქმნა ევროკავშირი, როგორც ევროპის თანამეგობრობის მემკვიდრე. სწორედ მაასტრიხტში დადგინდა ევროპის მონეტარული კავშირის გრაფიკი და განისაზღვრა ევროკავშირში გასაწევრიანებლად მზადმყოფი ქვეყნების კრიტერიუმები.

12-დან 15-მდე. 1995 წ.: შვედეთი, ფინეთი და ავსტრია გაწევრიანდა, რითაც წევრთა რიცხვი 15-მდე გაიზარდა.

1998 წ.: ფრანკფურტში ჩამოყალიბდა ევროპის ცენტრალური ბანკი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ევროს შემოღებაზე. ევროს შემოღება დაიწყო 1999 წ. და დასრულდა 2002 წელს.

ევროკავშირის კონსტიტუცია. 2004 წლის ოქტომბერში რომში 25 წევრი ქვეყნის მთავრობის და სახელმწიფოს მეთაურმა ხელი მოაწერა ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტს.

ევროკავშირის ახალი წევრები. 2004 წლის ევროკავშირის გაფართოება სათავეს 1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევიდან იღებს. 1992 წლის 22 ივლისს კოპენჰაგენში ჩატარებულმა ევროპულმა საბჭომ პირველად განაცხადა: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ასოცირებული ქვეყნები, რომელთაც ევროკავშირში გაერთიანება სურთ გახდებიან მისი წევრები, რაც 2004 წელს განხორციელდა. 2007 წლის იანვრიდან ევროკავშირს შეემატა კიდევ ორი წევრი. ამჟამად ევროკავშირის წევრია 27 ქვეყანა.

საქართველო და ევროკავშირი. საქართველო ევროპული ქვეყანაა და მას აქვს შანსი გახდეს ევროკავშირის წევრი. მაგრამ ამისათვის არა მხოლოდ მთავრობის, არამედ მთელი მოსახლეობის ძალისხმევაა საჭირო. დღეს კი ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ევროპული კავშირის ქვეყნებს უნიკალური გამოცდილება დაუგროვდათ და ამ გამოცდილების გაზიარება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაცია და კანონების ადმინისტრირების ეფექტური მექანიზმების დანერგვაა. ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება იმ კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად, რომელიც, საბოლოო ჯამში, ევროკავშირში ჩვენს გაწევრიანებას შესაძლებელს გახდის.

ევროკავშირში გაწევრიანების კრიტერიუმები. კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილება საქართველოს მოუწევს, იგივე იქნება, რაც თავის დროზე კოპენჰაგენის ევროპულმა საბჭომ აღმოსავლეთ ევროპის კანდიდატ ქვეყნებს დაუსახა. *პირველი, პოლიტიკური კრიტერიუმი* — კანდიდატ ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ სტაბილური ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებისა და უმცირესობათა უფლებების დაცვას და მათ პატივისცემას. *მეორე, ეკონომიკური კრიტერიუმი* — კანდიდატ ქვეყნებში უნდა ფუნქციონირებდეს საბაზრო ეკონომიკა. მათ უნდა შეძლონ, გაუძლონ კონკურენციის ზეწოლასა და საბაზრო ძალებს ევროკავშირის ტერიტორიაზე. *მესამე,* — ქვეყანამ უნდა აიღოს ყველა ის ვალდებულება, რასაც ევროკავშირის წევრობა გულისხმობს, მათ შორის — პოლიტიკური, ეკონომიკური, საკანონმდებლო და ფინანსური მიმართულებით.

ევროკავშირი.

ევროპის კავშირი (ევროკავშირი, ასევე ევროპის გაერთიანება) (European Union) ოცდაშვიდი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელსაც აქვს საერთო საზღვრები,

ერთიანი სავაჭრო სივრცე და ერთიანი ვალუტა. ევროკავშირის თხუთმეტ წევრ სახელმწიფოს — ბელგია, დანია, გერმანია, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანები, ავსტრია, პორტუგალია, ფინეთი, შვედეთი და დიდი ბრიტანეთი — 2004 წლის 1 მაისს ათი ახალი წევრი შეემატა: ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, კვიპროსი, სლოვენია, 2007 წლის იანვრიდან შეემატა კიდევ ორი ახალი წევრი: ბულგარეთი და რუმინეთი. დღეისათვის ევროკავშირის მოსახლეობა 575 მილიონს აღემატება. ევროკავშირის შტაბ-ბინა მდებარეობს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში.

ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტები.

ევროპარლამენტი (European Parlament) ევროკავშირის 732 წევრისაგან შემდგარი საკანონმდებლო ორგანოა, რომელსაც, ხუთ წელიწადში ერთხელ, ევროკავშირის მოქალაქეები პირდაპირი კენჭისყრით ირჩევენ. 2004 წლის 10-13 ივნისს 25 ქვეყნის დაახლოებით 349 მლნ ამომრჩეველს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ევროპის ყველაზე მასშტაბიან არჩევნებში. ევროპარლამენტის სხდომები იმართება სტრასბურგსა და ბრიუსელში. ევროპარლამენტის პრეზიდენტია ჯოზეფ ბორელ ფონტელესი.

ევროკავშირის საბჭო ანუ ევროკავშირის მინისტრთა საბჭო (Council of the European Union ან Council of Ministers) არის ორგანო, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების დარგობრივ მინისტრებს, მისი ფუნქცია ევროკავშირის ქვეყნების ინტერესების წარმოჩენა და დაცვაა. იგი ევროკავშირის ძირითადი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა, წარმოდგენილია წევრ-სახელმწიფოთა მთავრობებით. თავმჯდომარეობა ექსვთვიანი როტაციის პრინციპით ხორციელდება. ევროკავშირის საბჭოს გენერალური მდივანია ხავიერ სოლანა. ყოველ ექვს თვეში იცვლება ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა, რომელიც უძღვება ევროკავშირის მოღვაწეობას და აკეთებს განცხადებებს მისი სახელით.

ევროკომისია (European Commission) — ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა, რომელსაც საკანონმდებლო ინიციატივის, კანონის აღსრულების და მასზე კონტროლის ფუნქციები აკისრია. ევროკომისის პრეზიდენტია მანუელ ბაროზო, ევროკავშირის შემადგენლობაში შედის ცხრამეტი ევროკომისარი, რომელიც სხვადასხვა დარგს ხელმძღვანელობს. ევროკომისია პასუხისმგებელია ევროპარლამენტისა და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებაზე. 2002 წლის იანვრიდან ევროკავშირის თორმეტ წევრ სახელმწიფოში მოქმედებს ერთიანი ვალუტა „ევრო". ეს ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია და ესპანეთი. 2007 წელს მათ შეუერთდა სლოვენია, კვიპროსი და მალტა.

„ევროპის სამეზობლო პოლიტიკა" (European Neighbourhood Policy - ENP) ევროკომისის ახალი ინიციატივაა, რომელიც გულისხმობს ევროკავშირის თანამშრომლობას მისი გაფართოების შედეგად შეძენილ „ახალ მეზობლებთან". საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" წევრებად ცნობა 2004 წლის 14 ივნისს მოხდა. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მიზანია თავიდან აიცილოს ახალი გამყოფი ხაზების წარმოქმნა გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის. გარდა ამისა, „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა" შესაძლებლობას აძლევს მასში მონაწილე ქვეყნებს გააღრმავონ პოლიტიკური დიალოგი და ეკონომიკური თანამშრომლობა ევროკავშირთან.

ევროკავშირის კონსტიტუცია (Constitution of Europe) არის დოკუმენტი, რომელსაც 2004 წლის ოქტომბერში რომში 27 წევრი ქვეყნის მთავრობის და სახელმწიფოს მეთაურმა მოაწერა ხელი. კონსტიტუციის ძალაში შესასვლელად მისი რატიფიცირება ევროკავშირის ქვეყანაში უნდა მოხდეს.

ევროსასამართლო — ევროკავშირის უმაღლესი სასამართლო ორგანოა, უზრუნველყოფს ეროვნული კანონმდებლობების შესაბამისობას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

აუდიტორთა სასამართლო — კონტროლს ახდენს ევროკავშირის ბიუჯეტის მიზნობრივ და კანონიერ მართვაზე.[1]

ევროსაბჭო.

ევროპის საბჭო (Council of Europe) პოლიტიკური მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა, რომელიც 1949 წელს დაარსდა. მისი შტაბბინა მდებარეობს საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში. ევროპის საბჭოში დღეისათვის 46 წევრია საქართველოს ჩათვლით. ევროპის საბჭოს ძირითადი მიზნებია: ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დაცვა; დემოკრატიული სტაბილურობის განმტკიცება; პოლიტიკურ, სამართლებრივ და საკონსტიტუციო რეფორმების მხარდაჭერა ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე; ევროპის კულტურული თვითმყოფადობის განვითარების ხელშეწყობა; სოციალური ინტეგრაციისა და სოციალურ უფლებათა მხარდაჭერა.

ევროპის საბჭოს ინსტიტუტები:

მინისტრთა კომიტეტი (Committee of Ministers) არის ევროპის საბჭოში გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, რომელიც შედგება წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებისგან (ან სტრასბურგში მყოფი მათი მუდმივი დიპლომატური წარმომადგენლებისგან).

საპარლამენტო ასამბლეა (Parliamentary Assembly) — ორგანიზაციის სათათბირო ორგანოა, რომელიც შედგება ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციებისაგან. საპარლამენტო ასამბლეა 5 წლის ვადით ირჩევს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს. 2004 წლიდან ევროპის საბჭოს გენერალური მდივანია ტერი დევისი. ის, პასუხისმგებელია ევროპის საბჭოს სამუშაო პროგრამის სტრატეგიულ მართვასა და მის ბიუჯეტზე.

---

1. ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოსა და სომხეთში: საქართველო, თბილისი, ნინო ჩხეიძის ქ. №38, ტელ.: 943763, ფაქსი: 934768; www.delgeo.cec.eujnt ელ.ფოსტა: Delegation-Georgia@cec.eu.int

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი (Council of Europe Congress of Local and Regional Authorities) არის ევროპის რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების ხმა. ეს ფორუმია, სადაც ადგილზე და რეგიონებში არჩეული წარმომადგენლები განიხილავენ არსებულ პრობლემებს, ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ და მთავრობებს თავის მოსაზრებებს წარუდგენენ.

ევროპის საბჭოს სამივე ორგანოში საქართველოს თავისი წარმომადგენლობა ჰყავს.

ევროკავშირსა და ევროსაბჭოს აქვთ ერთი დროშა, რომელზეც გამოსახულია 12 ოქროსფერი ვარსკვლავი ლურჯ ფონზე. მათ ჰიმნიც საერთო აქვთ — „ოდა სიხარულისადმი" ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიიდან.[1]

ევროპული კავშირის ხუთი გაფართოების შესახებ წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოყვანილი 9.1. ცხრილი.

დღემდე, თავისი არსებობის მანძილზე კავშირი 6-ჯერ გაფართოვდა. 1973 წლამდე კავშირის წევრი მხოლოდ 6 ქვეყანა იყო: საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი. შემდეგ განხორციელდა მისი ექვსი გაფართოება:

I — 1973 წელს ევროპულ კავშირში გაწევრიანდნენ დიდი ბრიტანეთი, დანია, ირლანდია.

II — 1981 წელს საბერძნეთი.

III — 1986 წელს — ესპანეთი, პორტუგალია.

IV — 1995 წელს ავსტრია, ფინეთი, შვედეთი.

V — 2004 წელს (1 მაისიდან) — კვიპროსი, ჩეხეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი.

VI — 2007 წელს (1 იანვრიდან) — ბულგარეთი, რუმინეთი.

---

1. ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიუროს მისამართია: საქართველო, თბილისი, ერეკლე II-ს შესახვევი №7, ტელ.: 989560, 988977; ფაქსი: 989657; ელ. ფოსტა: information.office@col.ge; http://portail.coe.ge www/coe/int

ცხრილი 9.1.

ევროკავშირის ექვსი გაფართოება: ევროკავშირის წევრების და კანდიდატ-ქვეყნების ძირითადი მაჩვენებლების თანაფარდობა

მაჩვენებელი	მოსახლეობა მლნ. კაცი	ფართობი ათასი კმ^2	მშპ მლრდ დოლ.		მშპ მოსახლეობის ერთ სულზე. აშშ დოლ.	
			ჩვეულ. სავალუტო კურსი	მყიდველ. უნარ. პარიტეტი.	ჩვეულ. სავალუტო კურსი	მყიდველ. უნარ. პარიტეტი.
1	2	3	4	5	6	7
პირველი გაფართოება — 1973 წ. (დიდი ბრიტანეთი, დანია, ირლანდია)						
კანდიდატები	64.3	358.2	217.0	267.9	3374	4166
ევროკავშირის ქვეყნები	209.4	1279.8	885.5	854.3	4229	4081
კანდიდატები ეკ-ს ქვეყნებთან მიმართებაში, %	30.7	28.0	24.5	31.4	79.8	102.1
მეორე გაფართოება — 1981 წ. (საბერძნეთი)						
კანდიდატები	9.7	131.9	44.5	55.0	4575	5653
ევროკავშირის ქვეყნები	278.5	1638.0	2528.0	2521.3	9078	9054
კანდიდატები ეკ-ს ქვეყნებთან მიმართებაში, %	3.5	8.1	1.8	2.2	50.4	62.4

ცხრილი 9.1. (გაგრძელება)

1	2	3	4	5	6	7
მესამე გაფართოება – 1986 წ. (ესპანეთი, პორტუგალია)						
კანდიდატები	48.5	597.1	275.0	403.2	5667	8308
ევროკავშირის ქვეყნები	290.0	1769.9	3257.3	3497.4	11232	12060
კანდიდატები ეკ-ს ქვეყნებთან მიმართებაში, %	16.7	33.7	8.4	11.5	50.5	68.9
მეოთხე გაფართოება – 1995 წ. (ავსტრია, ფინეთი, შვედეთი)						
კანდიდატები	22.0	870.9	605.1	443.7	27521	20160
ევროკავშირის ქვეყნები	350.0	2367.1	8000.1	6780.5	22856	19372
კანდიდატები ეკ-ს ქვეყნებთან მიმართებაში, %	6.3	36.8	7.6	6.5	120.4	104.2
მეხუთე გაფართოება – 2004 წ. (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, მალტა, კვიპროსი)						
კანდიდატები	104.6	1076.9	365.1	903.8	3490	8638
ევროკავშირის ქვეყნები	375.3	3237.9	8509.5	8371.0	22672	22303
კანდიდატები ეკ-ს ქვეყნებთან მიმართებაში, %	27.9	33.3	4.3	10.8	15.4	38.7

ცხრილი 9.1. (გაგრძელება)

1	2	3	4	5	6	7
მეექვსე გაფართოება — 2007 წ. (ბულგარეთი, რუმინეთი)						
კანდიდატები	29.377	348494	973		3185	8280
ევროკავშირის ქვეყნები	4940	4422733	15800	14500	29400	28200
კანდიდატები ეკ-ს ქვეყნებთან მიმართებაში, %	5.9	7.9	0.6	–	10.8	28.8

მეექვსე გაფართოების შედეგად ევროპული კავშირის მოსახლეობის რიცხვმა 494 მილიონი ადამიანი შეადგინა, ტერიტორია აღწევს 4422733 კმ^2-ს, მშპ 14,5 ტრილიონ აშშ დოლარს აჭარბებს ერთ სულ მოსახლეზე მშპ 29526 აშშ დოლარია. მშპ-ს ზრდამ 2006 წელს 2% შეადგინა. აშშ-ს მიხედვით ეს მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს — 288,5 მილიონ ადამიანს, 9372610 კმ^2-ს, 10383 მლრდ დოლარს მშპ-ს ზრდა 3,4%; იაპონიაში ეს მაჩვენებლები შემდეგია — 127,5 მილიონი ადამიანი, 377727 კმ^2, 3993 მლრდ დოლარი; მთელ მსოფლიოში კი — 6211,1 მილიონი ადამიანი; 148698382 კმ^2, 32,3 მლრდ დოლარი. 2006 წელს მსოფლიო მშპ-ს ზრდა 4,9% იყო.

უფრო მარტივად რომ შევადაროთ მსოფლიოს აღნიშნული სამი წამყვანი ცენტრის — ტრიადის მაჩვენებლები, გადავიტანოთ ისინი ცხრილში (ცხ. 9.2.).

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2007 წლის შედეგების მიხედვით, „ტრიადის" ქვეყნები ქმნიდნენ მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 62,6%-ს, დანარჩენი მსოფლიო კი — 37,4%. აშშ ქმნიდა მსოფლიო მშპ-ს 28,4%-ს, ევროკავშირი — 23,0%-ს, იაპონია — 11,2%-ს. რა თქმა უნდა, მონაცემები მეტად შთამბეჭდავია.

მსოფლიოს და მისი სამი წამყვანი ცენტრის ძირითადი მაჩვენებლები

	მოსახლეობა მლნ. კაცი	ტერიტორია კვ. კმ.	მშპ მლრდ. დოლ.	მშპ მოსახლეობის ერთ სულზე დოლ.
აშშ	297.0	9372610	11712	39430
იაპონია	127.8	377727	4623	36170
ევროკავშირი	306.7	4314614	9500.9	30980
მთელი მსოფლიო	*6377.6*	*148698382*	*41300*	*6460*

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ძირითადი მაჩვენებლები მოყვანილია 9.3. ცხრილში.[1]

თანდათანობით EU ხდება ერთიანი ქვეყანა და სავსებით მკაფიოდ გამოყოფილი მსოფლიო თანამეგობრობის სუბიექტი. ამა თუ იმ გაერთიანების რეალობის კრიტერიალურ თვისებას წარმოადგენს მის ცალკეულ ნაწილებს შორის ბევრად უფრო ძლიერი კავშირების არსებობა, ვიდრე მის რომელიმე ნაწილისა და მოცემული გაერთიანების მიმართ საგარეო ეკონომიკური სისტემებს შორის. EU-ის ქვეყნების უმეტესობას გააჩნია მკაფიოდ გამოხატული საექსპორტო ორიენტაცია. ექსპორტის მიხედვით ეკ მსოფლიოში პირველ ადგილზეა, ხოლო იმპოროტის მიხედვით — მეორე ადგილზე. ეკ-ის იმპორტი 2005 წელს შეადგენდა 1446 მლრდ. აშშ დოლარს, ხოლო იმპორტი — 1330 მლრდ. აშშ დოლარს. 2006 წლის

1. კვიპროსის შესახებ ცხრილში მოყვანილი მონაცემები ეხება მხოლოდ მის ბერძნულ ნაწილს.

ცხრილი 9.3.

ევროკავშირის ქვეყნების ძირითადი მაჩვენებლები

ქვეყანა	მოსახლეობა მლნ. კაცი	ტერიტორია ათ. კმ.	მშპ მლრდ. დოლ.	რეალური მშპ საშუალოწლიური ზრდა 1994-2004 წლებში, %	მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მდგ. დოლ.	საშუალოწლიური ინფლაცია 2000-2005 წლებში,%
ავსტრია	8.1	83855	292	2.1	36090	2.0
ბელგია	10.3	30520	352	2.2	34210	2.1
დიდი ბრიტანეთი	59.4	242534	2124	2.8	35760	2.4
გერმანია	82.5	357868	2741	1.5	33220	1.6
საბერძნეთი	11.0	131957	205	3.6	18660	3.4
დანია	5.4	43075	241	2.1	44710	2.0
ირლანდია	4.0	70282	182	7.9	45410	3.5
ესპანეთი	41.1	504782	1040	3.4	25300	3.2
იტალია	57.3	301245	1678	1.6	29280	2.4
ლუქსემბურგი	0.460	3000	29.4	-	69420	-
ნიდერლანდები	16.2	41526	579	2.4	35740	2.5
პორტუგალია	10.1	88940	168	2.5	16610	3.2
ფინეთი	5.2	338145	186	3.6	35750	1.2
საფრანგეთი	60.4	543965	2047	2.3	33890	1.9
შვედეთი	8.9	449964	346	2.8	38920	1.5
კვიპროსი	0.755	9521	135.0	-	19080	-
ჩეხეთი	10.2	78864	107	2.5	10490	2.2
ესტონეთი	1.3	45200	11.2	6.0	8650	3.5
ლატვია	2.3	63700	13.6	5.6	5.900	4.0
ლიტვა	3.4	62200	22.3	5.4	6550	0.8
მალტა	0.4	316	71.1	-	13430	-
პოლონეთი	38.6	312683	242	4.4	6280	2.8
სლოვაკეთი	5.4	49035	41.1	4.3	7610	5.9
სლოვენია	2.0	20253	32.2	3.8	16090	5.5
უნგრეთი	9.8	93090	101	3.8	10270	5.9
ბულგარეთი	7.8	110994	24.1	1.7	3090	5.3
რუმინეთი	22.3	237500	73.2	2.4	3280	18.3

თებერვალთან შედარებით 2007 წლის თებერვალში დანარჩენ მსოფლიოსთან ეკ-ის სავაჭრო დეფიციტი -3,3 მლრდ. ევროდან შემცირდა -1,7 მლრდ. ევრომდე.

ეკ-დან გაიზარდა ექსპორტი რუსეთში, ინდოეთში, თურქეთში, სამხრეთ კორეაში. გაიზარდა იმპორტი ბრაზილიიდან, ინდოეთიდან, ჩინეთიდან, თურქეთიდან, ნორვეგიიდან, სამხრეთ კორეიდან და რუსეთიდან. ეკ-ს ქვეყნებიდან გაიზარდა ექსპორტი გერმანიიდან, ნიდერლანდებიდან, ირლანდიიდან, გაერთიანებული სამეფოდან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან და საბერძნეთიდან.

ეკ ამჟამად ახორციელებს ნავთობის 82%-ის და გაზის 57%-ის იმპორტს.

EU-ის ქვეყნების ექსპორტის და იმპორტის წილი მშპ-თან 30%-ს აჭარბებს, ე.ი. თითქმის 3-ჯერ მეტია, ვიდრე აშშ-სა და იაპონიაში. თუმცა ამ ქვეყნების 70%-ზე მეტი მოდის კავშირის მიხედვით პარტნიორებთან ვაჭრობაზე, მაშინ როცა ჩრდილოამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციაში ეს მაჩვენებელი ტოლია 40%-ისა. ეს ფაქტი ყველა პოლიტიკური დეკლარაციის მჭევრმეტყველებაზე უკეთ მოწმობს, რომ უკვე საქმე გვაქვს ეკონომიკური თვალსაზრისით ახალ, ერთიან ქვეყანასთან.

EU უკვე გამოდის, როგორც მსოფლიო თანამეგობრობის დამოუკიდებელი, ეკონომიკური და პოლიტიკური სუბიექტი. მას გააჩნია დიპლომატიური ურთიერთობა მსოფლიოს 130-ზე მეტ ქვეყანასთან. იგი მონაწილეობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სამუშაოებში და აქვს მეთვალყურის სტატუსი გაეროში. EU-ზე მოდის განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების ძირითადი ნაწილი. ლომეის კონვენციის შესაბამისად, EU-ს აქვს შეთანხმება აფრიკის, კარიბის ზღვის და წყნარი ოკეანის აუზის 69 ქვეყანასთან ასოციაციის შესახებ, რომელთა რიცხვსაც მიეკუთვნება მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნების უმეტესობა. EU-მა კიდევ დაახლოებით 60 ქვეყანასთან დადო სხვადასხვა ტიპის ორმხრივი ხელშეკრულება.

მთლიანობაში EU მტკიცედ დაადგა პოსტინდუსტრიული განვითარების გზას. XXI საუკუნის დასაწყისში სოფლის მეურნეობის წილად მოდიოდა მშპ-ის დაახლოებით 5%, მრეწველობა იძლეოდა მიახლოებით 30%-ს, ხოლო 65%-ს მომსახურების სფერო. ახლა უკვე ევროზონის 13 ქვეყნის მონაცემებს თუ ავიღებთ, სოფლის მეურნეობის წილად მოდის მშპ-ს 2%, მრეწველობის წილად — 28%, მომსახურების სფეროში კი — 70%. ეს უკვე ეკონომიკის ტიპიურად პოსტინდუსტრიული სტრუქტურაა. თუმცა, ბუნებრივია, EU-ს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკებს როდი გააჩნია ერთნაირი სტრუქტურა.

EU-ის *სოფლის მეურნეობა* საკმაოდ მრავალგვარია, რაც განისაზღვრება ცალკეულ ქვეყნებში დიდი კლიმატური სხვაობით. ჩრდილოეთის ქვეყნები (გერმანია, ნიდერლანდები, დანია, დიდი ბრიტანეთი და სხვ.) საკმაოდ ინტენსიურად აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას, ძირითადად მეცხოველეობის სპეციალიზაციით. ამ ქვეყნებში პროდუქცია, წარმოებული ერთი ფერმერის მიერ, საკმარისია 80-ზე მეტი ადამიანის გამოსაკვებად. სამხრეთის ქვეყნებში შედარებით ნაკლები ინტენსიურობით მისდევდნენ მემცენარეობას, მეხილეობასა და მევენახეობას.

ევროპაში პირველ ადგილს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტით მტკიცედ ინარჩუნებს საფრანგეთი. უმეტეს ქვეყნებში წამყვანი ადგილი უკავია ფერმერთა და მათი პროდუქციის გასაღების მომარაგებაში მრავალნაირ კოოპერაციულ ფორმებს. მხოლოდ შესანიშნავი ინფრასტრუქტურა და დიდი სახელმწიფო მხარდაჭერა (რეალიზაციის ფასის დაახლოებით 35%) აძლევს საშუალებას ევროპელ ფერმერებს შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა. აგრარული პოლიტიკა მუდმივად იმყოფება EU-ს ხელმძღვანელი ორგანოების ყურადღების ცენტრში და მათ მიერ უპირატესად განიხილება სოციალურ კონტექსტში. EU თავისი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის ექსპორტიორებას ახდენს.

EU-ის ენერგეტიკული სექტორი ძლიერაა დამოკიდებული იმპორტზე, რომელზეც მოდის ენერგოშემცველების 40% და ნედლეულის სხვა სახეების 75%. მხოლოდ დიდი ბრიტანეთი ნავ-

თობის და გაზის მოპოვების გაზრდის ხარჯზე ჩრდილოეთის ზღვაში სავსებით უზრუნველყოფს თავს ენერგომატარებლებით და მათ ექსპორტს ახდენს სხვა ქვეყნებში. ისეთი გიგანტები, როგორიცაა ანგლო-ჰოლანდიური Royal Dutch/Shell და British Petroleum წარმოადგენენ მსოფლიო ლიდერებს ეკონომიკის ამ სექტორში. იმავდროულად გერმანია და სხვა ევროპული ქვეყნები მტკიცედ ინარჩუნებენ ენერგეტიკის არაეფექტიან დარგებს და სამთომომპოვებელ მრეწველობას, რადგან ითვალისწინებენ სოციალურ შედეგებს მათი დახურვის გამო. მაგალითად, გერმანიის ნახშირის ღირებულება 3-ჯერ მეტია მსოფლიო ფასზე, მაგრამ გერმანიის მთავრობა საჭიროდ მიიჩნევს გამოყოს დაახლოებით 200 მლრდ. მარკა.

ქვების მრეწველობა კარგადაა განვითარებული EU-ის უმრავლეს ქვეყანაში. საკუთრივ სოფლის მეურნეობის დაბალი ხვედრითი წილის მიუხედავად, EU-ის აგროსამრეწველო კომპლექსი იძლევა მშპ-ის დაახლოებით 25%-ს.

ქიმიურ მრეწველობას ტრადიციულად წამყვანი ადგილი უკავია გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის ეკონომიკაში. განსაკუთრებით ბობოქარი განვითარება ჰპოვა ბოლო წლებში ფარმაცევტულმა მრეწველობამ, რომელშიც EU-ს უკავია მოწინავე პოზიციები.

მსუბუქ მრეწველობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია EU-ის სამხრეთ ქვეყნების — იტალიის, ესპანეთის, პორტუგალიისა და საბერძნეთის ეკონომიკაში. საფეიქრო წარმოებაში ლიდერობს იტალია, ხოლო ფეხსაცმლის — ესპანეთი და პორტუგალია.

მანქანათმშენებლობა განვითარებულია EU-ის ყველა წამყვან ქვეყანაში, ასევე ევროპის ჩრდილოეთის პატარა ქვეყნებში. დაზგათმშენებლობის ლიდერებად რჩება — გფრ, დიდი ბრიტანეთი და შვედეთი. სამრეწველო რობოტმშენებლობაში დიდი წარმატებები აქვთ გფრ, შვედეთსა და იტალიას. გემთმშენებლობაში თავის პოზიციებს ინარჩუნებს გფრ (მესამე ადგილი მსოფლიოში), დანია, ესპანეთი და დიდი ბრიტანეთი (მე-6, მე-7, მე-8 ადგილები). ევროპულ კორპორა-

ციებს გააჩნია ავტომობილთა მსოფლიო ბაზარზე დიდი ხვედრითი წილი: „ფოლსვაგენი“ (გფრ) — ბაზრის 7,9%, ახლახან შექმნილი გერმანულ-ამერიკული კონცერნი „დაიმლერ-კრაისლერი“ — 7,4%, იტალიური „ფიატი“ — 5,3%, „პეჟო-სიტროენი“ (საფრანგეთი) — 3,9%. ძვირფასი ავტომობილების ბაზრებზე მყარი მდგომარეობა უკავია შვედურ „სააბს“ და „ვოლვოს“. EU-ის ავიაკოსმოსურ მრეწველობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს. ამ დარგის გაყიდვების შედარებით მცირე მოცულობები გერმანიასა და იტალიაში იმით აიხსნება, რომ მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ ავიამშენებლობის განვითარება მათში აკრძალული იყო და ისინი ახლაც ჯერ კიდევ ჩამორჩებიან ქვეყანა-გამარჯვებულებს. ამ დარგში წარმატებით ფუნქციონირებს ევროპული კონსორციუმები რეაქტიული ლაინერების — „Airbus“ და რაკეტამატარებლების — „Arian“ წარმოების მიხედვით.

მრეწველობის ტელესაკომუნიკაციო და საინფორმაციო დარგებში EU დიდი ხანი ჩამორჩებოდა აშშ-ისა და იაპონიას. ბოლო წლებში მიიღეს ენერგიული ზომები ამ დარგისათვის აუცილებელი დინამიზმის მინიჭებისა და საინფორმაციო-კომუნიკაციური კორპორაციების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. EU-ის სახელმწიფოები წავიდნენ ზოგიერთი არასაკმაოდ ეფექტიანი სახელმწიფო კომპანიის პრივატიზაციაზე. ტელესაკომუნიკაციო ბაზრებზე მკაცრ კონტროლზე უარის შემდეგ იქ მოხდა ჭეშმარიტად რევოლუციური ცვლილებები. კონკურენტულ ბრძოლაში გასამარჯვებლად ეროვნულ კომპანიებს დასჭირდათ მენეჯმენტის მთელი სისტემის რადიკალური შეცვლა. შედეგად კი, მაგალითად, Deutsche Telecom-მა შეძლო 40 ათასი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა, ასევე შეამცირა სატელეფონო საუბრებისას 1 წუთის ღირებულება 70%-ით. Deutsche Telecom-ის და Telecom Italia-ს შერწყმამ საშუალება მისცა შეექმნათ მსოფლიოში უძლიერესი ტელესაკომუნიკაციო იმპერია, რომელიც თანაბარ პირობებში გაუწევდა კონკურენციას კავ-

შირის ამერიკელ და იაპონელ ოპერატორებს. ფიჭური კავშირის ბაზრებზე ლიდერობს Nokia (ფინეთი), Ericson (შვედეთი) და Vodafone (დიდი ბრიტანეთი). ცნობილია საფრანგეთის წარმატებები ციფრული ტელევიზიის და გერმანიის — ბიოტექნოლოგიის სფეროში.

საფრანგეთის, იტალიის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის და საბერძნეთის მომსახურების სფეროში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტურიზმი. ტურისტულ ბიზნესში ლიდერობს საფრანგეთი (65 მლნ. ადამ.), დაახლოებით 50 მლნ. ტურისტს ღებულობენ იტალია და ესპანეთი. მრავალ ქვეყანაში ტურიზმი წარმოადგენს ეკონომიკის წამყვან დარგს. დიდ ბრიტანეთში ტურიზმში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 7% და მას მოაქვს ყოველწლიური შემოსავალი 12 მლრდ. დოლარის ოდენობით. საფრანგეთსა და დანიაში ტურიზმს მოაქვს საქონლის და მომსახურების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის დაახლოებით 12%, იტალიასა და შვეიცარიაში — 20%-ზე მეტი, ხოლო ესპანეთსა და ავსტრიაში — 35%.

EU-ის წამყვან ქვეყნებში კარგადაა განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო მომსახურება. ლამანშის ქვეშ ევროგვირაბის გახსნამ მტკიცედ დააკავშირა დიდი ბრიტანეთი კონტინენტალურ ევროპასთან. British Airways დღესდღეობით წარმოადგენს ყველაზე მსხვილ ავიაკომპანიას მსოფლიოში, ხოლო ინგლისური აეროპორტი Heatrow — ესაა პლანეტის უმსხვილესი აეროპორტი. სხვა უმსხვილესი აეროპორტები — ფრანკფურტი, დიუსელდორფი, მიუნხენი — გერმანიაში მდებარეობენ. საფრანგეთსა და გფრ-ში იქმნება შესანიშნავი მაღალჩქაროსნული მატარებლები, რომლებიც კონკურენციას უწევენ ავიაციას სიჩქარისა და კომფორტის მიხედვით. პრაქტიკულად მთელი ევროპა დაფარულია მაღალი კლასის მჭიდრო საავტომობილო გზების ქსელით, რომელთა შორის განსაკუთრებული და დამსახურებული პატივით სარგებლობს გერმანიის საავტომობილო გზები.

ევროპის წამყვანი ქვეყნები ტრადიციულად ძლიერნი არიან ფინანსური მომსახურების სფეროში. სწორედ ამ სფეროში

იქმნება დიდი ბრიტანეთის მშპ-ის 25%, სადაც დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 12% (დაახლ 4 მლნ. ადამ.). ლონდონი დიდი ხანია, რაც გახდა მსოფლიოს ფინანსური დედაქალაქი. გარდა ინგლისურისა, აქ წარმოდგენილია 50 უმსხვილესი ტრანსეროვნული ბანკი, რომელიც სამუშაოს ორგანიზებას ახდენს ევროვალუტის და სხვა ფინანსურ ბაზრებზე. ბოლო დროს ლონდონს გაუჩნდნენ კონკურენტები. გერმანიის ფრანკფურტმა დაიწყო ლიდერობისათვის ბრძოლა, რასაც ხელს უწყობს ფრანკფურტში ევროპის ცენტრალური ბანკის განთავსება. ძალიან განვითარებულია ბანკების ფინანსური საქმიანობა იტალიაში. იტალიური დასახლებული პუნქტების 67%-ში საბანკო დაწესებულებები ფუნქციონირებენ. მიმდინარეობს EU-ის ქვეყნების ფინანსური სისტემების თანდათანობითი შეზრდა და ასე მიდიან ერთიან სტანდარტებთან.

მომსახურების სფეროს მიეკუთვნება კულტურა, განათლება და მეცნიერება. ევროპული კულტურის ცენტრები საყოველთაოდ ცნობილია; მაღალია ევროპული განათლების ავტორიტეტიც, თუმცა იგი კონკურენციას ვერ უწევს აშშ-ს და იაპონიის საგანმანათლებლო სტანდარტებს. ევროპაში კარგი განათლების მიღება ბევრად იოლი და იაფია, ვიდრე ოკეანის იქით. მისი ხელმისაწვდომობა საშუალებას იძლევა გამოავლინონ ნიჭიერ ახალგაზრდების დიდი ოდენობა დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან.

EU-ის ქვეყნების მიღწევები დიდია სამეცნიერო სფეროში. ევროპას წამყვანი პოზიციები უკავია ფუნდამენტურ მეცნიერებებში, ბიოტექნოლოგიებში, კოსმოსურ პროგრამებში, თვითმფრინავმშენებლობაში, ჩქაროსნულ მატარებლების მშენებლობა, ატომურ ენერგეტიკაში, კავშირის საშუალებებში და სხვ. თუმცა ექსპერტები აღნიშნავენ ევროპის სამეცნიერო-საპროექტო კვლევების ერთგვარ ჩამორჩენას ამერიკულისა და იაპონურისაგან. ამის მიზეზს წარმოადგენს EU-ის სახელმწიფოების მიერ მეცნიერების არასაკმარისი დაფინანსება, ერთობლივი კაპიტალის უკმარისობა, სამეცნიერო ინ-

ფრასტრუქტურის (საპატენტო ბიუროების, ერთობლივი ფონდების, საინფორმაციო ცენტრების და ა.შ.) არასრულყოფილება. აღნიშნული ჩამორჩენილობის დასაძლევად EU ახორციელებს მთელ რიგ სამეცნიერო პროგრამებს.

ჩამოვაყალიბოთ EU-ის მოდელის *ძირითადი განმასხვავებელი თავისებურებები.*

მთლიანად EU-ის და EU-ის ქვეყანათა უმრავლესობის ეკონომიკების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს სახელმწიფოს აქტიური როლი და ბაზრის საკმაოდ მკაცრი რეგულირება. ეს მჟღავნდება საბიუჯეტო დანახარჯების მაღალ წილში EU-ის მშპ-ში, რომელიც შეადგენს დაახლოებით 50%-ს. აშშ-ის და იაპონიის ეკონომიკებისგან განსხვავებით, EU-ის მშპ-ის სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წონა მაღალია. EU-ის სახელმწიფოები გამოდიან არა მარტო ბაზრის რეგულატორებად, არამედ აქტიურ მეწარმეებად. EU-ის ეკონომიკურ მოდელს აქვს სოციალურად ორიენტირებული ხასიათი. ეს გამოიხატება სხვადასხვა სოციალური ფონდის (საპენსიო და სხვ.) მაღალ ხვედრით წონაში მშპ-ს მიმართ. პენსიები და დახმარებები უმუშევრობაზე EU-ში მაღალია, რაც, ერთი მხრივ, მოქალაქეებს აძლევს საიმედო სოციალურ გარანტიებს და მეორე მხრივ, ამცირებს სტიმულს ახალი სამუშაოს დაჩქარებულ ძიებაში. ეს კი მძიმე ტვირთად აწვება პროდუქციის თვითღირებულებას, რითაც მცირდება მისი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზრებზე. EU-ისათვის დამახასიათებელია ძალიან თავისებური და საკმაოდ ეფექტიანი საბაზრო-ეკონომიკური მოდელი, რომელიც ზოგიერთ ბაზარზე ევროპული საქონლის არაკონკურენტუნარიანობის კომპენსირებას ახდენს.

როგორც გვახსოვს, განვითარებული ქვეყნების კეთილდღეობა, რომლებიც დაადგნენ პოსტინდუსტრიული განვითარების გზას, უმეტესწილად დაფუძნებულია მშპ-ში დიდი ხვედრითი წონის მქონე მომსახურების ძალიან ტევად შიდა ბაზარზე. ამ ქვეყნების მოქალაქეები ერთმანეთს შორის ცვლიან ძვირადღირებულ მომსახურებას და ძვირადღირებული მეცნიერებატევადი საქონლის და ტექნოლოგიის ექსპორ-

ტირებას ახდენენ. სანაცვლოდ ისინი შედარებით იაფი ნედლეულის და მასობრივი წარმოების იმპორტს მიმართავენ. ამასთან, ბუნებრივია, აუცილებელია მოსახლეობის იმ ჯგუფების საჭირო სასიცოცხლო დონის როგორღაც მხარდაჭერა, რომლებიც მასობრივი წარმოების საქონელს აწარმოებენ, კერძოდ, კვების პროდუქტებს, ენერგეტიკულ პროდუქციას და ა.შ. ამისათვის გამოსადეგია ორი საშუალება: ან ამ წარმოების დოტაცია ქვეყნის ბიუჯეტიდან, ან შიდა ბაზრის ფასების ხელოვნური აწევა ისე, რომ მათი მწარმოებლების შემოსავლები შეესაბამებოდეს ამ ქვეყნების ცხოვრების დონეს.

EU ფართოდ იყენებს სახელმწიფო დახმარებას სოფლის მეურნეობისათვის, მომპოვებელი და ეკონომიკის სხვა დარგებისათვის, რომელთა პროდუქციის თვითღირებულება მნიშვნელოვნად აჭარბებს მსოფლიო ფასებს. გარდა ამისა, EU-ში უკვე დიდი ჩანია წარმატებით გამოიყენება სავსებით უცნაური საგარეო-ეკონომიკური მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა — ეკონომიკისათვის ზიანის მიყენების გარეშე, მხარი დაუჭიროს შიდა ბაზარზე მასობრივი მოთხოვნის საქონელზე ფასების მაღალ დონეს, და ამავდროულად, წარმატებით ახორციელებს ამ ჯგუფების საქონლის ექსპორტს.


ამ მოდელის არსი შემდეგშია: EU-ის საზღვარზე ზოგიერთი საქონლის იმპორტის ჯგუფიდან იღებენ საკომპენსაციო მოსაკრებლებს. მათი ზომები იმგვარია, რომ იმპორტირებული საქონლის და საკომპენსაციო მოსაკრებლების ფასის თანხა უტოლდება შიდა ბაზრის ფასს. ამგვარად, საქონლის შეტანისას მათი ფასი იზრდება შიდა ბაზრის ფასებამდე, რომელიც აწყობს EU-ის მოცემულ დარგში მომუშავე საწარმოს. საკომპენსაციო მოსაკრებლები, რომელთაც იხდიან იმპორტიორები, მიდის სპეციალურ არასაბიუჯეტო ფონდში. თუკი ამ დარგების საწარმონი პროდუქციის ექსპორტს ახდენენ, მაშინ ისინი ამ ფონდიდან ღებულობენ თანხებს, რომელიც ტოლია სხვაობისა შიდა ბაზრის ფასსა და მსოფლიო ფასს შორის. აქ ძალიან მნიშ-

ვნელოვანია, რომ ამოღებული მოსაკრებლები მიდის არა ბიუჯეტში, არამედ არასაბიუჯეტო ფონდში. თუკი გადასახდელები წავიდოდა ბიუჯეტში, მაშინ ისინი უნდა გათანაბრებოდა ჩვეულებრივ იმპორტულ ბაჟს. ხოლო მათ ზომებს ყურადღებით ადევნებს თვალს WTO. საკომპენსაციო მოსაკრებლები ზოგიერთ პროდუქტზე მათი ფასის 300%-ს აჭარბებს და, რა თქმა უნდა, ასეთი ზომის ბაჟი ეწინააღმდეგება WTO-ს წესებს. ხოლო ბიუჯეტში არსებული საკომპენსაციო მოსაკრებლები შეესაბამება WTO-ს წესებს. ყოველ შემთხვევაში, ეკ-ის ქვეყნებმა მოახერხეს დაერწმუნებინათ WTO, რომ *საკომპენსაციო მოსაკრებლების მექანიზმი სავსებით შეესაბამება მის პრინციპებს.*

საკომპენსაციო მოსაკრებლების მექანიზმი თვალსაჩინოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ რაბის სახით (სურ. 9.1.). ოღონდ წყლის მაგივრად იქ აიწევ-დაიწევა ფასები. იმპორტის დროს ეს მექანიზმი ზრდის ფასებს მსოფლიოდან შიდა ბაზრის ფასამდე, ხოლო ექსპორტის დროს დაბლა უშვებს შიდა ბაზრის ფასიდან მსოფლიომდე.

ავხსნათ ეს მნიშვნელოვანი სქემა თვალსაჩინო მაგალითზე. დავუშვათ, ხდება მარცვლეულის იმპორტი მსოფლიო ფასით 100 დოლ/ტ. მარცვლეულის ფასი შიდა ბაზარზე შეესაბამება წარმოების მაღალ თვითღირებულებას და ტოლია, ვთქვათ, 200 დოლ/ტ. იმპორტიორი იხდის საკომპენსაციო მოსაკრებლებს 100 დოლ/ტ-ზე ზემოთ. ეს გადასახდელი გროვდება სპეციალურ არასაბიუჯეტო ფონდში. თუ EU-ში იწარმოება ხორცი, რომლის შიდა ფასი ტოლია 2000 დოლ/ტ, ხოლო მსოფლიო ფასი — 1000 დოლ/ტ, მაშინ EU-ის ექსპორტიორები იღებენ ფონდიდან კომპენსაციას ზომით 1000 დოლ/ტ. ამგვარად, ხდება ექსპორტის სტიმულირება.

რა თქმა უნდა, ასეთი მექანიზმის წარმატებით მოქმედებისათვის აუცილებელია, რომ საკომპენსაციო მოსაკრებლების თანხა, მიღებული იმპორტიორებისგან, უტოლდებოდეს ფონდიდან გაცემულ თანხას ექსპორტიორებისათვის. ამისათვის საჭიროა ყურადღებით ვადევნოთ თვალი ექსპორ-



სურ. 9.1. საკომპენსაციო მოსაკრებლების მექანიზმის მოქმედების სქემა.

ტის და იმპორტის სტრუქტურას. საკომპენსაციო მოსაკრებლების მექანიზმის უპირატესობას წარმოადგენს მათი არაჩვეულებრივი მოქნილობა (მოსაკრებელის ზომა ავტომატურად განისაზღვრება, როგორც მსოფლიო და შიდა ბაზრის სხვაობა) და მათი, თუმცა კი წმინდა ფორმალური, აღიარებული შესაბამისობა WTO-ს პრინციპებთან.

EU-ის უმეტეს ქვეყნებში ხელისუფლებაში იმყოფებიან სოციალური ორიენტაციის პარტიები (სოციალისტური, სოციალურ-დემოკრატიული და ა.შ.). მათ პროგრამებში მკაფიოდაა ასახული საზოგადოების მიზნები, სადაც სოციალური სამართლიანობის პრინციპები იქნება დაცული; ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი აპირებენ საბჭოთა ტიპის სოციალიზმის აშენებას. დასავლეთის სოციალისტები ბაზრის მტკიცე მომხრეები არიან, მაგრამ სოციალურად ორიენტირებული ბაზრის სახელმწიფოს წამყვანი როლით ეკონომიკაში. მიუხედავად ამისა, თანამედროვე სიტუაციაში EU-ის ქვეყნების „მემარცხენე“ მთავრობათა უმეტესობამ დაიწყო და წარმა-

ტებით ახორციელებს ლიბერალურ რეფორმებს, რომელიც მიმართული იქნება სახელმწიფოს როლის შემცირებასა და ეკონომიკის დერეგულირებისკენ. დასავლეთევროპული სოციალისტები არ არიან „ჯიუტი“ დოგმატიკოსები. ისინი ძალიან პრაგმატული და საღად მოაზროვნე ადამიანები არიან, რომლებიც მზად არიან მოქნილად შეცვალონ თავისი სტრატეგია შექმნილი ვითარების მიხედვით. თანამედროვე გლობალურ სამყაროში, პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში ეკონომიკის განსაზღვრული ლიბერალიზაცია ეფექტიანია და მმართველი სოციალური პარტიები სავსებით წარმატებით ატარებენ ლიბერალურ რეფორმებს.

უნდა ვისწავლოთ ისე მოვეპყროთ ლიბერალიზაციას, სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებას, ნაციონალიზაციას და პრივატიზაციას, როგორც ინსტრუმენტებს, რომელთა არჩევა დამოკიდებულია ქვეყანაში ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ სიტუაციაზე, არაფორმალური ინსტიტუტების სიმწიფეზე, კორუფციის დონეზე და, ძირითადად, მოცემულ ისტორიულ ეტაპზე დამკვიდრებულ წარმოების და მართვის ტექნოლოგიებზე. თუკი პოლიტიკა წარმოადგენს ეკონომიკის კონცენტრირებულ გამოვლინებას, მაშინ ეკონომიკა ესაა გაბატონებული ტექნოლოგიური წყობის კონცენტრირებული გამოვლენა. ანუ ესა თუ ის *ეკონომიკური ფორმები და ინსტრუმენტები უნდა იყოს დომინირებული ტექნოლოგიების ადეკვატური* და მათი შერჩევა უნდა ხდებოდეს მხოლოდ ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით.

ევროკავშირის ქვეყნების ტრანსეროვნულ კორპორაციებს და მეგაკორპორაციებს აქვთ მნიშვნელოვანი თავისებურებანი. მთელ ევროპაში ტეკ-ებს ძირითადად გააჩნიათ კონცერნების ფორმა, ხოლო მათი ურთიერთობა ერთმანეთს შორის, ჯგუფების ორგანიზაცია და სახელმწიფოსთან კავშირი საკმაოდ თავისებურია. EU-ში მთლიანად ტეკ-ის განვითარების დახასიათებისას შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ისინი ერთობლივად მრავალჯერადად უსწრებენ აშშ-ის FDI-ის სიდიდის და ტრანსეროვნულობის ინდექსის მიხედვით, თუმცა ცალკეული ქვეყნე-

ბის FDI-ის მოცულობები დაახლოებით ორჯერ ჩამორჩება ამერიკულს. ევროპაში წამყვან როლს თამაშობენ გერმანიის ტეკები. *ყველა გერმანული ტეკ-ის ევოლუცია მიმდინარეობდა უნივერსალური მსხვილი ბანკების (გროსბანკების) ძლიერი გავლენის ქვეშ*, რომლებიც შეიქმნა ჯერ კიდევ XIX ს-ის 70-იან წლებში გერმანული მრეწველობის მხარდასაჭერად და მთელი დროის განმავლობაში ინარჩუნებდა მჭიდრო კავშირს სახელმწიფოსთან. უკვე კარგა ხანია, რაც წამყვან ფინანსურ ჯგუფებს უკავიათ საკვანძო პოზიციები ეკონომიკაში.

მიუხედავად იმისა, რომ უმსხვილესი კონცერნები და ბანკები ინარჩუნებენ თავის იურიდიულ დამოუკიდებლობას, ისინი ფაქტიურად შეეზარდნენ მძლავრ ფინანსურ ჯგუფებს. გერმანიის თავისებურება დაკავშირებულია იმასთან, რომ აქ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჯგუფური კონტროლის სისტემაში გააჩნია ბანკების მმართველი პირადი კავშირების მექანიზმებს უმსხვილეს სამრეწველო, სავაჭრო, სადაზღვევო კომპანიებთან.

გერმანული ტეკ-ის გენეზისის თავისებურებამ ასახვა ჰპოვა *ტეკ-ების მეგაჯგუფების ორგანიზაციათა სტრუქტურასა და ფორმაში*. გერმანიის წამყვანი კონცერნები ფლობენ უზარმაზარ რეალურ ძალაუფლებას წვრილ აქციონერთა უცხო კაპიტალზე, იმ შემთხვევაშიც კი თუ გააჩნია საკუთარი კაპიტალის შედარებით მცირე წილი. იმავდროულად ისინი ჩვეულებრივ თვითონ შედიან გროსბანკების ან სხვა ფინანსური სტრუქტურების ჯგუფებში. როგორც წესი, გერმანიაში ფინანსური ჯგუფის ბირთვი ყალიბდება ბანკის გარშემო, რომელიც კონტროლის ცენტრი და სათავო ბანკი ხდება ყველა არაფინანსური კონცერნის მიმართ, რომლებიც შედიან მოცემულ ფინანსურ ჯგუფში. ასე მაგალითად, ფინანსური ჯგუფის „დოიჩე ბანკის" შემადგენლობაში შედის ტრანსეროვნული კონცერნები „სიმენსი", „ბოში", „დაიმლერ-ბენცი", „ტისუნი", ხოლო ფინანსურ ჯგუფ „დრეზდნერ ბანკში" — ტრანსეროვნული კორპორაციები „ხეხსტი", „კრუპი", „გრიუნდიგი", ფინანსურ ჯგუფ

„კომერც ბანკში“ — ტეკ-ები „გოლდშმიდტი“, „კარშტადტი“, „კაუფხოფი“ და სხვ.

აღნიშნული ფინანსური ჯგუფები აკონტროლებენ გერმანული მრეწველობის ძირითად ნაწილს, აგრეთვე ვაჭრობას, ტრანსპორტს, საყოფაცხოვრებო მომსახურების ნაწილს, საკრედიტო სისტემას, გფრ-ის ეკონომიკის სხვა სექტორებს. პრაქტიკაში უმსხვილესი კონცერნების ნახევარზე მეტი, რომელიც ფუნქციონირებს გერმანიის გადამამუშავებელ მრეწველობაში, მოცულია ამ სამი ძლავრი ფინანსური ჯგუფის მექანიზმით, აგრეთვე რეგიონალური ჯგუფებით „ბაირიშე ჰიპოტეკენ უნდ ვექსელბანკ“ და „ბაირიშე ფერაინსბანკ“, რომელთა საქმიანობა ძირითადად ვითარდება ბავარიაში.

საფრანგეთში ტეკ-ების ევოლუცია მიმდინარეობდა მათში საბანკო კაპიტალის მონაწილეობის განსაზღვრული სამართლებრივი შეზღუდვებით და სახელმწიფოს მხრიდან დირიჟორის პოლიტიკის გავლენით.

ამან გამოიწვია ის, რომ *სტრუქტურულ ასპექტში* საფრანგეთის სამრეწველო ჯგუფები თავისთავად წარმოადგენს, როგორც წესი, ერთ მთლიანს საწარმოო თვალსაზრისით, რომელიც ჩამოყალიბებულია საწარმოთა ტექნოლოგიური ურთიერთკავშირის ბაზაზე. წამყვანი სამრეწველო ჯგუფები ხდებიან საბაზრო ლიდერები კონკრეტულ დარგებში ან წარმოების სახეებში. ამასთან, მათი ფინანსური „ბირთვი“ ჯგუფში სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების ორგანოს წარმოადგენს. ეს „ბირთვი“ შეიძლება გამოვიდეს ჰოლდინგის ან სათავო კომპანიის ფორმით. „ბირთვის“ დონეზე წყდება ფილიალების აქციების ყიდვის ან რეალიზაციის საკითხები, აგრეთვე საინვესტიციო და საკრედიტო პოლიტიკის გატარება. ამასთან ყურადღება ექცევა იმას, რომ ფილიალების მართვა ხორციელდებოდეს ჯგუფების განვითარების საერთო სტრატეგიის ჩარჩოებში.

ფრანგული, იტალიური და გერმანული ტეკ-ების არსებით თავისებურებას წარმოადგენს მათი *უმჭიდროესი კავშირი სახელმწიფოსთან*. ამასთან, საფრანგეთში და იტალიაში საკმაოდ გავრცელდა სახელმწიფო ჯგუფები და სახელ-

მწიფო ჰოლდინგები. მრავალი მათგანი იქმნებოდა ერთი დარგის სხვადასხვა ნაციონალიზებული კომპანიის გაერთიანების გზით, თუმცა შემდგომ მათში მკაფიოდ ვლინდებოდა დივერსიფიკაციის მიმართულებები.

EU-ის თანამედროვე ეკონომიკაში შეიძლება გამოვყოთ *რიგი ტენდენციები*, რომელთა ნაწილი მსოფლიოს თავისებურ გარდასახვას წარმოადგენს.

EU-ში მნიშვნელოვან ტენდენციად იქცა (ისევე როგორც აშშ-ში) თავისებური *ახალი ეკონომიკის* წარმოქმნა, რომელიც ეფუძნება მაღალტექნოლოგიურ, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტეკ-ებს. ახალი ტენდენცია, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთელი შემდგომი განვითარებისათვის, ხდება *ტრანსატლანტიკური ეკონომიკის წარმოშობა*. ორი გიგანტური ეკონომიკური ცენტრი — აშშ და EU — პრაქტიკულად ერთმანეთის ტოლი ზომებითა და განვითარების დონით, ახლობელი ცივილიზაციური საფუძვლებით, სულ უფრო უახლოვდება ერთმანეთს ეკონომიკურად. ევროპული ტეკ-ების საერთო განმასხვავებელ ნიშნად და თავისებურ ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს მათი საკუთრების სტრუქტურაში კომპანიის დამფუძნებელთა *დაბალი და კლებადი ხვედრითი წილი* (ისინი აკონტროლებენ კორპორაციათა მხოლოდ 7%-ს), აგრეთვე ბანკების და სხვა ინვესტორების მაღალი და მუდმივად მზარდი ხვედრითი წილი, რომლებიც აკონტროლებენ ტეკ-ებისა და ინსაიდერების დაახლოებით 45%-ს. მნიშვნელოვან ტენდენციას, როგორც გამოვლინდა საფრანგეთსა და იტალიაში, წარმოადგენს *სახელმწიფო ჰოლდინგების ნაწილის თანდათანობითი და დაბალანსებული პრივატიზაცია*. ეს დაკავშირებულია ამ ქვეყნების კორპორაციების სიმწიფის განსაზღვრული დონის მიღწევასთან, რაზეც შეიძლება მოიხსნას სახელმწიფო ბერკეტები.

ბოლო წლებში სულ უფრო მკვეთრად ვლინდება *ოკეანისგაღმა კონკურენტებთან ევროპული კომპანიების გაერთიანების ტენდენცია*. მაგალითად, 2000 წ. ცალკეულ კომპანიებმა Telecom Italia SPA და Deutsche Telecom გამოაცხადეს შერწყმის შესახებ.

ევროპაში, ისევე როგორც აშშ-ში, ბანკები სულ უფრო კარგავენ სტრატეგიულ ინიციატივას. ისინი განვითარებული ელექტრონული კაპიტალის ბაზრის წარმოშობასთან ერთად თმობენ თავის კონკურენტულ უპირატესობებს, რაც გადადის სადაზღვევო კომპანიებსა და საინვესტიციო ფონდებში. მაგალითად, გერმანიაში უმსხვილესი მსოფლიო სადაზღვევო კომპანია Allianz ძლიერ ავიწროვებს ამ ქვეყნის უმსხვილეს ბანკს Deutsche Bank. ბოლო წლებში Allianz-მა საგრძნობი ზიანი მიაყენა ბავარიაში გროსბანკს. იგი უპირისპირებს გროსბანკის ტრადიციულ კავშირებს სახელმწიფოსთან აგრესიულ ტრანსეროვნულ პოლიტიკას და გერმანიისათვის ახალ ანგლო-ამერიკული სახის მენეჯმენტს.

ევროპაში სწრაფად იზრდება შერწყმათა რიცხვი. თუკი ჯერ კიდევ 1998 წელს აშშ და დიდი ბრიტანეთი ლიდერობდნენ შერწყმის და შთანთქმის რიცხვით და ღირებულებით, ხოლო ტერმინი „ტრანსატლანტიკური შერწყმა" უფრო განეკუთვნებოდა აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის კომპანიების ინტეგრაციას, კონტინენტალური ევროპის ფირმების უმეტესობის შერწყმა ხორციელდებოდა ევროპული ფირმების მიერ, ახლა სიტუაცია პრინციპულად იცვლება. რა თქმა უნდა, 1999 წ. აშშ-ის წილი შერწყმის და შთანთქმის ბაზრებზე აჭარბებდა EU-ის ქვეყნების წილს, მაგრამ თუკი პირველი შემცირდა 10%-ით, მეორე გაიზარდა 3-ჯერ მეტად; ამასთან, 1999 წლის ბოლოს ზრდის ტემპები მხოლოდ გაიზარდა.

1999 წ. მტრულ შთანთქმათა წილი მრავალჯერ გაიზარდა. მაგალითად, თუკი 1998 წ. შერწყმის საერთო ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 650 მლრდ. დოლარი და მათგან მხოლოდ 2-3 მლრდ. დოლარია მტრული, 1999 წელს კი შერწყმების საერთო ღირებულებამ შეადგინა 1350 მლრდ. დოლარი, ხოლო მათგან თითქმის 400 მლრდ. დოლარი მტრულია. განსაზღვრული ხარისხით იგი წარმოადგენს ბანკების მიერ მრეწველობის კონტროლზე გაცხადებული უარის შედეგს, რის გამოც აქციათა დიდი მოცულობა განიცდის კოტირებას საფონდო ბაზრებზე.

აღვნიშნავთ, რომ უმეტეს ტრანსატლანტიკურ შერწყმებში დომინირებულ როლს თამაშობს დასავლეთ ევროპის ტეკ-ები, განსაკუთრებით გფრ-ის. მაგალითად, 1999 წ. ევროპული და ამერიკული კომპანიების შერწყმა თავისთავად წარმოადგენს ამერიკული ტეკ-ების ევროპულთა მიერ შთანთქმას (შედარებისათვის აღვნიშნოთ, რომ 1998 წ. მათი წილი შეადგენდა 14%-ს).

სხვადასხვა ევროპული ქვეყნების ტეკ-ები ძლიერ განსხვავდება *თავისი შიდა საკადრო პოლიტიკითა და მენეჯმენტის სტილით.* დიდი ბრიტანეთის ტეკ-ები იყენებენ რამდენადმე განსხვავებულ სტრატეგიას საერთაშორისო კოლექტივის ჩამოყალიბებისას. ძალიან ბევრ მსხვილ კომპანიაში პრეზიდენტები და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეები უცხოელი მენეჯერები ხდებიან. ამ თვალსაზრისით, დიდი ბრიტანეთი აჭარბებს სხვა სახელმწიფოებს, სადაც უცხოური ტოპ-მენეჯმენტის როლი მნიშვნელოვნად დაბალია. მსგავსი განვითარების მიზეზები ის არის, რომ დიდი ბრიტანეთი ყალიბდებოდა როგორც მომსახურების ცენტრი (განსაკუთრებით ფინანსურ სფეროში), საბირჟო ცენტრი და ყოფილი კოლონიალური სახელმწიფო, რომელიც ადრე კოლონიებში იყენებდა ადგილობრივ მოსამსახურეებს. უცხოელი მენეჯერები ინგლისური ტეკ-ების ხელმძღვანელობის უმაღლეს დონეზე ძირითადად ინგლისურენოვანი ქვეყნების წარმომადგენლები (აშშ, ავსტრალია) და ყოფილი კოლონიებიდან (სარ, ირლანდია, სიანგანი, კენია) არიან, მაგრამ ზოგიერთი — საფრანგეთიდან. *ფრანგული ტეკ-ები* კი, პირიქით, ძალიან ფრთხილად უდგებიან სხვა სახელმწიფოთა ტეკ-ებთან თანამშრომლობის პერსპექტივებს, აგრეთვე შერწყმებს და შეერთებებს. უდავოა, რომ საფრანგეთის ტეკ-ები მონაწილეობენ შერწყმის და შთანთქმის პროცესში, მაგრამ უფრო ნაკლები ხარისხით, ვიდრე გერმანული და ამერიკული. ფრანგული ტეკ-ები ისწრაფვიან ქვეყნის შიგნით ინტეგრაციისკენ და არა საერთაშორისო შერწყმებისკენ. 1999 წ. საფრანგეთის ტეკ-ებმა შეიძინეს უცხოური კომპანიები 126 მლრდ. დოლარის აქტივებით. იმავდროულად FDI-ები ფრანგულ კომ-

პანიებში შეადგენს მხოლოდ 36 მლრდ. დოლარს და ძირითადად ხორციელდება პატარა კომპანიებში.

თუმცა შეუძლებელია საფრანგეთის ტექ-ების საგარეო ინვესტორებზე სულ უფრო მზარდი დამოკიდებულების უარყოფა, რაც აისახება მათ მიერ მნიშვნელოვანი პაკეტების კონტროლში.

ლამაზი ფასადით შენიღბული სიღარიბე. როგორც ჩანს, იტალიური კეთილდღეობა უფრო ილუზიაა, ვიდრე რეალობა. ამას თუნდაც შემდეგი მაჩვენებლებიც ამტკიცებს: იტალიის მოსახლეობის 11 პროცენტზე მეტი სიღარიბეში ცხოვრობს, ხოლო 18-დან 34 წლამდე ასაკის ახალგაზრდები მშობლებთან რჩებიან, რადგან მათ საკუთარ ბინაში გადასვლის და დამოუკიდებლად არსებობის სახსარი არა აქვთ.

ევროპელთა, თუმცა რატომ მხოლოდ ევროპელთა, თვალში იტალია მოდის კანონმდებელი ქვეყანაა. თუმცა, როგორც ჩანს, ამ მოჩვენებითი კეთილდღეობის იქით დამალულია ნამდვილი სახე სახელმწიფოსი, რომელშიც აპენინის ნახევარკუნძულის მკვიდრი მრავალი ოჯახი ძლივს ართმევს თავს საკუთარი თავისა და ოჯახის გამოკვებას.

როგორც ამ ბოლო დროს იტალიის სტატისტიკის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა, 2,5 მილიონ იტალიელზე მეტი (ანუ ყოველი მეათე მათგანი), სიღატაკის საზღვარზე ცხოვრობს. შემდეგმა 8,1 პროცენტმა დროებით მოახერხა და დაძლია იგი, თუმცა გამორიცხული არაა, რომ ისინი კვლავ სიღატაკეში აღმოჩნდნენ.

თუმცა, როგორც იტყვიან, ნახევრად წყლით შევსებულ ჭიქას სრულიად განსხვავებულად შეიძლება შევხედოთ: ზოგი მას დაინახავს, როგორც უფრო შევსებულს, ხოლო ზოგიც - როგორც უფრო ცარიელს. მაგალითად, თავის ამასწინანდელ გამოსვლაში იტალიის პრემიერი რომანო პროდი ამაყობდა თავისი ქვეყნის ბოლოდროინდელი მიღწევებით:

- იტალია უკვე აღარაა ევროპის ავადმყოფი წევრი, როგორც უწინ - განაცხადა მან - ჩვენი ეკონომიკის განვითარების ტემპები უახლოვდება ევროკავშირის საშუალო მაჩ-

ვენებელს. 14 თვის წინათ, როდესაც ჩვენ ქვეყნის მთავრობა ჩავიბარეთ, ეროვნულ მეურნეობის განვითარების ტემპი 1,3%-ით ჩამორჩებოდა ევროკავშირის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს. დღეს ეს მაჩვენებელი 0,6%-მდე შემცირდა. ეს მდგომარეობა არაა ბოლომდე დამაკმაყოფილებელი, მაგრამ როგორც ჩანს, მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება.

თუმცა ამჟამად, როდესაც ქვეყანას სათავეში პროდის მემარცხენე-ცენტრისტული მთავრობა უდგას, მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გაცილებით უკეთესად გამოიყურებიან, ვიდრე ადრინდელი პრემიერის, სილვიო ბერლუსკონის პრემიერობისას, მაგრამ, როგორც ჩანს, საშუალო იტალიელის ცხოვრებაში ამით ბევრი არაფერი შეცვლილა.

უკვე 4 წელზე მეტია, რაც იტალიის მოსახლეობაში ღარიბი ოჯახების ხვედრითი წილი 11-12% ფარგლებში მერყეობს. ამასთან ღარიბად მიიჩნევა ოჯახი, რომელიც შედგება ორი სულისაგან და რომლის საშუალო თვიური შემოსავალი 970 ევროს არ აღემატება.

■ ქვეყანაში შექმნილია კრიზისული სიტუაცია, საიდან გამოსვლისათვისაც ხელისუფლებამ შესაბამისი სოციალური ბერკეტები უნდა გამოიყენოს - განაცხადა საზოგადროებრივი თანასწორობის მინისტრმა პაოლო ფერარიმ. ამასთან, მას არ დაუმალავს, რომ მთავრობა ბევრს არაფერს აკეთებს მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.

სხვათაშორის, როგორც ჩანს, სიღარიბის პრობლემა არც ისეთ განვითარებულ ქვეყნებშია გადაჭრილი, როგორიც საფრანგეთი და გერმანიაა. კერძოდ, გაზეთ „მთელ კვირაში" (31 დეკემბერი, 2007 წელი), ემიგრანტი ზაქარია ლაშქარაშვილი, რომელსაც საფრანგეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული, იწუნებს მიხეილ სააკაშვილის ლოზუნგს „საქართველო სიღარიბის გარეშე" და ასეთ რამეს ამბობს:

„ეს არასწორი ლოზუნგია. მას სჯობდა ეთქვა „შიმშილის გარეშე" საფრანგეთი და გერმანია მოწინავე ქვეყნებია, მაგრამ იქ მთავრობის პრიორიტეტია სიღარიბესთან ბრძოლა. საფრანგეთში სიღარიბე დაძლეული არაა. ორი მანქანა

მყავს, სახლი მაქვს და ერთი კაცი რვა სულს ვარჩენ, მაგრამ აქაური კრიტერიუმებით ღარიბად ვითვლები".

იმ ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომელშიც ცხოვრობენ იტალიის მდიდარი ჩრდილოეთ რეგიონებსა და სამხრეთის ღარიბ პროვინციებში, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყანა ორ ნაწილადაა გაყოფილი. ამასთან, ღარიბი ოჯახების 65 პროცენტი „იტალიური ქუსლის" ვაკე ადგილებში ცხოვრობს.

ეკონომიკურად გაჭირვებული ადამიანების უდიდეს რაოდენობას ასაკოვანები შეადგენენ. ამ უკანასკნელთა ხვედრით წილი საზოგადოებაში ბოლო 2-3 წელიწადში 5,8 პროცენტიდან 8,2 პროცენტამდე გაიზარდა. თუმცა არც უფრო ახალგაზრდა ასაკის ადამიანები არიან უკეთეს მდგომარეობაში. Furospes-ის მიერ ამას წინანდელი გამოქვეყნებული ანკეტის მიხედვით ირკვევა, რომ ახალგაზრდა, 18-დან 34 წლამდე ასაკის იტალიელთა 59% კვლავაც დედ-მამასთან ცხოვრობს. ეს ნამდვილი ევროპული რეკორდია, სადაც ანალოგიური საშუალო მაჩვენებელი 30 პროცენტს არ აღემატება.

ფაქტია, რომ ბოლო წლებში სამეურნეო კრიზისი და ეკონომიკური გაჭირვება, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდებს შეეხოთ. თუმცა ამ ვითარებას მხოლოდ ფინანსური სირთულეები როდი განსაზღვრავს. ეს მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც ახალგაზრდა იტალიელები არა ტოვებენ მშობლების სახლს. ამასთან, ეს მოვლენა უფრო ვაჟებს ეხება, ვიდრე ქალიშვილებს. 30 წელს გადაცილებული იტალიელი მამაკაცების 37 პროცენტი კვლავ მშობლების სახლში აგრძელებს ცხოვრებას. ამ მოვლენამ,, დედიკოს ბიჭების" Mammone სახელწოდებაც მიიღო და იგი ამ ვაჟბატონების დამოუკიდებლად ცხოვრების უუნარობას უკავშირდება.

■ აუცილებელია მათი სახლებიდან გამოყვანა – განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა ტომაზო სხიოპამ – და მის ამ განცხადებას მალე შესაბამისი პროგრამაც მოჰყვა, რომელიც ასეთი ადამიანებისათვის საცხოვრებელი ბინების შეღავათიან პირობებში გამოყოფასაც ითვალისწინებს.

ევროპის ქვეყნების თანამედროვე ეკონომიკური რეფორმები

სლოვაკეთის ეკონომიკური სასწაული. აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც 2004 წელს ევროკავშირის ერთიანი ოჯახის წევრები გახდნენ, როგორც ჩანს, რეფორმებს ყველაზე აქტიურად და ეფექტურად სლოვაკეთი ატარებს. შედეგიც სახეზეა: ბოლო წლებში ამ ქვეყანაში მშპ-ს ზრდის ტემპების საშუალოდ თითქმის 10 პროცენტის დონეზეა. მაღალია სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიც. ყოველივე ამის გამო ექსპერტები სლოვაკეთს აღმოსავლეთ ევროპულ „ვეფხვადაც“ მიიჩნევენ.

ქვეყანაში მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა მოსახლეობის კეთილდღეობის მატების სერიოზული ფაქტორი ხდება. კერძოდ, გასული წლის ბოლოს პირველად ისტორიაში საშუალო ხელფასმა 20 ათას კრონას გადააჭარბა (დაახლოების 1300 ლარს). მოსახლეობის ცხოვრების დონეზე დადებითად აისახება ისიც, რომ სლოვაკური ვალუტის კურსი ყოველთვიურად და ყოველკვირეულად მყარდება.

იყო დრო, როდესაც სლოვაკებს მიაჩნდათ, რომ თუ ვინმეს ცხოვრებაში წარმატების მიღწევა სურდა, იგი დასავლეთში, ან პრაღაში მაინც უნდა წასულიყო. „ხავერდოვანი გაყრის“ პერიოდში სლოვაკეთისა და ჩეხეთის ვალუტების კურსები როგორც 1:1, ისე შეეფარდებოდა ერთმანეთს. შემდგომ პერიოდში, რამდენიმე წლის მანძილზე, ერთ ჩეხურ ეროვნულ ვალუტაში 1,30-1,40 სლოვაკურ კრონას იხდიდნენ. ამჟამად, მიუხედავად იმისა, რომ ჩეხური ვალუტის კურსიც გამყარდა ევროსა და დოლარის მიმართ, ჩეხურ ვალუტაში მაქსიმუმ 1,20 სლოვაკურ კრონას თუ მოგცემენ. ამასთან, ექსპერტები დარწმუნებული არიან იმაშიც, რომ ვიდრე სლოვაკეთი ევრო სავალუტო ზონაში შევა (ეს პროცესი 2009 წლის 1 იანვრისათვის იგეგმება), ამ ვალუტებს შორის თანაფარდობა ისეთივე იქნება, როგორ „ხავერდოვანი რევოლუციის“ დროს (1:1).

უფრო მეტიც: იმის გათვალისწინებით, თუ სლოვაკეთში როგორ ეცემა ინფლაციის მაჩვენებლები, როგორ კლებულობს უმუშევრობა, იზრდება ხელფასები და პენსიები, უმჯობესდება ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი, მცირდება მისი საგარეო დავალიანება, მაღალი ტემპებით შემოდის უცხოური ინვესტიციები და ა. შ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ქვეყანა ჩეხეთს მალე გადააჯწრებს კიდეც. მასთან, სლოვაკეთის ასეთ სწრაფ განვითარებას ჩეხეთისათვის სხვა მხრივაც ექნება უარყოფითი შედეგები. კერძოდ, ჯერ-ჯერობით მრავალი სლოვაკი ჩეხეთში - აფთიაქებში, საავადმყოფოებში, სუპერ-მარკეტებში, თეატრებში და ა. შ. მუშაობს. აქ ისინი სლოვაკეთთან შედარებით მაღალი ხელფასის გამო გადადიან სამუშაოდ (ამ ორ ქვეყანას შორის 90-იან წლებში გაფორმებული ხელშეკრულების ძალით მათ ამისათვის არავითარი ნებართვა არ სჭირდებათ. სხვადასხვა გაანგარიშებების თანახმად, ჩეხეთში 200 ათასზე მეტი სლოვაკი ცხოვრობს და მუშაობს).

მთავარი მაინც რეფორმებია. სლოვაკეთის „ეკონომიკური სასწაულის" საძირკველი ამ ქვეყნის წინა ხელისუფლების (მიკოლ ჯურინდას კაბინეტი - 2002-06წწ.) მიერ წამოწყებული ლიბერალური რეფორმები გახდა. თუმცა ეკონომიკური განვითარების ამ გენერალური ხაზისათვის არც შემდგომ, რობერტ ფიკოს მთავრობას გადაუხვევია. ახლანდელი ხელისუფლებაც მეტად პრაგმატული სამეურნეო პოლიტიკის მიმდევარია. ამ ხელისუფლებამ თავისი მოქმედება ევროს რაც შეიძლება მოკლე დროში (2009 წლამდე) შემოღებისაკენაა მიმართული. რაც მთავარია, ის უფლებას არ აძლევს საკუთარ თავს დახარჯოს იმაზე მეტი, ვიდრე მისი შემოსავლებია. ეკონომიკის რეკორდულმა ზრდამ სლოვაკეთის ხელისუფლებას საშუალება მისცა 19 პროცენტიანი პირდაპირი გადასახადი შემოეღო. ფიკოს მთავრობა აგრძელებს ასევე წინა მთავრობის მიერ წამოწყებულ საპენსიო რეფორმას, რომლის საფუძველიც პენსიონერთა ინდივიდუალური ანგარიშები და კერძო საპენსიო ფონდები უნდა გახდეს.

მემარცხენე ამომრჩეველთა გულის მოსაგებად ფიკოს მთავრობა რეფორმებიდან ზოგიერთ გადახვევაზეც წავიდა. მაგალითად, შეამცირა წამლების ფასები, უფასო გახადა ექიმთან გასინჯვის პროცედურა, მაღალი შემოსავლების მქონეთ გადასახადები გაუზარდა, აყოვნებს სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის პროცესებს და ა. შ.

გაღლდება ცხოვრების დონე. სლოვაკეთის ეკონომიკურ მომძლავრებასთან ერთად, გაიზარდა მის მკვიდრთა ხელფასებიც და დაახლოებით 1200 ლარი შეადგინა. შედეგად, ის მკვეთრად აღარ ჩამორჩება ჩეხეთის ანალოგიურ მაჩვენებლებს (ამჟამად ჩეხეთში მომუშავის საშუალო ხელფასი დაახლოებით 1400 ლარს უდრის). უკვე ახლო მომავალში ჩეხური ხელფასები აღარ იქნება სლოვაკისათვის მიმზიდველი, ისინი უარს იტყვიან იქ სამუშაოდ წასვლაზე და ადგილზე, თავის სამშობლოში დასაქმდებიან. ეს კი საბოლოო ჯამში ჩეხეთში სამუშაო ძალის დეფიციტს გამოიწვევს.

გამონაკლისი საშუალო და მაღალი დონის მენეჯერები იქნებიან: მათ საინტერესო წინადადებებს ბრატისლავა, ეს ნახევარმილიონიანი, კვლავაც პროვინციული ქალაქი, ალბათ კარგა ხანს ვერ შესთავაზებს. მსხვილი კომპანიების ოფისები პრაღაში რჩებიან და სხვაგან გადასვლას არ აპირებენ.

თუმცა, მოსალოდნელია, რომ სლოვაკეთის დედაქალაქმა მალე სრულიად იცვალოს ფერი: უკვე 15 წელიწადია, რაც კამათი მიდის იმის შესახებ, რომ ბრატისლავა და მისგან არც თუ ისე დაშორებული ავსტრიის დედაქალაქი, ვენა ერთმანეთს უფრო ინტენსიური კომუნიკაციებით დაუკავშირდნენ. ავტოსტრადა ვენა-ბრატისლავა მალე ჩადგება მწყობრში (მისი მშენებლობა ავსტრიელთა გამო შეყოვნდა. გზის სლოვაკური ნაწილი ხუთ წელზე მეტია მზადაა). პარალელურად სლოვაკეთის და ავსტრიის დედაქალაქებს ერთმანეთს, ისევე, როგორც II მსოფლიო ომამდე, სწრაფი ტრამვაიც კი დააკავშირებს. ცხადია, მას შემდეგ, რაც ეს დედაქალაქები ერთმანეთს ასე მჭიდროდ დაუკავშირდები-

ან, ავსტრიული მეტროპოლიის ეკონომიკური ძლიერება ბრატისლავაზეც მოახდენს თავის კეთილმყოფელ გავლენას.

სლოვაკეთის ასეთი სამეურნეო გაძლიერება აუცილებლად გამოიწვევს ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები უნგრელების მჭიდრო ინტეგრაციას ამ ახალგაზრდა და პატარა ქვეყანაში. Pპირველად თავის უახლეს ისტორიაში სლოვაკეთს აქვს შანსი სამეურნეო განვითარების მხრივ გაუსწროს არა მხოლოდ ჩეხეთს, არამედ ტრადიციულ მეტოქეს - მეზობელ უნგრეთსაც. მას კი სერიოზული შედეგები ექნება ზემოთ ნახსენები ინტეგრაციის საქმეში. სლოვაკელი უნგრელები (ისინი სამხრეთ სლოვაკეთში ცხოვრობენ), რომლებიც ჯერ-ჯერობით საზღვარგარეთ, უნგრეთის საავტომობილო ქარხნებში დადიან სამუშაოდ, ნელ-ნელა დარწმუნდებიან იმაში, რომ ასეთი შრომის ანაზღაურებით სამსახურის პოვნა სლოვაკეთშიც შეიძლება და უფრო ადვილად მოხდება მათი სლოვაკურ საზოგადოებაში ინტეგრაცია.

ცნობისათვის: იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი პრინციპული გავლენა შეიძლება ჰქონდეს ქვეყნის ეკონომიკურ მოძლიერებას მის განუყოფლობასა და ერთიანობაზე, თუნდაც ჩრდილოეთ იტალიის მაგალითი გამოდგება. იქაური გერმანულმა (უფრო ზუსტად, ავსტრიულმა) უმცირესობამ მას შემდეგ შეწყვიტა გამოყოფის მოთხოვნის წამოყენება, რაც იტალიაში ცხოვრების დონე ალპებს გადაღმა მცხოვრებ ავსტრიელების ცხოვრების დონეს გაუთანაბრდა.

ცხადია, იმისათვის რომ სლოვაკელმა უნგრელებმა თავი ნამდვილად „სლოვაკურად“ იგრძნონ, ის კეთილდღეობა, რომელსაც ამჟამად ქვეყანა განიცდის, მათაც უნდა შეეხოთ. ჯერ-ჯერობით კი ასე ნამდვილად არ ხდება. მაგალითად, უცხოური ინვესტიციების „ლომის წილი“ ბრატისლავასა და მის მიმდებარე რეგიონებზე მოდის, ანუ იმ რაიონებზე, რომლებსაც არა მხოლოდ სამრეწველო განვითარების ტრადიცია გააჩნიათ, არამედ უფრო განვითარებული ინფრასტრუქტურაც აქვთ.

ჩეხური რეფორმების გაკვეთილი. ერთ-ერთ გამორჩეულ ქვეყანას მთელ პოსტ-კომუნისტურ სივრცეში, სადაც რეფორმებმა სერიოზული წარმატებები მოიტანა, უდაოდ ჩეხეთი წარმოადგენს. მისი მიღწევები განსაკუთრებით ხელშესახებია ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ. როგორც აქაური პოლიტიკოსები და ექსპერტები აღნიშნავენ, ქვეყანაში მალე ევროსაც შემოიღებენ.

თუ როგორ გახდა ჩეხეთი ასეთი წარმატებული ამის შესახებ გარკვეულად შევიტყობთ ჩეხეთის პრეზიდენტის ვაცლავ კლაუსის ქვემოთ მოტანილი წერილიდანაც, რომელიც ჩეხეთში რადიკალური ეკონომიკური რეფორმების 15 წლის თავს ეხება.

ჩვენი დოსიე: ვაცლავ კლაუსი ფინანსთა მინისტრის რანგში ყოფილ ჩეხოსლოვაკიაში ეკონომიკური რეფორმების კოორდინატორად მუშაობდა. ამ სახელმწიფოს ჩეხეთად და სლოვაკეთად გაყოფის შემდგომ 1993 წლის 1 იანვრიდან კლაუსმა უკვე პრემიერ-მინისტრის რანგში დაიწყო ეკონომიკური რეფორმების პროგრამის განხორციელება.

კომუნიზმის ნგრევამ ჩეხეთში (მაშინ ჩეხოსლოვაკიაში) 1989 წელს უჩვეულო ეიფორია გამოიწვია ჩემს თანამემამულეებში და მას ქვეყნის საოცარი გაერთიანება მოჰყვა. როგორც რეფორმატორებს, ჩვენ კარგად გვესმოდა, რომ ერის ასეთი შეკავშირება უარყოფით როლს თამაშობდა. ხალხი გაერთიანდა არა „რაღაცის სასარგებლოდ“, არამედ „ვიღაცის წინააღმდეგ“ საბედნიეროდ, ჩვენთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა მომავლის სტრატეგიის შესამუშავებლად. დღეს ეს თითქმის წარმოუდგენლად გვეჩვენება, მაგრამ მაშინ ხალხის უმრაკლესობას არა კაპიტალიზმი, არამედ რაღაც უტოპიური „მესამე გზა“ წარმოედგინა კომუნიზმის ალტერნატივად. ამ გზის მიმდევრები პოლიტიკური პარტიების შექმნის წინააღმდეგი იყვნენ და ეგრეთწოდებული „პოლიტიკა პოლიტიკის გარეთ“ მოთხოვნით გამოდიოდნენ. ამასთან, ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტელექტუალური და კულტურული ელიტის როლის მნიშვნელობის გაზრდას უჭერ-

დნენ ხელს. მათ სურდათ ისეთი ნეოკოლექტიური საზოგადოების შექმნა, რომელიც უარყოფდა ლიბერალურ დემოკრატიას. მესამე გზის ინიციატორები არსებითად, „პოსტდემოკრატიის“ მხარდამჭერებად გვევლინებოდნენ.

„მესამე გზის“ მომხრეებს არ ეწადათ არსებული ეკონომიკური სისტემის შეცვლა. მათ მხოლოდ გარდაქმნის გაღრმავება სურდათ, ცდილობდნენ 1960-იანი წლების იდეის განხორციელებას, რომელიც სოციალისტური და კაპიტალისტური ეკონომიკური მოდელების დაახლოებას გულისხმობდა. ისინი არ ენდობოდნენ ბაზარს. მის ნაცვლად „ჭკვიანი“ სამეურნეო ცენტრის სწამდათ, რომელიც გონივრულად მოახდენდა ეკონომიკის ორგანიზაციას ინტერნეტისა და პოპულარული ბროშურების საშუალებით. მათ მხოლოდ მცირე ბიზნესის პრივატიზება სურდათ, ხოლო მსხვილ საწამოებს მისი შრომითი კოლექტივისათვის გადაცემას უპირებდნენ.

ჩეხეთის ეკონომიკური სისტემის რადიკალური გადახედვის მოწინააღმდეგეები ორ გავლენიან ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ. პირველში შედიოდნენ კომუნისტი-რეფორმატორები, რომლებიც 1960-იან წლებში, საბჭოთა ჯარების შემოჭრის შემდეგ. გარიცხეს კომპარტიიდან. ახლა ისინი თავიანთი ოცი წლის წინანდელი იდეების ცხოვრებაში გატარებას ცდილობდნენ.

მეორე ჯგუფს შეადგენდნენ ინტელექტუალური და კულტურული ელიტის წარმომადგენელი ყოფილი დისიდენტები, ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტის - ვაცლავ ჰაველის მეთაურობით. ეს ჯგუფი ადამიანებისა საკმაოდ მეოცნებე იყო და მას რაღაც ისეთი სისტემის შექმნა სურდა, რომელსაც არც ლიბერალური დემოკრატიის და არც კომუნიზმის ნაკლოვანებები არ ექნებოდა. მათ მიაჩნდათ, რომ სამყარო რამდენიმე რჩეულის მიერ უნდა იმართებოდეს, ეჩვენებოდათ ასევე, რომ საბაზრო ძალები ადამიანთა ღირსებებს ამცირებენ და ფეხქვეშ თელავდნენ. ყოველივე ამის გათვალისწინებით სრულიადაც არაა გასაკვირი ჰაველის ამას

წინანდელი განცხადება, რომ,, უხილავ ხელს მრავალი სხვადასხვა სახის ხილული დანაშაული ჩადენა შეუძლია“.

დემოკრატიული კაპიტალიზმის დასაცავად. მეორე, შედარებით მომცრო ჯგუფს ადამიანებისას, არ ეშინოდა დაუფარავად განეცხადებინა, რომ ჩეხეთში რეფორმების მიზანს კაპიტალიზმი და საპარლამენტო დემოკრატია წარმოადგენდა. ამ ჯგუფმა, რომელსაც მეც მივეკუთვნები, ჩეხოსლოვაკიის ფედერალურ პარლამენტს „ეკონომიკური რეფორმების პროგრამა“ მიაღებინა, რომლის საფუძველზეც გეგმური ეკონომიკის არა უბრალო კოსმეტიკური ცვლილებები და კორექტირება მოხდა, არამედ გეგმური დაწესებულებების სრული ლიკვიდაცია. ამ ღონისძიებების შედეგად შესაძლებელი გახდა ათასობით კანონისა და აკრძალვის გაუქმება, რომლებიც ჩეხ თუ უცხოელ სამეურნეო სუბიექტებს თავიანთ საქმიანობაში ხელ-ფეხს უბორკავდნენ, ფასების ლიბერალიზაციას აფერხებდნენ, სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციას წინ ეღობებოდნენ და ა. შ.

მთელი ამ დროის განმავლობაში ჩვენ არ დაგვიწყნია ორი გადაუდებელი პირობა, რომელთა დაცვასაც ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელება მოითხოვს – მაკროეკონომიკური სტაბილურობის დამყარება და ბაზრის წარმატებული ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა.

ამასთან ჩვენ შეგნებული გვქონდა, რომ სწრაფად უნდა გვემოქმედა, რადგან ეიფორიამ, რომელიც კომუნიზმის დამსხვრევას მოჰყვა, ძალზე ცოტა დრო და შესაძლებლობები დაგვიტოვა არაპოპულარული და მტკივნეული ჩაბიჯების გადასადგმელად. ჩვენ ვიცოდით, რომ ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფების დროებითი დასუსტებით უნდა გვესარგებლა, რომლებიც მენკურ ოლსონის (ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი და სოციოლოგი) მტკიცებით, ნორმალურ პირობებში შეეწინააღმდეგებოდნენ ცვლილებებს და საკუთარი ინტერესების განხორციელებისათვის იბრძოლებდნენ. ვიცოდით, რომ ნებისმიერი ძირეული ცვლილება თავისუფალ საზოგა-

დოებაში წარმოადგენს არა გამოკენებით ეკონომიკაში ვარჯიშობას, არამედ ყოველდღიურ სოციალურ პროცესს, რომელსაც კონსტრუქტივისტები ვერ შექმნიან და ცხოვრებაში ვერ გაატარებენ (ამიტომ რჩევა, რომელიც ჩვენ იოზეფ სტიგლიცმა (ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი – ა. გ.) მოგვცა, რომ ჩინეთის მსგავსად ჩვენი რეფორმები ნელი ტემპებით უნდა გაგვეხორციელებინა – უბრალოდ უაზრობა იყო). ჩვენ თავიდან უნდა აგვეცილებინა ასევე ნაწილობრივი რეფორმირება, რამეთუ ის, მთელი ეკონომიკისათვის საზიანო დისბალანსს შექმნიდა. ამიტომ იყო საჭირო გადაგვედგა პრინციპული ნაბიჯი და გაგვეხორციელებინა „კრიტიკული მასა“ რეფორმებისა, რაც იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ უკან დასახევი გზა მოჭრილია.

რეფორმების გატარებით გამოწვეული ზარალის გარკვეული კომპენსირება გონივრულ ბიუჯეტურ პოლიტიკას, – კერძოდ, ბიუჯეტის პროფიციტს 1990 წელს და რაციონალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას უნდა მოეხდინა. ამ ღონისძიებებმა თავიდან აგვარიდეს ფასებისა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის სარისკო შედეგები, ასევე ხელფასებისა და ფასების და აგრეთვე გაცვლითი კურსის სპირალი. შეიძლება ითქვას, რომ ეს მართლაც ავირიდეთ თავიდან, მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებით როდესაც 1990 წლის სექტემბრის ბოლოს, ჩვენ ვცდილობდით გვეპოვა ჩეხოსლოვაკიური კრონის დევალვაციის ოპტიმალური საზღვარი – ეს მრავალ თეთრად გათენებულ ღამედ დაგვიჯდა.

ჩვენი კრიტიკოსები და ჩვენი მიღწევები. ბოლო-ბოლო ჩვენ გავაკეთეთ მხოლოდ ის, რისი გაკეთების საშუალებასაც იძლეოდა იმ დროის პოლიტიკური და სოციალური კონსენსუსი. თუმცა ეს არ იყო ის ყველაფერი, რაზედაც ჩვენ ვოცნებობდით და რაც სწორად მიგვაჩნდა. ახლა რიგში დგას სხვა ევოლუციური და არა რევოლუციური ცვლილებები და მომავალში სისტემა დაიხვეწება პარლამენტური დემოკრატიის რთული პროცესის ჩარჩოებში.

მრავალი წელი ჩვენ მონოპოლისტური ეკონომიკის პირობებში ფასების ლიბერალიზაციის გამო გვაკრიტიკებდნენ. მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ ეროვნულ მეურნეობაში მონოპოლისტური სტრუქტურების სიჭარბემ გვაიძულა პარალელურად საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პოლიტიკა გაგვეტარებინა. არსებითად, ჩვენ იძულებული გავხდით კონკურენციის „იმპორტირება“ მოგვეხდინა. შედეგებმა გაამართლა ჩვენი მოლოდინი: ინფლაციის დონე ჩეხეთში აღმოჩნდა გაცილებით დაბალი ყველა იმ ქვეყანას შორის, სადაც ფასების ლიბერალიზაცია ხორციელდებოდა.

ჩვენ ასევე გვაკრიტიკებდნენ კრონას დევალვაციის დონის გამო, მაგრამ დევალვაციის ტემპების ხარჯზე ჩვენ შევძელით მიგვეღწია უმთავრესი მიზნის – საგადამხდელო ბალანსის წონასწორობისათვის. ჩვენ გავიმარჯვეთ ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან კამათშიც, რომელიც უფრო მეტ დევალვაციას გვირჩევდა.

ჩვენ მივიღეთ იმ პერიოდში დომინირებული დოქტრინა, რომლის თანახმადაც ფიქსირებული გაცვლითი კურსი ითვლებოდა ერთადერთ შესაძლო საყრდენად გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მკვეთრი რყევების წინააღმდეგ. ჩვენ გვინდოდა მოგვეხდინა ფასებისა და ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ხოლო შემდეგ დაგვედგინა გაცვლითი კურსი. შედეგები იმედის მომცემი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ჩვენ გავუშვით ის მომენტი, როდესაც უნდა შეგვეცვალა ფიქსირებული გაცვლითი კურსი.

უფრო მეტიც: ჩვენ მომხრე ვიყავით სახელმწიფო საწარმოების იმ სახით პრივატიზებისა, რა სახითაც ისინი მაშინ იყვნენ და არა ისე, როგორც ამას ჩვენი ოპონენტები გვირჩევდნენ: ჯერ მათი ფინანსური პრობლემები გადაგვეჭრა. ჩვენ რომ ასე მოვქცეულიყავით, რეფორმები შეჩერდებოდა. ჩვენთვის ასევე მიუღებელი იყო მოწოდებები, რომ გადაგვედო რეფორმირების პროცესი მანამდე, ვიდრე ეკონომიკური ინსტიტუტები და სამართლებრივი პირობები სრულყოფილი არ გახდებოდნენ (რაც პრინციპში, ალბათ შეუძ-

ლებელია). ჩვენ მიგვაჩნდა, რომ ეს დაწესებულებები თანდათან უნდა განვითარებულიყო. ცხადია, რაც უფრო სწრაფად განვითარდებოდნენ ისინი, მით უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ისიც კარგად გვესმოდა, რომ შეუძლებელი იყო მათი ხელოვნური სრულყოფა-განვითარება რამდენიმე რეფორმატორის კაბინეტში.

ცნობისათვის: გასულ წელს ჩეხეთში მშპ-ს 6 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა. ამ მაჩვენებლით იგი ევროკავშირის ქვეყნებს შორის მეხუთე ადგილზე იყო ლატვიის (11 პროცენტი), ესტონეთის (10,9%), ლიტვის (7,8%) და სლოვაკეთის (6,7) შემდეგ (ა. გ.)

კელტური ვეფხვის გასაოცარი სალტო-მორტალე. ბოლო წლებში ირლანდიის მიერ მიღწეული სამეურნეო წარმატებები მსოფლიოს აოცებს. ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, ამის ძირითადი მიზეზია ამერიკული ინვესტიციები და დაბალი გადასახადები. თუმცა არის სხვა შეხედულებებიც. მრავალ ექსპერტს მიაჩნია, რომ ყუნძულელებს განვითარების საშუალება მისცა ირლანდიური საზოგადოების პარტნიორობის არაკონვენციურმა მოდელმა და ეროვნული მეურნეობის წინსვლის საკუთარი გზის პოვნამ.

არც თუ ისე დიდი ხანია გასული მას შემდეგ, რაც ირლანდიელები სამუშაოს, ლუკმა-პურის საშოვრად მთელ მსოფლიოს იყვნენ მოდებულნი. დღეს მდგომარეობა სრულიად საპირისპიროდ შეიცვალა – საიდან ჩამოსულ ადამიანს არ შეხვდებით აქ სამუშაოდ და საცხოვრებლად (მათ შორის ბევრ ქართველსაც).

მეცნიერებს „მწვანე კუნძულზე“ მიღწეული ეკონომიკური წარმატებები მით უფრო აოცებთ, რომ ძნელია ისინი დღემდე არსებულ რომელიმე ცნობილ სამეურნეო მოდელის ამოქმედების შედეგად მიიჩნიონ. ანგლოსაქსური (ამერიკულ-ინგლისური) პოლიტიკურ-ეკონომიკური მოდელის მეხოტბეებს მიაჩნიათ, რომ ამის მიზეზი სწორედ მისი მოქმედებაა – დაბალი გადასახადები და უცხოური ინვესტიციების ინტენსიური მოზიდვა. ისინი ნაკლებ ითვალისწინებენ იმას, რომ ამის საპი-

რისპიროდ ირლანდიაში მკაცრად არის დარეგულირებული შრომის ბაზარი, თუმცა სამაგიეროდ, ხელისუფლება ნაკლებ ერევა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების სხვა სფეროებში.

არც კონტინენტალური (დასავლეთ-ევროპული) მოდელის მეხოტბეებს შეუძლიათ იამაყონ აქ მხოლოდ მათი მოდელის ფუნქციონირებით: ქვეყანაში მეტად დაბალი გადასახდებია და საზოგადოებრივი მომსახურების ხვედრითი წილიც დაბალია მთელ ამ სახის მომსახურებაში (ჯანმრთელობის დაცვა, ტრანსპორტი და ა. შ.).

მოკლედ, ამ ქვეყნის მიერ მიღწეული წარმატებები სიამოვნებას გვრის ორივე მოდელის მხარდამჭერებს, თუმცა ბოლომდე კმაყოფილი არც ერთი მათგანი არაა: ქვეყნის ლიდერები ანგარიშს უწევენ ორივე მოდელს, თუმცა ბოლომდე და შეუვალად არც ერთის მოთხოვნებს არ ითვალისწინებენ.

ირლანდიელთა წარმატებები კარგად ჩანს თუნდაც ისეთ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებითაც, როგორებსაც აშშ და ევროკავშირის ქვეყნები წარმოადგენენ. კერძოდ, 1995-2003 წლებში მშპ-ს საშუალო მატება შეადგენდა იტალიაში – 1,5 პროცენტს, საფრანგეთში – 2,1 პროცენტს, დიდ ბრიტანეთში – 2,7-ს, ხოლო შეერთებულ შტატებში – 3,3 პროცენტს. ანალოგიური მაჩვენებელი ირლანდიაში 3,3 პროცენტის ტოლი იყო.

ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ, ირლანდიის ეროვნული შემოსავალი ევროკავშირის საშუალო ანალოგიური მაჩვენებლის 60 პროცენტის დონეზე იყო, დღეს კი იგივე მონაცემი 130 პროცენტს შეადგენს. ამასთან, მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით ერთ ირლანდიელზე გაანგარიშებით, ქვეყანა მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს. ბოლო 10 წელიწადში ირლანდიაში აშენდა აქ ამჟამად არსებული სახლების ნახევარზე მეტი და ამავე პერიოდში ქვეყანაში, რომლის მოსახლეობაც თითქმის იმდენივეა, რამდენიც საქართველოში (4,2 მილიონი ადამიანი), 700 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა.

გარეკანიანი ტრანსფორმაცია. დამოუკიდებლობის მოპოვების (1922 წ.) შემდეგ რამდენიმე დეკადის განმავლობაში

ირლანდია საკმაოდ ავტოკრატულ (ჩაკეტილ) ქვეყნად რჩებოდა, რაც ძირითადად ახალი სახელმწიფოს წინამძღოლთა პოლიტიკური ნება-სურვილი იყო. მთელი ამ დროის განმავლობაში ეკონომიკის დომინირებულ სექტორს სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ სწორედ აგრარული სფერო უნდა დარჩენილიყო მათ მოწოდებად. ცხოვრება ძირითადად სოფლური იყო და ირლანდიელთა ძირითადად ნაწილს მიაჩნდა, რომ თუკი ვინმეს ქალაქური ცხოვრება და სამრეწველო საქმიანობა უფრო იტაცებდა, მათ კეთილი უნდა ენებათ და მეზობელ დიდ ბრიტანეთში ან შეერთებულ შტატებში გადასულიყვნენ საცხოვრებლად.

მაგრამ გადიოდა დრო და ირლანდიელები რწმუნდებოდნენ იმაში, რომ ძალზე ძნელი იყო ასეთი მოდელით სწრაფი განვითარება. მით უფრო, რომ სოფლის მეურნეობაში თანდათან ქრებოდა სამუშაო ადგილები და არ იქმნებოდა ახლები (არადა, გასული საუკუნის 50-60 იან წლებში ირლანდიელთა თითქმის ნახევარი სწორედ ამ დარგში იყო დასაქმებული). ამან აიძულა მრავალი ირლანდიელი სამუშაო ქვეყნის გარეთ ეძება. შედეგად, 1951-1961 ქვეყანა თითქმის ნახევარმა მილიონმა ადამიანმა დატოვა.

შექმნილმა სიტუაციამ ზოგიერთი გამოჩენილი ირლანდიელი აიძულა ეჭვის თვალით შეეხედა მოპოვებული დამოუკიდებლობის სიკეთისათვის და განეცხადებინა:„ დიდ ბრიტანეთთან მიღწეულმა პოლიტიკურმა დამოუკიდებლობამ, მიუხედავად მრავალი ჩვენგანის დიდი იმედებისა, ვერ მოგვიტანა ასევე ეკონომიკური დამოუკიდებლობა“.

50-იან წლებში ირლანდიის ექსპორტის 90 პროცენტი კვლავ ყოფილი კოლონიზატორის ბაზრებზე შედიოდა, რაც ნამდვილად არ მეტყველებდა ქვეყნის რეალურ სუვერენიტეტზე.

რამდენად პარადოქსალურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ირლანდიას დიდი სამსახური გაუწია 80-იანი წლების კრიზისმა. ამან ქვეყანა აიძულა სამეურნეო ცხოვრების სხვა სფეროების განვითარებაც ეცადა. წინააღმდეგ შემთხვევაში

ის უარყოფითი ტენდენციები – ჰენებითი ინფლაცია, ირლანდიელთა ქვეყნიდან ემიგრაცია (იმ პერიოდში ქვეყანას ყოველწლიურად თითქმის 50 ათასამდე მკვიდრი ტოვებდა), მრეწველობაში დასაქმებულთა ხვედრითი წილის კიდევ უფრო შემცირება მთლიანად ეკონომიკაში, ეროვნული მეურნეობის მხოლოდ 1-1,5 პროცენტით ზრდა წელიწადში, ქვეყნის საგარეო ვალის გაზრდა მშპ-ს მიმართ თითქმის 150 პროცენტამდე (რომლის მომსახურებაც საბიუჯეტო შემოსავლების 1/3-ს ყლაპავდა) – კიდევ უფრო გაგრძელდებოდა და გაღრმავდებოდა.

ირლანდიელები ანგარიშს უწევდნენ იმას, რომ ან მთელი ძალების მობილიზაცია უნდა მოეხდინათ და თორემ გავიდოდა არც თუ ისე დიდი ხანი, და გახდებოდნენ იმის მოწმენი, თუ როგორ დატოვა ბოლო საცხოვრებელი ბინა უკანასკნელმა კუნძულელმა.

გასული საუკუნის 80-იან წლების ბოლოს ქვეყანაში ამოქმედდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ეროვნული საბჭო (National Economic & Social Council), რომელშიც გაერთიანდნენ პროფკავშირების, ბიზნესის, გლეხობის, ხელისუფლების და დამოუკიდებელ ექსპერტთა წარმომადგენლები. მათ 1987 წელს ეროვნული აღორძინების პროგრამის სახელწოდებით (Programm for National Recovery) საზოგადოებრივი პაქტი მიიღეს.

საბჭომ თავის უმთავრეს მიზნად დაისახა ემჟამინდელი კრიზისის მიზეზების კვლევა და დადგენა. ამასთან, ამ მიზეზებს ის მხოლოდ სამეურნეო სფეროში როდი ეძებდა. საბჭოს წევრები თანხმდებოდნენ იმაში, რომ მათ პატარა ქვეყანას გლობალიზაციის მორევში ცურვა უნდა ესწავლა.

საბჭოს მცდელობამ და ძალისხმევამ გაამართლა. დღეს ირლანდიას აქვს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ეკონომიკა, ამასთან, ეს პროცესი დიდი დაფიქრებითა და ეტაპობრივად განხორციელდა, რამაც ადგილობრივ მრეწველებს საშუალება მისცა თანდათან შეგუებოდნენ მკაცრ კონკურენციას.

ირლანდიელები ანგარიშს უწევდნენ თავიანთ კოლონიურ წარსულს და მიაჩნდათ, რომ დიდი ბრიტანეთი ძალზე ცდილობდა მათი წინსვლა შეეფერხებინა. ამიტომ ისინი ყველაფერს აკეთებდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ, ინგლისის ნაცვლად კონტინენტთან დაემყარებინათ მჭიდრო ეკონომიკური კავშირები. ამასთან, ირლანდიელები იმაშიც დარწმუნდნენ, რომ თუ მათ ამის მიღწევა სურდათ, სისტემურადაც უნდა დაკავშირებოდნენ „ბებერ კონტინენტს“, ანუ განვითარების თავიანთი მოდელი მიებათ კონტინენტის მთავარი ქვეყნების მოდელისათვის. მათთვის განსაკუთრებით გერმანული და შვედური მოდელი აღმოჩნდა მისაღები.

აღსანიშნავია, რომ სკანდინავიური მოდელის (ფართო სოციალური პრივილეგიები) ცხოვრებაში დანერგვასთან დაკავშირებით ქვეყანაში კამათი გაცხოველდა. მართალია საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს ეწადა ეკონომიკის ისეთი რეგულირება, როგორსაც აღნიშნულ ქვეყნებში ჰქონდა ადგილი, მაგრამ პოლიტიკურ ელიტას იმის შიში ჰქონდა, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტისას შემოსავლების რედისტრიბუციის პროცესში გამორიცხული არ იყო სერიოზული კონფლიქტები წარმოშობილიყო. გარდა ამისა, მრავალ ირლანდიელს ჯერ კიდევ არ დავიწყებოდა ის დრო, როდესაც გადასახადები კი იყო მაღალი და ბიუჯეტშიც სოლიდური თანხები გროვდებოდა, მაგრამ საზოგადოების სოციალური დაცვის მიმართულებით ბევრი არაფერი კეთდებოდა.

სკანდინავიურ მოდელს განსაკუთრებით ბევრი დამცველები პროფკავშირებისა და სამღვდელოების მხრიდან ჰყავდა. მათ მიაჩნდათ, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი გახდებოდა ბოლო წლებში წარმოშობილი სოციალური უფსკრულის გარკვეული კორექტირება და ცხოვრების განსაკუთრებით ისეთი სფეროების განვითარება, როგორებიც იყო ჯანმრთელობის დაცვა, განათლება და სხვ.

ამის პარალელურად ირლანდიელები დარწმუნებული იყვნენ იმაშიც, რომ მათ მკვეთრად უნდა განესაზღვრათ საკუთარი პრიორიტეტები. მათ ერთი მხრივ, უნდა ეღიარები-

ნათ ის წესები და პრინციპები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ევროკავშირი, სადაც ირლანდია 1973 წელს გაერთიანდა და მეორე მხრივ, შეენარჩუნებინათ და განევითარებინათ წარსულიდან გადმოცემული ტრადიციები.

შედეგად ირლანდიის მმართველი ელიტა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქვეყანას შეეძლო მთელი თავისი ძალების კონცენტრაცია ტექნოლოგიების განვითარებაზე მოეხდინა, რისთვისაც საჭირო იყო განათლების დონის ამაღლება, მოსახლეობის პროფესიულ-ტექნიკური მომზადების სრულყოფა, ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების მოზიდვა და ა. შ. მათი მუშაობაც სწორედ აქეთკენ წარიმართა.

ირლანდიელებს შეგნებული ჰქონდათ, რომ ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მხოლოდ ბაზრის ფუნქციონირებით როდი იყო შესაძლებელი - ამისათვის აუცილებელი იყო ასევე გარემო პირობების შექმნა და შესაბამისი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი დაწესებულებების ჩამოყალიბება. თავად სახელმწიფომ დაიწყო იმაზე ზრუნვა, რომ შრომის ბაზარი მისაწვდომი ყოფილიყო ყველასათვის, და შეწარმეს არა მხოლოდ მუშა ეპოვნა, არამედ ეს მუშა შესაბამისი კვალიფიკაციისაც ყოფილიყო. აი, სახელმწიფოს მხრიდან ამ ზრუნვის ერთ-ერთი სახე: გაუქმდა ყოველგვარი სახის გადასახადი საშუალო სკოლაში სწავლისათვის და სკოლებს, განსაკუთრებით სოფლად, გამოეყოთ ავტობუსები მოსწავლეების სახლიდან სკოლაში მისაყვანად. ქვეყნის რამდენიმე რეგიონში სახელმწიფომ ახალი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებიც გახსნა (რამდენად მისაბაძი მაგალითია ეს ჩვენთვისაც. საქართველოს სოფლებში ხომ ელექტროგაყვანილობა თუ გაგიფუჭდა ელექტრიკოსს, სანთლითაც რომ ეძებო, ვერ იპოვი).

ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფომ განსაკუთრებით ხელი შეუწყო ტელეკომუნიკაციების განვითარებას, რამეთუ საყოველთაოდ იქნა აღიარებული, რომ ეს ხელს შეუწყობდა მთელი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაზრდას. ქვეყნის მოდერნიზაციას სახელმწიფო იმ მხრივაც

ახალისებდა, რომ ამ მიზნით გამოყოფდა გრანტებს, იძლეოდა საგადასახადო შეღავათებს და ა. შ.

რაც შეეხება უმუშევრობასთან ბრძოლას, რომელიც ქვეყნის ყველაზე სერიოზულ პრობლემად ქცეულიყო, მასთან ბრძოლის ფრონტი ადგილებზე, ლოკალურ საზოგადოებაში იქნა გადატანილი. სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობისათვის დაიწყო ამ ღონისძიებების - უმუშევართა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი გადამზადების, მათთვის სოციალური თუ ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსების განხორციელება.

ირლანდიაში მტკიცედ სწამთ, რომ ქვეყნის ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარება ერთმანეთს ავსებდნენ და სრულყოფდნენ. სწორედ აქედან გამომდინარე მუშავდება აქ საზოგადოების განვითარების პერსპექტიული გეგმები. კუნძულზე აღიარებულია, რომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივი პროგრამები, რომლებიც ადამიანის ცხოვრების ყოველ მნიშვნელოვან ფაზას - ბავშვობას, პროფესიულ აქტიობას და მოხუცებულობას უნდა შეესაბამებოდეს.

მაგალითად, პირველი ფაზის შესაბამისად, ქვეყანაში მშობლებისათვის დაწესებულია სათანადო შვებულებები, რომლის ხანგრძლიობაც ბავშვის აღზრდის მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს. კერძოდ, შემუშავებული გეგმის მიხედვით, აქ 2010 წლამდე საბავშვო ბაგა-ბაღებში უნდა შეიქმნას 60 ათასი ახალი ადგილი. 2009 წლისათვის შეიქმნება 1000 დამატებითი ცენტრი, რომლებიც ახალგაზრდათა საზოგადოებრივ-კულტურულ აღზრდას მოემსახურებიან. მათში დამატებით იმუშავებს 550 მასწავლებელი, რომლებიც აქ მოსიარულე ახალგაზრდებს უცხო ენას შეასწავლიან. ასევე განზრახულია მოსწავლე-მასწავლებლების ურთიერთპროპორციის შემდგომი დახვეწაც, რომელიც 2007-2008 წლებში წარმოდგენილი იქნება, როგორც 27:1-თან.

რაც შეეხება პროგრამებს, რომლებიც მიმართულია ასაკოვანი ადამიანების ცხოვრების კეთილმოწყობისაკენ, მათში გათ-

ვალისწინებულია, რომ 2008 წლისათვის მინიმალური პენსია გახდეს 150 ევრო და მეტი. ამავე წლის ბოლომდე ამოქმედდება სხვა პროგრამაც, რომლის მიხედვითაც თითოეული პენსიონერი კვირაში 200 ევროს მიიღებს. მათთვის (და ასევე შრომის უნარდაკარგულთათვის) განზრახულია ასევე უფასო საზოგადოებრივი სატრანსპორტო მომსახურება და სხვ.

შვედურ სამოთხეში ცხოვრება ყველას არ სურს. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს არაფერი არა აქვთ ისე მოჯარბებული, როგორც მრჩეველები, რომლებიც სრულიად განსხვავებულ რეკომენდაციებს გვაძლევენ: ზოგი გვირჩევს მაქსიმალურად მოვახდინოთ ეკონომიკის ლიბერალიზება, ზოგი პირიქით, ამგვარი ეკონომიკური პოლიტიკის მავნებლობაზე გველაპარაკება, ზოგის აზრით, ერთმანეთს უნდა იყოს შერწყმული ლიბერალიზმი და მტკიცე სახელმწიფო ორგანოები და ა. შ.

მაგალითად, ცნობილი ეკონომისტი, ერთ დროს პრეზიდენტ შევარდნაძის მრჩეველი ბალცეროვიჩი გვირჩევდა ქვეყანას ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა გაეტარებინა (რაც ვფიქრობთ, მაშინ არ განხორციელებულა ისე, როგორც დღეს...). მან ამ პრობლემისადმი მიძღვნილი წიგნიც კი გამოსცა, რომლის ქართული ვარიანტის პრეზენტაცია თბილისში მისი სტუმრობის დროს მოხდა 2006 წელს - „შეზღუდული სახელმწიფოსაკენ".

სხვა კიდევ უფრო ცნობილი მეცნიერი, ნეო-კონსერვატორების ერთ-ერთი იდეური წინამძღოლის (ანუ იმ პარტიის, რომლის ყველაზე ცნობილი წევრიც შეერთებული შტატების ამჟამინდელი პრეზიდენტი რ. ბუშია), მთელ მსოფლიოში გახმაურებული წიგნის„ ისტორიის დასასრულის" ავტორი ფრენსის ფუკაიამას აზრით, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებმა მაქსიმალურად უნდა განამტკიცონ სახელმწიფო აპარატი.

არჩევანი მართლაც ძნელი გასაკეთებელია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ თავად განვითარებულ ქვეყნებსაც უჭირთ იმის გარკვევა, თუ სამომავლოდ განვითარე-

ბის რომელი გზა აირჩიონ. ამას ქვემოთ მოტანილი წერილიც ადასტურებს.

კეთილდღეობის საზოგადოება.

- *ტერიტორია* - 450 ათ. კმ. კვ.
- *მოსახლეობა* - 9,04 მლნ კაცი
- *მოსახლეობის სიმჭიდროვე* - 20 ადამიანი 1 კმ. კვ.
- *დედაქალაქი* - სტოკჰოლმი, 1643,4 ათ. მცხოვრები
- *მოსახლეობის ბუნებრივი მატება* - 1,1 ადამიანი ათას მცხოვრებზე (შედარებისათვის: საქართველოში - 0,2)
- *ბავშვთა მოკვდაობა (ერთი წლის ასაკამდე გარდაცვალებულები) 1000 კაცზე* - 3,1 (შედარებისათვის: საქართველოში - 23,8, ბულგარეთში 11,6, თურქეთში - 24,6, რუმინეთში 16,8, ჩინეთში 25,3.)

შვედეთის კეთილდღეობის საზოგადოებას, სხვაგვარად სოციალურ საბაზრო ეკონომიკას, ცოლ-ქმარმა ალვა და გუნარ მიურდალებმა ჩაუყარეს საფუძველი. ორივე ნობელის პრემიის ლაურეატი იყო: ცოლი, ქალბატონი ალვა სოციოლოგიის დარგში, ხოლო ქმარი, ბატონი გუნარი, ასევე სოციოლოგისა და ეკონომიკურ მეცნიერებებში. ქალმა ეს მაღალი ჯილდო 1982 წელს, ხოლო მისმა მეუღლემ 1974 წელს მიიღო. პირველმა ნაშრომში, რომელიც საერთაშორისო განიარაღების საკითხებისადმი იყო მიძღვნილი, ხოლო მეორემ სოციალური საბაზრო მეურნეობის პრობლემების დამუშავებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ამ ორმოციოდე წლის წინათ ცოლ-ქმარმა მიურდალებმა გამოსცეს წიგნი, რომელიც მალევე ბეტსელერად გადაიქცა. მისი სახელწოდება იყო „მოსახლეობის კრიზისი". ეს წიგნი მეცნიერული ხასიათის გამოხმაურებას წარმოადგენდა იმ საშიშროებაზე, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში „დამოკლეს მახვილივით" ეკიდა შვედეთის თავზე. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა შვედების ამერიკაში მასიური გადასახლებისა და არასრულწლოვანი ბავშვების შრომის აკრძალვის შემდეგ. მიურდალების მტკიცებით, ვინაიდან ბავშვის აღზრდა დიდ ხარჯებთაა დაკავშირებული, ხოლო ოჯახს

ამით შემოსავალი კი არ ეზრდება, საჭიროა ასეთ ოჯახებს სახელმწიფომ აღმოუჩინოს ფინანსური თუ სხვა სახის დახმარება. ამის შედეგად შვედეთში დაწესდა ძალზე მაღალი გადასახადები, პრაქტიკაში დამკვიდრდა ბიუჯეტის ძალზე სოლიდური ხარჯები და საზოგადოების სოციალური დახმარებების უაღრესად განტოტვილი და ყოვლისმომცველი სისტემა. ამასთან, ეს უკანასკნელი ისეთი გამართული და გამჭვირვალეა, რომ შვედები ხედავენ, თუ სად მიდის და რაში იხარჯება მათი გადასახადებით აკუმულირებული თანხები. ხშირად ხომ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადების სახით წარმოებაში, ბიზნესში დასაქმებული შვედი შემოსავლის 60%-ზე მეტს გაიღებს. მიუხედავად ამისა, ამგვარი საგადასახადო პრაქტიკა ქვეყანაში იმდენად პოპულარულია, რომ საგადასახადო დეკლარაციების შევსებისა და ჩაბარების პერიოდი შვედეთში პირდაპირ საზეიმო ხასიათს იღებს ხოლმე: „ეს არის წელიწადის ყველაზე მშვენიერი დღე! საზოგადოებრივი სოლიდარობის დღესასწაული!“ – სიხარულს ვერ მალავენ შვედები.

მიურდალების მიერ დანერგილი სტრატეგიის შედეგები, რომელსაც შემდეგ პერიოდებში სოციალ-დემოკრატებმა კიდევ უფრო განვითარებული სახე მისცეს, ამ ქვეყანაში დღემდეა შემორჩენილი. შვედი მშობლები (არა მხოლოდ დედები) ნებივრობენ ბიუჯეტის მიერ დაფინანსებულ გრძელვადიან შვებულებებში, მათ საშუალება აქვთ ზაფხული დასასვენებელ სახლებში გაატარონ. და როდესაც ასეთ უზრუნველ სამყაროს ხედავ, შეუძლებელია სულმა არ წაგძლიოს და არ გაიფიქრო, რომ ღირს ასეთი საზოგადოების მოწყობის მიზნით თუნდაც ნახევარი ხელფასის ბიუჯეტისათვის დათმობა.

თუმცა ასეთ საზოგადოებრივ მოწყობას თავისი პარადოქსებიც ახასიათებს. ერთი მხრივ ცხოვრებით ყველაზე კმაყოფილ ხალხთა სიაში შვედები მსოფლიოს ათეულში შედიან. მეორე მხრივ, შვედური პროზა, პოეზია თუ ხელოვნები ნაწარმოებები გაჟღენთილია ცხოვრების სრულიად სხვა სახეებით. კერძოდ, კი მიტოვებულობის, მარტოობის, სევდიანობის და ასე შემდეგ. ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახი

ასაკოვანი ადამიანის მოხუცებულთა სახლში მისაბარებლად წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში აგროვებს საბუთებს.

სიმდიდრისა და დიდი კაპიტალის მიმართ მიურდალებს საკუთარი აზრი ჰქონდათ. მის საფუძველს წარმოადგენდა დამქირავებელთა პროფკავშირებთან გარიგება. პირველი ასეთი ხელშეკრულება 1928 წელს დაიდო. მის მიხედვით, პროფკავშირების ლიდერები შეჰპირდნენ დამქირავებელთ, რომ დიდი ფირმების მუშაკები ხელფასების გაზრდის მოთხოვნით მანამდე არ გამოვიდოდნენ, ვიდრე პატარა ფირმების მუშაკების ხელფასები მათ ხელფასებს არ გაუთანაბრდებოდა. ამრიგად, დიდი ფირმები იღებდნენ იმის გარანტიას, რომ მინიმუმ ორი წლის მანძილზე ადგილი აქ ექნებოდა გაფიცვებსა თუ სხვა საპროტესტო ღონისძიებებს მათ წინააღმდეგ (ხელშეკრულება სისტემატიურად ახლდება). თუმცა ამის შედეგად გახშირდა პატარა ფირმების გაკოტრების შემთხვევები და ბოლოს ბაზარს მხოლოდ ძალზე სოლიდური მოთამაშეები-ღა შემორჩნენ. ასე მიაღწიეს სერიოზულ წარმატებებს ისეთმა კონცერნებმა, როგორებიცაა ვოლვო, სკანია, ერიქსონი და სხვ. ანუ გამოდის, რომ შვედეთი თავის სამეურნეო განვითარებას კაპიტალისტების მუშებთან შეთანხმების მიღწევას უნდა უმადლოდეს. მალე სწრაფი ტემპებით დაიწყო ქვეყნის გამდიდრება. აქ დღემდე ეკონომიკის მთავარი აღმძრავი კერძო საკუთრებაა. ამ სისტემის შედეგად შვედეთი ევროპის ერთ-ერთ ვეფხვად იქცა, მშპ-ს ყოველწლიური ხუთპროცენტიანი ზრდით, წლიური საშუალო პროცენტნახევრიანი ინფლაციით და დაახლოებით 2 ათას 500 ლარიანი თვიური ხელფასით.

ამასთან შვედეთი მეხუთე ადგილს იკავებს ადამიანური განვითარების ინდექსის (HDI) მიხედვით, რომელიც მხედველობაში იღებს ქვეყანაში ადამიანების ცხოვრების დონეს, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დონეს და ასევე ქვეყნის მკვიდრთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას. ამიტომ რა გასაკვირია, რომ მრავალი ქვეყნის პოლიტიკოსს აწუხებს ფიქრი იმაზე, თუ როგორ დაამყაროს საკუთარ ქვეყანაში შვედური სოციალიზმი.

თუმცა, ეს არც თუ ისე ადვილი საქმეა. ჯერ კიდევ მიურდალებმა უწყოდნენ იმის შესახებ, რომ ის, რაც შვედეთში შეიძლება გაკეთდეს, სხვა ქვეყანაში მისი გაკეთება თითქმის შეუძლებელია. ამ მოდელის ძალა სხვათაშორის იმაზეცაა დაფუძნებული, რომ მისი „კოპირება" გამორიცხულია, რამეთუ მიურდალების ეს მყიფე „მინის სახლი" მხოლოდ შვედურ საძირკველზე შეიძლება აიგოს.

უმთავრესი, რაზედაც მიურდალებმა შვედური იდილია დააფუძნეს, ესაა შვედების ნდობა სახელმწიფო დაწესებულებებისადმი, ნდობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე მყარდებოდა და მტკიცდებოდა. შვედეთში ხელისუფლება არაა მიჩნეული როგორც ოკუპანტი, როგორც მრავალ სხვა ქვეყანაში, რამეთუ ამ ქვეყანას აგერ უკვე 4 საუკუნეზე მეტია, რაც თავს არავინ დასხმია. მას მსოფლიო ომებშიც კი არ მიუღია მონაწილეობა, რადგან 100 წელიწადზე მეტია, იგი მკაცრი ნეიტრალიტეტის პოლიტიკის მიმდევარია.

ამავე ნდობის გამყარებას ხელს უწყობს ასევე შვედური სახელმწიფოს ეგალიტარული ხასიათი: XVI საუკუნის შემდეგ ქვეყნის რისტაგში (პარლამენტში). ერთმანეთის გვერდით ზის სასულიერო პირიცა და ბიზნესმენიც, გლეხიცა და ქეთილშობილიც. ამიტომ აქ ხელისუფლებას მოქალაქეთა წარმომადგენლობის სახე აქვს. შვედური პოლიტიკის ლიდერები მართლაც უაღრესად ახლოს არიან ხალხთან, ისინი ძირითადად ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობენ, აქედან მიდიან პარლამენტშიც, აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც. კორუფცია, ნეპოტიზმი (ანუ ნათლიმამობა, ძმაკაცობა და სხვ) შვედური საზოგადოებისათვის სამარცხვინო მოვლენად ითვლება. და თუ ამგვარი რამ მაინც ხდება, საზოგადოება მას ალმაცერად უყურებს.

შვედური სოციალური მოდელის ერთ-ერთ მკვიდრ ბოძს პროტესტანტული ეთიკა შეადგენს (გავიხსენოთ დიდი სოციოლოგი მაქს ვებერი და მისი მოძღვრება რელიგიისა და შრომის კულტურის ურთიერთობის შესახებ. ა. გ.). ალბათ ნამდვილად ვერ ააგებდნენ მიურდალები თავიანთ „მინის

სახლს“, რომ არა შვედების საკმაოდ გულგრილი დამოკიდებულება ამქვეყნიურ სიკეთეთადმი, ცხოვრების მატერიალური მხარისადმი. სწორედ შვედთა ამგვარმა ხასიათმა განაპირობა ის, რომ სოციალური სახელმწიფოს მოქალაქენი გულმოდგინედ, ერთგულად ასრულებენ თავიანთ საქმეს და საკუთარი შრომითა და ოფლით გამომუშავებულის ბიუჯეტის სასარგებლოდ დათმობაზეც თანახმანი არიან.

და კიდევ ერთი საკითხი, რომლის გათვალისწინების გარეშეც სწორი შეხედულება არ გვექნებოდა შვედური კეთილდღეობის სისტემაზე. შვედური საზოგადოება შედარებით პატარაა და ამასთან ეთნიკურად ერთგვაროვანი. ეს კი არც თუ ისე მცირე როლს თამაშობს. სკანდინავიაში თუმცა სამოთხეა, მაგრამ პრობლემები აქაც თავზე საყარი აქვთ. ამიტომ იმიგრანტების მიმართ აქ საკმაოდ ანტიპატიური მიდგომა შეინიშნება. და თუმცა შვედები კულტურული ხალხია და ამ თემაზე საუბრისას არ ხმარობენ სიტყვა „ემიგრაციას“, მხოლოდ „ინტეგრაციას“ და მასზე ფრთხილად კამათობენ.

როდესაც 2006 წლის შემოდგომაზე შვედეთში მემარჯვენეებმა გაიმარჯვეს, აქაურებმა ეს, როგორც რევოლუცია, ისე აღითქვეს. ქვეყანაში ხომ 1932 წლიდან მემარცხენეებს მიჰყავდათ „სტოსი“. მაგრამ არავითარი რევოლუცია აქ არ მომხდარა. როგორც მემარცხენეებმა, ისე მემარჯვენეებმა და საერთოდ, მთელმა შვედურმა საზოგადოებამ, კარგად უწყის, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე კარგად მოწყობილ სახელმწიფოში ცხოვრობენ და რომ მისი საფუძვლების მორყევა დაუშვებელია. შვედები ამ თემაზე არც კი საუბრობენ, ეს აქსიომაა, რომელსაც არც იცავენ და არც უარყოფენ.

თუმცა პრაქტიკა სრულიად სხვა რამეზე მეტყველებს. მეტ-ნაკლებად დიდი მასშტაბები მიიღო სახელმწიფოს ჩარევამ ინდივიდების ცხოვრებაში. ეს ლოგიკურიცაა და გასაგებიც: სახელმწიფო იხდის, შესაბამისად გადაწყვეტილებებსაც ის იღებს. ცხრა მილიონი მოქალაქის ცხოვრების შესახებ მოხელეთა უზარმაზარი არმია ფიქრობს და ატარებს ღონისძიებებს. ამასთან, ხშირად ეს მოხელეები საკმაოდ უვიცნი და მოუმზადებელნი არიან და საკუთარი შეხედულებებით ხელ-

მძღვანელობენ ბავშვების აღზრდისა თუ მათი განათლების, მოხუცთა მოვლა-პატრონობისა თუ მრავალი სხვა სოციალური და არა მხოლოდ, პრობლემების შესახებ. ამას კი ძალზე ხშირად არასასიამოვნო შედეგები მოსდევს.

ზოგიერთი სხვა წეს-კანონებიც აფერხებს შვედეთში ეკონომიკის განვითარებას. მაგალითად, მოქმედი კანონების მიხედვით დამქირავებელს ეკრძალება მუშაკის სამსახურიდან განთავისუფლება. ამიტომ იშვიათი როდია შემთხვევები, როდესაც ადამიანი ფორმალურად ეკიდება თავის სამსახურებრივ მოვალეობას და მხოლოდ იმას ცდილობს, რომ როგორმე გაძლოს პენსიაზე გასვლამდე.

იგივეს თქმა შეიძლება ავადმყოფობის ფურცლების გამოც: სწორედ ამ სახის ანაზღაურებები „ჭამს" ამჟამად შვედეთის ბიუჯეტის რამდენიმე ათეულ პროცენტს. ეს პრობლემა იმდენად აქტუალურია, რომ სპეციალური პოლიციაც კი შეიქმნა მათ საკონტროლოდ, რომლებიც ბიულეტენზე არიან, მაგრამ ლოგინში წოლის ნაცვლად ტენისს თამაშობენ.

ქვეყნის ზოგიერთ რეგიონს საკმაოდ აწუხებს ასევე დაუსაქმებლობის პრობლემაც, თუმცა ეს, ვგონებ, სახელმწიფოს უფრო აწუხებს, ვიდრე დაუსაქმებელს, რამეთუ უმუშევრობის შემთხვევაში ადამიანს საშუალო ხელფასის 80 პროცენტამდე უხდიან, ანუ დაახლოებით 1000 ევროს, რაც სრულიადაც არ ასტიმულირებს მას ეძებოს სამუშაო.

ამიტომ თანდათან უფრო მეტი შვედი აძლევს საკუთარ თავს კითხვას იმის თაობაზე, თუ რა უჯდება ქვეყანას ასეთი ფუფუნება და რამდენ ხანს გასტანს შვედური კეთილდღეობა. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ შვედური სოციალიზმის მოდელი რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს და მის საძირკველშიც და მთლიანად შემობაშიც, ბევრი რამაა შესაცვლელი.

ესტონეთის ეკონომიკა. ეს პატარა ქვეყანა, რომელიც ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ მთლიანი შიდა პროდუქტის წლიურ 10-პროცენტიან ზრდას უჩვენებდა, ახლა უკვე, როგორც ჩანს, სერიოზული კრიზისის წინაშეა აღმოჩენილი.

ეკონომისტები აღარ მალავენ იმ ფაქტს, რომ ესტონეთის ეროვნული მეურნეობა მას ვერ მოკლევადიან პერსპექტივაში და ვერც ადვილად ვერ დაძლევს.

მიმდინარე წლის პირველი კვარტლის შედეგების გაცნობამ ძალზე გააოცა ექსპერტები. მშპ-ს მხოლოდ 0,4 პროცენტიანი ზრდა, ანუ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მთელ ევროპაში. ასეთი დაბალი მაჩვენებელი 90-იანი წლების რუსეთის კრიზისის შემდეგ ქვეყანას არ უჩვენებია. გავიხსენოთ: 1996 წელს ესტონეთში მშპ-ს ზრდა უდრიდა 5%-ს, 1997 წელს - 10,8, 1997 წელს - 10,8, 2000 წელს - 9,8, 2005 წელს - 10,2, 2006 წელს - 11,2, 2007 წელს 7,2, ხოლო 2008 წლის პირველ კვარტალში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, - მხოლოდ 0,4 პროცენტი. ეს განგაშის მომგვრელი გარემოებაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მხოლოდ ერთი წლის წინათ ანალოგიური მაჩვენებელი თითქმის 10 პროცენტს შეადგენდა. ექსპერტებს უჭირთ იმის ახსნა, თუ ეს რა მიზეზით მოხდა.

ხშირად სწრაფი ზრდაც პრობლემას წარმოშობს. ესტონეთში, მსგავსად ლიტვისა და ლატვიის, სწრაფი ეკონომიკური წინსვლის სქემა მეტად მარტივად გამოიყურებოდა. ბოლო წლების განმავლობაში მას გაზრდილი შიდა მოთხოვნა ასულდგმულებდა. ესტონელები სულმოუთქმენლად ყიდულობდნენ ნაირ-ნაირ იმპორტულ (ძირითადად) თუ ადგილობრივი წარმოების საქონელს. განსაკუთრებით დიდი დაინტერესების საგნად იყო ქცეული უძრავი ქონება. თავიანთ ხარჯებს ესტონელები კრედიტების საფუძველზე ფარავდნენ. ამ კრედიტებს კი მათ გამოუყოფდნენ ბანკები, რომლებიც ძირითადად შვედური, ფინური და დანიური კაპიტალის საფუძველზე იყვნენ წარმომდგარი. ეს ბანკები მძაფრ კონკურენტიულ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმული, განსაკუთრებით იპოთეკური კრედიტის ბაზარზე, რის გამოც ესტონელებს ძალზე იაფად თავაზობდნენ კრედიტებს. ეს კი გამსესხებლებისათვისაც სასარგებლო იყო და მსესხებლებისათვისაც.

ესტონეთის მოსახლეობა გაზრდილ მოთხოვნილებებს ძირითადად იმპორტის ხარჯზე იკმაყოფილებდა, რაც იწვევდა ეკო-

ნომიკური წონასწორობის დარღვევას და დიდ დეფიციტს მიმდინარე ანგარიშებში. დაბალი უმუშევრობის მაჩვენებელი და სამუშაო ძალის დეფიციტი აიძულებდა დამქირავებლებს გაეზარდათ ხელფასები, რაც უარყოფითად მოქმედებდა ფირმების რენტაბელობაზე და მათ ფასების გაზრდას აიძულებდა. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ სურსათსა და ნედლეულზე ფასების ზრდის მთელ მსოფლიოში შექმნილ ტენდენციას, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ესტონეთში ინფლაცია უჩვეულოდ გაიზარდა და ორნიშნა ციფრი (11,4 პროცენტი) შეადგინა.

როგორც ჩანს, ვერც კერძო ადამიანი და ვერც ქვეყანა საკუთარ თავზე ზევით ვერ ახტება. ვერც ესტონეთში გასტანა დიდხანს წარმოების სწრაფმა ტემპებმა. ესტონეთის ეკონომიკამაც „ბუქსაობა“ დააბლოებით ერთი წლის წინათ დაიწყო. ბანკებმა შეცვალეს თავიანთი დამოკიდებულება კრედიტების გაცემისადმი, რაზეც მსოფლიოში წარმოქმნილმა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმაც იმოქმედა. ცხადია, მოხმარების მაჩვენებელიც, რომელიც ძირითადად ბანკების კრედიტებით კმაყოფილდებოდა, მკვეთრად შემცირდა. მაგალითად, საცალო ვაჭრობის მაჩვენებელი, რომელიც 2006 წელსა და 2007 წლის დასაწყისში დააბლოებით 20 პროცენტით იზრდებოდა, 2008 წლის მარტში 2007 წლის მარტთან შედარებით, 4–5 პროცენტით შემცირდა. ვაჭრობის მაჩვენებლები განსაკუთრებით დაეცა საცხოვრებელი სახლების ბაზარზე. – სახლები, რომლებიც სარეალიზაციოდ იყო გათვალისწინებული, ახლა ცარიელები დგანან და მყიდველს ელოდებიან – აცხადებენ ექსპერტები.

ყველაზე მეტად სავალალო კი ისაა, რომ ამ ქვეყანაში არ იგრძნობა საექსპორტო პროდუქციის წარმოების რაღაც განსაკუთრებული გამოცოცხლება, რაც ბუნებრივი პროცესია მაშინ, როდესაც ასე მკვეთრად იკლებს ადგილობრივი მოთხოვნილება. უფრო მეტიც: მარტში წარმოების მასშტაბები (წლიური) 5 პროცენტითაც კი შემცირდა.

– ვფიქრობდით, რომ მიმდინარე წელს მშპ-ს ზრდა ქვეყანაში 3 პროცენტის დონეზე იქნებოდა, ახლა იძულებული

ვართ ეს პროგნოზები შემცირების მიმართულებით შევცვალოთ – აცხადებს ესტონელი ექსპერტი და უმატებს – ამ მოვლენის ერთადერთი დადებითი მხარე არის ის, რომ იგი ინფლაციურ ზეწოლას შეამცირებს, სხვათაშორის იმითაც, რომ გაიზრდება უმუშევრობა და ამის გამო ლაგამი ამოედება ასევე ხელფასების ზრდას.

მოკლედ, როგორც ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელიაო. თუმცა, რამდენად სასარგებლო და მარგებელი აღმოჩნდება ამგვარი ჭირი ესტონეთის ეკონომიკისათვის, ამას დრო გვაჩვენებს.

ესტონეთს სავალუტო სისტემამაც თავსატეხი გაუჩინა. როგორც ესტონეთის, ისე ბალტიისპირეთის სხვა ქვეყნებისათვისაც მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სავალუტო სისტემა. ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ვალუტები მტკიცედაა მიბმული ევროზე (ლატვიის ლატს შეუძლია პლუს-მინუს 1 პროცენტის ფარგლებში მერყეობა, ლიტვის ლიტსა და ესტონეთის კრონას არც ამდენი, ისინი ისე მტკიცედ არიან მიბმული ევროზე). ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ ქვეყნებს არ შეუძლიათ ამ სფეროში საკუთარი მონეტარული პოლიტიკის განხორციელება, მაგალითად, გაზარდონ საპროცენტო განაკვეთი, რამეთუ ეს საქმე ევროპის ცენტრალურ ბანკსა აქვს ხელში აღებული.

ექსტონელი ექსპერტების აზრით, ესტონეთის ცენტრალური ბანკი უძლურია გააკონტროლოს ის მოვლენები, რომლებიც ამ ქვეყანაში მიმდინარეობენ. ხოლო რათა ინფლაციას ებრძოლონ, ბალტიის ქვეყნებს მხოლოდ ფისკალური (ბიუჯეტთან დაკავშირებული) ბერკეტების ამოქმედება შეუძლიათ. ამით ისინი ცდილობენ გავლენა მოახდინონ მოთხოვნაზე და გარკვეულად შეზღუდონ ინფლაციური ზეწოლა ეკონომიკაზე.

თუმცა ეკონომიკის შენელებული ტემპები დიდად არც ამის საშუალებას იძლევა. მიმდინარე წლის პირველი-ოთხი თვის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა დაგეგმილ შემოსავლებზე გაცილებით ნაკლები. არადა, წლევანდელი ბიუჯეტი 3,6 მლრდ კრონის პროფიციტით, ანუ მშპ-ს 1,3 პროცენტით იყო დაგეგმილი. ახლა ესტონეთის ხელისუფლება იძულებუ-

ლია შეკვეცოს ხარჯები (დაახლოებით 3,1 მლრდ კრონით, რაც 300 მლნ ევროზე მეტია), რათა ბიუჯეტი დააბალანსოს.

თუმცა ექსპერტების ვარაუდით, მომავალ წლებში ბიუჯეტის დასაბალანსებლად შესაძლოა არც ამ ღონისძიებებმა იკმაროს. შედეგად, ესტონეთი, რომელიც აქამდე მთელ მსოფლიოში იყო განთქმული როგორც დაბალი გადასახადების ქვეყანა (მაგალითად, რეინვესტირებულ მოგებაზე იურიდიულ პირებს საერთოდ არ ახდევინებდნენ საშემოსავლო გადასახადს), ახლა შესაძლოა იძულებული გახდეს გაზარდოს ისინი ან ახალი გადასახადები შემოიღოს. მაგალითად, როგორც ესტონეთის ფინანსთა მინისტრმა ივარი პადარმა განაცხადა, მუშავდება პროექტი, რომლის მიხედვითაც შემოიღებენ ახალ გადასახადს ძვირფასი ავტომობილებისათვის ანდა ისეთი საქმიანობისათვის, რომლებიც გარემოს დაბინძურებას იწვევს.

რუსული კვალი. ესტონეთის ეკონომიკაზე სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინა ერთი წლის წინანდელმა მოვლენებმა, როდესაც წარმოიშვა ესტონეთ-რუსეთის კონფლიქტი. მაშინ ესტონელებმა ტალინის ცენტრიდან საბჭოთა ჯარისკაცის ქანდაკება სხვაგან გადაიტანეს. რუსეთის მიზეზით, რუსული ფირმების ბოიკოტის შედეგად, ესტონეთმა, როგორც ამას ქვეყნის ხელისუფლება აცხადებს, 450 მლნ ევროს ექვივალენტური ზარალი განიცადა. ეს კი მშ-ს 3 პროცენტზე მეტია.

აი, ამ ბოიკოტის კონკრეტული შედეგები: ტალინის პორტმა, საიდანაც ნავთობი თუ ქვანახშირი მიეწოდებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, შედეგად გასულ წელს ტვირთების 15 პროცენტამდე დაკარგა. მკვეთრად შემცირდა ასევე ესტონეთში ჩასული ტურისტების ნაკადი. კერძოდ, 2007 წელს აქ ჩავიდა 41 ათასი ტურისტით, ანუ 18 პროცენტით ნაკლები, ვიდრე წინა, 2006 წელს.

ბალტიის ქვეყნებს უხირთ „ვეფხვებად" დარჩენა. ბოლო წლებში ბალტიისპირეთის ქვეყნებს ისე მშვენივრად მიჰყავდათ სამეურნეო საქმიანობა, რომ ექსპერტებმა ისინი „ეკონომიკური ვეფხვებად" მონათლეს. თუმცა, როგორც ჩანს, ეს უკვე

ტკბილად მოსაგონებელი ისტორიაა. დღეს ამ ქვეყნებს მხოლოდ იმისათვის უხდებათ ბრძოლა, რომ მუხლებზე არ დაეცნენ.

როგორც ლატვიის სტატისტიკის დეპარტამენტი აცხადებს, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამ ქვეყნის ეკონომიკა მხოლოდ 3,6 პროცენტით ვითარდებოდა. საგრძნობლად დაკარგა ეკონომიკური წინსვლის ტემპები ესტონეთმაც, სადაც ამ ქვეყნის ცენტრალური ბანკის განცხადებით, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა ამავე პერიოდში, ნაცვლად ნავარაუდევი 4,4 პროცენტისა, მხოლოდ 2 პროცენტი შეადგინა.

ამ მხრივ ჯერ-ჯერობით კარგად გამოიყურება ლიტვა, სადაც მშპ-ს ზრდამ 2008 წლის პირველ კვარტალში 6,4 პროცენტი შეადგინა.

აღნიშნულ ქვეყნებში შექმნილი მდგომარეობა ექსპერტებს აიძულებთ შემდეგი კითხვა დასვან: ბალტიის ქვეყნებში, სადაც წინა წლებში მშპ-ს ზრდა წლიურად საშუალოდ 10–11 პროცენტის დონეზე იყო და რომლებიც სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის აქამდე სანიმუშოდ მოჰყავდათ ხოლმე, ხომ არ მოხდა,, ეკონომიკური გადახურება" და ახლო მომავალში აქ ეკონომიკური ცხოვრების კიდევ უფრო შენელებას ხომ არ უნდა ველოდეთ?

ისე, თუ პოლიტიკოსებს აღაფრთოვანებდათ ამ ქვეყნების წინანდელი ასეთი სამეურნეო აქტიობა, ეკონომისტები გარკვეული სიფრთხილით და შიშითაც კი უყურებდნენ მას. ეს იმიტომ, რომ ეკონომისტთა უმრავლესობამ იცის: ძნელი არაა ეკონომიკამ ტემპები აკრიფოს, მთავარია ამ ტემპების შენარჩუნება. ამასთან ისე, რომ ამას ინფლაციის სწრაფი ზრდა და ეროვნულ მეურნეობაში წონასწორობის დარღვევა არ მოჰყვეს. ხოლო თუ ეს მოხდა, ამას კვლავ ეკონომიკური დაქვეითება მოსდევს.

ბალტიის ქვეყნებში ეკონომიკური ბუმი 2007 წლის შუა თვეებამდე გრძელდებოდა. კერძოდ, ამ ქვეყნებში მშპ-ს ზრდას ბოლო ორ წელიწადში შემდეგი სახე ჰქონდა:

ესტონეთში: 2007 წლის I კვარტალში მშპ-ს ზრდა უდ-

რიდა 10,1 პროცენტს, I I კვარტალში - 7,6 პროცენტს, I I I-ში 6,1-ს, I V-ში - 4,8-ს, ხოლო მიმდინარე წლის I კვარტალში მშპ-ს ზრდა პროგნოზით, ოდენ 2 პროცენტამდე ზრდას მოელიან.

ლატვიაში: 2007 წლის I კვარტალში მშპ-ს ზრდა უდრიდა 11,3 პროცენტს, I I კვარტალში - 11 პროცენტს, I I I-ში - 10,9-ს, I V-ში -8,1-ს, ხოლო მიმდინარე წლის I კვარტალში მშპ-ს ზრდა 3,6 პროცენტის ფარგლებშია.

რაც შეეხება ლიტვას, აქ 2007 წლის I კვარტალში მშპ-ს ზრდა უდრიდა 8,1 პროცენტს, I I კვარტალში - 8 პროცენტს, I I I-ში 10,8-ს, I V-ში - 8-ს, ხოლო მიმდინარე წლის I კვარტალში მშპ-ს ზრდა პროგნოზით, 6,4 პროცენტამდეა დაფიქსირებული.

დაკვირვებული თვალი ეკონომიკური დაქვეითების ნიშნებს ადრეც შეამჩნევდა. მაგალითად, ამ ქვეყნებში იზრდებოდა ინფლაცია, რომელიც ორნიშნა ციფრს შეადგენდა. ამიტომ გასაკვირია როდია, რომ მოხმარების მაჩვენებლებმა, რომელიც აქამდე წარმოების ზრდის ტემპებს უსწრებდა, შემცირება დაიწყეს.

რეცესიის პირველი ნიშნები ესტონეთში გამოჩნდა, სადაც მშპ-ს ტემპების შემცირებამ უკვე გასული წლის I V კვარტალში მიიქცია ყურადღება (მაშინ მშპ მხოლოდ 4,8 პროცენტით გაიზარდა). იზრდებოდა ინფლაციის მაჩვენებელიც. კერძოდ, აპრილში წლიურმა ინფლაციამ ამ ქვეყანაში 11,4 პროცენტი შეადგინა. მაღალი ფასები უარყოფითად მოქმედებს ვაჭრობაზე - მომხმარებლებს არა სურთ გაძვირებული საქონლის ყიდვა. ამ მიზეზით საცალო ვაჭრობის მაჩვენებელი ესტონეთში მიმდინარე წლის მარტში 4 პროცენტით შემცირდა. შემცირდა ასევე სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპებიც - 5 პროცენტით და მეტად.

მოსალოდნელზე სწრაფი ტემპებით შემცირდა მშპ ლატვიაშიც. ვერავინ ვერ იწინასწარმეტყველებდა ამ მაჩვენებლის მხოლოდ 3,6 პროცენტიან ზრდას. თუმცა აქ არც უფრო მეტ გართულებას მოელიან.

რაც შეეხება ლატვიას, აქ ინფლაციის მაჩვენებელმა აპრილში რეკორდულ დონეს – 17,5 პროცენტს მიაღწია. განსაკუთრებით გაიზარდა ფასები სურსათზე – 20 პროცენტზე მეტად. კიდევ უფრო მაღალ ზრდას ჰქონდა ადგილი ფასების ზრდას წყალზე, ელექტრობაზე, გაზსა და საერთოდ, საწვავზე – 30 პროცენტზე მეტად. ალკოჰოლზე და თუთუნზე ფასების ზრდამ 46 პროცენტს გადააჭარბა.

აპრილში ინფლაციამ რეკორდულ მაჩვენებელს 11,7 პროცენტს, მიაღწია ლიტვაშიც.

ევროპა შეერთებულ შტატებს 2010 წლამდე დაეწევა?! ამ ორიოდე დღის წინათ ბრიუსელის ინსტიტუტმა „Lისბონ ჩოუნცილ“-მა ევროკავშირში სამეურნეო ზრდის ტემპებისა და ევროპაში სამუშაო ადგილების თაობაზე მეტად საინტერესო კვლევა გამოაქვეყნა. „მიუხედავად ზოგიერთი მარცხისა, რომლის შესახებაც ცინიკოსები ამდენს გაჰყვირიან, – ნათქვამია მასში – ლისაბონის სტრატეგია მოქმედებს და შედეგებიც მოაქვს“. სავარაუდოა, აღნიშნავენ ნაშრომის ავტორები, რომ ევროპა შეერთებულ შტატებს 2010 წლამდე დაეწევა.

თუმცა ზოგიერთი ექსპერტი ამგვარ პროგნოზებს არასერიოზულად აღითქვამს და იმ დროს აგონებს, როდესაც ხრუშჩოვის (საბჭოთა იმპერიას მართავდა 1953-1964 წლებში) მმართველობის წლებში საბჭოთა მთავრობა სულ იმას გაიძახოდა – დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებსო.

როგორც ექსპერტები აცხადებენ, ეს დოკუმენტი ერთერთი პირველია, რომელიც ასე ოპტიმისტურად აფასებს 2000 წელს ევროპის ქვეყნების ლისაბონის შეკრებაზე ევროკავშირის მიერ დასახული მიზნების შესრულების მიმდინარეობას. სწორედ მაშინ იქნა მიზნად დასახული, რომ უახლოესი 10 წლის განმავლობაში „ევროპული მეურნეობა უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტული, დინამიურად განვითარებადი და ცოდნაზე დამყარებული მე-

ურნეობა მსოფლიოში". ამ დროის განმავლობაში ევროპის ეკონომიკას უნდა მიეღწია მყარი განვითარებისათვის, ხოლო მის მოქალაქეებს შორის ცხოვრების დონეებში არსებული განსხვავება მკვეთრად უნდა შემცირებულიყო.

აქამდე ჩატარებული ყველა მეცნიერული გამოკვლევა იმაზე მიუთითებდა, რომ ევროპაში ფიქსირდებოდა მეტისმეტად მაღალი დონე სოციალური ხარჯებისა, ხოლო მეცნიერებისა და კვლევების დაფინანსება მკვეთრად ჩამორჩებოდა შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში ანალოგიური ხარჯების დონეს. როგორც ჩანს, ამ სფეროში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, რადგან ამ მოხსენების მიხედვით, გარკვეული რეფორმების განხორციელების შედეგად ამ სფეროში მდგომარეობა სერიოზულად გაუმჯობესდა, რის გამოც ევროპის ქვეყნებში ეკონომიკის (შრომის) მწარმოებლურობა მკვეთრად ამაღლდა.

2006 წლიდან მოყოლებული ევროპული მეურნეობა საკმარისად სწრაფად ვითარდება. დღეს ეკონომიკის განვითარების ტემპებისა და შრომის ეფექტურობის მაჩვენებლების (აღსანიშნავია, რომ კვლევისას ყურადღება ექცეოდა ასევე ისეთ კრიტერიუმებს, როგორებიცაა: შრომითი რესურსების დასაქმების მდგომარეობა და დასაქმებულთა კვალიფიკაციის დონე, შრომის იარაღებში ინვესტირების მოცულობები და საბიუჯეტო რესურსების ხარჯვის რაციონალურობა) მიხედვით გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე შეერთებულ შტატებში.

– სულ რაღაც ორიოდე წლის წინათ ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო – ამბობს Sllianz SE-ს მთავარი ეკონომისტი და ამ მოხსენების მთავარი ინიციატორი და ავტორი [illegible] ეისე.

მოხსენებამ ევროპის 14 ყველაზე განვითარებული ქვეყანა მოიცვა. განსაკუთრებით კარგი შეფასებები დაიმსახურეს: ფინეთმა, ირლანდიამ, [illegible]ამ და შვედეთმა. წარმატებული ქვეყნების ხუთეულში მოხვდა ასევე პოლონეთიც. ამ უკანასკნელს ეს პატივი უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური ზრდის

ტემპების (პირველი ადგილი მოხსენებაში აღწერილ ქვეყნებს შორის) და შრომის ეფექტურობის (მესამე ადგილი მათ შორის) მიხედვით ერგო. ის ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ამ რეიტინგში ასეთი საპატიო ადგილი დაიმსახურა ევროკავშირში ბოლო დროს შესულ ქვეყნებს შორის.

2000 წელს ევროპის ქვეყნების ლისაბონის შეკრებაზე ევროკავშირის მიერ დასახული მიზნების შესრულების თვალსაზრისით ბოლო ადგილებზე აღმოჩნდნენ იტალია, საფრანგეთი და ავსტრია. პირველი-ორი განსაკუთრებით ეკონომიკური განვითარების დაბალი ტემპების გამო, ხოლო ავსტრია იმ მიზეზით, რომ მისი შრომითი რესურსები კვალიფიკაციის დაბალი დონით ხასიათდებიან.

„LISBON COUNCIL"-ის დასკვნებს ოპონენტები გამოუჩნდნენ. დამაფიქრებელია, რომ აღნიშნული დასკვნები ყველა დამკვირვებლისათვის როდია მისაღები. იმ მოსაზრებას, რომ ევროპა შეერთებულ შტატებს 2010 წლამდე დაეწევა, ზოგიერთი ექსპერტი არასერიოზულად აღითქვამს და იმ დროს აგონებს, როდესაც ხრუშჩოვის (საბჭოთა იმპერიას მართავდა 1953-1964 წლებში) მმართველობის წლებში საბჭოთა მთავრობა სულ იმას გაიძახოდა - დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებსო.

ვინ შეინახავს ევროპელ პენსიონერებს? მუსულმანები? 2050 წლისათვის ყოველი მეოთხე ევროპელი პენსიონერი იქნება, ყოველი მესამე - იმიგრანტი, ხოლო ყოველი მეათე კი - მუჰამედის მიმდევარი, - აი, ზოგიერთი ის დასკვნა, რომელსაც ამ მცირე ხნის წინ ევროპის კომისიის დაკვეთით შესრულებულ მსოფლიოსა და ევროპის დემოგრაფიულ პროგნოზებში ამოიკითხავთ.

აღნიშნული პროგნოზების თანახმად, საუკუნის შუა ხნისათვის მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობა 40 პროცენტით, ანუ 1,5 მილიარდი ადამიანით გაიზრდება.

ამის სრულიად საპირისპირო ტენდენცია დაფიქსირდება ევროპაში, რომლის მოსახლეობა 2050 წლისათვის 10 პრო-

ცენტით შემცირდება. ევროპელთა რაოდენობა მოიკლებს როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი თვალსაზრისითაც. კერძოდ, თუ ამჟამად ევროპელთა ხვედრითი წილი მთელი მსოფლიოს მოსახლეობაში 11 პროცენტს აღემატება, საპროგნოზო თარიღისათვის იგი 7 პროცენტამდე შემცირდება, ანუ დაიკლებს 64 პროცენტული პუნქტით.

პროგნოზების თანახმად, განსაკუთრებით დიდი რაოდენობის მოსახლეობას დაკარგავს აღმოსავლეთ ევროპა.

კერძოდ, უკრაინა, რომლის მოსახლეობაც მომავალი 40 წელიწადის განმავლობაში 43 პროცენტით შემცირდება და 26 მილიონამდე დაეცემა;

რუსეთი, რომლის მოსახლეობაც ამავე დროის მანძილზე შემცირდება 31,4 მილიონი ადამიანით და 111,3 მილიონი გახდება;

პოლონეთი, რომელიც შემცირდება 6,6 მილიონით და 31,9 მილიონი ადამიანი იქნება და ა. შ.

დასავლეთ ევროპაში ამ მხრივ შედარებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება იტალია, რომლის მოსახლეობაც მომავალი ოთხი ათეული წლის მანძილზე 12 პროცენტით, ანუ 51 მილიონამდე შემცირდება.

მოსახლეობის მხრივ დანაკარგები შედარებით ნაკლები იქნება ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და სკანდინავიის ქვეყნების მოსახლეობა გაიზრდება კიდეც.

ევროპელთა რაოდენობის შემცირება „ბებერ კონტინენტზე" უპირველეს ყოვლისა, შობადობის დაბალი მაჩვენებლითაა გამოწვეული. ერთი, ჰა-ჰაა ორი ბავშვი, მის მეტის შობა და გაზრდა სამხრეთ ევროპელ დედას უკვე აღარ სურს. ჩრდილოეთ ევროპაში მდგომარეობა ამ მხრივ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ოდნავ უკეთესია, მაგრამ იქაც დემოგრაფიულ სიტუაციას უფრო იმიგრანტთა დიდი რაოდენობა აუმჯობესებს, ვიდრე ადგილობრივ მკვიდრთა ბუნებრივი მატება.

ექსპერტების გამოთვლებით, ევროპის კონტინენტზე 2050 წლამდე 235 მილიონი იმიგრანტი გადასახლდება, უწინა-

რეს ყოვლისა, აფრიკის (განსაკუთრებით არაბებით დასახლებული ტერიტორიებიდან) ქვეყნებიდან, აზიიდან და სამხრეთ ამერიკიდან. სწორედ ამ რეგიონებში იბადება ყველაზე მეტი ბავშვი, ეს ქვეყნებია ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და სავარაუდოა, რომ სწორედ ამ რეგიონებიდან გადასახლდება მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ევროპაში.

იმიგრანტები მიისწრაფიან და თავიანთ მეორე სამშობლოს პოულობენ უპირველეს ყოვლისა, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, ნორვეგიასა და შვედეთში. შესაბამისად სწორედ ამ ქვეყნებშია ყველაზე დიდი იმიგრანტთა ხვედრითი წილი. ამასთან, ეს მაჩვენებელი მომავალში კიდევ უფრო სწრაფად გაიზრდება.

კერძოდ, თუ 2001 წელს დიდ ბრიტანეთში იმიგრანტთა ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში 11,3 პროცენტს შეადგენდა, 2050 წელს იგი 36 პროცენტს გადააჭარბებს. აქ იმიგრანტები ძირითადად სუსტად განვითარებული ქვეყნებიდან ჩამოდიან.

დანიაში თუ ანალოგიური მაჩვენებელი 2004 წელს უდრიდა 8,74 პროცენტს, 2050 წლისათვის იგი თითქმის გაორმაგდება და 15 პროცენტს გადასცდება.

გერმანიაში 2000 წელს იმიგრანტთა ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში 9,9 პროცენტს შეადგენდა, 2050 წელს იგი სავარაუდოდ 23,6 პროცენტის ტოლი იქნება.

ჰოლანდიაში ეს მაჩვენებელი 2004 წელს უდრიდა 17,4 პროცენტს, 2050 წლისათვის იგი 30 პროცენტს მიაღწევს.

ამ მხრივ კიდევ უფრო გამწვავდება მდგომარეობა ნორვეგიაში, სადაც აღნიშნული მაჩვენებელი 2005 წელს უდრიდა 7,5 პროცენტს, 2050 წლისათვის იგი გასამმაგდება და 23,5 პროცენტის დონეზე დარეგულირდება.

შეიძლება ითქვას, რომ თუ ამჟამად ევროპაში იმიგრანტთა ხვედრითი წილი მთელს მოსახლეობაში საშუალოდ 10–15 პროცენტის დონეზეა, 2050 წლისათვის კი ეს მაჩვენებელი მთელი მოსახლეობის მესამედი მაინც იქნება, თუ მეტი არა.

იმიგრანტთა რაოდენობის ზრდის პარალელურად ევროპის ქვეყნებში სწრაფი ტემპებით იზრდება პენსიონერთა რიცხოვნობაც, ანუ იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც 65 წლის ასაკს გადასცილდნენ. კერძოდ, თუ 2010 წელს ამ ასაკის ადამიანები მთელ მოსახლეობაში 16,2 პროცენტს შეადგენდნენ, 2050 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 27 პროცენტს გადასცილდება, ანუ ყოველი მეოთხე და უფრო მეტი ადამიანი ევროპაში საპენსიო ასაკის იქნება. შეიძლება სხვაგვარადაც ითქვას: პენსიონერთა რიცხოვნობის ზრდა ევროპელ პოლიტიკოსებს უფრო მკაცრი საიმიგრაციო პოლიტიკის გატარების საშუალებას არ აძლევს. უფრო პირიქით, ხშირ შემთხვევაში ისინი იძულებულებიც კი ხდებიან იმიგრაცია წაახალისონ.

ასეთი ინტენსიური იმიგრაცია, რომელსაც ადგილი აქვს ევროპაში, აქ ცვლის არა მხოლოდ დემოგრაფიულ სურათს, არამედ აღმსარებლობითსაც. ამჟამად (და მომავალში ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება) ამ კონტინენტზე ტრადიციული ქრისტიანული მოსახლეობის გვერდით უფრო მეტი და მეტი რაოდენობის მუსულმანი მოსახლეობა ჩნდება. დემოგრაფები ვარაუდობენ, რომ მაგალითად, ავსტრიაში, სადაც სადღეისოდ მაჰმადიანთა ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში მხოლოდ 4 პროცენტია, საუკუნის შუა წლებისათვის იგი 26 პროცენტს მიაღწევს. მათი ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში სერიოზულად გაიზრდება ასევე დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც.

იმიგრანტები მუდმივ საცხოვრებლად განსაკუთრებით დიდ ქალაქებს - ამსტერდამს, ლონდონს, პარიზს და ა. შ. ირჩევენ. უკვე ამჟამად მათი ხვედრითი წილი ქალაქის მთელ მოსახლეობაში შეადგენს - ამსტერდამსა და ლონდონში 40 პროცენტზე მეტს, ხოლო ბრიუსელსა და ფრანკფურტში - თითქმის 30 პროცენტს.

საგულისხმოა, რომ ამგვარი დემოგრაფიული ცვლილებები ამ ქვეყნებში გავლენას ახდენს მის კულტურაზეც. ეს ტენდენცია მართალია ჯერ-ჯერობით მკვეთრად გამოკვეთი-

ლი არაა, მაგრამ საფიქრებელია, რომ მომავალში თავს უფრო წამოყოფს. აი, ამის ერთი დამახასიათებელი მაგალითი:

ამ წელიწადნახევრის წინათ ბერლინის ოპერის თეატრში მოცარტის ოპერა უნდა დაედგათ. სცენარის მიხედვით ტომარიდან იღებენ ქრისტეს, მაჰმადისა და ბუდას თავს. რეპეტიციების მსვლელობისას თეატრის დირექტორთან ვიღაც ორთოდოქსმა მუსლიმანებმა დარეკეს და მკაცრად მოითხოვეს სპექტაკლის დადგმაზე უარის თქმა. ისინი წინააღმდეგ შემთხვევაში ტერორისტული აქტით იმუქრებოდნენ. დირექცია დათმობაზე წავიდა და სპექტაკლი რეპერტუარიდან მოხსნა.

ინფლაცია ევროპაში - ზოგს სწყინს, ზოგს უხარია. ინფლაცია ამ ევროპაში და მათ შორის, იმ ქვეყნებშიც, რომლებმაც საერთო ევროპული ვალუტა - ევრო შემოიღეს, უკვე გადააჭარბა ადრე ამ ქვეყნების მიერ ურთიერთ შეთანხმებით მიღებულ კრიტერიუმებს. კერძოდ, ევროზონაში შესვლის მსურველ ქვეყანაში ინფლაციის დონეს 1,5 პროცენტზე მეტად არ უნდა გადაეჭარბებინა ევროზონის იმ სამ ქვეყანაში არსებული ინფლაციის საშუალო დონისათვის, სადაც იგი ყველაზე დაბალი იყო.

მართალია მაღალი ინფლაცია ევროპელებისათვის თავის ტკივილის მიზეზი გახდა, მაგრამ ზოგიერთ ევროპუილ ქვეყანაში პირიქით, ეს ამბავი ახარებთ კიდეც.

ეს მე შემდეგ რამეს მაგონებს: გლეხს ორი ქალიშვილი ჰყავდა და ორივე გაათხოვა. მცირე ხნის შემდეგ გადაწყვიტა მათ ესტუმროს და გაიგოს, როგორ ცხოვრობენ. სახლში დაბრუნებულს ცოლი ეკითხება, თუ როგორი შთაბეჭდილება დარჩა ამ სტუმრობის შემდეგ. რის საპასუხოდაც გლეხი მიუგებს: რაღა როგორ არი, ისეთი საქმიანობა აურჩევიათ, თუ წვიმა მოვიდა, ერთს ეტირება დედა, თუ გვალვები დაიჭირა - მეორესო.

ევროპაში მაღალი ინფლაცია ახარებთ მაგალითად, სლოვაკებს. რატომ? იმიტომ, რომ მაასტრიხტის ხელშეკრულების მიხედვით, ევროზონაში შესვლის მსურველ ქვეყანაში

ინფლაციის დონე 1,5 პროცენტზე მეტად არ უნდა აღემატებოდეს ევროზონის იმ სამ ქვეყანაში არსებული ინფლაციის საშუალო დონეს, სადაც იგი ყველაზე დაბალია. სლოვაკეთს კი დიდი სურვილი აქვს ახალი ევროპული ვალუტის შემოღების. აქამდე მას ამ საქმეში შედარებით მაღალი ინფლაცია უშლიდა ხელს. როგორც ჩანს, მოვლენები ისე ვითარდება, რომ მაღალი ინფლაციის გამო მას უკვე აღარავინ დაიწუნებს და ახლო მომავალში ევროზონაში ამ ქვეყანასაც ვიხილავთ.

ახლა ისევ ევროზონას დავუბრუნდეთ. ევროსტატის მიხედვით, მიმდინარე წლის თებერვალში ევროზონის ქვეყნებში წლიური ინფლაცია ყველაზე მაღალი იყო მას შემდეგ, რაც ევროპის ქვეყნებმა საერთო ვალუტა შემოიღეს (1999 წელი) და მან 3,2 პროცენტი შეადგინა. როგორც ჩანს, ევროპის ცენტრალურ ბანკს უჭირს ინფლაციის მოთოკვა და მისი დაბალ, დაახლოებით 2 პროცენტის დონეზე დაჭერა.

მაღალმა ინფლაციამ მხოლოდ ევროზონაში როდი იჩინა თავი. მრავალია წელია, რაც შვეიცარიაში (ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში) ინფლაცია ასე მაღალი არა ყოფილა, როგორც ახლა. კერძოდ, იგი, ისევე, როგორც ევროზონის ქვეყნებში, თებერვალში 3,2 პროცენტი იყო.

აღსანიშნავია, რომ ევროპაში ინფლაციასთან ერთად ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებაც ფიქსირდება. მცირე ხნის წინათ ევროკომისიამ შეამცირა ადრე მიღებული პროგნოზული მაჩვენებლები, რომელთა მიხედვითაც სამეურნეო ზრდა 2008 წლისათვის 1,8 პროცენტის დონეზე იყო ნავარაუდევი. ამჟამად ვარაუდობენ, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი 1,7 პროცენტის დონეზე იქნება, ანუ ოდნავ უფრო მეტი, ვიდრე შეერთებულ შტატებში (1,6%).

ევროპაში ინფლაციის ზრდას ძირითადად იწვევს ფასების მატება სურსათზე, ნედლეულზე, განსაკუთრებით გაზსა და ნავთობზე. ამ უკანასკნელთა ფასის ზრდა კი განაპირობებს სატრანსპორტო მომსახურების ფასების მომატებას და მიდის ასე ჯაჭვისებურად ინფლაციური პროცესები.

იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ბაზრებზე ერთი ბარელი ნავთობის ფასი 100 დოლარს გადასცილდება და ამასთანავე, დაკმაყოფილდება პროფკავშირების მოთხოვნები ხელფასების გაზრდის მიმართულებით, ევროპის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარე ჟან-კლოდ ტრიხეს გადაწყვეტილი აქვს უფრო გააქტიუროს ბრძოლა ინფლაციასთან, თუნდაც ამისათვის ევროზონის ქვეყნებში (15 ქვეყანა) ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებაც კი გახდეს საჭირო.

საყურადღებოა, რომ იმავდროულად, შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში პირიქით, ძირითად საპროცენტო განაკვეთებს ამცირებენ სამეურნეო ზრდის დაჩქარების მიზნით.

🕮 ძირითადი ლიტერატურა

- მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, ტ. II, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ, თბილისი, 2004. — გვ. 79-128.
- მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო, პროფ. გრ. თოდუას და პროფ. შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი, 2001. — გვ. 506-524, 544-601.
- გრიშიკაშვილი ა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია. თბილისი, 2005.
- Глобализация мирового хозяйства: Учеб. пособ. / Под ред. д-ра экон. наук, проф. М.Н. Осмовой, канд. экон. наук, доц. А.В. Бойченко. — М. ИНФРА-М, М, 2006. — VIII. 376 с. — (Учебники экономического факультета МГУ им. М.В. Ломоносова). — გვ. 155-184.
- პოლ ჰერსტი, გრემ ტომპსონი. გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. გამომც. „დიოგენე", I ქართ. გამოც., თბილისი, 2005.
- Peter Dicken. Global Shift, Transforming the World Economy, Third Edition, P.C.P Ltd, 1999.

თემა 10

იაპონია და აზიური ნარმოების წესი

იაპონიის ბუნებრივი და ცივილიზაციური რესურსები. იაპონიის ეკონომიკური მოდელის გენეზისი და სტრუქტურა. იაპონიის ეკონომიკური მოდელის თავისებურებანი. იაპონიის ტრანსეროვნული კაპიტალი. იაპონიის ეკონომიკის განვითარების პრობლემები და ტენდენციები.

იაპონიას თანამედროვე ეკონომიკურ მსოფლიოში სრულიად განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია. იგი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც სულ რაღაც ერთი საუკუნის განმავლობაში შეძლო განეხორციელებინა ფანტასტიკური გადასვლა ეკონომიკური უძრაობისა და შუა საუკუნეობრივი ტექნოლოგიური მდგომარეობიდან ეკონომიკური და ტექნოლოგიური ძლიერების მწვერვალებისაკენ. ვერც ერთმა სხვა ქვეყანამ, რომელიც გენეტიკურად ევროპულ ცივილიზაციას არ ეკუთვნოდა, ვერ შეძლო მსოფლიო ეკონომიკაში ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა-ლიდერების რიცხვში სრულუფლებიანად შესვლა. იაპონია მოკლე პერიოდის განმავლობაში არა მარტო დაეწია ამერიკასა და ევროპას, არამედ 80-იან წლებში თითქმის ყველა ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით გაუსწრო კიდეც. თუმცა იაპონიის ლიდერობა ხანმოკლე აღმოჩნდა, სამაგიეროდ ამ მაგალითმა ყველა განვითარებად ქვეყანას, უპირველეს ყოვლისა კი, მის მიმდევარ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის „ვეფხვებსა“ და „დრაკონებს“, ასევე ჩინეთს დაანახა ეკონომიკური აყვავების შესაძლებელი გზა. ამ მაგალითმა უარყო გავრცელებული აზრი თავისებური აზიური წარმოების წესის უპერსპექტივობისა და კონფუციანურ-ბუდისტური ცივილიზაციური რესურსების ეკონომიკური არაეფექტიანობის შესახებ. *თანამედროვე იაპონია — ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მეორე ქვეყანაა მსოფლიოში.*

იაპონიის ზოგადი მახასიათებლები:

- ტერიტორია 377727 კვ. კმ.
- სახნავი მიწების ფართობი, %-ულად საერთო ფართობისადმი 12.
- მოსახლეობა 127.8 მილიონი ადამიანი.
- მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდა (2000-2005 წწ.) 0.17%.
- საზოგადოების განვითარების ინდექსი 94.3
- სიცოცხლის ხანგრძლივობა: მამაკაცები 79.1 წ., ქალები 86.4 წ.
- ზრდასრული მოსახლეობის წიგნიერება 99.0%.
- ქალაქის მოსახლეობა 65.7%.
- ყოველ 1000 ადამიანზე შობადობის საერთო კოეფიციენტი 9.2; სიკვდილიანობის საერთო კოეფიციენტი 8.8.

იაპონიის ეკონომიკის მახასიათებლები:

- მშპ, მლრდ. აშშ დოლარი 4624.
- რეალური მშპ-ს საშუალო წლიური ზრდა (1994-2004 წწ.) 1.2%
- მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, აშშ დოლარი 36170.
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2.26.
- მშპ წყაროები, %-ობით საერთო მოცულობისადმი:
  - სოფლის მეურნეობა 1.3
  - მრეწველობა 30,4; მ.შ. გადამამუშავებელი 20.8
  - მომსახურების სფერო 68.3.
- მშპ-ს შემადგენლები, %-ობით საერთო მოცულობისადმი:
  - პირადი მოხმარება 56.5
  - საზოგადოებრივი მოხმარება 17.6
  - ინვესტიციები 23.9
  - ექსპორტი 13.1
  - იმპორტი 11.2.
- დასაქმების სტრუქტურა, %-ობით საერთო რაოდენობიდან:
  - სოფლის მეურნეობა 5
  - მრეწველობა 29
  - მომსახურების სფერო 66
  - უმუშევრობა, 2004 წ. 9.7
  - უმუშევრობის საშუალო წლიური ნორმა, 1995-2004 წწ. 4.4.

- ენერგეტიკა (მლნ.ტ. ნავთობის ერთეულებში):
  - ენერგიის საერთო გამომუშავება 84.6
  - ენერგიის საერთო მოხმარება 517.1
  - მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე, კგ.ნ.ე. 4053
  - ენერგიის წმინდა იმპორტი საერთო მოხმარებისადმი 84%.
- ინფლაცია და ფინანსები:
  - სამომხმარებლო ფასების ინფლაცია (2005 წ.) -0.3%
  - საშუალო წლიური ინფლაცია (2000-2005 წწ.) -0.4%
- ვაჭრობა (Fob):

  ექსპორტის ძირითადი მუხლები, მლრდ.დოლ.(Fob)
  - ელექტრომექანიზმები 132.8
  - სატრანსპორტო მოწყობილობა 130.4
  - სხვა დანადგარები (ელექტრომექანიზმების გარდა) 116.5
  - ქიმიური პრეპარატები 48.3
  - ლითონები 37.5
  - ჯამი, მ.შ. სხვა დანარჩენი 556.

  იმპორტის ძირითადი მუხლები, მლრდ.დოლ. (Fob)
  - მექანიზმები და დანადგარები 142.3
  - მინერალური საწვავი 98.5
  - ქვების პროდუქტები 48.9
  - ქიმიური პრეპარატები 35.2
  - ნედლეული და მასალები 28.3
  - ჯამი, მ.შ. სხვა დანარჩენი 455
- ექსპორტის ძირითადი მიმართულებები, %-ობით საერთო მოცულობისადმი:
  - აშშ 28.5
  - ჩინეთი 13.1
  - სამხრეთ კორეა 7.8
  - ტაივანი 7.4
  - ჰონგ-კონგი 6,3

- იმპორტის ძირითადი წყაროები:
  - ჩინეთი 20.7
  - აშშ 13.1
  - სამხრეთ კორეა 4.8
  - ავსტრალია 4.3
  - ტაივანი 3.7
- საგადასახდელო ბალანსი, რეზერვები და დახმარება, მლრდ.დოლ.:
  - რეალური (საქონლის და მომსახურების) ექსპორტის მუხლები *(Fob)* 539.0
  - რეალური (საქონლის და მომსახურების) იმპორტის მუხლები *(Fob)* -406.9
  - სავაჭრო ბალანსი 132.1
  - შემოდინება, ფინანსური მუხლები 210.9
  - გადინება, ფინანსური მუხლები -163.1
  - წმინდა ტრანსფერები -7.9
  - მიმდინარე გადასახდელების ბალანსი 172.1
    როგორც % მშპ-სადმი 3.7
  - კაპიტალის მოძრაობის ბალანსი 17.7
  - საერთო ბალანსი 160.9
  - რეზერვების ცვლილება 171.1
  - რეზერვების მოცულობა (დეკ. ბოლო) 844.7
  - იმპორტის დაფარვა რეზერვით 17.8
  - ოქროს მარაგი, მლნ. უნცია 24.6
  - დახმარებათა მოცულობა 8.91
    როგორც % მშპ-სადმი 0.19
- ჯანდაცვა და განათლება:
  - დანახარჯები ჯანდაცვაზე, % მშპ-სადმი 7.9
  - ექიმების რიცხვი 1000 კაცზე 2.0
  - საავადმყოფოს საწოლების რიცხვი 1000 კაცზე 14.3
  - მოსახლეობა, რომელიც უზრუნველყოფილია სასმელი წყლით, % 100
  - დანახარჯები განათლებაზე, %-ობით მშპ-სადმი 3.6
  - მოსწავლეთა შევსება, %:
    დაწყებითი სკოლა 100
    - საშუალო სკოლა 102
    - უმაღლესი სასწავლებლები 51

- საზოგადოება:
  - შინამეურნეობათა რიცხვი 48.5 მლნ.
  - ადამიანთა საშუალო რიცხვი შინა მეურნეობებში 2.6
  - ქორწინებათა რიცხვი 1000 კაცზე 5.7
  - განქორწინებათა რიცხვი 1000 კაცზე 2.2
  - ცხოვრების ღირებულება (2005 წ. დეკემბერი) 136 (ნიუ-იორკი = 100)
  - ფერადი ტელევიზორების რიცხვი 100 შინამეურნეობაზე 99.0
  - სატელეფონო ხაზების რიცხვი 100 კაცზე 46.0
  - მობილური კავშირის აბონენტთა რიცხვი 100 კაცზე 71.6
  - კომპიუტერების რიცხვი ყოველ 100 კაცზე 54.2
  - ინტერნეტის ქსელში ჩართულთა რიცხვი ყოველ 1000 კაცზე 194.9.

იაპონია დაახლოებით 6800 კუნძულისგან შედგება, რომლებიც აღმოსავლეთ აზიის სანაპიროს სიახლოვეს წყნარ ოკეანეშია განლაგებული. ქვეყნის ტერიტორიის 99% მოდის ოთხ უმსხვილეს კუნძულზე. ესენია: ხოკაიდო, ხონსიუ, სიკოკუ და კიუსიუ. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ იაპონური არქიპელაგის სიგრძე დაახლოებით 3000 კმ-ს შეადგენს. იაპონიის დიდი ნაწილი მდებარეობს თბილ კლიმატურ ზონაში მკვეთრად გამოხატული წელიწადის დროებით. იაპონიის ლანდშაფტი გამოირჩევა განუმეორებელი მშვენიერებით. დიდებული მთიანი მასივების გასწვრივ, რომელთაც დაახლოებით ტერიტორიის 3/4 უკავია, ვიწრო დაბლობებია გადაჭიმული.

იაპონია თამაშობს წამყვან როლს თანამედროვე მსოფლიოში. ამასთან, იაპონია ახდენს ისეთივე შესამჩნევ გავლენას ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაზე, როგორც დიდი ბრიტანეთი — აშშ-სა და ერთა ბრიტანული თანამეგობრობის ქვეყნებზე.

ქვეყნის სასარგებლო წიაღისეულის მარაგი შემოიფარგლება მცირე რაოდენობის ქვანახშირით, კირქვითა და გოგირდით. ყველა დანარჩენი ნედლეული საზღვარგარეთიდან შემოაქვთ. ამ მთიანი ქვეყნის მხოლოდ 13%-ია გამოსადეგარი

სოფლის მეურნეობისათვის. სამაგიეროდ, ძალიან ბევრ პროდუქტს იძლევა ზღვა და სწორედ ესაა ძირითადი იაპონელთა რაციონში.

იაპონური ცივილიზაციის საფუძვლები უნდა ვეძიოთ: სინტოიზმში, რომელიც იაპონიის ეროვნული რელიგიაა და რომელიც შთააგონებს მათ ქვეყნის ღვთიურ და მეტად ამაღლებულ დანიშნულებას; ბუდიზმში, რომელიც ასწავლის გამძლეობას და სიჯიუტეს მიზნის მიღწევისას; და ბოლოს, კონფუციანელობაში, რომელიც სახელმწიფოს და საზოგადოების მკაფიო იერარქიული აგებულების აუცილებლობას ქადაგებს.

როგორც იაპონიის განვითარების გამოცდილებამ გვიჩვენა, მდიდარ და სათანადო სახით გამოყენებულ ცივილიზაციურ რესურსებს შეუძლია უმეტესწილად ბუნებრივი რესურსების უქონლობის კომპენსირება. *იაპონიის და ასევე მისი მიმდევარი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კონტინენტალური ქვეყნების ცივილიზაციური მოდელის ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითადი ფაქტორებია*:

1. ტრადიციული პატრიარქალურ-ავტორიტარული მორალი, რომელიც სამეურნეო უპასუხისმგებლობის და ფუფუნების მიმართ შეუწყნარებლობის კლიმატს ქმნის როგორც სამეწარმეო ელიტის, ასევე მშრომელთა მხრიდან. ეს ფაქტორი დაგროვების საოცრად მაღალ დონეს უზრუნველყოფს, რაც იაპონელებისთვის დამახასიათებელია; იგი ქვეყნის მშპ-ის მესამედზე მეტს შეადგენს.

2. კონფუციანურ-ბუდისტური ელიტა, რომელიც ისეთ ღირებულებებს მოიცავს, როგორიცაა გულმოდგინება, მომთხრნელობა და მკაცრად რეგულირებული ურთიერთობა ადამიანებს შორის. ეთიკით განსაზღვრულია ხუთი ძირითადი დამოკიდებულება: მმართველ — ხელქვეითი; მამა — შვილი; უფროსი ძმა — უმცროსი ძმა; ქმარი — ცოლი; ორი მეგობარი. თითოეულ მათგანი ძალზე მკაცრად რეგლამენტირებულია და გააჩნია ისეთივე ცივილიზაციური მნიშვნელობა, როგორც ათ მცნებას ქრისტიანული საზოგადოებისთვის.

3. კონფუციანური ტრადიციის თანახმად, სახელმწიფოსთვის დასაბამიდანვე ნიშანდობლივია მსოფლიოს ორგანული წესრიგისადმი დამორჩილება, ამიტომ კონფუციანურ-ბუდისტური ცივილიზაციისათვის დამახასიათებელია ეტატისტური, სახელმწიფო კულტურის ქვეშევრდომული სამსახური. სახელმწიფო, ბიზნესთან თავისი ურთიერთმოქმედებების რეალიზაციას ახდენს „მმართველი — ქვეშევრდომის“ დამოკიდებულებით და თუნდაც მარტო ამით იგი იძენს უცილობელ ავტორიტეტს და უზარმაზარ მორალურ ძალაუფლებას. იაპონიის სამთავრობო უწყებები მუდმივად გამოდიან ინოვაციების, ფინანსური გარანტებისა და ეკონომიკური განვითარების მესვეურთა როლში. ამიტომ იაპონიისათვის დამახასიათებელია სახელმწიფო მართვის პროგრამული სტილი, როდესაც, მაგალითად, ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტრო პასუხს აგებს თხევადი კრისტალების და ბიოტექნოლოგიების, ელექტრონიკის პროგრამის განვითარებაზე, საითკენაც ამჟამად მიმართულია მსხვილი სახელმწიფო დაბანდებები. სახელმწიფო კიდევ უფრო დიდ როლს თამაშობს იმავე ცივილიზაციის მქონე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. სინგაპურში განხორციელებულ იქნა ორი ხუთწლიანი და ორი ათწლიანი გეგმა, ხოლო ტაივანზე — ექვსი ოთხწლიანი და ერთი ხუთწლიანი გეგმა.

4. ურთიერთობათა კონფუციანური სისტემა საშუალებას იძლევა დამატებითი დანახარჯების გარეშე ძალაუფლების ვერტიკალის უზრუნველყოფას ცენტრიდან „ყველაზე შორეულ კიდეებამდე“. მხარს უჭერს სახელმწიფო ძალაუფლების მკაცრ სტრუქტურას, რაც, უდავოდ, სასიკეთოდ მოქმედებს ეკონომიკურ განვითარებაზე.

5. ასწლეულის განმავლობაში ჩამოყალიბებული ვერტიკალური მოდელი ხელს უწყობდა თანამედროვე კონფუციანური კაპიტალიზმის ვერტიკალური მოდელის შექმნას. ამ მოდელში ეკონომიკის ჩონჩხს ქმნიან მსხვილი, ვერტიკალურად ინტეგრირებული კორპორაციები, რომლებიც აწარმოებენ ტექნოლოგიურ და კაპიტალტევად პროდუქციას. სა-

ხელმწიფოს ენიჭება შუამავლის როლი ამ კორპორაციებსა და საზოგადოებას შორის. ძირითადი განსხვავება დასავლურ და კონფუციანურ კაპიტალიზმს შორის მდგომარეობს იმაში, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ცდილობენ გადაწყვიტონ სოციალური პრობლემები მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი ჩნდება, ხოლო აზიურები კი — ისწრაფვიან ისეთი პოლიტიკის გატარებისაკენ, რომ ასეთი პრობლემები არ წარმოიშვას. მათი პატერნალისტური ეთიკური ნორმების დონეზე გამყარებული პოზიცია საშუალებას იძლევა რბილად, მაგრამ მუდმივად მიუთითოს კორპორაციებს იმაზე, თუ რისი გაკეთებაა საჭირო სოციალური თანხმობის უზრუნველსაყოფად.

6. კონფუციანურ-ბუდისტური რელიგიური ტრადიცია მნიშვნელოვნად მიიჩნევს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ლოიალურობა, სიმშვიდე, ჰარმონია, კოლექტივიზმი, დავალების გულდასმით შესრულება, სრულყოფილების მიღწევა ნებისმიერ საქმეში. აქ ზეიმობს მოვალეობა, იერარქია, პიროვნების დაქვემდებარება ჯგუფის ინტერესებისადმი. ყოველივე ეს იდეალურად უხდება მსხვილმასშტაბიანი სამრეწველო წარმოების ორგანიზაციის საქმეს. იაპონიაში განვითარდა „ადაპტირებული კოლექტივიზმის“ სისტემა, რომელშიც კოლექტივის ყველა წევრი ემორჩილება მის წესებს, თუმცა ფლობს შემოქმედების და გადაწყვეტილების მიღების გარკვეულ თავისუფლებას. წარმოიშვა ურთიერთდამოკიდებული ინდივიდუალიზმის მოდელი: პიროვნებას შეუძლია თვითგამოხატვა მხოლოდ სხვა ადამიანებზე თავისი დამოკიდებულების აღიარებით, მუდმივი ურთიერთკავშირით მათთან. ამ მოდელის ბაზაზე განვითარდა „ხარისხის წრეები“ და იაპონელ მშრომელთა სხვა ცნობილი ფირმები.

7. კოლექტივიზმი ძალზე მტკიცედ შევიდა იაპონური საზოგადოების ცხოვრებაში. ამან ასახვა ჰპოვა იაპონურ ანდაზებში: „სადაც ადამიანები დარდობენ, იდარდე შენც“, „არ შეუშინდე ცოტა მოხრას,. კარგად გასწორდები“, და ყველაზე ცნობილი — „გამოშვერილ ლურსმნებს მანამდე

უნდა ურტყა, სანამ ხეში არ ჩაიმალება". „ლურსმნების დაჭედების" იდეოლოგია იაპონურ ორგანიზაციულ კულტურას მყარად უდევს საფუძვლად. ამიტომ ამ ქვეყანაში არნახული შემსრულებლურობა შერწყმულია საკუთარი საქმის წარმოებაში გადაწყვეტილების მიღებისას გარკვეულ გაუბედავობასთან. მაგალითად, იაპონელები, დასავლეთ ევროპის ქვეყნების მცხოვრებლებთან შედარებით, ძალზე იშვიათად მიმართავენ სასამართლოს სამოქალაქო საქმეებზე. სასამართლოსადმი მიმართვა ზარალის ანაზღაურების მიზნით იაპონური საზოგადოების თვალში ჯერ კიდევ გამოიყურება, როგორც გამოძალვა, ამიტომ ნებისმიერი მოგებული სასამართლო პროცესი ურტყამს მოსარჩელეს პირად პრესტიჟს.

8. სინტოიზმი საშუალებას იძლევა ამ რელიგიის აღსარებისა სხვა რელიგიების პარალელურად. შესაძლოა, ასეთი თანდაყოლილი რჯულშემწყნარებლობა იაპონელებს საშუალებას აძლევს იოლად გადაიღონ კულტურული, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ინოვაციები. IV ს-ში იაპონიამ გადაიღო ჩინური იეროგლიფები და ისე გამოიყენა, რომ შექმნა, ჩინურისგან სავსებით განსხვავებული, დამწერლობა. ხოლო XIX ს-ის ბოლოს იაპონია მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდა 100%-იანი წიგნიერებით. როდესაც 1869 წელს იაპონელი მეცნიერი — ფუკუზავა პირველად თარგმნიდა დამოუკიდებლობის ამერიკულ დეკლარაციას, მან ვერ შეძლო ადეკვატურად გადაეთარგმნა საკვანძო სიტყვა „თავისუფლება", ვინაიდან ყველა მის იაპონურ ანალოგს ჰქონდა ნეგატიური შეფერილობა. ახლა კი იაპონია აზიაში „თავისუფალი" მსოფლიოს საყრდენია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონელებმა გამოავლინეს ადაპტირების სასწაულები, მიიღეს და აითვისეს რა მათთვის სრულიად უცხო ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც შესთავაზეს ამერიკელმა პროფესორებმა და ამერიკელმა სამხედროებმა დანერგეს. უკვე 80-იან წლებში თავად ამერიკელი პროფესორები და მეწარმენი მიდიოდნენ იაპონიაში, რათა შეძლე-

ბისდაგვარად შეესწავლათ სასწაულმოქმედი იაპონური მენეჯმენტი. 60-70-იან წლებში იაპონელები დიდი მასშტაბით ყიდულობდნენ ტექნოლოგიებზე უცხოურ პატენტებსა და ლიცენზიებს, ხოლო 10-20 წლის შემდეგ თვით იაპონია გახდა ერთ-ერთი ყველაზე ტექნოლოგიურად განვითარებული ქვეყანა მსოფლიოში, რომელიც ქმნის პრაქტიკულად ახალ ტექნოლოგიებს ეკონომიკის ყველა პერსპექტიულ დარგში. ინოვაციების აღქმის უნარი შესანიშნავია, თუმცა ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი და შესაძლოა იაპონური ცივილიზაციის გამოუვლენელი თვისებაა.

იაპონია — არის სახელმწიფო მართვის დემოკრატიული სისტემით. პარლამენტი — იაპონიაში სახელმწიფო ძალაუფლების უმაღლესი ორგანოა, რომელიც ძალაუფლების სამი შტოდან ერთ-ერთს — საკანონმდებლოს — წარმოადგენს. იგი ორი პალატისგან შედგება: წარმომადგენლობითი პალატისაგან და მრჩეველთა პალატისაგან. პარლამენტი იღებს ბიუჯეტს, ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების რატიფიცირებას, შეაქვს წინადადებები კონსტიტუციაში შესწორებების შესახებ. იგი თავისი რეზოლუციით ნიშნავს პრემიერ-მინისტრს დეპუტატებისგან. მინისტრთა კაბინეტი, კანონის შესაბამისად, პრემიერ-მინისტრისგან და მინისტრებისგან შედგება; მას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. მინისტრთა კაბინეტი წარმოადგენს სახელმწიფო ძალაუფლების მეორე აღმასრულებელ შტოს. მის წევრთა უმრავლესობა სამთავრობო უწყებების და სამინისტროების მეთაურები არიან. ძალაუფლების მესამე შტოს, ისევე როგორც ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში, სასამართლო წარმოადგენს. უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში შედის 15 დამოუკიდებელი მოსამართლე. უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. იაპონიის იმპერატორი — ერის ერთიანობის და სახელმწიფოს სიმბოლოა.

VII ს-დან დაწყებული XVIII ს-მდე იაპონიაში ბატონობდა ფეოდალიზმი. 1192 წლიდან 1868 წლამდე იაპონი-

ას მართავდნენ სეგუნები (მხედართმთავრები). უნდა ითქვას, რომ იაპონიაში ბატონყმობა არ არსებობდა და გლეხები ფორმალურად თავისუფალნი იყვნენ. ისინი საამქროებსა და გილდიებში გაერთიანებულ მოქალაქე-ხელოსნებზე მაღალ წოდებად ითვლებოდნენ, ისევე როგორც დასავლეთში. ტოკუგავას (1603-1868 წწ.) სეგუნატი ატარებდა იაპონიის უცხოელთაგან „ჩაკეტვის“ პოლიტიკას. 1854 წ. ამერიკელმა ესკადრებმა აიძულეს იაპონელები თავისი პორტები გაეხსნათ და უკვე 1868 წელს სეგუნთა მთავრობა დაემხო და ძალაუფლება გადავიდა 16-წლის იმპერატორ მუცუხიტოს ხელში. მოხდა მეიძის რევოლუცია ანუ გადასვლა განმანათლებლურ მმართველობაზე („მეიძის“ სიტყვასიტყვით თარგმანი).

ახალმა მთავრობამ სასწრაფოდ განახორციელა აგრარული რეფორმა, რომლის მიხედვითაც მიწის ნაკვეთების უმეტესი მფლობელი მის მესაკუთრედ ცხადდებოდა, ამასთან ნება-დართული იქნა მიწის ყიდვა-გაყიდვა. გარდა ამისა, ჩატარდა სახელმწიფო დაწესებულებათა პრივატიზაცია, რომელთა ბაზაზეც შეიქმნა ცნობილი *საოჯახო ფირმები — მიცუი, მიცუბიში, ფურუკავა, იასუდი და სხვ.* უკვე XX ს-ის დამდეგისათვის ისინი გარდაიქმნენ სავსებით თანამედროვე კონცერნებად. ელვისებურად ვითარდებოდა საბანკო სისტემა. იმავდროულად ჩაისახა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება. 1895 წელს მიიღეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ათწლიანი გეგმა, რომელიც მილიტარიზაციის კურსს უჭერდა მხარს. გეგმა ბრწყინვალედ იქნა განხორციელებული, ამის საბუთად გამოდგება იაპონიის გამარჯვება ბევრად უფრო მძლავრ რუსეთზე 1904-1905 წლების ომში.

გამარჯვების შემდეგ ეკონომიკური ზრდა კიდევ მეტად დაჩქარდა. ასე, გემების ტონაჟი 1905-1907 წლებისათვის გაორმაგდა, თუჯის და ფოლადის გამოდნობა 1905 წლიდან 1914 წლის ჩათვლით 10-ჯერ გაიზარდა. პირველ მსოფლიო ომში (1914-1918 წწ.) იაპონია მონაწილეობდა ანტანტის მხარეს, გერმანიის წინააღმდეგ. თუმცა იაპონელმა მონაწი-

ლეობა საკმაოდ შეზღუდულ ხასიათს ატარებდა. მან უბრალოდ დაიპყრო აზიის თითქმის დაუცველი გერმანული კოლონიები, რომლის დროსაც 2000 ადამიანი დაკარგა. მიუხედავად ამისა, ქვეყანა ომიდან გამოვიდა, როგორც გამარჯვებული სახელმწიფო აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. გარდა ამისა, მონაწილეობდა ინტერვენციაში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და მისმა ჯარებმა ჩრდილოეთ სახალინი მხოლოდ 1925 წელს დატოვეს.

1914-1918 წლებში იაპონიის მშპ გასამმაგდა, გემთმშენებლობაში კი მესამე ადგილზე გავიდა მსოფლიოში და ქვეყანამ დაიკავა გაბატონებული პოზიცია აზიურ ვაჭრობაში. ომის შემდეგ იაპონია აგრძელებდა მილიტარიზაციის კურსს და მიაღწია სწრაფ ეკონომიკურ ზრდას. ასე, მაგალითად, 1918 წლიდან 1929 წლის ჩათვლით მანქანათმშენებლობის სიმძლავრეები გაიზარდა 4-ჯერ. საოჯახო კონცერნები — *ძაიბაცუ* — აერთიანებდა ათეულობით კომპანიას ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში. ისინი თანამედროვე ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების — *სიუდანების* — პირველსახე გახდა.

იაპონია ემზადებოდა ახალი ომისათვის. მძიმე მრეწველობის წილი გაიზარდა 31,4%-დან 60,8%-მდე. იაპონიამ იდეოლოგია ააგო სინტოიზმზე დაყრდნობით, რომელსაც საფუძვლად ედო იაპონელი ერის ღვთაებრივი დანიშნულება, იმპერატორის ძალაუფლების ღვთაებრივი წარმომავლობა. ლოზუნგით „აზია აზიელებისათვის“ (უფრო ზუსტად კი, იაპონელებისათვის) ქვეყანა ომში ჩაება აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, ფაშისტური გერმანიის მხარეზე. მიუხედავად ქვეყნის ეკონომიკის არნახული დაძაბულობისა და იაპონელი ხალხის გმირობისა, ქვეყანამ დამანგრეველი მარცხი განიცადა, დაკარგა რა 2 მლნ ადამიანი.

იაპონიამ განიცადა საოცრად სასტიკი მასიური დაბომბვა, მათ შორის ბირთვულიც, და საშინლად განადგურდა. ქვეყნის უმაღლესი ძალაუფლება გადავიდა ამერიკული საოკუპაციო ხელისუფლების ხელში, გენერალ დ. მაკარტურის

მეთაურობით. ჩინეთში პოზიციების დაკარგვამ აშშ-ს იაპონია ამოარჩევინა თავის სტრატეგიულ მეკავშირედ აზიაში, ამიტომაც შეუდგა მისი ეკონომიკის აღორძინებას. გატარდა აგრარული რეფორმა, რომლის თანახმადაც, პრაქტიკულად სავსებით მოისპო სამამულო საკუთრება მიწაზე. ხდებოდა მიწის გამოსყიდვა სახელმწიფოს მიერ და მათი მიყიდვა ყოფილ არენდატორებზე. პირველი ხუთი ომისშემდგომი წლის განმავლობაში გლეხ-მესაკუთრეთა რაოდენობა გაიზარდა 1,9 მლნ-დან 3,8 მლნ ადამიანამდე. დაშლილი იქნა ძაიბაცუ, ხოლო მათი აქციები იყიდებოდა ამ კომპანიების თანამშრომლებს შორის. ფინანსური საკითხების დარგში მრჩეველმა, დეტროიტის ბანკის პრეზიდენტმა დ. დოდჟიმ შეიმუშავა იაპონიის დაბალანსებული სახელმწიფო ბიუჯეტის და ფასებზე სახელმწიფო კონტროლის პროექტი. დაფიქსირებულ იქნა იენის კურსი აშშ დოლარის მიმართ 350 იენის დონეზე, რომელიც ფიქსირებულ მდგომარეობას ინარჩუნებდა 22 წელი, 1972 წლის ბოლომდე.

იაპონიისათვის სასტარტო პირობები საოცრად მძიმე იყო. ამასთან დაკავშირებით, ისტორიამ შემოინახა შემდეგი ეპიზოდი: 50-იან წლებში მოლაპარაკებების დროს მსოფლიო ბანკის წარმომადგენლების მიერ დასმულ კითხვაზე: „არის კი იაპონიაში საჭონელი, რომლის ექსპორტირებას შეძლებდა ქვეყანა?“ იაპონელებმა ასე გასცეს პასუხი: „არის. აბრეშუმის ნედლეული და მარგალიტი“. უკვე 20 წლის შემდეგ კი იაპონია გახდა უმსხვილესი ექსპორტიორი სახელმწიფო.

1951 წელს სან-ფრანცისკოში იაპონიამ სამშვიდობო ხელშეკრულება დადო 48 ქვეყანასთან (სსრკ-მა ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა). ძალაუფლება იაპონურ მთავრობას გადაეცა. იმავე წელს მიღწეულ იქნა წარმოების ომამდელი დონე. *50-იანი წლების შუა ხანებიდან დაიწყო ეკონომიკის არაჩვეულებრივი სწრაფი ზრდა, რასაც „იაპონური სასწაული“ ეწოდა.* 1951-1970 წლებში სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური ნამატი 15,2%-ს შეადგენდა, იმ დროს, როცა იგი გფრ-სა და იტალიაში იყო 4%, საფრანგეთში —

6,2%, აშშ-ში 4%, დიდ ბრიტანეთში – 3%. 1961-1970 წლებში მშპ-ის ზრდის საშუალო ტემპი 11%-ს შეადგენდა, ხოლო ინვესტიციები ძირითად კაპიტალში მშპ-ის 40%-მდე აღწევდა.

იაპონია ახერხებდა ზრდის მაღალი ტემპების შეხამებას ღრმა სტრუქტურულ გარდაქმნებთან. 1950-1965 წლებში ეკონომიკა ძირითადად ეყრდნობოდა შრომატევად დარგებს (საფეიქრო მრეწველობა, მარტივი სამომხმარებლო საქონლის წარმოება). ეს იყო ტექნოლოგიური მოდერნიზაციის, პატენტების, ლიცენზიების, „ნოუ-ჰაუს" და ა. შ. შესყიდვების უპრეცედენტო პერიოდი. 1945 წლიდან 1969 წლამდე, ქვეყანამ ისესხა და თავისთან დანერგა 10 ათასზე მეტი უახლესი ტექნოლოგია. 50-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დამდეგამდე დომინირებას იწყებს მძიმე და ქიმიური მრეწველობა, შავი მეტალურგია, გემთმშენებლობა. 60-იანი წლების ბოლოდან გამოცოცხლება დაეტყო, შემდეგ კი ლიდერობს ავტომშენებლობა, ელექტრონიკა და დაზგათმშენებლობა. 80-იანი წლებიდან სიმძიმის ცენტრი გადადის ბიოტექნოლოგიის, ოპტიკური ელექტრონიკის, ახალი მასალებისა და ნახევარგამტარების სფეროში.

საბარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში იაპონია დიდხანს მისდევდა დოდჟის შემოთავაზებულ პროგრამას სახელმწიფო საგარეო-სავაჭრო მონოპოლიის შესახებ. მხოლოდ 70-იან წლებში მოხდა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და იენა გახდა კონვერტირებადი ვალუტა ჯერ კიდევ დიდხანს შენარჩუნებული შეზღუდვების პირობებში. სავალუტო ოპერაციების სრული იურიდიულად გაფორმებული ლიბერალიზაცია მოხდა შესაბამისი კანონმდებლობის კარდინალური გადახედვის შედეგად 1998 წლის აპრილში. ქვეყანა მისდევდა „აღმზრდელობითი პროტექციონიზმის" სტრატეგიას, რომლის დროსაც ხდებოდა შიდა ბაზრის დაცვა იმ დონეზე, რომელიც აუცილებელი იყო სამამულო წარმოების განვითარების უზრუნველსაყოფად და საკმარისი კონკურენტული გარემოს მხარდასაჭერად.

ომამდელ იაპონიაში ძირითადი მომხმარებელი იყო მილიტარისტული სახელმწიფო. სამხედრო ხარჯების რადიკალური შემცირების შემდეგ აუცილებელი გახდა ახალი მომხმარებლების შექმნა ქვეყნის შიგნით. ასკეტური იაპონელები სულაც არ იყვნენ ისეთი მომხმარებლები, როგორც ამერიკელები და ევროპელები. მძლავრი შიდა ბაზრის გარეშე კი არ შეიძლება თანამედროვე ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოსაშენება, ამიტომ, იაპონიის მთავრობამ დაიწყო იაპონური მომხმარებლების ჩამოყალიბების გარემოპირობების შექმნა. ამისათვის შექმნეს კოლოსალური კომპლექსი 50 კანონისაგან, რომელიც მომხმარებელთა უფლებებს იცავდა და გულდასმით ახდენდა პირადი მოხმარების ყველა ასპექტის რეგლამენტირებას. ამ კანონების შესასრულებლად შეიქმნა სახელმწიფო დაწესებულებათა მთელი იერარქია, რომლებიც აკონტროლებდნენ იურიდიული ნორმების დაცვას, ამასთანავე ახდენდნენ ვაჭრობის ინსპექტირებას, არეგულირებდნენ წამოჭრილ სადავო საკითხებს და ეწეოდნენ საგანმანათლებლო მუშაობას მომხმარებლებს შორის. მოხმარების სფეროში გატარებული მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად *მოხერხდა ყველა შესაძლებელი სამომხმარებლო მოთხოვნის ტოტალური დაფარვის სისტემის შექმნა და იაპონელთა გადაქცევა ყველაზე პრეტენზიულ მომხმარებლად მსოფლიოში*. მომხმარების ახალ კულტურაზეა დაფუძნებული იაპონური პროდუქციის უმაღლესი ხარისხი და ტევადი შიდა ბაზარი. ეს არის საბაზო ფასეულობათა ცვლილებების წარმატებული მართვის მაგალითი ინსტიტუციონალური გარდაქმნების გავლენით.

შიდა და საგარეო ბაზრების ზრდამ უზრუნველყო ქვეყნის ხანგრძლივი დინამიკური განვითარება ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის დონის მიხედვით. 1988 წელს იაპონიამ აშშ-სა და სხვა მსხვილ განვითარებულ ქვეყნებს გაუსწრო.

90-იანი წლების დამდეგისათვის იაპონიამ ეკონომიკური სიმძლავრის მაქსიმუმს მიაღწია და ისე ჩანდა, თითქოს არავის შეეძლო მასთან კონკურენცია მენეჯმენტის და შრო-

მის მწარმოებლურობის დონის მიხედვით. ამჟამად აშშ-ის გზებზე ნახევარზე მეტი იაპონური წარმოების ავტომობილებია, დასავლეთის შტატების მოქალაქეთა უმრავლესობა იაპონურ საათებს ატარებს, ამერიკელთა სახლების 90%-ში დგას იაპონური ტელევიზორი, ხოლო რადიომიმღებების, ვიდეომაგნიტოფონების, ელექტროსაპარსების უმეტესობაზე არის წარწერა „დამზადებულია იაპონიაში“.

თუმცა ლიდერობა იაპონელებს უკვე ხელიდან დაუსხლტათ. ჩანდა, თითქოს ისინი წინ მიდიოდნენ, ისე რომ ვერ ხედავდნენ ხილულ დისპროპორციებს და მათთან დაკავშირებულ საფრთხეებს. იაპონური საფონდო ინდექსი Nikkei გაიზარდა 5-ჯერ 1980 წლიდან 1987 წლამდე. მისმა კაპიტალიზაციამ სახიფათო ნიშნულს — 5,2 ტრლნ. დოლარს მიაღწია, მაშინ, როცა სამი უმსხვილესი ამერიკული ბირჟის ჯამური მაჩვენებელი მხოლოდ 4,3 ტრლნ. დოლარს შეადგენდა, ხოლო ლონდონის საფონდო ბირჟის — 1,3 ტრლნ. დოლარს.

იაპონელი ექსპერტების შეფასებით, ყველა მიწის ნაკვეთის საერთო ღირებულება მაშინ იყო 2400 ტრლნ. იენი, რაც 5,6-ჯერ აჭარბებდა იაპონიის მშპ-ს. გამოდიოდა, რომ იაპონიის ტერიტორია, რომელსაც დედამიწის მხოლოდ 3% ეკავა, ღირდა მეტი, ვიდრე ხმელეთის მთელი დანარჩენი ნაწილი, მხოლოდ ერთი ტოკიოს უძრავი ქონების ღირებულება აჭარბებდა აშშ-ის ყველა უძრავ ქონებას. იაპონელებმა გამოიჩინეს საკმაო თავდაჯერებულობა, როცა ყურადღება არ მიაქციეს თავისი ეკონომიკური სისტემის ესოდენ თვალსაჩინო სისუსტეებს და ამის გამო დაისაჯნენ კიდეც. ამას მოჰყვა 90-იანი წლების კრიზისების რიგი. განსაკუთრებით ძლიერ იმოქმედა იაპონიაზე 1997-1998 წლების აზიურმა კრიზისმა.

აღმოჩნდა, რომ იაპონური მოდელი ცუდად ადაპტირდება იმ პირობებთან, როცა ეკონომიკა დაბალი ტემპებით მოთარდება. ეკონომიკაში ვარდნის აღსაკვეთად იაპონიის მთავრობამ 1992 წლის აგვისტოდან დახარჯა საერთო ჯამში

1159 მლრდ. დოლარი. მთავრობის საერთო დავალიანების მასშტაბებს კატასტროფული შედეგები ჰქონდა. 1991 წელს იგი მშპ-ის მიმართ კატასტროფულად გაიზარდა და 60%-დან 130%-ს გადააჭარბა; ეს იყო ყველაზე ცუდი მაჩვენებელი იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც OECD-ში შედიან.

იაპონიის ეკონომიკის თვითკმარისი ზრდის უქონლობას ბევრი ექსპერტი კაპიტალის, სამუშაო ძალის და ტექნოლოგიების არასწორი გამოყენებით ხსნის, თანაც ფართო მასშტაბებში. 80-იან წლებში ამგვარი არასწორი განაწილების შედეგები გარეგნულად არ მჟღავნდებოდა, იმიტომ რომ არაჩვეულებრივი ეკონომიკური ზრდა ფარავდა სახიფათო შეცდომებს. მაგრამ ნელი ზრდის პირობებში საწარმოო სიმძლავრეთა დაუტვირთაობა და ჭარბი დასაქმება იაპონურ მრეწველობასა და მომსახურების სექტორში ცხადი გახდა. კორპორაციები გასაღების მაღალი დონითა და ბაზარზე თავიანთი წილის გაზრდით შეპყრობილი დებდა საშუალებებს საწარმოო სამძლავრეებსა და მოწყობილობებში და არ ფიქრობდა იმაზე, თუ რა მოგებას უზრუნველყოფდა იგი. ბანკები კომპანიებს აძლევდნენ სესხს, ხელმძღვანელობნენ რა უფრო მათი საკუთრებით — ძირითადად მიწის დაგირავებით — ვიდრე ნაღდი საშუალებების ზომების გათვალისწინებით, რომლებიც კომპანიებს შეეძლო მიეღო საბანკო კრედიტების გამოყენებით. უძრავი ქონების ბაზრის მოშლამ (ფასები კრიზისულ პერიოდთან შედარებით 80%-ით დაეცა) ბანკებს უზარმაზარი გადაუხდელი ვალებით დაუტოვა. საკრედიტო და საფონდო ბაზრის კრიზისმა ქვეყანა მიიყვანა „საპნის ბუშტის ეკონომიკამდე“, როგორც 90-იანი წლების იაპონურ ეკონომიკას უწოდებდნენ. ზოგიერთი ანალიტიკოსი 1998 წლის კრიზისის მასშტაბებს ადარებს 1945 წლის ომში იაპონიის მარცხს, მაგრამ ეს აშკარად გადაჭარბებული შეფასებაა.

2000 წელს იაპონურმა კორპარაციებმა დაიწყეს თავისი საქმიანობის თანდათანობითი გადაწყობა, მაგრამ აღდგენა ხანგრძლივ დროს საჭიროებს. ეკონომიკურმა უსიამოვნებებ-

მა ეროვნული თვითშეგნების კრიზისი გამოიწვია. იაპონია ახალ ათასწლეულში შედის, როგორც მსოფლიოში მეორე ყველაზე მძლავრი ეკონომიკური სახელმწიფო, მაგრამ იგი ამას აკეთებს სერიოზულად შერყეული რწმენით საკუთარი თავისადმი. მიუხედავად ამისა, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მან უკვე დაძლია ომის შემდგომი უმსხვილესი კრიზისი.

მოკლედ შევჩერდეთ იაპონიის ეკონომიკის ძირითად დარგებზე.

სოფლის მეურნეობა მოსახლეობის მოთხოვნილებების 70%-ზე მეტს უზრუნველყოფს კვების პროდუქტებით. იგი გამოირჩევა მაღალი ინტენსიობითა და მოსავლიანობით. საკმაოდაა განვითარებული სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და ავტომატიზაცია. არსებობს სპეციალიზებული მეურნეობების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც აწარმოებენს ხილბოსტნეულს ხელოვნულ ნიადაგზე — ჰიდროპონიკაზე — ავტომატიკის მუდმივი კონტროლის ქვეშ. იაპონიის საკმაოდ მწირი მიწების პირობებში წარმოება არ შეიძლება იყოს კონკურენტუნარიანი. ამიტომ სახელმწიფო იცავს სამამულო მეწარმეს, როდესაც მიჯნავს მას მსოფლიო ბაზრისგან მაღალი იმპორტული ბაჟებით. მაგალითად, იაპონიაში ბრინჯი ღირს 7-ჯერ მეტი, ვიდრე მსოფლიო ბაზრებზე. იმისათვის, რომ თავი აარიდოს WTO-სთან კონფლიქტებს, იაპონიამ განაცხადა, რომ ბრინჯის წარმოება აუცილებელია ეროვნული ტრადიციების შესანარჩუნებლად და ამდენად, WTO-ს მოთხოვნები მას არ ეხება. ამას ყველა დაეთანხმა, ისევე როგორც საკომპენსაციო ბაჟებს EU-ში. ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებს შეუძლიათ მათთვის საჭირო გადაწყვეტილებების გატარება საერთაშორისო ორგანიზაციებში.

იაპონიის ენერგეტიკა პრაქტიკულად მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული, ამიტომ აქტიურ ძალისხმევას იყენებენ ენერგიის ალტერნატიულ წყაროთა დასანერგად: გეოთერმული წყაროების, ზღვის მოქცევის ენერგიის და ა.შ. გამოყენების მიზნით. ელექტროენერგიის მესამედზე მეტს ატომური სადგურები გამოიმუშავებენ.

შავი მეტალურგია სპეციალდება მაღალხარისხიან ფოლადზე და გააჩნია სიმძლავრე 150 მლნ ტონის გამოსადნობად.

იაპონური მრეწველობისათვის დამახასიათებელია გადასვლა მომპოვებელი და მძიმე წარმოებიდან მეცნიერებატევადისაკენ. იაპონია მაღალგანვითარებული მანქანათმშენებლობის ქვეყანაა. განსაკუთრებულ როლს თამაშობს ავტომშენებლობა. იაპონია წარმოადგენს ერთ-ერთ მსოფლიო ლიდერს საერთო და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობაში (90-იან წლებში ექსპორტი 70%-ზე მეტს შეადგენდა), ელექტრონულ მოწყობილობასა და ქიმიურ მრეწველობის სფეროში.

ცნობილია იაპონიის გამოცდილება ეკოლოგიური მანქანათმშენებლობის და ეკოლოგიური ტექნოლოგიების ათვისებაში. ამ დარგში იაპონია ლიდერია. ეკოლოგიურ ტექნოლოგიებს მისთვის უზურმაზარი შემოსავლები მოაქვს.

ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა შესანიშავადაა განვითარებული. იაპონიისთვის უკვე ჩვეული გახდა მაღალჩქაროსნული მატარებლები ელექტრომაგნიტური წევით. იაპონიის არქიპელაგის ძირითადი კუნძულები ერთმანეთს შორის შეერთებულია გვირაბებითა და ხიდებით. საზღვაო ტრანსპორტი ემსახურება საგარეო სავაჭრო გადაზიდვების 99%-ს, ხოლო ქვეყნის უდიდესი პორტები — იოკოჰამა, კავასაკი, ტიბა, კობე და სხვები — მსოფლიოს უმსხვილესი პორტების რიცხვში შედიან.

ელვის სისწრაფით იზრდება მომსახურების სფერო: ინფორმაცია, კავშირგაბმულობა, ტურიზმი, ფინანსები. იაპონიის ეკონომიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს საბანკო სისტემა. კრიზისის შემდეგაც კი იაპონურ ბანკებს მსოფლიო საბანკო სისტემაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია.

იაპონიის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები ფრიად სპეციფიკურია. ქვეყნის ეკონომიკა ძირითადად ორიენტირებულია შიდა მოთხოვნაზე, ამასთან ამ უკანასკნელის მხოლოდ 10% იფარება იმპორტის ხარჯზე, მაშინ როცა ეს

მაჩვენებელი აშშ-ში 20%-ის ტოლია, ხოლო ევროპულ ქვეყნებში — 50%-მდე. იაპონიას გააჩნია სავაჭრო ბალანსის მდგრადი დადებითი სალდო.

იაპონიის ეკონომიკის თავისებურებას წარმოადგენს მისი თითქმის 100%-იანი დამოუკიდებლობა ზოგიერთი სახის სურსათის და ნედლეულის იმპორტზე. ასე, მაგალითად იმპორტის სტრუქტურაში ჭარბობს: სამრეწველო ნედლეული, სათბობი და ნახევარფაბრიკატები (43,3%): სურსათი (13,7%) და მოწყობილობა (24%). ექსპორტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია: საწარმოო მოწყობილობას (59,8%), სამრეწველო ნახევარფაბრიკატებს (18,4%) და ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონელს (17,7%). იაპონიის ვაჭრობაში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის აშშ-ს; სავაჭრო ურთიერთობების თავისებურებას აშშ-თან წარმოადგენს სავაჭრო ბალანსის მდგრადი დადებითი სალდოს არსებობა.

იაპონიის ეკონომიკის სუსტ წერტილს წარმოადგენს კრიტიკული დამოკიდებულება სურსათის, ნედლეულის და ენერგიაშემცველების იმპორტზე. ამასთან არსებობს მუდმივი მოთხოვნილება მდგრად მოთხოვნაზე იაპონურ საექსპორტო საქონელზე (გემთმშენებლობის, ავტომობილმშენებლობის, ელექტრონიკის და ელექტროტექნიკის, სამრეწველო მოწყობილობის, მანქანათმშენებლობის და მეტალურგიის პროდუქტებზე). მოცემული ბაზრების ამა თუ იმ მიზეზით შეკვეცის შემთხვევაში, იაპონიის ეკონომიკა შეიძლება შეეჯახოს განსაზღვრულ სირთულეებს თავისი მოსახლეობის სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების უზრუნველყოფისას. საქმის ასეთი ვითარება ქვეყნის მძლავრი განვითარების პერიოდში იაპონელთა შეშფოთებას იწვევდა, მაგრამ დღეს მათ ეს პრობლემა კიდევ უფრო მეტად აფიქრებთ.

იაპონელებმა მოახერხეს საკმაოდ ორიგანალური მოდელის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა არსებული ცივილიზაციური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიან გამოყენებას და რომელმაც საშუალება მისცა ღარიბ, ნახევრად

დანგრეულ ქვეყანას, რომელსაც ბუნებრივი რესურსები თითქმის არ გააჩნია, მოკლე დროში ეკონომიკური სიძლიერით მსოფლიოს მეორე სახელმწიფო გამხდარიყო. *იაპონური და აზიური კრიზისის ძირითადი მიზეზი არა იმდენად გამოყენებული ეკონომიკური მოდელის სისუსტეებში უნდა ვეძებოთ, რამდენადაც მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ეკონომიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლაში, უპირველეს ყოვლისა კი აშშ-სა, EU-სა და იაპონიას შორის.*

შევჩერდეთ *იაპონიის ეკონომიკური მოდელის მნიშვნელოვან დამახასიათებელ თვისებებსა და თავისებურებებზე:*

1. მას საფუძვლად უდევს საკმაოდ სპეციფიკური, ღრმა ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული პარტნიორული ურთიერთობები სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის. სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით ქვეყნის მშპ-ის დაახლოებით 40% ნაწილდება, რაც მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე აშშ-ში, მაგრამ ნაკლები, ვიდრე EU-ში.

2. სახელმწიფო პრაქტიკულად ხელმძღვანელობს ქვეყნის მთელ ეკონომიკურ განვითარებას, იყენებს რა ამისათვის სახელმწიფო რეგულირების მთელ არსენალს. იგი შეიმუშავებს და მკაცრად ატარებს სამრეწველო პოლიტიკას, განსაზღვრავს და ცვლის ეროვნულ პრიორიტეტებს. ბიზნესი და სახელმწიფო ეროვნული ეკონომიკის განვითარების შედეგებზე პასუხისმგებლობას თანაბრად ინაწილებენ. ამასთან, სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების და რესურსების და ენერგიადამზოგველი ტექნოლოგიების აქტიურ დანერგვას უწყობს ხელს; ასევე, მათ აქტიურ შეღწევას, ხოლო შემდეგ ფართო ექსპანსიას მსოფლიოს სასაქონლო ბაზრებზე.

იაპონიის განვითარების ბანკი სესხებს გასცემს სამრეწველო პოლიტიკის მდგომარეობის შესაბამისად. გარდა ამისა, მოქმედებენ შემდეგი კორპორაციები: მცირე და საშუალო მეწარმეობის დაკრედიტების, სოფლის, ხე-ტყის მეურნეობის და მეთევზეობის დაკრედიტების, ბინათმშენებლობის დაკრედიტების, ასევე ორგანიზაციების, რომლებიც სა-

ხელმწიფო ინვესტიციების და კრედიტების პროგრამას ახორციელებენ ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. სხვადასხვა დროს სახელმწიფო გეგმების შემუშავება ხდებოდა, რომლებიც ჩვეულებრივ „ხუთ- (შვიდ- და ა.შ.) წლიანი გეგმების“ სახელწოდებას ატარებდა. თავისი არსით ისინი არა მხოლოდ გეგმებს წარმოადგენდნენ, არამედ სამთავრობო პროგნოზებს ან ორიენტირებს (მიზანთა ნაკრები). კერძო საწარმოთა მენეჯმენტისათვის ორიენტირის როლის გარდა, მათ მიერ შემუშავებული განვითარების სამთავრობო გეგმები (კერძოდ, საინვესტიციო პროგრამები), გეგმები აგრეთვე კრიტერიუმების აღნიშვნის ფუნქციას ასრულებენ საინვესტიციო პროექტების შესაფასებისას, რომელთა დაფინანსებაში სამთავრობო-საკრედიტო დაწესებულებები მონაწილეობენ. სახელმწიფო სტრატეგიის კიდევ ერთი ელემენტი იყო მთავრობის მიერ პრიორიტეტული დარგებისა და სფეროების არჩევა. სამთავრობო ორგანოებმა და, პირველ რიგში, საგარეო ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტრომ, ასევე ტრანსპორტის სამინისტრომ შეიმუშავეს სამრეწველო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები და საკრედიტო-ფინანსური და საგადასახადო ბერკეტების დახმარებით ხელი შეუწყოს საშუალებების მიდინებას ისეთ საბაზო დარგებში, როგორებიცაა შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, საზღვაო ტრანსპორტი, გემთმშენებლობა, ელექტრონული მრეწველობა, ბიოტექნოლოგიები და ა.შ. იაპონიაში მსხვილი სამამულო ბიზნესის ხელშეწყობაზე (კერძოდ, ავტომობილების მშენებლობა) შემთხვევით როდი წერდა 90-იან წლებში ერთ-ერთ გამოჩენილი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი მენეჯმენტის სფეროში ლი იაკოკა: „... იაპონური ავტოინდუსტრია სათუთად გამოიზარდა მთელი რიგი სტიმულებით: სახელმწიფო სესხებით, ამორტიზაციის ვადების შეკვეცით. სამეცნიერო-კვლევითი დი საცდელ-საკონსტრუქციო სამუშაოების სფეროში დახმარებით, პროტექციონისტული ზომებით იმპორტის წინააღმდეგ, ასევე უცხოური ინვესტიციების აკრძალვით. ყველა ამ ზომის კომ-

პლექსური ზემოქმედების შედეგად იაპონურმა საავტომობილო მრეწველობამ ასეთი გზა გაიარა — 50-იანი წლების შუა ხანებში წლიური 100 ათასი მანქანის გამოშვებიდან 11 მილიონამდე დღისთვის".[1]

3. სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში სრულიად არ ამოიწურება სახსრების პირდაპირი გადანაწილებით. სახელმწიფო აქტიურად ახდენს ქვეყანაში კერძო სექტორის ეკონომიკური საქმიანობის წახალისებასა და წარმართვას. ზემოქმედების მოცემული ფორმა სწორედ წახალისებას და მიმართულების მიცემას ნიშნავს და არა პირდაპირ და უშუალო კონტროლს. ეკონომიკურ საქმიანობაში მთავარი ინსტრუმენტების — წახალისების და წარმართვის — სახით გამოიყენებოდა საკრედიტო-ფინანსური და საგადასახადო სისტემა. რაც შეეხება პირველს, კერძო ინვესტიციების წახალისების მიზნით პროცენტული განაკვეთების დაბალ დონეზე შენარჩუნების პოლიტიკა გამოიყენებოდა, ასევე ინვესტიციების პრიორიტეტული დაფინანსება და მთავრობის საკრედიტო დაწესებულებათა დაკრედიტება (ე.ი. მიზნობრივი დაფინანსება). საგადასახადო სფეროში ინვესტიციათა წასახალისებლად ძირითად კაპიტალში დაჩქარებული ამორტიზაცია გამოიყენებოდა. სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კერძო სექტორის წარმომადგენელთა ჩართვისათვის გამოიყენებოდა სხვადასხვა *საკონსულტაციო საბჭოები*. ეს უკანასკნელი შესაძლებლობას იძლეოდა შეეთანხმებინა სხვადასხვა ინტერესი და კერძო სექტორისათვის უზრუნველეყო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში თანამონაწილეობა.

4. სახელმწიფომ ძირითადად თავისთავზე აიღო კერძო ბიზნესის უზრუნველყოფა აუცილებელი ფინანსური რესურსებით. იაპონიის ეკონომიკური მოდელისათვის დამახასიათებელია საკუთარ ფინანსურ რესურსებზე ორიენტაცია. ეკონომიკაში მათ ჩასართველად სახელმწიფომ თანმიმდევრულად უნდა გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები: 1) მოახდინოს დანა-

1. Ли Якокка. Карьера менеджера / Пер. с англ. — М.: Прогресс, 1991.

ზოგთა სტიმულირება; 2) ჩართოს ისინი საკრედიტო-საფინანსო სისტემაში; 3) შექმნას მექანიზმი, რომელიც ამ საშუალებების მიცემას უზრუნველყოფს ეკონომიკური სუბიექტებისათვის აუცილებელ ადგილას დაბალი პროცენტით, ე.ი. აიძულებს კრედიტის შექმნის მექანიზმის ფუნქციონირებას.

● შიდა დანაზოგთა სტიმულირების პირველი ამოცანის გადასაწყვეტად სახელმწიფომ შეიმუშავა და განახორციელა ღონისძიებათა სისტემა დანაზოგთა წახალისების თვალსაზრისით ეკონომიკის ყველა სფეროში — საოჯახო მეურნეობებში, საწარმოებში, სამთავრობო სექტორში. პირად დანაზოგთა მიმართ გამოიყენებოდა დაბეგვრის წამახასიათებელი სქემა. მცირე დანაზოგთა მიმართ კი წესდებოდა საპროცენტო შემოსავლის დაბეგვრისაგან განთავისუფლება. საწარმოთა დაბეგვრამ მათ მიერ კაპიტალის დაგროვების სტიმულირება მოახდინა: გამოიყენებოდა დაჩქარებული ამორტიზაციის სქემები, რომლებიც მოწყობილობათა ცვეთის ნორმატიული ვადების შეკვეცას ითვალისწინებდა, ასევე დაბეგვრისგან განთავისუფლებული სხვადასხვა სარეზერვო ფონდის შექმნას; გაუნაწილებელი შემოსავლის დაგროვების ყოველმხრივი წახალისება ხდებოდა.

სახელმწიფო სექტორში დაბალანსებული ბიუჯეტის მხარდაჭერის ამოცანას აყენებდნენ, რისთვისაც განსაკუთრებით შესამჩნევად იკვეცებოდა მთავრობის დანახარჯები მიმდინარე მოხმარებაზე. ზემოთ აღწერილი ზომების გამოყენების შედეგად დაზოგვის ნორმა გაიზარდა და მნიშვნელოვნად გადააჭარბა ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის ანალოგიურ მაჩვენებლებს (იაპონიაში — 30%-ზე მეტი, აშშ-ში 17-18%, ევროპის ქვეყნებში — დაახლოებით 20%).

● პირად დანაზოგთა მობილიზაცია. შემდეგ ამოცანას წარმოადგენდა დაგროვილი საშუალებების ჩართვა საკრედიტო-ფინანსურ სისტემაში, პირადი დანაზოგის („ლეიბის ქვეშ“) პრაქტიკისათვის თავის დანებება. ამისათვის ძირი-

თადი ძალისხმევა მიმართული იყო მოსახლეობაში საბანკო სისტემის მიმართ ნდობის გაღვივებისკენ. პრობლემური ბანკების გაჩენის შემთხვევაში სისტემური რისკების თავიდან ასაცილებლად, რაც პრობლემების გავრცელებას გულისხმობს სხვა ბანკებზე, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მითითებათა საფუძველზე გამოიყენებოდა ისეთი ინსტრუმენტი, როგორიცაა პრობლემური ბანკების შერწყმა რომელიმე მსხვილ ბანკთან. ყოველმხრივ იყო ხაზგასმული ბანკების საზოგადოებრივი ხასიათი („საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი"). ასეთი პოლიტიკის შედეგი გახდა ის, რომ ომისშემდგომი 50 წლის განმავლობაში იაპონიაში არ იყო ანაბრების მასობრივი ამოღების ან ბანკის გაკოტრების არც ერთი შემთხვევა.

ამ ღონისძიებების წყალობით, დაბალი პროცენტების მიუხედავად, მეანაბრეებს იაპონიაში მშვიდად შეეძლოთ თავიანთი საშუალებების ნდობა ნებისმიერი საკრედიტო დაწესებულებებისათვის, დამოუკიდებლად მათი ზომებისა — მსხვილი ბანკებიდან საკრედიტო კორპორაციებამდე ან საკრედიტო კოოპერატივებამდე. სხვაობა ანაბრების მიხედვით პროცენტის დონეში ამ დაწესებულებებს შორის დაახლოებით პროცენტის 1/10 იყო.

დიდი როლი შეასრულა საფოსტო დანაზოგებმაც. საფოსტო-შემნახველი ქსელის ანაბრებზე, მათზე პროცენტების ჩათვლით, ვრცელდებოდა სახელმწიფო გარანტია, ხოლო პროცენტები დგინდებოდა კერძო საბანკო დაწესებულებებში დეპოზიტების მიხედვით პროცენტების გათვალისწინებით. „საფოსტო" ანაბრების პროცენტული შემოსავალი გადასახადით არ იბეგრებოდა. საფოსტო-შემნახველი ქსელის მიერ მობილიზებული საშუალებები სახელმწიფო ინვესტიციების და კრედიტების პროგრამით გამოიყენებოდა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.

● ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მისაღწევად აუცილებელი იყო საწარმოებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო იაფი ფინანსური რესურსები. იაპონიის ეკონო-

მიკური მოდელისათვის დამახასიათებელი იყო და არის ძალიან დაბალი საბანკო პროცენტი. ამ მიზნით შემდეგი ორი ინსტრუმენტი გამოიყენებოდა: პირველი, დაბალი საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკა, რომელსაც „იაპონიის ბანკი“ ატარებდა. თუმცა „იაპონიის ბანკი“ მანიპულირებდა რეფინანსირების საკუთარი განაკვეთით კონიუნქტურის მიხედვით. იგი მუდმივად ინარჩუნებდა მას დაბალ დონეზე, ატარებდა რა არაოფიციალურ კონსულტაციებს ფინანსთა სამინისტროსთან. მეორე, ანაბრების მიხედვით პროცენტების ჭერი დადგინდა. „საპროცენტო განაკვეთის რეგულირებაზე დროებითი კანონის“ საფუძველზე ფინანსთა მინისტრმა დაადგინა განაკვეთთა ჭერი დეპოზიტების მიხედვით იაპონიის ბანკის რეფინანსების განაკვეთის დონის შესაბამისად. ამგვარად, *ბანკებმა თავისთან მიზიდვის დაბალი ფასით რესურსების კონცენტრირება მოახდინეს, ხოლო რეალური სექტორი დააფინანსეს დაბალი პროცენტით.*

საკრედიტო კორპორაციები და სხვა მცირე და საშუალო საკრედიტო დაწესებულებები აძლევდნენ სესხებს მცირე და საშუალო ბიზნესს ასევე დაბალი საპროცენტო განაკვეთით.

5. იაპონიაში ორიგინალური და მძლავრი საბანკო სისტემა ჩამოყალიბდა, რომელმაც ხელთ იგდო მნიშვნელოვანი ეკონომიკური ძალაუფლება. კორპორაციული მართვის სპეციფიკურ იაპონურ სისტემაში ბანკები რეალური სექტორის საკრედიტო დაფინანსების შედეგად წამყვან როლს თამაშობენ მისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების დროს. ყოველ საწარმოს „თავისი“ ბანკი გააჩნია, რომელთანაც არსებობს პრიორიტეტული ურთიერთობა „უფროსი ძმა — უმცროსი ძმის“ ტიპის კვალობაზე. იმავდროულად ხელისუფლება საწარმოთა პრიორიტეტული ურთიერთობების ამ სისტემით, რომელსაც ერთი მთავარი ბანკი გააჩნია, ინფორმაციას ღებულობს ამ საწარმოების მართვის შესახებ.

იაპონური საწარმოების მიერ ძირითად კაპიტალში ინვესტიციისათვის გრძელვადიანი კრედიტების მოზიდვის

თვალსაზრისით, იაპონიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკები და ტრასტ-ბანკები. გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკები 1952 წელს ხანგრძელვადიანი დაკრედიტების ბანკების შესახებ მიღებული კანონის საფუძველზე ობლიგაციებს 5-წლიანი განაღდების ვადით უშვებდნენ. 1952 წელსვე სატრასტო-საკრედიტო ოპერაციების სისტემაში მათი დანერგვის წყალობით, ტრასტ-ბანკებმა შეძლეს იოლად მოეზიდათ უფრო გრძელვადიანი რესურსები. ყოველივე ამან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საწარმოთა საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფაში.

6. იაპონიამ შეძლო ჭმედითი საბარეო ეკონომიკური მოდელის შექმნა, რომელიც მძლავრ შიდა ბაზარზე იყო დაფუძნებული. ფაქტობრივად საკმაოდ დახურული ეკონომიკური მოდელის რეალიზება ხდება დიდი საიმპორტო ბაჟებითა და შიდა და მსოფლიო ბაზრების ფასებს შორის არსებული მნიშვნელოვანი სხვაობით. მაგალითად, ბაჟი იაფი ამერიკული ბრინჯის შემოტანაზე 800%-ს აღწევდა; აშშ-ში საყოფაცხოვრებო ელექტროსაქონელზე ფასები 40%-ით დაბალია, ვიდრე იაპონიაში, ავტომობილებზე — 71%-ით, სასურსათო საქონელზე — 96%-ით. მხოლოდ სასურსათო საქონლის ყიდვაზე იაპონელები ყოველწლიურად 40 მლრდ. დოლარს კარგავდნენ თავისი ჩაკეტილი ეკონომიკის გამო. სამაგიეროდ იაპონელმა მწარმოებლებმა შესანიშნავად შეძლეს განვითარება საიმედოდ დაცულ შიდა ბაზარზე.

იაპონური ეკონომიკური მოდელი არსებითად ექსპორტზეა ორიენტირებული. აქ აგრეთვე არანაკლები როლი შეასრულეს შესაბამისმა სამთავრობო ინსტიტუტებმა — იაპონიის ექსპორტ-იმპორტის ბანკმა, საგარეო-სავაჭრო დაზღვევის სისტემამ, საგადასახადო სისტემამ (ექსპორტიდან შემოსავლების გათავისუფლება დაბეგვრისაგან). ფინანსური ხასიათის ზომების გაზრდის მიზნით შეიქმნა სპეციალური სამთავრობო ინსტიტუტი — „ჯეტრო“ — ექსპორტის დასახმარებლად. მიღებული ზომების შედეგად ექსპორტის ზრდა

დაიწყო, რომელიც მხარს უჭერდა ეკონომიკურ ზრდას. იაპონიის თავისებურებას დიდხანს წარმოადგენდა აშშ-ის ბაზარზე ცალმხრივი ორიენტაცია, რომელზეც მთელი ექსპორტის 74% მოდიოდა. ამ სისუსტის დაძლევა იაპონიამ მხოლოდ 90-იან წლებში დაიწყო, როცა სულ უფრო მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან ვაჭრობამ, სადაც 90-იანი წლების ბოლოს ყოველწლიურმა ექსპორტმა დაახლოებით 170 მლრდ. დოლარი შეადგინა. ბოლო წლებში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებისკენ იქნა მიმართული პირდაპირი ინვესტიციების უზარმაზარი ნაკადი.

7. იაპონიის სავალუტო პოლიტიკა გამორჩევა გაწონასწორებულობით და მიდრეკილია თანდათანობითი გარდაქმნებისკენ. ომისშემდგომი 22 წლის განმავლობაში — 1949 წლის აპრილიდან 1971 წლის დეკემბრამდე — იენის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში შენარჩუნდა ერთ ფიქსირებულ დონეზე — 350 იენი ერთ დოლარზე. ამან მაკროეკონომიკური პოლიტიკის უზარმაზარი ძალისხმევა მოითხოვა.

სავალუტო რეზერვების სიმცირის გამო თავდაპირველ ეტაპზე ყველა სავალუტო ოპერაცია — როგორც მიმდინარე, ასევე კაპიტალური ხასიათის — მკაცრად იზღუდებოდა. უფრო სწორად, კანონმდებლობის თვალსაზრისით, ყველა ისინი აკრძალული იყო და მხოლოდ გამონაკლისის სახით დაიშვებოდა. სავალუტო რეზერვების გასაზრდელად გამოიყენებოდა სავალუტო ამონაგების კონცენტრაციის (იძულებითი) მექანიზმი. თუმცა ეკონომიკური სტაბილიზაციის შესაბამისად ქვეყანაში სავალუტო ოპერაციები მიმდინარე მუხლების თანახმად თანდათანობით იქნა ლიბერალიზებული. 1964 წელს იაპონია შეუერთდა სსფ-ს წესდების მერვე მუხლს და ამ სისტემის ლიკვიდაცია მოახდინა, რომელიც სავალუტო რესურსების კონცენტრაციას ითვალისწინებდა. შემდგომში ხდებოდა ოპერაციათა ეტაპობრივი ლიბერალიზაცია კაპიტალური ანგარიშების მიხედვით, რამაც ხანგრძლივი დრო

მოითხოვა. 1979 წელს კანონში სავალუტო ოპერაციების შესახებ შეტანილ იქნა არსებითი ცვლილებები და დაადგინეს, პრინციპში, კაპიტალური ხასიათის ოპერაციათა განხორციელების თავისუფალი რეჟიმი. *სავალუტო ოპერაციების სრული, იურიდიულად გაფორმებული ლიბერალიზაცია შესაბამისი კანონმდებლობის კარდინალური გადახედვის შედეგად მოხდა 1998 წელს.*

8. იაპონია უზრუნველყოფილია მეტად მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალით. მუშათა თითქმის 90%-ს გააჩნია ცოდნის ისეთი დონე, რომელიც ბაკალავრის დონეს შეესაბამება. განათლებაში ჩადებულ იქნა მნიშვნელოვანი ინვესტიციები. ჩვენ გვახსოვს, რომ ჯერ კიდევ XX ს-ის დამდეგს ქვეყანაში უკვე იყო სრული წიგნიერება. ომის შემდგომ ერში განათლების კულტი დაინერგა. იაპონური სკოლის თავისებურებას წარმოადგენს სწავლების მკვეთრი დირექტიული მოდელი, სასწავლო დღის დიდი ხანგრძლივობა და ცნობილი დაზუთხვა. იაპონიის განათლების სისტემას უეჭველ პლუსებთან ერთად განსაზღვრული ნაკლოვანებებიც გააჩნია. „ლურსმნების დაჭედების“ პრინციპები ხელს უშლის აშკარა სამეცნიერო ინდივიდუალობათა განვითარებას. გარდა ამისა, ლიცენზიებისა და უცხოური ტექნოლოგიების ყიდვაზე მრავალი წლის განმავლობაში ორიენტაცია ამ უქმად არ ჩაიარა. ამჟამად იაპონია მეცნიერებაზე მშპ-ის დაახლოებით 3%-ს ხარჯავს, თითქმის იმდენივეს, რამდენსაც აშშ და EU, თუმცა იგი ჯერჯერობით გამოყენებით მეცნიერებაზე სპეციალიზდება და მისი წარმატებები ფუნდამენტალურ სფეროებში საკმაოდ მოკრძალებულია.

9. იაპონიაში შეიქმნა ბიზნესის მართვის ორიგინალური სისტემა, რომელიც ძალიან ჭირვეული იაპონელი მომხმარებლებისათვის იყო გამიზნული. იგი გამოირჩევა მოქნილობითა და სწრაფად ცვალებადი მოთხოვნის მიმართ ადაპტირების უნარით. წარმოების ორგანიზაციაში ფართოდ გამოიყენება კონფუციანურ-ბუდისტური ცივილიზაციის კოლექტიური

ტრადიციები. იაპონიის წარმოებისთვის ეფექტიანი აღმოჩნდა სამუშაო ადგილზე კონტროლი, ხარისხის წრეები, სამუდამო დაქირავების სისტემა და სხვა. წმინდა იაპონური ორგანიზაციული ინოვაციები, რომელთა გატანა სხვა ქვეყნებში პრაქტიკულად ვერ მოხერხდა.

იაპონიის ტეკ-ებს მნიშვნელოვან სპეციფიკა ახასიათებს. მათი ევოლუცია მეიძის ეპოქაში, XIX ს-ის ბოლოს, დაიწყო. მაშინ შეიქმნა ძირითადი ჰოლდინგები *„ძაიბაცუ“*, რომლებიც ქვეყნის მთელ ეკონომიკას აკონტროლებდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძაიბაცუ, რომელიც იაპონურ აგრესიას უჭერდა მხარს, განადგურდა. შემდგომ თავისებური *სამფენოვანი იაპონური ეკონომიკის სტრუქტურა ჩამოყალიბდა. პირველ ფენას* საწარმოები წარმოადგენენ, *მეორეს* — კეირეცუს ვერტიკალურად ინტეგრირებული ჯგუფები, რომლებიც ევროპულ კონცერნებს გვაგონებენ, *მესამეს* კი — სიუდანები, რომლებიც ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფებს წარმოადგენს. ისინი თავისთავში კეირეცუს მოიცავს.

კეირეცუს სტრუქტურაში სათავო კომპანიასა და საწარმოთა ჯგუფებს შორის არსებობს სხვადასხვა სახის კავშირი, რომელსაც საფუძვლად უდევს დედობილი ფირმის საწარმოო პროფილი. კეირეცუს დაჯგუფებული საწარმოები, რომლებიც დედობილი ფირმის საწარმოო პროფილზეა „ასხმული“, შეიძლება პირობითად იქნეს დაყოფილი შემდეგ ძირითად სახეებად:

- კეირეცუს ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას გადამამუშავებელ მრეწველობაში ვერტიკალური კეირეცუ წარმოადგენს. საამწყობო წარმოებაში, სადაც დედობილი ფირმა პირამიდის „წვერის“ სახით გამოდის, ხოლო დამოკიდებული ფირმები ამ პირამიდის სხვადასხვა „სართულზე“ განლაგდება. ვერტიკალური კეირეცუს ტიპი იაპონურ მრეწველობაში სუბსანარდო სამუშაოთა მთელი სისტემის საფუძველია;
- საწარმოები, რომლებიც დედობილი კომპანიის (კეირეცუს ამგვარმა ფორმა ყველაზე მეტად გამოვლინდა ავტო-

მობილების მშენებლობასა და ელექტრომანქანათმშენებლობაში) პროდუქციის გასაღების ორგანიზაციისათვის შეიქმნა. ასეთი სახის გამანაწილებელი კეირეცუ თავისთავად წარმოადგენს ინტეგრაციულ სტრუქტურას და განაწილების (მიმოქცევის) მთელ პროცესს მოიცავს — ქარხნის ჭიშკრიდან დაწყებული და დამთავრებული საცალო ქსელის მაღაზიების დახლებით;

- საწარმოები, რომლებიც დედობილი კომპანიის მიერაა შექმნილი (ან შეერთებული) წარმოების ახალ სფეროებში შეჭრის მიზნით დივერსიფიკაციის სტრატეგიის საფუძველზე;
- საწარმოები, შექმნილნი საზღვარგარეთულ ბაზრებზე შესაღწევად. მათ რიცხვში შეიძლება იყოს ყველაზე განსხვავებული პროფილის კომპანიები — სავაჭრო, საწარმოო, საფინანსო და სხვ.

საწარმოო ურთიერთკავშირებთან ერთად კეირეცუში სათავო და დაჯგუფებულ ფირმებს შორის მოქმედებს დამოკიდებულების სხვა სახეებიც. მათ მიეკუთვნება: სათავო ფირმის მონაწილეობა ქალიშვილ-კომპანიათა და დამოკიდებულ ფირმათა კაპიტალში; სათავო კომპანიის წარმომადგენელთა დაჯგუფებული ფირმების დირექტორატთა მუშაობაში მონაწილეობა; სათავო ფირმის მიერ ფინანსების და ტექნოლოგიების გადაცემა თავისი დაჯგუფებული კომპანიებისათვის და ა. შ. საწარმოო და სხვა კავშირების დამოკიდებულების ინტენსივობის ხარისხის შედეგად დედობილ ფირმასა და დამოკიდებულ კომპანიებს შორის ყოველი კეირეცუ პრაქტიკაში თავისთავად წარმოადგენს საკმაოდ არაერთგვაროვან და მოძრავ, მოქნილ სტურქტურას დინამიკური შიდა ურთიერთმოქმედებით.

სათავო ფირმის მხრიდან დაჯგუფებული საწარმოების კონტროლის განხორციელებისათვის საფუძველია აქციების ფლობის სისტემა. მაგრამ ყველაზე ხშირად, რაც უფრო დაბლა, პირამიდის „საფუძველთანაა“ კეირეცუ, მით უფრო იშვიათად შეიძლება შეგხვდეს კავშირის ისეთი ფორმა, რო-

გორიცაა ფირმა-დამკვეთის მონაწილეობა დამოკიდებული ფირმის კაპიტალში. როგორც წესი, ასეთი პირამიდის ქვედა სართულებზე კონტროლი ხორციელდება, სხვა პრინციპების საფუძველზე და უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია სათავო ფირმის ტექნოლოგიასა და შეკვეთებზე.

კეირეცუს ჩარჩოებში განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია საზღვარგარეთულ საწარმოებს, რომლებიც შედიან ჯგუფების შემადგენლობაში ადგილობრივ საწარმოთა შეძენის საფუძველზე და ქალიშვილ-კომპანიათა შექმნის გზით. ეს პროცესი განსაკუთრებით 80-იან წლებში გააქტიურდა, როცა ყველაზე მძლავრმა იაპონურმა კომპანიებმა კურსი აიღეს ეკონომიკური სტრატეგიის გლობალიზაციაზე.

იაპონიის ეკონომიკა XXI საუკუნეში. *ზოგადი დახასიათება და განვითარების თავისებურებანი.* იაპონიის ეკონომიკა, აშშ-ს ეკონომიკის შემდეგ, მეორე ადგილზეა მსოფლიოში თავისი მაკროეკონომიკური პარამეტრების მიხედვით: მშპ (მათ შორის მშპ მოსახლეობის ერთ სულზე), საგარეო ვაჭრობა (ექსპორტის და იმპორტის მაჩვენებლები), კაპიტალდაბანდებების სიდიდე, შრომის მწარმოებლობის ზრდის მაჩვენებლები, სოციალური უზრუნველყოფის დონე (საშუალო ხელფასი). განსაკუთრებულ წარმატებებს ქვეყანამ მიაღწია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განვითარების პერიოდში, როდესაც თითქმის საუკუნის მეოთხედის განმავლობაში იგი მაღალი ტემპებით ვითარდებოდა, „იაპონური ეკონომიკური სასწაულის" გამოცდილება კი შესწავლის საგანი გახდა სტუდენტ-ეკონომისტებისთვის. მსოფლიოს მრავალი დიდი წარმატებული კომპანიების წარმომადგენლები ცდილობდნენ იაპონელი მენეჯერების გამოცდილების გადმოღებას. გავრცელებულმა იაპონური კორპორაციების სავაჭრო-ეკონომიკური ექსპანსიამ უზარმაზარი მასშტაბი მიიღო. ისინი ავიწროვებდნენ თავიანთ ამერიკელ და ევროპელ კონკურენტებს არა მხოლოდ შორეულ ბაზრებზე, არამედ ამერიკაში და დასავლეთ ევროპაშიც. ქმნიდნენ ახალ კომპანიებს, იძენდნენ ბანკებს,

სამრეწველო კორპორაციებს, მომსახურების სფეროს ახალი დარგების საწარმოებს, აწარმოებდნენ ახალ მშენებლობას. უკანასკნელი მიმართულება ინტენსიურად ვითარდებოდა აზიის რეგიონებში, სადაც იაპონურ სამრეწველო კორპორაციებს გადაჰქონდათ ან ქმნიდნენ მრეწველობის სამთომომპოვებელ და გადამმუშავებელ სექტორებს, მანქანათმშენებლობის მრავალ სახეობას, რომელიც აწარმოებდა მაკომპლექტებელ ნაწილებს იაპონიის ინდუსტრიული კომპლექსისათვის.

იაპონიის მმართველი წრეების კონცეპტუალური გენერალური მიმართულება იმაში მდგომარეობს, რომ თვით იაპონურ ტერიტორიაზე, რომელიც გიგანტური მრეწველობისთვის საკმაოდ შეზღუდულია, განლაგდეს ყველაზე თანამედროვე პოსტინდუსტრიული, საინფორმაციო-ტექნოლოგიური კომპლექსი, ხოლო მრეწველობის „მძიმე" დარგები და სფეროები გატანილი იქნას ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

1970-1980 წლებში იაპონიაში შეიმჩნეოდა მაღალი ტემპების „ქრობა". შესაძლოა, აღნიშნული სტრატეგია, რომელიც პრაქტიკულად ხორციელდებოდა „იაპონიის კუნძულების განვითარების გეგმის" ფარგლებში (1970 წ., თუმცა ეს გეგმა ოფიციალურად დამტკიცებული არ იყო), გახდა ერთერთი მთავარი ფაქტორი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შემცირებისთვის. თუ მაღალი ტექნოლოგიების სფერო (როგორი მასშტაბურიც არ უნდა იყოს იგი) არ განვითარდა თანამედროვე მრავალდარგოვან მანქანათმშენებლობასთან ერთად (და მის ბაზაზე) ვერ უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის საერთო ეკონომიკურ ზრდას, მით უმეტეს შორეულ პერსპექტივაში. სპეციალისტების აზრით, ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირების (1990 წლიდან დაწყებული კი ნახევრადდეპრესიული განვითარების) სხვა მიზეზები დაკავშირებულია იაპონიის საფინანსო-საბანკო სისტემის ნაკლთან, რომელიც არ შეესაბამება არა მხოლოდ აშშ-ს და ევროკავშირის ანალოგიურ სისტემებს, არამედ არ პასუხობს თვით იაპონიის მძლავრი ეკონომიკის მოთხოვნებსაც.

იაპონიის ეკონომიკური პოლიტიკის ფრაგმენტი: დერეგულირება. იაპონიის ეკონომიკა კვლავაც რჩება სახელმწიფოს მიერ რეგულირებად ობიექტად. WTO-ს მუდმივი წნეხის გამო იაპონიამ გარკვეული ზომები მიიღო სახელმწიფო გავლენის დონის შესამცირებლად (საგარეო ვაჭრობის ჩათვლით). კერძოდ, ამერიკელი ექსპერტები ასე აფასებენ „თავისუფალი საგარეო ვაჭრობის" სექტორს: 1989-2000 წლებში მოგებამ შეადგინა 127 მლრდ დოლარი. დღესაც სახელმწიფო რეგულირება მოიცავს „ზედამხედველობის" ფართო სფეროს — ეროვნული სტანდარტები, ტარიფები, პირობები, ადმინისტრაციული კონტროლის, გაყიდვების, შენახვის სპეციფიკა და სხვ., ანუ ყველაფერი, რაც რეგულირების არაპირდაპირ მეთოდებს მიეკუთვნება და რისი ზუსტი გაზომვა და აღწერა ყოველთვის ვერ ხერხდება. ამ სფეროში პოზიტიური ცვლილებები — WTO-ს მოთხოვნების დაკმაყოფილება ვაჭრობის პირობების ჰარმონიზაციის შესახებ, ამერიკელი სპეციალისტების თვალსაზრისით, ნელი ტემპებით მიმდინარეობს. იაპონიაში უცხოური კომპანიები ვერ გრძნობენ თავს მყარად მძლავრი ბიუროკრატიული მექანიზმის და ძვირი სამუშაო ძალის გამო.

2001 წ. იაპონიაში ამოქმედდა რეფორმის გატარების სამწლიანი გეგმა, 2001 წლის 30 მარტს მიღებული ქვეყნის მთავრობმის მიერ (Three Year Regulatory Reform Promotion Plan). ეს გეგმა წარმოადგენს თავისებურ იაპონურ პასუხს გლობალიზაციის, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუციის და ქვეყნის მზარდი ეკონომიკური პრობლემების გამოწვევებზე. უფრო ზუსტად კი, გეგმა ასახავს შეშფოთებას ქვეყნის ნელი განვითარების (სტაგნაცია) ძნელადამოსახსნელი ამოცანის გამო საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (1990-იანი წლები თითქმის მთლიანად, XXI საუკუნის პირველი წლები). გეგმა ისახავს ზრდის რეგულატორების მოდერნიზების ამოცანას, განსაკუთრებით საფინანსო სექტორში, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ზრდის მაღალი ტემპების, მოქალაქეებისთვის

არჩევნის შესაძლებლობის, ეკონომიკის და ფინანსების მეტად გახსნილობის უზრუნველყოფაში. გეგმის ერთერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მექანიზმების შემუშავება. ამავდროულად წყდებოდა ამოცანები სავაჭრო კოდექსის შეცვლის და სამოქალაქო მშენებლობის ბაზრის რეგულირების მექანიზმების სფეროებშიც. ეს ყოველივე არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან ამაში მწვავედ არის ამოქმედებული იმ ამერიკული კორპორაციების ინტერესები, რომლებიც უკმაყოფილო არიან სამეწარმეო სფეროში არსებული შინაგანი შეზღუდვებით. დღესდღეობით იაპონიის სამთავრობო წრეები თვლიან, რომ ამ სფეროში გარვეული დათმობებია აუცილებელი.

გეგმა სამი ნაწილისგან შედგებოდა. პირველი ნაწილი მოიცავდა ზოგად დებულებებს, ამოცანების ფორმულირების ჩათვლით; მეორე ნაწილი — სპეციფიკურ და კონკრეტულ დებულებებს, როგორიცაა საინფორმაციო ტექნოლოგიების რეგულირების აღწერა, სალიცენზიო სისტემა, გარე სამყარო; მესამე ნაწილი მოიცავდა ინდივიდუალური სექტორის სფეროს. სამეწარმეო წრეებმა საკმაოდ კარგად მიიღეს აღნაშნული გეგმა, მაგრამ მან მწვავე კრიტიკა გამოიწვია ქვეყნის პროფკავშირების მხრიდან, რომლებიც ახასიათებდნენ მას როგორც „ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის არაეფექტიან ხერხს". 2001 წლის ივლისში რეფორმების გამტარებელმა საბჭომ (მთავრობის მეთაურის მმართველობაში არსებული სამთავრობო უწყება) დამატებით განახორციელა ექვსი სექტორის დერეგულირება: სამედიცინო, სოციალური, დასაქმება და სამუშაო ძალა, გარესამყაროს, განათლების და ურბანიზაციის სექტორები. ეს ღონისძიება შეფასებული იყო როგორც დათმობა აშშ-ის მოთხოვნების გამო.

XXI საუკუნის პირველი წლების ეკონომიკური ზრდის პრობლემები. მსოფლიო დეპრესიის დადგომამდე, ბოლო 2000 წელი იყო იაპონიისთვის მშპ-ს სწრაფი ზრდის წელი. ეს მაჩვენებელი პირველად (1990-იანი წლების გათვალისწინებით) გაიზარდა 2,5%-ით (1991-1999 წლები იაპონიაში

მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპი შეადგენდა 1,3%-ს). ამ პერიოდში მრავალი ანალიტიკოსი, მათ შორის იაპონელებიც, თვლიდნენ, რომ იაპონიის ეკონომიკური პრობლემები გადალახულია. XX საუკუნის 90-იან წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ძლივს დაწყებული ზრდა შეაჩერა: 2001 წელს სამრეწველო წარმოება შემცირდა 6,8%-ით, 2002 წელს — კიდევ 1,4%-ით. მშპ-ს ზრდის ტემპები 2001 წელს 0,4%-მდე და 2002 წელს — 0,3%-მდე შემცირდა. 2003 წლის მეორე ნახევრიდან შეიმჩნეოდა ეკონომიკის გამოცოცხლება: ამ წლის მშპ შეადგენდა 1,8%-ს. 2004 წელს მშპ გაიზარდა უკვე 2,8%-ით, 2005 წელს ზრდამ 2,7% შეადგინა. ამ წლების განმავლობაში მიმდინარეობდა უმუშევრობის ზრდა, რომლის დონემ 2002 წელს მიაღწია რეკორდულ სიდიდეს — 5,4%-ს (1990-იანი წლების პერიოდში ეს მაჩვენებელი არ აღემატებოდა 3%-ს). 2004-2005 წლებში აღინიშნება უმუშევრობის დონის გარკვეული შემცირება (4,7%-მდე), რაც მშპ-ს ზრდის ტემპების მომატების შედეგს წარმოადგენს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1980-იან წლებში იაპონია შევიდა ხანგრძლივი ეკონომიკური სირთულეების ზოლში, რაც XX საუკუნეშიც გაგრძელდა. იაპონური ეკონომიკის ადრინდელი დინამიზმის შესუსტების სერიოზულ ფაქტორს წარმოადგენს საინვესტიციო პროცესის შესუსტება (კაპიტალდაბანდებების ნორმის შემცირება). ეს კი ფასების დონის ზრდით (დეფლაცია) გამოწვეული იაპონური კორპორაციების მოგების შემცირების, და იაპონური კაპიტალის სამხრეთ-აღმოსავლეთის ზონაში უზარმაზარი გადინების შედეგს წარმოადგენს. იაპონიის ეკონომიკის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად ამ ზონაში იქმნებოდა სამრეწველო ინფრასტრუქტურის „პარალელური ქსელი". შედეგად წარმოიქმნა კაპიტალის უკმარისობა მრავალი მასშტაბური ჩანაფიქრის განსახორციელებლად, რაც თავისთავად იწვევს საერთო მდგომარეობის შესუსტებას. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ იაპონიის ეკონომიკა დამოკიდებულია მსოფლიო ეკონომიკის

საერთო მდგომარეობაზე. იაპონური კაპიტალის ყოფილი დინამიზმი დაკარგულია, და მას აღარ შეუძლია გადალახოს მსოფლიო ეკონომიკური კონიუნქტურის „მოთენთილობა" დეპრესიის პერიოდში ისე, როგორც ეს ხდებოდა არც თუ ისე შორეულ წარსულში, როდესაც იაპონურ კაპიტალს გააჩნდა აღმავალი დინამიკა.

დეფლაცია იაპონიაში — ეს ტრადიციული სენია, ამავდროულად იგი არნახული ფენომენია (ბოლო 50 წლის განმავლობაში) მაღალგანვითარებული ეკონომიკებისთვის, სადაც არსებობს მოხმარების მაღალი დონე. იაპონიის ეკონომიკაში დეფლაციის არსებობა, როგორც ჩანს, იმის მაჩვენებელია, რომ მიუხედავად კვლავწარმოების ფაქტორების ხარისხის გაუარესებისა, ზრდის დაბალი ტემპების პირობებშიც კი იაპონიის ეკონომიკა ინარჩუნებს საკმაოდ მაღალ შინაგან დინამიზმს. მას შეუძლია უზრუნველყოს უზარმაზარი ოდენობით საქონლის და მომსახურების წარმოება, რომელიც მათზე მოთხოვნებს აჭარბებს და დეფლაციის ფუნდამენტურ ბაზას წარმოადგენს. ამავდროულად, არ ვითარდება ჭარბწარმოების კრიზისი, რასაც იაპონური ეკონომიკის კონკურენტული მოდელის თავისებურებების და იაპონური ეკონომიკური დაგეგმარების (შიდა ბაზარზე აქვს დირექტიული ხასიათი) ერთობლიობა უზრუნველყოფს.

იაპონიის საფინანსო-საბანკო სისტემის სისუსტე განპირობებულია უზარმაზარი მასით იმ უიმედო ვალებისა, რომლებიც წინა ათწლეულებში გაჩნდა საფინანსო დაწესებულებების გლობალური ექსპანსიური სტრატეგიის და იაპონური კაპიტალის მუდმივი აღმავალი მოძრაობის რწმენის შედეგად. კრედიტები ადვილად გაიცემოდა და ასევე ადვილად ქრებოდა კრედიტების მიმღებთა გაკოტრებასთან ერთად. ჯერ კიდევ 1990-იან წლებში ამ სიტუაციის გამოსასწორებლად მთავრობამ ზომების მთელი კომპლექსი მიიღო. 2002 წელს დაინერგა საბანკო სისტემის გაჯანსაღების გაშლილი პროგრამა, რომლის მიზანია უახლოეს პერიოდში ორჯერ შეამციროს ვადაგასული ვალების ოდენობა იაპონური ბან-

კების აქტივებში. 2003 წელს სახელმწიფო ფინანსების სისტემის მეშვეობით მიღებული იყო დამატებითი ზომები, საბანკო ვალების „შემსუბუქებაზე" მიმართული ღონისძიებების ჩათვლით.

მიუხედავად იმისა, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ გამოიწვია საპროცენტო შემოსავლების მრუდის გამოსწორება და ამავდროულად სახელწიფო 10-წლიანი ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავალი 2002 წელს შემცირდა 1,5%-დან 0,6%-მდე, მაინც მცირდებოდა ეროვნული ბანკების მიერ გაცემული კრედიტების მოცულობა. კერძო ინვესტორები პასიურობდნენ, სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობა განუწყვეტლივ მცირდებოდა, კერძო მოხმარების დონე დაბალი რჩებოდა. ამის შედეგად 2003 წლის პირველ კვარტალში ქვეყნის ეკონომიკა კვლავ შევიდა „შეკუმშვის" პერიოდში. მთავრობას კვლავ მოუწია ჩარევა, რათა რთულ სიტუაციაში მყოფი საფინანსო-საბანკო დაწესებულებებისთვის მხარი დაეჭირა. მაშასადამე, ევროპის მსგავსად, ეკონომიკური სიტუაცია იაპონიაში დაღმავლობით ხასიათდებოდა. იაპონური ეკონომიკის უზარმაზარი მოცულობის გამო, რაც გავლენას ახდენდა მსოფლიო ეკონომიკის დინამიკაზე, უნდა ითქვას, რომ იაპონია მართლაც ამუხრუჭებდა ზრდის გლობალურ ტემპებს.

როგორც სპეციალისტები აღნიშავენ, გარდატეხა მოხდა 2004 წელს, როდესაც იაპონური ეკონომიკის ზრდამ შეადგინა 2,8%. 2005 წელს ეს მაჩვენებელი 3%-მდე გაიზარდა. საკითხავი ის არის, თუ რამდენად ხანგრძლივი იქნება ეს ზრდა. ეკონომისტების ნაწილი თვლის, რომ ხანგრძლივი დეპრესია, რომლითაც ხასიათდებოდა იაპონიის ეკონომიკა ათწლედის განმავლობაში, ჩაბარდა წარსულს.

მთლიანობაში კი ცხადია, რომ იაპონიაში და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში არსებული სუსტი შიდა მოთხოვნა ნაწილობრივ სამომხმარებლო ხარჯების სუსტი ზრდით იყო განპირობებული, აშშ-სა და ბრიტანეთისგან განსხვავებით. ეს აიხსნება დანაზოგების საყოფაცხოვრებო სექტორში შენახვის ტენდენციით. უკანასკნელ პერიოდში აშშ-ში და დიდ ბრიტა-

ნეთში შეიმჩნევა საყოფაცხოვრებო სექტორში არსებული საშუალო სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდის მყარი ტენდენცია, რაც ადრე არ შეიმჩნეოდა ცენტრალურ ევროპაში და იაპონიაში. თუმცა იაპონიაში ამ ტენდენციის ფორმირება საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს.

პერიოდში, რომელიც მოიცავს 1990-იან წლებს და XX საუკუნის პირველ წლებს, აშშ-ში ოჯახების დანაზოგების ნორმები შემცირდა 8%-დან 2%-მდე, დიდ ბრიტანეთში კი — 10%-დან 4%-მდე. იაპონიაში და კონტინენტური ევროპის ქვეყნებში ამგვარი ტენდენციები არ შეიმჩნევა. იაპონიაში, დეფლაციასთან დაკავშირებით, მყიდველები თავს იკავებდნენ შესყიდვებისგან და, შესაბამისად, აძლიერებდნენ სიტუაცის დაღმავალ სპირალურ განვითარებას.

სავარაუდოა, რომ იაპონიისთვის და კონტინენტური ევროპისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც სამომხმარებლო ხარჯების შემცირება, ასევე ხელფასის მრუდის ცვლილება შრომის მწარმოებლობასთან მიმართებაში. 1990-იანი წლებიდან აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში ხელფასის რეალური დონე და შრომის მწარმოებლობა ერთდროულად იზრდებოდა, რის გამოც 1995-2002 წლების პერიოდში წლიურმა ზრდამ 2%-დან 3%-მდე მიაღწია. დიდ ბრიტანეთში 2002 წელს რეალური ხელფასი გაიზარდა 2,5%-ით, 2003-2005 წლებში კი — 10%-ით. 2002-2005 წწ. აშშ-ში ამ ზრდამ დაახლოებით 6% შეადგინა. მაგალითად, გერმანიაში და იაპონიაში რეალური ხელფასი ათი წლის განმავლობაში პრაქტიკულად არ იცვლებოდა, ყოველწლიურად იზრდებოდა შესაბამისად მხოლოდ 0,1% და 0,3%-ით. მიუხედავად მოლოდინისა, რომ რეალურ ხელფასზე დანახარჯების შემცირება და მოგების ზრდა შექმნიან დამატებით სამუშაო ადგილებს, მაინც მოხდა საერთო დასაქმების დონის შემცირება იმ ქვეყნებში, სადაც არსებობდა ხელფასის ზრდის დაბალი მაჩვენებლები, რეალურ ხელფასზე დანახარჯების შემცირება კი დეფლაციის სტიმული გახდა. მაშასადამე, არსებული სახელფასო პოლიტიკის პირობებში გერმანიისთვის და

იაპონიისთვის ძნელი იქნება შიდა მოთხოვნის მდგრადი სისუსტის გადალახვა. ეკონომიკის არსებული შესუსტებული მდგომარეობის გათვალისწინებით, კომპანიები არ ზრდიან დაქირავებული მუშაკების რაოდენობას, მუშაკები კი, თავის მხრივ, არ დახარჯავენ თავიანთ დანაზოგს თუ არ დარწმუნდებიან, რომ დასაქმების სფერო ნამდვილად გაუმჯობესდა. ამ ჩიხიდან გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკაზე გადასვლით, რომელიც მიმართულია საოჯახო შემოსავლების გაზრდაზე გადასახადების შემცირების და სახელმწიფო დაბანდებების გზით.

ეკონომიკური ზრდის და, განსაკუთრებით სამრეწველო ინვესტიციების, სტიმულირების მიზნით 2003 წელს იაპონიის მთავრობამ განახორციელა გადასახადების მნიშვნელოვანი შემცირება — საერთო ჯამში 15 მლრდ დოლარით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ზომა გამოიწვევს ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას. 2003 წელს ამ დეფიციტმა შეადგინა 140% მშპ-თან მიმართებაში — განვითარებული ქვეყნებისთვის ეს რეკორდულად მაღალი მაჩვენებელია. ამ და სხვა ღონისძიებებმა, როგორც ჩანს, გამოიღეს პოზიტიური შედეგი: 2003-2004 წლები გახდა ეკონომიკის ზრდის დასაწყისი. უნდა აღინიშნოს, რომ თუნდაც ეკონომიკის უმნიშვნელო ზრდამ 2003 წელს გამოიწვია უმუშევრობის შემცირება 5,4%-დან 5,1%-მდე. 2004 წელს, როდესაც ამ ზრდამ მიიღო უფრო მდგრადი ხასიათი, უმუშევრობის შემცირება გაგრძელდა 4,4%-მდე. 2005 წელს უმუშევრობის შემცირებამ 3,9% შეადგინა.

იაპონიის ეკონომიკური განვითარების ახალი აჩქარება, შესაძლოა, ხანგრძლივი მოვლენა გახდეს: ადრინდელი მინიაღმავლობისგან განსხვავებით (საერთო სქემაში — ნელი ზრდა) ამჟამინდელი აღმავლობა ეყრდნობა არა მხოლოდ საბიუჯეტო ხარჯებს, რომლებიც ეკონომიკის სტიმულირებაზე და აშშ-ში ექსპორტის ზრდაზეა მიმართული. მის საფუძველს წარმოადგენს შედარებით საიმედო ბალანსი შიდა მოთხოვნასა და ერთობლივ ექსპორტს შორის. 2004-2005 წლებში იზრდებოდა კორპორაციათა მოგება, კორპორაციები კი

ზრდიდნენ ინვესტიციებს, მომხმარებლები კი უფრო აქტიურად (წინა წლებთან შედარებით) ხარჯავდნენ საკუთარ ფულად სახსრებს. დაწყებულ აღმავლობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქონლის და მომსახურეობის ექსპორტი: 2003-2005 წლებში საექსპორტო ოპერაციათა მასშტაბი საშუალოდ წელიწადში იზრდება 12%-ით (2001-2002 წწ. იგი 4%-ს შეადგენდა). ეს მიმდინარეობდა დოლართან მიმართებაში იენის გამყარების პროცესის მიუხედავად. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ელექტრონული ტექნიკის, კერძოდ, ციფრული ფოტოაპარატების, DVD-ფლეერების და ელექტრონიკის სხვა უახლესი პროდუქციის მიწოდებამ მსოფლიო ბაზარზე. მაშინ, როდესაც 2003-2005 წლებში იენის კურსი დოლართან მიმართებაში საშუალოდ 11%-ით გაიზარდა, ევროსთან მიმართებაში კი დარეგისტრირდა იენის კურსის შემცირება, რამაც ხელი შეუწყო იაპონური საქონლის გასაღებას ევროკავშირის ქვეყნებში.

ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ იაპონური ეკონომიკის ზრდა მნიშვნელოვანწილად იაპონიასა და ჩინეთს შორის სამრეწველო-სავაჭრო კავშირებით არის განპირობებული. შესაბამისად, ორმხრივი ვაჭრობა სწრაფი ტემპებით ვითარდება, ჩინეთში იზრდება მოთხოვნილება იაპონურ საქონელზე. ეს მართლაც ასეა, მაგრამ მართებული არ იქნება „მერილ-ლინჩის" კომპანიის სპეციალისტების მოსაზრება, რომ იაპონია ძალზედ დაზარალდება ჩინეთის ეკონომიკური ზრდის შემცირების შემთხვევაში. ცნობილია, რომ ჩინური შეკვეთები განვითარების საშუალებას აძლევენ იაპონურ ფოლადის მწარმოებელ კომპანიებს, ქაღალდის მწარმოებელ კომბინატებს, ნახევარგამტარების გამომშვებ საწარმოებს და ა.შ. ბოლო პერიოდში 6%-ით გაიზარდა უცხოური, მათ შორის ჩინეთის, ფირმების მოთხოვნილება იაპონიაში გამოშვებულ მანქანა-დანადგარებზე. მაგრამ ეს ყოველივე, როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს, გადამწყვეტ გავლენას ვერ მოახდენს იაპონიის კოლოსალურ სამრეწველო აპარატზე, რადგან იგი მეორე სამრეწველო ქვეყანაა მსოფლიოში.

ზრდადი მოთხოვნილება სამამულო კომპანიების მხრიდან, რომლებმაც განვითარების მძლავრი სტიმულები მიიღეს, — ეს არის ის მთავარი ფაქტორი, რომელიც, როგორც ჩანს, ცვლის ადრე არსებულ სტაგნაციის ტენდენციებს ინტენსიური განვითარების მიმართულებით. 2003-2005 წლებში იაპონური საწარმოების კაპიტალდაბანდებები გაიზარდა 11%-ით, მაშინ როდესაც 2001-2002 წლებში ადგილი ჰქონდა მათ ვარდნას. 2004-2005 წლებში ამ ზრდამ 20%-ზე მეტი შეადგინა (2001-2002 წლებთან შედარებით). შესაძლებელია, გაზრდილი შიდა მოთხოვნილება ასევე შეზღუდავს დეფლაციის პროცესს, რომელიც თრგუნავს ეკონომიკის ზრდას. ყოველ შემთხვევაში, 2004-2005 წლებში სამომხმარებლო ფასების შემცირება შესამჩნევად შენელდა. მწარმოებლების ფასები არ შეცვლილა, და, შესაბამისად, პირველად 2000 წლის შემდეგ ფასების შეცვლის მაჩვენებელი არ წარმოადგენს უარყოფით სიდიდეს. იაპონელი ეკონომისტები მიიჩნევდნენ, რომ 2005 წლის ბოლოსთვის დეფლაციის შესუსტებას ზომიერი ინფლაცია შეცვლის, თუ შენარჩუნდება იაპონიის ბანკის კურსი ბრუნვაში არსებული ფულადი მასის ზრდაზე, ანუ ფულადი რეგულირების კეინსიანისეული მოდელის გამოყენების შემთხვევაში.

🕮 *ძირითადი ლიტერატურა*

- მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, ტ. II, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ, თბილისი, 2004. — გვ. 127-165.
- მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო, პროფ. გრ. თოდუას და პროფ. შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი, 2001. — გვ. 601-618.
- გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2004. — გვ. 211-285.
- პოლ ჰერსტი, გრემ ტომპსონი. გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. გამომც. „დიოგენე", I ქართ. გამოც., თბილისი, 2005.
- Peter Dicken. Global Shift, Transforming the World Economy, Third Edition, P.C.P Ltd, 1999.

თემა 11

ემიგრანტთა ქვეყნების ეკონომიკა

ავსტრალიის ეკონომიკა. ისრაელის ეკონომიკა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეკონომიკა.

ემიგრანტთა ქვეყნებს ჩვენ ვუწოდებთ ისეთ სახელმწიფოებს, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ისტორიულად მიგრანტების შთამომავალნი არიან. ამ თავში ჩვენ შევეხებით ავსტრალიის, ისრაელის და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეკონომიკას.

ავსტრალიის ეკონომიკა. ავსტრალიის ეროვნული მეურნეობა მეტად წარმატებულია. მისი ეკონომიკა დასავლეთ-ევროპული ტიპისაა. ქვეყანა აწარმოებს დაახლოებით იმ ოდენობის მთლიან შიდა პროდუქტს, რამდენსაც გაერთიანებული სამეფო, გერმანია თუ საფრანგეთი.

2007 წლის შედეგების გათვალისწინებით, 170 ქვეყანას შორის, ავსტრალიას ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით, მე-3 ადგილი მიანიჭეს. 2005 წლის შედეგებზე დაყრდნობით კი ინგლისურმა ჟურნალმა „ეკონომისტმა“ ცხოვრების ხარისხის მიხედვით ქვეყანას მეექვსე ადგილი მიაკუთვნა.

მიუხედავად მსოფლიოში დაწყებული ეკონომიკური კრიზისისა, ქვეყნის ეკონომიკა წარმატებულ განვითარებას განაგრძობს. მის უმთავრეს სტიმულს კი წარმოადგენს ეკონომიკური რეფორმები - პრივატიზაცია, საგადასახადო სისტემის რეფორმა და დერეგულაცია, რომელსაც პრემიერ-მინისტრ გოვარდის მთავრობა ატარებს.

2007 წლის მონაცემებით ქვეყანამ აწარმოა 936,4 მილიარდი დოლარის პროდუქტი, რაც ერთ სულზე გაანგარიშებით დაახლოებით 42,6 ათასი დოლარის ტოლია. ქვეყნის ეროვნული ვალუტა ავსტრალიური დოლარია.

ავსტრალიაში ცხოვრობს დაახლოებით 21 მილიონი ადამიანი, რაც ძალზე მცირეა ასეთი დიდი ტერიტორიის მქონე ქვეყნისათვის. ამის გამოა, რომ ქვეყანა ვერ იკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებებს შრომით რესურსებზე. თუმცა, უცხოელები შეადგენენ აქ დასაქმებული მუშების 25 პროცენტს, მაგრამ ქვეყნის ზოგიერთი რეგიონი მათზე მწვავე დეფიციტს განიცდის. ეს უპირველეს ყოვლისა, იმითაა გამოწვეული, რომ ქვეყნის არც თუ ისე დიდი რიცხოვნობის მოსახლეობა გაფანტულია ძალზე ვრცელ ტერიტორიაზე (მოსახლეობის სიმჭიდროვე მხოლოდ 3 ადამიანს შეადგენს ერთ კვადრატულ კილომეტრზე). ამასთან, მოსახლეობა მჭიდროდაა დასახლებული ოკეანის პირას, სადაც ბევრი მსხვილი ქალაქი გაშენდა. რაც შეეხება ქვეყნის შიდა რაიონებს, აქ მოსახლეობა ძალზე მეჩხერადაა დასახლებული.

ეკონომიკური რეფორმები დაიწყო ჰაუკეს მთავრობამ ავსტრალიური დოლარის მცოცავ კურსზე გადასვლით და ნაწილობრივ ფინანსური სისტემის დერეგულაციით. პრემიერ-მინისტრ გოვარდის მთავრობამ გააგრძელა მაკროეკონომიკური რეფორმები, მათ შორის, შრომის ბაზრის ნაწილობრივი დერეგულაცია და სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია, განსაკუთრებით, ტელეკომუნიკაციების სექტორში. 2000 წლის ივლისში მნიშვნელოვნად შეიცვალა არაპირდაპირი გადასახადების სისტემა, როცა შემოიღეს საქონლისა და მომსახურების 10%-იანი გადასახადი.

1990 წლის შემდეგ ავსტრალიაში რეცესიას არა ჰქონია ადგილი. 2007 წლის მაისში უმუშევრობა 4,3 პროცენტამდე დაეცა, რაც ყველაზე დაბალი დონეა 1970 წლის შემდეგ. 2007 წლის იანვარში ქვეყანაში დასაქმებული იყო 10 მილიონზე მეტი ადამიანი.

ქვეყანაში ყველაზე ძლიერ განვითარებულია მომსახურების სექტორი, განსაკუთრებით ისეთები, როგორებიცაა ტურიზმი, განათლება და საბანკო მომსახურება. მომსახურების დარგებს ავსტრალიის ეკონომიკის (მშპ-ს) 70 პროცენტამდე უკავიათ.

სოფლის მეურნეობა და ბუნებრივი რესურსების მოპოვება მშპ-ში იკავებენ 3-სა და 5 პროცენტს შესაბამისად. სამაგიეროდ, სწორედ ეს დარგები იღებენ ძალზე აქტიურ მონაწილეობას საექსპორტო პროდუქციის შექმნაში. ავსტრალიური პროდუქციის ძირითადი მომხმარებლები არიან იაპონია, ჩინეთი, აშშ, სამხრეთ კორეა და ახალი ზელანდია.

კერძოდ, 2006 წელს იმპორტის მოცულობა შეადგენდა 184,8 მილიარდ აშშ დოლარს და 9 მილიარდი დოლარით აღემატებოდა ექსპორტის მაჩვენებელს.

ექსპორტზე ორიენტირებული გადამამუშავებელი დარგების არარსებობა ავსტრალიის ეკონომიკის სისუსტედ ითვლება. ბოლო პერიოდში ავსტრალიური საექსპორტო საქონლის ფასების ზრდამ და ასევე ქვეყანაში ჩასულ ტურისტთა რიცხოვნობის ზრდამ გარკვეულად გამოასწორა მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, ავსტრალიას აქვს დიდი გარღვევა მიმდინარე ანგარიშებში და ის მშპ-ს 7 პროცენტს აღემატება. ამ უარყოფითი მაჩვენებლის მიხედვით ავსტრალია მსოფლიო ხუთეულში შედის, რაც ძალზე აშფოთებთ ამ ქვეყნის ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებს.

ავსტრალიას 42 მილიარდის ღირებულების საერთაშორისო რეზერვები (ძირითადად აშშ დოლარში) გააჩნია. მას, როგორც ოქროს მსხვილ მომპოვებელ ქვეყანას, დიდი რაოდენობით აქვს ასევე ოქროს რეზერვებიც.

ბოლო წლებში ავსტრალიაში ტრადიციულად დაბალია ინფლაცია და ის წლიურად 2-3 პროცენტს არ აღემატება. რაც შეეხება საბაზისო საპროცენტო განაკვეთს, ის 5-6 პროცენტის დონეზე მერყეობს.

ისრაელის ეკონომიკა. ისრაელი ერთადერთი ქვეყანაა ახლო აღმოსავლეთში, რომელიც ყველანაირი სახის ბუნებრივ ნედლეულსაა მოკლებული. ზოგი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია. სწორედ ამიტომ ცდილობს ეს 7 მილიონიანი ქვეყანა ისეთი ტექნოლოგიები განავითაროს, რომელსაც დიდი რაოდენობით ნედლეული დასჭირდება არ დასჭირდება. ამი-

სათვის ის არც თანხებს იშურებს - ყოველწლიურად სამეცნიერო კვლევებზე ამ ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 5 პროცენტი იხარჯება, რაც მთელი მსოფლიოსათვის სარეკორდო მაჩვენებელია.

საკუთარი ფინანსური სახსრების გარდა, ისრაელი ეროვნული მეურნეობის განვითარებისათვის დიდი ოდენობით იზიდავს ასევე უცხოურ კაპიტალსაც. მაგალითად, მიუხედავად ომისა, 2006 წელს ამ ქვეყანაში დაბანდდა 15 მილიარდ დოლარზე მეტი უცხოური ინვესტიცია. შედარებისათვის: დღესდღეობით, უცხოური ინვესტიციებისათვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ასევე მიმზიდველად ითვლება პოლონეთი (40 მილიონი მოსახლე), სადაც ამავე წელს დაბანდებულმა უცხოერმა კაპიტალმა 10 მილიარდს ვერ გადააჭარბა. რაც შეეხება საქართველოს, აქ ამ წელს უცხოურმა ინვესტიციებმა 1,1 მილიარდი დოლარი შეადგინეს.

ცხადია, ამ სახით ძნელია წარმოდგენა შევიქმნათ უცხოური ინვესტიციების შემოდინების ინტენსიურობაზე, ამიტომ თუ, როგორც ეს მიღებულია, მათ გამოვითვლით ერთ კაცზე გაანგარიშებით, გვექნება: პოლონეთში - 250 დოლარი, საქართველოში - 245, ხოლო ისრაელში - 2143 (!) აშშ დოლარი.

უცხოური ინვესტიციების დაბანდების და ასევე ეროვნული ეკონომიკის განვითარების უმთავრეს აღმძრავს მაღალი ტექნოლოგიების დარგები წარმოადგენენ.

ებრაელები ამაყობენ, რომ სწორედ აქ დამუშავდა დღევანდელი ინტერნეტ სამყაროსათვის აუცილებელი მრავალი პროგრამა და ტექნოლოგია. მაგალითად, 1996 წელს აქაურმა ფირმა ICQ-მ დაამუშავა პირველი საინტერნეტო კომინიკატორი. შემდგომ ის ამერიკულმა გიგანტმა AOL-მა შეისყიდა და იმ დროიდან ეს ტექნოლოგია დაედო საფუძვლად დღეს ესოდენ პოპულარულ ქსელურ მომსახურებას. დღეს ვინც უფასო ინტერნეტული სატელეფონო კავშირით სარგებლობს, უნდა ახსოვდეს, რომ VOIP-ის ტექნოლოგიაც ცნობილ ებრაული ფირმა Alvarion-ს მიერაა გამოგონებული. მრავალი ექსპერტის შეფასებით, ამ ტექნოლოგიამ რე-

ვოლუცია მოახდინა ინტერნეტით მომსახურების სფეროში.

საინტერესოა, როგორ მოახერხა ქვეყანამ, სადაც 80-იან წლებში გაჭენებულ ინფლაციას ჰქონდა ადგილი და უფრო კიბუცებსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან ასოცირდებოდა, ვიდრე მაღალი ტექნოლოგიების მწარმოებელ ფირმებთან, ასეთ მოკლე დროში ასეთი განვითარება.

წარმატების ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში განხორციელებული რეფორმის შედეგად, ქვეყანაში ტექნიკური მიმართულებით მოსწავლე სტუდენტთა რაოდენობა რამდენჯერმე გაიზარდა. და ეს მაშინ, როდესაც საიჟინრო მეცნიერებებით დაინტერესება დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში პირიქით - კლებულობს. ამას უნდა დაემატოს ემიგრაციიდან მიღებული დადებით შედეგებიც: მაგალითად, იმ დაახლოებით ერთი მილიონი ადამიანიდან, რომელიც საბჭოთა კავშირიდან ისრაელში გადასახლდა, უმეტესობა უმაღლესი განათლების დიპლომით იყო. ამ და სხვა ფაქტორების მოქმედების შედეგად დღეს ისრაელის მოსახლეობის 20 პროცენტზე მეტი აკადემიური ტიტულის მქონეა, რაც ასევე ერთგვარი მსოფლიო რეკორდია. ამ ასპექტში მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისრაელის სასწავლებლებს მსოფლიო დონის სერთიფიკატი გააჩნიათ - განათლების ხარისხის მიხედვით ისრაელის უმაღლეს სასწავლებლებს მეორე ადგილი უკავიათ ფინეთის უნივერსიტეტების შემდეგ.

როგორც ჩანს, მართალია ის თეზა, რომ ტექნიკის განვითარება ომების განხორციელების საჭიროებამ მოითხოვა. ყოველ შემთხვევაში, ისრაელის მაგალითზე ეს ნათლად მტკიცდება. კერძოდ, როგორც მსოფლიოში ცნობილი EMBLAZE-ს, ყველაზე რთული საინფორმაციო ტექნოლოგიების მწარმოებელი ფირმის, ხელმძღვანელი, ელი რეიფმანი აცხადებს: არმიის საჭიროება რომ არა, არ იქნებოდა ასევე მაღალი ტექნოლოგიები. სულ საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი არმია თანამედროვე კავშირგაბმულობის ტექნოლოგიებს მოითხოვს. მოითხოვს კარგადაც იხდის.

თუმცა ზოგიერთი ებრაელი მოაზროვნე ეჭვს ქვეშ აყენებს აზრს იმის შესახებ, რომ არმიას ასეთი დიდი წვლილი ჰქონდეს შეტანილი აქაური ტექნოლოგიების განვითარებაში. - ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა არა ერთადერთი - ამბობს ერთ-ერთი მათგანი და ამატებს: მნიშვნელოვანია ასევე კულტურა და ტრადიციაც. ჩვენი დედები ბავშვებს სულ იმას ჩასჩიჩინებენ: განა ჩემს მიერ შენზე გაწეული მზრუნველობის სანაცვლოდ მოლოდინი იმისა, რომ ნობელის პრემია მიიღო, უსაფუძვლოა?

ისრაელში ბიზნესის და ტექნოლოგიების ასეთ ინტენსიურ განვითარებას სხვა ფაქტორიც დაედო საფუძვლად. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ებრაელები ცნობილი არიან რისკის გაწევისადმი მიდრეკილებით. ამასთან, ბიზნესმენის მიერ სამეწარმეო საქმიანობაში განცდილი წარუმატებლობა სულაც არ ითვლება რაიმე სამარცხვინო მოვლენად. უფრო მეტიც: ისევე, როგორც შეერთებულ შტატებში ადრეულ ასაკში თავს გადამხდარი წარუმატებლობა, ებრაელთა გაგებით, მოწიფულობის ნიშანიც კია.

დაახლოებით ათი-თხუთმეტი წლის წინ ისრაელში ბიზნესის განვითარებას აფერხებდა ისიც, რომ აკადემიური პროფესორები მაინც და მაინც არ იყვნენ ფულის გაკეთებით დაინტერესებული და მრეწველობასთან დიდი ხალისით არ თანამშრომლობდნენ. დღეს ამ მხრივ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ამჟამად ამგვარი თანამშრომლობის ეფექტურობით ისრაელი ისეთი ქვეყნების ხუთეულში შედის, როგორებიც არიან ფინეთი, ისლანდია, სინგაპური და შეერთებული შტატები.

ამასთან, იმაში, რომ ქვეყნის ეროვნულმა მეურნეობამ ამ ასპექტში ასეთი ცვლილება განიცადა, სახელმწიფო პოლიტიკას ეკუთვნის. კერძოდ, ამ მიზნით გამოყენებულია მრავალი ბერკეტი უცხოელ ინვესტორთა საგადასახადო შეღავათებით დაწყებული და საწყის ეტაპზე მაღალ ტექნოლოგიებზე მომუშავე ფირმების დაფინანსებით დამთავრებული. ესაა ეგრეთწოდებულ Pre-Seed Capital-ი, იმ ეტაპზე, რომელიც

ძალზე ძნელია ფირმებისათვის, ეტაპი, როდესაც მათ ძალიან უჭირთ ინვესტორის მოძიება, რომელიც მათი პროექტის განხორციელებას დააფინანსებდა. რომ არა ასეთი შეღავათები და დახმარებები, ამ სახის ფირმები გაკოტრდებოდნენ.

სახელმწიფოს დახმარება ეროვნული ეკონომიკის მიმართ გამოიხატება ასევე იმაშიც, რომ იგი აფინანსებს ფუნდამენტურ მეცნიერულ კვლევა-ძიებით სამუშაოებს და ასევე მთელ ისრაელში მიმობნეულ High-Tech-ების ინკუბატორების სისტემას. მაგალითად, 2007 წელს სახელმწიფომ ბიოტექნოლოგიურ და ნანოტექნოლოგიურ კვლევებს 250 მილიონამდე გაუზარდა საბიუჯეტო ფინანსირება. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ თუმცა ისრაელის სახელმწიფო ასე აქტიურად აფინანსებს ფუნდამენტალურ კვლევებს და ამისათვის იგი მთლიანი შიდა პროდუქტის 4,7%-მდე გამოყოფს, მიუხედავად ამისა, ფუნდამენტალურ კვლევების დაფინანსებაში აქტიურად არის ჩაბმული კერძო ბიზნესიც. კერძოდ, ამ სახის დაფინანსების 2/3-ს ქვეყნის მრეწველობა უზრუნველყოფს. სახელმწიფო ფინანსები ძირითადად მიიმართება იქით, სადაც ბაზარი არ მოქმედებს. სხვაგან ყველგან სახელმწიფო მოხელის როლს ათობით Venture Capital-ის ფონდების წარმომადგენლები ასრულებენ.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დამახასიათებელი ნიშანია უსაზღვრო მრავალფეროვნება ყველა სფეროში. აქ ოფიციალურად 11 ენა ითვლება სახელმწიფო ენად; პოლიტიკოსებს შორის შეხვდებით ტომის ბელადებს, რაბინებს, რაგბისტებს, ემიგრაციიდან დაბრუნებულ რევოლუციონერებს; ერთ ქუჩაზე მუშაობენ ტრადიციული ექიმბაშები და საბირჟო პროკერები; ერთმანეთის გვერდით დგას ქოხმახები და ფეშენებელური სრა-სასახლეები.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა საჰარის სამხრეთი აფრიკის რეგიონის ერთადერთი განვითარებული სახელმწიფოა. მას პირველი ადგილი უკავია ამ რეგიონში მთლიანი შიდა

პროდუქტის მოცულობით 242.0 მლრდ აშშ დოლარი 2005 წლის მონაცემებით (30-ე ადგილი მსოფლიოში 146 ქვეყანას შორის). ეს შეადგენს აფრიკის კონტინენტის ერთობლივი მშპ-ს 28.8%-ს.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ფლობს სასარგებლო წიაღისეულის უზარმაზარ რესურსებს. მის ტერიტორიაზე მოდის მსოფლიო ქრომის მადნის 58%, პლატინის ჯგუფის ლითონების 82%, ოქროს 53%, ვანადიუმის 50%, მარგანეცის მადნის 80%, ალმასისა და მთელი რიგი ძვირფასი ბუნებრივი რესურსების 40%.

ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ისტორიას ორ ეტაპად ყოფენ: 1998 წლამდე და მას შემდეგ. 1998 წლამდე ქვეყანა, რასობრივი და ეროვნული ჯგუფების ცალ-ცალკე განვითარების ოფიციალური პოლიტიკის (აპარტეიდის) პირობებში ვითარდებოდა, რომელიც 1948 წლიდან ქვეყანაში ოფიციალური პოლიტიკა იყო, რის გამოც იგი საერთაშორისო იზოლაციაში იმყოფებოდა. ამასთან დაკავშირებით, 1970 წლიდან გაერო ამ ქვეყნის მიმართ იყენებდა საერთაშორისო სანქციებს, რომლებიც ხელს უშლიდა მის ეკონომიკურ განვითარებას. აღნიშნულის გამო, მაგალითად, 1980-1990 წლებში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ მხოლოდ 1% შეადგინა.

1993 წლიდან, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის თეთრი და შავი მოსახლეობის შეთანხმების მიღწევით, დაიწყო აპარტეიდის რეჟიმის დემონტაჟი, რის საფუძველზე გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ქვეყანას მოუხსნა საერთაშორისო სანქციები. დაიწყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ახალი ერა. 1990-2000 წლებში გაორმაგდა მშპ-ს ზრდის ტემპი წინა ათწლეულთან შედარებით და საშუალოდ წელიწადში 2,1%-ს მიაღწია, ხოლო 2000-2006 წლებში - 3-5%-ს.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია სხვა აფრიკული ქვეყნების

ბაზრების გახსნილობის პოლიტიკა მისი გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციისათვის. აღნიშნულის შედეგად, მაღალგანვითარებული მომპოვებელი მრეწველობის პირობებში, რომელიც ორიენტირებულია განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გადამამუშავებელ მრეწველობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკაში: მასზე მოდის დასაქმებულთა (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის) 16% და მშპ-ს 20%.

დღეისათვის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა სამხრეთაფრიკული სუბრეგიონის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. იგი მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ისეთი ქვეყნების იმპორტზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, როგორებიცაა ლესოტო და სვიზელანდი (90%-ით), ბოტსვანა (80%-ით), ნამიბია (75%-ით), მალავი (40%-ით), მოზამბიკი (25%-ით), ზამბია და ზიმბაბვე (20%-ით). ასევე, იგი არის ამ ქვეყნების მნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზარი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირები სასიცოცხლოდ აუცილებელია სამხრეთ აფრიკის რეგიონის ქვეყნებისათვის ტრანსპორტის, ენერგეტიკის, წყალმომარაგებისა და სხვა ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა წარმატებით თანამშრომლობს განვითარებულ ქვეყნებთან. იგი არის ამ ქვეყნებში ოქროს, ალმასის, ქრომის, მარგანეცის მადნებისა და კონცენტრატების, მოლიბდენის და ტიტანის მადნების მნიშვნელოვანი მიმწოდებელი. XX-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა უცხოური ინვესტიციებისათვის საკმაოდ მიმზიდველ ქვეყნად იქცა ეფექტიანი ინფრასტრუქტურის, განვითარებული საბანკო სისტემისა და დაბალი საგარეო დავალიანების (2004 წლის მონაცემებით, მთლიანი ეროვნული პროდუქტის 17% და ექსპორტის 54%) წყალობით. 1990-2000 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალოწლიური მოცულობა ქვეყანაში 854 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, 2003 და 2004 წლებში, 734 და 799 მლნ აშშ დოლარს, შესაბამისად; 2005 წელს

ასეთი ინვესტიციების მოცულობამ 6 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა1, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ მისი დაგროვილი მოცულობის შეფარდებამ - 29% შეადგინა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სოციალური პრობლემები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში კვლავ აქტუალურია. 2005 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 1 სულზე წელიწადში აქ 5162 აშშ დოლარი (მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით გადაანგარიშებული) მოდიოდა და ამ მაჩვენებლით იგი 146 ქვეყანას შორის 57-ე ადგილზე იყო. თუმცა, მოსახლეობის დაახლოებით 11%, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მიეკუთვნება ზეღარიბთა კატეგორიას. დიდია უთანაბრობა შემოსავლების განაწილებაში (ჯინის ინდექსი შეადგენს 0.58-ს), უმუშევრობის დონე კი 28%-ს აჭარბებს.

🕮 *ძირითადი ლიტერატურა*

- მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, ტ. II, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ, თბილისი, 2004. — გვ. 166-193.
- მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო, პროფ. გრ. თოდუას და პროფ. შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი, 2001. — გვ. 736-757.
- პოლ ჰერსტი, გრემ ტომპსონი. გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. გამომც. „დიოგენე", I ქართ. გამოც., თბილისი, 2005.
- Peter Dicken. Global Shift, Transforming the World Economy, Third Edition, P.C.P Ltd, 1999.

1. World Investment Report 2007. United Nations Conference on Trade and Development. www.unctad.org

თემა 12

ჩინეთის ეკონომიკა

ჩინეთის ბუნებრივი, დემოგრაფიული, ინსტიტუციონალური და ცივილიზაციური რესურსები. ეკონომიკური რეფორმა ჩინეთის. ჩინეთის ეკონომიკური მოდელი. ჩინეთის ეკონომიკის პერსპექტივები, ტენდენციები და პრობლემები.

ჩინეთი სიდიდის მიხედვით მსოფლიოში მესამე ქვეყანაა რუსეთისა და კანადის შემდეგ. მისი ფართობი 9,572 მლნ კვ. კმ-ია, მოსახლეობა — 1,3 მლრდ. კაცი. პეკინში დაახლოებით 12,5 მლნ. კაცი ცხოვრობს. სხვა მსხვილი ქალაქებია — შანხაი (7 860 000 კაცი), ტიანძინი (5 900 000 კაცი). ჩინეთი დაყოფილია 23 პროვინციად, ტაივანის, 5 ავტონომიური რაიონის და 3 ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქის (პეკინი, შანხაი, ტიანძინი) ჩათვლით. პროვინციები და ავტონომიური რაიონები იყოფა ოლქებად, მაზრებად და თემებად.

როდესაც ვსაუბრობთ ჩინეთის შესახებ, უნდა გვახსოვდეს, რომ *ფაქტობრივად „დიდი ჩინეთი“* სამი ნაწილისგან შედგება. უპირველესად, ეს არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (ჩსრ), რომელიც არსებითად ძირითადია. ერთადერთ ჩინურ სახელმწიფოდაც მას მიიჩნევენ მისი ხელმძღვანელები. მეორე — ესაა ჰონგ-კონგი, რომელიც 1997 წელს ჩსრ-ის ნაწილი გახდა, თუმცა კიდევ 50 წლის განმავლობაში ავტონომიის სტატუსსა და საკუთარ კანონმდებლობას მაინც შეინარჩუნებს. დაბოლოს, მესამე — ეს ჯერჯერობით დამოუკიდებელი ტაივანია, რომლის ჩსრ-სთან მიერთებას დაჟინებით მოითხოვს პეკინი.

ჩინეთს აზიის ფართობის დაახლოებით ერთი მეხუთედი უკავია. იგი მსოფლიოში ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანაა. დედამიწაზე ყოველი მეხუთე ადამიანი ჩინელია. ქვეყანაში ყოველდღიურად დაახლოებით 50000 ბავშვი იბადება და

იმისათვის, რომ გამოიკვებოს ასეთი უზარმაზარი მოსახლეობა, აუცილებელია სახნავი მიწის ყოველი გოჯის დამუშავება. აღმოსავლეთ ჩინეთის სამდინარო დაბლობები ათასწლეულობის განმავლობაში მუშავდებოდა და ამ რაიონებში მსხვილი ინდუსტრიული ქალაქები წარმოიშვა. ქვეყნის ნაკლებადდასახლებული ჩრდილოეთის და დასავლეთის რაიონები უნაყოფო უდაბნოებითა და მაღალი მთებითაა დაფარული.

ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური რესურსები საოცრად მრავალფეროვანია. ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთი განაპირა მხარეებისათვის დამახასიათებელია გრძელი ცივი ზამთარი და მოკლე, ძალიან ცხელი ზაფხული. ეს ტყიანი რაიონები მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, მათ შორის, ქვანახშირით. ტემპერატურათა მკვეთრი ცვლილება დამახასიათებელია აგრეთვე ჩინეთის ჩრდილო ოლქებისათვის, სადაც ბალახოვანი დაბლობები გობის უდაბნოს ესაზღვრება. ზაფხულობით უდაბნოში ტემპერატურა ცელსიუსის მიხედვით +38 გრადუსამდე იწევს, ხოლო ზამთარში -34 გრადუსამდე ეცემა. ჩინეთის ცენტრალურ ჩრდილო პროვინციებს კვეთს ფართო, დაკლაკნილი მდინარე ხუანხე (ყვითელი მდინარე), რომელიც მეტად სახიფათოა საშინელი წყალდიდობებით. თუმცა მდინარის შლამით განოყიერებული მისი დაბლობები განსაკუთრებით ნაყოფიერია. მეორე დიდი მდინარე — იანძი მიედინება ქვეყნის ცენტრალური პროვინციების გავლით. იგი ჩინეთის უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო არტერიაა და მსოფლიოში სიდიდით მესამე მდინარეა, რომლის სიგრძე 6300 კმ-ია. იანძის სათავე ჩინეთის დასავლეთით მდებარე მთებშია, მდინარე ჩაედინება ყვითელ ზღვაში. ქვეყნის დასავლეთი ტერიტორია უკავია მაღალმთიან ზეგანს — ტიბეტს, რომელსაც ხშირად „მსოფლიოს სახურავსაც“ უწოდებენ. სამხრეთით ჩინეთი შემოსაზღვრულია ჰიმალაის მთიანი ქედით, სადაც ყველაზე მაღალი მწვერვალია — ევერესტი. ჰიმალაის მთისწინეთში, ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში კლიმატი თბილია. ჩინეთის სამხრეთი

ოლქებისა და ახლომდებარე კუნძულ ტაივანისათვის დამახასიათებელია ცხელი და ტენიანი კლიმატი წვიმიანი სეზონით, რომელიც მაისიდან ოქტომბრამდე გრძელდება.

ჩინეთს გააჩნია მიწის რესურსები და სასარგებლო წიაღისეული, რაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში აძლევდა საშუალებას, თავად განეხორციელებინა თვითკმარი განვითარება. ჩსრ შედის ტყვიის, თუთიის, ალუმინის, ნიკელის და ხე-ტყის მსოფლიოს უმსხვილესი მწარმოებლების ხუთეულში. ქვეყანა ფლობს ნავთობის, ნახშირის და რკინის მადნის დიდ მარაგს. თუმცა, სასარგებლო წიაღისეულის ბევრი საბადო შორეულ, ძნელადმისადგომ ადგილებშია. მიწის რესურსები საშუალებას იძლევა სრულად უზრუნველყონ მოსახლეობა კვების პროდუქტებით. ჩინეთი ხორბლის, ხორცის, ბოსტნეულის და ხილის მსოფლიოში უმსხვილესი მწარმოებელია.

ჩინეთის დემოგრაფიულ რესურსებს მსოფლიოში ტოლი არ მოეძებნება. მსოფლიოში სულ 1350 მლნ. ჩინელი ცხოვრობს, რაც 1,5-ჯერ მეტია, ვიდრე ინდუსები და დაახლოებით 4-ჯერ მეტი, ვიდრე ანგლოსაქსები და არაბები. ჩინური დიასპორები მსოფლიოს თითქმის ყველა უმსხვილეს ქვეყანაში არიან. ისინი ინარჩუნებენ თავიანთი ეროვნული ცხოვრების წესს, ცხოვრობენ განკერძოებულად და უფრთხილდებიან სამშობლოსთან ეკონომიკურ კავშირს. ამდენად ჩინეთის ეკონომიკური განვითარებისათვის დიასპორა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ჩსრ ეთნიკურად საკმაოდ ერთგვაროვანი სახელმწიფოა. მოსახლეობის 90% მხოლოდ ჩინელები არიან — ხანის ხალხის შთამომავალნი, რომლებიც ოდესღაც ჩინეთის ჩრდილო ოლქებში სახლობდნენ. გარდა ამისა, ქვეყანაში დაახლოებით 50 სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ცხოვრობს, მათ შორის მონღოლები, ტიბეტელები, ყაზახები და კორეელები. დემოგრაფიული პრობლემა ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო არა მარტო ჩინეთის მთავრობისათვის, არამედ მთელი მსოფლიო თანამეგობრობისთვისაც. ქვეყნის მოსახლეობის სწრაფი

ზრდა დიდხანს იწვევდა სერიოზულ შეშფოთებას. ამ გარემოებით შეწუხებულმა მთავრობამ მიიღო იმგვარი კანონები, რომლებიც შობადობის დონის შემცირებას გამოიწვევდა. ახალგაზრდებს ეკრძალებოდათ დაქორწინება 20 წლამდე და ახალშეუღლებულებს უფლება ეძლეოდათ გაეჩინათ არა უმეტეს ერთი-ორი შვილისა. ამან საგრძნობი შედეგი მოიტანა.

ჩსრ-ის თანამედროვე სახელმწიფო მოწყობა ჩამოყალიბდა სახალხო რევოლუციის გამარჯვების შედეგად, 1949 წლის 1 ოქტომბერს. 1982 წლის 4 დეკემბრის კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება (სჩსწკ). იგი ირჩევს ჩსრ-ის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს. ჩსრ-ის თავმჯდომარის და მისი მოადგილის უფლებამოსილების ვადა 5 წელია, ისინი შეიძლება აირჩიონ შემდგომი ვადითაც, თუმცა არა უმეტეს ორისა. ჩსრ-ის თავმჯდომარე წარმოადგენს სახელმწიფოს შიდა და საგარეო საქმეებში. ჩსრ-ის თავმჯდომარის წარდგენით სჩსწკ ამტკიცებს სახელმწიფო საბჭოს (მთავრობის) პრემიერის კანდიდატურას. სახელმწიფოს მეთაურია ჩსრ-ის თავმჯდომარე (1993 წლის მარტიდან ძიან ძემინი, იგი ამასთანავე ჩკპ-ის გენერალური მდივანია). სახალხო წარმომადგენელთა კრებები (სწკ) იქმნება თემთა დონემდე. საკანონმდებლო ხელისუფლებაა სჩსწკ, აღმასრულებელი ხელისუფლება კი — სახალხო საბჭო, რომელიც სჩსწკ-ის და მისი მუდმივი კომიტეტის წინაშე პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია. ჩსრ-ის სახელმწიფო საბჭოს რეფორმების პერიოდში მინიჭებული აქვს ნორმატიული აქტების მიღების უფლება, რომელთაც კანონის ძალა გააჩნია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მმართველი პარტიაა ჩინეთის კომუნისტური პარტია (60 მლნ წევრი). გარდა ჩკპ-ისა, ჩინეთში კიდევ 8 პოლიტიკური პარტია არსებობს, რომლებიც ჩკპ-ის ხელმძღვანელობას აღიარებენ.

ჩინეთის ცივილიზაცია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უძველესია და სწორედ ეს ცივილიზაციური რესურსია ჩინელი ხალხის საკუთარი ძალების და განხორციელებული რეფორმების ეკონომიკური წარმატებების რწმენის წყარო. პირველი ძველი ჩინური სახელმწიფოები ჩამოყალიბებას იწყებდნენ ძველი ეგვიპტის და მესოპოტამიის სახელმწიფოებთან ერთად ჩვ. წ.-მდე III ათასწლეულში. თუმცა ჩინეთის ერთიანობა მიღწეულ იქნა მხოლოდ ჩვ. წ.-მდე 221-206 წლებში. დაახლოებით იმავე პერიოდში გაძლიერებას იწყებს რომის იმპერია. დიადი ჩინური ფილოსოფია სიძველით დაახლოებით ძველბერძულის (ჩვ. წ.-მდე V-IV სს.) ტოლია. ხანის დინასტიის (220 — 206 წწ. ჩვ. ერამდე) დროს, როცა სახელმწიფო იდეოლოგიად აღიარებულ იქნა კონფუციანელობა, ჩამოყალიბდა თანამედროვე ჩინური ცივილიზაცია. სანის ჩინეთში ვითარდებოდა მეცნიერება და ტექნოლოგია. მიუხედავად მრავალრიცხოვანი ხანგრძლივი ომებისა, ჩინეთმა შუა საუკუნეებში ხელოვნების და მეცნიერების ოქროს საუკუნე განვლო. სწორედ ჩინელმა მეცნიერებმა აჩუქეს მსოფლიოს კომპასი, ფაიფური, წიგნის საბეჭდი დაზგა და ქაღალდის ფურცელიც კი. მაშინ ჩინეთში ერთ სულ მოსახლეზე მშპ 4-ჯერ აჭარბებდა ევროპულ დონეს. XIII საუკუნეში ჩინეთმა საშინელი დარტყმა განიცადა — ქვეყანაში მონღოლები შეიჭრნენ, რის შედეგადაც ქვეყნის წინსვლა შეჩერდა. მონღოლეთის მმართველმა კუბლა-ხანმა სახელმწიფოს ახალი დედაქალაქი დაარსა — ხანბალიკი (თანამედროვე პეკინი). მონღოლური დინასტიის — იუანის მმართველობის შემდეგ ხელისუფლებაში სამხრეთჩინური მინის დინასტია მოვიდა, ხოლო შემდეგ მანჯურიის დინასტია — ცინი. XIX საუკუნეში ტექნოლოგიურად უკვე ბევრად განვითარებული ევროპული ქვეყნები, მათ შორის დიდი ბრიტანეთი, იწყებენ ჩინეთის გადაქცევას კოლონიად. 1841 წელს, ნანკინის ხელშეკრულებით, დიდი ბრიტანეთი ჰონგ-კონგის კუნძულს ღებულობს. საბაჟო სისტემას უცხოური იურისდიქცია დაუწესეს, რაც

აუცილებელი იყო იმისათვის, რომ მაშინ ინგლისს ინდოეთიდან დაუბრკოლებლად განეხორციელებინა ოპიუმის მიწოდება. ჩინეთში იმ დროს უკვე 2 მლნ-ზე მეტი ნარკომანი იყო. ორი „ოპიუმის“ ომში დამარცხების შემდეგ შუალედური იმპერია, როგორც ამაყად უწოდებდნენ თავის ქვეყანას ჩინელები, გადაიქცა მსოფლიო ეკონომიკის დამოკიდებულ, პერიფერიულ ნაწილად. XX საუკუნის დამდეგს ცინის დინასტია დაემხო. ამას მოჰყვა სახალხო მღელვარებათა წლები, პოლიტიკური ბრძოლები კომუნისტებს, ნაციონალისტებსა და იაპონელ ინტერვენტებს შორის. 1948 წელს ქვეყნის ხელისუფლებაში მაო ძე დუნის მეთაურობით კომუნისტები მოვიდნენ. მათი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ხელისუფლებაში — გომინდანის პარტიაში (სახალხო პარტია) — ტაივანი რჩებოდა.

ჩინეთი კონფუციანური ცივილიზაციის მკაფიოდ გამოხატული წარმომადგენელია. რაც ითქვა წინა თავში იაპონიის ბუდისტურ-კონფუციანურ ცივილიზაციაზე, მნიშვნელოვანწილად მასაც ეხება. თუმცა ჩინურ ცივილიზაციურ რესურსებს რიგი ეროვნული თავისებურებები ახასიათებს.

1. ჩინური ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი ნიშანია მისი მოქნილობა, უნარი მოახდინოს ტრადიციული ღირებულებების რეინტერპრეტაცია თანამედროვეობის სულისკვეთების შესაფერისად, სწრაფვა მუდმივი თვითგანახლებისკენ, უცხოურ კულტურათა გავლენის შემოქმედებითი აღქმა ეროვნული ტრადიციების საფუძველზე. სწორედ აქაა დაფარული ჩინური რეფორმების და ჩინური ეკონომიკური სასწაულის წარმატების საიდუმლო.

2. კონფუციანური ტრადიციის შესაბამისად, სახელმწიფო ჩინეთის ეკონომიკური სისტემის ცენტრშია. კონფუციანელობა ხალხს მოუწოდებს მთელი ძალისხმევა მოახმარონ სახელმწიფო საქმეების წარმართვას, ჩაიდინონ გმირობები და ბეჯითად იშრომონ სახელმწიფოსათვის. იგი გამოდის საერო საქმეებიდან პასიური თავის არიდების წინააღმდეგ.

„დიდი მიზნების“ მისაღწევად ერმა უნდა მოახდინოს მთელი თავისი სულიერი პოტენციალის მობილიზება. როგორც ჩანს, ამგვარი ვითარება მძლავრ რესურსს ქმნის ზემოდან, სახელმწიფოს ეგიდით რეფორმების ჩასატარებლად, გარდა ამისა, უზრუნველყოფს ლეგიტიმურობას და რეფორმების საყოველთაო მხარდაჭერას.

3. ახლა ნეოკონფუციანელები ახდენენ პიროვნების პატივისცემის პრინციპების, პირადი ავტონომიურობისა და ჯანსაღი კონკურენციის პრინციპების შესახებ ძველი პოსტულატების წამოწევას. ეს კი, საბაზრო გზით, ეკონომიკური განვითარებისთვის რესურსს იძლევა.

4. ჩინეთის ხელმძღვანელობა განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ჩინური სოციალიზმის ამოცანაა *მოდერნიზაცია, დედამიწაზე ერთ-ერთი უმძლავრესი ცივილიზაციის სიცოცხლისმედეგობის შენარჩუნებით.* ჩინეთი იყენებს სოციალისტურ მეთოდებს, პრაგმატულად განიხილავს რა მათ, როგორც თავისებურ ფორმას, რომელიც ქვეყნის მოდერნიზაციას აჩქარებს. ჩინეთის კულტურა ღრმად ტრადიციული დარჩა და ტრადიციონალიზმი კულტურის სოციალისტურ ელემენტს მნიშვნელოვნად ამარბებს. „კულტურული რევოლუცია“ სწორედ ამიტომ ჩავარდა. თანამედროვე ჩინურ საზოგადოებაში მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებულმა ყოველისშემძლე ჩინურმა ჩინოვნიკობამ ამჟამად მისთვის მოსახერხებელი კომუნისტური იდეოლოგია შეიძინა, რამაც ნაკლებად შეცვალა მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა და ქვეყნის მართვის სტილი.

5. ჩინეთში ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს ტრადიციულად ემატებოდა ორი სპეციფიკური ჩინური შტო — საბამოცდო და საკონტროლო. ისინი თვით კონფუცის დროიდან არსებობდა. ხელისუფლების საგამოცდო შტო ქვეყანაში ტრადიციულად განათლებული, პატიოსანი, ერთგული ჩინოვნიკების მომზადებას განაგებდა. მოდერნიზებული სახით იგი ახ-

ლაც არსებობს — მოსამსახურეთა ატესტაციის ფორმით. შემოღებულია აგრეთვე სახელმწიფო კონტროლის ტრადიციული კონფუციანური მოდელი — 1990 წელს სჩსწკ-თან შეიქმნა ადმინისტრაციული კონტროლის კომისია ქვეყნის ხელმძღვანელობის — ჩსრ-ის სახელმწიფო საბჭოს წევრებიდან დაწყებული და ზემოთ — საქმიანობის უშუალო რევიზიის მიზნით. ამგვარად, სახელმწიფო უწინდებურად „ქეთილშობილი მოღვაწეების“ სახით და „ჰუმანური კანონების“ დახმარებით ახორციელებს მაორგანიზებელ, მარეგულირებელ და საკონტროლო ფუნქციებს ეკონომიკასა და საზოგადოებაში.

6. კონფუციანურ ღირებულებებს ბევრი ეკოლოგიური ასპექტი აქვს, რომელთაც უნარი შესწევს დაეხმაროს მსოფლიოს, დაადგეს მდგრადი განვითარების გზას ბუნებასთან ჰარმონიაში. ჩინელები ფიქრობენ, რომ მათ ფართო გავრცელებას შეუძლია გარემოს დაბინძურების, მოძალადეების თარეშის და სხვა სოციალური დაავადებების შეჩერება.

50-60-იან წლებში ჩინეთში მძიმე ინდუსტრია ინტენსიურად ვითარდებოდა. გლეხები გააერთიანეს საზოგადოებებში, რომელთაც კომუნებს უწოდებდნენ; ისინი საერთო მიწის სავარგულებს ამუშავებდნენ. *პირველ, ომისშემდგომ 25 წელიწადში ქვეყნის ეკონომიკურმა ზრდამ გადააჭარბა მთელი წინარე ეპოქის ზრდას — 1820 წლიდან 1949 წლამდე.*

უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში წარმატებულ სოციალისტურ მშენებლობას თან ახლდა უამრავი სისულელე, რომელიც მოიტანა მსოფლიო მბრძანებლობისა და მსოფლიო რევოლუციისკენ მსწრაფმა ჩინეთის ხელმძღვანელობამ „დიდი მესაჭის“, ჩინეთის რევოლუციის ბელადის — მაო ძე დუნის მეთაურობით. დაიწყო თავმჯდომარის — მაოს ციტატების საყოველთაო დასწავლა ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის, კომუნიზმში „დიდი ნახტომის“ პერიოდში ყოველი გლეხის ეზოში გაჩნდა მინიბრძმედები. გრძელდებოდა „დიადი კულტურული რევოლუციის“ საშინელება და

ბნელეთის მოციქულობა, რომლის დროსაც მაო შეეცადა ახალგაზრდა, ზერელად განათლებულ სტუდენტებზე დაყრდნობით გათავისუფლებულიყო ძველი პარტიელებისაგან, ინტელიგენციისაგან და მათთან ერთად თავისი მთავარი კონკურენტისგან იდეოლოგიის სფეროში — კონფუციისაგან. არაფერი გამოვიდა. დიდი ჩინური ცივილიზაციის ტრადიციები უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

1979 წელს გრანდიოზული სტიქიური უბედურებების აკომპონემენტს — ქვეყნის სამხრეთში საშინელ მიწისძვრას, რამაც 200 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, და არნახულ წყალდიდობას ჩრდილოეთში — თითქმის იმავდროულად მოჰყვა პრემიერ-მინისტრ ჩჟოუ ენ ლანის და სახელმწიფოს მეთაურის — მაო ძე დუნის გარდაცვალება. *ახალი დრო დაიწყო.* მაოს ქვრივთან, ძიან ცინთან ხანმოკლე, მაგრამ გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ხელისუფლებაში დენ სიაო პინი მოვიდა.

მან „სოციალიზმისკენ ჩინური გზის“ ძირითადი პრინციპები შეიმუშავა, რომელთა მიხედვითაც დღემდე გრძელდება ჩინური რეფორმები. აი, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი:

1. ორიენტაცია ეროვნულ ტრადიციებსა და ჩინეთის თავისებურებებზე სოციალიზმის მშენებლობისას;
2. ბრძოლა დოგმატიზმთან: პრაქტიკა — ჭეშმარიტების კრიტერიუმი;
3. უმთავრესი ყურადღება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას;
4. ორიენტირება რეფორების ხანგრძლივ ხასიათზე;
5. საბაზრო ეკონომიკის გამოყენება საერთო სოციალისტური პრინციპებით მართვისას;
6. სპეციალური ეკონომიკური ზონების, როგორც უცხოური კაპიტალის და მოწინავე ტექნოლოგიების მოზიდვის საშუალების შექმნა;
7. პოლიტიკური გახსნილობის პრინციპი გარე სამყაროსათვის.

რეფორმები საბაზრო, ლიბერალურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ქვეყნის ოფიციალური იდეოლოგია კვლავ კომუნისტური რჩებოდა. კომპარტიის ძალაუფლება კონსტიტუციურად იყო განმტკიცებული, ხოლო თავად რეფორმატორი — დენი სასტიკად ებრძოდა სხვაგვარად მოაზროვნეებს. სწორედ მან გასცა ოდიოზური ბრძანება ტიანანმენის მოედანზე სტუდენტთა მანიფესტაციის სისხლიანი რბევის შესახებ.

დენმა თავისი რეფორმები სოფლიდან დაიწყო, სადაც დღემდე ჩინელთა 70%-ზე მეტი ცხოვრობს. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული რეფორმა თავდაპირველად აპრობაციას გადიოდა რომელიმე პროვინციაში და მხოლოდ შემდეგ ვრცელდებოდა მთელ ქვეყანაში. აგრარული რეფორმის თანახმად, გლეხებს მიწა გადაეცემოდათ იჯარით. მას შემდეგ, რაც საექსპერიმენტო პროვინციაში მან მოსავლიანობის მატება მოგვცა 10%-ით, იჯარა მთელ ჩინეთში გავრცელდა. ამის შედეგად, უკვე 1981 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწების 98% გლეხთა ოჯახების მიერ მუშავდებოდა. ზოგიერთ სასურსათო ბაზარზე თავისუფალი ფასწარმოქმნა შემოიღეს. გლეხები მდიდრდებოდნენ და მოთხოვნა სამრეწველო პროდუქციაზე იზრდებოდა.

მთლიანობაში აგრარული რეფორმა წარმატებული იყო.

1985 წელს ჩინეთმა პირველად დაიწყო მარცვლეულის ექსპორტი.

სოფლის მეურნეობაში მიღწეულმა წარმატებამ შემდგომი გარდაქმნებისათვის საფუძველი მოამზადა. 1992 წელს პრაქტიკულად ყველა საწარმო სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა. 80-იანი წლების დამდეგს კერძო სამრეწველო საწარმოები 100 კაცამდე მუშათა ოდენობით კონსტიტუციურად ლეგალიზებული გახდა. ამის შემდეგ, სულ რაღაც 5 წელიწადში ასეთ საწარმოთა რიცხვი 100 ათასიდან 5,8 მლნ-მდე გაიზარდა.

1992 წელს რეფორმების ახალი ეტაპი დაიწყო. ჩსრ-ის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით, ფასწარმოქმნა, ასორტიმენტი, ინვესტიციები, კადრები და საგარეო ვაჭრობაც კი


თავად საწარმოებს გადაეცა. ბევრი მათგანი აქციონერული გახდა, მაგრამ საკონტროლო პაკეტი უმეტესწილად სახელმწიფოს რჩებოდა. დაიწყო საფონდო ბაზრის განვითარება.

რეფორმების (1980-2000) წლებში ჩინეთის მშპ დაახლოებით 2,5-ჯერ გაიზარდა (ნახ.11.1).

1992-1995 წლების განმავლობაში *სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხვედრითი წილი* 94.9%-დან 18,9%-მდე შემცირდა, *ხოლო სახელმწიფო მართვის აპარატში დასაქმებულთა ხვედრითი წილი* რეფორმების პერიოდში 40%-ით გაიზარდა.

ჩინეთში საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციამ გამოიწვია ფაქტობრივად ამოღებული იმპორტული ბაჟის შემცირება 1978 წელს იმპორტის მოცულობის 17,7%-დან 1999 წელს 2,5%-მდე.

ჩინეთი პრაქტიკულად არ სარგებლობდა პროტექციონისტული პოლიტიკის იმგვარი ინსტრუმენტით, როგორი-



ნახ. 11.1. ჩინეთის მშპ-ს დინამიკა.

ცაა ეროვნული ვალუტის დევალვაცია. 1979-1999 წლებში სავალუტო კურსის საშუალოწლიური კლების ტემპები (8,3%) საკმაოდ შემცირდა.

ჩინეთის ექსპორტის მოცულობა XX საუკუნის ბოლო 20 წელიწადში 10-ჯერ გაიზარდა, იმპორტის კი — 8,5-ჯერ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიღება ჩინეთის ეკონომიკაში 1980 წელს 4 მილიარდიდან დაახლოებით 42 მლრდ. აშშ დოლარამდე გაიზარდა 2000 წლისათვის. შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ჩინეთის მონაწილეობის გააქტიურებამ ხელი შეუწყო მისი ეკონომიკური ზრდის ტემპებს.

ჩინელი ხელისუფალნი რეფორმების მთელი პერიოდის განმავლობაში ფრიად თავშეკავებულ ფულად პოლიტიკას ატარებდნენ. ჩსრ-ის სავალუტო რეზერვები სწრაფად იზრდებოდა. ჩინეთის ეროვნული ბანკის კრედიტების ნამატის საშუალოწლიური ტემპები 1992-1999 წლებში 15%-ს არ აჭარბებდა, ხოლო ფულადი მასის ნამატის საშუალოწლიური ტემპები რეალური მშპ-ის ნამატის ტემპების გამოკლებით — 17,3%-ს. ამის წყალობით ჩინეთში ინფლაციის საშუალოწლიურმა ტემპმა შეადგინა 10%-ზე მეტი, ხოლო მისი უარყოფითი ზემოქმედება ეკონომიკურ განვითარებაზე უმნიშვნელო აღმოჩნდა.

ჩინეთის ხელისუფლებამ მსოფლიო ეკონომიკურ პრაქტიკაში ბადასახადების უპრეცედენტო შემცირება მოახდინა — 1979 წელს მშპ-ის 30,4%-დან 2000 წელს მშპ-ის 10,3%-მდე. გადასახადების შემცირებამ, თავის მხრივ, გამოიწვია ყველა სახელმწიფო შემოსავლის შემცირება — 1979 წელს მშპ-ის 31,3%-დან მშპ-ის 11,5%-მდე.

შემცირებას დაექვემდებარა პრაქტიკულად დანახარჯების ყველა შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განსაკუთრებით დანახარჯები ინვესტიციებზე, სუბსიდიებზე, დოტაციებზე, თავდაცვაზე, სოფლის მეურნეობაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე.

სახელმწიფო მოხმარება შემცირდა მშპ-ის 15,2 %-დან 10,6%-მდე. საერთო სახელმწიფო დანახარჯების სტრუქტუ-

რაში განსაკუთრებით მკვეთრად შემცირდა ცენტრალური მთავრობის დანახარჯები — 1979 წელს მშპ-ის 20,7%-დან მშპ-ის 3,8%-მდე. პროვინციულ დონეზე დანახარჯების შემცირება განხორციელდა მცირე, თუმცა არანაკლებ შთამბეჭდავი ზომებით — 2000 წელს მშპ-ის 15,7%-დან 8,3%-მდე.

ამგვარად, მთავარი მიზეზი, რამაც განაპირობა ჩინეთის დაჩქარებული განვითარება, არის თანმიმდევრული, მაგრამ მთლიანობაში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის საკმაოდ ლიბერალური ხასიათი.

ჩინეთის რეფორმებმა უზრუნველყო არა მარტო ფენომენალური ეკონომიკური შედეგები, არამედ ხელი შეუწყო ადამიანური განვითარების ყველა მაჩვენებლის არსებით გაუმჯობესებას. მაგალითად, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა 35 წლიდან (შეადგენდა სახელმწიფოს წარმოქმნის დასაწყის პერიოდში) 70,8 წლამდე.

რეფორმებმა ბევრად გააძლიერა მუშათა და გლეხთა საწარმოო აქტიურობა, გაათავისუფლა და განავითარა სოციალურ-მწარმოებლური ძალები, ხელი შეუწყო ჩინეთში მატერიალური კეთილდღეობის სწრაფ ზრდას, საწარმოო მოწყობილობების განახლებასა და საწარმოო ტექნოლოგიების ზრდას.

მოსახლეობის ცხოვრების დონე სწრაფად იზრდება. ასე მაგალითად, თუკი 1952 წელს დანახარჯების პროცენტი კვებასა და ტანსაცმელზე ყველა დანარჩენი დანახარჯების (ენგელის კოეფიციენტი) თანხიდან ქალაქის მოსახლეობისთვის 80%-ს შეადგენდა, ხოლო სოფლის მცხოვრებისთვის 90%-ს აჭარბებდა, 1999 წლისათვის ეს მაჩვენებელი დაეცა შესაბამისად 43% და 52%-მდე. ფასების ზრდის დაქვითვით სულზე რეალური საშუალო შემოსავალი 1999 წელს 5%-ით გაიზარდა.

ჩინეთში ეკონომიკური რეფორმები თანდათანობით მიმდინარეობდა. „ჯერ — სოფლად, შემდეგ — ქალაქში, სოფლის მეურნეობაში, მერე კი — მრეწველობის სფეროში". რაიმე ახალშემოღებული სიახლის ფართოდ დასანერგად მისი ეფექტიანობა განისაზღვრებოდა პატარა უბანზე ექსპერი-

მენტის სახით. რეფორმების პოლიტიკა ცხოვრებაში ხორციელდებოდა მოძრაობის ჩარჩოებში — მცირედან დიდისაკენ, ცალკეული გარღვევების და ერთიანი წინსვლის შეერთებით მთავარში. თანდათანობით ხორციელდებოდა ეკონომიკური სისტემის და წარმოების მექანიზმის გადასვლა გეგმიური ეკონომიკიდან სოციალისტურ საბაზრო ეკონომიკაზე. ასეთი ტაქტიკა საშუალებას აძლევდა მოსახლეობას შეგუებოდნენ, ადაპტირება მოეხდინათ, შეჩვეოდნენ სიახლეებს და უმტკივნეულოდ მიეღოთ ისინი.

ჩინეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის უმეტესი ნაწილი. საკომლოს ნარდსისტემაზე და პირდაპირ საბაზრო შესყიდვებზე გადასვლამ პრაქტიკულად უზრუნველყო ეს უზარმაზარი ქვეყანა სურსათ-სანოვაგით. ის ფაქტი, რომ პლანეტის მოსახლეობის 1/5 ცხოვრობს მთელი სახნავი მიწების 7%-ის ხარჯზე, შთამბეჭდავია.

ჩინეთის ენერგეტიკა ეფუძნება ქვანახშირის უზარმაზარ მარაგს, რომელიც მსოფლიო მარაგის 90%-ს შეადგენს. ნახშირის მოპოვების მიხედვით ქვეყანა მსოფლიოში პირველ ადგილზეა. სწრაფად იზრდება ნავთობის მოპოვება, რომელიც უკვე 160 მლნ. ტონაზე მეტია წელიწადში. თუმცა სწრაფადმზარდი ეკონომიკის მოთხოვნები ბევრად მაღალია და დღის წესრიგშია ნავთობსადენების მშენებლობა რუსეთიდან ნავთობის მისაწოდებლად. ელექტროენერგიის წარმოების მიხედვით ჩინეთს მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში (1 ტრლნ-ზე მეტი კვტ. სთ). დღეს ჩინეთში, მთიანი რაიონების ძნელად მისადგომ ბობოქარ მდინარეებზე მიმდინარეობს ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობა.

ჩინეთის მეტალურგია საკუთარ, მდიდარ რკინის მადნებს ეფუძნება. ქვეყანას ფოლადის გამოდნობის მიხედვით მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია (დაახლოებით 110 მლნ. ტ.,) ალუმინის (2 მლნ. ტ.) და სპილენძის (1 მლნ. ტ.) წარმოებით კი — მეოთხე. ჩინეთი მსოფლიო ლიდერია კალის და თუთიის წარმოებაშიც.

90-იან წლებში სწრაფადგანვითარებადი ქიმიური მრეწველობის წილი სამრეწველო წარმოებაში 10-დან 15%-მდე გაიზარდა. ჩინეთს ქიმიური სასუქების წარმოებით მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია (29 მლნ. ტ.), მეექვსე კი — სინთეტიკური ფისის და პლასტმასის (6,5 მლნ. ტ.) წარმოებით.

საფეიქრო მრეწველობა სამრეწველო წარმოების მოცულობის 15,5%-ს იძლევა. ქსოვილთა გამოშვება 23 მლრდ. კვ. მ-ს აჭარბებს.

ქვეყნის სატყეო მრეწველობას მსოფლიოში აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილი უკავია (315 მლნ. $მ^3$ ხე-ტყის დამზადება). ქაღალდისა და მუყაოს წარმოებით ჩინეთს მსოფლიოში მესამე ადგილი უკავია (28 ათასი ტ.). და, რა თქმა უნდა, იგი ბუნებრივი აბრეშუმის წარმოებით აღიარებული ლიდერია.

წამყვანი მდგომარეობა უკავია მანქანათმშენებლობას და ლითონდამუშავებას. ჩინეთი უშვებს საათებს, ვენტილატორებს, საკერავ მანქანებს, ველოსიპედებს, მოტობლოკებს — მსოფლიო წარმოების 50-დან 75%-მდე. ჩსრ-ს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია რადიომიმღებების, ტელევიზორების, სარეცხი მანქანების წარმოებით, მეორეზე — მაცივრების გამოშვებით. იგი მსოფლიოს ქვეყნების პირველ ათეულში შევიდა გემთმშენებლობის მიხედვით, გაუსწრო რა დიდ ბრიტანეთს. ცნობილია ჩსრ-ის წარმატებები რაკეტმშენებლობის და საავიაციო მრეწველობის სფეროში. ელექტროტექნიკური მრეწველობითა და ელექტროტექნიკით ჩინეთი აგრეთვე მსოფლიო ლიდერების რიცხვში შევიდა.

იმავდროულად ინტელექტუალური მომსახურების სფერო ჩინეთში სუსტადაა განვითარებული. სერვისული მომსახურების სფერო ვითარდება სწრაფად, რასაც ხელს უწყობს სამუშაო ძალის მოდინება სოფლებიდან. ჩინეთი მძლავრი ტურისტული ქვეყანა ხდება.

ჩინეთის ეკონომიკური მოდელი გამოირჩევა დიდი თავისებურებით. უპირველეს ყოვლისა, ახლა ეს ერთადერთი მსხვი-

ლი კომუნისტური ქვეყანაა, სადაც ყველა ძირითადი ეკონომიკური გადაწყვეტილება ჩსრ-ის აპარატის მიერ ყალიბდება. *განვითარების ინტენსიურ მოდელზე გადასვლა ხორციელდება კომუნისტური პარტიის და მთავრობის მკაფიო ხელმძღვანელობით.* ეგრეთ წოდებულ „პროგრამა 2010“-ში ჩამოყალიბებულია გარდამავალი პერიოდის მართვის ძირითადი პრინციპები: მაკრორეგულირება, ერთიანი სახელმწიფო დაგეგმვა, ნორმატიული საბაზრო რეგულირება.

შეიძლება გამოვყოთ ჩინური მოდელის ძირითადი ნიშნები:

- მძლავრი სახელმწიფო სექტორი, რომელზეც მთელი ეკონომიკის დაახლოებით 60% მოდის. სახელმწიფო სექტორის პოზიციები განსაკუთრებით ძლიერია ნავთობგადამუშავებაში (84,9%), ელექტროენერგეტიკაში (75,3%), მეტალურგიაში (70,8%), ალკოჰოლური სასმელების წარმოებაში (96,9%). სახელმწიფო სექტორი ამჟამად 118 ათას საწარმოს მოიცავს. ამასთან, მათგან დაახლოებით 40% წამგებიანია.
- ჩინეთში სახელმწიფო სექტორთან ერთად არსებობს დიდი და ეფექტიანი კერძო სექტორიც. სანამ დაიწყებოდა რეფორმების პერიოდი და ჩინეთი გარე ბაზრებისათვის ღია გახდებოდა, მისი ეკონომიკა ძირითადად საზოგადოებრივ საკუთრებაზე იყო დაფუძნებული. 1978 წლის შემდგომ ჩინეთის მთავრობამ, საკუთრების საზოგადოებრივი ფორმის მხარდაჭერით, ხელი შეუწყო სხვადასხვა ეკონომიკური სტრუქტურების განვითარებას, რამაც ეკონომიკის ინდივიდუალური და კერძო ფორმების სწრაფი განვითარება გამოიწვია. 1999 წლისათვის ქვეყანაში რეგისტრაციაში გატარდა 31 მლნ.-ზე მეტი ინდივიდუალური და კერძო საწარმო, სადაც 67 მლნ. ადამიანი იყო დასაქმებული. 1999 წელს სჩსწკ-მ კონსტიტუციაში ერთ-ერთი პუნქტი შეცვალა, რომელშიც ნათქვამი იყო; „ეკონომიკის ინდივიდუალური და კერძო სექტორი საზოგადოებრივი სოციალისტური ეკონომიკის დანამატს წარმოადგენს“, პუნქტით „ინდივიდუალური, კერძო და ეკონომიკის სხვა არასაზოგადობრივი სექტორები ჩინეთის სოციალისტური ეკო-

ნომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია". ამიტომ კანონმდებლობითაც განისაზღვრა მათი ადგილი, რომელიც ინდივიდუალურ და კერძო მეურნეობას უკავია; ამან კი ხელი შეუწყო ეკონომიკური საქმიანობის ამ ფორმების ფართო განვითარებას.

● ჩსრ-თვის დამახასიათებელია ხელისუფლების მძლავრი საკონტროლო შტო. ყოველწლიურად მთელ ქვეყანაში ტარდება საგადასახადო რევიზია, რომელიც მიმართულია გადასახადების აკრეფის, ფინანსური საქმეების და საქონლის ფასების შესაბამისობის დონის შესამოწმებლად. საშუალოდ წელიწადში ჯარიმები გადასახადების გადაუხდელობის გამო 10 მლნ იუანს შეადგენს. სამხედროებს, მილიციელებს, იურიდიულ სტრუქტურებს თავისი საწარმოების შექმნა კატეგორიულად ეკრძალებათ. სპეციალური პროგრამის ჩარჩოებში სახელმწიფო სპეციალურ კონტროლიორებს მიავლენს მსხვილ და საშუალო საწარმოებში. ამ სფეროში კონტროლის ფუნქციას აგრეთვე ახორციელებენ მილიციელთა რაზმები, რომელთა შემადგენლობაში შედიან საბაჟოს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ვაჭრობის მართვის ორგანოების და სხვა უწყებების წარმომადგენლები, რომლებიც თვალს ადევნებენ შესაბამისი კანონების შესრულებას. კონტაბანდასთან ბრძოლა წარმოებს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან ერთობლივად და სპეციალური მეთოდებით. დასჯის სისტემა გადასახადების გადახდისგან თავის არიდების გამო დამრღვევის მიმართ გამოიყენება იმ საშუალებათა მოცულობის მიხედვით, რომლებიც საგადასახადო ორგანოებს არ წარუდგინეს, აგრეთვე სხვა დამამძიმებელი თუ შემარბილებელი გარემოებების გათვალისწინებით.

● შიდა ბაზრის ბაფართოება დიდ ძალისხმევას საჭიროებს. ჩინეთის შიდა ბაზარზე გასაღების მოცულობა განუხრელად იზრდება.

● მრეწველობის განვითარების სწრაფმა ზრდამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა საექსპორტო სტრუქტურის გაუმჯობესება.

● ჩინეთის ეკონომიკური მოდელისთვის დამახასიათებელია ეკონომიკის მაღალი ბახსნილობა. ჩინეთი ძალიან მაღალი ხარისხით არის ინტეგრირებული მსოფლიო სამეურნეო სისტემაში. მას მეცხრე ადგილი უკავია ექსპორტიორებს შორის და მეთერთმეტე, როგორც საქონლის იმპორტიორს. ჩინეთის წილად მოდის გლობალური FDI-ს 10% და ყველა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 40% განვითარებად ქვეყნებში. FDI-ის ერთობლივი თანხა 200 მლრდ დოლარს აჭარბებს. უცხოური ინვესტიციებისათვის მნიშვნელოვანი ბიძგი გახდა საწარმოთა შექმნის ნებართვა 100%-იანი უცხოური კაპიტალით. ახლა მათი საშუალებით მოდის FDI-ის დაახლოებით 45%. უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება ტექნოლოგიების იმპორტს, რომელიც საშუალებას იძლევა განვითარდეს ტელესაკომუნიკაციო ინდუსტრია, ბიოტექნოლოგია, ახალი მასალები და ეკონომიკის საინფორმაციო სექტორი. ჩინეთის „სილიკონის ველზე“ უკვე მიისწრაფვიან ტექნოლოგიური თვალსაზრისით მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მოწინავე კორპორაციები. აქ თავმოყრილია მრავალრიცხოვანი კვლევითი ცენტრები და უნივერსიტეტები. უცხოელთა იქ ყოფნა საშუალებას იძლევა გაიზარდოს ჩინელ სპეციალისტთა კვალიფიკაციის დონე. ჩინეთი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ახალგაზრდობის სწავლების გრანდიოზულ გეგმას ახორციელებს.

● ჩინეთის მნიშვნელოვანი თავისებურებაა თავისუფალი ეკონომიკური ზონები (თეზ). ისინი განკუთვნილია ახალი და მაღალი ტექნოლოგიების ასათვისებლად. თავისუფალ ზონებში ნებადართულია ნედლეულის, ასევე — წარმოებისათვის პროდუქციის უბაჟო შემოტანა; გარდა ამისა, ტარდება განსაკუთრებული შეღავათიანი პოლიტიკა ინვესტიციების მოსაზიდად. 1999 წელს 170-ზე მეტმა სახელმწიფომ ჩადო თავისი სახსრები ჩინეთის ეკონომიკაში, ქვეყანაში 340 ათასი საწარმო ფუნქციონირებს უცხოური კაპიტალით, უცხოური ინვესტიციების საერთო საკონტრაქტო თანხამ 613,7 მლრდ. ამერიკული დოლარი შეადგინა, მათგან დახარჯულია 307,8 მლრდ. ამერიკული დოლარი. თეზ-ი საშუალებას აძლევს ჩინეთს წარ-

მატებით გამოიყენოს უცხოელ ინვესტორთა დაბანდებანი, ტექნოლოგიები, რესურსები, ასევე სპეციალისტები და საზღვარგარეთელი პარტნიორების მმართველობითი გამოცდილება. გარდა ამისა, უცხოელ მეწარმეთა მოზიდვა დამატებით სამუშაო ადგილებს უზრუნველყოფს ჩინეთის მოქალაქეებისათვის, შესაძლებლობას აძლევს დაეუფლონ მუშაობაში განსაზღვრულ ჩვევებს, ხელს უწყობს სპეციალისტთა საკადრო შემადგენლობის ამაღლებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და მთლიანობაში მეურნეობრიობის საერთო დონესაც. თეზ-ი აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდა თეზ-ის კომპლექსს მდინარე სიცზიანის დელტაში, ჰონგ-კონგის მახლობლად. მათ ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ჭიშკრის მნიშვნელობა ენიჭება. თუკი საშუალოდ ექსპორტის შეფარდება მშპ-ის მიმართ 13%-ს შეადგენს, გუანდუნში იგი 106%-ის ტოლია, ხოლო ფუნძზიანში — 30%-ის.[1] თეზ-ის მოდელმა ჩინეთისთვის უზრუნველყო უცხოური ინვესტიციების უნიკალური სტრუქტურა. თუკი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის უმეტესი ქვეყნებისათვის პორტფელური ინვესტიციები მნიშვნელოვნად აჭარბებს პირდაპირს (მაგალითად, სამხრეთ კორეისათვის — 15-ჯერ), სამაგიეროდ ჩინეთის მრეწველობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2-ჯერ სჭარბობს მიღებული კრედიტების მოცულობას და თითქმის 10-ჯერ — პორტფელურ ინვესტიციებს.

8. ჩინურმა დიასპორამ ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაში უზარმაზარი როლი შეასრულა. ქვეყნის ფარგლებს გარეთ მსოფლიოს 140 ქვეყანაში, დაახლოებით 80 მლნ. ჩინელი ცხოვრობს. ისინი ყველგან ქმნიან იზოლირებულ საზოგადოებებს თავისი წეს-ჩვეულებებითა და ფასეულობებით. განსაკუთრებით უძლიერესია აზიური ჩინელების — ხუაცაოს — კლანი. აზიურ ქვეყნებში მცხოვრებ ჩინელთა საერთო რაოდენობა 51 მლნ. აღწევს. აზიაში ჩინელმა ემიგრანტებმა გიგან-

1. Иноземцев В. Расколотая цивилизация. 1999.

ტური ფინანსური იმპერიები შექმნეს. აზიელ მილიარდერთა შორის 39 წარმომავლობით ჩინელია, ამასთან 12 ოჯახი ფლობს ქონებას, რომელიც 5 მლრდ. დოლარს აჭარბებს. მალაიზიაში ჩინელები წამყვანი კომპანიების 62%-ს ფლობენ, ტაილანდში — 80%-ს. ინდოეთში ეთნიკური ჩინელები მოსახლეობის დაახლოებით 4%-ს შეადგენენ; ისინი კერძო საწარმოთა 70%-ს ფლობენ. სინგაპურის ეკონომიკა თითქმის სრულად ექვემდებარება ჩინური დიასპორის წევრების კონტროლს. მთლიანობაში ჩინური დიასპორა 2 ტრლნ. დოლარის საკუთრებას აკონტროლებს, რაც ჩსრ-ის მშპ-ს 2-ჯერ აჭარბებს. ჩინეთში ხუაცაოს წილად ყველა უცხოური ინვესტიციის დაახლოებით 75% მოდის. მთავარია, ინვესტიციათა მნიშვნელოვანი ნაწილი მოდიოდეს ჰონგ-კონგის და მაკაოს უკვე მიერთებული ტერიტორიებიდან, აგრეთვე ჯერჯერობით დამოუკიდებელი ტაივანიდან. ჩინეთის სრული გაერთიანების შემდეგ ყველა ეს ყოფილი უცხოური ინვესტიცია გახდება შიდა და ქვეყნის საგარეო ვალდებულებები თითქოსდა გაქრება.

9. რეფორმების პერიოდში ჩინეთმა მოახდინა ორი გიგანტური და ფრიად ეფექტიანი ფინანსურ-სავალუტო სისტემის ორგანიზება. უპირველეს ყოვლისა, ყველა ფინანსური ბერკეტი სახელმწიფოს რჩებოდა. ჩსრ-ში იურიდიულ და ფიზიკურ პირებს მხოლოდ ჩინური ბანკები ემსახურება. ამასთან, მთელი საბანკო სისტემის 70%-ს 4 სახელმწიფო ბანკი აკონტროლებს. მთლიანობაში ფინანსური სფეროს დაახლოებით 90% სახელმწიფოს განკარგულებაშია. რეფორმების პერიოდში ფინანსური ბერკეტები აქტიურად გამოიყენებოდა. წლიური განაკვეთები ანაბრებზე 3-დან 9%-მდე იცვლებოდა. ზოგჯერ სახელმწიფო ფულადი მასის გაზრდაზე მიდიოდა — წელიწადში 16%-მდე ან ხელფასებს 40%-ით უზრდიდა სახელმწიფო მოხელეებს. ჩინეთი ხელს უწყობს დოლარის კონვერტაციას იუანში, ხოლო უკუოპერაცია განსაზღვრულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ჩინეთში ვალუტის შემოტანა შეზღუდული არაა, გატანა კი მრავალსაფეხურიან ნებართვებს და თანხმობებს სა-

ჭიროებს. სადაც მოუხერხდება მსურველს, ცდილობს იუანის გაცვლას დოლარებზე და მათ გატანას, ამ მიზნით ხან ჩინურ საქონელსაც აჩეჩებენ გასატანად. უცხოური მონაწილეობით საწარმოების შესახებ კანონის თანახმად, საქონლის 70% აუცილებლად უნდა გადიოდეს ჩინეთიდან და მხოლოდ 30% შეიძლება გაიყიდოს შიდა ბაზარზე. ჩსრ-ის მოქალაქეებს უფლება აქვთ დოლარები მიიღონ საზღვარგარეთიდან, შეინახონ ვალუტა ბანკებში და მათი საშუალებით იუანები იყიდონ. დოლარების ყიდვა კი არ შეიძლება. ჰონგ-კონგის მიერთების შემდეგ ჩამოყალიბდა არაკონვერტირებადი იუანის უზარმაზარი მასის ურთიერთმოქმედების საინტერესო მოდელი ჰონგ-კონგის შეზღუდული მასის სრულიად კონვერტირებად დოლარებთან, რომლებიც აშშ-ის დოლარებთან მყარად იყო მიბმული. ამ შეკვრას, რომელიც ორიენტირებულია ორ ნაკლებადდაკავშირებულ წყაროზე და განმტკიცებულია ჩსრ-ის სავალუტო მარაგების 160 მლრდ. დოლარისა და ჰონგ-კონგის სავალუტო მარაგების 100 მლრდ. დოლარით, მდგრადობის დიდი საფუძველი გააჩნია სხვადასხვა სახის კრიზისული მოვლენების მიმართ.

10. ჩინეთი ინარჩუნებს კომუნისტური ქვეყნის სახეს და ავლენს მოსახლეობის საჰიროებებზე ზრუნვას. ბუნებრივია, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მათ, ვინც ვერ ახერხებს უზრუნველყოს თავისთვის ღირსეული არსებობა. 1978 წლამდე ჩინეთში ღირიბთა რიცხვი 250 მლნ. კაცს აღწევდა. ერთი მხრივ, სახელმწიფო მატერიალურ დახმარებას სთავაზობდა მათ, გადაელახათ სიღარიბის ზღვარი საკუთარი განვითარების გზით. დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა ადამიანთა გადამზადებას. მთავრობა არა მარტო უანგაროო ფინანსურ დახმარებას უწევდა გაჭირვებულ ხალხს, არამედ კრედიტებსაც სთავაზობდა მათ, რათა განევითარებინათ საოჯახო წარმოება. საკრედიტო საშუალებებით შექმნილი მცირე საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმატებით ვითარდება. სპეციალური სახელმწიფო პროგრამა „იმედის" ჩარჩოებში ხორციელდება ახალგაზრდა ოჯახთა დახმარება. დღეისათვის ჩინეთში ღარიბთა რაოდენობა 42

მლნ-მდე შემცირდა. ჩინეთმა 22 წლის განმავლობაში შეძლო გაჭირვებისგან დაეხსნა 210 მლნ. მოქალაქე. ბოლო წლების განმავლობაში 10 მლნ. კაცი — მოსამსახურეები, მუშები — უმუშევრები დარჩნენ. ეს ნორმალური მოვლენაა, როცა მიმდინარეობს საწარმოთა გარდაქმნა და წარმოება ფუნქციონირების ახალ დონეზე გადადის. სახელმწიფო ახალი შრომითი მოწყობის პოლიტიკას ატარებს, ქმნის შრომითი მოწყობის ცენტრებს, ხსნის მოკლევადიან სასწავლო ჯგუფებს გათავისუფლებული სპეციალისტების ხელახალი კვალიფიკაციის გასავლელად. გარდა ამისა, სახელმწიფო უმუშევრობის პრობლემის დასაძლევად ახალ საწარმოებს ქმნის, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „მესამე ინდუსტრიის“ განვითარებას, ქვეყანა აფართოებს პროფესიონალების და სამუშაო ძალის ბაზარს, ზრდის შრომითი მოწყობის არხებს.

ჩინეთის ეკონომიკა XXI ს-ში.

ჩინეთის მოსახლეობა ბოლო წლებში თითქმის ერთსა და იმავე დონეზე 1,3 მილიარდზეა გაჩერებული და აღარ იზრდება. კერძოდ, მოსახლეობის ზრდის ტემპმა 2000 წელს 0,7, 2005 წელს 0,6 და 2006 წელსაც 0,6 პროცენტი შეადგინა. აღნიშნულის გამო, როგორც ზოგიერთი დამკვირვებელი აღნიშნავს, გამორიცხული არაა, რომ უახლოეს პერსპექტივაში ამგვარმა ტენდენციამ ამ ქვეყანას, რომლის მკვიდრნი მთელ მსოფლიოს არიან მოდებულნი სამუშაოს საძებრად, თავად შეექმნას სამუშაო ძალის დეფიციტთან დაკავშირებული პრობლემები.

აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყანაში ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად მატულობს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა. კერძოდ, თუ 2000 წელს იგი შეადგენდა 70,3 წელს, 2006 წელს გაიზარდა და 72 წელს უდრის.

ჩინეთი მთელი მსოფლიოს ყურადღებას იქცევს წარმოების ტემპების მატების თვალსაზრისით. ისინი მართლაც შთამბეჭდავია: თუ ჩინეთში მშპ-ს ზრდის ტემპი 2000 წელს შეადგენდა 8,4 პროცენტს, შემდგომ წლებში მან კიდევ

მოიმატა და საშუალოდ წლიური ზრდის ტემპები 10 პროცენტზე დაბლა არ დაშვებულა (2006 წელს იყო 10,7 პროცენტი; 1994-2004 წლებში კი საშუალოდ 9,1 პროცენტი).

2000 წელს ქვეყანაში შეიქმნა 1,2 ტრილიონი დოლარის ექვივალენტური პროდუქცია. შემდეგ წლებში მისი მოცულობა კიდევ უფრო გაიზარდა და 2005 წელს იგი უდრიდა 2,3 ტრილიონს, ხოლო 2006 წელს - 2,6 ტრილიონს. საყურადღებოა, რომ ეროვნული შემოსავლის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით. კერძოდ, თუ 2000 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 930 დოლარს, 2006 წლისათვის იგი 2ჯერ და მეტად გაიზარდა და 2000 დოლარს მიაღწია.

ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში ყურადღებას იპყრობს საკმაოდ დაბალი ინფლაციაც. კერძოდ, 2000 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 2,1 პროცენტს, 2006 წელს კი - 3,6 პროცენტს (2000-2005 წლებში საშუალო წლიური ინფლაცია 1,4 პროცენტის ტოლი იყო).

ჩინეთის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ის, რომ ექსპორტი მკვეთრად ჭარბობს იმპორტს და ეს მაჩვენებელი წლითი წლობით იზრდება. აი, შესაბამისი მაჩვენებლებიც: 2000 წელს ქვეყანამ განახორციელა 249 მლრდ დოლარის ექსპორტი, 2006 წელს - 970 მილიარდის. ამავე წლებში იმპორტი უდრიდა შესაბამისად - -214,7 მილიარდს და - 751,9 მილიარდს. ამრიგად, თუ 2000 წელს ჩინეთის საგარეო ვაჭრობის დადებითი ბალანსი შეადგენდა 34 მილიარდს, 2006 წლისათვის აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა და 218 მილიარდს მიაღწია.

აღსანიშნავია ისიც, რომ საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა დადებითი ცვლილებებით ხასიათდება. ასე მაგალითად, ბოლო წლებში ჩინეთის ექსპორტში მანქანა-დანადგარების წილი 53 პროცენტს აღემატება. მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩინური ექსპორტის ტრადიციული საქონლის წარმოება (მათ შორის, ტანსაცმლის - 30%-ით). ჩინეთში იზრდება უცხოელი ტურისტების ნაკადი.

ჩინეთს დიდი რაოდენობით აქვს დაგროვებული ასევე საერთაშორისო სავალუტო რეზერვები, რომლის მოცულობამაც 2006 წლისთვის ტრილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა (1,068,493 მილიონი).

თითქმის სამი ათწლეულის მანძილზე ჩინეთის სახელმწიფო დიდ ყურადღებას აქცევდა საინვესტიციო პოლიტიკას, რაც სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში კაპიტალდაბანდებათა მაღალი დონის შენარჩუნებით გამოიხატებოდა. პრიორიტეტულად ითვლებოდა მანქანათმშენებლობა, სამრეწველო ინფრასტრუქტურის შექმნა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება. ამავდროულად უმთავრეს ამოცანად ითვლებოდა საკუთრების და საფინანსო-საკრედიტო სფეროებში საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნა და მთელ მსოფლიოში ჩინური კომპანიების სავაჭრო ექსპანსიის გაფართოება. მიუხედავად არსებული სერიოზული ეკონომიკური (სტრუქტურული) პრობლემებისა და წინააღმდეგობებისა (მათ შორის სოციალური ხასიათის), ხდება ამ ამოცანების წარმატებული რეალიზება. ყოველივე ეს კი თანამედროვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და მისი შრომისმოყვარე ხალხის დიდ წარმატებაზე მეტყველებს.

უკვე საუკუნის მეოთხედის განმავლობაში ჩინეთში მიმდინარეობს მშპ-ს 7-10%-იანი ყოველწლიური ზრდა. მხოლოდ 2007 წლის განმავლობაში უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 853,9 მლრდ. დოლარს გადააჭარბა. ჩინეთი არის აშშ-ს სახაზინო ფასიანი ქაღალდების სიდიდით მეორე (იაპონიის შემდეგ) მფლობელი: 2005 წ. ქვეყანაში თავმოყრილი იყო თითქმის 160 მლრდ. დოლარი. აღნიშნული რეალური ფაქტები ადასტურებენ იმ აზრს, რომ „დემოკრატიისა" და „საბაზრო ეკონომიკის" ცნებების გაიგივება, გატოლება არ არის სწორი. კაპიტალი მიედინება იქ, სადაც იგი გარანტირებულ მოგებას მიიღებს, — ეკონომიკური თეორიის კლასიკოსების ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ დასტურდება ჩინეთის მაგალითზე. კერძო, მათ შორის უცხოური, კაპიტალი მყარად და მშვიდად მოქმედებს სტაბილურობის პირობებში, სადაც ასრულებენ კანონებს, არსებობს ბაზარი

და, ამავე დროს, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ფაქტს, თუ რომელი პოლიტიკური სისტემის პირობებში სრულდება სტაბილური საბაზრო თამაშის წესები.

განუწყვეტელი ეკონომიკური ზრდა იწვევს ქვეყნის სახალხო მეურნეობის თვისობრივად ახალი პრობლემების წარმოქმნას, რაც ქვეყნის ხელმძღვანელმა მტკიცებით „გადახურების" მოვლენასთან, კერძოდ კი — გადაჭარბებულად მსხვილ კაპიტალდაბანდებებთან და ენერგიის დეფიციტთან არის დაკავშირებული. ამის გამო დაისვა ამოცანა — გამკაცრდეს საბანკო კრედიტების გაცემის კონტროლი და მოხდეს ძალთა მობილიზება ენერგო პრობლემის გადაჭრისთვის, რადგან ნავთობის ფაქტორზე უზომო დამოკიდებულება სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ქვეყნის მმართველ წრეებში. ჩინეთის მთავრობის სხვა ღონისძიებები ითვლისწინებენ სტრუქტურული რეფორმების გაღრმავებას, ფინანსური სექტორის გაძლიერებას, ჩინეთის ბანკებში უცხოური კაპიტალის მოზიდვას, სამოქალაქო მშენებლობის პროგრამების მოცულობის ზრდას, თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნას და ა.შ.

ცხრილში 11.1. მოყვანილი მონაცემები სრულ წარმოდგენას ქმნიან ჩინეთის ეკონომიკის როლზე მსოფლიო ეკონომიკასა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკის ზრდაში.

სამრეწველო და სამშენებლო დარგების კომპლექსების წილმა მშპ-ს სტრუქტურაში შეადგინა 55%, მომსახურების და სატრანსპორტო სფეროს წილია 32,3%, სასოფლო და სატყეო მეურნეობის წილი კი — 14,8%. 2003-2005 წლებში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 16%-ით გაიზარდა, მათ შორის: შავი მეტალურგიის — 21,4%-ით, ცემენტის წარმოების — 16,6%-ით, სატყეო მეურნეობის — 14,2%-ით, ავტომრეწველობის — 35%-ით (მსუბუქი ავტომანქანების წარმოება გაიზარდა 80%-ით). ლითონსაჭრელი დაზგების გამოშვება 34,6%-ით გაიზარდა; მანქანა-დანადგარების გამოშვება ქიმიური მრეწველობისთვის — 33%-ით, ხოლო

ცხრილი 11.1.

მსოფლიო ეკონომიკაში ჩინეთის პოზიციების ზრდის დინამიკა, 1990-2005 წწ. %

მაჩვენებელი	1990	1995	2000	2001	2002	2003	2004	2005
მშპ	1,7	2,5	3,6	3,9	4,0	4,1	4,7	5,6
მრეწველობა	3,9	4,8	5,2	5,3	5,4	5,6	6,1	6,7
სოფლის მეურნეობა	10,8	11,3	11,2	11,3	11,5	11,4	11,8	12,3
მომსახურება*	0,8	1,3	2,5	3,3	4,6	4,8	5,6	5,8
საგარეო ვაჭრობა	1,6	2,5	3,9	4,3	5,0	5,3	5,7	6,1
რუსეთთან საგარეო ვაჭრობის წილი	1,2	1,8	4,4	5,1	5,2	5,1	5,2	5,3
ჩინეთის პირდაპირი ინვესტიციები მსოფლიოში	4,5	9,5	2,7	6,4	7,7	8,2	7,5	8,5
პირდაპირი ინვესტიციები განვითარებად ქვეყნებში	18,5	24,6	17,5	23,0	21,5	22,8	23,2	23,8
პირდაპირი ინვესტიციები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში	35,0	43,8	31,1	49,6	49,1	44,5	47,1	45,8

წყარო: UNCTAD, Handbook of Statistics. 2003, 2004. International Financial Statistics. March 2004. Monthly Bulletin of Statistics. May 2004. UN World Investment Report. 2003, 2004.

* საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაყიდვების ტექნიკური მომსახურების, საბანკო, საფინანსო, სამშართველო და სხვა მომსახურების ჩათვლით.

მეტალურგიისთვის კი 2-ჯერ გაიზარდა. გაიზარდა ასევე მობილური ტელეფონების წარმოება 48%-ით, საყოფაცხოვრებო კონდიციონერების — 47%-ით, ნახევრადგამტარების — 35%-ით, კავშირის ელექტრონული საშუალებების — 33,4%-ით, კომპიუტერების კი 2-ჯერ.

ჩინეთის მშპ-ს ზრდას ძირითადად უზრუნველყოფს საინვესტიციო მოთხოვნის შენარჩუნება, რომლის ხარჯზეც 2003-2005 წლებში მიღწეულია 70%-იანი ნამატი. ინვესტიციებმა ძირითად ფონდებში 4,5 ტრლნ. იუანი (715 მლრდ. დოლ.) შეადგინა, ანუ 28,6%-ით გაიზარდა. ინვესტიციების წილი შეადგენს: მრეწველობაში — 34,5%, მომსახურების სფეროში — 62,8%, სოფლის მეურნეობაში (მათ შორის მეცხოველეობაში) — 2,8%. გაიზარდა ინვესტიციები უძრავ ქონებაში 24,6%-ით, საწარმოთა ტექნიკურ გადაიარაღებასა და რეკონსტრუქციაში კი — 21,5%-ით.

ინვესტიციების ძირითად წყაროებს წარმოადგენდა: საწარმოების სახსრები — 48,5%, კრედიტები (შიდა წყაროებიდან) — 24,4%, სახელმწიფო დაბანდებები — 5,7%. 2003-2005 წლებში ყოველწლიურად განხორციელებულმა უცხოურმა ინვესტიციებმა 50 მლრდ. დოლარზე მეტი შეადგინა, ამასთან, ინვესტიციების საკონტრაქტო თანხამ 120 მლრდ. დოლარს მიაღწია (გაიზარდა 40%-ით). დაარსდა 4,2 ათასი ერთობლივი საწარმო (გაიზარდა 20,3%-ით). რეფორმის დაწყებიდან, ჩინეთში შეიქმნა 470 ათასი საწარმო უცხოური კაპიტალის მონაწილეობით, ინვესტიციების საკონტრაქტო თანხა იყო 1 ტრლნ. დოლარზე მეტი, საიდანაც გამოყენებულია 600 მლრდ დოლარზე მეტი.

2003-2005 წლებში ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების ყოველწლიური დეფიციტი 320 მლრდ. იუანს შეადგენდა. გაიზარდა როგორც ერთობლივი შემოსავალი — 20,5%-ით (290 მლრდ. დოლარამდე), ასევე ხარჯები — 17,5%-ით (325 მლრდ. დოლარამდე).

2005 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები შემდეგნაირად განაწილდა: კაპიტალურ მშენებლო-

ბაზე — 250 მლრდ. იუანი, საწარმოების ტექნიკურ გადაიარაღებასა და რეკონსტრუქციაზე — 55 მლრდ. იუანი, ფუნდამენტურ სამეცნიერო კვლევებზე — 27,5%, განათლებასა და ჯანდაცვაზე — 405 მლრდ. იუანი, სოციალურ უზრუნველყოფასა და დახმარებებზე — 142,5 მლრდ. იუანი, მმართველობის ადმინისტრაციულ ორგანოებისთვის — 190 მლრდ., ფასების დოტაციისთვის — 51,5 მლრდ., საგარეო ვალის დაფარვაზე — 340,5 მლრდ. იუანი.

გადასახადები. 2005 წელს საგადასახადო შემოსავლებმა 2,5 ტრლნ. იუანი შეადგინეს, ანუ მშპ-ს 17,6%. აქედან 68,1%-ზე მეტი ცენტრალური ბიუჯეტის, ხოლო 31,9% კი — ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლებზე მოდის.

საგადასახადო შემოსავლების 35% შეადგენს დამატებითი ღირებულების გადასახადი, ჩინეთის საწარმოების საშემოსავლო გადასახადი — 11,5%, უცხოური კაპიტალის საწარმოების საშემოსავლო გადასახადი — 3,3%, ყველა სახის საკუთრების საწარმოების სამეწარმეო საქმიანობის გადასახადი — 14%, ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი — 7%, აქციზები — 5,8%, საბაჟო გადასახადები — 13,2%, ავტომანქანების გაყიდვის გადასახადები — 2,5% (მათი გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების ნამატი — 31,2%).

მიუხედავად აშშ-ს და იაპონიის ზეწოლისა, 2003-2005 წლებში ჩინეთმა შეინარჩუნა იუანის ხისტი შეფარდება დოლართან მიმართებაში, ამავდროულად ქვეყნის ხელმძღვანელობა დასაშვებად მიიჩნევს ამ კურსის ზრდის შესაძლებლობას.

საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები. 2007 წ. ჩინეთის საგარეო ვალმა 248 მლრდ დოლარს გადააჭარბა (ჰონგ კონგის, მაკაოს და ტაივანის საგარეო ვალის გათვალისწინების გარეშე) და 2002 წელთან შედარებით 15%-ით გაიზარდა. ვალის სტრუქტურის 60%-ს საშუალო და გრძელვადიანი, ხოლო 40%-ს მოვლევადიანი დავალიანებები შეადგენენ. საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების კრედიტებთან მიმართებაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვალდებულებე-

ბის წლიური მოცულობა 14%-ით გაიზარდა და 6,5 მლრდ. დოლარს მიაღწია.

მშპ-ს სტრუქტურის მოყვანილი მოკლე ანალიზი ცხადყოფს, რომ *მსოფლიო ეკონომიკაში და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩინეთის როლი სწრაფად იზრდება.* ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ჩინეთის მრეწველობის უჩვეულოდ მაღალი მოთხოვნა თხევად საწვავზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ნავთობზე მაღალი ფასების შენარჩუნებაზე. საერთაშორისო ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ჩინელები ნავთობს ყიდულობენ იმ ოდენობით, რამდენიც იყიდება მსოფლიო ნავთობის ბაზრებზე, და იმ ფასად, რომელსაც მოითხოვენ ნავთობის გამყიდველები.

ჩინელი მეწარმეები უფრო თამამად იჭრებიან მსოფლიო ბიზნესში. სწრაფად იზრდება ჩინური ავტომანქანების ექსპორტი (აღარაფერს ვიტყვით საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის შესახებ). 2004 წლის ბოლოს დასრულდა *პირველი ჩინური ტრანსნაციონალური კორპორაციის* ფორმირება, რასაც საფუძვლად დაედო ჩინელების მიერ საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის სფეროს უმსხვილესი კორპორაციის, მათ შორის ტელევიზორების მწარმოებლის TCL-Thomson-ის შესყიდვა. აღნიშნული კორპორაცია გეგმავს 8 მლნ. ტელევიზორის ყოველწლიურ გამოშვებას და მსოფლიოში პირველ ადგილზე გასვლას გამოშვებული ნაწარმის მოცულობის მიხედვით. TCL-ის პროდუქციას უკავია საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის ბაზრების 14% ვიეტნამში და 8% ფილიპინებში. თვით ჩინეთში ყოველი მეხუთე ტელევიზორი TCL-ის მარკისაა. აღნიშნული ფაქტი — მსოფლიო ბაზარზე ჩინეთის სახელმწიფო-კერძო კაპიტალის დინამიური შემოტევის ერთერთი მაგალითია.

ლიბერალიზაციის პოლიტიკა: WTO-ს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება. 1988 წელს ჩინეთმა განაცხადი შეიტანა WTO-ში შესვლაზე, ხოლო 2001 წელს მიღებულ იქნა WTO-ს შემადგენლობაში. რათქმა უნდა, მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში ჩინეთმა შეასრულა WTO-ს მრავა-

ლი მოთხოვნა, გაიზიარა სწრაფადგანვითარებადი მეზობელი-ქვეყნების — თავისი ისტორიული პროვინციების: ტაივანის და ჰონგ კონგის; სამხრეთ კორეის; მალაიზიის გამოცდილება. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ჩინური რეფორმების წარმატების პასუხი უნდა მოიძებნოს თვით ჩინეთში — მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე ჩინეთის საზოგადოებაში; მოსახლეობის უმეტესი ნაწილის სასწაულად წარმატებულ გადასვლაში სიღატაკიდან მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამდე; „აზიური" და „შორეულაღმოსავლური ვეფხვების" გამოცდილებაში, რომელთა მოსახლეობა და ჩინელები ძალზე ახლოს არიან ერთმანეთთან თავიანთი ისტორიით და ტრადიციებით.

მოლაპარაკებათა მსვლელობისას, ჩინეთი დათანხმდა, რომ უახლოესი 15 წლის განმავლობაში, ყველაზე განვითარებული ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, იგი კვლავ ჩაითვლება „არასაბაზრო ეკონომიკის" მქონე ქვეყნად. ეს შესაძლებელს გახდის ანტიდემპინგური მოსაკრებლების შემოღებას ჩინეთიდან იმპორტირებული საქონლის მიმართ. ჩინეთში დათანხმდნენ საიმპორტო ტარიფის შემცირებაზე სამრეწველო საქონლის დიდი ჯგუფისთვის: 24,6%-იდან (1997 წ.) 9,4%-მდე (2005 წ.). ამასთან 5,5 ათასი დასახელების საქონლისთვის ტარიფი 6,6%-მდე უნდა შემცირებულიყო. ჩინეთი შეუერთდა რიგ ე.წ. „ნულოვანი ტარიფების ინიციატივებს", ანუ ზოგიერთი საიმპორტო ტარიფის 0%-მდე ეტაპობრივი შემცირების ვალდებულება აიღო. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, ჩინეთი დათანხმდა მოხსნას საექსპორტო დოტაციები, უარი თქვას ხორბლით საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაზე, განახორციელოს მნიშვნელოვანი ოდენობით იმპორტი (ძირითადად აშშ-დან) იმ მარცვლეულისა, რომელიც ადრე ქვეყანაში იწარმოებოდა და სუბსიდიებით იყო უზრუნველყოფილი. მნიშვნელოვანია, რომ ჩინეთი დათანხმდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მიეღო ერთიანი სავაჭრო რეჟიმი, რადგან შიდა ვაჭრობის

თვალსაზრისით, ჩინეთს ფორმალურად სუვერენული ქვეყნების თავისუფალი ფედერაციის ნიშნები გააჩია — ყველა პროვინციაში ვაჭრობას ადგილობრივი კანონმდებლობა არეგულირებს.

მთავრობამ მოამზადა ეკონომიკის და ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროგრამა, რომელიც, ერთის მხრივ, დაკავშირებულია საბაზრო გარემოს შექმნასთან და ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესების ლოგიკითაა ნაკარნახევი (დამოუკიდებლად WTO-ს მოთხოვნებისა), მეორეს მხრივ კი, აღნიშნული პროგრამა WTO-ს მოთხოვნების შესრულებაზეა მიმართული. ასე დაიწყო ჩინეთის მთავრობამ საბაჟო-სატარიფო ბერკეტების დემონტაჟი. 2004-2005 წწ. შემოტანის მოსაკრებელის საშუალო დონე 11,5%-დან 10,6%-მდე შემცირდა (2002 წ. დეკემბერი) და 2001 წელს WTO-ში შესვლის მომენტისთვის იგი 15,3%-ს შეადგენდა. 2005 წლის დასასრულს საქონლის 31 ათასი დასახელებისათვის შემცირდა საქონლის შემოტანაზე საბაჟო მოსაკრებელი.

სახალხო მეურნეობის დარგებისა და სფეროების მიმართ საგარეო სავაჭრო რეჟიმის ლიბერალიზება მომავალშიც დიფერენცირებულად განხორციელდება. ასე მაგალითად, საცალო ვაჭრობის სფეროში რეფორმების გატარება იგეგმება საკმაოდ მოკლე ვადებში, მშენებლობაში კი მათი განხორციელება ნელი ტემპებით არის გაგეგმილი. უცხოელი ინვესტორები უკმაყოფილებას გამოთქვამენ მთავრობის ასეთი მიდგომის გამო, რადგან მათ სურთ მონაწილეობა მიიღონ ისეთ შემოსავლიან ბიზნესში, როგორიცაა სამშენებლო სფერო. მაგრამ ჩინეთს უკვე გააჩნია სწრაფი რეფორმირების გამოცდილება („სწრაფი ნახტომის" ეპოქა), და ქვეყნის ლიდერებს არ სურთ „დაჩქარებული რეფორმების" განმეორება. მათ გარდაქმნების განხორციელების *ეტაპობრივი, შეწონილი* გზა აირჩიეს.

WTO-ს წინაშე აღებული ვალდებულებების შესაბამისად, 2004 წლის დეკემბერში უცხოურ სამშენებლო ფირმებს უნდა მინიჭებოდათ ერთობლივი საწარმოების შექმნის უფლება,

რომლებშიც ისინი წამყვანი პარტნიორები იქნებოდნენ. 2005-2006 წლებში აღნიშნული სექტორის ლიბერალიზაცია უნდა განხორციელებულიყო ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. მაგრამ სინამდვილეში, ამის პარალელურად, ჩინეთის მთავრობამ მიიღო ახალი შეზღუდვები უცხოელი მეწარმეების მიმართ. დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ფირმა აცხადებს, რომ მსგავსი პოლიტიკა არ შეესაბამება თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს და WTO-ს საბაზო კურსს. 2003 წელს ჩინეთში შემოიღეს წესი, რომლის თანახმად უცხოურ კომპანიებს უნდა გააჩნდეს ადგილობრივ ბაზარზე მუშაობის გამოცდილება. შესაძლებელია, ასეთმა მოთხოვნებმა ხელი შეუშალონ მსხვილი კერძო ფირმების საქმიანობასაც, რომლებიც მხოლოდ იწყებენ ჩინეთის ბაზარზე მოქმედებას. გარკვეულ შეზღუდვას წარმოადგენს მოთხოვნა უცხოური ფირმის კაპიტალის პირობითი ოდენობის შესახებ (მიღებულია 250 კრიტერიუმზე მეტი, კაპიტალის მინიმალური ოდენობა მერყეობს 8 მლნ. იუანიდან 70 მლნ.-მდე). გარდა ამისა, უნდა შესრულდეს მოთხოვნა, რომლის თანახმად უცხოური პერსონალის მეოთხედი ვალდებულია გაიაროს გადამზადება, რათა ისინი შეესაბამებოდნენ ჩინეთში მიღებული ინჟინერ-ტექნიკური კადრების ნორმატივებს. ახალი წესები, ალბათ, არ გამოიწვევენ მსხვილი სამშენებლო ფირმების მხრიდან (კერძოდ, „Bechtel Group" ან „Flour Corp.") უარის თქმას ჩინეთში მუშაობაზე, მაგრამ საშუალო სიდიდის ფირმები ვერ გაბედავენ ამ ნაბიჯის გადადგმას, რაც უარყოფითად აისახება ჩინეთის სამშენებლო სექტორში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების მოცულობაზე. ცნობილი ფირმები, მაგალითად „Bayer", „Shell" და „Conoco", რომლებიც ჩვეულებრივ თანამშრომლობენ ტრადიციულ მომწოდებლებთან, უკმაყოფილებას გამოთქვამენ ასეთი შეზღუდვების გამო.

თუ მშენებლობაში აღინიშნება პატერნალისტური ტენდენციები, რომლებიც აძლიერებენ პროტექციონიზმს, სხვა სექტორებში სიტუაცია უფრო მომხიბვლელად გამოიყურება. ნახევრადგამტარების ან სატელეკომუნიკაციო მოწყობილობის

უცხოელი მწარმოებლები, ფაქტიურად იყენებენ რა ნულოვან შემოსატან მოსაკრებლებს, გეგმავენ წარმოების გაზრდას. საკაბელო ქსელების ოპერატორებმა პირველად მიიღეს ჩინეთის ტერიტორიაზე კაპიტალდაბანდებების განხორციელების შესაძლებლობა. საცალო ვაჭრობის სფეროში ფირმებს უფრო მნიშვნელოვანი შეღავათების მიღების იმედი აქვთ, ვიდრე ეს 2004-2005 წწ. ჩინეთის მთავრობის პროგრამით იყო გათვალისწინებული, რადგანაც პროვინციული მმართველობის ორგანოები, ცდილობენ გაზარდონ მოსახლეობის დასაქმების დონე, აქტიურად, დამატებითი შეღავათების მეშვეობით, იზიდავენ უცხოური ფირმები ეკონომიკის აღნიშნულ სექტორში. საცალო ვაჭრობის სფეროში მდგომარეობა რამდენადმე გაუარესდა იმ ახალი წესების მიღების შემდეგ, რომელთა თანახმად უცხოური კომპანიების ბიზნესი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი რეგულირების ნორმების დაცვის შემთხვევაში. შედეგად იქმნება ბერკეტები ისეთი მსხვილი ფირმების ექსპანსიისთვის, როგორიცაა „Carrefour" ან „Metro AG".

დიდი ხნის განმავლობაში ჩინეთის სადაზღვევო მომსახურების ბაზარი იმყოფებოდა ძლიერი პროტექციონისტური დაცვის ქვეშ, მაგრამ 2003 წ. მოხდა გარდატეხა ლიბერალიზაციის სასარგებლოდ; თანაც, როგორც ჩანს, გამოკვეთილი ტენდენცია უახლოეს წლებშიც იქნება შენარჩუნებული. 2005 წ. უცხოურმა სადაზღვევო კომპანიებმა მიიღეს 51%-იანი წილობრივი მონაწილეობა აღნიშნული პროფილის ერთობლივ საწარმოებში, რომლებიც შექმნილი იყო ჩინეთის კონტინენტურ ნაწილში და სადაზღვევო მომსახურებას სთავაზობდნენ (გარდა სიცოცხლის დაზღვევის და ზოგიერთი სხვა სახის დაზღვევისა) უცხოელ და ჩინეთის მოქალაქეებს. მნიშვნელოვან ზომას წარმოადგენს უცხოელების სრულ მფლობელობაში არსებული კომპანიებისთვის უფლების მინიჭება ჩინეთის ტერიტორიაზე თავისუფლად აწარმოონ და გაყიდონ თავიანთი საქონელი. შედეგად, მაგალითად, სათამაშოების გამოშვებაზეა სპეციალიზირებული ფირმა „Mattel" მიიღებს შესაძლებლობას გაასაღოს თავისი ფაბრიკის

ნაწარმი ჩინეთის ტერიტორიაზე, თანაც კაპიტალის შესაბამისი გაზრდის გარეშე.

ამავე დროს, ზოგიერთ სექტორში (საბანკო ბიზნესი, ფასიანი ქაღალდების ოპერაციები, და სხვ.), ჩინეთის მთავრობა კვლავაც მიჰყვება უკვე გამოცდილ ტაქტიკას, კერძოდ კი — *„გარდაქმნები განახორციელოს მხოლოდ იქ, სადაც ეს ნამდვილად არის აუცილებელი"*.

უცხოურმა ბანკებმა მიიღეს შესაძლებლობა კიდევ ოთხ ქალაქში (პეკინი, ჩუჰაი, სიამინი, კუნმინი) განახორციელონ ოპერაციები ეროვნულ ვალუტასთან დაკავშირებით. 2004 წლის დეკემბერში WTO-ს მოთხოვნებები შესრულებულად ჩაითვალა. 2004-2005 წლებში უცხოურმა ბანკებმა მიიღეს კაპიტალის ინვესტირების უფლება იმ სფეროებში, რომლებიც ნამდვილად საჭიროებენ ფინანსური სახსრების მოზიდვას.

ჯერ კიდევ 2004 წ. ჩინეთის მთავრობამ 15%-ით გაზარდა იმპორტის კვოტა „სედანი"-ს ტიპის ავტომობილებზე. უცხოურ ტელესაკომუნიკაციო კომპანიებს მიეცათ უფლება ქ. პეკინში და ქ. გუანჩჟოუში შეექმნათ ერთობლივი საწარმოები, რომლებშიც მათი წილობრივი მონაწილეობა 25%-ს. არ აღემატებოდა. ადრე ამ ქალაქებში საერთოდ აკრძალული იყო უცხოური ან შერეული კომპანიების შექმნა.

საბანკო სისტემის რეფორმირება. 2004 წლის თებერვალში ჩინეთის სახელმწიფო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ფინანსურ სექტორში (მათ შორის — საბანკო სისტემაში) კარდინალური ცვლილებების გატარების შესახებ. ამის შედეგად ნებადართული გახდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების აქციებით ვაჭრობა და მოიხსნა შეზღუდვები საპენსიო ფონდების საინვესტიციო საქმიანობაზე. განახლდა საკითხის განხილვა იუანის ნაწილობრივი რევალვაციის შესახებ. თებერვალშივე ინგლისური ბანკი HSBC გახდა პირველი უცხოური ბანკი, რომელმაც მიიღო ნებართვა ჩინური ობლიგაციების განთავსებაზე შეძენის გზით და შემდგომში ინვესტორებისთვის მათი მიყიდვის მიზნით. ჩინურმა სამშენებლო ბანკმა განახორციელაა 506 მლნ. დოლარის

ოდენობის აქტივების გაყიდვა, რაც გადახდისუუნარო სესხის საკრედიტო უზრუნველყოფას წარმოადგენდა. 2004 წლის თებერვლის ბოლოდან ჰონგ-კონგის ბანკებისთვის ნებადართულია იუანებში დეპოზიტების მიღება, რაც კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯია ჩინეთის ფულის ერთეულის (იუანის) კონვერტირებად ვალუტად გარდაქმნის გზაზე.

ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ ჩინეთის ფინანსური სფეროს რეფორმები მასშტაბური ხასიათისაა, ცენტრალური ხელისუფლება კი საბაზრო პრინციპების შესაბამისად ამ სფეროს რეფორმირებით არის დაინტერესებული, რაც შესაძლებელს გახდის თავისუფალი ფინანსური რესურსების ეფექტიან მობილიზებას და წარმატებით მომუშავე კომპანიებს შორის შემდგომ გადანაწილებას. გარდა ამისა, ჩინეთის მთავრობა ცდილობს დაიცვას მომუშავე კომპანიები უიმედო ვალებისა და გადაუხდელობებით გაცემული კრედიტებისგან. ამის ეამო მიიჩნევს, რომ უფლებები სრული მოცულობით უნდა გადაეცეს იმ კერძო საფინანსო დაწესებულებებს, რომლებიც იმოქმედებენ გამოცხადებული მიზნებისა და წესების შესაბამისად.

საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩინეთის ბანკები წარმოადგენდნენ რეზერვუარს, საიდანაც მოიპოვებოდა სახსრები ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების პროექტების დასაფინანსებლად. 2003 წ. დაკრედიტების მოცულობამ 350 მლრდ. დოლარს მიაღწია. 2003 წელს ბრუნვაში არსებული ფულადი მასა (2002 წელთან შედარებით) 20%-ით გაიზარდა მიუხედავად იმისა, რომ ზრდის ოდენობა მხოლოდ 16%-ით იგეგმებოდა. ხშირად საკრედიტო დახმარებას საეჭვო პროექტები ღებულობდნენ. ცენტრალიზებული მმართველობის წლების განმავლობაში არაეფექტიანმა დაკრედიტებამ სახელმწიფოს უზარმაზარი დანაკარგები მოუტანა. „Standart & Poor's" შეფასებით, 2004 წელს საეჭვო კრედიტებმა 860 მლრდ. დოლ. შეადგინა, მაგრამ ეს ჩინეთის ფინანსური სისტემის დესტაბილიზაციის ფაქტორად არ ითვლება.

რადგან ექსპორტი აღემატება იმპორტს, შესაბამისად ქვეყანაში მიედინება დიდი ოდენობით ნაღდი ფულის ნაკადები. „განვითარებული" ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ცენტრალური ბანკები, როგორც წესი, „ანეიტრალებენ" ჭარბ ლიკვიდურ თანხებს ბანკებისთვის ობლიგაციების მიყიდვის გზით. სახელმწიფო ობლიგაციებზე დახარჯული ფულადი რესურსები ვერ იქნება გამოყენებული საწარმოების დაკრედიტებისთვის. მაგრამ ჩინეთის ობლიგაციების ბაზარი არ არის საკმარისად განვითარებული. საპროცენტო განაკვეთების დონე არ განისაზღვრება საბაზრო გზით, რის გამოც ქვეყნის ცენტრალურ ბანკს პროცენტის სიდიდეზე ზემოქმედების ნაკლებად საიმედო ინსტრუმენტი გააჩნია.

პრემიერი ვენ ცზიაბაო და მისი მთავრობა თვლიან, რომ ქვეყანაში დადგა რეფორმების დაჩქარების დრო — ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი (25 წ.) წარმატებით დასრულდა. 2003 წლის ბოლოს, ჭარბი კაპიტალდაბანდებების თავიდან აცილების მიზნით, ოფიციალურმა ფინანსურმა ორგანოებმა გაამკაცრეს კრედიტების გაცემის პირობები ისეთი სწრაფადმზარდი დარგებისათვის, როგორიცაა ფოლადის და ავტოსამშენებლო მრეწველობა და უძრავი ქონების სექტორი. მაგრამ, „Business Week" აღნიშნავს, რომ სესხის საუკეთესო მიმღების გამოვლენა უნდა მოხდეს არა შეზღუდვის მეთოდების, არამედ საბაზრო პირობების საფუძველზე, მითუმეტეს, რომ 2006 წლის WTO-სთან შეთანხმების შესაბამისად უცხოურ ბანკებზე ჩინეთში უნდა გავრცელდეს „ეროვნული რეჟიმი". ამავე დროს ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მოქმედი სისტემა გადამეტებულადაა ორიენტირებული საბანკო ფინანსებზე. ჩინურ კომპანიებს უნდა ჰქონდეთ არჩევანის უფლება. კერძოდ, მათ სახსრები უნდა მიიღონ საფონდო ან საობლიგაციო ბაზრებზე, რომლებიც ჯერ კიდევ შესაქმნელია.

ჩინეთის სახალხო ბანკი ამზადებს გლობალურ ლისტინგს. აქციათა ფართო გაყიდვის პირობებში ინვესტორები ბანკებისგან ითხოვენ მათი საკრედიტო პორტფელების სანქციებს და ახალი კრედიტების გაცემის პრაქტიკის სრულყოფას.

ამავე დროს უცხოელი ინვესტორების დაშვება ჩინეთის საფონდო ბაზრებზე იწვევს სტანდარტების გამკაცრების მოთხოვნას იმ ჩინური კომპანიების მიმართ, რომლებიც ბირჟაზე თავიანთი აქციებით ვაჭრობენ.

დაბოლოს, იუანის თანდათანობითი გაძლიერება გაზრდის ფასებს საექსპორტო პროდუქციაზე და შეზღუდავს ჩინეთში ფულადი ნაკადების შემოდინებას. ამით კი შეიზღუდება სპეკულაციური კაპიტალის ერთ ერთი უმსხვილესი წყარო. კონვერტირებად იუანზე გადასვლა საშუალებას მისცემს ჩინელებს მოახდინონ სახსრების ინვესტირება ფასიან ქაღალდებში ჩინეთის საზღვრებს გარეთ და შეამცირებს ამ სახსრების გამოყენების შესაძლებლობას საეჭვო ინვეტირებისთვის ჩინეთის ტერიტორიაზე.

ამ გეგმის ძირითადი მიმართულებები უკვე განსაზღვრულია, მაგრამ მისი პრაქტიკული რეალიზება ჯერ კიდევ განუსაზღვრელია. ქვეყანაში არსებული მრავალრიცხოვანი ბიუროკრატიული სტრუქტურების პირობებში დასახული მიზნების შესრულება, სავარაუდოდ, შენელებული იქნება. ამავე დროს ცხადია, რომ მმართველი წრეების დასახული გეგმები განხორციელდება და ამაზე არსებული გამოცდილება მეტყველებს.

ჩინეთ-ამერიკის სავაჭრო წინააღმდეგობები. ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა უზარმაზარი მასშტაბები მიიღეს. ამასთან ერთად, გაჩნდა წინააღმდეგობებიც. ერთ ერთი მათგანი — ეს არის აშშ-ს კოლოსალური სავაჭრო დეფიციტი, რომელმაც 2004 წელს 160 მლრდ. დოლარს გადააჭარბა, 2005 წ. კი 150 მლრდ. დოლ.-ს მიაღწია. მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა არის ჩინური ფირმების მიერ ამერიკული დისკების და სხვა ანალოგიური პროდუქციის ფართომასშტაბიანი უნებართვო წარმოება (ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევა). ამერიკული კომპანიების უკმაყოფილება გამოიწვია ჩინეთის ხელისუფლების ახალმა მიდგომამ უცხოური ფირმების მიმართ, რომლის საფუძველზე მათ უნდა შეექმნათ ერთობლივი საწარმოები

ადგილობრივ ჩინურ კომპანიებთან, თანაც ჩინური მხარისთვის დოკუმენტაციის გადაცემის ვალდებულებით. და ბოლოს, აშშ უკმაყოფილოა იმით, რომ ჩინურმა კომპანიებმა გააჯერეს ამერიკული ბაზრები იაფფასიანი საფეიქრო პროდუქციით, რომელზეც ამერიკაში დიდი მოთხოვნაა.

2004-2005 წლებში მიმღინარეობდა ორივე ქვეყნის სამთავრობო დელეგაციების მოლაპარაკებები ორმხრივი ურთიერთობების სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით და ზოგიერთ შემთხვევაში შეთანხმებასაც მიაღწიეს. კერძოდ, ერთერთი შეთანხმების შესაბამისად, გამარტივდა ჩინურ ბაზარზე ამერიკული კომპანიების პროდუქციის შეტანა; განუსაზღვრელი დროით გადაიდო ერთობლივი საწარმოების შექმნის დაგეგმილი სავალდებულო წესის შემოღება; შეიქმნა ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებში წარმოშობილი პრობლემები. ჩინეთმა თავის თავზე აიღო ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის მასშტაბების შემცირების ვალდებულება. დადებული ხელშეკრულების თანახმად, ჩინეთმა უნდა მიიღოს WTO-სთან აღებული ვალდებულებების შესაბამისი ზომები, და მისცეს უფლება უცხოურ ფირმებს განახორციელონ საქონლის იმპორტი ადგილობრივი ჩინური სახელმწიფო კომპანიების შუამავლობის გარეშე.

მიუხედავად ხელშეკრულების ხელმოწერისა, აშშ-ში მიიღეს გადაწყვეტილება ჩინეთიდან იმპორტირებული სატელევიზიო ტექნიკის გაზრდილი საბაჟო გადასახადებით დაბეგვრის შესახებ. ეს აიხსნებოდა იმით, რომ ამ საქონლის იმპორტი საფრთხეს უქმნის ამერიკელ მწარმოებლებს და მათი თანამშრომლები შეიძლება უმუშევარნი დარჩნენ. ამავე დროს ამერიკის საერთაშორისო ვაჭრობის კომისიამ გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმადაც ჩინურმა კომპანიებმა („Konka Group", „TCL Holding" და სხვ.) აშშ-ში ტელევიზორების ექსპორტისას უნდა გადაიხადონ მოსაკრებელი 319 მლნ. დოლ. საერთო ოდენობით. საცალო ვაჭრობით დაკავებულმა ფირმებმა, კერძოდ „Wal-Mart Stores",

გაასაჩივრეს ეს სანქციები. მიუხედავად ამისა, მსხვილი ჩინელი მწარმოებლები დგანან 24,5%-იანი მოსაკრებლის გადახდის აუცილებლობის წინაშე (თავდაპირველად მაქსიმალური ტარიფი 46%-ის ოდენობით იყო განსაზღვრული).

2002-2005 წლებში აშშ-ში ტელევიზორების წარმოება შემცირდა 28%-ით, ჩინეთიდან აშშ-ში იმპორტირებული ტელევიზორების ოდენობა კი გაიზარდა 1,9 მლნ. ცალამდე (2001 წ. — 56 ათასი ცალი). ეს მხოლოდ ერთ-ერთი მაგალითია.

აშშ-ს ვაჭრობის სამინისტროში საჩივრებით მიმართავენ სხვადასხვა პროდუქციის მწარმოებელი კომპანიები (სათამაშოები, ავეჯის წარმოება). ისინი ჩინელ მწარმოებლებს უჩივიან. როგორც წესი, აშშ-ს ფედერალურ ხელისუფლებისგან ითხოვენ ჩინეთიდან შესაბამისი საქონლის შემოტანის შეზღუდვას.

შემოსატანი მოსაკრებლები, თუ ისინი აშშ-ში იქნება განსაზღვრული, ფაქტიურად გამოიწვევენ მიწოდების შეწყვეტას „TCL", „Konka" და ზოგიერთი სხვა ფირმების მხრიდან. ჩინური მხარე თვლის, რომ ჩინურ საქონელზე დადგენილი ფასები დასაბუთებულია და გამოთქვამს მზადყოფნას მოლაპარაკების გზით დაარეგულიროს აღნიშნული პრობლემა.

ჩინეთი საბაზრო ეკონომიკაზე გადადის. გამოჩენილ ფილოსოფოსს შალვა ნუცუბიძეს საყვედურობდნენ ოპონენტები: ბატონო შალვა, თქვენ გვიან გადმობრძანდით საბჭოთა პოლიტიკურ პლატფორმაზეო, რაზედაც ენამოსწრებული მეცნიერი ასეთ პასუხს აძლევდა: ასეა, ბატონებო, ვისაც მძიმე ბარგი აქვს, ის გვიან ჩამოდის ხოლმე მატარებლიდანო.

ქართველ ფილოსოფოსთან დაკავშირებული ეს ამბავი ჩვენ ჩინეთში ამჟამად მიმდინარე მეტად სერიოზულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მოვლენებმა გაგვახსენა: ქვეყანა, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე სოციალიზმის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო ბურჯი იყო და ასეთად რჩებოდა მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყნის,

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგაც, ნელ-ნელა, მაგრამ პრინციპულად იცვლის თავის ცხოვრების წესს და სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადადის.

ამის დამამტკიცებელია თუნდაც შემდეგი მაჩვენებლებიც: ამჟამად ჩინეთში არსებული კერძო საკუთრების მთლიანი ღირებულება 2000 მილიარდი ევროს ექვივალენტურია, თითქმის მის ნახევარს შეადგენს სახელმწიფო საკუთრება - 1000 მილიარდ ევროს ექვივალენტს. ამასთან, ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს თავის საკუთრებაში არსებულ, დაახლოებით 600 მილიარდი ევროს ღირებულების სახელმწიფო საწარმოებს პრივატიზაცია. ანუ ჩინეთის ხელისუფლება სახელმწიფო საკუთრებაში იტოვებს დაახლოებით იმდენი ღირებულების საკუთრებას, რამდენიც შეერთებული შტატების ბიუჯეტით გათვალისწინებული ერთი წლის სამხედრო ხარჯებია.

თუ გავითვალისწინებთ, თუ როგორ გადადის რაოდენობა თვისობრიობაში, მაშინ ცხადი გახდება, რომ მალე ამ ქვეყანაში სოციალისტური სისტემის ბურდღაც აღარ დარჩება, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამჟამად ჩინეთში ხდება დაახლოებით ის, რაც გორბაჩოვის დროინდელ საბჭოთა კავშირში.

მცირე გადახვევა: ნაპოლეონს ეკუთვნის დაკვირვება, რომლის თანახმადაც ერთი არაბი ბრძოლაში სჯობდა ერთ ფრანგს, 100 არაბი 100 ფრანგის თანაბრად იბრძოდა, ხოლო 1000 ფრანგი უკვე 1000 არაბს სჯაბნიდა. აღნიშნული დაკვირვებიდან შემდგომ მარქსიზმის ერთ-ერთმა კლასიკოსმა, ფრ. ენგელსმა, რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლის კანონი ჩამოაყალიბა.

ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის მყარად დამკვიდრების პროცესს განსაკუთრებით ბიძგს მისცემს ამ ბოლო დროს ჩინეთში გამართული ხალხის წარმომადგენელთა საერთო-ჩინური ყრილობა. მასზე დელეგატებმა მიიღეს კანონის, რომლის მიხედვითაც სამართლებრივი თვალსაზრისით კერძო და სახელმწიფო საკუთრება გათანაბრდება. ცხადია, ეს

იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანა ხელს იღებს როგორც კომუნიზმის, ისე გეგმური ეკონომიკის მშენებლობაზე. „ქვეყანა გადამწყვეტ ფაზაში შედის – აცხადებს ამასთან დაკავშირებით რეფორმის ერთ-ერთი ინიციატორი, პეკინის სამართლის ინსტიტუტის პროფესორი სუნ ხიანხონგი – აქამდე ჩინეთში სამართლებრივი თვალსაზრისით მხოლოდ სახელმწიფო საკუთრება არსებობდა. რაც შეეხება კერძო საკუთრებას, იგი მხოლოდ საოჯახო საკუთრებისა და მემკვიდრეობის გადაცემის სახით იყო წარმოდგენილი".

ცხადია, ყრილობის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება მეტად ძნელი იქნება. კონსტიტუციაში ჯერ-ჯერობით ხომ შავით თეთრზე წერია, რომ „სოციალისტური სახელმწიფო საკუთრება წმინდა და ხელშეუხებელია" (მუხლი 12). პირველად სოციალისტური ჩინეთის ისტორიაში ამ ყრილობაზე გაიმართა მძაფრი იდეოლოგიური კამათი სოციალიზმისა და კაპიტალიზმის თაობაზე – დაწერა „New York Times"-მა.

ჩინეთის ეროვნული მეურნეობის ტრანსფორმირება უმტკივნეულოდ როდი მიმდინარეობს. მის წინააღმდეგ განსაკუთრებით გააფთრებით გამოდიან „ახალი მემარცხენეები", რომლის წევრებსაც ქვეყანაში საკმაოდ ცნობილი ინტელექტუალები წარმოადგენენ. ისინი სახელმწიფოს მხრიდან 800 მილიონი ფერმერისათვის მხარდაჭერას და ლიბერალურ რეფორმატორულ კურსში სოციალური და ეკოლოგიური კორექტივების შეტანას მოითხოვენ. ამ სახის კამათს დღემდე თუ მხოლოდ აკადემიური ხასიათი ჰქონდა, ამ ბოლოდროინდელი ყრილობის შემდეგ მან უკვე სახალხო ხასიათი მიიღო.

ამგვარი მემარცხენე განწყობა საზოგადოების გარკვეულ ნაწილში წყალს ჩინეთის კომუნისტური ხელმძღვანელობის წისქვილზე ასხამს. კერძოდ, თავის მოხსენებაში ჩინეთის პრემიერმა ვენ ჯიბაომ მემარცხენეთა მოთხოვნების სისწორე აღიარა და განაცხადა, რომ მომავალში უმჯობესი იქნებოდა, თუ ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ზრდის ტემპები ოდნავ შენელდებოდა სოციალური სფეროსათვის უფრო მეტი დახმარების გაწევის მიზნით. მის ამ განცხადებას არც თუ ისე დიდი ხნის

გასვლის შემდეგ განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოფლის მეურნეობისათვის დახმარების პაკეტი მოჰყვა.

შესაძლებელია, ასეთი დიდი ქვეყნის ახალ პოლიტიკურ-ეკონომიკურ რელსებზე გადაყვანა არც თუ ისე მცირე ხნის საქმე იყოს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ქვეყნის ხელისუფლებისა და ბიზნესწრეების ინტერესები ერთმანეთს უკვე რა ხანია ანტაგონისტურად დაუპირისპირდა ერთმანეთს, რაც სხვაგვარად შეუძლებელია დასრულდეს, თუ არა რადიკალური რეფორმებით, რაც ნამდვილად არ იქნება სოციალისტური საკუთრების განმტკიცების ხელშემწყობი. ცალსახად შეიძლება ითქვას, ისინი ქვეყანაში კაპიტალისტური სისტემის დამყარებისაკენ იქნებიან უდაოდ მიმართული.

ინფლაცია ჩინეთსაც გადასწვდა. ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ წინა ნომერში დავბეჭდეთ სტატია იმის თაობაზე, თუ როგორ ვერ იმორჩილებენ ინფლაციას ევროზონის ქვეყნებში. როგორც ჩანს, ეს სენი ჩინეთსაც შეეყარა, სადაც მიმდინარე წლის იანვარში წლიური ინფლაციის დონემ 7 პროცენტს გადააჭარბა.

ჩინეთის პარლამენტის საგანგებო სესიაზე გამოსულმა პრემიერმა ვენ ჯიბაომ სხვა პრიორიტეტულ ღონისძიებებს შორის ხაზგასმით აღნიშნა მაღალი ინფლაცია და მასთან ბრძოლის აუცილებლობა. მიმდინარე წლის იანვარში წლიური ინფლაციის დონემ 7 პროცენტს გადააჭარბა, რაც სარეკორდო მაჩვენებელი იყო ბოლო 11 წლის განმავლობაში. ქვეყანაში განსაკუთრებით ძვირდება კვების პროდუქტები (18 პროცენტიანი ზრდა) და ენერგია. ამიტომ იმ ქვეყნის პრემიერი, რომელი ქვეყნისაც მთელ მსოფლიოს ეშინია, იძულებულია კომბოსტოსა და ჭარხლის ფასის შემცირებაზე იზრუნოს. ეს გასაგებიცაა. ამ პროდუქტებზე გაზრდილი ფასები უპირველეს ყოვლისა ქვეყნის ღარიბ მოსახლეობას ურტყმას და ამიტომ, თუ დროზე არ მიექცა ყურადღება ამ საქმეს, გამორიცხული არაა, რომ ჩინეთის მოსახლეობა, ისევე, როგორც 1989 წელს, ქუჩაში გამოვიდეს.

სესიაზე გამოსულმა პრემიერმა ყურადღება ყველაზე მეტად სამეურნეო პრობლემებზე გაამხვილა. ბევრი რამ საამა-

ყოც ჰქონდა. გასული წელს ხომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტემპი 11,4 პროცენტის დონეზე იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ განვლილ წელს 3 პროცენტით შემცირდა ეკონომიკის ენერგოშემცველობა. ეს მართლაც რომ კარგი ტენდენციაა, რადგან სწორედ ამ ქვეყნის ენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნილება გახდა ბოლო ხანებში თითქმის მთელ მსოფლიოში ინფლაციის უჩვეულო ზრდის მიზეზი.

თუმცა China Inc.-ს, – როგორც შუაგულის სახელმწიფოს მოიხსენიებს ზოგიერთი ეკონომისტი, – საზრუნავიც ბევრი აქვს. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები, რაც მას „გადახურებით“ ემუქრება. პრემიერი დაპირდა პარლამენტარებს, რომ შეაჩერებდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპებს და მას „მხოლოდ“ 8 პროცენტით გაზრდის საშუალებას მისცემდა.

თუმცა ამგვარი დაპირებების ძალზე გამოუცდელ ადამიანებს სჯერათ. ჩინეთში ხომ მსგავს რამეს უკვე მრავალი წელია ისმენენ. ზოგიერთ ექსპერტს მიაჩნია, რომ ხელისუფლებას უკვე აღარ ხელეწიფება ეკონომიკის კონტროლი და რომ მისი ლაგამი უკვე გაეშვა ხელიდან. ეს მას სხვა ობიექტური მიზეზების გამოც აღარ შეუძლია: ეკონომიკის ზრდა ხომ ნოყიერ ნიადაგს ამზადებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის. ჩინეთის შრომის ბაზარზე ყოველწლიურად ათეულობით მილიონი ადამიანი გამოდის. – მხოლოდ მიმდინარე წლის განმავლობაში შრომის ბაზარზე 10 მილიონი ადამიანი დაიწყებს სამუშაოს ძებნას – განაცხადა ვენ ჟიბაომ. იგი შეჰპირდა პარლამენტარებს, რომ ჩინეთის ქალაქებში უმუშევრობის მაჩვენებელს 4,5 პროცენტამდე დაიყვანს. ანალოგიურის მიღწევა სოფლად გაცილებით ძნელი იქნება. მსოფლიო ბანკის გამოთვლებით, ჩინეთის სოფელ ადგილებში დაუსაქმებელი სამუშაო ძალა 200-300 მილიონ ადამიანს აღემატება. დემოგრაფიული ბომბის შიშით ჩინელები ზრდიან წარმოების ტემპებს, მილიარდობით დოლარს აბანდებენ გზების, ხიდების, და საერთოდ, ინფრასტრუქტურის მშენებლობაში, მაქსიმალურად ცდილობენ იაფფასიანი ექსპორტის

გაზრდას. ამასთან, მიმდინარე წელს ჩინელებს ეტყობა განსაკუთრებით გაუჭირდებათ, რამეთუ, როგორც ჩანს, მთელ მსოფლიოში კონიუნქტურის გაუარესებაა მოსალოდნელი და ჩინური პროდუქციაც ნაკლებ გაიყიდება.

პარლამენტის სესიაზე ის აზრიც გამოითქვა, რომ ახლო მომავალში უმჯობესი იქნება, თუ ქვეყნის ეკონომიკა შეიცვლის ზრდის სტრატეგიას და ექსპორტის შედარებით შემცირების ხარჯზე გაიზრდება იმ პროდუქციის წარმოების მასშტაბები, რომელთა რეალიზებაც ადგილობრივ ბაზარზე მოხდება. თუმცა, როგორც ჩანს, არც ეს იქნება ადვილი: მართალია, ზოგადად აღებული ქვეყანა მდიდრდება, მაგრამ მისი მოსახლეობა ბევრს ზოგავს და მცირეს ხარჯავს. შედარებისათვის: თუ ჩინეთში მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 36 პროცენტი მიდის მოხმარებაზე, შეერთებულ შტატებში ანალოგიური მაჩვენებელი 72 პროცენტს შეადგენს.

არადა, ჩინელებსაც ვერ გაამტყუნებ: აქ არ არსებობს საყოველთაო სოციალური დაცვის სისტემა, რაიმე შეღავათები ჯანდაცვაში (ღმერთმა დაიფაროს ჩინელის ოჯახში ვინმე ავად გახდეს, ამისათვის მათ ბანკის სესხის აღება დასჭირდებათ), თუნდაც ბავშვებისათვის საშუალო განათლების მიცემის მხრივ. ამიტომ ჩინელმა ყოველივე ეს საკუთარი დანაზოგებით უნდა უზრუნველყოს. ხელისუფლება ამ მიმართულებით იწყებს გარკვეული ნაბიჯების გადადგმას. მაგალითად, სოფლის მცხოვრებთა პირველადი სამედიცინო მომსახურების აღმოჩენის მიზნით მთავრობამ უკვე გამოყო გარკვეული თანხები. ეს პროგრამა 750 მლნ ადამიანს მოიცავს.

პარლამენტის სესიაზე პრემიერს 3 ათასი სახალხო დეპუტატი უსმენდა. და არა მხოლოდ ისინი. მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობაც. ჩინეთი ხომ მსოფლიოში მესამე სავაჭრო პარტნიორია. იგი საერთაშორისო ვაჭრობაში განსაკუთრებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის შემდეგ გააქტიურდა. ეს ქვეყანა შეერთებული შტატების გვერდით მსოფლიო ეკონომიკის უმსხვილესი აღმძრავია, რის გამოც ის, რაც ჩინეთში ხდება, მრავალს აინტერესებს.

განსაკუთრებით ამერიკელებს, რომელთა სოლიდურ სავაჭრო დეფიციტსაც სწორედ ჩინელები ფარავენ ამერიკული სახაზინო ობლიგაციების შესყიდვის გზით.

ჩინეთის სამეურნეო აგრესიულობა მსოფლიოს აფიქრებს.. ჩინეთის სამეურნეო აგრესიულობა და მისი შედეგები დღეს უკვე შემდგარი ფაქტია. და ეს მხოლოდ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში პირამდე საქონლით გატენილი დიდი ჩანთების შეშინებული მეპატრონეების სიმრავლით როდი გამოიხატება, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ ამ საქონლის რეალიზაციისათვის...

ეს ქვეყანა განსაკუთრებით თავის მეზობელ შუა აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში აქტიურობს და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საბჭოთა იმპერია დაიშალა. ჩინელთა მცდელობამ შედეგიც გამოიღო, თუმცა არა ყოველთვის ისეთი, როგორიც მათ სურდათ. მაგალითად, ყაზახეთში უკვე საკმაოდ ამრეზით უყურებენ ჩინელ ინვესტორებს, დაახლოებით ასევე – ყირგიზეთშიც. თუმცა ყაზახი და ყირგიზი მოსახლეობის გულისწყრომას უფრო ადგილობრივი მექრთამე ფუნქციონერები უნდა იწვევდნენ, რომლებსაც ნაკლებ ანაღვლებთ ეროვნული ინტერესები.

დასავლეთი თანდათან შეშფოთებით ადევნებს თვალს ჩინეთის ამ ექსპანსიას, რომელიც ევრაზიის ცენტრისაკენაა მიმართული. ზოგჯერ ევროპელები ცეცხლზე ნავთსაც ასხამენ. მაგალითად, ჟურნალი „Christian Science Monitor“ წერს, რომ ისეთი პატარა ქვეყანა, როგორსაც ყირგიზეთი წარმოადგენს, მალე გახდება პეკინის აგრესიის უმწეო მსხვერპლი და ადრე თუ გვიან მის ორბიტაზე მოექცევა. მით უმეტეს, რომ ყირგიზეთი ბუნებრივი რესურსებით ღარიბია.

გამორიცხული არაა, რომ დასავლეთის პრესაში ხშირად დაბეჭდილი მსგავსი სტატიების მიზანი იყოს ფსიქოლოგიური ბრძოლის გამართვა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „შავი პიარის“ გათამაშება ამ უზარმაზარი ქვეყნის წინააღმდეგ, რამეთუ დასავლეთს, მით უმეტეს, შეერთებულ შტატებს თავად

აქვს დიდი სურვილი ამ რეგიონში წამყვანი როლი ითამაშოს.

ამგვარ, ერთგვარ შურს ჩინეთის აქტიურობა მხოლოდ დასავლეთის ქვეყნებში როდი იწვევს. ამგვარადვე რეაგირებს ამაზე ყველა ის ქვეყანა, რომელთაც არც თუ ისე დალაგებული ურთიერთობა აქვს „შუაგულის ქვეყანასთან". მაგალითად, იაპონური ჟურნალის „Uimiori"-ს ერთ-ერთ სტატიაში ავტორი გამოთქვამს აზრს, რომ XXI საუკუნეში ჩინეთი დედამიწის ყველაზე ძლიერი სახელმწიფო გახდება. ამ თეზას ამაგრებს ის გარემოებაც, რომ ბოლო რამდენიმე წელიწადში ჩინეთმა ყაზახეთთან, ყირგიზეთთან და ტაჯიკეთთან დამაკავშირებელ ორ ათეულ სარკინიგზო მაგისტრალში ჩადო სოლიდური კაპიტალი.

სტრატეგიული კარტიორი. პეკინი მცდელობას არ აკლებს იმას, რომ რეგიონში თავისი გავლენა გაავრცოს და გააძლიეროს. მაგალითად, როდესაც ყაზახეთის ლიდერი ნურსულთან ნაზარბაევი ჩინეთში იყო, აქ გაფორმდა კონტრაქტები, რომლებიც ამ ქვეყნებს შორის ისეთი სერიოზული ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებას ეხებოდა, როგორსაც ნავთობსადენი წარმოადგენს. ცნობამ იმის თაობაზე, რომ ამ ქვეყნებს შორის დაიდო სტრატეგიული ხელშეკრულებები ნავთობის, რომელსაც შემდგომ გაზის გატარების შესახებ ხელშეკრულება მოჰყვებოდა, რუსეთი ძალზე ჩააფიქრიანა. ეს უკანასკნელი ხომ დღემდე ამ რეგიონის რესურსების როგორც უმთავრეს მომპოვებლად, ისე მის მთავარ გადამზიდავაც ითვლება. მსგავსი ხელშეკრულებები კი რუსეთის პოზიციებს რეგიონში სერიოზულ საფრთხეს უქმნიან.

რუსეთის ლიდერებს აფიქრებთ ასევე ის ამბავიც, რომ ნაზარბაევის ჩინეთში ყოფნის დროს პეკინმა და ასტანამ ერთობლივი საინვესტიციო ფონდი „კაზინა" დააფუძნეს, რომელსაც მოსახმარად ძალზე სოლიდური თანხა – 5 მილიარდი დოლარი გადაეცა, რაც უკანასკნელმა ამ ორი ქვეყნის ახალი ტექნოლოგიების დამუშავებაზე უნდა დახარჯოს.

პეკინი განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს სასურსათო კომპლექსში შემავალი დარგების განვითარებას, ანუ

აზროვნებს სტრატეგიულად: ხუმრობა საქმე როდია: 2030 წლის შემდეგ ამ ქვეყანას დასჭირდება მოიხმაროს საშუალოდ 650 მილიონი ტონა და მეტი სურსათი წლიურად, ამას კი წარმოება სჭირდება.

სწორედ ასეთი სტრატეგიული აზროვნების შედეგი იყო და ამ მიზანს ემსახურებოდა ასევე ამ რამდენიმე თვის წინათ გარდაცვლილ საფარმურატ ნიაზოვსა და ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ხუ ჯინტაოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებაც 2009 წლამდე ჩინეთამდე გაზსადენის მშენებლობის შესახებ. მისი საშუალებით მომავალი 30 წლის განმავლობაში ჩინეთში თურქმენეთიდან წელიწადში შევა დაახლოებით 30 მლრდ კუბური მეტრი გაზი. ჩინეთიც არ დარჩენილა ვალში: აშხაბადმა სამაგიეროდ საკმაოდ დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი სესხი - 300 მილიონი დოლარის ოდენობით მიიღო. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ, როგორც ცნობილია, სხვა სახელმწიფოები თურქმენეთს ამ მხრივ მაინც და მაინც არ წყალობენ.

ყაზახეთისა და თურქმენეთის შემხედვარე უზბეკეთი და ყირგიზეთიც ააქტიურებენ თავიანთ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს პეკინთან. ეს განსაკუთრებით ელექტროენერგიის წარმოების სფეროში ერთობლივ თანამშრომლობაში გამოიხატება. სხვათა შორის, ჩინეთმა აშხაბადის მსგავსად ტაშკენტსაც გამოუყო შეღავათიანი გრძელვადიანი კრედიტი 350 მლნ დოლარის ოდენობით.

ინვესტორიდან სუვერენამდე. მართალია ადგილობრივი ხელისუფალნი სიამოვნებით იფშვნეტენ ხელებს ჩინეთიდან ახალ-ახალი სესხების მიღების შესაძლებლობის გაგებისას, მაგრამ არც ადგილზე და არც მით უმეტეს, სხვა ქვეყნებში ყველა ამგვარი ოპტიმიზმით როდი ხვდება მსგავს ახალ ამბავს. ეს განსაკუთრებით აშფოთებთ დიდ სახელმწიფოებს და არა მხოლოდ შეერთებულ შტატებს, რუსეთსაც, გარკვეულ წილად, ყაზახეთსაც. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ გამოვიდა სააშკარაოზე, რაც დუშანბეში შანხაის თანამშრომლობის ორგანი-

ზაციის (შთო) ბოლო შეკრება გაიმართა. ის, რომ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას ეს მოვლენები აღელვებს, თუნდაც იქიდან ჩანდა, რომ შეკრების დღის წესრიგი სრულიად განსხვავდებოდა ადრინდელისაგან და სამხედრო კავშირების შეკვრისა და ეროვნული უშიშროების ნაცვლად, ახლა საკამათო საკითხად ეკონომიკური პრობლემები იქცა. რუსეთს ხომ არავისთვის არ ემეტება თავისი ახლო საზღვარგარეთი... და იგი თავის განზრახვას აისრულებს კიდეც, თუ შეძლებს ჩინეთთან ერთად ისეთი მაგისტრალის გაყვანას, რომელიც ამ ორ დიდ ქვეყანას არა მხოლოდ შუა აზიის რესპუბლიკებთან, არამედ უშუალოდ კასპიის ზღვასთან დააკავშირებს. ამას კი იგი ძალზე სერიოზულად ცდილობს.

ჩინეთის აფრიკული პრიორიტეტები. ბოლო ხანებში განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა ჩინეთის„ შავ კონტინენტზე“ ფეხის მტკიცედ მოკიდების მცდელობები. დღემდე ჩინეთს იქ უკვე მილიონზე მეტი ადამიანი ჰყავს გაგზავნილი – ისინი აშენებენ ენერგეტიკულ ობიექტებს, გაჰყავთ რკინიგზები, ამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. მხოლოდ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 200 ათასზე მეტი ჩინელი მუშაობს. მძლავრ ნაკადებად მიჩქეფს აფრიკისაკენ ჩინური კაპიტალიც...

ოღონდ კი კონტრაქტები მოიპოვოს და ჩინეთი არაფერს დაგიდევს. იგი იმასაც კი არ თაკილობს, რომ სამეურნეო კონტრაქტები გააფორმოს თუნდაც ისეთ ქვეყანასთან, როგორსაც სუდანი წარმოადგენს, სადაც ძმათა მკვლელი ბრძოლები ჯერაც არ შეჩერებულა.

ბევრ სფეროში ევროპელებმა უკვე წააგეს ჩინელებთან კონკურენციული ბრძოლა. ეს გასაგებიცაა: ერთი ევროპული ავტომობილის ფასად ხომ ორ ჩინური ავტომობილის ყიდვა შეიძლება...

სწორედ აღნიშნული ვითარების შედეგია, რომ ბოლო 5-6 წლის განმავლობაში სავაჭრო ბრუნვა ჩინეთსა და აფრიკას შორის 2-3 მილიარდიდან 55 მილიარდამდე გაიზარდა.

დასავლეთს ჩინური საქონლისაგან თავდაცვა უჭირს... დასავლეთის სამყარო სერიოზული შიშით უყურებს აღმოსავ-

ლეთ აზიიდან (ჩინეთი, ვიეტნამი, სამხ. კორეა და ა. შ.) მათ საზღვრებს მომდგარ ათასგვარი საქონლით დატვირთულ კონტეინერებს. ამ საქონელთან კონკურენციამ მრავალი ევროპული თუ ამერიკული ფირმის გაკოტრება გამოიწვია.

2007 წელს ჩინეთის ეროვნული მეურნეობის წინსვლაში „ლომის წილი“ სწორედ საგარეო ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავლებს მიუძღვის (უცხოურ ინვესტიციებთან ერთად, რომელმაც მხოლოდ 2007 წლის პირველ ნახევარში 30 მლრდ დოლარს გადააჭარბა).

ჩინური ექსპორტი ბოლო წლებში მართლაც შესამჩნევად იზრდება. კერძოდ, 2006 წელს 2000 წელთან შედარებით თითქმის ოთხჯერ, ხოლო წინა წელთან შედარებით 27,4 პროცენტით გაიზარდა და 969,380 მლნ დოლარი შეადგინა.

განსაკუთრებით მძიმე დღეში აღმოჩნდნენ ევროპელი თუ ამერიკელი ფეხსაცმლისა თუ მსუბუქი მრეწველობის დარგის საწარმოები. ისინი საგონებელში არიან ჩავარდნილნი: როგორ გაუწიონ კონკურენცია, მაგალითად, ჩინურ ფეხსაცმელსა თუ ტანსაცმელს, როდესაც მათ ანალოგიური პროდუქციის დამზადებისათვის საჭირო ნედლეული უფრო უფრო ძვირი უჯდებათ, ვიდრე თავად ეს აღმოსავლური უკვე მზა პროდუქცია ღირს?!

არადა, მათ საქონლის საწარმოებლად ნედლეულის გარდა, სხვა რამეც ბევრი სჭირდებათ - საჭიროა გადასახადების გადახდა, შრომის დანახარჯების დაფარვა და ა. შ. და ეს მაშინ, როდესაც ჩინეთსა თუ ვიეტნამში ნედლეულიც გაცილებით იაფია და სამუშაო ძალაც (სად იპოვი ევროპაში, თუნდაც ისეთ ღარიბ ქვეყნებში, როგორებიც ჯერჯერობით ბულგარეთი ან რუმინეთია, საათში 20 ცენტად მომუშავე ადამიანს, მაშინ, როდესაც ათასობით ჩინელი სწორედ მსგავს სამუშაოს სანთლით დაეძებს?!).

ამასთან, სახელმწიფო მის ხელთ არსებული მრავალი ბერეტითაც ახალისებს წარმოებას და წარმოებული პროცუქციის ექსპორტს - გადასახადების შემცირება იქნება ეს,

ფირმისათვის სუბსიდიების მიცემა თუ სხვ. ჩინელ მეწარმეს ევროპელი თუ ამერიკელი კოლეგისაგან განსხვავებით დიდი თანხები არც გარემოს დაცვით ღონისძიებებზე ეხარჯება (რაც ცივილიზებულ ქვეყნებში საკმაოდ სერიოზულ ფინანსებთანაა დაკავშირებული). გარდა ამისა, მაგალითად, ჩინეთის ხელისუფლება განგებ ინარჩუნებს იუანის დაბალ კურსს დოლართან და ევროსთან მიმართებაში, რათა ამ გზითაც წაახალისოს ექსპორტი. არსებობს ასევე ზოგიერთი სხვა მეთოდიც, რომელთა გამოყენებითაც ჩინური პროდუქცია კიდევ უფრო იაფი ხდება. მაგალითად, ტანსაცმელზე თუ ფეხსაცმელზე მიკერებულ ეტიკეტზე ნედლეულის შემადგენლობა, რაც რეალურად ამ საქონლის ხარისხს დაბლა სწევს, თუმცა ამას ვინ დაგიდევთ, მყიდველს ხომ მისი დაბალი ფასი ხიბლავს.

ამასთან, ევროპის თუ ამერიკის ბაზრებზე ჩინური პროდუქცია შედის დემპინგურ ფასებშიც (როდესაც საქონელი მის ფაქტიურ ღირებულებაზე დაბალ ფასად იყიდება). მას შემდეგ კი, რაც იგი პოპულარობას მოიპოვებს ადგილობრივ საზოგადოებაში, ფასს თანდათან ზრდიან.

აზიური საქონლის დაბალი ფასები მაგიურად მოქმედებს მომხმარებელზე. შედეგად, აღმოსავლეთიდან შემოსული ფირმები ძლიერდებიან, ხოლო ევროპული ფირმები – კოტრდებიან. შედეგად ამ ქვეყნებში მცირდება დასაქმებულთა რაოდენობა, ღარიბდება მოსახლეობა, კნინდება მისი მსყიდველობითი უნარიანობა, რის გამოც ისინი კვლავ იაფი საქონლის შესყიდვას ამჯობინებენ, ყიდულობენ აზიური ფირმების მიერ შემოტანილ იმპორტულ საქონელს, რაც კვლავ ადგილობრივი ფირმების გაკოტრებას იწვევს და ასე ტრიალებს ეს ეშმაკის ბორბალი.

ჩინური საქონლის სიიაფეს განსაკუთრებით ის უწყობს ხელს, რომ მათი დიდი ნაწილი ევროპასა თუ ამერიკაში კონტრაბანდულია.

აი, ამგვარი კონკურენციული სიძნელის და მის შედეგად გაკოტრების ერთ-ერთი მაგალითია პოლონური ფირმა„ პაბია“. ამ ორიოდე წლის წინათ იგი ისეთ მაღალხარისხოვან საქონელს აწარმოებდა საკმაოდ მისაღებ ფასად, რომ პოლონელ სპორტსმენებს სწორედ მან შეუკერა სპორტული ფორმა 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე მონაწილეობის მისაღებად.„ პაბიამ“ საქმიანობის გაგრძელება მას შემდეგ ვეღარ შეძლო, რაც მოხდა პოლონეთსა და ჩინეთს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაცია და მომხმარებელმა მის ნაწარმს ჩინური იაფი, თუმცა შეუდარებლად უხარისხო პროდუქცია ამჯობინა. მსგავსი მაგალითები ევროპასა და ამერიკაშიც უთვალავია.

უაღრესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ევროპელი (განსაკუთრებით, იტალიელი) ფეხსაცმლის მწარმოებელი ფირმები. ევროკავშირში ფეხსაცმლის ძირითადი იმპორტიორები არიან ჩინეთი, ვიეტნამი, ინდოეთი, ინდონეზია, ტაილანდი, რუმინეთი და ბრაზილია (აქვე აღსანიშნავია, რომ ჩინელებს არა მხოლოდ მზა პროდუქცია შეაქვთ ევროპაში, არამედ აქ მისი დამამზადებელი საამქროებიც შექმნეს, მაგალითად, იტალიაში). მაგრამ შეტანილი ფეხსაცმლის ნახევარზე მეტი მაინც ჩინეთსა და ვიეტნამზე მოდის.

მაგალითად, 2006 წელს ჩინეთმა ევროკავშირში შეიტანა თითქმის მილიარდნახევარი წყვილი ფეხსაცმელი, რაც ევროკავშირის ქვეყნებში რეალიზებული ფეხსაცმელის ნახევარზე მეტია. ამასთან, ბოლო ხუთ წელიწადში აქ გაყიდული ჩინური ფეხსაცმლის რაოდენობა ათჯერ და მეტჯერ გაიზარდა, ხოლო მისი ფასი ამავე პერიოდში 30 პროცენტზე მეტით დაეცა. მსგავსი სიტუაციაა ვიეტნამის ფეხსაცმელთან დაკავშირებითაც - რომლის რეალიზაციის მოცულობებიც ამავე პერიოდში გაორმაგდა, ხოლო ფასი 20 პროცენტით შემცირდა. ყოველივე ამან კი საბოლოო ჯამში ის მდგომარეობა გამოიწვია, რომ 2001 წლის შემდგომ პერიოდში ევროპაში ფეხსაცმლის წარმოების მასშტაბები 30 პროცენტით შემცირდა, ხოლო ამ დარგიდან 40 ათასზე მეტი დასაქმებული გამოთავისუფლდა.

ჩინური ფეხსაცმელის ასეთი მოზღვავებით დაშინებულმა დარგის ევროპელმა მესვეურებმა გადაწყვიტეს აეძულებინათ ევროკომისია მისგან დასაცავად საბაჟო გადასახადი დაეწესებინა. ამ მიზნით ბრიუსელში მრავალგზისი დემონსტრაციებიც გაიმართა, სადაც არა მხოლოდ ევროპელი, არამედ თურქი ფეხსაცმლის მწარმოებელი ფირმებიც იღებდნენ მონაწილეობას (ეს უკანასკნელნი ამ ბოლო დროს ევროპის ბაზრებზე ფეხსაცმლის ერთ-ერთი სერიოზული იმპორტიორები გახდნენ). ევროკომისიამ შეისწავლა ეს საკითხი და დაადგინა, რომ ჩინელი და ვიეტნამელ ფეხსაცმლის მწარმოებლების მხრიდან მართლაც აქვს ადგილი დემპინგური ფასების გამოყენებას, რის გამოც ევროკავშირის ქვეყნებმა სერიოზული ზარალი განიცადეს.

ხსნა საბაჟო გადასახადების ზრდაშია? ამასობაში ევროკავშირის ქვეყნებში მრავალი ტანსაცმელისა და ფეხსაცმლის მწარმოებელი ფირმა კოტრდება და აქ მომუშავე ათასობით ადამიანი კარგავს სამუშაოს. მაგალითად, 2006 წელს ევროკავშირის ქვეყნებსა და ჩინეთს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგად მხოლოდ ტექსტილის საწარმოებში მომუშავე 7 ათასი ფრანგი, 70 ათ. ესპანელი და 200 ათ. იტალიელი დაითხოვეს. მსგავს ვითარებაში არიან ჩავარდნილნი ევროპელი ფეხსაცმლის საწარმოებიც. ანალოგიური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ ამერიკული ფირმებიც, რომლებიც იძულებულნი გახდნენ 2006 წელს სამსახურიდან 20 ათ. მეტი გაენთავისუფლებინათ.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს როგორც ამ პროდუქციის მწარმოებელნი, ისე ექსპერტები, საბაჟო გადასახადების გაზრდაში ხედავენ. მაგრამ ამის გაკეთება ევროპის ცალკეულ ქვეყნებს არ ხელეწიფებათ.

ბოლო დრომდე ევროკავშირში ფეხსაცმელზე და ტანსაცმელზე არსებობდა 5-დან 12 პროცენტამდე საბაჟო გადასახადი. ამჟამად ეს გადასახადები გაუქმებულია, თუმცა აღნიშნული პროდუქციის მწარმებელთა ლობის ზეწოლით

ზოგიერთი სახის ფეხსაცმელზე საბაჟო გადასახადები კვლავ აღსდგა. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე ევროკავშირის ქვეყნებს შორის თანხმობა არ არსებობს. მაგალითად, შვედი, ჰოლანდიელი და კავშირის კიდევ ზოგიერთი ქვეყანა ეწინააღმდეგება მის გაზრდას.

ევროპასთან შედარებით უფრო ოპერატიულად და ხისტად მოქმედებენ აშშ-ში. ეს უკანასკნელი, თუმცა ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის თავდადებული დამცველია, მაგრამ ეფექტურად ეხმარება საკუთარ მწარმოებლებს. კერძოდ, ეს იმაში გამოიხატება, რომ ამ ქვეყანამ, მას შემდეგ, რაც ჩინური ტექსტილის პროდუქცია და ფეხსაცმელი ზღვასავით მიაწვა მის საზღვრებს, ოპერატიულად აამოქმედა გადასახადები.

რაც შეეხება ევროკავშირს, აქ აპირებენ ჩინური საქონლისათვის 16,5%, ხოლო ვიეტნამური საქონლისათვის 10% საბაჟო გადასახადი დააწესონ, თუმცა სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ეს დიდ გავლენას ვერ მოახდენს შექმნილ მდგომარეობაზე.

როგორც ჩანს, მომავალში მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავებას უნდა ველოდოთ, რადგან არც თუ ისე დიდი ხნის გასვლის შემდეგ ჩინეთსაც მიიღებენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და მაშინ, ამ უკანასკნელის მუშაობის პრინციპებიდან გამომდინარე, ჩინეთს უკვე ვეღარაფერი შეაჩერებს გაზარდოს თავისი ექსპორტი, სადაც და როგორც სურს. ევროპის ქვეყნებს ერთადერთ გამოსავლად ისღა დარჩენიათ, რომ უფრო კარგად მოემზადონ ჩინეთთან კონკურენციისათვის.

თუმცა ეს ადვილი როდი იქნება. თავად ჩინეთშიც გულხელდაკრეფილნი როდი სხედან – იქაც ავითარებენ და ხვეწენ არსებულ ტექნოლოგიებს, ჩააქვთ ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიები, სხვა ქვეყნებიდან იწვევენ საუკეთესო სპეციალისტებს, ქირაობენ გამოცდილ მენეჯერებს, რომლებიც ამ ტექნიკას მოემსახურებიან და ა. შ.

„ევროპიდან ქრება მწარმოებელი და მომსახურების დარგები, მხოლოდ ვაჭრობით კი ჩვენი კონტინენტი შორს ვერ

წავა“ – აი, ასეთ პესიმისტურ დასკვნას აკეთებს ზოგიერთი ევროპელი ექსპერტი.

ჩინეთი და საქართველო. ბოლო წლებში საქართველოსა და ჩინეთს შორის ეკონომიკურ კავშირურთიერთობები საკმაოდ ინტენსიური გახდა. კერძოდ, 2000 წლის შემდეგ ჩვენი ქვეყნიდან ჩინეთში გატანილი საქონლის მთლიანი ღირებულება 11-ჯერ და მეტჯერ გაიზარდა და 2006 წელს 10,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ამ პერიოდში ჩვენს ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენდა სპილენძის ჯართი, რომლის ღირებულებაც აღნიშნულ პერიოდში ძალიან გაიზარდა და 2006 წელს 8,5 მლნ დოლარი შეადგინა, ანუ ამ წელს ჩვენი ჩინეთში განხორციელებული ექსპორტის 80 პროცენტზე მეტს სწორედ იგი წარმოადგენდა. ხე-ტყის მასალა, რომელიც ბოლო ექვს წელიწადში გატანილი იქნა დაახლოებით 5 მლნ დოლარის, ალუმინის ჯართი – 1,2 მლნ დოლარის 2006 წელს და ა. შ.

ამავე პერიოდში 35-ჯერ და მეტად გაიზარდა ჩინეთის იმპორტი საქართველოში. 2006 წელს ამ ქვეყნიდან შემოვიდა 103,3 მლნ დოლარის ღირებულების საქონელი.

2006 წელს იმპორტში დიდი ადგილი ეკავა ავეჯსა და მის ნაწილებს 3,8 მილიონი დოლარი, გამომთვლელი მანქანები – 5,2 მლნ დოლარის, ფეხსაცმელები – 4 მლნ დოლარის, მოწყობილობების ჰაერის კონდიციონირებისათვის – 3,3 მლნ დოლარის და სხვ.

ყველაზე დამაფიქრებელი ის არის, რომ ჩინეთიდან შემოგვაქვს ისეთი სახის პროდუქციაც, რომლის შემოტანის აუცილებლობაც არ უნდა იყოს.

მაგალითად, 2001 წლიდან საქართველოში დაიწყო დამუშავებული ქვებისა და მოსაპირკეთებელი ფილების შემოტანა, რომელიც განვლილ წლებში შემოტანილია სულ 6,4 მლნ დოლარის (ეს ძირითადად ის ქვები და ფილებია, რომლებითაც თავისუფლების მოედანი და რუსთაველის პროსპექტის ტროტუარები მოპირკეთდა). განა საქართველოში

ცოტა მსგავსი ქვაა, რომ იქიდან არ შემოვიტანოთ? ან განა ფილების ადგილზე დამზადება არ შეგვიძლია? ადრე ხომ მთელ საბჭოთა კავშირში გაჰქონდათ ასეთი ქვები?! თუნდაც, რომ ქვების მოპირკეთება და ფილების დამზადება ჩვენთან გაცილებით ძვირი ჯდებოდეს, ვიდრე ჩინეთში, ცხადია, ეკონომიკის განვითარებისა და საგადამხდელო ბალანსის ასეთი დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით, როგორიც ახლა ჩვენთანაა, მაინც ადგილზე დამზადება უნდა ხდებოდეს და არა მათი იმპორტირება.

ასევე ბოლო სამ წელიწადში საქართველოში ჩინეთიდან შემოტანილია 1,4 მლნ დოლარის ხახვი, პრასი, ნიორი და ხახვისმაგვარი ბოსტნეული. ნუთუ ბოსტნეულის წარმოებაც არ შეგვიძლია ადგილზე და ისიც ჩინეთიდან უნდა შემოვიტანოთ?

🕮 *ძირითადი ლიტერატურა*

- მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, ტ. II, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ, თბილისი, 2004. — გვ. 166-193.
- მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო, პროფ. გრ. თოდუას და პროფ. შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი, 2001. — გვ. 736-757.
- პოლ ჰერსტი, გრემ ტომპსონი. გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. გამომც. „დიოგენე", I ქართ. გამოც., თბილისი, 2005.
- Peter Dicken. Global Shift, Transforming the World Economy, Third Edition, P.C.P Ltd, 1999.

თემა 13

განვითარებადი ქვეყნების განვითარება

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები. ინდოეთის სუბკონტინენტი. ლათინოამერიკული ქვეყნების ეკონომიკა. ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკა. აფრიკის ქვეყნების ეკონომიკა.

დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძე, ყოველმხრივ გენიალური მოაზროვნე, როგორც ეკონომისტი, სისტემის შემქმნელი მოღვაწე, ნებისმიერი განვითარებადი ქვეყნისთვის ადამ სმიტივით დიდი და მარადიული ღირებულებების შემოქმედია. ამ თემისადმი ეპიგრაფად წამძღვარებული ილიას სიტყვები, რომელიც მან მთელი XIX საუკუნის შესაფასებლად წარმოთქვა, XX საუკუნეში კი არ გადაიჭრა, უფრო გამწვავდა. „იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა XX ასწლეულს, ახლაც ყველაზე უმთავრესია და მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, — ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილობით მოიქმედებს, მაგრამ ამ ანდერძზე უაღრესს და უდიდესს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით".

ახალ ათწლეულში ძირეული ცვლილებები მიმდინარეობს ეკონომიკური აქტივობის (საქმიანობის) გლობალური გეოგრაფიის თვალსაზრისით. სამრეწველო წარმოება და ნაწილობრივ ვაჭრობაც აღარ არის წამყვანი ეკონომიკების სამეურნეო საქმიანობის ექსკლუზიური სექტორი, როგორც ეს წინა საუკუნეში იყო. მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში კვლავ დომინირებენ წამყვანი ეკონომიკები, ამჯერად საერ-

თაშორისო ვაჭრობის ნაკადებით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. უცხოური ინვესტიციები ძირითადად წამყვანი ეკონომიკებისკენ მიემართება და ახასიათებს ურთიერთგადახლართვა. მსოფლიო ეკონომიკის მიზიდულობის ცენტრი გააქტიურებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში. განვითარებადი ქვეყნების მხოლოდ მცირე რაოდენობას ახასიათებს ეკონომიკური ზრდა. მათი უმეტესობა ღრმა ფინანსურ სიძნელეებს განიცდის. შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილების პირობებში მათი მდგომარეობა უფრო მეტად შეზღუდული ხდება.

შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილება, მარტივად რომ ვთქვათ, დამოკიდებულია სამ წამყვან ბირთვზე, ნახევრად პერიფერიებსა და პერიფერიებზე. იგი სულ უფრო რთულ და მრავალგანზომილებიან სტრუქტურად ყალიბდება.

ამჟამად მსოფლიოში დაახლოებით მილიარდი ადამიანი ცხოვრობს განვითარებულ ქვეყნებში და, ამ ქვეყნებში ცხოვრების მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, ამ მილიარდს ხშირად „ოქროსას" უწოდებენ. დანარჩენი მოსახლეობა განვითარებად ქვეყნებშია. არსებითად, ამგვარი დაყოფა უკვე საკმაოდ დიდი ხნის წინ მოხდა, კოლონიური იმპერიების მშენებლობის პერიოდში. დღემდე „ოქროს" მილიარდი — ეს ძირითადად მეტროპოლიების მცხოვრებნი არიან, ხოლო განვითარებადი ქვეყნები — ყოფილი კოლონიები და ნახევრად კოლონიები.

XX საუკუნე მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში უნიკალური აღმოჩნდა. უპრეცედენტოა მოსახლეობის ზრდა, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი. თვისობრივად შეიცვალა მშპ-ს და მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურა. XX საუკუნის მეორე ნახევარი ყოფილ კოლონიებში დემოგრაფიული აფეთქებით და მოსახლეობის მძაფრი ზრდით აღინიშნა (საუკუნის დასაწყისში მოსახლეობის უმრავლესობა ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი სოფლად ცხოვრობდა), მრეწველობა, როგორც დასაქმების სფერო, პირველ ადგილზე გავიდა. ასწლეულის დასასრული მომსახურების

და ინფორმაციული ცივილიზაციის ეკონომიკის ფორმირებით აღინიშნა. ამავე დროს, განვლილი საუკუნე მსოფლიო ომებით და მსოფლიო სოციალური კონტრასტებით, ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის განსხვავებაში უფრო მეტი გარღვევებით და გამწვავებით, აღინიშნა. ამჟამადაც შენარჩუნებულია გლობალური მასშტაბის აღმაშფოთებელი სოციალური კონტრასტები. მსოფლიოს მოსახლეობის მეექვსედი ნაწილი საქონლის და მომსახურების 78%-ს ქმნის და შემოსავლების 78%-ს იღებს (საშუალოდ დღეში 70 დოლ. ერთ ადამიანზე), დედამიწის მოსახლეობის 3/4 ნაწილი კი 61 ქვეყანაში დღეში მხოლოდ 2 დოლ. შემოსავლით კმაყოფილდება.

მდიდარ ქვეყნებში ყოველი ათასი დაბადებული ბავშვიდან 5 წლის ასაკს მხოლოდ 7 ვერ აღწევს, დაბალშემოსავლიან ქვეყნებში კი — 90 ბავშვი იღუპება. სიღარიბისა და სიღატაკის დაძლევა კაცობრიობის ფუნდამენტური ამოცანაა XXI საუკუნეში.

თანამედროვე მსოფლიო, მიუხედავად გლობალიზაციისა, მატერიალური უთანაბრობით დაღდასმულ სამყაროდ რჩება. თუკი კაცობრიობას გავყოფთ 10 თანაბარ ნაწილად, დაახლოებით 600 მლნ კაცით თითოეულში, მაშინ ყველაზე მდიდარი 600 მლნ ადამიანის წილად მსოფლიო მშპ-ის ნახევარი მოვა, ხოლო ყველაზე ღარიბ 600 მლნ კაცზე — 74-ჯერ ნაკლები. ბუნებრივია, 600 მლნ უმდიდრეს ადამიანთა დიდი ნაწილი (87%) განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრობს. ამავე ჯგუფს მიეკუთვნებიან მდიდრები განვითარებადი ქვეყნებიდან (დაახლოებით 60 მლნ ადამიანი). მასში შედიან „ახალი რუსებიც“ — 12 მლნ ადამიანი. უთანაბრობას განვითარებად ქვეყნებში აღმაშფოთებელი მასშტაბები აქვს. მაგალითად, ზემოთ ნახსენებ 60 მლნ მდიდარს განვითარებადი ქვეყნებიდან აქვს უფრო დიდი შემოსავალი, ვიდრე 1,7 მლრდ უღარიბეს მცხოვრებს ამავე ქვეყნებიდან.

ითვლება, რომ აბსოლუტური სიღატაკის დონე — ესაა ცხოვრება დღეში 1 დოლარით, ხოლო უპირობო სიღატა-

კის — 2 დოლარი დღეში. აშშ-ში ფუნტი (457 გ) პური დოლარი ღირს, ასევე — 1 ლ რძე. ბუნებრივია, აშშ-ში 2 დოლარით დღეში ვერ იცხოვრებ. მაგრამ განვითარებად ქვეყნებში სხვა ფასებია და მილიარდობით ადამიანი ამ ღატაკური დონის შემოსავლებით არსებობს. გაეროს მონაცემებით, პლანეტაზე 1,2 მლრდ ადამიანს 1 დოლარიც არა აქვს დღეში, ხოლო 2,5 მლრდ-ს — 2 დოლარი დღეში.

ანალიზის მიზნით განვითარებადი ქვეყნების 5 ჯგუფს გამოყოფენ: *სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს, ინდოეთის სუბკონტინენტის ქვეყნებს, ლათინური ამერიკის აიძებს, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს, აგრეთვე ეკვატორული აფრიკის ზოგიერთ ქვეყანას.*

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნები. ეს ქვეყნები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთნოთ სამხრეთ კორეა, ჰონგკონგი, სინგაპური და ტაივანი, მათ აქტიური ინდუსტრიალიზაცია ჯერ კიდევ 40-იან წლებში დაიწყეს და მიაღწიეს ცხოვრების მაღალ დონეს განვითარებული ქვეყნების რიცხვში ფაქტობრივი შეჭრით (ჟურნალისტები ამ ქვეყნებს აზიურ „დრაკონებს“ უწოდებენ). აქ აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ყველა ისინი უნიკალური კუნძულოვანი სახელმწიფოებია მცირე ოდენობის მოსახლეობით. ამასთანავე, ჰონგ-კონგს და ტაივანს კომუნისტური ჩინეთის საწინააღმდეგოდ საზღვარგარეთი დიდხანს იყენებდა, ამიტომაც მათ დიდ დახმარებას უწევდნენ. მეორე ჯგუფს კი შეიძლება მივაკუთნოთ ტაილანდი, მალაიზია, ინდონეზია, ფილიპინები, ვიეტნამი და ლაოსი (მათ აზიურ „ვეფხვებს“ უწოდებენ). ტაილანდს, მალაიზიას, ინდონეზიას და ფილიპინებს ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს უწოდებენ. მათ ინდუსტრიალიზაცია სხვადასხვა დროს დაიწყეს და უკვე მიაღწიეს გარკვეულ წარმატებებს.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების თანამედროვე მდგომარეობა ასახულია ცხრილში 13.1.

ცხრილში კარგად ჩანს სხვაობა პირველი და მეორე ჯგუფის ქვეყნების ცხოვრების დონეებს, აგრეთვე — მეორე ჯგუ-

ცხრილი 13.1.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ძირითადი მახასიათებლები (2002-2007 წწ.)

ქვეყანა	მოსახლეობა, მლნ ადამ.	ტერიტორია, კმ²	მშპ, მლრდ დოლ.	რეალური მშპ საშუალო წლიური ზრდა 1992-2004 წლებში, %	მშპ მოსახ. ერთ სულზე, დოლ.	საშუალო წლიური ინფლაცია 1998-2005, %	საზოგადოების განვითარების ინდექსი
ა. განვითარებული ქვეყნები							
ჰონგ-კონგი	7,1	1075	163	3,5	22960	-1,3	91.6
სინგაპური	4,3	639	107	5,1	24840	0.6	90.7
ტაივანი	22,7	36179	305	4,5	13450	0.7	
სამხრეთი კორეა	48	99274	680	4,9	14160	3.3	90
ბ. აზიური „ვეფხვი ქვეყნები" (ახალი ინდუსტრიული ქვეყნები)							
ტაილანდი	63,5	513115	162	3,2	2550	2.3	77.8
მალაიზია	24,9	332665	94,9	5,7	4130	1.7	79.0
ინდონეზია	222,6	1904443	258	3,0	1160	9.3	69.7
ფილიპინები	81,4	30000	85	4	1040	5.4	75.8
ბ. სხვა „ვეფხვი ქვეყნები"							
ვიეტნამი	82,5	331114	45,2	7,3	550	4.5	70.4
ლაოსი	5,5	237000	118	5,1	4750	1.8	79.6

ფის ქვეყნებს შორისაც. ერთ-ერთი მაჩვენებელია საზოგადოების განვითარების ინდექსი — მშპ-ს ან ერთ ადამიანზე მშპ-ს მაჩვენებელთა მნიშვნელობა ხშირად განიხილება როგორც ქვეყნის განვითარების მაჩვენებელი, მაგრამ იგი ამ თვალსაზრისით სახარბიელოდ ვერ ჩაითვლება, რამდენადაც ის მხოლოდ ეკონომიკურ კეთილდღეობას ასახავს. 1990 წელს გაეროს განვითარების პროგრამამ გამოაქვეყნა ახალი მიახლოებული მაჩვენებელი — საზოგადოების განვითარე-

ბის ინდექსი. მისი გაანგარიშება ეფუძნება კიდევ ორი სხვა მაჩვენებლის, მოზრდილი მოსახლეობის წიგნიერების და სიცოცხლის ხანგრძლივობის მნიშვნელობას. ეს ინდექსი უფრო ზუსტად (თუმცა არა მთლად იდეალურად) გვიჩვენებს ადამიანთა განვითარების დონეს. 1991 წლიდან ცოდნის დონე აისახება ორი მაჩვენებლის, სწავლების საშუალო ხანგრძლივობის და მოზრდილი მოსახლეობის წიგნიერების მაჩვენებელთა გაერთიანებით. საზოგადოების განვითარების მაჩვენებელი აქვს და იგი 0-დან 100-მდე მერყეობს. ქვეყნები 80-ზე მეტი ინდექსით ითვლებიან მაღალგანვითარებულად (ადამიანის განვითარების თვალსაზრისით), 50-დან 79-მდე — საშუალოდ, 50-ზე ნაკლები მაჩვენებლით კი — სუსტად განვითარებულად.

ამ ქვეყნების მიერ მიღწეული წარმატებები აღფრთოვანებას იწვევს. 70-იანი წლების განმავლობაში მშპ-ის ყოველწლიური ზრდის ტემპები ტაილანდისა და ინდონეზიისთვის 7-8%-ს შეადგენდა, მალაიზიისათვის — 8,1%, ჰონგკონგის, სამხრეთ კორეისა და სინგაპურისათვის — 9,5%-ს, ტაივანისათვის კი — 10%-ზე მეტს. 80-იან წლებში ამ ქვეყნების უმრავლესობის ზრდის ტემპები წელიწადში 7%-ზე დაბლა არ ჩამოდიოდა. ბოლო 20 წლის განმავლობაში ეს რეგიონი უზრუნველყოფდა ყველა განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკების საერთო ზრდის უდიდეს წილს. 50-70-იან წლებში მათზე საერთო ზრდის 73%-მდე მოდიოდა, 80-იან წლებში — დაახლოებით 64%, 90-იანი წლების დამდეგს — 60%. ამგვარად, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია იყო ყველაზე დინამიკურად განვითარებადი რეგიონი თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში. 1993 წელს მსოფლიო ბანკმა აღმოსავლეთაზიური ეკონომიკური ზონა, მისი ესოდენ მძლავრი ზრდის შთაბეჭდილებით, „ზრდის მეოთხე პოლუსად“ გამოაცხადა აშშ-თან, EU-თან და იაპონიასთან ერთად.

მაინც ეკონომიკური მოდელის რა თვისებებმა მიიყვანა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები ესოდენ შთამბეჭდავ შედეგებამდე?

1. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის აიქ-ების ეკონომიკური მოდელები თავიანთი ქვეყნების ცივილიზაციურ რესურსებს ძალიან ეფექტიანად იყენებდნენ. მათ შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და ეკონომიკურად ეფექტიანი ინდუსტრიალიზაციის ეტაპზე აღმოჩნდა: მოსახლეობის სახელმწიფოს მიმართ პატივისცემა და უსიტყვო მორჩილება, დიდი სიბეჯითე და შრომისმოყვარეობა (გავიხსენოთ ბუდისტური ეთიკა), საბრძოლო სული და მხარში ამოდგომა, მჭიდრო კლანური კავშირები.

2. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკური მოდელებისათვის ძალიან დამახასიათებელია სახელმწიფოს და ბიზნესის პარტნიორობა. განვითარების პრიორიტეტებს სახელმწიფო განსაზღვრავს და საშეღავათო კრედიტების სისტემის გამოყენებით და საგარეოეკონომიკური პრეფერენციებით მოცემულ ეტაპზე პრიორიტეტულ დარგებს ეხმარება. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ამორჩეული პრიორიტეტები იცვლებოდა და, პერიოდების მიხედვით, უპირატესობა ამა თუ იმ დარგს ენიჭებოდა:

- 50-იან წლებში — საფეიქრო და მინის მრეწველობას;
- 60-იან წლებში — ქიმიურ მრეწველობას და მეტალურგიას;
- 70-იან წლებში — ზოგად მანქანათმშენებლობას, გემთმშენებლობას, ავტომშენებლობას და ა.შ.
- 80-იან წლებში — ელექტროტექნიკურ მრეწველობას და ელექტრონიკას;
- 90-იან წლებში — ინფორმატიკას, ახალი მასალების წარმოებას, აეროკოსმოსურ მრეწველობას.

3. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში მთავრობები მოქნილად ცვლიდნენ თავიანთ პოლიტიკას, სახელმწიფოს როლს თანდათან ამცირებდნენ, ახდენდნენ რა საგარეო-ეკონომიკური რეგულირების ლიბერალიზაციას, საზოგადოების დემოკრატიზაციას.

4. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური ეკონომიკური მოდელი გამოირჩევა აშკარად გამოხატული საექსპორტო ორიენტაციით. ექსპორტის წილი მშპ-ში კრიზისის წინ ინდონეზი-

აში 22%-ს შეადგენდა, ფილიპინებში — 24,4%-ს, სამხრეთ კორეაში — 26,8%-ს ტაილანდში — 30,2%-ს, მალაიზიაში — 78,8%-ს, ხოლო სინგაპურის მშპ-ში — 132,2%-ს.[1] ამასთან, ექსპორტის მნიშვნელოვანი წილი (45-დან 60%-მდე) აშშ-ში, EU-სა და იაპონიაში იგზავნება. ეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკას უცხოურ ეკონომიკათა მდგომარეობაზე დამოკიდებულს ხდის, განსაკუთრებით აშშ-ის ეკონომიკაზე.

ეკონომიკური მოდელის დამახასიათებელი ნიშანია, ისევე როგორც იაპონიისთვის, მოსახლეობის დანაზოგის მაღალი ნორმა, რომელიც 90-იანი წლების დამდეგს ტაივანში მშპ-ის 24%-ს შეადგენდა, მალაიზიაში, ტაილანდსა და სამხრეთ კორეაში — 35%-ს, სინგაპურში — მშპ-ის 47%-ს. ეს, ერთი მხრივ, აფართოებს ქვეყნის ინვესტიციურ შესაძლებლობებს, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უშლის შიდა ბაზრის ზრდას.

ასე-ების ეკონომიკა, ასე ვთქვათ, გამოკვებილია უცხოური ინვესტიციებით. მაგალითად, 1981 და 1993 წლებს შორის FDI-ები სამხრეთ კორეის ეკონომიკაში 4,5-ჯერ გაიზარდა, მალაიზიის ეკონომიკაში — 9-ჯერ, ტაივანში — 14-ჯერ, ხოლო ინდონეზიაში — 16-ჯერ.[2] 1986 წლიდან 1995 წლის ჩათვლით რეგიონის წამყვან ქვეყნებში — მალაიზიაში, ინდონეზიასა და ტაილანდში — FDI-ები 18-30-ჯერ გაიზარდა. მარტო 1996 წინა კრიზისის წელს FDI-ებმა 93 მლრდ. დოლარი შეადგინა. კიდევ უფრო სწრაფად იზრდებოდა ფინანსური ნაკადები და პორტფელური ინვესტიციები. ასე მაგალითად, გიგანტური ჩინეთის საფონდო ბაზარი 90-იანი წლების შუა ხანებში მხოლოდ 44 მლრდ. დოლარს შეადგენდა, ხოლო შედარებით პატარა, 19-მილიონიანი მალაიზიის — 200 მლრდ. დოლარს. მაქსიმალური კაპიტალიზაციის მომენტში კრიზისის წინ, ჰონგ-კონგის, მალაიზიის,

1. Goldstein M. The Asian Financial Crisis, 1999.
2. Иноземцев В. Расколотая цивилизация, 1999.

სამხრეთი კორეის, სინგაპურის და ტაილანდის საფონდო ბაზრების შეჯამებულმა კაპიტალიზაციამ 1,15 ტრლნ. დოლარი შეადგინა, ანუ ყველა განვითარებადი ქვეყნის კაპიტალიზაციის 50%-ზე მეტი.

აზიის აიქ-ების ეკონომიკურ მოდელში იყო მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები. სახელმწიფოს და ბიზნესის პარტნიორობა ბევრ ქვეყანაში გადაიზრდებოდა ხოლმე სახელმწიფოს და ბიზნესის შეზრდაში. კორუფცია ბევრი აიქ-ის ეკონომიკის უბედურება გახდა. აიქ-ების ეკონომიკურ ზრდას არ ახლდა მოსახლეობის ხელფასის და შემოსავლის პროპორციული ზრდა.

აიქ-ებში *განათლების დონე განვითარებულ ქვეყნებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება.* მთელი ახალგაზრდობა მხოლოდ სამხრეთ კორეაში დადის სკოლებში. ტაილანდში ამგვარი შესაძლებლობა მხოლოდ 40%-ს აქვს, ხოლო ინდონეზიაში — 45%-ს. თუკი აშშ-ს კოლეჯდამთავრებულთა 65%-მდე აბარებს უმაღლეს სასწავლებლებში, მაგალითად, მალაიზიაში — მხოლოდ 12%. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის აიქ-ების ახალგაზრდა სპეციალისტთა უმრავლესობა ტექნიკურ კოლეჯებს ამთავრებს და მათ საუნივერსიტეტო განათლება არა აქვთ. კარგი საშუალო განათლების მქონე სპეციალისტებს შეუძლიათ წარმატებით დანერგონ დასავლური ტექნოლოგიები, მაგრამ უნარი არ შესწევთ შექმნან ახალი.

1997 წლისათვის აიქ-ების *ეკონომიკები ზედმეტად დაკრედიტებული აღმოჩნდა.* მაგალითად, კორპორაციული ვალის თანხა „დეუს“ კორპორაციისათვის მის სააქციო ღირებულებას 3,4-ჯერ აჭარბებდა, „ჰიუნდაისათვის“ — 4,4-ჯერ, ხოლო კორპორაცია „ჯინროსთვის“ — 86-ჯერ! გაცემული კრედიტების საერთო ოდენობა ტაილანდში ქვეყნის მშპ-ის 140%-ს შეადგენდა. ინდონეზიაში, მალაიზიასა და ტაილანდში მხოლოდ ვალდებულებები უცხოური ბანკების წინაშე მშპ-ის 30-45%-ს შეადგენდა.

ბევრი აიქ-ის *სახელმწიფო ვალმა კრიზისის წინ ძალიან სახიფათო ზღვარს მიაღწია.* ასე მაგალითად, ტაილანდის

საგარეო ვალი 87,3 მლრდ. დოლარს აღწევდა 26,6 მლრდ. დოლარის სავალუტო მარაგის დროს. სამხრეთი კორეისათვის ამ მაჩვენებელმა 152,3 და 45,1 მლრდ. დოლარს მიაღწია, ხოლო ინდონეზიაში — 136,4 და 13,5 მლრდ დოლარს.

საფონდო ბაზრის კაპიტალიზაციის ზრდამ ყველა გონივრულ ზღვარს გადააჭარბა. თუკი წამყვანი განვითარებული ქვეყნების საფონდო ბაზრების კაპიტალიზაცია 90-იანი წლებისათვის 100%-ს იშვიათად აჭარბებდა, სინგაპურის, მალაიზიის და ჰონგ-კონგისათვის შესაბამისმა მაჩვენებელმა 259, 452 და 631% შეადგინა.

კრიზისმაც არ დააყოვნა. ის 1997 წლის 2 ივლისს ტაილანდური ბატას დევალვაციით დაიწყო, რომელიც ნახევარ წელიწადში 2-ჯერ გაუფასურდა. 11 ივლისს ეროვნული ვალუტის დაცვაზე უარი განაცხადა ფილიპინების ცენტრალურმა ბანკმა. 1997 წლის განმავლობაში თითქმის ყველა აზიურმა ვალუტამ დევალვაცია განიცადა. ამასთან, ინდონეზიური რუპიას კურსი 7-ჯერ დაეცა. სინგაპურს, ტაივანსა და ჰონ-კონგს კრიზისი მინიმალური ხარისხით შეეხო. პრაქტიკულად ყველა აიქ-ის უძრავი ქონების ბაზარი და საფონდო ბაზარი კატასტროფულად დაეცა.

თუმცა კატასტროფა მაინც ფინანსური სფეროთი შემოიფარგლებოდა. მეცნიერთა და ჟურნალისტთა ყველაზე შემზარავი პროგნოზები არ გამართლდა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის აიქ-ებმა ნელ-ნელა კრიზისიდან გამოსვლა იწყო.

კრიზისმა აზიურ ქვეყნებს ჭკუა ასწავლა და ფინანსური კრიზისის დამთავრების შემდეგ მათ ფინანსური სისტემის და ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია დაიწყეს, ასევე — წარმოების სტრუქტურის რეფორმირება, სამეურნეო მართვის გაძლიერება, მეცნიერებისა და განათლების ხარჯზე ქვეყნის აღმავლობის პოლიტიკის გატარება, კორუფციასთან და ბიუროკრატიზმთან ბრძოლა. ყველა ამ ღონისძიებამ იმპულსი მისცა ეკონომიკის ზრდას.

აზიის ქვეყნებში გააცნობიერეს, რომ *ფინანსური კრიზისის მთავარი მიზეზები ეკონომიკური და ფინანსური სტრუქ-*

ტურის არარაციონალურობაა, ასევე — ფინანსური ორგანიზაციების სპეკულაცია, ჩამორჩენა მეცნიერებასა და მაღალ ტექნოლოგიებში, მრეწველობისათვის ზედმეტად დიდი მნიშვნელობის მინიჭება. ახალი ფინანსური რისკების აღსაკვეთად აზიურმა ქვეყნებმა უნდა გააღრმავონ ფინანსური რეფორმები და გაატარონ სტრუქტურული გარდაქმნები მრეწველობის დარგებში.

აქედან გამომდინარე, აზიის ქვეყნებმა მიიღეს რიგი ზომები და საგრძნობ შედეგებსაც მიაღწიეს. კორპორაცია „დეუს“ მაგალითებმა კორეის რესპუბლიკის მთავრობა აიძულა შეეტანა ცვლილებები ეკონომიკური განვითარების ტრადიციებში, კერძოდ, მსხვილი კორპორაციების დახმარებიდან გადასულიყო საშუალო და მცირე საწარმოთა დახმარებაზე, რომელთაც კაპიტალი, ტექნოლოგია და ტექნიკური პერსონალი გააჩნდათ. სინგაპურის მთავრობამ კაპიტალდაბანდებები დაიწყო ინტელექტუალური დარგების და ინტერნეტ-ეკონომიკის განვითარებაში. ინდონეზიამ გადაწყვიტა ფინანსური სფეროს და საცალო ვაჭრობის გახსნა, გააუქმა უცხოელებისათვის აქციებსა და ინვესტიციებზე საკონტროლო პაკეტის ფლობაზე შეზღუდვები. ტაილანდმა განათლებაზე ასიგნებანი გაზარდა.

დავალიანების მკვეთრი ზრდის აღსაკვეთად სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მთავრობებმა უნდა შეამცირონ ხარჯები, ეკონომიკური ზრდის ტემპები შეკვეცონ ან გაზარდონ გადასახადები, რაც უცხოური ინვესტიციების მოდენისათვის დაბრკოლება გახდება, ან კიდევ ყველა ღონისძიება ერთდროულად, ზომიერად გაატარონ. თუმცა ჩამოთვლილი ღონისძიებები გარკვეულწილად უარყოფით გავლენას მოახდენენ ეკონომიკის შემდგომ გაჯანსაღებაზე.

ინდოეთის სუბკონტინენტი — ტერიტორია, რომელიც დიდხანს იყო ინგლისის კოლონია, ასობით სხვადასხვა ხალხის საერთო სახლი გახდა; ომის შემდეგ კოლონიზატორების მიერ გაყოფილ იქნა საკუთრივ ინდოეთად და მუსლიმანურ

პაკისტანად. შემდგომში აღმოსავლეთ პაკისტანმა მოიპოვა დამოუკიდებლობა და მას ბანგლადეში ეწოდა.

1. ბუნებრივი და ცივილიზაციური რესურსები. ინდოეთი მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა *სასარგებლო წიაღისეულის მარაგებით.* იქ არის ნახშირი, რკინა, მანგანუმი, ბოქსიტები, ქარსი, ტიტანი, ქრომიტი, ოქრო, ალმასი, გაზი, ნავთობი, კაუჩუკი.

მრავალათასწლოვანი *ინდური ცივილიზაცია* ძალიან თავისებურია. ინდოელთა მსოფლმხედველობა საოცარია, იდუმალიც კი, ვინაიდან ამ კულტურაში ევროპელებისთვის ჩვეული ზღვარი სიცოცხლესა და სიკვდილს შორის გადაწეულია. შესაძლოა, ინდური ცნობიერების მიმართულება ქვეყნის ლანდშაფტით და გეოგრაფიული მდებარეობით აიხსნას. ერთი მხრივ, ოკეანე და, მეორე მხრივ, ჰიმალაი ქვეყანას უცხოელი დამპყრობელებისგან იცავდა. შესანიშნავი კლიმატი და გულუხვი ბუნება, რომელიც ყველა ადამიანს უზრუნველყოფდა აუცილებლით, ხელს უწყობდა სიმშვიდისა და განმარტოებისკენ სწრაფვას. აქედან განვითარდა საოცარი, ზღაპრის მსგავსად, რელიგია და უამრავი ფილოსოფიური სისტემა, რომელიც მიმართულია ადამიანის შემეცნების შიგნით.

რეინკარნაციის (სულთა გადასახლების) რწმენამ განსაზღვრა ინდოელების ევროპული ცნობიერებისთვის საოცარი *არაინდივიდუალობა. ისინი საკუთარ პიროვნებას ფუძემდებლურ მნიშვნელობას არ ანიჭებენ,* ვინაიდან იგი მუდმივი „მე“-ს — ადამიანური სულის — შემცვლელი ტანსაცმელია, რომელსაც ხრწნადი სხეულის სიკვდილის შემდეგ უნარი აქვს სხვა სხეულში გადასახლდეს. ამიტომ ინდოელები მომთმენნი არიან სხვა ადამიანთა მიმართ, მათი აზრის და რწმენისადმი. ისინი არაძალადობრივ ეთიკას ქადაგებენ, ზრუნავენ ბუნებასა და გარესამყაროზე. სიკვდილის შემდეგ ხომ ადამიანის სული თავშესაფარს პოულობს არა მარტო ადამიანთა, არამედ ცხოველთა სხეულებში. ინდუისტური ტრადიცია სიცოცხლის ღრმა პატივისცემას ნერგავს.

ცივილიზაციური რესურსები პოლიტიკასა და ეკონომიკაზე უზარმაზარ გავლენას ახდენს. ინდოელისთვის არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე მოვალეობის აღსრულება: „მოვალეობა — საშუალებაა უმაღლესი სრულყოფილების მისაღწევად“. ტრადიციულად, ინდოელები დარწმუნებული არიან, რომ სტაბილურობის შესანარჩუნებლად აუცილებელია ქვეშევრდომთა და თავად ხელმწიფის ზნეობრიობის მაღალი დონე. ამან ჩამოაყალიბა ინდოელი პოლიტიკოსის სრულიად საოცარი სახე — რომანტიკოსისა, რომელიც მოქალაქეთა კეთილდღეობისთვის თავდადებით იღწვის. ამგვარი სახის იდეალური მატარებელია დიდი მ. განდი, რომლის შესახებაც ა. აინშტაინმა თქვა: „მომავალი თაობები ალბათ არ დაიჯერებენ, რომ ისეთი ადამიანი, როგორიც იყო ის, დადიოდა მიწაზე და შექმნილი იყო სისხლისა და ხორცისაგან“ თავად მ. განდი ამბობდა, რომ მისი მთავარი სურვილი იყო „ყველას თვალზე ცრემლები შეეშრო“.

მ. განდის ტრადიცია გამუდმებულ „ზეწოლას ახდენს“ ინდოელ პოლიტიკოსებზე, მის მიმდევრებსა და მემკვიდრეებზე, აძლევს რა მათ პოლიტიკაში ზნეობრივი სისუფთავის უმაღლეს მაგალითს.

თუმცა ესოდენ მაღალი მორალური პრინციპები და ჩაღრმავებული თვითჭვრეტა კარგია პოეტებისა და მეცნიერებისათვის და არა ბიზნესმენებისათვის. ინდურმა ცივილიზაციამ მსოფლიოს შესანიშნავი მეცნიერები და პროგრამისტები მისცა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი არ აძლევს ბიზნესმენებს საკმარის მოტივაციას მკაცრ და ხშირად უზნეო კონკურენტულ ბრძოლაში.

2. ქვეყნის მოსახლეობა. 2000 წლის დამდეგისათვის ინდოეთის მოსახლეობამ *მილიარდიან ზღვარს გადააბიჯა*. ბოლო ნახევარსაუკუნოვანი პერიოდის განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობა 600 მლნ. ადამიანით გაიზარდა, რაც მთელი ევროპის მოსახლეობის ნამატის 4/5 შეადგინა იმავე პერიოდისთვის. თუკი ოჯახები 2-3 ბავშვით დროთა განმავლობაში ნორმა გახდა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი,

კორეა, ტაილანდი და შრი-ლანკა, ინდონეთში ეს მაჩვენებელი 3-4 ბავშვს შეადგენს. შობადობაზე კონტროლის ინდური პროგრამის ჩავარდნის ძირითად მიზეზად სპეციალისტები მოსახლეობის წიგნიერების დაბალ დონეს (სულ დაახლოებით 50%) მიიჩნევენ. ამასთან, ეს მაჩვენებელი ქალთა მოსახლეობის მოზარდ ნაწილს შორის მხოლოდ 30%-ის ტოლია, მაშინ როცა სხვა აზიურ ქვეყნებში ეს ციფრი 70%-მდე აღწევს. გაეროს მიერ მიღებული წიგნიერების ინდექსის მიხედვით, ინდოეთს მსოფლიოში 138-ე ადგილი უკავია. ოჯახის ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკვლევები ცხადად გვიჩვენებს, რომ ოჯახში, სადაც ქალმა საშუალო ან უმაღლესი განათლება მიიღო, როგორც წესი, 2-3 ბავშვით ნაკლებია, ვიდრე ოჯახებში, სადაც ცოლი უწიგნურია, ამასთან ბავშვთა სიკვდილიანობის დონე ამ უკანასკნელებში 3-ჯერ მაღალია. შობადობის კონტროლის პროგრამის საფუძვლად მიღებულ იქნა შვილოსნობის ასაკის მქონე ქალთა სტერილიზაცია, ქალთა მოსახლეობის მეოთხედს კი წარმოდგენაც არ ჰქონდა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებზე, რამაც მთლიანობაში პროგრამის ჩავარდნა განაპირობა. უახლოეს პერიოდში ქმედითი ზომების მიუღებლობა, შობადობაზე კონტროლის დაწესებასთან დაკავშირებით, მიგვიყვანს იქამდე, რომ 2040 წელს ქვეყნის მოსახლეობა 1,6 მლრდ ადამიანს მიაღწევს. ინდოეთი ამ მაჩვენებლების მიხედვით გაუსწრებს ჩინეთს და იქცევა ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ სახელმწიფოდ დედამიწაზე.

3. სახელმწიფო მოწყობა. ინდოეთი ფედერალური რესპუბლიკაა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის შემადგენლობაში. წარსულში, 200 წლის განმავლობაში, ინდოეთი დიდი ბრიტანეთის კოლონია იყო. 1947 წლის 15 აგვისტოს ქვეყანაში დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ხოლო 1950 წელს ამჟამად მოქმედი კონსტიტუცია მიიღეს. რესპუბლიკის შემადგენლობაში 25 შტატია. თითოეული მათგანის სათავეში პრეზიდენტის მიერ დანიშნული გუბერნატორი

დგას. თითოეულ შტატს თავისი საკანონმდებლო კრება და მთავრობა ჰყავს. სახელმწიფოს მეთაური — ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტია. პრეზიდენტის არჩევა ხელახლა მრავალჯერ შეიძლება და იგი უფლებამოსილია დაითხოვოს შტატების საკანონმდებლო კრებები, გადააყენოს შტატების მთავრობები და ა.შ., შემოიღოს საპრეზიდენტო მმართველობა. *საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტს და პარლამენტს, რომელიც ორი პალატისგან შედგება:* შტატების საბჭოსაგან (250 წევრი) და სახალხო პალატისაგან (545 დეპუტატი). მთავრობა ყალიბდება საპარლამენტო უმრავლესობით და პასუხისმგებელია სახალხო პალატის წინაშე.

4. ინდოეთის ეკონომიკა. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების რიგი მაჩვენებლების მიხედვით ინდოეთი მსოფლიოს ქვეყნების პირველ ათეულში შედის. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ქვეყანამ მნიშვნელოვნად წაიწია წინ ეკონომიკური განვითარების გზაზე. შეიქმნა მძლავრი ინდუსტრიული ბაზა და დაგროვდა სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, რომელიც უმეტესად მოწინავე მსოფლიო დონეს პასუხობს.

ინდოეთი აგრარულ-სამრეწველო ქვეყანაა. სოფლის მეურნეობა მშპ-ის 31%-ს იძლევა, მრეწველობა — 27%-ს, მომსახურება და საზოგადოებრივი სექტორი მშპ-ის 41%-ს აწარმოებს.

ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი — 76% — სოფლებში ცხოვრობს, წიგნიერება — 52%-ია, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — 62 წელი. საშუალო კლასი, ინდური გაგებით,. დაახლოებით 300 მლნ კაცს შეადგენს.

მსოფლიოში ჩაის, ხილის, რძის და მაქრის წარმოებით ქვეყანას პირველი ადგილი უკავია, მეორე — ხორბლის, ბრინჯის, ბოსტნეულის და თამბაქოს მოსავლით, ასევე — სამეცნიერო-ტექნიკური კადრების რაოდენობით, რომლებიც 3700 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საკონსტრუქტორო ბიუროსა და ლაბორატორიაში მუშაობენ. ინდოეთში შეიქმნა

სუპერკომპიუტერი „პარამ-1000“, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრია. ქვეყანა სამოქალაქო და სამხედრო რაკეტამატარებლების ფართო სპექტრს აწარმოებს, მთავრდება მსოფლიოში სიმძლავრის მიხედვით მეოთხე მატარებლის შემუშავება.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ: ნავთობი — 33 მლნ. ტ (ამასთან, 35 მლნ. ტ-ის იმპორტირება ხდება), ფოლადი — 22,7 მლნ. ტ., ნახშირი — 308 მლნ. ტ., რკინის მადანი — 60 მლნ. ტ., ალუმინი — 518 ათასი ტ., სპილენძი — 45,3 ათასი ტ., ცემენტი — 83 მლნ. ტ., რკინიგზის ვაგონები — 19 ათასი ცალი, სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორები — 203 ათასი ცალი, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილები — 217 და 404,6 ათასი ცალი, ბამბის ქსოვილები — 21 მლრდ. მ., ჩაი — 838 ათასი ტ. (ექსპორტირებულია — 178 ათასი ტ.), ყავა — 228 ათასი ტ., მარცვლეული — 193 მლნ. ტ. (მათ შორის, ბრინჯი — 82 მლნ. ტ. და ხორბალი — 66 მლნ. ტ.), რძე — 73 მლნ. ტ., ხილი — 42 მლნ. ტ., შაქარი — 15 მლნ. ტ., ხახვი — 6 მლნ. ტ.

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲠᲔᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲑᲠᲣᲜᲕᲐ 86 მლრდ. დოლარია, ექსპორტი და იმპორტი — შესაბამისად, 35 და 51 მლრდ. დოლ. ძვირფასი ქვები და საიუველირო ნაწარმი, მანქანები და მოწყობილობა, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ნედლეული, სასურსათო და საფეიქრო საქონელი, ლითონნაკეთობანი ინდური ექსპორტის საფუძველს წარმოადგენს. იმპორტის წამყვანი მუხლები კი — ნავთობი (7,5 მლრდ. დოლ.) და ნავთობპროდუქტები, ოქრო (7 მლრდ. დოლ.), მანქანები და მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები, შავი და ფერადი ლითონები, ელექტრონიკა, სასუქი. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია: აშშ, იაპონია, გფრ, დიდი ბრიტანეთი, სამხრეთი კორეა, საფრანგეთი და რუსეთი. 1999 წლის აგვისტოდან ინდური ექსპორტის ზრდა ორნიშნა ციფრით აღინიშნება.

ინდოეთი სოციალისტური გზით დიდხანს ვითარდებოდა. ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორი ძალიან ძლიერი

იყო. ტარდებოდა ქვეყნის საგარეოეკონომიკური კავშირებისგან დამოუკიდებლობის კურსი, ავტარქია. ექსპორტი, იმპორტი და ვაჭრობა იზღუდებოდა მაღალი ტარიფებით, ასევე კვოტებით და სხვა არასატარიფო ბარიერებით.

90-იანი წლების *ინდოელი რეფორმატორი* ნ. რაო გახდა. იგი ინდოეთს 1991 წელს, რაჯივ განდის მკვლელობის შემდეგ, ჩაუდგა სათავეში. ქვეყანაში რეფორმები დაიწყო — მიმდინარეობდა ეკონომიკის ლიბერალიზაცია, რომელიც მსოფლიო სამეურნეო კავშირებში ინდოეთის ინტეგრაციისკენ იყო მიმართული. კერძო კაპიტალისთვის გაიხსნა დარგები, რომლებიც ადრე სახელმწიფო სექტორის მიერ იყო დარეზერვებული. იმპორტული საქონლისთვის თანდათანობით საბაჟო ბარიერები მცირდებოდა. ინდოეთმა 2003 წლამდე სრული უარი გამოაცხადა იმპორტის რაოდენობრივ შეზღუდვაზე, რაც WTO-ში მისი ვალდებულებებით იყო განპირობებული.

ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში, მთავრობის მნიშვნელოვანი ინიციატივებით მოხდა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება დიდი ენერგეტიკული პროექტების რეალიზაციის საკითხში. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კერძო კაპიტალის მოზიდვით ხუთი უმნიშვნელოვანესი აეროპორტის მოდერნიზაციის შესახებ და გეგმა — საავტომობილო გზების ქსელის განვითარებაზე, რომელიც ე. წ. „ოქროს ოთხკუთხედის“ აგებას ითვალისწინებს; მან თანამედროვე ავტომაგისტრალებით ქვეყნის ოთხი ძირითადი მეგაპოლისი — დელი, ბომბეი, მადრასი და კალკუტა — უნდა დააკავშიროს.

1998 წლიდან 340 ჯგუფის საიმპორტო საქონელზე მოიხსნა შეზღუდვები წარმოების საშუალებების ნომენკლატურა გაფართოვდა, რადგან ისინი ბაჟის გადახდისგან გათავისუფლდა; „საგადასახადო არდადეგების“ პერიოდი 10 წლამდე გაიზარდა იმ ზონებისათვის, რომლებიც ექსპორტზე იყო ორიენტირებული. აშშ-სა და ინდოეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ინდოეთმა უნდა

გახსნას თავისი შიდა ბაზარი ამერიკული პროდუქციის ექსპორტისათვის.

ინდოეთის ეკონომიკაში უცხოური კომპანიების მიერ *ინვესტირების პროცედურის ლიბერალიზება* მნიშვნელოვნად მოხერხდა. კერძოდ, ინვესტიციები 15 მლრდ. რუპიას ოდენობით ენერგეტიკულ პროექტებში, გზების, გვირაბების, პორტების, ხიდების მშენებლობა მთავრობის მიერ ავტომატურადაა მოწონებული.

ინდოეთში ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სახელმწიფო წილის თანდათანობითი შემცირება მრეწველობის რიგ დარგებში სახელმწიფო საწარმოთა *სრული ან ნაწილობრივი პრივატიზაციის გზით*, მათი საქმიანობის ეფექტიანობის გასაზრდელად და ბიუჯეტში დამატებითი ფინანსური საშუალებების მისაღებად. ნავარაუდებია, უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფოს წილი სახელმწიფო საწარმოთა ბალანსში თანდათანობით 23%-მდე შემცირდეს. ამასთან, სახელმწიფო წილის კლება იმ საწარმოთა ბალანსში, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, გათვალისწინებული არაა. სახელმწიფო სექტორის საწარმოებს წამყვანი პოზიციები უკავია ეკონომიკის ისეთ საკვანძო დარგებში, როგორიცაა თავდაცვითი მრეწველობა, ენერგეტიკა, ნავთობ-გაზმოპოვება და გადამუშავება, ნახშირის და სამთომომპოვებელი მრეწველობა, სარკინიგზო, საზღვაო და ავიატრანსპორტი, გაფშირგაბმულობა და მეტალურგია. მსუბუქ, კვების და სამედიცინო მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მანქანათმშენებლობის რიგ დარგებში, მშენებლობასა და მომსახურების სფეროში კერძო სექტორის საწარმოები უპირატეს როლს ასრულებენ. *კერძო სექტორის საწარმოთა წვლილი მშპ-ის საერთო მოცულობაში დაახლოებით 75%-ია* მცირე ბიზნესის საწარმოთა მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების გათვალისწინებით ინდოეთის მთავრობამ გამოყო ეკონომიკის რიგი დარგები, რომელთა განვითარებასაც *პრიორიტე-*

ტული მნიშვნელობა ენიჭება. მათ მიეკუთვნება ენერგეტიკა, შავი და ფერადი მეტალურგია, ნავთობმოპოვება და ნავთობგადამუშავება, ცემენტის და სასუქის წარმოება, ხიდების და გზების მშენებლობა, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის განვითარება, ტელესაკომუნიკაციო ქსელის განვითარება.

2002-2007 წლებში ინდოეთის ეკონომიკა შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა. ინდოეთის საერთო ფართობი — 3287263 კვ. კმ; სახნავი მიწების წილი %-ობით საერთო ფართობისადმი — 54%; მოსახლეობა — 1081,2 მლნ. ადამიანი; სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა: მამაკაცების — 63,2 წელიწადს, ქალთა — 66,7 წელიწადს; მოზრდილი მოსახლეობის წიგნიერება — 61,0%, ქალაქად მცხოვრები მოსახლეობა — 28,7%. ყოველ 1000 მცხოვრებზე შობადობის საერთო კოეფიციენტი შეადგენდა 23,8-ს, სიკვდილიანობის კოეფიციენტი — 8,3-ს. ქვეყნის მშპ (2007 წ.) შეადგენდა 691 მილიარდ აშშ დოლარს; რეალური მშპ საშუალო წლიური ზრდა 1992-2004 წლებში — 6,1%; მშპ მოსახლეობის ერთ სულზე — 640 აშშ დოლარი. საზოგადოების განვითარების ინდექსი — 60,2. 2003 წელს ინდოეთის მშპ-ს საერთო მოცულობიდან სოფლის მეურნეობის წილად მოდიოდა 23,3%, მრეწველობის წილად — 26,2%, მათ შორის გადამამუშავებელი მრეწველობის წილად — 15,4%, მომსახურეობის სფეროს წილად კი — 50,5%. მომუშავეთა რაოდენობა შეადგენდა: სოფლის მეურნეობაში 67%, მრეწველობაში — 12%, მომსახურების სფეროში — 21%. ჯანდაცვაზე და განათლებაზე ქვეყანა შესაბამისად ხარჯავდა მშპ-ს 5,1%-ს და 4,1%-ს. კომპიუტერების რაოდენობა ყოველ 100 ადამიანზე — 0,7. ამ მონაცემებით დასტურდება, თუ როგორ ღარიბად გამოიყურება ეს უმდიდრესი ქვეყანა.

ინდოეთის ბუნებრივი და ცივილიზაციური პოტენციალი ძალიან დიდია, მაგრამ ინდური მენტალიტეტი ცუდად ესადაგება თანამედროვე ბიზნესს. ინდოეთი, რესურსების მიხედვით, ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყანად რჩება ძალიან ღარიბი მოსახლეობით.

ლათინოამერიკული ქვეყნების ეკონომიკა. ლათინური ამერიკა სამხრეთი და ცენტრალური ამერიკის გიგანტურ ტერიტორიებზე მდებარეობს. მას ლათინური უწოდეს იმიტომ, რომ მოსახლეობა ძირითადად პორტუგალიურ (ბრაზილია) და ესპანურ (სხვა დანარჩენი ქვეყნები) ენებზე ლაპარაკობს. ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანა ესპანეთის და პორტუგალიის (ბრაზილია) კოლონიები იყო. თუმცა ძირითადი ლათინოამერიკული ერები და სახელმწიფოები ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამდეგს ჩამოყალიბდნენ. ძველი მეტროპოლიების გავლენა მათ კულტურასა და ეკონომიკაზე შენარჩუნებულია და ძლიერდება კიდევაც. იბერიის ნახევარკუნძულზე მდებარე ქვეყანა-მეზობლები — ესპანეთი და პორტუგალია — ენით და მენტალიტეტით ძალიან ახლოსაა. ამიტომ ყველა ლათინოამერიკული ერი იბერიული კულტურის ერთობით და იქ არსებული კათოლიკური რელიგიის უცილობელი ავტორიტეტითაა გაერთიანებული.

ლათინოამერიკული ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ბუნებრივი რესურსების და მიწის სიჭარბე შრომისა და კაპიტალის მიმართ. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის აიქ-ებისგან ისინი სწორედ ამით განსხვავდებიან. ლათინური ამერიკის უმეტესი ქვეყანა სასარგებლო წიაღისეულით ძალიან მდიდარია. იქ არის რკინის მადნები, სპილენძი, ტყვია, ქალა, თუთია, ურანი, ბოქსიტები, ნახშირი, ნავთობი, ბუნებრივი გაზი, ოქრო, ალმასი და ა.შ. ამიტომ ამ ქვეყნების ეკონომიკათა თავდაპირველი ორიენტაცია სასარგებლო წიაღისეულის და ენერგომატარებლების ექსპორტი იყო. მაგალითად, არცთუ შორეულ წარსულში ჩილეს და ვენესუელას ექსპორტის 80%-მდე სპილენძი და ნავთობი იყო. მათი ეკონომიკების ასეთი მიმართულება, თუმცა ნაკლები ხარისხით, შენარჩუნებულია დღემდე. მაგალითად, 2000 წელს სპილენძი ექსპორტში 40%-ს შეადგენდა.

ლათინური ამერიკა შესანიშნავი მიწების უზარმაზარი მარაგსა და სრულიად ფენომენალურ ეკოლოგიურ რესურ-

სებს ფლობს. ამაზონის ტყეები მთელი კაცობრიობისათვის უზარმაზარი ფასეულობაა. ისინი ძირითადად ბრაზილიის ტერიტორიაზეა და დედამიწის ატმოსფეროსთვის ჟანგბადის დიდ ნაწილს იძლევა. სხვათა შორის, თუკი შევაფასებთ არა მთელ ტერიტორიას, არამედ მხოლოდ მის ეფექტიან ნაწილს, გამოვრიცხავთ რა იმ ექსტრემალურ სივრცეებს, რომლებიც ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოსადეგი არაა, მაშინ ბრაზილია მსოფლიოში პირველ ადგილზე გამოვა. ტერიტორიათა ეფექტიანობის თვალსაზრისით, პირველი ათი ქვეყნის ჩამონათვალში იქნებიან: ბრაზილია (8,05 მლნ კვ. კმ.), აშშ (8,00), ავსტრალია (7,68), ჩინეთი (5,95), რუსეთი (5,51), კანადა (3,64), ინდოეთი (2,90), ყაზახეთი (2,62), სუდანი (2,49), არგენტინა (2,45). როგორც ვხედავთ, სიაში ორი ლათინოამერიკული ქვეყანაა, რუსეთი კი ზეგიგანტად აღარ გამოიყურება და, ეფექტიანი ტერიტორიების მიხედვით, მოკრძალებული მეხუთე ადგილი უკავია.

რეგიონის უმრავლეს ქვეყანაში 1930 წლიდან 1980 წლის ბოლომდე ხელისუფლებათა სათავეში სხვადასხვა სამხედრო ხუნტა იყო (ხუნტა — ეს სალანძღავი სიტყვა არ არის, როგორც უკვე მივეჩვიეთ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ „კომიტეტი“). საერთოდ, მკაცრი ადმინისტრაციული მეთოდების მიმართ მიდრეკილი სამხედროები ქვეყანაში სახელმწიფო „დირიჟორის“ და პროტექციონიზმის პოლიტიკას ატარებდნენ. ამ პერიოდში უმეტესი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი იყო იმპორტშემცვლელი ინდუსტრიალიზაციის მოდელი. მის ჩარჩოებში ძირითადი ყურადღება ექცეოდა წარმოების ზრდას მძიმე მრეწველობაში, იზრდებოდა ნედლეულის ექსპორტი, ხორციელდებოდა სამამულო მწარმოებლების მკაცრი პროტექციონისტული დაცვა. ვერ ვიტყვით, რომ ამგვარი მოდელი არაეფექტიანი იყო — 50-70-იან წლებში მშპ-ის ზრდამ წელიწადში საშუალოდ 5-6% შეადგინა. თუმცა ინვესტირება უმეტესად საგარეო ვალის ზრდის ხარჯზე მიმდინარეობდა. ვალი 1975 წლიდან 1982 წლის ჩათვლით 4-ჯერ გაიზარდა და 176 მლრდ. დოლარს მიაღ-

წია. ელვის სისწრაფით გლობალიზაციისკენ მიმავალ მსოფლიოში „დახურული“ ეკონომიკური მოდელები მუშაობას წყვეტენ. მათ თავისუფლად გადაადგილებული კაპიტალი ანგრევს. ლათინოამერიკული ქვეყნები სწორედ კაპიტალის გაქცევის გამო გახდა იძულებული გადასულიყო ლიბერალურ რეფორმებზე.

ამ მიმართულებით ჩატარდა ცნობილი ჩილეს ეკონომიკური ექსპერიმენტი „სისხლიანი დიქტატორის“, ლიბერალურად განწყობილი გენერალის ა. პინოჩეტის (გარდაიცვალა 2006 წლის ბოლოს) ხელმძღვანელობით. მ. ტეტჩერის და რ. რეიგანის „დიდი ნეოკონსერვატიული რევოლუციის“ დასაწყისი სწორედ ეს ექსპერიმენტი გახდა. პინოჩეტის მიერ მიზიდულმა ჩიკაგოს ასპირანტურის ჩილელმა კურსდამთავრებულებმა („ჩიკაგოელმა ბიჭებმა“) ლიბერალური ზომების მთელი სტანდარტული ნაკრები მტკიცედ პირველად გამოიყენეს. (ცხრილი 13.2.)

ეკონომიკური მოდელი და ეკონომიკის მდგომარეობა. ლათინოამერიკული მოდელის ძირითადი ნიშნები შემდეგში მდგომარეობს:

1. *ინვესტიციებისთვის* უმრავლესი ქვეყნის *ეკონომიკა ღია გახდა.*

2. ლათინოამერიკული ქვეყნების *საგარეო ეკონომიკური მოდელი* ბევრად უფრო გახსნილი გახდა, რის შედეგადაც ლათინური ამერიკის წილი მსოფლიო ექსპორტში 90-იან წლებში წელიწადში საშუალოდ 5%-ით იზრდებოდა, ხოლო თავად ექსპორტი — 9%-ით, რაც მშპ-ის ზრდის ტემპებს მნიშვნელოვნად უსწრებდა. საყურადღებოა, რომ ექსპორტში მანქანების და მოწყობილობების წილი მუდმივად იზრდება, ხოლო ნედლეულის წილი მცირდება. ექსპორტის 70% განვითარებულ ქვეყნებზე მოდის, ამასთან 50% — აშშ-ზე.

3. კონტინენტზე, რომელსაც ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფო სექტორი აქვს, 90-იან წლებში *პრივატიზაციის* ტალღამ გადაიარა. მან ჯერ ჩილე, 90-იანი წლების ბოლოს მექსიკა გაიარა და დასრულდა ბრაზილიაში.

ცხრილი 13.2.

ლათინური ამერიკის ქვეყნების ძირითადი მახასიათებლები (2002-2007 წწ.)

ქვეყანა	მოსახლეობა, მლნ ადამ.	ტერიტორია, კმ²	მშპ, მლრდ დოლ.	რეალური მშპ საშუალო წლიური ზრდა 1994-2004 წლებში, %	მშპ მოსახ. ერთ სულზე, დოლ.	საშუალო წლიური ინფლაცია 2000-2005, %	საზოგადოების განვითარების ინდექსი	მშპ მოსახლ. ერთეულზე, მეკ გათვალისწინებით (აშშ=100)
არგენტინა	37.8	2766889	153	1.1	3930	10.1	86.3	33.5
ბრაზილია	184.2	8511965	604	2.4	3340	8.7	79.2	20.7
მექსიკა	103.8	1972545	677	2.7	6450	4.9	81.4	24.7
ჩილე	20.6	756945	94.1	4.7	5880	2.6	85.4	27.4
კოლუმბია	41.8	1141748	97.7	2.1	2180	6.5	78.5	18.3
ვენესუელა	25.1	912050	110	1.0	4200	20.6	77.2	15.2

4. „ბრეიდის გეგმის“ შესაბამისად, მრავალი ლათინოამერიკული ქვეყნის საგარეო ვალი რესტრუქტურიზებულ იქნა. ამის შედეგად, იგი საშუალოდ 55%-ზე მეტად შემცირდა.

5. საუკუნის ბოლოს ლათინოამერიკული ქვეყნებისათვის *სახელმწიფო ბიუჯეტის შედარებით მცირე დეფიციტი* (მშპ-ის დაახლოებით 2%) და ზომიერი ინფლაციაა დამახასიათებელი — 10%-მდე, რომელიც თანდათან მცირდება.

6. ლათინოამერიკულ ქვეყნებში *თავდაცვაზე მცირე დანახარჯები მოდის*. ეს მაჩვენებელი ბევრად ნაკლებია, ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში.

7. ლათინურ ამერიკაში *ინტეგრაციული პროცესები* ძალას იკრებს. მექსიკა NAFTA-ს წევრია (თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოამერიკული ასოციაცია), ხოლო ბრაზილია, არგენტინა, ურუგვაი და პარაგვაი სამხრეთ ამერიკის ქვეყ-

ნების საერთო ბაზრად გაერთიანდა — MERCOSUR. ჩილე მისი ასოცირებული წევრია.

ამ ქვეყნების უმეტესობა სამრეწველო-აგრარული ან აგრარულ-სამრეწველოა.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია — ხორბალი, სიმინდი, ყავა, ბამბა და შაქრის ლერწამი. ჩილეში განვითარებულია მეთევზეობა, ხოლო ბრაზილიაში — სატყეო მეურნეობა.

განვითარებულია მეტალურგია, ქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და ავტომშენებლობა (არგენტინა და ბრაზილია), ელექტრონიკა (მექსიკა), საფეიქრო და კვების მრეწველობა. ბრაზილია საკუთარ აეროკოსმოსურ მრეწველობას ავითარებს. მთლიანად მრეწველობაში ტექნოლოგიური დონე დაბალია. მეცნიერებატევად წარმოებას ჯერჯერობით მცირე ხვედრითი წონა აქვს.

მომსახურების სფეროში ყველაზე მეტად ტურიზმი ვითარდება, მექსიკასა და ბრაზილიაში კი — ფინანსური მომსახურება. მეხიკოსა და სან-პაულოს ბირჟები რეგიონში წამყვანია.

განვითარების ტენდენციები. ლათინური ამერიკის ქვეყნებს პრაქტიკულად ყველაფერი აქვთ წარმატებული განვითარებისთვის. მათ აქვთ შესანიშნავი ბუნებრივი რესურსები, ხოლო მათი ეკონომიკური მოდელები და ინსტიტუტები მეგაეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებს შეესაბამება. თუმცა ცივილიზაციური რესურსები, რომელთაც საფუძვლად უდევს ორთოდოქსული კათოლიციზმი, საკმარის სტიმულს არ იძლევა სამეწარმეო საქმიანობისთვის. ლათინურ ამერიკაში კვლავ ჭარბობს სოციალური უთანაბრობა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე შემზარავია და კონტინენტის ქვეყნების ეკონომიკური ზრდისთვის ძირითადი დაბრკოლებაა.

მსოფლიო ბანკის ექსპერტები ლათინური ამერიკის მთავრობებს დაჟინებით ურჩევენ გაატარონ ე. წ. სოციალური პასუხისმგებლობის ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის გა-

რეშეც ამ ძალიან პერსპექტიულ რეგიონს გაუჭირდება სტაბილურობის და ეკონომიკური აყვავების მიღწევა.

ამჟამად ეკონომიკური განვითარების შემდეგი ტენდენციები იკვეთება:

1. რეგიონული ინტეგრაციის შემდგომი გაღრმავება.

2. მნიშვნელოვნად ძლიერდება აშშ-ის გავლენა, განსაკუთრებით ფინანსურ სფეროში.

3. აიჟ-ებისა და რეგიონის სხვა ქვეყნებს შორის განხეთქილების ზრდა გრძელდება. საკმაოდ არახელსაყრელი მდგომარეობა ჩამოყალიბდა პერუსა და ვენესუელაში, რომლებიც ოდესღაც ლათინური ამერიკის ყველაზე მდიდარი ქვეყნები იყო. იქ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი ბოლო ოცი წლის განმავლობაში მცირდებოდა. ეკვადორში პოლიტიკურ პარტიებს შორის გაუთავებელი დავა მთავრობას საშუალებას არ აძლევს მძაფრი ეკონომიკური პრობლემები გადაჭრას. კოლუმბიის პრობლემები კი კონტინენტის არც ერთი ქვეყნის პრობლემებს არ შეედრება.

4. რეგიონის წამყვან ქვეყნებში უცხოელი ინვესტორები აგრძელებენ ფულის დაბანდებას.

ძნელია მოიძებნოს ეკონომიკური განვითარებისთვის, ბუნებრივი რესურსების მიხედვით, იმაზე უფრო ხელსაყრელი რეგიონი, ვიდრე ლათინური ამერიკაა. დღეს რეგიონის მოწინავე ქვეყნებში ლიბერალური ეკონომიკური მოდელები დამკვიდრდა. თუმცა ისინი ორთოდოქსულ კათოლიციზმზე დაფუძნებულ ცივილიზაციურ ფასეულობებს ცუდად ეხამება. ეს ხელს უშლის რეგიონის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას.

ბრაზილია ცდილობს რეგიონული ლიდერი გახდეს და წინ აღუდგეს აშშ-ის მზარდ გავლენას. პერსპექტივაში, როგორც ჩანს, მექსიკა ამერიკული გავლენის ზონად დარჩება, ხოლო სამხრეთი ამერიკა შეიძლება გაერთიანდეს ერთიან, მძლავრ საერთო ბაზრად და EU-ის გზით განვითარდეს.

ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკა. ამ რეგიონში აერთიანებენ ჩრდილო აფრიკის და დასავლეთ აზიის არაბულ ქვეყნებს, აგრეთვე — მუსლიმანურ თურქეთს

და ირანს. შორეულ წარსულში რეგიონის ტერიტორიაზე ეგვიპტის და შუამდინარეთის ცივილიზაცია ვითარდებოდა (თანამედროვე ერაყი). და ეს შემთხვევითი როდია. აქ არის ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესანიშნავი შეხამება, რაც არა მარტო სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის იყო სტიმული, არამედ ფილოსოფიურ-რელიგიური იდეებისთვისაც. ტყუილად კი არ იყო ეგვიპტე ათასწლეულების განმავლობაში ძველი მსოფლიოს აკვანი, ხოლო ახლო აღმოსავლეთი სამი უმნიშვნელოვანესი რელიგიის — ქრისტიანობის, მუსლიმანობის და იუდაიზმის — სამშობლო გახდა.

ამჟამად ამ ნაყოფიერ მიწებზე ძირითადად მუსლიმანური ხალხები სახლობენ. ამ რეგიონის სპეციფიკა ნავთობის უმდიდრეს მარაგშია. არაბული ქვეყნების უმეტესობის ეკონომიკაც სწორედ მათზეა დაფუძნებული. ერაყი და ირანი, გარდა ენერგორესურსებისა, მინერალური ნედლეულითაცაა უზრუნველყოფილი, მაგრამ „ალაჰის მთავარი წყალობა" მთელი რეგიონისთვის — ეს, რა თქმა უნდა, ნავთობია.

რეგიონში ნავთობის სარწმუნო მარაგების წილი მსოფლიოს 65%-ს აჭარბებს. ერაყის, ქუვეითის და არაბთა გაერთიანებული საემიროების პროგნოზული მარაგები თითოეულისთვის 100 მლრდ. ტ-ს შეადგენს. მათ ცოტათი ჩამორჩება საუდის არაბეთი (80 მლრდ. ტ) და ირანი (70 მლრდ. ტ.). შედარებისთვის გეტყვით, რომ ნავთობის ყოველწლიური მსოფლიო მოპოვება 4 მლრდ. ტ-ზე ნაკლებია. ახლა რეგიონის ქვეყნებში ყოველწლიურად 1 მლრდ. ტ-ზე მეტი მოიპოვება. რეგიონი ნავთობის მსოფლიო ექსპორტის 50%-ს უზრუნველყოფს.

მნიშვნელობის მიხედვით რეგიონის მეორე ბუნებრივი რესურსი გაზია. 144 ტრლნ. $მ^3$ დაზვერილი მარაგებიდან რეგიონის ქვეყნებზე დაახლოებით 50 ტრლნ. $მ^3$ მოდის. გაზის უზარმაზარ მარაგს მხოლოდ რუსეთი ფლობს. რეგიონი იძლევა მსოფლიო მოპოვების 6%-ს და თხევადი გაზის მსოფლიო ექსპორტის დაახლოებით 7%-ს.

ირანსა და ერაყში, გარდა ენერგორესურსებისა, რკინის მადნის და ზოგიერთი ფერადი ლითონის მდიდარი საბადოებია.

მუსლიმანური სამყაროს ცივილიზაციურ რესურსებს შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები აქვს.

1. სიტყვასიტყვით „ისლამი“ ითარგმნება, როგორც „თავის მიძღვნა ღმერთისთვის“, „მორჩილება“. ერთიანი ღმერთის იდეა და მორჩილების პრინციპი უჩვენებს ადამიანს მის საკმაოდ მოკრძალებულ ადგილს მსოფლიოში. მუსლიმანური რელიგია, ქრისტიანულისგან განსხვავებით, არ შეიცავს იდეას, რომ ადამიანი ღმერთის მსგავსია, იგი გამარჯვებულის და ბატონის ფსიქოლოგიისგან იცავს ადამიანს. თუკი ძველ აღთქმაში ადამი თავად არქმევს სახელებს საგნებსა და ცხოველებს, და ღმერთი ნებას რთავს ადამიანს იმოქმედოს, როგორც შემოქმედებითმა პიროვნებამ, ყურანში ალაჰი თვითონ არქმევს საგნებს სახელებს და ამას ადამიანსაც ასწავლის. *ისლამის მიხედვით, ღმერთსა და ადამიანს შორის უზარმაზარი დისტანციაა. მუსლიმანი თავის სურვილებს ალაჰის ბუნებით დადგენილი წესებით უნდა ზღუდავდეს.* ასეთი ცივილიზაციური წესი განსაზღვრულ საზოგადოებრივ დისციპლინას ქმნის, რაც *მუსლიმანური ქვეყნების ხელისუფალთ საშუალებას აძლევს განახორციელონ ეკონომიკური პოლიტიკის ფართო სპექტრი, ისე რომ სოციალური დაძაბულობის არ ეშინოდეთ.*

სახელმწიფო ხელისუფლება მართლმორწმუნე მუსლიმანისთვის *წმიდათაწმიდაა.* იდეალში, მუსლიმანურ სახელმწიფოებში სახელმწიფო ხელისუფლება უნდა ემთხვეოდეს რელიგიურს. სწორედ ამ სქემით შეიქმნა პირველი არაბული ხალიფატები. რეგიონის უმრავლესი ქვეყნის ეკონომიკურ მოდელებზე ეს ტრადიცია სერიოზულ გავლენს ახდენს. მუსლიმანი ხალხები ცივილიზაციურად ორიენტირებული არიან ერთიან უზენაეს ხელისუფლებაზე. ამიტომ ფორმით რესპუბლიკური სახელმწიფოებიც კი, ისეთები, როგორიცაა სი-

რია და ერაყი, თავისი არსით ბევრი არაფრით განსხვავდება მონარქიებისაგან. ამ ქვეყნებში ხელისუფლება გადაეცემოდა პრაქტიკულად დინასტიური პრინციპის მიხედვით.

მუსლიმანური რელიგია შედარებით ახალგაზრდაა და სულისკვეთებით — *შემტევი.* ყურანში დასაბუთებულია *რწმენისათვის წმიდა ომის შესაძლებლობა,* თუკი იგი თავსმოხვეულია ცხოვრებისეული გარემოებებით მტრულ გარემოცვაში. „და შეებრძოლეთ მათ, სანამ მეტი ცდუნება არ იქნება, ხოლო მთელი რელიგია ალაჰის კუთვნილება გახდება", — იკითხება ყურანში. მრავალი თანამედროვე მუსლიმანი თეოლოგი მიუთითებს, რომ ყურანში ომი ახსნილია საკმაოდ ფართო გაგებით და ხშირად *იქ სულიერი ომი* იგულისხმება. თუმცა ზოგადი განწყობა რელიგიური ომის მიმართ უეჭველად ნოყიერი გარემოა ყოველგვარი მუსლიმანური ექსტრემიზმის და ტერორიზმის გამოვლინებისათვის. ზოგიერთი მუსლიმანური ქვეყნის ლიდერი თავისი აგრესიული საგარეო პოლიტიკის დასასაბუთებლად მტრული გარემოსათვის აქტიური წინააღმდეგობის გაწევის იდეას იყენებს.

მუსლიმანობას საკმაოდ ძლიერი მოტივები აქვს აქტიური ეკონომიკური საქმიანობისთვის რელიგიით განსაზღვრულ ჩარჩოებში. იგი ალაჰის მიერ ბოძებულ სიმდიდრეს და ძალაუფლებას მიესალმება. ამასთან, ისლამი გვასწავლის, რომ *საკუთარი სიმდიდრის ჩვენება სამარცხვინო არაა,* ვინაიდან ღმერთი, როცა ადამიანს კეთილდღეობას უწყალობებს, „სურს მისი კვალის დანახვა". აქედან გამომდინარეობს უჩვეულოდ, ყველას დასანახად გამოტანილი სიმდიდრე — იქნება ეს მუსლიმანი ხელისუფლების წარმომადგენელი თუ მეწარმე.

მუსლიმანური საზოგადოებისთვის დამახასიათებელია კოლექტივიზმის, ერთობის სული. სახელმწიფოებრიობასთან შეერთებით ეს რეგიონის ქვეყნებში ბადებს სოციალური და ხშირად სოციალისტური მიმართულების ეკონომიკურ მოდელებს.

რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური განვითარება ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც შეიმჩნევა ცხრილი 13.3.-ის მონაცემების ანალიზისას.

საკმაოდ ღარიბ ერაყთან ერთად, რომელმაც მთელი 90-იანი წლები ეკონომიკურ ბლოკადაში გაატარა, რაც მას ქუვეითის წინააღმდეგ აგრესიის გამო დაუწესეს, რეგიონში არსებობენ ისეთი აყვავებული ქვეყნები, როგორიცაა საუდის არაბეთი, გაერთიანებული არაბული ემირატები და ქუვეითი. ამ ქვეყნებში, რომლებიც ერთ სულ მოსახლეზე ნავთობის უზარმაზარ მარაგს ფლობენ, ცხოვრების დონე განვითარებული ქვეყნებისას უახლოვდება.

რეგიონში არის ერთი არაარაბული სახელმწიფო — *ისრაელი*, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მშპ 20 ათას დოლარამდეა და იგი განვითარებული ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება.

ცხრილი 13.3.

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ძირითადი მახასიათებლები (2002-2007 წწ.)

ქვეყანა	მოსახლეობა, მლნ ადამ.	ტერიტორია, კვ. კმ	ცხ., მკრდ დოლ.	რეალური მშპ საშუალო წლიური ზრდა 1994-2004 წლებში, %	მშპ მოსახ. ერთ სულზე, დოლ.	საშუალო წლიური ინფლაცია 2000-2005, %	საზოგადოების განვითარების ინდექსი
ალჟირი	33.3	2381741	84.6	3.8	2620	2.7	72.2
ეგვიპტე	70.0	1000250	78.8	4.7	1070	5.0	65.9
ირანი	68.7	1648000	163	4.3	2340	14.0	73.6
თურქეთი	72.1	779452	303	4.1	4190	26.9	75.0
საუდის არაბეთი	23.1	2200000	251	2.6	10060	0.1	77.2

ისრაელის და არაბული სამყაროს ურთიერთდაპირისპირება რეგიონის ყველაზე მტკივნეული წერტილია. ისრაელში ათასობითაა საქართველოდან წასული ქართველი ებრაელი, რომლებსაც მჭიდრო კავშირები აქვთ თავის „მეორე სამშობლოსთან".

რეგიონის უმეტესი ქვეყნების ეკონომიკურ მოდელებს რიგი მსგავსი ნიშნები აქვს.

1. ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორი ბარბოს. უმეტეს ქვეყანაში ძირითადი სიმდიდრე — ნავთობი და გაზი — ნაციონალიზებულია. ნავთობმოპოვებას და მის გადამუშავებას სახელმწიფო კომპანიები აწარმოებენ.

2. ქვეყნის ეკონომიკა ორიენტირებულია ენერგიაშემცველების ექსპორტზე და მასზე დიდადაა დამოკიდებული. ფაქტობრივად, რაც უფრო მეტი ნავთობი მოდის ერთ სულ მოსახლეზე, მით უკეთ ცხოვრობს ქვეყანა. ამიტომ რეგიონის პატარა ქვეყნები — გაერთიანებული არაბული ემირატები, კატარი, ქუვეითი, ომანი — ყვავის. ნავთობდოლარები ცხოვრების მაღალ დონეს უზრუნველყოფს და ხორციელდება სხვა ქვეყნებისთვის წარმოუდგენელი სოციალური პროგრამები.

3. რეგიონისათვის ხშირად დამახასიათებელია სამხედრო კონფლიქტები. გარდა მუდმივი დაძაბულობისა ისრაელსა და მის მეზობლებს შორის, არსებობს დაპირისპირება ირანსა და ერაყს შორის, სოციალური კონფლიქტები იემენში, ქურთების ამბოხებანი და ა. შ. ამითაა განპირობებული უმეტესი ქვეყნის მშპ-ში სამხედრო დანახარჯების მაღალი წილი. არაბული ქვეყნები უმნიშვნელოვანესი, ერთ-ერთი ყველაზე სწრაფადმზარდი ბაზარია იარაღის ბაზარი.

იმავდროულად ცალკეულ ქვეყნებს და რეგიონის ქვეყნების ჯგუფებს განვითარების ტენდენციებში განსაზღვრული თავისებურებები გააჩნია.

1. რეგიონის მდიდარმა პატარა ქვეყნებმა ნავთობდოლარების გამოყენებით შეძლეს ფეოდალიზმიდან პირდაპირ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში გადავლა. მაგალითად, არაბთა

გაერთიანებულ საემიროებში მომსახურების სფერო უკვე მშპ-ის 50%-ზე მეტს იძლევა. ეს ქვეყნები ზრუნავენ იმ თაობებზე, რომლებიც ნავთობის მარაგების ამოწურვის შემდეგ იცხოვრებენ. მათ განავითარეს მრეწველობის მეცნიერებატევადი დარგები და მომსახურების სფერო. აქ ტურიზმს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

2. ირანმა შექმნა ისლამური სახელმწიფოს მოდელი გამოხატული რელიგიური დომინანტით. ქვეყნის საგარეო ვაჭრობა ნაციონალიზებულია. საზოგადოებრივი სექტორი მშპ-ის 70%-ს ქმნის. სახელმწიფოს კონტროლის ქვეშაა მრეწველობის პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი დარგი, აგრეთვე — ქვეყნის ფინანსური და საბანკო სისტემა. გამოიყენება პროტექციონიზმი, სამამულო მრეწველობას კი დახმარებას უწევენ. 1997 წლიდან, პრეზიდენტ ხატამის არჩევის შემდეგ, დაისახა ეკონომიკის ლიბერალიზაციის კურსი. თუმცა ფაქტობრივად ხელისუფლება ეკუთვნის არა პრეზიდენტს, არამედ ქვეყნის სულიერ ლიდერებს, ამიტომ ლიბერალური რეფორმები ძალიან ნელა მიმდინარეობს.

3. რეგიონის უმრავლესი ქვეყნისგან განსხვავებით, თურქეთმა განვითარების საკმაოდ ლიბერალური მოდელი აირჩია. ეკონომიკასა და პოლიტიკაზე რელიგიის გავლენა იქ ნაკლებია, ვიდრე რეგიონის სხვა ქვეყნებში. სახელმწიფომ პრივატიზაცია განახორციელა და ახლა აკონტროლებს მრეწველობის მხოლოდ თავდაცვით და სტრატეგიულ დარგებს. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში აქტიურად დაიწყო. სახელმწიფოს დახმარებით სწრაფად იზრდება ექსპორტი.

4. ბევრი არაბული ქვეყანა გარდამავალ პერიოდს განიცდის. ერის „მამები“ შეცვალეს ახალგაზრდა მმართველებმა, რომლებიც თავისი პოზიციების გასამაგრებლად დიდ ყურადღებას უთმობენ ხალხის გასაჭირს; მათ არ სურთ გლობალიზაციის გზაზე მსოფლიო მოძრაობას ჩამორჩნენ, განზე დადგნენ. იორდანიის, მაროკოს, კატარის

და ბაჰრეინის მთავრობები უკვე დიდი ხანია რეორგანიზაციას შეუდგნენ. არაბთა გაერთიანებულ საემიროებსა და სირიაში კვლავინდებურად ძლიერია ოჯახური მმართველობის ტრადიცია: მოქმედი მმართველების შესაცვლელად მზად არიან შვილები. ყველაზე გაბედულად ცვლილებების გზას მაროკო და იორდანია დაადგა, მათ პოლიტიკური პლურალიზმის ტრადიცია აქვთ. ყველაზე მძიმედ რეფორმების გატარება მოხდება ავტორიტარული პოლიტიკური სისტემის მქონე ქვეყნებში, ისეთებში, როგორიცაა სირია და საუდის არაბეთი, სადაც ხელისუფლება მემკვიდრეობით გადაეცემა.

5. მმართველობის ახალმა იდეოლოგიამ ეგვიპტეზე დადებითი გავლენა მოახდინა. ქვეყანა რეფორმების გეგმაზომიერი გატარებით დაკანონიერების მიღწევით შეძლო კარგი ეკონომიკური შედეგების მიღება.

რეგიონის უმრავლესი ქვეყნის ეკონომიკა ამჟამად აგებულია ნავთობის და გაზის უმდიდრესი მარაგების გამოყენებაზე. ამ ქვეყნების ეკონომიკური მოდელები მუსლიმანური რელიგიის დიდ გავლენას განიცდის. მათი მოდელებისთვის დამახასიათებელია სახელმწიფოს დომინირებული როლი და სამხედრო მრეწველობაში სამხედრო დანახარჯების მაღალი ხვედრითი წონა. ბევრ ქვეყანაში თანდათანობით მიმდინარეობს ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესი.

აფრიკა ყველაზე სუსტად განვითარებული კონტინენტია. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს 60 ქვეყანას შორის, რომლებსაც 2003 წლისთვის ყველაზე მაღალი საზოგადოების განვითარების ინდექსი ჰქონდა (77,9-დან 94,4-მდე), აფრიკის ვერც ერთი ქვეყანა ვერ მოხვდა, ხოლო 18 ქვეყნიდან, რომლებსაც საზოგადოების განვითარების ინდექსი ყველაზე დაბალი აქვთ (27,5-დან 42,2-მდე), ყველა აფრიკის კონტინენტიდანაა. ეს ქვეყნებია: სიერა-ლეონე (ინდექსი 27,5), ნიგერია (29,2), ბურკინა-ფასო (33,0), ბურუნდი (33,7), მალი (33,7), მოზამბიკი (35,6), ეთიოპია (35,9),

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (3673), კონგო (3673), გვინეა-ბისაუ (37,3), ჩადი (37,6), ანგოლა (37,7), ზამბია (38,6), მალავი (38,7), კოტ-დივუარი (39,6), ტანზანია (40,0), ბენინი (4171), რუანდა (4272).

აფრიკული ქვეყნების ეკონომიკა. ჩრდილოეთი აფრიკის ტერიტორია უკავია წინა განყოფილებაში განხილულ არაბულ ქვეყნებს, ხოლო სამხრეთი — სამხრეთაფრიკულ რესპუბლიკას, მნიშვნელოვანი რაოდენობის თეთრი მოსახლეობითა და შედარებით მაღალი განვითარების დონით (ერთ სულ მოსახლეზე მშპ 3150 დოლარს შეადგენს). ცენტრალური (შავი) აფრიკის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკა ამ თავში მოკლედ იქნება განხილული, მნიშვნელოვნად ღარიბია.

აფრიკა სიდიდით მეორეა შვიდი კონტინენტიდან და მისი ფართობი დაახლოებით 30 მლნ კმ^2-ია, ამას ემატება მიმდებარე კუნძულები, რაც დედამიწის ზედაპირის მთელი ფართობის დაახლოები 22%-ს შეადგენს. აფრიკაში ცხოვრობს დედამიწის მთელი მოსახლეობის (დაახლოებით 650 მლნ ადამიანი) დაახლოებით 12%. ეკვატორის რაიონში განლაგებული აფრიკა გადაჭიმულია 8050 კმ-ზე, მისი ყველაზე ჩრდილო წერტილიდან — ტუნისიდან — ყველაზე სამხრეთ პუნქტამდე — სამხრეთაფრიკულ რესპუბლიკამდე (სარ). კონტინენტის მაქსიმალური სიგანე, დასავლეთში სენეგალიდან გაზომილი აღმოსავლეთით სომალიმდე დაახლოებით 7560 კმ-ის ტოლია. კონტინენტზე ყველაზე მაღალი წერტილი მუდმივად თოვლით დაფარული კილიმანჯაროა (5885 მ) ტანზანიაში. აფრიკისათვის დამახასიათებელია რეგულარული სანაპირო ხაზი. მისი საერთო სიგრძე დაახლოებით 30490 კმ-ია; აფრიკული სანაპირო ხაზის სიგრძე მის ფართობთან შეფარდებით ნაკლებია, სხვა კონტინენტებთან შედარებით.

აფრიკის მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს საჰარის სამხრეთით. ამ რეგიონში მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნების 2/3-ია განლაგებული. აღმოსავლეთ აფრიკაში შედიან ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ეთიოპია, სომალი

და უგანდა. ცენტრალური და დასავლეთი აფრიკის ხალხების შორისაა — ანგოლა, კამერუნი, განა, ნიგერია და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (ადრინდელი ზაირი). სამხრეთი აფრიკა მოიცავს ბოსტვანას, ლესოტოს, ნამიბიას და სარ-ს. აფრიკა აგრეთვე მრავალ კუნძულს მოიცავს, რომელთაგან ყველაზე დიდია მადაგასკარი, რომელიც კონტინენტის სამხრეთ-აღმოსავლეთითაა განლაგებული. აფრიკაში დაახლოებით 50 ქვეყანაა — ნიგერიდან დაწყებული (127 მლნ მოსახლეობით) პატარა რესპუბლიკებამდე, მაგალითად, როგორიცაა კომორის კუნძულები.

აფრიკა ბუნებრივი რესურსებით მდიდარია. იგი მსოფლიოში ბოქსიტების, მანგანუმის, ქრომის, კაკაოს, ჩაის და სხვა პროდუქციის და ნედლეულის უმსხვილესი მწარმოებელია. აფრიკაში ოქროს (მსოფლიო მარაგების 50%), ალმასების, სპილენძის, ბოქსიტების, მანგანუმის, ნიკელის, პლატინის (მსოფლიო მარაგების 90%), კობალტის, რადიუმის, გერმანიუმის, ლითიუმის, ტიტანის და ფოსფატების ყველაზე დიდი მარაგებია. იქვე ბევრია რკინის მადანი, ქრომი, კალა, თუთია, თორიუმი, ვანადიუმი, ბერილი და სხვ., მცირე რაოდენობით აღმოჩენილია — თიხა, ქარსი, გოგირდი, მარილი, ნატრიუმის ოქსიდი, გრაფიტი, კირქვა და თაბაშირი. ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში, მაგალითად, ნიგერიაში, არის ნავთობის და გაზის საკმაოდ მნიშვნელოვანი მარაგი. ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპორტი — აფრიკული ქვეყნების ეკონომიკათა ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. უმეტესი მათგანი ერთი ან ორი რესურსის ვაჭრობაზეა დამოკიდებული.

აფრიკული კულტურა მრავალფეროვნებით (1000 ეთნიკური ჯგუფი და 1000-ზე მეტი სხვადასხვა ენა) გამოირჩევა. აფრიკელებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გვარონულ ურთიერთობებს. მუსიკამ, ხელოვნებამ და ლიტერატურამ განსაზღვრული გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოში სხვა კულტურებზე. მაგალითად, აფრიკულმა რიტმებმა გავლენა

იქონია პოპულარულ მუსიკალურ სტილებზე, როგორიცაა ჯაზი, ბლუზი. თუმცა საკმარისი ცივილიზაციური რესურსები, რომლებიც თანამედროვე პირობებში უზრუნველყოფდა აფრიკული ქვეყნების განვითარებას, იქ არაა. ამიტომ მის ნიადაგზე გადატანილი, განვითარებულ ქვეყნებსა და აიქებში გამოცდილი, ეფექტიანი სამართლებრივი და საკანონმდებლო სისტემები აფრიკაში მოსალოდნელ შედეგებს არ იძლევა.

პრაქტიკულად ყველა აფრიკული ქვეყანა კოლონია იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მათი მეტროპოლიები ან განადგურდა, როგორც გერმანია, ან ძლიერ დასუსტდა, როგორც დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. გამარჯვებულმა აშშ და სსრკ მხარი დაუჭირეს განმათავისუფლებელ მოძრაობას და აფრიკის ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. თუმცა ყოფილმა მეტროპოლიებმა თავისი გავლენა შეინარჩუნეს. ასე მაგალითად, ყოფილმა ფრანგულმა კოლონიებმა — ბენინმა, ბურკინა-ფასომ, გაბონმა, კამერუნმა, კონგომ, მალიმ, ნიგერმა, სენეგალმა, ტოგომ, ჩადიმ და სხვებმა — ახლა შექმნა ფრანკის ზონა და ისინი ახლაც საფრანგეთის გავლენის ქვეშაა. ეკონომიკურმა დამოკიდებულებამ ყოფილ მეტროპოლიებსა და სხვა განვითარებულ ქვეყნებზე *ნეოკოლონიალიზმის სახელწოდება მიიღო.* (ცხრილი 13.4.)

რეგიონის უმეტესი ქვეყნის ეკონომიკურ მოდელს აგრარულ-სანედლეულო მიმართულება აქვს. აფრიკული ქვეყნების ეკონომიკებს შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია:

1. ორიენტაცია სასარგებლო წიაღისეულის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტზე.

2. კვალიფიციური და უბრალოდ წერა-კითხვის მცოდნე შრომითი რესურსების არარსებობა, რაც ახალი ტექნოლოგიების დანერგვას ხელს უშლის. თანამედროვე ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი ცივილიზაციური რესურსების უკმარისობა.

ცხრილი 13.4.

აფრიკის ქვეყნების ძირითადი მახასიათებლები (2002-2007 წწ.)

ქვეყანა	მოსახლეობა, მლნ ადამ.	ტერიტორია, ათ კმ²	მშპ, მლრდ დოლ.	რეალური მშპ საშუალო წლიური ზრდა 1994-2004 წლებში, %	მშპ მოსახ. ერთ სულზე, დოლ.	საშუალო წლიური ინფლაცია 2000-2005, %	საზოგადოების განვითარების ინდექსი
სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა	46.9	1225815	213	3.0	4710	5.1	65.8
ზიმბაბვე	11.5	390759	4.7	1.9	360	106.0	50.4
კამერუნი	17.5	475442	14.5	4.5	880	3.7	49.7
კენია	35.3	582646	16.1	2.7	500	7.8	47.4
კოტ-დივუარი	19.1	322463	15.5	2.1	920	3.2	42.0
მაროკო	30.2	446550	50.0	3.0	1610	1.4	63.1
ნიგერია	130.7	923768	72.1	3.8	570	15.7	45.3

3. კლანურობა და ეკონომიკის მნიშვნელოვანი კორუმპირებულობა. მაგალითად, ბუნებრივი რესურსებით უმდიდრესი ნიგერია კორუფციის მიხედვით მტკიცედ დგას მსოფლიოში პირველ ადგილზე. 1998 წელს იქ უკვალოდ გაქრა 2 მლრდ დოლარის უცხოური ინვესტიცია. აშშ-ის და IMF-ის ყველა მცდელობა მოეხდინა ამ ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაცია, კორუფციის და თაღლითობის უმძლავრეს დაბრკოლებას შეეჯახა. პარადოქსულია, მაგრამ ნიგერია, მსოფლიოში მე-13 ნავთობის უმსხვილესი მწარმოებელი, თავის ქვეყანაში ნავთობპროდუქტების ქრონიკულ უკმარისობას განიცდის.

4. *საგარეო ვალი.* საგარეო ვალის პრობლემა აფრიკული ქვეყნებისთვის უზარმაზარ სიძნელეებს ქმნის. ყოველ აფრიკელზე, ბავშვების ჩათვლით, საგარეო ვალის 350 დოლარი მოდის. რეგიონის ვალი 200 მლრდ. დოლარზე მეტს შეადგენს, რაც მშპ-ის 80%-ს უტოლდება (კონგოსა და მოზამბიკში — 300%-ს). აფრიკის ქვეყნების საგარეო დავალიანების საერთო ფანხის 60% ორმხრივ საფუძველზე სხვადასხვა სახელმწიფოს ეკუთვნის, 23% — საერთაშორისო ინსტიტუტებს, ხოლო დანარჩენი — კერძო კრედიტორების წილად მოდის.

5. *საინვესტიციო შიმშილი.* მიუხედავად გლობალიზაციის პროცესის გაღრმავებისა და კაპიტალის მსოფლიო ბაზრების ინტერნაციონალიზაციისა, აფრიკა ჯერ კიდევ რჩება ძირითადი ფინანსური ნაკადების გარეშე. მიმდინარე ათწლეულში განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნებოდა, თუმცა იგი მხოლოდ უმნიშვნელო ხარისხით შეეხო „შავი" კონტინენტის სახელმწიფოებს, რომელთათვისაც ხელსაყრელი პირობების შექმნა უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად ძნელია. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მონაცემებით, განვითარებად ქვეყნებში განხორციელებული ყველა უცხოური ინვესტიციიდან მხოლოდ 5% მოდის აფრიკულ სახელმწიფოებზე. 1999 წელს აფრიკამ დაახლოებით 8 მლრდ. დოლარის ინვესტიცია მოიზიდა. ეს ბევრად მეტია, ვიდრე 80-იანი წლების ბოლოს, როცა უცხოური ინვესტიციების ნაკადი წელიწადში დაახლოებით 3 მლრდ. დოლარს შეადგენდა, თუმცა ეს 1997 წლის კონტინენტის რეკორდულ დონესთან (9,4 მლრდ დოლ.) შედარებით დაბალი იყო.

6. *დახმარების შემცირება.* საინვესტიციო შემონატანთა დაბალ მოცულობებთან ერთად შეინიშნება აფრიკული ქვეყნებისათვის ფინანსური დახმარების მნიშვნელოვანი შემცირება. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, აფრიკული ქვეყნების განვითარებისთვის

განკუთვნილი ოფიციალური დახმარების ზომები, საუბარია საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნებზე, 1996 წელს 10,7 მლრდ. დოლარამდე დაეცა. შედარებისთვის: 1990 წელს ისინი 14 მლრდ დოლარს შეადგენდა. დახმარების მოცულობათა შემცირების ტენდენცია 1997-2000 წლებშიც შენარჩუნდა.

7. გადაშენების საფრთხე. „CNN"-ის მონაცემებით, შიდსის ეპიდემიამ ზიმბაბვეში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაახლოებით მეოთხედი საუკუნით შეამცირა. ამ ქვეყნის მცხოვრების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ახლა 39 წელია წინანდელი, შიდსის ეპიდემიამდე არსებული 65 წლის ნაცვლად. სიკვდილიანობის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ბავშვებსა და ახალგაზრდებში, რაც უეჭველად აისახება აფრიკის კონტინენტის მოსახლეობის სხვა დემოგრაფიულ მაჩვენებლებზეც. წინასწარი შეფასებით, შიდსის გამო ზიმბაბვეს მოსახლეობას უკვე დააკლდა 1,6 მლნ. ადამიანი. 2010 წლისათვის ეპიდემია ადამიანთა პოპულაციას აფრიკაში 71 მლნ. ადამიანით შეამცირებს. ნიგერიის მოსახლეობა 11,7 მლნ. ადამიანით შემცირდება, კენიის — 6,7 მლნ.-ით, სამხრეთ აფრიკის — 5,6 მლნ.-ით, ზიმბაბვეს — 4,4 მლნ-ით, უგანდის — 4,2 მლნ. კაცით.

ზემოთ აღნიშნულ არასანუგეშო დასკვნებს თუ შევაჯამებთ, შეგვიძლია ვთქვათ:

1. აფრიკა ერთ-ერთი უმდიდრესი კონტინენტია პლანეტაზე, მაგრამ მისი ეკონომიკა ნაკლებად განვითარებულია. ეკონომიკურ განვითარებას ხელს უშლის კოლონიური მემკვიდრეობა და თანამედროვე განვითარებისთვის აუცილებელი კვალიფიციური შრომითი რესურსების უქონლობა.
2. მრავალი აფრიკული ქვეყნის ეკონომიკა კორუფციის გამო გასაჭირშია, არ ჰყოფნის ინვესტიციები, საგარეო ვალი უზარმაზარია, არ აქვს სათანადო მხარდაჭერა განვითარებული ქვეყნების მხრიდან. მოსახლეო-

ბის უმეტესობის სოციალური მდგომარეობა ფრიად შეჭირვებულია. ამის გასაუმჯობესებლად განვითარებული ქვეყნების მხრიდან აუცილებელია ენერგიული დახმარება.

🕮 ძირითადი ლიტერატურა

- მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, ტ. II, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ, თბილისი, 2004. — გვ. 194-230.
- მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო, პროფ. გრ. თოდუას და პროფ. შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი, 2001. — გვ. 662-735.
- ლეკაშვილი ე. აშშ-ს სავაჭრო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები აზია — წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებთან, ამერიკათმცოდნეობის VIII საერთაშორისო კონფერენცია. 4-6 მაისი, 2006.
- პოლ ჰერსტი, გრემ ტომპსონი. გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. გამომც. „დიოგენე", I ქართ. გამოც., თბილისი, 2005.
- Peter Dicken. Global Shift, Transforming the World Economy, Third Edition,. P.C.P Ltd, 1999.

თემა 14

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ნევრი ქვეყნების ეკონომიკა

დსთ-ს ეკონომიკური განვითარების ზოგადი დახასიათება. კონცეფტუალური მიდგომეომები ეკონომიკის რეფორმირების მიმართ. მსოფლიო სამეურნეო პროცესებში დსთ-ს ქვეყნების ინტეგრაციის ძირითადი მიმართულებები. საქართველო და გარე სამყარო. აზერბაიჯანი და გარე სამყარო. შუა აზია — დიდი სახელმწიფოების საჯიღდო ქვა. უკრაინა — უდიდესი ქვეყანა იმპორტით ცხოვრობს.

დსთ-ს ეკონომიკური განვითარების ზოგადი დახასიათება (1991-2005 წწ.). საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით, დსთ წარმოადგენს ქვეყანათა ჯგუფს, რომელიც აერთიანებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნებს. ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს მთლიანად ამ ჯგუფის კვლევა, რადგან მისი ზოგიერთი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდა. შესაბამისად, გეოგრაფიის მიუხედავად, მიზანშეწონილია მათი, როგორც ევროკავშირის წევრი-ქვეყნების, შესწავლა. ეს არ გამორიცხავს ამ ქვეყნების მონაცემების გამოყენებას შედარებით ასპექტში ან ამა თუ იმ ტენდენციების ასახსნელად იმ პერიოდებთან მიმართებაში, როდესაც ისინი იყვნენ მსოფლიო სოციალისტური სისტემის განუყოფელი ნაწილები ან სუვერენული სახელმწიფოები ევროკავშირში შესვლამდე.

1990-იანი წლების განმავლობაში დსთ-ს წევრი-ქვეყნების ეკონომიკის განვითარება ხასიათდებოდა წარმოების და საგარეო ვაჭრობის განუწყვეტელი დაღმავლობით, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების რაოდენობრივი და თვისებრივი გაუარესებით, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის დონის მკვეთრი დაცემით (ყველა ქვეყანაში). სხვადასხვა ქვეყანაში იგი შეადგენდა: სომხეთი, საქართველო, ტაჯიკეთი — 70%; აზერბაიჯანი, რუსეთი, ყირგიზეთი — 60%; მოლდოვა — 50%; უკრაინა, თურქმენეთი (არ შედის დსთ-ში) — 40%; უზბეკეთი, ყაზახეთი — 35%; ბელარუსი — 25%.

ამ ქვეყნების ეკონომიკებს ყველაზე ძლიერი დარტყმა თვით ამ ქვეყნების მთავრობებმა მიაყენეს, რადგან საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სისტემის დემონტაჟის პერიოდში ვერ შეძლეს საერთო სამეურნეო კავშირების შენარჩუნება. პრაქტიკულად დაიკარგა სავაჭრო კავშირები, შეწყდა კაპიტალური და ბინათმშენებლობა მშენებლობა. ეკონომიკური სტრუქტურების ნგრევის პირობებში ეროვნულ ვალუტაზე გადასვლამ დაუყოვნებლივ მისი გაუფასურება გამოიწვია. დომინირებდა ბარტერული გარიგებები. დენაციონალიზება (პრივატიზება) სტიქიურად მიმდინარეობდა, არ შეიქმნა საბაზრო მექანიზმები. ეს სიტუაცია დამახასიათებელი იყო თითქმის ყველა ახლადშექმნილი სახელმწიფოსთვის, გარდა უზბეკეთისა და ბელარუსისა, სადაც სტრატეგიული ხასიათის ძირითადი სამეურნეო ობიექტები სახელმწიფო კონტროლის ქვეშ დარჩა.

XXI ს-ის დასაწყისში სიტუაცია ნელ-ნელა გაუმჯობესდა რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანაში. ცენტრალურ აზიაში და ამიერკავკასიაში შეწყდა შეიარაღებული კონფლიქტები, მეტნაკლებად მოწესრიგდა ახალი საბაზრო სისტემები, ამუშავდა სასაქონლო, მომსახურების და ფულის (სავალუტო) ბაზრები.

ინსტიტუციური ცვლილებები აუცილებელია საბაზრო სისტემის საფუძვლის შექმნისთვის, საბაზრო მეურნეობის და სამეწარმეო ძალების ამოქმედებისთვის. ეს კი გულისხმობს ქონების მიმართ დამოკიდებულების შეცვლას; პრივატიზებას და მიწის რეფორმას; შრომის და კაპიტალის ბაზრის ფორმირებას; სამეწარმეო საქმიანობის და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მხარდაჭერას; საბაზრო ეკონომიკის საკანონმდებლო ბაზის შექმნას; საგადასახადო სამსახურის, სასამართლო და სამართალდამცავი სისტემების შექმნას და სხვ. სტრუქტურული გარდაქმნა წარმოადგენს ეროვნული მეურნეობის სტრუქტურის ადაპტაციის პროცესს მარადცვლადი ეროვნული და მსოფლიო ბაზრის მოთხოვნების მიმართ. იგი აუცილებელია ეკონომიკის გეგმიური სისტემის გადაყვანისთვის სამომხმარებლო საქონლის, მომსახურების წარმოების და მოთხოვნის სტრუქტურებზე.

2000-2005 წწ.-ში დსთ-ს წევრმა-ქვეყნებში გარკვეული წინსვლა დაფიქსირდა გარდამავალი პერიოდის დასაწყისთან შედარებით. პირველად, გასული ათწლედის განმავლობაში, დსთ-ს ყველა წევრ-ქვეყანაში დადებითი ზრდა აღინიშნა, რაც, ძირითადად, ნავთობზე და ბუნებრივ აირზე ფასების ზრდით და რუსული რუბლის გაუფასურებით აიხსნებოდა.

2002-2005 წწ-ში საკმაოდ მაღალი იყო ამ ქვეყნების განვითარების ტემპები. ცენტრალურ ევროპაში სამრეწველო წარმოების გამტკიცების გარკვეული ნიშნები შეიმჩნეოდა. უფრო ზოგადად კი, ეკონომიკური ზრდა ეყრდნობა შიდა მოხმარების ზრდას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას და ამ რეგიონში ევროკავშირის ძალთა შემდგომ გადაადგილების პროცესს, რომელიც 2005 წელს ევროკავშირში ამ ქვეყნების შესვლის სტიმული გახდა. 2002 წელს ბალტიისპირეთის ქვეყნების ეკონომიკა 6,3%-ით გაიზარდა, რასაც საფუძვლად დაედო ამ ქვეყნებში გაზრდილი შიდა მოთხოვნა. ამას მოქნილი რეაგირება მოჰყვა დსთ-ს მხრიდან, რითაც ევროკავშირის ქვეყნების მხრიდან შემცირებული მოთხოვნა დაბალანსდა. 2004-2005 წწ.-ში ხდებოდა ზრდის უმნიშვნელო კლება, ამავე დროს ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა ამ ქვეყნების შიდა მოთხოვნა და ევროკავშირში გაერთიანება.

გლობალურმა ეკონომიკურმა გაურკვევლობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დსთ-ს ქვეყნების ეკონომიკაზე, სადაც ყოველწლიურად, 2000 წ.-დან დაწყებული, ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნებოდა. ეკონომიკური აქტივობის ზრდის ძირითადი მიზეზები იყო: მზარდი შიდა მოთხოვნა (რუსეთსა და უკრაინაში), ნავთობზე ფასების ზრდა და სათანადო კაპიტალდაბანდებები ნახშირწყალბადების მოპოვების დარგში როგორც კასპიის რეგიონში, ასევე ცენტრალურ აზიაში. დსთ-ს ქვეყნების ეკონომიკა იზრდება ნავთობის და გაზის მოპოვების დარგებში გაწეული მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებების ხარჯზე. ნაკლებად ძლიერი

ეკონომიკის ქვეყნები პოულობენ მოგებას თავიანთი სასარგებლო წიაღისეულის და მადანის მოპოვების სექტორებში აქტივობის ამაღლებით.

უმსხვილეს ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში 2001 წელს დაწყებულმა ზრდის შენელებამ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებშიც გააძლიერა ზრდის ტემპების შენელება. ბევრი მათგანი დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდა: ეროვნული ეკონომიკის გამოცოცხლებას მდგრადი ხასიათი არ გააჩნდა; ნელა მიმდინარეობდა ფინანსური სექტორის პოსტკრიზისული რეორგანიზება; კორპორაციულ სექტორში კვლავაც აღინიშნებოდა დავალიანების მაღალი დონე. აღმოსავლეთ ევროპის ბევრი ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდა, მაგრამ, როგორც გარდამავალი ეკონომიკის სხვა ქვეყნები, ისინი კვლავაც დაუცველნი არიან საგარეო მოთხოვნის ცვლილებებისგან, როდესაც მათი საექსპორტო პროდუქცია კონკურენციას უწევს განვითარებული ქვეყნებს ბაზრებზე არსებულ პროდუქციას და მოთხოვნა მათ პროდუქციაზე უმნიშვნელოა. მაგრამ თანდათან მათი პოზიციები ძლიერდება და ისინი საგარეო-ფინანსური ზემოქმედებისგან უფრო დაცულნი ხდებიან. ამას მშპ-ს ზრდის მაღალი ტემპებიც ადასტურებს.

კონცეპტუალური მიდგომები ეკონომიკის რეფორმირების მიმართ. ყოველ ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების კონცეფციის ფორმირება ხდება ქვეყნის ისტორიული განვითარების, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის სპეციფიკის გათვალისწინებით. არსებულ განსხვავებასთან ერთად, ყველა ყოფილ საბჭოთა ქვეყანას გააჩნდა ერთნაირი, ცენტრალიზებულ დაგეგმვაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა და ამ სისტემით გამოწვეული კონკრეტული პრობლემები: წარმოების დაბალი ეფექტიანობა, საქონელზე და მომსახურებაზე დაბალი ფასებით გამოწვეული საქონლის დეფიციტი, ინფლაცია, მნიშვნელოვანი საგარეო დავალიანება და ა.შ. შესაბამისად, ეკონომიკურ რეფორმებს აუცილებლად ბევრი საერთო უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ

საბოლოო მიზნების (საბაზრო ურთიერთობების საფუძველზე ეროვნული მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლება), არამედ ძირითადი შინაარსის მხრივ, განსხვავებულია რადიკალურობის ხარისხი, რეფორმის გატარების ვადები და თანმიმდევრობა, არსებული ამოცანების გადაწყვეტის მეთოდები. ეს ამოცანები უპრეცედენტოდ რთულია, რადგანაც ვსაუბრობთ სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის შეცვლისა და კაპიტალისტურ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის შესახებ.

ეკონომიკის ლიბერალიზება, ეკონომიკის ახალ კაპიტალისტურ სისტემაში სახელმწიფოს ფუნქციის შემცირება და პრინციპული შეცვლა ითვალისწინებს: ეკონომიკური ცხოვრების სახელმწიფო რეგლამენტირების შემცირებას; კერძო საწარმოების საქმიანობის მოწესრიგების მიზნით ახალი კანონმდებლობის შექმნას; ფასების, რესურსების განაწილების, საგარეო ვაჭრობის და მყარი ვალუტის გამოყენების ადმინისტრაციული შეზღუდვის მექანიზმების დემონტაჟს და სხვ. ლიბერალიზაციის პროგრამა გადამწყვეტ როლს ასრულებს მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ლიკვიდაციაში, ბაზრისკენ სწრაფვაში, კერძო სექტორის განვითარებასა და ღია ეკონომიკის შექმნაში.

აუცილებელია მაკროეკონომიკური ფინანსური სტაბილურობა, რადგან კაპიტალისტურ გარდაქმნებში შესულ თითქმის ყველა პოსტსოციალისტურ ეკონომიკას საკმაოდ მოშლილი სახელმწიფო ფინანსები და ფულის მიმოქცევის სისტემა გააჩნია. ფინანსური სტაბილურობის მთავარ ამოცანას ღია ინფლაციის შემცირება წარმოადგენს, რომელიც ლიბერალიზების გატარების შემდეგ აუცილებლად ცვლის სასაქონლო დეფიციტს და ფარულ ინფლაციას. სტაბილიზების პოლიტიკა ითვალისწინებს მკაცრ საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო შეზღუდვებს, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის და ხელფასის (ზოგიერთ შემთხვევაში) რეგულირებას.

წარმატებულ საბაზრო გარდაქმნებს სამივე ამოცანის გადაჭრა განსაზღვრავს. გარდაქმნების გასატარებლად საჭი-

რო დრო და გამოყენებული იარაღები გვიჩვენებენ, რომ პოსტსოციალისტური ეკონომიკის გარდაქმნის ძირითადი მიმართულებები არა მხოლოდ არ ემთხვევა, არამედ ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება: შესაძლებელია ლიბერალიზაციის და ფინანსური სტაბილიზაციის ერთდროული განხორციელება საკმაოდ მცირე ვადაში, მკაცრი ფინანსური პოლიტიკის თანხლებით; სისტემური გარდაქმნები კი ხანგრძლივ პერიოდს და ფინანსური მანევრირების მეტ თავისუფლებას მოითხოვენ.

ზემოაღნიშნული ამოცანების შესაბამისად, შეიძლება გამოვყოთ საბაზრო ეკონომიკის მოდელის შექმნის ოთხი ფაზა. ყოველი მათგანი გარკვეული ეკონომიკური ამოცანის გადაჭრაზეა მიმართული და ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებას გულისხმობს.

— *ფაზა პირველი — სტაბილიზება.* ხდება მაკროეკონომიკური და, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური სტაბილიზების ამოცანების გადაჭრა (ფულადი ბრუნვის და სავალუტო კურსის სტაბილიზება, სახელმწიფო ფინანსების მოწესრიგება, საბიუჯეტო დეფიციტის და სავაჭრო ბალანსის დეფიციტის დაძლევა). ამ ფაზაში სტაბილიზების პროგრამის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს საგარეო დავალიანების მოწესრიგება და ვალების მართვის მექანიზმის ამოქმედება. ამავე დროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფულად-საკრედიტო და ფინანსური სფეროების კონტროლს.

— *ფაზა მეორე — ლიბერალიზაცია.* იგი ყველაზე რთული და კრიტიკულია. მან შეიძლება მასობრივი უკმაყოფილება და სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გართულება გამოიწვიოს. მის ფარგლებში ხდება მრავალი ადრე მოქმედი შემზღუდველი ეკონომიკური კონტროლის და ფორმების გაუქმება თავისუფალ ბაზარზე გასვლის მიზნით, სადაც სამეურნეო საქმიანობა მოთხოვნით და მიწოდებითაა რეგულირებული და განსაზღვრული. ამავე დროს, ამ ეტაპის კრიტიკული ხასიათი კონტროლის გაუქმებით არის განპირობებული (კერძოდ, ფასწარმოქმნაზე და შრომის ბაზარზე).

— *ფაზა მესამე — პრივატიზება.* კერძო სექტორის სასარგებლოდ ხდება სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის ქონების გადანაწილება. ამით მცირდება სახელმწიფოს ჩარევის შესაძლებლობა ეკონომიკასა და სამეწარმეო საქმიანობაში. კერძო სექტორი ძლიერდება, რადგან საშუალება ეძლევა საფინანსო-ეკონომიკურ რესურსებთან დაშვების. პრივატიზების არსი და მნიშვნელობა იმაშია, რომ ამ გზით ხდება ეროვნული ეკონომიკის გაწონასწორობა, მისი ყველა სექტორის და დარგის დაბალანსება.

— *ფაზა მეოთხე — ღია ეკონომიკაზე გადასვლა მსოფლიო ბაზართან მიმართებაში.* საბაზრო რეფორმების ამ ფაზაში შესვლა მოითხოვს მეტ სიფრთხილეს და იმ ზომათა კომპლექსის განხორციელებას, რომლებიც ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის დონეს აამაღლებენ და გაამყარებენ.

ყველა ყოფილი სოციალისტური ქვეყნის წინაშე იდგა ამოცანა, რომელი იქნება არჩეული არსებულ შესაძლებელ მიდგომებიდან. პირველი მეთოდი გულისხმობდა უმოკლეს ვადაში მაქსიმალური რადიკალური რეფორმების გატარებას („შოკური თერაპია"), ანუ ლიბერალიზაციის და სტაბილიზაციის სწრაფი გატარება და ამავე დროს სისტემური ცვლილებების დაწყება. მეორე მიდგომა, რომელიც „გრადუალიზმის" სახელითაა ცნობილი, ნაწილობრივი გარდაქმნების განხორციელებაზე იყო აგებული, ანუ ეკონომიკის ლიბერალიზაცია და საბაზრო სტრუქტურების ფორმირება და მათი შემდგომი გაღრმავება ხდება ეტაპობრივად. მაშასადამე, პოსტსოციალისტური ეკონომიკების ტრანსფორმირების სტრატეგია პრიორიტეტების არჩევაში მდგომარეობს — ან ლიბერალიზაციის და ფინანსური სტაბილურობის ამოცანები, ან სისტემური (უპირველეს ყოვლისა, ინსტიტუციური) ცვლილებები.

„შოკური თერაპიის" პროგრამა. რადიკალური მიდგომა გულისხმობს რეფორმათა კომპლექსის განხორციელებას, რომელიც საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ელემენტებით ცენტრალიზებული დაგეგმის შეცვლაზეა მიმართული. ამ მიდგომის მიზანია — გარდაუვალი მტკივნეული პერიოდის [illegible]

გრძლივობის შემცირება; ეკონომიკის რაც შეიძლება სწრაფი განსახელმწიფოებრიობა; საბაზრო გარდაქმნების „კრიტიკული მასის" მიღწევა, რათა არ მოხდეს წინა ეკონომიკურ სისტემაზე დაბრუნება. ამ ლოგიკის თანახმად, რადიკალური მიდგომის აზრი იმაშია, რომ მთავრობამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს პერიოდი, როდესაც ადამიანები ეგუებიან გარდაქმნების პროცესის სირთულეებს. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, „ტრანსფორმაციული ეიფორის" პერიოდი სწრაფად მთავრდება და, რეფორმების გატარებისას ეკონომიკური პრობლემების ზრდამ შესაძლოა არა მხოლოდ შეანელოს, არამედ საფრთხე შეუქმნას გარდაქმნების ტემპს.

შეიძლება გამოვყოთ რეფორმების გატარების ორთოდოქსული და ჰეტეროდოქსული (არაორთოდოქსული) მიდგომები. პირველ შემთხვევაში სტაბილიზაცია ხორციელდება მკაცრი საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით. მონეტარული სტაბილიზაციის დროს ნომინალურ სტაბილიზატორს („ღუზას") ფულადი მასის მოცულობა წარმოადგენს. სტაბილიზაციისას გაცვლითი კურსის საფუძველზე ასეთ „ღუზას" წარმოადგენს ფიქსირებული ნომინალური გაცვლითი კურსი ან მისი წინასწარ გამოცხადებული ცვლილებები.

ჰეტეროდოქსული ვარიანტი ასევე ითვალისწინებს მკაცრი საკრედიტო-ფულადი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გატარებას, მაგრამ ფასებზე და შემოსავლებზე კონტროლთან ერთად. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სტაბილიზაციური პროგრამები გატარდა მრავალ ქვეყანაში, სადაც არსებობდა მაღალ ინფლაციასთან დაკავშირებული სირთულეები.

„შოკური თერაპიის" კონკრეტული პროგრამა, რომელიც რუსეთში გატარდა, მოიცავს ეკონომიკური სტაბილურობის და თავისუფალი ბაზრის შექმნის მოკლევადიანი ხასიათის ღონისძიებებს:

— ფასების ლიბერალიზაცია, რათა მოხდეს მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება და ეკონომიკურად ეფექტიან დარგებში რესურსების გადანაწილება.

— ხელფასების და შემოსავლების ზრდის შეზღუდვა (სრულ გაყინვამდე), რაც აუცილებელია „ხელფასი—ფასების" ინფლაციური სპირალის შეჩერებისა და წარმოების ხარჯების შემცირებისთვის. მოხდა საბიუჯეტო ხარჯების, განსაკუთრებით კი შეიარაღების შესყიდვის და ცენტრალიზებული ინვესტიციების, საბიუჯეტო დოტაციების და სუბსიდიების მკვეთრი შემცირება. დეფიციტური დაფინანსების შემცირებით და გადასახადების გაზრდით მოხდა ერთობლივი მოთხოვნის შეზღუდვა.

— კრედიტების გაცემის პირობების და ფულადი მასის მოცულობის კონტროლის გამკაცრება. მსოფლიო ბაზართან მიმართებაში უზრუნველყოფილი იყო ეროვნული ეკონომიკის გახსნილობის მაღალი ხარისხი, რაც საგარეო ვაჭრობის ადმინისტრაციული შეზღუდვების მინიმუმამდე შემცირებით და ეროვნული ვალუტის მცურავი გაცვლითი კურსის მიღებით (გაცვლითი კურსის სტაბილურობის მისაღწევად) იყო მიღწეული.

ცხადია, რომ „შოკური თერაპიის" სცენარით ეკონომიკური რეფორმების გატარება რადიკალურ ეკონომიკურ გარდაქმნებს წარმოადგენს. პოლონეთში ეს იყო „ბალცეროვიჩის გეგმა". ამ გეგმის მიხედვით ტრანსფორმირების უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს თავისუფალ ფასწარმოქმნაზე გადასვლა: საქონელის 90%-ზე ფასი განისაზღვრა საბაზრო საფუძველზე; საქონლის 5%-ზე ფასი ადმინისტრაციულად რეგულირდებოდა სახელმწიფოს მიერ; კიდევ საქონლის 5%-ზე ფასის განსაზღვრა მოითხოვდა წინასწარ შეთანხმებას სახელმწიფოსთან. შედეგად, ფასები საგრძნობლად გაიზარდა (60%-ით 1990 წ. იანვარში). ამავე დროს მოხდა სახელმწიფოს მიერ ადმინისტრაციულად რეგულირებადი ფასების ზრდაც: ნახშირზე საცალო ფასები გაიზარდა 7-ჯერ, ელექტროენერგიაზე და ბუნებრის აირზე — 5-ჯერ, ცენტრალურ გათბობაზე და ცხელ წყალზე -- 5-ჯერ.

ფასების ასეთი პირველადი ნახტომის პირობებში ფინანსური სტაბილურობის სწრაფი მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ

იმ შემთხვევაში, თუ მკაცრად შეიზღუდება მოსახლეობის შემოსავლების უზომო ზრდა და არ მოხდება „ხელფასი—ფასები" სპირალის გაშლა. პოლონეთის მთავრობამ შეიმუშავა ხელფასის ფონდის ზრდაზე კონტროლის სპეციალური მექანიზმი — ფასების ზრდა კომპენსირებული იყო კორექციის პროცენტთან შესაბამისად.

პრინციპული ცვლილებები განიცადა საბიუჯეტო პოლიტიკამ. ასე, მაგალითად, 1990 წ. ბიუჯეტში დაგეგმილი დეფიციტის დონე თითქმის 10-ჯერ შემცირდა (მშპ-ს 2,5%-მდე), რაც წამგებიანი საწარმოების სუბსიდირებაზე უარის თქმით და სოციალურ-კულტურულ, თავდაცვის, განათლების სფეროებში სახელმწიფო დოტაციების და ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირებით იყო მიღწეული. მხოლოდ სოციალურად მნიშვნელოვანი საქონლის და მომსახურების ვიწრო წრე ღებულობდა სახელმწიფო დოტაციებს (რძე, ქვანახშირი, სამოქალაქო ტრანსპორტი). შედეგების შესამცირებლად გაიზარდა საყოფაცხოვრებო-კომუნალური სექტორის სახელმწიფო დოტაციები.

მაგრამ პოლონეთში გატარებულ რეფორმებს „შოკურ თერაპიასთან" რეალურად არაფერი საერთო არ ჰქონდათ, რადგან „დიდი პრივატიზება" განხორციელდა მხოლოდ 1990-იანი წლების მეორე ნახევარში, ა. კვასნევსკის პრეზიდენტობის პერიოდში. მძლავრი სახელმწიფო სექტორი იყო სტაბილურობის პლატფორმა ეკონომიკური სისტემისთვის, რომელშიც მუშაობდა მოსახლეობის უმეტესობა. მხოლოდ დენაციონალიზების წინაპირობების და საერთო კონკურენტული გარემოს შექმნით, სახელმწიფო დაადგა პრივატიზების გზას.

გრადუალიზმის პროგრამა ეკონომიკურ რეფორმებში. ბაზარზე თანდათანობითი გადასვლის მომხრენი თვლიან, რომ შოკის სტრატეგია ძალზე ძვირი ღონისძიებაა, პირველ რიგში — სოციალური თვალსაზრისით, რადგანაც შეიძლება გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი შედეგები, მათ შორის ძველი სისტემის აღდგენა.

როგორც წესი, რადიკალური რეფორმების გატარების დასაწყისში აუცილებლად ჩნდება სხვადასხვა ნეგატიური პროცესები, მათგან ყველაზე საგრძნობი კი შემდეგია:

— ინფლაცია, რომელიც დამანგრეველად მოქმედებს სამეურნეო ცხოვრების ყველა მხარეზე, განსაკუთრებით კი — სეზონური ხასიათის წარმოების და ხანგრძლივი საწარმოო ციკლის მქონე დარგებზე.

— წარმოების დაცემა, რომელიც სტაბილიზაციის ღონისძიებების გატარებისას ეკონომიკის სტრუქტურაში წარმოქმნილი დეფორმაციების მასშტაბზე და მოთხოვნის შეზღუდვაზეა დამოკიდებული.

— ინვესტიციების შემცირება, რომლებიც არამომგებიანი ხდება მაღალი ინფლაციის პირობებში.

— შემოსავლების დიფერენცირება, სოციალური დაყოფა, ფიქსირებული შემოსავლების მქონე მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის საყოფაცხოვრებო დონის მკვეთრი დაცემა.

— უმუშევრობის ზრდა, რომელიც წარმოების შემცირებით და ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებებით არის გამოწვეული.

რეფორმების ეტაპობრივი გატარება შეიძლება განხორციელდეს დასაწყისში ექსპერიმენტური წესით, შემდგომში კი — წარმატებული გამოცდილების გავრცელებით. ლიბერალიზაცია შეიძლება დაიწყოს ჯერ ცალკეულ, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ დარგებში (მაგ., სოფლის მეურნეობაში), შემდგომ კი, ინსტიტუციონალური სტრუქტურების აუცილებელი ელემენტების შექმნისას, გავრცელდეს მეურნეობის სხვა დარგებში. გრადუალიზმის მომხრენი უარყოფენ ფასების ერთდროულად ლიბერალიზაციას და სწრაფ პრივატიზაციას. მათი აზრით, რეფორმების მსვლელობისას, არ უნდა მოხდეს სამრეწველო პოტენციალის განადგურება და უნდა შენარჩუნდეს მოსახლეობის დასაქმება.

1980-იანი წლების დასაწყისში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მომწიფდა სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობა, რადგან ეკონომიკური პოტენ-

ციალის ეფექტურ გამოყენებას და ცხოვრების დონის სტაბილურ ზრდას მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა ზღუდავდა.

1990-იანი წლების დასაწყისში ამ ქვეყნებში აიღეს გეზი დასავლურ დემოკრატიაზე და საბაზრო ურთიერთობებზე, რომელიც სახელმწიფო სექტორის პრივატიზებას და კერძო მეწარმეობის ხელშეწყობას გულისხმობდა. აღნიშნულ კურსს ყველა ქვეყანაში თან სდევდა კრიზისული მოვლენების ზრდა. 1990-1992 წლებში ეკონომიკური დაცემის სიდიდე გამოიხატა ეროვნული პროდუქტის შემცირებაში: ბულგარეთში — 20-ჯერ, რუმინეთში — 1/3-ით, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში — 1/4-ით, პოლონეთში — 1/5-ით. უფრო მასშტაბური იყო სამრეწველო წარმოების დაცემა: ბულგარეთსა და რუმინეთში — 2-ჯერ, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში — 1/3-ით, პოლონეთში — 1/4-ით. მაგრამ ყველა ამ ქვეყანაში სწრაფად დაძლიეს ეროვნული ეკონომიკების ტრანსფორმაციული დაცემა.

1992 წ. მეორე ნახევარში და 1993 წ. შეინიშნებოდა ეკონომიკური დაცემის დინამიკის ცვლილება — მისი ტემპები შემცირდა. საბაზრო რეფორმების წარმატებულ ქვეყანებში (პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხოსლოვაკია) შეიმჩნეოდა სტაბილიზაციისა და საერთო კრიზისიდან სტრუქტურულ კრიზისში გადასვლის ნიშნები. შენელდა ინვესტიციების, სამომხმარებლო მოთხოვნის და ცხოვრების დონის დაქვეითება. მაგრამ ამავე დროს, საბაზრო ტრანსფორმირებამ გამოიწვია უმუშევრობის ზრდა (5,5 მლნ-ზე მეტი 1992 წ. ბოლოს), სიღარიბის პრობლემის გამწვავება, ქონებრივი დაყოფა, დანაშაულთა რიცხვის და სხვა ნეგატიური მოვლენების მატება.

გარდა ამისა, სახელმწიფოს დიდი საბიუჯეტო დეფიციტი იწვევდა ფულის სესხების აუცილებლობას როგორც შიდა, ასევე საგარეო ფულად ბაზრებზე. ამ შესაძლებლობით ყველა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა სარგებლობს, და გასაკვირი არ არის, რომ მათი შიდა და საგარეო ვალები მუდმივად იზრდება და ყველა დასაშვებს ზღვარს აჭარბებს. ასე, მაგ.,

1994 წელს უნგრეთში და პოლონეთში სახელმწიფო ვალმა მშპ-თან მიმართებაში შესაბამისად 91%-ს და 70%-ს მიაღწია. ევროკავშირის ნორმების თანახმად, 60% არის კრიტიკული ზღვარი. სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე გამოყოფილი იყო საბიუჯეტო ხარჯების საერთო ოდენობიდან: პოლონეთში — 11% (1995 წ.), უნგრეთში — 23,5% (1994 წ.).

ფასების ფართომასშტაბიანი ლიბერალიზაციის პირველი პერიოდის შემდეგ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები შევიდნენ საფინანსო-საბიუჯეტო სისტემების მწვავე კრიზისის პერიოდში. სახელმწიფო ხაზინა იცლებოდა, მოთხოვნები მის მიმართ კი იზრდებოდა. ამის გამო, პოლონეთში, უნგრეთსა და რუსეთში ბიუჯეტებს ღებულობდნენ დაგვიანებით იმ კომპრომისული ვარიანტებით, რომლებიც მოგვიანებით მრავალჯერ იცვლებოდა. საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების მრავალი მცდელობის მიუხედავად, დეფიციტი და ინფლაცია მაინც იზრდებოდა.

ევროკავშირში შესვლის მომენტისთვის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ძირითადად დასრულდა ის ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც კაპიტალისტური ტრანსფორმაციის მიმართულებით საკმაოდ მიზანდასახულად ხორციელდებოდა XX ს.-ის 1990-იანი წწ.-ის და XXI ს.-ის დასაწყისში. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანათა უმეტესობაში და ბალტიის სამივე რესპუბლიკაში მიმდინარეობდა საკმაოდ დინამიური ზრდა, თუმცა იგი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის და 1998 წლის რუსეთის კრიზისებმა შეაჩერეს. ზრდა სრული მოცულობით აღდგა მხოლოდ 2002 წლის ბოლოს.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები — პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი. ტრანსფორმაციული განვითარების დასაწყისიდანვე ეს ქვეყნები ატარებდნენ ევროკავშირთან ინტეგრაციის კურსს და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ამავე დროს, ამ ქვეყნებს ევროკავშირის ქვეყნები და მათი ინსტიტუტები არა მხოლოდ ფინანსურ-ეკონომიკურ, არამედ კონსტიტუ-

ციონალურ დახმარებას უწევდნენ, რის შედეგად არ მოხდა მოსახლეობის მდგომარეობის გადაჭარბებული გაუარესება, არ მოხდა „სრული პრივატიზების" გატარება, რეფორმები მიმდინარეობდა „step by step" (ნაბიჯ-ნაბიჯ) პრინციპის შესაბამისად.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები — ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატია, მაკედონია, სერბეთი და ჩერნოგორია. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკა (ზოგიერთში 2003-2005 წწ. სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ) საკმაოდ წარმატებულად ვითარდებოდა და ეს ტენდენცია ევროკავშირის ქვეყნებში საქმიანი აქტივობის გამო, როგორც ჩანს, მომავალშიც გაგრძელება. ექსპერტები თვლიან, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკის კერძო სექტორის განვითარებას, ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის შემცირებას, რეგულირების დონის შემცირებას და კორუფციის შეზღუდვას.

ყველა აღნიშნული რეკომენდაციის განხორციელება მდგრადი დინამიური ეკონომიკური ზრდის პირობებშია შესაძლებელი. მაგრამ შესაბამისი ზრდის უზრუნველყოფისთვის შიდა პირობებია აუცილებელი, მათ შორის „არაკორუფციული გარემო", სტაბილური კანონმდებლობა, მკაფიოდ მომუშავე სახელმწიფო ინსტიტუტები, ჯანსაღი საფინანსო-საკრედიტო და საბანკო სექტორები და ა.შ. აღნიშნულ ქვეყნებში ყოველივე ეს ფორმირების სტადიაშია. ბევრი მათგანი გადაჭარბებულად ეყრდნობა საერთაშორისო დახმარებას.

2003-2005 წწ. ბულგარეთსა და რუმინეთში აღინიშნებოდა ფასების ზრის შედარებით მაღალი ტემპები (მაგრამ ნაკლები, ვიდრე წინა პერიოდში) და მიმდინარე ოპერაციების მიხედვით საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის მნიშვნელოვანი ზრდა. პრობლემას ამსუბუქებდა ამ ქვეყნების სარეზერვო პოზიციების საკმაოდ კარგი მდგომარეობა (რუმინეთში — მცირე საგარეო დავალიანება). მიუხედავად ამისა, ექსპერტების რეკომენდაციით გარკვეული ღონისძიებები უნდა გატარდეს აღნიშნული დეფიციტის შესამცირებლად.

2004-2005 წწ. სლოვენიაში აღინიშნებოდა შიდა მოხმარების აქტივობის ზრდა, მაგრამ სუსტი საგარეო მოთხოვნის გამო საერთო სამეურნეო კონიუნქტურის განვითარების ტემპები ნაკლები აღმოჩნდა 2002 წ.-თან შედარებით. ფასების ინფლაციური ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად აღემატებოდა ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ საშუალო მაჩვენებელს.

სერბეთში და ჩერნოგორიაში ეკონომიკური მდგომარეობა სულ უფრო რთული ხდება სამოქალაქო ომის გამო. არამდგრადი პოლიტიკური გარემო გავლენას ახდენს საერთო ეკონომიკურ სიტუაციაზეც. უცხოური კაპიტალი არ ენდობა იმ ქვეყნის პროექტებს, სადაც მცირეა საკუთარი რესურსები და უმუშევრობა იზრდება (22%).

რუსეთის სოციალისტური ეკონომიკის კაპიტალისტურ ეკონომიკაზე „გადაყვანის" საწყისს პერიოდში შეიძლებოდა ზემოაღნიშნული კლასიკური წესების ამოქმედება. ამ ლიბერალური ეკონომიკური რეფორმის გატარების მომხრე იყო ქვეყნის პარლამენტიც. ამავე დროს ცხადი იყო, რომ კაპიტალისტურ ეკონომიკაზე რუსეთის უზარმაზარი მასშტაბების ეკონომიკის გადაყვანა შეუძლებელია სახელმწიფოს განსაკუთრებულად მაღალი აქტივობის გარეშე. საპარლამენტო და საპრეზიდენტო-სამთავრობო მხარეებს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა ამ მთავარი საკითხის ირგვლივ. საპრეზიდენტო-სამთავრობო მხარე იმ მოსაზრებიდან გამოდიოდა, რომ სახელმწიფო საკუთრება „უბრალოდ" უნდა იყოს გადაცემული კერძო პირების საკუთრებაში, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს საბაზრო გარემო, საბაზრო ინფრასტრუქტურა, ბანკები, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები და ა.შ., ანუ მთავარი იყო იდეოლოგიური ამოცანა — გამოირიცხოს „სოციალიზმის დაბრუნების შესაძლებლობა". ამის შედეგად ჩამოყალიბდნენ სამამულო კომპანია-მონოპოლიები, რომლებსაც კონკურენციისა და თავისუფალ ბაზარზე ოპერარების უნარი არ გააჩნდათ. მათ შეცვალეს კაპიტალის პირვანდელი დაგროვების ცნო-

ბილი კლასიკური ფორმულა „ფული — საქონელი — ფული" (რიკარდო-მარქსის მოდელი) განსხვავებული, რუსული მოდელით — „ფული — ძალაუფლება — ფული". მთელ მსოფლიოსგან განსხვავებით, მხოლოდ რუსეთში და დსთ-ს ფარგლებში ეს ფორმულა მოქმედებს როგორც ჩამოყალიბებული კანონზომიერება.

რეფორმების შედეგად აღინიშნა: პირველი — ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს — ხელისუფლების ყველა ეშელონში და ყველა სამეურნეო სუბიექტში არსებული კორუფციის უპრეცედენტო დონე. მეორე — მონოპოლისტური კაპიტალის ხელოვნური ფორმირება, როდესაც ყველასთვის უცნობი ადამიანები გახდნენ უზარმაზარი ქარხნების და საწარმოების მეპატრონეები და მათ მხოლოდ ერთი — „საჭირო კავშირების" — ნიჭი გააჩნიათ. ამ მოვლენამ გამოიწვია მცირე ვადებში მრავალი მილიონერის და მილიარდერის გაჩენა. ამ პირებს სულაც არ სურთ კაპიტალისტური (მათ შორის, მცირე) საწარმოების შექმნა, რომელიც განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური სისტემის საფუძველს წარმოადგენს. მესამე შედეგი — მოსახლეობის დი ნაწილის მატერიალური დონე დაუბრუნდა 1960-1970 წწ.-ის დონეს. სიღარიბე და სიღატაკე გახდა რუსული საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანი.

რეფორმების წინააღმდეგობები. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა წყაროებში (ამ ქვეყნების ოფიციალური სტატისტიკა, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი) მოცემულია მშპ-ს ზრდის განსხვავებული მაჩვენებლები დსთ-ს მასშტაბით, მაინც ცხადია, რომ 2001-2005 წწ.-ში არნახულად მაღალი ტემპებით ვითარდებოდა ამ ჯგუფის ქვეყნების ეკონომიკა.

ეს, რა თქმა უნდა, დიდი წარმატებაა და იგი რეფორმებს საწყის ეტაპზევე უნდა ყოფილიყო მიღწეული (მტკივნეული ტრანსფორმაციული პერიოდის პირველი 2-3 წლის გარდა). ეს დასკვნა კეთდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების საფუძველზე:

ა) არსებობს მაღალგანათლებული საზოგადოება, რომელმაც მიიღო პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმირების იდეები.

ბ) არსებობს მძლავრი სამრეწველო პოტენციალი.

გ) არსებობს აღურიცხავი რესურსები, ნედლეულის მოპოვების და გადამუშავების ბაზა. ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის არსებობს საუკუნოვანი სამეურნეო და კულტურული ურთიერთობები.

დ) არსებობს საგარეო ბაზრები, სადაც რუსეთს და დსთ-ს სხვა ქვეყნებს თავიანთი ადგილი გააჩნიათ.

განვიხილოთ ორი მიდგომა რეფორმის მიმართ:

1. რუსეთის პარლამენტი ფრთხილი მიდგომის მომხრე იყო კაპიტალისტური ტრანსფორმაციის მიმართ. პირველ პლანზე გამოყვანილი ეკონომიკური გარდაქმნები ემორჩილებოდა სოციალურ პოლიტიკას, რომ არ მომხდარიყო მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული დონის დაქვეითება. პარლამენტის მოსაზრებით შესაქმნელი იყო კაპიტალისტური გარდაქმნების მაკროეკონომიკური პირობები — ახალი კადრების მომზადება, სახელმწიფო სექტორის დენაციონალიზაციის (პრივატიზაციის) საკანონმდებლო წინაპირობების უზრუნველყოფა, საბაზრო გარემოს (თავისი კონკურენტული მექანიზმებით) ჩამოყალიბება. საუბარია მოწესრიგებულ, ეტაპობრივ რეფორმაზე. ასევე, სახელმწიფო სექტორის ფარგლებში დიდი ხნის განმავლობაში იმოქმედებს ეკონომიკის საბაზისო დარგები (მათ შორის წიაღისეული), სატრანსპორტო და სხვა კომუნიკაციები, რადგან არ არსებობენ მეწარმეები, რომლებიც შეძლებენ მათი სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფას. აღნიშნული მიდგომა გამორიცხავდა მეწარმეთა პარაზიტული, კრიმინალური ფენის შექმნას.

2. რეაქციული გადატრიალების მცდელობის აღკვეთის შემდეგ რუსეთის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მოდელი გამოიხატა „რუსეთში საბაზრო გარდაქმნები „დაუყოვნებლივ" განხორციელებაში". ამ ამოცანებიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა ამოცანა, რომელიც განხორციელდა უზარმა-

ზარი სახელმწიფო ქონების ორგანიზაციის სისტემის ნგრევით: სახელმწიფო სტრუქტურები გადაეცათ საეჭვო წარმოშობის კერძო პირებს, ეკონომიკაში და ფინანსებში განადგურდა სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები. საბოლოო ჯამში, ამ პოლიტიკამ გამოიწვია მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული დონის 2-3-ჯერ გაუარესება 1980-1990 წლების დონესთან შედარებით.

1990 წლების რეფორმების სოციალურ-ეკონომიკური შედეგი. ამ რეფორმების შედეგია პარაზიტულ-კრიმინალური თვისებების მქონე მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის ფორმირება, რომელსაც ბაზარზე კონკურენციის საფუძველზე მოქმედების უნარი არ ჰქონდა, მხოლოდ უკანონო ოპერაციების მეშვეობით არსებობდა და კრიმინალური ასპექტები გააჩნდა. ყოველივე ამან გავლენა მოახდინა საზოგადოების მთელი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებაზე.

სისტემის ტრანსფორმირების მეთოდოლოგია. სოციუმის ეკონომიკური სისტემის კარდინალური რეფორმირების საკითხები ახლდა ამ წყობის მთელ ისტორიას. სამხედრო კომუნიზმი, ლენინის ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, ხრუშჩოვის და ბრეჟნევის რეფორმირების მცდელობები, გორბაჩოვის „პერესტროიკა" — ყოველივე ეს მოწმობდა, რომ მმართველი წრეები ხვდებოდნენ ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობას, მაგრამ ვერ გამოდიოდნენ სოციალიზმის ვიწრო გაგების (დოგმატური ახსნის) და მისი ძირითადი პოსტულატების საზღვრებიდან.

როდესაც რუსეთის პარლამენტმა აღკვეთა რეაქციული პუტჩის მცდელობა, უმაღლესმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მიიღო საკმაოდ მარტივი (პრიმიტიული) გადაწყვეტილებები, რომლებიც შემდეგი პოსტულატებიდან გამომდინარეობდნენ:

— მაშინდელი ხელისუფლება თვლიდა, რომ კერძო პირებისთვის სახელმწიფო საკუთრების გადაცემა კეთილდღეობას და აყვავებას გამოიწვევდა. ამიტომ პრივატიზება განიხილებოდა არა როგორც კაპიტალისტური, კონკურენტული ეკონო-

მიკის შექმნის ერთ-ერთი მექანიზმი, არამედ როგორც ყველა პრობლემის ავტომატიური გადაწყვეტის საშუალება. ეს პოლიტიკა ძალზე მარტივად ტარდებოდა: იყო სახელმწიფო ქარხანა — გახდა კერძო.

— როგორც ჩანს, რუსეთის აღმასრულებელ ხელისუფლებაში ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანას თავისი ორგანული თავისებურებანი გააჩნია. შესაბამისად, არ არსებობს ერთიანი კრიტერიუმები, რომლებიც უზრუნველყოფდა რადიკალური ეკონომიკური რეფორმების წარმატებულ განხორციელებას „კაპიტალიზმის მშენებელ ყველა ქვეყანაში". ეს მცდარი მოსაზრება ეფუძნებოდა გრანდიოზული ამოსახსნელი ამოცანების ვიწრო ხედვას, რომელიც გამოიმუშავეს რუსეთის ხელისუფლების კონსულტანტებმა — უცხოელმა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა. 1980-იან წწ. მათ შეიმუშავეს ეკონომიკური გარდაქმნების ვრცელი გეგმა (თავდაპირველად შედგენილი იყო ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის), რომელსაც დაარქვეს „ვაშინგტონის კონსესუსი". ეს გეგმა შესთავაზეს რუსეთის მთავრობას, რომელმაც დაუფიქრებლად დაიწყო მისი განხორციელება.

მიუხედავად უზენაესი საკონსტიტუციო ხელისუფლების აკრძალვებისა, ბ. ელცინის მთავრობამ შეასრულა „ვაშინგტონის კონსესუსის" ძირითადი ღონისძიებები. როდესაც გამოჩნდა ამ რეცეპტების სრული კრახი და რუსეთის ეკონომიკა დაემსგავსა ექსპორტზე ორიენტირებული სანედლეულო ქვეყნების ეკონომიკას, ამერიკელმა მეცნიერ-ეკონომისტებმა დაიწყეს გატარებული რეფორმების მკაცრი კრიტიკა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თავიდანვე აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთ—საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ამ იდეის გამოყენების შესაძლებლობამ მეცნიერების და სპეციალისტების გაუგებრობა გამოიწვია. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები — ეს იყო სავსებით განვითარებული ეკონომიკის მქონე ინდუსტრიული ქვეყნები, სადაც არსებობდა საშუალო ფენა (თუმცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებული მახასიათებლებით). მათ

მიმართ პრინციპულად არ შეიძლებოდა იმ მეთოდების და მიდგომების გამოყენება, რომელიც შემუშავებული იყო განვითარებადი ქვეყნების ჯგუფისთვის (მაგ., ლათინური ამერიკის ქვეყნები), თუნდაც ამ ჯგუფის ზოგიერთი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დონე საკმაოდ განვითარებული იყო.

მაშასადამე, „ვაშინგტონის კონსენსუსის" ცენტრალურ იდეას ეკონომიკის „სტრუქტურული გარდაქმნა" წარმოადგენს, სადაც განმსაზღვრელი კვანძია ფინანსური სექტორი, რომელიც სტაბილიზაციას საჭიროებს. ამ დროს მხედველობაში არ მიიღება მრეწველობა. როგორც ჩანს, ითვლებოდა, რომ „ფინანსური სექტორის სტაბილურობა" შეძლებს სამრეწველო სექტორის „ამოქაჩვას". შესაძლოა, რომელიმე ქვეყანაში სიტუაცია ისე ვითარდებოდა, როგორც ამას იდეის ავტორები ვარაუდობდნენ. მაგრამ დაპროექტების სტადიაზევე ცხადი გახდა, რომ აღნიშნულ იდეას არ შეიძლება ჰქონდეს უნივერსალური ხასიათი. ეს დადასტურდა ლათინური ამერიკის ქვეყნების მაგალითზე მანამდე, სანამ დაიწყებოდა რუსეთში რეფორმების გატარება.

თუმცა შეიძლება დავუშვათ ჰიპოთეზა, რომ კონკრეტული პერიოდისა და ლათინოამერიკული კონკრეტული ქვეყნებისთვის (არგენტინა, ვენესუელა, პერუ, ჩილე და სხვ.) ეს იდეები პოზიტიური იყო და გარკვეული აზრი გააჩნდათ. მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ პრინციპებზე აგებულმა ბეილის გეგმამ თბვის მიზანს ვერ მიაღწია — ლათინური ამერიკის ქვეყანათა ჯგუფმა თავიდან ვერ აიცილა დავალიანების კრიზისის ახალი პერიოდი და განმეორებითი კრიზისი არგენტინაში. მიუხედავად ამისა, შეიქმნა „ვაშინგტონის კონსენსუსის" პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი — სტრუქტურული გარდაქმნა როგორც საგარეო ვალის პრობლემის გადაწყვეტა.

რეფორმების განხორციელების მეორე ეტაპზე ლათინური ამერიკის მოვალე ქვეყნებისთვის განკუთვნილი დებულებები გავრცელდა ყველა განვითარებად ქვეყანაზე, რადგან მათი

პრობლემები შედარებით მსგავსი იყო. რეკომენდებული საშუალებების არსენალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. კერძოდ, ყურადღება გამახვილდა პრივატიზების პრობლემაზე — პრივატიზება არის არა მხოლოდ ეკონომიკის სტრუქტურული პრობლემების გადაწყვეტა, არამედ დინამიკური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის უნივერსალური საშუალება. საბანკო სექტორისთვის შემუშავებული იყო რეკომენდაციები, მათ შორის საპროცენტო განაკვეთთან და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით. ძირითადად განიხილებოდა პრივატიზაციის პოლიტიკა, მაგრამ სათანადოდ არ შეფასდა ის გარემოება, რომ პრივატიზაციას უნდა უსწრებდეს საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნის საკანონმდებლო საქმიანობა, მთავრობამ უნდა ჩამოაყალიბოს კონკურენტული გარემო, ამ დროს არ უნდა ხდებოდეს ეკონომიკის უსისტემო დენაციონალიზება.

მესამე ეტაპზე, მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ნგრევის და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, „ვაშინგტონის კონსენსუსის" პროექტის ფარგლებში ყველა ეს რეკომენდაცია სრული მოცულობით მიღებული იყო რუსეთის მთავრობის მიერ, რამაც მთავრობის რეფორმატორული საქმიანობის კრახი, ეკონომიკის დაცემა, მოსახლეობის სიღატაკე გამოიწვია. ამავე დროს, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არც ერთმა მთავრობამ არ მიიღო „შოკური თერაპია" სრული მოცულობით. ქვეყანაში კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, მათ შეძლეს წარმოების კატასტროფული დაცემის თავიდან აცილება, საკმაოდ სწრაფად გარდაქმნეს ეკონომიკური სტრუქტურები და ახალი ზრდის წინაპირობები შექმნეს.

ყველა ტრაგიკული მოვლენის მიუხედავად,1995 წლისთვის დსთ-ს ქვეყნებმა უკვე გაიარეს სახელმწიფოთაშორისო ვაჭრობაში შეთანხმებულ ფასებზე გადასვლის ძირითადი ეტაპი. მაგრამ ქვეყნების მთავრობებმა ვერ მიიღეს ფასების სფეროსთან დაკავშირებული აუცილებელი ზომები. კერძოდ, სოციალისტური ეკონომიკური სისტემის არსებობის ბოლო წლებთან შედარებით (1990-1991 წწ.) საგრძნობლად შემ-

ცირდა ხელფასი (3-6-ჯერ). რუსეთში პარლამენტის ლიკვიდაციამდე მიღებული იყო დამოუკიდებელი ზომები ხელფასის აბსოლუტური ვარდნის წინააღმდეგ. მაგრამ 1993 წლის ოქტომბრის შემდეგ სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა და უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება მცირე ხელფასს ანტიინფლაციურ ფაქტორად განიხილავდა და „თეორიულად" დაასაბუთა შემდგომშიც დაბალი ხელფასის შენარჩუნების აუცილებლობა, რათა მომავალში მიღწეულიყო ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ხელფასის ზრდა.

მოგვიანებით ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში დაიწყო ხელფასის და მსოფლიო ბაზარზე არსებული ფასების დაახლოების პროცესი. მაგრამ არ შეიძლება ამ ფაქტორის განხილვა როგორც „მოძრაობა საბაზრო რეფორმებისკენ", რადგან მრავალჯერ გაზრდილი ფასები ხელფასის ცვლილებებს არ ეყრდნობოდნენ და მოსახლეობის გაღატაკებას უწყობდა ხელს. ამის შედეგად შიდა ეკონომიკურ პოლიტიკასა და მის საგარეო ეკონომიკურ კომპონენტებს შორის გაჩნდა გარღვევა, რომელიც დღესაც აქტუალურია.

რეფორმების წლებში და გარდამავალ პერიოდში ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, რუსეთსა და დსთ-ს სხვა წევრ-ქვეყნებში ჩამოყალიბდა როგორც ზოგიერთი საერთო ტენდენცია, ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავებები და თავისებურებანი, რაც განსაკუთრებით ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებისა და დსთ-ს წევრ-ქვეყნების ეკონომიკებს შორის გამოჩნდა. გარდაქმნების პირველ ეტაპზე თითქმის ყველა ახლადშექმნილი ქვეყანა ცდილობდა განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე გასვლას, რაც უშედეგო აღმოჩნდა (ნედლეულის მიწოდების შესაძლებლობის გარდა). ამავე დროს დსთ-ს ქვეყნებში იგნორირებული იყო სავაჭრო ურთიერთკავშირები და რატომღაც ითვლებოდა, რომ ეს ადვილად ანაზღაურდება სხვა ბაზრებზე გასვლით. ცენტრალური აზიის ქვეყნები ცდილობდნენ სავაჭრო თანამშრომლობის დამყარებას ჩინეთთან, ინდოეთთან, ირანთან

და თურქეთთან; მოლდავეთი და ბალტიის ქვეყნები კი — დასავლეთ ევროპასთან (რაც შედარებით წარმატებულად გამოუვიდათ). თითქმის ყველა დსთ-ს წევრმა-ქვეყანამ დაამყარა გარკვეული ახალი სავაჭრო ურთიერთობები, მაგრამ ამავე დროს წყდებოდა უფრო პერსპექტიული და სარფიანი ურთიერთკავშირები. უთუოდ, თითქმის ყველა ქვეყანაში ეს გახდა მძლავრი საწარმოო-ეკონომიკური დაცემის და ხანგრძლივი დეპრესიის ერთ-ერთი მიზეზი, რადგან იგნორირებული იყო მეზობელი ქვეყნების საქონლის და მომსახურების სტაბილური მოთხოვნა.

ამას მინერალური ნედლეულის (ნავთობის და ბუნებრივი აირის), ფერადი ლითონების და მადნეულის მსოფლიო ბაზრებზე მნიშვნელოვნად შეცვლილმა პირობებმა შეუწყეს ხელი. მაგ., რთული კლიმატური და გეოლოგიური პირობების გამო რუსული ნავთობის თვითღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე არაბეთის ქვეყნებში, ნიგერიაში, ვენესუელაში და სხვ. ქვეყნებში მოპოვებული ნავთობის მსუბუქი სახეების თვითღირებულება. მის მაღალ რენტაბელობას უზრუნველყოფს მხოლოდ ერთი ფაქტორი — დაბალი ხელფასი (ანუ დაქირავებული სამუშაო ძალის ექსპლუატაციის მაღალი ნორმის ხარჯზე) და იგი რენტაბელურია, როდესაც მსოფლიო ბაზარზე ნავთობის 1 ბარელის ფასი 30 აშშ დოლარს აღემატება. მაგრამ სამუშაო ძალის ასეთი გამოყენების დროსაც მოგების მისაღებად საჭიროა, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ერთი ბარელის ფასი არ იყოს 30-35 დოლარზე ნაკლები.

ამიტომ, როდესაც მსოფლიო ბაზარზე ამ ნიშნულზე ნაკლები ფასები იყო შენარჩუნებული, რუსეთის ნავთობმრეწველობის საექსპორტო ქვოტას მოჰქონდა მოგება, მაგრამ მისი ოდენობა საკმაოდ მოკრძალებული იყო. როდესაც ნავთობის სექტორი გადაეცათ საეჭვო წარმოშობის კერძო პირებს, მაშინ ხაზინაში შემოსავლები მინიმუმამდე შემცირდა.

2001 წლიდან რუსეთში მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა — ამ დარგში გამოიკვეთა ფასების ზრდის ტენდენ-

ცია, რომელმაც პიკს 2001 წლის 11 სექტემბერს მიაღწია (ტრაგიკული ტერაქტი ამერიკაში). რუსეთში იზრდება ნავთობიდან მიღებული სავალუტო ნაკადი, ომი ერაყში (ამ მინერალური საწვავის მსოფლიო მარაგების ძირითად რაიონში) კი ამყარებს რუსეთისთვის სასიკეთო სიტუაციას. მოვლენათა ასეთი განვითარება დსთ-ს სხვა ქვეყნებისთვისაც არის მომგებიანი (კერძოდ, ყაზახეთი და აზერბაიჯანი). ახალი სიტუაცია აისახა დსთ-ს სხვა ქვეყნებზეც, რომლებთან რუსეთს დადებული ჰქონდა პრეფერენციული შეთანხმებები. შეთანხმებების თანახმად, ნავთობი (ბუნებრივი აირი) ამ ქვეყნებს მიეწოდებოდათ არა მსოფლიო, არამედ შიდა ფასებით. აღნიშნული სიტუაცია 2005 წლიდან შეიცვალა.

ამ წლებში განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტის სწრაფი ზრდის ტენდენცია აღინიშნება. მაგრამ ამ პროცესის ინტენსივობა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია: ბალტიისპირეთის და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში ეს ტემპი მაღალია, დსთ-ს ქვეყნებში კი — დაბალი. მდიდარი სანედლეულო პოტენციალის გამო ყაზახეთი და რუსეთი არ განიცდიდნენ თავისი ექსპორტის გამოყენების პრობლემებს. უზბეკეთმა მიმართა ASEAN-ის ქვეყნებთან ერთობლივი საწარმოების შექმნის მეთოდოლოგიას და ამ საწარმოთა პროდუქციის ექსპორტის საქმეში წარმატებასაც მიაღწია (მაგ., ავტომანქანები). შესაბამისად, დროთა განმავლობაში ზოგიერთ ქვეყანაში საერთო სიტუაცია გახდა სტაბილური, გამყარდა საგარეო ვაჭრობა, გაჩნდა ახალი ეროვნული და უცხოური საწარმოები. პოლიტიკური სტაბილიზაციის, შეიარაღებული კონფლიქტების შეწყვეტის და საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნის შედეგად ამ ქვეყნებში, ვაჭრობასთან ერთად, უცხოური კაპიტალიც შემოვიდა — 1996-1999 წწ. პერიოდში გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში 70 მლრდ. დოლ. შევიდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით (ძირითადად ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში და ბალტიისპირეთში). დსთ-ში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად მიემართებოდა მდიდარი სანედლეულო მარაგების

მჭონე ქვეყნებში — მაგ., აზერბაიჯანში, ყაზახეთში და ნაკლებად რუსეთში (გარდა ნავთობში დაბანდებებისა). ამ ქვეყნებმა მიიღეს ინვესტიციების მთელი მოცულობის 75%. აღსანიშნავია, რომ უცხოური კაპიტალი ნაკლები მოცულობით შემოვიდა რუსთში (დსთ-ს სხვა ქვეყნებთან შედარებით) მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი შეღავათებისა, რომლებიც რუსეთში არსებობდა უცხოური კაპიტალის მოსაზიდად.

ყოველივე ეს ხელს უწყობდა კერძო კაპიტალის სექტორის ზრდას და ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის შემცირებას (თუმცა თანაფარდობა განსხვავდებოდა დსთ-ს სხვადასხვა ქვეყნებში). შესაბამისად, ეკონომიკური ზრდა ხდებოდა ეროვნული ეკონომიკის კერძო სექტორის საფუძველზე. მისი წილი უფრო მაღალია ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა უნგრეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, ესტონეთი; უფრო ნაკლები — ბელორუსიაში, უზბეკეთში, თურქმენეთში და ტაჯიკეთში.

ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურაში პრივატიზებული ეკონომიკის წილის მიხედვით დსთ-ს ზოგიერთი წევრი-ქვეყანა არ ჩამორჩება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს. მაგრამ დსთ-ს რიგ ქვეყანაში ძალზე დაბალია უცხოური კაპიტალის ნორმა. უცხოური კაპიტალის მაღალი ნორმა ქვეყანაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიების, სამრეწველო და სამმართველო გამოცდილების შემოსვლის თვალსაზრისით. ეს ფაქტორი, განსაკუთრებით კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბების პერიოდში, მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს საერთაშორისო კაპიტალის ნდობა ახალგაზრდა, ფორმირების სტადიაში მყოფი კაპიტალის მიმართ.

კაპიტალიზმის განვითარების კიდევ ერთ თავისებურებას რუსეთში და დსთ-ს სხვა წევრ-ქვეყნებში, რომელიც ადასტურებს მის დასაწყისიდანვე დეფორმირებულ ხასიათს — წარმოადგენს მოხმარების სექტორის გაფართოება მრეწველობის და სოფლის მეურნეობის წილის შემცირების ხარჯზე. ეს ორი წამყვანი დარგი საკმარისად განვითარებული რომ

ყოფილიყო რუსეთში, მათი შემცირება სტრუქტურიზების ხარჯზე იქნებოდა ლოგიკური და კანონზომიერი. მაგრამ ეს შემცირება განხორციელდა საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგების — სოფლის მეურნეობის (მეცხოველეობის, მებოსტნეობის, მეხილეობის), მსუბუქი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ფარმაცევტიული წარმოების — განადგურებით. ეს დარგები, რომლებიც გარდამავალ პერიოდამდეც არსებობდნენ, საჭიროებდნენ მოდერნიზებას და არა განადგურებას. მაგ., რეფორმატორული საქმიანობის შედეგად ფერმერთა ახალ კლასს არა აქვს ბაზარი, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული კვების პროდუქტებით აღმოჩნდა გაჯერებული. ასეთივე მდგომარეობაა ფარმაცევტულ და საყოფაცხოვრებო ტექნიკის დარგებში და სხვ.

მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში წარმოების შემცირების სპეციფიკურმა ხასიათმა და ეკონომიკის ამ სექტორებში წილების შემდგომმა გადანაწილებამ გამოავლინეს, რომ წარმოების ამ ორ დარგობრივ ჯგუფში საერთო ვარდნამ ჯამში გარდამავალი პერიოდის დაწყებამდე არსებული დონის 45-50% შეადგინა. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში (განსაკუთრებით კი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ბაზაზე შექმნილ ქვეყნებში) წარმოების ვარდნა იყო შთამბეჭდავი არა მხოლოდ მასშტაბით, არამედ ხანგრძლივობითაც. ეს მაჩვენებლები უფრო მასშტაბური აღმოჩნდა 1929-1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისისთან შედარებით, რომელიც იყო უმძიმესი კრიზისის კლასიკური მაგალითი მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში.

1990-იან წწ.-ში დასრულდა გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებული ვარდნა. უკრაინაში — ერთადერთ ქვეყანაში, სადაც 10 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა წარმოების მოცულობის შემცირება, — ზრდა დაფიქსირდა 2002 წელს. მაგრამ ზრდის ტემპების აღდგენის პროცესი ყველა ქვეყანაში ერთნაირად მსუბუქად არ მიმდინარეობდა. ცენტრალური და სამხრეთ ევროპის ქვეყნებში (ბულგარეთი, ჩეხეთის

რესპუბლიკა და რუმინეთი) აღდგენის პერიოდის განმავლობაში კიდევ ორი წელი მცირდებოდა წარმოების მოცულობა. დანარჩენ ოთხ ქვეყანაში წარმოების ვარდნა კიდევ ერთი წელი გრძელებოდა: 1997 წ.-ის მოვლენებმა ალბანეთში ფინანსური კრიზისი გამოიწვიეს; 1999 წ. ლიტვაში, ხორვატიაში და ესტონეთში შეიმჩნეოდა სიტუაციის გაუარესება; 1998 წ. კრიზისის გამო რუსეთში ახალი ვარდნა მოხდა. მომდევნო წლებში (1990-იანი წწ.-ის ბოლოდან 2000-2005 წწ.-მდე) ამ ქვეყნებშიც საკმაოდ მდგრადი ზრდა (6-8%) შეიმჩნევა.

2003-2005 წწ.-ში დსთ-ს ქვეყნებში მშპ-ს ზრდის ტემპები საპროგნოზოს აღემატებოდა და საკმაოდ მაღალი იყო. რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანაში შეიმჩნეოდა სტაბილური ეკონომიკური ზრდა, რომელიც ნავთობზე მაღალი ფასებით, ხელფასის და მოხმარების ზრდით და ზოგიერთ ქვეყანაში კი ინვესტიციების მაღალი ტემპებით იყო სტიმულირებული. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანალიტიკოსების აზრით — 2006 წ. ეკონომიკური ზრდა ოდნავ უნდა შენელებულიყო, რადგან ინვესტიციების მოხმარების ზრდის ტემპები ჩვეულებრივ დონეს დაუბრუნდებოდა და ნავთობზე ფასები ოდნავ შემცირდებოდა (რაც სინამდვილეში არ მოხდა).

დსთ-ს ქვეყნებში ეკონომიკის მდგრადი ზრდა შეიმჩნევა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, მათ შორის 1998 წ. რუსეთის ფინანსური კრიზისის შედეგების გადალახვის და მაკროეკონომიკური სტაბილურობის ამაღლების გამო (პირველ რიგში ინფლაციის დონის შემცირების შედეგად). მაგრამ ზემოთაღნიშნულ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური ზრდა მჭიდროდ არის დამოკიდებული ნავთობის და ბუნებრივი აირის სექტორების მდგომარეობაზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების აზრით, ეკონომიკური ზრდის სტაბილურობისთვის საჭიროა ინვესტიციების განხორციელება ეკონომიკის სხვა სექტორებში, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება, საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტების და სტრუქტურების განვითარება, რაც მთელი რეგი-

ონის სუსტ ადგილს წარმოადგენს (განსაკუთრებით, ბელარუსის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის და რუსეთისთვის).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოხსენებაში აღინიშნება, რომ საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას უნდა თან ახლდეს საბანკო სისტემების (როგორც საინვესტიციო დაფინანსების მთავარი წყაროს) და სასამართლო სტრუქტურის გაძლიერება. ამასთან დაკავშირებით, საბანკო დეპოზიტების სწრაფი ზრდა, რომელიც ახლო წარსულში დსთ-ს ბევრ ქვეყანაში შემჩნეოდა, შეიძლება განვიხილოთ როგორც დადებითი ფაქტორი, მაგრამ იგი ახალ მაკროეკონომიკურ პრობლემებს იწვევს. ასე, მაგალითად, ბანკებისთვის კრედიტების მიღების მცირე შესაძლებლობები, კრედიტების სწრაფი ზრდა საფრთხეს უქმნის ფინანსურ სტაბილურობას. საბანკო რეფორმების პროგრესის გარეშე, არასაკმარისად განვითარებულმა საბანკო სისტემამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ეკონომიკის სტაბილურ ზრდას. ინფლაციის დაბალი დონის (განსაკუთრებით ენერგიაშემცველების ექსპორტიორ-ქვეყნებში და უკრაინაში) და უცხოური ვალუტის დიდი ოდენობის ფონზე ფულის მოთხოვნის ზრდა ვალუტების სტაბილური გაცვლითი კურსების შენარჩუნების პირობებს ქმნიდა. მაგრამ რემონეტიზაცია არის ისეთი პროცესი, რომელიც შეიძლება შენელდეს და მაშინ სწრაფად გაზრდილი ფულადი მასა გამოიწვევს ინფლაციური წნეხის ზრდას. ასეთ პირობებში აღნიშნული ქვეყნების მთავრობები მზად უნდა იყვნენ სავალუტო-საფინანსო პოლიტიკის გასამკაცრებლად, ვალუტის გაცვლითი კურსის ზრდის დაშვების ჩათვლით.

2005 წ.-ს რუსეთის ეკონომიკა ვითარდებოდა საკმაოდ სტაბილურად მაღალი ტემპებით, მაგრამ ინფლაციის დონე არა მხოლოდ არ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდეც, ძირითადად წარუმატებელი „შეღავათების მონეტიზების" ჩატარების გამო, როდესაც მთავრობის მცდარი ქმედებების გამო 20 მლრდ დოლ.-ზე მეტის გადახდა მოუწიათ (დაგეგმილი 8 მლრდ. დოლ. ნაცვლად). ინფლაციის სხვა ფაქტორია

— მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ტარიფის და სხვა საყოფაცხოვრებო გადასახადების მუდმივი ზრდა. სამართლიანია ანალიტიკოსების მოსაზრება, რომ აუცილებელია ფინანსური სექტორის, ბუნებრივი მონოპოლიების, სახელმწიფო სამოქალაქო სამსახურის და სახელმწიფო მართვის სფეროში გარკვეული პროგრესის მიღწევა, რათა მომდევნო ათწლედში მიღწეული იყოს რეალური მშპ-ს ორმაგი ზრდა და შემცირდეს ნავთობზე დამოკიდებულება. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მიზნები ძნელი მისაღწევია.

სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები და სიღარიბის მასშტაბების ზრდა. აღვნიშნავთ, რომ განვითარებად ქვეყნებთან შედარებით დსთ-ში და გარდამავალი ეკონომიკის სხვა ქვეყნებში უკიდურესი სიღარიბის საერთო დონე ნაკლებია, მაგრამ 1991-2004 წწ.-ში იგი მკვეთრად გაიზარდა. დსთ-ში ყოველი 20 ადამიანიდან ერთი ადამიანი დღეში 1 დოლზე ნაკლებს ღებულობდა „შემოსავლის" სახით, მაშასადამე, ეს თანაფარდობა 1 20-თან შეადგენდა. აღვნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ 1998 წ.-ს მაჩვენებელი იყო სხვა — 1 60, ანუ 60 ადამიანიდან ყოველი ერთი იყო ღარიბი. გარდა ამისა, სიღარიბის დონის ზრდა აღმოჩნდა უფრო მასშტაბური და მდგრადი, ვიდრე ამას ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ. წარმატებით განვითარებად ქვეყნებშიც კი (მაგ., პოლონეთში), სადაც სიღარიბის დონე განუწყვეტლივ მცირდება თავის პიკურ მაჩვენებელთან (1990 წ.-ის ბოლო) შედარებით,2005 წ.-ს იგი მაინც უფრო მაღალი იყო, ვიდრე 1990 წლის ბოლოს, ანუ შედარებით 1989 წელთან, რომელიც კაპიტალისტური ტრანსფორმაციის გზის დასაწყისი იყო. მხოლოდ 2005 წ.-ს სიღარიბის დონე თითქმის გაუტოლდა შესაბამის საშუალო ევროპულ დონეს. გამონაკლისის გარეშე დსთ-ს ყველა ქვეყანაში სიტუაცია უფრო კონტრასტულია: ამ ჯგუფში ყველაზე წარმატებულ ქვეყანაში — რუსეთში — 2004-2005 წწ.-ში ღარიბების და ღატაკების რაოდენობა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე არა მხოლოდ 1990 წ.-ს, არამედ 1970-იან წლებთან შედარებით. თანაც ეს ხდებოდა

იმის მიუხედავად, რომ ნავთობზე მაღალი ფასებით გამოწვეული სახელმწიფოს შემოსავლების ზრდა აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, ხელს უწყობს სასიცოცხლო პირობების გაუმჯობესებას (თუმცა ეს ძალიან ნელა ხდება). მაგრამ წინა წლებში ამ დონის დაცემა იმდენად დიდი და მასშტაბური იყო, რომ გაუმჯობესების ნელი პროცესი სწრაფად ვერ შეცვლიდა ამ ძალზე რთულ სიტუაციას.

შესაბამისი მაჩვენებლები გვიჩვენებენ, რომ 1990-2005 წლებში განვითარებადი ქვეყნების ყველა ჯგუფში მოხდა სიღარიბის მნიშვნელოვანი შემცირება — აზიაში, აფრიკაში (საჰარის სამხრეთით), ლათინურ ამერიკაში და კარიბის აუზის ქვეყნებში; სწრაფად მცირდება სიღარიბე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და ბალტიისპირეთში, და მხოლოდ დსთ-ს ქვეყნებში აღინიშნება სიღარიბის განუწყვეტელი და დაჩქარებული ზრდა — 1,5%-დან 4,7%-მდე (1990-2005 წწ.). ამ სურათს ასახავს ჯინის კოეფიციენტი, რომელიც გამოხატავს შემოსავლების განაწილების უთანაბრობას ქვეყნების მიხედვით. განვითარების უთანაბრობის ხარისხი ყველაზე მაღალია დსთ-ს წევრ-ქვეყნების ჯგუფში. რუსეთში, უკრაინაში და ტაჯიკეთში ჯინის კოეფიციენტი ყველაზე მაღალია. იგი მაღალია საქართველოშიც. რუსეთს, ნავთობიდან მიღებული ყველაზე მაღალი შემოსავლების წყალობით, აქვს პრინციპიალური შესაძლებლობა დაძლიოს სიღარიბის პრობლემა, და შესაბამისად, გაამაგროს ადამიანებში ნდობა კაპიტალისტური არჩევანის მიმართ. მაგრამ ყოველივე ამას სერიოზული ეკონომიკური პოლიტიკა ესაჭიროება.

საქართველო და გარე სამყარო. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის (მშპ) თითქმის გაორმაგებამ (184,9 პროცენტით ზრდა - იხ. ცხრილი) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ეროვნული მეურნეობის საგარეო სექტორი საგრძნობლად გააქტიურა.

კერძოდ, 2006 წელს 2002 წელთან შედარებით თითქმის ორნახევარჯერ გაიზარდა და 3491.4 მილიონ დოლარს გა-

დააჭარბა ქვეყნის მთლიანმა ექსპორტმა – საქონლის, მომსახურების, შემოსავლების და მიმდინარე ტრანსფერების სახით. შედეგად, თუ 2002 წელს ეს მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტის 41.6 პროცენტს უდრიდა, 2006 წელს მან თითქმის 44.9 პროცენტი შეადგინა.

აღნიშნულ პერიოდში უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა (დაახლოებით 26 პროცენტული პუნქტით) ქვეყნის მთლიანი ექსპორტი – საქონლის, მომსახურების, შემოსავლების და მიმდინარე ტრანსფერების სახით და მან 2006 წელს – 4646.5 მლრდ დოლარს გადააჭარბა. 2002 წელს ამ მაჩვენებლის შეფარდება მშპ-თან უდრიდა 47.7 პროცენტს, ხოლო 2006 წელს იგი 59.7%-მდე გაიზარდა.

ამ პერიოდში განსაკუთრებით აღსანიშნავია საექსპორტო პროდუქციის წარმოების მოცულობების მატება. მიუხედავად რუსეთის მიერ გამოცხადებული ემბარგოსი – საქონელზე, 2006 წლის აპრილიდან,

ხოლო სატრანსპორტო მომსახურებაზე – ამავე წლის სექტემბრიდან, აღნიშნული მაჩვენებელი 2006 წელს, 2002 წელთან შედარებით 2,5 – ჯერ, ხოლო წინა წელთან შედარებით – 17.6 პროცენტით გაიზარდა. შედეგად, 2006 წელს საქონლისა და მომსახურების ექსპორტის შეფარდებამ მშპ-თან შეადგინა 33%, მაშინ, როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი 2002 წელს 29,7% უდრიდა.

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ჭართული ექსპორტი ჯერ კიდევ შედგება ისეთი პროდუქციისაგან, რომელიც ნაკლებად მოითხოვს გადამუშავებას და შესაბამისად, ნაკლებ კეთილმყოფელ გავლენას ახდენს მოსახლეობის დასაქმებაზე, შემოსავლების ზრდაზე, ზოგადად, მათი კეთილდღეობის ამაღლებაზე.

კერძოდ, 2006 წელს მთლიან ექსპორტში ისეთი პროდუქტები, როგორებიცაა გადასამუშავებელი თუჯი, მანგანუმის მადანი და კაკალი 25%-მდე შეადგენდნენ.

საანალიზო პერიოდში კიდევ უფრო მაღალი ტემპებით იზრდებოდა საიმპორტო საქონლის მოცულობები. ცხადია,

თუ იმპორტი ისეთი საქონლისაგან იქნებოდა შედგენილი, რომლებსაც შეუძლიათ სასიკეთოდ წაადგნენ ეროვნული მეურნეობის ზრდას მომავალში, მაგალითად, ტექნიკა, ტექნოლოგია, „ნოუ-ჰაუ“ და სხვ. მაშინ ეს მოვლენა სახარბიელო იქნებოდა. მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით, ქვეყნის უმთავრეს საიმპორტო საქონელს ნავთობი და მისი პროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები და სამკურნალო საშუალებები შეადგენდა, რომელთაც იმპორტის 30%-მდე უკავიათ.

სახელდობრ, 2002 წელს იმპორტი შეადგენდა 1455.76 მლნ დოლარს, ხოლო 2006 წელს მისი მოცულობა სამჯერ და მეტჯერ იყო გაზრდილი. შესაბამისად გაიზარდა იმპორტის შეფარდება მშპ-თან. კერძოდ, აღნიშნული მაჩვენებელი 2002 წელს უდრიდა 42.8 პროცენტს, ხოლო 2006 წელს - 56.7 პროცენტს. საანალიზო პერიოდში საქონლისა და მომსახურების ექსპორტი დაბალი ტემპებით ზრდამ იმპორტთან შედარებით გამოიწვია მათი შეფარდების გაუარესება იმპორტის სასარგებლოდ.

კერძოდ, თუ 2002 წელს საქონლისა და მომსახურების ექსპორტის შეფარდება საქონლისა და მომსახურების იმპორტთან უდრიდა 69 პროცენტს, 2006 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 11.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2002 წელს საქონლისა და მომსახურების იმპორტი მშპ-ს 42.8% შეადგენდა, ხოლო 2006 წელს - 56.7%, ანუ გაიზარდა 13.9 პროცენტული პუნქტით.

საქონლისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს შორის ასეთმა განსხვავებული ტემპებით მატებამ გაზარდა საქონლისა და მომსახურების საერთო ბალანსის დეფიციტი, რომელმაც 2006 წელს -1845.5 მლნ დოლარი შეადგინა და 4-ჯერ და მეტჯერ აღემატებოდა 2002 წლის შესაბამის მაჩვენებელს. საქონლისა და მომსახურების ბალანსი განსაკუთრებით გაურესებულია ბოლო, 2005-2006 წლებში, რაც ერთი მხრივ გამოწვეულია ჭართულ საქონელსა და მომსახურებაზე, ასევე ტრანსპორტზე ემბარგოს დაწესებით რუსეთის მხრიდან, ხოლო მეორე მხრივ საბაჟო გადასახადების

უაღრესად შემცირებამ, თითქმის განულებამ მრავალ საქონელზე. მიგვაჩნია, რომ ყურძნის უხვი მოსავლისა და რუსეთის მხრიდან ემბარგოს პირობებში, რომელიც ქართული ღვინის უმთავრეს ბაზარს წარმოადგენდა დროებით მაინც უნდა გაიზარდოს საბაჟო გადასახადები იმპორტულ ღვინოზე, რათა ამ გზით მცირედ მაინც შემცირდეს ამ პროდუქციის იმპორტი და ადგილობრივი ღვინის რეალიზაციას ხელი შეეწყოს.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამავე პერიოდში კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით იზრდებოდა ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები, რომელიც რუსეთის საფინანსო კრიზისის შედეგად 1998 წლის მხოლოდ ერთ თვეში თითქმის 23 მილიონი დოლარით შემცირდა. ამ პერიოდის შემდეგ ქვეყნის საერთაშორისო რეზერვებმა განუხრელი მატება იწყო და 2006 წლის ბოლოს 930 მილიონ დოლარს მიაღწია. აღნიშნულის შედეგადაც, თუ 2002 წელს რეზერვების ხარჯზე ქვეყანას შეეძლო 1,7 თვის ექვივალენტური ბრუნვის საიმპორტო პროდუქციის შესყიდვა, 2006 წელს საერთაშორისო რეზერვების ხარჯზე იგი უკვე 2.5 თვის ექვივალენტურ საიმპორტო პროდუქციას შეიძენდა.

საანალიზო პერიოდისათვის უდაოდ დადებით მოვლენას წარმოადგენს პირდაპირი ინვესტიციების მკვეთრი ზრდა, რამაც ცხადია, სერიოზული გავლენა მოახდინა ეკონომიკის წინსვლაზე. კერძოდ, თუ 2002 წელს პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა შეადგენდა 156.1 მლნ დოლარს, 2006 წლისათვის ეს მაჩვენებელი თითქმის შვიდჯერ გაიზარდა და 1077.8 მლნ დოლარი შეადგინა. სავარაუდოა, რომ პერსპექტივაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების კიდევ უფრო მეტ მოზღვავებას უნდა ველოდეთ, მით უმეტეს, რომ მსოფლიო ბანკმა 2006 წლის სექტემბრის ბოლოს თავის რეიტინგში, რომელიც ბიზნესის წამოწყების სიადვილის მიხედვითაა შედგენილი, საქართველო ქვეყნების ოცეულში შეიტანა.

როგორც ვხედავთ, საანალიზო პერიოდში სერიოზულა-

დაა გამყარებული ეროვნული ვალუტა - თითქმის 20%-ით. ცხადია, ეს საკმაოდ შემაფერხებელი ფაქტორია საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაზრდისათვის და ხელს უწყობს იმპორტის კიდევ უფრო ზრდას. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლარის კურსის გამყარება კიდევ უფრო მკვეთრი იქნებოდა, რომ არა ეროვნული ბანკის ინტერვენციები სავალუტო ბაზარზე და მის მიერ დოლარის შესყიდვა. ცხადია, ამას აქვს თავისი მეორე მხარე, არანაკლებ საზიანო ეკონომიკისათვის ანუ ხელის შეწყობა ინფლაციის გაზრდისათვის, მაგრამ რა უნდა გაკეთდეს ასეთ შემთხვევაში იმისათვის, რომ არც კურსის ასეთი მკვეთრი გამყარება მოხდეს და არც ინფლაციის ზრდის სტიმულირება (ანუ როგორც ხალხში ამბობენ, არც მწვადი დაიწვას და არც შამფური), ეს ჯერ კაცმა არ იცის (ცნობისათვის: ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, სომხეთი, არ ეწინააღმდეგება კურსის ზრდას, რაც იქ გაცილებით შთამბეჭდავია, ვიდრე ჩვენთან, სამაგიეროდ, სომხეთში გაცილებით დაბალია ინფლაცია).

ამ პერიოდისათვის ასევე პოზიტიურ მოვლენად უნდა იქნას აღთქმული სახელმწიფო საგარეო ვალის როგორც მთლიანი მოცულობის შემცირება, 1659.27 მლნ დოლარიდან 1604.49 მლნ დოლარამდე, ასევე მისი შემცირება მშპ-თან მიმართებაში. კერძოდ, თუ საგარეო ვალი 2002 წელს შეადგენდა მშპ-ს 49 პროცენტს, 2006 წელს იგი 21 პროცენტის ტოლია, ანუ შემცირდა 28 პროცენტული პუნქტით.

	ზომის ერთეული	2002 წ.	2006 წ.
მშპ მიმდინარე ფასებში	მლნ დოლარი	3399.9	7,778.20
მშპ 1996 წლის ფასებში	მლნ დოლარი	2327.9	4056.8
რეალური მშპ-ს ზრდა	%	105,6	109,4

სოფლის მეურნეობა და თევზჭერა	მლნ დოლარი	653.7	879.4
მრეწველობა	მლნ დოლარი	449.8	962.5
ვაჭრობა	მლნ დოლარი	435.9	1,059.1
ინვესტიციები ძირითად კაპიტალში	მლნ დოლარი	833.2	1,995.6
ძირითად კაპიტალში ინვესტიციების ზრდა	%	-	110.90
ფართო ფული (M3) პერიოდის ბოლოს	ათ. ლარი	863572	2661674
საშუალო წლიური ინფლაცია	%	5,4	8,8
საშუალო წლიური გაცვლის კურსი	დოლარი/ლარი	2.1911	1.7765
მიმდინარე ანგარიშები	მლნ დოლარი	-207.4	-1155.3
მიმდინარე ანგარიშები/მშპ	%	-0.06	-0.15
მიმდინარე ანგარიშები ტრანსფერების გარეშე	მლნ დოლარი	-185.7	-632.8
მიმდინარე ანგარიშები ტრანსფერების გარეშე/მშპ	%	-0.05	-0.08
საქონლის და მომსახურების ბალანსი	მლნ დოლარი	-446.8	-1677.8
საქონლის და მომსახურების ბალანსი/მშპ	%	-0.13	-0.22
საქონლის და მომსახურების ექსპორტი	მლნ დოლარი	1,008.9	2,567.5

საქონლის და მომსახურების ექსპორტი/მშპ	%	0.30	0.33
მიმდინარე ტრანსფერები მლნ დოლარი	216.7	522.5	
მიმდინარე ტრანსფერები (ნეტ) /მშპ	%	0.064	0.067
საქონლის და მომსახურების ექსპორტი/საქონლის და მომსახურების იმპორტთან	%	-1.39	-0.58
საქონლის და მომსახურების ექსპორტი/მშპ	%	0.30	0.33
საქონლის და მომსახურების იმპორტი	მლნ დოლარი	-726.85	-4412.90
საქონლის და მომსახურების იმპორტი/მშპ	%	-0.21	-0.57
საერთაშორისო რეზერვები	მლნ დოლარი	202.18	930.83
საერთაშორისო რეზერვები/საქონლის და მომსახურების იმპორტთან	თვე	-0.28	-0.21

პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში	მლნ დოლარი	833.19	1995.61
პირდაპირი ინვესტიციები ერთ კაცზე	აშშ დოლარი	35.5	245
მთლიანი საგარეო ვალი პერიოდის ბოლოს	მლნ დოლარი	1659.27	1604.49
საგარეო ვალის მომსახურება	მლნ დოლარი	71.25	282.17
საგარეო ვალი/მშპ	%	49%	21%
საგარეო ვალის მომსახურება/ საქონლისა და მომსახურების ექსპორტთან	%	7.16	11.06

აზერბაიჯანი და გარე სამყარო. საბჭოთა კავშირის დაშლამდე არც ერთ საბჭოთა რესპუბლიკას დამოუკიდებელი საგარეო ეკონომიკური საქმიანობა არ შეეძლო. ყოველგვარი ექსპორტ-იმპორტი თუ სხვა სახის ფულადი ურთიერთობები საზღვარგარეთ მოსკოვის მიერ ხორციელდებოდა. იმპერია დაიშალა და ცხადია, ყველა მოკავშირე რესპუბლიკა შეეცადა თავისთვის ხელსაყრელი კავშირები დაემყარებინა გარე სამყაროსთან. თუმცა ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ამ რესპუბლიკებში ჯერჯერობით დაბალ კონკურენტუნარიანი პროდუქცია იწარმოება, რისი რეალიზაციაც მეტად რთულია მსოფლიო ბაზრებზე. ამის შედეგად თითქმის ყველა პოსტსაბჭოურ რესპუბლიკას საგადამხდელო ბალანსის უარყოფითი სალდო აქვს (თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქარ-

თველოში ჩვენ დაწვრილებით აღვწერეთ... ოქტომბრის,, 24 საათში“). გამონაკლისებს მხოლოდ ის ქვეყნები წარმოადგენენ, რომელთაც ბუნებისაგან ჭარბად აქვთ მომადლებული მინერალური საბადოები - გაზი, ნავთობი და ა. შ. ერთ-ერთ ასეთ რესპუბლიკას აზერბაიჯანი წარმოადგენს.

ნავთობის ექსპორტი საშუალებას აძლევს აზერბაიჯანს შეავსოს თავისი ფინანსური აუარები. ამის შედეგად 2007 წელს ამ ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის დადებითმა სალდომ 3,996.7 მილიონ დოლარს მიაღწია და 3.8 ჯერ აღემატებოდა 2006 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. 2007 წელს აღნიშნული სალდო აზერბაიჯანის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 32.4%-ს შეადგენდა.

აზერბაიჯანის საგადამხდელო ბალანსის ასეთი დადებითი სალდო ამ ქვეყნის უაღრესად დადებითი სავაჭრო ბალანსიდან, რომელიც 2007 წელს 6,648.3 მილიარდ დოლარს უდრიდა და ასევე ქვეყანაში ტრანსფერული შემოდინებებიდან (დაახლოებით 409 მილიონი 2007 წელს), გამომდინარეობს.

როგორც ჩანს, აზერბაიჯანის საგადასახდელო ბალანსის აღნიშნული დადებითი სალდო მცირდება მომსახურების - 1,046.0 მილიონი დოლარით და უცხოური კონცერნების მიერ ქვეყნიდან გატანილი დივიდენდებით - 2,014.6 მილიონი დოლარით.

ბოლო წლებში მკვეთრად იზრდება ასევე აზერბაიჯანის ეკონომიკაში ჩადებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების (ცნობისათვის: საქართველოში ინვესტიციას პირდაპირი ეწოდება იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს რეალიზებულ აქციათა ღირებულებაში უცხოელი ინვესტორის წილი 10 %-ზე მეტია, სხვა შემთხვევაში იგი პორტფელური ინვესტიციაა) მოცულობებიც. აღნიშნული მაჩვენებელი 2007 წელს წინა წელთა შედარებით მომატებულია 1.8-ჯერ და 4.37 მილიარდ დოლარს შეადგენს.

განუხრელად იზრდება ქვეყნის ეროვნული მეურნეობის დაკრედიტების მაჩვენებლებიც. კერძოდ, 2007 წელს წინა წელთან შედარებით იგი გაზრდილია 5.6 ჯერ და შეადგენს 1 მილიარდს.

ამავე პერიოდში გაზრდილია ასევე თავად აზერბაიჯანელების მიერ უცხოეთში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობებიც.

2007 წელს გაზრდილია ასევე აზერბაიჯანის საერთაშორისო სავალუტო რეზერვები (31%-ით წინა წელთან შედარებით) და მისმა მოცულობამ 2007 წელს 5,737.1 მილიონი დოლარი შეადგინა. აზერბაიჯანის რეზერვებს შეადგენს: სახელმწიფო ნავთობის ფონდის აქტივები - 1,924.5 მილიონი დოლარი, მთავრობის დეპოზიტები - 1,027.8 მილიონი დოლარი და აზერბაიჯანის ეროვნული ბანკის საერთაშორისო აქტივები - 2,784.8 მილიონი დოლარის ოდენობით.

საქართველო და აზერბაიჯანი: ეკონომიკური კავშირები ღრმავდება. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საკმაოდ მჭიდრო სამეურნეო კავშირები არსებობს, რომელიც თანადათან უფრო ღრმავდება. ამას, ეკონომიკურ აუცილებლობასთან ერთად გარკვეულწილად ისიც განაპირობებს, რომ ჩვენ ქვეყნებს ერთნაირი სტრატეგიული სამომავლო პოლიტიკა აქვთ არჩეული და ეს ევროპასთან (ზოგადად, დასავლურ ცივილიზაციასთან) ინტეგრაცია წარმოადგენს.

ამჟამად სწორედ აზერბაიჯანია საქართველოს უმთავრესი მომმარაგებელი ნავთობით, მისი პროდუქტებით და გაზით. ამასთან, ბოლოს ხანებში აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან გაისმა განცხადებები იმის თაობაზე, რომ 2007-8 წლის ზამთარში, შესაძლოა, საქართველოს მთელი მოთხოვნილებები გაზზე მხოლოდ მან დააკმაყოფილოს.

2000-06 წლებში აზერბაიჯანმა საქართველოს 879.2 მილიონი დოლარის ღირებულების ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მიმდინარე წლის ექვს თვეში - 77 მილიონი დოლარის, ამავე პერიოდში 30 მლნ დოლარის ნავთობის აირები და აირებრივი ნახშირწყლები (2007 წლის 6 თვეში - 15.3 მილიონი დოლარის) და 27.2 მილიონი დოლარის ნავთობის კოქსი, ბიტუმი და ნავთობის გადამუშავების სხვა ნარჩენები (2007 წლის 6 თვეში - 6.6 მილიონი დოლარის) მოაწოდა.

მთლიანობაში აზერბაიჯანის ექსპორტი საქართველოში 2004 წლის შემდეგ 7-ჯერ და მეტჯერ გაიზარდა და 1,162.0 მლრდ დოლარი შეადგინა.

პარალელურად, თუმცა არა ასეთი ტემპებით, იზრდება საქართველოს ექსპორტიც აზერბაიჯანში. კერძოდ, თუ 2006 წელს ის 92.2 მილიონ დოლარს შეადგენდა, 2007 წლის მხოლოდ 6 თვეში კი მისი მოცულობა 62.3 მილიონია. აქ ქართული ექსპორტის ძირითადი სახეებია: მინერალური წყლები, პორტლანდცემენტი, სამკურნალო საშუალებები და ა. შ.

აზერბაიჯანის მიმართ საქართველოს ჯერჯერობით გარკვეული ვალიც ერიცხება, რომელიც 2007 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, 14 მლნ 497 ათ. დოლარს შეადგენდა. 27-28 აგვისტოს ბაქოში საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივ სხდომაზე საქართველოს დელეგაციამ ამ ვალის ვადამდე სრული დაფარვის საკითხი დააყენა, რომელსაც ამ ქვეყნის მთავრობა სწავლობს.

შუა აზია — დიდი სახელმწიფოების საჯილდაო ძვა. ექსპერტების შეფასებით, უახლოეს წლებში უაღრესად გაიზრდება შუა აზიის როლი და მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკაში. ეს გამოწვეული იქნება როგორც მისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, ასევე იმ უდიდესი რაოდენობის ნავთობის, გაზის, ურანის და სხვა საბადოების არსებობით მის წიაღში (ამის შესახებ ოფიციალური მაჩვენებლები არა ქვეყნდება. რამდენადაც ცნობილია, მაგალითად, შუა აზიაში არსებული ურანის მარაგი ამ ნედლეულის მსოფლიო რესურსების თითქმის მესამედს შეადგენს).

ამის გამო მცირე აზიაში დღეს სამი დიდი სახელმწიფოს - ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის, ჩინეთის და ასევე ევროკავშირისა და მუსლიმანური ქვეყნების ინტერესები იკვეთება.

ექსპერტების დასკვნებით, რეგიონში შეერთებული შტატების სტრატეგიული ინტერესია:

- კონტროლი გაუწიოს კასპიის ზღვის აუზში არსებული გაზისა და ნავთობის მოპოვებასა და ტრანსპორტირებას;
- განსაკუთრებით გააკონტროლოს ურანის მარაგების მოპოვებისა და გამოყენების პროცესები;
- მოახერხოს ნედლეულის მიწოდების მხრივ ჩინეთის გარკვეულ ბლოკადაში მომწყვდევა;

• გააძლიეროს თავისი სამხედრო არსებობა რეგიონში. ეს მას ხელს შეუწყობდა როგორც, ერთის მხრივ, ჩინეთზე ზეწოლის განხორციელებაში, ისე გახდებოდა ერთგვარი პლაცდარმი ირანზე მომავალი სამხედრო აქციის განხორციელებაში;

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს შედარებით უკეთესი პოზიციები ჰქონდა რეგიონში სსრკ-ს დაშლის პირველ-ორ წელიწადში, მაგრამ შემდეგ მან ეს პოზიციები თანდათან დათმო, შეიძლება ითქვას, რუსეთისა და ჩინეთის სასარგებლოდ. ამის თვალსაჩინო მაგალითია თუნდაც უზბეკეთის მიერ მისი სამხედრო კონტინგენტის გაყვანის მოთხოვნა. სამაგიეროდ უზბეკეთმა რუსეთთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ქარიმოვის რეჟიმი რუსეთს იმის უფლებასაც კი აძლევს, რომ შიდა თუ გარე საფრთხის შემთხვევაში ქვეყანაში თავისი ჯარები შეიყვანოს.

რუსეთს რეგიონში შემდეგი სტრატეგიული ინტერესები ამოძრავებს:

• კონტროლი გაუწიოს. რეგიონის ბუნებრივი რესურსების მარაგების, განსაკუთრებით ნავთობისა და გაზის, მოპოვებასა და გამოყენებას, რათა ეს მარაგები რუსეთის მარაგების ალტერნატიულ წყაროდ არ იქცნენ; რუსეთმა მაგალითად, არ დამალა თავისი უკმაყოფილება იმ მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით, რომლის მიზანსაც ყაზახური გაზის საქართველოსათვის მიწოდება წარმოადგენს. რუსეთს კიდევ უფრო აშინებს ყაზახური ნავთობის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ევროპის ბაზრებისათვის მიწოდება.

• იმდენად მომაგრდეს რეგიონში, რომ არ დაუშვას მისი გამაჰმადიანება, განსაკუთრებით ისლამისტი რადიკალების რუსეთში შეღწევა;

• არ დაუშვას შეერთებული შტატების პოზიციების გამაგრება რეგიონში, თავისი, ეგრეთ წოდებული, დემოკრატიის ექსპორტის გამოყენებით;

• გამორიცხოს შუა აზიაში ჩინეთის დომინირებულ ძალად გადაქცევა;

რეგიონში განსაკუთრებით აქტიურობს ნავთობის მწარმოებელი ფირმები. მათ განზრახული აქვთ უახლოეს პერიოდში მხოლოდ ყაზახეთში დააბანდონ 3 მლრდ დოლარამდე, საიდანაც ერთი მილიარდი ლუკოილის სახსრები იქნება.

თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის პოლიტიკურ ელიტას დღემდე არა აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული თავისი გეოპოლიტიკური ხედვა ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით. პრეზიდენტ პუტინის უახლოეს თანამოაზრეებს (პეტერბურგელ ლიბერალებს) უფრო სწორ პოლიტიკად მიაჩნიათ დასავლეთთან სტრატეგიული პარტნიორობა, განსხვავებით ეგრეთ წოდებული, ჩეკისტების, ანუ ძალოვნებისაგან, რომლებიც უფრო ჩინეთსა და ინდოეთს სახავენ თავიანთ პერსპექტიულ პარტნიორებად.

თავის მხრივ ჩინეთს შუა აზიაში შემდეგი ინტერესები გააჩნია:

- მონაწილეობა მიიღოს რეგიონის ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაციაში;
- ამ ნედლეულის ექსპორტს შეუცვალოს მიმართულება და ნაცვლად დასავლეთისა, აღმოსავლეთისაკენ უქციოს პირი;
- შეძლოს რეგიონში თავისი სამხედრო შეღწევა;
- მონაწილეობა მიიღოს ახალი კომუნიკაციების მშენებლობაში, რომლებიც ჩინეთს ევროპასთან დააკავშირებდა და ამასთან გაცილებით მოკლე და უსაფრთხო იქნებოდა სხვა გზებთან შედარებით.

ჩინეთმა უკვე მიაღწია კიდეც ამ მხრივ გარკვეულ წარმატებებს. ერთ-ერთ ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ჩინელებმა ყაზახეთიდან გაიყვანეს პირველი ნავთობსადენი, რომელიც რუსეთზე არ გაივლის.

თავისი ინტერესების გამოხატვაში ჯერ-ჯერობით შედარებით პასიურია ევროკავშირი. მას აქამდე არავითარი სამეურნეო თუ პოლიტიკური წინადადება არ შეუთავაზებია რეგიონის ქვეყნებისათვის. მანაც, ისევე, როგორც თავის დროზე შეერთებულმა შტატებმა, ვერ გამოიყენა სიტუაცია, რომელიც შეიქმნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რო-

დესაც შუა აზიის ქვეყნები შეეცადნენ ევროკავშირთან მჭიდრო კავშირების დამყარებას ევროკავშირთან.

რაც შეეხება მუსლიმანურ ქვეყნებს, მათი უპირველესი ინტერესია შუა აზიაში ახალი მუსლიმანური სახელმწიფოს დაარსება.

აღსანიშნავია, რომ შუა აზიის სამომავლო სტრატეგიასთან დაკავშირებით სიტუაციას ართულებს ის, რომ თავად ამ რეგიონის ქვეყნებს არა აქვთ შემუშავებული საკუთარი პოლიტიკა. ამ ქვეყნებიდან ვერც ერთი ვერ გახდა ჯერჯერობით ისეთი დამოუკიდებელი ლიდერი, რომელიც შეძლებდა დანარჩენი ქვეყნების თავის გზაზე გაყოლიებას. რამდენიმე წლის წინათ ასეთი ამბიციები გაუჩნდა ყაზახეთს. მას ამის საფუძველს აძლევდა ჯერ ერთი ის, რომ როგორც შეერთებულმა შტატებმა, ისე ევროკავშირმა იგი დემოკრატიულ და საბაზრო ეკონომიკის ქვეყნად აღიარეს. ამასთან, როგორც ქვემოთ მოტანილი ცხრილებიდანაც კარგად ჩანს, იგი ლიდერია მშპ-ს გაზრდის თვალსაზრისით, შეძლო საბენსიო და კომუნალური სისტემების რეფორმირება, ქვეყნის საბანკო სექტორი პასუხობს თანამედროვე ევროპულ ნორმებს და ა. შ.

თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ქვეყნის ეკონომიკა კვლავინდებურად, მსგავსად რუსეთის და ზოგიერთი არაბული ქვეყნისა, კვლავაც დიდადაა დამოკიდებული ნავთობის ფასზე საერთაშორისო ბაზრებზე. ქვეყნის ხელისუფლება ცდილობს შექმნილი სიტუაციის შეცვლას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ ახერხებს. მას ამაში ხელს უშლის ყაზახეთში უაღრესად მოძლიერებული ნავთობის ლობი, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს სახელისუფლებო წრეებზე.

ყოველივე აღნიშნულის გამო, ყაზახეთის ასეთი მცდელობა, გამხდარიყო რეგიონის ქვეყნების ლიდერი, მცდელობადვე დარჩა.

რეგიონის ქვეყნების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები. ისეთი ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, როგორებსაც წარმოადგენს მშპ-ს წარმოების აბსოლუტუ-

რი მაჩვენებლები, მშპ ერთ მოსახლეზე გაანგარიშებით და ა. შ. რეგიონში ლიდერობს ყაზახეთი.

კერძოდ, თუ 2007 წელს ყაზახეთში წარმოებული იყო 161,2 მლრდ აშშ დოლარის ექვივალენტური პროდუქცია, ტაჯიკეთში აწარმოეს მხოლოდ 3,4 მლრდ აშშ დოლარის ანუ თითქმის 15-ჯერ ნაკლები პროდუქცია.

აღსანიშნავია, რომ ყაზახეთი რეგიონში ლიდერობს ასევე მშპ-ს წარმოების მიხედვით ერთ მოსახლეზე გაანგარიშებით, კერძოდ, 2007 წელს ეს მაჩვენებელი უდრიდა 10605 აშშ დოლარს, მაშინ, როდესაც იმავე ტაჯიკეთში მისი მოცულობა შეადგენდა მხოლოდ 522 დოლარს.

ცხრილი 14.1

ეროვნული მეურნეობის განვითარების მდგომარეობა შუა აზიის ქვეყნებში 2007 წელს

	მოსახლეობა	მშპ	მშპ-ის ზრდის ტემპები	მშპ 1 სულზე	ინფლაცია
	მილიონი კაცი	მლრდ დოლ.	(%)	დოლ.	(%)
ყაზახეთი	15,2	161,2	8,5	10605	10,8
თურქმენეთი	6,7	26,2	–	5055	–
უზბეკეთი	26,9	20,2	9,5	753	–
ყირგიზეთი	5,6	15,5	8,2	2764	10,2
ტაჯიკეთი	6,6	3,4	7,8	522	21,5

რაც შეეხება მშპ-ს ზრდის ტემპებს, ტაჯიკეთში აღნიშნული მაჩვენებელი 2007 წელს 7,8%-ს შეადგენდა, ხოლო ყაზახეთში 4,4%-ს.

მრავალი ექსპერტი შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ყაზახეთი შეიძლება ე. წ. ჰოლანდიური

ავადმყოფობით დაავადდეს. ასეთ დროს ქვეყანა საექსპორტო შემოსავლებზე ხდება დამოკიდებული და გაცილებით ნაკლებ იყენებს სხვა რესურსებს. ყაზახეთის ენერგოშემცველების სექტორი იძლევა დღეს ამ ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების დაახლოებით 30%-ს, საექსპორტო შემოსავლების ნახევარზე მეტს და ქვეყანაში წარმოებული მშპ-ს თითქმის 20%-ს.


აღსანიშნავია, რომ რეფორმების გატარების მხრივ შედარებით დაწინაურებულია ყაზახეთი და ყირგიზეთი. კერძოდ, მხოლოდ ამ ორ ქვეყანაში მოხდა საბაზრო ეკონომიკის რეფორმებისათვის ისეთი აუცილებელი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა სახელმწიფო საკუთრების პრივატიზება, რის შედეგადაც აქ კერძო საკუთრების ხვედრითმა წონამ მთელს საკუთრებაში 60 პროცენტი შეადგინა. უკვე თვალში საცემია ის გარემოება, რომ პრივატიზაციამ სერიოზული იმპულსი მისცა ქვეყნის ეროვნული მეურნეობის განვითარებას.

პრივატიზების პროცესების განხორციელების თვალსაზრისით შუა აზიაში ჯერ-ჯერობით შედარებით პასიურობს თურქმენეთი, სადაც კერძო საკუთრება მხოლოდ 25 პროცენტითაა წარმოდგენილი.

მშპ-ს წარმოების დაბალი ინტენსიობა, რეფორმების გატარება ნელი ტემპებით და სხვ. ცხადია, გავლენას ახდენს შუა აზიის ქვეყნებში დასაქმების დონეზე. უმუშევრობა ყველაზე მაღალია თურქმენეთსა და ტაჯიკეთში, სადაც საკუთრების ძირითადი ნაწილი ჯერ კიდევ სახელმწიფოს ხელშია, რომელიც, როგორც ცნობილია, ცუდი მეურნეა.

უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლები, მშპ-ს წარმოების დაბალი ტემპები, რეფორმების განუხორციელობლობა და ა. შ. პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის ცხოვრების დონესთან. შესაბამისად იქ, სადაც, მაღალია უმუშევრობა, დაბალია წარმოების ეფექტურობა, მოსახლეობა ღარიბად ცხოვრობს. ასეა ეს მაგალითად, უზბეკეთსა და ტაჯიკეთში. აქ იმ ადამიანების ხვედრითი წილი, რომლებიც დღეში 2 დო-

დიაგრამა 14.1




ლარზე ნაკლებს იღებენ, მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში მაღალია, ხოლო იქ, სადაც რეფორმები ტარდება, მოსახლეობა დასაქმებულია, მშპ-ს მაჩვენებლები იზრდება და ა. შ. ისე, როგორც ამავე რეგიონის ქვეყნებიდან, ყაზახეთსა და ყირგიზეთში, აღნიშნული მაჩვენებელიც მაღალია.

უმუშევრობის შემცირება პირდაპირ კავშირშია სიღარიბის დაძლევასთან. როგორც ცნობილია, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, ქვეყნები, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი ეკონომიკურ ინტეგრაციაში და უცხოური ინვესტიციების დაბანდების სასურველ ქვეყნებს წარმოადგენენ, სიღარიბის მაჩვენებელიც შედარებით შემცირებულია.

დიაგრამა 14.2

სიღარიბს მაჩვენებელი, 2004 წ.
(დღეში 2 დოლარზე ნაკლები შემოსავალი)



უკრაინა უმდიდრესი ქვეყანა იმპორტით ცხოვრობს. არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ გამიგია, თუ წამიკითხავს, რომ უკრაინას ისეთი ნაყოფიერი ნიადაგები აქვს, რომ დასავლეთ ევროპის რომელიღაც ქვეყნის (თუ არ ვცდები, საფრანგეთის) მუზეუმშია, როგორც ეშვიათი ექსპონატი, გამოფენილი.

რა თქმა უნდა, ადრეულ საუკუნეებში (თვით XX საუკუნის ჩათვლითაც კი), როდესაც წარმოების უმთავრეს ფაქტორს მიწა წარმოადგენდა, ასეთი მდიდარი ნიადაგების (სხვა შორის, ამ ქვეყანას სასოფლო-სამეურნეო წარმოები-

სათვის კლიმატიც მეტად ხელსაყრელი აქვს) მქონე ქვეყანა, საკმაოდ მდიდარი უნდა ყოფილიყო. და იყო კიდეც. თუ არ ჩავთვლით სტალინური კოლექტივიზაციის საწყის პერიოდს, როდესაც განკულაკების მოტივით მილიონობით უკრაინელი გლეხი შიმშილით ამოხოცეს.

მაგრამ, როგორც ჩანს, დღევანდელ ეპოქაში მხოლოდ ნიადაგის ნაყოფიერება არაა საკმარისი, რომ ქვეყანამ მდიდრულად იცხოვროს. ეს რომ ასეა, ამის ყველაზე საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთად სწორედ უკრაინა გამოდგება. მიუხედავად იმისა, რომ მას ასეთი საუცხოო კლიმატი და ნიადაგები გააჩნია, იმის გამო, რომ ენერგოშემცველები (გაზი, ნავთობი და ა. შ.) ნაკლებად აქვს, იგი იმპორტზე და მაშასადამე, სხვა ქვეყანაზე ხდება დამოკიდებული. ამასთან, ვერც საკუთარ წარმოებას ანვითარებს ისე ეფექტურად, რომ ექსპორტის საშუალებით მაინც დაფაროს იმპორტისათვის საჭირო ხარჯები.

კერძოდ, 2006 წელს უკრაინის ექსპორტი - 38,4 მლრდ დოლარს, ხოლო იმპორტი - 45 მლრდ დოლარს შეადგენდა. ამასთან, თუ ამ ქვეყნის საიმპორტო პროდუქციის მოცულობები ყოველწლიურად იზრდება, ბოლო ხანებში უკრაინის ექსპორტი კლების ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად, 2005 წელს მისი მოცულობა წინა წელთან შედარებით 12.2 პროცენტით, ხოლო 2006 წელს 2005 წელთან შედარებით 3,1 პროცენტით შემცირდა (იხ. www.worldbank.org.ua).

ცხადია, ამგვარი არასახარბიელო საგარეო ეკონომიკური ვითარება იმ მხრივაც ახდენს ქვეყანაზე გავლენას, რომ იგი იძულებულია გაზარდოს თავისი საგარეო ვალები (გაზრდილ იმპორტს ხომ თანხები სჭირდება, თანაც კონვერტირებული ვალუტის სახით!). ამის შედეგად საგარეო ვალის შეფარდება ქვეყანაში წარმოებულ მშპ-თან თანდათან იზრდება და თითქმის მიაღწია კრიტიკულ ზღვარს. კერძოდ, თუ აღნიშნული მაჩვენებელი 2005 წელს 45,3 პროცენტს უდრიდა, 2006 წელს იგი 5,9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და მშპ-ს მიმართ 51,2 პროცენტს მიაღწია.

როგორც ჩანს, უკრაინელები აინუნშიაც არ აგდებენ შექმნილ ვითარებას და ყოველწლიურად მაღალი ტემპებით ზრდიან მოხმარებას, რომელიც 2005 წელს წინა წელთან შედარებით 15,7 პროცენტით, ხოლო 2006 წელს 2005 წელთან შედარებით - 11,2 პროცენტით გაიზარდა.

ბოლო წლებში მართალია მკვეთრად იკლო, მაგრამ მაინც მაღალი რჩება ინფლაციის მაჩვენებელი და მან 2006 წელს საშუალოდ 9,1 პროცენტი შეადგინა (წინა, 2005 წელს 13,5. ცნობისათვის: 2000 წელს ინფლაციის მაჩვენებელი უკრაინაში წელიწადში 30 პროცენტამდე აღწევდა!)

თუმცა უნდა ითქვას, რომ ყოველივე ამასთან ერთად ქვეყანა საკმაოდ მაღალი ტემპებით ავითარებს ეროვნულ მეურნეობას. ეს განსაკუთრებით მთლიანი შიდა პროდუქტის ყოველწლიურ მატებაში გამოიხატება, რომელმაც ბოლო ხუთ წელიწადში (2002-2006წწ) საშუალოდ წლიური 7.3 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული ტემპი კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა, რომ არა მისი ჩავარდნა 2005 წელს, როდესაც ის 2.7 პროცენტამდე დაეცა (ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ რევოლუციები მათ შორის, ნარინჯისფერიც, დადებითად არ ადგება ეკონომიკის წინსვლას, ყოველ შემთხვევაში, მის უახლოეს მომდევნო პერიოდში მაინც, მანამდე, ვიდრე ყველაფერი თავის ადგილას დადგება).

მართალია ქვეყანაში გარკვეული პოლიტიკური მღელვარება კიდევ შეინიშნება (მიუხედავად დემოკრატიული ძალების გამარჯვებისა), მაგრამ ჩანს, უკრაინა საკმაოდ მიმზიდველი გახდა უცხოური კაპიტალისათვის, რომლის მოცულობა აქ ყოველწლიურად მატულობს. კერძოდ, თუ ამ ქვეყნის ეკონომიკაში 2004 წელს მხოლოდ 1,715 მილიონი დოლარის ოდენობის პირდაპირი ინვესტიციები დაბანდდა, 2005 წელს მან 7,808 მილიონი, ხოლო 2006 წელს - 5,203 მილიონი დოლარი შეადგინა.

დასავლეთელმა ინვესტორებმა თავიანთ „ბლოკნოტებში" უკვე ჩაინიშნეს უკრაინა, როგორც საბანკო კაპიტალის დაბანდების უაღრესად მიმზიდველი ქვეყანა. შედეგებმაც არ

დააყოვნა და მხოლოდ 2006 წელს ქვეყანაში 5,706 მილიონი დოლარის ოდენობის საბანკო კაპიტალი დაბანდდა, რაც 2 ჯერ და მეტჯერ აღემატებოდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

სხვათა შორის, ქართულმა ბანკმა „საქართველოს ბანკმაც“ დააბანდა გარკვეული სახსრები უკრაინის ეკონომიკაში - 7.2 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რაც უკრაინული ბანკის („განვითარებისა და პარტნიორობის ბანკის“) კაპიტალის წილის შესყიდვაში გამოიხატა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეკონომიკის სწრაფი ტემპებით განვითარება თავად უკრაინელ ბიზნესმენებსაც აძლევს იმის საშუალებას, რომ მათაც გაიტანონ საზღვარგარეთ კაპიტალი. მაგალითად, 2006 წელს უკრაინულმა ბანკებმა 1 მილიარდი დოლარის ოდენობის ინვესტიციები, ხოლო უკრაინულმა საწარმოებმა 14 მილიარდ დოლარზე მეტი კაპიტალი გაიტანეს ქვეყნიდან უცხოეთში დასაბანდებლად.

გაუმჯობესებული სამეწარმეო კლიმატი ჯერ-ჯერობით სერიოზულ დადებით გავლენას ვერ ახდენს მოსახლეობის დასაქმების მდგომარეობაზე. ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელი თითქმის 10 პროცენტამდეა.

თუმცა, ჩემთვის ამგვარი სტატისტიკური ცნობები დამაჯერებლობასაა მოკლებული და მგონია, რომ იგი გაცილებით მეტია. მრეწველურად გაცილებით განვითარებულ მის მეზობელ პოლონეთში თუ უმუშევრობის მაჩვენებელი 14 პროცენტი და უფრო მაღალია, რანაირად შეიძლება ანალოგიური მაჩვენებელი უკრაინაში მასზე გაცილებით დაბალი იყოს?

ჩვენი ეჰვის სისწორეში ისიც გვარწმუნებს, რომ უმუშევარი უკრაინელები დასაქმების მიზნით სწორედ პოლონეთში გადადიან და იქ ვაჭრობაში, მომსახურებაში, მშენებლობაზე მუშაობენ. სწორედ ამის გამოცაა, რომ ბოლო წლებში უკრაინის მოსახლეობა კლებულობს იგი 2000 წელს თუ 48,85 მილიონ ადამიანს შეადგენდა, 2006 წელს 2,29 მილიონითაა შემცირებული.

- მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, ტ. II, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ, თბილისი, 2004. — გვ. 231-297.
- მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო, პროფ. გრ. თოდუას და პროფ. შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი, 2001. — გვ. 789-839.
- მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო, პროფ. გრ. თოდუას და პროფ. შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი, 2001. — გვ. 789-839.
- ასლამაზიშვილი ნ. საქართველო და დანარჩენი მსოფლიო: UNCTAD-ის ვაჭრობისა და განვითარების ინდექსის მიხედვით. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. კვარტალურ მიმოხილვა. მაისი. 2008. გვ. 65-73.
- ლეკაშვილი ე. ინტეგრაციული განვითარების მიმართულებები და პრობლემები დსთ-ს სისტემაში, ეკონომიკის აქტუალური საკითხები, III გამოშვება, 1997.
- ლეკაშვილი ე. ამიერკავკასიის ქვეყნების საერთო ეკონომიკური მდგომარეობის შედარებითი ანალიზი რეფორმების პირობებში. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", №2, აგვისტო, 1999.
- პოლ ჰერსტი, გრემ ტომპსონი. გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. გამომც. „დიოგენე", I ქართ. გამოც., თბილისი, 2005.
- Peter Dicken. Global Shift, Transforming the World Economy, Third Edition, P.C.P Ltd, 1999.

თავი 15

საერთაშორისო ორგანიზაციების როლი გლობალური პრობლემების გადაჭრაში

საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემების სტრუქტურა. საერთაშორისო ორგანიზაციები. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) სისტემის ორგანიზაციები და საერთო კომპეტენციის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები. საერთაშორისო ორგანიზაციები მსოფლიო ვაჭრობის სისტემაში.

უცხოური ქვეყნისთვის დახმარება ის ფულია, რომელსაც მდიდარი ქვეყნის ღარიბები იხდიან და ღარიბი ქვეყნის მდიდრები იღებენ.

ევან ეზარი

წინა ორ თავში დაწვრილებითაა გაანალიზებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, რომლებიც კაცობრიობის წინაშე გლობალური მასშტაბით დგას. გლობალიზაციის გამოწვევები ადეკვატურ პასუხს მოითხოვს. XX საუკუნის ისტორიამ მთელ მსოფლიოს თვალნათლივ აჩვენა, რომ საერთო ძალისხმევის გარეშე მისი დასასრული გარდაუვალია. იგი გამოწვეული იქნება გლობალური პრობლემების შედეგად, რომელთა აღკვეთა მხოლოდ მთელი კაცობრიობის კარგად კოორდინირებულ და ერთობლივ მოქმედებას შეუძლია.

კაცობრიობის პასუხი გლობალური პრობლემების გამწვავებაზე საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემების შექმნა გახდა. ეს სისტემა ჯერ ფუნქციურად არასრულყოფილია და მუდმივად ვითარდება.

საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიკაცია.

ჩვენთვის ცნობილია, რომ მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლამ გამოიწვია გლობალიზებადი მსოფლიოს პირველი მოდელის დაღუპვა XX საუკუნის დასაწყისში. პირველი მსოფლიო ომისა და დამანგრეველი რევოლუციების შემდეგ კაცობრიობა შეეცადა საკუთარი ძალისხმევის კოორდინირებას და ახალი კატაკლიზმების აღსაკვეთის მიზნით 1919 წელს შეიქმნა ერთა ლიგა. იგი საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ინიციატივით შეიქმნა და 30-ზე მეტი სახელმწიფო გაერთიანდა, მაგრამ 1939 წელს ერთა ლიგამ არსებობა შეწყვიტა. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

შემდგომ გამარჯვებული სახელმწიფოები კვლავ შეეცადნენ საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნას, რომელიც ქვეყნებს შორის ურთიერთობების რეგულირებასა და მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტას შეძლებდა. 1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო), ხოლო ერთი წლით ადრე ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) და მსოფლიო ბანკი (მბ) შეიქმნა. ამჟამად საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემაში 4 ათასზე მეტი ორგანიზაციაა, მათ შორის 300 სამთავრობათშორისოა.

საერთაშორისო ორგანიზაციების დაჯგუფება შესაძლებელია სხვადასხვა ნიშნით:

1. არასამთავრობათშორისო და მთავრობათშორისი ორგანიზაციები. საერთაშორისო ორგანიზაციების სამთავრობათშორისია. მათ შორის უამრავი სხვადასხვა ასოციაციები, კავშირები და ფონდებია;

2. უნივერსალური და სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციები;

3. საერთო კომპეტენციის ორგანიზაციები, რომლებიც პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ურთიერთობების ყველა სფეროს მოიცავს (გაერო, ევროპის საბჭო, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა) და სპეციალური კომპეტენციის ორგანიზაციები, რომლებიც რომელიმე გარკვეულ სფეროში თანამშრომლობენ (მსოფლიო საფოსტო კავ-

შირი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია);

4. ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, რომელთა გადაწყვეტილებები, მთავრობათაშორისი ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე უშუალოდ ვრცელდება (მაგალითად, ევროკავშირის გადაწყვეტილება სავალდებულოა მისი წევრი ქვეყნების ყველა პირისათვის);

5. ღია ორგანიზაციები, სადაც გაწევრიანება თავისუფლად შეიძლება და დახურული ორგანიზაციები, სადაც მიღება დამფუძნებლების მიწვევით და რეკომენდაციით შეიძლება (მაგალითად, ნატო).

საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიცირება მოცემულ თავში განხილულია მათი საქმიანობის მიმართულებისა და რეგულირების ობიექტის მიხედვით. ამგვარი კლასიციკაციის ნიშნების შესაბამისად საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები იყოფა:

ა) ორგანიზაციებად, რომლებიც კომპლექსური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას ემსახურება. მათ მიეკუთვნება გაეროს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, ევროსაბჭოსა და სხვა სისტემის ორგანიზაციები.


ბ) ორგანიზაციებად, რომლებიც მსოფლიო ფინანსურ ბაზრებსა და საერთაშორისო სავალუტო-ფინანსურ ურთიერთობებს არეგულირებენ (სსფ, მბ-ის ჯგუფი და სხვ.).

გ) ორგანიზაციებად, რომლებიც საქონლის ბაზრებსა და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებს არეგულირებენ (ვმო, ოპეკი და სხვ.).

დ) რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები (ევროკავშირი, NAFTA და სხვ.). (ნახ. 14.1.)

გაეროს სისტემის საერთაშორისო ორგანიზაციები.

გაეროს ცენტრალური ადგილი უკავია საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. გაეროს წევრია 185 სახელმწიფო.



ნახ. 14.1. საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემის სტრუქტურა

გაეროს ოფიციალური მიზნები:

• საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა (მხარდაჭერა) კოლექტიური ზომების მიღებისა და დავების მშვიდობიანი რეგულირების საშუალებით;

• ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარება და ერების თვითგამორკვევა თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე;

• საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანური საერ-

თაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში და დისკრიმინაციის გარეშე ნებისმიერი ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის განვითარება;

• ცენტრალური ორგანოს ფუნქციის შესრულება სხვადასხვა ქვეყნების ძალისხმევის შეთანხმებისათვის მოცემული მიზნების მისაღწევად.

გაერო შეიმუშავებს რეკომენდაციებს, კონვენციებს, ღონისძიებებს, რომლებსაც სთავაზობს თავის წევრებს. გაერო მიისწრაფვის ქვეყნების მოქმედებისა და ინიციატივების კოორდინაციისკენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემა მთავარი და დამხმარე, სპეციალიზირებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისა და ავტონომიური ორაგნიზაციებისაგან შედგება.


მთავარ ორგანოთა რიცხვს მიეკუთვნება: გენერალური ასამბლეა (გა); უშიშროების საბჭო (უს); საერთაშორისო სასამართლო და სამდივნო. წესდების თანახმად აუცილებლობის შემთხვევაში იქმნება დამხმარე ორგანოები.

გაეროს სისტემა მოიცავს პროგრამებს, საბჭოებსა და კომისიებს, რომლებიც მათზე დაკისრებულ კონკრეტულ ფუნქციებს ახორციელებენ (ნახ. 14.2., 14.3.).

განვიხილოთ *გაეროს სისტემის საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების სტრუქტურა* (ნახ 14.2.).

გენერალური ასამბლეა გაეროს ორგანოს წარმოადგენს. იგი უფლებამოსილია ორგანიზაციის წესდების ფარგლებში ნებისმიერი საკითხი გადაწყვიტოს. გენერალური ასამბლეა იღებს რეზოლუციებს, რომლებიც შესასრულებლად მისი წევრებისათვის სავალდებულო არ არის, მაგრამ მსოფლიო პოლიტიკასა და საერთაშორისო სამართლის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. მისი არსებობის მანძილზე მიღებულია 10000 სხვადასხვა რეზოლუცია. გენერალური ასამბლეა საბოლოოდ ამტკიცებს ყველა საერთაშორისო კონვენციას, რომელიც ეკონომიკურ საკითხებს შეეხება. გენერალურ ასამბლეაში ეკონომიკურ საკითხებზე მუშაობს:

ნახ. 14.2. ბათუმის მიწის საბრუნტეხნიკა.



ნახ. 14.3. გაეროსთან დაკავშირებული ორგანიზაციების სისტემა

1. ეკონომიკური და ფინანსური საკითხების კომიტეტი, რომელიც გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომებისათვის რეზოლუციებს შეიმუშავებს.

2. გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისია — საერთაშორისო ვაჭრობაში სამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციით საკითხებზე მუშაობს.

3. საერთაშორისო სამართლის კომისია საერთაშორისო სამართლის განვითარებასა და კოდიფიკაციის საკითხებზე მუშაობს.

4. ინვესტიციების კომიტეტი გაეროს კონტროლის ქვეშ არსებული ფონდების სახსრების ინვესტირების მუშაობს.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ECOSOC) (ესს) გაეროს უმნიშვნელოვანეს ორგანოს წარმოადგენს, რომელიც გაეროს პოლიტიკის ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ ასპექტებზეა პასუხისმგებელი.

ესს-ის ფუნქციებში შედის:

• ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში, კულტურის, განათლების, ჯანდაცვის სფეროებში საერთაშორისო საკითხების კვლევა და მოხსენებების შედგენა, აგრეთვე, ამ საკითხებთან დაკავშირებით რეკომენდაციების წარდგენა გენერალური ასამბლეისათვის, ორგანიზაციის წევრებისა და დაინტერესებული სპეციალიზირებული დაწესებულებებისათვის;

• გლობალური და დარგობრივი ხასიათის საერთაშორისო ეკონომიკური და სოციალური პრობლემების განხილვა და ამ პრობლემებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება წევრი სახელმწიფოებისა და მთლიანად გაეროს სისტემისათვის;

• ეკონომიკურ, სოციალურ და მომიჯნავე სფეროებში გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი პოლიტიკის საერთო სტრატეგიისა და პირველხარისხოვანი ამოცანების განხორციელების კონტროლი და შეფასება;

• გენერალური ასამბლეის და ECOSOC-ის მიერ სხვადასხვა ფორმებით მიღებული და დამტკიცებული შესაბამისი დირექტიული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შე-

თანხმებისა და თანმიმდევრული პრაქტიკული ოპერატიული განხორციელების უზრუნველყოფა;

• გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი პირველი რიგის ამოცანების განხორციელების მიზნით ეკონომიკურ, სოციალურ და მომიჯნავე სფეროებში გაეროს სისტემის ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციის უზრუნველყოფა;

• გაეროს მთელ სისტემაში ოპერატიული საქმიანობის სფეროში პოლიტიკის ყოველმხრივი მიმოხილვა.

ECOSOC-ს თავის სისტემაში გააჩნია კომისიები, კომიტეტები, სპეციალური ჯგუფები, რომლებიც ეკონომიკური საკითხებით არიან დაკავებული.

ესენია:

6. ფუნქციური კომისია და ქვეკომისია: სოციალური განვითარების, ნარკოტიკული საშუალებების კონტროლის, მეცნიერებისა და ტექნიკის, განვითარების, მდგრადი განვითარების ხელშეწყობის, სტატისტიკის, ტრანსეროვნული კორპორაციების;

5. რეგიონული კომისია: ევროპის, აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის, დასავლეთ აზიის;

2 მუდმივი კომიტეტი: პროგრამებისა და კოორდინაციისათვის, უშუალოდ ორგანიზაციებისათვის;

7. ექსპერტთა ორგანო: დაგეგმვის განვითარების კომიტეტი, საგადასახადო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ექსპერტთა სპეციალური ჯგუფი, კომიტეტები — სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირების; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სამართლის; ეროვნული რესურსების; ენერგიის ახალი და განახლებადი წყაროების და განვითარების მიზნით ენერგიის გამოყენების; აგრეთვე, სახელმწიფო მართვისა და ფინანსების ექსპერტთა შეხვედრები.

გაეროს უშუალო ორგანოების გარდა მის სისტემაში სპეციალიზებული დაწესებულებები და მთავრობათშორისი ორგანიზაციებიც შედის. ესენია:

1) გაეროს ფონდები და პროგრამები;

2) გაეროს სპეციალიზირებული დაწესებულებები;

3) გაეროსთან დაკავშირებული ავტონომიური ორგანიზაციები.

პირველ ჯგუფში ყველაზე მნიშვნელოვან ორგანიზაციებს წარმოადგენენ:

1) ინვესტიციების განვითარების ფონდი, რომელიც განვითარებად ქვეყნებს ეხმარება დაფინანსების არსებულ წყაროების შევსების გზით, დახმარებისა და სესხების გაცემით. ფონდის რესურსები ნებაყოფილობითი შენატანებით იქმნება და 40 მლნ. დოლარს აღწევს.

2) გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) გაეროს სისტემის ყველაზე მსხვილი ორგანიზაციაა, რომელიც აფინანსებს მრავალდარგობრივ ეკონომიკურ და ტექნიკურ დახმარებას, მისი რესურსები 1 მლრდ დოლარს შეადგენს და გამუდმებით ივსება დონორი-ქვეყნების მიერ, რომელთა რიცხვშია განვითარებული ქვეყნებისა და მსხვილი განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა. გაეროს განვითარების პროგრამა „მდგრადი განვითარების" წამყვანი ასპექტებითაა დაკავებული: სიღარიბის აღმოფხვრა, გარემოს აღდგენა, დასაქმების უზრუნველყოფა და ა.შ. იგი ამ საკითხებთან დაკავშირებული ასეთი გლობალური ფორუმების ორგანიზატორია, როგორიცაა: გარემოს პრობლემების ფორუმი (რიო-დე-ჟანეირო, 1992 წ.), ხალხთმოსახლეობა და განვითარება (კაირო, 1994 წ.), სოციალური განვითარება (კოპენჰაგენი, 1995 წ.), დღესდღეობით პროგრამის საქმიანობა 150 ქვეყანას მოიცავს, სადაც 6500-ზე მეტი პროექტი ხორციელდება.

3) გაეროს გარემომცველი სამყაროს პროგრამა (UNEP), რომლის ახორციელებს მუდმივ მეთვალყურეობას გარე სამყაროზე და პასუხისმგებელია ამ სფეროში ყველა საერთაშორისო პროექტის კოორდინაციაზე. მისი საქმიანობა გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრისაკენ არის მიმართული.

4) მსოფლიო სასურსათო პროგრამა (WFP), რომელიც საგანგებო ვითარებებში საერთაშორისო სასურსათო დახმა-

რების გაწევის კოორდინაციას ახორციელებს. მისი ბიუჯეტი 1,2 მლრდ. დოლარს აჭარბებს და, ძირითადად, აშშ-ის (500 მლნ. დოლარი), ევროკავშირის (235 მლნ. დოლარი), და სხვა განვითარებული ქვეყნების შენატანების ხარჯზე ივსება.

გაეროსთან დაკავშირებული სპეციალიზირებული ორგანიზაციებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

1) ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO), რომელიც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის 18 სამთავრობათშორისო ორგანიზაციის ძალისხმევას აერთიანებს.

2) გაერთიანებული ერების სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO), რომელიც 168 ქვეყანას აერთიანებს ახალი სამერწველო ტექნოლოგიების დანერგვის, განვითარებადი ქვეყნების, განსაკუთრებით აფრიკული ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის ტექნიკური დახმარების ხელშეწყობის მიზნით. UNIDO-მ შექმნა სამრეწველო და ტექნოლოგიური ინფორმაციის ბანკი და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გაცვლის სისტემა (ინფორმაციული მასების მნიშვნელოვანი ნაწილის გაცნობა შეიძლება ინტერნეტში მისამართზე: www. unido. org).

3) სასურსათო და აბრარული ორგანიზაცია (FAO), რომელიც ხელს უწყობს ინვესტიციებს სოფლის მეურნეობაში, განვითარებადი ქვეყნებისათვის უახლესი ტექნოლოგიების გადაცემას, აგრარულ რეფორმებს. აღსანიშნავია, რომ საიტზე: www. fao. org. ყველა ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის შესახებ შესანიშნავი ინფორმაციაა განთავსებული.

4) სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD), რომელიც განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობისათვის კრედიტებს გასცემს.

5) მსოფლიო საფოსტო კავშირი (UPU) გაეროს სისტემის უძველესი ორგანიზაცია ჯერ კიდევ 1865 წელს დაარსდა და საფოსტო მომსახურების განვითარებითა და მოდერნიზაციით არის დაკავებული.

6) მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) მეტეოროლოგიური დაკვირვებების განვითარების სფეროში საერთაშორისო ძალისხმევის კოორდინაციას ახორციელებს.

7) მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO) ხალხთა ჯანმრთელობის დაცვის პრობლემების გადაწყვეტისათვის 190 ქვეყნის ძალისხმევას აერთიანებს.

8) შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) ვერსალის შეთანხმების საფუძველზე ჯერ კიდევ 1919 წელს შეიქმნა. მის რიგებში 171 ქვეყანაა გაერთიანებული. ILO-მ შრომის საერთაშორისო კოდექსი შეიმუშავა. იგი მოსახლეობის დასაქმებისა და ცხოვრების დონის გაზრდის, აგრეთვე, შრომის სფეროში სოციალური და ეკონომიკური რეფორმების საკითხებითაა დაკავებული.

9) განათლების, მეცნიერებისა და კულტურის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UNESCO) — ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია — ინფორმაციის, ცოდნის, კულტურის, კომუნიკაციისა და ა. შ. სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების საკითხებზე მუშაობს.

გაეროსთან დაკავშირებულ ავტონომიური ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEN), რომლის ფუნქციებში შედის:

- მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს ატომური ენერგეტიკის განვითარებასა და მშვიდობიანი მიზნებისათვის ატომური ენერგიის პრაქტიკულ გამოყენებას, აგრეთვე, ამ სფეროში გამოკვლევების ჩატარებას;
- ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების სფეროში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განსახორციელებლად უზრუნველყოს მასალები, მომსახურება, აღჭურვილობა და ტექნიკური საშუალებები;
- ხელი შეუწყოს სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის გაცვლას;
- მხარი დაუჭიროს მეცნიერ-მუშაკებისა და სპეციალისტების გაცვლასა და მომზადებას.

ეთგო-ს სისტემის ორგანიზაციები და საერთო კომპეტენციის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეთგო) ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ბაზაზე 1961 წელს შეიქმნა. იგი ამ უკანასკნელის სამართალმემკვიდრეა.

ეთგო-ს წევრი ინდუსტრიულად განვითარებული 28 ქვეყანაა: ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი, გერმანია, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ისლანდია, ესპანეთი, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, მექსიკა, ჰოლანდია, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, კორეის რესპუბლიკა, აშშ, თურქეთი, ფინეთი, ჩეხეთი, შვეიცარია, იაპონია.

ეთგო-ს ძირითადი ფუნქცია მსოფლიო მეურნეობის სისტემაში წარმოშობილი წინააღმდეგობების შერბილების მიზნით წევრი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციაა. ეთგო-ს საქმიანობის მიმართულებებს შორის მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვაჭრობის რეგულაციის საკითხები, სავალუტო-საკრედიტო სისტემის სტაბილიზაცია, განვითარებად ქვეყნებთან ურთიერთდამოკიდებულების პრობლემები. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათისაა და შეთანხმებული ქმედება იშვიათად მოსდევს.

ეთგო-ს ოფიციალური მიზნებია:

- მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის ხელშეწყობა როგორც წევრ, ისე არაწევრ ქვეყნებში;
- მათი ვაჭრობის კოორდინაციისა და საერთოეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანი მეთოდების შემუშავება;
- წევრ-ქვეყნებში მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტემპების, დასაქმებისა და ცხოვრების მაღალი დონის ხელშეწყობა ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებით და ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში წვლილის შეტანა;

• საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, მრავალმხრივ არადისკრიმინაციულ საფუძველზე მსოფლიო ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობა;

• განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის სფეროში ქმედებების სტიმულაცია და კოორდინაცია.

• ეთგო-ს მმართველი ორგანოა საბჭო, რომელშიც ყველა ქვეყნის თითო წარმომადგენელი შედის. საბჭო იკრიბება ან მუდმივი წარმომადგენლების შემადგენლობით (დაახლოებით კვირაში ერთხელ) ან წევრი ქვეყნების მინისტრების შემადგენლობით. გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები საბჭოს ყველა წევრის თანხმობით მიიღება და ჩვეულებრივ, სარეკომენდაციო ხასიათისაა. ზოგიერთ შემთხვევაში სავალდებულო დადგენილებებიც მიიღება, რომლებიც არ ვრცელდება არ ქვეყნებზე, ვინც თავი შეიკავა ხმის მიცემისაგან და იმ ქვეყნებზე, რომელთა კონსტიტუცია ამგვარი დადგენილებების მიღების საშუალებას არ იძლევა.

ეთგო-ს შემადგენლობაში 20-ზე მეტი სპეციალიზებული კომიტეტი ფუნქციონირებს. ესენია: ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკისა და განვითარების; ვაჭრობის; კაპიტალის მოძრაობისა და უხილავი გარიგებების; ფინანსური ბაზრების; საგადასახადო პოლიტიკის; კონკურენციის პოლიტიკისა და სამართლის; სამომხმარებლო პოლიტიკის; ტურიზმის; საზღვაო ტრანსპორტის; საერთაშორისო ინვესტიციებისა და მრავალეროვნული საწარმოების; ენერგეტიკული პოლიტიკის; მრეწველობის; ფოლადის; სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოლიტიკის; ინფორმაციის სფეროში პოლიტიკის; კომპიუტერიზაციისა და კომუნიკაციის; განათლების საკითხების; სამუშაო ძალისა და სოციალური პოლიტიკის; სახელმწიფო მართვის საკითხების; გარემომცველი სამყაროს დაცვის; სოფლის მეურნეობის; საქონლის და სხვ.

კომიტეტები ორგანიზაციის ძირითად პრაქტიკულ საქმიანობას ახორციელებენ:

• განსაზღვრავენ წევრი-ქვეყნების საერთო ეკონომიკურ პოლიტიკას;

• მეთვალყურეობენ მათ ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობას;

• ამზადებენ ეთგო-ს ყველა ქვეყნის ყოველწლიურ ეკონომიკურ მიმოხილვას;

• შეიმუშავებენ რეკომენდაციებს ეკონომიკური პროცესების საერთაშორისო რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით;

• უწევენ კონსულტაციებს წევრი-ქვეყნების მთავრობებს განვითარებად ქვეყნებზე სესხების, სუბსიდიებისა და სხვა ფინანსური საშუალებების და სხვა ტექნიკური დახმარების გაწევის საკითხებთან დაკავშირებით.

ეთგო-ს დაფინანსება ხორციელდება ორგანიზაციის წევრების შენატანებით. ეთგო-ს სტრუქტურაში შედიან შემდეგი ორგანიზაციები (ცხრილი 14.1.):

„შვიდეულის ჯგუფი“ ან „დიდი შვიდეული“, „G7“, ეთგო-ს ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი ქვეყნების ორგანიზაციას

ცხრილი 14.1.

ეთგო-ს სისტემის ორგანიზაციები

ორგანიზაციის დასახელება	წევრი-ქვეყნების რიცხვი	დაარსების წელი
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეთგო)	29	1961
„შვიდის ჯგუფი“	7	1975
საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო (IEA)	27	1974
ატომური ენერგიის სააგენტო (NAE)	27	1958

წარმოადგენს. იგი 1975 წელს გლობალური ფინანსური და სავალუტო საკითხების გადასაწყვეტად შეიქმნა. შემდგომში ჯგუფის ფუნქციები იზრდებოდა და ამჟამად მთავრობათა მეთაურების ყოველწლიურ შეხვედრებზე გლობალური საკითხების მთელი სპექტრი განიხილება. ჯგუფში გაერთიანებული დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, კანადა, აშშ, საფრანგეთი და იაპონია მსოფლიო მშპ-ის 60%-ს აწარმოებს და ეს ფაქტი მსოფლიო ეკონომიკაზე „დიდი შვიდეულის" უდიდეს გავლენას განსაზღვრავს. 1997 წელს „შვიდეულის ჯგუფში" რუსეთი შევიდა და ახლა მას ხშირად „დიდ რვიანს" უწოდებენ.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო (IEA) ეთგო-ს ორგანიზაციის ჩარჩოებში ავტონომიურ ორგანოს წარმოადგენს. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- დახმარების გაწევა წევრი ქვეყნებისათვის ენერგიის მრავალფეროვანი წყაროების განვითარებაში გრძელვადიანი თანამშრომლობის საფუძველზე ნახშირის, ბუნებრივი გაზის, ჰიდროენერგიის, ატომური ენერგიის და ენერგიის განახლებადი წყაროების ეფექტიანი გამოყენების წახალისების გზით ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით;
- საგანგებო ვითარებების გადალახვისათვის ზომების განხორციელება სარეზერვო მარაგების შექმნის, ნავთობის მოხმარების შემცირების, ნავთობიდან სათბობის სხვა სახეობებზე სწრაფი გადართვის, ენერგიის ადგილობრივი წარმოების გაზრდის, საგანგებო ვითარებაში ნავთობის განაწილების მუდმივი სისტემის მხარდაჭერის გზით;
- ენერგეტიკის სფეროში წევრი ქვეყნების პოლიტიკის ანალიზი ეფექტიანი გამოყენებისა და ენერგორესურსების დაზოგვის ხელშეწყობის, ნავთობის ალტერნატიული წყაროების გამოყენების ანალიზის მიზნით;
- ნავთობის მსოფლიო ბაზრისა და ენერგეტიკის სფეროში ტექნოლოგიების კვლევა.

ატომური ენერგიის სააგენტო (NAE) ეთგო-ს ფარგლებში მოქმედებს. სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას ატომური ენერგეტიკის სფეროში მისი წევრი-ქვეყნების პოლიტიკის კოორდინაცია, რეაქტორების უსაფრთხოების პროგრამების განხორციელება და ატომური ენერგეტიკის განვითარება წარმოადგენს. შევნიშნავთ, რომ სააგენტოს წევრების წილად ატომური ენერგიის მსოფლიო წარმოების 80% მოდის.

გაეროსა და ეთგოს სისტემის საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა არსებობს საერთო კომპეტენციის მთელი რიგი ორგანიზაციები, ანუ ორგანიზაციები, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით არიან დაკავებულნი (ცხრილი 14.2.).

ცხრილი 14.2.

საერთო კომპეტენციის საერთაშორისო ორგანიზაციები

ორგანიზაციის სახელწოდება	წევრი ქვეყნების რიცხვი	დაარსების წელი
ევროსაბჭო	40	1949
ერთა თანამეგობრობა	53	1931
ჩრდილოეთის თანამეგობრობა	5	1971
არაბულ სახელმწიფოთა ლიგა	22	1945
ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE)	55	1975
ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია	50	1969

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები.

საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებს შორის ცენტრალური ადგილი მსოფლიო ბანკს (World Bank) უჭირავს. მსოფლიო ბანკის ჯგუფში შედის:

1. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) 1944 წელს შეიქმნა შედარებით მდიდარი განვითარებადი ქვეყნებისათვის კრედიტების მიცემის მიზნით.

2. განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA) 1960 წელს შეიქმნა განვითარებადი ქვეყნებისათვის განსაკუთრებით შეღავათიანი პირობების კრედიტების მიცემის მიზნით.

3. საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC) 1956 წელს შეიქმნა განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორის მხარდაჭერის გზით ეკონომიკური განვითარებისათვის.

4. საინვესტიციო გარანტიების მრავალმხრივი სააგენტო (MIGA) განვითარებად ქვეყნებში უცხოური ინვესტიციების წახალისების მიზნით 1988 წელს შეიქმნა. იგი უცხოელ ინვესტორებს გარანტიებს სთავაზობს იმ დანაკარგებისათვის, რომლებიც კომერციულ რისკებს ახლავს.

5. საინვესტიციო დავების და რეგულირების საერთაშორისო ცენტრი (ICSID) საერთაშორისო ინვესტიციების გაზრდის ხელშეწყობის მიზნით 1966 წელს შეიქმნა. იგი მთავრობებსა და უცხოელ ინვესტრებს შორის საარბიტრაჟო გარჩევებისა და დავების რეგულირების მომსახურებას აწარმოებს.

ჯგუფის ყველა ორგანიზაცია შედის გაერო-ს სისტემაში. თითოეული მათგანი ფინანსურ დახმარებას უწევს განვითარებად ქვეყნებს.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (რბსბ) ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად შეიქმნა (1944 წ., ივლისი, აშშ). რგსბ-ს წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრები. რბსბ-ს შემადგენლობაში 180 სახელმწიფოა.

რგსბ-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

• განვითარებადი ქვეყნებისათვის გრძელვადიანი სესხების და კრედიტების მიცემა საწარმოო მიზნით, სოფლის მეურნეობის და სასოფლო რაიონების, ენერგეტიკის განვითარებისათვის, შესაბამისი მთავრობების დავალიანებათა დაფარვაზე გარანტიების გაცემა, სესხების გაცემა კონკრეტული პროექტებისათვის.

• სესხების გაცემა განვითარებად ქვეყნებში ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, გზატკეცილების და რკინიგზების, ელექტროკავშირის, ჭალაქის პორტების, ენერგეტიკული დანადგარების შესაქმნელად, ასევე განათლების, ჯანდაცვის განვითარებისათვის, კადრების მოსამზადებლად. ჩვეულებრივ ასეთი სესხები გაიცემა განვითარებადი ქვეყნების მიერ ისეთი პირობების დაცვის შემთხვევაში, როგორიცაა ტეკ-ების საქმიანობისათვის ხელსაყრელი კლიმატის შექმნა, ეროვნული ვალუტების დევალვაცია, ექსპორტზე კონტროლის ლიბერალიზაცია, მომხმარებელთა სუბსიდიების ლიკვიდაცია, უცხოელ ინვესტორთა გათავისუფლება გადასახადებისაგან, მოგების თავისუფალი გატანა, ნაციონალიზაციისაგან დაცვის გარანტია და სხვ.

• განვითარებადი ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა, რომელიც იყოფა შემდეგ სახეებად: 1. ტექნიკური დახმარება, რომელიც ფინანსდება როგორც სესხების და კრედიტების შემადგენელი ნაწილი; უვადო სესხები და კრედიტები ტექნიკურ დახმარებაზე; ტექნიკური დახმარება, რომელიც ფინანსდება ფონდის მეშვეობით პროექტების მომზადებისას; 2) ტექნიკური დახმარება, რომელსაც უწევს რგსბ, მაგრამ არ აფინანსებს — იგი ასრულებს ადმინისტრაციული ორგანოს როლს. აქ ჩართულია რგსბ-ს ხელმძღვანელობით განსახორციელებელი პროექტები; ამ სახეს მიეკუთვნება მდიდარი განვითარებადი ქვეყნებისათვის, ასევე სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისთვის განკუთვნილი ანაზღაურებადი ტექნიკური დახმარე-

ბის პროგრამები; 3) ტექნიკური დახმარება ადმინისტრაციული ბიუჯეტის ხარჯზე.

• გარემოს გლობალური ფონდიდან განვითარებადი ქვეყნების გარემოს დაცვის პროექტების და საქმიანობის დაფინანსება, რომელშიც რგსბ ასრულებს მზრუნველისა და პროექტების დამკვეთის ფუნქციას.

რგსბ-ს უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო, რომლის ფუნქციაშიც შედის: რგსბ-ს საერთო პოლიტიკის განსაზღვრა; ახალი წევრების მიღება, ბანკის საწესდებო კაპიტალის მოცულობაზე გადაწყვეტილების მიღება; წმინდა შემოსავლის განაწილება. რგსბ-ის შემსრულებელი ორგანოა დირექტორატი, რომელიც 24 დირექტორ-განმკარგულებლისაგან შედგება. მათგან 5 ინიშნება აქციების უმეტესი წილის მფლობელთა მიერ, 19 კი აირჩევა მმართველთა მიერ დანარჩენი წევრი ქვეყნების წარმომადგენელთაგან. დირექტორატი ირჩევს რბსბ-ის პრეზიდენტს, რომელიც რბსბ-ს საქმიანობის ოპერატიულ ხელმძღვანელობას ახორციელებს და პასუხს აგებს მომსახურეთა შტატებზე.

რგსბ-ის საწესდებო კაპიტალი ამჟამად 182 მლრდ. დოლარია. რგსბ მას იყენებს საგარანტიო ფონდის სახით და იაფი ფული გააქვს ფინანსურ ბაზრებზე საკუთარი პროექტების განსახორციელებლად. სსფ-სგან განსხვავებით, რგსბ აფინანსებს ძირითადად კერძო ბიზნესს. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ რგსბ აკრედიტებს ჩვეულებრივ პროექტის მიახლოებით 30%-ს. მისი სახსრების მისაზიდად აუცილებელია დაფინანსების სხვა წყაროების ფლობაც.

რგსბ-მა კრედიტების გაცემა დაიწყო სტრუქტურული ადაპტაციისათვისაც, რომელიც შეესაბამება ეკონომიკური რეფორმების პროგრამას და მსესხებელი ქვეყნების გადასვლას საბაზრო ეკონომიკაზე. ამიტომ რგსბ-ის მიერ გამოყოფილი ასეთი კრედიტები არ არის გამიზნული კონკრეტული ობიექტებისათვის და მსესხებელ ქვეყნებს შეუძლიათ საკმაოდ თავისუფლად განკარგონ ნასესხები თანხები.

რგსბ-ის საქმიანობის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ მისი საიტის მოძებნით — www.worldbank.org.

განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (გსა) შეიქმნა 1960 წელს და ფორმალურად რგსბ-სგან დამოუკიდებელია. მაგრამ რგსბ-ის პრეზიდენტი გსა-ის პრეზიდენტია, ე. ი. ფაქტობრივად გსა-ს აკონტროლებს რგსბ. გსა-ის შემადგენლობაში 159 ქვეყანა შედის, რომელთაგან 26 განვითარებადია.

განვითარების საერთაშორისო ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მამართულებაა უღარიბეს და ნაკლებად კრედიტუნარიან ქვეყნებში პროდუქტების დაკრედიტება მათი ეკონომიკური განვითარების მიზნით. კრედიტების მიმღები ქვეყნების შეირჩევა ოთხი კრიტერიუმით: 1) ერთ სულ მოსახლეზე ქვეყანაში წლიური შემოსავალი უნდა იყოს 1305 დოლარზე ნაკლები; 2) ქვეყანაში დამაკმაყოფილებელი ეკონომიკური, ფინანსური და პოლიტიკური სტაბილურობა უნდა იყოს, რომ განვითარების მიზნით გაცემულმა გრძელვადიანმა კრედიტებმა გაამართლოს; 3) ქვეყანა სერიოზულ სიძნელეებს უნდა განიცდიდეს საგადასახდელო ბალანსთან დაკავშირებით; 4) ქვეყნის პოლიტიკა მიზანმიმართული უნდა იყოს ეკონომიკურ განვითარებაზე. ფაქტობრივად, განვითარების საერთაშორისო ასოციაციის მიერ გაცემული კრედიტების უდიდესი ნაწილი დაბალგანვითარებულ ქვეყნებზე მოდის, სადაც წლიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 800 დოლარია. სპეციალური დახმარების ფარგლებში ხორციელდება საჰარის სამხრეთ ქვეყნების განვითარების მხარდაჭერა, სადაც დაბალი შემოსავლები და მაღალი გადასახადებია. გსა კრედიტებს გასცემს, როგორც წესი, 50 წლის ვადით. წლიურად 3%-ს იხდიან. კრედიტის გამოყენებაზე პროცენტებს არ იხდიან. კრედიტები გაიცემა უცხოურ ვალუტაში საქონლისა და მომსახურების იმპორტზე გადასახადებისათვის. გსა-ის შეთანხმების მიხედვით არ შეიძლება

გაცეუმლი კრედიტები მიბმული იყოს კონკრეტულ ქვეყნებში საქონლის შეძენაზე, კრედიტების ხარჯვა უნდა განხორციელდეს ვაჭრობების, აუქციონების და სხვ. საშუალებით.

საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (სფკ) შეიქმნა 1956 წელს. ფაქტობრივად იგი რგსბ-ს ფილიალია და სპეციალიზდება შემდეგი მიმართულებებით:

• საწარმოების დაფინანსება წევრ-ქვეყნებში უშუალოდ კერძო კომპანიებისათვის სესხების მიცემით და ინვესტირების განხორციელება ამ ფირმებში სფკ-ის საკუთარი სახსრებით, რომელიც არ საჭიროებს გარანტიებს მთავრობათა მხრიდან. სესხები გაიცემა 7-დან 12 წლამდე ვადით ძირითად ვალუტაში ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთებით; სესხების დაფარვა იმ ვალუტით ხდება, რომლითაც სესხი მიიღეს.

ინვესტიციების განხორციელება საკუთარი სახსრებით გადამმუშავებელ და მომპოვებელ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კომუნალურ საწარმოებში, ტურიზმში;

• კერძო ფინანსური სახსრების მიზიდვა ინფრასტრუქტურის, გარემოს განვითარების პროექტებში ინვესტირებისათვის.

სფკ-ის უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო, მის შემადგენლობაში იგივე პირები არიან, რომელნიც რგსბ-ს მმართველთა საბჭოში. სფკ-ის პრეზიდენტი რგსბ-ს პრეზიდენტია. აღმასრულებელი დირექტორებიც უთავსებენ თავიანთ თანამდებობებს რგსბ-სა და სფკ-ში.

საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (სფკ) პროექტებში დაბანდებით 80-90 მლრდ დოლარის ინვესტიციებს ახორციელებს.

ინვესტიციების გარანტიების მრავალმხრივი სააგენტო (იგმს) შეიქმნა 1988 წელს როგორც მსოფლიო ბანკის ფილიალი. მის შემადგენლობაში 154 ქვეყანა შედის. იგმს-ს ძირითადი მიმართულება რისკებზე გარანტიების გაცემაა, რომელნიც გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

• ადგილობრივი ვალუტის არაკონვერტირებადობა; ფუნქციონირების ქვეყანაში საკუთრების ექსპროპრიაცია; ომითა და სამოქალაქო არეულობით; მიმღები ქვეყნის კონტრაგენტთა მხრიდან კონტრაქტის დარღვევა;

• იგმს შერჩეულ ინვესტორებს წევრ-ქვეყნებში, უპირატესად განვითარებად ქვეყნებში და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში არაკომერციულ რისკებზე აძლევს გარანტიებს, რაც ფაქტობრივად პოლიტიკური რისკებისგან დაზღვევას ნიშნავს.

იგმს-ს ფარგლებში შეიქმნა საინვესტიციო მარკეტინგის სამსახური (Investment Marketing Services), რომელიც წევრ ქვეყნებს დახმარებას უწევს მარკეტინგულ საქმიანობაში. მისი მიზანია ინვესტორთა უზრუნველყოფა აუცილებელი მომსახურებით, ინვესტორებს და წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის კავშირების დამყარება და განმტკიცება, ღონისძიებათა გატარება უცხოურ ინვესტორთა მისაზიდად.

იგმს-ს საინფორმაციო გაცვლისა და კომუნიკაციის გლობალური ქსელი ინტერნეტში არის მისი სისტემა: იპანეტ-ი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ). ისევე, როგორც რგსბ, ბრეტონ-ვუდსის ორგანიზაციაა. ისინი ერთდროულად დაფუძნდა 1944 წელს, ბრეტონ-ვუდსის კონფერენციამ მიიღო შეთანხმება სსფ-ს შესახებ, რომელიც მისი წესდების როლს თამაშობს. სსფ გაეროს სპეციალიზებულ ორგანიზაციად ითვლება, მაგრამ წესდებით გაეროს უფლება აქვს მისცეს მას რეკომენდაციები გასატარებელი პოლიტიკის შესახებ. ამჟამად სსფ-ს წევრი 181 სახელმწიფოა. ყოფილი სსრკ-ს ქვეყნები ფონდში 1992 წელს მიიღეს სსფ-ს წევრობა აუცილებელი წინაპირობაა რგსბ-ში შესასვლელად. საერთოდ, სსფ-ს როლი არ ამოიწურება მისი საწესდებო ფუნქციებით, იგი გაცილებით დიდია. ქვეყნის მონაწილეობა სსფ-ს პროგრამებში და სსფ-ს მხრიდან ამა თუ იმ ქვეყნის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის მოწონება სიგნალია ყველა კრედიტორისათვის კრედიტის გაცემა-არგაცემის მიზანშეწონილობის შესახებ.

თავდაპირველად სსფ შეიქმნა ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის ფარგლებში ვალუტათა კურსების დადგენისა და კორექტირებისათვის. თავისუფალი კურსების იამაიკის სისტემაზე გადასვლის შემდეგ (იამაიკის შეთანხმება 1978 წ.) იგი მხოლოდ მეთვალყურეობს მსოფლიო სავალუტო სისტემას და ვალუტის კურსების მდგომარეობას. არასასურველი სიტუაციის შექმნის შემთხვევაში კორექტირების შესაძლებლობები ამჟამად შეზღუდულია წარუმატებელი ქვეყნების დაკრედიტების სხვადასხვაგვარი მექანიზმებით.

პრაქტიკულად სსფ თანამედროვე სავალუტო სისტემის ინსტიტუციური საფუძველია. იგი მოწოდებულია წევრ ქვეყნებს შორის სავალუტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების რეგულირების განსახორციელებლად და მათ ფინანსურ დახმარებას უწევს სავალუტო სიძნელეების წარმოშობის დროს უცხოურ ვალუტაში კრედიტების გაცემით.

1969 წელს სსფ-მ შემოიღო ე. წ. სესხების სპეციალური უფლებები (SDR). სინამდვილეში განსაკუთრებული წარმატება არ მოუპოვებია ახალ მსოფლიო ფულს, რომლის ემიტირებაც სსფ-მ განახორციელა. SDR-ის კურსი ყოველდღიურად განისაზღვრება რამდენიმე წამყვანი კონვერტირებადი ვალუტის კურსების მიხედვით და დღეისათვის მიახლოებით 1,2 აშშ დოლარს უტოლდება. მიუხედავად იმისა, რომ ვერ გახდა მსოფლიო სარეზერვო ვალუტა და მისი წილი ქვეყნების სარეზერვო ვალუტებში არ არის დიდი, სსფ-ს ყველა ძირითადი ფინანსური ოპერაცია წინანდებურად SDR-ში აღირიცხება.

სსფ ორგანიზებულია სააქციო საზოგადოების პრინციპით და მონაწილე ქვეყნების ხმათა რაოდენობა განისაზღვრება ფონდის კაპიტალში მათი წილით. აშშ-ს წილად ამჟამად მოდის კაპიტალის 18,2%, ევროგაერთიანების წილად — 26,7%. 22 განვითარებული ქვეყნის წილი ფონდის კაპიტალის 60,3%-ია და ფაქტობრივად ისინი მართავენ. სსფ-ს ოპერაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს აღმას-

რულებელი საბჭო (დირექტორთა საბჭო), რომელიც ნიშნავს დირექტორ-განმკარგულებელს.

ფონდის ფინანსური რესურსები იქმნება წევრი ქვეყნების საწევრო შენატანებით. ეს შენატანები SDR-ის ერთეულებში გამოხატული კვოტაა. დღეისათვის კვოტების მთელი თანხა, ანუ ფონდის კაპიტალი შეფასებულია დაახლოებით 200 მლრდ დოლარად. კვოტა სსფ-ს წევრი ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების სისტემაში საკვანძო ელემენტია. კვოტიდან გამომდინარე განისაზღვრება ხმები არა მარტო ფონდის მართვაში, არამედ სესხების შესაძლებლობებიც.

ფონდის მიერ კრედიტების გაცემის ძირითადი წყარო სსფ-ს საკუთარი კაპიტალი და მობილიზებული ნასესხები სახსრებია. ყველაფერი ეს იმყოფება ე. წ. საერთო რესურსების ანგარიშზე, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ფონდის ყველა ფინანსური ოპერაცია.

მიზნის და დაკრედიტების პირობების მიხედვით სსფ იყენებს სხვადასხვაგვარ მექანიზმებს და სპეციალურად ორგანიზებულ შიდა ფონდებს. დაკრედიტების ჩვეულებრივი პრაქტიკა იმაში მდგომარეობს, რომ მსესხებელი ქვეყანა ფონდიდან ყიდულობს მისთვის აუცილებელ ვალუტას ეროვნული ვალუტით. სესხის ვადის ამოწურვის შემდეგ მიდის უკუგაყიდვა. რამდენადაც მსესხებელი უმრავლეს შემთხვევაში ქვეყანაა, რომელსაც არ გააჩნია თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა, ეს ოპერაცია გადაიქცევა ჩვეულებრივ კრედიტად. თვითონ ოპერაციებისათვის ფონდი საკომისიოს გარიგების თანხიდან 0,5% იღებს, საპროცენტო განაკვეთი კი ეფუძნება საბაზრო კოტირებას.

ფონდის ჩვეულებრივი საკრედიტო მექანიზმი მოიცავს:

- სარეზერვო წილების მექანიზმს;
- საკრედიტო წილების მექანიზმს;
- შეთანხმებებს სარეზერვო კრედიტებზე;
- გაფართოებული და დამატებითი დაფინანსების მექანიზმებს.

სარეზერვო წილების მექანიზმი ვარაუდობს ქვეყნის მიერ თავისი ფულის დროულ აღებას ფონდიდან. ამასთან, საკომისიოს გადახდა და პროცენტების დარიცხვა არ ხდება.

საკრედიტო წილების მექანიზმი ფონდის საერთო რესურსების გამოყენების მნიშვნელოვანი არხია. უცხოურ ვალუტაში გამოხატული სახსრები, რომელიც ქვეყნის კვოტის სიდიდეა და 100%-ს შეადგენს, შეიძლება მიღებულ იქნას ოთხი ტრანშის შესაბამისად კვოტის 25%-ის სახით. ყოველი ტრანში შეესაბამება საკრედიტო წილს. ყოველი საკრედიტო წილის გაცემა განსაზღვრული პირობების შესრულებას მოითხოვს. ამასთან, პირობების სამკაცრე მატულობს პირველიდან შემდეგ კრედიტებზე გადასვლისას.

სარეზერვო კრედიტებზე შეთანხმება, ანუ „სტენდ-ბაი" შეთანხმება ვარაუდობს, რომ ფონდის განსაზღვრული მაკროეკონომიკური პირობების დაკმაყოფილების შემდეგ შეიძლება მიიღოს მოლაპარაკებული თანხა ნებისმიერ დროს შეთანხმების მოქმედების განმავლობაში, რაც სსფ-ს საკრედიტო ხაზის გახსნის ეკვივალენტია ქვეყნისათვის.

გაფართოებული და დამატებითი დაფინანსების მექანიზმი (EFF და SFF) საშუალოვადიანი პროგრამების დაკრედიტებას გულისხმობს საგადასახდელო ბალანსთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევის მიზნით, რაც მაკროეკონომიკურ პრობლემებს იწვევს. ამგვარი კრედიტების მოთხოვნისას ქვეყანამ უნდა ჩამოაყალიბოს თავისი პროგრამა სირთულეების დასაძლევად და კრიზისიდან გამოსასვლელად. კრედიტები გაიცემა, თუ ფონდი მოიწონებს პროგრამას. დამატებითი დაფინანსების მექანიზმი განსხვავდება გაფართოებულისაგან იმით, რომ იგი ვარაუდობს დაფინანსებას არა საკუთარი, არამედ ფონდის ნასესხები სახსრებით.

დაფინანსების ჩვეულებრივი მექანიზმების გარდა მოქმედებს *სპეციალური საკომპენსაციო მექანიზმები.* საკომპენ-

საციო მექანიზმების მიზანია ფონდის მიერ მოწონებული რეფორმების მხარდაჭერა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სიძნელეების გადალახვა, საექსპორტო ამონაგებიდან დანაკარგების და წევრი ქვეყნების სხვა ზარალის კომპენსაცია, რომელიც გამოწვეულია საგარეო, მათზე დამოუკიდებელი გარემოებებით.

სსფ-ს აქვს *საგანგებო დახმარების მექანიზმიც*, რომელიც ფონდის მიერ გაიცემა სტიქიური უბედურებებით დაზარალებული ქვეყნებიდან საქონლის შეძენის ფორმით, რათა გაუმჯობესდეს მათი საგადასახდელო ბალანსი; აგრეთვე დაბალი *შემოსავლების ქვეყნების დახმარების მექანიზმი* (სარგებლობის უფლება მსოფლიო 72 უღარიბეს ქვეყანას აქვს).

რეკომენდაციებში, რომლებსაც მსესხებელი ქვეყნებისათვის სავალდებულო ხასიათი აქვს, სსფ მხარს უჭერს მონეტარისტულ პოლიტიკას. მის ჩვეულებრივ მოთხოვნებში შედის ცხრა დებულება-კრიტერიუმი:

1. მოვალეთა მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია საგადასახდელო ბალანსის აქტიური სალდოს უზრუნველსაყოფად, რომელიც მიიჩნევა ვალის და პროცენტის ძირითადი ნაწილის გადახდის ძირითად ფაქტორად.

2. შიდა მოთხოვნის სტაბილიზაცია სახელმწიფო ხარჯების შეზღუდვის ხარჯზე.

3. სესხების გამოყენება საწარმოო სფეროს დასაფინანსებლად; ვალის ძირითადი ნაწილის და პროცენტის გადახდა საწარმოო სფეროში მიღებული მოგების ხარჯზე.

4. უდეფიციტო (გაწონასწორებული) სახელმწიფო ბიუჯეტის უზრუნველყოფა გაუმართლებელი სახელმწიფო ხარჯების შემცირების და ინფლაციის შეკავების ხარჯზე.

5. ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ინვესტირებისა და მეწარმეობის განვითარებას და უზრუნველყოფს გადასახადების ამოღებას სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად.

6. ფულის მიმოქცევის სტაბილიზაცია, რაც ვარაუდობს დევალვაციის გატარებას, ცალკეულ შემთხვევებში კი — ფულად რეფორმას.

7. საბაზრო მექანიზმების და კონკურენციის, როგორც სახალხო მეურნეობის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლების საშუალების, მაქსიმალური გამოყენება; ფასებსა და ხელფასებზე კონტროლის მოხსნა, თავისუფალი დაშვება შიდა ბაზარზე და კონკურენცია იმპორტული საქონლის მხრიდან;

8. ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის განხორციელება, რაც საფუძველს შექმნის გრძელვადიანი განვითარებისთვის. ამ ღონისძიებების სისტემაში შედის: სამრეწველო საწარმოთა განსახელმწიფოება და მათი გადასვლა საბიუჯეტოდან საკრედიტო დაფინანსებაზე; საექსპორტო დარგების განვითარება როგორც საგადასახადო სტიმულებით, ისე დევალვაციით, რაც აამაღლებს საექსპორტო პროდუქციის ეფექტიანობას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდინების ხელშეწყობა დაბეგვრის დონის შემცირებითა და მოგების გატანაზე გარანტიის გაცემით.

9. პოლიტიკური ხელისუფლების სტაბილურობის უზრუნველყოფა, რადგან ხელისუფლების შეცვლას თან სდევს სესხების ჩათვლით საგარეო ვალდებულებათა მემკვიდრეობის საკითხების გადაწყვეტა.

სსფ თავისი რეკომენდაციების შემუშავებისას ხელმძღვანელობს მონეტარული კონცეფციით, რომელიც ემყარება ურთიერთდამოკიდებულებებს, ერთი მხრივ, ქვეყნის ფულადი მასის სიდიდეს, ერთობლივი მოთხოვნის მოცულობას და, მეორე მხრივ, საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობას შორის. საგადასახდელო ბალანსის გაუწონასწორებლობის ძირითად მიზეზად ფონდი მიიჩნევს ქვეყანაში არსებული ჭარბი ერთობლივი გადახდისუნარიანი მოთხოვნის არსებობას, რომელიც უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტით და ფულადი მასის უზომო ზრდით.

ეს კონცეფცია უკანასკნელ წლებში მწვავე კრიტიკის საგნად იქცა არა მარტო მისი სამეცნიერო საფუძვლიანობის არასაკმარისობის, არამედ პრაქტიკაში მისი მრავალრიცხოვანი ჩავარდნის გამო. ბევრი ქვეყანა (მაგ. მექსიკა), სრულად ასრულებს სსფ-ს ყველა მოთხოვნას და რეკომენდაციას, თუმცა ხშირად ვარდება მძიმე სიტუაციაში. ამასთან, სსფ-მ ვერ შეძლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სავალუტო-საფინანსო კრიზისის შეჩერება, რომელიც ლამის მსოფლიო კრიზისში გადაიზარდა. ამ წარუმატებლობის მიზეზი არის ის, რომ სსფ ძველებურად ცდილობს გლობალური პრობლემების ლოკალური მეთოდით გადაჭრას.

სსფ-მ ჯერჯერობით ვერ შეძლო მსოფლიო სავალუტო სისტემის რეგულირების პოლიტიკის შემუშავება კაპიტალის კოლოსალური ნაკადების მოძრაობის, FOREX ტიპის გლობალური კომპიუტერული ქსელის და თავისუფლად გადანაცვლებადი ტრანსნაციონალური კაპიტალის პირობებში. ამ კრიტიკის ზემოქმედებით სსფ დიდ ძალისხმევას მიმართავს მსოფლიოს ახალი სავალუტო-საფინანსო არქიტექტურის ასაგებად. „ახალ არქიტექტურაში“ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკის გამკაცრების საკითხს, რომელსაც სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

სსფ-მა და მბ-მა გამიჯნეს თავიანთი ფუნქციები და პასუხისმგებლობის ზონები საფინანსო ბაზრებზე დესტაბილიზაციასთან უფრო ეფექტიანი ბრძოლის და 1997-1998 წწ. აზიური კრიზისის ანალოგიური კრიზისების დაძლევის მიზნით.

სსფ-ს და მისი პროექტების შესახებ ახალი ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ საიტზე www.imf.org.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების გვერდით მნიშვნელოვან როლს თამაშობს *საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი* (საბ), რომელიც ჯერ კიდევ 1930 წელს დაარსდა. მასში ამჟამად 33 ქვეყანა შედის, მათ შორის

დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა, აღმოსავლეთ ევროპის 6 ქვეყანა, აშშ, იაპონია და სხვ. საბ ატარებს კომერციულ ოპერაციებს ამ ქვეყნების ბანკებთან, ორგანიზებას უკეთებს სავალუტო თანამშრომლობის და თვითონ აქტიურად მონაწილეობს მასში. საბ, მართალია, სახელმწიფოთაშორის ინსტიტუტად გვევლინება, მაგრამ ფუნქციონირებს წმინდა კომერციულ საფუძველზე, როგორც აქციონერული საზოგადოება, იხდის რა დივიდენდებს აქციებზე. მისი აქციების დიდი ნაწილი ეკუთვნის ევროპულ ცენტრალურ ბანკებს.

საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპულ ბანკს (რგებ), რომელიც, ხშირ შემთხვევაში, რგმბ-ს ევროპულ ანალოგად გვევლინება და განვითარების ისლამური ბანკი, რომელიც 47 მუსლიმურ სახელმწიფოს აერთიანებს და მათ განვითარებაზე ზემოქმედებს.

დასასრულს მოვიყვანოთ მნიშვნელოვანი საერთაშორისო რეგიონული ბანკების, ფონდების და საფინანსო ორგანიზაციების ჩამონათვალი.

რეგიონული ბანკები:

- ევროპული საინვესტიციო ბანკი (ესბ);
- განვითარების აზიური ბანკი (გაბ);
- არაბულ-აფრიკული საერთაშორისო ბანკი (აასბ);
- განვითარების აფრიკული ბანკი (გაფბ);
- ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოების განვითარების ბანკი (ცასგბ);
- განვითარების დასავლეთაფრიკული ბანკი (გდბ);
- განვითარების კარიბული ბანკი (გკბ);
- ლათინოამერიკული საექსპორტო ბანკი (ლასბ);
- განვითარების ამერიკათაშორისი ბანკი (გაბ);
- ეკონომიკური ინტეგრაციის ცენტრალურამერიკული ბანკი (ეიცაბ);
- არაბულ-ლათინოამერიკული ბანკი (ალბ);

რეგიონული ფონდები და საფინანსო ორგანიზაციები:

- კარიბის საინვესტიციო ფონდი (კსფ);
- ანდის სარეზერვო ფონდი (ასფ);
- არაბული სავალუტო ფონდი (ასფ);
- ეკონომიკური და სოციალური განვითარების არაბული ფონდი (ესგაფ);
- ნექო-ის სპეციალური ფონდი;
- სავალუტო კვლევების აფრიკული ცენტრი (სკაფ);
- ცენტრალური აფრიკის სავალუტო კავშირი (ცასკ):
- ევროპული სავალუტო სისტემა (ესს);
- დასავლეთაფრიკული სავალუტო კავშირი (დსკ);
- ფრანგული ბანკის ზონა (ფბზ);
- კარიბის საინვესტიციო კორპორაცია (კსკ);
- განვითარების ანდის კორპორაცია (გაკ);
- ჩრდილოეთის საინვესტიციო ბანკი (ჩსბ);
- ამერიკათაშორისი საინვესტიციო კორპორაცია (ასკ).

საერთაშორისო ორგანიზაციები მსოფლიო ვაჭრობის სისტემაში.

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების რეგულირებისას ქვეყნები იყენებენ მრავალფეროვან მექანიზმებს: საიმპორტო და საექსპორტო ტარიფებს; ექსპორტისა და იმპორტის კვოტებს, ლიცენზირებას, სუბსიდირებას, რითაც საკუთარ მწარმოებლებს, მსოფლიო ბაზარზე კონკურენციულ უპირატესობებს უქმნიან და ა.შ. ქვეყნებს შორის ურთიერთობები ჩვეულებრივ რეგულირდებოდა ორმხრივი შეთანხმებებით.

1920 წლიდან 1933 წ.-მდე ხუთი მსოფლიო ეკონომიკური კონფერენცია ჩატარდა, რომლებზეც მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საგარეო სავაჭრო ურთიერთობებს. ეს პროცესი შეფერხდა მეორე მსფოლიო ომის გამო. მისი დამთავრების შემდეგ, 1948 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალურმა შეთანხმებამ,

რომელიც 1995 წ. 1 იანვრიდან გადაკეთდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციად (ვმო).

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO) — მუდმივმოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციაა. იგი გაეროს სისტემის სპეციალიზებული დაწესებულებაა.

ვმო წარმოგვიდგება როგორც ორგანიზაცია და იმავდროულად სამართლებრივი დოკუმენტების კომპლექსი, თავისებური მრავალმხრივი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მთავრობების უფლება-მოვალეობებს საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში. ვმო-ს წევრებად გვევლინება 132 სახელმწიფო. ვმო-ს წევრთა შორის 32 განვითარებული და 100 განვითარებადი ქვეყანაა.

ვმო-ს მიზანია საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და მისთვის მდგრადი საფუძვლების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას. ეს მიიღწევა, ნაწილობრივ, წესებისა და შეთანხმებების შემუშავებით და დადგენით, რომელიც წევრ-ქვეყნებს შორის ვაჭრობას ეხება და ნაწილობრივ მოლაპარაკების გზით, რომელიც იწვევს საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის შემდგომ ლიბერალიზაციას.

ვმო-ს საქმიანობის ძირითად მიმართულებად გვევლინება:

- კონტროლი იმ მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების გადაწყვეტილების მიღებასა და გამოყენებაზე, რომლებიც ვმო-ს სამართლებრივ ბაზას შეადგენენ.
- ფორუმის როლის შესრულება მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების ჩასატარებლად.
- წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო დავების რეგულირება;
- დაკვირვება წევრი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკაზე;
- ინფორმაციის მოპოვება, შესწავლა და მიწოდება საერთაშორისო ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის განვითარებისა და გამოყენების მექანიზმების საკითხებზე.

ვმო-ს შეთანხმება მოიცავს საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის პრაქტიკულად ყველა სფეროს და საერთაშორისო კომერციული პრაქტიკის მნიშვნელოვან ნაწილს, კერძოდ:

- საბაჟო-სატარიფო რეგულირებას;
- ანტიდემპინგურ რეგულირებას და საკომპენსაციო ბეგარის გამოყენებას;
- სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების გამოყენებას;
- არასატარიფო შეზღუდვებს;
- ექსპორტისა და იმპორტის რაოდენობრივ რეგულირებასა და ლიცენზირებას, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვას;
- სახელმწიფო სავაჭრო საწარმოების საქმიანობას;
- საბაჟო კავშირებს და თავისუფალი ვაჭრობი ზონებს;
- საბაჟო ფორმალობებს, მოსაკრებლებს, საგარეო სავაჭრო დოკუმენტაციისადმი მოთხოვნებს;
- შიდა გადასახადებს, მოსაკრებლებს, შიდა ვაჭრობასთან დაკავშირებულ წესებს;
- დამცავ ზომებს ვაჭრობაში;
- ტექნიკურ ბარიერებს ვაჭრობაში;
- სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებს;
- საქონლის წარმოშობის ზომებს;
- მომსახურებით ვაჭრობას;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის სავაჭრო ასპექტებს, ყალბი საქონლით ვაჭრობის ჩათვლით;

საერთაშორისო ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის რეგულირების სფეროში ვმო-ს უმნიშვნელოვანესი პრინციპებია:

უპირატესი ხელშეწყობის ანუ დისკრიმინაციის უარყოფის პრინციპი, რომელიც მოითხოვს, რომ ნებისმიერი უპირატესობა, პრივილეგია, შეღავათი ან იმუნიტეტი, რომელსაც ანიჭებს ნებისმიერი წევრი ქვეყანა სხვა ქვეყნებიდან წარმოშობილ ან ნებისმიერი სხვა ქვეყნისთვის გამიზნულ ნებისმიერ პროდუქტს, გავრცელდეს დაუყოვნებლივ და უპირობოდ სხვა წევრი ქვეყნიდან წარმოშობილ

და ყველა სხვა წევრი ქვეყნისთვის გამიზნულ ანალოგიურ პროდუქტზე.

ეროვნული რეჟიმის პრინციპი. ეს პრინციპი ადგენს, რომ წევრმა ქვეყნებმა უცხოური წარმოშობის საქონელს უნდა მიანიჭონ იგივე რეჟიმი, რაც ეროვნულ საქონელს შიდა გადასახადებისა და მოსაკრებლების სფეროში, ასევე ვაჭრობის მარეგულირებელ ეროვნულ კანონებთან, განკარგულებებთან და წესებთან დაკავშირებით.

ეროვნული წარმოების დაცვის პრინციპი. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ იმპორტზე ტარიფების გზით, ეროვნული წარმოების განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყანას შეუძლია განახორციელოს დაცვა, რომელიც დაეფუძნება საბაჟო ტარიფებს და არა სხვა სავაჭრო-პოლიტიკურ ზომებს, რაოდენობრივი (კვოტების) შეზღუდვების, სტანდარტების და ა. შ. ჩათვლით.

ვაჭრობის საფუძვლების მდგრადობის შექმნის პრინციპი. ამ პრინციპის დაცვა უზრუნველყოფილია მოლაპარაკებების მხარეებს შორის შეთანხმებული სატარიფო დონეების დაცვის აუცილებლობით. ეს გულისხმობს, რომ ტარიფები უნდა შემცირდეს მრავალმხრივი მოლაპარაკებების გზით და არ უნდა გაიზარდოს.

სამართლიანი კონკურენციის ზემოქმედების პრინციპი. საუბარია სუბსიდიების შემცირებისა და დემპინგის დაუშვებლობის შესახებ.

ვმო-ს უმაღლესი ორგანოა კონფერენცია მინისტრების დონეზე (Ministerial Conference), რომელიც იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ.

ვმო-ს მიმდინარე სამუშაოებზე პასუხისმგებელია გენერალური საბჭო, რომელიც შედგება ვმო-ს წევრების წარმომადგენლებისაგან. გენერალური საბჭო ფუნქციების დელეგირებას აკეთებს სამ საბჭოზე: საქონლით ვაჭრობის საბჭოზე, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სავაჭრო ასპექტების საბჭოსა და მომსახურებით ვაჭრობის საბჭოზე.

ჯერ კიდევ 1994 წელს საქართველომ GATT-ის დამკვირვებლის სტატუსი მიიღო. მსო-ის, როგორც GATT-ის სამართალმემკვიდრის, დაფუძნების (1 იანვარი, 1995) შემდეგ, მას'ში გაწევრიანების საკითხი საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ საკითხად იქცა.

1996 წლიდან საქართველომ დაიწყო მოლაპარაკებები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან მასში გაწევრიანების მიზნით. ამავე წლის ივნისში მან ფორმალური განაცხადი შეიტანა გაწევრიანების თაობაზე და მალე მიიღო დამკვირვებლის სტატუსი. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალურმა საბჭომ განიხილა განცხადება და 1996 წლის ივლისში ჩამოაყალიბა ჯგუფი საქართველოს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხებზე სამუშაოდ. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცედურა გულისხმობს კომპლექსური გადასინჯვის პროცესს, რომელიც იწყება კანდიდატი ქვეყნის მიერ წარდგენილი მემორანდუმის საფუძველზე ამ ქვეყნის საგარეო ვაჭრობის რეჟიმის სტატუსის შეფასებით. 1996 წლის 5 ნოემბერს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გაიგზავნა მემორანდუმის პროექტი, რომელიც უნდა განხილულიყო ამ ორგანიზაციის ექსპერტების მიერ. მემორანდუმის გავრცელების შემდეგ სამუშაო ჯგუფის წევრებმა წარმოადგინეს დაახლოებით 400-მდე კითხვა, მათ შორის აშშ-დან, ევროკავშირიდან, იაპონიიდან, შვეიცარიიდან და ავსტრალიიდან, რომლებზედაც პასუხი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამდივნოს 1997 წლის სექტემბერში გაეგზავნა. მიუხედავად გარკვეული ნაკლოვანებებისა, ამ პროექტმა დადებითი შეფასება მიიღო.

1997 წელს საქართველომ ვმო-ს წარუდგინა მემორანდუმი საგარეო ვაჭრობის რეჟიმის შესახებ. 1999 წ. 6 ოქტომბერს ხელი მოეწერა საქართველოს ვმო-ში გაწევრიანების ოქმს, რომლის რატიფიცირებაც საქართველოს პარლამენტის მიერ მოხდა 2000 წლის აპრილში.

ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას ერთობლივი დისკუსიების, მოლაპარაკებების და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე ემსახურება ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტი, როგორიცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO).

ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპი იყო წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე საქონლისა და მომსახურების თავისუფალი კონკურენციის რეჟიმის შექმნა, ანუ საბაჟო ტარიფების მინიმუმამდე დაყვანა.

ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების არსებობის მანძილზე ცნობილია მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების შვიდი რაუნდი, რომელთა შედეგად განვითარებული ქვეყნების იმპორტზე საბაჟო ტარიფების დონე 40-იანი წლების 40-50 პროცენტიდან დღეისათვის შემცირდა 5 პროცენტამდე.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (UNCTAD) შეიქმნა 1964 წელს და დაკავებულია საერთაშორისო ვაჭრობის, საქონლის ტრანსპორტირებისა და სავაჭრო ოპერაციების დაფინანსების პრობლემებით. მისი წევრია გაეროს 185 წევრი ქვეყანა.

UNCTAD-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

1. ქვეყნებს შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება, მსოფლიო ვაჭრობის კონცეფციებისა და პრინციპების შემუშავება.

2. ნედლეულით საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების ღონისძიებების შემუშავება. საბოლოო მიზანს წარმოადგენს მსოფლიო ბაზრებზე ფასების სტაბილურობა.

3. სავაჭრო პოლიტიკისა და ეკონომიკური თანამშრომლობის საშუალებების ღონისძიებების შემუშავება.

4. განვითარებად ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაზე ზემოქმედება.

5. ინფორმაციული და ანალიზური სამუშაოების წარმოება პრობლემათა ფართო წრესთან დაკავშირებით.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია გამოსცემს ყოველწლიურ მოხსენებებს მსოფლიო ვაჭრობის მდგომარეობის და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, რაც უეჭველად საინტერესოა ყველასთვის, ვინც დაინტერესებულია მსოფლიო ეკონომიკის განვითარებით. ვებგვერდი: www. uncdat. org წარმოადგენს უაღრესად სასარგებლო ინფორმაციის წყაროს, რის გამოყენებასაც აუცილებლად გირჩევთ.

UNCTAD-ის უმაღლესი ორგანოა კონფერენცია (უნდა განვსაზღვროთ ორი ცნება: კონფერენცია, როგორც თვით ორგანიზაციის დასახელება და კონფერენცია, როგორც უმაღლესი ორგანოს დასახელება). კონფერენცია იკრიბება სესიაზე ოთხ წელიწადში ერთხელ, მინისტრების დონეზე, პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისა და სამუშაო პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით. სულ ჩატარებულია 10 სესია.

UNCTAD-ის სესიები წარმოადგენს მრავალმხრივ ეკონომიკურ ფორუმებს, რომლებიც ტარდება გაეროს სისტემის ფარგლებში. UNCTAD-ის გადაწყვეტილებების უმრავლესობა, განსახილველი საკითხების არსიდან გამომდინარე, შესასრულებლად აუცილებელი არაა და სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს.

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი UNCTAD/WTO წარმოადგენს გაეროსა და ვმო-ს დამხმარე ორგანოს, რომელიც მოქმედებს UNCTAD-ის საშუალებით. მისი ძირითადი ფუნქციაა კოორდინაცია. ეს საშუალებას იძლევა გაიზარდოს ფონდების საშუალებების გამოყენების ეფექტიანობა.

1. გაეროს ეგიდით მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი შედგება საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისაგან.

2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ-ს) ძალისხმევა მიმართულია სავალუტო-ფინანსური სფეროს სტაბილურობის მხარდასაჭერად. ამისათვის ის განსაზღვრული აზრით აკონტროლებს იმ ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას,

რომლებსაც ის ეხმარება, მოითხოვს რა მათგან ბიუჯეტებისა და სსფ-ის რეკომენდაციების შესრულების ინფორმაციულ გამჭვირვალობას. წარმატებული დამოკიდებულება სსფ-სთან წარმოადგენს სიგნალს ყველა ინვესტორისათვის ქვეყნის მდგომარეობისა და ინვესტიციების გარანტიების შესახებ.

3. მსოფლიო ბანკის ჯგუფი ძალისხმევის კონცენტრირებას ახდენს უღარიბესი ქვეყნების დახმარებაზე.

4. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო) არეგულირებს საქონლითა და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობას, ცდილობს რა მიაღწიოს მის მაქსიმალურ ლიბერალიზაციას მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა არა ყოველთვის ეროვნული მწარმოებლების ინტერესების სასარგებლოდ.

🕮 *ძირითადი ლიტერატურა*

- მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, ტ. II, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ, თბილისი, 2004. — გვ. 231-297.
- მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო, პროფ. გრ. თოდუას და პროფ. შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი, 2001. — გვ. 789-839.
- ასლამაზიშვილი ნ. საგარეო ვაჭრობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2003. გვ. 76-86.
- ლეკაშვილი ე. ინტეგრაციული განვითარების მიმართულებები და პრობლემები დსთ-ს სისტემაში, ეკონომიკის აქტუალური საკითხები, III გამოშვება, 1997.
- ლეკაშვილი ე.ამიერკავკასიის ქვეყნების საერთო ეკონომიკური მდგომარეობის შედარებითი ანალიზი რეფორმების პირობებში. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", №2, აგვისტო, 1999.
- პოლ პერსტი, გრემ ტომპსონი. გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. გამომც. „დიოგენე", I ქართ. გამოც., თბილისი, 2005.
- ჩვენ, ევროპელები. წერილები პოლონურიდან თარგმნა და წიგნი გამოსცა ა. გრიშიკაშვილმა. თბილისი, 2007.
- Peter Dicken. Global Shift, Transforming the World Economy, Third Edition, P.C.P Ltd, 1999.

თემა 16

მსოფლიო „ეკონომიკური კომპარატივისტიკა"

(მრავალმხრივი ნარკვევების ნაზავი)

აზიური ექსპანსია. ხუთი მითი ევროპის შესახებ.
შუნები ჭიშკართან — ამერიკული იმპერიის დასასრული.

„ისტორია და წარმატება იმისია, ვინც მას არა ჰქმარობს - რაც დღეს არის, და ვისაც დღევანდელობა მარტო ხიდად მიუჩნევია ხვალისათვის და არა ბინად, საცა კაცმა თავი უნდა შეიკეტოს."

„ისტორია და წარმატება - მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილია. ამისთანად აღმოჩნდა ევროპელი,... რადგანაც ამისთვის ხელში აქვს მეცნიერება და მხნეობა, ჰკუა და ხელი. ამ მეცნიერებასა და მხნეობას, ამ ჰკუასა და ხელს ამოქმედებს დაუღალავი წყურვილი ხალხის უკეთესობისა და მწვავი უკმარისობა დღევანდელობისა. ამ ორ გრძნობათაგან წარმოსდგება ძლევამოსილი წინმსვლელობა... დიადი წარმატება!"

„იაპონია ამ მხრით (ევროპის მოწინავე გამოცდილების გააზრებით — ავტორები) უფრო გაბედულად ირჯება. მისი ახალი ხელმწიფე დიდი მომხრეა ევროპის განათლებისა და ჰლამის დაუცხრომელად - ყოველიფერი, ნამეტნავად მმართველობა და გამგებლობა ქვეყნისა, ევროპის წესსა და რიგს შეუფარდოს... და ვინ იცის, - იქნება იაპონიამ პირველი მესვეურობა გაუწიოს აზიას ევროპის ცივილიზაციის ზემოქმედების ქვეშ წარსამატებლად."

ილია ჭავჭავაძე.

„ეკონომიკური კომპარატივისტიკა" ეკონომიკური სისტემების შედარებით გამოკვლევას მოიცავს. მისი კურსი გვიჩვენებს ეკონომიკური სისტემების სხვადასხვა სახეობე-

ბის არსებობას და აანალიზებს მათ მსგავსებას და განმასხვავებელ ნიშნებს როგორც ერთდროულად, ასევე დროში მიყოლებით. სათაურში გარკვეული გაგებით გამოყენებულია ტერმინი„კომპარატივისტიკა", რის გამოც ბრჭყალებში ჩავსვით. ამ თავში ჩვენი ნაკვლევი ესსეს, ნარკვევის, მრავალმხრივი ნაზავის სტილშია გადმოცემული. აღნიშნული მასალების მკითხველისთვის წარსადგენ კონდიციამდე მიახლოება მხოლოდ მაშინ შევძელით, როდესაც ჩვენი წიგნი ფაქტიურად უკვე დაბეჭდილი (ტირაჟირებული) იყო. მიუხედავად ამისა, ნაშრომში გადმოცემული საკითხების ნაწილის განხილული თემებისადმი მისადაგება ძნელი არ იქნება. სხვა მასალები კი, უპირველეს ყოვლისა, გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის მსოფლიოს ეკონომიკური კომპარატივიზმის მასშტაბური ასპექტების შესახებ.

***

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების შუა პერიოდში (1886წ.) ილია ჭავჭავაძემ გაანალიზა „მუშათა ყოფა-ცხოვრების საქმე ევროპაში". მან გვიჩვენა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში, კერძოდ კი გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში ერთი და იგივე საკითხების მოგვარებისადმი განსხვავებული მიდგომა გამოიყენეს.

მთავარი დასკვნა ასეთია: ყველა ქვეყანას არც ერთი და იგივე საკითხის ერთი და იგივე გზით გადაწყვეტა გამოადგება, და მითუმეტეს, არც ერთმანეთის გამოცდილების შაბლონის სახით გადატანა. განვითარების მიღწევა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს. სხვების მიერ უკვე განვლილ გზას, მათ გამოცდილებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს და მას უეჭველად უნდა ვიყენებდეთ ადგილობრივი თავისებურებების შესწავლისა და ყოველმხრივ დასაბუთებული გადაწყვეტილებების საფუძველზე.

ილია უმთავრეს მიმართულებად მიიჩნევდა, თუ როგორ უნდა ვიხელმძღვანელოთ მოწინავე ქვეყნების გამოცდილებით, რას უნდა მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება. 1889 წელს დაწერილ სტატიაში - „აზია წინათ და ეხლა", ილიამ დაასაბუთა, თუ რას მიჰყავს მსოფლიო წინ, რომელი ქვეყნები ჩამორჩნენ და დაწინაურდნენ და რატომ? ზოგადად რას უნდა ვითვალისწინებდეთ მოწინავე ქვეყნების გამოცდილებიდან? როგორც ილია აღნიშნავდა, აზია წინათ ცივილიზაციის აკვანი იყო და „ერთს დროს მთელის ქვეყნის ბედის წარმატებას სათავეში ედგა", ახლა კი აზიელობა უფრო დამამცირებელი, („საბიაბრო") სახელია, ვიდრე თავსმომაწონებელი. ამას ავტორი ლოგიკურად მიიჩნევდა, რადგან აზიამ თავისი წარსული და დღევანდელობა კრიტიკულად არ შეაფასაო. იგი წერდა:„ესეც უნდა მომხდარიყო. ისტორია და წარმატება იმისი კი არ არის, ვინც მარტო თავის თავის ავკარგიანიბას შეჰხარის, ვინც მარტო დღევანდელობას - ავია თუ კარგი - ჰკმარობს, ვითარცა ხელსშეუვალს რასმე ანდერძს მამაპაპეულს, არამედ იმისია, ვინც მას არა ჰკმარობს - რაც დღეს არის და, ვისაც დღევანდელობა მარტო ხიდად მიუჩნევია ხვალისათვის და არა ბინად, საცა კაცმა თავი უნდა შეიკეტოს, როგორც სამუდამო სადგურში, სამუდამოდ გულზე ხელდასაკრებად და მოსასვენებლად. ტყუილად - კი არა სთქვა ტურგენიევმა, რომ ეს ქვეყანა ტაძარი-კი არ არის, სადაც კაცი უნდა ჰლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და ჰმუშაობდესო".[1]

ილიას აზრით მსოფლიო აზსპარეზზე ევროპის დაწინაურება განაპირობა მეცნიერებამ და მხნეობამ, ჭკუამ და ხელმა, დღევანდელობით დაუკმაყოფილებამ და უკეთესობის წყურვილმა. ავტორი აღნიშნავდა: „ისტორია და წარმატება - მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილია. ამისთანად აღმოჩნდა ევროპიელი, და ბურ-

1. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 9, გვ. 113-114.

თი და მოედანიც იმას დარჩა. იგია დღეს გამგებელი ქვეყნიერობისა, იგია დღეს ქვეყნის უღლის მწეველი და იგივეა ქვეყნის სიკეთის მკრეფავი და პატრონიცა. ამა ქვეყნის მადლის თაფლსა მარტო ევროპიელიღა იღებს ქვეყნის სკისაგან, რომელსაც ხან იქით უბრუნებს პირს, ხან აქეთ, იმისდა მიხედვით, როგორც და საითაც უჯობს, რადგანაც ამისათვის ბარიც ხელში აქვს და ნიჩაბიც, ესე იგი, მეცნიერება და მხნეობა, ჭკუა და ხელი. ამ მეცნიერებასა და მხნეობას, ამ ჭკუასა და ხელს ამოქმედებს დაუღალავი წყურვილი ხვალის უკეთესობისა და მწვავი უკმარობა დღევანდელობისა. ამ ორ გრძნობათაგან წარმოსდგება ის ძლევამოსილი წინმსვლელობა, ის დიადი წარმატება, რომელიც ყარამანსავით ყაფის მთას მხარებზედ დაიყენებს, რომ ქვეშ ჯარმა მშვიდობით და უწყინარად გაიაროს".[1]

ასე დაწინაურდა ევროპა. აზია კი ჩამორჩა. მისი უბედურობა, უძრაობა და თავის ნაჭუჭში ჩაკეტვა იყო. ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „რამ დაჰმართა ეს ამბავი აზიას? რამ დაუხუთა მუხლი მსვლელობისა და ერთ დროს წინმავალი ქვეყანა, ეხლა ასე უკან რამ დააყენა? იმან თუ რომ თავისი საკუთარი ძარღვები დააწყდა, თავისი საკუთარი საგზალი წინმსვლელობისათვის შემოაკლდა, თუ სხვა რამ მიზეზმა მოსჭრა სულიერი და ხორციელი მუხლი, – ამის გამოძიებას ჩვენ არ შევუდგებით. ეს კი აშკარაა, რომ მისი წარმატება შესდგა, შეჩერდა, და აზია დღევანდელს დღეს ანგარიშმოსატანი არ არის, როცა ქვეყნის წინმსვლელობაზე ვლაპარაკობთ. ამასთან აზიის უბედურება ის იყო, რომ ეს შედგომა, შეჩერება, თითქო ვერ იგრძნო, ვერ იცნო, – პირიქით, რაცა ჰქონდა, სასულიერო თუ სახორციელიო იმას დასჯერდა და თავმოწონებული შეჰხაროდა, თითქო იმაზე უკეთესი სხვა აღარა ეგულება-რაო. ამით კმაყოფილმა ცალკე შეიკეტა და გარედან აღარ მიიკარა არც ამაყვავებელი შუქი მზისა, არც გამაცოცხლებელი სიო. ამ ყოფაში ჩავარდა

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 9, გვ. 114.

ჩინეთი, მისი მიმყოლი იაპონია, რომელთაც არავინ აღარ მიიკარეს და ამისათვის მაგარი ზღუდე შემოავლეს თავის არემარეს. თითქმის ამ ტყუილს თავმოწონებასა და კმაყოფილებას მიეცა სპარსეთიცა, საცა სასულიერო წოდებამ მოსლემინებისამ შეჰკრა და შეჰბოჭა გონება და გული მთელის ერისა და თვალები აუბა იმდენად, რომ თავისზედ უკეთესს სხვას არავის ხადიდა".[1]

ასე შეარყია აზია „ტყუილ თავმომწონებით ყოფნამ". ამიტომ საჭირო იყო კარი გაეღოთ ცივილიზებული ქვეყნებისათვის. ილია ჭავჭავაძე გამოსავალს სხვისგან ჭკუის სწავლებაში, სხვა ცივილიზაციათა მოწინავე გამოცდილების გაზიარებაში ხედავდა. იგი მიიჩნევდა: „დღეს, ესე ნებიერად და ტყუილ თავმოწონებით ყოფნა შეირყა თითქმის მთელს აზიაში. აზიამ თვალდათვალ დაინახა უპირატესობა ევროპისა, იგრძნო, რომ ევროპა გაცილებით წინ წასულია, უფრო მდიდარია, უფრო ბედნიერია, უფრო ბევრის სიკეთისა და მადლის მპყრობელია, უფრო ძალოვანი და ღონიერია, და აქომამდე დაკეტილი კარი თავისის ქვეყნებისა ცოტად თუ ბევრად გაუღო ევროპას, რომ იქაურმა მზემ თავისი შუქი ცოტად თუ ბევრად აქაც მოაწვდინოს. ასე იქცევა დღეს ჩინეთიცა, იგი ჩინეთი, რომელიც ყველა სხვა ქვეყნებზე უფრო ძლიერ ეურჩებოდა ევროპიდამ შუქის შემოსევას და მოფენას და სადაც დღესაც ეს ახალი მიმართულება შიშითა და კრძალვით ფეხს იკიდებს ცოტ-ცოტად და ფრთხილად, რადგანაც აქაური ერის უფროს-ერთობა მაინც ურჩობს და ჰთაკილობს სხვისაგან ჭკუის სწავლებას, სხვის ცივილიზაციას, სხვის ავკარგიანობას".[2]

რა უნდა გადმოიღოს ამა თუ იმ ქვეყანამ უფრო მოწინავე ქვეყნებიდან, კერძოდ კი ევროპიდან? ილია ამ კითხვებს პასუხობდა და მიიჩნევდა რომ ჩინეთს, იაპონიას, ირანს ევროპიდან უნდა გადმოეღოთ უპირველეს ყოვლისა „ევრო-

1. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 9, გვ. 114-115.
2. იგივე, გვ. 115.

პის განათლება" და ასევე ქვეყნის მართვა გამგეობის მოწყობის გამოცდილება. იგი იწონებდა იაპონიის მაგალითს და წერდა: „იაპონია ამ მხრით უფრო გაბედულად ირჯება. მისი ახალი ხელმწიფე დიდი მომხრეა ევროპის განათლებისა და ჰლამის დაუცხრომლად - ყოველიფერი, ნამეტნავად მმართველობა და გამგებლობა ქვეყნისა, ევროპის წესსა და რიგს შეუფეროს. დღეს იაპონიას ბევრი ევროპიულად განათლებული, ევროპაშივე სწავლამიღებული ახალგაზრდობა ჰყავს. შინაც დიდად მოცადინენი არიან სწავლისა და განათლებისათვის. მწერლობა, ცოტად თუ ბევრად, ფრთაასხმულია და გავრცელებული, და ვინ იცის, - იქნება იაპონიამ პირველი მესვეურობა გაუწიოს აზიას ევროპის ცივილიზაციის ზემოქმედების ქვეშ წარსამატებლად და განთიადმა განათლებისამ თავისი სხივოსანი შუქი პირველ იქიდამ მოჰფინოს მთელს აზიასაცა. ამბობენ, იაპონელი ამისათვის არც ნიჭს არის მოკლებული და არც უნარსო".[1]

ილია ჭავჭავაძე იწონებდა რომ სპარსეთმაც კარი გაუღო ევროპის ცივილიზაციას და გენიალურად დაასკვნიდა: ზოგადად მოწინავე ქვეყნიდან ყველაფერი უნდა გადმოვიღოთ, რასაც მოითხოვს ქვეყნის სიკეთე და ბედნიერება. ილიას მთავარი მეთოდოლოგიური დასკვნა გამოხატულია შემდეგ სიტყვებში: „არც სპარსეთი დარჩა უიმისოდ, რომ ევროპის ცივილიზაციისთვის კარი არ გაეღო. ეხლანდელის შაჰის მეფობის დროს ბევრს ძველს ჩვეულებას, რომელიც სულსა და ხორცს სპარსეთისას ჰხუთავდა, კბილი მოეჭრა. შაჰმა, რომელმაც რამდენჯერმე მოიარა ევროპა, ბევრს რასმეზე აახილა თვალი და დაინახა თავის ქვეყანაში ბევრი უმსგავსობა და შეუფერებლობა. იგი ცდილობს ბევრი რამ ძველი განსდევნოს, ბევრი რამ ახალი შემოიღოს. ამისათვის იგი თურმე არც იმის წინაშე უკუდგებაო, რომ თავისი ნება-უფლება შეიხუთოს, თუ ამას მოითხოვს ქვეყნის სიკეთე და ბედნიერება."[2]

---

1. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 9, გვ. 115-116.
2. იგივე, გვ. 116.

სპარსეთის თემას ილიამ აგრეთვე მიუძღვნა ცალკე სტატია – „დღევანდელი სპარსეთი". ეს არის იმის სრულყოფილი ნიმუში, თუ როგორ უნდა ისარგებლო იმ ქვეყნის გამოცდილებით, რომელიც შენ არც კი მოგწონს, ან შეიძლება მასაც არ მოსწონდე. აქვე ნაჩვენებია, რომ ძალიან ფრთხილად უნდა მივუდგეთ იმის გამორკვევას, თუ რა არის მისაღები ან უარსაყოფელი. ილია წერდა: „დღევანდელი სპარსეთი ის სპარსეთი არ არის, რაც აქამომდე იყო. დღეს სპარსეთში იქაური სასულიერო წოდება, რომელიც აქომამდე მარტო გუნდრუკს უკმევდა ყველაფერს სპარსულს და უკადრისად იხსენიებდა სხვა ყოველს, რაც სპარსული არ იყო, ცოტა თვითონაც გამოფხიზლდა და დაინახა, რომ თუმცა ევროპა ურჯულო ქვეყანაა, მაგრამ ბევრი იმისთანა წესი და რიგია, რომელსაც კაცმა ცხვირის მაღლა აწევით გვერდს არ უნდა გაუაროს, პირიქით, უნდა დინჯის თვალით დაუკვირდეს და აწონ-დაწონვით მოსჩხრიკოს, – რა არის იქიდამ კარგი, მისაღები და შემოსატანი და რა არის უარსაყოფელი გასადევნი".[1]

აზიური ექსპანსია

დასავლეთი მსოფლიოში თავის ლიდერობას კარგავს?! დასავლეთის საზოგადოება უკვე შეეგუა მდგომარეობას, რომლის დროსაც მთელ მსოფლიოს მან უნდა უკარნახოს თავისი პირობები, მიაწოდოს ახალი ტექნოლოგიები, ეკონომიკური რეცეპტები და ინტელექტუალური მოდა. მისთვის ძნელია იმის გააზრებაც კი, რომ ჩინეთი და ინდოეთი გაბედულად მიაბიჯებენ ეკონომიკურ სარბიელზე და საცაა შევლენ ყველაზე განვითარებული ქვეყნების ათეულში. შესაბამისად, თუ ამ ქვეყნებმა მომავალშიც ასე გააგრძელეს გიგანტური ნაბიჯებით სვლა, თუ შენარჩუნდა და მით უმეტეს, კიდევ უფრო გაფართოვდა ამერიკის დამოკიდებულება ჩინეთის

1. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 9, გვ. 117.

ფინანსური ბაზრებისადმი, მაშინ თანდათან ილუზორული გახდება დასავლეთის მსოფლიოში ლიდერობა.

ისმება კითხვა: რითია გამოწვეული აღმოსავლეთის ასეთი წარმატებები ამდენი ხნის ეკონომიკური უძრაობის შემდეგ?

როგორც ჩანს, აზიურმა საზოგადოებებმა უკვე ამოხსნეს დასავლური სწრაფი წინსვლის საიდუმლო. კერძოდ კი ის, რომ ისინი მხოლოდ თავისუფალი ბაზრის პირობებში, კანონის უზენაესობისას, ტექნოლოგიური პროგრესის ბაზაზე და საყოველთაო განათლების გზით მიიღწევა.

ეს ყველაზე ადრე, XIX საუკუნის II ნახევარში იაპონიაში შეიგნეს, რომელიც დღეს უკვე ჩვენი სამყაროს ლიდერი სახელმწიფოა. ახლა ჩინეთი და ინდოეთიც სწორედ ამ გზას ადგანან.

მოგავალი დავიწყებული წარსულია?! ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში აზია მსოფლიო მშპ-ს 75 პროცენტზე მეტს აწარმოებდა, ევროპა კი 10 პროცენტზე ოდნავ მეტს. ათასი წლის შემდეგაც ეს პროპორცია არ დარღვეულა და შესაბამისად, 70 და 9 პროცენტს შეადგენდა. მან რადიკალური ცვლილება მხოლოდ სამრეწველო რევოლუციის შემდგომ დაიწყო და 1820 წელს დასავლეთ ევროპის წელი მსოფლიო მშპ-ში 24 პროცენტამდე გაიზარდა, მაშინ, როდესაც მასში აზიის წილი 60%-ზე ქვევით დაეცა. ამავე პერიოდს ეკუთვნის დასავლეთი ცივილიზაციის მიერ ისეთი ქვეყნების შემოერთება, როგორებიცაა შეერთებული შტატები, კანადა, ავსტრალია და ახალი ზელანდია. 1820 წელს ამ ქვეყნების წილად მოდიოდა მსოფლიო მშპ-ს 2 პროცენტამდე, მაშინ, როდესაც მათ წილად მოსულმა მსოფლიო მშპ-მ 1998 წელს 20%-ზე მეტი შეადგინა. ამავე პერიოდში ეს მაჩვენებელი აზიის წილად იყო 37%-ზე მეტი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დასავლეთმა საკმაოდ სწრაფად აკ'იფა სიჩქარე და ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ეკონომიკური სასწაულის მოხდენა შეძლო.

როგორც ვხედავთ, კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში აზიას მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალ კონტინენტს, ასევე ყველაზე დიდი ეკონომიკა გააჩნდა. ამიტომაც, სრულიადაც არ უნდა იყოს გასაკვირი ცნობილი ბანკის – „Goldmman Sachs"-ის პროგნოზი, რომლის თანახმადაც 2050 წელს სამი აზიური ქვეყანა — ჩინეთი, ინდოეთი და იაპონია აშშ-ს გვერდით დაიკავებენ ადგილს, როგორც მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკები.

საკმაოდ პარადოქსალურად მოჩანს ის ამბავი, რომ მართალია ამ ასპექტში სამყარო უბრუნდება ისტორიულ ნორმას, მაგრამ აზიური საზოგადოებების წარმატებები სრულიადაც არაა ძველი ცივილიზაციის რაღაც მივიწყებული რეცეპტების ხელახლა ამოქმედებით გამოწვეული. ეს შედეგია იმისა, რომ ისინი თუმცა ძნელად და მტკივნეულად, მაგრამ მაინც მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნულის მისაღწევად მათ დასავლური სიბრძნისათვის უნდა მიემართათ, ანუ იმისათვის, სახელდობრ რაზეც იდგა დასავლური ცივილიზაცია და რამაც შეაძლებინა ამ უკანასკნელს ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში გადაესწრო აზიურისათვის. ამიტომ ჩვენ ის კი არ უნდა გვაკვირვებდეს, თუ როგორ სწრაფად ვითარდება ზოგიერთი აზიური ქვეყანა, არამედ ის, თუ რა დიდი ხანი დასჭირდათ მათ, ვიდრე წარმატების გასაღებს მიაგნებდნენ. ამ მხრივ იაპონია გამონაკლისია. მან ამ გასაღებს 150 წლით ადრე მიაკვლია.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა. ჩინეთი ის ცოცხალი ლაბორატორიაა, რომელშიც შესაძლებელია გამოვიკვლიოთ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ეფექტურობა. XX საუკუნის II ნახევარში მან თანმიმდევრობით გამოიყენა ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი მოდელები: ცენტრალიზებული დაგეგმვა და საბაზრო ეკონომიკა.

1949 წელს მაო ძე დუნმა ჩინეთში საბჭოური მოდელი დანერგა. მაგრამ 1958 წელს ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იგი ვერ ამართლებდა და *დიდი ნახტომის* პოლიტიკა გამოაცხადა. ეს ექსპერიმენტიც მარცხით დასრულდა. სტა-

ტისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ 1959 და 1960 წლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ამ ქვეყანაში შესაბამისად 14 და 13 პროცენტით შემცირდა, ხოლო შემდგომ წელს იგი 1952 წლის შემდეგ ყველაზე დაბალ დონემდე დავიდა.

და თუმცა ჩინეთმა მართლაც შეძლო *დიდი ნახტომის* პოლიტიკის განხორციელება, მაგრამ რაოდენ პარადოქსალურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, მხოლოდ მაშინ, რაც მან ხელი აიღო მაოს ცენტრალიზებული დაგეგმვის პოლიტიკიდან. და თუმცა უკვე ბევრი საუბრობს ჩინეთის ეკონომიკის განვითარების მაღალ ტემპებზე, მაგრამ ყველას როდი აქვს წარმოდგენილი, თუ რას ნიშნავს ეს. ამიტომ ციფრებს მივმართოთ.

თუ რა მოხდა ჩინეთის ეკონომიკაში *თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე* გადასვლის შემდეგ, ამის საილუსტრაციოდ სინგაპურის და სიანჩენის მაგალითიც გამოდგება.

სინგაპური ერთ-ერთი ლეგენდარული აზიური ვეფხვი, 1965-95 წლებში საშუალოდ 8,6 პროცენტით ვითარდებოდა და მისი მშპ ამ პერიოდში 1 მილიარდიდან 86 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

2005 წელს, როდესაც დენ სიაოპინმა სამეურნეო რეფორმები გამოაცხადა, სიანჩენი მეთევზეთა ერთი პატარა დასახლება იყო; ერთი წლის შემდეგ იქ სპეციალური ეკონომიკური ზონა შეიქმნა. 1980-2005 წლებში მისი მოსახლეობა 30 ათასიდან 11 მილიონამდე გაიზარდა, ხოლო ეკონომიკა წელიწადში საშუალოდ 28 პროცენტით ვითარდებოდა. შედეგად, მხოლოდ ამ დასახლებაში წარმოებული მშპ 32,5 მილიონი დოლარიდან 42 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. 2005 წელს სიანჩენის ექსპორტი 101,5 მლრდ დოლარამდე, ანუ ჩინეთის მთელი ექსპორტის 13 პროცენტამდე გაიზარდა. ამჟამად სიანჩენი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ საპორტო ქალაქს წარმოადგენს და მას აქვს ჩინეთში თავისი ტვირთ/მგზავრ გამტაროიანი მეოთხე აეროპორტი. სიანჩენის ეკონომიკა აღნიშნულ პერიოდში 1260-

ჯერ გაიზარდა, ანუ გაცილებით მეტად, ვიდრე რეფორმების თვალსაზრისით სამაგალითოდ მიჩნეული სინგაპური დროის უფრო ხანგრძლივ მონაკვეთში.

პროგრესი მთელ ჩინეთში იბრძნობა. ის, რაც XX საუკუნეში ჩინეთში ხდებოდა, თითქმის სასწაული იყო. ოჯახებმა, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ წელიწადში რამდენიმე ასეული დოლარის მიღებას, უკვე რამდენიმე ათასეული დოლარის გამომუშავება დაიწყეს. ამას განსაკუთრებით ხელი შეუწყო დასავლეთის ფირმების ჩინეთში გადატანამ. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამხელა ქვეყანაში ვერსად ვერ ნახავთ ანტიგლობალისტურ გამოსვლებს. იგივე „ნიკეს" ფაბრიკა, რომელიც მათ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს 1999 წელს სიეტლში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (TWO) ყრილობის მიმდინარეობისას, ჩინელთათვის მაშველ რგოლად იქცა.

ჩინეთში *საბაზრო ეკონომიკის* დანერგვამ განსაკუთრებით დადებითად იმოქმედა სიღატაკის მასშტაბების შემცირებაზე. 1981-2001 წლებში აქ სიღატაკეში მცხოვრებთა რაოდენობა 400 მილიონით შემცირდა. თუ 2006 წელს აზიაში ცხოვრობდა მსოფლიო ღატაკთა თითქმის ნახევარი, სათანადო გაანგარიშებების თანახმად, 2030 წლისათვის ეს მაჩვენებელი 1/5-მდე შემცირდება. სამაგიეროდ იმავე პერიოდში ანალოგიური მაჩვენებელი აფრიკის კონტინენტზე 1/3-დან 2/3 —მდე გაიზრდება.

აზიური პრაგმატიზმი. პირველი აზიური ქვეყანა, რომელმაც თავისი ეკონომიკის მოდერნიზება შეძლო, იაპონია იყო. მეიჯის ეპოქის რეფორმატორებმა უჩვეულო წარმატებით განახორციელეს დასავლური პრაქტიკის იაპონიაში გადმოღება, რის შედეგადაც იაპონია წარმატებული ქვეყნების რიგში ჩადგა. მან 1895 წელს მან ომი მოუგო ჩინეთს, ხოლო 10 წლის შემდეგ — რუსეთსაც, რაც ბოლო საუკუნეების განმავლობაში პირველი გამარჯვება იყო აზიელებისა — ევროპელებზე.

როგორ შეძლეს იაპონელებმა დასავლური გამოცდილების ასე მშვენივრად გამოყენება? იმიტომ, რომ პრაგმატულები აღმოჩნდნენ. ისინი ეკონომიკის გარდაქმნას ყოველგვარი იდეოლოგიური კომპლექსების გარეშე მიუდგნენ. იაპონელები მზად იყვნენ ნებისმიერი ქვეყნიდან აეღოთ საუკეთესო გამოცდილება და ეფექტურად დაენერგათ ის საკუთარ ქვეყანაში. მაგალითად, განათლების სისტემაში მათ გამოიყენეს როგორც ფრანგული, ისე ამერიკული მოდელი, საჯარო სამსახურში ტესტირების გერმანულ სისტემას მიმართეს, ასევე კარგად აითვისეს სასამართლო სისტემის დასავლეთის გამოცდილება. იაპონელმა რეფორმატორებმა განსაკუთრებით კარგად აუღეს ალღო აგრარული სფეროს დასავლურ პრაქტიკას, რის შედეგადაც იაპონური სოფლის მეურნეობა ასე ვითარდება.

თავად ცხოვრებისადმი პრაგმატული მიდგომაც იაპონელებმა დასავლეთისაგან აითვისეს. ყველაზე მეტად პრაგმატიკოსი აზიის ისტორიაში ჩინელი რეფორმატორი დენ სიაოპინი გამოდგა. სწორედ მას ეკუთვნის სიტყვები, რომლებიც ასევე თავად პრაგმატიზმის განსასაზღვრავადაც გამოდგება:„მნიშვნელობა არა აქვს, კატა შავია თუ თეთრი, მთავარია მან თაგვი დაიჭიროს". სიაოპინმა კარგად გამოიყენა ეს ფორმულა ორთოდოქსული კომუნიზმის იდეებისაგან გასათავისუფლებლად.

მშვიდობისმოყვარე პოლიტიკა. ის, რაც განსაკუთრებულ მიღწევად უნდა ჩაეთვალოს აზიურ ქვეყნებს, ისაა, რომ ბოლო რამდენიმე ათეული წელია, რაც აქ სერიოზულ კონფლიქტებს არა აქვს ადგილი. მშვიდობა არ დარღვეულა 1997-1998 წლების ფინანსური კრიზისის შედეგადაც, რომელსაც შეეძლო რეგიონში კონფლიქტების გამოწვევა. ამ კრიზისის შედეგები ხომ ძალზე მტკივნეული იყო აზიის ქვეყნებისათვის: მაგალითად, ინდონეზიის ეკონომიკა მის შედეგად 15%-ით შემცირდა, ბავშვები საკვების უკმარისობის გამო იხოცებოდნენ, ღატაკთა რაოდენობამ მოსახლეო-

ბის ნახევარს გადააჭარბა. მისი მიზეზით სამხრეთ კორეაში უმუშევართა რაოდენობა სამჯერ და მეტად გაიზარდა. მაგრამ კრიზისს აზიის ქვეყნებისათვის კონფლიქტებისაკენ არ უბიძგებია. პირიქით, რეგიონში მშვიდობა კიდევ უფრო განმტკიცდა. რატომ? ჯერ ერთი იმიტომ, რომ აზიამ მშვიდობის დასავლეთის კულტურა აითვისა, ის კულტურა, რომლის შედეგადაც II მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ომი აღარ ყოფილა. ამასთან, დასავლეთში საზოგადოების განათლებული ნაწილის და საშუალო კლასის ზრდამ ის გამოიწვია, რომ საზოგადოებამ საერთოდ შეიცვალა წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რისკენ უნდა მიისწრაფოდეს იგი. XIX საუკუნეში მიჩნეული იყო, რომ სახელმწიფოს მიზანს უნდა წარმოადგენდეს სხვა ქვეყნების დაპყრობა და თავისი გავლენის სფეროების გაფართოება. XX საუკუნეში ამგვარი მიდგომები შეიცვალა, რაზეც მეტყველებს თუნდაც გერმანიისა და იაპონიის მაგალითი. II მსოფლიო ომის შემდგომ სახელმწიფოს ძლიერების მთავარი გამომხატველი გახდა ეკონომიკის მასშტაბები. ამგვარი შეხედულებები შეითვისეს აზიის ქვეყნებმაც, განსაკუთრებით ჩინეთმა. ამ უკანასკნელმა გააკეთა სათანადო დასკვნა დასავლეთის დადებითი და საბჭოთა კავშირის უარყოფითი მაგალითიდან, რომელიც სხვა მიზნებთან ერთად იმიტომაც დაეცა, რომ ნაცვლად ეკონომიკის განვითარებისა, მეტისმეტ ყურადღებას აქცევდა შეიარაღებას. ჩინეთი სრულიად სხვა გზას დაადგა..

სამართლიანობა. სამართლიანობის დასავლური კონცეპცია, რომლის თანახმადაც ყველა მოქალაქე თანაბარია კანონის მიმართ და მის საფუძველზე უნდა გასამართლდეს, აზიური მენტალიტეტისათვის უცხოდ რჩებოდა. აზიელს მიაჩნდა, რომ მმართველი კლასის, განსაკუთრებით სამეფო ოჯახის წარმომადგენლები და არისტოკრატია, კანონზე მაღლა უნდა მდგარიყო. მმართველი კლასისათვის კანონის ერთადერთ დანიშნულებას ის წარმოადგენდა, რომ ხელქვეითნი დაემორჩილებინა.

ჩინურ იურისპრუდენციაში კანონი მართვის საუკეთესო ინსტრუმენტი იყო. მეფე (ან კომპარტიის I მდივანი) თავად კანონზე მაღლა იდგა, იმ კანონის, რომელიც სხვათაშორის, იქცეოდა მისი ყოველი სურვილი თუ განკარგულება.

დღეს ამ მხრივ ჩინეთში სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა. დღეს კანონს უკვე არა ეთიკური, არამედ ფუნქციონალური დანიშნულება აქვს. ამის ყველაზე კარგი მაგალითია საგზაო მოძრაობის წესები: წითელ შუქზე იმიტომ კი არ ვჩერდებით, რომ ეს ეთიკურია, არამედ იმიტომ, რომ ასე უფრო უსაფრთხოა. დღეს აზიელთა უმრავლესობას უკვე ესმის, რომ კანონის დაცვა უნდა იყოს ისევე ბუნებრივი, როგორც საგზაო მოძრაობის წესები. მათ რომ ეს არ გაეგოთ, ისინი ვერ შეძლებდნენ თანამედროვე ეკონომიკის შექმნას, რომელიც სამართლებრივ ჩარჩოებს მოითხოვს. სწორედ ამ ჩარჩოებში უნდა მოხდეს სამეურნეო ხელშეკრულებების დადება იმ რწმენით, რომ იგი დაცული იქნება. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ჩინეთის მაგალითზე. სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისას, რომელიც ძირითადად დასავლურ პრინციპებზეა დამყარებული, შუაგულის სახელმწიფოს ხელისუფლება უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამოდიოდა. როდესაც ჩინეთმა ცენტრალიზებული დაგეგმვის პრინციპებზე ხელი აიღო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის სასარგებლოდ, კანონი, როგორც სამეურნეო საქმიანობის უმთავრესი მარეგულირებელი, აუცილებელი შეიქმნა. ცენტრალური ხელისუფლება იძულებული გახდა თავისი პრეროგატივები – საფინანსო, ფისკალურ, კერძო საკუთრების თუ მატერიალური — ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების და კერძო პირებისათვის გადაეცა. უცხოური. ინვესტიციების მიღების მოთხოვნამ და ინვესტორთა ნდობის მოპოვებამ განაპირობა ქვეყანაში დამოუკიდებელი და ობიექტური სამართლებრივი სისტემის შემოღება. დიდი კედლის იქით მდებარე ქვეყანას ასევე უნდა გადასულიყო საერთაშორისო ნორმებზე, თუნდა იმიტომ, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მიეღოთ.

მიუხედავად აღნიშნული პროგრესისა, ჩინეთი მაინც სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას. თეორიულად კომპარტიის წევრებიც იგივე კანონებს უნდა ემორჩილებოდნენ, რომელსაც ჩვეულებრივი მოქალაქეები. პრაქტიკაში კი პარტიულ ბობოლებს უმეტესობას კვლავაც ისე უყურებენ, თითქოს ისინი კანონს ზევით იდგნენ. ალბათ მრავალ მათგანს თავი მართლაც ასე მიაჩნია. ამიტომ ეს გამოწვევაც უპირატესად იმაში მდგომარეობს, რომ კანონი ყველასათვის თანაბრად კანონობდეს.

განათლება. ბოლო ხანებში აზიელები დიდად აფასებენ განათლების დასავლურ მოდელს. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ მასიური განათლების პრაქტიკა აქ არც თუ ისე დიდი ხანია, რაც დაინერგა. განათლებისადმი ასეთმა მიდგომამ კარგი ნაყოფიც გამოიღო. მსოფლიო ბანკის გაანგარიშებებით, აზიელთა განათლების დონის ამაღლება მშპ-ს წარმოებას 2 პროცენტით მაინც ზრდის. აზიელებმა განსაკუთრებით დიდი მადლობა უნდა მიუძღვნან შეერთებულ შტატებს, რადგან სწორედ ამ ქვეყნის უნივერსიტეტებმა შეიტანეს უდიდესი წვლილი აქაური ელიტის ჩამოყალიბებაში. II მსოფლიო ომის შემდეგ ათასობით აზიელმა ისწავლა ამერიკაში და ასე დაუბრუნდა თავის სამშობლოს. 1978-2003 წლებში საზღვარგარეთ სწავლობდა ნახევარ მილიონზე მეტი ჩინელი, საიდანაც 173 ათასი (თითქმის მესამედი) ჩინეთში დაბრუნდა.

ამერიკულ სასწავლებლებს კიდევ უფრო მეტად უნდა უმადლოდეს ინდოეთი. სახელდობრ ამ ქვეყნიდანაა შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში ყველაზე მეტი სტუდენტი. კერძოდ, 2005-2006 წლებში მათი რიცხვი უდრიდა 77 ათას სტუდენტს. ამ მხრივ მეორე ადგილზე დგას ჩინეთი — 63 ათასი, მესამე ადგილზე სამხრეთ კორეა — 59 ათასი, ხოლო მეოთხე ადგილზე, იაპონია — 39 ათასი. ამასთან, თანდათან უფრო მეტი ინდოელი სტუდენტი გამოთქვამს მზად ყოფნას დიპლომას აღების შემდეგ სამშობლოში დაბ-

რუნებაზე. კერძოდ, ამგვარი სურვილი აღმოაჩნდა ჩიკაგოს სასწავლებლის„Graduate School of Business"-ის სტუდენტთა 84 პროცენტს. სწორედ ეს სამშობლოში დაბრუნებული სტუდენტები წარმოადგენენ აზიური ეკონომიკური ზრდის უმთავრეს საყრდენებს. მათ თან მოაქვთ არა მხოლოდ კონკრეტული კვალიფიკაცია, არამედ შრომის ამერიკული პათოსიც — ცხოვრებისადმი ოპტიმისტური მიდგომა და რწმენა იმისა, რომ მათ შესწევთ უნარი სულ ქვედა საფუძვლებიდან შექმნან მდიდარი და განათლებული საზოგადოება — გასული საუკუნის 60-იანი წლების ბრწყინვალე ამერიკული იდეა, რომლის მიხედვითაც ერთ საუკეთესო და კარგად მომზადებულ თაობას საზოგადოება გარდაქმნა ხელეწიფება.

კარგად მომზადებული სტუდენტები მხოლოდ ინდოეთს როდი უბრუნდებიან. ჩინეთში მათი რაოდენობა 1999 წლის 7 ათასიდან - 2006 წელს 40 ათასამდე გაიზარდა. ვიეტნამის ხელისუფლებაც არ აკლებს ძალისხმევას ემიგრანტების უკან დაბრუნებას, რასაც სასურველი შედეგი მოაქვს კიდეც.

აზიელებმა დიდი სარგებლობა ნახეს არა მარტო ამერიკაში, არამედ ასევე ევროპაში, ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში სწავლით. მაგრამ ახლა ისინი დგანან ახალი გამოწვევის წინაშე — თავად შექმნან საკუთარ სამშობლოში უმაღლესი განათლების თანამედროვე სისტემა. დასაწყისი ნამდვილად იმედის მომცემია. 2006 წელს ჟურნალ„ტაიმსში" გამოქვეყნებულ 100 საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლის რეიტინგში 14 აზიური უნივერსიტეტიცაა მოხვედრილი, რომელთაგან ტოკიოს, პეკინის და სინგაპურის უნივერსიტეტებს - პირველ ოცეულში ვხედავთ.

უყურებენ რა აზიურ უნივერსიტეტების ასეთ წარმატებებს, ამერიკული ანალოგიური სასწავლებლები მათთან სათანამშრომლოდ მიისწრაფიან. ასეთი კონტრაქტები კი, რომლებიც არც თუ ისე ცოტაა, სახეს უცვლიან აზიის ინტელექტუალ ცხოვრებას.

ამ ბოლო დროს დასავლეთის პრესაში ხშირად გვხვდება წერილები, რომელთა ავტორები ევროკავშირისა და შეერთებული შტატების წარმოების წესის, სოციალურ—პოლიტიკური სისტემის ერთმანეთთან შედარებას და აქედან სათანადო დასკვნების გამოტანას ცდილობენ. მსგავსი წერილები ჩვენ არაერთი გამოგვიქვეყნებია გაზეთ „24 საათის“ ფურცლებზე (მაგალითად ამერიკელი პროფესორის რიფკინის და სხვ). წინამდებარე სტატიაც სწორედ მათი მსგავსია. მისი ავტორია სტევენ ჰილი, „New America Foundation“-ის დირექტორი. ჰილის ნააზრევიდან საბოლოო დასკვნების გამოტანა მკითხველისათვის მიგვინდვია.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ ამერიკელი სპეციალისტები და ანალიტიკოსები არ მალავდნენ, რომ ამერიკის ეკონომიკა გაცილებით ეფექტური იყო ევროპულთან შედარებით და ამ უკანასკნელს „ავადმყოფ, მოხუც ადამიანს“ ადარებდნენ. თურმე რამდენი რამის შეცვლა შეიძლება რამდენიმე თვის განმავლობაში! დღეს ამერიკული ბირჟა უკვე ნერვიულად რეაგირებს ერაყში შექმნილ მდგომარეობაზე, ქვეყანა იპოტეკური კრედიტების, საბიუჯეტო და სავაჭრო კრიზისის საშიშროების წინაშე დგას, ხოლო წარმოების ზრდა აღარაა ძველებურად დინამიური და ინვესტორებიც დაეჭვებით უყურებენ ამ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას. დღეს ექსპერტთა საკმაოდ დიდი ნაწილი, როგორც ნათელ წერტილებს ეკონომიკური ზრდის მსოფლიო რუკაზე უკვე ჩინეთსა და ინდოეთს აღითქვამს.

რა მდგომარეობაა ამ დროს ევროპაში? მრავალ დამკვირვებელს აოცებს იმის დანახვა, თუ ასეთ სიტუაციაში, როგორ ახერხებს იგი შედარებით უკეთესი შედეგების მიღწევას და მის შესახებ მსოფლიოში არსებული მითების ერთმანეთის მიყოლებით მსხვრევას...

მითი I. „გაშეშებულ ევროპის ეკონომიკას მსოფლიო ლიდერის პოზიციის დაკავების არც ძალა შესწევს და არც უნარი“.

კი მაგრამ, რას ვეძახით „გაშეშებულს“? ევროკავშირის ეკონომიკა დღეს 16 ტრილიონი დოლარის ექვივალენტურია და უკვე კარგა ხანია ნელი ტემპით, მაგრამ მუდმივად იზრდება. დღეს ევროპა მსოფლიოში უკვე ყველაზე დიდი ბაზარია, რომელზედაც მსოფლიო სავაჭრო ბრუნვის თითქმის 1/3 მოდის. მისი წვლილი მსოფლიო ვაჭრობაში გაცილებით დიდია, ვიდრე შეერთებული შტატების (27 პროცენტი) და იაპონიის (9 პროცენტი). როგორც გინდა ოპტიმისტურად არ უნდა შევაფასოთ ჩინეთის სამეურნეო წარმატებები, ამ მხრივ მისი წვლილი 6 პროცენტს არ აღემატება, ხოლო ინდოეთის ანალოგიური მაჩვენებელი კიდევ უფრო მოკრძალებულია.

ევროპის ეკონომიკა არასოდეს არა ყოფილა ისეთ ცუდ მდგომარეობაში, როგორც ამას თავად ევროპელები აცხადებდნენ. 2000—2005 წლებში, როდესაც ბირჟამ და იაფმა კრედიტებმა ხელი შეუწყეს ამერიკული ეკონომიკის აღმავლობას„, ბებერი“ ევროკავშირის 15 ქვეყანაში მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალი თითქმის ისეთივე იყო, როგორც ამერიკაში. 2006 წლის ბოლოს კი ევროპამ გაგვისწრო კიდეც ამ მხრივ. იქ უფრო სწრაფად იზრდებოდა სამუშაო ადგილების რაოდენობა, დაბალი იყო ბიუჯეტის დეფიციტი. ამჟამად ევროპაში გაცილებით უფრო მაღალია წარმოების ზრდის ტემპები, ვიდრე შეერთებულ შტატებში, ხოლო მის სავაჭრო ბალანსში ექსპორტი 3 მილიარდი დოლარით აღემატება იმპორტს.

მითი II. „არავის არა სურს ევროპულ ფირმაში ინვესტირება, რამეთუ ისინი არც თუ ისე კონკურენტუნარიანები არიან, რომ ინვესტორმა დიდი მოგება მიიღოს“.

არც ეს შეესაბამება სიმართლეს. 2000—2005 წლებში ევროკავშირის 15 ქვეყანაში უცხოური ინვესტიციები მსოფლიოში დაბანდებული მთელი ინვესტიციების თითქმის ნა-

ხევარს შეადგენდა. ამასთან ევროპულ ფირმებში დაბანდებული ინვესტიციების მიერ მიღებული მოგება გაცილებით აღემატებოდა ამერიკელ ფირმებში დაბანდებული ინვესტიციების მიერ მიღებულ მოგებას. „ბებერი ევროპა“ როგორც მაგნეტი, ისე ზემოქმედებს ინვესტორებზე, რადგან იგი ყველაზე შემოსავლიანი ბაზარია მთელ მსოფლიოში“ — აცხადებს დან ო'ბრეინი, ჟურნალ „ეკონომისტის“ („Economist“)-ის ეკონომიკური მიმომხილველი. უფრო მეტიც: სწორედ ამერიკული კორპორაციები აბანდებენ ყველაზე მეტ სახსრებს ევროპაში. ამერიკული ფირმების ევროპულმა ფილიალებმა 2005 წელს 85 მილიარდი დოლარის მოგება მოიტანეს, ანუ გაცილებით მეტი; ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე ქვეყნიდან და 26—ჯერ მეტი, ვიდრე მათ ჩინეთში დაბანდებული ინვესტიციებიდან მიიღეს (3,3 მილიარდი დოლარი).

არ ღირს ასევე ძველი, სულელური არგუმენტის გამეორება იმის შესახებ, თითქოს ევროპული ფირმები არც თუ ისე კონკურენტუნარიანები არიან. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კონკურენტუნარიანობის რეიტინგის თანახმად, სწორედ ევროპულმა ქვეყნებმა დაიკავეს 7 ადგილი პირველ ათეულში და 12 ადგილი პირველ ოცეულში (ლაპარაკია 2006—2007 წლების სამეურნეო შედეგებზე). ამ რეიტინგში აშშ იყო 6 ადგილზე, ინდოეთი 43 ადგილზე, ხოლო ჩინეთი — 54 ადგილზე.

მითი III. „ევროპა ოპტიმალური უმუშევრობის მაჩვენებლის კონტინენტია“.

უკვე აღარ. „ბებერი“ ევროპის კავშირის ქვეყნების ნახევარმა ბოლო თვეებში სამუშაო ადგილების მკვეთრი მატება უჩვენა. ამ ქვეყნებში უმუშევრობის მაჩვენებელი იმავე, ან უფრო დაბალ დონეზეა, ვიდრე შეერთებულ შტატებში. უმუშევრობა მთელ ევროკავშირში, — აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ჩათვლით — ამჟამად ისტორიაში ყველაზე დაბალ ნიშნულზეა და 6,7 პროცენტს შეადგენს.

საფრანგეთშიც კი, სადაც იგი უდნავ აღემატება ამ მაჩვენებელს (8 პროცენტი), უმუშევრობა ყველაზე დაბალ დონეზეა ბოლო 25 წლის განმავლობაში.

თუმცა ეს გაცილებით მაღალი მაჩვენებელია, ვიდრე შტატებში, სადაც უმუშევრობა 4,6 პროცენტის დონეზეა, მაგრამ არც იმის დავიწყება ეგების, რომ ამერიკაში მრავალი სამუშაო ადგილია იმისთანა, სადაც მომუშავე ძალზე დაბალ ხელფასს იღებს, და ამასთან, არავითარ სოციალურ დაცვას არ ითვალისწინებს. ევროპაში უმუშევრებს საშუალება აქვთ გაცილებით უკეთ იზრუნონ თავიანთ ჯანმრთელობაზე, ვიდრე ამერიკაში. აქ არსებობს მრავალი პროგრამა, რომელიც მათ გადამზადებას ითვალისწინებს, ღარიბ ევროპელებს შეღავათები აქვთ ბინის ქირის გადახდისას და ა. შ. ამერიკაში უმუშევარს უფრო მეტად ემუქრება საზოგადოებისაგან გარიყვა და სიღატაკეში სულის ამოხდომა.

მითი IV. „ევროპული „სოციალური სახელმწიფო“ აფერხებს ბიზნესის განვითარებას და ზიანს აყენებს ეკონომიკას“.

სამაგიეროდ, შეერთებულ შტატებში უფრო მეტი უთანასწორობა გვხვდება, ვიდრე ევროპაში. შტატებში გაცილებით მეტად საგრძნობია ასევე დეფიციტი ჯანმრთელობის დაცვის მხრივ, შედარებით ნაკლებ შესაძლებელია იაფი საყოველთაო განათლების მიღება. ევროპის ეკონომიკა უფრო უკეთ უზრუნველყოფს საზოგადოების ფართო ნაწილის ცხოვრების კეთილდღეობას.

ევროპელები მართლაც სარგებლობენ სახელმწიფოს მფარველობით მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. მათ ხელი მიუწვდებათ მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებაზე, ბავშვის აღსაზრდელად საჭირო ფასიან შვებულებაზე, იაფ საბავშვო ბაღებზე, ფასიან საავადმყოფო ფურცლებზე, იაფ, ან თითქმის უფასო უმაღლეს განათლებაზე, აქვთ გამართული საპენსიო სისტემა და ეფექტურად აწყობილი საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ევროპელს შეუძლია წელიწადში საშუალოდ ხუთი კვირის შვებულებით ისარგებლოს,

მაშინ როდესაც ამერიკაში იშვიათად სარგებლობენ ორ კვირაზე მეტი ხნით. ევროპელებს აქვთ ასევე გაცილებით მოკლე სამუშაო კვირა. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მუშაკი ერთობლიობაში სამუშაოზე ატარებს კვირაში თითქმის ერთი დღით ნაკლებს, ვიდრე ამერიკელი და დაახლოებით ამ უკანასკნელის დონეზე ცხოვრობს. ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში არის არა იმდენად „სოციალური სახელმწიფო“, რამდენადაც „მზრუნველი სახელმწიფო“. როგორც ერთმა ბრიტანელმა პუბლიცისტმა განაცხადა: ევროპას უბრალოდ დაწესებულებების ფართო სისტემა აქვს, რომლის მიზანსაც ის წარმოადგენს, რომ ევროპული საზოგადოების ყველა წევრი იყოს ჯანმრთელი და შეეძლოს მუშაობა.

ევროპული ეკონომიკა და საზოგადოებრივი პრობლემების ევროპული გადაწყვეტა — ეს თითქოს სრულყოფილად დაპროექტებული „სოციალური კაპიტალიზმის“ ორი მხარეა, რომლის ჩარჩოებშიც ეკონომიკა აფინანსებს ოჯახებისა და მუშაკების დამცავ სოციალურ სისტემას. ეს საკითხის ძალზე გონივრული გადაწყვეტაა გლობალიზაციის პირობებში, რომელიც ცდილობს ჩვენ გადაგვაქციოს მობილურ, საერთაშორისო მუშაკებად. ევროპული სოციალური სისტემა არ აფერხებს ადამიანთა კეთილდღეობის შემდგომ განვითარებას, არამედ ეხმარება მას და ყველაფერს აკეთებს ამისათვის. სწორედ ამიტომაა, რომ ყველაზე კონსერვატიული ევროპელი ლიდერებიც კი თანხმდებიან იმაში, რომ ამ სისტემამ უნდა გააგრძელოს ფუნქციონირება.

ᲛᲘᲗᲘ V. „ᲔᲕᲠᲝᲞᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲚᲔ ᲠᲣᲡᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲖᲔ ᲡᲠᲣᲚ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ“.

ძალზე ძნელი დასაჯერებელი ვარაუდია. ევროპა დრო და დრო მართლაც არის დამოკიდებული რუსეთისა და ახლო აღმოსავლეთის ენერგეტიკულ რესურსებზე, მაგრამ იგი გვევლინება ასევე მსოფლიო ლიდერად ამ დამოკიდებულების, რაც შეიძლება შემცირების მიმართულებით. ის ასევე აქტი-

ურ წინააღმდეგობას უწევს კლიმატის ცვლილებების გამომწვევი ღონისძიებების გატარებას. მიმდინარე წლის მარტში ევროკავშირის 27 ქვეყნის ლიდერმა ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომლის საფუძველზეც 2020 წლამდე ევროკავშირის ენერგიის წყაროების 20 პროცენტს განახლებადი ენერგიის სახე ექნება. რაც შეეხება ნახშირორჟანგს, აქ უკვე დასახული ღონისძიებების შედეგად მისი გამოყოფაც 20 პროცენტით შემცირდება.

ევროპაში შენდება თანდათან მეტი და მეტი თანამედროვე ქარის, ასევე მზის ენერგიის გამომყენებელი და ენერგიის ალტერნატიული სხვა სახის ელექტროსადგურები. იგება „სითბოტევადი" და ეკოლოგიური შენობები. ამის პარალელურად ქალაქებში მსხვილ საზოგადოებრივ ტრანსპორტთან ერთად მრავალ კილომეტრებზე გადაჭიმულია საველოსიპედო ბილიკები და ასევე ბილიკები ფეხით მოსეირნეთათვის. ევროპაში „ეკოლოგიური ნარჩენები" ერთ მოსახლეზე გაანგარიშებით გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ამერიკაში.

ესპანელებს ქამრის მოჭერა მოუწევთ

როგორც ჩანს, ეკონომიკური აღმავლობის ეპოქა ესპანეთში სრულდება. ყოველ შემთხვევაში, ჯერ—ჯერობით მაინც. თუმცა ქვეყნის ხელისუფლებას ამაში გამოტყდომა უჭირს.

3 ივნისს ესპანეტის მთავრობამ კვლავ დააზუსტა, უფრო სწორედ, შეამცირა თავისი საპროგნოზო მაჩვენებელი 2008 წლის ეკონომიკური განვითარების თაობაზე. მას ჯერ კიდევ აპრილში მიაჩნდა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური ზრდა 2,3 პროცენტი მაინც იქნებოდა, მაგრამ როგორც შემდგომ პერიოდში ეკონომიკის მინისტრმა პედრო სოლბესმა განაცხადა, ეს მაჩვენებელი 2 პროცენტს ვერ გადასცდება. მრავალ ექსპერტს ეს პროგნოზიც გადაჭარბებულად ეჩვენება, ვინაიდან მათ ყურამდე თითქმის ყოველდღიურად

აღწევს ცნობები ქვეყანაში სამეურნეო სიტუაციის გაუარესების თაობაზე.

როგორც ესპანეთის დასაქმების სამსახურმა განაცხადა, მაისში უმუშევართა რაოდენობამ კვლავ 15 ათასს გადააჭარბა. ჩანს, ქვეყანაში კვლავ იმძლავრა იმ ტენდენციამ, რომელიც აქ ბოლო 12 წლის განმავლობაში აღინიშნებოდა და რომელიც უმუშევრობის ზრდაში გამოიხატა. მართალია ეს ტენდენცია ბოლო ხანს თითქოს შესუსტდა, მაგრამ ჩანს იგი ბოლომდე დამარცხებული არ იყო. უკანასკნელი 1 წელიწადის განმავლობაში უმუშევრობის რიცხვნობა 20 პროცენტით გაიზრდა. უმუშევრობა განსაკუთრებით გაიზარდა სამშენებლო და საზოგადოებრივი სამუშაოების სფეროში. ეს მაჩვენებელი ბოლო 12 თვის განმავლობაში 60 პროცენტზე მეტად გაიზარდა. ეკონომიკის სამშენებლო სექტორი იმანაც ჩააყენა მძიმე მდგომარეობაში, რომ მიმდინარე წლის მარტში გასული წლის ანალოგიურ თვესთან შედარებით მკვეთრად, თითქმის 14 პროცენტით, იკლო ბინების გაყიდვების მოცულობებმა.

ექსპერტების დაკვირვებით, ჯერ–ჯერობით მრეწველობა გადაურჩა კრიზისის მარწუხებს, თუმცა არავითარი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ ამგვარი მდგომარეობა დიდხანს გასტანს. ამის გამომხატველი სიმპტომები უკვე ჩანს. კერძოდ, 2008 წლის მაისში გაიყიდა 24 პროცენტით ნაკლები რაოდენობის ავტომანქანები, ვიდრე წინა წლის ანალოგიურ პერიოდში. მრეწველობის ამ დარგს მსგავსი მძიმე პერიოდი 1998 წლის შემდეგ არა ჰქონია. არადა, მაისი ისეთი თვეა, რომელიც ტრადიციულად ყველაზე მეტად უწყობს ხელს ამ დარგში კონიუნქტურის გაუმჯობესებას.

როგორც ჩანს, დიდი ხნის განმავლობაში შენარჩუნებული მაღალი ინფლაცია (მაისში წლიური ინფლაცია 4,7% დაფიქსირდა), და სარგებლის მაღალი დონე აფერხებს მოსახლეობის მსყიდველობით უნარიანობას.

დეკონიუნქტურის გავლენით შეცბუნებული საავტომობილო მრეწველობა მთავრობას თხოვს თანადგომასა და დახ-

მარებას. კონსერვატიული ოპოზიცია მთავრობას ამტყუნებს იმაში, რომ „მას არ ძალუძს კრიზისს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს“. მემარცხენეებთან მჭიდროდ დაკავშირებული ყოველდღიური გაზეთი „ელ პაისიც“ (EL Pais) კი ხშირად აქვეყნებს მთავრობის გამკილავ კრიტიკულ სტატიებს. მაგალითად, ერთ-ერთ ბოლო სტატიაში გაზეთი იმაში აკრიტიკებდა ხელისუფლებას, რომ იგი ისე იქცევა, თითქოს საქმე ეხებოდეს უბრალო ქარიშხალს, რომელიც თავისთავად გადაივლის. შემდგომ სტატიაში კი ის მოითხოვდა, რომ ხელისუფლებას ეჩვენებინა, რომ იგი ფლობს სიტუაციას და იცის, თუ როგორ უნდა მოიქცეს.

არც ესპანეთის ეკონომიკის მინისტრს პედრო სოლბესს და მით უმეტეს, არც პრემიერ—მინისტრს ხოსე ლუის საპატეროს ქვეყანაში შექმნილი ამჟამინდელი მდგომარეობის გამოსახატავად არ სურთ იხმარონ სიტყვა „კრიზისი“. თუმცა ისინი აღიარებენ, რომ ქვეყანაში შექმნილია „სერიოზული და შემაშფოთებელი“ სიტუაცია. ეკონომიკის მინისტრი იმედს არ კარგავს, რომ 1—2 წელიწადში ეროვნული მეურნეობა კვლავ წლიურ 3 პროცენტიანი ზრდის ტენდენციას დაუბრუნდება, ხოლო საპატეროს განცხადებით, ესპანეთის ეკონომიკა გაცილებით უკეთაა მომზადებული ქარიშხალთან შესახვედრად, ვიდრე სხვა ქვეყნების ეროვნული მეურნეობები. თუმცა მტავრობამ ის კი განაცხადა, რომ 2008 წელს ბიუჯეტში სიჭარბე აღარ იქნება.

ქვანახშირის რენესანსი

ბოლო ხანებში ნავთობსა და გაზზე ფასების სწრაფი ზრდის გამო მთელ მსოფლიოში ინტენსიურად დაიწყო ენერგოშემცველების ალტერნატიული წყაროების ძებნა და გამოყენება. მაგალითად, ბრაზილიაში (და არა მხოლოდ იქ) სიმინდის ნაცვლად მოჰყავთ რაფსი, მისგან ბიოსაწვავის მისაღებად. ამ ასპექტში საინტერესოა ქვანახშირის გამო-

ყენების არეალის გაფართოებაც ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად.

ეს პროცესები განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს იტალიაში, სადაც ქვანახშირის გამოყენება ელექტროენერგიის მისაღებად ამჟამინდელი 14 პროცენტიდან უახლოეს ხუთ წელიწადში 33 პროცენტამდე გაიზრდება.

„შავ ოქროს“ მხოლოდ იტალიელები როდი უბრუნდებიან. ამგვარი პროცესები შეერთებულ შტატებშიც შეინიშნება, თუმცა იქ ამის გაკეთება გაცილებით რთულია, რადგან ძნელია ქვანახშირის გადამუშავებაზე დაფუძნებული ელექტროსადგურის აშენება სერიოზული ეკოლოგიური აკრძალვების გამო და გარდა ამისა, ამ ქვეყანაში ელექტროენერგიის მიღება ძირითადად მაინც ატომურ ელექტროსადგურებში ხდება.

ქვანახშირს განსაკუთრებით ინტენსიურად იყენებენ ინდოეთსა და ჩინეთში, და სწორედ ეს ქვეყნები ჰქმნიან სერიოზულ ბარიერებს მსოფლიოში CO_2-ს შემცირების გზაზე. აქ მცხოვრები 2 მილიარდზე მეტი ადამიანისათვის სწორედ ქვანახშირია ენერგიის მიღების უმთავრესი წყარო. მაგრამ დღეს, როდესაც არა მხოლოდ ეს ქვეყნები, არამედ მთელი ევროპა იწყებს ქვანახშირის გამოყენებას ენერგიის მისაღებად, სპეციალისტები შეშფოთებას ვერ მალავენ, რომ ამან შესაძლოა სამყარო ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიიყვანოს და რომ ასეთ პირობებში გლობალური დათბობის თავიდან არიდება თითქმის გამორიცხულია. არადა, ამ ათიოდე წლის წინათ ვერავინ ვერ წარმოიდგენდა, რომ დიკენსის რომენებში აღწერილი გამუქვარტლული ფაბრიკების ერა აღსდგებოდა.

მათი მშენებლობა საპროტესტო გამოსვლების გარეშე როდი მიმდინარეობს. ერთი ამგვარი გრანდიოზული დემონსტრაცია მაგალითად, იტალიის ქ. ჩივიტავეკიაში (Civitavecchia) გაიმართა, სადაც მსგავსი ფაბრიკის, როგორც ამბობენ ამ სახის ფაბრიკებს შორის ყველაზე გრანდიოზულის, მშენებლობა დაიწყო. დემონსტრაციები ეწყო-

ბა გერმანიასა და ჩეხეთშიც. საპროტესტო დემონსტრაცია მოეწყო ასევე კინგსნორტის (Kingsnorth)-შიც, კენტის საგრაფოში, სადაც ახალი, ქვანახშირის გადამუშავებაზე დაფუძნებული ელექტროსადგურის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი.

ევროპული ენერგეტიკული ფირმები ირწმუნებიან, თითქოს ახალი ელექტროსადგურები ისე იყოს დაპროექტებული, რომ გარემო ვერ დააბინძურონ. მაგრამ ოპონენტების განცხადებით„ წმინდა ქვანახშირი“ არ არსებობს, განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება ქვანახშირის ორჟანგის გამოყოფას და მის გავლენას კლიმატის ცვლილებაზე. მათი აზრით, ქვანახშირისაკენ მიბრუნება ძალზე მცდარი ნაბიჯია. პირიქით, მეცნიერები მოითხოვენ, რომ ქვანახშირზე გამოცხადდეს მორატორიუმი და მისი გადამმუშავებელი ფაბრიკები უახლოეს მომავალში საერთოდ გაუქმდეს.

ამის საპასუხოდ, იტალიელი და გერმანელი ენერგეტიკოსები იშველიებენ ციფრებს, საიდანაც ჩანს, რომ მათ სხვა გამოსავალი არ დარჩენიათ. აქ ახალი ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა აკრძალულია, ხოლო საწვავის ფასი კი 1996 წლის შემდეგ 150 პროცენტზე მეტით გაიზარდა. იტალიაში ელექტროენერგიის ფასი ევროპაში ყველაზე მაღალია.

არადა, ქვანახშირს გარკვეული უპირატესობები გააჩნია. კერძოდ, განსახვავებით გაზისა და ნავთობისაგან, რომელთა მარაგებიც, შესაბამისი გაანგარიშებების თანახმად, შესაძლებელია მაქსიმუმ 50 წლის შემდეგ აღარა გვქონდეს, ქვანახშირის მარაგები 200 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იკმარებს. ამასთან, ის გაცილებით იაფია, ერთი ტონის ფასი 75—80 დოლარი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ფასი ბოლო წლების მანძილზე მკვეთრად გაიზარდა. უფრო მეტიც, ქვანახშირს მოიპოვებს და ექსპორტზე აგზავნის რამდენიმე ქვეყანა. ამასთან, არ არსებობს„ქვანახშირის კარტელი“, რის გამოც მასზე მონოპოლიური მოგების მისაღებად ფასის მკვეთრი გაზრდა გაცილებით ძნელი იქნება.

წინამდებარე წერილში გამოთქმულ მოსაზრებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ. მართალია, შეერთებული შტატები ამჟამად მრავალი საშინაო თუ საგარეო ფაქტორის გამო რთულ ეკონომიკურ სიტუაციაშია ჩავარდნილი, მაგრამ მისი სამეურნეო სისტემა იმდენად ეფექტურია, რომ 2-3 წლის ნორმალურად ფუნქციონირების შედეგად ქვეყანა კრიზისს თავს დააღწევს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ მისი დაბეჭდვა, რათა წიგნის მკითხველს მსგავს მოსაზრებებზეც შეექმნას წარმოდგენა.

ზოგიერთი ექსპერტი (მათ შორის, ამერიკელებიც, მაგალითად, მთავრობის კონტროლის ამერიკული ბიურო (GAO) და მისი ხელმძღვანელი დავიდ უელკერი), ამერიკის შეერთებულ შტატებს რომის, ბიზანტიის და დიდი ბრიტანეთის იმპერიებს ადარებს და შეშფოთებული კითხულობს _ თანამედროვეობის ამ უდიდეს იმპერიასაც მათი ბედი ხომ არ ელისო. არადა, მათი აზრით, მრავალი რამ მეტყველებს ამაზე. ამასთან, მათი დასკვნებით, შეერთებულ შტატებს ემუქრება არა ტეროროზმი, არა,, ბოროტების ღერძის" (ირანი, ჩრდილოეთ კორეა) რეჟიმები, არც ავღანეთსა და ერაყში უშედეგო ინტერვენციები, არამედ ეკონომიკური მიზეზები, რის გამოც ეს იმპერია შესაძლოა გაკოტრდეს.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ამერიკის იმპერია ამჟამად თავის უკანასკნელ ბრძოლებს ახორციელებს, ბრძოლებს „ეკონომიკურ რეცესიასთან". მასში მრავალი ვინმეა ჩართული — პრეზიდენტ ბუშიდან დაწყებული და ოპოზიციური დემოკრატებით დასრულებული. თუმცა ამ ბრძოლას ჯერ-ჯერობით განცხადებების სახე აქვს, ვინაიდან შეერთებული შტატები სინამდვილეში კვლავაც საკუთარი მეურნეობის წინააღმდეგ მიმართულ ეკონომიკურ პოლიტიკას აგრძელებს.

II მსოფლიო ომის შემდეგ ცხოვრების ყველა სფეროში — კულტურულ, სამეცნიერო, ეკონომიკურ და ა. შ. სფეროებში აშკარა იყო შტატების დომინირება. გერმანიისა და ავ-

სტრო-უნგრეთის იმპერიებმა არსებობა შეწყვიტეს, აღმოსავლეთ ევროპიდან ნაციზმით დაშინებული მეცნიერები ატლანტიკის იქით გადასახლდნენ, დიდმა ბრიტანეთმაც დაკარგა თავისი ოკეანეს გაღმა აქტივები და პირველობა საერთაშორისო ვაჭრობაში.

ამჟამად შტატებს, როგორც სავაჭრო, ასევე საბიუჯეტო უზარმაზარი დეფიციტი აქვს. Mმას გამუდმებით აკლდება ფული სამედიცინო მომსახურებისათვის. საფინანსო სისტემა თანდათან სუსტდება. რა შეიძლება გახდეს ამ მოვლენების შედეგი? „გადასახადების დრამატული" ზრდა, სამთავრობო ხარჯების მკვეთრი შემცირება, იაფფასიანი და უხარისხო საქონლის მოზღვავება განვითარებული ქვეყნებიდან, რომელიც წერტილს დაუსვამს სამამულო მრეწველობის განვითარებას. ზოგიერთი მეცნიერი ამ პროცესებს ადარებს... ანტიკურ რომში განვითარებულ მოვლენებს. კერძოდ, ამაში გულისხმობენ ასევე ქვეყანაში მორალური ფაქტორებისა და სამოქალაქო ღირებულებების დაკნინებას, შეიარაღებული ძალების ქვეყნის გარეთ თავმოყრას, ცენტრალური ხელისუფლების ხარჯების დასაფარავად გადასახადების გაზრდას და ა. შ.

დემოგრაფიული გამოცოცხლება, ჯანმრთელობის დაცვისათვის ხარჯების ზრდა, დაზოგვის დონის დრამატული დაცემა, უცხოეთიდან ფინანსურ შემოსულებზე მზარდი დამოკიდებულება და სხვა, აძლიერებენ შიშს ქვეყნის მოსალოდნელო გაკოტრების თაობაზე.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ აშშ-ს ყავლგასული ინფრასტრუქტურა — აეროპორტებიდან დაწყებული კანალიზაციით დამთავრებული — საჭიროებს სერიოზულ მოდერნიზაციას. მინეაპოლისის ხიდის ამასწინანდელი კატასტროფა ამის თვალსაჩინო მაგალითია (მისისიპზე გადებული ამ ხიდის ჩანგრევას 2007 წლის ზაფხულში 13 ადამიანის დაღუპვა მოჰყვა).

მაინც საკითხავია, რამდენად შეიძლება შტატების ზემოთნახსენებ იმპერიებთან შედარება? ეს შესაძლებელია, თუმცა ზოგიერთი რამის გათვალისწინებით.

ფედერაცია, უპირველეს ყოვლისა. თავისი მოკლე ისტორიის მანძილზე შტატებში ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ ეს სახელმწიფო იმპერიად ჩამოყალიბებულიყო.

მართალია, თავდაპირველად იგი შეიქმნა როგორც სუვენერული შტატების ნებაყოფლობითი ფედერაცია (გავიხსენოთ: სსრკ-ს კონსტიტუციაშიც იყო ამგვარი მუხლი, თითქოს მოკავშირე რესპუბლიკებს შეეძლოთ მისი დატოვება), მაგრამ 1787 წლის კონსტიტუციაში არაფერია იმაზე ნათქვამი, თუ როგორ და რანაირად შეეძლოთ ფედერაციის წევრებს აღნიშნულის გაკეთება.

1861 წელს როდესაც შვიდმა სამხრეთულმა შტატმა ფედერაციიდან გამოსვლა განიზრახა, ამას დიდი სისხლისმღვრელი ომები მოჰყვა. მათი დასრულებიდან ოთხი წლის გასვლის შემდეგ უმაღლესმა სასამართლომ აღიარა, რომ ფედერალურ მთავრობას არ უნდა გადაეხადა კონფედერაციული ტეხასის შტატისათვის არებული ვალი. რატომ? იმიტომ რომ მისი გამოყოფა უკანონო იყო.

საიდან ასეთი დასკვნა? იგი გამოდის ამერიკული კონსტიტუციის მოკლე პრეამპულიდან, სადაც ვკითხულობთ მტკიცებას იმის შესახებ რომ აშშ-ს ხალხი მას იღებს,, უფრო სრულყოფილი კავშირის შექმნის მიზნით". უმაღლესი სასამართლოს მტკიცებით, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ფედერალური მთავრობის გადაწყვეტილება უფრო მაღლა დგას შტატების მთავრობის გადაწყვეტილებაზე. მას შემდეგ არც ტეხასს და არც სხვა შტატს აღარ უცდიათ ფედერაციიდან გამოყოფა და ამ გიგანტურ სახელმწიფოს დარღვევა აღარ ემუქრებოდა. ამიერიდან აშშ-ს ექსპანსიური პოლიტიკის გატარება შეეძლო.

ᲭᲐᲚᲐᲚᲓᲖᲔ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐ. ამერიკული იმპერიალიზმის მამად თეოდორ რუზველტს მიიჩნევენ, რომელიც სხვათა შორის პირველი პრეზიდენტი იყო, დიდი გავლენა რომ მოახდინა ლათინური ამერიკის მკვიდრთა ბედზეც. კერძოდ, მან დაიწყო პირველად პანამის არხის მშენებლობა და შემთხვევა არ გაუშვია ხელიდან, რათა პანამა, კოლუმბიის ადრინდელი

პროვინცია „გაეთავისუფლებინა". თუმცა აბრაჰამ ლინკოლნი იყო ის პრეზიდენტი, რომელმაც სამხრეთელებთან ბრძოლის დროს დაბეჭდა პირველი ნამდვილი „მწვანეები", ანუ ქაღალდის დოლარები უზრუნველყოფის გარეშე. გერმანიისა და იაპონიის დამარცხების შემდეგ ამერიკული არმია დღემდე დგას მათ ტერიტორიაზე. ახალი საფრთხის — სსრკ-ს და კომუნიზმის წარმოშობამ დიდად შეუწყო ხელი მთელი მსოფლიო დემოკრატიზაციის იდეოლოგიური პოლიტიკის გატარებას. ამჟამად ამერიკელი სამხედროები 165 ქვეყანაში არიან ბაზირებულნი, ყოველ შემთხვევაში ასეთ ცნობას იძლევა ამერიკის თავდაცვის სამინისტრო.

II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აშშ-ს საშუალება მიეცა უფრო სრულეყო თავისი საგარეო საფინანსო პოლიტიკა. ფედი (ფედერალური სარეზერვო სისტემა) დიდი კრიზისიდან კიდევ უფრო გაძლიერებული გამოვიდა და საშუალება მიეცა თავისი სურვილისამებრ ემართა მოქალაქეთა დანაზოგები. ვაშინგტონი სესხების საშუალებით ეხმარებოდა თავის მოქალაქეებს მესამე რეიხის საომარ მოქმედებაში. ის იარაღს ნაღდ ფულზე ყიდდა, ან ლიზინგის სახით აწვდიდა მას.

1944 წელს ბრეტონ-ვუდსში შეკრებილი 44 ქვეყნის წარმომადგენელი დაეთანხმა ფრანკლინ რუზველის წინადადებას, რომელიც მანამდელი საერთაშორისო ფულის — ოქროს შეცვლას ითვალისწინებდა აშშ დოლარით, იმ პირობით, რომ მისი გადასვლა შესაძლებელი იქნებოდა ოქროზე მყარი კურსით.

როდესაც 1971 წელს ბრმაც კი დაინახავდა, რომ ქაღალდის „მწვანეები" მიმოქცევაში საკმარისზე მეტი იყო, ამ პრაქტიკაზე უკვე უარი თქვეს. ამიერიდან ცენტრალურ ბანკს შეეძლო თავის ნებისამებრ ებეჭდა მონეტები, ბანკნოტები და ელექტრონული ფული.

ხელთ ჰქონდა რა ეს ფილოსოფიური ქვა, შეერთებული შტატების მთავრობას შეუფერხებლად შეეშლო მაკულატურის ოქროზე გადაცვლა.

ჯერ-ჯერობით უღიარებელი იმპერია. თავისი წინამორბედი იმპერიებისაგან აშშ მაინც ბევრი რამით განსხვავდება. მაგალითად, თუ ავიღებთ მისი მშპ-ს ხვედრით წილს მსოფლიო მშპ-ში ან მოსახლეობის ხვედრით წილს მსოფლიო მოსახლეობაში, თუმცა გლობალიზაციის ეპოქაში ეს ფაქტორები არსებითი არ უნდა იყოს. II მსოფლიო ომის შემდეგ აშკარაა აშშ-ს კულტურული, სამეცნიერო და ეკონომიკური დომინირება მსოფლიოში, რის შედეგადაც, თუმცა ეს არ ჩანს მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე, ეს ქვეყანა უშუალოდ აკონტროლებს ჩვენი პლანეტის უდიდეს ნაწილს.

მიუხედავად ამისა, ისტორიაში არსებული სხვა სუპერსახელმწიფოებისგან განსხვავებით ამერიკელები არასოდეს აღიარებენ ამერიკული იმპერიის არსებობას. ეს არცაა გასაკვირი, აშშ ხომ ის ქვეყანაა, რომელიც განთავისუფლებული კოლონიის საფუძველზე წარმოიშვა. „ამერიკა არაა იმპერია, რომლის გაფართოებაც შეიძლება, არც უტოპია, რომლის პროპაგანდაც შეიძლება გავწიოთ. ჩვენ სხვებს მხოლოდ იმას ვუსურვებთ, რასაც საკუთარ თავს, - ძალადობისაგან თავდაცვას, თავისუფლებისაგან მონიჭებული სიკეთით ტკბობას და უკეთესი ცხოვრების იმედს", _ განაცხადა 2000 წელს თავის მოხსენებაში აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა. თუმცა არის სხვა მოსაზრებაც. აი, რას ამბობს ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ნელ ფერგიუსონი:,, შეერთებულიო შტატები არის ნამდვილი იმპერია ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით, მიუხედავად იმისა ამერიკელები ამ ფაქტს აღიარებენ თუ არა".

დაცემისაძენ. აშშ-ს ერთპიროვნული ჰეგემონია მსოფლიოს საერთაშორისო ურთიერთობებში განსაკუთრებით სსრკს დაცემის შემდეგ გამოიკვეთა. XX საუკუნე მის ისტორიაში ყველაზე საუკეთესო პერიოდი იყო და იგი მხოლოდ 2001 წლის 11 სექტემბერს დასრულდა. მაშინ აშშ ვითომ თავდაცვის მიზნით ცივი ომის შემდგომი პერიოდის უჩვეულო სამხედრო ექსპანსია წამოიწყო.

ამერიკის არმია შეიჭრა ავღანეთსა და ერაყში, ხოლო პრეზიდენტმა ბუშმა პრევენციული ომების ახალი დოქტრინა გამოაცხადა. თუმცა ამერიკამ მოახდინა ნაკლები ტერიტორიების ოკუპაცია, ვიდრე ბრიტანელების მიერ დაპყრობილი ინდოეთი იყო, მაგრამ ინტერვენციისათვის საჭირო ხარჯები თვალში საცემია, ვაშინგტონი ყოველთვიურად 15 მლრდ დოლარს სესხულობს, რათა ერაყსა და ავღანეთში თავისი მისია დააფინანსოს. როგორც ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი ჟოზეფ სტიგლიცი ვარაუდობს, ამ ომების მთლიანი ღირებულება 3 ტრილიონ დოლარს გადააჭარბებს, რაც გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე II მსოფლიო ომის დროს გაწეული ხარჯები.

ბრიტანეთის იმპერიის დაცემის უმთავრესი მიზეზი ოკეანის გაღმა მდებარე მისი ტერიტორიების მოვლა-პატრონობასა და კონტროლზე გაღებული დიდი ხარჯები აღმოჩნდა. მსგავსი პრობლემების წინაშეა ვაშინგტონიც. შეერთებული შტატები თავს ვერ ართმევს გლობალიზაციის მიერ წამოჭრილ პრობლემებს. მისი ძირითადი საექსპორტო საქონელია ქაღალდის ბანკნოტები, რომლის ძირითადი მყიდველი ჩინეთია. სამაგიეროდ, 2007 წელს ამ ქვეყანასთან შტატების სავაჭრო დეფიციტმა 250 მლრდ დოლარს გადააჭარბა. ვინაიდან უალ-სტრიტის უდიდესი ბანკები ფულის ნაკლებობას განიცდიან, ფედი, მიუხედავად მზარდი ინფლაციისა, მიმოქცევაში მილიარდობით დოლარს უშვებს. მის მიზანს შეადგენს ნიუ-იორკის ბირჟის გადარჩენაც. ყოველივე ეს კი დამატებით ასუსტებს დოლარს. ეს უკანასკნელი კვლავ შეადგენს მსოფლიო ცენტრალური ბანკების სავალუტო რეზერვების 2/3-ს. Dთუმცა ეს მდგომარეობა მომავალში აუცილებლად შეიცვლება. მაგალითად, ჩინელებს, რომელთაც რეზერვის 3/4 დოლარში აქვთ, უკვე ამრეზით უყურებენ ამ ვალუტას და მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას გაცხოველებული ეკონომიკური ურთიერთობები აქვს შტატებთან, ძნელია 1/5-ზე მეტი (სწორედ ამდენს შეადგენს ჩინეთის სავალუტო რეზერვები), დოლარი ჰქონდეთ სეი-

ფებში და მშვიდად უყურებდნენ, თუ როგორ ეცემა მისი რეალური ღირებულება. პეკინი უკვე ალაპარაკდა ამერიკული დილარის სხვა ვალუტით ჩანაცვლების თაობაზე.

თავის მხრივ უკვე ამერიკელებსაც აღარ მოსწონთ თავისუფალი ვაჭრობის პრონციპი _ მათი მშვიდობიანი ვაჭრობის მთავარი ინსტრუმენტი. ზოგიერთი ცნობილი ექსპერტის გამოთვლით, ამის შედეგად უახლოეს 10-20 წელიწადში შეერთებული შტატებიდან ოკეანის გაღმა გაცურდება 30-40 მლნ-მდე სამუშაო ადგილი. ანალიტიკოსები წინასწარმეტყველებენ, რომ უახლოეს მომავალში ამ ქვეყანაში მემარცხენე ძალებისა გაძლიერებასთან ერთად თავისუფალი ვაჭრობა შესაძლოა პროტექციონიზმით შეიცვალოს.

საკრედიტო შავი ხვრელი. საფინანსო და იპოთეკური კრიზისი, დოლარის ღირებულების დაცემა იმის შედეგია, რომ ამერიკის იმპერიაში ცალკეული მოქალაქეებიდან დაწყებული ფედერალური მთავრობით დამთავრებული, ყველა სესხებითაა დამძიმებული.

რატომ ცხოვრობენ ისინი კრედიტებით? იმიტომ, რომ მიეჩვივნენ ამას. მათ არ სურთ დიდხანს აგროვონ ფული სახლისა თუ ავტომანქანის შესაძენად. ამერიკელი წამოიზრდება თუ არა იღებს კრედიტს, რომელსაც შემდგომი კრედიტით ფარავს. იგი ყიდის სახლს, რომელიც დამძიმებულია იპოთეკური კრედიტით, იღებს შემდგომ კრედიტს და უფრო დიდ სახლს ყიდულობს. ამერიკის ეკონომიკა უკვე შეეგუა ასეთ პრაქტიკას, ამერიკელთა ფსიქოლოგია რომ შეიცვალოს და მათ მოულოდნელად დაიწყონ დანაზოგების შენახვა, დაეცემოდა მოთხოვნა და ეკონომიკა ღრმა კრიზისში აღმოჩნდებოდა. და თუმცა გრძელვადიანი პერსპექტივისათვის ამგვარი ეკონომიკური პოლიტიკა ნამდვილად გამართლებული იქნებოდა, მაგრამ პოლიტიკოსები ამაზე როდი ფიქრობენ.

დელ ფილდიუსონი ამტკიცებს, რომ შტატებში ამჟამად შექმნილი სიტუაცია ძალზე ჰგავს ოსმალეთში შექმნილ ვი-

თარებას XIX საუკუნის 70-იან წლებში. მაშინ ოსმალეთის ლიდერებმა დიდი ვალები აიღეს ლონდონსა და პარიზში ეკონომიკის გამოსაცოცხლებლად, სინამდვილეში კი ეს ფული სრულიად სხვა მიზნებისათვის _ ფლოტის გაძლიერებასა და სასახლეების მორთვა-მოკაზმვაზე დაიხარჯა, ამან კი საბოლოო ჯამში მონარქია დაამხო. მსგავსი სიტუაციაა ამჟამად შეერთებულ შტატებშიც, სადაც სწრაფი ტემპით იზრდება დავალიანება, რათა მოხმარება დაფინანსდეს. როდესაც საგადასახადო ბალანსის დეფიციტი მშპ-ს 6%-ს აჭარბებს, ეს უკვე იმაზე მიანიშნებს, რომ ქვეყანა დიდი რაოდენობით კაპიტალს სესხულობს. აშშ, რომელიც 1980 წლამდე სხვა ქვეყნებს გამოუყოფდა კრედიტებს, ამჟამად თავად გახდა ასეთი სესხებით დამძიმებული. ისევე, როგორც ოსმალეთის სულთანი იყო დავალებული ინგლისსა და საფრანგეთის მიმართ, ახლა შტატებია დავალებული იაპონიასა და ჩინეთის მიმართ. ისევე როგორც ოსმალეთის იმპერიის დაცემის შემდეგ, დიდ ბრიტანეთს სესხებში სუეცის არხი ერგო, რომელიც ნამდვილად მშვენიერი ინვესტიცია აღმოჩნდა, როგორც ფინანსური, ისე სტრატეგიული თვალსაზრისით, ისე ახლა, შუა აღმოსავლეთის და ჩინეთის საინვესტიციო ფონდები შეისყიდიან გაკოტრებულ ამერიკულ ბანკებს.

ანალიტიკოსების აზრით, მართალია, ჩინეთის, რუსეთის, გაერთიანებული ემირატების, თუ კატარის საინვესტიციო ფონდების მიერ ამერიკული გაკოტრებისაკენ მიმავალ ბანკებში ჩადებული ინვესტიციები ასე ღირებული არ იქნება, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ.

მართლა ემუქრება აშშ-ს გაკოტრება? ამ ქვეყნის ოფიციალური სახელმწიფო ვალი 9 ტრილიონ დოლარს აჭარბებს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ დავალიანებასაც, რომელიც ვერ პოვებს ასახვას ბალანსში, - Medicare, Medicaid (ჯანმრთელობისა დაცვის სახელმწიფო სისტემა) და ასევე საზოგადოებრივი დაზღვევის ხაზით არსებული დავალიანება, მთლიანი ვალი 70 ტრილიონ დოლარს შეადგენს — აცხადებენ ექსპერტები.

ჯერ-ჯეროზით მსოფლიოში ფულადი ოპერაციები კვლავ დოლარში ხორციელდება. როგორც თავად ამ ქვეყნებს, ისე სხვა ქვეყნებსაც აშინებთ ტრადიციულად ჩამოყალიბებული სისტემის დანგრევა. თუმცა ვაშინგტონისადმი მტრულად განწყობილმა ქვეყნებმა _ ვენესუელამ და ეკვადორმა უკვე გადალახეს ეს შიში და უარი თქვეს დოლარზე. თუ ერთ მშვენიერ დღეს სხვა ქვეყნების ხელისუფალნიც ამ დასკვნამდე მივლენ, ამერიკული იმპერიის სრული კრახი გარდაუვალია.

ბამოხმაურებები ფორუმზე: მსგავს წერილებს ინტერნეტში არ შეიძლება გამოხმაურებები არ მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც. აი, მაგალითად, რას წერს ერთი ამერიკელი: ამ ქვეყანაში ცხოვრება მართლაც გაჭირდა, ჩვენი საბანკო ანაბრები გაუფასურდა. დოლარი ახლა მაკულატურად იქცა. მინდა საზაფხულო აგარაკის გაყიდვა, მაგრამ მისი კლიენტი არ ჩანს, ხოლო ვისაც ის ნამდვილად უნდა, მისი ჩალის ფასად ხელში ჩაგდება სურს. გადასახადები მაღალია, არ ვიცი, საიდან წარმოიშვა მითი იმის შესახებ, თითქოს ამერიკაში დაბალი გადასახადები იყოს. მისი ავტორები ალბათ, მხოლოდ ფედერალურ გადასახადებს გულისხმობენ და სხვები ავიწყდებათ. კერძოდ: Medicare, Medicaid და ა. შ. მთლიანობაში კი ამ გადასახადებს ხელფასის თითქმის ნახევარი მიაქვთ. ასეთ სიტუაციაში მუშაობას იქნებ უმუშევრობაც კი სჯობდეს. თუ იმასაც დავითვალისწინებთ, რომ ჩემი შვილები კერძო სკოლაში დადიან, რადგან კამიკაძე არა ვარ, ისინი საჯარო სკოლებში ვატარო და ამისათვის მე წელიწადში 24 ათას დოლარს ვიხდი, ძნელი წარმოსადგენი არ არის თუ რა მძიმე სიტუაციაშია ჩემი ოჯახი.

ფორუმზე II გამომსვლელი უფრო პროფესიონალის შთაბეჭდილებას სტოვებს. აი, რას წერს იგი: ამჟამად ქვეყანაში არსებული საბანკო სისტემა ე. წ. „ფულის შექმნას" ემყარება. ამ პრინციპის საფუძველია ის, რომ მიმოქცევაში უშვებენ არა ფულს, არამედ სესხს. ფულს იღებენ კრედიტის

სახით, ხოლო კრედიტს პროცენტი ერიცხება. მეურნეობაში არსებული ფულის ყოველი ერთეული ბანკიდან პროცენტითაა გამოტანილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოცემულ მომენტში იგი ბანკს უკან პროცენტით უნდა დაუბრუნდეს. საბოლოო ჯამში ეკონომიკის ბანკებისადმი დავალიანების ჯამი ყოველთვის მეტია მთელი ფულის ჯამზე. შექმნილი სიტუაცია მომხმარებლებს აიძულებს მორიგი კრედიტი აიღონ, ვინაიდან, უკვე აღებული კრედიტი მხოლოდ მომავალში კრედიტის სახით აღებული ფულით შეიძლება იქნას გასტუმრებული და ეს სპირალი დაუსრულებლივ გრძელდება. ის რომ შეჩერდეს, დადგება გადაუხდელობის ერა და სისტემა დაიმსხვრევა. სწორედ ამიტომ, აშშ-ს დაცემაც გარდუვალია, ვინაიდან ის ამ სისტემას ემყარება. მისი პოლიტიკური და სამხედრო გავლენა გადაეცემა ჩინეთს, რაც მოასწავებს იმ კულტურისა და საერთაშორისო ურთიერთობების, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ და ღირებულებების, რომელთაც ჩვენ ვაღიარებთ, დასასრულს.

🕮 *ძირითადი ლიტერატურა*

- ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. 9. თბილისი, 1957.
- მთავრობის კონტროლის ამერიკული ბიუროს მოხსენება „გრძელვადიანი დამაფიქრებელი სიმულაციები", ავტორთა კოლექტივი, დავიდ უალკნერის ხელმძღვანელობით, 2008. (Amerykanskie Biuro Kontroli Rzadu (GAO)-ის მოხსენება „Porazajace dlugoterminowe symulacje", ავტორთა კოლექტივი David Walker-ის ხელმძღვანელობით).
- მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, ტ. I-II, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ, თბილისი, 2004.

თემა 17

საქართველო და „დანარჩენი სამყარო“: ექსპორტზე ორიენტაციის პრიორიტეტები

ქვეყნის ეკონომიკის ექსპორტზე ორიენტაციის აუცილებლობა და მისი უპირატესობები. „ვაჭრობა არ არის საბოლოო შედეგი, როგორც ასეთი, იგი გულისხმობს ზრდას და განვითარებას“. ვგ-ინდექსის მიზნები და გაანგარიშების მეთოდოლოგიური პრინციპები. საქართველო და მსოფლიო ვგ-ინდექსის ობიექტივში. საიმედო, ზუსტი და ხელმისაწვდომი: ანუ სტატისტიკა ინფორმაციულ საუკუნეში. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

ქვეყნის ეკონომიკის ექსპორტზე ორიენტაციის აუცილებლობა და მისი უპირატესობები. ისეთი მცირე ზომის ეკონომიკის ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ექსპორტზე ორიენტაციას და ამ პროცესის სახელმწიფოებრივ ხელშეწყობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. უფრო მეტიც: ეს საკითხი ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის უპირველეს პრიორიტეტად უნდა იქცეს. რატომ არის ეს საკითხი ესოდენ მნიშვნელოვანი? საქმე ის არის, რომ აღნიშნულ პრობლემატიკაში კომპეტენტური, როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერები და სპეციალისტები ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან იმ საკითხში, რომ ეკონომიკის ექსპორტზე ორიენტაციის გარეშე, შიდა ბაზრის სიმცირიდან გამომდინარე, ადგილობრივი წარმოების გაფართოებას და განვითარებას პერსპექტივა არ გააჩნია.

ექსპორტის ხელშეწყობის პრობლემების სახელმწიფოებრივ რანგში განხილვის გარეშე ქვეყანას ვერ ექნება სერიოზული განზრახვები ეკონომიკური ზრდის მასშტაბების გაფართოების და შესაბამისად კეთილდღეობის მაღალი ხარისხის მიღწევის თვალსაზრისით. გარდა იმისა, რომ ეროვნული ეკონომიკის მცირე მასშტაბის გამო ეკონომიკური

ზრდის მამოძრავებელი ძალაა, ექსპორტის გაფართოებას მთელი რიგი ღირსებები ახასიათებს როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური თვალსაზრისით.

ჯერ ერთი, იგი მოითხოვს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გონივრული გამოყენების აუცილებლობას, იქნება ეს ბუნებრივი, გეოპოლიტიკური, რეკრეაციული თუ სხვა რესურსები.

მეორე, მსოფლიო ბაზრებზე დამკვიდრების მიზნით კონკურენტუნარიანობის მაღალი ხარისხისადმი სწრაფვა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის და შესაბამისად, შრომისა და წარმოების მაღალი კულტურის დანერგვის გარანტია, რაც, თავის მხრივ, განათლებული და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებასა და დასაქმებას განაპირობებს. ეს კი ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და გაფართოების სერიოზული წინაპირობაა, რაც, გრძელვადიან პერსპექტივაში, მისი ექსპორტის (თუმცა, არა „ტვინების გადინების") წყაროდაც კი შეიძლება იქცეს.

მესამე, ეროვნული ეკონომიკის საგარეო ვაჭრობაზე ორიენტაცია სტიმულს აძლევს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, შესაბამისად - ამცირებს უმუშევრობას და ამაღლებს საზოგადოების კეთილდღეობის დონეს. აქედან გამომდინარე, ექსპორტის გაფართოებაზე ორიენტაცია შეიძლება იქცეს ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთ ღირსეულ გზად.

„ვაჭრობა არ არის საბოლოო შედეგი, როგორც ასეთი, იგი გულისხმობს ზრდას და განვითარებას".[1] 2005 წლის მსოფლიო სამიტის მონაწილე სხვადასხვა ქვეყნებისა და მთავრობების მეთაურებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს თავიანთი ერთსულოვნება იმ საკითხში, რომ საერთაშორისო

1 **São Paulo Consensus. Eleventh session of United Nations Conference on Trade and Development, held in São Paulo, Brazil, from 13 to 18 June 2004.** http://www.unctad.org/en/docs/td410_en.pdf

ვაჭრობა თამაშობს პირველხარისხოვან როლს ეროვნული ეკონომიკების ზრდის და, შესაბამისად, უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირებისა და კეთილდღეობის ამაღლების საქმეში. აქედან გამომდინარე, სრულიად ნათელი ხდება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობას განვითარებადი ქვეყნების, განსაკუთრებით კი მცირე ზომის განვითარებადი ეკონომიკებისათვის. როგორია ასეთი ქვეყნების მონაწილეობის ხარისხი მსოფლიო ვაჭრობაში? რა სარგებელს იღებენ ისინი ამ საქმიანობიდან? რა ტენდენციები ყალიბდება ამ მიმართებით თანამედროვე მსოფლიოში? როგორ განისაზღვროს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების გზით ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევის პრიორიტეტები? ამ თემატიკის ანალიზისა და მონიტორინგის მიზნით გაეროს ვაჭრობისა და განვითარების ასოციაციის სამდივნომ შეიმუშავა ვაჭრობისა და განვითარების ინდექსი (*ვგ—ინდექსი*; ნ. ა.). გარდა აღნიშნულისა, ეს ინდექსი საუკეთესო საშუალებაა ქვეყნების ურთიერთშედარებისათვის.

ვგ-ინდექსის მიზნები და გაანგარიშების მეთოდოლოგიური პრინციპები. *ვგ-ინდექსი ემსახურება სამ ძირითად მიზანს:*

- ვაჭრობისა და განვითარების მდგომარეობის მონიტორინგს;
- ამ მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზს;
- პოლიტიკის ისეთი ინსტრუმენტების შემუშავებას, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე გამოსაყენებლად, რომლებიც უზრუნველყოფს განვითარებაზე და სიღარიბის შემცირებაზე საგარეო ვაჭრობის ფოკუსირებას.


სხვა სიტყვებით, იგი არის ინსტრუმენტი დაეხმაროს სახელმწიფოებს, განსაკუთრებით კი დაბალგანვითარებულ და ღარიბ ქვეყნებს, განსაზღვრონ, თუ რა გზით მოახდინონ ეფექტიანი ინტეგრირება მსოფლიო ეკონომიკაში და მიიღონ სარგებელი საერთაშორისო ვაჭრობიდან ეკონომიკუ-

რი ზრდის, სიღარიბის შემცირებისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების მიზნით.

ვგ—ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური პრინციპები დაწვრილებითაა აღწერილი გაეროს ვაჭრობისა და განვითარების ასოციაციის დოკუმენტებში[1], რაც სქემატურად მოცემულია ქვემოთ. ჩვენი მიზანი არაა განვიხილოთ ამ მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიის ავ—კარგიანობა. თუმცა, საკითხის ნათლად წარმოდგენის მიზნით, მოკლედ მიმოვიხილავთ იმ ინდიკატორებს, რომლებიც ჩართულია ვგ—ინდექსის გაანგარიშებაში.

სქემა 1.

ვაჭრობისა და განვითარების ინდექსის კონცეპტუალური ჩარჩოები



1 Developing Countries in International Trade 2007: Trade and Development Index. United Nations Conference on Trade and Development. UN, New York and Geneva, 2007.

ვგ-ინდექსი მიიღება 34 სპეციფიკური მაჩვენებლის სამი დონის აგრეგაციის შედეგად. პირველ დონეზე ხდება აღნიშნული 34 მაჩვენებლიდან 13 აგრეგირებული მაჩვენებლის გაანგარიშება, რომელთაგან 9 ახასიათებს ვაჭრობასა და განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებს (ფაქტორული შეფასება) სტრუქტურულ და ინსტიტუციურ ჭრილში, 2 — სავაჭრო პოლიტიკისა და განვითარების თვალსაზრისით. მე-12 და მე-13 მაჩვენებლებით შეფასებულია ვაჭრობისა და განვითარების მდგომარეობა, როგორც შედეგი (შედეგობრივი შეფასება). საბოლოოდ *ვგ-ინდექსი* მიიღება, როგორც ფაქტორული და შედეგობრივი შეფასებების მარტივი საშუალო არითმეტიკული (აგრეგაციის მესამე დონე).

ზემოაღნიშნული მაჩვენებლები, ერთი მხრივ, აღწერენ იმ ფაქტორებს, რომელთა გავლენითაც იქნა მიღწეული ვაჭრობისა და განვითარების არსებული დონე ქვეყანაში, ხოლო მეორე მხრივ, ახასიათებენ ვაჭრობისა და განვითარების მდგომარეობას. ეკონომიკურ მაჩვენებელთა ასეთი ფართო წრის გამოყენება თვალსაჩინოს ხდის იმ ფაქტს, რომ მხოლოდ საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია არ იძლევა ვაჭრობის გაფართოებისა და განვითარების სასურველი დონის მიღწევის შესაძლებლობას. რაში მდგომარეობს ჩვენი ქვეყნის ძლიერი და სუსტი მხარეები ვაჭრობისა და განვითარების სფეროში და ასევე სხვა ქვეყნებთან მიმართებაში?

საქართველო და მსოფლიო ვგ-ინდექსის ობიექტივში. რაც მაღალია ვაჭრობისა და განვითარების ინდექსი, მით უკეთესია ამ ორი ეკონომიკური ფენომენის მდგომარეობა ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ინდექსის ზრდა მოცემულ პერიოდში მიუთითებს საგარეო ვაჭრობის გაფართოებასა და ეკონომიკის ზრდაზე.

2006 წელს, ისევე როგორც 2005 წლის შედეგებით[1], მსოფლიოს 123 ქვეყანას შორის აშშ იკავებს პირველ ად-

1. 2005 წელს გამოკვლევაში მონაწილეობას იღებდა 110 ქვეყანა.

გილს ვაჭრობისა და განვითარების ხარისხის მიხედვით (743 და 751 ქულა, შესაბამისად), მიუხედავად ზოგიერთი ეკონომიკური და სოციალური სირთულეებისა, მაკროეკონომიკური უთანაბრობისა და დოლარის შესუსტებისა. საქართველო ამ განლაგებაში 475 ქულით 62—ე ადგილზეა, ნაცვლად 53-ე ადგილისა 2005 წელს (478 ქულა).

საქართველოში ვაჭრობისა და განვითარების მდგომარეობის ანალიზისა და მისი დანარჩენ ქვეყნებთან შედარებისათვის ჩვენ შევარჩიეთ ქვეყნების ოთხი ჯგუფი (თუმცა, ცნობილია ქვეყნების სხვა რეგიონალური კლასიფიკაციებიც): განვითარებადი ქვეყნების, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და და დსთ-ს ქვეყნების, ევროკავშირში 2004 წელს შესული ქვეყნების ჯგუფი (ევროკავშირი 10) და განვითარებული ქვეყნები. შედარებისათვის ეს ოთხი ჯგუფი ჩვენს მიერ შეირჩა გარკვეული მოსაზრებით. კერძოდ, განვითარებადი ქვეყნების ჯგუფის შერჩევა განაპირობა ჩვენი ქვეყნის მიმდინარე სტატუსმა; სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპისა და დსთ-ს ქვეყნები შევარჩიეთ იმის გამო, რომ სწორედ ამ ჯგუფში შედის საქართველო და მსგავსი სასტარტო პირობები აქვს ამ ჯგუფში შემავალ ქვეყნებთან; ევროკავშირის ახალი წევრების ჯგუფთან შედარება აუცილებლად მივიჩნიეთ, რამდენადაც მიგვაჩნია, რომ ამ ქვეყნების მიერ მიღწეული შედეგები ვაჭრობისა და განვითარების სფეროში უნდა იყოს საქართველოსათვის, როგორც ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული ქვეყნისათვის, სულ ცოტა, „პროგრამა-მინიმუმის“ მიზანი; დაბოლოს, განვითარებული ქვეყნების ჯგუფთან საქართველოს მონაცემების შედარება განვიზრახეთ იმ მოსაზრებით, რათა უკეთ დაგვენახა, თუ რამდენად შორს ვართ განვითარების საუკეთესო მაჩვენებლებისაგან.

როგორც ზემოთ მოტანილი სქემიდან ჩანს, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების ასოციაციის [illegible] ვაჭრობისა და განვითარების დონის განმსაზღვრელი სტრუქტურული და ინსტიტუციური ფაქტორები დახასიათებულია ისეთი მაჩვე-

ნებლებით, როგორებიცაა: ადამიანური კაპიტალი, ფიზიკური ინფრასტრუქტურა, ფინანსური შუამავლობა, შიდა დაფინანსება, საერთაშორისო დაფინანსება, ინსტიტუციური ხარისხი, ეკონომიკური სტრუქტურა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და გარემოს სიჯანსაღე.

ადამიანური კაპიტალი უდაოდ ამა თუ იმ საზოგადოების ყველაზე დიდი სიმდიდრეა, რომელიც მეტად კომპლექსური ფენომენია, როგორც ზოგადად, ისე რაოდენობრივი შესწავლის თვალსაზრისით. სტრუქტურული და ინსტიტუციური კონტექსტიდან გამომდინარე, ადამიანური კაპიტალის ხარისხის შეფასება ასევე მეტად რთული საქმეა, თუმცა ეკონომისტები მას ზომავენ ჯანდაცვასა და განათლებაზე გაწეული ხარჯების მიხედვით. კერძოდ, ადამიანური კაპიტალის შეფასება ხდება ჯანდაცვაზე გაწეული მთლიანი (სახელმწიფო და კერძო) ხარჯებისა და განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯების შეფარდებით მთლიან შიდა პროდუქტთან. ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ რამდენად ჯანმრთელი და კვალიფიციური მუშახელითაა უზრუნველყოფილი ეროვნული ეკონომიკების აღმშენებლობითი პროცესები. ამგვარად მიღებული მაჩვენებელი საქართველოსათვის 2006 წელს შეადგენდა 11–ს, რაც 42 პუნქტით ნაკლებია ყველაზე მაღალ მაჩვენებელზე, რომელიც აჩვენეს ვგ–ინდექსით მე–3 ადგილზე გასულმა დანიამ, მე–8 ადგილზე გასულმა ნორვეგიამ და მე–12 ადგილზე გასულმა ისლანდიამ. უდაოდ შემაშფოთებელია, რომ ამ მაჩვენებლით საქართველო 123 ქვეყანას შორის 117–120–ე ადგილებს ინაწილებს ეკვადორთან (70–ე ადგილი ვგ–ინდექსით), განასთან (96–ე ადგილი) და ბანგლადეშთან (102–ე ადგილი); მხოლოდ 2 პუნქტით უსწრებს გვინეასა (116–ე ადგილი) და ნიგერიას (121–ე ადგილი) და 3 პუნქტით – პაკისტანს (103–ე ადგილი).

საქართველო ადამიანური კაპიტალის ინდექსით მკვეთრად ჩამორჩება პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ყველას, რომელთა მიხედვითაც ეს მაჩვენებელი 13–დან (აზერბაიჯანი)

35—მდე (ბელარუსი) მერყეობს. ქვემოთ მოტანილი გრაფიკებიდან ნათლად ჩანს, რომ ამ მაჩვენებლით ჩვენ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით საშუალო მაჩვენებელს განვითარებადი ქვეყნების[1] მიხედვით (21), სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების[2] მიხედვით (26), ევროკავშირის (10) ქვეყნების[3] (36) და განვითარებული ქვეყნების მიხედვით[4] (42).

სტატისტიკური მონაცემების სიმწირე არ გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ შინამეურნეობების დანახარჯების მოცულობა განათლებასა და ჯანდაცვაზე. თუმცა, ემპირიული მონაცემებით, ასეთი ხარჯების გაწევის ფუფუნება, მათ უმეტესობას არ გააჩნია. რაც შეეხება, სახელმწიფოს ხარჯებს ამ სფეროში, 2006 წელთან შედარებით, 2007 წელს ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები 34.4 პროცენტით, ხოლო განათლებაზე — 13.3 პროცენტით გაიზარდა, თუმცა, მათზე მოდის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების კვლავ უმნიშვნელო წილი: ჯანდაცვაზე — 5 პროცენტის, ხოლო განათლებაზე — 7 პროცენტის ფარგლებში. მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ეს მონაცემები უფრო ნაკლებ იმედისმომცემად გამოიყურება: 2007 წელს ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების წილი მშპ-ში დაახლოებით 1.5 პროცენტს, ხოლო განათლებაზე — 2.2 პროცენტს შეადგენდა[5]. ეს მონაცემები ნათლად

---

1 გაეროს ვაჭრობისა და განვითარების ასოციაციის კლასიფიკაციით განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში გაერთიანებულია აზიის, აფრიკის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის 82 ქვეყანა.

2 საქართველო, უკრაინა, ბულგარეთი, რუმინეთი, ალბანეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი, მოლდოვა.

3 აქ იგულისხმება ის ქვეყნები, რომლებიც 2004 წელს გაერთიანდნენ ევროკავშირში: სლოვენია, ჩეხეთი, მალტა, უნგრეთი, პოლონეთი, ესტონეთი, სლოვაკეთი, ლიტვა, ლატვია.

4 აშშ, იაპონია, კანადა, შვეიცარია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ისრაელი.


5 გაანგარიშებულია ჩვენს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე: www.mof.ge, www.statistics.ge.


მეტყველებს იმაზე, თუ ასეთი მწირი დაფინანსების პირობებში, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში შემოსული უცხოური კაპიტალის გონივრულ გამოყენებას ადამიანური კაპიტალის აღწარმოების პროცესში.

სამი მაჩვენებლის აგრეგაციით ხდება ფიზიკური ინფრასტრუქტურის შეფასება. ესენია: საფარიანი გზები პროცენტულად ქვეყნის შიდა გზების საერთო სიგრძესთან, საჰაერო სატვირთო გადაზიდვები (მილიონი ტონა ერთ კილომეტრზე) და სატელეფონო ხაზების სიგრძე (1000 მცხოვრებზე). ეს მაჩვენებელი ახასიათებს ქვეყნის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის პოტენციურ შესაძლებლობებს, რაც აუცილებელია ვაჭრობის განვითარებისათვის. ფიზიკური ინფრასტრუქტურის აგრეგირებულმა მაჩვენებელმა საქართველოსათვის 2006 წელს შეადგინა 16 — ერთი შეხედვით არც ისე დაბალი საშუალო მაჩვენებელზე 123 ქვეყნის მიხედვით — 20. თუმცა, იგი ამ მაჩვენებლით, მიუხედავად თავისი გეოპოლიტიკური და სატრანზიტო პოტენციალისა, უტოლდება მხოლოდ განვითარებად ქვეყნებს (იხ. გრაფიკი) და მკვეთრად ჩამორჩება საშუალო მაჩვენებელს ქვეყნების ყველა დანარჩენი ჯგუფების მიხედვით: სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ს — 29, ევროკავშირს (10) — 32, განვითარებულ ქვეყნებს — 45.


გრაფიკი.

ვგ-ინდექსის კომპონენტების შედარება საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნების ჯგუფების მიხედვით






საქართველო და ევროკავშირი (10): ვგ-ინდექსის კომპონენტების შედარება



საქართველო და განვითარებული ქვეყნები: ვგ-ინდექსის კომპონენტების შედარება



პირობითი აღნიშვნები:

ფაქტორული შეფასება:
აკ – ადამიანური კაპიტალი;
ფი – ფიზიკური ინფრასტრუქტურა
ფშ – ფინანსური შეუმაღლობა;
შფ – შიდა დაფინანსება;
სფ – საერთაშორისო დაფინანსება
იხ – ინსტიტუციური ხარისხი
ეს – ეკონომიკის სტრუქტურა
მს – მაკროეკონომიკური სტაბილურობა;
გს – გარემოს სიჯანსაღე;
სგ – საგარეო გახსნილობა
ბწ – საგარეო ბაზრებზე წვდომა
შედეგობრივი შეფასება:
ვმ – ვაჭრობის მდგომარეობა
ესკ – ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობა

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანს მთავრობის მიერ გამოცხადებული გეზი ავტომაგისტრალების (აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი) მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით უკვე არის წინგადადგმული ნაბიჯი ქვეყნის ფიზიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და განვითარებისაკენ; 2006-2009 წლებში დაგეგმილია 400კმ საერთაშორისო და 340კმ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია [10]. დღეისათვის უკვე ინტენსიურად ხორციელდება შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების რეაბილიტაციის პროექტები, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით შესაბამისი დარგის სტატისტიკაზე: სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ სტატისტიკურ სამუშაოთა 2008 წლის სახელმწიფო პროგრამაში ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სტატისტიკა ნახსენები საერთოდ არ არის. ამდენად, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების ასოციაციის მომდევნო ანალოგიურ კვლევაში შესაძლოა კვლავ "გარანტირებული" გვქონდეს ფიზიკური ინფრასტრუქტურის ხარისხის დაბალი მაჩვენებელი.

ფინანსური შუამავლობის განვითარების ხარისხის დასადგენად გამოყენებულია კერძო სექტორზე გაცემული კრედიტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან, რომელმაც საქართველოსათვის 2006 წელს 4 შეადგინა — 27—ჯერ ნაკლები I ადგილზე გასულ აშშ-სთან და 12.8—ჯერ ნაკლები II ადგილზე გასულ გერმანიასთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეს მაჩვენებელი ასევე დაბალია და 3—დან (აზერბაიჯანი და სომხეთი) 18—მდე (ლატვია) მერყეობს. ქვეყნების ამ კატეგორიიდან იგი ყველაზე მაღალია ლატვიაში (18) და ესტონეთში (17), დანარჩენებში კი 3—11—ის ფარგლებშია. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ჯგუფში (სადაც შედის საქართველოც) და შეადგენს 8-ს, მაშინ, როდესაც განვითარებადი ქვენების მიხედვით ეს მაჩვენებელი საშუალოდ შეადგენს 19-ს,

ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების ჯგუფში — 20-ს, განვითარებული ქვეყნების ჯგუფში — 51-ს.

რა პერსპექტივები გვაქვს ფინანსური შუამავლობის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით? თუ გადავხედავთ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურას, მასში ნათლად ჩანს, რომ ფინანსური შუამავლობა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი დარგია. მართალია მისი ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში ჯერ-ჯერობით 2.0-2.2 პროცენტის ფარგლებშია, მაგრამ ზრდის ტემპები ნამდვილად შთამბეჭდავია: 2005 წელს — 52.8 პროცენტი, 2006 წელს — 36.9 პროცენტი, 2007 წელს — 14.7 პროცენტი. იმავე პერიოდებში მშპ-ს ზრდის ტემპი შეადგენდა, შესაბამისად, 9.6, 9.4 და 12.4 პროცენტს. ბოლო სამ წელიწადში საბანკო სისტემის აქტივები 2.8-ჯერ გაიზარდა და მთლიანი შიდა პროდუქტის 42.4 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად 21.9 პროცენტისა 2005 წელს. კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტების მოცულობა ამავე პერიოდში 2.7-ჯერ გაიზარდა და მშპ-ს 26.6 პროცენტი შეადგინა (2005 წელს — 14.6 პროცენტი), ხოლო დეპოზიტები 2.4-ჯერ და მშპ-ს 16.8 პროცენტი შეადგინა (2005 წელს — 10.1 პროცენტი)[1] [12].

ამდენად, აქამდე აღწერილი სამი მაჩვენებლის მიხედვით საქართველოს მდგომარეობა ერთობ მძიმეა, განსაკუთრებით ადამიანური კაპიტალის ინდექსის მიხედვით. რაც შეეხება დანარჩენ ორს, თუ ბოლო წლებში ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და საბანკო სექტორის ზრდის საკმაოდ შთამბეჭდავ ტემპებს გავითვალისწინებთ, ვითარება, სირთულის მიუხედავად, ამედის მომცემია.

სტრუქტურული და ინსტიტუციური თვალსაზრისით ვგ— ინდექსის მნიშვნელოვანი კომპონენტებია შიდა და საერთაშორისო ფინანსები.

---

1 საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები. www.nbg.gov.ge,

შიდა ფინანსები აღწერილია ისეთი მაჩვენებლით, როგორცაა მთლიანი შიდა დაგროვების (მთლიან შიდა პროდუქტს გამოკლებული საბოლოო მოხმარების ხარჯები) შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან. ეს მაჩვენებელი საქართველოსთვის 2006 წელს 41—ს შეადგენდა, რაც 4 პუნქტით დაბალი მაჩვენებელია, ვიდრე საშუალოდ სამხრეთ-ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების ჯგუფში და 11-13 პუნქტით დაბალი, ვიდრე აქ განხილული ქვეყნების დანარჩენი ჯგუფების მიხედვით.

როგორც ცნობილია, საბოლოო მოხმარების მაღალი ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში მიუთითებს მოსახლეობის ცხოვრების დონის დაბალ ხარისხზე, რის გამოც საზოგადოება იძულებულია მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი (თუ მთლიანად არა) მიმართოს მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და ნაკლები - დაგროვებაზე. საგულისხმოა, რომ თუ 2005 წელს საბოლოო მოხმარების ხარჯები მთლიან შიდა პროდუქტში 84.3 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2006 და 2007 წლებში ეს მაჩვენებელი გაიზარდა, შესაბამისად, 94.1 და 92.5 პროცენტამდე, რაც კარგ ტენდენციად ვერ ჩაითვლება. იმედია, რომ სიღარიბის შემცირებისაკენ ქვეყნის მთავრობის მიერ აღებული კურსი არა მარტო რეალურად გაზრდის მოსახლეობის ცხოვრების დონეს, არამედ სტატისტიკურადაც.

საერთაშორისო ფინანსები შეფასებულია როგორც მთლიანი საგარეო ვალის მომსახურებისა (პროცენტულად მთლიან ეროვნულ შემოსავალთან) და მოკლევადიანი ვალის (პროცენტულად მთლიან საგარეო ვალთან) აგრეგატული მაჩვენებელი. ამ მაჩვენებელმა ჩვენი ქვეყნის მიხედვით 133 შეადგინა და გადააჭარბა განვითარებული ქვეყნების გარდა აქ განხილული ქვეყნების ყველა ჯგუფის მიხედვით საშუალო მაჩვენებელს (იხ. გრაფიკი), რაც მეტყველებს ქვეყნის საგარეო დავალიანების ტვირთის სიმძიმის ხარისხზე სხვა ქვეყნებთან შედარებით.

რეგულაციის ხარისხისა და კორუფციის კონტროლის მაჩვენებლებით ხასიათდება ქვეყნის ინსტიტუციური ხარისხი.

რეგულაციის ხარისხი ასახავს მთავრობის პოლიტიკას ბიზნეს-გარემოს, ფასების კონტროლის, საგარეო ვაჭრობისა და წარმოების განვითარების მიმართ. კორუფციის კონტროლის მაჩვენებელი კი ეყრდნობა სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგებს და ასახავს კორუფციის გავრცელების ხარისხს. მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს ინსტიტუციური ხარისხის უკეთესობაზე. 2006 წლის შედეგებით საშუალო მაჩვენებელი ყველაზე დაბალი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების ჯგუფში — 44, და ყველაზე მაღალი — განვითარებული ქვეყნების ჯგუფში — 92. საქართველოსათვის ამ მაჩვენებელმა შეადგინა 38 და ფაქტობრივად გაუსწრო მხოლოდ აფრიკის (კონგოს რესპუბლიკა — 15, ანგოლა — 23, ზიმბაბვე — 25, ბურუნდი — 31, სუდანი — 33, ნიგერია — 33, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა - 35) და ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანას (ბელარუსი — 27, რუსეთი — 34, უკრაინა — 35, აზერბაიჯანი — 36).

აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა მართლაც დამაფიქრებელია. თუ სხვა საერთაშორისო წყაროებს მოვიშველიებთ, ბოლოდროინდელი რეიტინგებით საქართველომ მნიშვნელოვნად გადაინაცვლა მოწინავე პოზიციებზე სწორედ ზემოაღნიშნულ სფეროებში. მაგალითად, ქვეყანაში ბიზნესის კეთების სიმარტივის ხარისხის მიხედვით (მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის ერთობლივი გამოკვლევა) საქართველომ აპრილი, 2006 - ნოემბერი, 2007 პერიოდის შედეგებით სერიოზულად წაიწია წინ და 178 ქვეყანას შორის 35-დან მე-18 ადგილზე გადაინაცვლა. თუმცა, ბიზნესის კეთების სიმარტივის ხარისხი რეგულაციის ხარისხის მხოლოდ ერთ კომპონენტს ასახავს — მთავრობის პოლიტიკას ბიზნეს-გარემოს განვითარების მიმართ.

რეგულაციის ხარისხთან ერთად, კორუფციის კონტროლის მაჩვენებელი ინსტიტუციური ხარისხის დამახასიათებელი მეორე მაჩვენებელია. საერთაშორისო ორგანიზაცია

„ტრანსპარენსი ინტერნეშენელი“ (Transparency International) ყოველწლიურად აქვეყნებს ქვეყნების რეიტინგებს კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით. ეს უკანასკნელი ასახავს მეწარმეთა და ანალიტიკოსთა მიერ კორუფციის აღქმის ხარისხს და ფასდება 10 ბალიანი სისტემით. 10 ბალი მიუთითებს კორუფციის არარსებობაზე. 2006 წლის მონაცემებით, საქართველო 163 ქვეყანას შორის 2.8 ქულით 99-ე ადგილზე იყო. იმედისმომცემია, რომ 2007 წლის ინდექსით საქართველომ 20 პუნქტით გაიუმჯობესა კორუფციის კონტროლის მაჩვენებელი და კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით 79-ე ადგილი დაიკავა 179 ქვეყანას შორის, რითაც გაუსწრო თავის რეგიონალურ ჯგუფში მყოფ ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა სომხეთი (99-ადგილი), ალბანეთი (105-ე ადგილი), მოლდოვა (111-ე ადგილი), უკრაინა (118-ე ადგილი), რუსეთი (143-ე ადგილი), აზერბაიჯანი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი (150-ე ადგილი თითოეულს), თურქმენეთი (162-ე ადგილი) და უზბეკეთი (175-ე ადგილი)[1].

ქვეყნების ეკონომიკური სტრუქტურა შეფასებულია ისეთი მაჩვენებლით, როგორიცაა სოფლის მეურნეობაში შექმნილი დამატებული ღირებულების წილი მთლიან შიდა პროდუქტში. როგორც წესი, ეს მაჩვენებელი დაბალია განვითარებული და მაღალი — განვითარებადი ქვეყნებისათვის. ეს მაჩვენებელი 123 ქვეყანას შორის 25-დან (გვინეა-ბისაუ) 66-მდე მერყეობს და საქართველოს შემთხვევაში იგი 54-ს შეადგენს, რაც ახლოს არის განვითარებადი ქვეყნებისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების მიხედვით საშუალო მაჩვენებელთან — 57-57. ეს მაჩვენებელია იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის აგრარული პოტენციალი არასაკმარისად არის ჩართული ეკონომიკური ზრდის სამსახურში და ჯერ კიდევ გამოუყენებელია ამ თვალსაზრისით ქვეყნის ბუნებრივი რესურსები (კლიმატი, ნიადაგი, წყალი და ა. შ.). დამაფიქრებელია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებ-

1 http://transparency.org.

ში სოფლის მეურნეობაზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წილის დინამიკა: 2005 წელს — 1.8 პროცენტი, 2006 წელს — 1.6 პროცენტი, 2007 წელს — 1.1 პროცენტი და 2008 წელს — 0.9 პროცენტი. მცირდება ამ დარგის დაფინანსების მოცულობა აბსოლუტურ მაჩვენებლებშიც. კერძოდ, 2007 წლისათვის სოფლის მეურნეობაზე გაწეულმა ხარჯებმა 2006 წლის ანალოგიური მაჩვენებლის 84 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2008 წლისათვის გათვალისწინებულმა დაფინანსებამ (49.0 მლნ ლარი) - 91.4 პროცენტი. ამ ფონზე გარკვეულ წინააღმდეგობას ვაწყდებით, როდესაც ვკითხულობთ 2008-2012 წლების სამთავრობო პროგრამას, რომელიც სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ზრდას გვპირდება და მომავალი 5 წლის განმავლობაში ქვეყნის მთლიან ექსპორტში ამ დარგის პროდუქციის წილის 25 პროცენტამდე გაზრდას ვარაუდობს. თუმცა, მიგვაჩნია, რომ გაცილებით გონივრული იქნებოდა, თუ მთლიან ექსპორტში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებით მიღებული საქონლის წილი გაიზრდებოდა. მაშინ უფრო დამაჯერებელი იქნებოდა ამავე პროგრამის დებულება 200-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნისა და 10000-მდე ადამიანის დასაქმების თაობაზე. ჯერჯერობით ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა არ ეხმიანება 2008-2012 წლების სამთავრობო პროგრამას და მასში გადამამუშავებელი მრეწველობის დაფინანსება გათვალისწინებული არ არის[1].

მაკროეკონომიკური სტაბილურობა შეფასებულია სამომხმარებლო ფასების ინდექსისა და მიმდინარე ანგარიშის ბალანსის (პროცენტულად მთლიან შიდა პროდუქტთან) ბაზაზე. ქვეყნების მიხედვით ეს მაჩვენებელიც საკმაოდ დიდ დიაპაზონში მერყეობს: 18—დან (ანგოლა და ზიმბაბვე) 108—მდე (ომანი და მალი). ამ მაჩვენებლით საქართველო (84)

1 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები. http://www.mof.ge.

მიუახლოვდა დასავლეთის ქვეყნებს (ევროკავშირის ახალი წევრების ჯგუფი — 81 და განვითარებული ქვეყნების ჯგუფი — 89) და მკვეთრად აჭარბებს საშუალო მაჩვენებლს თავის რეგიონალურ ჯგუფში (სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპისა და დსთ-ს ჯგუფი — 63).

ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის ხარისხის მიხედვით ასეთი „სასიამოვნო მოულოდნელობა", გარკვეულად, რთული ასახსნელია, რადგანაც როგორც ერთი, ისე მეორე მაჩვენებლის მიხედვით საქართველო უკეთეს ტენდენციებს არ ავლენს. პირიქით, სწორედ 2006 წლიდან დაიწყო ორივე მათგანის გაუარესება, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოტანილი მონაცემებიდან:

ცხრილი 17.1

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტისა და ინფლაციის დინამიკა საქართველოში, 2005-2007[1]

	2005	2006	2007
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი პროცენტულად მთლიან შიდა პროდუქტთან	10.9	14.9	19.0
ინფლაცია	6.2	8.8	11.0

წარმოების ინტენსიურმა განვითარებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს გარემომცველ გარემოს. ეს კი, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ადამიანთა ჯანმრთელობაზე და საზოგადოების კეთილდღეობის დონეზე. გარემოს დაბინძურება, ადამიანთა ჯანმრთელობის დაზიანების გამო, უარყოფითად აისახება ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე, რაც მო-

1 საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები. http://www.nbg.gov.ge.

მავალში ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს. გარემოს სიჯანსაღე, როგორც საკმაოდ კომპლექსური ფენომენი, რაოდენობრივად დახასიათებულია ისეთი მაჩვენებლების აგრეგაციით, როგორიცაა მტკნარ წყალზე წვდომა (მოსახლეობის წილი, ვისთვისაც ხელმისაწვდომია მტკნარი წყალი), სანიტარიაზე წვდომა (მოსახლეობის წილი, ვისთვისაც ხელმისაწვდომია ადეკვატური სანიტარული პირობები) და მოხმარებული ენერგიის ერთეულზე მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით შეფასებული მთლიანი შიდა პროდუქტი. აღსანიშნავია, რომ ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით ეს მაჩვენებლი თითქმის ერთ დონეზეა 14-17-ის ფარგლებში, ხოლო საქართველოსათვის იგი 16-ს შეადგენს. ეს ლოგიკურიცაა, რადგანაც ეკოლოგიური პრობლემა კვლავ რჩება მთელი მსოფლიოს ნომერ პირველ პრობლემად. ამასთან, განსხვავებით 2006 წლისაგან, 2007 და 2008 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში, მართალია არც თუ ისე დიდი მოცულობით, მაგრამ მაინც გაჩნდა წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებული ხარჯები (4.6 და 8.5 მლნ ლარის ოდენობით, შესაბამისად).

ვაჭრობისა და განვითარების მდგომარეობა სავაჭრო პოლიტიკისა და განვითარების თვალსაზრისით დახასიათებულია ისეთი მაჩვენებლებით, როგორებიცაა საგარეო სავაჭრო გახსნილობისა (უცხოური საქონლის ადგილობრივ ბაზარზე შეღწევის ხარისხი) და უცხოურ ბაზრებზე წვდომის ხარისხი. უნდა ითქვას, რომ ამ მაჩვენებლებით საქართველო თანაბარ მდგომარეობაშია არა მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებთან, არამედ დასავლეთ ევროპისა და განვითარებულ ქვეყნებთანაც კი. ამაში, აშკარაა, რომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს გაწევრიანებამ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯებმა. სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით ვაჭრობისა და განვითარების მდგომარეობის ანალიზი უჩვე-

ნებს, ვაჭრობის ლიბერალიზაციის კომპონენტი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს განვითარებადი ქვეყნების ვგ-ინდექსის სიდიდეს. სავაჭრო გახსნილობის კომპონენტის წვლილი ვგ-ინდექსში 15 პროცენტს შეადგენს. მეტიც: 2007 წლის 1 სექტემბერს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „საბაჟო ტარიფის შესახებ", რომლის მიხედვითაც ქვეყანაში არსებული საბაჟო ტარიფები, რომლებიც მერყეობდნენ 12-30 პროცენტის ფარგლებში, დაყვანილ იქნა 12 პროცენტამდე, 5-12 პროცენტის ფარგლებში — 5 პროცენტამდე, ხოლო 0-5 პროცენტამდე — დღეისათვის იბეგრება 0-იანი განაკვეთით. საგულისხმოა, რომ აღნიშნული კანონის თანახმად, გარდა სამშენებლო მასალისა, ქვეყანაში შემოსული ყველა სახის ნედლეული და მანქანა-დანადგარი განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. ამასთან, სხვადასხვა ოფიციალური განცხადებების თანახმად, 2008 წლისათვის საქართველოში იმპორტირებული ყველა სახის პროდუქცია, სავარაუდოდ, მთლიანად განთავისუფლდება საბაჟო გადასახადებისაგან. რამდენად შეესაბამება ეს გადაწყვეტილებები ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის მდგრადი განვითარების მიზნებს, ეს საკითხი სცილდება წინამდებარე სტატიის ფორმატს, თუმცა, საკითხისადმი რაციონალური მიდგომა მოითხოვს აღნიშნული გადაწყვეტილებების უფრო საფუძვლიან არგუმენტირებას. ≤

რამდენად გზახსნილია ქართული პროდუქცია საერთაშორისო ბაზრებზე? როგორც არაერთი სხვა ქვეყნისათვის, საქართველოსათვისაც მნიშვნელოვან წინააღმდეგობას საგარეო ვაჭრობის სფეროში წარმოადგენს არასატარიფო ბარიერები, როგორებიცაა პროდუქციის ტექნიკური, სანიტარული, ფიტოსანიტარული და სხვა სტანდარტების დაცვა. დღეისათვის გაეროს ვაჭრობისა და განვითარების ასოციაციის ვაჭრობის კონტროლის შეფასების კოდირების სისტემის (TCMCS) მიხედვით ცნობილია ასამდე ტიპის განსხვავებული არასატარიფო ბარიერი. ბევრმა ქვეყანამ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო საკანონ-

მდებლო ბაზის სრულყოფა ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოვების მიზნით. ქართული პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე უპრობლემო განთავსებისა და საერთაშორისო ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მოხსნის მიზნით საკანონმდებლო სისტემის სრულყოფა და მის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების უზრუნველყოფაზე მუშაობა დღეისათვის ჩვენს ქვეყანაშიც მიმდინარეობს.

ზემოაღნიშნული ფაქტორული მაჩვენებლების აგრეგაციის შედეგად მიღებული ფაქტორული შეფასების (InputMI) მაჩვენებელი (559) 2005 წლის დონეზე დარჩა, თუმცა, მისი დონის მიხედვით საქართველომ 69-ე ადგილიდან 73-ე ადგილზე გადაინაცვლა.

ვგ-ინდექსის შედეგობრივი კომპონენტის მისაღებად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოიყენება ვაჭრობის მდგომარეობისა და ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მაჩვენებლები. პირველი მათგანი დახასიათებულია ისეთი მაჩვენებელებით, როგორებიცაა: საქონლის ექსპორტის წილი საქონლის მსოფლიო ექსპორტში, მომსახურების ექსპორტის წილი მომსახურების მსოფლიო ექსპორტში, ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი ქვეყნიდან საქონლის ექსპორტისათვის, და საგარეო. ვაჭრობის (ექსპორტ-იმპორტის ჯამი) შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან. ამ მაჩვენებლით საქართველო, რომელსაც 90 ქულა აქვს მხოლოდ 6 პუნქტით უსწრებს განვითარებადი ქვეყნების ჯგუფის მიხედვით საშუალო მაჩვენებელს და ჩამორჩება ჩვენს მიერ განხილულ ქვეყნების ჯგუფებს: სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების ჯგუფს - 11 პუნქტით, ევროგაერთიანების ახალი წევრი ქვეყნების ჯგუფს — 18 პუნქტით და განვითარებული ქვეყნების ჯგუფს — 33 პუნქტით.

ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მაჩვენებელი მოიცავს ხუთ კომპონენტს: კეთილდღეობის ინდექსს, მოსახლეობის წიგნიერების დონეს, დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას, ქალებისა და მამაკა-

ცების შემოსავლებს შორის თანაფარდობას და ქალების წილს მთლიან სამუშაო ძალასთან მიმართებაში. ამ მაჩვენებელის მიხედვით საქართველოს ქულამ 299 შეადგინა, რაც 36 პუნქტით სჭარბობს ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს განვითარებადი ქვეყნების მიხედვით. თუმცა, ჩამორჩება საშუალო მაჩვენებელს სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების ჯგუფის მიხედვით - 33 პუნქტით, ევროგაერთიანების ახალი წევრი ქვეყნების ჯგუფის მიხედვით — 45 პუნქტით და განვითარებული ქვეყნების ჯგუფის მიხედვით — 96 პუნქტით.

ვაჭრობის მდგომარეობისა და ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მაჩვენებლების აგრეგაციით მიღებული შედეგობრივი შეფასების (OutcomeMI) მაჩვენებელი, 2005 წელთან შედარებით 7 პუნქტით გაუარესდა და 390 შეადგინა, რის გამოც ამ მაჩვენებლით საქართველომ 51-ე ადგილზე გადაინაცვლა, ნაცვლად 45-ე ადგილისა 2005 წელს.

ამდენად, 2005-2006 წლებში ვაჭრობისა და განვითარების ინდექსის გაუარესებასთან ერთად, მთელი რიგი სტა-

ცხრილი 17.2

საქართველო: ვგ-ინდექსისა და მისი კომპონენტების ცვლილება 2005-2006 წლებში[1]

	ვგ-ინდექსი		ფაქტორული შეფასება		შედეგობრივი შეფასება	
	2005	2006	2005	2006	2005	2006
ქულა	478	475	559	559	397	390
ადგილი	53	62	69	73	45	51

1 Developing Countries in International Trade 2007: Trade and Development Index. United Nations Conference on Trade and Development. UN, New York and Geneva, 2007.

ტისტიკური მონაცემებით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება დანარჩენ ქვეყნებს, რაც მიუთითებს არა მარტო ქვეყნის ექსპორტზე ორიენტაციის მნიშვნელობის შეუფასებლობასა და ვაჭრობისა და განვითარების ინეგრაციის დაბალ ხარისხზე, არამედ ამ პროცესებზე მოქმედი მთელი რიგი ფაქტორების თანმიმდევრული, კომპლექსური გადაწყვეტის აუცილებლობაზეც.

საიმედო, ზუსტი და ხელმისაწვდომი: ანუ სტატისტიკა ინფორმაციულ საუკუნეში. „უარყოფთ რა სტატისტიკურ დასკვნებს, თქვენ ემსგავსებით სირაქლემას, რომელიც საფრთხის მოახლოებისას თავს ქვიშაში რგავს"[1]. ეს სიტყვები თითქმის ას წელზე მეტი ხნის წინ დაიწერა, მაგრამ ალბათ უფრო მეტად აქტუალურია დღეს, ვიდრე ოდესმე.

თანამედროვე მსოფლიოს ერთ–ერთი დამახასიათებელი ნიშანია ინფორმაციული ნაკადების ასტრონომიული მასშტაბები და გავრცელების მაღალი ინტენსივობა. გარდა ამისა, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ სტატისტიკური ინფორმაცია არის დიალოგის ენა მსოფლიო ეკონომიკაში, რომელსაც ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების არნახული გაფართოების შეუქცევადი პროცესების ფონზე ალტერნატივა არ გააჩნია. ამასთან, იგი დიდი ხანია გასცდა ამა თუ იმ კონკრეტული ქვეყნის საზღვრებს და გადაიქცა საერთაშორისო საზოგადოებრიობის კუთვნილებად ეკონომიკური ტენდენციების ანალიზის, პროგნოზირების, სხვადასხვა ეკონომიკების ურთიერთშედარების, გლობალური ეკონომიკური ინიციატივებისა და პროგრამების შემუშავების მიზნებისათვის. აშკარაა, რომ ასეთი გრანდიოზული ინფორმაციული ოკეანე ვერ იარსებებს იმ ინფორმაციული ნაკადების გარეშე, რომლებიც მოიპოვება, გადამუშავდება და ვრცელდება ეროვნული სტატისტიკური სისტემების მიერ. ამდენად, მიუხედავად ამა თუ იმ ეკონომიკის

1 ა. ეაგნერი – გერმანელი ეკონომისტი (1835-1917).

მცირე და დიდი მასშტაბებისა, ქვეყნის სტატისტიკური სისტემა უნდა ფუნქციონირებდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების სრული დაცვით. სწორედ ასეთი მიდგომა წარმოაჩენს ქვეყანას ობიექტურად და ადეკვატურად დანარჩენ სამყაროსთან მიმართებაში. ვგ-ინდექსი ერთ—ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რა სერიოზული მოთხოვნების წინაშეა ეროვნული სტატისტიკური სისტემა, რომლისაგანაც მსოფლიო ინფორმაციული სისტემა მოითხოვს ადეკვატურ სტატისტიკურ მონაცემებს საერთაშორისო შედარებების განხორციელებისათვის. ასეთი შედარებების თემატიკა კი უაღრესად მრავალფეროვანია და იგი დღითიდღე უფრო მომთხოვნი ხდება ეროვნული და საერთაშორისო სტატისტიკისადმი. როგორც წესი, ასეთი რეალობა უნდა ამაღლებდეს მთავრობების პასუხისმგებლობას ქვეყნის სტატისტიკაში პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის თვალსაზრისით და არაერთი ქვეყანა ამის ნათელი მაგალითია, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე.

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ კარგი მმართველობა დამოკიდებულია კარგ ინსტიტუტებზე. ამ უკანასკნელთაგან სტატისტიკური სამსახური ერთ-ერთი წამყვანი და პრიორიტეტულია, რადგანაც მასზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული არა მარტო კარგი მმართველობა, არამედ თვით დანარჩენი ინსტიტუტების წარმატებული ფუნქციონირებაც. ვგ-ინდექსის შემადგენელი კომპონენტების აღწერა სწორედ იმიტომ დაგვჭირდა, რომ კიდევ ერთხელ ხაზი გაგვესვა იმ ფაქტისათვის, რომ ამა თუ იმ ქვეყნის სტატისტიკური სისტემა არ არის მარტო მოცემული ქვეყნის „სახელმწიფოებრივი ატრიბუტიკის“ ნაწილი. იგი გლობალური ინფორმაციული სისტემის ნაწილია და მისი განვითარება თანამედროვეობის ობიექტური აუცილებლობაა. „იმისათვის, რომ დასავლეთმა თავის სრულფასოვან პარტნიორად გაღიაროს, აუცილებელია დასავლური სტანდარტების დაკმაყოფილება, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიული პრინციპებისა და ეკონომიკაში საბაზრო სისტე-

მის დამკვიდრებას ემყარება"[1] [7]. ამ სფეროებში მიღწევები თუ შეფერხებები კი მხოლოდ სრულყოფილი სტატისტიკის ენაზეა გასაგები და ხელმისაწვდომი „დანარჩენი სამყაროსათვის". გამორიცხული არ არის, რომ ზემოთ განხილული თუნდაც ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით საქართველოს სერიოზული ჩამორჩენა მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების, განსაკუთრებით კი დაბალგანვითარებული ქვეყნების, მაჩვენებლებთან შედარებით, გამოწვეული იყოს სწორედ სტატისტიკური მონაცემების სიმწირით.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები. საგულისხმო და ყურადღებამისაქცევია ის ფაქტი, რომ საქართველო, რომელიც ისწრაფვის ევროპასთან ინტეგრაციისაკენ, მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით (ადამიანური კაპიტალი, ფიზიკური ინფრასტრუქტურა, ფინანსური შუამავლობა, შიდა ფინანსები, ინსტიტუციური ხარისხი, ეკონომიკის სტრუქტურა) მნიშვნელოვნად ჩამორჩება თვით ევროკავშირთან უახლოეს წარსულში მიერთებულ ქვეყნებს (იხ. გრაფიკი). მიგვაჩნია, რომ ამ მაჩვენებლებში განსხვავებების შემცირებისაკენ სწრაფვა უნდა იქცეს შესაბამის სფეროებში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის აუცილებელ ორიენტირად.

როგორც ზემოთ მოტანილ მონაცემთა შედარებები ცხადყოფს, ვაჭრობისა და განვითარების სფეროში საქართველოს ჩამორჩენის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ადამიანური კაპიტალის როლის არაადეკვატური შეფასებაა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის გაჭიანურებული პრობლემა, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში განვითარებული ეკონომიკური და სოციალური კატაკლიზმებიდან იწყება, რაც განსაკუთრებით მწვავედ აისახა განათლების სისტემაზე, და რომლის დაძლევის რეალური სტრატეგიები არ გამოკვეთილა წარსული თუ მიმდინარე სამთავ-

1 ელ. პაპავა. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2002.

რობო პროგრამების პრიორიტეტებში. ყოველივე ამის გამო, ყველაზე უხეში შეფასებებით, დღეისათვის საქართველოში სამუშაო ძალის ყველაზე აქტიური ნაწილი — დაახლოებით 45 წლამდე ასაკის მოსახლეობა — არ ფლობს სათანადო განათლებასა და პროფესიონალიზმს, სამუშაო ჩვევებსა და გამოცდილებას დასაქმებისა და საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დასაკავებლად, ხოლო ამ ასაკს ზემოთ მყოფი მოსახლეობა, რომელიც, მეტ-ნაკლებად, ყველა ამ ცენზს აკმაყოფილებს, სამუშაო ადგილების სიმცირის გამო, მოკლებულია თავისი პროფესიონალიზმისა და უნარ-ჩვევების გამოვლენის შესაძლებლობას. ეს არის მიზეზი, რომ აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი ემიგრირებულია საზღვარგარეთ და მხოლოდ ფულადი გზავნილების სახით შეუძლიათ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება. მაგალითად, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის უახლესი გამოკვლევებით მარტო საქართველოდან რუსეთში (ქართული ემიგრაციის უდიდესი ნაწილის ქვეყანაში) ემიგრირებული მოსახლეობის 60 პროცენტი[1] 35 წლის და მეტი ასაკისაა, რომელთაგან 24 პროცენტი უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების პროფესიონალია.

მიგვაჩნია, რომ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტად უნდა იქცეს ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის ხარისხის საკითხებში „ისტორიული ჩავარდნების“ სათანადოდ შეფასება და მისი დაძლევის რეალური ამოცანების განსაზღვრა.

ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობების არასათანადოდ შეფასება და მისი ეკონომიკური ზრდის სამსახურში ჩაყენების რეალური ხედვის ნაკლებობა — ეს არის მეორე დიდი პრობლემა, რაც ხელს უშლის ეკონომიკური ზრდის პერსპექტივებს ქვეყანაში. ვგ-ინდექსის განმსაზღვრელი ფაქტორებისა და შესაბამისი მაჩვენებლების ანალიზი ცხად-

1 საუბარია ემიგრანტების იმ ნაწილზე, რომელიც რეგულარულად აგზავნის ფულს საქართველოში.

ყოფს, რომ ქვეყანაში საკმაოდ დაბალია მისი ფარდობითი უპირატესობების, კერძოდ, ქვეყნის გეოპოლიტიკური, სატრანზიტო, აგრარული, რეკრეაციული პოტენციალის გამოყენების დონე. არასაკმარისია გადადგმული ნაბიჯები ამ პოტენციალის გამრავლებისა და აღწარმოების თვალსაზრისით.

საექსპორტო შესაძლებლობების განვითარებისა და გაფართოების მამოძრავებელ ძალად და კატალიზატორად უნდა იქცეს განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე წვდომა, როგორც საგარეო ვაჭრობის გაფართოების, წარმოების კულტურის განვითარებისა და პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის კონტროლის გარანტი. აღნიშნულის მიღწევა კი სახელმწიფოს პოლიტიკური ნებისა და ძალისხმევის გარეშე წარმოუდგენელია. მთავრობის ეკონომიკური პროგრამის ერთ—ერთ პრიორიტეტად უნდა იქცეს საექსპორტო პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მიზნობრივი გამოყენების გზით, ექსპორტის გეოგრაფიული სტრუქტურის ხარისხობრივი გაუმჯობესება და საერთაშორისო ბაზრებზე ღირსეული რეპუტაციის მოპოვება. საჭიროა დაჩქარდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის ჩამოყალიბება საგარეო ვაჭრობის სფეროში არასატარიფო ბარიერების მოხსნის მიზნით.

მიუხედავად იმის, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში გატარებული რეფორმების ფონზე არაერთი ინსტიტუციური ცვლილება განხორციელდა, ნაკლებად პოზიტიურად წარიმართა სახელმწიფო სტატისტიკის ორგანიზაციული არქიტექტონიკა, შესუსტდა ამ სტრუქტურის საქმიანობის გაუმჯობესებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა, შეირყა სტატისტიკური მონაცემებისადმი ნდობა და თვით ამ სამსახურის რეპუტაცია. ამ ფონზე თანდათანობით თვალსა და ხელს შუა მცირდება სტატისტიკურ მაჩვენებელთა წრე და ილევა ადრეულ წლებში გამოცემული სქელტანიანი სტატისტიკური პუბლიკაციები. შესაბამისად სულ უფრო მეტი მრავალ-

წერტილი ჩნდება საქართველოს სტრიქონის გასწვრივ სხვადასხვა საერთაშორისო სტატისტიკურ გამოცემებში, ხოლო მეტი მშრალი რიტორიკა — „პოლისიმეიკერების“ გამოსვლებში. ერთი სიტყვით, საქართველოში სიტყვა „სტატისტიკამ“ დაკარგა თავისი ძირძველი მნიშვნელობა — „სახელმწიფოთმცოდნეობა“.

საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ სტატისტიკა ძვირი ფუფუნებაა, მაგრამ აუცილებელია, რომ სახელმწიფომ თავისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე სწორად განსაზღვროს პრიორიტეტები ამ სფეროში და უპასუხოს კითხვაზე: რა უფრო ძვირი უჯდება მას: კარგი სტატისტიკა, თუ სტატისტიკის არქონა. ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი უფრო ძვირად უჯდება არა მარტო მთელ საზოგადოებას, არამედ მომავალ თაობებსაც კი. გარკვეულ იმედებს სახავს საქართველოში გაეროს ექსპერტის მოწვევა, 2008 წლის აპრილში, სტატისტიკის სფეროს რეფორმირების მიზნით, თუმცა არანაკლებ ეფექტიანია ცოდნის გაღრმავება წარსული საქმიანობის ადეკვატური შეფასებით, რეალურად გაკეთებული საქმეების ანალიზით და პროფესიონალთა თაობებს შორის ურთიერთობების აღდგენით.

🕮 *ძირითადი ლიტერატურა*

- ვისენტზი ვ., საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაცია და ხელშეწყობა. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“, კვარტალური მიმოხილვა, ოქტომბერი 2006.
- პაპავა ვლ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2002.
- სამსონი ი., განვითარების გზის ძიება: საქართველოს ამოცანები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“, კვარტალური მიმოხილვა, იანვარი 2005.

- სამსონი ი., საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივები საშუალოვადიან პერიოდში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები", კვარტალური მიმოხილვა, თებერვალი 2008.
- ღაღანიძე გ., საქართველოს ეკონომიკის ექსპორტზე ორიენტაციის პერსპექტივები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები", კვარტალური მიმოხილვა, ოქტომბერი 2007.
- ნობელიანტი ეკონომისტები. შემდგენელი და მთავარი რედაქტორი პროფ. ა. გრიშიკაშვილი. გამომცემლობა „ინტელექტი", თბილისი, 2006.
- ეკონომიკური კალეიდოლსკოპი. მოამზადა და გამოსცა პროფ. ა. გრიშიკაშვილმა. თბილისი, 2007.
- Developing Countries in International Trade 2007: Trade and Development Index. United Nations Conference on Trade and Development. UN, New York and Geneva, 2007.
- Report of the united nations conference on trade and development on its eleventh session, held in Sro Paulo, Brazil, from 13 to 18 June 2004. http://www.unctad.org/en/docs/td412_en.pdf
- Remittances in Georgia, Azerbaijan, and Moldova. European Bank for Reconstruction and Development. Materials of the Conference in Tbilisi, March 27, 2008. http://transparency.org.

მსოფლიო ეკონომიკის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი

• *ეკონომიკა* – ესაა მეცნიერება საწარმოო რესურსების, საქონლის წარმოების, გაცვლის, ფულის მიმოქცევისა და დოვლათის განაწილების შესახებ.

• *მიკროეკონომიკა* – სწავლობს ბაზრის მონაწილეთა ქცევის კანონზომიერებებს. ესაა კომპანიის, წარმოების ეკონომიკა და ა. შ.

• *მაკროეკონომიკა* – შეისწავლის ეკონომიკურ კანონზომიერებებს ცალკეული ქვეყნის დონეზე და ემსახურება სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრას.

• *მეგაეკონომიკა* – იკვლევს ზესახელმწიფოებრივი დონის ეკონომიკურ კანონზომიერებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ტრანსეროვნული კაპიტალის მოძრაობას, მსოფლიო სასაქონლო და ფინანსური ბაზრების ქცევას, ზესახელმწიფოებრივი ეკონომიკური ინსტიტუტების შექმნასა და სრულყოფას.

• *პოლიტიკა* – სახელმწიფოსა და ორგანიზაციათა მოღვაწეობაა, მიმართული საკუთარი ხელისუფლების გასაძლიერებისკენ ხელისუფლების უფლებამოსილებათა რეალიზაციისა და სხვადასხვა მიზნის მისაღწევად.

• *ბაზარი* – ესაა დოვლათის თავისუფალი გაცვლა, განხორციელებული განსაზღვრული წესებით.

• *მარკეტინგი* – ბაზრისა და ფასთა გამოკვლევის მეთოდთა ერთობლიობაა.

• *სახელმწიფო* – არის ხელისუფლების აპარატი, რომელიც საზოგადოების საქმეებს მართავს.

• *გადასახადები* – სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური აგენტებისაგან ამოღებული სავალდებულო მოსაკრებლებია. პირ-

დაპირი გადასახადები ამოიღება უშუალოდ აგენტთა შემოსავლებისა და ქონების ღირებულებიდან, ხოლო ირიბი გამოითვლება, როგორც პროდუქტის ფასის წილი და ერთვება რეალიზაციის ფასში (გადასახადი დამატებულ ღირებულებაზე (ДДВ), აქციზები და სხვ.).

- *აქციზი* – არის განსაზღერული პროცენტი სააქციზო გადასახადის გადასდას დაქვემდებარებული საქონელის ღირებულებიდან, რომელთაც მიაკუთვნებენ ფუფუნების საგნებს, თამბაქოს ნაწარმს, ალკოჰოლურ სასმელებს, საავტომობილო ბენზინს და ა.შ. საბაჟო გადასახდელები ამოიღება საქონლის მიერ ეროვნული (ან საბაჟო) საზღვრის გადაკვეთისას.

- *ბიუჯეტი* – არის სახელმწიფოს ფინანსური გეგმა კანონის ფორმით. ბიუჯეტს აქვს შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი.

- *მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)* – არის ქვეყანაში წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების ერთობლიეი საბაზრო ღირებულება განსაზღვრულ პერიოდში (წელი, კვარტალი და ა.შ.). მასში შუალედური პროდუქტი არ იგულისხმება. ჩვეულებრივ მშპ-ს განსაზღვრავენ, როგორც მოსახლეობისა და სახელმწიფოს საბოლოო მოხმარების, მთლიანი დაგროვებისა და ექსპორტის წმინდა ჯამს.

- *მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ)* – არის მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოითვლება როგორც დამატებული წმინდა შემოსავალი საზღვარგარეთიდან.

- *წმინდა ეროვნული პროდუქტი* (წეპ) = მშპ – საამორტიზაციო ანარიცხები.

- *საამორტიზაციო ანარიცხები* – არის ანარიცხები, რომლის ოდენობა გამოითვლება განსაზღვრული ნორმატივებით ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან და მათი ცვეთის პროპორციულია. საამორტიზაციო ანარიცხების ტოლი მოგების ნაწილი შეიძლება მივმართოთ წარმოების განვითარებისკენ მოგებაზე გადასახადის გადახდის გარეშე.

- *ეროვნული შემოსავალი* (ეშ) = წეპ – ირიბი გადასახადები.

- *კაპიტალი* – არის ის, რასაც შეუძლია შემოსავლის მოტანა.

- *სამრეწველო კაპიტალი* – ესაა წარმოების საშუალებები, რომელთაც შეუძლიათ შემოსავლის მოტანა.

- *საბანკო ანუ ფულადი კაპიტალი* – ესაა ფულადი საშუალებები, რომელიც იძლევა შემოსავალს.

- *ფიქტიური კაპიტალი* – ესაა ფასიანი ქაღალდები, რომელიც შემოსავალს იძლევა. ფიქტიური კაპიტალის წილი, რომელიც სავსებით არაა ფიქცია, არამედ შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა, კაპიტალის საერთო სტრუქტურაში მუდმივად და სწრაფად იზრდება.

- *კაპიტალის კონცენტრაცია* – არის პროცესი, როცა კაპიტალის ზრდა ხდება დაგროვების, მიზიდვის და კაპიტალთა გაერთიანების ხარჯზე.

- *კაპიტალის ცენტრალიზაცია* – არის პროცესი, როდესაც ხდება კაპიტალის ხელმძღვანელობის ან მმართველობის თავმოყრა ერთიან ცენტრში, რომელიც ფორმალურად თუ არაფორმალურად ერთმანეთთან დაკავშირებულ პირთა ჯგუფის მიერაა შექმნილი.

- *შერწყმა* – ესაა საწარმოთა გაერთიანება ახალი იურიდიული პირის შექმნის გზით.

- *შთანთქმა* – არის კონტროლის დაწესება (ძირითადად აქციათა საკონტროლო პაკეტის საშუალებით) ერთი წარმოების მიერ მეორეზე.

- *კაპიტალის ინტეგრაცია* – არის ეკონომიკურ სუბიექტთა გაერთიანების ორგანიზაციული პროცესი მათი კაპიტალების ნაწილობრივი შეერთების ბაზაზე, მათი ფუნქციების და ზოგიერთი საერთო მიზნის შესრულება იურიდიული დამოუკიდებლობის დაკარგვის გარეშე. კაპიტალის ინტეგრაციის ძირითადი ფორმებია *ალიანსი, ასოციაცია, კარტელი, სინდიკატი, კონცერნი, ტრესტი.*

- *ალიანსი* – მეწარმეთა გაერთიანებაა სახელშეკრულებო ვალდებულებათა საფუძველზე;

- *ასოციაცია* – იურიდიულ, ფიზიკურ პირთა ნებაყოფილობითი გაერთიანებაა ურთიერთთანამშრომლობის მიზნით;

- *კარტელი* – საწარმოთა გაერთიანებაა, რომლის წევრებიც თანხმდებიან წარმოების მოცულობათა რეგულირების შესახებ, გასაღების პირობებზე და სამუშაო ძალის დაქირავებაზე;

- *სინდიკატი* – გაერთიანებაა ერთობლივი გასაღებისა და შესყიდვების მიზნით;

- *კონცერნი* – საწარმოთა გაერთიანებაა, რომელიც იმყოფება მმართველი ცენტრის კონტროლის ქვეშ, მაგრამ ფორმალურად მაინც ინარჩუნებს დამოუკიდებლობას;

- *ტრესტი* – გაერთიანებაა, რომელშიც შესული წარმოებები კარგავენ არა მარტო საწარმოო და კომერციულ, არამედ ნაწილობრივ იურიდიულ დამოუკიდებლობასაც, ხდებიან რა ძირითადი კომპანიის ფილიალები.

- *წარმოების ძირითადი ფაქტორები* – ის ფაქტორებია, რომლის ეფექტიან გამოყენებაზეა დამოკიდებული საწარმოო საქმიანობის შედეგები. ახლა უკვე საყოველთაოდ მიღებულად ითვლება ის, რომ ყოველი წარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია დამოკიდებულია ოთხ ძირითად ფაქტორზე: მიწა, კაპიტალი, შრომა და ცოდნა.

- *ინვესტიციები* – ესაა კაპიტალის დაბანდება ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

- *ინვესტორი* – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინვესტიციებს ახორციელებს.

- *პორტფელური ინვესტიციები* – ესაა ინვესტიციები, როდესაც საწარმოს აქციებს ყიდულობს ინვესტორი მისი შემდგომი გაყიდვის და მოგების მიღების მიზნით კურსის სხვაობიდან. პორტფელური ინვესტიციები ხშირად მოკვლევადიანია.

• *პირდაპირი ინვესტიციები* – ესაა ინვესტიციები, როდესაც ინვესტორი ყიდულობს აქციებს მოცემულ საწარმოზე განსაზღვრული ხარისხის გრძელვადიანი გაელენის მოსდენის მიზნით. პირდაპირი ინვესტიცია ყოველთვის ატარებს გრძელვადიან ხასიათს. უმეტეს ქვეყნებში აქციათა 10%-ის და მეტის ფლობა ნიშნავს, რომ იგი უკვე საკმარისია კონტროლის განსახორციელებლად და ამ აქციათა პაკეტის განსახილველად პირდაპირი ინვესტიციების სახით.

• *საკუთრება* – უფლებათა ერთობლიობაა, რომლებიც ნივთებზე სრულ ძალაუფლებას უზრუნველყოფენ. საკუთრება განისაზღვრება, როგორც ფლობის (ქონების ფაქტობრივი ფლობა), სარგებლობის (სარგებლობის მიღების უფლება) და განკარგვის უფლებათა (ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, ჩუქების უფლება და ა. შ.) ერთობლიობა.

• *ფული* – არის დოვლათი, რომელიც სხვა დანარჩენ დოვლათთა ფასის საზომი საშუალების ფუნქციას ასრულებს და (ან) ანგარიშსწორების საშუალებაა გაცვლის დროს. ფული შეიძლება იყოს მხოლოდ დოვლათი, რომელიც ფლობს სრულყოფილ (ერთეულის ტოლ ან მასთან მიახლოებულ) ლიკვიდურობას.

• *ფინანსები* – ესაა ფულისა და ფულის სუროგატთა მიმოქცევის სფერო. განასხვავებენ რამდენიმე ფულად აგრეგატს, ლიკვიდურობის შემცირების რიგის მიხედვით: M_0 – ნაღდი ფული, $M_1 = M_0$ + საშუალებები საბანკო ანგარიშებზე და ანაბარები ბანკებში მოთხოვნამდე; $M_2 = M_1$ + ვადიანი ანაბარები.

• *აქცია* – ფასიანი ქაღალდია, რომელიც იძლევა საწარმოს მართვის, მისი ლიკვიდაციის და (ან) გაკოტრების შემთხვევაში წილის მიღების განსაზღვრულ უფლებას. აქციის გაყიდვა შეიძლება ბაზარზე. ხშირად მცდარად მიიჩნევენ, რომ აქციის ფლობა უფლებას იძლევა წარმოების ნაწილის საკუთრებაზე. ეს ასე არაა. საკუთრების განაწილებაზე (გაყოფაზე) შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ წარმოების ლიკვიდაციისას და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადაიხდება წარმოების ვალები.

• *„ოქროს აქცია“* – აქციათა ის ოდენობაა, რომელიც აძლევს მესაკუთრეს (ჩვეულებრივ სახელმწიფოს) ვეტოს უფლებას.

• *საკონტროლო პაკეტი* – არის აქციათა ოდენობა (აქციათა 50%-ზე მეტი), რომელიც იძლევა წარმოების სრული გაკონტროლების შესაძლებლობას.

• *კაპიტალიზაცია* – ესაა კორპორაციის აქციების საბაზრო ღირებულების ჯამი. *მას არა აქვს უშუალო ურთიერთობა წარმოების ქონების ღირებულებასთან.*

• *ობლიგაცია* – სახელმწიფოს, ბანკის ან სხვა ორგანიზაციის სავალო ვალდებულებაა ფასიანი ქაღალდის სახით.

• *თამასუქი* – ფასიანი ქაღალდია, რომელიც წარმოადგენს უპირობო სავალო ვალდებულებას ანგარიშსწორებებში გადაცემისა და გამოყენების შესაძლებლობებით.

• *ვალუტა* – სახელმწიფოს მიერ ემიტირებული და მხარდაჭერილი ქვეყნის ფულადი ერთეულია.

• სავალუტო ბაზარი – არის ადგილი, სადაც შესაძლებელია კონვერტირებადი ვალუტის ყიდვა და გაყიდვა და სადაც, მოთხოვნის და მიწოდების თანაფარდობის საფუძველზე დგინდება *სავალუტო კურსი.* სახელმწიფო ზემოქმედებს სავალუტო კურსზე *სავალუტო რეგულირების* სხვადასხვა ფორმებია.

• *საგადასახდელო ბალანსი* – წარმოადგენს ქვეყნის საგარეო ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველ ძირითად ინდიკატორს. საგადასახდელო ბალანსი არის ცხრილი, რომლის მარცხენა ნაწილში (კრედიტი) აღნიშნულია საქონლის, მომსახურებათა და კაპიტალის ნაკადები ქვეყნიდან, ხოლო მარჯვენაში (დებეტი) – ამ ქვეყანაში. ამ სვეტთა ჯამების სხვაობა არის საგადასახდელო ბალანსის სალდო, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად მეტი (ნაკლები) გააქვს ქვეყანას, ვიდრე შემოაქვს. საგადასახდელო ბალანსის სალდო არსებით ზემოქმედებას ახდენს სავალუტო კურსზე.

• *ყიდვითი (მსყიდველობითი უნარიანობის) უნარის პარიტეტი (ყუპ)* – არის თანაფარდობა ფასებს შორის განსაზღვრუ-

ლი საქონლისა და მომსახურების ნაკრების მიმართ მათი ყიდვითი უნარის მიხედვით. ეს თანაფარდობა შეიძლება იყოს სავსებით დაშორებული სავალუტო კურსისგან, რაც ხშირად ხდება განვითარებად ქვეყნებში.

- *ევროდოლარები* – ფულადი სამუალებებია დოლარებში, რომელიც იმყოფება აშშ-ის საზღვრებს გარეთ ბანკებში და გამოსულია მისი იურისდიქციიდან. ანალოგიერად განისაზღვრება სხვა ევროვალუტები.

- *ოფშორი* – ესაა შეღავათიანი დაბეგვრის ზონა უცხოეთის კომპანიებისათვის, რომლებიც მოქმედებენ მხოლოდ და მხოლოდ იმ სახელმწიფოებს გარეთ, რომლებიც ქმნიან ოფშორს. ოფშორები ტრანსეროვნული კაპიტალის ბაზირების ადგილებად გვევლინებიან.

- *ინფლაცია* – ესააფასების ზრდა და ფულადი მასის გაუფასურება.

- *დეფლაცია* – ესაა ფასების შემცირება. დეფლაცია ინფლაციის უკუპროცესია.

- *დანახარჯთა ინფლაცია* – არის ფასების ზრდა წარმოების რესურსების გაძვირების გავლენით.

- *მოთხოვნის ინფლაცია* – არის ასების ზრდა, რაც გამოწვეულია მოსახლეობის ფულადი საშუალებების ზრდით, რომელიც უზრუნველყოფილი არ არის სასაქონლო მასით.

- *ჭენებადი ინფლაცია* – არის ფასების ისეთი ზრდა, როცა დანახარჯთა ინფლაცია და მოთხოვნის ინფლაცია ვითარდება ერთმანეთის პარალელურად, ისე რომ ერთმანეთს არ ჩამორჩებიან.

- *ჰიპერინფლაცია* – არის პროცესი, როდესაც დანახარჯთა ინფლაცია და მოთხოვნის ინფლაცია ვითარდება ერთმანეთის პარალელურად ისე, რომ ხდება ფულისგან გაქცევა.

- *სტაგნაცია* – ეკონომიკური უძრაობის სინონიმია, ხოლო სტაგფლაცია – სტაგნაციის ინფლაციასთან ჰიბრიდი.

• *დევალვაცია* – არის ერთი ვალუტის კურსის შემცირება მეორის მიმართ, ძირითადად აშშ დოლართან მიმართებაში.

• *სარგებლიანობა* – მომხმარებლის მიერ სუბიექტურად შეფასებული სარგებელი საქონლისა და მომსახურების მეძენის შედეგად. ეს კატეგორია ფართოდ გამოიყენება ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში, მათემატიკურ ეკონომიკასა და მოდელირებაში.

• *ზღვრული სარგებლიანობა* – არის დამატებითი სარგებლიანობა, მიღებული საქონლის ან დოვლათის ყოველი შემდგომი ერთეულისაგან. თუკი გადავალთ მათემატიკურ ტერმინებზე, მაშინ ზღვრული სარგებლიანობა (MU) – ესაა კერძო წარმოებული სარგებლიანობა (U) რაიმე დოვლათის მიხედვით (X): $MU = \partial U/\partial X$, სადაც ∂U და ∂X – უსასრულოდ მცირე ნაზრდებია შესაბამისად U და X-ისა. ზღვრული საგებლიანობა დიდ როლს ასრულებს ეკონომიკურ თეორიაში და აი, რატომ. თუკი ადამიანს გააჩნია ფულის შეზღუდული რაოდენობა და სურს ბაზარზე უკვე მის ხელთ არსებული დოვლათისათვის რაღაც ნაკრების კიდევ დამატება, მაშინ იგი დაიწყებს იმის შედარებას, რამდენად გაიზრდება მის მიერ საერთო მიღებული სარგებლიანობა ამა თუ იმ დოვლათის ან საქონლის შეძენისათვის გაწეული სახსრების მცირე ერთეულის ხარჯვისას. ის, ბუნებრივია, ფულს ჩადებს იმ საქონელში, რომელიც მისცემს მას ყველაზე მეტ სარგებლიანობას. ვინაიდან ბაზარზე ამ ლოგიკით მოიქცევა ყველა მყიდველი, ამიტომ ბოლოს და ბოლოს ფასები დადგინდება იმგვარად, რომ სარგებლიანობის ნამატის თვალსაზრისით ყველა საქონელი გახდება თანაბრად მიმზიდველი. თუკი რომელიმე საქონელი იქნება უფრო მიმზიდველი სარგებლიანობის ნამატის მიხედვით სხვაზე, მაშინ მასზე მოთხოვნა იქნება მეტი და ბაზარი ამაზე სწრაფად რეაგირებას მოახდენს ფასის ზრდით. ამდენად, *წონასწორობის სიტუაციაში ყველა საქონელზე ფასი უნდა იყოს პროპორციული მათი სარგებლიანობის ზღვრისა.* ეს არის *ფუნდამენტური დებულება* მოხმარების ნეოკლასიკური თეორიისა. საქონლის ფასი ტოლია მისი

ზღვრული სარგებლიანობისა საზომი ერთეულის სიზუსტით (ლარი, დოლარი და ა.შ.).

- *საქონლის ფასი* – არის საქონლის ზღვრული სარგებლიანობა გაზომილი ერთეულის სიზუსტით (მანეთები, ლარები, დოლარები და ა.შ.).

- *ინფორმაცია* – ცნობებია ობიექტზე, პროცესზე ან მოდელის შესახებ, რომელთა კოდირება და გაზომვა შეიძლება.

- *ინფორმაციული ტექნოლოგიები* – წარმოადგენს ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გადაცემის და შენახვის საშუალებას.

- *ინფორმატიზაცია* – ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების და დანერგვის პროცესია.

- *ინფორმატიკა* – მეცნიერებაა ინფორმაციაზე, ინფორმატიზაციასა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე.

- *რისკი* – წარმოადგენს ინფორმაციის უკმარისობის, პარტნიორთა ქცევის წინასწარ გაუთვალისწინებლობის, მაკროეკონომიკური სიტუაციის არამდგრადობის, მოულოდნელი კლიმატური და სხვა ბუნებრივი მოვლენების ცვლილების შედეგს.

- *დაზღვევა* – გარიგებაა, რომლის დროსაც ერთი მხარე მეორეს უხდის განსაზღვრულ თანხას სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას. ამგვარად მცირდება რისკები. მეწარმე ნებაყოფლობით გადასცემს თავისი მოგების ნაწილს სადაზღვეო კომპანიას, რათა საქონელზე ფასების რისკი შეამციროს.

- *ფორვარდული კონტრაქტი* – წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის გარიგებას კონკრეტულ პარტნიორთან, რომელიც განხორციელდება მომავალში, რაიმე მომენტში საქონლის ფიქსირებულ ფასში.

- *ფიუჩერსული კონტრაქტი* – ესაა უფლება რაიმე საქონლის (მაგალითად, ვალუტის) ყიდვაზე ან გაყიდვაზე განსაზღვრულ მომენტში, მომავალში ფიქსირებული ფასის მიხედვით, რომე-

ლიც უზრუნველყოფილია ბირჟით. ფიუჩერსულ კონტრაქტში კონკრეტული პარტნიორი ცნობილი არაა, მას ცვლის ბირჟა.

- *ოპციონი* – ეს არის უფლება მხოლოდ ყიდვაზე ან გაყიდვაზე.
- *სვოპი* – ეს არის ერთი აქტივის მეორეზე გაცვლის უფლება.
- *დერივატი* – არის სხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტია.
- *ეკონომიკის კანონი* – მდგრადი ურთიერთკავშირია მოვლენათა შორის, რომელთა გამოვლენა კაცობრიობამ შეძლო ეკონომიკური მეცნიერების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. ძირითადად ჭეშმარიტია მხოლოდ განსაზღვრულ, არა ყოველთვის მკაფიოდ გამოკვეთილ პირობებში და არაზუსტ ვარაუდებში. ბევრი ეკონომიკური კანონი წარმოადგენს სტატისტიკური დაკვირვებების შედეგს განსაზღვრულ ისტორიულ მონაკვეთში. მათი გადატანა სხვა დროის ინტერვალებში და მით უმეტეს გამოყენება სიტუაციის მომავალი განვითარების პროგნოზირებისათვის ძალზე პრობლემატურია.
- *სეის კანონი* (სეი – XIX ს-ის დამდეგის ფრანგი ეკონომისტი) – ერთობლივი მოთხოვნა ტოლია ერთობლივი მიწოდებისა. სეიმ არ გაითვალისწინა დანაზოგის არსებობა, რომელიც ყოველთვის არ არის ინვესტიციების ტოლი.
- *ვალრასის კანონი* (ვალრასი – შვეიცარიელი ეკონომისტი, 1834-1910 წწ.– საერთო წონასწორობის პირობებში ყველა საქონლის ფულადი ღირებულება მიწოდების მხარეზე ტოლია ყველა საქონლის საერთო ღირებულებისა მოთხოვნის მხრიდან. ან ფორმულის სახით:

$$\sum P_i \cdot S_i = \sum P_i \cdot D_i$$

სადაც P_i – საქონელთა ფასებია; S_i და D_i– საქონელთა რაოდენობა შესაბამისად მიწოდების და მოთხოვნის მხრიდან. ინდექსი i ღებულობს მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამის მრავალ მნიშვნელობას.

• *გრეშემის* (გრეშემი – XVI ს-ის ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე და ფინანსისტი) ანუ *გრეშემ-კოპერნიკის კანონი* – ცუდი ფული მიმოქცევიდან დევნის კარგს. კანონი, დადგენილი ოქროსა და ვერცხლის მონეტების ბრუნვის პირობებში, ამტკიცებდა, რომ უფრო იაფი და სწრაფად გაიაფებადი ვერცხლი გამოდევნის ბრუნვიდან (მიმოქცევიდან) ოქროს, რომელიც ძირითადად გამოიყენება დაგროვების მიზნით.

• *ზღვრული სარგებლიანობის შემცირების კანონი* – მოხმარებული დოვლათის სიდიდის ზრდასთან ერთად საერთო სარგებლიანობა მოხმარებისაგან გაიზრდება, სოლო დამატებითი სარგებლიანობა დოვლათის დამატებითი ერთეულის მოხმარებისაგან შემცირდება.


• *გოსენის კანონები* (ჰ. გოსენი – გერმანელი ეკონომისტი, XIX ს.). *პირველი კანონი* – მოხმარებით დაკმაყოფილების სიდიდე მცირდება მოცემული სახის ყოველი დამატებითი ერთეული დოვლათის მოხმარებისგან, სანამ არ მიაღწევს ნულს სრული გაჯერების წერტილში. (ამ კანონის მოქმედება ეჭვს არ იწვევს ყველასთვის, ვისთვისაც ნაცნობია მოყირჭება ან უბრალოდ გაძღომა). *მეორე კანონი* – მოთხოვნათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის იმ პირობებში, როცა დოვლათის მარაგი არასაკმარისია სრული გაჯერებისათვის, აუცილებელია შევაჩეროთ ყველა დოვლათის მოხმარება წერტილებში, სადაც დაკმაყოფილების ინტენსივობა მოხმარებისაგან ხდება ერთნაირი. ესაა ისტორიულად პირველი ფორმულირება ბაზრის წონასწორობისას, ჩვენს მიერ დაწვრილებით აღწერილი სხვადასხვა დოვლათის ზღვრული სარგებლიანობის გათანაბრებისა (გოსენის მიხედვით – კმაყოფილების ინტენსივობა). გოსენის მეორე კანონი საფუძვლად უდევს მთელ ნეოკლასიკურ ეკონომიკას.

• *კლებადი უკუგების კანონი* – რაიმე საწარმოო ფაქტორის გამოყენების ზრდასთან ერთად (დანარჩენთა უცვლელობის შემთხვევაში) ადრე თუ გვიან მიიღწევა წერტილი, რომელშიც ამ ფაქტორის დამატებით გამოყენებას მივყავართ თავდაპირველთან შედარებით კლებასთან, შემდგომ კი იგი მოიცავს პროდუქციის გამოშვების აბსოლუტურ მოცულობასაც.

• *მზარდი ზღვრული დანახარჯების კანონი* – პროდუქტის წარმოების ზრდის კვალობაზე დანახარჯები თითოეული დამატებითი ერთეული პროდუქტის წარმოებაზე იზრდება.

• *ჯ. კლარკის შრომისა და კაპიტალის მწარმოებლურობის კლების კანონები* (ჯ. კლარკი – ამერიკელი ეკონომისტი, XIX-XX სს.). *პირველი კანონი* – თუკი მუდმივ სამუშაოს ძალას მივუმატებთ მუშათა დამატებით რაოდენობას, მაშინ ყოველი შემდგომი მუშა შექმნის სულ უფრო მცირე რაოდენობის პროდუქციას. *მეორე კანონი* – უცვლელი სამუშაო ძალის პირობებში მწარმოებლურობა წარმოებაში დამატებით ჩადებული კაპიტალისა კლებულობს. საქმე ისაა, რომ საბოლოო პროდუქციის გამოშვება დამოკიდებულია როგორც შრომაზე, ასევე გამოყენებულ ძირითად საშუალებებზე (კლარკის მიხედვით – კაპიტალზე). თუ დავაფიქსირებთ გამოყენებული შრომის რაოდენობას, მაშინ მოცემული ტექნოლოგიური დონის პირობებში კაპიტალის ზრდა მოგვიტანს სულ უფრო მცირე და მცირე პროდუქციის ნამატს. ზუსტად ასევე კაპიტალის უცვლელობის დროსაც, მაგალითად, დაბგებზე და მოწყობილობებზე, დამატებითი შრომითი რესურსების მოზიდვა იქნება სულ უფრო ნაკლებ და ნაკლებ ეფექტიანი.

• *კანონი 20/80* – კარნახობს განვითარების ინოვაციური გზის აუცილებლობას, როგორც მეთოდს მუდმივად კლებადი ეფექტიანობის დაძლევისა. 20/80-ზე კანონიდან გამომდინარეობს, რომ ძალიან სასარგებლოა ერთი საქმიანობიდან გადაერთოთ მეორეზე, ჯერ ისევ ახალზე და სხვათა მიერ აუთვისებელზე, იქ ძალისხმევის იმავე 20%-ით თავდაპირველად შეძლებთ მიიღოთ ეფექტის 80%.




• *ლიბისის კანონი* – საქმიანობის ეფექტიანობა, დამოკიდებული რამდენიმე ნორმირებულ შეუცვლელ ფაქტორზე, განისაზღვრება იმ ფაქტორით, რომელიც არის მინიმალური.

• *კეინსის ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი.* – შემოსავლების ზრდასთან ერთად მოსახლეობის მიდრეკილება მოხმარებისაკენ ეცემა, სოლო მიდრეკილება დაგროვებისაკენ იზრდება. ეს სამართლიანია მანამ, სანამ არ ხდება გამოყენებული ტექნოლოგიის არსებითი ცვლა. ტექნოლოგიური ნახტომის ან ტექნოლოგიური რევოლუციის შემდეგ წარმოიქმნება ფაქტორთა ახალი შეთანხმება და ყველაფერი იწყება თავიდან.

• *ენგელის კანონი* – შეიძლება განეიხილოთ, როგორც კეინსის კანონის კონკრეტიზაცია და დაზუსტება. ამ კანონის თანახმად ოჯახის შემოსავლების ზრდის კვალობაზე ეცემა მისი ხარჯების წილი სურსათ-სანოვაგეზე, თითქმის არ იცვლება დანახარჯების წილი ბინაზე, საწვავზე, ელექტრობაზე, ტანსაცმელზე, სამაგიეროდ იზრდება სარჯების წილი მომსახურებასა და სხვა საჭიროებებზე.

• *პარეტოს კანონი* – რაოდენობრივად განსაზღვრავს ადამიანთა N რიცხვს, რომელთაც აქვთ შემოსავალი რაღაც X სიდიდეზე მეტი. სტატისტიკურად დადგენილია, რომ, დაწყებული რაიმე მინიმალური შემოსავლებიდან, $N = A / (X - a)^{-m}$, სადაც A, a და m – ზოგიერთი პარამეტრებია, a – შეესაბამება მინიმალურ შემოსავალს. ნათელია, რომ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც შემოსავალი გააჩნია დიდი, ვიდრე X, მით უფრო მცირეა, რაც მეტია X.



ამიტომ მოცემული დამოკიდებულება მსგავსია ჰიპერბოლისა და m – უარყოფითი რიცხვია, A – რომელიღაც მამრავლია, რომელიც წარმოადგენს ნორმირებასა და ზომას. ჩვეულებრივ სიდიდე m იმყოფება 1,2-დან 1,9-მდე დიაპაზონში. რაც მეტია m, მით მეტია პიპერბოლის შეზნექილობა და მით მეტია სხვაობა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის შემოსავლებს შორის.

- *ოიკენის კანონი* – განსაზღვრავს უმუშევრობის დამოკიდებულებას წარმოების დონესთან მიმართებაში. განსაზღვრულ დიაპაზონში სტატისტიკურად მტკიცდება, რომ 2%-იანი წარმოების ზრდისას ქვეყანაში უმუშევრობის დონე ეცემა 1%-მდე და პირიქით.

- *რიკარდოს კანონი* – იმპორტი მომგებიანია, როცა საქონელი იწარმოება საზღვარგარეთ აბსოლუტურად დიდი დანახარჯებით, ხოლო ქვეყნის შიგნით მასზე იხარჯება დიდი სამუშაო დრო, ვიდრე რომელიმე სხვა საქონელზე, რომელიც შეიძლება გახდეს ექსპორტის საგანი. ეს კანონი საფუძვლად უდევს შედარებითი უპირატესობების თეორიას.

- *ჰეკშერ-ოლინის კანონი* – ქვეყნებს, რომელთაც ჭარბად აქვთ ესა თუ ის წარმოების ფაქტორები (ნედლეული, კაპიტალი, შრომითი რესურსები), ექნებათ შედარებითი უპირატესობანი იმ საქონლისა და მომსახურების ექსპორტში, რომელთა წარმოება დაფუძნებულია წარმოების მოცემული ფაქტორების ინტენსიურ გამოყენებაზე.

- *ნაწილისა და მთელის მსგავსების კანონი ან ბიოჰოლოგრაფიული კანონი* – აღმოჩენილ იქნა შორეულ წარსულში და გახდა ამოსავალი წერტილი გნოსეოლოგიაში (მეცნიერება მეცნების შესახებ). ძველ საბერძნეთში ეს კანონი გამეღავნდა მიკროკოსმოსის (ადამიანის) მაკროკოსმოსთან (სამყაროს) მსგავსების თეორიის ფორმით. თანამედროვე მეცნიერების მნიშვნელოვანი აღმოჩენაა ფრაქტალური სტრუქტურა მრავალი ფუნდამენტური სისტემის და მოვლენისა (ფრაქტალი წარმოადგენს

სისტემას, რომლის ყოველი ნაწილი იგივეობრივია თავად სისტემისა, გაყოფათა უსასრულო რიცხვის პირობებში).

• *ემერჯენტულობის აქსიომა* – მთელს ყოველთვის გააჩნია განსაკუთრებული თვისებები, რომლებიც არა აქვს მის ქვესისტემებს.

• *სისტემის ელემენტების სიჭარბის კანონი ორგანიზაციის ვარიანტთა რიცხვის მინიმუმისას* – გულისხმობს, რომ სხვადასხვა სისტემის შექმნისას იქმნება მრავალრიცხოვანი დამატებით ელემენტები, მაგრამ ეკონომია ხდენდა მათი ორგანიზაციის ვარიანტებზე. ეს ნიშნავს, რომ სისტემაში კავშირი და ორგანიზაცია მის შემადგენელ ობიექტებზე „მნიშვნელოვანია". ამ საერთო კანონის კერძო გამოვლინებას წარმოადგენს ნ. ი. ვაილოვის მიერ აღმოჩენილი ჰომოლოგიური რიგები.

• *ომოლოგიური კანონი* – ერთნაირ საგარეო პირობებს შეუძლია წარმოშვას ორგანიზმთა მსგავსი სტრუქტურები, დაფუძნებული ერთმანეთისაგან საესებით განსხვავებულ ელემენტების ბაზაზე.

• *ოპტიმალურობის საერთოსისტემური კანონი* – ყოველი სისტემა ფუნქციონირებს უდიდესი ეფექტიანობით ზოგიერთ მისთვის დამახასიათებელ სივრცობრივ-დროით ფარგლებში.

• *სისტემურგენეტიკური კანონი* – სისტემის ელემენტი თავის ინდივიდუალურ განვითარებაში შემცირებული ფორმით იმეორებს მთელი სისტემის განვითარების გზას.

• *ლე-შატელიეს კანონი* – საგარეო ზემოქმედებისას, რასაც სისტემა გამოჰყავს მდგრადი წონასწორობიდან, ეს წონასწორობა გადაინაცვლებს იმ მიმართულებით, საითაც საგარეო ზემოქმედების ეფექტი სუსტდება.

• *სისტემის განვითარების კანონი მისი ვარემოს ხარჯზე* – ნებისმიერი სისტემა შეიძლება განვითარდეს მხოლოდ მისი გარემოს მატერიალურ-ენერგეტიკული და საინფორმაციო რე-


სურსების გამოყენების ხარჯზე; აბსოლუტურად იზოლირებული თვითგანვითარება შეუძლებელია.

• *მმართველობითი თეორიის კანონზომიერება* – მმართველობითი სისტემის სირთულე უნდა იზრდებოდეს უფრო სწრაფად, ვიდრე ობიექტის სირთულე. უფრო ზუსტად, ექსპონენციალურად სწრაფად, ე. ი. თუკი ობიექტის სირთულე გაიზარდა S-ჯერ, მაშინ იმისათვის, რომთავი გავართვათ გაზრდილ სირთულეს, მმართველობითი სისტემა უნდა გაიზარდოს (გართულდეს) e^S-ჯერ, სადაც e ≈ 2,71) აღნიშნულ დამოკიდებულებას უწოდებენ ექსპონენციალურს.


• *ვაგნერის კანონი* – ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ასლავს სახელმწიფოს ხარჯების წილის ზრდა ქვეყნის მშპ-ში.

• *ფილიპსის მრუდი* – ასახავს დამოკიდებულებას ინფლაციასა და უმუშევრობას შორის, რომელიც სტატისტიკურად განსაზღვრულია 1861–1957 წწ. ინგლისის სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე. ეს დამოკიდებულება გვიჩვენებს, რომ ინფლაციის ზრდას ახლავს უმუშევრობის კლება. შეიძლება გეეფიქრა, რომ შესაძლებელია დასაქმების მართვა, შემდგომში გამოირკვა, რომ ეს დამოკიდებულება ყოველთვის არაა დაცული. შესაძლებელია ინფლაციისა და უმუშევრობის ზრდის ერთდროული შემთხვევები.


• *ლაფერის მრუდი* – ასახავს ემპირიულად მიღებულ საგადასახადო შენატანების მოცულობის დამოკიდებულებას ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შემოსავლებზე აგრეგირებულ საგადასახადო განაკვეთებთან. მრუდი აჩვენებს, რომ გადასახადების მოცულობის გარკვეულ დონემდე გადასახადების მოცულობა იზრდება განაკვეთის




ზრდასთან ერთად, მაგრამ პარადოქსულია, რომ რაღაც კრიტიკული განაკვეთის შემდეგ მრუდი სდება კლებადი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განაკვეთების ზრდასთან ერთად გადასახადების მოცულობა კლებულობს.




• *ლორენცის მრუდი* – ასახავს შემოსავლების კუმულაციური (აღებული ზრდადი ჯამით) წილის დამოკიდებულებას შემოსავლების მიმღები მოსახლეობის წილზე. მოსახლეობა იყოფა ჯგუფებად შემოსავლების ზრდის მიხედვით, და მრუდის ყოველი წერტილი გვიჩვენებს, ერთობლივად რამდენ შემოსავალს (ორდინატთა ღერძი) ღებულობს მოსახლეობის ჯგუფი, რომლის წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან განსაზღვრულია აბსცისათა ღერძზე. თუ შემოსავლები თანაბრად ნაწილდება, მაშინ ლორენცის მრუდი იქნება სწორი წრფე (0,0) წერტილიდან (1,1) წერტილამდე. შემოსავლების არათანაბარი განაწილება აისახება დიდი გადახრით ამ მრუდისა აბსცისათა ღერძის მიმართ.



• *განურჩეველობის (ეჯუორთის) მრუდი* – ასახავს ალტერნატიულ საქონელთა ურთიერთდამოკიდებულებას და იგება კოორდინატთა სისტემაში, რომლის ღერძებზეც ლაგდება Y და X ალტერნატიულ საქონელთა რაოდენობა. მრუდის კარდინატთა წერტილები შეესაბამება ორი საქონლის ნაკრებს, რომელთაც მომხმარებლის თვალსაზრისით გააჩნიათ ერთნაირი სარგებლიანობა.



• *მარმალის ჯვარი* – ასასავს საქონლის რაოდენობისა და საქონლის ფასის ურთიერთდამოკიდებულებას და შედგება ორი მრუდისაგან: მოთხოვნის მრუდისგან, რომელიც ეცემა ფასის ზრდის კვალობაზე და საქონლის მიწოდების მრუდისგან, რომელიც იზრდება ფასის ზრდასთან ერთად. ამ ორი მრუდის გადაკვეთა განსაზღვრავს საქონლის წონასწორობის ფასს.



• *ღირებულების პარადოქსი* – (ჩამოყალიბებული ა. სმიტის მიერ) მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანისათვის უაღრესად აუცილებელი წყალი თითქმის უსარგებლო ბრილიანტზე ბევრად იაფი ღირს.

• *უხილავი ხელის და ფესის ეფექტი* – (ჩამოყალიბებული ა. სმიტის მიერ) მდგომარეობს იმაში, რომ ბაზრის ყველა მონაწილე ისწრაფვის პირადი გამორჩენისაკენ, მაგრამ ბაზრის უხილავი ხელი თითქოსდა წარმართავს მას და ქმნის წონასწორობის სიტუაციას, რომელიც ყველასთვის, მთელი საზოგადოებისათვის მომგებიანია. ბაზრის უხილავი ხელი ქმნის აღნიშნულ სიტუაციას, ფესს კი მიჰყავს ზუსტად იქ, სადაც სიტუაცია მოითხოვს.

• *მომჭირნეობის პარადოქსი* – მდგომარეობს იმაში, რომ დანაზოგთა გადიდებას, ინვესტიციებისა და წარმოების შესაბამისი ზრდის გარეშე, მიეყავართ ეროვნული შემოსავლის რეალური დონის დაქვეითებისა და დანაზოგთა შემცირებისკენ.

• *გიფინის პარადოქსი (ეფექტი)* – მდგომარეობს იმაში, რომ არსებობს საქონელი, რომლებზეც ფასის გაზრდას მივყავართ მათზე მოთხოვნის გაზრდამდე. ხანდასან ადგილი აქვს უკუეფექტსაც.

• *ვებლენის პარადოქსი (ეფექტი)* – მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთი საქონლისათვის ფასის დაკლება იწვევს მასზე მოთხოვნის შემცირებას. ასეთ შემთხვევაში ზოგიერთი მომხმარებელი თვლის, რომ მოხდა საქონლის ხარისხის გაუარესება და წყვეტენ მის შეძენას.

• *ლეონტიევის პარადოქსი* – მდგომარეობს იმაში, რომ, როგორც ლეონტიევმა გამოიკვლია, თუ ექსპორტი იმპორტთან შედარებით უფრო შრომატევადი და ნაკლებად კაპიტალტევადია, მაშინ მივყევართ კვალიფიციური შრომის და მეცნირებატევადი პროდუქციის გამოყოფის აუცილებლობამდე.

• *ფიშერის ეფექტი* – მდგომარეობს იმაში, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში მოთხოვნა ფულზე აღარაა დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთზე.

• *მულტიპლიკაციური ეფექტი* – (აღმოჩენილია ჯ. კეინსის მიერ) მდგომარეობს იმაში, რომ წარმოების რომელიმე სფეროში დანახარჯები და ინვესტიციები ახდენენ მასტიმულირებელ გავლენას წარმოებასა და დასაქმებაზე სხვა დარგებში.

• *მერკანტილისტები* – მათ შორის გამოირჩევიან პირველი პროფესიონალი ეკონომისტი, ფიზიკის დოქტორი და ანატომიის პროფესორი უ. პეტი (1623–1687) და გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი ჯ. ლოკი (1632–1704), რომლებიც ეროვნული სიმდიდრის შექმნაში პირველ ადგილს ანიჭებდნენ ვაჭრობას. ისინი თელიდნენ, რომ სახელმწიფო მით უფრო მდიდარია, რაც უფრო მეტია სხვაობა გატანილ და შემოტანილ საქონლის ღირებულებას შორის და იბრძოდნენ ექსპორტის წამახალისებელი ზომებისათვის და იმპორტის შეზღუდვისათვის პროტექციონისტული ზომების გამოყენების გზით. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ისინი გამოდიოდნენ მიმდინარე საგარეო სავაჭრო ოპერაციების სალდოს ზრდის მსარდამჭერებად, რაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი, მაგრამ არაერთადერთი ფაქტორია ქვეყნის კეთილდღეობისა.

• *ფიზიოკრატები* (XVIII ს. II ნახევარი) – თვლიდნენ, რომ სიმდიდრის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, ხოლო ეკონომიკის და ვაჭრობის სხვა დარგები მხოლოდ გადაანაწილებს დამატებულ ღირებულებას, მოპოვებულს სასოფლო-სამეურნეო შრომით და მიღებულს მიწიდან და ბუნებრივი კელავწარმოებრივი პროცესებისგან. მათ შორის ყველაზე დიდი როლი შეასრულეს: *რ. კანტილიონიმ* (1680–1734), რომელმაც პირველმა ჩამოაყალიბა და გამოიკვლია ბაზრისა და საბირჟო თამაშის – „იყიდო იაფად, გაყიდო ძვირად“ ძირითადი პრინციპები; *დე გურნემ* (1712–1759), რომელმაც გაახმაურა ეკონომიკური ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპი – „laissez faire, laissez passer“ – „დაე, ყველაფერი წავიდეს ისე, როგორც მიდის“, ე.ი. სახელმწიფოს ჩარევის გარეშე; *ფ. კენე* (1694–1774) არის ავტორი პირველი დარგთაშორისი ბალანსისა.

• *დ. იუმი* (1711–1776) – ერთგვარად აერთიანებს ეკონომიკის განვითარების ფიზიოკრატულ და კლასიკურ პერიოდს, შეიძლება ჩაითვალოს ფულის რაოდენობრივი თეორიის ფუძემდებლად და თანამედროვე მონეტარიზმის წინამორბედად. მან შექმნა ფულის მიმოქცევის შესანიშნავი მოდელი, რომელიც დღემდე ფინანსური თეორიის საფუძველია.

• *ა. სმიტი* (1720–1790) – კლასიკური ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებელი, ღირებულების შრომითი თეორიის ფუძემდებელი. ამ თეორიის თანასმად საქონლის ღირებულება განისაზღვრება ძირითადად მის შექმნაზე გაწეული შრომით. ა. სმიტის ძირითად ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" პირველად იქნა სისტემატიზებული სახით გადმოცემული საბაზრო ეკონომიკის თეორიული საფუძვლები. ბაზრის ყოველი მონაწილე შოქმედებს მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ისწრაფვის რა გაამრავლოს თავისი შემოსავალი, მაგრამ „იგი უხილავი ხელით მიემართება მიზნისაკენ, რომელიც სავსებით არ შედიოდა მის განზრახვებში... მისდევს რა საკუთარ ინტერესებს, ის ხშირად უფრო ქმედითი სახით ემსახურება საზოგადოების ინტერესებს, ვიდრე მაშინ, როცა შეგნებულად სურდა ამის გაკეთება". „უხილავი ხელი" – ესაა საბაზრო თვითრეგულირების ობიექტური კანონი. აქედან სმიტი მიდის დასკვნამდე, რომ ყველაზე კარგია არ ჩაერიო ბაზრის მოქმედებაში და „დატოვო ყველაფერი ისე, როგორც მიდის" – „laissez faire". სმიტის მიერ გაცსადებული პრინციპი ბაზრის „უხილავი ხელისა", რომელიც საფუძვლად უდევს მის შესაძლებლობებს თვითრეგულირებისა, წარმოადგენს, თანამედროვე გაგებით, უკუკავშირის კიბერნეტიკულ პრინციპს.

• *დ. რიკარდო* (1772–1823) – მისი ძირითადი შრომა „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები" მიძღვნილია იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ როგორ მოქმედებს წარმოების შრდაზე მიღებული შემოსავალის განაწილება რენტის, მოგების და ხელფასის სახით. რიკარდომ გაავრცელა „უხილავი ხელის" პრინციპი საერთაშორისო ვაჭრობაზე და შექმნა შედარებითი უპირატესობების თეორია. მისმა შრომებმა საფუძველი ჩაუყარა შემდგომ მოდელურ მიდგომას ეკონომიკური თეორიის გაგებაში.

• *კ. მარქსი* (1818–1883) – მისი გაფართოებული კვლავწარმოების განტოლებები არსებითად ხსნიან ეკონომიკური ბრდის დინამიკურ მოდელთა კლასს. მარქსმა დაწვრილებით გამოიკვლია კაპიტალის წარმოშობის და განვითარების ბუნება. მან გახსნა ზედმეტი ღირებულების ბუნება და გამოიკვლია მისი

როლი კაპიტალის დაგროვების პროცესში. მის მიერ დაწვრილებითაა შესწავლილი მოგების ნორმის გათანაბრების კანონზომიერებანი წარმოების სხვადასხვა დარგებში და მასთან დაკავშირებული კაპიტალის გადადინებანი. მისი მოძღვრება იყო ძალზე პოლიტიზირებული და შედეგად, გამოყენებული, როგორც კლასობრივი ბრძოლის ინსტრუმენტი.

• *ნეოკლასიკური ეკონომიკა* – აქცენტს აკეთებს ცალკეული ფირმის ქცევაზე მცირე დროით ინტერვალებში ან სტატიკურ მდგომარეობაში. ნეოკლასიკური თეორიის საგანს წარმოადგენდა მიკროეკონომიკა. ცენტრალურ ცნებად ამ თეორიაში არის სარგებლიანობა.

• *მარჟინალისტური რევოლუცია* – ამ თეორიაში ყველა ძირითადი ეკონომიკური კატეგორია, ეფექტები განისაზღვრება მარჟინალური (მარჟა – ნამატი) ან პროდუქტით და დანახარჯების ზღერული სარგებლიანობის მნიშვნელობით, რომლებიც მათემატიკური თვალსაზრისით წარმოადგენს შესაბამის კერძო წარმოებულებს (სარგებლიანობის და ა. შ.). ნეოკლასიკურ (მარჟინალურ) მიდგომაში მთავარი პრაგმატული ამოცანაა შეზღუდული საშუალებების ოპტიმალური გამოყენებისა მწარმოებლის მოგებისა და მომხმარებლის სარგებლიანობის მაქსიმიზაციისათვის. ეს ამოცანა დასაშვებს ხდის უბრალო მათემატიკურ ინტერპრეტაციას. ამიტომ ნეოკლასიკური თეორიის ფუძემდებლები – კ. მენგერი, ს. ჯევონსი და ლ. ვალრასი – გახდნენ ამავდროულად მათემატიკური ეკონომიკის და მოდელირების მამამთავრებიც. მარჟინალისტურმა მიდგომამ საშუალება მისცა აღეწერათ საბაზრო ფასის ფორმირება და იმ დროისათვის ფართოდ განვითარებული მათემატიკური ანალიზის გამოყენება.

• *ვალრასის მოდელი* – ლ. *ვალრასის* ძირითად ნაშრომში „წმინდა პოლიტეკონომიის ელემენტები“ (1874) შემოთავაზებულია საერთო წონასწორობის მოდელი, რომელსაც დღეს ბაზრის მოდელირებაში ცენტრალური ადგილი უკავია. ამ მოდელ-

ში წარმოება და მოხმარება დაკავშირებულია ერთმანეთთან საქონლისა და მომსახურების ბაზრების მეშვეობით. მოცემულ სისტემაში წონასწორობა არის მდგომარეობა, რომლის დროსაც მოთხოვნა და მიწოდება საქონელსა და მომსახურებაზე ტოლია. ამასთან დგინდება წონასწორობის ფასთა რაღაც სისტემა. შევნიშნავთ, რომ საკითხი წონასწორობის ფასთა სისტემის არსებობის შესახებ, მათემატიკურ პლანში ეკვივალენტურია არაწრფივი განტოლებების სისტემისა, სადაც მსგავსი „მოთხოვნა, დამოკიდებული ფასზე, ტოლია მოწოდებისა ყოველი საქონლის მიხედვით, რომელიც აგრეთვე დამოკიდებულია ფასზე". ეს შემთხვევა საკმაოდ რთულია მათემატიკურად ასახსნელად, თუმცა გადაწყვეტილ იქნა კერძო შემთხვევის დროს *ერროუს* და *დებრეს* მიერ მხოლოდ 1933 წელს. ვალრასის მოდელს გააჩნია მრავალი ნაკლი. იგი სტატიკურია, მასში არაა ფულის ბაზარი, საერთო წონასწორობა წარმოადგენს იშვიათად მისაღწევ აბსტაქციას და ა. შ. თუმცა მისი დიდი მეთოდოლოგიური გავლენა არა მარტო ეკონომიკურ მოდელირებაზე, არამედ პრაქტიკულად ყველა ძირითად, თანამედროვე ეკონომიკური სკოლის განვითარებაზე უეჭველია.

- *ვ. პარეტო* – მან განავრცო ვალრასის თეორია. ერთერთი მისი ახალშემოღებული ძირითადი წესი აღმოჩნდა მრავალკრიტერიუმიანი ამოცანის განხილვა და ამჟამად ფართოდ გამოყენებული ოპტიმალური მდგომარეობანი, რომლის დროსაც შეუძლებელია გააუმჯობესო ვინმეს მდგომარეობა გაცვლის მონაწილეთაგან ისე, რომ არ გააუარესო მათგან თუნდაც ერთის მდგომარეობა.

- *ა. მარშალი* (1842–1924) – მან შეაჯამა XIX ს-ის ძირითადი მიღწევები და თავის სამტომიან ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები" (1890) მარჟინალისტური რევოლუციის მიღწევების სინთეზირება მოახდინა კლასიკურ ეკონომიკურ თეორიასთან. მარშალმა ძირითადად მიიღო ვალრასის წონასწორობის მოდელი, ხოლო მიწოდების და მოთხოვნის ტოლობის გრაფიკულ გამოსახულებას ეწოდა „მარ-

შალის ჯვარი". მისი ნაშრომების შემდგომ მოხდა ეკონომიკური თეორიის გაყოფა მიკრო- და მაკროეკონომიკად.

• *ჯ. კეინსი* (1883–1946) – თავის ძირითად ნაშრომში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია" (1936) მან შემოგვთავაზა ეკონომიკური თეორიის კარდინალურად ახალი კონცეფცია. მისმა ეკონომიკურმა თეორიამ საშუალება მოგვცა დასაქმება, ბანკის პროცენტი, დანაზოგი და მშპ-ს დონე დაგვეკავშირებინა ერთიან, საკმაოდ მტკიცე მოდელად. მან შემოიღო მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების ცნება და თეორიულად დააფუძნა „შემოსავლის გამრავლების" მულტიპლიკაციური ეფექტი.. მისი არსი შემდგომშია: როცა რაიმე მიზეზით იწყება კრიზისი, წარმოება ეცემა. მუშები ღებულობენ ცოტა ფულს და ამცირებენ მოხმარებას. მოხმარების სიმცირეს მივყავართ წარმოების ახალ შემცირებასთან და ა. შ. კრიზისი მძაფრდება. კეინსმა შემოგვთავაზა ახალი, რევოლუციური მეთოდი კრიზისიდან გამოსასვლელად, რომელიც დაფუძნებულია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაზე. კერძოდ, კეინსის თეორიის თანახმად, სახელმწიფომ კრიზისის მომენტში უნდა გააფართოვოს საკუთარი მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე. შუაგულ კრიზისში მან უნდა დაიწყოს ფართომასშტაბიანი სამუშაოები, ვთქვათ, გზათა მშენებლობა. მაშინ კრიზისის სპირალი დაიწყებს გაშლას უკუ მიმართულებით: საზოგადოებრივ სამუშაოზე მიღებული მუშები დაიწყებენ სელფასის მიღებას ⇒ ისინი შეძლებენ თავიანთი მოხმარების, და შესაბამისად, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის გაზრდას ⇒ მოთხოვნას გამოეხმაურებიან მეწარმენი და გაზრდიან პროდუქციის გამოშვებას ⇒ ამისათვის ისინი დაიქირაებენ ახალ მუშებს, რომელთა შემოსავლები კვლავ წავა მოხმარებაზე ⇒ მოთხოვნის გაფართოება მიგვიყვანს წარმოების ზრდამდე ⇒ დაიწყება ეკონომიკური აღმავლობა. აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოს თავდაპირველ დანახარჯებს მივყავართ მასთან შედარებით მრავალგზის მულტიპლიკაციურად დიდ ეკონომიკურ ზრდასთან მთელი ქვეყნის მასშტაბით.

• *ნეოკლასიკოსები* ძირითადად ემსრობიან საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაციის პრინციპს.

• *მონეტარისტები* თვლიან, რომ ეკონომიკის ძირითად მარეგულირებელ ფაქტორს წარმოადგენენ ფულადი აგრეგატები.

• *ინსტიტუციონალისტები* ეკონომიკური სისტემის ანალიზს ახდენენ მისი ძირითადი ინსტიტუტების პრიზმით, ე. ი. ეკონომიკური და სოციალური ქცევის ფორმალური (ნორმატიულად და საკანონმდებლოდ გაფორმებული) და არაფორმალური (ტრადიციები, საქმიანი ურთიერთობების ჩვეულებები და ა. შ.) წესებით.

• *კეინსიანელების* განმასხვავებელი ნიშანია აქცენტირებული ყურადღება ბაზრის სახელმწიფო რეგულირების პრობლემებზე; მათთვის დამახასიათებელია ბიუჯეტურ პოლიტიკაზე ორიენტაციის მეთოდები და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ყველაზე მეტად ეფექტური მიმართულების ძიება. თანდათანობით ისინი გაიყო რამდენიმე მიმართულებად: ნეოკეინსიანელები, მემარცხენე კეინსიანელები, პოსტკეინსიანელები და ახალი კეინსიანელები.

• *ნეოკეინსიანელები* – დაეინებით ითხოვენ სახელმწიფოს მიერ ბაზრის მუდმივ და აქტიურ რეგულირებას საბიუჯეტო პოლიტიკის მეშვეობით. მათმა ლიდერმა რ. ჰეროდიმ (1900–1978) წამოსწია, პირველ რიგში, ინოვაციების სახელმწიფო მხარდაჭერა და ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედება სამეცნიერო-ტექნიკური პროცესის მართვით. ნეოკეინსიანურ სკოლაში გამოიყოფა ფ. მოდილიანი და პ. სამუელსონი, რომლებმაც განახორციელეს კეინსიანური მაკროეკონომიკისა და ნეოკლასიკური მიკროეკონომიკური თეორიის სინთეზი. ისინი და მათი მიმდევრები გამოდიან კეინსიანელებისათვის ტრადიციული პოლიტიკის ზომების და ლიბერალურ-მონეტარული ფულადი პოლიტიკის მეთოდების შერწყმის მხარდაჭერით.

• *მემარცხენე კეინსიანელები და მათი ლიდერი ჯ. რობინსონი* (1903–1983) თვლიან, რომ ეკონომიკური ზრდის რეგული-

რება საჭიროა სახელმწიფო დაბანდებების გზით ბინებისა და გზათა მშენებლობაში, განათლებაში და ა. შ.

• *პოსტკეინსიანელები* (პ. დევიდსონი, გ, მინსკი) სამუელსონის ნეოკლასიკურ სინთეზს უარყოფენ და ეკონომიკური პროცესების ტექნოლოგიურ დეტერმინიზმის პოზიციებზე დგანან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი თელიან, რომ ეკონომიკური განვითარება ცალსახად განისაზღვრება ტექნოლოგიებით. თვითგანვითარებად ეკონომიკურ სისტემებში წონასწორობა, მათი აზრით, არ შეიძლება იყოს მდგრადი. ამიგომ აუცილებელია ეკონომიკის დაგეგმვა ეროვნულ დონეზე. სახელმწიფოს შეუძლია მიღწიოს მდგრადობას, თუ გადაანაწილებს ეროვნულ შემოსავალს კლასებს შორის.

• *ახალ კეინსიანელებს* (ჯ. ხანი, დ. სტიგლიცი) თავიანთი გამოკვლევების სიმძიმის ცენტრი გადააქვთ რეალურ ბაზრებზე ინფორმაციის მიწოდების პრობლემებზე. ბაზრების შესახებ ინფორმაციის მიღებას, ამ სკოლის წარმომადგენელთა აზრით, აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა კონკურენტულ ბრძოლაში.

• *ეკონომიკურ ლიბერალიზმს და ნეოლიბერალიზმს* გააჩნია ბევრ საკითხში კეინსიანელების და მის მრავალსახეობათა საწინააღმდეგო შეხედულება ეკონომიკის შესახებ. ლიბერალიზმის ბირთვს წარმოადგენს ინდივიდუალური თავისუფლების, ავტონომიურობის და თვითსაკმარისობის იდეა, ინდივიდუალური თავისუფლება ეკონომიკურად ემყარება საკუთრების ინსტიტუტს, როგორც თავად ადამიანისა განუყრელი ატრიბუტია. ეკონომიკური ლიბერალიზმი ეფუძნება სამ პრინციპს: კერძო საკუთრებას, როგორც ეკონომიკური ცხოვრების საფუძველს; თავისუფალ მეწარმეობას, როგორც ინოვაციათა გენერატორს; თავისუფალ კონკურენციას, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების რეგულატორს.

• *თანამედროვე ეკონომიკური ნეოლიბერალიზმი* – მისი დამფუძნებლები არიან ლ. ფონ მიზესის (1881-1973) და მის მოსწავლე ფ. ფონ ჰაიეკი (1899-1992). მიზესი – თანმიმდევრული მოწინააღმდეგეა დაგეგმვის და სახელმწიფოს სხვა პირდაპი-

რი ჩარევისა ეკონომიკაში, გეგმური ეკონომიკის სისტემას იგი უწოდებს „დაგეგმილ ქაოსს“. ნეოლიბერალები გამოდიან ფასების და ხელფასების კონტროლის წინააღმდეგ. ისინი თვლიან, რომ ნებისმიერი სახელმწიფო კონტროლი – ეს კორუფციისათვის მკვებავი გარემოა. სახელმწიფო დაგეგმვის ალტერნატივას, ჰაიეკის აზრით, წარმოადგენს სპონტანური წესრიგის კონსტრუქცია. მის მსარდასაჭერად მნიშვნელოვანია მხოლოდ ორი წესი: 1) სხვათა საკუთრების ხელყოფაზე უარი; 2) ნებაყოფლობით მიღებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. თუკი სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ წესების დაცვას, მაშინ ეკონომიკაში დამყარდება თვითუზრუნველყოფადი სპონტანური წესი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ განვითარებას.

• *„სამეურნეო წესრიგის“ თეორია* – გამოყოფილია ნეოლიბერალურ სკოლაში. ამ თეორიას საფუძველი ჩაუყარა ფრაიბურგის ეკონომიკურ სკოლის ფუძემდებელმა ვ. ოიკენმა (1891-1950). იგი თვლიდა, რომ არსებობს ორი წმინდა „იდეალური“ სისტემა - ცენტრალიზებულად მართვადი და საბაზრო. თითოეული ეს იდეალური ტიპი ხასიათდება ექვსი ძირითადი პარამეტრით: „მოთხოვნილება, ბუნება, ხელმძღვანელობა და შესრულებისათვის შრომა, ტექნიკური ცოდნა, მზა და დასრულების (მომწიფების) სტადიაზე მყოფი დოვლათის მარაგი, მეურნეობის სოციალური და სამართლებრივი ორგანიზაცია“. ამრიგად, ასეთი სახით წმინდა ფორმების რიცხვი მცირეა, მაგრამ ყველა რეალურად არსებული სამეურნეო წესრიგი მიიღება, როგორც ამ წმინდა ფორმების შეხამება (შერწყმა), ხოლო მათი რიცხვი უზარმაზარია. ოიკენი გამოდიოდა სოციალური საბაზრო მეურნეობის მხარდასაჭერად, რომელიც უთავსებდა ეკონომიკური თავისუფლების ლიბერალურ პრინციპებსა და სახელმწიფო რეგულირების სოციალურ მიმართულებას. კლასიკური ლიბერალებისაგან განსხვავებით, ოიკენი თვლიდა, რომ ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევა შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი. კერძოდ, სახელმწიფო უნდა აგარებდეს ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას და ბიუჯეტის საშუალებით უნდა ახორცი-

ელებდეს შემოსავლების გადანაწილებას სოციალურ ჯგუფებს შორის – მდიდრებიდან ღარიბებისაკენ. ოიკენის იდეის უშუალოდ ცხოვრებაში განხორციელება თავზე აიღო გერმანული ომისშემდგომი „ეკონომიკური სასწაულის“ ავტორმა - ლ. ერჰარდმა (1837-1977).

• *მონეტარისტები* – იზიარებენ ლიბერალურ შეხედულებებს. მათი სკოლის კრედოა: „money does matter“ (ფულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს)“. მონეტარისტები დარწმუნებულნი არიან, რომ სწორედ საკრედიტო-ფულად სფეროში ცვლილება ახდენს გადამწყვეტ ზეგავლენას ეკონომიკაზე. ამიტომ ყურადღების ცენტრში უნდა იმყოფებოდეს ფულადი პოლიტიკა. მონეტარიზმის ფუძემდებელი იყო ი. ფიშერი (1867-1947), რომელმაც გამოიკვლია ფულის ბაზარი წონასწორობასთან მიახლოებულ პირობებში და სრულყოფილი კონკურენციის დროს. მან შექმნა ფულის ბაზრის დეტალური მოდელი, რომელიც ითვალისწინებდა განსხვავებას სხვადასხვა ტიპის ფულისა და ინფლაციის მოძრაობაში. თანამედროვე მონეტარიზმის ლიდერად ითვლება მ. ფრიდმანი (დაიბადა 1912 წ.). მან დაამტკიცა, რომ ფულად-საკრედიტო სფერო თამაშობს წამყვან როლს მაკროეკონომიკური პროცესების განვითარებაში და სახელმწიფო რეგულირება შეიძლება შემოიფარგლოს სხვადასხვა აგრეგატებში ფულად მასაზე კონტროლით. ფულადი პოლიტიკა, თვლიდა იგი, მნიშვნელოვანია ბიუჯეტურზე. ფრიდმანმა შექმნა ეკონომიკაში ფულის მოძრაობის ლოგიკური და მათემატიკურად დახვეწილი მოდელი. მას ზოგჯერ კეინსს უპირისპირებენ. თუმცა მან შეძლო შეეხედა ეკონომიკური პროცესისათვის სხვა, ჯერ კიდევ შეუსწავლელი მხრიდან, ამასთან ავსებდა პრობლემებს და ასწორებდა უკვე პრაქტიკით აღმოჩენილ კეინსიანური მოდელების შეცდომებს.

• *რ. ლუკასის რაციონალური მოლოდინის თეორია.* ამ თეორიას საფუძვლად უდევს ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ბაზრის მონაწილეთა მოლოდინი ყალიბდება იმგვარადვე, როგორც რეალური ბაზარი განსაზღვრავს თანამედროვე ფასებს. ბაზ-

რის ყოველ მონაწილეს გააჩნია, ასე ვთქვათ, მოდელი მისი შემდგომი ქცევისა და წონასწორობა მიიღწევა არა მხოლოდ საქონლის ბაზარზე, არამედ „მოდელთა ბაზარზეც“ (ანუ მოლოდინთა). სახელმწიფო პოლიტიკის წარმატებით გატარებისათვის აუცილებელია ვისწავლოთ მოსახლეობის მოლოდინის ფორმირება.

• *ჯ. სოროსის რეფლექსურობის ორიგინალური თეორია.* მასში გამოკვლეულია მრავალრიცხოვანი და მრავალგვარი გავლენა ფინანსურ და საქონლის ბაზრებზე ჩვენი მოლოდინისა და წარმოდგენისა. მაგალითად, აქციათა ფასის მომავალში ცვლილებების შესახებ წარმოდგენები არსებითად მოქმედებს საფონდო ბაზრის მდგომარეობაზე.

• *მიწოდების ეკონომიკური თეორია* (ა. ლაფერი). მის შესაბამისად, ეკონომიკური განვითარებისათვის საჭიროა ბაზრის დერეგულირება, ანტიინფლაციური ზომების მიღება და გადასახადთა შემცირება, რითაც მოვახდენთ მეწარმეთა აქტიურობისა და მიწოდების სტიმულირებას. ლაფერის თანასმად (იხ. ლაფერის მრუდი), საგადასახადო შენატანი თავდაპირველად რამდენადმე მცირდება, მაგრამ მალევე წარმოების ზრდის ხარჯზე იწყებს მატებას. ამ რეკომენდებული თეორიის გზით დღეს ბევრი ქვეყანა მიდის.

• *ინსტიტუციონალიზმი* – (სათავეებთან იდგნენ ტ. ვებლენი (1857-1929) და ჯ. კომონსი (1862-1945)). ამ თეორიის ძირითადი დებულება იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური სისტემის განვითარებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს არაფორმალური (ჩვევები, ტრადიციები) და ფორმალური (კანონები და ნორმატიული აქტები) ინსტიტუტები ან ბაზრის და ორგანიზაციულ სტრუქტურათა ფუნქციონირების წესები.

• *საზოგადოებრივი არჩევანის თეორია* – კ. ეროუმ, ჯ. ბიუკენენმა, მ. ოლსონმა შექმნეს ეს თეორია, გაავრცელეს რა საბაზრო ეკონომიკის ანალიზის მეთოდები პოლიტიკური არჩევნების პრობლემებზე, ლობიზმზე, საპარლამენტო და პროფკავშირულ ბრძოლაზე. ნეოინსტიტუციონალისტების მი-

ერ განსორციელებულმა ეკონომიკურ მეთოდთა ექსპანსიამ პოლიტიკურ, სოციალურ და სხვა პუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში ეკონომიკური იმპერიალიზმის სახელწოდება მიიღო.

• *ორგანიზაციის თეორია* – რ. კოუზმა, დ. ნორტმა და ო. უილიამსონმა შეიმუშავეს ეს თეორია, რომელსაც საფუძვლად უდევს ტრანსაქციური დანახარჯების მინიმიზაციის პრინციპი. ორგანიზაციის ზომები და სხვადასხვა საწარმოთა ინტეგრაცია ამ თეორიის ჩარჩოებში აიხსნება ბაზრის ცალკეულ მონაწილეებს შორის გარიგებათა (ტრანსაქციები) დადების დანახარჯების მინიმიზაციისაკენ სწრაფვით. მიმდინარეობდა კვლევა ორგანიზაციათა ცენტრალიზაციის დასაშვები ზღვრების განსაზღვრის საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებული იყო რ. კოუზის მიერ შემოტანილი ტრანსაქციურ დანახარჯებთან, საწარმოს დონეზე ინტეგრაციული პროცესების ეფექტიანობასთან, ინსტიტუციონალურ გარდაქმნებთან და სხვ.

• *პოსტინდუსტრიულ და ინფორმაციულ საზოგადოებათა შექმნის თეორია* – ჯ. გელბრეიტმა, დ. ბელიმ და ო. ტოფლერმა დიდი წვლილი შეიტანეს იმ საზოგადოებათა შექმნის თეორიაში, რომელთა მშპ დიდი ნაწილი უკვე იწარმოება მომსახურების სფეროში (პოსტინდუსტრიულობა), და ამ სფეროში დომინირებს საინფორმაციო ხასიათის საქმიანობა და მომსახურება (ინფორმატიზაცია).

• *პოსტინდუსტრიული საზოგადოების დესკრიპციული მოდელი* – ეს მოდელი შექმნა ჯ. გელბრეიტმა და მასში ძირითად როლს თამაშობს „ტექნოსტრუქტურა" – მეცნიერები, კონსტრუქტორები და სპეციალისტები მმართველობითი ტექნოლოგიების მიხედვით.

• *კენეს მოდელი* – ფრანგმა ეკონომისტმა, მედიცინის დოქტორმა, ფიზიოკრატმა ფ. კენემ თავის ცნობილ ცხრილებში შექმნა დარგთაშორისი ბალანსის პირველი მოდელი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მთლიანად მოდელირების განვითარებაზე. ცხრილებში ნაჩვენები იყო რა მატერიალური და ფი-

ნანსური ნაკადები გადადის ერთი დარგიდან მეორეში. ფ. კენეს მათემატიკურმა ხერხებმა და სხვა ფიზიოკრატებისამ, კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „პირველად გადააქცია პოლიტიკური ეკონომიკა სისტემად“. კენეს ცხრილებმა, რომლებიც რაოდენობრივად აღწერდნენ დარგებს შორის საქონლის გაცვლას და პროდუქტთა და შემოსავალთა წლიურ წრებრუნვას, თითქმის ორი საუკუნით დაასწრეს საბჭოთა მეთოდოლოგიას დარგთაშორისი ბალანსების დაგეგმვისა და ვ. ლეონტიევის დარგთაშორის ბალანსის ცნობილ მოდელს.

• *იუმის მოდელი* – დ. იუმმა შექმნა ფულისა პირველი რაოდენობრივი თეორია და საბოლოოდ გააფორმა მოდელის სახით. ეს მოდელი ნაწილობრივ ჯერ კიდევ მერკანტილისტებისათვის იყო ცნობილი ფულის რაოდენობრივი თეორიის ძირითადი განტოლება:

$$M \quad V = P \quad T,$$

სადაც M – ქვეყანაში ფულადი მასის მოცულობაა; V – ფულის მიმოქცევის სისწრაფე; T – სასაქონლო მასის ერთობლივი მოცულობა; P – მისი საშუალო ფასი.

ეს თანაფარდობა ცნობილია აგრეთვე როგორც ფულის მიმოქცევის კანონი.

• *ვალრასის მოდელი* – ფრანგმა ეკონომისტმა ლ. ვალრასმა თავის ძირითად ნაშრომში „წმინდა პოლიტეკონომიის ელემენტები“ (1874) შემოგვთავაზა საერთო წონასწორობის მოდელი, რომელსაც დღეს ცენტრალური ადგილი უკავია ბაზრის მოდელირებაში. ამ მოდელში წარმოება და მოხმარება დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების ბაზრებით. მოდელის გრაფიკულ გამოსახულებას წარმოადგენს ზემოთ ნახსენები მარშალის ჯვარი. მოცემული მოდელის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოთხოვნაც და მიწოდებაც დამოკიდებულია ბაზრის ფასებზე. ბაზრის მექანიზმი პოულობს ისეთ ფასებს, რომლის დროსაც მოთხოვნა ყველა საქონელზე და მომსახურებაზე ხდება მიწოდების ტოლი. ზუსტად იგივე შეიძლება გაკეთდეს მათემატიკურ მოდელზეც, მოთხოვნის D (C) და მი-

წოდების D (C) ფასზე C დამოკიდებულების გამოყენებით. განტოლების სისტემიდან S (C) = D (C) განსაზღვრავენ ფასს C-ს.

• *კეინსის მოდელი.* როგორც უკვე ითქვა, კეინსის თეორიის აღწერისას, ჯ. კეინსმა შემოიტანა b მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების ცნება და თეორიულად დაასაბუთა გემონახსენები შემოსავლის გამრავლების „მულტიპლიკატიური" ეფექტი, რომელიც კეინსის მულტიპლიკატიურ მოდელში გამოისახება ფორმულით:

$$\partial Y = \partial I / (1-b)$$

სადაც ∂Y - არის ყველა ეკონომიკური სუბიექტის შემოსავლის ჯამური ცვლილება; ∂I ინვესტიციების მოცულობის ცვლილებაა.

აქედან ჩანს, რომ ინვესტიციების მატებისას საერთო შემოსავალი იზრდება თანხით, რომელიც K-ჯერ დიდია, ვიდრე ეს ნამატი [K = 1 / (1 — b)].

• *ჰიკსის მოდელი, IS/LM მოდელი.* დ. ჰიკსმა მოგვცა კეინსიანური თეორიის მკაფიო მათემატიკური ფორმალიზაცია ძალიან ცნობილ IS/LM - მოდელში. მასში ერთობლივი შემოსავლის (y) და საბანკო პროცენტის (i) სიერცეში ანალიზდება წრფის დონეების (ტოლობის) ცვლილება ინვესტიცია-დანაზოგების (IS), ერთი მხრივ, და ფულადი ბაზრის წონასწორობისა (LM), მეორე მხრივ. ფულის მოთხოვნისა და მიწოდების ტოლობა დიდი შემოსავლების დროს მხოლოდ მაღალი საბანკო პროცენტების დროს მიიღწევა. ამიგომ LM დონის წრფეს გააჩნია დადებითი დახრა. იმავდროულად საბანკო პროცენტის მცირე მნიშვნელობების დროს სახსრების დიდი ნაწილი მიემართება ინვესტიციებში, რასაც მივყავართ ერთობლივი შემოსავლის გაზრდამდე. ამიგომ IS ხაზს აქვს უარყოფითი დახრა. IS და LM ხაზთა გადაკვეთა გვაძლევს წონასწორობის წერტილს ფულის ბაზარზე და ამასთანავე დანაზოგისა და ინვესტიციების ტოლობას (თანასწორობას), ძიება და ანალიზი ასეთი თანაბარი სიტუაციებისა ხორციელდება ჰიკსის მოდელის საშუალებით. ეს მოდელი განკუთვნილია მხოლოდ წონასწორობასთან ახლოს მყოფი სი-

ტუაციების ანალიზისას და იმ არასანგრძლივი პერიოდებისათვის, როცა ფასები იცვლება უმნიშვნელოდ.

• *IS/LM/BP – მოდელი.* 1962 წ. საერთაშორისო ვაჭრობის ზრდასთან დაკავშირებით, დახურული IS/LM-მოდელი მოდიფიცირდა დამოუკიდებლად რ. მანდელის და დ. ფლემინგის მიერ ღია IS/LM/BP-მოდელად, რომელშიც განისილება წონასწორობის სიტუაციებზე ჰიკსის მოდელში საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა და ეროვნული ვალუტის კურსის გავლენა. IS/LM/BP-მოდელი განკუთვნილია ღია ეკონომიკურ სისტემებში წონასწორობის სიტუაციების ძიებისა და ანალიზისათვის.

• *ჰაროდის დინამიკური მოდელი* ითვალისწინებს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გავლენას ეკონომიკის ზრდაზე. რ. ჰაროდმა შემოგვთავაზა სამი განტოლებისაგან შემდგარი სისტემა, რომელთაგან პირველი აღწერს ფაქტობრივ ეკონომიკურ ზრდას, მეორე – გარანტირებულ ზრდას (მეწარმეთა მოთხოვნებს რომ პასუხობს), ხოლო მესამე პოტენციურად შესაძლებელ ზრდას (განსაზღვრულს არსებული რესურსების მოცულობით).

• *სოლოუს დინამიკური მოდელი* განკუთვნილია ეკონომიკური პროცესების ახსნისა და პროგნოზირებისათვის დიდ ინტერვალებზე. რ. სოლოუ იყენებდა კობ-დუგლასის მოდიფიცირებულ ფუნქციას, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე ეკონომიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინოვაციურ შემადგენელს. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით სოლოუმ გვიჩვენა, მხოლოდ გამოშვების 12%-ის ზრდა იყო მიღწეული ომისშემდგომ წლებში აშშ-ში კაპიტალის გადიდების ხარჯზე, ხოლო 88% მოვიდა ინოვაციაზე.

• *ფრიდმანის მოდელი* – მ. ფრიდმანმა შექმნა ლოგიკური და მათემატიკურად დახვეწილი მოდელი ფულის მოძრაობისა ეკონომიკაში. მას საფუძვლად უდევს განტოლება, რომელიც აკავშირებს ფულად ბაზარს H (ნაღდი ფულის თანხა გამოშვებული მიმოქცევაში + კომერციული ბანკების სარეზერვო ანგარიშებზე ნაშთები ცენტრალურ ბანკში) ფულის საერთო რაოდენო-

ბასთან ეკონომიკაში M M = m H. კოეფიციენტ m-ს უწოდებენ ფულის მულტიპლიკატორს. ის განისაზღვრება ფორმულით:

$$m = (1 + C/D) / (R/D + C/D)$$

სადაც C – ნაღდი ფულის თანხაა, რომელიც იმყოფება კერძო სექტორში და მოსახლეობაში; D – საბანკო დეპოზიტები; R – ფული შენახული საბანკო რეზერვების სახით.

ვინაიდან ცენტრალურ ბანკს შეუძლია აკონტროლოს ყველა ეს სიდიდე, ის აკონტროლებს ფულად მასასაც. ფრიდმანი და მისი მიმდევრები თვლიდნენ, რომ ფულადი მასის კონტროლით შეიძლება ეფექტიანი გავლენა მოვახდინოთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ფრიდმანს ზოგჯერ უპირისპირებენ კეინსს. თუმცა მან მალევე შეძლო შეეხედა ეკონომიკური პროცესისათვის სხვა, ჯერ კიდევ ნაკლებშესწავლილი მხრიდან, შეავსო ხარვეზები და გამოასწორა პრაქტიკით აღმოჩენილი კეინსიანური მოდელის შეცდომები.

• *ლეონტიევის მოდელი* – ნობელის პრემიის ლაურეატმა ვ. ლეონტიევმა შემოგვთავაზა დარგთაშორისი ბალანსის მოდელი. ძალზე უბრალო ვარიანტში ლეონტიევის მოდელი დარგთაშორისი ბალანსისა წარმოსადგენია ამ სახით:

$$X = A X + Y$$

სადაც X – დარგთა გამოშვების ვექტორია, რომლის ზომა სხვადასხვა ვარიანტში შეიძლება ვარირებდეს 10-12-დან რამდენიმე ათასამდე; A – პირდაპირ დანახარჯთა მატრიცაა, რომლის ელემენტი Aij – გვიჩვენებს, რამდენი j-ური დარგის პროდუქციაა აუცილებელი j-ური დარგის პროდუქციის ერთეულის წარმოებისათვის; Y – საბოლოო მოხმარების ვექტორი.

ლეონტიევის მოდელი აღმოჩნდა განსაკუთრებულად პროდუქტიული პერსპექტიული დაგეგმვისათვის რიგ ქვეყნებში, კერძოდ, იაპონიაში, პრაქტიკული გამოყენების დროს. 20-იან წლებში ვ. ლეონტიევი მუშაობდა საბჭოთა საგეგმო ნორმატიულ-გეგმიური მეთოდის სულისკვეთებით. აშშ-ში ემიგრაციის დროს 20-იანი წლების ბოლოს, მან, ბუნებრივია, განავრცო მოდელირების თეორია ამ მიმართულებით.

დანართი №2.

ნობელის პრემიის ლაურეატი მეცნიერ-ეკონომისტები

შვედმა ქიმიკოს-ექსპერიმენტატორმა, მრეწველმა და ეკონომისტ-პრაქტიკოსმა ალფრედ ნობელმა (1833-1896) დატოვა ანდერძი - გაეყიდათ მთელი მისი უძრავი ქონება და მიღებული თანხებით შეექმნათ მისი სახელობის ფონდი. 1990-იანი წლების დასაწყისში ფონდის კაპიტალმა 2 მილიარდამდე კრონი, ანუ დაახლოებით 330 მილიონი დოლარი შეადგინა.

დაწყებული 1901 წლიდან ნობელის პრემია გაიცემა ფიზიკის, ქიმიის, ფიზიოლოგიის, მედიცინის, ლიტერატურისა და მშვიდობის დარგში მიღწევებისათვის. იგი შედგება მედლის, პერსონალური დიპლომისა და ფულადი ჯილდოსაგან. 2001 წლიდან პრემიისათვის განკუთვნილი ყოველწლიური ფონდი 10 მლნ შვედურ კრონს შეადგენს.

1968 წელს ალფრედ ნობელის, როგორც ეკონომისტ-პრაქტიკოსის, წარმოების მართვის სფეროში სპეციალისტის განსაკუთრებული როლის აღნიშვნასთან დაკავშირებით შვედეთის ბანკმა ნობელის ფონდს მიმართა ეკონომიკაში ალფრედ ნობელის ხსოვნის პრემიის მინიჭების წინადადებით. 1969 წლიდან შვედეთის სამეფო მეცნიერებათა აკადემია ყოველწლიურად ანიჭებს ასეთ პრემიებს ყველაზე გამოჩენილ მეცნიერ-ეკონომისტებს მეცნიერული გამოკვლევებისა და მათი პრაქტიკული გამოყენებისათვის.

1969-2007 წლებში ნობელის პრემია მიენიჭა 61 ეკონომისტს, რომელთაგან 45 არის აშშ-დან, 5 - გაერთიანებული სამეფოდან, 2 - 2 შვედეთიდან, ნორვეგიიდან და ისრაელიდან, თითო-თითო - საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ნიდერლანდებიდან, რუსეთიდან და ინდოეთიდან. აღსანიშნავია, რომ 61 ლაურეატიდან 24 - გარდაცვლილია. ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატების საშუალო ასაკი (პრემიის მინიჭებისას) 67 წელია, ხოლო ყველაზე ასაკოვანი 2007 წლის ლაურეატი ლეონიდ გურვიჩია (იგი რუსეთშია დაბადებული), რომელმაც ეს ტიტული 90 წლის ასაკში მოიპოვა. ყველაზე ახალგაზრდა - 51 წლის ასაკში ეს პრემია კენეტ ეროუმ მიიღო 1972 წელს.

ქვემოთ მოტანილია 1969-2007 წლებში ეკონომიკის დარგში ნობელიანტების სია:

1969 – იან ტინბერგენი (ჰოლანდია) და რაგნარ ფრიში (ნორვეგია) – ეკონომიკური პროცესების ანალიზის დინამიკური მოდელების განვითარებისა და გამოყენებისათვის.

1970 – პოლ სამუელსონი (აშშ) – სამეცნიერო ნაშრომისათვის, რომელშიც განავითარა სტატიკური და დინამიკური ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური მეცნიერების დარგში ანალიზის დონის ამაღლებაში შეტანილი წვლილისათვის.

1971 საიმონ კუზნეცი (აშშ; დაიბ. პინსკში, ემიგრანტი) – ეკონომიკური ზრდის პრობლემის ემპირიული გამოკვლევისათვის, რომელმაც მიიყვანა როგორც ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების, ასევე განვითარების პროცესის ახალ, უფრო ღრმა გაგებამდე.

1972 – ჯონ ჰიქსი (გაერთიანებული სამეფო) და კენეტ აროუ (აშშ) – საყოველთაო თანასწორობისა და კეთილდღეობის თეორიებში პიონერული წვლილისათვის.

1973 – ვასილ ლეონტიევი (აშშ, დაიბ. სანკტ-პეტერბურგში, ემიგრანტი) – „დანახარჯები-გამოშვების“ მეთოდის განვითარებისა და უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისას მისი გამოყენებისათვის.

1974 – ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი (გაერთიანებული სამეფო) და გუნარ მიურდალი (შვედეთი) – ფულისა და ეკონომიკური რყევების თეორიისა და ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციონალური მოვლენების ურთიერთდამოკიდებულების ანალიზზე მათი ზემოქმედების პიონერული ნაშრომისათვის.

1975 – ლეონიდ კანტოროვიჩი (სსრკ) და ტიალინგ კუპმანსი (აშშ) – რესურსების ოპტიმალური განაწილების თეორიაში შეტანილი წვლილისათვის.

1976 – მილტონ ფრიდმენი (აშშ) მოხმარების ანალიზის, ფულის მიმოქცევის ისტორიასა და თეორიაში და სტერილიზაციის პოლიტიკის კომპლექსურობის ახსნის სფეროებში მიღწევებისათვის.

1977 – ჯეიმზ უდუარდ მიდი (გაერთიანებული სამეფო) და ბერტილ ოულინი (შვედეთი) – საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის თეორიაში ორიგინალური წვლილისათვის.

1978 – ჰერბერტ საიმონი (აშშ) – ეკონომიკურ ორგანიზაციებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ნოვატორული გამოკვლევებისათვის.

1979 – არტურ ლუისი (აშშ) და თეოდორ შულცი (აშშ) – ეკონომიკური განვითარების პრობლემების ნოვატორული გამოკვლევებისათვის, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში.

1980 – ლოურენს კლეინი (აშშ) – ეკონომეტრიკული მოდელების შექმნისა და ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზისა და ციკლურ რყევებში მისი გამოყენებისათვის.

1981 – ჯეიმზ ტობინი (აშშ) – ფინანსური ბაზრებისა და ხარჯებთან, გადაწყვეტილებებთან, დასაქმებასთან, წარმოებასა და ფასებთან მათი კავშირის ანალიზისათვის.

1982 – ჯორჯ სტიგლერი (აშშ) – სამრეწველო სტრუქტურების, ბაზრების ფუნქციონირების, სახელმწიფო რეგულირების მიზეზებისა და შედეგების ნოვატორული გამოკვლევებისათვის.

1983 – ჟერარდ დებრე (აშშ, დაიბადა და მუშაობდა საფრანგეთში) – ეკონომიკურ თეორიაში ახალი ანალიტიკური მეთოდების შემოღებისა და ზოგადი წონასწორობის თეორიის ფორმალიზაციისათვის.

1984 – რიჩარდ სტოუნი (გაერთიანებული სამეფო) – ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შემუშავებასა და ამით ემპირიული ეკონომიკური ანალიზის საფუძვლების ძირეული გაუმჯობესებაში ფუნდამენტური წვლილისათვის.

1985 – ფრანკო მოდილიანი (აშშ) – დაგროვებისა და ფინანსური ბაზრების დინამიკის პიონერული გამოკვლევებისათვის.

1986 – ჯეიმს ბიუკენენი (აშშ) – საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის განვითარებისათვის და ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდის საკონტრაქტო (სახელშეკრულებო) და კონსტიტუციური საფუძვლების გამოკვლევისათვის.

1987 – რობერტ სოლოუ (აშშ) – ეკონომიკური ზრდის თეორიაში შეტანილი ფუნდამენტური წვლილისა და ეკონომიკის განვითარებაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის როლის ანალიზისათვის.

1988 – მორის ალე (საფრანგეთი) – ბაზრებისა და რესურსების ეფექტიანი გამოყენების თეორიაში პიონერული წვლილისათვის.

1989 – ტრიუგვე ჰაველმო (ნორვეგია) – ეკონომეტრიკის თეორიულ-ალბათობითი განმარტებისა და საბაზრო ეკონომიკური სტრუქტურების ანალიზისათვის.

1990 – ჰარი მარკოვიცი (აშშ), მერტონ მილერი (აშშ), უილიამ შარპი (აშშ) – ფინანსური ეკონომიკური თეორიის განვითარებისათვის.

1991 – რონალდ კოზე (გაერთიანებული სამეფო) – ინსტიტუციური სტრუქტურებისა და ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის საოპერაციო დანახარჯებისა და საკუთრების უფლებების მნიშვნელობის აღმოჩენისა და ახსნისათვის.

1992 – ჰარი ბეკერი (აშშ) – ადამიანური ქცევის და სოციალურ ურთიერთობათა პრობლემების ანალიზისათვის ეკონომიკის პოზიციებიდან.

1993 – დუგლას ნორთი (აშშ), რობერტ ფოგელი (აშშ) – ისტორიული პროცესების შესწავლის ახალი ეკონომიკური მეთოდების გამოყენებისათვის.

1994 – ჯონ ნეში (აშშ), ჯონ ჰარსენი (აშშ), რეინჰარდ სელტენი (გერმანია) – არაკოოპერატიული თამაშების თეორიაში წონასწორობის პიონერული ანალიზისათვის.

1995 – რობერტ ე. ლუკასი-უმცროსი (აშშ) – რაციონალური მოლოდინის ჰიპოთეზის შექმნისა და მისი გამოყენებისათვის ტრანსფორმირებული მაკროეკონომიკური ანალიზის და ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლიანი გაგებისათვის.

1996 – უილიამ ვიკრი (აშშ), ჯეიმზ მირლესი (გაერთიანებული სამეფო) – ასიმეტრიული ინფორმაციის პირობებში სტიმულების ეკონომიკური თეორიის განვითარებაში შეტანილი ფუნდამენტური წვლილისათვის.

1997 – რობერტ მერტონი (აშშ), მაირონ შოლსი (აშშ) – წარმოებულების ღირებულების განსაზღვრის ახალი მეთოდისათვის.

1998 – ამარტია სენი (ინდოეთი) – მოსახლეობის კეთილდღეობის შესახებ ეკონომიკური აზრის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

1999 – რობერტ ა. მანდელი (აშშ) – განსხვავებული გაცვლითი კურსების რეჟიმების პირობებში მონეტარული და ფისკალური პოლიტიკისა და ოპტიმალური სავალუტო არეალის ანალიზისათვის.

2000 – ჯეიმზ ჰექმანი (აშშ) – შერჩევითი მოდელების ანალიზის თეორიისა და მეთოდების შემუშავებისათვის და დანიელ მაკფადენი (აშშ) – დისკრეტული შერჩევის ანალიზის თეორიისა და მეთოდების შემუშავებისათვის.

2001 – ჯორჯ აკერლოფი (აშშ), მაიკლ სპენსი (აშშ), ჯოზეფ სტიგლიცი (აშშ) – ასიმეტრიული ინფორმაციის პირობებში ბაზრების ანალიზისათვის.

2002 – დანიელ კანჰნემანი (აშშ და ისრაელი) – ეკონომიკურ მეცნიერებაში ფსიქოლოგიური კვლევის კომპლექსური გაგებისათვის, განსაკუთრებით გაურკვევლობის პირობებში გადაწყვეტილებების მიღებასთან მიმართებაში; ვერნონ სმიტი (აშშ) – ლაბორატორიული ექსპერიმენტების, როგორც ემპირიული ეკონომიკური ანალიზის ინსტრუმენტის შექმნისათვის, განსაკუთრებით ალტერნატიული საბაზრო მექანიზმების შესწავლისას.

2003 – რობერტ ენგლი III (აშშ) – ეკონომიკური დინამიკური მწკრივების ანალიზის მეთოდებისათვის, კლაივ გრეინჯერი (გაერთიანებული სამეფო) – ეკონომიკური დინამიკური მწკრივების ანალიზის მეთოდებისათვის ჩვეულებრივი ტრენდების პირობებში (კოინტეგრაცია).

2004 – ფინ კიდლანდი (ნორვეგია), ედუარდ პრესკოტი (აშშ) მაკროეკონომიკურ დინამიკაში შეტანილი წვლილისათვის: ეკონომიკური პოლიტიკის დროში განსაზღვრულობა და წარმოების ციკლის მამოძრავებელი ძალა

2005 – რობერტ აუმენი (ისრაელი), თომას შელინგი (აშშ) – კომფლიქტებისა და კოოპერაციის გაგების გაღრმავებისათვის თამაშთა თეორიის ანალიზის მეშვეობით.

2006 – ედმუნდ ფელპსი (აშშ) – მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში ინტერტემპოლარული კომპრომისების ანალიზისათვის.

2007 – ლეონიდ გურვიჩი (აშშ), ერიკ მასკინი (აშშ), როჯერ მაიერსონი (აშშ) – ეკონომიკური მექანიზმების თეორიის შემუშავებისათვის.

ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები:

აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბ., 2005.

ათანელიშვილი თ. ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.). თსუ გამომცემლობა, თბილისი. 2006.

არდია შ., მარგველანი გ. მსოფლიოს ბუნებრივი რესურსები (გამოყენება და ბუნების დაცვა). — თბილისი, 1998.

არველაძე ნ. რა ეღირება გაზი. ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა", №11(108), 2006..

არველაძე ნ., ჯგერენაია ა. მსოფლიო ეკონომიკურ ჩიხში. ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა", №6(103), 2006.

არველაძე ნ., ჯგერენაია ა. მსოფლიო ომის თანამედროვე სცენარი. ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა", №6(103), 2006.

ასლამაზიშვილი ნ. საგარეო ვაჭრობა. თსუ გამომცემლობა, თბ., 2003.

ასლამაზიშვილი ნ. საქართველო და დანარჩენი მსოფლიო: UNCTAD-ის ვაჭრობისა და განვითარების ინდექსის მიხედვით. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. კვარტალური მიმოხილვა. მაისი, 2008.

ასათიანი რ. პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბ., 2005.

ბალცეროვიჩი ლ. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში, პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა. — თბილისი, 2002.

ბალცეროვიჩი ლ. თავისუფლება და განვითარება. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში. პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა. — თბილისი, 2005.

ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბილისი, 2001.

ბაღათურია გ. ტაივანი — კეთილდღეობის კუნძული, თბილისი, 2000.

ბეჭვაია დ., ღვინერია ე. თანამედროვე პედაგოგიური თეორიების ფილოსოფიური საფუძვლები, თბ., 2001.

ბარათაშვილი ე., ნაკაიძე გ., ჯანელიძე ნ. საერთაშორისო ტრანსნაციონალური კორპორაციები მსოფლიო მეურნეობის ლიდერები. თბილისი, 2000.

გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. გამომცემლობა „დიოგენე", თბილისი, 2003.

გეოგრაფიის ენციკლოპედია და მსოფლიო ატლასი. ჯილიან დოჰერთი, ანა ქლეიბორნი და სუზანა დევიდსონი. მთარგმნელი: ნოდარ მაჩხაშვილი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი, 2005.

გრიშიკაშვილი ა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები: პრობლემები, პერსპექტივები, თბილისი, 1998.

გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2004.

გოგოხია რ. ეკონომიკის გლობალიზაცია და არასაბაზრო ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", №1, 2005.

გრიშიკაშვილი ა. გზა ევროკავშირისაკენ. თბ., 2004.

გრიშიკაშვილი ა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია. თბ., 2005.

გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები. შრომების კრებული. რედაქ. ე. ეთერია. გამომც. „უნივერსალი", თბ., 2008.

დიკ ლეონარდი. ევროკავშირის სახელმძღვანელო, თარგმანი მე-7 გამოცემიდან, გამომცემლობა „ჯისიაი", თბილისი, 2002.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. ავტორ-შემდგენლები: ა. სილაგაძე, გ. გოშაძე, ვ. ზურაბიშვილი, თ. დემეტრაშვილი, თ. ათანელიშვილი.

ეთერია ე. მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი: თეორიულ-ინსტიტუციური ასპექტები. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", №4, 2007.

ეკონომიკური კალეიდოსკოპი. მოამზადა და გამოსცა პროფ. ა. გრიშიკაშვილმა. თბილისი, 2007.

ვეშაპიძე შ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების პრობლემები. მსოფლიო ბაზარზე გასვლის საკითხი. თბ., 1996.

ვეშაპიძე შ. ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები. თბილისი, 1999.

ვეშაპიძე შ., ასლამაზიშვილი ნ., გრიშიკაშვილი ა., კაკაშვილი ნ., ლეკაშვილი ე., ლონდარიძე ა., პაპაჩაშვილი ნ., სეფაშვილი ე. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. დამხმარე სახელმძღვანელო. მეორე, გადამუშავებული გამოცემა. თბილისი, 2008.

ვისენტზი გ., საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაცია და ხელშეწყობა. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები", კვარტალური მიმოხილვა, ოქტომბერი. 2006.

თანამედროვე ევროპა ციფრებში, მესამე გამოცემა, გამოცემული მოსტატ ინთერნეშნლ, შპს, თბილისი, 2000.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, ავტორები: ლ. ალექსიძე (პასუხისმგებელი რედაქტორი), ლ. გიორგაძე, ზ. დავითაშვილი, მ. კვაჭაძე, ქ. კორკელია, დ. პატარაია, ი. ქურდაძე. თბილისი, გამომცემლობა „ჯისიაი", 2004.

თურქია გ. ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში. ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა", №2, 2008.

ისმაილოვი ე., პაპავა გ. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. გამომცემლობა „დიოგენე", თბილისი, 2007.

კეინსი ჯ. დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია, მთარგმნელი და რედაქტორი რამაზ ნამიშვილი, ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 1995.

კოღუაშვილი პ., გიორგაძე ჰ., რამიშვილი ბ. სასურსათო პრობლემიდან — სასურსათო უსაფრთხოებამდე, თბილისი, 1999.

კვარაცხელია დ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2008.

კვარაცხელია დ. გლობალიზაცია, სუვერენული სახელმწიფო, ეროვნული ეკონომიკა. თბილისი, 2003.

კახნიაშვილი ჯ. მაკროეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. სახელმძღვანელო, ნაწ. II, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, თბილისი, 1997.

ლეკაშვილი ე. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები ამიერკავკასიის ქვეყნებთან რეფორმების პირობებში (1991- 1997 წლები). თსუ გამომცემლობა, თბ., 2001.

ლეკაშვილი ე. ინტეგრაციული განვითარების მიმართულებები და პრობლემები დსთ-ს სისტემაში, ეკონომიკის აქტუალური საკითხები. III გამოშვება, თბ., 2001.

ლეკაშვილი ე. ამიერკავკასიის ქვეყნების საერთო ეკონომიკური მდგომარეობის შედარებითი ანალიზი რეფორმების პირობებში. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, №2, აგვისტო, 1999.

ლორენცი კ., ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა, მცირე საწარმო „დვალეთი—1“-ის გამოცემა, თბილისი, 1992.

ლუტიძე ბ. გლობალიზაცია: არსი, პრობლემები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2002.

მაქსოევი მ. კავკასია: კომპლექსური ანალიზი, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის გზები, გეოპოლიტიკის საკითხები, თბილისი, 1998.

მსოფლიო ციფრებში (საქართველო და გარე სამყარო). თბილისი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2000.

მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, ორ ტომად, ტ. I, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ. თბილისი, 2003. — 568 გვ. / ტ. II, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ. თბილისი, 2004.

მსოფლიო ეკონომიკა. ლექციების კურსი. შემდგენელი პროფ. შ. ვეშაპიძე. თბილისი, 2004.

მსოფლიო ეკონომიკა, დამხმარე სახელმძღვანელო, გრიგოლ თოდუას და შოთა ვეშაპიძის რედაქციით, თბ., 2001.

მექვაბიშვილი ე. გლობალური ფინანსური არასტაბილურობა და საქართველოს პერსპექტივები. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, აპრილი, 2008.

მექვაბიშვილი ე. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური პრიორიტეტები. თბილისი, 1998.

მესხია ი. საქართველოს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი ჰიპოთეზები და პროგნოზები, ემა-ს შრომები, III ტომი, 2000.

მალაშხია გ. საქართველოს ეკონომიკა: საუკუნოვანი პანორამის შტრიხები. თბილისი, 2002.

მაისაშვილი გ. ქართული სახელმწიფოებრიობის მოდელი. თბილისი, 2008.

მთავრობის კონტროლის ამერიკული ბიუროს მოხსენება „გრძელვადიანი დამაფიქრებელი სიმულაციები", ავტორთა კოლექტივი, დავიდ უალკნერის ხელმძღვანელობით, 2008. (Amerykanskie Biuro Kontroli Rzadu (GAO)-ის მოხსენება „Porazajace dlugoterminowe symulacje", ავტორთა კოლექტივი David Walker-ის ხელმძღვანელობით).

ნობელიანტი ეკონომისტები. შემდგენელი და მთავარი რედაქტორი პროფ. ა. გრიშიკაშვილი, გამომცემლობა „ინტელექტი", თბილისი, 2006.

ოთინაშვილი რ. ეროვნული უსაფრთხოება. ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები. თბ., 2005.

პაპავა ვლ. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბილისი, 2005.

პაპავა ვლ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი, 2000.

პაპავა ვლ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2002.

რონდი ლიჩი, ევროპა. ევროკავშირის მოკლე ენციკლოპედია. თბილისი, გამომცემლობა „ჯისიაი", 2002.

საფრანგეთის სახელმწიფო, მოზარდებისათვის, სარედაქციო ჯგუფის ხელმძღვანელი სერჟ კორდელიე, მთარგმნელები თამარ ბერეკაშვილი, პაატა ჯავახიშვილი, რედაქტორი ანა ჭაბაშვილი, თბილისი, 2001. — 224 გვ. (დანართი: რუკები და სქემები, 16 გვ.).

სმიტი ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, თარგმნილი ინგლისურიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, თბილისი, 1938.

სტატისტიკური კრებული: 1909- 1921. საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო. თბილისი, 1923.

სამსონი ი., განვითარების გზის ძიება: საქართველოს ამოცანები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები", კვარტალური მიმოხილვა, იანვარი 2005.

სამსონი ი., საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივები საშუალოვადიან პერიოდში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები", კვარტალური მიმოხილვა, თებერვალი 2008.

სილაგაძე ა., თოქმაზიშვილი მ. პოსტკომუნისტური ფინანსური პოლიტიკა. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია", თბილისი, 2008.

ფუტკარაძე რ. საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში. ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა", №2, 2008.

ფუკუიამა ფ. ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, მთარგმნელი ზ. ჭილაძე, რედაქტორი გ. ჭუმბურიძე, თბ., 1999.

ქარუმიძე ვ. საერთაშორისო ორგანიზაციები (სპეცკურსი), მეორე გამოცემა (შევსებული, შესწორებული), თბილისი, 1999.

ქისტაური შ. ეროვნული ვალუტა (წარსული, დღევანდელობა, მომავალი). თბ., 1993.

ღვამიჩავა ა. ევროკავშირი XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 1998.

ღაღანიძე გ., საქართველოს ეკონომიკის ექსპორტზე ორიენტაციის პერსპექტივები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები", კვარტალური მიმოხილვა, ოქტომბერი 2007.

ყორღანაშვილი ლ., საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1997.

ყარალაშვილი რ. ჩინეთის დიდი კედლის მიღმა. საუბრები ძველი ჩინეთის კულტურაზე, თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული", 1989.

ყუფუნია გ. საქართველოს ეკონომიკა. სმა. თბილისი, 2007.

შენგელია თ. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებელთა სისტემა. ჟურნ. „ეკონომიკა", №12, 2005.

ძნელაძე დ. მსოფლიო ეკონომიკა, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1997.

ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, თბილისი, 1957-1961.

ჭყოიძე ვ., ჭელიძე ზ. ევროპული ინტეგრაცია და ევროკავშირის ინსტიტუტები, თბილისი, 1998.

ჭითანავა ნ., თაკალაძე ლ. სოციალური ეკონომიკა: ფორმირება და განვითარება. ნაც. I. თბილისი, 2008.

ხადური ნ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მაკროეკონომიკური დეტერმინანტები. ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები", კვარტალური მიმოხილვა, დეკემბერი, 2005.

ჯოლია გ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. სახელმძღვანელო. თბ., 2008.

ჯოლია გ. ქვეყანათმცოდნეობა — ევროპა, თბილისი, 2001.

ჯოლია გ. ქვეყანათმცოდნეობა — აზია, თბილისი, 2001.

ჯოლია გ. ქვეყანათმცოდნეობა — ამერიკა, თბილისი, 2001.

ჯოლია გ., ჯოლია ნ. საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი, თბილისი, 2001.

ჩვენ, ევროპელები. წერილები პოლონურიდან თარგმნა და წიგნი გამოსცა ა. გრიშიკაშვილმა. თბ., 2007.

ჰანთინგტონი ს. ცივილიზაციათა შეხლა. იხ. წიგნი (ალმანახი): საზოგადოება და პოლიტიკა, II, გამომცემელი — მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1999.

პოლ ჰერსტი, გრემ ტომპსონი. გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. გამომც. „დიოგენე", I ქართ. გამოც., თბილისი, 2005.

Developing Countries in International Trade 2007: Trade and Development Index. United Nations Conference on Trade and Development. UN, New York and Geneva, 2007.

International Financal Statistics. International Monetary Fund, August 2007.

Balance of Payments Statistics. Yearbook 2003. Part I: Country Tables. International Monetary Fund. 1006 p.

International Financial Statistics. March 2004. International Monetary Fund. 1095 p.

Maddison A. The World Economy: Millennium Perspective. Development Center of the OECD. Paris. 2001.

Pocket World in Figures 2005, Edition, Profile Books Ltd, The Economist Newspaper Ltd, 2005.

Peter Dicken. Global Shift, Transforming the World Economy, Third Edition, P.C.P Ltd, 1999.

Report of the united nations conference on trade and development on its eleventh session, held in Sro Paulo, Brazil, from 13 to 18 June 2004. http://www.unctad.org/en/docs/td412_en.pdf

Remittances in Georgia, Azerbaijan, and Moldova. European Bank for Reconstruction and Development. Materials of the Conference in Tbilisi, March 27, 2008. http://transparency.org.

Авдокуши Е.Ф. Международные экономические отношения: Учебник. М., 1999.

Акопова Е. С., Воронкова О. Н., Гаврилко Н. Н. Мировая экономика и международные экономические отношения. Серия "Учебники. учебные пособия". Ростов-на-Дону: "Феникс", 2000.

Бальцерович Л. Социализм, капитализм, трансформация, очерки на рубеже эпох / пер; с польск. — М.: "Наука". Изд-во УРАО, 1999.

Воронин В.П., Кандакова Г.В., Подмолодина И.М. Мировое хозяйство и экономика стран мира. М.: "Финансы и статистика", 2007.— 240 с.

Гатина Г.Ф., Мерзликин В.А., Щукина Н.Н. Мировая экономика: Учебник.— М.: ИНФРА-М, Пермь: Пермс. гос. техн. ун-т, 2001.

Глобализация мирового хозяйства: Учеб. пособие / Под ред. д-ра экон. наук, проф. М.Н. Осмовой, канд. экон. наук, доц. А.В. Болченко. – М.: ИНФРА-М, 2006. – VIII, 376 с. – (Учебники экономического факультета МГУ им. М.В. Ломоносова).

Грифин Р., Пастей М. Международный бизнес. 4-е изд. / Пер. с англ. под ред. А.Г. Медведева. – СПб.: Питер, 2006.

Гурова И.П. Мировая жкономика. Учебник, 2-е изд., стер. – М.: Омега-Л, 2008.

Колганов А.И., Бузгалин А.в. Экономическая компаративистика. Учебник. М.: ИНФРА-М, 2005. – 746 с. – (Учебники экономического факультета МГУ им. М.В. Ломоносова).

Ломакин В. К. Мировая экономика: Учебник для вузов. 3-е изд., перераб. и доп. – М.: ЮНИТИ-ДАНА, 2007.

Мегатренды мирового развития / Отв. ред. М. В. Ильин, В. Л. Иноземцев; Центр исслсдований постиндустриального общества. – М.: ЗАО Издательство "Экономика", 2001.

Мир на рубеже тысячалетий (прогноз развития мировой экономики до 2015 г.) – М.: Издательсий дом "НОВЫЙ ВЕК", 2001.

Мировая экономика: глобальные тенденции за 100 лет / Под ред. И.С. Королева. – М.: Экономистъ, 2003.

Мировая экономика и международный бизнес. Учебник. 2-е изд. перераб. и доп. / кол. авт. под общ. ред. д-ра экон. наук, проф. В.В. Полякова и д-ра экон. наук, проф. Р.К. Щенина. – М.Ж КНОРУС, 2005.

Мировая экономика и международные экономические отношения. Учебник. в 2-х частях. / Под ред. чл.-корр. РАН, д-ра экон. наук, проф. Р.И. Хасбулатова. – М.: Гардарики, 2006. – ч.1., 671 с.; ч.2., 718 с.

Мировая экономика / Под ред. Л. Тарасевича. - СПб: Питер, 2001. - 320 с. (совместный российско-германский учебник).

Мировая экономика: Учебник / Под ред. проф. А.С. Булатова. 2-е изд., перераб. и доп. – М.: Экономистъ, 2008.

Мир в цифрах – 2007. Карманный справочник / Пер. с англ. – М.: ЗАО "Олимп-Бизнес", 2007.

Мировая экономика. Экономика зарубежных стран: Учебник / Под ред. д-ра экон. наук, проф. В. П. Колесова и д-ра экон. наук, проф. М. Н. Осьмовой. – М.: Флинта: Московский прихолого-социальный институт, 2000.

Мовсесян А. Г., Огнивцев С. Б. Мировая экономика, Учебник. – М.: Финансы и статистика. 2001.

Монтес М.Ф., Попов В.В. "Азиатский вирус" или "голландская болезнь"? Теория и история валютных кризисов в России и других странах. / Пер. с англ., 2-е изд. – М.: Дело, 2000.

Новокшонова Л. В., Трифонов Ю. В. Мировое хозяйство. Учебн. пособие. – М.: Юристъ, 2000.

Олехнович Г.И. Мировая экономика: учебно-методический комплекс. – Мн.: Амалфея, 2006.

Погорелецкий А. И. Экономика и экономическая политика Германии в XX веке. Научное издание. – СПб.: Изд-во Михайлова В. А., 2001. .

Погорелецкий А. И. Экономика зарубежных стран: Учебник. - СПб: Изд-во Михайлова В. А., 2000.

Погорелецкий А. И., Шеров-Игнатьев В.Г., Цицирева А.Ю. Мировая экономика: Учеб. пособие / Под ред. С.Ф. Сутырина. - СПб.: Изд-во С.-Петерб. гос. ун.-ка, 2003.

Протас В.Ф. Мировая экономика в схемах. Учеб. пособ. – М.: ТЛ Вебли, Изд-во Проспект, 2008.

Родионова И. А. Промышленность мира: территориальные сдвиги во второй половине XX в. – М.: Московский Лицей, 2002.

Родионова И.А. Политическая карта мира. Учебно-справочное пособие по географии, 3-е издание. Московский Лицей, 2001.

Страны и регионы мира. 2006. Статистический справочник Всемирного банка / Пер. с англ. – М.: Издательство "Весь мир", 2007. – (Мир в цифрах).

Страны и регионы мира 2003: Экономико-политический справочник / Под ред. А.С. Булатова. – М.: ТК Велби, Изд-во Проспект, 2003.

Фишер В. Европа: экономика, общество и государство. 1914 – 1980 / Пер. с нем. Л. А. Овчинцевой; Под науч. ред. Ю. А. Петрова. – М.: Гуманит. Изд. центр ВЛАДОС, 1999.

Халевинская Е. Д., Крозе И. Мировая экономика: Учебник / Под ред. Е. Д. Халевинской. - М.: Юристъ, 1999.

Хасбулатов Р. И. Мировая экономика, в 2-х т. – М.: ЗАО Издательство "Экономика", 2001. т. I, – 598 с., т. II.

Шкваря Л.В. Мировая экономика в схемах и таблицах. М.: Эксмо, 2006.

Экономика США. Учебник для вызов / Под ред. В.Б. Супяна. – СПб.: Питер, 2003.



ზოთა ვეშაპიძე — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კვლევის სფეროებია: მსოფლიო ეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, გლობალიზაცია. არის ქართულ ენაზე გამოცემული მრავალი სახელმძღვანელოს ავტორი, თანაავტორი, ინიციატორი, ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და რედაქტორი. ამჯამად არის ევროპული უნივერსიტეტის რექტორი.



ნანა ასლამაზიშვილი — ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ევროპული უნივერსიტეტის სრული პროფესორი; საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული სტატისტიკის განყოფილების უფროსი. კვლევის სფეროებია: ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა, საერთაშორისო ვაჭრობა, საერთაშორისო სტატისტიკა.



ამბროსი გრიშიკაშვილი — ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ევროპული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. კვლევის სფეროებია: საერთაშორისო ეკონომიკის, საგადასახდელო ბალანსის, ეკონომიკური რეფორმების, საბანკო-საკრედიტო, ევროინტეგრაციის პრობლემები. არის ცნობილი მთარგმნელ-გამომცემელი, პოლონეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე.



ეკა ლეკაშვილი — ეკონომიკის აკადემიური დოქტორი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ეკონომიკისა და მენეჯმენტის კონსულტანტთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი. კვლევის სფეროებია: საერთაშორისო ეკონომიკა, მსოფლიო ეკონომიკა, მენეჯმენტი, კონსალტინგი.